თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა
და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე მენთეშაშვილი

ინგლისის ისტორია

ლექციების კურსი

გამომცემლობა
"ენა და კულტურა"
2004 წ.

რედაქტორები: პროფ. ზ. ჩიქაკაძე, პროფ. ა.ჩხეიძე

რეცენზენტი: პროფ. ვ. ოვალაყაძე, პროფ. ლ. სვანაძე

ავტორი მადლობას უხდის ქ-ნ ჯო ბაკოვსკის და ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის.

The Author is grateful to Mrs. Jo Bakowski and the British Council in Georgia for the contribution to the publication of this book.

© ივ.მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია

© გამომცემლობა „ენა და კულტურა“

ISBN 99928-981-0-0

ვუძღვნი დედის - მერი ივანეს ასულ მჭედლიძის ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

აღნიშნული სალექციო კურსი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობა როგორც კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი პლანეტის განვითარების ბედი. საუკუნეების მანძილზე პარლამენტი, სამრეწველო გადატრიალება და უკიდეგანო იმპერია განსაზღვრავდნენ ჯერ პატარა ინგლისის, შემდეგ ბრიტანეთის კუნძულების და ბოლოს მსოფლიოს ბედსაც. ნაშრომი წარმოაჩენს ინგლისის ისტორიის იმ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოვლენებს, რომელთა განზოგადება ქვეყნის ისტორიის ახსნის და მთლიანად ისტორიული პროცესის კანონზომიერების დადგენის საშუალებას იძლევა.

ვაცნობიერებთ რა ამ ქვეყნის დღევანდელ ოფიციალურ დასახელებას „დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო", ჩვენ შეგნებულად ვაკეთებთ აქცენტს ინგლისზე, როგორც დიდი ბრიტანეთის ისტორიული განვითარების თავისებურ ეპიცენტრზე, რომელიც გადამწყვეტ ბიძგს აძლევდა მთელი კუნძულის განვითარებას, ხოლო მის სხვადასხვა მხარეში შობილი ნებისმიერი აზრი, ინგლისური სულისკვეთებით გაჟღენთილი, ინგლისური ენის მეშვეობითვე ინერგებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სწორედ ეს პროცესი დიდი ბრიტანეთის, და უპირველეს ყოვლისა ინგლისის მოსახლეობის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული შემოქმედების შედეგი ასახულია წინამდებარე ნაშრომში.

ნაშრომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან, კერძოდ, კელტური ბრიტანეთიდან XXI ს.აუკუნემდე. სალექციო კურსი განკუთვნილია ისტორიისა და ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტებისათვის, ისტორიის და ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორი მადლიერებით მიიღებს საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

ქელტური ბრიტანეთი

გეოგრაფიულ გარემოსა და ფიზიკურ აგებულებას ერთობ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა დიდი ბრიტანეთის ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპზე. ჩრდილოეთის მთიანეთის და დასავლეთის კლდოვან ნაპირებს აღმოსავლეთისა და სამხრეთის დაბლობი ტერიტორიები ენაცვლებიან. სწორედ ამიტომ კუნძულზე კონტინენტიდან შეღწევა საუკუნეების მანძილზე სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან ხდებოდა. ამასვე ხელს უწყობდა სანაპიროს ამ მონაკვეთში არსებული მრავალრიცხოვანი ბუნებრივი ნავთსაყუდელი და წყალუხვი და ნელი დინების მდინარეები, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიედინებიან და აადვილებდნენ კუნძულზე უშუალოდ ზღვიდან შეღწევას.

მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობა ბრიტანეთის კუნძულებზე გამოჩნდა 3000-2400წწ. ძვ. წთ. მათ მოსვლას პირენეის ან როგორც მას უძველეს ხანაში უწოდებდნენ იბერიის ნახევარკუნძულიდან ვარაუდობენ. ამიტომ მათ პირობითად იბერიელებს უწოდებენ. ამ ადამიანებმა ბრიტანეთის კუნძულებზე მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და კაჟის დამუშავება შეიტანეს. შრომის პროცესში ისინი ქვის იარაღებს იყენებდნენ. ახალმოსახლეების ცხოვრების წესმა სრულიად გარდაქმნა ადგილზე მყოფი მოსახლეობის უფრო პრიმიტიული ყოფა, რომლებიც გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და ნადირობას მისდევდნენ. ახლადმოსულების წარმატებულ საქმიანობას ხელს უწყობდნენ ბუნებრივი პირობებიც. აღნიშნული დროისათვის გამყინვარების დასასრულმა და გოლფსტრიმის თბილმა დინებამ მარცვლეული კულტურების მოყვანისათვის ხელსაყრელი ჰავა შექმნეს.

დაახლოებით 2000წ. ძვ. წთ. ბრიტანეთის კუნძულებზე მოსახლეობის ახალი ტალღა გამოჩნდა. მათი წინამორბედებისავით ისინიც ევროპის კონტინენტიდან მოვიდნენ. ახლადმოსულებმა დაიკავეს დღევანდელი ირლანდიის ზღვის სანაპირო, შოტლანდიის ჩრდილოეთი ნაწილი, ჰებრიდის კუნძულები და კუნძული მენი. მათ შემოიტანეს ბრიტანეთში ქვის დიდი ლოდებისგან სამარხების აგების ტრადიცია, ე.წ. მეგალითური კულტურა. მაგრამ ამ ხალხის მთავარ დამსახურებად უნდა, ჩაითვალოს ადგილობრივ ნიადაგში წიაღისეულის — სპილენძისა და კალის აღმოჩენა, რამაც ბრინჯაოს იარაღების შექმნა და გამოყენება მოყვა. ბრინჯაოს იარაღების გამოყენებამ გაზარდა შრომისნაყოფიერება, ბრიტანეთის ტერიტორიაზე ამ სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენამ ბიძგი მისცა კონტინენტთან ვაჭრობის განვითარებას, რადგან მისი მოსახლეობა დაინტერესებული იყო ამ მადნეულით. მაგრამ ბრინჯაოს იარაღები არ იძლეოდნენ კუნძულის დასავლეთში განლაგებული მაგარი ნიადაგის სასურველი ეფექტურობით დამუშავების საშუალებას, ამიტომ მოსახლეობა იძულებული შეიქნა გადაენაცვლა სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც უფრო რბილი ნიადაგი იყო. საავჭრო ურთიერთობების ჩასახვამ და მიწათმოქმედებისათვის ახალ ტერიტორიებზე გადასვლამ გამოიწვია საზოგადოებრივი და სამეურნეო ცენტრების გადანაცვლება დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სწორედ ამ რეგიონში დაახლოებით 1700-1000 წწ. ძვ. წთ. შეიქმნა კულტურა, რომლის ყველაზე შთამბეჭდავ ნაშთს წარმოადგენს სთოუნჰენჯის კომპლექსი, რომელიც მდებარეობს უილტშირის საგრაფოში, სოლსბერის ველზე. როგორც ვარაუდობენ, ეს არის მზის სათაყვანებლად აგებული ტაძარი და მას ობსერვატორიის ფუნქციასაც კი მიაწერენ. იგი აგებულია წრიულად განლაგებული ვეება ლოდებისაგან. თითოეული მათგანი დაახლოებით ცხრა მეტრი სიმაღლისაა. ლოდების ერთი ნაწილი 30 ტონას იწონის, ხოლო მეორე 11 ტონას. ვარაუდობენ, რომ ისინი გადმოზიდულია უელსიდან, პემბორქშირის საგრაფოდან, და დანიშნულების ადგილზე მიაღწიეს მას შემდეგ, რაც დაფარეს 200 მილი (320კმ) ლა-მანშის სრუტის სანაპირო ზოლზე. ამ პერიოდის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეულწილად ჩამოყალიბებული რწმენა-წარმოდგენები და ღვთისმსახურება ქურუმთა ინსტიტუტის მეშვეობით. აღნიშნული კულტურის მთავარ ღვთაებას მზე წარმოადგენდა, მაშინ როცა მისი წინამორბედები დედამიწას ეთაყვანებოდნენ. ადამიანები ტომებად იყვნენ გაერთიანებული და თავს იყრიდნენ ბელადებისა და წარჩინებულების ახლად-შექმნილი ინსტიტუტის გარშემო.

დაახლოებით 1000-700წწ. ძვ. წთ. ბრიტანეთის კუნძულებზე კელტური ტომები გამოჩდნენ. ეს იყო ინდო-ევროპული ენობრივი ჯგუფის მოსახლეობა, რომელიც ევროპის კონტინენტის სხვადასხვა რეგიონში სახლობდა. ესპანეთში ისინი კელტიბერების სახელით იყვნენ ცნობილი, დღევანდელ შვეიცარიაში ჰელვეტების, საფრანგეთში გალების, ხოლო მცირე აზიაში მათ გალატებს უწოდებდნენ. როგორც ჩანს, სხვადასხვა ტომების გადანაცვლებით შევიწროვებულმა კელტებმა კონტინენტიდან ბრიტანეთის კუნძულებს მიაშურეს. ესენი იყვნენ ინდოევროპული ენობრივი ჯგუფის ტომები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ადრეული პერიოდის ბრიტანეთის ისტორიას.

ბრიტანეთში შეჭრილი კელტური მოდგმის ტომების პირველ ჯგუფს გოიდელები, ან როგორც მათ კიდევ უწოდებენ, გელები წარმოადგენდნენ. გოიდელებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე უპირატესობას მიაღწიეს თავისი იარაღის წყალობით. ვარაუდობენ, რომ მათი ფოთლის ფორმის მქონე მახვილები უფრო ქმედითი იარაღი იყო, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობის დანები და ხანჯლები. მოგვიანებით, დაახლოებით VI. ძვ. წთ. კუნძულზე კელტური ტომების ახალი ნაკადი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ბრიტები, რომლებიც რკინისაგან ამზადებდნენ იარაღებს და ამის წყალობით, რასაკვირველია უპირატესობას მიაღწიეს თავის მონათესავე გელურ მოსახლეობაზე. ბრიტებისაგან შევიწროვებულმა გელებმა თანამედროვე შოტლანდიასა და ირლანდიას შეაფარეს თავი. კელტური ტომების მესამე ტალღა ბრიტანეთში II ს. ძვ. წთ. მიწურულს გამოჩნდა და ის შედარებით მცირერიცხოვანი იყო. ბელგები ჩრდილოეთ გალიიდან მოვიდნენ და თანამედროვე ინგლისის ცენტრალურ ნაწილში დასახლდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის ძველი ისტორიის ყველაზე გააზრებული პერიოდი ამ კუნძულზე კელტების დაფუძნებით იწყება. სწორედ კელტური ტომების საკუთარი სახელი ეწოდა კუნძულს მოგვიანებით. ძველი ბერძნული Prittania წარმოსდგება სიტყვებიდან Pretani ანდა Pritani. ასე უწოდებდნენ თავს კუნძულზე მცხოვრები კელტები. მოგვიანებით კი ხმარებაში რომაული ფორმა Britannia შემოვიდა. აკი დღეს დღეისობით უელსელები, რომლებმაც ბრიტანეთში მცხოვრები კელტური წარმოშობის ხალხებიდან ყველაზე უკეთ შემოინახეს წინაპართა ენა ბრიტანეთს უწოდებენ Prydein.

I ს. ძვ. წთ. შუახანებისათვის, ე.ი. იმ დროისათვის, როდესაც ბრიტანეთში რომაელები გამოჩდნენ თითქმის მთელი ბრიტანეთი კელტური ტომებით იყო დასახლებული. ინგლისის ტერიტორიაზე ატრებატები, იცენები, კატუველაუნები, პარიზები, ბრიგანტები და ტრინოვატები ცხოვრობდნენ; უელსი სილურებს, კორნოვიებს, ორდოვიცებს და დემეტებს ეჭირათ; კორნუოლში დუმნონის ტომი ცხოვრობდა; ხოლო შოტლანდიაში სელგოვე, კალედონი, ნოვანტე, ვოტადინი და ვაკომაგი იყვნენ განლაგებული. ტომების სახელები ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობისა თუ ნიშან-თვისების აღწერიდან გამომდინარეობდნენ. მაგ.: ატრებატები მკვიდრ მოსახლეებს ნიშნავდა; ორდოვიცები — მებრძოლებს; კატუველაუნი — დახელოვნებულ მეომრებს; დუმნონი — ღვთაება დუმნონოსის თაყვანისმცემლებს; სელგოვე — მონადირეებს და ა.შ.

ბრიტანეთის კელტური სამყაროსათვის დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივი თუ სამეურნეო ცხოვრების ყველა ის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა კონტინენტზე მცხოვრებ მათ თანამოძმეებს. ამ მხრივ დაყრდნობა შეიძლება გაიუს კეისრის მიერ გაკეთებულ მინიშნებაზე, რომელიც მიუთითებს, რომ გალების საზოგადოება შედგება სამი ფენისგან: ესენია ქურუმები, მეომრები და მდაბიონი. იგივეს თქმა შეიძლება ბრიტანელი კელტების მიმართ. სწორედ მეომართა წრიდან ირჩევდნენ ბელადებს, რომლებსაც ანტიკური ავტორები მეფეებად მოიხსენიებდნენ. კელტური ცივილიზაციის ადრეულ პერიოდში ბელადებს ძირითადად სამხედრო ფუნქციები ეკისრებოდათ. ტომებს გამუდმებული ომები ჰქონდათ ერთმანეთთან და ბელადებიც საომარ მოქმედებებს სარდლობდნენ. უფრო მრავალფეროვანი იყო ქურუმების ფუნქცია. ქურუმები, რომლებსაც კელტურ სამყაროში დრუიდებს უწოდებდნენ, არა მარტო ღვთისმსახურები იყვნენ, არამედ მათ ახალგაზრდობის აღზრდა და სამართლის აღსრულებაც ევალებოდათ. ისევე როგორც ქურუმთა კასტა ყველა ადრეკლასობრივ საზოგადოებაში, დრუიდებიც მოსახლეობის

პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდნენ. მხოლოდ ისინი ფლობდნენ ძველ, საიდუმლოებით მოსილ გაღმოცემებს, მხოლოდ მათ განკარგულებაში იყო კელტურ საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნისა თუ რწმენა-წარმოდგენების სრული მარაგი, რაც მათ დანარჩენ თანამოძმეებზე მაღლა აყენებდა. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქურუმთა ფენის ასეთი მდგომარეობა მთელ კელტურ საზოგადოებას მათ მიმართ თავისებურ სულიერ დაქვემდებარებაში აყენებდა, რაც აბუხრუჭებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის დამოუკიდებელ განვითარებას.

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ. ეს სწორედ ის ფენაა, რომლებსაც კეისარი პლებსს, ანუ მდაბიოებს უწოდებს. ესენი იყვნენ თავისუფალი მეთემეები, რომლებიც სათემო, კოლექტიურ პრინციპებზე ფლობდნენ მიწას.

გარკვეული მოსაზრება არსებობს კელტურ საზოგადოებაში მონობის ინსტიტუტის არსებობის შესახებ. მიუთითებენ კუნძულ ანგლსიზე აღმოჩენილ მონის ბორკილებზე, რომლებსაც ორგვარი განმარტება ეძლევა: ბორკილებს მიიჩნევენ კონტინენტთან მონებით ვაჭრობის არსებობის ნივთიერ მტკიცებად, ან მონობის კლასიკურ (ანტიკურ) სამყაროს მსგავსად არსებობის საბუთად. რასაკვირველია, კელტებს ჰყავდათ მონები, პირველ რიგში ტომის წარჩინებულებს. მონები თავისებურ სამხედრო ნადავლს წარმოადგენდნენ, მოპოვებულს მრავალრიცხოვანი ურთიერთ შეტაკებების შედეგად. მაგრამ მათი რიცხვი და როლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საზოგადოებრივ-სამეურნეო თვალსაზრისით, როგორც ეს ანტიკური სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი. ამ უკანასკნელში, მასშტაბური სახელოსნო თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სწორედ მრავალრიცხოვანი მონის შრომა იყო აუცილებელი, მაშინ როცა ბრიტანეთის კელტურ სამყაროში, შედარებით უფრო მწირ ბუნებრივ პირობებში და შეზღუდული მოთხოვნილებით თავისუფალ მიწათმოქმედთა შრომა სავსებით საკმარისი იყო მატერიალური დოვლათის შესაქმნელად. საერთო ჯამში, კელტური სამყარო წარმოადგენდა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის შიგნით ურთიერთობა აგებული იყო ზნეობრივ ნორმებზე. ეს ითვალისწინებდა ურთიერთშორის რიგ პასუხისმგებლობას და პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ეს არ იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული იურიდიული ნორმები, რომლების დროსაც უფლება-მოვალეობა იძულებითი აუცილებლობის ხასიათს ატარებს. ეს იყო თავისუფალი სამყარო, რომელიც ჯერ არ იყო შეზღუდული მტკიცედ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურებით.

როგორი იყო ამ საზოგადოების სულიერი სამყარო? ამ მხრივ გარკვეული როლი ალბათ კვლავ ბუნებამ ითამაშა. ტენიანობა, ნისლი და ამით გამოწვეული უხვი მცენარეული საფარი გარკვეული იდუმალებით მოსავდა ბუნებას და კელტებიც სწორედ ამ იდუმალების ტყვეობაში იყვნენ. კელტური ცნობიერებისათვის ერთობ დამახასიათებელი იყო გარდასახვა და ამ იდუმალების ტყვეობაში ზღვარი რეალურსა და წარმოსახვით სამყაროს შორის ერთობ მყიფე და თითქმის შეუმჩნეველი იყო. ამგვარ ცნობიერებაში გაბატონებული იყო უამრავი ღვთაება. ვარაუდობენ, რომ კელტების წარმართულ პანთეონში არსებობდა უმაღლესი ღვთაება და დანარჩენი, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ღვთაებები. კელტური ღვთაებები ნაკლებად ინდივიდუალისტურები იყვნენ და არ გამოირჩეოდნენ იმ დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რომლებითაც შემკული იყვნენ ანტიკური სამყაროს ღმერთები. ღვთაებებს ადამიანების ან ცხოველების იერი ჰქონდათ. ფართოდ იყო გავრცელებული ცხენზე ამხედრებული ღვთაება ქალის ეპონას, ან რქიანი, ღვთაების კერნუნოსის კულტი. ბევრი კელტური ღვთაება ასოცირებული იყო წყალთან, კერძოდ წყლის ღვთაება კოვენტინასთან. წყალთან დაკავშირებული იყო სიცოცხლის დასაწყისი. დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული სარიტუალო ჭები, რომლებსაც სწირავდნენ დიდი რაოდენობის სხვადასხვა ნივთს. კელტებს სამლოცველოებიც ჰქონდათ, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებოდნენ მათი წრიული ფორმის საცხოვრებლებისაგან.

სწორედ ამგვარი რელიგიური წარმოდგენების ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ დრუიდები, რომლებიც წარმართავდნენ სხვადასხვა რიტუალს, კერძოდ, ცხოველების და ადამიანების მსხვერპლშეწირვას, წინასწარმეტყველებდნენ მოვლენებს შეწირული მსხვერპლის ნარჩენების მიხედვით, ამცნობდნენ მოსახლეობას ღვთაებების ნებას, განმარტავდნენ უძველეს

გადმოცემებს. დრუიდები ინახავდნენ უძველესი კელტური წერითი ნიშნების, ოგამური დამწერლობის საიდუმლოებას.

ამგვარი იდუმალებით შეპყრობილი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი იყო ფანტასტიკური ჟურმების მქონე ხელოვნება. სპირალის გამოსახულება, წრიული ლაბირინთი, რომელიც გადადის მცენარის გამოსახულებებში ერთობ ხშირი იყო კელტური ხელოვნების ნიმუშებისათვის (მაგ. ბრინჯაოს სარკე სამხრეთ-დასავლეთ ინგლისიდან, I ს. ძვ. წთ.), მაგრამ მზადდებოდა უფრო დიდი ზომის ნივთები, მაგ, სტილიზებული ცხენის თავი ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისიდან (I ს. ძვ. წთ.).

კელტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ეს საერთო სურათი ნაირსახეობას იძენს კელტური ტომების სამეურნეო ყოფის წარმოჩენისას. მაგ. ჩრდილოეთში მცხოვრები ბრიგანტები და დასავლეთში განლაგებული დუმნონები თავისი განვითარებით ჩამორჩებოდნენ სამხრეთსა და აღმოსავლეთში მცხოვრებ ატრებატებსა და ტრინოვატებს. მაღლობი რაიონებისათვის დამახასიათებელი იყო ყოველგვარი ზღუდის გარეშე განლაგებული სოფლები, რომელთა ბოლოში განლაგებული იყო ერთი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მესაქონლეობას აქ ძირითადად მომთაბარე ხასიათი ჰქონდა.

კუნძულის დაბლობ რაიონებში კი, მაგ. სამხრეთ ნაწილში მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა გაცილებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ტომის წევრები, რომლებიც გვაროვნული პრინციპით იყვნენ გაერთიანებული ხშირ შემთხვევაში თავს უყრიდნენ თავის საცხოვრისებს ბორცვის გარშემო. მათ წრიული ფორმის ქოხებს გარშემო მიწისა ან გაუთლელი ქვის ყორე ერტყა. ამ შემოღობილი ტერიტორიის შიგნით ქუჩის მაგვარი მონაკვეთებიც კი არსებობდა. ამგვარი დასახლებების გარშემო არსებულ სამიწათმოქმედო სავარგულებსა და საძოვრებს უფრო გამოკვეთილი ტერიტორიული სახე ჰქონდათ. ასეთ ტერიტორიაზე განლაგებულ მოსახლეობას უფრო გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა კონტინენტთან, განსაკუთრებით თავის თანამოძმე გალებთან, რომელთა მეშვეობით სამხრეთ ბრიტანეთის კელტები ეზიარებოდნენ ანტიკური სამყაროს მიღწევებს. ბრიტანეთში კონტინენტიდან შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები, ღვინო, რომლებზედაც სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნა წარჩინებულ ბრიტთა წრეში. ამის დამადასტურებელია ნორფოლკში აღმოჩენილი რომაული ღვინის სასმისები (Iს. ძვ. წთ.) ასევე რომაული ამფორები (ჰერფორდშირი, Iს. ძვ.წთ). ბრიტანეთიდან კი კონტინენტზე გაჰქონდათ მარცვლეული, პირუტყვი, ოქრო, რკინა, ტყავი, მწევარი ძაღლები და მონები. კონტინენტთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება აბავდა ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილს ანტიკური სამყაროს სამეურნეო ცხოვრებაში, აჩქარებდა მის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას, რადგანაც წარჩინებული ბრიტები, ისწრაფოდნენ რა შეეძინათ კლასიკური სამყაროდან შემოსული ფუფუნების საგნები, ცდილობდნენ უფრო მეტად გაეფართოებინათ თავისი ძალაუფლება თავის რიგით თანამოძმეებზე, რათა ამის მეშვეობით ხელში ჩაეგდოთ ბრიტანეთიდან კონტინენტზე მიმავალი უფრო მეტი რაოდენობის საქონელი. კელტებში გამოჩნდა ფული (იცენთა ტომის მონეტა, ნორფოლკი, I ს. ძვ. წთ). ასე რომ ქვეყანა, რომელზედაც ანტიკურმა სამყარომ პირველი წერილობითი ცნობები მიიღო IV ს. ძვ. წთ. მარსილიელი (მარესლელი) ბერძენი ვაჭრის პითეასის მეშვეობით, სულ უფრო უახლოვდებოდა კონტინენტს. მაგრამ კელტური ბრიტანეთის ანტიკურ ცივილიზაციასთან უშუალო ზიარება არა თანდათანობითი გზით, არამედ ერთი ხელის დაკვრით, დაპყრობის საშუალებით მოხდა. ეს გადამჭრელი ნაბიჯი რომმა გადადგა.

რომაული ბრიტანეთი

ანტიკურობის ისტორიაში რომის დაპყრობით ომებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ანტიკური ცივილიზაციის საზღვრების გაფართოებისა და სხვადასხვა ხალხების მასთან უშუალო ზიარების საქმეში.

რომაელების მიერ ბრიტანეთზე გალაშქრებას თავისებური წინაპირობა მათ მიერ გალიის დაპყრობა იყო. გალებზე გამარჯვებამ ახალი პერსპექტივები გადაუშალა რომაელ სარდალს გაიუს კეისარს. კეისარი საჭიროებდა კიდევ უფრო მეტ სახელსა და ნადავლს, რათა დაეჩრდილა თავისი პოლიტიკური მეტოქეები, პომპეუსი და კრასუსი, უხვად დაესაჩუქრებინა თავისი ერთგული ლეგიონები და თავისი თანამზრახველები თავად რომში, რათა კიდევ უფრო გაეფართოებინა და განემტკიცებინა თავისი სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი. თავის მხრივ რომის მმართველი წრეები მიესალმებოდნენ ლაშქრობას, რომლის შედეგად ბრიტანეთიდან რომში ესოდენ ძვირფასი საქონელი წამოვიდოდა ნადავლის სახით, კერძოდ: ვერცხლი, კალა, მარცვლეული და მონები. გარდა ამისა, რომაელებს გალიაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად სჭირდებოდათ ბრიტანეთის თავისებური ნეიტრალიზაცია, რადგანაც ბრიტები ხშირად თავშესაფარს აძლევდნენ კონტინენტიდან რომაელთა ბატონობას გამოქცეულ თავის თანამოძმე გალებს. უფრო მეტიც, ბრიტანეთს შეხიზნული გალები ბრიტებთან ერთად პერიოდულ თავდასხმებს აწყობდნენ გალიაში განლაგებულ რომაულ გარნიზონებზე. ყველაფერმა ამან, ერთად აღებულმა, განაპირობა გაიუს კეისრის პირველი ლაშქრობა ბრიტანეთზე. 55 წ. ძვ. წთ.. ორი ლეგიონით და ცხენოსანთა მცირე რაზმით, სულ 10 ათასი კაცი, კეისარმა გადალახა დღევანდელი პა დე კალეს სრუტე და ბრიტანეთში გადასხდა. პირველი ორი შეტაკება რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა. ბრიტებმა დაზავება ითხოვეს და კეისრის მოთხოვნისამებრ რომაელებს მძევლები მიჰგვარეს. მაგრამ სურსათის სიმწირემ, ზამთრის მოახლოებამ, ფლოტის გაუმართავმა მდგომარეობამ და ბრიტების წარმატებულმა თავდასხმებმა აიძულეს კეისარი კონტინენტზე დაბრუნებულიყო, რათა ახალი, უფრო გეგმაზომიერი ლაშქრობა შეემზადებინა. 54 წ. ძვ. წთ. კეისარმა მეორედ დალაშქრა ბრიტანეთი. ამ ლაშქრობაში მას უკვე 25 ათასი მეომარი ახლდა. გარდა სამხედრო საქმეში უპირატესობისა, რომაელთა გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი უთანხმოებამ ბრიტ ბელადთა შორის. რომაელთა ლაშქრობამდე ერთ-ერთი ტომის, კატუველაუნების ბელადმა კასიველავნუსმა შემოიერთა მეზობელი ტომი, ტრინოვატები, მოკლა რა მანამდე მათი ბელადი და განდევნა მისი ვაჟი მანდებრაციუსი. ლტოლვილმა მანდებრაციუსმა გალიას მიაშურა და რომაელებს შეაფარა თავი, რომლებიც მას სამართლიანობის აღმდგენთა სახით მოევლინნენ. საკუთარი უფლებების აღდგენის სანაცვლოდ მანდებრაციუსმა კეისარს თავისი თვისტომების დახმარება აღუთქვა. შედეგმაც არ დააყოვნა. კასიკველავნუსი დამარცხებულ იქნა, ხოლო „სატახტო ქალაქი," დასახლება, რომელსაც კამულოდუნს უწოდებდნენ, იერიშით იქნა აღებული. ასეთი იყო რომაელების პირველი ურთიერთობა ბრიტანეთის კელტებთან. ბრიტი მეომრები სხეულს საღებავით იღებავდნენ და ისე გამოდიოდნენ ბრძოლაში, რის გამოც რომაელებმა მათ პიქტები (Picti-შეღებილი) უწოდეს. ხშირ შემთხვევაში ბრიტანეთის კელტებს რომაელები სწორედ ასე მოიხსენიებდნენ. მაგრამ ამ გამარჯვებას არ მოჰყოლია რომაელთა ბატონობის დამყარება ბრიტანეთში. კეისარი სასწრაფოდ კონტინენტზე დაბრუნდა, რათა გალიაში დაწყებული აჯანყება ჩაეხშო. მოგვიანებით იგი რომში ძალაუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩაება. ამ ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა კეისრის მკვლელობის შემდეგ 43წ. ძვ. წთ. და დასრულდა 30 წ. ძვ. წთ. მისი მემკვიდრის ოქტავიანე ავგუსტუსის ერთმმართველობის დამყარებით (30 ძვ. წთ.-14წ. ახ. წთ. ბუნებრივია, სამოქალაქო ომის პირობებში რომს ბრიტანეთისათვის არ ეცალა. ამ საკითხს არც ავგუსტუსი და არც მისი მემკვიდრეები, უკვე იმპერატორებად შერაცხულები ტიბერიუსი (14-37წწ.) და კალიგულა (37-41წწ.) არ მიბრუნებიან. მდგომარეობა შეიცვალა 41წ. როდესაც წარმატებულად განხორციელებული შეთქმულების შედეგად კალიგულა, ერთობ სასტიკი მმართველი და ექსცენტრიული პიროვნება მოკლულ იქნა. ტახტზე მისი ბიძა კლოდიუსი (41-54წწ.) ავიდა. ახალ იმპერატორს

ჯარში ავტორიტეტის მოპოვება სჭირდებოდა, რასაც წარმატებული ლაშქრობა შეუწყობდა ხელს. სწორედ ამ დროს გაჩნდა ბრიტანეთში შეჭრის ხელსაყრელი საბაბი. ატრებატების ტომში შინაომი ატყდა. ტომის ბელადი ვერიკა მისმა მეტოქემ დაამხო და ბელადობა დაისაკუთრა. ამაში მას სილურების ტომის ბელადი კარადოგი, ანუ როგორც რომაელები უწოდებდნენ კარატაკუსი დაეხმარა. დამხობილმა ვერიკამ რომს შეაფარა თავი. როგორც ადრე, კეისრის ხანაში რომაელებმა ამჯერადაც არ დააყოვნეს „სამართლიანობის აღდგენა," რასაც 43წ. ბრიტანეთში ლაშქრობა მოყვა. სწორედ ამ დროიდან იწყება რომაელთა მიერ ბრიტანეთის ნამდვილი დაპყრობა და კელტების ანტიკურ სამყაროსთან ზიარება. 40-იანი წლების ლაშქრობას მოყვა რომაელთა მიერ თანამედროვე ინგლისის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება უელსის საზღვრებამდე. ჩრდილოეთ ინგლისის ტერიტორიაზე განლაგებული ტომები რომის ვასალებად ითვლებოდნენ. Iს. 70-იან წლებში რომაელებმა დაიკავეს უელსი და ტერიტორია თანამედროვე შოტლანდიის საზღვრებამდე. 154ს., იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161წწ.) მმართველობის ხანაში რომის ჯარებმა თანამედროვე შოტლანდიის სამხრეთ ნაწილი დაიკავეს.

იმპერატორი კლოდიუსი არ ჩქარობდა ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე მმართველობის რომაული ინსტიტუტების შემოღებას, რაც მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ სიმძიმეს ადგილობრივ მოსახლეობას დააკისრებდა და მის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომ, გარკვეული ხნის მანძილზე ბრიტანეთი უშუალო სამხედრო მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ტომების მიწებს რომაელები მაინც იმპერიის განუყოფელ ნაწილად სთვლიდნენ და ზოგჯერ ამ ტომების ბელადების მართვა-გამგეობის საქმეშიც კი ერეოდნენ. სწორედ ამგვარმა თავნებობამ რომაელების მხრიდან გამოიწვია ბრიტების ორი დიდი აჯანყება Iს. 40-იან წლებში და 61წ., რომლებსაც სათავეში სილურების უკვე ცნობილი ბელადი კარადოგი და იცენების ბელადი ქალი ბოუდიკა მეთაურობდნენ. აჯანყებების ჩახშობას რომაელთა მხრიდან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. პირველ შემთხვევაში დამარცხებული კარადოგი რომში ჩაიყვანეს და ტრიუმფის დროს ქუჩებში გაატარეს. იმპერატორი კლოდიუსი მოიხიბლა დამარცხებული ბრიტის ვაჟკაცური ქცევით და შეიწყალა იგი. მეორე აჯანყების დროს, როდესაც იცენებმა არა მარტო რომაელები, არამედ მათი მომხრე ბევრი თავისი თანამემამულეც ამოწყვიტეს, ბოუდიკამ ტყვეობას სიკვდილი არჩია და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. აღნიშნულ შემთხვევებშიაც, როგორც ადრე, რომაელთა წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა უთანხმოებამ ბრიტების ბელადთა შორის, რის გარეშეც, როგორც რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი აღნიშნავს რომაელებს გაუჭირდებოდათ გამარჯვების მოპოვება ესოდენ ძლიერ მოწინააღმდეგეებზე.

სწორედ აჯანყებების ჩახშობის შემდეგ დაჩქარდა ბრიტანეთის მართვა-გამგეობის რომაულ ყაიდაზე მოწყობა და რომაული ცხოვრების წესისა და ფასეულობების დამკვიდრება. რომაელთა მიერ ჩამოყალიბებული მართვის სისტემა ერთობ რთული და მრავალფეროვანი იყო. თავდაპირველად დაპყრობილ ტერიტორიას ლეგატი (სარდალი) და პროკურატორი (საფინანსო და ადმინისტრაციული ფუნქციების აღმსრულებელი) განაგებდნენ. III და IV სს., ბრიტანეთი შესაბამისად ჯერ ორ და მერე ხუთ პროვინციად დაიყო. პროვინციებს სათავეში მმართველები (გუბერნატორები) ჩაუდგნენ. გუბერნატორების საქმიანობას აკონტროლებდა ვიკარიუსი, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იყო გალიის პრეტორიანული პრეფექტის წინაშე. ეს უკანასკნელი კი იმპერატორს ამცნობდა ბრიტანეთში არსებულ საქმეთა ვითარებას. გუბერნატორებს პროვინციის უსაფრთხოების, გადასახადების აკრეფის და სამართლის აღსრულების უზრუნველყოფა ევალებოდა. მაგრამ ბრიტანეთის მართვა-გამგეობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას გარკვეული თავისებურებებიც ჰქონდა. ისინი განპირობებული იყვნენ კუნძულის გეოგრაფიული თავისებურებებით და აქედან გამომდინარე, რომაელთა პოზიციებით მის ცალკეულ რეგიონში. მიუხედავად მათი სამხედრო ძლიერებისა, რომაელებმა ვერ მოიკიდეს ფეხი უელსის, კორნუოლის და ჩრდილოეთ ინგლისის მთიანეთში. რომელთა მოსახლეობა პრაქტიკულად თავისი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს იყო ე.წ. სამხედრო ზონა. სწორედ აქ იყო განლაგებული სამი ლეგიონი, ბრიტანეთში დაბანაკებული რომაელთა ჯარის დამკვრელი ძალა. ლეგიონები

განლაგებულნი იყვნენ კარლეონსა და ჩესტერში, უელსის საზღვართან და ჩრდილოეთში-იორკის მახლობლად. გარდა ამ ლეგიონებისა, რომაელთა განკარგულებაში იყო დამხმარე შენაერთები ე.წ. ოქზილია (auxilia), რომლებიც ყალიბდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ასეთი შენაერთების ჩამოყალიბებას და მათში სამსახურის გავლას ერთი აუცილებელი პირობა ახლდა; ბრიტები სამხედრო სამსახურს გადიოდნენ თავისი მშობლიური ადგილებიდან მოშორებით, რათა აჯანყების შემთხვევაში მათ თვისტომებისათვის მხარი არ დაეჭირათ. სამხედრო ზონაში არ იყო ქალაქები ან ქალაქის ტიპის დაბები. ყოფა-ცხოვრება აქ ყოველთვის დაძაბულ ხასიათს ატარებდა. განსაკუთრებით სახიფათო იყო რომაელებისათვის ჩრდილოეთის საზღვარი, რომელზედაც მუდმივ თავდასხმას აწარმოებდნენ გოიდელები. პროვინციის ამ მონაკვეთში მშვიდობის დასამყარებლად და გოიდელების შეჩერების მიზნით იმპერატორმა ადრიანემ (117-138წწ.) 122-128წწ. მდინარეების ფორტისა და კლაიდის გაყოლებით ააგო მძლავრი ზღუდე, რომელიც ადრიანეს ზღუდის სახელით არის ცნობილი. მოგვიანებით იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა (138-161 წ.წ.) დაახლოებით 143წ. უფრო ჩრდილოეთით ააგო ახალი ზღუდე მდინარეების ტაინისა და სოლუეის გაყოლებაზე. ამ ზღუდეებს მიღმა რომაელებისათვის სრულიად უცხო და მტრულად განწყობილი სამყარო იმყოფებოდა. რომელიც მათ წარმოდგენაში ბარბაროსობის წყვდიადით იყო მოსილი. ვარაუდობენ, რომ დაჭრილი ან მიტოვებული ლეგიონერები ჩრდილოელი კელტების ხელით საზარელ, მტანჯველ სიკვდილს თვითმკვლელობას ამჯობინებდნენ.

სამხედრო ზონისაგან განსხვავებით სულ სხვანაირ სურათს წარმოადგენდა კუნძულის დაბლობი ტერიტორია, ე.წ. სამოქალაქო ზონა. სწორედ იქ დამკვიდრდა ანტიკური ცივილიზაციის ფასეულობები და იქაური კელტები ეზიარნენ რომაული ცხოვრების წესს. ანტიკური, კერძოდ, რომაული საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან ელემენტს ქალაქები წარმოადგენდნენ. ამ მოვლენამ ბრიტანეთშიც იჩინა თავი, სადაც რომაელებთან ერთად ქალაქებიც გამოჩდნენ მაგ. ლონდინიუმი (ლონდონი), ებურაკი (იორკი), ლინდუმი (ლინკოლნი) გლევუმი (გლოსტერი). უფრო მეტიც, იმ თანამედროვე ინგლისურ ქალაქებს, რომელთა სახელებს აქვთ დაბოლოება-ჩესტერ ან კასტერ საფუძველს სწორედ რომაული გამაგრებული სამხედრო ბანაკებიდან, კასტრუმ-იდან იღებენ. ქალაქები ერთმანეთს მოკირწყლული გზებით უკავშირდებოდნენ, რომლებიც ადმინისტრაციული ცენტრიდან, ლონდინიუმიდან რადიალურად მიემართებოდნენ პროვინციის სხვადასხვა კუთხეში. რომაელთა სამშენებლო ოსტატობაზე და დაგეგმარების გონივრულობაზე მეტყველებს ის, რომ აღნიშნული გზები ექსპლუატაციაში იყვნენ სამრეწველო გადატრიალებამდე. ე.ი. XVIII ს. ჩათვლით. ქალაქებს (განსაკუთრებით დიდებს), ტიპიური იერი ჰქონდა, ე.ი. ქალაქებში იყო ფორუმი, ცირკი, აბანოები, ბაზილიკა, საქალაქო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი შენობები.

ამგვარ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა შემდეგნაირი იყო. მართალია, ბრიტების უმრავლესობა მაინც ცხოვრების ტრადიციულ წესს მისდევდა, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით დიდკაცობა. რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავების გამო, სულ უფრო მიიღტვოდა რომაული ცხოვრების წესისაკენ. ბრიტების გარომაელების (რომანიზაციის) პროცესი სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. ამ პროცესს მნიშვნელოვან ბიძგს აძლევდა ლათინური ენა. ლათინურის ცოდნა აუცილებელი წინაპირობა იყო იმ რთულ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც რომაელებმა შექმნეს. რომაულ ბრიტანეთში რიგი ქალაქებისა თვითმმართველობით სარგებლობდა, ხოლო ზოგიერთ ოლქში ე.წ. ირიბი მმართველობის პრინციპი იყო დანერგილი, ე.ი. მართვა-გამგეობას რომაელების ერთგული ბრიტი ბელადები ასრულებდნენ. სწორედ ამიტომ წარჩინებულმა ბრიტებმა დაიწყეს ლათინური ენის შესწავლა, რამაც ტაციტუსს ათქმევინა, რომ ისინი, ვინც ადრე თავს არიდებდა ამ ენას, მოგვიანებით მასში ერთობ გაიწაფნენ. ლათინური ენის შესწავლის საქმეში დიდ როლს თამაშობდა არმიაც. ჯარისკაცს არა მარტო ლათინურად საუბარი, არამედ კითხვაც უნდა სცოდნოდა. და თუკი ბრიტი დამხმარე შენაერთში ჩარიცხვისას ჩვეულებრივი პროვინციელი ბარბაროსი იყო, ორი ათწლეულის შემდეგ, სამხედრო

სამსახურის დამთავრებისას იგი ხეირიანად ფლობდა ლათინურს, იცნობდა რომაული ცხოვრების წესს და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მას მინიჭებული ჰქონდა რომის მოქალაქის წოდება.

ჯარი ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის უშუალო დაახლოებასაც. ჯერ კიდევ 40-იან წლებში, როდესაც რომაელებმა სილურების აჯანყება ჩაახშეს, კოლჩესტერთან დაბანაკებული ლეგიონი მოწინავე პოზიციებზე იქნა გადასროლილი. მის ნაცვლად კი ვეტერანი ლეგიონერების ახალშენი განთავსდა, რაც მიზნად ისახავდა უსაფრთხოების განმტკიცებას და ბრიტების რომაული ცხოვრების წესთან დაახლოებას. დროთა განმავლობაში ამ ახალშენების, ანუ როგორც მას რომაელები უწოდებდნენ კოლონიების რიცხვი იზრდებოდა. გადამდგარ ლეგიონერებს მიწის ნაკვეთებს აძლევდნენ, მათ ერთი-ორი მონის ყოლის უფლებაც კი ჰქონდათ. ხშირად ვეტერანები ვაჭრობაშიაც ებმებოდნენ და სარფიან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. სწორედ მათ ეძლეოდათ უპირატესობა კოლონიის მმართველ საბჭოში, მუნიციპიუმში არჩევისას, ხოლო როცა გაუქმდა იმპერიის ქვეშევრდომების დაყოფა რომის მოქალაქეებსა და ამ წოდების არა მქონე ადამიანებზე და მის ნაცვლად შემოიღეს მოსახლეობის მაღალ და დაბალ ფენებად დაყოფის პრინციპი, ჩვეულებისამებრ, ვეტერანები პირველ კატეგორიაში ხვდებოდნენ. ჯარი სარდლების უმთავრესი დასაყრდენი იყო საიმპერატორო ტახტისათვის ბრძოლაში და სწორედ ამით იყო გამოწვეული გადამდგარი ლეგიონერებისადმი ესოდენ დიდი ყურადღება. კოლონიების მოსახლეობა იზრდებოდა არა მარტო ვეტერანების ხარჯზე, არამედ ბუნებრივი ნამატის მეშვეობითაც. ვეტერანები ცოლად ირთავდნენ ადგილობრივ ქალებს. იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის (193-211წწ.) მმართველობის შემდეგ ასეთი ქორწინებები იურიდიულად დაკანონდა. ამგვარად, გადამდგარი ლეგიონერებისა და ბრიტი ქალების შვილები კანონით უკვე მამების მაგვარად რომის მოქალაქეებად ითვლებოდნენ და შესაბამისად ყველა პრივილეგიით სარგებლობდნენ. ამგვარი პერსპექტივები და მათგან გამომდინარე სიკეთე რასაკვირველია ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის დაახლოებას. გათხოვების შემდეგ ბრიტი ქალები რომაულ ყოფას მიეცემოდნენ და საზოგადოებაში რომაელი მანდილოსნის სახით წარსდგებოდნენ. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც. მაგ. საუზ შილდში აღმოჩენილი საფლავის ქვა, რომელზედაც აღბეჭდილია ვინმე რეგინა, კელტი ქალი კატუველაუნის ტომიდან. რეგინა ადრე მონა იყო. შემდეგ თავისუფლება ებოძა და იგი ითხოვა ვაჭარმა ბარათესმა, რომელიც ადრიანეს ზღუდესთან დაბანაკებულ ჯარებთან აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციებს. საფლავის ქვაზე რეგინა გამოსახულია, •როგორც თავისი სამკაულების ყუთით წნულ სკამზე მჯდომი რომაელი მანდილოსანი.

ამგვარი დაახლოება ბუნებრივია ცვლიდა ბრიტების შეხედულებას ყოფასა და ესთეტიკაზე. თუ კი ადრე ბრიტი დიდკაცებიც კი ფიცრულ ქოხებში ცხოვრობდნენ და ამგვარ ნაგებობას სხვა დანიშნულება არ ჰქონდა გარდა უშუალო საცხოვრებლისა, რომაელების მოსვლამ ხუროთმოძღვრებას ესთეტიკური დანიშნულებაც შესძინა. ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ლონდონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შენობის ძვირფასი საღებავით შესრულებული კედლის მხატვრობა, ვერულამიუმის (სენტ-ოლბანსის) გარშემო შემოვლებული ზღუდის ქონგურები, კოლჩესტერის კლოდიუსის ტაძარი ხვეწდნენ ბრიტი დიდებულების გემოვნებას და ზრდიდნენ მათ ყოფით მოთხოვნებს. რომაელი მონათმფლობელების მსგავსად ბრიტი დიდკაცობის საცხოვრებლად რომაული ტიპის ვილები იქცნენ. ამგვარი შენობების დამახასიათებელი ელემენტები იყო სასადილო დარბაზი და აბანო. ეს უკანასკნელი გარკვეული სოციალური სტატუსის მანიშნებელი იყო. საერთოდ აბანო, როგორც რომაელთა საზოგადოებრივი ყოფის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა თავშეყრის, დასვენების, თავისებური განმუხტვის ადგილს ერთობ დამკვიდრდა რომაული ბრიტანეთის სინამდვილეში. პრაქტიკულად ყველა ქალაქში იყო საზოგადოებრივი აბანო, ხოლო ბათის (Bath) აბანოს კომპლექსი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა.

კლასიკურმა ხელოვნებამ გავლენა იქონია კელტების სახვით ხელოვნებაზეც. კელტი ოსტატები, რომლებიც დახელოვნებული იყვნენ იდუმალებით აღსავსე მოხატულობების გამოსახვაში, გარკვეულწილად ეზიარნენ კლასიკური ხელოვნების პრინციპებს, რაზეც მეტყველებენ მამაკაცისა და

ღვთაება ანკენოკიტიკუსის თავები (IIს.), რომლებიც კლასიკური ნიმუშების სტილიზაციას წარმოადგენენ. ისეთივეა ვენერას სტილიზებული გამოსახულება (იორკშირი, IVს.) შეძლებული ბრიტის სახლის მოზაიკურ იატაკზე.

დაახლოების პროცესის მიღმა არც რელიგიის სფერო დარჩენილა. რწმენა-წარმოდგენების შერწყმას თავად რომაელები უწყობდნენ ხელს, რადგანაც ამგვარი სიახლოვე მათი პოზიციების განმტკიცებას უწყობდა ხელს. მიუხედავად იმისა, რომ თავად რომაელები სდევნიდნენ დრუიდებს (განსაკუთრებით გალიაში) და ცდილობდნენ ამ ინსტიტუტის მაქსიმალურად შევიწროვებას, რადგანაც დრუიდები ხშირად ანტირომაული მოძრაობის სულისჩამდგმელები იყვნენ, ხოლო მათ მიერ დანერგილი შავი მაგია და მასთან დაკავშირებული რიტუალები ერთობ უარყოფითად აღიქმებოდნენ ანტიკურ სამყაროში, რომაელთა დამოკიდებულება უშუალოდ ბრიტების რწმენა-წარმოდგენების მიმართ უფრო შემწყნარებლური იყო. რომაელები არ ებრძოდნენ ადგილობრივ ღვთაებებს, უფრო მეტიც, ისინი ცდილობდნენ საერთო გამოენახათ კელტების ღვთაებებსა და ანტიკური პანთეონის ღმერთებს შორის და ამგვარი სინთეზური ღვთაება საერთი, კელტურ-რომაული თაყვანისცემის ობიექტად ექციათ. სწორედ ამგვარმა მიდგომამ წარმოშვა ისეთი ღვთაებები როგორებიც იყვნენ აპოლონი-მაპონუსი, მარსი-კამულუსი, სიულისი-მინერვა და სხვ. კელტური ღვთაებებისადმი პატივისცემით რომაელები იახლოებდნენ ბრიტებს და პირველ რიგში მათ ზედა ფენას. სწორედ ამიტომ, იმპერიული კულტის საზეიმო ცერემონიალში, რომელიც იმართებოდა კოლჩესტერში და ეძღვნებოდა ე.წ. კაპიტოლიუმის სამეულს (იუპიტერი, იუნონა, მინერვა) მონაწილეობდნენ ბრიტი თავკაცებიც. ეს იყო იმპერიისადმი ბრიტების ერთგულების თავისებური დემონსტრაცია.

გახდა რა იმპერიის პროვინცია, ბრიტანეთი შესაბამისად ჩაება მის სამეურნეო ცხოვრებაშიც. ამგვარად, მას ეკისრებოდა იმ ეკონომიკური მოთხოვნების შესრულება, რომლებსაც მის წინაშე საიმპერიო ხელისუფლება დააყენებდა. ეს რასაკვირველია არ გულისხმობს ბრიტანეთის პროვინციაში რაიმე ეკონომიკური თეორიის მიხედვით ეკონომიკის გარკვეული მიმართულებით გარდაქმნა-განვითარებას. რომი უბრალოდ მაქსიმალურად ექაჩებოდა ბრიტანეთიდან იმას, რაც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. რომაული ბრიტანეთის მოსახლეობის სულ ცოტა ორი მესამედი მიწათმოქმედებაში იყო ჩაბმული. IVს. დამდეგისათვის ბრიტანეთი სრულიად აკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნას მარცვლეულზე და ამასთან ერთად იყო რომაული ჯარის მარცვლეულით ერთ-ერთი მთავარი მომმარაგებელი. ჯარის მარცვლეულით მომარაგება კი იმპერიული ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. მარცვლეულის დიდი რაოდენობით წარმოებას ხელს უწყობდა ბრიტანეთში სოფლის მეურნეობის ანტიკური, ე.წ. ლატიფუნდიური წარმოების წესის გავრცელება. ბრიტანეთი ინტენსიურად ამარაგებდა იმპერიას რკინის მადნით და კალით, რაც ხმარდებოდა იმპერიის ჯარსა და ხაზინას (კალიდან ოქროსა და ვერცხლს იღებდნენ). რომის გავლენითვე ბრიტანეთში განვითარდა მოზაიკური ფილების წარმოება, რომლებიც ადგილობრივი რომაელებისა და რომანიზებული ბრიტების სახლების მორთვას ხმარდებოდა. აწარმოებდნენ აგრეთვე პირუტყვის და მონების ექსპორტს. იმპერიის ხმელთაშუაზღვისპირეთის პროვინციებიდან ბრიტანეთში შემოჰქონდათ ღვინო, ზეთისხილი, თევზის საწებელი, რომელიც ძალზე პოპულარული იყო რომში.

ამრიგად, თითქმის 300 წლის მანძილზე ბრიტანეთის გარკვეული ნაწილი რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და შეიძლება ითქვას, ცხოვრობდა რომაული ცხოვრებით. ეს პროცესი, დაპყრობის მეშვეობით დამკვიდრდა, რაც თავისთავად გულისხმობს ძალადობასა და უცხო ძალის გაბატონებას. ამავე დროს ეს წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივი მართვა-გამგეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების პატრიარქალური - ფორმების ძლიერი ალტერნატივით შეცვლას, არამედ ბრიტანულ ნიადაგზე უფრო განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ფორმების დამკვიდრებას იმ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელნი იქ ჯერ არ არსებობდნენ. რომაელთა ბატონობის ხანაში ბრიტანეთი ცხოვრობდა ძირითადად მშვიდობიანი ცხოვრებით, რომლის დროსაც ადამიანების სიცოცხლისა და ქონების დაცვა სახელმწიფოს ევალებოდა. ამ მშვიდობიანი ცხოვრების მანძილზე ოდესღაც აგრესიულმა ბრიტებმა გარკვეულწილად დაკარგეს

თავისი საბრძოლო თვისებები. პროვინციის დაცვა იმპერიული ხელისუფლების იმედზე იყო. მაგრამ თავად რომის იმპერიაში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასა და ანარქიის გაძლიერებასთან ერთად შეიცვალა ბრიტანეთის მდგომარეობაც. საიმპერიო ტახტისათვის ბრძოლაში ჩაბმულ სარდლებს ბრიტანეთიდან საუკეთესო ლეგიონები გაყავდათ. ხშირად ბრიტანეთში განლაგებულ ჯარებს კონტინენტზე გადაისვრიდნენ იმპერიის საზღვრების ბარბაროსებისაგან დასაცავად. ყოველ ასეთ ნაბიჯს მოყვებოდა პროვინციაზე შოტლანდიიდან და ირლანდიიდან უფრო აგრესიული და მეომარი გელური წარმომავლობის კელტების შემოსევები. რომაელთა ხელში განებივრებულ ბრიტებს უჭირდათ თავის მძვინვარე ჩრდილოელ თანამოძმეებთან გამკლავება. 407 წ. იმპერატორმა კონსტანტინე III დიდმა (307-337წწ.) უკანასკნელი რომაული შენაერთი გაიყვანა ბრიტანეთიდან და პროვინცია საკუთარი თავის ანაბარა დარჩა. ამის შემდეგ შოტლანდიიდან და ირლანდიიდან პიქტებისა და სკოტების გახშირებულმა თავდასხმებმა და ბრიტ ბელადებს შორის ატეხილმა შინაომებმა ძალზე გაურთულეს მდგომარეობა ყოფილ პროვინციას. ნაბიჯი, რომელიც შემდგომ გადადგეს ბრიტებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ანგლო-საქსების შემოჭრა

V ს. დასაწყისიდან ანტიკური სამყაროს ისტორიაში ადგილი ჰქონდა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ოდესღაც ბრწყინვალე და ძლევამოსილი რომის იმპერია, კერძოდ კი მისი დასავლეთი ნაწილი თანდათანობით იმსხვრეოდა ბარბაროსული ტომების გამანადგურებელი შემოტევების შედეგად. ეს იყო ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სულიერად გამოფიტული სამყაროს შეცვლა, მართალია უხეში, მაგრამ უფრო ქმედითი ახალი ძალებით. ბარბაროსები დაუოკებლივ მიისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ იმპერიის ზღაპრული სიმდიდრეები. მაგრამ თუკი გოთებმა, ჰუნებმა და ვანდალებმა სამხრეთით წარმართეს თავისი შეტევები, გერმანულენოვანმა ტომებმა იუტებმა, ანგლებმა და საქსებმა იმპერიის განაპირა პროვინციაზე, ბრიტანეთზე მიიტანეს იერიში. ეს ტომები ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტრიაზე სახლობდნენ. იუტებს დღევანდელი იუტლანდიის ნახევარკუნძული ეჭირათ, ანგლები მათ სამხრეთით, შლეზვიგის ოლქში იყვნენ განლაგებული, ხოლო ანგლების სამხრეთით, მდინარეების ელბას და რაინის შორის საქსები ცხოვრობდნენ. ამ ტომებიდან პირველი ბრიტანეთში იუტები გამოჩდნენ. 449წ. ბრიტების ერთ-ერთი ტომის ბელადმა ვორტინგერმა სკოტებისა და პიქტების შემოტევის მოსაგერიებლად გადაწყვიტა დამხმარე ძალის გამოყენება. დახმარებისათვის მან მიმართა იუტების ტომს, შეპირდა რა მათ ჩვეულებისამებრ მიწას და სურსათ-სანოვაგეს. დახმარებამ არ დააყოვნა იუტების ლაშქრის სახით, ჰენგისტის და ჰორზას მეთაურობით. მაგრამ ჩრდილოელი კელტების დამარცხების შემდეგ ურთიერთობა ბრიტებსა და მათ მოკავშირეებს შორის დაიძაბა. იუტების ლაშქარს მათი სულ უფრო მეტი თანამოძმე ემატებოდა, რომელთა სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილება ბრიტებს სულ უფრო უჭირდათ. ამან ბრიტებსა და მომხდურებს შორის შეხლა-შემოხლა გამოიწვია, რაც შეტაკებით დამთავრდა. ბრიტები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. იუტები დღევანდელი კენტის საგრაფოს თითქმის ნახევარს დაეპატრონენ. აქედან მოყოლებული, ბრიტანეთი გერმანიკული ტომების განუწყვეტელი შემოსევების ობიექტი გახდა. იუტებს ანგლები მოყვნენ, ანგლებს კი საქსები. ეს იყო არა კუნძულის დალაშქვრა ნადავლის მიზნით, არამედ მასობრივი გადმოსახლება. დაპყრობა არნახული სისასტიკით სწარმოებდა. ანგლო-საქსები უმოწყალოდ ჟლეტდნენ კელტებს და ასევე ანადგურებდნენ ანტიკური ყოფის კულტურის ნაშთებს. ბრიტების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ, კერძოდ მათმა გამარჯვებამ მონს ბადონიკუსთან. 500წ. (მაუნთბეტენთან)[1]. გარკვეული ხნით

[1] ეს გამარჯვება, და საერთოდ ბრიტების მიერ გაწეული წინააღმდეგობა, რომლის მნიშვნელოვანი კერა სამხრეთ ინგლისის ტერიტორიაზე მდებარეობდა უკავშირდება ნახევრად ლეგენდარულ პიროვნებას, ვინმე არტურს, რომელიც უფრო წინააღმდეგობის ორგანიზატორი და ბრიტების ლაშქრის მეთაური იყო, ვიდრე ბელადი (მეფე). მოგვიანებით, მისი სახელი ურიცხვი ლეგენდით შეიმოსა

შეაჩერა მომხდურთა წინსვლა, მაგრამ 577წ. ანგლო-საქსებმა სასტიკად დაამარცხეს ბრიტები დეორამთან და მდინარე სევერნის შესართავის სამხრეთ ნაპირს მიაღწიეს. 613წ. ჩესტერთან გამარჯვების შემდეგ ანგლო-საქსებმა ირლანდიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიაღწიეს. კელტების უკანასკნელი კონტრშეტევა 634წ. უშედეგოდ დამთავრდა. ბრიტები, რომლებსაც მომხდურები თავის ენაზე უელშ-ს (Welsh)[2] ეძახდნენ, საბოლოოდ დამარცხდნენ და გაიხიზნენ კორნუელში, უელსსა და ჩრდილო-დასავლეთში. ბრიტების ნაწილი გალიაში, არმორიკის ნახევარკუნძულზე გადასახლდა. სწორედ მათი სახელი შეერქვა თანამედროვე საფრანგეთის ერთ-ერთ დასავლურ პროვინციას, რომელიც დღეს ბრეტანის სახელით არის ცნობილი. ბრიტანეთის იმ ნაწილს რომელსაც ინგლისი წარმოადგენს, ანგლები, საქსები და იუტები დაეპატრონენ. განსხვავებით რომის იმპერიის სხვა პროვინციებისაგან, სადაც მომხდური ბარბაროსები მართალია იპყრობდნენ რომაელებს, ან იმპერიის რომანიზებულ ქვეშევრდომებს, მაგრამ საბოლოოდ აღირეოდნენ მათში და ითვისებდნენ მათ ენას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფრანკების მიერ გალიის დაპყრობისას, ანდა ლანგობარდების მიერ ჩრდ. იტალიის დაპყრობის დროს, ბრიტანეთში გერმანულ ტომების მოსვლამ ამ კუნძულის გარკვეული ნაწილი მათ მიწად აქცია და პრაქტიკულად ამოძირკვა იქ კელტური მოსახლეობა. დაპყრობილი ტერიტორია Angle-Land-ად, ანგლების მიწად იქცა.

ბრიტების დამარცხებისა და განდევნის შემდეგ მომხდურები დაპყრობილ ტერიტორიაზე შემდეგნაირად განსახლდნენ. ყველაზე დიდი ტერიტორია, რომლის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი ედინბურგი იყო, დასავლეთის საზღვარი უელსზე გადიოდა, ხოლო სამხრეთის, გლოსტერ-დანვიჩს შორის მდებარე მიწებზე ანგლებმა დაიჭირეს. ამ ტერიტორიის სამხრეთით, კორნუელის საზღვრამდე, საქსები განლაგდნენ. მათთან შედარებით გაცილებით მცირე ტერიტორია, კენტი, იუტებმა დაიკავეს.

რას წარმოადგენდნენ ბრიტანეთის ახალი დამპყრობლები? VIIს. კელტი მემატიანე გილდასი მათ ერთობ არასახარბიელო ფერებში ხატავს. მისი გადმოცემით ეს იყო მაღალი, ქერათმიანი ხალხი, ანთებული, ავი მზერით, მუდამ დამშეული, თავს დიდი რაოდენობის სპირტიანი სასმელებით რომ იგზნებდა. ასეთივე დამოკიდებულება მომხდურებისადმი ჰქონდა კელტურ მასას, რომლებიც დამპყრობლებს მოიხსენიებდნენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც „ძაღლებს," „მგლებს" და „ბარბაროსთა ნაშიერებს." თუმცა არც არის გასაკვირი, რომ დამარცხებული და მშობლიური მიწებიდან განდევნილი ბრიტები ასეთი სიძულვილით იყვნენ განწყობილი დამპყრობლების მიმართ.

ანგლო-საქსების ყოფა პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა სხვა ე.წ. ბარბაროსული ტომების ყოფა-ცხოვრებისაგან. ისინი საზოგადოებრივი განვითარების გვაროვნულ საფეხურზე იმყოფებოდნენ. მათი საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობა იყო. ისინი ცხოვრობდნენ ტალახით გალესილ და ჩალით გადახურულ წნულ ქოხებში, რომელსაც ham-ი ეწოდებოდა[3]. ამგვარი ქოხებისაგან შემდგარ დასახლებას tun-ი ეწოდებოდა[4].

გვაროვნული ურთიერთობები განაპირობებდნენ იმას, რომ გვარის წევრები ურთიერთის გვერდით ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ. ანგლო-საქსური საზოგადოების ძირეულ რგოლს ე.წ. დიდი (პატრიარქალური) ოჯახი წარმოადგენდა. ოჯახის განკარგულებაში იყო მისთვის თემის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი hide-ი, რომლის ფართობი იყო 120 აკრი (დაახლოებით 50ჰა). სახნავ-სათესი სავარგულების მიღმა იყო საძოვრები საქონლისათვის, ხოლო შემდეგ კი ტყეები, სადაც ღორებს უშვებდნენ საბალახოდ. როგორც მიწა, ასევე საძოვრები, სათიბები და ტყეები თემის საკუთრებაში იყო. მოგვიანებით, გვაროვნული ურთიერთობის შესუსტებასთან ერთად თანდათან ხდებოდა გვარიდან ცალკეული ოჯახების გამოყოფა და

და იქცა შუა საუკუნეების კულტურისა და ცნობიერების მნიშვნელოვან ელემენტად („მეფე არტური და მისი მრგვალი მაგიდის რაინდები").

[2] ეს არის უელსის კელტური მოსახლეობის, უელსელების ინგლისური დასახლება, რაც უცხოელს ნიშნავს.

[3] აქედან წარმოსდგება თანამედროვე ინგლისური home-სახლი.

[4] აქედან წარმოსდგება თანამედროვე ინგლისური town-ქალაქი.

შესაბამისად მიწის ნაკვეთების მეტი დანაწევრება. მთლიანად მთელი სახნავ-სათესი მიწა იყოფოდა ორ ნაწილად. შემდეგ თითოეული ნახევარი თავის მხრივ კვლავ იყოფოდა ორ ნაწილად. თოთოეული მათგანი თავის მხრივ იყოფოდა თანაბარ, ერთი აკრის (დაახლოებით 0,5ჰა) ფართობის ზოლებად. თითოეულ ოჯახს ასეთი ზოლების თანაბარი რაოდენობა, ჩვეულებისამებრ 30, გამოეყოფოდა. ნაკვეთები გაბნეულად რიგდებოდა, ასე რომ თითოეული ოჯახი სავარგულების ერთ ნახევარში თავისი მიწის მხოლოდ ნახევარს ფლობდა, მეორეს კი მეორეში. ამით ანგლო-საქსები თავიდან იცილებდნენ საუკეთესო მიწების თავმოყრას ერთი ოჯახის ხელში. კელტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ერთი და იგივე მიწის ნაკვეთს მის სრულ გამოფიტვამდე ამუშავებდნენ, ანგლო-საქსებისათვის ცნობილი იყო ანეულის პრინციპი. მიწის ერთ ნაწილზე ხვნა-თესვა მიმ-დინარეობდა, ხოლო მეორე ნახევარი კი ისვენებდა, რაც უდაოდ უფრო მომგებიანი და ნაყოფიერი ხერხი იყო. ხვნა-თესვა კოლექტიურად, ერთობლივი ძალებით სწარმოებდა, რადგან გუთნის საზი-დად ჩვეულებრივ რვა ხარი იყო საჭირო, მაშინ როცა გლეხს ორზე მეტი არ გააჩნდა. ასევე ერთად იღებდნენ მოსავალს, რის შედეგადაც თავ-თავის წილს იღებდნენ მწყემსი, მჭედელი და მე-ფუთკრე. მარცვლეულის დაფქვისათვის მეწისქვილე ფქვილის გარკვეულ ნაწილს იღებდა.

ანგლო-საქსების დასახლების ძირითადი ტიპი იყო სოფელი, რომელიც ოცი-ოცდაათი ოჯახისგან შედგებოდა. საკუთრების კოლექტიური ფორმების შესაბამისად სასოფლო საქმეების მართვა საერთო საქმე იყო. მას სოფლის მოსახლეობის თავყრილობა უძღვებოდა, მას მუთი (Moot), ეწოდებოდა რომელიც სოფლის მახლობლად მდებარე გორაკზე ან ე.წ. წმინდა ხის გარშემო იკრიბებოდა. ასეთ შეკრებებზე იღებდნენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, აქვე ირჩევდნენ სოფლის რივს (Reeve), რომელსაც გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა ევალებოდა, ტყისა და სახნავ-სათესი მიწების მეთვალყურეს.

ამ სოფლების მოსახლეობის ძირითად ნაწილს თავისუფალი მიწათმფლობელები წარმოადგენდნენ, რომლებსაც კერლები ეწოდებოდათ. ისინი უპირობოდ ფლობდნენ თავის ნაკვეთებს და ეკისრებოდათ მხოლოდ სამხედრო სამსახურის გაწევა საჭიროების შემთხვევაში, გზებისა და ხიდების შეკეთება მათი მუდმივ წესრიგში ყოფნის მიზნით. წარჩინებულთა ფენას მდიდარი მიწათმფლობელები, ერლები (Earls) წარმოადგენდნენ, რომელთა განკარგულებაში მიწის უფრო დიდი ნაკვეთები იყო. მათ გარდა უძველეს ანგლო-საქსური სამართლის წიგნებში მოხსენიებული არიან აგრეთვე ლეტები, ან კიდევ როგორც მათ უწოდებდნენ უილები[5].

ესენი იყვნენ ნახევრად თავისუფალი ადამიანები, რომლებსაც მიწა ეძლეოდათ ღალისა ან ბეგარის სანაცვლოდ.

ბრიტანეთში შეჭრამ და გამუდმებულმა ომებმა გამოიწვიეს ანგლო-საქსებში ხელისუფლების გაძლიერება და ომში მონაწილეთა აღზევება. ადრე მათ ბრძოლაში უხუცესები უძღვებოდნენ. ახალ პირობებში კი შეიქმნა სამხედრო მეთაურის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ტომის ყოფნა-არყოფნის საკითხს გადაწყვეტდა. ასევე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მოლაშქრეთა პროფესია. სწორედ ამან წამოსწია წინა პლანზე თენები (Thauenes), ბელადის ანუ მეფის მე-გობრები. ამ ადამიანების მოვალეობა მათი სამხედრო სამსახურისათვის მუდმივი მზადყოფნა იყო. ამის სანაცვლოდ ისინი 1კვ.მილ[6] მიწას ფლობდნენ. მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იყო მემ-კვიდრეობითი, მაგრამ დროთა განმავლობაში სწორედ მათგან ჩამოყალიბდა პრივილეგირებული ფენა, რომელმაც თანდათანობით დაიკავა ადრინდელი ერლების ადგილი. მოგვიანებით თენი ანგლო-საქსურ სამყაროში პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა, ხოლო ერლი კონკრეტული პიროვნებისათვის ბოძებულ ტიტულად.

---

[5] სავარაუდოდ ეს ტერმინი „უელსიდან" მომდინარეობს. როგორც ჩანს უილები კელტური წარმოშობის მოსახლეობისგან შედგებოდნენ, რომელიც ანგლო-საქსებს ყავდა დამორჩილებული. ამის დასადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ანგლო-საქსები მკვიდრ მოსახლეობას უწოდებნენ უელშ (Welsh–უცხოელი). ეს სახელი დღევანდელი უელსის მოსახლეობას შერჩა, მაშინ როცა უელსელები თავის ქვეყანას ეძახიან კამრი (Cymru), ხოლო თავის თავს კამრეგ (Camraeg).

[6] 1 მილი=1,6კმ

ამ საზოგადოების ცხოვრება ერთობ კარჩაკეტილი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სოფლებს შორის სუსტი იყო ურთიერთკავშირი. იმ ხანად არც კი იყო გაცხოველებული ურთიერთობის საჭიროება. თითოეული სოფელი თვითკმარი იყო წარმოებისა თუ მოხმარების თვალსაზრისით. იმ დროისათვის მოხმარების დაბალი დონე გამორიცხავდა მზარდ მოთხოვნილებას. სოფლისათვის საჭირო სურსათი, თუ მოხმარების საგნები ადგილზევე იწარმოებოდა (მხოლოდ მარილი მოჰქონდათ შორეული ადგილებიდან).

მაგრამ ამგვარი კარჩაკეტილობის მიუხედავად სამეურნეო თუ სამართლის საკითხები, უსაფრთხოების განმტკიცების აუცილებლობა უბიძგებდა თემებს გარკვეულად გაეფართოებინათ ურთიერთობა. რამდენიმე სოფელი, რომლებსაც საერთო სარგებლობის მიწა ჰქონდა, ერთიანდებოდნენ ასეულებში (hundreds). ამ ასეულების მასშტაბით თვეში ერთხელ იმართებოდა შეკრებები, თავისებური სასამართლოები (Hundred Courts), რომლებიც იხილავდნენ მათ ტერიტორიაზე არსებულ ყველა სადავო საკითხს ან ჩადენილ დანაშაულს. თავის მხრივ, რამდენიმე ასეული ქმნიდა შაირს (Shire). შაირის სასამართლო, რომელიც იკრიბებოდა წელიწადში ორჯერ, წარმოადგენდა თავისებურ საკასაციო სასამართლოს, სადაც ხდებოდა ასეულის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება. რასაკვირველია, თუნდაც ამ სასამართლო დაწესებულების გაფართოება თხოულობდა მათი საქმიანობის დახვეწას, ამ საქმიანობაში უფრო მეტი ხალხის ჩართვას. ამის შედეგად კი წარმოიქმნებოდა ახალი თანამდებობები და უფრო დიდი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირები. შაირის სასამართლოს უძღვებოდა ელდორმენი ან ერლი. მათ ახლდნენ შაირის რივი ანუ შერიფი, რომელიც მათი მოადგილის როლს ასრულებდა და ორი ეპისკოპოსი. სამართლის აღსრულება, დამნაშავის დასჯა და დაზარალებულის დაკმაყოფილება ჯარიმების მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ აქ წარმოჩნდება ბრიტანეთში დასახლებულ ანგლო-საქსებს შორის ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება. ჯარიმა (Vergild) პირდაპირპროპორციული იყო დაზარალებულის ქონებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობისა. აქედან გამომდინარე, ერლისათვის გადასახდელი ჯარიმა ექვსჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ჯარიმა რომელიც განკუთვნილი იყო კერლისათვის. სასამართლო პროცედურა დანაშაულის დადგენას ფიცის მეშვეობით ითვალისწინებდა. ბრალდებულს სასამართლოში უნდა მიეყვანა პირთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ფიცს დასდებდნენ იმის დასადასტურებლად, რომ იგი უდანაშაულო იყო. მომჩივანს შეეძლო ეს ფიცი გაებათილებინა და საქმე ახლიდან წამოეწყო იგივე რაოდენობის პირთა სასამართლოში მიყვანით, რომლებიც ფიცითვე დაადასტურებდნენ მოპასუხის დამნაშავეობას. ფიცის პროცედურაში უკვე დიდ როლს თამაშობდა ქონებრივი მდგომარეობა და შესაბამისად ერლის ან ტენის ფიცი მათ სასარგებლოდ დაწესებული ჯარიმის შესაბამისად უფრო მეტად ფასდებოდა, ვიდრე თავისუფალი მეთემისა. ზოგჯერ ბრალდებულის დამნაშავეობის დადგენა გამოცდის სახითაც მიმდინარეობდა. ბრალდებულს გავარვარებული რკინის ნაჭერი ხელით უნდა გადაეტანა გარკვეულ მანძილზე, ხოლო უდანაშაულობა სიდამწვრის მორჩენის ვადებით დგინდებოდა.

აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური სურათი სწორედ ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ ჩამოყალიბდა. ომები, სიმდიდრის ზრდა იწვევდნენ მტკიცე საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც ქონებაზე და მოპოვებული სიმდიდრისა და მიღწეული მდგომარეობის შენარჩუნებაზე იყვნენ დაფუძნებული. ამიტომ სწორედ იმ პერიოდიდან იწყება ანგლო-საქსური სამეფოების შექმნა. თავდაპირველად VIს. მეორე ნახევარში ამ სახელმწიფოთა რიცხვი ათას აღემატებოდა. VIIს. მათი რიცხვი შვიდამდე შემცირდა. ეს პერიოდი ჰეპტარქიის (შვიდი სამეფო) სახელით არის ცნობილი. თავდაპირველად იუტებმა იმძლავრეს და მათ მიერ ჩამოყალიბებული კენტის სამეფო მოწინავე პოზიციებზე გავიდა, განსაკუთრებით მეფე ეთელბერტის მეფობის ხანაში (552-616 წწ.). მოგვიანებით პირველობა ჩრდილოეთის სამეფოებმა, ნორთუმბრიამ და მერსიამ დაისაკუთრეს. ტერიტორიულად ეს ყველაზე დიდი ანგლო-საქსური სამეფოები იყვნენ და მათი პირველობა, რომელიც VIIIს. შუახანებამდე გრძელდებოდა, გარკვეულწილად ამითაც იყო განპირობებული. სწორედ ნორთუმბრიის მეფე ედვინი (VIIს.), პირველი ანგლო-საქსი მეფეთაგან გამოცხადდა ბრეთვალდად (Bretwalda), ანუ ბრიტანეთის მეფედ. მაგრამ ის ჯერ არ იყო ქვეყნის

უზენაესი და ერთპიროვნული მმართველი, არამედ პირველი დანარჩენ ექვს შორის. VIIIს. შუახანებიდან მერსიის მეფემ ოფა II (757-796 წწ.) გააფართოვა თავისი სამეფოს სამხრეთი საზღვრები და პრეტენზია განაცხადა წოდებულიყო ანგლების მიწების მთავარ მბრძანებლად. იგი სცნეს რომის პაპმა და იმპერატორმა კარლოს დიდმა. მაგრამ VIIIს. მიწურულიდან პირველობას ერთ-ერთი სამხრეთული სამეფო, უესექი დაეპატრონა. უესექსმა ერთიმეორის მიყოლებით დაიპყრო სასექსი, ესექსი, კენტი, შემდეგ მერსია და ნორთუმბრია. ამ პროცესის დიდი ნაწილი სწორედ უესექსის მეფის ეგბერტის მეფობაში მოხდა (802-839 წწ.), რის გამოც იგი გვეკლინება როგორც გაერთიანებული ანგლო-საქსური სამეფოს პირველი მეფე. მისი სატახტო ქალაქი უინჩესტერი გარკვეული ხნის მანძილზე იყო ანგლო-საქსური ბრიტანეთის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი.

ამრიგად, ანგლო-საქსები მტკიცედ დაეპატრონენ ბრიტანეთს. კელტებისაგან განსხვავებით, მათ შეძლეს მტკიცე სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნა და შემდგომ მათი განვითარება. რაოდენ ღრმად არ სწამდათ კელტებს წინასწარმეტყველების, რომელიც ქადაგებდა მომხდურების საბოლოო განდევნას, რა დიდი აღმაფრენით არ უმღეროდნენ მათი ბარდები ბრიტების აღორძინებას, დამპყრობლებმა მტკიცედ აქციეს ეს მიწა ანგლების მიწად (Angle-Land) და თავისი წარუშლელი კვალი დაამჩნიეს მას. ცალკეული ტომების სახელები ამა თუ იმ ანგლო-საქსურ სამეფოს დაერქვა და დღემდე ამა თუ იმ საგრაფოს შერჩა. მაგ. უესექსი (დას. საქსი — West Saxon, Wessex) სასექსი (სამხ. საქსი — South Saxon, Sussex), ესექსი (აღმ. საქსი — East Saxon, Essex), ნორფოლკი (ჩრდილოეთის ხალხი — North Folk), საფოლკი (სამხრეთის ხალხი — South Folk), ისთ ენგლია (აღმოსავლეთ ინგლისი — East Anglia). ნორთუმბრია (Northumbria) მდინარე ჰამბერის ჩრდილოეთით განლაგებული მიწა იყო. მის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ბრიტების სამფლობელოებს ემიჯნებოდა და მას „მარკა" (March) ეწოდა, რაც შემდეგ მერსიად გადაკეთდა.

ანგლო-საქსები წარმართები იყვნენ და იმავე ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ, რომლებიც საერთო იყო სხვა გერმანიკული წარმოშობის ტომებისათვის. მათი რწმენა-წარმოდგენები იმ ყოფას ესადაგებოდნენ, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო მარტივი ყოფა, ძალის კულტი, გაბედულება და გარკვეულწილად მელანქოლიური სულისკვეთება. ბელადისა და თანამებრძოლისადმი ერთგულების პრინციპი, რომელიც გაბატონებული იყო ანგლო-საქსებში არ კარგავდა თავის მნიშვნელობას სიცოცხლის შემდგომ არსებობაშიც. მხოლოდ ერთგული და თავდადებული მებრძოლეები დაიმკვიდრებდნენ ადგილს ვალგალაში, იმქვეყნიურ სამყაროში, სადაც ბრძოლაში დაღუპულ გმირებს მებრძოლი ღვთაება-ქალწულები-ვალკირიები მიაცილებდნენ და სადაც ისინი დროს ქეიფსა და აზრატულ თამაშებში ატარებდნენ. მათი ღმერთები მათსავით ბრძოლასა და ჭიდილში იყვნენ ჩაბმულები სხვადასხვა ბოროტ ძალებთან. სწორედ ამ ღმერთების სახელები დაერქვა კვირის დღეებს: ოთხშაბათს (Wednesday) ანგლო-საქსების საერთო წინაპრის, ომის ღმერთის ოდინის (Woden). სახელი დაერქვა, სამშაბათს (Tuesday) სიკვდილ-სიცოცხლის განმგებლის თიუს (Tue), შაბათს (Saturday). იდუმალი ღმერთის სეთერის, ხოლო პარასკევი (Friday) დაკავშირებული იყო ნაყოფიერების ქალღმერთ ფრეას (Frija) სახელთან. ამ ღმერთებს გარდა სამყარო ანგლო-საქსებისათვის სავსე იყო მრავალრიცხოვანი ღვთაებებითა და სულებით, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ ბუნების სხვადასხვა ელემენტებთან, მაგ. წყალთან (ნიქორი-წყლის სული) და სხვ. ამრიგად, ეს იყო ტიპიური ბარბაროსული სამყარო, დემოკრატიული ინსტიტუტებითა და ფასეულობებით. ამის გამოხატულებას წარმოადგენდნენ მიწის უპირობო ფლობა და თავისუფალი მიწათმფლობელების დიდი რიცხვი, სამეფო ხელისუფლების შემზღუდავი დაწესებულებები, მართლმსაჯულების ანაზღაურებითი ფორმა, წარმართული რელიგია კულტის მსახურების მარტივი ფორმებით. და აი ამ ფონზე დაიწყო ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამ პროცესის და მთლიანობაში ანგლო-საქსური საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ქრისტიანობის გავრცელებამ ითამაშა.

ქრისტიანობა წარმოადგენდა ერთ-ერთს იმ მცირერიცხოვანი მემკვიდრეობიდან, რომელიც ბარბაროსულ სამყაროს ერგო რომის იმპერიისაგან. გაბატონდნენ რა მათ მიერ დანგრეული

იმპერიის ნაშთებზე ბარბაროსებმა ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ამ რელიგიურ მოძღვრებას, რომელმაც თავისი დოგმატების სისრულითა და სიღრმით, ღვთისმსახურების ფორმით, ჩამოყალიბებული და ქმედითი ორგანიზაციით მალე თავად დაიპყრო ისინი და იქცა ევროპული საზოგადოების ცხოვრების წარმმართველ ძალად.

ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობამ და იქ დამკვიდრებამ გარკვეულწილად მოსწყვიტა ისინი კონტინენტს, სადაც რიგმა ბარბაროსული ტომებისამ უკვე Vს. მიიღო ქრისტიანობა. ქრისტიანობის გავრცელება ბრიტანეთში ერთობ საინტერესო მეტოქეობის ფონზე მოხდა, რომელმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ამ პროცესის გარკვეული სოციალური არსი. ქრისტიანობის ქადაგება ბრიტანეთში V ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ვინმე კოლამბამ, შემდგომში წმინდანად შერაცხულმა შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულ აიონაზე დააარსა კელტი ბერების თემი. ეს ბერები ირლანდიიდან იყვნენ მოსული, სადაც 432-461წწ. ქრისტიანობა გაავრცელა წმინდა პატრიკმა. კელტი ბერების თემისათვის დამახასიათებელი იყო ენთუზიაზმი და თავდადება ქადაგების საქმეში, უბრალოება ყოფაში და მარტივი, დემოკრატიული ხასიათის ორგანიზაცია. მათთვის უცხო იყო ყოველგვარი იერარქია. თემს ნომინალურად აბატი ხელმძღვანელობდა. მაგრამ მათი ქადაგება დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ კელტური მოსახლეობით იფარგლებოდა. ბერები თვლიდნენ, რომ ანგლო-საქსები, მათი დამპყრობლები არ იმსახურებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას.

597წ. რომის პაპმა გრიგოლ I გააგზავნა ბრიტანეთში მისია აბატ ავგუსტინეს მეთაურობით. მისია კენტის სამეფოში ჩავიდა და ადგილობრივი სამეფო კარი და მოსახლეობა მოაქცია. წმინდა ავგუსტინეს პაპის მიერ დავალებული ჰქონდა ფრთხილად ემოქმედა: „ეცადე, რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიო ადგილებრივ მცხოვრებთა საქმეებში. არ არის საჭირო, რომ ადამიანი სირბილით ავიდეს მთის მწვერვალზე, ამის გაკეთება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება. პირველ რიგში ნუ იჩქარებთ დაანგრიოთ წარმართთა ტაძრები. იკმარეთ მათი კერპების დამსხვრევა. უფრო მეტიც, თუკი ესა თუ ის ტაძარი კარგად არის აგებული ის შეიძლება დემონთა მსახურების ნაცვლად ჭეშმარიტი ღმერთის სამსახურში ჩავაყენოთ.“ პაპმა ავგუსტინეს არქიეპისკოპოსის წოდება მიანიჭა, უფლება მისცა მას ახალ მიწებზე ეპისკოპოსთა ხელდასმა ჩაეტარებინა და ურჩია, რეზიდენციად კენტერბერი, კენტის დედაქალაქი აერჩია.

კენტის მოქცევა ერთობ სწრაფად ჩატარდა, თუმცა კი მეფე ეთელრედმა, რომელმაც მიიღო ავგუსტინე და ყურადღებით მოუსმინა მას, გულწრფელად მოახსენა, რომ მისიონერთა სწავლება ახალი და ძნელად აღსაქმელი იყო, ამიტომაც მოფიქრებას საჭიროებდა. ამასთანავე ეთელრედმა დახმარება და მფარველობა აღუთქვა რომაელ უცხოელებს, როგორც მაშინ უწოდებდნენ მი-სიონერებს. ეთელრედის მონათვლის შემდეგ კენტის მოსახლეობა მასობრივად მოინათლა, ხოლო ეთელრედმა ქრისტიანობის მიღება შესთავაზა ესექსისა და ისთ ენგლიის მეფეებს, რომლებიც მის პირველობას აღიარებდნენ. ამის შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდა ნორთუმბრიაშიც, რომლის მეფემ ედვინმა ცოლად შეირთო კენტის მეფის და. ქრისტიან პატარძალს სხვა პირებთან ერთად ახლდა ბერი პაულინე, რომელმაც ნორთუმბრიაში ჩასვლისთანავე მოაქცია მეფე ედვინი. ამის შემდეგ მეფის დაახლოებული პირები ხშირად იკრიბებოდნენ იმისათვის, რომ ემსჯელათ ახალი სარწმუნოების არსზე. ადამიანის ცხოვრების წარმავლობასა და ამაოებასთან ზეციური ნეტარების დაპირისპირებამ მათზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და უხუცესებმაც მიიღეს ქრისტიანობა. მონათლეს წარმართი ქურუმებიც. მაგრამ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდათ გადგმული ფეხი ხალხის ცნობიერებაში. ამიტომ ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე აღინიშნება ორი რელიგიის თანაარსებობა. მაგ. ისთ ენგლიის მეფე რედვოლდი ერთდროულად ორივე რწმენას აღიარებდა. ბევრ ტაძარში ორივე კულტის მსახურების ელემენტები იყო განლაგებული. წარმართული რეაქცია გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ედვინი დამარცხებულ და მოკლულ იქნა თავისი ვასალის, მერსიის მეფე პენდას მიერ. ამ უკანასკნელმა წარმართობაში მერსიის დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება დაინახა. პენდას გამარჯვებას მოჰყვა მერსიის

აღზევება, რომაელ მისიონერთა განდევნა და შესაბამისად წარმართობის აღდგენა. სწორედ ამ დროს დაიწყო ბრიტანეთში კელტი მისიონერების გააქტიურება.

635წ. ნორთუმბრიის მეფე ოსვალდის მოწვევით წმინდა ეიდანმა კუნძულ ლინდისფრანზე დაარსა ქრისტიან ბერთა თემი, რომელთაც დაიწყეს ნორთუმბრიაში, მერსიასა და ესექსში ქრისტიანობის ქადაგება კელტურ ყაიდაზე. როგორც უკვე ითქვა, ქრისტიანობის კელტური შტო გამოირჩეოდა თავისი დემოკრატიულობით, მაშინ როდესაც ავგუსტინეს მიერ დამკვიდრებული რომაული ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ორგანიზაცია და ჩამოყალიბებული იერარქია, სუბორდინაციის უპირობო დაცვით. კელტი მისიონერების პოპულარობა, რომლებიც ხალხს მისი უბრალო ენით ელაპარაკებოდნენ იმდენად დიდი იყო, რომ მათ ქადაგებას მეფე პენდაც კი აღარ აღუდგა წინ. ხოლო როცა პენდა 655წ. ნორთუმბრიის მეფე ოსვისთან ბრძოლაში დაიღუპა კელტურმა ქრისტიანობამ კიდევ უფრო ფართოდ გაიდგა ფეხი. ამას არ შეიძლებოდა რეაქცია არ მოყოლოდა რომის ეკლესიის მხრიდან. რომს არ სურდა კელტებისათვის პირველობის დათმობა. ორივე მხარეს თავისი მიმდევრები ჰყავდა. კელტ მისიონერებს უბრალო ხალხი მიყვებოდა, მაშინ, რაც რომის ეკლესიას მხარს უჭერდნენ სამეფო კარი, დიდგვაროვნები და... ქალები. გაბატონებული ფენები მიესალმებოდნენ რომაულ იერარქიაში არსებულ მკაცრ დაქვემდებარებას, ხოლო ქალებს უეჭველია რომაული ღვთისმსახურების ბრწყინვალება ხიბლავდა. წინააღმდეგობამ ამ ორ შტოს შორის ერთობ მძაფრი ხასიათი მიიღო და მის გადასაწყვეტად მეფე ოსვიმ 664წ. უითბიში საეკლესიო კრება მოიწვია. დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა: პაპის უზენაესობის ცნობა, აღდგომის ზეიმის თარიღი და ტონზურის* ფორმა, მაგრამ ფაქტობრივად აქ პირველობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. დავა რომის სასარგებლოდ გადაწყდა, რასაც მისი წარმომადგენლების მოხერხებულმა არგუმენტებმა და მეფე ოსვის მხარდაჭერამ შეუწყო ხელი. რომის პრეტენზიები მისმა წარმომადგენელმა აბატმა უილფრიდმა ახსნა იმით, რომ მის უკან წმ. პეტრეს ავტორიტეტი იდგა, რომელსაც სამოთხის გასაღები ებარა. ამ არგუმენტს მისმა ოპონენტმა, კელტური შტოს წარმომადგენელმა კოლმენმა ვერაფერი დაუპირისპირა. ამის შემდეგ მეფე ოსვიმ განაცხადა: „მე ვემორჩილები წმინდა პეტრეს ნაბრძანებს, რადგანაც მინდა, რომ როცა სამოთხის კარს მივადგები, იქ ვინმე დამხვდეს და კარი გამიღოს.“ ამრიგად, ანგლო-საქსურ ბრიტანეთში ქრისტიანობა რომის ეკლესიას დაექვემდებარა, რაც ფეოდალიზმის განმტკიცებისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება იყო. გარდა ამისა, ეკლესიის გაერთიანებამ ხელი შეუწყო ანგლო-საქსური სამეფოების ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. მაგრამ ქრისტიანობის გამარჯვება არ შემოიფარგლა მხოლოდ რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით. რომის ეკლესია თავისი მკაცრი ორგანიზაციით და ჩამოყალიბებული იერარქიით კულტურის გავრცელების ქმედით იარაღს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანობამ თავისი ამაღლებული ხასიათით და ფასეულობებით დიდი გავლენა მოახდინა ანგლო-საქსების ტლანქ და აგრესიულ სულზე. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ხუროთმოძღვრებაში გადაიდგა. წმინდა ავგუსტინეს ინიციატივით აიგო საკათედრო ტაძარი კენტერბერიში. VIIს. აიგო ეკლესიები უითბიში, ბრიკსუოთერში, წმ. ლოურენსის ეკლესია ბრედფორდში (VIIს. დასასრული). ისევე როგორც ქრისტიანობის გავრცელების დროს, ქრისტიანული ტაძრების მშენებლობისას ერთმანეთს დაუპირისპირდა კელტური (ირლანდიული) და რომაული ტრადიცია. პირველი გამოირჩეოდა მკაცრი და სადა სტილით, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო ნავები გვერდითი მიშენების გარეშე და მართკუთხა საკურთხეველი. მას შემდეგ, რაც უითბის საეკლესიო კრებაზე რომის მიმდინარეობამ გაიმარჯვა, მისმა თავგამოდებულმა პროპაგანდისტმა, იორკის ეპისკოპოსმა უილფრიდმა ააგებინა ტაძრები ჰექსამში, რიპონსა და იორკში, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ნავიანი თაღები და ბაზილიკური ტიპის გვერდითი მიშენებები.

ქრისტიანობის გავრცელების შედეგი იყო ფერწერის, კერძოდ, მინიატურის განვითარება. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა კელტურმა (ირლანდიურმა) ქრისტიანობამ. ირლანდიელმა

---

* თხემის ნაწილი, რომელზედაც კათოლიკური სამღვდელოება თმას იპარსავს.

მხატვარმა ბერებმა მიმართეს ძველი კელტური ჭედურობის ტრადიციებს, რის გამოც მათ მიერ გაფორმებული საეკლესიო წიგნები შემკული იყვნენ ფერადოვანი მინიატურებით, რომლებზეც გამოსახული იყვნენ კელტური ხელოვნებისათვის ესოდენ ნაცნობი სპირალები, ბაბთები, მარყუჟები, ურთიერთგადახლართული ქვეწარმავლები თუ ცხოველები. მხატვრები წითელ, ლურჯ, ყვითელ, მწვანე და იისფერ ფერებს იყენებდნენ, რაც გამოსახულებას არა მარტო ფერადოვანს, არამედ ცოცხალსაც ხდიდა. კელტური მინიატურების შესანიშნავი ნიმუშებია დაროუს (VIIს.) და ქელის (VIIIს.) ბიბლიები. სწორედ ეს სტილი დამკვიდრდა ნორთუმბრიის სამინიატურო სკოლაში, რომელზეც მოგვიანებით ბიზანტიურმა ტრადიციებმა მოახდინეს გავლენა; გამოსახულებები უფრო მკაცრი, სიმეტრიული გახდა, მათ მეტი სტატიკურობა შეიძინეს. VII-VIIIსს. ნორთუმბრიულმა სკოლამ ფართოდ გაიდგა ფეხი არა მარტო ანგლო-საქსურ ბრიტანეთში, არამედ კონტინენტზეც გაითქვა სახელი.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, ბიბლიის გადაწერა და საეკლესიო წიგნების შექმნა, მათი მინიატურებით შემკობა პირობებს ქმნიდა ლიტერატურის განვითარებისათვის. კულტურის ამ დარგის მიღწევებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია" რომელიც შეიქმნა 731წ. მისი ავტორია ჯაროუს მონასტრის ბერი ბიდი (ბედა) (Bede) (673-735წწ.) შემდგომში პატივდებულად წოდებული. იგი უდაოდ ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს წარმოადგენს ანგლო-საქსური კულტურის განვითარების ისტორიაში. ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ბიდი მოიხსენიება როგორც პირველი ინგლისელი ისტორიკოსი, თეოლოგი, მეცნიერი-ბუნებისმეტყველი და ინგლისური ლიტერატურის შემქმნელი. თავის ნაშრომში, რომელიც დაწერილი იყო ლათინურ ენაზე მან პირველმა შეიტანა ახალი წელთაღრიცხვის ქრონოლოგია (ქრისტეს შობის შემდეგ, ლათინურად Anno Domini-უფლის წელს) და გაატარა ანგლების, საქსების და იუტების ეთნიკური ერთობის იდეა, წარმოაჩინა რა ისინი ერთ ხალხად. ერთობ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ბიდის მიერ გაწეული პედაგოგიური მოღვაწეობა.

ქრისტიანობის გავრცელებამ ბიძგი მისცა ასევე დიდაქტიკური ლიტერატურის განვითარებასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია შერბორნის ეპისკოპოსის ალდჰელმის (640-709 წწ.) შემოქმედება.

აღნიშნული პერიოდის ანგლო-საქსური ლიტერატურა მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია უცნობ ავტორთა ნაწარმოებებით, რომელთაც ქრისტიანული ფილოსოფიის ზეგავლენით წითელ ზოლად გასდევს განსჯა ადამიანის ყოფის ამაოებაზე და წარმავლობაზე, მოთმინებასა და სულიერი სიმტკიცისაკენ მოწოდება. ამგვარი მიმართულების ნაწარმოებს წარმოადგენს „ნანგრევები" ("The Ruins"), რომელშიც აღწერილია უცნობი ანგლო-საქსის განცდები ბათის ნანგრევების ხილვისას. ნაწარმოების გმირი გულმოკლულია ოდესღაც ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშის მისი თანადროული სავალალო მდგომარეობით. ნოსტალგია წარსულზე, მათ მიერვე განადგურებული ანტიკურობის ნიმუშებზე მიუთითებდა იმაზე, რომ ანგლო-საქსების ცნობიერება გამოვიდა ადრეული ბარბაროსობის მდგომარეობიდან.

თუ ყველა ზემოაღნიშნული ნაწარმოები და მთლიანობაში ანგლო-საქსების კულტურა ქრისტიანობის განვითარების შედეგს წარმოადგენს, ამ მხრივ განცალკევებით დგას მათი ეპოსი, კერძოდ კი, ეპიკური პოემა „ბეოვულფი". ვარაუდობენ, რომ პოემა IVს. იღებს სათავეს, უძველესი ანგლო-საქსური და მათი მონათესავე სკანდინავიური ტომების თქმულებების სახით, რომლის ყველაზე ადრეული წერილობითი ვარიანტი სავარაუდოდ თარიღდება 700 ან 1000 წწ. ეს არის ნაწარმოები, სადაც აღწერილია უძველესი ხანის ანგლო-საქსური სამყარო, მისი სულისკვეთება, ფასეულობები. მკაცრი, პირქუში სამყარო, სადაც სილამაზე მხოლოდ ზღვის სივრცეების ხილვისა და მათი დალაშქვრისას იშლება, სადაც ძალა და სისასტიკე ბატონობს და მათ სადარად ადამიანებს მხოლოდ სიმამაცისა და თავგანწირვის გამოვლენა მართებთ. ეს ყველაფერი წარმოაჩენს ანგლო-საქსებს, როგორც ვაჟკაცობისა და ერთგულების მიმდევარ ხალხს, რომელთა სულისკვეთებისთვის გარკვეულწილად არც სევდა და მელანქოლია იყო უცხო, რადგანაც მათი სამყარო არ იყო შექმნილი ბედნიერი და უდარდელი ყოფისათვის. ამაზე ბეოვულფის სიკვდილი მიუთითებს, რომელიც ბოროტ ძალებთან ჭიდილში იღუპება.

ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება პირველი ნაბიჯები მუსიკის განვითარების საქმეში. ეს იყო წმ. ავგუსტინეს მიერ შემოტანილი საეკლესიო გალობა, რომელიც სრულდებოდა ერთ ხმაში. საერთოდ ქრისტიანობის გავრცელებამ ანგლო-საქსები გარკვეულწილად გამოიყვანა ისინი თავისებური კუნძულოვანი იზოლაციიდან და საფუძველი ჩაუყარა მათ ურთიერთობას კონტინენტთან. ანგლო-საქსი სწავლულები იმ დროის პირობებში ხშირად სტუმრობდნენ კონტინენტზე და ცოდნით გამდიდრებულები ბრუნდებოდნენ ინგლისში. ბენედიქტ ბისკოფი, ჯაროუს მონასტრის დამაარსებელი ექვსჯერ ჩავიდა რომში და ყოველთვის ბრუნდებოდა უკან სწავლულების, მუსიკათმცოდნეების და დახელოვნებული ხელოსნების თანხლებით. გარდა ამისა მას წიგნებიც ჩამოჰქონდა. წმინდა უილფრიდი რიპონიდან სამჯარ ეწვია რომს და ორასი წიგნი ჩამოიტანა ინგლისში, რამაც იმ დროისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკა შეადგინა. კარლოს დიდის (768-814წწ.) კარზე მოღვაწეობდა სწავლული ანგლო-საქსი, სქოლასტი, იორკელი ალკუინი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამეფო კარზე გაჩაღებულ კულტურულ მოძრაობაში, რომელიც „კაროლინგური აღორძინების“ სახელით არის ცნობილი.

ამგვარად, ანგლო-საქსების გამოჩენა ბრიტანეთში, რომელიც ბარბაროსული ძალმომრეობით აღინიშნა, ქრისტიანობის გავლენის წყალობით გადაიზარდა მნიშვნლოვან საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებაში, რასაც ანგლო-საქსური სახელმწიფოების ჩამოყალიბება და მათი ევროპის კულტურულ ცხოვრებაში თანდათანობითი ჩაბმა მოყვა.

ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐᲜᲘ

VIIIს. დასავლეთ ევროპა დიდი ხიფათის წინაშე დადგა. ქრისტიანობის მეშვეობით კულტურული აღმშენებლობის გზაზე დამდგარი ეს რეგიონი ძლიერი და დაუნდობელი მტრის შეტევების ობიექტი გახდა. ეს მტერი მას სკანდინავიის და იუტლანდიის ნახევარკუნძულებიდან მოევლინა, გერმანული წარმოშობის ტომების სახით, რომლებიც დღევანდელი ნორვეგიის, შვეციის და დანიის ტერიტორიაზე სახლობდნენ. ეს ხალხი დასავლეთ ევროპაში ვიკინგების, ნორმანების და დანიელების სახელით იყო ცნობილი. კიევის რუსეთში მათ ვარიაგებს უწოდებდნენ, ხოლო საქართველოში – ვარანგებს. ტერმინი ვიკინგი დიდი ხნის მანძილზე გაიგივებული იყო მეკობრესთან. მოგვიანებით წარმოიშვა სხვა მოსაზრება, რომლის თანახმად სიტყვა ვიკინგი ანგლო-საქსურ ლექსიკონში აღნიშნავდა გამაგრებულ პუნქტს, რომლებსაც ეს მეკობრეები ინგლისის სანაპირო ზოლში აგებდნენ და რომლებიც მათი შემდგომი შეტევების საყრდენ წერტილებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ტერმინ დანიელებს ანუ დანებს, ეს ტომები იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ და შემდგომში დანიის სახელმწიფოს მისცეს დასაბამი. ვიკინგთა ეს ტომები ხშირად ესხმოდნენ თავს ინგლისს და ამიტომაც ისინი დანიელებადაც იწოდებოდნენ. მკაცრი ბუნება, მწირი ნიადაგი, ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის პირობების პრაქტიკული არ არსებობა აიძულებდა ამ ხალხს სარჩო-საბადებელი ძარცვა-გლეჯის მეშვეობით მოეპოვებინა. იგივე პირობებმა ჩამოაყალიბა ისინი გულად მეომრებად და დახელოვნებულ ზღვაოსნებად. მათი სწრაფმავალი, დაახლოებით 20მ სიგრძის ხომალდები, რომლებიც 30 ნიჩბის მეშვეობით მოდიოდნენ მოძრაობაში დაუღალავად სერავდნენ ზღვებისა და ოკეანეების სივრცეებს. 200-300 წლის მანძილზე ვიკინგებმა დაიპყრეს ისლანდია, შემოუარეს დასავლეთ ევროპას, შეაღწიეს ხმელთაშუა ზღვაში, დალაშქრეს იტალია, სიცილია, კონსტანტინოპოლი. ვარაუდობენ, რომ ეს მამაცი ზღვაოსნები ამერიკის კონტინენტსაც კი მიადგნენ. ჯერ კიდევ წარმართები, რომლებიც იგივე ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, რასაც ოდესღაც მათი მონათესავე ანგლო-საქსები, ვიკინგები უმოწყალოდ აოხრებდნენ მაშინდელ ცივილიზებულ ევროპას და განსაკუთრებულ სისასტიკეს ქრისტიანობისა და მისი ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ იჩენდნენ. უმოწყალოდ ინგრეოდნენ ეკლესია-მონასტრები, ნადგურდებოდა საეკლესიო ლიტერატურა, ტანჯვა-წამებით ესალმებოდნენ სიცოცხლეს ღვთისმსახურები. „ჩვენ კარგი წირვა ჩავატარეთ ჩვენი შუბის პირებზ

წამოგებული მათი თავებით“ – იკვეხნიდნენ სისხლის ღვრის ველური ჟინით შეპყრობილი ვიკინგები ინგლისში ერთ-ერთი მონასტრის დანგრევის და ბერების ამოჟლეტის შემდეგ. შიში ვიკინგთა თავდასხმების წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ IXს. დასავლეთ ევროპაში ღვთის-მსახურებაში შემოვიდა სპეციალური ლოცვა, რომელიც შემდეგნაირად იწყებოდა: „უფალო, შენ დაგვიფარე ნორმანთა მძვინვარებისაგან.“

ვიკინგები ინგლისში VIIIს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩდნენ. მათი პირველ თავდასხმას 90-იანი წლების დასაწყისში მეორე ლაშქრობა მოყვა, რომლის დროსაც მათ დაწვეს ლონდისფრანის საკათედრო ტაძარი და გაჟლიტეს ბერები. ამ ორი მარბიელი ლაშქრობის შემდეგ ვიკინგები დიდი ხნის მანძილზე აღარ გამოჩენილან ინგლისში. მაგრამ IXს. 30-იანი წლებიდან მათი შემოსევები განახლდა. ადრინდელი მარბიელი ლაშქრობებისაგან განსხვავებით, რომლებიც მცირერიცხოვანი რაზმებით ხორციელდებოდნენ, ამ შემოსევებში მრავალრიცხოვანი ლაშქრები მონაწილეობდნენ. ინგლისი ორმხრივ შეტევათა შორის მოექცა; თავდამსხმელთა ერთი ნაკადი სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან მოედინებოდა, ხოლო მეორე იუტლანდიის ნახევარკუნძულიდან. მათ სასტიკად ააოხრეს ისთ ენგლია, კენტი და შეეცადნენ ლონდონზეც მიეტანათ იერიში. ძალთა არნახული დაძაბვის ხარჯზე ანგლო-საქსების მეფე ეგბერტმა (827-839წწ.) შეძლო ვიკინგების დამარცხება. ბრძოლა ვიკინგებთან არ შეწყვეტილა არც ეგბერტის მემკვიდრის, ეტელვულფის (830-856წწ.) მეფობის ხანაში, რომელიც ცვალებადი წარმატებით უმკლავდებოდა მათ თავდასხმებს. მის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ანგლო-საქსებს უელსის კელტებმაც შეუტიეს, რომლებმაც ვიკინგების შემოსევების გამოყენება სცადეს თავისი პოზიციების აღსადგენად. თუკი ეტელვულფმა შესძლო ნაწილობრივ მაინც ეხსნა მდგომარეობა 865წ. მოყოლებული ინგლისს თავს დაატყდა ვიკინგების შემოტევების ახალი, არნახულად ძლიერი ტალღა, რომლის შეჩერება ანგლო-საქსებმა ვეღარ შესძლეს. მომხდურები არა მარტო ანადგურებდნენ ყველაფერს თავის გზაზე, არამედ სახლდებოდნენ კიდეც დაპყრობილ მიწებზე. 865-875წწ. მანძილზე მათ დაიპყრეს ისთ ენგლია, ნორთუმბრია მერსია და ესექსი. ვიკინგების ესოდენ სწრაფი წარმატება განპირობებული იყო არა მარტო მათი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობით, ან მათი ველური ჟინითა და მძვინვარე ხასიათით, არამედ იმითაც, რომ ზემოაღნიშნული სამეფოები, ცდილობდნენ თავისი ადრინდელი დამოუკიდებლობის აღდგენას, რომელიც დაკარგეს მას შემდეგ, რაც გაერთიანებულ იქნენ უესექსის ბატონობის ქვეშ. ამის გამო ზოგიერთი მათგანის მმართველი დამპყრობლებს უჭერდა მხარს, რაც ხელს უწყობდა ვიკინგების წარმატებას. მოვლენათა ამგვარი მსვლელობა არნახულად ართულებდა უესექსის სამეფოს მდგომარეობას, რომელსაც სულ უფრო უჭირდა მტრის შემოტევების მოგერიება. ანგლო-საქსების წინაშე მათი ვიკინგების მიერ სრული დაპყრობის პერსპექტივა იშლებოდა. მაგრამ მოგვიანებით მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ანგლო-საქსების სამეფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული უესექსის მეფის ალფრედის (871-899წწ.) სახელთან, რომელსაც მისი მრავალმხრივი აღმშენებლობითი საქმიანობის გამო შთამომავლობამ დიდის სახელი უბოძა. თავისი მეფობის მეორე წელსვე ალფრედმა დაამარცხა დანიელები, რომლებმაც მას თავად სთხოვეს დაზავება. მაგრამ 877წ. დასაწყისში მათ განაახლეს შეტევები, რომლებიც მოულოდნელი აღმოჩნდა ალფრედისათვის. ალფრედი დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. დანიელები უესექსს დაეპატრონენ. მაგრამ მათი ბატონობა უესექსში დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე წლის ზაფხულში ალფრედმა, რომელმაც ბრიტები შემოირიგა წამოიწყო კონტრშეტევა, შემოიკრიბა რა გარშემო სომერსეტშირის, უილტშირის და ჰემფშირის თენები. ალფრედმა სასტიკად დაამარცხა დანიელები ედინგტონთან. დანიელების ბელადმა გუთრუმმა დაზავება ითხოვა ალფრედისათვის ხელსაყრელ პირობებზე. დანიელები სტოვებდნენ უესექსს, გუთრუმმა კი ქრისტიანობა მიიღო და აღუთქვა ალფრედს, რომ მას თავს აღარ დაესხმოდა. 879წ. ალფრედმა დანიელებთან დასდო ხელშეკრულება უედმორში, რომლის თანახმად ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი დანიელების სამფლობელოდ იქნა მიჩნეული. აქ დანიელთა კანონები მოქმედებდნენ და ამ მხარეს დეინლო (Danelaw) ეწოდა. სამხრეთ ნაწილს კი ალფრედი განაგებდა. აქედან მოყოლებული, ალფრედმა გაშალა

ენერგიული საქმიანობა, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული და არაჩვეულებრივად ნაყოფიერად გამოიყენა ქვეყნისათვის ესოდენ ნანატრი მშვიდობა. უპირველეს ყოვლისა მან სამხედრო რეფორმა გაატარა. გლეხებისაგან შემდგარი სახალხო ლაშქარი ფირდი (fyrd) ახალ პირობებში სამოქმედოდ ერთობ მოუქნელი და არაქმედითუნარიანი იყო. გლეხები არ გამოირჩეოდნენ ენთუზიაზმით, ბრძოლას სახლში დროზე დაბრუნებას ამჯობინებდნენ. ამიტომ ამ ლაშქრის ნაცვლად მან შექმნა ახალი ტიპის სამხედრო შენაერთი, რომელიც რამდენადმე წააგავდა მუდმივ ჯარს. ახალი პრინციპის საფუძველზე მოსახლეობის იმ ნაწილის ნახევარი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება მუდმივად ვადიოდა სამხედრო სამსახურს, მაშინ როცა მეორე ნახევარი სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. დანიშნულ დროს კი ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. არანაკლები ყურადღება დაუთმო ალფრედმა ფლოტს. იმისათვის, რომ სრულფასოვანი წინააღმდეგობა გაეწია ვიკინგებისთვის, ალფრედმა წამოიწყო ახალი ყაიდის ხომალდების მშენებლობა, რომლებიც ორჯერ უფრო დიდი იყვნენ მათ ხომალდებზე და რომლებიც 60 ნიჩბით იმართებოდნენ. ძლიერი ფლოტის მეშვეობით ალფრედმა თანდათანობით აღკვეთა ვიკინგების თავდასხმები ინგლისის ნაპირებზე. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამაგრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ციხე-ქალაქების მშენებლობას. ამგვარი ციხე-ქალაქების მშენებლობა ალფრედმა წამოიწყო ძირითადად ძველი რომაული ქალაქების ნაშთებზე. ეს ციხე-ქალაქები, ანგლო-საქსურად ბურგები (burghs), შემდგომში ინგლისურად ბოროდ წოდებული (borough) იქცნენ არა მარტო დანიელების თავდასხმების მოგერიების საშუალებად, არამედ თანდათანობით გადაიქცნენ მეფის ხელისუფლების დასაყრდენადაც. აარსებდნენ რა ქალაქებს, ალფრედი და შემდგომ მისი მემკვიდრეებიც მათ მთელ რიგ პრივილეგიებსაც უბოძებდნენ, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ციხე-ქალაქების უფლება თვითონ აეკრიფათ გადასახადები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო ხაზინაში შედიოდა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია განამტკიცებდა სამეფო ხელისუფლებას და ზრდიდა მის მომხრეთა რიცხვს. ციხე-ქალაქებისათვის მიწების ბოძება კი უფრო აძლიერებდა მათი მოსახლეობის საბრძოლო შემართებას. მიწის დაცვა მათი უშუალო პასუხისმგებლობაში იყო, რისთვისაც მოქალაქეები საკუთარი რიგებიდან სპეციალურ შენაერთებს აყალიბებდნენ.

მეფე ალფრედის ამ დაუღალავ მოღვაწეობას მოგვიანებით შესაბამისი შედეგები მოყვა. 880წ. ინგლისს კვლავ თავს დაესხნენ ვიკინგები ჰასტინგსის მეთაურობით. მათ ადგილობრივი დანიელების ბელადი გუთრუმიც შეუერთდა, რომელმაც უედმორის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა დახმარებოდა თავის თვისტომებს ალფრედის წინააღმდეგ. მაგრამ ალფრედმა სასტიკი დამარცხება აგემა ვიკინგებს. საზაო ხელშეკრულების მიხედვით უესექსის საზღვრები დეინლოს სიღრმეში შეიჭრა. ალფრედმა დაიბრუნა ლონდონი და ესექსის ტერიტორიის ნახევარი. ამ გამარჯვებამ ალფრედი ანგლო-საქსების უცილობელი ლიდერი გახადა. იმ დროიდან მოყოლებული შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მხარეთა შორის. დანიელებმა ხელი აიღეს შეტევით ოპერაციებზე და თავდაცვაზე დაიწყეს ზრუნვა. ალფრედის მიერ ჩატარებულმა გარდაქმნებმა მისი მემკვიდრეების დროსაც იჩინეს თავი. ალფრედის ვაჟმა ედუარდმა (899-924 წწ.) დანიელების ბატონობისაგან გაანთავისუფლა ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო. ხოლო მისმა ვაჟმა ეთელსტანმა (924-940წწ.) აიღო იორკი და ნორთუმბრიაში მცხოვრები ვიკინგები დაიმორჩილა მას შემდეგ, რაც დაამარცხა მათი ბელადი ოლაფი და მისი მოკავშირე კელტები (გოიდელები). Xს. 50-იანი წლებში ანგლო-საქსი მეფეების ხელისუფლებას მთელი ინგლისი დაემორჩილა.

ანგლო-საქსური სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ვიკინგების ძალაუფლების დამხობა თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა. ანგლო-საქსებმა არ განდევნეს დანიელები. დამარცხებულები ადგილზევე რჩებოდნენ და ერწყმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მით უმეტეს, რომ ისინი ისედაც ენათესავებოდნენ ერთმანეთს. მათ თავისი კვალი დაამჩნიეს ტოპონიმიკასაც (ინგლისის ჩრდილო--აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი დეინლო). თავის მხრივ ბრძოლამ მომხდურების წინააღმდეგ კიდევ უფრო შეკრა ერთ ხალხად ანგლო-საქსები და გარკვეულწილად აამაღლა მათი ეთნიკური ცნობიერება.

მაგრამ ანგლო-საქსური სახელმწიფოს აღორძინება შეჩერებულ იქნა 980წ. ამ ხანიდან მოყოლებული 990წ.-ამდე დანიელებმა განაახლეს თავდასხმები. ამჯერად ესენი იყვნენ არა ინგლისში მოსახლე ვიკინგები, არამედ დანიიდან მოსული მეკობრეები. მეფე ეთელრედმა (978-1016 წწ.), რომელიც ვერც პირადი ღირსებებით და ვერც ქვეყნის მეთაურისათვის საჭირო უნარით გამოირჩეოდა, რისთვისაც უწიფარის (Unready) მეტსახელი დაიმსახურა, თავდაპირველად სცადა გამოსასყიდის მეშვეობით დაეხსნა ქვეყანა. მან შემოიღო საყოველთაო გადასახადი, ე.წ. დანიური ფული (Danegeld), რომელსაც მომხდურებს უხდიდა. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა დანიელები. შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ეთელრედის წინდაუხედაობამ. მი'მით შეპყრობილმა, მან 1002წ. ბრძანება გასცა გაეწყვიტათ ინგლისში მცხოვრები ყველა ვიკინგი, მათ შორის დანია-ნორვეგიის გაერთიანებული ვიკინგთა სამეფოს მეფის, სვეინის და, ქრისტიანობას მოქცეული გუნჰილდა. განრისხებულმა სვეინმა ცეცხლსა და მახვილს მისცა სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისი. ვიკინგების ეს საზარელი თარეში ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. ქვეყნის აოხრებისა და დიდი გამოსასყიდის მიღების შემდეგ სვეინი უკან გაბრუნდა. მაგრამ 1013წ. იგი კვლავ შემოესია ინგლისს, ააოხრა და დაიპყრო მისი უდიდესი ნაწილი. ეთელრედის ძალაუფლება მხოლოდ უესექსზე ვრცელდებოდა. მიხვდა რა წინააღმდეგობის გაწევის უაზრობას ეთელრედი კონტინენტზე გაიქცა. მან საფრანგეთს, კერძოდ ნორმანდიას მიაშურა, სადაც ადგილობრივი ჰერცოგის, რობერ ავის კარზე ჰპოვა თავშესაფარი. ეთელრედმა რობერის და, ემა ითხოვა ცოლად.

ეთელრედის გაქცევის შემდეგ ტახტი ფაქტიურად სვეინის განკარგულებაში დარჩა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ქნუთი (ქანუთი) (1016-1035წწ.). ქნუთის ძალაუფლება ვრცელდებოდა ვეებერთელა სახელმწიფოზე, რომელიც მოიცავდა ნორვეგიას, შვეციას, დანიას, ინგლისს, შოტლანდიას. ეს პოლიტიკური გაერთიანება, რასაკვირველია, უფრო ძალაზე იყო დამყარებული, ვიდრე ეკონომიკური თუ ეროვნული ერთობის აუცილებლობაზე. მაგრამ თავად ქნუთი ერთობ გამჭრიახი და გონიერი მმართველი გამოდგა. ის უფრო მეტად წააგავდა ანგლო-საქსების სასიკეთოდ მოქმედ მეფეს, ვიდრე დაუნდობელ და სასტიკ ვიკინგთა ბელადს. მისი ძალაუფლების ქვეშ ინგლისმა დაიმკვიდრა ხანგრძლივი მშვიდობა, მკვიდრი მოსახლეობა არ განიცდიდა რაიმე შევიწროვებას, ხოლო ქრისტიანი სამღვდელოება მეფის მუდმივი ზრუნვის ობიექტი იყო, რომელიც თითქოს ცდილობდა ამგვარი პოლიტიკით თავისი წინაპრების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოესყიდა. განსაკუთრებით შეურიგებელი იყო ქნუთი გამომძალველებისა და მექრთამეების მიმართ. „მე არ მინდა უსამართლო გზით შემოსული ფული — ამბობდა იგი, ხალხის კეთილდღეობისათვის მე არაფერს არ დავიშურებ და საკუთარ თავსაც არ დავზოგავ." მისი მეფობა მშვიდობისა და კეთილდღეობის ხანას წარმოადგენდა.

თითქოსდა ინგლისის ბედი მჭიდროდ უკავშირდებოდა ვიკინგების ჩრდილოეთის იმპერიას, მაგრამ ერთპიროვნულ ძლიერებაზე აგებული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა ხანგძლივი არ გამოდგა. ინგლისი ვერ დარჩებოდა ამ ხელოვნურად შექმნილი გაერთიანების შემადგენლობაში. და თითქოს ამის გამოხატულებას წარმოადგენდა ქთუნის შვილების ჰაროლდისა (1035-1040წწ.) და ჰარდიქანუთის (1040-1042წწ.) მეფობა. მათი აღვირახსნილი ხასიათი, ძალმომრეობის თარეში, რომელიც გაბატონებული იყო ინგლისში ნიადაგს აცლიდა პროვიკინგურ პოლიტიკას. ვიკინგების მიერ გატარებული პოლიტიკის ეპიცენტრად ჩრდილოეთის გადაქცევა განვითარების შემდგომ ბიძგს ვერ მისცემდა ინგლისს. სწორედ ამიტომ 1042წ ტახტზე კვლავ აყვანილ იქნა ანგლო-საქსური დინასტიის წარმომადგენელი, ეთელრედის ვაჟი ედუარდი (1042-1066წწ.).

ვიკინგთა შემოსევები, რომლებიც, ყველაზე მძიმე პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს ბრტინეთის ისტორიაში არ ყოფილა აბსოლუტურად უშედეგო. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ანგლო-საქსური საზოგადოების წიაღში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგად ქვეყანამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ. ვიკინგების შემოსევებმა, გაძლიერებულმა ომებმა კიდევ უფრო გაზარდეს ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელობა, მეფის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. მეფის ხელისუფლებას სრული, მაგრამ არა განუსაზღვრელი ხასიათი ჰქონდა. მეფე მართვა-გამგეობას ანხორციელებდა თავისებურ ბრძენ კაცთა საბჭოს მიერ, რომელსაც უიტანი (უიტენაგემოტი) ეწო-

დებოდა. მის შემადგენლობაში წარჩინებული ერისკაცები და მაღალი რანგის ღვთისმსახურები შედიოდნენ. უიტანი სათავეს ანგლო-საქსების უძველესი წარსულიდან იღებდა. მას მეფეების არჩევის, გადაყენების და დასჯის უფლებაც კი ჰქონდა, რასაც ჰქონია კიდევაც ადგილი ანგლო-საქსების ისტორიაში მათი ბრიტანეთში გადასახლების შემდეგ. უიტანს სათათბირო ფუნქციები ჰქონდა და აგრეთვე უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა. მართალია, იგი მეფის გადაწყვეტილებით იკრიბებოდა, მაგრამ მისი არსებობა პრეცედენტს ქმნიდა მომავალში სათათბირო თუ სხვა სახის ორგანოს მოთხოვნისათვის.

მეფის გაძლიერებული ხელისუფლება ეყრდნობოდა მოსახლეობის იმ ფენას, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა გახშირებულ სამხედრო მოქმედებებში. ადრე ანგლო-საქსურ საზოგადოებაში ყოველი მიწათმოქმედი-მეთემე მეომარი იყო. ომის წარმოების ახალმა, უფრო რთულმა ხასიათმა, განსაკუთრებით ვიკინგების შემოსევების ხანაში უფრო სპეციფიკური გახადა სამხედრო საქმე. იგი შესაბამისად არა ყველა გლეხის, არამედ გარკვეული, ვიწრო კლასის პროფესიად იქცა. ასეთ პირობებში საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არ ფლობდა იარაღს და შესაბამისად მისი ხმარების ოსტატობას სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა სამხედრო ფენაზე. ეს ფენა ომის საფრთხის პირობებში იცავდა საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. სანაცვლოდ მიწათმოქმედთა ფენა მათ სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა და გადასახადს უხდიდა. ამგვარი მფარველი უკვე აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგალითად 930წ. მეფე ეთელსტანმა გამოსცა კანონი, რომლითაც ყველა თავისუფალ ადამიანს ებრძანებოდა მოეძებნა ბატონი (ლორდი Lord), წინაღმედეგ შემთხვევაში კანონი პასუხს არ აგებდა მისი სიცოცხლის და ქონების უსაფრთხოებაზე. მეფისავე ბრძანებით ბატონებს უფლება ეძლეოდათ თავისი კერძო სამართლით გაესამართლებინათ მათ მფარველობაში შესული პირები და აეკრიფათ სასამართლო გადასახადები. მიწათმფლობელი-ლორდების ძალაუფლებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მათ მამულებში, რომლებსაც მანორი ეწოდებოდა, გამოიყენებოდა იმ კატეგორიის გლეხთა შრომა, რომლებიც ადრე უცნობი იყვნენ. მაგ. 1000წ. დათარიღებულ ერთ ინგლისურ საბუთში მოხსენებული არიან უკვე არა კერლები, როგორც ადრე თავისუფალი მეთემე გლეხები იწოდებოდნენ, არამედ გენიტები, ასევე თავისუფალი მიწათმფლობელები, მაგრამ თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ისინი გადასახადებს უხდიდნენ მეფესა და ლორდებს. გამოჩნდა გლეხთა ახალი კატეგორია, გებურები, რომლებიც არა თავის, არამედ ბატონის მიწაზე ისხდნენ, ასრულებდნენ საბატონო ბეგარას და იხდიდნენ ნატურალურ გადასახადს. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად იცვლებოდა მიწის ფლობის ფორმაც. მიწის ფლობის ტრადიციულ ფორმას, ფოლკლენდს (folkland), რომელსაც ჩვეულებითი სამართალი ედო საფუძვლად სულ უფრო ცვლიდა ბუქლენდი (Bookland), რომელიც სამეფო სიგელით (Book) განისაზღვრებოდა. თანდათანობით მცირდებოდა გლეხების განკარგულებაში მყოფი მიწის ნაკვეთი ჰაიდი. Xს. იგი ადრინდელი ფართობის ერთ მეოთხედს შეადგენდა, ამგვარი ცვლილებები გაცილებით მეტი ინტენსიურობით მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ინგლისში, დეინლო კი მეტად ინარჩუნებდა ძველ პატრიარქალურ ურთიერთობას. იქ დასახლებულ ვიკინგებს გვაროვნული პრინციპებისაკენ ჰქონდათ ლტოლვა, რადგანაც სკანდინავიის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ სინამდვილეში აღნიშნული ურთიერთობების რღვევა გაცილებით ნელა მიმდინარეობდა.

ვიკინგების შემოსევებმა მძიმე დაღი დაასვა აღნიშნული პერიოდის ინგლისის კულტურას. განადგურდა კულტურის უამრავი ცენტრი და ძეგლი. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო მოეღო კელტური კულტურის აყვავებას ირლანდიაში, ეკლესია-მონასტრების განადგურებამ გამოიწვია მინიატურების ნორთუმბრიული სკოლის დაქვეითება. განადგურებულ იქნა უამრავი წიგნი და ხელოვნების სხვა ნიმუში. ანგლო-საქსების კულტურა ისეთივე სავალალო მდგომარეობაში მოვიდა, როგორშიაც მათი სახელმწიფოებრიობა აღმოჩნდა. და აქაც, როგორც ქვეყნის უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან გამოხსნაში, უდიდესი როლი შეასრულა მეფე ალფრედ დიდმა. იყო რა თავად განათლებული ადამიანი (იგი კარგად ფლობდა ლათინურ ენას) იგი პირადად ჩაუდგა სათავეში განათლების საქმეს, ხსნიდა სკოლებს, იწვევდა კონტინენტიდან იმ დროის ცნობილ

სწავლულებს. ალფრედმა პირადად გადათარგმნა ინგლისურ ენაზე რომაელი ავტორების ოროზიუსის და ბოეციუსის თხზულებები ისტორიასა და ფილოსოფიაში, ბიდის ნაშრომი. მისი განკარგულებით ანგლო-საქსი ზღვაოსნები იკვლევდნენ ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის სანაპიროებს. ალფრედი ცდილობდა გაეფართოებინა ანგლო-საქსური სამეფოს დიპლომატიური ასპარეზი, შეეკრიბა ცნობები უცხო ქვეყნებზე, რისთვისაც აგზავნიდა ელჩობებს იერუსალიმსა და ინდოეთში.

ბრძოლა უცხოელ დამყრობლებთან ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების და საერთოდ, სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას. ამის გარეშე შეუძლებელი იყო მტრის მოგერიება. სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისი სტრუქტურების შემდგომი სრულყოფის ერთ-ერთი გამოხატულება იყო სამართლის სისტემის შემდგომი დახვეწა. ალფრედმა ბრძანა შეეგროვებინათ ძველი ანგლო-საქსური სამართლის ძეგლები, დაუმატა მათ მისი მეფობის ხანაში გამოცემული კანონები. ეს გაერთიანებული კოდექსი ინგლისის ისტორიას შემორჩა როგორც „ალფრედის სამართალი."

ალფრედის დაუღალავმა საქმიანობამ შესაბამისი ნაყოფი გამოიღო. ანგლო-საქსური კულტურა აღმავლობის გზას დაადგა, ხოლო სახელმწიფოებრიობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა.

ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელთა მიერ

912წ. ნორვეგიელ ვიკინგთა მარბიელი რაზმი როლფის მეთაურობით ჩრდილოეთ საფრანგეთში შეიჭრა და მდინარე სენის შესართავის მიმდებარე მიწები დაიპყრო. მომხდურებმა მოსთხოვეს საფრანგეთის მეფეს შარლ IV ეცნო მათი ძალაუფლება დაპყრობილ ტერიტორიაზე. კაროლინგების დაძაბუნებული დინასტიის ამ წარმომადგენელმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ძლევამოსილ დამპყრობლებს და ამით საფრანგეთის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ვიკინგურ სამთავროს. მომხდურები ადგილობრივი მოსახლეობისაგან ტრადიციისამებრ ნორმანები იყვნენ. მათმა სახელმა განაპირობა დაპყრობილი მიწის შემდომი დასახელება, ნორმანდია, ხოლო მის მცხოვრებებს ვიკინგებისა და ადგილობრივთა აღრევის შედეგად ნორმანდიელებს უწოდებდნენ. ვიკინგებმა მიიღეს ქრისტიანობა, აითვისეს ფრანგული ენა და თანდათანობით იქცნენ ფრანგული საზოგადოების განუყოფელ ნაწილად. იმ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ძვრების ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ იმ დროის დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში, და რომლებიც გამოიხატა ფეოდალიზმის საბოლოო ჩამოყალიბება-განმტკიცებაში ნორმანდიელებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ ინსტიტუტის ინგლისში დამკვიდრებასა და განვითარებაში.

ამ პროცესს ინგლისის ნორმანდიელთა მიერ დაპყრობამ დაუდო სათავე. დაპყრობა ნორმანდიის მმართველის, ჰერცოგ გიიომის სახელთან არის დაკავშირებული. მისი პიროვნება წარმოსდგება როგორც იმ ფასეულობათა და თვისებების მატარებელი, რომლებიც ესოდენ დამახასიათებლები იყვნენ ფეოდალური ხანისათვის, როდესაც მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცება, პირადი დამოკიდებულება და ჩაგვრა თავისებურად ერწყმოდა რაინდულ სულისკვეთებას, ვაჟკაცობას და მთლიანობაში ეპოქას თავისებურ რომანტიკულ საბურველში ახვევდა. არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის მქონე, მამაცი მეომარი, დახელოვნებული სარდალი, გიიომი ამავე დროს გამოირჩეოდა არნახული სისასტიკითა და ულმობელი ხასიათით. „ვერვინ ბედავდა მასთან შეპასუხებას, იმდენად ძალოვანი და ავი ზნისა იყო" — წერდა შემდგომ გიიომზე ინგლისელი მემატიანე. სწორედ ამგვარი პიროვნება შესძლებდა დაემკვიდრებინა თავის თავი იმ ხანაში, როდესაც ყველაფერს ძალა, სიმამაცე, ხასიათის სიმტკიცე და მახვილის ფლობის უნარი სწყვეტდნენ. გიიომმა ეს დაამტკიცა ჯერ კიდევ თავის სიჭაბუკეში, როდესაც მამამისის, ჰერცოგ რობერის სიკვდილის შემდეგ სისხლისმღვრელ და სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა და დაიმორჩილა თავგასული ბარონები, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მცირეწლოვანი ვაჟი, ჰერცოგის უკანონო შვილი ადვილად იქცეოდა მათ ხელში მარიონეტად. მოგვიანებით კი გიიომმა ინგლისს მიაპყრო თვალი.

ინგლისისა და ნორმანდიის დაახლოება დაიწყო ინგლისის ტახტზე ეთელრედის ვაჟის ედუარდის გამეფების შემდეგ, 1042წ.. ედუარდი ნორმანდიაში გაიზარდა, შეისისხლხორცა ფრანგული ენა, წეს-ჩვეულებები. ინგლისში დაბრუნებისთანავე მას ნორმანდიიდან ჩაყყვა ბევრი იქაური წარჩინებული ღვთისმსახური თუ ერისკაცი. დროის უდიდეს ნაწილს ედუარდი სწორედ მათ წრეში ატარებდა. იგი უფრო ფრანგი იყო თავისი სულით, ვიდრე ანგლო-საქსი. უდრტვინველი ხასიათის, ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში იგი მთელი არსებით ჩაერთო საეკლესიო ცხოვრებაში და ფაქტიურად არ მონაწილეობდა სახელმწიფოს მმართველობაში. მისი სახელით ქვეყანას მართავდა გავლენიანი კარისკაცი, გოდვინთა გვარის წარმომადგენელი ჰაროლდი, უესექსის ერლი. ენერგიული და უნარიანი ადმინისტრატორი და სარდალი, ჰაროლდი წარმატებით უზრუნველყოფდა წესრიგს ქვეყნის შიგნით თუ მის საგარეო უსაფრთხოებას, ასევე ღღენიადაგ იღვწოდა იგი თავისი პირადი ძალაუფლების გაძლიერების და საკუთარი სამფლობელოების გაფართოებისათვის. მაგრამ ამასთან ერთად ინგლისი გარკვეულწილად მოწყვეტილი იყო კონტინენტს. ცხოვრობდა ჩაკეტილი ცხოვრებით და განზე იდგა იმ ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული სიახლეებისაგან, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კონტინენტზე.

ჰერცოგ გიიომის ლტოლვას ინგლისისაკენ შემდეგი უშუალო მიზეზები ჰქონდა. გიიომი და მეფე ედუარდი მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ. გიიომის მამა, ჰერცოგი რობერი ედუარდის დედის, ემას ძმა იყო. თავად ედუარდი კი, რომელსაც მისი დიდებულის, ჰაროლდის და ჰყავდა ცოლად, უშვილო იყო. არსებობს მოსაზრება (თუმცაკი მას თავად გიიომი ავრცელებდა), რომ მისი ინგლისში ერთ-ერთი სტუმრობის დროს ედუარდმა მას აღუთქვა, რომ თავის ტახტს გადაულოცავდა. ეს პრეტენზია მოგვიანებით კიდევ უფრო გაძლიერდა. ჰაროლდის ნორმანდიაში სტუმრობის დროს გიიომმს მოტყუებით აიძულა იგი ფიცი დაედო წმინდა ნაშთებზე, რომ ჰაროლდი მას მხარს დაუჭერდა ინგლისის ტახტის დაუფლებაში.

მეფე ედუარდი, რომელმაც თავისი ღვთისმოსავობის გამო აღმსარებლის სახელი დაიმკვიდრა 1066წ. გარდაიცვალა. მემკვიდრის არ ყოფნის გამო, ძველი ანგლო-საქსური ტრადიციების თანახმად უიტენაგემოტს უნდა ქვეყნის ახალი მმართველი აერჩია. არჩევანი სავსებით კანონზომიერად ჰაროლდზე შეჩერდა, რომელიც აკურთხეს მეფედ. ამ ამბავმა ჰერცოგ გიიომის არნახული რისხვა გამოიწვია. გიიომმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა დაემხო ჰაროლდი. იმისათვის, რომ თავისი ქმედებისათვის გარკვეული პოლიტიკური და ზნეობრივი გამართლება მიეცა გიიომმა აცნო პაპს, რომ ილაშქრებდა წმინდა ფიცის გამტეხის წინააღმდეგ. ნადავლის ნაწილს შეპირებულმა პაპმა გრიგოლ VII, რომელიც იმავდროულად ისწრაფოდა კვლავ დაექვემდებარებინა ედუარდ აღმსარებლის დროს მისი კონტროლიდან გამოსული ინგლისის ეკლესია აკურთხა ლაშქრობა. გიიომმა შეკრიბა ნორმანდიელი, ბრეტონელი და ფლანდრიელი ბარონები და რაინდები და ინგლისზე გაილაშქრა. 1066წ. სექტემბერში იგი ინგლისში გადასხდა.

მეფე ჰაროლდი იმ დროს ერთობ რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ინგლისის ჩრდილოეთ სანაპიროს თავს დაესხა ნორვეგიის მეფე ჰარალდ-ჰარდრადა, რომელსაც თან ახლდა და მხარს უჭერდა ჰაროლდის ამბოხებული ძმა ტოსტიგი. ჰაროლდმა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და ჩრდილოეთს მიაშურა. იორკთან გამართულ ბრძოლაში მან დაამარცხა ნორვეგიელები და თავისი შეამბოხე ძმა. მაგრამ დრო არ იცდიდა. ინგლისში შემოჭრილი გიიომი სასტიკად აოხრებდა სანაპირო ზოლს. ამიტომ ჰაროლდი აღარ დაელოდა დამხმარე ძალებს და იმ დროისათვის მის განკარგულებაში მყოფი ლაშქრით ქვეყნის სამხრეთს მიაშურა. გადამწყვეტი ბრძოლა 1066წ. 14 ოქტომბერს მოხდა ჰასტინგსის მახლობლად. შეიძლება ითქვას, რომ მან ინგლისის შემდგომი ბედი გადაწყვიტა. თავად ბრძოლამ გამოავლინა დაპირისპირება ანგლო-საქსთა უკვე მოძველებულ და კონტინენტზე შემოსულ მოწინავე საბრძოლო ხელოვნებას შორის. ჰაროლდის ჯარში ვიკინგების დროიდან შემოსული დიდი საბრძოლო ნაჯახებით შეიარაღებული, ქვეითად მებრძოლი მოლაშქრე გლეხები სჭარბობდნენ. მათ სხვა არაფერი იცოდნენ, გარდა იმისა, რომ ერთ ადგილზე გამაგრებულებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ. მათ დაუპირისპირდა გიიომის ლაშქარი, რომლის დამკვრელ ძალას მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდები, ომის პროფესიონალები

წარმოადგენდნენ. ნორმანდიელთა ლაშქრის ტაქტიკურმა მრავალფეროვნებამ, მანევრირების უნარმა, და როგორც ყოველთვის, თავად გიიომის რიხმა, თავგანწირვამ და ბრძოლისუნარიანობამ ბრძოლის ბედი ნორმანდიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასტიკი წინააღმდეგობისა და თავისი რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად ანგლო-საქსები დამარცხდნენ. თავად ჰაროლდი ბრძოლაში დაეცა. ქვეყნის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. პრაქტიკულად ანგლო-საქს დიდებულებს არც კი გაუწევიათ რაიმე წინააღმდეგობა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო თავად გიიომის ქმედებით. მისმა მახვილგონივრულმა მანევრმა საფრთხე შეუქმნა მერსიასა და ნორთუმბრიას, რომელთა მმართველებს პოტენციურად ყველაზე მეტად შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. ედუარდ აღმსარებლის ქვრივმა მას უინჩესტერი ჩააბარა. ქვეყნის უმაღლესი სამღვდელოებაც გამარჯვებულს მიემხრო, ხოლო ანგლო-საქსების ტახტის ნომინალური პრეტენდენტი, ედმუნდ რკინისგვერდებიანის მცირეწლოვანი ვაჟი ედგარ-ეტელინგი თავად მიეახლა ჰერცოგს და შესთავაზა სამეფო გვირგვინი. ლონდონმა ქედი მოიხარა გამარჯვებულის წინაშე, მით უფრო რომ ამ უკანასკნელმა საშინლად დაარბია მისი მისადგომები. 1066წ. 25 დეკემბერს უესტმინსტერის საბატონოში მას მეფის გვირგვინი დააგდა ერქიეპისკოპოსმა ელდრედმა. გიიომი მეფედ ეკურთხა როგორც ანგლო-საქსი მეფეების ალფრედ დიდისა და ედუარდ აღმსარებლის მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი. ამის დასადასტურებლად მან სპეციალური სიგელით დაადასტურა ლონდონის ტრადიციული პრივილეგიები. გიიომი ინგლისის ისტორიოგრაფიაში შევიდა უილიამ დამპყრობლის სახელით (1066-1087წწ.)

ჰასტინგსთან გამარჯვებამ მეფე უილიამს ინგლისის გვირგვინი მოუტანა, მაგრამ ქვეყნის სრული მბრძანებელი იგი მოგვიანებით გახდა, მას შემდეგ რაც 1068-1071წწ. ჩაახშო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაწყებული აჯანყება, რომელმაც განსაკუთრებული ძალით ჩრდილოეთში იფეთქა. უილიამი არნახული სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულებს, მიწასთან გაასწორა ის საგრაფოები, რომლებმაც მას წინააღმდეგობა გაუწიეს და ბოლოს შოტლანდიაშიც შეიჭრა, რომლის მეფე მალკოლმი მხარს უჭერდა ინგლისის ტახტის პრეტენდენტს ედგარ-ეტელინგს. დამარცხებულმა მალკოლმმა შეწყვიტა წინააღმდეგობა, მიეახლა უილიამს და ერთგულება შეჰფიცა.

რა მოუტანა ინგლისს ნორმანდიელთა გაბატონებამ? ხელისუფლების ახალი ორგანოები და მართვის მაქსიმალური ცენტრალიზაცია. უცხო ქვეყანაში უილიამს და მის ნორმანდიელებს მტკიცე დასაყრდენი სჭირდებოდათ. ანგლო-საქსი მეფეების დროის უიტენაგემოტი კონსილიუმმა, სამეფო საბჭომ შეცვალა. მაგრამ თუ კი პირველი უფლებამოსილი იყო მეფე აერჩია და შორეულ წარსულში სასჯელიც კი გამოჰქონდა გვირგვინოსნებისათვის, კონსილიუმი მეფის ნააზრევის მოსმენითა და დასტურით იფარგლებოდა. უფრო ჩამოყალიბებული და მკაცრი ხასიათი მიეცა სასამართლო სისტემას. სწორედ ნორმანდიელთა გაბატონების დროიდან გაძლიერდა კერძო ანაზღაურების პრაქტიკის დამნაშავის დასჯით შეცვლის ტენდენცია.

გარკვეული სიახლე შეტანილ იქნა მიწის ფლობის სფეროშიც. უილიამი ამ საკითხში ანგლო-საქსი მეფეებისათვის უცხო პრინციპით მოქმედებდა. კერძოდ, მიწის მთელი ფონდი მეფის კუთვნილებად გამოცხადდა. აქედან მეფემ თავისთვის 1/4 დაიტოვა, 1/4 ეკლესიას უბოძა, ხოლო დანარჩენი კი თავის ბარონებსა და რაინდებს დაურიგა. ამბოხებულ ანგლო-საქს დიდებულებს მიწები ჩამოერთვათ, უილიამის გამჭრიახობამ მიწების განაწილებაშიც იჩინა თავი. იგი ისწრაფოდა კონტინენტის ფეოდალურ სისტემაში არსებული სენისაგან დაეღწია თავი, როდესაც სამხედრო სამსახურისათვის ნაბოძები მიწების ზრდა ხშირად სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირების საფუძველს ქმნიდა. ამიტომ მან ბარონების და რაინდების მიწები ინგლისის სხვადასხვა კუთხეში გაფანტა. გამონაკლისს მხოლოდ უელსისა და შოტლანდიის საზღვრებთან მდებარე საგრაფოები წარმოადგენდნენ (Marcher Earldoms), რომლებიც ერთიან მსხვილ სამფლობელოებად იყვნენ წარმოდგენილი. ამრიგად, მეფეს ვერც ერთი ქვეშევრდომი ვერ გაუტოლდებოდა სამფლობელოების ოდენობით. სამეფო დომენიდან (მისი კუთვნილი მიწებიდან) უილიამის შემოსავალი წელიწადში 11 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. მაგრამ მეფეს ხაზინაში ფული შესდიოდა აგრეთვე თავისი

ქვეშევრდომების მიწებიდან აკრეფილი გადასახადების სახით, და ე.წ. დახმარებებით, რომლებსაც მეფეს ქვეშევრდომები (თავადაზნაურობა) უხდიდნენ შვილების დაქორწინების, გათხოვების, სრულწლოვანების შემთხვევაში, მემკვიდრეობის დამტკიცებისას. მნიშვნელოვან გადასახადებს იხდიდნენ ებრაელი ვაჭრები, რომლებიც უილიამს ნორმანდიიდან ჩამოყვნენ და მეფის საკუთრებად ითვლებოდნენ.

ფეოდალური სამყაროს მნიშვნელოვან ელემენტს მსხვილ მიწათმფლობელთა ადგილსამყოფლები, ციხე-კოშკები წარმოადგენდნენ, რომელთა გარშემო თავმოყრილი იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მიწათმოქმედეთა დასახლებული პუნქტები. ნორმანდიელთა გაბატონების შემდეგ ინგლისი სწორედ ასეთი ციხე-კოშკებით დაიფარა. მაგრამ აქაც უილიამ დამპყრობლის რკინისებურმა ხასიათმა იჩინა თავი. არც ერთ ბარონსა თუ რაინდს არ ჰქონდა უფლება აეგო ციხე-კოშკი მეფის ნებართვის გარეშე და უილიამიც არ იყო ის ადამიანი, რომ ვინმეს გაებედა მისი ბრძანების დარღვევა.

სამეფო ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა მეფე უილიამის მიერ 1086წ. ჩატარებული პროცედურა, როდესაც მან სოლსბერიში თავი მოუყარა ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან მიწათმფლობელს და მეფისადმი ერთგულების ფიცი, ომაჟი (hommage) დაადებინა, განურჩევლად იმისა, იყვნენ ისინი მისი უშუალო-ვასლები თუ არა. ამან პრინციპულად განასხვავა ინგლისის სამეფო ხელისუფლება კონტინენტურისაგან. კონტინენტზე მეფე მხოლოდ თავისი უშუალო ქვეშევრდომის (ვასალის) ბატონი (სენიორი) იყო. მეფის ძალაუფლება უშუალოდ მისი ვასალის ვასალზე ვეღარ ვრცელდებოდა. ეს საშუალებას აძლევდა მეფის ვასალებს თავისი ვასალები მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რაც აადვილებდა მეფის წინააღმდეგ ბრძოლას, აღვივებდა სეპარატისტულ ტენდენციებს და საბოლოო ჯამში ქვეყანა ანარქიამდე მიჰყავდა. სოლსბერის ფიცის შედეგად კი, კონტინენტის მონარქებისაგან განსხვავებით ინგლისის მეფე თავისი თითოეული ქვეშევრდომის უშუალო ბატონი გახდა, რამაც მიწების დაქუცმაცებულად დარიგებასთან ერთად ინგლისურ ფეოდალიზმში პრაქტიკულად გამორიცხა სეპარატიზმის ტენდენციები.

ფეოდალური ურთიერთობების და ასევე სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისაკენ იყო მიმართული იმავე, 1086წ. ინგლისში ჩატარებული ოჯახების და ქონების საყოველთაო აღწერა, რომელიც არაჩვეულებრივი სიზუსტით ჩატარადა. თანადროული ხატოვანი გამოთქმით მეფის მოხელეებს არ გამოპარვიათ არც ერთი წვრილმანი ისევე, როგორც განკითხვის დღეს არ დაიმალება ყველაზე უმნიშვნელო შეცოდებაც კი. სწორედ ამიტომ აღწერის მასალებს, რომლებმაც 1087წ. ორი სქელტანიანი ტომი შეადგინეს განკითხვის დღის წიგნი ეწოდა. (Domesday Book)[7].

ამით მეფე უილიამმა მიიღო სრული ინფორმაცია თავისი ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ქონების შესახებ. მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განკითხვის დღის წიგნში მოცემულ მიწათმოქმედი მოსახლეობის კვალიფიკაციას. ანგლო-საქსი მეფეების ხანაში გლეხობა ბევრ განსხვავებულ ფენად იყოფოდა. ნორმანდიელთა გაბატონებამ ბოლო მოუღო ამგვარ მდგომარეობას. აღწერის შემდეგ სოფლის მოსახლეობის 85% მიკუთვნებულ იქნა ყმა-გლეხთა კატეგორიას. ამრიგად, ნორმანდიელთა გაბატონების შემდეგ ინგლისში საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალიზმი, რომლის საფუძველს შეადგენდა კერძო მიწათმფლობელობა, მიწის სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დარიგება და სოფლის მეურნეობის წარმართვა ყმა-გლეხების ექსპლუატაციის ხარჯზე.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასვე ემსახურებოდნენ ის გარდაქმნები, რომლებიც უილიამმა გაატარა ეკლესიაში. კენტერბერის არქიეპისკოპოსი სტიგანდი გადაყენებულ იქნა და მის ნაცვლად დაინიშნა ნორმანდიიდან გამოძახებული ლანფრანკი, რომელმაც ჯერ კიდევ კონტინენტზე ყოფნისას სახელი გაითქვა თავისი ნაყოფიერი საქმიანობით თეოლოგიის განვითარებასა და საეკლესიო

[7] ამის თაობაზე მეორე ვერსიაც არსებობს. ამბობენ, რომ აღწერის შედეგად მიღებული დადგენილებები ისეთივე შეუქცევადი და შეუვალი იყო, როგორც განკითხვის დღეს ცოდვა-მადლის გარკვევა და დადასტურება.

ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. ამ ცვლილებას მოჰყვა დანარჩენი ანგლო-საქსი მღვდელმთავრების უმრავლესობის შეცვლა ნორმანდიელი ღვთისმსახურებით. საკადრო ცვლილებებმა მართლაც უფრო მეტი დისციპლინა და რელიგიური აღმაფრენა შესძინეს ინგლისის საეკლესიო ცხოვრებას. უილიამ დამპყრობელმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა მღვდელმთავრების დანიშვნა და კანდიდატების შერჩევისას თანამედროვის თქმით უცილობელ უპირატესობას აძლევდა პიროვნების სიბრძნესა და ღვთისმოსავობას. ამგვარად, ეკლესიაში უმაღლესი თანამდებობები მეფის ერთგულ ადამიანებს ჰქონდათ დაკავებული. ეკლესიის მეფის ხელისუფლებაზე დამოკიდებულების გაძლიერებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ეპისკოპოსები საერო ფეოდალების მსგავსად ვალდებულები იყვნენ მეფისათვის ერთგულების ფიცი დაედო. მეფის ნებართვის გარეშე ეკლესია მის ვერც ერთ ქვეშევრდომს ვერ შეაჩვენებდა. მეფის ნებართვა საჭირო იყო ნებისმიერი საეკლესიო კრების დადგენილების გამოსატანად. მეფე უილიამმა შეზღუდა თვით პაპის პრეტენზიები. პაპის ბულას[8] მეფის ნებართვის გარეშე ინგლისში ძალა არ ჰქონდა, ხოლო თავად უილიამმა არ სცნო თავი პაპ გრიგოლ VII ვასალად.

მაგრამ უილიამის, როგორც ადმინისტრატორის გამჭრიახობა ამით არ ამოწურულა. როგორც დამპყრობელი მეფე იგი ფეოდალური და სამხედრო ბერკეტებით ახორციელებდა ბატონობას თავის ქვეშევრდომებზე. მაგრამ ის ცდილობდა ანგლო-საქსი მეფეების მემკვიდრის ფორმალური სტატუსის გამოყენებას, რათა ზოგიერთი ძველი ანგლო-საქსური ინსტიტუტის მეშვეობით აელაგმა თავისივე ნორმანდიელი ბარონების შესაძლო პრეტენზიები, გაეწონასწორებინა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ამით გარკვეული დასაყრდენი მოეპოვებინა ადგილობრივ მოსახლეობაში. მან არ დაითხოვა სახალხო ლაშქარი (ფირდი), რათა საჭიროების შემთხვევაში დაეპირისპირებინა იგი მეამბოხე ფეოდალებისათვის. ძალაში დატოვა აგრეთვე ანგლო-საქსური ხანის ათეულისა და საგრაფოს სასამართლოები, რომლებშიც მონაწილეობდა ქვეყნის ყველა თავისუფალი მცხოვრები, რომლებიც ამ პრივილეგიით სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მაგრამ მეფის ხელისუფლების სასარგებლოდვე ეს სასამართლოები სამეფო სასამართლოს დაუქვემდებარეს. შენარჩუნებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის სისტემაც. ძალაში დარჩა შერიფის ინსტიტუტი. მაგრამ მეფემ მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი უფლებები, შერიფი იქცა მეფის უშუალო წარმომადგენლად, რამაც თავის მხრივ განამტკიცა ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები.

უილიამ დამპყრობლის დაუღალავმა მეცადინეობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო იმ ჩამოყალიბებული და ქმედითუნარიანი მმართველობის სისტემის სახით, რომელიც მისი მეფობიდან მოყოლებული დაინერგა ინგლისში. ეს სისტემა დაფუძნებული იყო ფეოდალურ მიწათმფლობელობასა და ვასალურ ვალდებულებებზე, მტკიცე ცენტრალურ ხელისუფლებასა და მოქნილ ადგილობრივ მმართველობაზე.

უილიამ დამპყრობლის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეობა შემდეგნაირად განაწილდა: უფროს ვაჟს, რობერს ნორმანდია ერგო, შუათანასა და მამის რჩეულს უილიამს (წითურად წოდებულს) — ინგლისი, ხოლო უმცროსს, ჰენრის — 5 ათასი მარკა (3 300 გირვანქა სტერლინგი). უილიამ II (1087-1100წწ.) პრაქტიკულად მამის პოლიტიკას აგრძელებდა რაშიც მას უწყობდნენ ხელს როგორც პირადი თვისებები (სიმკაცრე, სიმამაცე), ასევე დამპყრობლის ნაღვაწი. მის წინააღმდეგ რამოდენიმე ამბოხებამ იფეთქა, მაგრამ მეფემ შედარებით ადვილად ჩაახშო ისინი როგორც თავისი სამხედრო ნიჭის წყალობით, ასევე იმიტომაც, რომ ქალაქის თუ სოფლის თავისუფალი მოსახლეობა მეფეს მიემხრო. ამ უკანასკნელთ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება ერჩივნათ ბარონების უთავბოლო ანარქიას. უილიამ დამპყრობლის ბრძნულმა პოლიტიკამ, თავისუფალი მოსახლეობის წახალისების მეშვეობით იგი სამეფო ხელისუფლების დასაყრდენად ექცია, ნაყოფი გამოიღო.

---

[8] რომის პაპის ბრძანებულება, რომელიც ოფიციალური დოკუმენტის სახით იგზავნებოდა ადგილებზე.

მაგრამ უილიამ II პოლიტიკას უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. მამისგან განსხვავებით მან ეკლესიის ორგანიზაციულ განმტკიცებას კი არა, არამედ მის შევიწროვებას და სამონასტრო მიწების მიტაცებას მიჰყო ხელი. იმ რელიგიური აღმავლობის ფონზე, რომელიც ინგლისში ნორმანდიელთა გაბატონებას მოყვა ამგვარმა ქმედებამ გარკვეულწილად შეარყია მეფის ხელისუფლების ზნეობრივი საფუძვლები. ცვალებადი შედეგები იყო სამხედრო ასპარეზზეც. შოტლანდიელთა მეფის, მალკოლმის დამარცხებას თავად უილიამ II მარცხი მოჰყვა უელსში. მოგვიანებით, უცნაურ პირობებში, ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა უილიამ II, იგი ტყეში იპოვეს ნადირობისას ისრით გულგანგმირული.

მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უმცროსი ძმა ჰენრი, რომელიც სხვათა შორის იმ საბედისწერო ნადირობის მონაწილე იყო.

ჰენრი I (1100-1135წწ.) მეფობის ხანაში აღსანიშნავია ის გარდაქმნები, რომლებიც მან გაატარა ქვეყნის მმართველობის სისტემაში. მამის მსგავსად, იგი ცდილობდა დაეახლოებინა ნორმანდიული დინასტია ძველ ანგლო-საქსურ ტრადიციებთან. ამიტომაც მის მიერ ნაბოძებ ქარტიაში მეფემ განაცხადა, რომ წარმართავდა საქმეებს ედუარდ აღმსარებლის კანონების შესაბამისად. ქარტიამ აღადგინა უილიამ II მიერ ეკლესიის შელახული უფლებები, გააუქმა დამპყრობლის მიერ ფეოდალებზე დაწესებული ყველაზე მძიმე გადასახადები, მაგრამ მათაც მოსთხოვა რაინდებისა და მოქალაქეების გადასახადების შემსუბუქება. ფეოდალებს ასევე არ უნდა ეთქვათ უარი თავისი ვასალების მოთხოვნაზე, სასამართლოში გაერჩიათ მათი საჩივრები. ჰენრი I ქარტია ერთობ მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში. წარმოსდგებოდა რა ერთ მხრივ როგორც ძველი ანგლო-საქსი მეფეების მიერ ნაბოძები ცალკეული პრივილეგიის თავისებური გაგრძელება, იგი გარკვეულ გონივრულ ჩარჩოებში აქცევდა როგორც სამეფო ხელისუფლებას, ასევე მის ქვეშევრდომებს და მათი ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებას იძლეოდა საკანონმდებლო საფუძველზე. ნორმანდიელთა მიერ დაფუძნებული მონარქია, რომელიც დაპყრობის მეშვეობით წარმოიშვა, თავიდანვე ერთობ ძლიერი იყო და ჰქონდა თვითდარეგულირების საშუალება. ეს მნიშვნელოვნაედ განასხვავებდა ინგლისის მონარქიას იმათგან, რომლებიც კონტინენტზე ყალიბდებოდნენ. ეს უკანასკნელნი თავიდან ერთობ სუსტები იყვნენ, პოზიციების განმტკიცება ძლიერ ვასალებთან მძიმე და ხანგძლივი ბრძოლის შემდეგ უხდებოდათ, რამაც შემდგომ მათ ყოვლად შეუზღუდავი, ხშირი ტირანული ხასიათი შესძინა.

შემდგომი განვითარება ჰპოვა მართვის სისტემამაც. სამეფო საბჭოდან თანდათან გამოიკვეთა ე.წ. სამეფო კურია (Curia Regis), მეფესთან დაახლოებული პირების ვიწრო ჯგუფი. მათი რიგებიდან გამოვიდა იუსტიციარი, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც უფლებამოსილი იყო მეფის სახელით ემოქმედა. თავისი მნიშვნელობით მომდევნო იყო კანცლერი (Chancellor), რომელიც სამართლის აღსრულებას და სახელმწიფო აპარატის საქმიანობას განაგებდა. გადასახადების აკრეფის და საერთოდ ფულადი შემოსავლის და გასავლის კონტროლი ხაზინას (Exchequer) დაევალა. ამ დაწესებულების სახელი წარმოსდგება იმ კუბოკრული (Chequered) ქსოვილიდან, რომელიც გადაფარებული იყო იმ მაგიდაზე, რომლის გარშემოც ფინანსური საკითხების განსახილველად თავდაპირველად იკრიბებოდნენ სამეფო კურიის წევრები.

ამრიგად, ნორმანდიელთა გაბატონებამ დაამკვიდრა ინგლისში ის საზოგადოება, რომელსაც უკვე ფესვი ჰქონდა გადგმული დასავლეთ ევროპაში და რომლის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები სხვებთან ერთად იყო დისციპლინა და ორგანიზებულობა. საზოგადოებაც სწორედ ამ პრინციპით იყო დაყოფილი ძირითად სოციალურ ჯგუფებად, რომელთა ფუნქციები მკვეთრად იყო განსხვავებული: ერთი ჯგუფი შრომობდა (გლეხები), მეორე იბრძოდა (ფეოდალები) და მესამე ლოცულობდა. (სამღვდელოება).

მაგრამ ნორმანდიელთა მიერ შემოტანილი სიახლეები ამით არ ამოწურულა. მათ თან მოიტანეს ფრანგული ენა. ჰასტინგსთან გამარჯვების შემდეგ ჰერცოგ გიიომის ლაშქარში მყოფი ჟოფრუა, რობერები და სიმონები გაბატონებულ ფენად იქცნენ, ხოლო მათი ენა, ფრანგული, კარისა და დიდგვაროვანთა ენად. ინგლისური დამარცხებული და დაყმევებული ანგლო-საქსების ენად იქცა,

რომელსაც თითქმის სამი საუკუნის მანძილზე პრაქტიკულად არ ჰქონია გრამატიკა და ლიტერატურა. ამრიგად, კულტურული აღმშენებლობაც სწორედ გაბატონებულმა ფრანგულენოვანმა ელიტამ იკისრა. პირველ რიგში ეს დაეტყო თავად ინგლისურ ენას, რომელშიც უამრავი სიტყვა შევიდა ფრანგულიდან. ფრანგულ ენასთან ერთად კონტინენტიდან ინგლისში შევიდა დიდი რელიგიური აღმშენებლობა, რომელიც საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარებაში გამოიხატა. კონტინენტზე გაბატონებული რომანული სტილი ინგლისში პირველად ედუარდ აღმსარებლის დროს გამოჩნდა, რომელმაც ნორმანდიიდან ჩამოიყვანა იქაური ხუროთმოძღვრები. მათ გადააკეთეს კიდეც უესტმინსტერის საქსონური სააბატო. დაპყრობის შემდეგ ეს სტილი სრულიად გაბატონდა ინგლისში ეს იყო მკაცრი, შეკრული სტილი, რომელმაც თავისებური მთლიანობა შესძინა ინგლისურ ხუროთმოძღვრებას. ნორმანდიელთა მიერ დამკვიდრებული რომანული არქიტექტურის ნიმუშებს წარმოადგენენ უინჩესტერის საკათედრო ტაძარი (XIს.), დერამის საკათედრო ტაძარი (XIIს.), რომელთა მონუმენტურობას და მასიურობას თაღების თავისებური სიმსუბუქე და დინამიურობა ერწყმის. ეკლესიების მშენებლობა ფართო მასშტაბით გაიშალა XIIს., ნორმანდიელებმა შეიტანეს ინგლისში კედლის მხატვრობა და ფერადი მინის ტექნიკა, რომლებიც მათ თავის მხრივ ბიზანტიელებისაგან ისწავლეს. ორივე მიმდინარეობის იმ დროის ნიმუშებიდან პრაქტიკულად მხოლოდ კენტერბერის ტაძრის ფრესკის ფრაგმენტი და ფანჯარა შემორჩნენ. ქანდაკება, (რომელიც პრაქტიკულად არ იყო ანგლო-საქსურ პერიოდში) თავდაპირველად ბარელიეფის სახით წარმოჩნდა (ლაზარეს აღდგინების და 12 მოციქულთა სცენები ჩიჩესტერის საკათედრო ტაძრიდან და მალმსბერის სააბატოდან). ნორმანდიელთა გავლენით როგორც მხატვრობა, ასევე ქანდაკება საყოველთაოდ მიღებული ფორმების მიხედვით იდგამდნენ ფეხს. მათვე შემოიტანეს მუსიკაში პოლიფონია და ზომა, ხოლო პოეზიაში მეტრი და რიტმი. საერთო ჯამში ნორმანდიელთა გაბატონებამ შეკრა ანგლო-საქსები და ბიძგი მისცა ამ ორი ხალხის შემდგომში ერთ ერად ჩამოყალიბებას.

პლანტაგენეტთა დინასტიის გაჩენა

ჰენრი I სიკვდილმა 1135წ. ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება ერთობ რთულ სიტუაციაში ჩააყენა. მეფის მემკვიდრე იყო მისი ერთადერთი ასული მატილდა. მაგრამ ბარონების ნაწილი წინააღმდეგი იყო ქალის გამეფებისა. მათ მხარი აუბა ლონდონის მოსახლეობამ. ოპოზიციამ ტახტის პრეტენდენტად წამოაყენა უილიამ დამპყრობლის ქალიშვილის, ადელას ვაჟის, ბლუას გრაფის, სტივენის კანდიდატურა. ეს უკანასკნელი ერთობ პოპულარული იყო დედაქალაქის მოსახლეობაში თავისი სიმამაცისა და ხელგაშლილობის წყალობით. ლონდონელთა აქტიურობამ განაპირობა კიდეც სტივენის გამეფება. მისი მეფობა (1335-1154წწ.) ინგლისის ისტორიაში შევიდა. როგორც არნახული განუკითხაობისა და შინააშლილობის ხანა. ამ მამაცმა მეომარმა ვერ იკარგა ქვეყნის მმართველად. მან ვერაფერი მოუხერხა ფეოდალთა გაუთავებელ ამბოხებებს. ამას დაემატა ომი მატილდასა და მის მომხრეებთან. ამ გაუთავებელ შინაომს ეკლესიის ჩარევამ მოუღო ბოლო. კენტერბერის არქიეპისკოპოსის თეობალდის შუამავლობის მეშვეობით მოხერხდა მხარეთა შერიგება. პრეტენდენტები შემდეგზე შეთანხმდნენ: ტახტი სტივენს რჩებოდა, მაგრამ მის მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნა მატილდას ვაჟი ჰენრი. ეს შეთანხმება 1153წ. დაიდო. ერთი წლის შემდეგ სტივენი გარდაიცვალა და ტახტზე ჰენრი ავიდა.

დინასტიური თვალსაზრისით ჰენრი II (1154-1189წწ.) მეფობა გარკვეულწილად წააგავდა წინა დინასტიის ბატონობას. უილიამ დამპყრობლისა და მისი მემკვიდრეების მსგავსად ჰენრი II საფრანგეთიდან იყო გამოსული. მამამისი იყო ფრანგი ბარონი, ანჟუს გრაფი ჟოფრუა პლანტაგენეტი. სიტყვა პლანტაგენეტი წარმოსდგება ლათინური Planta Genista-დან (ინგ. broom - კურდღლისცოცხა), რომელიც გამოსახული იყო ამ გვარის გერბზე. პლანტაგენეტებს ხშირად ანჟუელებს უწოდებდნენ, ხოლო ინგლისს, მათი სამფლობელოების გაფართოების ხანაში ანჟულთა

იმპერიას (the Angevin Empire). ამგვარად, ინგლისის ტახტზე უკვე მეორედ აღმოჩნდა ფრანგული დინასტია.

ჰენრი II საგარეო და საშინაო პოლიტიკა მნიშვნელოვანი აქტიურობით გამოირჩეოდა. პირველი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინგლისის გვირგვინს დაქვემდებარებული სამფლობელოების ზრდის თვალსაზრისით. ამაში ჰენრი II დინასატიურმა მომენტებმა შეუწყეს ხელი. როგორც მეფეს მას ინგლისი და ნორმანდია ერგო (ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ჰენრი I წაართვა თავის უფროს ძმას). მამამისის, ჟორფუა პლანტაგენეტისაგან – ანჟუს და მენის საგრაფოები. გამეფებამდე ორი წლით ადრე მან ცოლად ითხოვა ელინორ (ელეონორა) აკვიტანელი, რამაც მის სამფლობელოებს აკვიტანიის საჰერცოგო შესძინა. ტახტზე ასვლის შემდეგ მის სამფლობელოებს ტულუზის საგრაფო შეემატა, რომელიც ნებაყოფლობით შევიდა მის ქვეშევრდომობაში. თავისი ერთ-ერთი ვაჟი ჰენრიმ ბრეტანის ჰერცოგის ასულზე დააქორწინა რამაც მას ბრეტანის საჰერცოგო ჩაუჯდო ხელში. საბოლოო ჯამში ჰენრი II ფრანგული სამფლობელოები გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე საფრანგეთის მეფის მიწები, რომლის ვასალადაც იგი ითვლებოდა და რომლისაგანაც ფეოდალური ერთგულების ფიცის საფუძველზე მას ფორმალურად გადაეცემოდა ეს ვეებერთელა ტერიტორია. ფრანგული სამფლობელოების სიდიდით გამოწვეული იყო ის, რომ თავისი მეფობის 35 წლიდან მან 20 წელი საფრანგეთში გაატარა. მაგრამ პლანტაგენეტთა ექსპანსია საფრანგეთით არ შემოიფარგლა. ჰენრი II დაინტერესების ობიექტად ირლანდია იქცა, სადაც ადგილობრივი კელტური კლანების ბელადები გამუდმებით ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შინაომის დროს ინგლისელი ბარონი, პემბორკის ერლი მიწვეულ იქნა ლეინსტერის ბელადის, დერმოტის მიერ თავის მეტოქის წინააღმდეგ დასახმარებლად. პემბორკმა, რომელსაც მეტსახელად სთრონგბოუს (Strongbow - ძლიერი მშვილდი) ეძახედნენ არ დააყოვნა დახმარების გაწევა, ხოლო ერთობლივი გამარჯვების შემდეგ დერმოტის ასული შეირთო ცოლად. დერმოტის სიკვდილის შემდეგ პემბორკი ირლანდიის ამ ოლქის მთავრად იქცა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ჰენრი II სასწრაფოდ ჩავიდა ირლანდიაში, პემბორკს ერთგულების ფიცი დაადებინა და ამით ირლანდიის ეს ტერიტორია ინგლისის გვირგვინს დაუქვემდებარა.

პლანტაგენეტთა ამ ვრცელი სამფლობელოების მართვა-გამგეობა საჭიროებდა არა მარტო რკინის ნებისყოფას და დაუღალავი შრომის უნარს, რაც ჰენრი II უხვად ჰქონდა მომადლებული. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით იგი დღემუდამ სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, ჩაუმუხლავად შრომობდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. საჭირო იყო აგრეთვე მართვის ქმედითი აპარატი, სავსე ხაზინა, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენის გაფართოება. სწორედ ამ მიმართულებით წარმართა თავისი საქმიანობა ჰენრი II, რითაც კიდევ ერთხელ წინ წამოსწია იმ ეპოქის პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით მართვის სათავეში იდგა პიროვნება, რომლის ძალაუფლება ეყრდნობოდა არა ტრადიციებით გასხივოსნებულ ავტორიტეტს, არამედ პირად უნარს, რათა მტკიცე, ხშირად სასტიკი ხელითაც კი დაემყარებინა კანონი და წესრიგი. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ჰენრი II მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმა. რეფორმის შედეგები ერთობ მრავალფეროვანი იყო: პირველ რიგში, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ჩვეულებით სამართალს (Common Law), რომელიც აგებული იყო თავად მოსამართლეთა მიერ შერჩეულ პრეცედენტებზე და რომელთაც საყოველთაო ხასიათი ჰქონდათ მთელი ქვეყნისათვის. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა კანონის უზენაესობას, რომელსაც თვით მეფეც კი ვერ დაარღვევდა. შემოღებულ იქნა ე.წ. გამსვლელი სასამართლოები, რომლებიც ყოველ საგრაფოში მოქმედებდნენ და რომელთა მოსამართლეებიც ფაქტიურად სამეფო სასამართლოს ინტერესების გამტარებლები იყვნენ. გაფართოვდა სამეფო სასამართლოს უფლებამოსილებაც იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეული საფასურის გადახდის ფასად ნებისმიერი თავისუფალი პირის საქმე შეიძლებოდა განხილულიყო სამეფო სასამართლოს მიერ, რაც მეტ სამართლიანობას და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფდა ლორდის მანორიალური სასამართლოსაგან განსხვავებით. ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგანაც ნორმანდიული დინასტიის ხანაში სამეფო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდებოდა მხოლოდ მეფის დაახლოებულ პირებზე. სამეფო

სასამართლოს იურისდიქციას დაექვემდებარა ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაული. სამოქალაქო საქმეებში მეფის ბრძანებულების თანახმად ფეოდალები ვალდებულები იყვნენ უპასუხოდ არ დაეტოვებინათ ნებისმიერი სარჩელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე ‘ერიფის მეშვეობით ჩაერეოდა საქმეში მომჩივანის სასარგებლოდ (მიწის კომპენსაცია), ანდა დაიბარებდა მოპასუხეს სამეფო სასამართლოში. სამოქალაქო თავისუფლებათა და კანონის უზენაესობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლარენდონის 1166წ. დადგენილებას, რომლის თანახმად საგრაფოების ყველა ასეულში შეიქმნა 12 ადამიანისაგან შემდგარი ბრალმდებელთა ჯგუფი, რომელთაც ევალებოდათ ფიცის ქვეშ ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილ პირთა დასახელება. ეს ე.წ. ბრალმდებელი ნაფიცი მსაჯულები წარმოადგენდნენ მომავალ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინამორბედებს, რაც უზრუნველყოფდა სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო პროცედურას და განაჩენს, ორთაბრძოლას, წყლითა და ცეცხლით გამოცდასთან შედარებით. მთლიანობაში კი სამეფო ხელისუფლება ზრდიდა თავისი მოქმედების ასპარეზს სამართლის დარგში და ავიწროებდა რა ფეოდალურ სასამართლოს, ევლინებოდა მოსახ-ლეობის ფართო მასებს (რასაკვირველია, თავისუფალ ადამიანებს) როგორც მათი მფარველი და მხარდამჭერი. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ფეოდალური ოპოზიციის გამოსვლების დროს მოსახლეობა (რაინდები, თავისუფალი მიწათმფლობელები, მოქალაქეები) სამეფო ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს.

მაგრამ სამეფო ხელისუფლების გაძლიერების გზაზე არა მარტო საერო, არამედ საეკლესიო ფეოდალებიც იდგნენ. XIIს. პაპობის აღზევების ხანა იყო. ამკვიდრებდა რა წესრიგსა და ღვთისმოსავობას, ეკლესია მოსახლეობაში ერთდროულად ავრცელებდა ღვთისმოშიშ შემართებას, რაც სამონასტრო ორდენების შექმნასა და ჯვაროსნული ლაშქრობების ორგანიზაციაში გამოიხატა, ხოლო ქვეყნებს შიგნით მისი გავლენა სწავლა-განათლების და საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარებაში წარმოჩდა. ნორმანდიელთა მიერ აგებული ტაძრები და მონასტრები თავისი მასიური სვეტებითა და თაღებით თითქოსდა ეკლესიის სიდიადესა და რელიგიურ აღმაფრენაზე მიუთითებდნენ. ღვთისმსახურთა თავდადებული ღწვის წყალობით ეკლესიის ავტორიტეტი მოსახლეობაში არნახულად ამაღლდა. თავისთავად ამას არ შეეძლო საეკლესიო პირები სიამაყით არ აევსო. ეს არ იყო ამპარტავნება, ეს გრძნობა, გამოწვეული ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობით, ეკლესიის უმაღლეს ეშელონებში ზეხელისუფლების იდეით გამოიხატა, რაზეც პრეტენზია პაპებს ჰქონდათ. ხელისუფლება, რომელიც სხვა დანარჩენ ხელისუფლებაზე მაღლა იდგა, ვერ დაექვემდებარებოდა მეფეს ან მის სამსჯავროს. და მაშინ, როდესაც ჰენრი II სასამართლო რეფორმას ატარებდა, ეკლესია თავის სასამართლოს შეუვალობის მოთხოვნით გამოვიდა. საეკლესიო პირებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ ექვემდებარებოდნენ სამეფო, საერო სასამართლოს გასამართლებას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ეს შეღავათი ვრცელდებოდა იმათზეც, ვინც ლათინურად წერა-კითხვა იცოდა. ასეთი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა გადასცემოდა საეკლესიო სასამართლოს. სწორედ ამ პრაქტიკის აღსაკვეთად დაიწყო ბრძოლა ჰენრი II. აღნიშნული ღონისძიების გატარებას მეფე იმედოვნებდა თავისი დაახლოებული პირის, ლორდ-კანცლერის თომას ბეკეტის მეშვეობით. ამისათვის ბეკეტმა უმაღლესი საეკლესიო თანამდებობა დაიკავა. იგი გახდა კენტერბერის არქიეპისკოპოსი. სწორედ აქ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი და უცნაური რამ. იქცა რა საეკლესიო პირად. ბეკეტმა, რომელიც უწინ რაინდული პრინციპებით ცხოვრობდა, ფუფუნებასა და ბრწყინვალებას არ იკლებდა, არა მარტო სრულად გაითავისა ღვთისმოსავობისა და ღვთისმოშიშობის პრინციპები, არამედ გახდა მეფის ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგე. იგი წინ აღუდგა ჰენრი II მცდელობას შეეკვეცა საეკლესიო სასამართლოს უფლებამოსილება. დაპირისპირებამ მეფესა და არქიეპისკოპოსს შორის არნახულად მწვავე ხასიათი მიიღო და საბოლოოდ დასრულდა 1170წწ. ამ უკანასკნელის სიკვდილით კენტერბერის საკათედრო ტაძარში. ბეკეტი მეფის მიერ გაგზავნილმა რაინდებმა მოკლეს. შემდგომში მეფე ამტკიცებდა, რომ მას არ სურდა ბეკეტის მოკვლა, და რომ მისი ბრძანება არასწორედ იქნა გაგებული, მაგრამ მისი მძვინვარე შეძახილი: „ნუთუ ვერავინ მომაშორებს

თავიდან ამ თავგასულ მღვდელს?!“ სამუდამო სისხლიან ლაქად შერჩა მის ხანგძლივ მეფობას, რომელიც საერთო ჯამში ქვეყნისათვის სასიკეთო ქმედებით იყო აღსავსე.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამხედრო რეფორმა, ე.წ. „ფარის ფულის“ შემოღება. ჰენრი II აღადგინა და გაზარდა ჰენრი I მიერ შემოღებული გადასახადები, ე.წ. სკუტაჟი[9].

ეს გადასახადი ფეოდალებს ათავისუფლებდა 40 დღიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სამეფო ხაზინაში გადახდილი გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ამის წყალობით მეფე აღარ იყო დამოკიდებული ფეოდალურ ლაშქარზე, რომლის სამსახური დაწესებული ვადებით იყო შეზღუდული. მის სანაცვლოდ, ხაზინაში შემოსული თანხის მეშვეობით მეფე ქირაობდა მეომრებს, რომელთა მსახურების ვადა მხოლოს მათთვის ჯამაგირის გადახდაზე იყო დამოკიდებული. ამით ერთ მხრივ, მეფე მუდმივ სამხედრო დასაყრდენს იძენდა, ხოლო მეორე მხრივ მისი ქვეშევრდომი ფეოდალები უფრო მეტად ებმეოდნენ მშვიდობიან ცხოვრებაში, გეზს სამეურნეო საქმიანობისაკენ იღებდნენ, რითაც ინგლისის თავადაზნაურობა თავისებურ სამოქალაქო ელფერს იძენდა.

ჰენრი II მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკის კურსის მართებულობამ პრაქტიკული გამოცდა გაიარა. 1173-1175წწ. მეფის წინააღმდეგ პლანტაგენეტების ფრანგულ სამფლობელოებში ამბოხებამ იფეთქა, რომელსაც მეფის ვაჟები ჰენრი, ჯეფრი და რიჩარდი ჩაუდგნენ სათავეში. ამბოხებულებს საფრანგეთის მეფე ლუი VII უჭერდა მხარს. მაგრამ მოქალაქეები, თავისუფალი მიწათმფლობელები, რაინდები, საშუალო შეძლების ფეოდალები მეფის ერთგულები დარჩნენ, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა მეამბოხეთა მარცხი. მოგვიანებით, ჰენრი II მეფობის ბოლო წლებში ღალატმა კვლავ იჩინა თავი. ოპოზიციის სულისჩამდგმელები დედოფალი ელინორი და უფლისწული რიჩარდი იყვნენ. საფრანგეთში ამბოხებულ ბარონებს მათი ინგლისში მცხოვრები თანამოძმეებიც შეუერთდნენ და დაამარცხეს ჰენრი II. დამარცხებამ და ოჯახის წევრების ორგულობამ სულიერად გატეხა მოხუცი მეფე, რომელიც 1189წ. გარდაიცვალა.

ჰენრი II სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი რიჩარდი (1189-1199წწ.) მამისგან განსხვავებით, რიჩარდი ვერ დაიკვეხნიდა იმ სიბრძნესა და გამჭრიახობას, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობისავის იყო საჭირო. მის ერთადერთ და სწორუპოვარ ღირსებას პირადი სიმამაცე და მებრძოლისათვის საჭირო თვისებები წარმოადგენდნენ. ცხოვრების არსს იგი ომში ხედავდა და ომისთვის ცოცხლობდა. ამ თვისებებმა რიჩარდ I შუასაუკუნეობრივი რაინდულობის თავისებურ სიმბოლოდ აქცია. სწორედ ამიტომ შემორჩა იგი ისტორიას როგორც რიჩარდ ლომგული (ფრ. Coeur de Lion). ლეგენდად იქცა მისი ორთაბრძოლა თურქ სულთან სალაჰ ად დინთან (სალადინთან) III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. მაგრამ ეს ყველაფერი ვერაფრით გამოადგებოდა თავად ინგლისს, სადაც რიჩარდ I თავისი ათწლიანი მეფობიდან მხოლოდ ექვსი თვე გაატარა. ინგლისს რიჩარდი უყურებდა მხოლოდ როგორც ფულის წყაროს, რომელიც მას მის მიერ წარმოებული გაუთავებელი ომებისათვის სჭირდებოდა. გამეფებისთანავე რიჩარდმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო III ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ფული. ამისათვის რიჩარდმა გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. შოტლანდიის სიუზერენობა 10 ათას მარკად დათმო, შერიფებისა და სხვა თანამდებობების ბოძებისათვის 12 ათასი მარკა მიიღო, თვით დიდმა იუსტიციარმა დატოვა თავისი თანამდებობა და ხელმეორედ მიიღო იგი, მას შემდეგ, რაც 15 ათასი მარკა გადაიხადა. რიჩარდისავე სიტყვებით, იგი მზად იყო ლონდონიც კი გაეყიდა, ოღონდ კი შესაბამისი მყიდველი გამოჩენილიყო. ქვეყანა გმინავდა მისი გადასახადების სიმძიმის ქვეშ. III ჯვაროსნულ ლაშქრობაში, რომელშიც იგი ჩაება საფრანგეთის მეფე ფილიპე ოგიუსტთან და გერმანიის იმპერატორ ფრიდრიჰ I ბარბაროსასთან (წითურწვერიანთან) ერთად რიჩარდი სამხედრო დიდებით შეიმოსა. მაგრამ მიუხედავად მისი დიდი სიმამაცისა და ცალკეული გამარჯვებებისა ლაშქრობა საბოლოო ჯამში წარუმატებლად დამ-

[9] Scutage, მოდინარეობს ლათინურიდან Scutagium, რაც ნიშნავს მართკუთხა ფარს, რომლითაც შეიარაღებული იყვნენ საშუალო იარაღით აღჭურვილი გლადიატორები.

თავრდა. უკან დაბრუნებული რიჩარდ I ტყვედ ჩაუვარდა გერმანიის იმპერატორს, და მეფის დახსნისათვის ინგლისში დიდძალი თანხა შეაგროვეს. მაგრამ დაბრუნებისთანავე რიჩარდმა ქვეყნის ახალი დაბეგვრის ხარჯზე კვლავ შეაგროვა ლაშქარი და საფრანგეთში გადავიდა, სადაც მეფე ფილიპე II ანჟუელთა სამფლობელოებს უტევდა. რიჩარდის დაუოკებელი სწრაფვა ფულისაკენ, რომელიც მას ახალი ომის წარმოებისათვის სჭირდებოდა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, დავა, რომელიც წამოიჭრა შალუსის ციხე-კოშკის მახლობლად ნაპოვნი განძის გამო ციხე-კოშკის მფლობელ ფეოდალსა და მეფეს შორის ამ უკანასკნელის სიკვდილით დამთავრდა. რიჩარდი ციხე-კოშკიდან ნატყორცნი ისრით იქნა განგმირული. ამგვარად, ამ ფათერაკების მაძიებელი, რაინდი-მეფის მმართველობამ თითქოსდა გაიელვა ინგლისში ისე, რომ ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. რიჩარდ ლომგულის მეფობის ყველაზე თვალსაჩინო მომენტს მისივე, როგორც ფეოდალური რაინდის პიროვნება იყო.

ახალი ფრანგული დინასტიის, ანჟუელების გამეფება, ინგლისის მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ხელს უწყობდა კონტინენტთან კავშირის განმტკიცებას და უფრო მეტად აბამდა ინგლისს ევროპული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. დინასტიური კავშირებიც კი კონტინენტზე იყვნენ ორიენტირებული, რაზეც ჰენრი II შვილების ქორწინებები მიუთითებენ. მისი ქალიშვილები საქსონიის, კასტილიის და სიცილიის მეფეებზე გათხოვდნენ, ხოლო ვაჟებს საფრანგეთის, ბრეტანის და ნავარის მმართველი დინასტიების ასულები ჰყავდათ ცოლებად. თვით ჯონ უმიწაწყლოს, სანამ ანგულემის ჰერცოგის ასულს შეიყვარებდა, პორტუგალიის მეფის ასული უნდა შეერთო. რასაკვირველია, რომ კავშირებს ინგლისში დიდგვაროვანთა ახალ ტალღასთან ერთად კონტინენტიდან ახალი იდეები ჩაჰქონდა, მაგრამ გავლენის სფეროები ამით არ იფარგლებოდა. რაინდულ-ქრისტიანული სულისკვეთება, რომელიც ფეოდალიზმის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა, ინგლისის საზოგადოების კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოვლინდა. ეკლესია ადამიანების სოციალური შეკავშირების მთავარი ძალა იყო, ცნობიერების საფუძველს ქრისტიანული ფასეულობები წარმოადგენდნენ. ხელისუფლება და განათლება საეკლესიო პირებთან იყო გაიგივებული. XIIს. სამონასტრო მშენებლობის ოქროს ხანა იყო. უკვე 1100წ. ინგლისში იყო 88 საეკლესიო ნაგებობა ასი წლის შემდეგ მათმა რიცხვმა 400 მიაღწია. ქრისტიანობის, როგორც მოვლენის გრანდიოზული ხასიათი, პაპობის პრეტენზიები ზესახელმწიფოებრიობაზე და ეკლესიის როლი სულიერ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში (ჯვაროსნული ლაშქრობები) თავისებურად გამოიხატა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, მის გოთურ სტილში, რომელიც ინგლისში XIს., ჰენრი II მეფობის ხანაში გამოჩნდა და რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ცაში აზიდული, მოხდენილი ფორმები, რეალისტური ქანდაკებები და ფერადი მინა. ამ სტილმა თავის სრულ ბრწყინვალებას XIII-XIVსს. მიაღწია. ე.წ. შემკული და პერპენდიკულარული გოთიკის სახით. ამ ხუროთმოძღვრების პირველ ნიმუშებს ველსის, ლინკოლნის და სოლსბერის ტაძრები– წარმოადგენენ. ლიტერატურული ნაწარმოებები რასაკვირველია ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდნენ. მაგრამ აქ ერთი თავისებურებაა აღსანიშნავი. ღვთისმსახურთა მიერ შექმნილ ნაწარმოებებში საერო ხასიათის ნაშრომები სჭარბობდა. ეს იყო ძირითადად საისტორიო ქრონიკები, რომლებშიც აღწერილი იყო ანგლო-საქსი და ნორმანდიული დინასტიების მეფეების ხანა. უფრო შეტიც, სწორედ ღვთისმსახურმა, ჯერალდ დე ბარიმ შემოიტანა XIIს. ინგლისურ ლიტერატურაში პოლიტიკური და რელიგიური პამფლეტის ტრადიცია. ეს გაბედული და ნიჭიერი ავტორი თავის ნაწარმოებებში თვით მეფეების, კერძოდ კი ჰენრი II გაკილვასაც კი არ ერიდებოდა. საერო თემატიკით ესოდენ დიდი გატაცება არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესიაში არ იქმნებოდა რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები. სწორედ ამ სფეროში შეიქმნა XIIს. ლექსთა კრებული, რომელიც სახარების ქადაგებას წარმოადგენს. ავტორია ლინკოლნშირელი ბერი, რომელსაც პირობითად ორმს უწოდებენ. ნაწარმოების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეიძლება ეწოდოს ლექსი ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

საერო ლიტერატურა გაბატონებული კლასის სულიერ მოთხოვნებს პასუხობდა. იმ დროის ევროპული და კერძოდ, ინგლისური საზოგადოების მოწინავე ელემენტი იყო რაინდი. რაინდობის

ინსტიტუტი იმდენად უნივერსალური გახდა, რომ იგი სასულიერო სფეროსაც კი შეერწყა, რაც გამოიხატა კონტინენტზე რაინდულ-სასულიერო გაერთიანებების, ორდენების შექმნაში (ტამპლიერთა, ჰოსპიტალიერთა, წმ. იოანეს ორდენები). შეიქმნა რაინდულობის კოდექსი, რომელიც არა მხოლოდ მეომარი ადამიანების ზნეობრივი პრინციპების გამოხატულება იყო, არამედ მთელი მმართველი კლასისა. სწორედ ამიტომ XIს. დასასრულიდან მოყოლებული ევროპელი მეფეები მათ სამეფო ბეჭდებზე გამოხატულები იყვნენ როგორც ცხენზე ამხედრებული რაინდები. სწორედ რაინდული სულისკვეთება, რომლის შემადგენელი ნაწილები იყვნენ სიმამაცე, თავგანწირვა, სიყვარული ქალის მიმართ და სიტყვისადმი ერთგულება, ორიგინალურად შეერწყა ძველ კელტურ თქმულებებს ლეგენდარულ მეფე არტურზე, ჯადოქარ მერლინზე, ლანსელოტის თავგადასავალზე და წარმოჩნდა XIIს. ინგლისელი მწერლის ჯეფრი (ჟორფუა) მონმაუტელის ნაწარმოებში, რომელიც ცნობილია როგორც მეფე არტურის და მისი მრგვალი მაგიდის რაინდების ამბავი. მოგვიანებით, როდესაც საეკლესიო მწერლობამ დაინახა რა აღნიშნულ ნაწარმოებში მეტოქე და შექმნა მის საპირისპიროდ პოემა წმინდა გრაალის (მაცხოვრის სისხლით სავსე თასი) შესახებ, რომლის დანახვა მხოლოდ უმწიკვლო სულის მატარებლებს სძალუძთ, კარის პოეტმა უოლტერ დე მანმა ორივე ნაწარმოები შეაერთა და საფუძველი დაუდო ნაწარმოებს გრაალის მძებნელი რაინდების შესახებ. სწორედ ამ ფორმით ეს ნაწარმოები თითქმის მთელ ევროპას მოედო. რაინდული ლიტერატურა საზოგადოების წარმმართველ ფასეულობებს გამოხატავდა. მაგრამ საერო მწერლობა არ იფარგლებოდა აღნიშნული თემატიკით, რომელიც იდეალურის დამკვიდრებისაკენ ისწრაფოდა. საზოგადოების ინტერესს სავსებით პრაქტიკული, რეალური პროცესებიც იწვევდნენ. ამათგან უმნიშვნელოვანესი იყო ახალი ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება ნორმანდიელი და პლანტაგენეტი მეფეების ხანაში. სწორედ ამ მოვლენის გაცნობიერების მცდელობას წარმოადგენდნენ ჰენრი II დროს შექმნილი ტრაქტატები სამართლის და ხაზინის შესახებ, რომელთა ავტორები იყვნენ იუსტიციარი რანდოლფ გლენუილი და ხაზინადარი რიჩარდ ფიცნილი.

ინგლისის საზოგადოების კულტურული შემოქმედება არ შემოფარგლულა აღნიშნული სფეროებით. XIს. მეორე ნახევარი და მთელი XIIს. ევროპის განვითარების ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს პერიოდად, როდესაც ევროპელებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს კულტურულ აღმშენებლობაში. მათ აითვისეს აღმოსავლური, კერძოდ, მაჰმადიანური კულტურის მიღწევები და შექმნეს გარკვეული კულტურული არეალი, რომელიც შესძლებდა ისლამის კულტურული ექსპანსიისათვის მეტოქეობის გაწევას. მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურებს იმ ხანად ცალკეული სწავლულებისა და ღვთისმეტყველების მიღწევები წარმოადგენდნენ და ამ საქმეში მნიშვნელოვანი იყო ინგლისელების წვლილიც. ღვთისმსახურმა ბათიდან, ვინმე ადელარდმა 1120წ. პირველმა გადათარგმნა ლათინურ ენაზე ევკლიდეს გეომეტრიული ნაშრომები, რასაც წინ უძღოდა მისი ხანგრძლივი მოგზაურობა მცირე აზიაში, იტალიასა და სიცილიაში. რობერტ ჩესტერელი 1154წ. ეწვია სეგოვიას და გადათარგმნა ალ-ხვარაზმის ალგებრა. მასვე ეკუთვნის ყველაზე ადრეული ტრაქტატი ასტროლაბზე. ალფრედ ინგლისელმა 1200წ. გადათარგმნა ავიცენას თხზულებათა ის ნაწილი, რომელიც ეძღვნებოდა გეოლოგიასა და ალქიმიას; მაიკლ შოტლანდიელმა (the Scot) ლათინურად თარგმნა ავეროესის კომენტარები არისტოტელეს მეტაფიზიკაზე. ასეთი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა შესაძლებელი შეიქმნა ინგლისელი სწავლულების ევროპულ საგანმანათლებლო მოძრაობაში აქტიური ჩართვით. ევროპაში კი იმ ხანად ფართოდ იდგამდა ფეხს საუნივერსიტეტო განათლება. პარიზი, ბოლონია, ტოლედო სავსე იყვნენ სწავლას მოწყურებული ადამიანებით, რომლებიც ხარბად ეწაფებოდნენ ლოგიკას, თეოლოგიას, რომაულ სამართალს, არაბულ თუ ძველებრაულ მეცნიერულ მიღწევებს. მათგან ბევრი ინგლისიდან იყო. წყაროები ადასტურებდნენ, რომ XIIს. მიწურულს 42 სწავლულიდან, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ მაგისტრის ხარისხი (Magister Regis) 12 ინგლისელი იყო.

სწორედ ამ ადამიანებმა შემოიტანეს ინგლისში საუნივერსიტეტო ტრადიცია, დააარსეს რა უნივერსიტეტები ჯერ ოქსფორდში XIIს. და მერე კემბრიჯში XIIIს[10].

რასაკვირველია, მეცნიერება სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა. ინგლისში ამ მეცნიერული მიმართულების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ კენტერბერის არქიეპისკოპოსები ლანფრანკი და ანსელმი. მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში ეს იყო პირველი ნაბიჯი სამყაროს მეცნიერული წვდომის გზაზე, სადაც მნიშვნელოვანი იყო სწორედ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვება მისი შემდგომი გაცნობიერების და განზოგადებისათვის. მაგრამ ამ ადამიანების ღვაწლი მხოლოდ თეორიით არ შემოიფარგლებოდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თანამდებობებს იკავებდნენ საერო თუ საეკლესიო დაწესებულებებში. ჰენრი I დროიდან მოყოლებული უნივერსიტეტდამთავრებული მაგისტრები სულ უფრო ხშირად იკავებდნენ თანამდებობებს სახელმწიფო აპარატში. ამის წყალობით XIIს. დასასრულს ინგლისს მთელ დასავლეთ ევროპაში ჰყავდა ყველაზე უფრო განათლებული და პროფესიულად ჩამოყალიბებული ბიუროკრატია. სწავლულები სამოხელეო სამსახურში ამკვიდრებდნენ განათლებას და მაღალპროფესიულ ჩვევებს. ამგვარად, XIIს. ინგლისი ფეხდაფეხ მიყვებოდა ევროპული საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციებს და წარმოსდგება როგორც ქვეყანა, რომელსაც მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა სახელმწიფოებრივი და კულტურული აღმშენებლობის ასპარეზზე.

მაჰისუფლებამა დიდი ქარტია. ჰაბრლაჰენტის წარმოშობა

რიჩარდ ლომგულის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა ჰენრი II უმცროსი ვაჟი ჯონი (1199-1216წწ.). სწორედ ჯონის მეფობასთან არის დაკავშირებული ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ინგლისის შემდგომი ისტორია. უილიამ დამპყრობლის მეფობიდან მოყოლებული ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქია ჩამოყალიბდა. ჰენრი II-ის მიერ ჩატარებულმა გარდაქმნებმა კიდევ უფრო გააძლიერეს სამეფო ხელისუფლება. მაგრამ მმართველი ფენების აზრით მათ შესაძლო საფრთხე ემუქრებოდათ. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება თავნება და სასტიკი მეფის ხელში შეიძლებოდა ჩაგვრისა და შევიწროების იარაღად ქცეულიყო. მეორე მხრივ, სუსტი სამეფო ხელისუფლება უთუოდ გამოიწვევდა შინაომსა და არეულობას, როგორც ეს სტივენის მეფობის ხანაში იყო. სწორედ ამ უკიდურესობებისაგან თავის დაღწევა მართვა-გამგეობის შესაბამისი ფორმის საშუალებით დადგა დღის წესრიგში ჯონის მეფობაში. ამას გარკვეულწილად თავად მეფის პიროვნებამ შეუწყო ხელი. ჯონის დახასიათებისათვის მისმა თანამედროვეებმა ერთობ მკაცრი შეფასება დატოვეს: „ხომ საძაგელია ჯოჯოხეთი, მაგრამ ისიც კი წაბილწა საძაგელი ჯონის გამოჩენამ." მის პიროვნებაში შერწყმული იყო პლანტაგენეტთა გვარის ყველა დადებითი თუ უარყოფითი თვისება. გარკვეულ სამხედრო ნიჭს და პოლიტიკურ მოხერხებულობას თან ერთვოდა უზნეობა და ავხორცობა. დაბადებიდან მას, ჰენრი II-ის უმცროს ვაჟს უმიწაწყლოს, მიწანაკლულის (ინგ. lackland) მეტსახელი ერგო, რადგანაც სამი უფროსი ძმისაგან (ჰენრი, ჯეფრი, რიჩარდი) განსხვავებით მას კონტინენტზე მამულები არ ერგო ეს მეტსახელი თავისებურად საბედისწერო გამოდგა ჯონისათვის, რადგანაც გამეფების შემდეგ მან მართლაც დაკარგა პლანტაგენეტების ყველა ფრანგული სამფლობელო გასკონს გარდა. ჯონის მეფობა და მისი შედეგები ასაბუთებდნენ აღნიშნული ეპოქის იმ სახელმძღვანელო პრინციპების მართებულობას, რომელთა თანახმად მმართველს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვებოდა ქვეშევრდომთა მორჩილებაში ყოლის უნარი, ხოლო მეორე ის, რომ ფეოდალური საზოგადოების მკაფიო დანაწევრებიდან გამომდინარე სამივე სოციალურ ჯგუფს (მშრომელები, მლოცველები,

[10] აღსანიშნავია, რომ იმ დროს აღპების ჩრდილოეთით და საფრანგეთის ფარგლებს გარეთ სხვა უნივერსიტეტი არ გახსნილა. პრაღის უნივერსიტეტი დაარსდა იმპერატორ კარლ IV მიერ 1348წ.

მეომრები) შესაბამისი ფუნქციის ზედმიწევნითი აღსრულება ევალებოდა და წარუმატებლობას ამ დარგში აუცილებლად მოყვებოდა უარყოფითი შედეგები.

მეფის დამოკიდებულება ბარონებთან და რაინდებთან სენიორულ-ვასალურ პრინციპებზე იყო აგებული. მეფე, თავისი ვასალების პატრონი, ურიგებდა მათ მიწებს და თანამდებობებს, უმტკიცებდა ქონებასა და მემკვიდრეობას ქვრივებს თუ სრულწლოვან ვაჟებს, მაგრამ ამგვარი პატრონ-ყმობის განხორციელება გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შემდეგ ხდებოდა. თავის მხრივ, ვასალებიც ერთობ ენერგიულად მოქმედებდნენ, რათა ყოველთვის მეფის გვერდით, და მისი მაღალი ყურადღების ღირსი ყოფილიყვნენ. ამ მხრივ მათ შორის ძალზე მწვავე მეტოქეობა სწარმოებდა. ჯონის მეფობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ის წარმოადგენდა, რომ პრესტიჟული და შემოსავლიანი თანამდებობის, ანდა სხვადასხვა სახის მემკვიდრეობის დამტკიცების საფასური ძალზე გაიზარდა. ამის მაგალითს წარმოადგენს მეფის ურთიერთობა ისეთ გავლენიან ბარონებთან, როგორიც იყვნენ ნიკოლა დე სტიუტეტვილი, უილიამ დე ბროზი, ჟან დე ლასი, რომლებმაც მეფე მათი ახლობლების მემკვიდრეობისა თუ მაღალი თანამდებობების სანაცვლოდ ან ძალზე დიდი ფულადი თანხები გადაიხადეს, ანდა შეპირდნენ მეფეს მათ გადახდას და სიტყვა არ შეასრულეს. სწორედ ამის გამო ბევრი ბარონი მეფის მიერ იქნა დასჯილი. ამან საფუძველი შეუქმნა დიდგვაროვანთა უნდობლობას მეფის მიმართ. ბარონთა ეჭვებს საკუთარი უსაფრთხოების მიმართ აღვივებდა ბრეტანის ჰერცოგის, არტურის სიკვდილი. ეს უკანასკნელი ჯონის ძმისწული, ჯეფრის ვაჟი იყო. ჯონის გამეფებისას პლანტაგენეტების ფრანგული სამფლობელოების ნაწილმა არტურს დაუჭირა მხარი და მისი სიუზერენობა აღიარა. ჯონმა მოახერხა ძმისწულის დატყვევება, ხოლო ამ უკანასკნელის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს სწორედ ჯონის ქმედებებს მიაწერდნენ.

მეფის გარშემო არასასურველ ატმოსფეროს ქმნიდა მისი ქცევაც. კარზე დიდგვაროვანი ქალები გამუდმებით იყვნენ შევიწროებული მეფის ავხორცობით, რაც ძალზე აღიზიანებდა ბარონებსა თუ რაინდებს. სწორედ უუნარობამ მოეთოკა თავისი პირადი ვნებები ითამაშა გადამწყვეტი როლი იმ მოვლენაში, რომელიც საბაბად დაედო ომს ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ჯონი აპირებდა გაყროდა თავის ცოლს უშვილობის გამო და შეერთო პორტუგალიის მეფის ასული. მაგრამ ანგულემის ჰერცოგის 14 წლის ასულის, იზაბელას მიმართ მოულოდნელად აღძრულმა სიყვარულმა საკითხი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იზაბელა დანიშნული იყო ფრანგ ბარონზე, „გარუჯულად" წოდებულ ჰიუ დე ლა მარშზე. უფლება და ღირსება შელახულმა სასიძომ თავის სენიორს, მეფე ფილიპე II მიმართა. ფილიპე II, რომელიც ინგლისის მეფის ფეოდალური სენიორი იყო ჯონი სასამართლოში დაიბარა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი უთხრა. ჯონის უარმა საბაბი მისცა ფილიპე II გამოეცხადა პლანტაგენეტთა ყველა ფრანგული სამფლობელოს კონფისკაცია. ამგვარად დღის წესრიგში კვლავ დადგა ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი, რომელიც რიჩარდ ლომგულის დროიდან იღებდა სათავეს. ამ კონფლიქტს მოჰყვა საომარი მოქმედებები, რომელთა შედეგად 1203-1204წწ. ჯონმა დაკარგა ნორმანდია, ანჟუ, ტურენი, პუატუს ნაწილი, მოგვიანებით, დედამისის სიკვდილის შემდეგ მან დათმო აკვიტანიის ნაწილიც. ამგვარად მეფემ არა მარტო განიცადა სამხედრო მარცხი, რამაც დასცა მისი, როგორც მეომრის პრესტიჟი. მან ვერ უზრუნველყო გამარჯვება, და შესაბამისად ვერ დაიცვა თავისი ვასალები და საფრანგეთში მდებარე მამულები, რაც ფეოდალური მონარქისათვის ერთობ საზიანო იყო. სწორედ იმ დროიდან დაიწყეს მისი მოხსენიება ერთობ დამამცირებელი მეტსახელით „ნაზი მახვილი" (ინგ. Softsword). ამიტომაც ტრუბადურები მღეროდნენ მასზე რომ „არავის აღარ სჯერა მისი, რადგანაც მას ნაზი და მხდალი გული აქვს."

ჯონის საგარეო პოლიტიკური მარცხი ამით არ დასრულებულა. როგორც ჩანს, მისმა წარუმატებლობამ საფრანგეთში იმედები ჩაუსახა პაპ ინოკენტიუს III საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის. ამ ენერგიულ მმართველს და პოლიტიკოსს სურდა ეკლესია ზესახელმწიფოდ ექცია, პაპის ხელისუფლება კი ზეხელისუფლებად. ისარგებლა რა მეფე ჯონის რთული მდგომარეობით, მან უარყო მეფის მიერ კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანამდებობაზე

წამოყენებული ჯონ გრეის კანდიდატურა და დანიშნა თავისი კაცი, სტეფენ ლანგტონი. ამან გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტი მეფესა და პაპს შორის 1208წ. დაპირისპირება იმდენად გამძაფრდა, რომ პაპმა გამოაცხადა ინტერდიქტი, რომლის საფუძვლად ინგლისში პრაქტიკულად შეწყდა ყოველგვარი ღვთისმსახურება. შუასაუკუნეობრივი საზოგადოებისათვის, რომლის მთავარ გამაერთიანებელ ძალას ეკლესია წარმოადგენდა და რომლის საზოგადოებრივი თუ პირადი ცნობიერების ქვაკუთხედი ქრისტიანული მორალის პრინციპები იყო ეს საშინელ სულიერ დარტყმას წარმოადგენდა. საზოგადოება ზნეობრივ ვაკუუმში აღმოჩნდა. ჯონი ინტერდიქტს სამღვდელოების დევნით და საეკლესიო მიწების ჩამორთმევით პასუხობდა. 1209წ. პაპმა მეფე ჯონი შეაჩვენა და ბულა გამოსცა მისი ეკლესიიდან მოკვეთის შესახებ. მაგრამ შეჩვენებული მეფე არ ცხრებოდა. მის მიერ საერო თუ საეკლესიო ფეოდალების შევიწროება, მათი დაბეგვრა სულ უფრო მძიმე და აუტანელ ფორმებს იღებდა, ამგვარ პირობებში პაპმა უკიდურეს ზომას მიმართა. ფორმალურად შეჩვენებულ მეფეს უფლება აღარ ჰქონდა ებატონა თავის ქრისტიან ქვეშევრდომებზე; ამიტომ პაპმა უფლება დაიტოვა გადაეყენებინა ასეთი მეფე და ტახტი ღირსეულისათვის გადაეცა. 1213წ. პაპმა ჯონის დამხობის ბულა გამოსცა, ხოლო აღსრულება კი საფრანგეთის მეფეს ფილიპე II მიანდო. ინგლისს საფრანგეთის ინტერვენცია დაემუქრა.

პაპის ბულამ მეფე ჯონი იზოლაციაში მოაქცია. შინაგანი ოპოზიცია შეიკრა, შოტლანდიის მეფემ კავშირი დასდო პაპთან, უელსში ადგილობრივი ბელადები აჯანყდნენ. ამგვარ სიტუაციაში ჯონს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა დათმობაზე წასვლა. 1213წ. მან მუხლი მოიდრიკა პაპის ლეგატის (წარგზავნილის) წინაშე, აღიარა თავი პაპის ვასალად, სცნო მისი უზენაესობა და უკვე როგორც ვასალმა სენიორისგან ნაბოძები მიწა, ისე მიიღო ინგლისი. ამ უკანდახევამ ჯონს დროებით წარმატება მოუტანა, საფრანგეთის ინტერვენცია თავიდან იქნა აცილებული. უფრო მეტიც, ჯონმა თავად დაიწყო მზადება საფრანგეთში შეჭრისათვის, რათა პლანტაგენეტების საგვარეულო მიწები დაებრუნებინა. მაგრამ საფრანგეთში ლაშქრობა ჯონისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1214წ. იგი სასტიკად დამარცხდა ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში, ბუვინთან გამართულ ბრძოლაში. დამარცხებული ჯონი იძულებული იყო ინგლისში დაბრუნებულიყო.

ჯონის დამარცხება ბუვინთან ბრძოლაში ოპოზიციისათვის ბრძოლის დაწყების ნიშნად იქცა. თუკი ადრე ბარონები იძულებულები იყვნენ მეფის ძალმომრეობისათვის შენიღბული, ან სამართლებრივი მეთოდებით გაეწიათ წინააღმდეგობა (მაგ. უარი ეთქვათ მეფეს საფრანგეთის ლაშქრობაში გაყოლოდნენ) ამჯერად მათ მეფეს ერთიანობა და ძალა დაუპირისპირეს. ოპოზიციას დახმარება აღუთქვეს შოტლანდიის მეფემ და უელსელმა ბელადებმა. ოპოზიციის ბელადებმა, დიდმა იუსტიციარმა ჯეფრი ფიც-პიტერმა და კენტერბერის არქიეპისკოპოსმა სტეფენ ლანგტონმა მოსთხოვეს მეფეს ჰენრი I ქარტიის შესრულება და საერთოდ, ქვეყნის მართვა „ედუარდ აღმსარებლის კეთილი კანონების შესაბამისად," რაც ქვეშევრდომთა მეფის ძალმომრეობისაგან დაცვას გულისხმობდა. ამის დასტურად მეფეს ახალი ქარტია უნდა ებოძა ქვეშევრდომებისათვის. როდესაც 1215წ. იანვარს შეიარაღებულმა ბარონებმა მეფეს თავისი ულტიმატუმი წაუყენეს, მეფემ, რომელიც პრაქტიკულად მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდა, მათ ვერაფერი ვერ დაუპირისპირა. მოგვიანებით ჯონის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა დაირაზმა. ოპოზიციის ლაშქარმა ლონდონი დაიკავა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის წაყლობით და ჯონი იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყებულთა მოთხოვნები. 1215წ. 15 ივნისს იგი შეხვდა ბარონებს უინძორის მახლობლად, რანიმედის ველზე, სადაც თავისი ბეჭდით დაადასტურა მათი მოთხოვნების ნუსხა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც თავისუფლებათა დიდი ქარტია (The Great Charter of Liberties), ლათინურად Magna Carta Libertarum

თავისუფლებათა დიდი ქარტია, რომელიც ლათინურ ენაზე იყო შედგენილი, ერთობ ფართო მოცულობის (63 მუხლი) პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენდა. რადგანაც ქარტიისათვის მებრძოლთა ავანგარდს ფეოდალები შეადგენდნენ, შესაბამისად მასში პირველ რიგში ამ კლასის ინტერესები იყო გათვალისწინებული. ქარტია უზრუნველყოფდა ბარონებისათვის ფეოდების მემკვიდრეობით გადაცემას სრულწლოვანებასთან დაკავშირებული გადასახადის გარეშე და აგრეთვე

ამსუბუქებდა სხვა არსებულ გადასახადებს. მეფის ქვეშევრდომებს (აქ რასაკვირველია იგულისხმებოდა თავისუფალი მოსახლეობა) ეძლეოდათ მათ „სწორთა სასამართლოს" (court of the peers) გარანტია, რაც მათ თავიდან ააცილებდა უკანონო დაპატიმრებას და სასჯელს, ქარტია უზრუნველყოფდა თავისუფალი ადამიანის ქონების ხელშეუხებლობას, რის თანახმად ფულადი ჯარიმა არ უნდა გადაზრდილიყო ქონებისა თუ წარმოების საშუალებათა კონფისკაციაში, იყო ეს მიწა, სავაჭრო კაპიტალი, თუ შრომის იარაღები. ამით ქარტია იცავდა პიროვნების საარსებო წყაროს. ბარონთა სასამართლოების ინტერესებს იცავდა მუხლი, რომელიც ზღუდავდა სამეფო სასამართლოს ჩარევას ფეოდალთა სასამართლოებში. ცალკეული მუხლები განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდნენ სამეფოს დიდ საბჭოს, რომელიც ბარონებისა და რაინდებისაგან შედგებოდა და რომელიც უფლებამოსილი იყო დაეკანონებინა ან გაეუქმებინა მეფის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი გადასახადი.

- რიგი მუხლებისა ითვალისწინებდა ქალაქებისა და მათი მოსახლეობის ინტერესებს. ლონდონისა და სხვადასხვა ქალაქების მოსახელეობას ქარტია აღუთქვამდა შიდა თუ საგარეო ვაჭრობის სრულ თავისუფლებას, შეუზღუდავ გადაადგილებას, ერთიან ზომა-წონას და საქალაქო თვითმმართველობას. ქარტიის დებულებების შესრულების თვალყურის სადევნად შეიქმნა 25 ბარონისაგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილი იყო ნებისმიერი საშუალებით აღეკვეთა მეფის მიერ ქარტიის მოთხოვნების დარღვევა.

რა შეიძლება ითქვას თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე ისტორიის გადასახედიდან? რასაკვირველია ქარტია თავისთავად არ იყო სიახლე ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამგვარი პრეცედენტი უკვე არსებობდა ჰენრი I ქარტიის სახით და სწორედ ეს იყო ოპოზიციის მთავარი არგუმენტი. მაგრამ 1215წ. ოპოზიცია და პოლიტიკური ბრძოლა თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ჰენრი I ქარტია და მისი დებულებები ძირითადში ზოგად და დეკლარაციულ ხასიათს ატარებდნენ. ახალ ქარტიაში მოთხოვნები ზუსტად და მკაფიოდ იქნენ ჩამოყალიბებული. მას გაცილებით უფრო კონკრეტული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ძველს. ინგლისის ჩვეულებითმა სამართალმა, რომელიც ძველი ქარტიის ამოსავალი წერტილი იყო, ვერ ივარგა თვითმპყრობელობის ასალაგმად. ამიტომ 1215წ. ოპოზიციამ იგი დაწერილი კანონის შეზღუდვებით შეცვალა. ამ თვალსაზრისით თავისუფლებათა დიდი ქარტია წარმოადგენს გადასვლას საზოგადოების ცნობიერებაში გაბატონებული ჩვეულებითი სამართლიდან დაწერილ კანონებზე, წარმომადგენლობით ორგანოებზე და მათ დადგენილებებზე. მის უდიდეს მონაპოვარს სწორედ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამართლებრივი გარანტიები წარმოადგენდნენ, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნებისა თუ ქონების ხელშეუხებლობას. სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა საგადასახადო სფეროში და ქარტიის შესრულებაზე მიღებული დადგენილებები მკაფიოდ აცხადებდნენ, რომ მეფე თავისთავად არ წარმოადგენდა კანონს და არც ეს უკანასკნელი გამომდინარეობდა გვირგვინოსნის პიროვნებიდან. პირიქით, პირველად ფორმალურად დადგინდა, რომ მეფე ვალდებულია დაექვემდებაროს კანონს. ეს ყველაფერი, უდავოდ, პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

თავისუფლებათა დიდი ქარტიის მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ატარებს ვიწრო, ფრაქციულ, ან თუნდაც წოდებრივ ხასიათს. ქარტიის მოთხოვნა წარმოსდგა არა ფეოდალთა ცალკეული დაჯგუფებიდან, არამედ გაბატონებული კლასიდან მთლიანად. უფრო მეტიც, ქარტია ითვლებოდა არა მარტო გაბატონებული კლასის, კერძოდ ბარონთა და რაინდების ინტერესებს, არამედ გამოხატავს სხვა ფენების მისწრაფებებსაც. ლაპარაკია თავისუფალ, წოდების არამქონე მიწათმფლობელებზე (ფრიმენები — Freemen) და მოქალაქეებზე (Burghesses). თავისუფლებათა დიდ ქარტიაში ინგლისის საზოგადოების მესამე წოდება (გლეხები და მოქალაქეები) პირველად წარმოჩნდება როგორც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა. რასაკვირველია, თავისუფლებათა დიდ ქარტიაში არ იყო გათვალისწინებული ყმა-გლეხთა უფლებები, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ, მაგრამ ეს არ არის ამ დოკუმენტის ნაკლი. იგი უნდა განხილულ იქნას მისივე ეპოქის თვალთახედვის ჭრილში. ქარტია და მისი ხასიათი

განპირობებული იყვნენ კონკრეტული ისტორიული ეპოქის ცნობიერებით. ხოლო იმ დროის საზოგადოების, მით უფრო მისი გაბატონებული ნაწილის ცნობიერება კი ვერ წამოაყენებდა საყოველთაო თანასწორობის იდეას, რომელიც უუფლებო და ვიწრო საზოგადოებრივ და ეკონომიურ ჩარჩოებში მყოფ ყმა-გლეხებს უეცრად ქვეყნის სვე-ბედის განმგებლებად აქცევდა. ქარტიისადმი მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა არა ნაკლის სახით წარმოვაჩინოთ ზემოაღნიშნული ფაქტი, არამედ დავინახოთ მასში საზოგადოების აქტიური ნაწილის მცდელობა, შექმნას ქვეყნის მართვის მოწესრიგებული მექანიზმი. თავისუფლებათა დიდი ქარტიისათვის ბრძოლა ღირშესანიშნავია თუნდაც იმით, რომ იგი მიზნად ისახავდა არა არსებული წყობილების ან მის სათავეში მყოფი მმართველის დამხობას, რაც ესოდენ ხშირი იყო აღმოსავლურ დესპოტიებში და რასაც პრაქტიკულად არავითარი ცვლილება არ მოყვებოდა, რადგანაც დესპოტის დამხობის და ფიზიკური განადგურების შემდეგ ამბოხებისა თუ შეთქმულების მოთავე თავად იქცეოდა ახალ დესპოტად. თავიუფლების დიდი ქარტიისათვის ბრძოლა ღირშესანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მიზნად ისახავდა არა თვითმპყრობელი მეფის დამხობას, არამედ მისი ძალმომრეობის კანონით შეზღუდვას და მეფისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობის სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თავისებური პოლიტიკური პრაგმატიზმის პირველი გამოვლენა ინგლისის ისტორიაში[11].

თავისუფლებათა დიდი ქარტიის მიღება მეფე ჯონის თვითმპყრობელური მისწრაფებების სერიოზულ მარცხს წარმოადგენდა. მას რომის პაპისა და კონტინენტიდან მოსული დაქირავებული ლაშქრის იმედი ჰქონდა. ჯონის მიერ შეგულიანებულმა პაპმა ოპოზიცია მეამბოხეებად გამოაცხადა და შეაჩვენა ისინი, არქიეპისკოპოსი სტეფენ ლანგტონი კი თანამდებობიდან გადაყენებულად გამოაცხადა. მაგრამ ინგლისელებმა, კერძოდ კი ლონდონელებმა ყურად არ იღეს პაპის გადაწყვეტილება. საეკლესიო ცხოვრება ინგლისში წინა ინტერდიქტის მსგავსად არ შემწყდარა. მეფემ მიიღო დახმარება კონტინენტიდან და ერთობ წარმატებითაც შეუტია ოპოზიციას, მაგრამ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა 1216წ. იხსნა ქვეყანა სამოქალაქო ომისგან. ჯონის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი 9 წლის ვაჟი ჰენრი III (1216-1272წწ.). მაშინვე დიდმა იუსტიციარმა უილიამ მარშალმა და პაპის ლეგატმა მისი სახელით ხელახლა გამოაქვეყნეს თავისუფლებათა დიდი ქარტია. მაგრამ წინააღმდეგობებმა მეფესა და მის ქვეშევრდომებს შორის კვლავ იჩინეს თავი რამდენიმე ათწლეულის შემდეგ.

ჰენრი III ერთობ თავისებურ გარემოში მოუხდა მეფობა. ამ რბილი ხასიათის ყმაწვილის გამეფება და შემდგომი მმართველობა დაემთხვა ინგლისში თავისებური პატრიოტიზმის აღზევებას, უფრო სწორედ მისი პირველი ნიშნების გამოჩენას. ჯონის დროს ფრანგული სამფლობელოების დაკარგვამ და ინგლისში ფრანგების შემოჭრამ თუ ამ შემოჭრის საფრთხემ თვით ინგლისის ფრანგული წარმოშობის დიდგვაროვნები რაღაცნაირად გააინგლისელა და უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ისინი მათ კუნძულოვან სახელმწიფოს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ინგლისელ დიდგვაროვანთა მეტოქეობა იმ ფრანგებთან, რომლებიც ჯონის მეფობის დროს მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამიტომ ჰენრი III მცირეწლოვანების ხანაში დიდმა იუსტიციარებმა, ჯერ უილიამ მარშალმა და მერე ჰუბერტ დე ბურგმა, რომლებიც მის რეგენტებს წარმოადგენდნენ განდევნეს კარიდან და შემდგომ ქვეყნიდან ინგლისელთათვის ესოდენ არასასურველი ფრანგები. მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა. 1227წ. ჰენრი III სრულწლოვანი გახდა. 1232წ. კი – ერთპიროვნული მმართველი. მეფემ დაითხოვა დე ბურგი, რომელიც ფრანგმა პიერ დე როშმა შეცვალა. მას სხვა ფრანგებიც მოყვნენ. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო ინგლისელი ბარონებისათვის ის, რომ მეფის ცოლს, მომხიბვლავ ელინორ პროვანსელს რვა ბიძა და კიდევ უფრო მეტი თანმხლები პირი ჩამოყვა საფრანგეთიდან, რომლებიც მომგებიან ადგილებზე მოკალათდნენ და დიდ მიწებს დაეპატრონნენ. ასე რომ ფრანგების მოძალება ინგლისის სამეფო

[11] ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოში თამარ მეფის ხანაში მომხდარი ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის უნიკალური ხასიათი, რომელმაც უკვე XIIს. მიწურულს წამოაყენა სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ხასიათის საკანონმდებლო ორგანოთი, „კრავი"-თ შეზღუდვის მოთხოვნა, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა პარლამენტის პირველსახე.

კარზე, აგრეთვე ფრანგ და ინგლისელ დიდებულთა დაპირისპირება კვლავ დღის წესრიგში დადგა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფრანგი ფავორიტებით გარშემორტყმული ჰენრი III ერთობ არაპოპულარულად გამოიყურებოდა ინგლისური პატრიოტიზმის გარიჟრაჟზე. საერო ფეოდალების უკმაყოფილებას ინგლისის ეკლესიის გაღიზიანებაც ერთვოდა, რაც გამოწვეული იყო პაპობის მიერ დაწესებული გადასახადებით. ეკლესიის მთელი შემოსავლის 1/5 რომში მიდიოდა. ეკლესიაში უამრავი თანამდებობა ეკავათ პაპის წარგზავნილებს, რომლებიც იშვიათად თუ ჩადიოდნენ ინგლისში, სამაგიეროდ, დიდ მოგებას პოულობდნენ ამ თანამდებობებიდან. პაპობის მოძალებითვე უკმაყოფილო იყვნენ ინგლისის ქალაქებიც. XIIIს. დასაწყისში ინგლისის 80 ქალაქზე მეტს უკვე ჰქონდა თვითმმართველობა, ქალაქებში წარმოიშვა ვაჭარ-ხელოსანთა ამქრები, ანუ როგორც მათ ინგლისში უწოდებდნენ გილდიები (Guilds). ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მოქალაქეების სიმდიდრის ზრდას და შესაბამისად ქალაქების სოციალურ-პოლიტიკური როლის ამაღლებას. მაგრამ მოქალაქეებს არ აწყობდათ მათი სიმდიდრის გადინება რომში. რასაკვირველია, პაპის ნება-სურვილს დაქვემდებარებული ჰენრი III ერთობ არასასურველად გამოიყურებოდა ქალაქების მოსახლეობის თვალში. სამეფო პოლიტიკით უკმაყოფილო იყო რაინდობაც. ფრანგების მოძალება რაინდებს ბარონებზე უფრო მეტად ავიწროვებდა, რადგანაც ისინი ნაკლებ მიწასა და ყმებს ფლობდნენ. მიწის დამუშავებისათვის რაინდები ხშირად დაქირავებულ შრომას მიმართავდნენ, ხოლო ვაჭრობაში ჩაბმა, რაც მათთვის ხშირად საარსებო წყარო იყო, და გადასახადების გადახდის აუცილებლობა[12] რაინდობას მოქალაქეებთან აახლოებდა. ეს ამ ორი სოციალური ფენის გაერთიანების შესაძლებლობას ქმნიდა პოლიტიკური კონფლიქტის შემთხვევაში.

ბიძგს დაძაბულობის შემდგომ გაღრმავებას თავად მეფე აძლევდა. ფრანგი ფავორიტებით გარშემორტყმული ჰენრი III ფაქტიურად მათი ნება-სურვილისამებრ მართავდა ქვეყანას. იგი სულ უფრო ნაკლებად ეთათბირებოდა დიდ საბჭოს და გადაწყვეტილებებს იღებდა ე.წ. მცირე საბჭოსთან გასაუბრების შემდეგ, რომელიც ფრანგი კარისკაცებისაგან შედგებოდა. ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა არა მარტო საერო თუ საეკლესიო თანამდებობებზე მოკალათებული ფრანგი ფავორიტების ძალმომრეობა (დედოფლის ერთ-ერთი ბიძა, კენტერბერის არქიეპისკოპოსი, მუშტი-კრივით აგვარებდა საქმეებს თავის დაქვემდებარებულ სამღვდელოებასთან, ხოლო მისი შეიარაღებული ამალა ბაზრების დარბევით იყო დაკავებული), არამედ მეფის ძვირადღირებული და წარუმატებელი საგარეო პოლიტიკაც. უშედეგოდ დასრულდა ჰენრი III ომი საფრანგეთში, რომლითაც იგი ცდილობდა პლანტაგენეტთა მიწების დაბრუნებას. ხოლო როდესაც 1258წ. პაპის მიერ შეგულიანებულმა ჰენრიმ გადაწყვიტა მორიგ ავანტიურაში ჩაბმა, რათა თავისი უმცროსი ვაჟისათვის სიცილიის სამეფო მოეპოვებინა და ამისათვის ბარონებსა და რაინდებს ახალი გადასახადები მოსთხოვა, ეს უკანასკნელნი შეიარაღებულები გამოცხადდენ მეფესთან და კატეგორიულად მოითხოვეს „საძულველი ფრანგების" გაძევება და სპეციალური კომისიის შექმნა სამეფოში რეფორმების გასატარებლად. ოქსფორდში შეკრებილმა დიდმა სამეფო საბჭომ მიიღო დადგენილებები, რომლებშიც მეფეს ულტიმატური ფორმით მოეთხოვებოდა: ხელი აეღო თავის საგარეო-სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებზე; ემართა ქვეყანა არა ფავორიტების არამედ, ტრადიციისამებრ, უმაღლესი დონის მოხელეების – იუსტიციარის, კანცლერის და ხაზინადარის მეშვეობით; ყოველწლიურად სამჯერ შეეკრიბა დიდი საბჭო და ეთათბირა მასთან.

სწორედ აქ გაიჟღერა პირველად სიტყვა პარლამენტმა. ასე ეწოდა დიდ სამეფო საბჭოს, როგორც თათბირისა და მოლაპარაკების ორგანოს. სიტყვა პარლამენტი (Parliament) ინგლისურ პოლიტიკურ ლექსიკონში კონტინენტიდან შევიდა. იგი ნასესხებია გვიან ლათინურიდან Parliamentum და ძველ ფრანგულიდან Parlement, რასაც საფუძვლად უდევს ფრანგული parler-ლაპარაკი, საუბარი. ასე იწოდებოდა საფრანგეთის პოლიტიკურ სინამდვილეში შეხვედრები, რომლების დროსაც კამათი და ბჭობა იმართებოდა ამა თუ იმ საკითხის გარშემო. ჰენრი III

[12] საფრანგეთისაგან განსხვავებით, ინგლისში რაინდობა არ იყო განთავისუფლებული მიწისა თუ სხვა გადასახადებისაგან.

თანხმობა ოქსფორდის დადგენილებებზე იყო პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოიცა.

ოქსფორდის დადგენილებები, ოპოზიციის უდავო გამარჯვებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ ბარონებს. მათში ნაკლებად იყო გათვალისწინებული რაინდების ინტერესები. სწორედ რაინდების ზეწოლის შედეგად 1259წ. მიღებულ იქნა ე.წ. უესტმინსტერის დადგენილებები, რომლებიც დაიცავდნენ მათ შერიფების, სამეფო მოსამართლეების და თავად ბარონების შევიწროებისაგან.

მაგრამ ტერმინის შემოღება ჯერ არ ნიშნავდა ინსტიტუტის დამკვიდრებას და მით უფრო მის სრულფასოვან ფუნქციონირებას. ოპოზიციის რიგებში განხეთქილებამ იჩინა თავი. ბარონთა ნაწილმა, რომელიც შიშობდა, რომ საპროტესტო მოძრაობა მოსახლეობის ფართო ფენებს მოედებოდა და ანარქიაში გადაიზრდებოდა დაკმაყოფილდა მიღწეულით და მეფის მხარე დაიჭირა. ამით ისარგებლა ჰენრი III და ოქსფორდის დადგენილებები ბათილად გამოაცხადა. სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში ოპოზიციის რადიკალურად განწყობილი დაჯგუფება, ძირითადად რაინდები და ბარონთა ნაწილი იარაღით ხელში გამოვიდა მეფის წინააღმდეგ. მათ მხარი დაუჭირეს მოქალაქეებმა და ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა აჯანყებულებს ლეისტერის გრაფი, სიმონ დე მონფორი მეთაურობდა.

სიმონ დე მონფორის პიროვნება უდავოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ინგლისში გაჩაღებული ანტიფრანგული მოძრაობის ფონზე ფრანგული წარმოშობის ეს დიდგვაროვანი გვეკლინება, როგორც ინგლისის თავისუფლებათა და დიდი ქარტიის ტრადიციების თავდადებული დამცველი. თუმცა კი, ჰენრი III დაზე დაქორწინების შემდეგ მის წინააღმდეგ ინგლისში მტრული დამოკიდებულება გაიზარდა. პატრიოტულად განწყობილი ბარონები უკმაყოფილო იყვნენ, რომ მეფის და ფრანგს გაყვა ცოლად. მაგრამ მისი სამხედრო და ადმინისტრაციული ნიჭი, მკაცრი და სამართლიანი ხასიათი საბოლოო ჯამში აიძულებდა მის ოპონენტებს ეცნოთ მისი უპირატესობა. პოლიტიკური კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდში დე მონფორი უკვე ავტორიტეტული პიროვნება იყო როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში. ჰენრი III სახელით იგი მართავდა გასკონს, სადაც მან ულმობელი მეთოდებით დაამყარა წესრიგი, რაც ვერც მანამდე და ვერც მას შემდეგ ვერავინ ვერ შესძლო. საფრანგეთის მეფის ლუი IX ჯვაროსნულ ლაშქრობაში ყოფნისას ფრანგმა ბარონებმა მას დროებით შესთავაზეს გვირგვინი, რაზეც სიმონმა უარი განაცხადა. ოპოზიციაში ყოფნის დროს დე მონფორმა მტკიცე პოზიცია დაიკავა, რამაც განაპირობა მის მიერ შეიარაღებული გამოსვლის მეთაურობა. 1264წ. სიმონ დე მონფორმა დაამარცხა მეფის ჯარი ლიუისთან, დაატყვევა ჰენრი III და უფლისწული ედუარდი. ამ გამარჯვებამ, პოპულარობამ რაინდობასა და ქალაქის მოსახლეობას შორის დე მონფორი გარკვეული ხნით ინგლისის მბრძანებლად აქცია. მაგრამ გრაფი შორს იყო დიქტატორული პრეტენზიებისგან. ასეთივე განწყობა სუფევდა საერთო ჯამში აჯანყებულთა შორის. ისევე, როგორც 1215წ., ოპოზიცია ხელმძღვანელობდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის და მმართველობის გაუმჯობესების იდეით. იმ მოვლენათა თანამედროვენი პირდაპირ გამოთქვამდნენ აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უნდა იმართებოდეს კანონების მიხედვით, ხოლო კანონი მათივე თქმით, ყველაზე უკეთ ესმის იმათ, ვინც ამ კანონებით იმართება. „დე შეიკრიბონ სამეფოს თემები და გამოთქვან თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი ადამიანები უნდა შეირჩენ ქვეყნის საკეთილდღეოდ“ — ასეთი იყო იმ დროის საზოგადოებრივი აზრი. სწორედ მის გამოხატულებას წარმოადგენდა სიმონ დე მონფორის გადაწყვეტილება, ორჯერ, 1264-65წწ. მოეწვია წარმომადგენლობითი დაწესებულება, ინგლისის პირველი პარლამენტი. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ მეორე მოწვევის პარლამენტში ეპისკოპოსებსა და ბარონებთან ერთად მოწვეულ იქნა ორ-ორი რაინდი თითოეული საგრაფოდან და ორ-ორი მოქალაქე თითოეული ქალაქიდან. ამგვარად, წარმომადგენლობით დაწესებულებაში პირველად მოიყარეს თავი ინგლისური საზოგადოების სამივე წოდების წარმომადგენლებმა.

მაგრამ პარლამენტის მოწვევამ ვერ განამტკიცა თავად სიმონ დე მონფორის პოზიცია. შეიარაღებული აჯანყების მეთაურობამ მას ცუდი სამსახური გაუწია. თვით ოპოზიციის თვალშიც

კი გრაფი უზურპატორად რჩებოდა. ამიტომ იყო, რომ მისი მოწვევის პარლამენტში 120 საეკლესიო პირთან ერთად მხოლოდ 23 ბარონი გამოცხადდა. მისი მომხრეების რიგები შეთხელდა, რადგანაც ბარონები მეფის ბანაკში გადასვლას ამჯობინებდნენ. სამეფო ხელისუფლების, როგორც სახელმწიფოს ქვაკუთხედის პრესტიჟი ურყევი იყო. მეამბოხესთან ურთიერთობა უპერსპექტივო და სახიფათო საქმედ მიაჩნდათ. დე მონფორი ფაქტიურად იზოლირებული აღმოჩნდა, მოგვიანებით უფლისწულმა ედუარდმა ტყვეობას თავი დააღწია და სამეფო პარტიის სულისჩამდგმელი გახდა. შეტაკება მხარეებს შორის გარდაუვალი გახდა. გადამწყვეტი ბრძოლა 1265წ. აგვისტოში მოხდა ივშემთან. მიუხედავად მოწინააღმდეგის რიცხვობრივი უპირატესობისა გრაფი სიმონი გაბედულად ჩაება ბრძოლაში. „მივანდოთ ჩვენი სულები უფალს, რადგანაც ჩვენი სხეული უკვე მტრის ხელშია". მიმართა მან ბრძოლის წინ თავის თანამებრძოლებს, რადგანაც როგორც გამოცდილი მეომარი ხედავდა, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო. აჯანყებულები დამარცხდნენ. მამაცურად მებრძოლი გრაფი სიმონი ბრძოლის ველზე დაეცა. სამეფო ხელისუფლება აღდგენილ იქნა.

სიმონ დე მონფორის დამარცხებისა და დაღუპვის მიუხედავად მის საქმეს უკვალოდ არ ჩაუვლია. უფლისწულმა ედუარდმა, რომელიც მამამისის გარდაცვალებამდე, 1265-1272წწ. ქვეყნის ფაქტიური მმართველი იყო, სწორი დასკვნები გააკეთა მამამისის მეფობიდან. ამ ენერგიულმა და შორსმჭვრეტელმა მმართველმა საღად შეაფასა წარმომადგენლობითი დაწესებულების მნიშვნელობა. და ამიტომ სწორედ ედუარდ I (1272-1307წწ.) მეფობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი პარლამენტის ფუნქციონირებას ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველა ცვლილება კანონმდებლობაში, დაბეგვრისა თუ მართვა-გამგეობაში ხორციელდებოდა პარლამენტთან შეთანხმებით.

პარლამენტის როლის ზრდას თავად მეფის მიერ გატარებული პოლიტიკა უწყობდა ხელს. ედუარდ I ხანგძლივ და მძიმე დაპყრობით ომებს აწარმოებდა უელსთან[13] და შოტლანდიასთან. ამ ომებისათვის მეფეს ფული სჭირდებოდა. სამეფო მიწები ველარ იძლეოდნენ ომებისათვის საჭირო სახსრებს, ამიტომ მეფე თავის ქვეშევრდომებს ეთათბირებოდა ახალი გადასახადების შემოღების თაობაზე, რომლებსაც ხაზინა უნდა შეევსო. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შიდაპოლიტიკური კონფლიქტი, 1295წ. ედუარდ I გაიმეორა სიმონ დე მონფორის მიერ გადადგმული ნაბიჯი და წინა წლების მოწვევის პარლამენტებისაგან განსხვავებით ამ პარლამენტში ყველა წოდების წარმომადგენელი მოიწვია. 1295წ. პარლამენტში, რომელსაც ამისათვის სამაგალითო ეწოდა წარმოდგენილი იყო სამღვდელოება; ბარონები, რაინდები და მოქალაქეები. 1297წ. კი პარლამენტს გადასახადების დამტკიცების უფლება მიენიჭა. მოგვიანებით, XIVს. ადგილი ჰქონდა საპარლამენტო სისტემის შემდგომ განვითარებას. პარლამენტი უფლებამოსილი შეიქმნა გამოეცა კანონები (საპარლამენტო სტატუტები). იგი იქცა პოლიტიკური საქმეების უმაღლეს სასამართლოდ, კერძოდ, განიხილავდა მინისტრების სამსახურეობრივ დანაშაულს. 1343წ. კი პარლამენტი ორ პალატად გაიყო. ლორდთა პალატა შედგებოდა სასულიერო და საერო ლორდებისგან. პირველნი იყვნენ არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები, მეორენი კი ბარონები. თემთა პალატა კი აერთიანებდა რაინდებსა და მოქალაქეებს.

როგორ შეიძლება შეფასდეს პარლამენტის წარმოშობა ინგლისში? ინგლისი ხშირად საპარლამენტო სისტემის სამშობლოდ მოხსენიება, თუმცა კი უნდა ითქვას, რომ წარმომადგენლობითი დაწესებულება ევროპაში მანამდე უკვე არსებობდა ესპანური კორტესების სახით (1188წ.). მაგრამ მთავარი ქრონოლოგიური პირველობა არ არის. ისტორიისათვის გაცილებით ფასეულია ის ფაქტი, რომ პარლამენტმა ინგლისში შემდგომი განვითარება განიცადა, იქცა სიცოცხლისუნარიან და ქმედით პოლიტიკურ ორგანოდ, რაც ვერ ითქმის კორტესებსა თუ ფრანგულ გენერალურ შტატებზე, რომლებიც აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების მარწუხებში

---

[13] უელსის დაპყრობის შემდეგ ედუარდ I ადგილობრივ ბელადებს ერთგულების ფიცი მოსთხოვა. იმისათვის რომ მათი გაღიზიანება არ გამოიწვია, მეფემ ეს ძალზე თავაზიანურად გააკეთა. მან არ მოითხოვა, რომ ერთგულების ფიცი მისთვის დაეფიცა. „შეხვედრები ერთგულება იმას, ვისაც ეხლა მე თქვენ გიჩვენებთ." უელსელებს ეს ნაკლებად დამაჯერებლად მოეჩვენათ და დათანხმდნენ. ედუარდ I მათ მაშინვე თავისი ვაჟი, ჩვილი უფლისწული ედუარდი გამოუცხადა. უელსელების უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ და ერთგულება შეფიცეს პატარა უფლისწულს. ამგვარად, უელსი ტახტის მემკვიდრის მამულად გამოცხადდა, თავად მემკვიდრე კი უელსის ერთგულად (უფლისწულად) (Prince of Wales).

აღმოჩნდნენ. პარლამენტის მეშვეობით ინგლისური საზოგადოება ეჩვეოდა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას, იმაღლებდა საზოგადოებრივ თვალსაწიერსა და პოლიტიკურ კულტურას, ამის წყალობით ცალკეული წოდების წარმომადგენლები სახელმწიფოსა და მის მართვას განიხილავდნენ არა როგორც თავის ვიწრო წოდებრივ პრეროგატივას, არამედ როგორც საერთო, მეტ-ნაკლებად (ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე) სახალხო საქმეს, რომლის პროცესში მათ უნდა გაეთვალისწინებინათ არა მარტო თავისი, არამედ სხვათა ინტერესებიც. ეს მნიშვნელოვანწილად აცილებდა მათ თავიდან წოდებრივ ეგოიზმს, სოციალურად უფრო კომუნიკაბელურს ხდიდა და სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას კი უფრო მოქნილს. ასე რომ, სახელმწიფოს მართვა ინგლისში საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის უცხო ხილი არ იყო. ეს პირველ რიგში მესამე წოდების წარმომადგენლებზე ითქმის. ალბათ ამითაც უნდა ავხსნათ ინგლისის პოლიტიკური განვითარების ის თავისებურება, რომ კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით (პირველ რიგში საფრანგეთს ვგულისხმობთ), ამ ქვეყნისათვის ძირითადად უცხოა მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილები. კონტინენტზე მომხდარი რევოლუციების დროს ძალაუფლებას დახარბებული ხალხის მასები საზარელ დამანგრეველ ძალად იქცეოდნენ, რასაც სწორედ მესამე წოდების შეურიგებელი იდეოლოგია განაპირობებდა. ინგლისში მესამე წოდება, რომელსაც ქვეყნის მართვა-გამგეობა მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული და გათავისებული ჰქონდა მაქსიმალურად ცდილობდა პოლიტიკური ბრძოლის პირობებშიც კი კანონის ფარგლებში ემოქმედა.

რა საზოგადოებრივი და კულტურული ყოფის ფონზე ხორციელდებოდა ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები? რასაკვირველია, გაბატონებული კლასის პოლიტიკური აქტიურობა სამეფო ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში გარკვეულწილად გამაგრებული იყო მესამე წოდების, კერძოდ ვაჭარ-ხელოსნების მხარდაჭერით. ამ ფენის პოლიტიკურ აქტიურობას კი მისი ეკონომიკური გაძლიერება განაპირობებდა. ჰენრი II მოყოლებული ინგლისელი მეფეები მუდმივად სესხულობდნენ ფულს ინგლისელი, ებრაელი თუ ინგლისში ჩასული იტალიელი მევახშეებისგან. ფართოდ გაშლილმა ეკლესია-მონასტრების მშენებლობამ არნახულად გაზარდა მოთხოვნა ხელოსნებზე და სოციალურად გაზარდა ამ პროფესიის მნიშვნელობა. ამანვე განაპირობა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადაჯგუფება სოფლიდან ქალაქში. ქალაქები სამეფო ხელისუფლებისათვის ერთობ სარფიან შემოსავლის წყაროდ იქცნენ. ბაზრებისა და ბაზრობების ქონის და ჩატარების უფლებას ისინი მეფეებისგან ფულადი თანხების გადახდის სანაცვლოდ იღებდნენ. XIIIს. მიწურულს ინგლისში 3 ათასი ამგვარი ყოველკვირეული ბაზარი ფუნქციონირებდა. ხშირი იყო დავა ქალაქსა და ამა თუ იმ ფეოდალს შორის. ეს უკანასკნელი ქალაქს თავის საკუთრებად მიიჩნევდა თუკი იგი ფეოდალის სამფლობელოებში იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში მოქალაქეები სასამართლოს მიმართავდნენ და ზოგჯერ მზად იყვნენ დავა ფეოდალურ ყაიდაზე, ორთაბრძოლის მეშვეობით გადაეწყვიტათ. იყო შემთხვევები, როცა ქალაქები ყმა-გლეხებს იფარებდნენ და საკუთარი თვითმმართველობისა და პრივილეგიების საფუძველზე მათ თავისუფლებას ანიჭებდნენ. ეს ყველაფერი ქალაქის მოსახლეობას თავისებურ სოციალურ ცნობიერებას სძენდა და საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის მნიშვნელობაზე მიუთითებდა. მით უფრო, რომ სამეფო ხელისუფლება უმეტეს შემთხვევაში მათ გვერდში ედგა და ხაზინაში შეტანილი თანხების სანაცვლოდ უყოყმანოდ უბოძებდა მათ თვითმმართველობას და სხვადასხვა პრივილეგიებს. ქალაქების პოზიციების გაძლიერება ზრდიდა მათი მოსახლეობის კლასობრივ სოლიდარობას. ეს იყო ქალაქების მოსახლეობის ურთიერთ მხარდაჭერა, ხოლო ქალაქებს შიგნით შესაბამისი პროფესიებისა და ხელობის წარმომადგენელთა ურთიერთანადგომა. ამგვარი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა ამქრები, რომლებიც ერთი და იგივე პროფესიის წარმომადგენლებს აერთიანებდნენ ამქრები არა მარტო არეგულირებდნენ შრომისა და მოხმარების ბაზარს და თავიდან აცილებდნენ მას ზედმეტ კონკურენციას, არამედ გარკვეულ საზოგადოებრივ ფენასთან მიკუთვნების გრძნობას უღვივებდნენ მოქალაქეებს, რაც საფუძველს წარმოადგენდა შემდგომში ეროვნული და პატრიოტული შეგნების ჩამოსაყალიბებლად. ამავე დროს საქალაქო ცხოვრების გაფართოებამ გამოიწვია ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილება. სიმდიდრემ, რომელზედაც ადრე ფეოდალებს ჰქონდათ მონოპოლია, თანდათან სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ხელში გადაინაცვლა. ამგვარი გადაჯგუფება კი სასიკეთო წინაპირობა იყო მთელი საზოგადოების სოციალური თუ პოლიტიკური აქტიურობისათვის.

XIIIს. ინგლისში შემდგომი გაფართოება ჰპოვა საუნივერსიტეტო სისტემამ. სწორედ უნივერსიტეტებში მოღვაწეობდნენ იმ დროის გამოჩენილი სწავლულები, სქოლასტიკოსები რობერტ გროსეტესტი, როჯერ ბეკონი და დუნს სკოტი. გროსეტესტი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, შემდგომში ლინკოლნის არქიეპისკოპოსი, მუშაობდა მათემატიკის, ფიზიკის და თეოლოგიის დარგში, ბეკონმა წამოაყენა აზრი ბუნებისმეტყველების ცდების საფუძველზე შესწვლის აუცილებლობის შესახებ. სკოტმა, ოქსფორდისა და პარიზის უნივერსიტეტების პროფესორმა ყველა დანარჩენ სქოლასტზე უფრო კატეგორიულად დააყენა საკითხი რწმენისა და ცოდნის განსხვავების შესახებ. პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება არ შეიძლებოდა არ ასახულიყო შესაბამისი თეორიული მოსაზრებების ჩამოყალიბების გზით. ამიტომ სამართალი კვლავ რჩებოდა ინგლისელი სწავლულების ყურადღების ცენტრში. XIIIს. ინგლისში მოღვაწეობდა გამოჩენილი სამართლისმცოდნე ჰენრი დე ბრექტონი, რომლის ნაშრომები იურისპრუდენციაში დღემდე ითვლება შუასაუკუნეობრივი ინგლისის სამართლისმცოდნეობის ბრწყინვალე ნიმუშად. აზროვნების თავისუფლებას პოლიტიკის საკითხებში თან ერთვოდა აზროვნება რელიგიურ სფეროში. სულ უფრო ხშირად გაისმოდა კრიტიკა ღვთისმსახურთა მისამართით იმის გამო, რომ მათი ცხოვრების წესი შეურაცყოფს ღვთიურ ნორმებს. ეკლესიის მსახურებს ბრალს სდებდნენ გამომძალველობაში, მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, თანამდებობების შეთავსებაში გამორჩენის მიზნით, ხორციელი ცხოვრებისადმი მიდრეკილებაში და სხვ. ამგვარი სიტუაცია გარკვეულწილად აისახა ხელოვნებაშიც, სადაც იგრძნობოდა თავისებური ჭიდილი საერო და საეკლესიო მიმართულებებს შორის. კერძოდ, ხელოვნება სულ უფრო ხდება საერო ხელისუფლების მფარველობის ობიექტი. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰენრი III აქტიურობა, რომელმაც შემოიკრიბა ხუროთმოძღვრები, ფერმწერები, მოქანდაკეები, გამოიწვია ოსტატები საფრანგეთიდან და ამით არა მარტო ჩამოიტოვა ეკლესია მეცენატობის საქმეში, არამედ ბიძგი მისცა ხუროთმოძღვრეობაში ფრანგული გავლენის შემდგომ გაღრმავებას. სწორედ ამიტომ უესტმინსტერის საბატო ყველაზე უფრო „ფრანგულია" ყველა მნიშვნელოვან ინგლისურ ტაძარს შორის. ქანდაკებასა და ფერწერაში რეალისტურმა სულისკვეთებამ იმძლავრა. სწორედ ამგვარი ტენდენციები წარმოჩდნენ ველსის საკათედრო ტაძრის და უესტმინსტერის საბატოს ქანდაკებებში. მეფეებისა და სხვა წარჩინებულთა გამოსახულებები სიცოცხლითაა სავსე. იგივე ითქმის კედლის მხატვრობაზე. უინჩესტერის საკათედრო ტაძრის მოხატულობის რელიგიური სიუჟეტებში (მაცხოვრის ჩამოხსნა ჯვრიდან, ღვთისმშობელი ყრმით) უკვე მოსჩანს რეალური ადამიანებისათვის დამახასიათებელი მოძრაობები, იერ-სახე თუ გრძნობები. იგივე ითქმის რელიგიურ პოეზიაზე, სადაც მაცხოვრისა და ღვთისმშობლისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატულების ფონზე ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები გამოსჭვივის.

საერო ლიტერატურა, ისევე როგორც XIIს. ინტერესს იჩენს ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. აქ ყურადღების ცენტრში კვლავ კელტური ბრიტანეთია, ბრიტების ლეგენდებით მოსილი წარსული. მეფე არტური, მეფე ლირი და მისი სამი ქალიშვილის ამბავი, სხვა ძველი ლეგენდები იქცნენ XIIIს. ინგლისელი ღვთისმსახურის, ლეიამონის ბრიტანეთის ისტორიის თხრობის ობიექტად. იმავე დროს იქმნებოდა საუკუნის მიმდინარე მოვლენათა ქრონიკები. კერძოდ, მეთიუ პერიზის და როჯერ უენდოვერის „ისტორიის ყვავილებში" აღწერილი იყო ჰენრი III მეფობა.

წამყვან მიმართულებად საერო ლიტერატურაში კვლავ რაინდული, სასიყვარულო პოეზია რჩებოდა. აქაც, ხუროთმოძღვრების მსგავსად დიდი იყო ფრანგული პოეზიის გავლენა, რაც ტრუბადურების სასიყვარულო სიმღერებში გამოიხატა. ფეოდალური კულტურის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდნენ რაინდთა ტურნირები, სადაც ხდებოდა იარაღის ფლობის ოსტატობის დემონსტრაცია, რაც ფეოდალთა სოციალური მდგომარეობის და ღირსების უმთავრესი ნიშანთვისება იყო. იმავე დროს ჩამოყალიბდა დიდგვაროვანთა ქცევების, ურთიერთობის და ყოფითი პრინციპების რთული რიტუალი, რომელსაც თავაზიანობა ედო საფუძვლად და რომელიც კურტუაზულობის (Courtesy) სახელით არის ცნობილი.

ამგვარად, XIIIს. ინგლისში აღინიშნება პოლიტიკური ცხოვრების და კულტურის მნიშვნელოვანი განვითარებით, რამაც ნიადაგი შეამზადა მომდევნო საუკუნეში მომხდარი მრავალი მოვლენისათვის.

ასწლიანი ომი. უოტ ტაილერის აჯანყება

XIVს. ინგლისის ისტორიაში აღსავსე იყო მრავალრიცხოვანი სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის მოვლენებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ასწლიანი ომი. ამ ომმა დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების ინგლისისა და საერთოდ დასავლეთ ევროპის ისტორიაში. ეს ომი, რომელიც ფაქტიურად ას წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა (1333-1453წწ.) გამოწვეული იყო ინგლისის და საფრანგეთის სამეფო კარის მეტოქეობით, რომელსაც რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები ედო საფუძვლად. ინგლისის მეფეს ედუარდ III (1327-1377წწ.) სურდა აღედგინა პლანტაგენეტთა უწინდელი სამფლობელოები საფრანგეთში, რომელთაგან ინგლისს იმ დროისათვის გასკონიღა შემორჩა. ამ ომითვე ინგლისის სამეფო კარი იმედოვნებდა საფრანგეთის ნეიტრალიზაციას, რომელიც ედუარდ I დროიდან მოყოლებული ინგლის-შოტლანდიის ომების სულისჩამდგმელი და შოტლანდიელების აქტიური მხარდამჭერი იყო. თავის მხრივ საფრანგეთის სამეფო კარზე დიდი იყო სწრაფვა საბოლოოდ განედევნათ ინგლისელები ამ ქვეყნიდან, რაც ფრანგული მიწების შემდგომ ცენტრალიზაციას შეუწყობდა ხელს. იმავე დროს ორივე სამეფო ისწრაფოდა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ფლანდრიის მდიდარი საგრაფო, რომელიც ინგლისური მატყლის გასაღების მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენდა. ომის დაწყებას თავად ედუარდ III პიროვნებამაც შეუწყო ხელი. მეფის რაინდული ბუნება მას დიდების მოხვეჭისაკენ უბიძგებდა, ხოლო დიდება სწორედ ბრძოლის ველზე მოიპოვებოდა. ომი მოიტანდა მიწებს, ნადავლს (აღებული ქალაქების ტრადიციული სამდღიანი ძარცვის შემდეგ), ტყვეების გამოსასყიდ თანხებს, პოპულარობას. რაც შეეხება ომის დაწყებას ისეთ საბაბს, როგორიცაა ედუარდ III პრეტენზიები საფრანგეთის სამეფო ტახტზე, აქ შემდეგის თქმა შეიძლება. 1328წ. გარდაიცვალა საფრანგეთის მეფე, კაპეტინგების დინასტიის წარმომადგენელი შარლ IV. მას მემკვიდრე არ დარჩა. უფრო ადრე, ასევე მემკვიდრეების (ვაჟების) გარეშე გარდაიცვალნენ მისი ძმები. ფრანგმა დიდგვაროვნებმა არჩევანი შეაჩერეს გარდაცვლილი მეფის ბიძაშვილზე, ფილიპე ვალუაზე, რომელიც ტახტზე ავიდა ფილიპე VI სახელით. ამგვარი გადაწყვეტილება განპირობებული იყო ფრანგული სამართლის თავისებურებებით, რომელიც დაფუძნებული იყო ე.წ. სალიკურ[14] სამართალზე. ეს უკანასკნელი კი უარყოფდა ქალის ან მისი მამრობითი სქესის მემკვიდრის უფლებებს სამეფო ტახტზე. ამგვარი დებულება და შესაბამისი გადაწყვეტილება უდავოდ გააღიზიანებდა ედუარდ III, რომელიც საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზის ასულის, იზაბელას ვაჟი იყო. ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით ინგლისური სამართლით ედუარდს შეეძლო ჰქონოდა პრეტენზიები საფრანგეთის ტახტზე, რადგანაც იგი იყო ფილიპე IV-ის მამრობითი სქესის უშუალო შთამომავალი და გარდა ამისა ახლად გარდაცვლილი მეფის შარლ IV-ის დისშვილი, მაშინ როცა ფილიპე ვალუა მხოლოდ ბიძაშვილი. მაგრამ ფილიპე VI ტახტზე ასვლისას ედუარდის მხრიდან პროტესტი და პრეტენზიები პრაქტიკულად არ მოჰყოლია. ედუარდ III ჩავიდა ქალაქ ამიენში სადაც მან, როგორც გასკონის მფლობელმა ერთგულება შეჰფიცა თავის ფორმალურ სენიორს, ფილიპე VI. თუმცა კი ამ ცერემონიის დროს მას თავად სამეფო გვირგვინი ედგა თავზე და შემოსილი იყო ვარდისფერი ხავერდის სამეფო მოსასხამით, რომელზედაც ოქროს ლეოპარდები იყო ამოქარგული, რაც არსებული წეს-ჩვეულებების დარღვევად ითვლებოდა. 1331წ. ედუარდმა თავისი ვასალობა ფილიპე VI მიმართ შესაბამისი წერილობითი ფორმით დაადასურა. პრეტენზიები საფრანგეთის ტახტზე ედუარდ III მოგვიანებით, ომის დაწყების შემდეგ წამოაყენა. ამგვარად ომის დაწყებისათვის ისედაც კმაროდა მიზეზები. შოტლანდიელებთან წარმოებულ ომებზე და ანტიფრანგული კოალიციის შექმნაზე დახარჯული თანხების გამო შექმნილი საფინანსო კრიზისიდან ინგლისის სამეფო კარს მხოლოდ ძლევამოსილი ომი თუ გამოიყვანდა.

ომის დასაწყისად 1337წ. ითვლება, როდესაც ფლანდრიამ და მისმა მეზობელმა ბრაბანტმა ოფიციალურად ინგლისს დაუჭირეს მხარი. მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა მხოლოდ

---

[14] სალიკები – ფრანკთა ტომი, რომელიც V ს. ჩრდილოეთის ზღვის სამხრეთ სანაპიროს მისადგომებთან ცხოვრობდა.

1340წ. მოხდა. ეს იყო საზღვაო ბრძოლა სლიუისთან (Sluys), მდ. შელდის შესართავთან. ამ ბრძოლაში ინგლისელებმა გაანადგურეს საფრანგეთის ფლოტი, რამაც მათ გზა გაუხსნა საფრანგეთისაკენ. სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ ედუარდ III გამოაცხადა თავი საფრანგეთის მეფედ. მაგრამ საომარი მოქმედებების მსვლელობა ინტენსიურობით არ გამოირჩეოდა. საერთო ჯამში ასწლიან ომს რამდენიმე დიდი ბრძოლა ახსოვს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ ომის ისტორიაში. პირველ რიგში აღსანიშნავია კრესის (1346წ.) და პუატიეს (1356წ.) ბრძოლები. პირველ შემთხვევაში ინგლისელთა ჯარს თავად ედუარდ III სარდლობდა, ხოლო მეორეში — მისი უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე უფლისწული ედუარდი, რომელსაც თავისი შავი ფერის აბჯრის გამო მეტსახელად შავი უფლისწული შეარქვეს. კრესის და პუატიეს ბრძოლები პირველ რიგში უნდა განვიხილოთ როგორც წყალგამყოფი სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ამ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა არა მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები, არამედ ომის წარმოების სხვადასხვა მეთოდები. საფრანგეთის ჯარი შედგებოდა ფეოდალი-რაინდებისაგან, რომელთა მოქმედება ეფუძნებოდა პირად სიმამაცეს, ინდივიდუალურ საბრძოლო ოსტატობას. ამავე დროს ფრანგული ლაშქარი პრაქტიკულად მოკლებული იყო ბრძოლის წარმოების ორგანიზებულ, გეგმაზომიერ პრინციპებს. ფრანგი რაინდები უფრო საკუთარი თავის წარმოჩენისათვის და პირადი დიდების მისაღწევად მოქმედებდნენ, რისთვისაც ხშირად საერთო მიზანს და საერთო სარგებელს უგულვებელყოფდნენ. ფრანგულისაგან განსხვავებით ინგლისური ლაშქრის ბირთვს დისციპლინირებული და ორგანიზებული ქვეითი მეომრები შეადგენდნენ, რომლებიც დიდი მშვილდებით იყვნენ შეიარაღებული. ეს მშვილდები საშუალებას აძლევდა მათ ისრები დაახლოებით 300 ნაბიჯის მანძილზე ეტყორცნათ. სწორედ ქვეითი მეომრების ორგანიზებულობამ, მათმა მოხერხებულმა ურთიერთქმედებამ ცხენოსან რაზმებთან უზრუნველყვეს ინგლისელთა უპირატესობა კრესისა და პუატიესთან. ორივე ბრძოლა ინგლისელთა სრული გამარჯვებით დასრულდა. ბრწყინვალე ფრანგული რაინდობა, მისი სიმამაცის მიუხედავად განადგურებულ იქნა. კრესისთან ფრანგებმა 1500 რაინდი დაკარგეს, მაშინ როცა ინგლისელებმა მხოლოდ სამი. პუატიესთან ფრანგებმა კიდევ უფრო მომაკვდინებელი დარტყმა მიიღეს. მრავალრიცხოვანი დანაკარგის გარდა 2000 ფრანგი ფეოდალი ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს. ტყვეთა შორის იყო თვით საფრანგეთის მეფე ჟან კეთილი[15].

ამრიგად, ასწლიანმა ომმა დასაბამი დაუდო ცხენოსანი რაინდების როლის დაქვეითებას საომარი მოქმედებების დროს. ნიშანდობლივია, რომ ისინი დამარცხდნენ გლეხებთან შეტაკებაში. სწორედ შეძლებული თავისუფალი გლეხებისაგან, იომენებისაგან (ინგ. Yeomanry) შედგებოდა ინგლისელთა ქვეითი ლაშქარი. ამ ომის სხვა სიახლეს ბრძოლის ველზე პირველი ზარბაზნების გამოჩენა წარმოადგენდა.

კრესისა და პუატიეს ბრძოლებს შორის დროის შუალედში ინგლისელებმა ხელთ იგდეს საპორტო ქალაქი კალე, რის მეშვეობითაც უზრუნველყვეს თავისი ჯარის საფრანგეთში დაუყოვნებელი გადასროლა სამხედრო ოპერაციების წარმოებისათვის. სწორედ ამის წყალობით მოახერხა ედუარდმა პუატიეს ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის ხელახლა დალაშქვრა და აოხრება. ინგლისელები პარიზსაც კი უქმნიდნენ უშუალო საფრთხეს. საფრანგეთის სამეფო კარი, რომელიც როგორც საგარეო, ისე საშინაო (გლეხთა აჯანყება, ე.წ. ჟაკერია და პარიზის მოქალაქეების გამოსვლა) მოწინააღმდეგების წინაშე აღმოჩნდა იძულებული შეიქნა დაზავებულიყო ინგლისელებთან. 1360წ. უფლისწულმა შარლმა, რომელიც ტყვეობაში მყოფი მეფე ჟანის ნაცვლად მართავდა ქვეყანას ბრეტინიში ზავი დასდო ინგლისელებთან. ზავი პირობების თანახმად ედუარდ III ხელი აიღო თავის პრეტენზიებზე საფრანგეთის სამეფო ტახტზე, მაგრამ მიიღო აკვიტანია, პონტიე და კალე როგორც სრულუფლებიანმა მფლობელმა, საფრანგეთის მეფისათვის ვასალობის ფიცის დადების გარეშე.

---

[15] ინგლისელთათვის ეს არნახულ მოგებას ნიშნავდა. მხოლოდ ჟან კეთილის გამოსასყიდი თანხა ედუარდ III მოთხოვნით 500 ათასი გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

მაგრამ საფრანგეთის ჯარის დამარცხება არ ნიშნავდა ფრანგების დამარცხებას. აკვიტანელმა ფეოდალებმა უარყვეს ედუარდ III მოთხოვნა ჩაებარებინათ მისთვის თავისი ციხე-კოშკები. ინგლისელთა წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ფრანგების წარმატების მთავარი იარაღი არა მასშტაბური ბრძოლები, არამედ ინგლისელთა მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრეების ალყა წარმოადგენდა. გარკვეული როლი ინგლისელთა მარცხში პიროვნულმა ფაქტორმაც ითამაშა. ადრინდელისაგან განსხვავებით, მათ აშკარად აკლდათ ძლევამოსილი სარდლები – მეფე ედუარდ III მოხუცდა და დაუძლურდა, ხოლო შავი უფლისწული იმ დროისათვის დაავადდა და მალე გარდაიცვალა. მძიმე დარტყმა მიაყენა ინგლისელთა პოზიციებს მათი ფლოტის დამარცხებამ ლა როშელთან. ამდენმა მარცხმა განაპირობა 1375წ. დადებული დაზავების შედეგები. ინგლისელებს მხოლოდ კალე და ბორდოსა და ბაიონას შორის მდებარე ვიწრო სანაპირო ზოლი დარჩათ.

აქედან მოყოლებული ასწლიან ომში ადგილი ჰქონდა ხანგძლივ შესვენებას, რაც გამოწვეული იყო ინგლისის სამეფო კარზე მომხდარი მოვლენებით. 1377წ. გარდაიცვალა მოხუცი მეფე ედუარდ III, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი ახალგაზრდა ფავორიტი ქალის ალისა პერერსის მარიონეტად იყო ქცეული. ერთი წლით ადრე გარდაიცვალა მეფის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე შავი უფლისწული ედუარდი, ამის გამო ტახტზე ავიდა შავი უფლისწულის მცირეწლოვანი ვაჟი რიჩარდი. რიჩარდ II (1377-1399წწ.) თავისი მეფობის მიწურულს 1396წ. ზავი დასდო საფრანგეთის მეფესთან, შეირთო რა ცოლად მისი ქალიშვილი. რიჩარდ II ხანის საგარეო პოლიტიკა საკმაოდ მშვიდობიანი იყო. მისი მცირეწლოვანების პერიოდში ქვეყნის ფაქტიური განმგებელი მისი ბიძა, ედუარდ III მესამე ვაჟი, ჯონ გონტი, ლანკასტერის ჰერცოგი იყო. გახდა რა სრულწლოვანი, რიჩარდ II ხელი მიჰყო თავისი პოზიციების განმტკიცებას, რამაც იგი დააპირისპირა მის გარემოცვასთან. მეფისათვის საბედისწერო გამოდგა კონფლიქტი თავის ბიძაშვილთან, ჯონ გონტის ვაჟთან, ჰერცოგ ჰერფორდთან. მეფემ ჰენრი ჰერფორდი 1398წ. გააძევა ინგლისიდან. მაგრამ 1399წ. ეს უკანასკნელი დაბრუნდა ინგლისში, სადაც მას შეუერთდნენ რიჩარდ II აბსოლუტისტური მისწრაფებებით შეშფოთებული ბარონები და დაამხო რიჩარდ II. 1400წ. რიჩარდ II მოკლულ იქნა საპყრობილეში.

ტახტზე ჰენრი ჰერფორდი ავიდა ჰენრი IV (1399-1413წწ.) სახელით. მასთან ერთად ინგლისში ახალი, ლანკასტერების დინასტია გამეფდა, რომელიც პლანტაგენეტების მონათესავე შტოს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ტახტზე ასული ჰენრი IV არ ეცალა აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის. იგი დაკავებული იყო უელსში აჯანყების ჩახშობით, შოტლანდიელთა შემოტევების მოგერიებით და პარლამენტთან კარგი ურთიერთობის დამყარების მცდელობით.

სიტუაცია შეიცვალა ჰენრი IV სიკვდილის შემდეგ, როცა ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჰენრი V (1413-1433წწ.). ჰენრი V, რომელმაც მამის სიცოცხლეშივე გამოავლინა მეომრის ნიჭი, გადაწყვიტა საშინაო სირთულეები საერთო საგარეო პრობლემით განემუხტა. ქვეყანას რელიგიურ ნიადაგზე შექმნილი სოციალური კონფლიქტის გაღრმავება ემუქრებოდა, ბარონებს მეფე გულის სიღრმეში თავის სწორად და შესაბამისად ადვილად ხელწამოსაკრავად მიაჩნდათ. ამგვარ სიტუაციაში მეფემ შიგა დაპირისპირებით დაკავებული ძალები საგარეო მტრის წინააღმდეგ გააერთიანა და საბრძოლველად წარმართა. ეს მტერი კვლავინდებურად საფრანგეთი იყო. ომის განახლებას თავად საფრანგეთის საშინაო მდგომარეობა უწყობდა ხელს. ქვეყნის სათავეში მყოფი მეფე შარლ VI ფსიქიური აშლილობის გამო სიმბოლური მმართველი იყო. სამეფო კარი, ფაქტიურად მთელი ქვეყანა ჩართული იყო გაუთავებელ ფეოდალურ შინაომში, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებოდა დიდგვაროვანთა ორი დიდი დაჯგუფება: არმანიაკები და ბურგინიონები. ეს შინაომი კარგად გამოიყენა ჰენრი V, რომელმაც კავშირი დასდო ბურგინიონებთან (ბურგუნდიის საჰერცოგოსთან) და 1415წ. შემოდგომაზე თავისი ჯარით საფრანგეთში შეიჭრა. იმავე წელს გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა აზენკურთან. ისევე, როგორც კრესისთან და პუატიესთან, აქაც კვლავ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ორგანიზებული, მკაცრ დისციპლინაზე

დამყარებული ინგლისური ჯარი, სადაც ისევ ქვეითი მშვილდოსნები სჭარბობდნენ, და უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ნაკლებად ორგანიზებული ფრანგული ფეოდალური ლაშქარი. ინგლისელებმა კვლავ სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე. აზენკურთან ბრძოლაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა არა მარტო რაინდული ლაშქარის მოუქნელობა, არამედ რაინდული იდეოლოგიის დრომოჭმულობაც. რომლის მთავარი მიზანი პირადი, ინდივიდუალური განდიდება იყო. ამაზე კარგად მეტყველებს შემდეგი ფაქტი. რაინდებმა უარი თქვეს დახმარებაზე, რომელიც მათ აზენკურთან მოევლინათ 6 ათასი შეიარაღებული ქვეითი პარიზელი მოქალაქის სახით. „ნეტავი რაში გვჭირდება ეს მედუქნეები?!" ზიზღითა და დაცინვით განაცხადეს მათ, რადგანაც თვლიდნენ, რომ ქვეითებთან, მით უმეტეს მოქალაქეებთან ერთად ბრძოლა შელახავდა მათ რაინდულ ღირსებას.

ამ გამარჯვების შემდეგ ჰენრი V დაბრუნდა ინგლისში და შეაგროვა ახალი ჯარი. როდესაც იგი 1417წ. უფრო მრავალრიცხოვანი ძალებით დაბრუნდა საფრანგეთში მან უკვე მთელი ნორმანდიის დაკავება შესძლო. მოგვიანებით ინგლისელები პარიზს მიადგნენ და ბურგუნდიის ჰერცოგის მხარდაჭერით, რომელიც ამ ომში მათთვის სასურველ ნეიტრალიტეტს იცავდა საფრანგეთის სამეფო კარი აიძულეს მიეღო დამამცირებელი საზავო პირობები. 1420წ. ტრუას ზავით გასკონი და მდ. ლუარას ჩრდილოეთით მდებარე ფრანგული მიწები ინგლისელთა ხელში გადადიოდა. ჰენრი გამოცხადდა შარლ VI მემკვიდრედ, თუმცა ამ უკანასკნელს ჰყავდა საკუთარი ვაჟი. ამან ფაქტიურად ინგლისი და საფრანგეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა. ჰენრი V ქორწინებამ შარლ VI ასულ ეკატერინეზე (კატრინზე) ამ გაერთიანებას კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე შესძინა. შეიქმნა ანჟუელთა იმპერიაზე უფრო ვრცელი და კონსოლიდირებული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა. მაგრამ სულ მალე მოვლენათა მსვლელობა სხვაგვარად წარიმართა.

1422წ. ჰენრი V დიზინტერიით გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა შარლVI. შეიქმნა რთული პოლიტიკური სიტუაცია. ინგლისელებმა და მათმა მოკავშირე ბურგინიონებმა ინგლის-საფრანგეთის ერთიანი სამეფოს მეფედ ჰენრი V ჩვილი ვაჟი ჰენრი VI (1422-1261წწ.) გამოაცხადეს. შარლ VI ვაჟი, უფლისწული შარლი, რომელსაც ტრუას ზავით ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება და რომელიც არმანიაკებთან აფარებდა თავს, პატრიოტულმა პარტიამ მეფედ გამოაცხადა შარლ VII სახელით. ინგლისელთა მხრიდან სამეფოს ფაქტიური მართვა ჰენრი V ძმამ, ჰერცოგმა ბედფორდმა იტვირთა, რომელიც ჩვილი ჰენრი VI მეურვედ დაინიშნა. საომარი მოქმედებები განახლდა. ბედფორდი ერთობ წარმატებით უძღვებოდა სამხედრო და სამოქალაქო საქმეებს. ინგლისელები აბსოლუტურად აკონტროლებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიას. 1428წ. მათ ალყა შემოარტყეს ორლეანს. ორლეანის აღების შემთხვევაში მათ გზა გაეხსნებოდათ ლუარას სამხრეთით მდებარე მიწებისაკენ, რომლებიც შარლ VII დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

ამ განსაცდელის ჟამს ფრანგ ხალხს იარაღი არ დაუყრია. გლეხობამ და პატრიოტულად განწყობილმა ფეოდალებმა პარტიზანული ომი გააჩაღეს. ბრძოლაში წარმატებას ხელი შეუწყო მასში ახალგაზრდა გლეხი ქალის ჟანა დ'არკის მონაწილეობამ. უმანკო გოგონას ომში მონაწილეობა ბრძოლის სიწმინდისა და ღვთით ბოძებული გამარჯვების სიმბოლო გახდა. თავად ჟანა, რელიგიური აღმაფრენით შეპყრობილი რომანტიკული სულის ადამიანი მამაცურად იბრძოდა მოწინავე რიგებში და დანარჩენებისათვის თავგანწირვის მაგალითს წარმოადგენდა. ინგლისელები დამარცხებული იქნენ ორლეანთან, სადაც ჟანა პირველად გამოჩნდა მოლაშქრეთა რიგებში, რისთვისაც ხალხში მას ორლეანელი ქალწული შეარქვეს. ფრანგები ზედიზედ იბრუნებდნენ ინგლისელების მიერ მიტაცებულ მიწებს, მაგრამ ჟანას პოპულარობა და სახალხო ომის გაფართოება აშინებდა სამეფო კარს და ფეოდალებს. ისინი ამაში თავის ძალაუფლებისათვის საფრთხეს ხედავდნენ. დიდგვაროვნებმა გადაწყვიტეს ჟანა თავიდან მოეშორებინათ. აქიტომ იგი ერთ-ერთ ბრძოლაში ბურგუნდიელებს ჩაუგდეს ტყვედ. ამ უკანასკნელებმა კი ჟანა ინგლისელებს

გაღასცეს. ჰერცოგ ბედფორდის გადაწყვეტილებით ჟანა საეკლესიო სასამართლომ გაასამართლა, პრალად დასდო ჯადოქრობა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა[16].

ჟანას სიკვდილმა ვერ გაანელა ფრანგების პატრიოტული სულისკვეთება. ინგლისელებმა ვერ შესძლეს საომარი მოქმედებების თავის სასარგებლოდ შემობრუნება. 1435წ. გარდაიცვალა ჰერცოგი ბედფორდი, და ინგლისის ჯარი სარდლის გარეშე დარჩა. ომის სირთულეებით შეწუხებულმა ბურგუნდიელებმა ინგლისელებს ზურგი შეაქციეს და საფრანგეთის მეფესთან დასდეს კავშირი. 1436წ. ფრანგებმა პარიზი დაიბრუნეს. 40-იან წლებში ინგლისელები ნორმანდიიდან და გიენიდან განდევნეს. ომის დამამთავრებელ აკორდს კასტილიონის ბრძოლა წარმოადგენდა 1453წ. სადაც ფრანგებმა გაანადგურეს ინგლისელები. ასწლიანი ომი დასრულდა, თუმცა ოფიციაულრი ზავი არ ღადებულა. ედუარდ III და ჰენრი V ვეება ტერიტორიული მონაპოვრიდან ინგლისელებს საფრანგეთში მხოლოდ საპორტო ქალაქი კალე შერჩათ.

ამგვარად, ასწლიანი ომი დამთავრდა. ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის ისტორიაში, რადგანაც მან გამოიწვია რიგი მოვლენებისა, რომლებმაც განაპირობეს ინგლისის შემდგომი განვითარება. პირველ რიგში მან სიახლეები შეიტანა თავად სამხედრო საქმეში. ასწლიანი ომიდან მოყოლებული დაიწყო რაინდობის და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის როლის დაცემა სამხედრო მოქმედებაში და ქვეითი ჯარის როლის ზრდა. ეს პროგრესი დენთის და ზარბაზნების გამოგონებამ კიდევ უფრო დააჩქარა. ომმა გავლენა იქონია ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. ასწლიან ომში მონაწილე ინგლისის ჯარი თავისი ხასიათით დაქირავებული იყო. ამგვარად ჯარის შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. იმ დროს ინგლისის მეფეების განკარგულებაში შემოსავლის ორი წყარო იყო: შემოსავალი მიწებიდან და მეფის, როგორც მფარველი სენიორისათვის მისართმევი თანხები (შვილების ქორწინებისას, სრულწლოვანებისას, მემკვიდრეობის დამტკიცებისას და სხვ.). მაგრამ XIII-XIVსს. აშკარა გახდა, რომ ეს შემოსავალი აღარ კმარობდა ჯარის ორგანიზაცია–შენახვისათვის. საჭირო იყო სხვა წყაროების ძიება. ამგვარ წყაროს ახალი გადასახადების დაწესება წარმოადგენდა. მაგრამ ფორმალურად მეფეს არ ჰქონდა უფლება თავის ყველა ქვეშევრდომი დაებეგრა. ამგვარ პირობებში წინა პლანზე პარლამენტი გამოვიდა. დაბეგვრა მისი თანხმობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ მეფეს უნდა დაერწმუნებინა ხალხის წარმომადგენლები, რომ ომი, რომლის დაწყებასაც ის აპირებდა, საჭირო იყო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და შესაბამიად მიეღო პარლამენტის თანხმობა ახალი გადასახადების შემოღებაზე. ამ მომენტმა XIIIს. მოყოლებული და განსაკუთრებით ასწლიანი ომის დროს ძალზე გაზარდა პარლამენტის როლი ქვეყნის მართვის საქმეში.

ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინგლისის აგრარულ და სოციალურ ურთიერთობებზე. მოსახლეობისა და საომარი ხარჯების ზრდამ აიძულა ფეოდალები გაეძლიერებინათ ყმა-გლეხების ექსპლუატაცია. ეს ხდებოდა საბატონო მიწის გაზრდის მეშვეობით, რომელიც შესაბამისად ნთქავდა გლეხების მიწას. ამგვარ პირობებში (მიწის სამცირე, მეურნეობის პრიმიტიული აღჭურვილობა) გლეხებს საკუთარ მიწაზე მოწეული მოსავალი არ ყოფნიდათ ოჯახის გამოსაკვებად. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ დაქირავებული შრომისათვის მიეყოთ ხელი, რომ შემდეგ მიღებული თანხით მარცვლეული შეეძინათ. გავრცელდა დაქირავებული შრომა. 1311-1350წწ. ერთი შრომადღის ღირებულება 2 პენსს უდრიდა. მაგრამ XIVს. შუა ხანებში ინგლისში დატრიალებულმა ამბებმა სრულებით შეცვალეს სიტუაცია. 1348წ. ინგლისს მოედო შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც მისი დამანგრეველი მასშტაბის გამო თანამედროვეთაგან შავი სიკვდილის (Black Death) სახელი მიიღო. ვარაუდობენ, რომ ეპიდემიამ ინგლისისა და უელსის იმდროინდელი 4 მლნ. მოსახლეობიდან დაახლოებით 1,5 მლნ. გაანადგურა. მოსახლეობის შემცირებამ შეამცირა მუშახელი და გაზარდა დაქირავებული შრომის საფასური, რომელმაც შავი ჭირის შემდეგ 2,85 პენსს მიაღწია, ხოლო 1390-1400წ. 3,3 პენსამდე გაიზარდა. ამასთან ერთად XIVს. დასაწყისიდან

---

[16] 1455წ. ჟანა ოფიციალურად რეაბილიტირებული იქნა რომის პაპის მიერ. მას მოეხსნა ბრალდება ჯადოქრობაში, ხოლო 1920წ. იგი წმინდანად შერაცხეს.

შეიმჩნეოდა ახალი ტენდენცია ბეგარის ფულადი გადასახადით შეცვლა, რისი მეშვეობითაც ყმა-გლეხები თავისუფალ ადამიანებად იქცეოდნენ, რადგანაც გლეხს ბატონთან და მიწასთან უკვე მხოლოდ გარკვეული ფულადი გადასახადი აკავშირებდა. დაქირავებული შრომის საფასურის ზრდამ ფეოდალები რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. მეფის ხელისუფლება უმალ გამოეხმაურა გა-ბატონებული კლასების მოთხოვნებს. 1349წ. სამეფო ორდონანსით და 1351წ და 1361წ. საპარლამენტო სტატუტებით დაქირავებულ შრომას ფაქტიურად იძულებითი ხასიათი მისცა. ყველა მოზრდილი ქალი თუ მამაკაცი ვალდებული იყო მიეღო დამქირავებლის წინადადება, თანაც ამ უკანასკნელის მიერ წამოყენებული პირობებით. სამუშაოს უნებართვოდ მიტოვება სასტიკად ისჯებოდა. ამ კანონებმა მშრომელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობები 1377წ. შემოღებულმა სულადობრივმა გადასახადმა, რომელიც ომის ხარჯების ანაზღაურებას ისახავდა მიზნად და მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. მშრომელი ხალხის უკმაყოფილება თავისებურ იდეოლოგიურ სარჩულს იძენდა, რომელიც ლოლარდების მოძრაობაში გამოიხატა.

ასწლიანმა ომმა გარკვეულად დააქვეითა პარიზის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა. ასეთ პირობებში პირველობა ოქსფორდის უნივერსიტეტმა დაიკავა. სწორედ ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიწყო XIVს. ინგლისელი რეფორმატორის ჯონ უკლიფის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. რომელიც ინგლისელი სწავლულებისათვის ტრა-დიციულ ქვაკუთხედზე, სიახლის ძიებაზე იყო დაფუძნებული. უიკლიფის იდეებს ყავდა წინამორბედები. XIV საუკუნისათვის ინგლისში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა პაპობისა და ადგილობრივი სამღვდელოების კრიტიკა. თვით ღვთისმსახურებიც კი გამოთქვამდნენ აზრს იმის შესახებ, რომ საეკლესიო პირების ყოველდღიური საქმიანობა ყოვლად შეურაცხყოფელია უფალი ღმერთისათვის და იესო ქრისტე რომ დედამიწას სწვეოდა ალბათ სიცოცხლეს შთაბერავდა უკვე არსებულ რელიგიურ ორდენებს. თანამედროვეთა თქმით პაპის წარგზავნილები უფრო ფულის და სხვა სიმდიდრის მოხვეჭით იყვნენ დაკავებული, ვიდრე წმინდა საქმეებით. ეკლესია გამორჩენის არნახულ წყაროდ იქცა. საეკლესიო ქონება შურით აღავსებდა ბარონებსა და რაინდებს. სწორედ ასეთ პირობებში შეუტია უიკლიფმა პაპობას და კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობის პრაქტიკას. დაიწყო რა ღვთისმსახურთა სიხარბისა და მომხვეჭელობის კრიტიკა რაშიც მას დიდვაროვნებმაც დაუჭირეს მხარი (მათ შორის იყო მცირეწლოვანი მეფის რიჩარდ II ბიძა და მეურვე, ჯონ გონტი, ლანკასტერის ჰერცოგი, რომელსაც საეკლესიო სიმდიდრეზე ეჭირა თვალი) უიკლიფი შემდგომ თავის საუნივერსიტეტო ლექციებში და პამფლეტებში საეკლესიო დოგმატების კრიტიკას შეუდგა. უიკლიფმა წამოაყენა მორწმუნის ღმერთთან უშუალო ურთიერთობის იდეა მისი სინდისის მეშვეობით. ადამიანი უნდა ექვემდებარებოდეს არა ფორმალურ ავტორიტეტებს (ხელისუფლება და ა.შ.) არამედ საკუთარ რწმენას, რომლის მეშვეობით მის არსებაში ღმერთია წარმოდგენილი. ამგვარად, იგი უარყოფდა სამღვდელოების, როგორც შუამავლის როლს ღვთიური იდეის წვდომის საქმეში. უიკლიფმა რწმენის ერთადერთ წყაროდ ბიბლია გამოაცხადა და მოითხოვა მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა, რათა ადამიანები თვითონვე ზიარებოდნენ ღვთიურ იდეას და ინდივიდუალურად გაეცნობიერებინათ იგი. ეს იყო რევოლუციური გადატრიალება, რომელიც მძლავრ ბიძგს აძლევდა აზრონების თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს, რაც მომავალი სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის წინაპირობას წარმოადგენდა უიკლიფის იდეებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს ინგლისში. მას მხარი დაუჭირეს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებმა. გარკვეულწილად მისი მოძღვრება სამეფო კარის და ფეოდალების ინტერესებსაც ემთხვეოდა. ხელისუფლებას კარგა ხანია აწუხებდა პაპობის ძალაუფლების ესოდენ დიდი ზრდა და ამიტომ მიესალმნენ უიკლიფის მოსაზრებას საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის ქონების კონფისკაციის შესახებ. ედუარდ III აკრძალა რომისათვის მიემართათ სასამართლო აპელაციის შემთხვევაში, მოგვიანებით გამოიცა დადგენილება, რომელმაც გააუქმა პაპის კუთვნილი გადასახადი. მაგრამ უიკლიფის მიმდევრები, რომლებსაც ოფიციალური

ეკლესია დაცინვით ლოლარდებს[17] უწოდებდა, დაუღალავად დადიოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და არა მარტო სულიერ, არამედ სოციალურ თანასწორობასაც ქადაგებდნენ. „სად იყო აზნაური იმ დროს, როცა ადამი გუთანს ეჭდა ხოლო ევა ჯარასთან იჯდა?" ერთ-ერთი მქადაგებლის, ჯონ ბოლის მიერ. ნათქვამი ეს ფრაზა კარგად გამოხატავდა მშრომელი ხალხის სწრაფვას თანასწორობისაკენ. სწორედ ამგვარი იდეებით გამძაფრებული სოციალურ-ეკონომიკური უკმაყოფილება გახდა გლეხთა აჯანყების მიზეზი, რომელმაც 1381წ. იფეთქა.

აჯანყება დაიწყო 1381წ. მაისში, უესექსის საგრაფოში და მალე მეზობელ საგრაფოებს კენტს, საფოლკს და ნორფოლკს მოედო. სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ეს საგრაფოები ქვეყნის ბელელს წარმოადგენდნენ, ამიტომ ფეოდალები აქ ძნელად თმობდნენ საბატონო ბეგარას, ხშირ შემთხვევაში ზრდიდნენ მას, რაც აძლიერებდა ექსპლუატაციას და გლეხების უკმაყოფილებას იწვევდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა კენტელი ხელოსანი, უოტ ტაილერი. აჯანყებულებმა შესძლეს ლონდონის აღება. სამი დღის მანძილზე დედაქალაქი მათი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა. აჯანყებულებმა დაარბიეს ლონდონის საპყრობილეები, გაანადგურეს მთავარი სასამართლო არქივი, ცეცხლს მისცეს რეგენტის, მეფის ბიძის ლანკასტერის ჰერცოგის სასახლე. მოკლულ იქნენ საიმონ სედბერი და რობერტ ჰეილსი. პირველს ლორდ-კანცლერის და კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანამდებობები ეკავა, მეორეს-ხაზინადარის. მაგრამ აჯანყებულთა მთავარ მიზანს ჭაბუკ მეფესთან შეხვედრა წარმოადგენდა. 13 წლის რიჩარდ II საკმაოდ თამამად წარსდგა აჯანყებულთა წინაშე. ამ უკანასკნელებმა შემდეგი მოთხოვნები წამოუყენეს მეფეს: 1) ბატონყმობის გაუქმება, 2) აჯანყებულთა ამნისტია, 3) თავისუფალი ვაჭრობის შემოღება, 4) მიწაზე დაბალი საიჯარო საფასურის დაწესება (4 პენსი 1 აკრისათვის). ეს პროგრამა ძირითადად უესექსის გლეხობის ინტერესებს გამოხატავდა. კენტის გლეხობამ უფრო რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა. ისინი მოითხოვდნენ მიწების ნაწილობრივ დანაწილებას, სათემო მიწებით თავისუფლად სარგებლობის უფლებას და წოდებრივ თანასწორობას, მთავარობა დათმობაზე წავიდა. 14 ივნისს გამოიცა და დარიგდა სამეფო სიგელები, რომლებითაც ბატონყმობა გაუქმებულად გამოცხადდა. აჯანყებულთა ნაწილი (უესექსელები) დაკმაყოფილდა მიღებულით და დატოვა ლონდონი. მაგრამ კენტელები დარჩნენ თავისი მოთხოვნების დასაცავად. მეფესთან მეორე შეხვედის დროს ტაილერი მუხანათურად მოკლეს. ბელადის გარეშე დარჩენილი აჯანყებულები ადვილად დაშალეს და გააძევეს ლონდონიდან. ამის შემდეგ დაიწყო აჯანყების ჩახშობა, რომელიც სასტიკი ფორმებით მიმდინარეობდა. ამის პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლა ლოლარდებთან. თუკი უიკლიფი მიუხედავად შევიწროვებისა ცოცხალი დარჩა და თავისით გარდაიცვალა, მისი მიმდევრები ერეტიკოსებად გამოაცხადეს და მათი ხვედრი კოცონი იყო. ლოლარდებს კისერზე ინგლისურად ნათარგმნ ბიბლიას კიდებდნენ და ისე სწვავდნენ კოცონზე. აჯანყება და ლოლარდიზმი სასტიკად იქნენ ამოძირკვულნი. ალბათ არც შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ გლეხები შესძლებდნენ ხელისუფლების სათავეში მოსვლას და ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნას. ეს უტოპიაა. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მათი დამარცხების, სასტიკი რეპრესიების და ფეოდალების მცდელობის მიუხედავად, ხელახლა მიემაგრებინათ გლეხები მიწაზე ბატონყმობა თანდათან ქრებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ახალი ეკონომიკური ურთიერთობა აიძულებდა ფეოდალებს გამოეყენებინათ დაქირავებული შრომა. მატყლის წარმობის ზრდა, საძოვრების გაფართოება სახნავ-სათესი სავარგულების ხარჯზე, ფულად-სასაქონლო ურთიერთობის შემოჭრა მეურნეობაში სულ უფრო უნაყოფოს ხდიდა საბატონო ბეგარას და ყმა-გლეხების შრომას. მათ ადგილს მოიჯარადრე ფერმერები[18] იკავებდნენ, რომლებიც მიწას დაქირავებული მუშა-მოჯამაგირეების მეშვეობით ამუშავებდნენ. XVს. დასასრულისათვის ყმა-გლეხი და ბატონყმური ურთიერთობა პრაქტიკულად გაჰქრნენ საზოგადოებიდან. ბატონყმობის გაუქმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი პროგრესისათვის. ამით მძლავრი ბიძგი ეძლეოდა მატერიალური დოვლათის ზრდას, ხოლო

[17] ეარაუდობდნენ, რომ ეს ნიშნავს ლაქლაქას, მოლაყბეს.
[18] ფერმერი, ფერმა წარმოსდგებიან ლათინური სიტყვიდან Firma, რაც ნიშნავს მიწის საიჯარო გადასახადს.

თავისუფალი ადამიანების რიცხვის ზრდა საზოგადოების შიგნით, მათი შესაძლებლობების გაფართოება მას უფრო აქტიურსა და ქმედითუნარიანს ხდიდა.

ასწლიან ომში დამარცხებამ ინგლისის მმართველი წრეები შეიძლება ითქვას უფრო საშინაო საქმეებისაგან მოაბრუნა. გაერთიანებული ინგლის-საფრანგეთის იდეა ფაქტიურად დასამარდა და პრეტენზიებმა ფრანგულ მიწებსა და საფრანგეთის ტახტზე ძალზე პირობითი და იშვიათი ხასიათი მიიღეს (ფორმალურად ეს პრეტენზიები ინგლისის სამეფო კარმა საბოლოოდ უკუაგდო 1802წ.). სამხედრო დაპირისპირებამ, ძლევამოსილმა გამარჯვებებმა და თვით დამარცხებამაც კი (ინგლისი დამარცხდა, მაგრამ მტერს მის ტერიტორიაზე ფეხი არ დაუდგამს) ომში მონაწილე ფეოდალებს, გლეხებს და მთლიანად მოსახლეობის ბირთვს თავისი კუნძულოვანი სახელმწიფოსადმი კუთვნილების ძლიერი გრძნობა გაუღვიძა. დიდგვაროვნები, რომლებიც ნორმანდიელი და პირველი პლანტაგენეტი მეფეების ხანაში წარმოშობით, ენით და ცნობიერებით ფრანგები იყვნენ და უპირისპირდებოდნენ თავის ანგლო-საქს ქვეშევრდომებს ახლა პირიქით, მათ მხარდამხარ ებრძოდნენ საერთო მტერს-ფრანგებს. ეკონომიკურმა განვითარებამ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის კავშირის გაძლიერებამ არა მარტო საერთო ინგლისური ბაზრის, არამედ ერთ ეროვნებასთან კუთვნილების გრძნობის და ერთი სალაპარაკო ენის განვითარებას შეუწყო ხელი. სწორედ ამიტომ წერდა XIVს. ფრანგი ქრონისტი ფრუასარი: „ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ მათ სრული შეუვალობა აქვთ თავის კუნძულზე და ქედმაღლურად უყურებდნენ სხვა ხალხებს.“

სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის მიერ ერთი ენის გამოყენებამ დაახლოვა ისინი, ხოლო თავად ენა მოწინავე პოზიციებზე წამოსწია. და თუკი XIIIს. ჰენრი III მიერ 1258წ. სამეფო დადგენილების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, XIVს. პოეზიაში უკვე გაისმა მოთხოვნა, რომ ინგლისურ ენას ინგლისში სათანადო ადგილი უნდა მიეკუთვნოს. 1320წ. დათარიღებულ ლექსებში უცნობი პოეტი ბოდიშს იხდის, რომ ნატიფი ფრანგული ენის ნაცვლად მკითხველებს მიმართავს ინგლისურად, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ალბათ საფრანგეთში მაინც და მაინც არ დაიწყებენ ზრუნვას ინგლისურ ენაზე. ამიტომ, ასკვნის იგი, „უმჯობესია, თუკი თითოეულს მიეცემა საშუალება თავის მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს. ამით არავის არაფერი დაუშავდება.“

მნიშვნელოვანი ბიძგი ინგლისური ენის დანერგვა-განვითარებას მისცა ეკლესიებთან არსებული თვითმოქმედი თეატრალური ჯგუფების წარმოდგენებმა, რომლებშიც ვაჭარ-ხელოსანთა ამქრების წევრები მონაწილეობდნენ. წარმოდგენები არა ლათინურად, არამედ ინგლისურად იდგმებოდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ედუარდ III 1362წ. სტატუტს. იგი ლონდონის მოსახლეობის მოთხოვნის საპასუხოდ გამოიცა და მის თანახმად სასამართლოებში საქმეების განხილვა ინგლისურ ენაზე დაიწყო. სკოლებში XIVს. მეორე ნახევრიდან მასწავლებელის, ჯონ კორნუოლის ინიციატივით ფრანგული ენა ინგლისურით შეიცვალა. XIVს. 70-იანი წლებისათვის ფრანგული პოემების თარგმნა თვით მათი მოყვარული და მსმენელი რაინდებისათვის გახდა აუცილებელი. ინგლისური მთელი საზოგადოების ენად იქცა, 1399წ. ჰენრი IV თავისი სეფე სიტყვა ინგლისურად წარმოთქვა, ხოლო ჰენრი V იყო პირველი მეფე რომელმაც დაიწყო ინგლისურად წერა.

ყველაფერმა ამან შექმნა პირობები ინგლისური ლიტერატურის განვითარებისათვის. უილიამ ლენგლენდის მიერ შექმნილი პოემა მხვნელი პიტერის ზმანების შესახებ (The Vision of Piers the Plowman) წარმოადგენს პირველ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც შეიქმნა უესტ მიდლენდის დიალექტზე, ეს უკანასკნელი კი საფუძვლად დაედო ინლისურ სალიტერატურო ენას, ჯონ უიკლიფის რელიგიურ-პოლიტიკური პამფლეტები იწერებოდა იმ ენაზე, რომელიც ხალხისთვის იყო გასაგები. ეს უდავოდ, ზრდიდა ინგლისური ენის პოპულარობას. ენის ჩამოყალიბებას კი ნაწარმოების მხატვრული შინაარსის დახვეწა მოჰყვა. ეს პროცესი აისახა ჯეფრი ჩოსერის (1340-1400წწ.) პოემაში „კენტერბერიული მოთხრობები“, რომელიც ინგლისური ლიტერატურის ახალ საფეხურს წარმოადგენს. ჩოსერმა კარი გაუღო აღორძინების ტრადიციებს, მოაცილა ინგლისურ ლიტერატურას ის პირობითობა, რომელიც გაბატონებული იყო ფრანგულ სასიყვარულო ხასიათის

ნაწარმოებებში და შემოიტანა სიცოცხლისეული, რეალისტური ფასეულობები; ნამდვილი ადამიანების ნამდვილი ყოფა და ნამდვილი გრძნობები.

მნიშვნელოვანი როლი ინგლისური ენის განვითარებაში შეასრულეს ხალხურმა ბალადებმა, რომლებსაც მშობლიურ ენას მინებებული უბრალო ხალხი ქმნიდა. ბალადების პერსონაჟები სახალხო საქმისათვის მებრძოლი გმირები იყვნენ (რობინ ჰუდი) ან მმართველი ფენის წარმომადგენლები (დედოფალი ელინორი). როგორც ჩანს ბალადებს მდაბიოთა გარკვეული ჯგუფები ქმნიდნენ. ბალადების მიმზიდველობა იმაში იყო, რომ ისინი გადმოცემული იყვნენ ცოცხალი ენით, სრულიად ასახავდნენ მშრომელი ხალხის გულწრფელ გრძნობებს და მისწრაფებებს, მათ დამოკიდებულებას გაბატონებული კლასებისადმი და ლტოლვას თავისუფლებისაკენ.

სიახლეებს ადგილი ჰქონდათ კულტურის სხვა სფეროშიაც. ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად აღმოსავლეთის სამყაროსთან კონტაქტების გახშირებამ გავლენა იქონია ხუროთმოძღვრებაზე. გამოჩნდა ახალი ტიპის ციხე-სიმაგრეები, მრგვალი კოშკებითა და კედლებზე კვეთით. ფეოდალთა კოშკებმა, რომელთა უპირველეს დანიშნულებას თავდაცვითი ფუნქციები შეადგენდნენ თანდათანობით მორთულობის ელემენტები შეძინეს. დაიხვეწა ფერადი მინით ფანჯრების შემკობის ტექნიკა და წიგნების გაფორმების ოსტატობა.

ამგვარად ასწლიანი ომის პერიოდში ინგლისის საზოგადოების ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებმაც განაპირობეს ამ ქვეყნის შემდგომი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲛᲘ

ლანკასტერების დინასტიამ და მის მიერ განახლებულმა ასწლიანმა ომმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჰენრი IV ტახტზე აღმოჩნდა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ამგვარად, შეიქმნა მონარქის დამხობის პრეცედენტი. პარლამენტმა რიჩარდ II დამხობის შემდეგ ჰენრი IV ტახტზე აიყვანა არა იმიტომ, რომ ფორმალურად იგი იყო კანონიერი პრეტენდენტი ედუარდ III მემკვიდრეთაგან (უფრო კანონიერად ჟღერდა ედუარდ III მეორე შვილის, ლაიონელ კლარენსის მემკვიდრის გრაფ მარჩის პრეტენზიები), არამედ იმიტომ, რომ პარლამენტს მიაჩნდა, რომ სწორედ ჰენრი ჰერფორდი გამოდგებოდა მეფედ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰენრი დაიდგაჭდა რა გვირგვინს, ყოველთვის პარლამენტის მორჩილი იქნებოდა. სწორედ ამ გეგმებს სახავდნენ პარლამენტში მყოფი ბარონები და მათი ვარაუდი გამართლდა. როგორც ჰენრი IV ასევე ჰენრი V არასოდეს არ ცდილობდნენ დაპირისპირებოდნენ პარლამენტს. მათ ახსოვდათ, რომ ბარონების თვალში ისინი უზურპატორები იყვნენ. ეს არც ბარონებს ჰქონდათ დავიწყებული. ამიტომ ჰენრი VI მეფობის ხანაში, რომელიც მისი პიროვნული სისუსტისა და საფრანგეთში დამარცხების გამო ქვეყნისათვის ერთობ ძნელ პერიოდად იქცა, თავისი პრეტენზიები ტახტზე წამოაყენა პლანტეგენეტთა მემკვიდრეების მეორე შტომ, იორკებმა. ამ გვარს იორკის ჰერცოგი რიჩარდი მეთაურობდა. მისი პრეტენზიები ფორმალურად დასაბუთებული იყო იმით, რომ დედის მხრიდან იგი იყო ედუარდ III მეორე ვაჟის, კლარენსის ჰერცოგის, ლაიონელის მემკვიდრე, ხოლო მამის მხრიდან იმავე მეფის მეოთხე ვაჟის — იორკის ჰერცოგის—ედმუნდის შთამომავალი. ამ ფორმალურ მომენტებს რეალური სიტუაციაც უწყობდა ხელს. ჰენრი VI (1422-1461წწ.) ღვთისმოსავი, წიგნიერი, მაგრამ ქვეყნის მართვისათვის სრულებით გამოუსადეგარი იყო. მისი რბილი ხასიათი, აბსოლუტური უუნარობა მიელო მტკიცე და შესაფერისი გადაწყვეტილებები აღიზიანებდა როგორც მის მოწინააღმდეგეებს, ასევე მომხრეებს. მას შეეძლო ერთსა და იგივე თანამდებობას ორ პრეტენდენტს შეპირებოდა და არ სძალუძდა ერთ-ერთისათვის უარი ეთქვა. მისი ხელგაშლილობა უსაზღვრო იყო. იგი ისე უხვად არიგებდა მიწებს და წოდებებს, რომ ლამის დააცარიელა სამეფო მიწების ფონდი. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ხაზინის დეფიციტმა

1450წ. 372 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწია. მისი დაახლოებული და ერთგული პირი, მაღალი რანგის სასამართლო მოხელე ფორტესკიუ აღნიშნავდა, რომ მეფე საიმედოდ უნდა იყოს დაცული საკუთარი თავისაგან, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე მიწებისა თუ ფულის დარიგებას ეხება. თვით მისი ცოლი, მარგრეტ ანჟუელი, ერთობ ავი ზნის ქალი, რომელიც ცდილობდა, რომ ემართა ჰენრი და მისი სამეფოც, თავის გვერდით უფრო მკაცრი და გაბედული ადამიანის ყოლას ამჯობინებდა.

XVს. 50-იან წლებისათვის მეფის მთავრობა ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. დამარცხებამ საფრანგეთში, დავალიანებამ ქვეყნის შიგნით (მეფის მოვალეთა შორის ჰერცოგი იორკიც იყო) ინგლისის სანაპირო რაიონების დაუსჯელმა დარბევამ ფრანგი მეკობრეების მიერ გააჯშირა ოპოზიციის, კერძოდ კი იორკების გვარის გამოხტომები სამეფო კარის წინააღმდეგ, რომლებიც სხვადასხვა სახით ვლინდებოდნენ. საზღვაო ოფიცრების მიერ მოკლულ იქნა ჰერცოგი სომერსეტი, დედოფლის ფავორიტი, რომელსაც ცუდ მმართველობაში დაედო ბრალი. 1449წ. მოკლული იქნა ჰერცოგი საფოლკი, მეფის მთავარი მრჩეველი 1450წ. კი კენტში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც თავისი შემადგენლობით ერთობ ჭრელი იყო. გლეხებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ საშუალო და წვრილი თავადაზნაურობის წარმომადგენლები, (სქუაირები და ჯენტელმენები), ხოლო სათავეში მათ რაინდი, ჯეკ კედი ედგა. კედი ჰერცოგ იორკის ვასალი იყო და ხალხიც იმით მიიმხრო, რომ თავი იორკის დაახლოებულ პირად გამოაცხადა. კედი და მისი მომხრეები შევიდნენ ლონდონში და მთავრობას წამოუყენეს რიგი მოთხოვნებისა. ისინი მოითხოვდნენ ედუარდ III და რიჩარდ II დროის სამუშაოზე დაქირავების შესახებ კანონმდებლობის გაუქმებას, სახელგატეხილი კარისკაცებისა და მაღალი რანგის მოხელეების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას (ერთ-ერთი მათგანი, ხაზინადარი ლორდი სეი მოკლეს კიდევაც) და ჰერცოგ იორკის სამეფო საბჭოში შეყვანას. ეს ბოლო მოთხოვნა იძლევა იმის საბაბს, რომ კედის გამოსვლა განხილული იქნას, როგორც იორკის და მის მომხრეთა მცდელობა, ნიადაგი მოესინჯათ შესაძლებელი პოლიტიკური თუ სამხედრო ბრძოლისათვისაც კი, რომელიც შეიძლებოდა გაჩაღებულიყო მათსა და მმართველ ლანკასტერთა დინასტიას შორის. კენტის მოსახლეობის ეს გამოსვლა ჩახშობილ იქნა, თავად კედი დაიღუპა. მაგრამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჰერცოგმა იორკმა აქტიურად შეუტია მთავრობას, აკრიტიკებდა მის მიერ აჯანყებულთა მოთხოვნების არ შესრულებას. იორკების პროპაგანდამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და XVს. 50-იან წლების დასაწყისში საზოგადოებრივი აზრი განმსჭვალული იყო იმ რწმენით, რომ ჰერცოგი იორკი მეფის პირველი მრჩევლის თანამდებობას იმსახურებდა. პოზიციების განსამტკიცებლად იორკებმა კავშირი გააბეს ნევილების მდიდარ და გავლენიან გვართან, რომელსაც წარმოადგენდნენ მამა-შვილი პერცოგი სოლსბერი და ჰერცოგი უორიკი. სიტუაციას ამწვავებდა ისიც, რომ საფრანგეთში დამარცხების შემდეგ ინგლისში უამრავი ხელმოკარული რაინდი თუ დაქირავებული ჯარისკაცი დაბრუნდა. ეს თავისებური დენთის მასალა ნებისმიერ დროს მზად იყო გამოხმაურებოდა ამა თუ იმ პოლიტიკური დაჯგუფების მოწოდებას და შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ამგვარ სიტუაციაში მოხდა მოვლენა, რომელმაც ბიძგი მისცა დაძაბულობის შემდგომ ზრდას. 1453წ. მეფე ჰენრი VI ჭკუაზე შეიშალა. მეფის სიგიჟე ლანკსტერთა დინასტიისათვის მძიმე დარტყმა იყო. მართალია, იმავე წელს დაიბადა უფლისწული და ტახტის მემკვიდრე (რაზეც მის გონებაამღვრეულ მამას არავითარი რეაქცია არ ჰქონია), მაგრამ სამეფო პარტია მაინც ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაისვა საკითხი მეურვეობის შესახებ. სამეფო კარმა რეგენტის (მეურვის) თანამდებობაზე დედოფლის კანდიდატურა წამოაყენა, მაგრამ ლორდებმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჰერცოგი იორკი პოლიტიკურ ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ახლადშობილი უფლისწულის შემდეგ იგი რჩებოდა ტახტის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად. ამიტომ პარლამენტმა მას სამეფოს მფარველის (პროტექტორის) წოდება მიანიჭა. თითქოსდა იორკებმა მიაღწიეს საწადელს. მათი გვარის უფროსი ფაქტიურად სამეფოს განმგებელი გახდა. რიჩარდ იორკის მმართველობა მართლაც უფრო გააზრებული და ობიექტური იყო, მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ კვლავ შეიცვალა მიმართულება. 1455. მეფეს გონება დაუბრუნდა. სამეფო

პარტიამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ შემთხვევით და იორკები თავიდან მოეშორებინა. რიჩარდ იორკს ჩამოერთვა პროტექტორის წოდება. ამან ბიძგი მისცა შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომელიც ორ მონათესავე გვარს შორის დაიწყო და 30 წელიწადს გაგრძელდა.

ეს ბრძოლა ლანკასტერებსა და იორკებს შორის ინგლისის ისტორიაში ვარდების ომის სახელით არის ცნობილი. ეს სახელწოდება მეომარ მხარეთა სიმბოლიკიდან მომდინარეობს. ლანკასტერების გერბზე გამოსახული იყო წითელი, ხოლო იორკებისაზე-თეთრი ვარდი. ვარდების ომისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი თავისებურება, რომელიც მას გარკვეულწილად ანსხვავებს ფეოდალიზმის ეპოქის ტრადიციული შინაომებისაგან. ეს ომი არ იწარმოებოდა სეპარატისტული მოზნებით. მეომარი მხარეები მიზნად არ ისახავდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნას, როგორც ეს ძირითადად ხდებოდა ევროპის კონტინენტზე, მაგ. საფრანგეთში, სადაც შარლ გულადი ბურგუნდიის საჰერცოგოს შეუვალობას იცავდა ლუი XI ცენტრალიზატორული მისწრაფებებისაგან. კონტინენტის შინაომებისაგან განსხვავებით ბრძოლა სწორედ სამეფო ხელისუფლების, გვირგვინის ხელში ჩასაგდებად სწარმოებდა ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფარგლებში. ამგვარად, ერთიანი სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების იდეა ყოველთვის ძლიერი იყო ინგლისში. გარდა ამისა, ვარდების ომმა არ მოიცვა და შესაბამისად არ გააპარტახა მთელი ქვეყაანა, განსხვავებით კონტინენტის ქვეყნებისაგან (მაგ. გერმანია, იტალია). ომში ჩაბმული იყვნენ დინასტიები და მათ მხარეზე მებრძოლი დაქირავებულ მეომართა რაზმები. ქვეყანა მთლიანობაში არ დაზარალებულა საომარი მოქმედებების შედეგად. საყოველთაო ნგრევას ადგილი არ ჰქონია. ერთადერთი, ვისაც არ ზოგავდნენ მეომარი მხარეები, ეს იყო მოწინააღმდეგე. ეს არც არის გასაკვირი. ბრძოლა ტახტისათვის სწარმოებდა, ხოლო მოწინააღმდეგე გვარის თითოეული წარმომადგენელი კი ტახტის რეალური პრეტენდენტი იყო. ამიტომაც ომის მთავარი მიზანი ტახტის მოცილეთა განადგურება იყო. მებრძოლ პარტიათა მიმართ ქვეყნის შიგნით მხარდაჭერა შემდეგნაირად გაიყო ლანკასტერებს ჩრდილოეთისა და დასვლეთის საგრაფოების ბარონები უჭერდნენ მხარს. ლონდონი, სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოები, რომლებიც ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმული და რომლებმაც ლანკასტერების წარუმატებელი პოლიტიკის გამო იზარალეს, როგორც ასწლიან ომში დამარცხებით, ასევე ფრანგი მეკობრეების თავდასხმებით, იორკების მხარეზე დადგნენ.

საბრძოლო მოქმედებები იორკებმა დაიწყეს. რიჩარდ იორკი გაერთიანდა მამა-შვილ ნევილებთან (ჰერცოგ სოლსბერისთან და ჰერცოგ უორიკთან) და 1455წ. სენტ ოლბანსთან შეებრძოლა მეფის ჯარს. ლინკასტერები დამარცხდნენ. მეფე ჰენრი VI იორკებს ჩაუვარდათ ხელში, ხოლო სამეფო პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ტახტის ნომინალური პრეტენდენტი ჰერცოგი სომერსეტი (ედუარდ III მესამე ვაჟის ჯონ გონტის შთამომავალი მეორე ქორწინებიდან) მოკლულ იქნა. ამ გამარჯვებამ და მეფის ხელახალმა ფსიქიურმა აშლილობამ აღუდგინა ჰერცოგ იორკს დაკარგული პოზიცია. იორკის ინიციატივით მოწვეულმა პარლამენტმა კვლავ სცნო იგი პროტექტორად. მაგრამ იორკების აღზევება ხანმოკლე გამოდგა. 1456წ. ჰენრი VI კვლავ დაუბრუნდა გონება, რამაც გააქტიურა სამეფო პარტია. რიჩარდ იორკი კვლავ დაითხოვეს პროტექტორის თანამდებობიდან.

იორკები და მათი მომხრეები იძულებულები გახდნენ რამდენიმე წლით გასცლოდნენ ინგლისს. ჰერცოგმა იორკმა ირლანდიას შეაფარა თავი, რომლის გამგებლის თანამდებობასაც ის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. მისმა ვაჟმა ედუარდმა, ჰერცოგმა სოლსბერიმ და ჰერცოგმა უორიკმა კი კალეს მიაშურეს. უორიკი კალეს გამგებელი იყო და მის განმგებლობაში საკმაოდ ძლიერი ფლოტი იყო. ამ ფლოტის წყალობით უორიკი ერთობ ეფექტურად იცავდა ინგლისის სანაპიროებს და ამ საგრაფოების მოსახლეობაც მისი მადლიერი იყო.

1460წ. იორკები და მათი მომხრეები ინგლისში დაბრუნდნენ. მათ ნორსჰემპტონთან დაამარცხეს მეფის ჯარი, დაატყვევეს მეფე ჰენრი VI და ლონდონში შევიდნენ. ჰერცოგი იორკი ისწრაფოდა სრულებით გაენადგურებინა ლანკასტერები. ამიტომ იმავე წლის მიწურულს ის უეკფილდთან შეება ლანკასტერებს, მაგრამ დამარცხდა და ბრძოლაში დაეცა. მისი ოქროსფრად

შელებილი ქალალდის გვირგვინით შემკული თავი ლანკასტერებმა იორკის გალავანზე გამოკიდეს მისი მოკავშირის, ჰერცოგ სოლსბერის თავთან ერთად. მოგვიანებით ლანკასტერებმა დაამარცხეს იორკების მოკავშირე უორიკი. თითქოსდა იორკების საქმე გათავებული იყო. მაგრამ აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ლონდონის მოსახლეობამ. იორკების ენერგიული პროპაგანდით შეშფოთებული ლონდონელები, რომლებსაც გამუდმებით აშინებდნენ ჩრდილოელი ველურებით (იგულისხმება ინგლისის ჩრდილოეთის საგრაფოების მცხოვრებები) გადაწყვიტეს არ შეეშვათ დედაქალაქში ლანკასტერების ჯარი, რომელსაც დედოფალი მარგრეტი მიუძღოდა და სანაცვლოდ კარი გაუღეს რიჩარდ იორკის უფროს ვაჟს ედუარდს, გრაფ მარჩს. 1461წ. ედუარდმა მეფის გვირგვინი დაიდგა ედუარდ IV სახელით. ამგვარად ტახტზე იორკების დინასტია ავიდა.

ედუარდ IV (1461-1483წწ.) ენერგიული და მკაცრი მმართველი იყო მის მიერ გატარებული პოლიტიკა საშუალებას აძლევდა მყარად მჯდარიყო ტახტზე. გარეგნულად ლაღი და კეთილმოსურნე, იგი იმავე დროს სასტიკად უსწორდებოდა თავის მოწინააღმდეგებს. ედუარდ IV მოახდინა ლანკასტერებისა და მათი მომხრეების მიწების კონფისკაცია. ამის წყაობით მან შექმნა ფონდი, საიდანაც მიწებს ურიგებდა თავის ერთგულ პირებს, რითაც აფართოებდა თავის სოციალურ დასაყრდენს. იგივე ფონდი იძლეოდა დიდ თანხებს სამეფო ხაზინისათვის. თუ ამას დაუმატებთ მდიდარი ვაჭრებისგან „ძღვნად“ შემოსულ ფულს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ედუარდ IV არასოდეს ჰქონია ფინანსური სიძნელები. იგი ერთობ პოპულარული იყო შეძლებულ ვაჭართა წრეებში, რადგანაც მფარველობდა სავაჭრო ფლოტსა და სავაჭრო კომპანიებს (თუმცა კი პრაქტიკულად არასოდეს აბრუნებდა ვაჭრების მიერ გაცემულ სესხებს). სამეფო ფინანსების მოწესრიგებული მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ედუარდ IV პრაქტიკულად არ მიემართა პარლამენტისათვის თხოვნით შემოეღოთ ახალი გადასახადები. შესაბამისად მისი მეფობაც არ გამოირჩეოდა საპარლამენტო საქმიანობის აქტიურობით.

მაგრამ ბრძოლა ორ დინასტიას შორის მაინც არ წყდებოდა. თავისი გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ ედუარდ IV განაახლა საბრძოლო მოქმედებები, დაეწია ჩრდილოეთისაკენ უკანდახეულ ლანკასტერთა ჯარს და დაამარცხა იგი ტოუტონთან. ჰენრი VI და დედოფალმა მარგრეტმა შოტლანდიას შეაფარეს თავი. მოგვიანებით ჰენრი VI იორკებმა შეიპყრეს. იგი ტაუერში იქნა გამომწყვდეული. დედოფალი მარგრეტი და უფლისწული საფრანგეთში გაიხიზნენ.

თითქოსდა იორკების დინასტია დაცული იყო გარეშე საფრთხისაგან, მაგრამ მალე ედუარდ IV მისივე მოკავშირეებმა შეაქციეს ზურგი. იორკების რიგებში განხეთქილებამ იჩინა თავი. მეფეს დინასტიური ქორწინებისა და საგარეო პოლიტიკურ კურსში განსხვავების ნიადაგზე დაუპირისპირდნენ მისი ძმა ჰერცოგი კლარენსი და უორიკების გავლენიანი ოჯახი. 1469წ. ოპოზიციამ ამბოხი მოაწყო მეფის წინააღმდეგ. ედუარდ IV დამარცხდა და დატყვევებულ იქნა. მაგრამ პარლამენტმა მას ტახტი შეუნარჩუნა იმის შიშით, რომ ქვეყანაში ანარქია არ დაწყებულიყო. ტახტზე აღდგენილმა ედუარდ IV დაამარცხა მეამბოხეები. ჰერცოგი კლარენსი და ჰერცოგი უორიკი საფრანგეთში გაიქცნენ. საფრანგეთში ისინი დაუკავშირდნენ ლანკასტერებს, კერძოდ ჰენრი VI ცოლს დედოფალ მარგრეტს და საფრანგეთის მეფის ლუი XI დახმარებით მოამზადეს იორკების საწინააღმდეგო ლაშქრობა. 1470წ. მეამბოხეები ინგლისში გადასხდნენ. ედუარდ IV იძულებული შეიქმნა ბურგუნდიის ჰერცოგთან შეეფარებინა თავი, რომელსაც მისი და ჰყავდა ცოლად. ხელისუფლების სათავეში კვლავ ლანკასტერები აღმოჩნდნენ და ჰენრი VI დაადგეს სამეფო გვირგვინი. არნახულად გაიზარდა ჰერცოგ უორიკის პოლიტიკური წონაც. დინასტიების წარმატება მის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული, რისთვისაც მას „მეფეთა მკეთებელი“ (Kingmaker) უწოდეს. მაგრამ ლანკასტერთა ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1471წ. ედუარდი დაბრუნდა ინგლისში, დაამარცხა ლანკასტერები ბარნეტთან და დაიბრუნა ტახტი. ჰენრი VI, მისი ვაჟი უფლისწული ედუარდი და ჰერცოგი უორიკი სიკვდილით დასაჯეს. მეფის ძმა, ჰერცოგი კლარენსი განუდგა ლანკასტერებს და კვლავ ედუარდ IV მხარე დაიჭირა. იორკები კვლავ გამაგრდნენ ტახტზე.

ედუარდ IV მეფობის მეორე ნახევარი აღინიშნებოდა სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებით და პარლამენტის ფუნქციების შესუსტებით. ედუარდი სულ უფრო ავიწროებდა თავის ერთგულ ბარონებსაც კი და მათი სამფლობელოების ხარჯზე აფართოებდა სამეფო მიწების ფონდს. უთანხმოება იყო სამეფო ოჯახის შიგნითაც. 1478წ. ედუარდ IV ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს მისი ძმა ჰერცოგი კლარენსი. ედუარდ IV ცოლის ნათესავების, ვუდვილების აღზევებით უკმაყოფილოები იყვნენ მეფის უმცროსი ძმა, გლოსტერის ჰერცოგი რიჩარდი, ლორდი ჰასტინგსი და ლორდი ბაკინჰემი.

1483წ. აპრილის დასაწყისში ედუარდ IV გარდაიცვალა. ტახტზე მისი 12 წლის ვაჟი ედუარდ V ავიდა. მაგრამ მცირეწლოვანი უფლისწულის გამეფებამ ვერ დააცხრო ვნებათაღელვა. ერთობ ამბიციურად იყო განწყობილი ჭაბუკი მეფის ნათესაობა დედის მხრიდან (ლორდი რივერსი, მარკიზი დორსეტი). მათ გლოსტერის ჰერცოგის ჩამოცილება უნდოდათ. ამგვარ სიტუაციაში პოზიციას არც რიჩარდ გლოსტერი თმობდა. აპრილის მიწურულს რივერსმა ამბოხება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. რიჩარდ გლოსტერმა და ლორდმა ბაკინჰემმა იგი დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს. ამ ფაქტს ლონდონის მოსახლეობა დადებითად შეხვდა. ლონდონელებს ჭაბუკი მეფისათვის რიჩარდ გლოსტერის მეურვეობა უფრო მიზანშეწონილად მიაჩნათ. სამეფო საბჭოს გადაწყვეტილებით რიჩარდი პროტექტორად დაინიშნა და თავის ძმისშვილისათვის გვირგვინის დადგის ცერემონიისათვის მზადებას შეუდგა. მაგრამ მოგვიანებით მას თავად გაუჩნდა პრეტენზიები ტახტზე. 1483წ. ივნისში რიჩარდმა სიკვდილით დაასჯევინა ლორდი ჰასტინგსი, რომელიც სთვლიდა, რომ მას დამსახურებისამებრ არ მიეზღო და ამიტომ ინტრიგები წამოიწყო გლოსტერის წინააღმდეგ. მოგვიანებით გავრცელდა ვერსია ედუარდ V და მისი უმცროსი ძმის იორკის ჰერცოგის უკანონობის შესახებ. ორივენი ტაურში გადაიყვანეს სადაც ისინი გაქრნენ. ხმები მათი მკვლელობის შესახებ უკვე იმავე წლის ივლისში დაირხა[19], ხოლო გლოსტერი რიჩარდ III (1483-1485წწ.) სახელით გამეფდა.

რიჩარდ III შექსპირის გენიის წყალობით ხელისუფლების სათავეში მოქცეული ურჩხულის სიმბოლოდ იქცა. გენიალურმა დრამატურგმა დახატა ხელისუფლებისავის მიმდინარე ბრძოლის მარადიული სურათი, სადაც მიზანი ამართლებს საშუალებას, ხოლო გამარჯვებულებს არ სჯიან. შექსპირი სარგებლობდა ანტი-იორკისტული ქრონიკით, რომელსაც ლანკასტერების პოლიტიკური მემკვიდრეების, ტიუდორების დინასტიის ისტორიკოსი, თომას მორი ქმნიდა. სწორედ ამიტომ რიჩარდის პიროვნებაში თავს იყრის უამრავი ფიზიკური თუ სულიერი ნაკლი. ობიექტური საისტორიო მეცნიერება მიუთითებს, რომ რიჩარდ III არც კოჭლი და არც კუზიანი არ ყოფილა. ეს იყო ელეგანტური კავალერი, მოხდენილად მოცეკვავე. თავისი ძმის, ჰერცოგ კლარენსისაგან განსხვავებით მას არასოდეს უღალატია მეფე ედუარდ IV. პირიქით, თავის რიგ გამარჯვებებს ედუარდ IV სწორედ რიჩარდის ერთგულებისა და ბრძოლაში თავდადების წყალობით მიაღწია. რიჩარდის მეფობის ხანაში შედარებით შესუსტდა ედუარდ IV დროის მართვის მეთოდები (მოწვეულ იქნა პარლამენტი, დაითხოვეს მეფის პირადი შეიარაღებული ლაშქარი, შეწყდა ბარონებისათვის მიწების ჩამორთმევა და „ძღვენის" გამოძალვა, სამეფო დომენში საბოლოოდ გაუქმდა ბატონყმობა). მაგრამ მცირეწლოვანი ძმისშვილების მკვლელობა რიჩარდ III მძიმე ლაქად შერჩა. 1453წ. ოქტომბერში ლანკასტერებს შეეკრა და აჯანყება წამოიწყო ლორდმა ბაკინჰემმა, მაგრამ დამარცხდა და სიკვდილით იქნა დასჯილი.

რიჩარდის, როგორც უზურპატორის მდგომარეობამ გამოაცოცხლა ლანკასტერები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა უელსელი აზნაური, ჰენრი ტიუდორი, რიჩმონდის გრაფი. რიჩმონდი თავის სიახლოვეს სამეფო გვართან საკმაოდ თავისებურად ასაბუთებდა. მისმა პაპამ, ოუენ ტიუდორმა ცოლად შეირთო ჰენრი V ქვრივი, საფრანგეთის მეფის ასული კატრინი, ხოლო — მამამისმა ედმუნდ ტიუდორმა — ჯონ გონტის შვილისშვილის შვილი მარგრეტ ბოფორი, ამრიგად რიჩმონდის მტკიცებით, იგი ედუარდ III მესამე ვაჟის, ჯონ გონტის, ლანკასტერის ჰერცოგის შვილისშვილის

[19] 1674წ. ტაურში ორი პატარა ჩონჩხი აღმოაჩინეს.

შვილი იყო. 1485წ. გრაფი რიჩმონდი ლანკასტერთა მომხრეებთან ერთად ინგლისში გადასხდა. გადამწყვეტი ბრძოლა ბოსუორტთან მოხდა. რიჩარდ III პიროვნული სიმამაცის და თავგანწირვის მიუხედავად, მის ჯარში მყოფი ლორდ სტენლის (რიჩმონდის მამინაცვლის) და ჰერცოგ ნორთუმბერლენდის ღალატმა ბრძოლის ბედი ლანკასტერების სასარგებლოდ გადაწყვიტა. რიჩარდ III ბრძოლის ველზე დაეცა[20].

ეკალ-ბარდებში ნაპოვნი გვირგვინი ლორდმა სტენლიმ თავის გერს დაადგა თავზე. გრაფი რიჩმონდი ჰენრი VII სახელით გამეფდა. მან დასაბამი მისცა ტიუდორთა დინასტიას. ითხოვა რა ედუარდ IV ქალიშვილი, ჰენრიმ ფორმალურად გააერთიანა წითელი და თეთრი ვარდი და ამით ბოლო მოუღო 30 წლიან სისხლისმღვრელ შინაომს.

ვარდების ომს ინგლისისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. პირველ რიგში მან სიახლე შეიტანა საბრძოლო ხელოვნებაში. საომარ მოქმედებაში თანდათანობით თავისი ადგილი დაიმკვიდრა არტილერიამ. რიგ ბრძოლებში სწორედ არტილერიამ შეასრულა გადამწყვეტი როლი. რაინდობა, ბრძოლის რაინდული პრინციპები პრაქტიკულად ამ ომში ჩაბარდა წარსულს. დანებებული მოწინააღმდეგის ტყვედ აყვანა ან დანდობა ჟლეტამ შეცვალა. ომმა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. 30 წლიან სისხლისმღვრელ ბრძოლაში პრაქტიკულად განადგურდა უმაღლესი რანგის დიდგვაროვანთა ფენა, რომლებიც ჯერ კიდევ უილიამ დამპყრობლიდან იღებდნენ სათავეს. ბარონთა ეს ფენა იმ პოლიტიკურ და სოციალურ ძალას წარმოადგენდა, რომლის მეშვეობით ხდებოდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარება, კერძოდ, მათი ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან გარკვეულწილად ზღუდავდა ამ უკანასკნელის ცენტრალიზატორულ მისწრაფებებს და თავისებურ პოლიტიკურ წონასწორობას უზრუნველყოფდა. ამით დაირღვა აღნიშნული წონასწორობა, თავადაზნაურობის ახალი ტალღა კი, რომელიც ომის პროცესში ყალიბდებოდა (განსაკუთრებით იორკების დინასტიის მეცადინეობით), ერთობ დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლებაზე და არ შესწევდა ძალა მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ვარდების ომმა გზა გაუკაფა სამეფო აბსოლუტიზმს, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ ედუარდ IV მეფობაში გამოჩნდა. ომით დაქანცული და სახალხო მღელვარების თავიდან აცილების სურვილით შეპყრობილი თავადაზნაურობა მიესალმა სტაბილური ხელისუფლების დამყარებას. საზოგადოება მტკიცე ნების მმართველობას მინებდა.

მაგრამ ვარდების ომს არ გაუპარტახებია ქვეყანა და არ მოუშლია სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სასამართლო სისტემა მოქმედებდა შეფერხების გარეშე. კვლავინდებურად ეწყობოდა გამსვლელი სესიები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ უფრო იღებდა თანამედროვე სახეს. ვითარდებოდა ვაჭრობა. ედუარდ I მეფობის ხანაში ინგლისიდან განდევნილ იქნენ ებრაელები, რომლებსაც ერთობ ძლიერი პოზიციიები ეკავათ ქვეყნის ფინანსებსა და ვაჭრობაში. ამან ბიძგი მისცა იმას, რომ აღნიშნულ სფეროში თავად ინგლისელები გააქტიურდნენ და შეიძინეს ამ დარგებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. სწორედ ამიტომ ინგლისელთა გააქტიურებამ ვაჭრობასა და ფინანსებში XVს. ჩამოაცილა მათ იტალიელი თუ გერმანელი კონკურენტები. იორკები, კერძოდ ედუარდ IV მიერ მეწარმეობის მფარველობა მნიშვნელოვანი დახმარება იყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ იმ დროის თანამედროვე ინგლისში მყოფი უცხოელები ხაზგასმით აღნიშნავედნენ ქვეყნის სიმდიდრეს. ცხოვრების დონის გარკვეულ გაუმჯობესებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დაბალი ფენების წარმომადგენლების (შინამოსამსახურეები) კვების რაციონში გამოჩნდა ხორცი, თევზი, ყველი, თეთრი პური და დიდი რაოდენობით ლუდი. და ეს მაშინ, როცა საფრანგეთში, როგორც კვეხნით ამბობდნენ ინგლისელები ვაშლებით, შავი პურითა და წყლით გადიოდნენ ფონს. მაგრამ სოფლის მეურნეობა და მოსავალი

---

[20] როდესაც ნათელი გახდა, რომ იორკების საქმე განწირულია, რიჩარდ III ცხენი მიპგვარეს რათა იგი ბრძოლის ველიდან გაეყვანათ და ამით სიკვდილისაგან ეხსნათ. მაგრამ რიჩარდმა განაცხადა, რომ თუკი მას სიკვდილი უწერია, იგი მხოლოდ ინგლისის მეფედ მოკვდება და უარი თქვა გაქცევაზე.

მთლიანად ამინდზე იყვნენ დამოკიდებული, რაც ზოგჯერ შიმშილობას და სიკვდილიანობას იწვევდა.

რაინდობის სოციალური ასპარეზიდან გაქრობას ძალზე საინტერესო და თავისებური საზოგადოებრივი მოვლენა მოყვა. ეს ფენა, რომელიც გასულ საუკუნეებში უმნიშვნელოვანეს ფენას წარმოადგენდა თანდათან შეერწყა შეძლებულ გლეხობას (იომენებს) და ვაჭრობასა თუ იურისპრუდენციაში დასაქმებულ ადამიანებს. ამ პროცესის შედეგი იყო ახალი სოციალური ფენის წარმოშობა, რომლის წევრებსაც არ ჰქონდათ წოდება, მაგრამ ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება. ეს ხალხი ჯენტლმენების (Gentlemen) სახელით იყო ცნობილი. ამ ფენის შემდგომმა განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაზე, ხოლო თავად ჯენტლმენი ინგლისური სამყაროს მნიშვნელოვან სოციალურ-ზნეობრივ მოვლენად იქცა.

XVს. ინგლისში კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენა იყო წიგნის ბეჭდვის შემოღება. ეს სიახლე დაკავშირებული იყო კენტელი ვაჭრის, უილიამ კექსტონის სახელთან. კექ-სტონი დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა კონტინენტზე, გაეცნო გერმანელი იოჰან გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებას და 1477წ. ეს სიახლე ინგლისში დანერგა. მან გამოაქვეყნა ჩოსერის კენტერბერიული მოთხრობები, რომაელი პოეტების ვირგილიუსის და ჰორაციუსის ინგლისური თარგმანები, ციცერონის თხზულებები, ეზოპეს იგავები. წიგნის ბეჭდვის შემოღება ჭეშმარიტად რევოლიუციური მოვლენა იყო ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. წიგნიერებამ ადრინდელთან შედარებით, გაცილებით უფრო ფართოდ გაიდგა ფეხი. მანვე ხელი შეუწყო ერთიანი სალიტერატურო ინგლისური ენის ჩამოყალიბების დაჩქარებას, ამასვე ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარებამ, რადგანაც გაცხოველებული ვაჭრობის პირობებში გახშირდა მოგზაურობა. შეიქმნა სხვა ქალაქებში ხანგრძლივად გაჩერების აუცილებლობა, რაზედაც XVს. დათარიღებული პასტონთა ოჯახის წევრების მიმოწერა მიუთითებს. ეს მიმოწერა აგრეთვე ნათელს ფენს არა მარტო სიახლეებს, რომლებსაც ენის სფეროში ჰქონდათ ადგილი, არამედ გვამცნობებს საზოგადოების სულიერ მისწრაფებებსაც. პასტონთა ოჯახში, რომლებიც ჯენტლმენთა ფენას მიეკუთვნებოდნენ არა მარტო მეურნეობის და შემოსავლის, არამედ წიგნების შეძენისა და ბიბლიოთეკების შევსების საკითხებზეც მსჯელობდნენ.

XVს. ინგლისს არ ჰყოლია ჩოსერის დონის პოეტები. მაგრამ ამ დროს შეიქმნა პირველი მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოები. ეს არის ვარდების ომის მონაწილის, სერ თომას მელორის „არტურის სიკვდილი" (Morte D'Arthur). სახვითსა თუ გამოყენებით ხელოვნებაში შეიმჩნევა თავისებური სტანდარტიზაცია და პროდუქციის მასობრიობა, ცალკეული ქალაქი ან საგრაფო ნაწარმის გარკვეულ სახეობაზე იყო სპეციალიზებული; ლონდონი-ქანდაკებებზე, ნორსჰემპტონი – ალებასტრის ორნამენტებზე, იორკი-ფერად მინაზე. საეკლესიო მუსიკაში პოლიფონია (მრავალ-ხმიანობა) დამკვიდრდა. ინგლისური პოლიფონიის განვითარება დაკავშირებულია კომპოზიტორის ჯონ დანსტეპლის სახელთან, რომელმაც მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. თეატრალური ხელოვ-ნება ბიბლიურ-დიდაქტიკური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. სცენაზე წარმოდგენილი იყვნენ პერსონიფიცირებული სიკეთე და ბოროტება, სათნოება და უზნეობა. ამგვარად, შუა საუკუნეების დასასრულს ინგლისი თავისებური ძიების პროცესში იყო. იმარჯვა–რა სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში, ინგლისმა კონტინენტის ქვეყნისაგან განსხვავებით შედარებით გვიან დაიწყო ალორძინების იდეების გაცნობა.

ტიუდორების აბსოლუტიზმის დაფუძნება. რეფორმაცია

ბოსუორტთან ბრძოლამ ინგლისს ახალი დინასტია და პოლიტიკური სტაბილურობა მოუტანა. ჰენრი VII (1485-1509წწ.) ტიუდორი, რომელმაც ბოლო მოუღო ხანგძლივ დინასტიურ შინაომს, გრძნობდა საკუთარი დინასტიის პოზიციების სისუსტეს და ამიტომ მმართველობის პირველივე დღიდან დიდ სიფრთხილესა და მოთმინებას იჩენდა, რათა თავიდან აეცილებინა ახალი დინას-

ტიისათვის შესაძლო გართულებები. ეს იყო ფრთხილი, შორსმჭვრეტელი და მომჭირნე ადამიანი. ინგლისის ისტორიაში ეს მეფე წარმოსდგება ალბათ როგორც ყველაზე მეტად შეუცნობადი და იდუმალებით მოსილი პიროვნება. ეს გარეგნულად თითქოსდა მორიდებული ადამიანი გეგმაზომიერად ატარებდა პოლიტიკას რომელიც სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. ჰენრი VII მართლაც მართებდა დიდი სიფრთხილე. დამარცხებული იორკების თვალში ის თვითმარქვია იყო. შურსა და მტრობას მას არც მისი გუშინდელი მომხრეები აკლებდნენ. სწორედ ამიტომ XVს. 80-90-იანი წლების მანძილზე ჰენრი VII ხშირად უხდებოდა ბრძოლა სხვადასხვა ამბოხებებთან, რომლებშიაც ორივე მხარე ერთობ აქტიურად მონაწილეობდა. ჰენრი VII და საერთოდ, ტიუდორების დინასტიის საბედნიეროდ ყველა ამბოხება ჩახშობილ იქნა, ხოლო მეტ-ნაკლებად რეალური პრეტენდენტი ფიზიკურად განადგურებული. ჰენრი VII ჩაახშო თვითმარქვია ჰერცოგ უორიკის (ჰერცოგ კლარენსის ვაჟი) სინამდვილეში ვინმე ლამბერტ სიმ-ნელის ამბოხი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ჰენრის სიდედრი ელიზბეთ ვუდვილი და ჰენრის ცოლის მამიდა მარგრეთ ბურგუნდიელი. დამარცხებულ და სიკვდილით დასჯილ იქნა აგრეთვე მეორე თვითმარქვია, ვინმე პერკინ უორბეკი, რომელიც თავს ედუარდ IV შვილად, რიჩარდ იორკად ასაღებდა. ამ უკანასკნელს მხარს სერ უილიამ სტენელი (ლორდ სტენელის ძმა), მეფის კარისკაცი უჭერდა მხარს, რომლის ღალატმაც ბოსუორთის ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. უილიამ სტენლი, უორბეკი და ნამდვილი ჰერცოგი უორიკი (შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად) სიკვდილით იქნენ დასჯილი. ტახტის დანარჩენი პრეტენდენტები, ჯონ გონტის შთამომავალი ედუარდ სტაფორდი, (ჰერცოგი ბაკინჰემისა) და ჰერცოგ კლარენსის ასული მარგრეთი, უკვე ჰენრი VII სიკვდილის შემდეგ, შესაბამისად 1521 და 1541წწ. იქნენ სიკვდილით დასჯილი. ასე რომ ტიუდორები, რომლებიც ქვეყანას „ურჩხულისგან" განმათავისუფებლად მოევლინნენ, პრაქტიკულად მისივე და უნდა ითქვას იმ ეპოქაში არსებული ერთადერთი მეთოდის მეშვეობით მოქმედებდნენ, რომლის არსი მეტოქის ფიზიკური განადგურება იყო.

ხელისუფლების განმტკიცების არანაკლებ მნიშვნელოვანი ხერხი იყო ჰენრი VII პოლიტიკა დიდგვაროვანთა მიმართ. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ჰენრი VII თავისებურ ნეიტრა-ლიტეტს მიმართავდა დიდი ფეოდალების მიმართ. იგი შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი იყო ყველას, თვით თავისი უერთგულესი მომხრეების მიმართ და გაურბოდა ფავორიტობის დამკვიდ-რებას. მეფის ყველაზე დაახლოებული პირიც კი ვერ დაიკვეხნიდა, რომ იგი მეფის განსაკუთრებული წყალობისა და ყურადღების ობიექტი იყო. ასევე თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ჰენრი VII გაურბოდა ახალი პერების შექმნას ე.ი. უმაღლესი არისტოკრატიული ტიტულების მინიჭებას თავისი დაახლოებული პირებისათვის. თუკი ედუარდ IV დროს 9 ადამიანი აღზევდა, ჰენრი VII დროს პერთა რიგებს ერთი ადამიანი, მისი მამინაცვალი, ლორდი სტენლი შეემატა, რომელიც დერბის გრაფი გახდა. ედუარდ IV ორ ადამიანს მიანიჭა ვიკონტის წოდება და 13 ბარონისა. ჰენრის დროს ამ ადამიანთა რიცხვი ხუთი კაცით შემოიფარგლა. თანაც ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც დიდი ხანია ითხოვდნენ წოდების მინიჭებას. ამგვარი პოლიტიკის წყალობით დიდგვაროვან ოჯახთა (პერების) რიცხვი ჰენრი VII მეფობის ხანაში 57-დან 44-მდე შემცირდა (ჰენრი არ განაახლებდა იმ გვარის წოდებას, რომელიც ბუნებრივად ქრებოდა სოციალურ-პოლიტიკური ასპარეზიდან). ეს ამცირებდა პოტენციურ ოპოზიციონერთა რიცხვს და ზოგავდა როგორც სამეფო ხაზინას, ასევე სამეფო დომენს.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ჰენრი VII მეფობის დასაწყისში საპარლამენტო დადგენილებით დაარსდა სპეციალური სასამართლო ორგანო, ე.წ. „ვარსკვლავიანი პალატა" (იმ დარბაზის მორთულობიდან გამომდინარე, რომელშიც მისი სხდომები ტარდებოდა). იგი შედგებოდა სამეფო საბჭოს წევრებისაგან და მასზე არ ვრცელდებოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოქ-მედება. ეს ორგანო ჰენრი VII გარდაცვალებამდე მოქმედებდა. მასში ზოგჯერ პერების საქმეებიც კი განხილულა. მთლიანობაში ეს იყო სასამართლო ხელისუფლების ცენტრალიზაცია სამეფო ხე-ლისუფლების ინტერესებში.

მაგრამ ყველაზე მეტად აღსანიშნავია ჰენრი VII დამოკიდებულება საფინანსო საკითხებისადმი. ამ მხრივ ჰენრი VII ბადალი არ ჰყავდა. მეფის ყაირათიანობა და მომჭირნეობა ნებისმიერ ვაჭარსა თუ მევახშეს შეშურდებოდა. იგი დაწვრილებით აფიქსირებდა თვით ნებისმიერ საკუთარ ხარჯს. „...ბანქოში წაგებული თანხა 6 გირვანქა სტერლინგი, ჩოგბურთში წაგებული 3 შილინგი... ასეთი ჩანაწერები შემოინახა ისტორიამ მეფის გასავალ-შემოსავლიდან. მაგრამ მეფის ინტერესები გაცილებით შორს მიდიოდა ვიდრე ზემოაღნიშნული უმნიშვნელო თანხების დაზოგვა. მისი ქვეშევრდომების, განსაკუთრებით მსხვილი ფეოდალების ქონება არნახულად დიდი გადასახადებით და ჯარიმებით იბეგრებოდა მათ მიერ ჩადენილი ამა თუ იმ (ზოგჯერ უმნიშვნელო) დანაშაულის შემთხვევაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ასეთი შემთხვევა. ისწრაფოდა რა თავიდან აეცილებინა ნებისმიერი ოპოზიციური გამოხტომა, ჰენრი VII აკრძალა შეიარაღებული ამალის ყოლა. ასეთი ამალა ურჩი დიდებულის დასაყრდენად იქცეოდა მეფესთან ბრძოლაში. ეწვია რა ერთხელ თავის უერთგულეს ქვეშევრდომს, გრაფ ოქსფორდს, ჰენრი მისი საკადრისი სამეფო მიღების მოწმე გახდა. ყველა პატივთან ერთად ოქსფორდმა მეფის წინაშე წარმოაჩინა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ამალა. გამოთხოვებისას მეფემ შეახსენა თავის ერთგულ ქვეშევრდომს, რომ ვერ მოითმენდა საკუთარი ბრძანებულების დარღვევას და გრაფი 10 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. სხვადასხვა დარღვევებისათვის სხვადასხვა დროს დაჯარიმებული იქნენ ლორდი აბერგავენი და გრაფი ნორთუმბერლენდი შესაბამისად 70 და 10 ათასი გირვანქა სტერლინგით. ამგვარმა პოლიტიკამ არნახულად გაამდიდრა სამეფო ხაზინა. ჰენრი VII ფულის საკითხში დამოუკიდებელი იყო როგორც პარლამენტის, ასევე თავისი ფეოდალებისაგან. მას ნებისმიერ დროს შეეძლო შეეკრიბა ჯარი ოპოზიციური გამოსვლის ჩასახშობად, ხოლო მეფის განკარგულებაში მყოფი ქვეყნის ერთადერთი საარტილერიო პარკი კიდევ უფრო შეუვალს ხდიდა ჰენრი VII პოზიციებს.

ასეთივე ფრთხილი და გამოზომილი იყო ჰენრი VII საგარეო პოლიტიკა. ჰენრი ერიდებოდა კონტინენტის ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავებას, რასაც შეიძლება ძვირადღირებული ომი მოყოლოდა. ინგლისის მთავარ მეტოქედ კვლავ საფრანგეთი რჩებოდა. ჰენრი VII ბევრი აგრესიულად განწყობილი დიდებული მოუწოდებდა აღედგინა ედუარდ III და ჰენრი V დროის სამხედრო დიდება, მაგრამ მეფე ურყევად იდგა თავის პოზიციაზე. ომებს მას მოხერხებული დიპლომატიური კომბინაციები ერჩივნა. ფაქტიურად ერთხელ, 1492წ. ჰენრი VII დააპირა საფრანგეთში შეჭრა, მაგრამ ეს შეტევა არ განხორციელდა. საფრაანგეთის მეფე შარლ VII, რომელიც თავად იტალიის დალაშქვრას აპირებდა მნიშვნელოვანი თანხის მეშვეობით დაიხსნა თავი ინგლისელთა შემოტევისაგან. მოგვიანებით ამ გადასახადმა არალეგულარულად გადახდილი ხარკის ხასიათი მიიღო, რაც ჰენრი VII შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

1481-1482წწ. ჰენრი VII მოიგერია შოტლანდიელთა შეტევა და დაამარცხა კიდეც ისინი. მაგრამ ინგლისის ჩრდილოეთ საზღვრების უსაფრთხოების უფრო მეტად უზრუნველყოფის მიზნით მან თავისი უფროსი ქალიშვილი, მარგრეტი შოტლანდიის მეფეს, ჯეიმს IV მიათხოვა. ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად ესპანეთის (რომელიც XVს. დასაწყისიდან ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა,) მეფის ასულის და ჰენრი VII უფროსი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის უფლისწულ არტურის ქორწინებაც.

ამრიგად, ჰენრი VII გამჭრიახი პოლტიკის წყალობით ახალმა დინასტიამ და მასთან ერთად ძლიერმა სამეფო ხელისუფლებამ მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში. ჰენრის მეფობამ გზა გაუკაფა ინგლისში აბსოლუტიზმს. ხალხი გრძნობდა, რომ რაც უფრო ნაკლებად იყო შეზღუდული სამეფო ხელისუფლება, მით უფრო კარგი იყო ეს ქვეყნისათვის. საზოგადოებას მწარე გამოცდილება ჰქონდა მიღებული ტახტისათვის გაუთავებელი ბრძოლისაგან ვარდების ომის სახით. საზოგადოება ისწრაფოდა, რომ ყოლოდა მეფე, იმდენად გონიერი, რომ შესძლებოდა იმის გაცნობიერება, თუ რა მოუტანდა ქვეყანას სარგებლობას და იმდენად ძლიერი, რომ შესძლებოდა თავისი სწრაფვების განსორციელება. ამიტომ იყო, რომ როდესაც ახალგაზრდა, რიხიანი, ნიჭიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული ჰენრი VIII ავიდა ტახტზე მამამისის გარდაცვალების შემდეგ,

მმართველმა ფენამ მას მიანება ხელისუფლება, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მიუხედავად შესაძლებელი სიმკაცრისა, ძლიერი უფრო სასურველი იყო ვიდრე სუსტი.

ჰენრი VIII (1509-1547წწ.) მეფობა შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალფეროვანი იყო ინგლისის ისტორიაში. მრავალფეროვანი იმ მოვლენათა თვალსაზრისით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდში და რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ინგლისის შემდგომი ისტორია. იმავე დროს, იმ დროის ერთ-ერთ საინტერესო მოვლენას თავად მეფე ჰენრი VIII წარმოადგენდა, რომლის ჭეშმარიტად ინდივიდუალისტური და ხშირ შემთხვევაში ექსცენტრიული პიროვნება გადამწყვეტი ბიძგის როლს თამაშობდა მოვლენათა მსვლელობის ამა თუ იმ მიმართულებით განვითარებაში. ჰენრი VIII მეფობის სტილი აბსოლუტურად განსხვავდებოდა მამამისის მმართველობისაგან. მიიღო რა მამისაგან მდიდარი ხაზინა და მორჩილი ქვეშევრდომები, ჰენრიმ ყურადღება გართობა-დროსტარებაზე გადაიტანა. ჭაბუკი მეფე (იგი 17 წლისა გამეფდა) მიეძალა ნადირობას, ბრწყინვალე მეჯლისებს. ნადირობაში ერთობ გაწაფული, მოხდენილი მოცეკვავე, მუსიკის მოყვარული (ამასთან ერთად შემსრულებელი და კომპოზიტორიც), ჰენრი VIII სამეფო კარზე გამეფებული მხიარული და ზეიმით აღსავსე ცხოვრების სულისჩამდგმელი იყო. თუკი ვინმეს სურდა მეფის გულისწყრომა ან რისხვა დაემსახურებინა, სწორედ ამგვარი ცხოვრებისათვის უნდა შეექცია ზურგი. მისი გონება სასიყვარულო თავგადასავლებითა და საბრძოლო დიდების მოხვეჭის სურვილით იყო დაკავებული. ამიტომაც თავისი მეფობის სულ ცოტა პირველი ათწლეული ჰენრი VIII უფრო საგარეო პოლიტიკის საკითხებით იყო დაკავებული, ხოლო საშინაო პოლიტიკა თავის მრჩევლებს მიანება.

ფიცხი და რაინდული სულისკვეთება ჰენრი VIII სამხედრო ასპარეზისაკენ უბიძგებდა. იგი ისწრაფოდა აღედგინა ედუარდ III და ჰენრი V დროინდელი ინგლისი, დაებრუნებინა პლანტაგენეტთა ფრანგული სამფლობელოები და არ ელოდა საფრანგეთის მეფის წოდებას. ამ მიზნის განხორციელებისაკენ იყო მიმართული ჰენრის პროესპანური პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად ედო ჰენრის ქორწინება ესპანეთის მეფის ასულ ეკატერინეზე და რომელიც განმტკიცდა კავშირით, რომელიც დადო ესპანეთთან 1512წ. ჰენრის ანტიფრანგული პოლიტიკა და საფრანგეთში წარმოებული ომი შეიძლება საბოლოო ჯამში შეფასდეს როგორც ავანტიურა. ომმა ინგლისს ვერ მოუტანა პოლიტიკური ძლიერება და ახალი მიწები, ისევე როგორც ჰენრი VIII სამხედრო დიდება და საფრანგეთის მეფის გვირგვინი. ამ ომმა, რომელიც 1512წ. დაიწყო და 20-იანი წლების დასასრულამდე გაგრძელდა, ფაქტიურად დააცარიელა ინგლისის ხაზინა, რადგანაც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჰენრი VIII დიდი ხარჯები გაიღო ჯარისა და ფლოტის შექმნაზე. 1510-1515წწ. ლონდონის გემთსაშენებზე 18 საბრძოლო გემი აიგო (მაშინ როცა, ჰენრი VII განკარგულებაში მხოლოდ 5 გემი იყო), ხოლო ომის დაწყებამდე ინგლისში მყოფი ნიკოლო მაკიაველი ხაზგასმით აღნიშნავდა ჰენრი VIII ჯარის საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეს, რაც ერთობ თვალშისაცემი იყო მშვიდობიანობის დროს.

იმ დროს, როცა ჰენრი VIII ამაოდ ცდილობდა საფრანგეთში საბრძოლო დიდებით შემოსილიყო, ინგლისის საშინაო პოლიტიკაში სულ უფრო იზრდებოდა მისი ერთ-ერთი მრჩეველის, კარდინალ თომას უოლსის სახელი. თომას უოლსი, იპსუიჩელი ყასბის შვილი, 1507წ. ჩადგა მეფის სამსახურში, ხოლო 1513წ. ის მეფის ერთ-ერთი უპირველესი მრჩეველი გახდა. სულ მალე უოლსიმ ხელთ იგდო არნახული საერო და საეკლესიო ძალაუფლება. 1515წ. მოყოლებული იგი დაინიშნა ლორდ-კანცლერად. იყო რა ველსის, დარემის და უინჩესტერის ეპისკოპოსი, იგი იმავ-დროულადე გახდა იორკის არქიეპისკოპოსი, ისე, რომ არ დაუტოვებია ძველი კათედრები. კარდინალის წოდებამ მას საეკლესიო მთავრის მდგომარეობა შესძინა, ხოლო პაპის ლეგატობამ ფაქტიურად ინგლისის ეკლესიის დიქტატორად აქცია. უოლსის წლიური შემოსავალი 35 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა და უტოლდებოდა მეფის შემოსავალს სამეფო მიწებიდან. იმავე დროს ეს თანხა ექვსჯერ აღემატებოდა ინგლისის ყველაზე მდიდარი პერების შემოსავალს. ამ ადამიანის ძალაუფლებამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ იგი ხშირად ამბობდა: „მე ამას და ამას გავაკეთებ, იმის ნაცვლად რომ ეთქვა: „მეფე ამგვარად მოიქცევა.“ ეს იყო ნიჭიერი, საქმიანი და

იმავე დროს ძალზე ხარბი და ქედმაღალი ადამიანი. დღენიადაგ სახელმწიფო თუ საეკლესიო საქმეებით დაკავებული, უოლსი გამოირჩეოდა იშვიათი შრომისმოყვარეობითა და საეკლესიო ნორმების ზედმიწევნით შესრულებით. თავის სწრაფვას ფუფუნებისაკენ კი ის შემდეგნაირად ხსნიდა, რომ მისი ბრწყინვალებით აღსავსე ცხოვრება უფრო ამტკიცებდა ხელისუფლების ავტორიტეტს ვიდრე მისი სიმდიდრის ღარიბ-ღატაკთათვის დარიგება. უოლსი ერთგულად ედგა ჰენრი VIII გვერდში ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმისას. სწორედ მისი არჩევით ჩაება მეფე საფრანგეთთან ომში. მაგრამ ამით უოლსიმ არა მარტო ჰენრის პრეტენზიებს მისცა ბიძგი საფრანგეთის გვირგვინზე. არამედ საკუთარ კარიერაზეც ფიქრობდა. ყოვლისშემძლე კარდინალს პაპის გვირგვინზე ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას. ამ მიზნების მიღწევაში კი მეფე და უოლსი იმპერატორ კარლოს V ამყარებდნენ იმედს. კარლოს V ერთდროულად წმიდა რომის იმპერიის იმპერატორი და ესპანეთის მეფე, უძლიერესი მონარქი, ჰენრის მეუღლის, ეკატერინე არაგონელის დისწული იყო. ჰენრი VIII გადაწყვიტა კიდევ უფრო განემტკიცებინა ეს დინასტიური კავშირი და კარლოს V საქორწინო ხელშეკრულება დასდო. ამ ხელშეკრულების მიხედვით ჰენრი VIII ქალიშვილი მერი სრულწლოვანი ასაკიდან უნდა ცოლად გაყოლოდა კარლოს V.

მაგრამ ჰენრი VIII და კარდინალ უოლსის დაუზოგავმა მეცადინეობამ ვერ გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი. კარლოს V ზურგი აქცია როგორც საქორწინო ხელშეკრულებას, ასევე უოლსის პრეტენზიებს პაპის გვირგვინზე. ომის ხარჯებმა აიძულეს ჰენრი VIII ახალი გადასახადები შემოეღო. როდესაც უოლსი მეფის ამ გადაწყვეტილების აღსრულებას შეუდგა იგი თემთა პალატის და მოსახლეობის წინააღმდეგობას წააწყდა. ცალკეულ საგრაფოებში თვითნებური დაბეგვრის საწინააღმდეგო გამოსვლებიც კი დაიწყო. უკმაყოფილება განსაკუთრებით ძლიერი იყო ეკონომიკურად განვითარებული აღმოსავლეთისა და სამხრეთის საგრაფოებში, რომლებიც მატყლის დამზადების და მაუდის წარმოების ცენტრებს წარმოადგენდნენ. მემამულეები და მეწარმეები აცხადებდნენ, რომ უკანონო გადასახადები და გამოძალვა მათ არ აძლევს საშუალებას განაგრძონ აქტიური სამეურნეო საქმიანობა, ხოლო თავად ინგლისი ამგვარი პოლიტიკის წყალობით თავისუფლების ნაცვლად მონობის ქვეყანად გადაიქცეოდა. მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებმა ჩააგდეს მეფის დესპოტური გადაწყვეტილების განხორციელება. ეს იყო კარდინალ უოლსის აშკარა მარცხი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. მაგრამ უოლსის თავს დატეხილი სიძნელეები ამით არ დამთავრებულა. მორიგი გამოცდა კარდინალს ელოდა მეფის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ჰენრი VIII პირადი ცხოვრება ერთობ საინტერესო მოვლენაა იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც გარკვეული საშუალება, რომელიც მონარქის ინდივიდუალიზმიდან და ექსცენტრიულობიდან გამომდინარე განაპირობებს ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკურ კურსს. ამ საკითხის გასაშუქებლად უნდა განვიხილოთ ჰენრი VIII მრავალრიცხოვანი ქორწინებების ერთობ რთული ქსელი. 1509წ. ჰენრიმ შეირთო თავისი ძმის, არტურის ქვრივი, ეკატერინე არაგონელი. ჯერ კიდევ მაშინ ამ ქორწინებამ დიდი დავა-და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეკლესია კრძალავდა ამგვარ ქორწინებებს, როგორც უწმინდურს, მაგრამ ჰენრიმ ინგლისის უმაღლესი სამღვდელოების და თვით იმჟამინდელი პაპის იულიუსის მხარდაჭერით შესძლო წადილის მიღწევა, რისთვისაც მოშველიებულ იქნა მოსეს ხუთწიგნეულის მეხუთე წიგნის ერთ-ერთი დებულება. ეს წიგნი თავისი წარმომავლობით ღვთისმსახურთა მიერ საეჭვოდ ითვლება, ხოლო ზემოაღნიშნული დებულება კი ასკვნიდა, რომ კაცი მოვალეა ითხოვოს თავისი დაქვრივებული რძალი (ძმის ცოლი) თუკი ის უშვილოა. მაგრამ ქორწინების 5 წლის მანძილზე დედოფალმა მხოლოდ ერთი ქალიშვილი, მერი შვა, ყველა დანარჩენი ჩვილი კი დაიღუპა. მეფე მოუთმენლად ელოდა ძეს, რათა განემტკიცებინა დინასტიის მემკვიდრეობითობა, რომელსაც სხვადასხვა პრეტენდენტები ეცილებოდნენ. კერძოდ, 1521წ. სიკვდილით იქნა დასჯილი ჰერცოგი ბაკინჰემი, ედუარდ III შთამომავალი და ერთობ ამბიციური ადამიანი. მემკვიდრე არ ჩანდა და ამგვარ პირობებში მეფე გაიტაცა თავისი მინისტრის, სერ თომას ბოლინის ქალიშვილმა ენ (ანა) ბოლინმა. ჰენრისა და ლედი ენის ურთიერთობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ XVIს.

20-იანი წლების შუახანებიდან ჰენრიმ გადაჭრით გადაწყვიტა გაყროდა თავის ცოლს. ამ იდეას კარზე მრავალრიცხოვანი მომხრე გამოუჩნდა, მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ არა მარტო ლედი ენის ოჯახის წევრები, რომლებიც მის აღზევებაში საკუთარი წინსვლის საწინდარს ხედავდნენ, არამედ ისინიც, ვისაც მიაჩნდა, რომ ახალი დედოფლის გამეფება შეცვლიდა სიტუაციას კარზე და ბოლოს მოუღებდა კარდინალ უოლსის ბატონობას.

მეფის ცოლთან გაყრა და ენ ბოლინზე ქორწინება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ იქცა. ამ საქმის მოგვარება ჰენრიმ უოლსის დაავალა. უოლსიმ საქმე წარუდგინა პაპ კლიმენტ VII. მაგრამ პაპმა თავი აარიდა საქმის გადაწყვეტას. ესპანეთ-საფრანგეთის ომში კარლოს V გამარჯვების შედეგად იტალია ესპანეთის ბატონობის ქვეშ მოექცა, ხოლო თავად პაპი ფაქტიურად კარლოსის ტყვედ იქცა. პაპს არ სურდა კარლოს V ურთიერთობის გამწვავება, მით უფრო, რომ იგი ჰენრის ცოლის დისწული იყო. ამიტომ პაპმა საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება ინგლისის სასამართლოს მიანიჭა. მაგრამ ინგლისში ვერც უოლსი, ვერც პაპის წარგზავნილი კარდინალი კამპეჯიო ვერაფერს გახდნენ. უფრო მეტიც, კამპეჯიომ საქმე კვლავ რომს გადასცა. ჰენრი VIII მრავალრიცხოვანი შეგონების მიუხედავად, რომ მას აღარ შესწევს ძალა ცოდვილ ქორწინებაში იცხოვროს (რაც მან 1509წ. არ იღო ყურად) პაპი მას განქორწინების უფლებას არ აძლებდა. ამრიგად უოლსიმ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება. მან მეფის რისხვა და განქორწინების მომხრეების კრიტიკა გამოიწვია. მეფემ უოლსი დაითხოვა. ოდესღაც ყოვლისშემძლე კარდინალს უეჭველად სასჯელი ელოდა, რომელიც მას მოულოდნელმა სიკვდილმა ააცილა თავიდან.

ურთიერთობა მეფესა და პაპს შორის სულ უფრო იძაბებოდა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი გაყროდა ეკატერინე არაგონელს. 1532წ. გარდაიცვალა კენტერბერის არქიეპისკოპოსი უარამი, რომელიც განქორწინების წინააღმდეგი იყო. ამით ისარგებლა ჰენრი VIII და გადადგა გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას უპრეცედენტო ნაბიჯი. დაეყრდნო რა ახალი არქიეპისკოპოსის კრანმერის პოზიციას, რომელიც ენ ბოლინს უჭერდა მხარს, ჰენრიმ მისი მეშვეობით ჩაატარა გაყრის პროცედურა 1533წ. ჰენრიმ ლედი ენი შეირთო ცოლად.

მეფის გაყრამ ისტორიული როლი ითამაშა ინგლისისათვის, იმ სულიერი მოვლენების ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ დასავლეთ ევროპაში XVIს. 20-იან წლებში. ეს იყო საეკლესიო რეფორმა, რომელსაც დასაბამი მისცა გერმანელმა სწავლულმა და ღვთისმეტყველმა მარტინ ლუთერმა, რომელიც 1517წ. გამოვიდა კათოლიკური სამღვდელოების კრიტიკით. ეს მოძრაობა განპირობებული იყო ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერებით, რომელიც აღნიშნული დროისათვის სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთ ევროპის სამეურნეო ცხოვრებაში. ეს სოციალური ფენა, რომელიც წარმოდგენილი იყო ვაჭარ-ხელოსნებით, და რომლებსაც თანაუგრძნობდნენ გლეხობა და წვრილი რაინდები უკმაყოფილო იყო კათოლიკური ეკლესიის გაბატონებული მდგომარეობით საზოგადოების ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში. ეკლესიის ხელში მყოფი აურაცხელი სიმდიდრე ამ ადამიანებს უსამართლო დაბეგვრისა და გამოძალვის შედეგად მიაჩნდათ. ისინი უფრო სადა, დემოკრატიულ და რაც მთავარია „იაფ" ეკლესიას და ღვთისმსახურებას მოითხოვდნენ. თავისი საწარმოო საქმიანობიდან გამომდინარე ვაჭარ-ხელოსანთა კლასს საეკლესიო თუ საერო ფეოდალები უსაქმურ და უსარგებლო სოციალურ ფენად მიაჩნდა. ამგვარ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით მათმა ბელადმა ლუთერმა, ჩამოაყალიბა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც რელიგიაში წინა პლანზე გადმოდიოდა პირადი რწმენა. სულის ხსნა მისი აზრით მოიპოვებოდა არა რიტუალებით, არამედ რწმენით, ე.ი. თითოეული ქრისტიანის ინდივიდუალური განცდებით და ინდივიდუალური დამოკიდებულებით რელიგიურ დოგმატებთან. გარდა ამისა ლუთერმა წინა პლანზე წამოსწია ბიბლიის მნიშვნელობა, ანუ უარყო კათოლიკური ეკლესიის მიერ დაკანონებული ბიბლიის შემდგომი საეკლესიო ლიტერატურა, კერძოდ კი საეკლესიო ნაშრომები, სხვადასხვა საეკლესიო აქტები, და პაპების დადგენილებები. ლუთერის თქმით ქრისტიანი არა პაპის დადგენილებებით, არამედ ბიბლიით უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს ლუთერის მოძღვრებას აახლოებდა ადრეული ქრისტიანობის დროინდელ ფასეულობებთან და

დემოკრატიულ ელფერს აძლევდა მას. პროტესტმა, როგორც ლუთერის გამოსვლას უწოდებდნენ, იმდენად მძაფრი ფორმა მიიღო, რომ გამოიწვია მისი კონფლიქტი პაპთან. კლიმენტ VII შეაჩვენა ლუთერი. რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ თვითოეული ქრისტიანი თავად იყო ღვთისმსახური, ხოლო ეკლესიას პაპის გარეშეც შეეძლო არსებობა. ამ კონფლიქტმა XVIს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპის საზოგადოება ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი პროტესტს მიემხრო, მეორე პაპის ერთგული დარჩა. როგორი იყო ამ მხრივ ინგლისის პოზიცია?

ინგლისის სამეფო კარი თავდაპირველად უარყოფითად შეხვდა საეკლესიო პროტესტს. ჰენრი VIII, რომელსაც თავისი უფროსი ძმის, არტურის სიცოცხლეში საეკლესიო კარიერისათვის ამზადებდნენ, ბავშვობაში სპეციალური საეკლესიო განათლება მიიღო. როგორც ჩანს, რელიგიური საკითხებით გატაცება ჰენრის ტახტზე ასვლის შემდეგაც გამოყვა, რაც კერძოდ გამოიხატა იმაში, რომ 1521წ. მან პაპს გაუგზავნა სპეციალური პამფლეტი, სადაც გმობდა ლუთერს და მის შეხედულებებს[21].

მაგრამ მეფის ამგვარი მართლმორწმუნე კათოლიკეობა არც თუ ისე მტკიცე გამოდგა. მას შემდეგ რაც იგი პაპის ნების საწინააღმდეგოდ გაეყარა ეკატერინე არაგონელს და უზენაესი ლოცვა-კურთხევის გარეშე შეირთო მეორე ცოლი, ენ ბოლინი, ჰენრი შეჩვენებულ იქნა პაპის მიერ, მაგრამ ჰენრი არ შეუშინებია ამ ფაქტს. ტყუილად არ ამბობდა სიკვდილის პირას მისული კარდინალი უოლსი, რომ ჰენრი VIII ისეთი ჭეშმარიტად მეფური გაბედულების კაცია, რომ თავისი სურვილის მისაღწევად ნახევარ სამეფოსაც კი დასთმობს. ამის დადასტურებას წარმოადგენდა მეფის შემოთავაზებით პარლამენტის მიერ 1534წ. სპეციალური დადგენლების მიღება, რომელსაც უზენაესობის აქტი (The Supremacy Act) ეწოდა. უზენაესობის აქტის საფუძველზე ინგლისის ეკლესია სწყვეტდა ყოველგვარ კავშირს რომთან. ინგლისის ეკლესიის, ან როგორც მას ლათინურად უწოდებდნენ Ecclesia Anglicana[22] მეთაურად გამოცხადებულ იქნა მეფე, რომელიც წარმოადგენდა საეკლესიო კანონმდებლობის ერთადერთ წყაროს და უფლებამოსილი იყო თავის სამეფოში დაეთრგუნა ნებისმიერი რელიგიური გადახრა თუ მწვალებლობა. ეს იყო რეფორმაციის ინგლისური ვარიანტი. უზენაესობის აქტი ხელშეუხებელს ტოვებდა ყველა კათოლიკურ დოგმატსა თუ წირვა-ლოცვის წესს. ჰენრი VIII თავიდანვე განაცხადა, რომ მას არც რომი სჭირდება და არც ვიტენბერგი (ქალაქი, რომლის უნივერსიტეტშიც ლუთერმა, როგორც იქაურმა პროფესორმა წამოიწყო საპროტესტო მოძრაობა). ამგვარად რეფორმაციაში ინგლისმა მისთვის დამახასიათებელი, შუალედური პოზიცია დაიკავა.

როგორი იყო საზოგადოების რეაქცია ამ მოვლენებზე? შეიძლება ითქვას, რომ რომთან კავშირის გაწყვეტას ინგლისი მთლიანობაში მშვიდად შეეგება. პაპობის პოზიციები და სულიერი კავშირი რომთან კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით ინგლისში შედარებით სუსტი იყო. კუნძულოვანი ქვეყანა უფრო თავისი კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა და შესაბამისმა ფსიქოლოგიამ ააცილა ინგლისელებს თავიდან ის ვნებათაღელვა, რომელიც კონტინენტზე გამეფდა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. თუკი ინგლისში გარკვეულწილად დაიძაბა კიდეც სიტუაცია, ამას თავისებური მიზეზი ჰქონდა. უზენაესობის აქტის კრიტიკა ინგლისში დაკავშირებული იყო გარკვეულწილად ყოფილი დედოფლის, ეკატერინე არაგონელის პიროვნებასთან. დედოფლადყოფილი გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა ინგლისში და რეფორმაციის კრიტიკა ხშირად უკავშირდებოდა ახალი დედოფლის — ენის კრიტიკას. ამიტომაც პარლამენტმა (თავისთავად მეფის ინიციატივით) გააფართოვა სახელმწიფო ღალატის შესახებ კანონის ცნება. ახალი დებულების მიხედვით სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა არა მარტო მეფის სიცოცხლის ხელყოფა, არამედ მისი აუგად (როგორც ტირანის, მწვალებლის) მოხსენიება. სწორედ ამგვარი ბრალდების საფუძველზე სიკვდილით იქნენ დასჯილი კენტელი მრინაზონი ელიზაბეთ ბარტონი, სამი კარტეზიანელი ბერი, დედოფალ ეკატერინეს მომხრე როჩესტერის ეპისკოპოსი ფიშერი. 1535წ.

---

[21] ჰენრი პამფლეტის ნომინალური აკტორი იყო. ფაქტიურად მისი აკტორი იყო ცნობილი ჰუმანისტი თომას მორი.

[22] აქედან წარმოსდგება სიტყვა ანგლიკანური.

სიკვდილით იქნა დასჯილი ლორდ-კანცლერი, ცნობილი სწავლულ-ჰუმანისტი თომას მორი, რომელმაც არ სცნო მეფის მეორე ქორწინების კანონიერება, უზენაესობისა და ტახტის მემკვიდრეობის აქტები.

მაგრამ ჭეშმარიტი წინააღმდეგობა მოჰყვა არა რომთან კავშირის გაწყვეტას, არამედ მეფის მიერ ამის შემდგომ გატარებულ საშინაო პოლიტიკას. 1535წ. და 1539წ. მეფის ბრძანებით დაიწყო მონასტრების დახურვა. ამ აქციას ჰენრი VIII უფრო ეკონომიკური მიზნების კარნახით ატარებდა. დაცარიელებული ხაზინა და გაუფასურებული ფული (ჰენრიმ სპილენძის ფულის მოჭრა დაიწყო ვერცხლის ყულის ნაცვლად), მდგომარეობის გამოსწორებას თხოულობდნენ. მონასტრები კი დიდძალ ქონებას ფლობდნენ. მათ დახურვას მოჰყვა სამონასტრო მიწების კონფისკაცია, ეკლესია-მონასტრების განკარგულებაში არსებული ურიცხვი ძვირფასეულობის ჩამორთმევა. მეფემ ეს ვეებერთელა მიწის ფონდი ნაწილობრივ გაყიდა, ნაწილი კი ერთგულ პირებს დაურიგა. ამ აქციას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები და შესაბამისი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა. სამონასტრო მიწების კონფისკაციამ მოშალა არა მარტო საეკლესიო პირების, არამედ ამ მიწებზე მსხდომი და მომუშავე მრავალრიცხოვანი გლეხობის არსებობის ეკონომიკური საფუძველი. ამან გამოიწვია ძლიერი ანტისამთავრობო გამოსვლები, რომლებმაც მოიცვეს ინგლისის ჩრდილოეთის და დასავლეთის საგრაფოები, სადაც განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული სამონასტრო მიწათმფლობელობა. აჯანყებას ადგილობრივი ფეოდალებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ პლანტაგენეტთა სხვადასხვა შტოს შთამომავლები. აჯანყება ჩახშობილ იქნა, ხოლო მისი მონაწილეები, როგორც რიგითები, ასევე მეთაურები, სიკვდილით დასჯილი. ამან საბოლოოდ გაავლო მუსრი ჩრდილოეთის საგრაფოების არისტოკრატიას, რომელიც ტრადიციულად გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა და ჩამოაშორა ტახტს შესაძლო პრეტენდენტები.

დათრგუნვის ამგვარმა პოლიტიკამ, რომელსაც ჰენრი VIII ახალი ლორდ-კანცლერის, თომას კრომველის მეშვეობით ატარებდა დაამკვიდრა ინგლისში აბსოლუტისტური ხელისუფლება, რომელიც დამყარებული იყო მძლავრ, ფართოდ გატოტვილ საჯაშუში ქსელზე. დუმილი უსაფრთხოების ერთადერთი საშუალება იყო. მაგრამ ზოგჯერ ისიც კი სახიფათო ხდებოდა. რადგან მის მიღმა მეფის ყოვლისშემძლე ლორდ-კანცლერი მოსალოდნელ ოპოზიციას ხედავდა. მის ხელში როგორც პარლამენტი, ასევე ეკლესია მეფის ნება-სურვილის მორჩილ შემსრულებლად იქცნენ. ამგვარი მიმართულების პირობებში მეფის აულაგმავი ხასიათი და თავნებობა ხშირად სასტიკ გამოხატულებას იღებდნენ, რომელიც სწორედ მის ახლო მდგომ პირებს დაატყდებოდა თავს. ამის დადასტურებაა მეფის მრავალრიცხოვანი განქორწინება, რომლებიც ზოგჯერ გაცილებული ცოლებისათვის სასიკვდილო განაჩენით მთავრდებოდნენ. 1536წ. სიკვდილით იქნა დასჯილი დედოფალი ენი, რომელსაც ღალატში დაედო ბრალი. მეფის მესამე ცოლი ლედი ჯეინ სეიმური 1537წ. მშობიარობას გადაყვა. ამ ქორწინებისგან ჰენრი VIII დარჩა ვაჟი, უფლისწული ედუარდი. 1540წ. მეფემ თომას კრომველის წაქეზებით, რომელიც ცდილობდა კონტინენტის პროტესტანტულ სახელმწიფოებთნ კავშირის განმტკიცებას, რათა წინ აღდგომოდა კათოლიკური ესპანეთისა და საფრანგეთის შესაძლებელ შემოტევას, ცოლად ითხოვა გერმანული სამთავროს, კლევეს ჰერცოგის და ანა. მაგრამ კრომველის ვარაუდი არ გამართლდა. კათოლიკური შეტევა ჩაიფუშა და მეფე თავისი არც თუ ისე მიმზიდველი ცოლის ამარა დარჩა. განრისხებულმა მეფემ თავისი რისხვა კრომველს დაატეხა თავს, რომელიც სიკვდილით იქნა დასჯილი. იმავე 1540წ. მეფემ ცოლად შეირთო კეტრინ ჰოვარდი, მაგრამ ორი წლის შემდეგ ჭაბუკ დედოფალს ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს. მეფის მეექვსე და უკანასკნელი ცოლი, რომელიც უვნებელი გადაურჩა მრისხანე მბრძანებელს იყო ორნაქმარევი 31 წლის კეტრინ პარი.

ჰენრი VIII სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ედუარდი. ედუარდ VI (1547-1555წ.) მცირეწლოვანების გამო ქვეყნის სათავეში იდგნენ მეფის მეურვეები, — ჯერ მისი ბიძა, დედის ძმა ჰერცოგი სომერსეტი, ხოლო შემდეგ ჰერცოგი ნორთუმბერლენდი. ჭაბუკი მეფის ხანმოკლე მეფობა პირველ რიგში იმით არის აღსანიშნავი, რომ იმ დროს გადაიდგა შემდგომი ნაბიჯები პროტესტანტობის გაღრმავების გზაზე, რაც იმით აიხსნებოდა, რომ ორივე მეურვე

პროტესტანტულ მიმდინარეობას ეკუთვნოდა. ანგლიკანური ეკლესია რამდენადმე დაუახლოვდა პროტესტანტობის კონტინენტურ ფორმებს, კერძოდ მის კალვინისტურ ნაირსახეობას. ეს გამოიხატა იმაში, რომ ანგლიკანობაში შემოვიდა დოგმატი წინასწარი განსაზღვრულობის შესახებ, გარკვეულწილად შემცირდა ცერემონიები. 1547წ, გამოიცა საეკლესიო კრებული, სადაც მითითებული იყო ღვთისმსახურების ჩატარების ყველა აუცილებელი წესი. წირვა-ლოცვა თავიდან ბოლომდე ინგლისურ ენაზე უნდა ჩატარებულიყო. გაიზარდა მათში მონაწილე რიგითი მლოცველების როლი.

ედუარდ VI მოახლოებული სიკვდილის გამო მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სიტუაცია ერთობ დაიძაბა. თავის ანდერძში ედუარდ VI თავის მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი მამიდაშვილის შვილი, ლედი ჯეინ გრეი. ეს ნაბიჯი მან თავის მეურვის, ჰერცოგ ნორთუმბერლენდის ზეწოლით გადადგა. ნორთუმბერლენდმა ადრიანად „დაიჭირა თადარიგი" და თავისი ვაჟი გილფორდ დადლი ლედი ჯეინზე დააქორწინა. მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. ჭაბუკი დედოფლის მეფობა მხოლოდ ცხრა დღეს გაგრძელდა. ტახტისათვის ბრძოლაში ჰენრი VIII უფროსი ქალიშვილის მომხრეებმა იმარჯვეს. პოლიტიკური ინტრიგების ბრმა იარაღად ქცეული ლედი ჯეინი და მისი მეუღლე დამხობილ იქნენ და სიკვდილით დასჯილი. ტახტზე მერი ავიდა.

მერი (1553-1558წწ.) კათოლიკური სულისკვეთებით იყო აღზრდილი და ოპოზიციურად იყო განწყობილი ჰენრი VIII კარის მიმართ. თავის დანიშნულებას იგი კათოლიკეობისა და რომის დამხობილი უზენაესობის აღდგენაში ხედავდა. ამიტომ მან პროტესტანტების მასობრივ დევნას მიჰყო ხელი. აღდგნენ კანონები მწვალებლობის წინააღმდეგ, აგიზგიზდნენ კოცონები, რომლებზეც პროტესტანტებს წვავდნენ. სიკვდილმისჯილთა შორის იყვნენ კენტერბერის არქიეპისკოპოსი კრანმერი, პროტესტანტობის აქტიური მქადაგებლები, ეპისკოპოსები ლატიმერი და რიდლი. ამ რეპრესიებისათვის მერიმ სისხლიანის მეტსახელი დაიმსახურა.

მთლიანობაში ინგლისურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად გამოხატული ურყევი თანადგომა კათოლიკობისა ან პროტესტანტობის მიმართ. ინგლისელთა გარკვეული ნაწილი კათოლიკობისაკენაც კი იხრებოდა. მაგრამ მათვე სურდათ წირვა-ლოცვიდან ლათინური ენის ამოღება და რომის დაქვემდებარებიდან გამოსვლა. დედოფალ მერის მიერ განხორციელებულ კონტრრეფორმაციაში ინგლისელები სწორედ პაპობის ბატონობის აღდგენას ხედავდნენ. სწორედ ამან უბიძგა საზოგადოებას ზურგი შეექცია დედოფლის მიერ გატარებული რეპრესიებისათვის. ინგლისში საზოგადოება უფრო ანტიკლერიკალური იყო, ვიდრე ანტირელიგიური. რეფორმაცია ინგლისში ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ნიშნით გატარდა პატრიოტული სულისკვეთების ზრდას მერის კონტრრეფორმაციის გარდა ბიძგი მისცა მისმა ქორწინებამ. 1554წ. დედოფალი მერი ცოლად გაყვა ესპანეთის მეფე ფილიპე II, რომელიც კათოლიკური რეაქციისა და კონტრრეფორმაციის სულისჩამდგმელი იყო XVIს. მეორე ნახევარში. ფილიპე II სურდა ესპანეთისა და ინგლისის გაერთიანება, რათა განემტკიცებინა ანტიპროტესტანტური ფრონტი, მაგრამ პარლამენტი წინ აღუდგა ფილიპეს სწრაფვას დაედგა ინგლისის მეფის გვირგვინი. ფილიპეს მიერ გატარებული პოლიტიკა ინგლისის სავაჭრო და პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილებას იწვევდა. ინგლისელი ვაჭრები მოკლებული იყვნენ იმ შეღავათებს, რომლებითაც მათი ესპანელი კოლეგები სარგებლობდნენ. ფილიპეს მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ წამოწყებული ავანტიურა ინგლისელებს კალეს დაკარგვის ფასად დაუჯდათ, რომლის დაბრუნებას ფილიპე არც კი ცდილა. ყველაფერმა ამან განაპირობა, ის, რომ ფილიპეს ინგლისში აღარ დაედგომებოდა. 1558წ. მერი უშვილოდ გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი და, ენ ბოლინის ქალიშვილი ელიზაბეთი. ბევრისათვის ეს ინგლისის პროტესტანტობისაკენ შემობრუნებას ნიშნავდა.

მაგრამ XVIს. პირველი ნახევარის ინგლისის ისტორია ყურადღებას იპყრობს არა მარტო ჰენრი VIII ინიციატივით ჩატარებული საეკლესიო რეფორმით ან დედოფალ მერის მიერ წამოწყებული პროტესტანტების სასტიკი დევნით. სწორედ პირველი ტიუდორების ხანაში დაიწყო ინგლისში სოციალურ-ეკონომიკური პროცესი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლდეს რე-

ფორმაციას და რომლის შედეგებმა, ამ უკანასკნელის მსგავსად მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ინგლისის შემდგომი განვითარება. ლაპარაკია შემოღობვებზე, რომლებიც ჰენრი VIII მეფობის ხანაში დაიწყო ინგლისის სამეურნეო ცხოვრებაში. როგორი იყო სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელშიაც აღნიშნულ მოვლენას ჰქონდა ადგილი? XVIს. ინგლისი იმ დროის ეკონომიკური განზომილებებით ერთობ ჩამორჩებოდა კონტინენტის ქვეყნებს. ტერიტორიულად ინგლისი ჩამორჩებოდა კონტინენტის სახელმწიფოებს. ეს იყო პატარა სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა საკუთრივ ინგლისსა და უელსს. შოტლანდია დამოუკიდებელი სამეფო იყო, ირლანდიაში ინგლისის სამფლობელოები ერთობ უმნიშვნელო იყო, ხოლო ადგილობრივი კლანების ბელადები პრაქტიკულად ნომინალურად სცნობდნენ ინგლსის მეფის უზენაესობას. იგივე ითქმის მოსახლეობაზე. XVIს. დასასრულისათვის ინგლისის სამეფოს მოსახლეობა შეადგენდა 4 მლნ. ადამიანს, მაშინ როცა საფრანგეთის, გერმანიის და ესპანეთის მოსახლეობა შესაბამისად შეადგენდა 16, 20 და 10 მლნ. ადამიანს. ფეოდალიზმის ხანაში ამ ფაქტორების გადამწყვეტი როლი მეურნეობის განვითარებაში რასაკვირველია ინგლისს არახელსაყრელ პირობებში აყენებდა კონტინენტის ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ XVIს. დასაწყისში ინგლისის ეკონომიკაში სხვა ფაქტორების როლი გაიზარდა.

ვაჭრობისა და წარმოების განვითარებამ, რასაც ადგილი ჰქონდა ევროპაში XVIს., დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად კონტინენტზე გაზარდა მოთხოვნა ინგლისურ მატყლზე. ინგლისში კი მატყლის წარმოების ზრდისათვის იყო ერთობ მნიშვნელოვანი წანამძღვრები; სოფლად თავისუფალი მუშახელის დიდი რაოდენობა ბატონყმობის აღრიანი გაუქმების შედეგად, რაინდობის შერწყმა სოფლის შეძლებულ მოსახლეობასთან, რამაც ფეოდალთა დაბალი ფენა არა სოციალურ პარაზიტებად (როგორც ამას ადგილი ჰქონდა კონტინენტზე), არამედ მეწარმეებად აქცია, მნიშვნელოვანი იყო სულიერი ფაქტორიც, რომელმაც განსაკუთრებით იმძლავრა რეფორმაციის შემდეგ. პროტესტანტობა, და მისი ფასეულობები სწორედ შრომას და გარჯას ქადაგებდნენ, როგორც სასუფევლის მოპოვების ამქვეყნიურ საშუალებას. ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტორები მომავალი ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვან წანამძღვრებად იქცნენ.

სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორების წყალობით XVIს. მაუდის წარმოება ინგლისში ზოგადსახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. მასში მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ჩაბმული. მაუდის წარმოება ფართოდ იყო გავრცელებული ისეთ ქალაქებში, როგორიც ნორიჯი აღმოსავლეთ ინგლისში, ბოსტონი იორკირში, პრესტონი ლანკაშირში, ეკზეტერი დასავლეთ ინგლისში და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმოების უდიდესი ნაწილი მოდიოდა არა ხელოსანთა ამქრებზე, სადაც წარმოების პროცესი გარკვეული რაოდენობის ადამიანებით შემოიფარგლებოდა, არამედ მანუფაქტურაზე, სადაც შრომის პროცესი მაქსიმალურად იყო დანაწილებული. მანუფაქტურების დიდი რაოდენობა განსაკუთრებით აღინიშნებოდა სოფლად, სადაც წარმოებაში ჩაბმული იყო უამრავი უმიწაწყალოდ დარჩენილი გლეხი. XVIს. ინგლისური წყარო აღნიშნავს რომ „მაუდის მწარმოებლები ათასობით ადამიანს ასაქმებენ და ამით კიდევ უფრო მდიდრდებიან.“ იმ დროის ბალადები ხატოვნად აღწერდნენ მანუფაქტურებს, რომლებშიც ხშირად რამდენიმე ასეული ადამიანი მუშაობდა. ერთ-ერთი ასეთი მეწარმე, ჯონ უინჩკომბი იმდენად გამდიდრდა, რომ თავად იქცა ამ ბალადების გმირად. სოფლად წარმოებული მაუდი ჩვეულებისამებრ უხეში იყო. მისი დამუშავება ქალაქებში ხდებოდა, ანდა კონტინენტზე, ფლანდრიასა და ბრაბანტში. უკვე XVIს. 60-იან წლებში მაუდი, ინგლისური ექსპორტის 80% შეადგენდა. სწორედ მაუდის წარმოებისა და ექსპორტის განუხრელი ზრდა იწვევდა შემოღობვებს, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ინგლისის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება. XVIს. გლეხები (ფერმერები) მიწას ფლობდნენ მემკვიდრეობით, ე.წ. ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. მათ ასევე ეწოდებოდათ: ჩვეულებითი მიწათმფლობელი-მოიჯარადრეები (customary tenants) ანდა კოპიჰოლდერები (copyholders), რადგანაც მიწის ფლობის დასტურად მათ გადაეცემოდათ ამონაწერი (copy) მანორის კანცელარიის ოქმიდან. ფერმერები იხდიდნენ მტკიცედ განსაზღრულ საიჯარო გადასახადს. XIVს. შავი ჭირის შედეგად მოსახლეობის შემცირებამ გამოიწვია მიწის სიუხვე, რასაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ

გლეხობის და საერთოდ სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოყვა მოელი XVს. მანძილზე.

მაგრამ XVIს. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მოსახლეობის ზრდამ და მაუდის წარმოების გაფართოების მოთხოვნამ მიწის ფასი გაზარდეს. მეცხვარეობა და შესაბამისად მატყლის დამზადება არნახულად მომგებიან საქმედ იქცა. ამას დაემატა ფასების საერთო ზრდა, რაც გამოწვეული იყო ჰენრი VIII მიერ ფულის გაუფასურებით და ამერიკის კონტინენტიდან ოქროსა და ვერცხლის დიდი რაოდენობით შემოსვლით (XVIს. შუახანებში ფასებმა 100% მოიმატა). სწორედ ამან გამოიწვია ის ეკონომიკური სიახლეები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, მთელი ინგლისის მსჯელობის საგნად იქცა. იმისათვის, რომ ფეხი აეწყოთ შექმნილი ეკონომიკური კონიუნქტურისათვის მიწათმფლობელებმა მკვეთრად გაზარდეს საიჯარო გადასახადები. ეს იყო თავისებურად სასტიკი, მაგრამ ობიექტურად გარდაუვალი საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ლენდლორდებს გაკოტრება, ხოლო მეურნეობას მოშლა ემუქრებოდა. მიწის ნაკვეთი, რომელშიც მოიჯარადრე უწინ წელიწადში 20-40 გირვანქა სტერლინგს იხდიდა, ჰენრი VIII დროს თავის წლიური საფასურით 50-100 გირვანქამდე გაიზარდა. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ჰიუ ლიტიმერი (რომელიც კონტრრეფორმაციის დროს კოცონზე დაწვეს) აღნიშნავდა, რომ თუკი მამამისი 3-4 გირვანქა სტერლინგის წლიური გადასახადის მიწის ფლობის წყალობით 6 სულიან ოჯახს არჩენდა, ისე რომ შვილებისათვის არც განათლება და არც მზითევი არ დაუკლია, ხოლო ქვრივ-ობლებისათვის შეძლებისდაგვარი შემწეობა, ფასების ზრდის შემდეგ ისეთივე ნაკვეთში მოიჯარადე წლიურად 16 გირვანქას იხდიდა და ძლივს გაჰქონდა თავი.

მაგრამ სიახლეები ფასების ზრდით არ შემოფარგლულა. მეცხვარეობის გაფართოებამ ლენდლორდებს წვრილი გლეხური მეურნეობების კონცენტრაციისაკენ უბიძგა. მათ გამსხვილებასთან ერთად მეურნეობის ხასიათის და ექსპლუატაციის შეცვლაც ხდებოდა. ლენდლორდები ამ გაერთიანებულ სახნავ-სათეს სავარგულებს საძოვრებად აქცევდნენ, რასაც მიწიდან მოიჯარადრე გლეხების ძალით აყრა მოყვებოდა. სწორედ ამ პროცესს ეწოდა შემოღობვა (Enclosure). თავდაპირველად მემამულეები სათემო სავარგულების (Commons) შემოღობვას აწარმოებდნენ, მოგვიანებით კი გლეხების სახნავ-სათესი სავარგულებიც საძოვრებად აქციეს. შემოღობვის შედეგად საგრძნობლად იკლო წვრილ მიწათმფლობელთა რიცხვმა. ამაზე მიუთითებს ერთ-ერთი საპარლამენტო ჩანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ იმ მიწაზე, რომელსაც უწინ 200 გლეხი ამუშავებდა, ამჟამად ცხვრის ფარები და ორი-სამი მწყემსილა დარჩა. შემოღობვებმა მასობრივი გაღატაკება გამოიწვიეს. მიწიდან აყრილი მრავალი გლეხი მაწანწალად იქცა. ამის გამო შემოღობვებმა ბევრი გამოჩენილი თანამედროვის კრიტიკა დაიმსახურეს. „ადრე ესოდენ უწყინარი ცხვრები ამჟამად ისეთი გაუმაძღრები აღმოჩნდნენ რომ ადამიანებსაც კი სჭამენ“ — ირონიულად აღნიშნავდა ცნობილი ჰუმანისტი მორი თავის თხზულებაში „უტოპია.“

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხელისუფლება არ ცდილობდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. იყვნენ რა ფეოდალური მონარქები ტიუდორები სწორედ ფეოდალიზმის საფუძვლის, მიწათმფლობელობის არსებული ფორმების მოწესრიგებასა და შენარჩუნებას ცდილობდნენ. აშას ადასტურებს ტიუდორების კანონმდებლობაც, რომელიც შემოღობვების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰენრი VII 1489წ. სტატუტი კრძალავდა ისეთი გლეხური მეურნეობის მოშლასა და შემოღობვას, რომლის ფართობი 20 აკრზე[23]. ნაკლები არ იყო. ჰენრი VIII 1516წ. სტატუტით აიკრძალა კონვერსია, ანუ სახნავ-სათესი მიწების საძოვრებად გადაქცევა. ჰენრი VIII 1533წ. კანონი უკრძალავდა ერთი პირის მფლობელობაში 2 ათას სულზე მეტი ცხვრის ყოლას. შემოღობვების წინააღმდეგ გამოდიოდნენ თავად გლეხებიც. პროტესტი სხვადასხვანაირ ფორმებს იღებდა. მაწანწალებად ქცეული გლეხების გარკვეული ნაწილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს მიმართავდა, რაც დამნაშავეობის დონის ზრდას იწვევდა. ამგვარი ბანდების წინააღმდეგ მთავრობა მკაცრ ზომებს იღებდა. ადგილი ჰქონდა ნამდვილ აჯანყებებს, როგორც ეს მოხდა 1549წ. ნორ-

[23] 1 აკრი- 1/3 ჰა.

ფოლკში. აჯანყებულებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი გლეხი რობერტ კეტი პროტესტის ნიშნად გაწყვიტეს 20 ათასი სული ცხვარი და პეტიცია გაუგზავნეს მეფეს. ისინი ითხოვდნენ შემოღობვების აღკვეთას. აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი. ასე რომ შეიარაღებული ბრძოლა შემოღობვების წინააღმდეგ წარუმატებელი აღმოჩნდა. საქმეს ვერც სამეფო კანონმდებლობა შველოდა, რომლის გვერდის ასავლელად როგორც ლენდლორდები, ასევე მოხელეები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ.

როგორ შეიძლება შეფასდეს შემოღობვები ისტორიული გადასახედიდან? უდავოდ, ეს იყო კაცობრიობის და კერძოდ ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი მტკივნეული პროცესი. მაგრამ იმავე დროს ეს იყო ობიექტური და კანონზომიერი მოვლენა. საზოგადოება ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადადიოდა. მიწის ფართომასშტაბიან განაწილებას, რაც XIV-XVსს. მუშახელის ნაკლებობა იწვევდა, დაბალ საიჯარო გადასახადს და წვრილ გლეხურ მეურნეობას ცვლიდა მსხვილი (კაპიტალისტური) მეურნეობა, მაღალი საიჯარო გადასახადით. ეს პროცესი განპირობებული იყო შიგა და საგარეო ბაზრის ზრდით და მხოლოდ ახალი ტიპის მეურნეობას შეეძლო ამ მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. სოფლის მეურნეობა თანდათან კარგავდა ნატურალურ ხასიათს და საბაზრო ხასიათს იძენდა. ეს იყო პროგრესული, შეუქცევადი პროცესი, რომელიც საბოლოო ჯამში ინგლისს ეკონომიკური წინსვლისაკენ და საერთო ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან მოიყვანდა. სხვათა შორის, უკვე იმ დროის ზოგიერთი პამფლეტისტი თუ პოეტი მიანიშნებდა ამგვარი მსხვილი მეურნეობის მომგებიან ხასიათზე წვრილგლეხურთან შედარებით. მაგრამ ისტორიულად ყველა პროგრესული მოვლენა გარდამავალ ეტაპზე ხასიათდება არნახული სიძნელეებით. რაც მრავალრიცხოვან სოციალურ, ეკონომიკურ, თუ ზნეობრივ პრობლემას იწვევს. სწორედ ამით აიხსნება შემოღობვის ესოდენ მტკივნეული მიმდინარეობა ტიუდორების ხანის ინგლისში. მაგრამ მათვე მოამზადეს წინაპირობა მომავალი სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებებისათვის.

ჰუმანიზმი ინგლისში

აბსოლუტიზმი, რეფორმაცია და შემოღობვები არ წარმოადგენდნენ მოვლენებს, რომლებიც მკაცრად არიან შეზღუდული თავისი პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ჩარჩოებით. მთლიანობაში თითოეული მათგანი იმ სიახლეების სხვადასხვაგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XV-XVIსს. დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში. აბსოლუტიზმი შუასაუკუნეობრივი დაქუცმაცებულობის და პოლიტიკური ქაოსის უკუგდების სიმბოლო იყო, რეფორმაცია კათოლიკური სამღვდელოებისა და სქოლასტურობის მოძალების წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო შემოღობვები კი ფეოდალური, ნატურალური მეურნეობის დასასრულის დასაწყისს წარმოადგენდა. ახალ სამყაროს, უფრო სწორედ სამყაროზე ახალ წარმოდგენას, რომელიც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად შეიქმნა, ახალი პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური ხედვა მოჰქონდა, ხედვის ცენტრში კი ადამიანი იყო. ადამიანი, რომელიც არნახული ხიფათის მიუხედავად ლაშქრავდა უკიდეგანო ოკეანეების სივრცეს და ახალ კონტინენტებსა თუ ხალხებს აღმოაჩენდა. იგი დაუღალავად შრომობდა და არნახული სიმდიდრის პატრონი ხდებოდა, ხოლო მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში დაუზოგავი კვლევის შედეგად მანვე სამყაროს დაანახა თავისი სილამაზე თავად კი საკუთარ უსაზღვრო შესაძლებლობებში დარწმუნდა. როგორც ერთი ესპანელი სწავლული წერდა აღტაცებით 1524წ.: „ადრე ჩვენ სამყაროს კიდეში ვიყავით, ახლა კი მის შუაგულში ვიმყოფებით.“ და თუ ევროპა სამყაროს შუაგულში მოექცა, ევროპელი მოაზროვნეების ინტერესის ცენტრში კი ადამიანი აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო მეცნიერული აზრის ამ მიმდინარეობას ჰუმანიზმი ეწოდა, რაც წარმოდგება ლათინური homo ადამიანი, humanus - ადამიანური. შესაბამისად, მის მიმდევრებს ჰუმანისტები ეწოდათ.

მძლავრ ბიძგს ამ მიმდინარეობის განვითარებისათვის წარმოადგენდა აღორძინებისათვის დამახასიათებელი ინტერესი ანტიკურობისადმი. კერძოდ, ძველი ბერძნული ენისადმი. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას. თუკი ჰუმანიზმის ისეთ მნიშვნელოვან კერაში, როგორიც იყო იტალია, ჰუმანისტები ახლად ფეხადგმული ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ მოუწოდებდნენ (კალუჩიო სალუტატის შეხედულებები საყოველთაო კეთილდღეობაზე, ლეონარდო ბრუნის რწმენა სამშობლოსა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვის შესახებ.) პრაქტიკულად მოაზროვნე ინგლისელებმა ამ მიმდინარეობას გარკვეულწილად კონკრეტული ხასიათი მისცეს. ეს იყო ჰუმანიზმის ანტიკლერიკალური ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ ეს თავისებურება ახასიათებდა კონტინენტის გერმანულენოვან ქვეყნებს. დიდი ნიდერლანდელი ჰუმანისტი, ერაზმ როტერდამელი და მისი გერმანელი თანამოაზრე ულრიჰ ფონ გუტენი სწორედ კათოლიკური სამღვდელოების კრიტიკით იყვნენ დაკავებული. ამიტომ დასავლეთ ევროპისათვის აღმოჩენად ქცეული ძველი ბერძნული ენა, რომელიც თან მოიტანეს ბიზანტიელმა სწავლულებმა (მას შემდეგ რაც დატოვეს ოსმალო-თურქების მიერ 1453წ. დაპყრობილი კონსტანტინოპოლი), ინგლისელი სწავლულების მიერ გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ რაციონალურად აეხსნათ ახალი აღთქმა. ეკლესიის გარდაქმნა, სამღვდელოების ცხოვრების წესის მანკიერი მხარეების აღმოფხვრა, სწავლების სისტემის გაუმჯობესება იყო ინგლისელი ჰუმანისტების, ჯონ კოლეტის, საიმონ ფიშის, თომას მორის მიზანი. სწორედ კათოლიკური სამღვდელოების მიერ წარმოებული გამოძალვა, ათასგვარი მაქინაციები და უზნეობა აღაშფოთებდათ ამ ღრმად ორწმუნე და ღვთისმოსავ ადამიანებს. სწორედ ამიტომ ისწრაფოდნენ ისინი წმინდა წერილის ბერძნული ტექსტის შესწავლისაკენ, რომელიც მათ რელიგიური ჭეშმარიტების საზომად მიაჩნდათ. კათოლიკური სამღვდელოება კი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო.

ჰუმანისტები შეუფარავად აკრიტიკებდნენ სამღვდელოებას. თავად ღვთისმსახური, როჩესტერის ეპისკოპოსი საიმონ ფიში თავის პამფლეტში „მათხოვართა ღაღადი", მიმართავდა მეფე ჰენრი VIII, რომ უსაქმურმა, უმეცარმა და ხარბმა სამღვდელოებამ ათასგვარი ფანდებით ხელთ იგდო დიდი სიმდიდრე. ხოლო თუკი ვინმე უბრალო ქალი მღვდელს კვერცხით მეათედს არ მიართმევდა, მას ცოდვას არ მიუტევებდნენ და მწვალებლად გამოაცხადებდნენ. სამღვდელოების ყოველდღიური ცხოვრების მანკიერ მხარეებს ნიღაბს ხდიდა თავის გამოსვლებში კოლეტი: „ჩვენ მწვალებლების არსებობა გვაწუხებს. მაგრამ ყველა ერეტიკულ მიმდინარეობაზე უფრო სახიფათოა ჩვენი სამღვდელოების აღვირახსნილი ცხოვრება" – წერდა კოლეტი. კოლეტის კრიტიკას აქტიურად დაუჭირა მხარი თომას მორმა, რომელმაც კოლეტის გამოსვლები კონსერვატულად განწყობილი სამღვდელოების წინააღმდეგ შეადარა ტროას ცხენს, რომელიც ოდისევსმა ტროელების წინააღმდეგ გამოიყენა. ამ პროპაგანდას შეუერთდა ჰიუ ლატიმერიც. მან ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალა კემბრიჯის უნივერსიტეტში. ამის წყალობით კემბრიჯი იქცა ახლებური სწავლების კერად, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა ერაზმი. მოგვიანებით სიახლეებმა ფეხი გაიდგეს ოქსფორდის უნივერსიტეტშიც, რასაც სხვათა შორის ხელჩართული ბრძოლაც კი უძღოდა წინ გარდაქმნების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

მაგრამ ინგლისელი ჰუმანისტებისათვის მთლად უცხო არ იყო მათი კონტინენტელი თანამოაზრეების ზოგადსაკაცობრიო დებულებებიც. ომისა და მშვიდობის საკითხები, რომლითაც ესოდენ დაინტერესებული იყო ერაზმი, ინგლისელთა დაინტერესების საგანიც გახდა. როდესაც ჰენრი VIII ჩაება საფრანგეთთან ომში, ამან ინგლისელი ჰუმანისტების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. კოლეტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ადამიანები რომლებიც პატივმოყვარეობითა და ურთიერთისადმი სიძულვილით არიან შეპყრობილი და ებრძვიან ერთმანეთს ქრისტეს კი არა, ეშმაკს ემსახურებიან. მისი აზრით უსამართლო ზავი სჯობდა სამართლიან ომს.

თუკი კოლეტი ან ლატიმერი საეკლესიო იდეების გარდაქმნით იყვნენ დაკავებული, თომას მორს სიციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები აინტერესებდა. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, მორი სიჭაბუკიდანვე იქცევდა ყურადღებას. ყველა, ვინც იცნობდა ამ ყმაწვილს, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა მას. მორის პიროვნება პირველ

რიგში საინტერესოა მისი პირადი თვისებებით. ამ ადამიანში პრინციპულობა, საკუთარი იდეებისადმი ერთგულება არნახულად იყო შერწყმული კაცთმოყვარეობასთან. ადამიანი, რომელიც ყოვლისშემძლე მეფესთან შეპასუხებას არ ერიდებოდა, არაჩვეულებრივად თბილი და ალერსიანი იყო თავის ოჯახის წევრებთან. ჰენრი VIII დიდ პატივს სცემდა მორს მისი განათლებისა და პირადი უნარის გამო. მორი, რომელიც კარზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ თუ დიპლომატიურ დავალებას ასრულებდა, საბოლოოდ მეფის გადაწყვეტილებით ლორდ-კანცლერი გახდა, ე.ი. უმაღლეს სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნა.

აქტიურ სახელმწიფო მოღვაწეობას მორი უხამებდა ნაყოფიერ სალიტერატურო საქმიანობას. ვეცნობით რა მის კაცთმოყვარე, კეთილშობილ პიროვნებას და ვაკეთებთ დასკვნას, რომ სწორედ მისი პირადი თვისებებით იყო განპირობებული იდეალური საზოგადოების იმგვარი წარმოჩენა, როგორც ეს მის „უტოპიაში" მოხდა. „უტოპია", შორეულ, უცნობ ოკეანეში არსებული კუნძული მორმა აქცია საყოველთაო თანასწორობის და საზოგადოებრივი ბედნიერების სიმბოლოდ, სამყაროდ, სადაც ყველა თანაბრად და ხალისით შრომობს, სადაც არ არსებობს ჩაგვრა, მტრობა, ბოროტება და დაპირისპირება ადამიანთა შორის, სადაც ყველას უყვარს ერთმანეთი და ყველა კმაყოფილია საკუთარი ხვედრით. სწორედ ამიტომ „უტოპია" იქცა განუხორციელებელი სწრაფვების სინონიმად. ეჭვგარეშეა, რომ ის საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური გარემო, რომელშიც მორს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა სინანულს იწვევდა ამ კაცთმოყვარე ადამიანში. მორი მოწმე იყო შემოლობვების, გლეხთა გაღატაკების, მკაცრი სასჯელების, აბსოლუტიზმის გაძლიერების. სწორედ ამიტომ მან გადაწყვიტა შეექმნა საყოველთაო თანასწორობისა და კეთილდღეობის სურათი. „უტოპია" ღირშესანიშნავია იმითაც, რომ შეიქმნა იმ ადამიანის ხელით, რომელიც სახელმწიფო იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე იდგა, რაც კიდევ ერთხელ იძლევა იმის საშუალებას რომ უტოპია განხილულ იქნას პირველ რიგში, როგორც მორის კეთილშობილი ბუნების რეაქცია მის თანადროულ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ მოვლენებზე.

ჰუმანისტების ბედი ინგლისში ერთობ ტრაგიკულად წარიმართა. ერთ დროს თანამოაზრენი, თომას მორი და ჰიუ ლატიმერი, ორივე სიკვდილით იყვნენ დასჯილი. რეფორმაციის დროს ისინი ბარიკადების საპირისპირო მხარეებზე აღმოჩნდნენ. მაგრამ ისტორიამ არა მათი დაპირისპირება, არამედ თითოეული მათგანის საკუთარი იდეალებისადმი ერთგულება შემოგვინახა, რადგანაც მათი მთავარი საზრუნავი არა ურთიერთის დამარცხება, არამედ საკუთარი მრწამსის სიწმინდე იყო. პაპის უზენაესობის მომხრე და ჰენრი VIII განქორწინების მოწინააღმდეგე მორი ისევე უშიშრად ავიდა ეშაფოტზე, როგორც პროტესტანტობის ურყევი მიმდევარი ლატიმერი მისთვის მომზადებულ კოცონზე. ბუნებით მშვიდმა და იუმორით აღსავსე მორმა არც სიკვდილის წინ უღალატა საკუთარ თავს და წვერი მოაცილა ჯალათის ნაჯახს სიტყვებით: „ამ წვერს ხომ სახელმწიფო ღალატი არ ჩაუდენია." ლატიმერი კი, რომელიც პროტესტანტებისათვის დამახასიათებელი სიმედგრით იყო აღსავსე, კოცონზე თავის თანამოაზრე ეპისკოპოს რიდლის შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ყოჩაღად იყავით, დღეს ჩვენ ღვთის მადლით ისეთ სანთლებს დავანთებთ რომელთა სინათლე, მწამს, არასოდეს არ ჩაქრება."

ამგვარი ჭიდილი ძველსა და ახალს შორის დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ მეურნეობის (იგულისხმება შემოლობვები) ან საეკლესიო თუ საგანმანათლებლო სფეროსათვის. სიახლეები ფეხს იკიდებდნენ ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა სფეროში. ქვეყანა გარკვეულწილად გარეგნულადაც კი შეიცვალა. ვარდების ომმა და ზარბაზნების დამკვიდრებამ გატეხა ფეოდალების ჟინი და უსარგებლო გახდა მათი ციხე-კოშკები. ამიტომაც ტიუდორების ხანიდან მოყოლებული ინგლისში თანდათანობით გამოჩნდნენ სახლები. ეს შენობები ლათინური E-ს ფორმას ატარებდნენ და შიგა მხრით ეზოსკენ იყვნენ მიმართული. იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობაც. უკვე ჰენრი VIII ხანაში ბევრ ქალაქში მოსახლეობა გასცდა ქალაქის კედლების ფარგლებს და მრავალრიცხოვანი გარეუბნები შეიქმნა. თავად კედლებმა კი ზარბაზნების დამკვიდრებასთან ერთად თანდათან დაკარგეს თავისი მნიშვნელობა.

მაგრამ ძველი ფეოდალური გვარების გაქრობას და მათი ციხე-კოშკების მოშლას მხოლოდ საცხოვრებელი სახლების აგება არ მოყოლია. ჰენრი VIII რეფორმაციის შედეგად ეკლესია-მონასტრებისათვის ჩამორთმეული მიწების დიდი ნაწილი გაყიდულ იქნა. ეს მიწები სოფლის გამდიდრებულმა მოსახლეობამ შეიძინა. ეს ფენა, ჯენტრი, ჯენტლმენი (gentry, gentleman,) თანდათანობით ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვან ძალად იქცა. ჯენტრი წარმატებით უწევდნენ მეტოქეობას დიდგვაროვნებს. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმული წარმოებაში, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე ვაჭრობაშიც, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მათ ეკონომიკურ პოზიციებს. ჯენტრის პოლიტიკური დასაყრდენი იყო თემთა პალატა, რის მეშვეობით ისინი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პოლიტიკას მათთვის სასურველ მიმართულებას აძლევდნენ. სწორედ ამ კლასის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა აქტიურობამ ბევრად განაპირობა ინგლისის ისტორიული განვითარება. ჯენტლმენთა კლასის ამგვარი საზოგადოებრივი მობილურობა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული მათი მსოფლმხედველობით. ევროპის კონტინენტის ქვეყნების დიდგვაროვნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ანაწილებდნენ ქონებას თავის მრავალრიცხოვან შთამომავალთა შორის, რომელთაც საბოლოოდ წოდება, ამბიციები და გახვრეტილი ჯიბე ერგებოდათ ხოლმე[24].

ინგლისელი ჯენტლმენები (და დიდგვაროვნებიც კი) უმცროს ვაჟებს სრულწლოვანებასთან ერთად ფართოდ უხსნიდნენ სახლის კარს, რათა ამ უკანასკნელთ ბედ-იღბალი მშობლიური კერის გარეთ ეძებნათ. სწორედ ამიტომ წარჩინებული ოჯახების უმცროსი ვაჟები უქმად არ კარგავდნენ დროს სახლში, არამედ ისწრაფოდნენ დაუფლებოდნენ იურისპრუდენციას, ჩაბმულიყვნენ ვაჭრობასა თუ წარმოებაში. უცხოელი მოგზაურები არა ერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ჯენტლმენების უმცროსი ვაჟები ტრადიციულად სიყმაწვილეს ვაჭრების, იურისტების და მეწარმეების სახლებში ატარებდნენ, სადაც შეგირდების თუ დამხმარეთა ფუნქციებს ასრულებდნენ და ამის წყალობით შესაბამის უნარ-ჩვევებს იძენდნენ. ამით საზოგადოებას თავიდან ჰქონდა აცილებული სოციალური პარაზიტების რაოდენობის ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა კონტინენტზე.

ჯენტრის შექმნამ და გაძლიერებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტიუდორების აბსოლუტიზმის თავისებურებათა ჩამოყალიბებაში. სწორედ ეს კლასი იყო აბსოლუტური ხელისუფლების დასაყრდენი მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში. უფრო მეტიც. იმისათვის, რომ განემტკიცებინათ თავისი პოზიციები საგრაფოებში, პირველმა ტიუდორებმა არნახულად გააფართოვეს ადგილობრივი თვითმმართველობა. მართლწესრიგი ადგილებზე სწორედ მოხალისე თანამდებობრივი პირების ხელში იყო. ასეთები იყვნენ ადგილობრივი პოლიციური ძალების უფროსი კონსტებლი (constable), მომრიგებელი მოსამართლე (justice of the peace). მართვის ამგვარი პრინციპი ზრდიდა მოსახლეობის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ხელს უშლიდა ხალხის გაუცხოებას ხელისუფლებისა და კანონიერების მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ კეთილდღეობაზე. სწორედ ტიუდორების ხანაში გამოიცა კანონი ღარიბთათვის შემწეობის ადგილობრივი სახსრებიდან გაცემის შესახებ. ყველაფერი ეს ერთობ განასხვავებდა ინგლისურ აბსოლუტიზმს ევროპის კონტინენტის ქვეყნებში ჩამოყალიბებული აბსოლუტური მონარქიებისაგან, სადაც (მაგ. საფრანგეთში) აბსოლუტიზმმა წინ წამოსწია ცენტრალური ბიუროკრატიული აპარატი, რამაც შემდგომში ამ ქვეყნებში კლასობრივი წინააღმდეგობების მძაფრი გამწვავება გამოიწვია.

სოფლის შეძლებული მოსახლეობის პოზიციების გაძლიერებამ განაპირობა ტიუდორების ხანის ინგლისისათვის დამახასიათებელი მოვლენა; მიდრეკილება სოფელში ცხოვრებისადმი. „ყოველი ჯენტლმენი სოფლისაკენ ისწრაფის. ძალზე ცოტანი ცხოვრობენ ქალაქებში ან ინტერესს იჩენენ მათდამი" – წერდნენ XVIს. პირველ ნახევარში ინგლისში ჩასული უცხოელები.

თუკი შემოღობვების წყალობით ტიუდორების ხანის ინგლისი ევროპას მოევლინა როგორც კაპიტალის პირველადი დაგროვების ერთ-ერთი პიონერი, რეფორმაციის სფეროში იგი რომს

[24] მაგალითისათვის თუნდაც ადიუმას უკვდავი რომანის „სამი მუშკეტერის" გმირი დ'არტანიანიც კმარა.

არქიეპისკოპოსი გახდა პროტესტანტი სწავლული მეთიუ პარკერი. სამღვდელოების უმრავლესობამ მიიღო აღნიშნული ცვლილებები და დაექვემდებარა საეკლესიო ხელისუფლების აღნიშნულ ფორმას. გამონაკლისს მხოლოდ ის ეპისკოპოსები წარმოადგენდნენ, ვინც მერის მეფობის ხანაში დაიკავა თავისი თანამდებობა.

სამეფო ხელისუფლებისა და პარლამენტის მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებებმა ეკლესია საერო ხელისუფლებას დაუმორჩილეს და მას თავისებური საერო ხასიათი შესძინეს. იმავე დროს, აღნიშნულმა ღონისძიებებმა ააცილეს ინგლისს რელიგიურ ნიადაგზე წარმოებულ ომები, რომლებიც კონტინენტზე, კერძოდ გერმანიასა და საფრანგეთში ბობოქრობდნენ.

პროტესტანტობის გამარჯვება და ქვეყნის სარწმუნოებრივი გაერთიანება არ შემოიფარგლებოდა დოგმატების სფეროთი. პროტესტანტობის დამკვიდრებით ინგლისის საზოგადოებამ შეისისლხორცა შესაბამისი სულისკვეთებაც, რომლის მატარებლებიც გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივი თავდადებით, ჟინით და ნებისმიერ ყოველდღიურ საქმიანობაში რელიგიურ აღმაფრენას დებდნენ. სწორედ ასეთი გუნება-განწყობით დამუხტული ადამიანები მოექცნენ პოლიტიკური თუ სამეურნეო ცხოვრების სათავეში. წარმართავდნენ რა შემოღობვებზე დამყარებულ სოფლის მეურნეობას, რაც მსხვილ მამულებს კაპიტალისტური წარმოების ხასიათს აძლევდა, ან აფართოებდნენ რა მრეწველობის სხვადასხვა დარგებს (მაგ., ქვანახშირის მოპოვება), ეს ადამიანები სწორედ ამგვარი რუდუნებით ეკიდებოდნენ თავის საქმიანობას, რაც მთლიანობაში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი გავლენა ინგლისის ეკონომიკაზე ჰქონდა ფასების ზრდას მსოფლიო ბაზარზე, რაც გამოწვეული იყო ამერიკის კონტინენტიდან შემოტანილი ოქროსა და ვერცხლის დიდი რაოდენობით და ოსტ-ინდოეთიდან შემოსულ სანელებლებზე მზარდი მოთხოვნილებით. ეს უკანასკნელი კი აღნიშნული დროისთვის ინგლისური საზოგადოების მიერ მოხმარებული კერძების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ფლობდა წარმოების საშუალებებს, ცდილობდა წარმოება სულ უფრო ინტენსიური და კონკურენტუნარიანი გაეხადა. წარმოების ზრდის დამადასტურებელია დაქირავებული მუშახელის რაოდენობის ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაუდისა და ქვანახშირის მრეწველობაში. თუ XVI ს. 60-იან წლებში ინგლისში იყო 4 ათასი მაღაროელი და 2 ათასი ქვანახშირის გადაზიდვაში ჩაბმული მუშა, XVII ს. დასაწყისისთვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 21 და 30 ათასს შეადგენდა. დაქირავებული მუშების შემოსავალი და ხარჯები შემდეგნაირად იყო: მსხვილ მანუფაქტურებში მუშა დღეში 4-6 პენსს იღებდა. 1588წ. კვალიფიცირებული ლონდონელი შეგირდი დღეში 6-9 პენსს იღებდა და უზრუნველყოფილი იყო სასმელ-საჭმელით. ისინი ვისაც ეს უზრუნველყოფა არ გააჩნდათ 10-14 პენსს იღებდნენ.[26]

პური 1 პენსი ღირდა, ხოლო გირვანქა ხორცი 2 პენსი. თავად სამუშაოს პროცესი არაჩვეულებრივად ინტენსიური გახდა, და ამას მოითხოვდა ცხოვრების გარკვეულ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობა. თუკი 1496წ. მუშას შეეძლო ოჯახი უზრუნველყო სურსათ-სანოვაგით ერთი წლის მანძილზე 15-დღიანი შრომით, 1564წ. ეს მიიღწეოდა 40-დღიანი შრომის წყალობით. 1590წ. კი აღარ ამისათვის წლიური შრომაც კი არ კმაროდა. დაძაბული შრომა და აქედან გამომდინარე უზრუნველყოფილი ცხოვრება, დროის გაცდენასა და ფუქსავატობისათვის ზურგის შექცევა, აი ეს იყო მზარდი კაპიტალისტური ურთიერთობის წარმმართველი სულის-კვეთება. ამიტომაც, როგორც საეკლესიო ასევე საერო წრეებში, ეპისკოპოს ჰიუ ლატიმერიდან მოყოლებული, ძალზე პოპულარული გახდა პავლე მოციქულის ფრაზა: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს."

მაგრამ შრომის ინტენსიფიკაცია, რომელიც გამოწვეული იყო შიგა თუ გარე კონკურენციით, შემოღობვებით, რომელთა შედეგად წარმოება სულ უფრო მაღალნაყოფიერი ხდებოდა ამავე დროს ვერ უზრუნველყოფდნენ საყოველათაო კეთილდღეობას. მიწიდან აყრილი გლეხები, უმუშევარი მუშები არა მარტო თავად იქცნენ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მსხვერპლად, არამედ წარმოადგენდნენ საშიშ ფეთქებად მასალას, რომელსაც შეეძლო საზოგადოების

[26] 1 გირვანქა - 450გრ.

რომლის თანახმად თუკი ინგლისელთა უმრავლესობას არჩევანის საშუალება მიეცემა, ისინი საცხოვრებლად სწორედ ელიზაბეთ I დროის ინგლისს აირჩევენ.

რით არის გამოწვეული, რომ ეს ხანა, ისტორიის ნებისმიერი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეებით აღსავსე, რომანტიკული შარავანდედითაა შემოსილი და „ოქროს ხანად" იწოდება? სად იშლება ზღვარი რეალობასა და წარმოსახვით იდილიას შორის? რასაკვირველია, ძნელია ისტორიულ სინამდვილეში მოიძებნოს საყოველთაო კეთილდღეობის ხანა და ის არც შეიძლებოდა ყოფილიყო XVIს. მეორე ნახევარის ინგლისში, როდესაც ყალიბდებოდა ახალი, კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძვლები, რაც გარდაუვალად დაკავშირებულია მოსახლეობის გარკვეული ფენების გაღატაკებასთან. მაგრამ სწორედ ამ დროს შეადარა შექსპირმა ინგლისი ვერცხლისფერ ზღვაში ჩასმულ ძვირფას ქვას და მას ახალი ედემი, ნახევრად სამოთხე უწოდა. იმავე დროის ერთ-ერთმა დიდმა პოეტმა ედმუნდ სპენსერმა კი ხოტბა შეასხა დედოფალ ელიზაბეთს, როგორც ზეციური ნათელით გასხივოსნებულ ქალღმერთს, უდიდესი კუნძულის ამ უდიდეს ქალბატონს. ეჭვგარეშე, რომ კარისგან მოშორებული, პოეტურ განმარტოებაში მცხოვრები სპენსერი არ საჭიროებდა პირმოთნეობას, ხოლო ადამიანური ყოფიერების ნებისმიერი იდუმალების ჩამწვდომ შექსპირს არ გამორჩებოდა ყოველდღიური ცხოვრების უარყოფითი მხარეები. მაგრამ როგორც ჩანს, ორივე დიდი შემოქმედისათვის ამოსავალ წერტილად იყო უფრო ზოგადი მომენტები, ისევე როგორც მათთვის, ვინც აღნიშნულ პერიოდში ეზიარა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურ წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. ამ ფენისათვის კი, რომლის რიცხვი ელიზაბეთ I ხანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო ის, რომ სამეფო ხელისუფლება წარმართავდა მათ არა საკუთარი ნება-სურვილისამებრ, არამედ მიუძღოდა მათ იმ გზაზე, რომელიც მათ მიერ იყო ამორჩეული. ხელისუფლებას გათავისებული ჰქონდა თავისი ქვშევრდომების სწრაფვები და მათი ინტერესები მაქსიმალურად იყვნენ შერწყმული სახელმწიფო პოლიტიკასთან. სწორედ ამიტომ იქცა დედოფალი თაყვანისცემის თავისებურ ობიექტად. მისი ძლიერება მისდამი სიყვარულზე იყო დაფუძნებული. გვირგვინოსანი მანდილოსანი, რომელიც მტრებით გარშემორტყმულ ქვეყანას ედგა სათავეში თავისი ხალხის აღტაცებას იწვევდა. და ეს დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა ფენაში იჩენდა თავს. კარისკაცები მოკრძალებით ხრიდნენ თავს ხანდაზმული მანდილოსნის წინაშე, თითქოსდა თვალს ვერ უსწორებდნენ მის მშვენიერებას; ლონდონის ლორდ-მერმა, რომელსაც დედოფალმა 15 გემი და 5 ათასი შეიარაღებული ადამიანი სთხოვა მტრის მოსალოდნელი შემოჭრის მოსაგერიებლად, განაცხადა, რომ იგი მოხარულია მიჰგვაროს მის უდიდებულესობას 10 ათასი კაცი და 30 გემი; ხოლო ადამიანმა, რომელსაც დედოფლის აუგად მოხსნიებისთვის ხელი მოჰკვეთეს, მეორე ხელით მაღლა აიტაცა თავისი გასისხლანებული კიდური და დედოფალს გაუმარჯოსო, შესძახა. აი, ამგვარ ფონზე მიმდინარეობდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ხასიათის მოვლენა, რომლებსაც წითელ ზოლად გასდევდა დედოფლის პიროვნებისა და სამეფო ხელისუფლების როლის თავისებური წარმოჩენა.

ინგლისის ეკონომიკის განვითარება XVIს. მეორე ნახევარში განხილული უნდა იქნას ზოგიერთი იმ მოვლენის გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელი ინგლისისა და მსოფლიოს ცხოვრებაში. ელიზაბეთ I გამეფება პროტესტანტობისკენ მიბრუნებას წარმოადგენდა. მისი მეფობის პირველმა პარლამენტმა, რომელიც 1559წ. იყო მოწვეული, გააუქმა დედოფალ მერის დროს მიღებული კანონები მწვალებლობის (ერეტიკოსობის) წინააღმდეგ. აღდგენილ იქნა აქტი უზენაესობის შესახებ, ხოლო 1571წ. პარლამენტის მიერ მიღებულმა 39 საეკლესიო მუხლმა, რომლებიც პროტესტანტობისა და კათოლიკობის თავისებურ სინთეზს წარმოადგენდნენ, ერთიანი და ჩამოყალიბებული სახე შესძინეს ინგლისის პროტესტანტულ (ანგლიკანურ) ეკლესიას. პროტესტანტული ღვთისმსახურების დასწრება სავალდებულო იყო ყველასთვის, ვინც აღიარებდა ანგლიკანური ეკლესიის უზენაესობას. კათოლიკეები და რადიკალი პროტესტანტები ამ ეკლესიის მიღმა დარჩნენ. თუმცა, პასიური კათოლიკეები, რომლებიც თავისი სარწმუნოების ერთგულებით იფარგლებოდნენ, დევნას არ განიცდიდნენ. კენტერბერის

განუდგა მაგრამ არც ლუთერს გაჰყვა ბოლომდე. აღორძინების სფეროში ეს ქვეყანა კონტინენტის ნაგვიანევი და მოკრძალებული მიმდევარი გამოდგა. მთელი XVს. და XVIს. პირველი ნახევარის მანძილზე ეს კუნძულოვანი ქვეყანა ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიდა თავისი მიღწევებით ისეთ სფეროებში, როგორიც იყო ზღვაოსნობის განვითარება. მაშინ, როცა პორტუგალიელი თუ ესპანელი ზღვაოსნები ოკეანეებს სერავდნენ და ახალ მიწებს აღმოაჩენდნენ ზღვებით გარშემორტყმული ინგლისელები თავის საშინაო საქმეებით იყვნენ დაკავებული. ერთადერთი აღმოჩენა, რომელთანაც ინგლისელები მეტნაკლებად იყვნენ იმ დროს დაკავშირებული იყო 1497წ. ამერიკის კონტინენტის მიმდებარე კუნძულ ნიუფაუნდლენდის აღმოჩენა. მაგრამ ამ ექსპედიციას, რომელიც დააფინანსეს ბრისტოლელმა ვაჭრებმა უძღვებოდა ვენეციელი ჯოვანი კაბოტო, რომელიც ინგლისელებმა ჯონ კაბოტად მონათლეს. შესაბამისად კუნძულიც ინგლისურად იწოდა ნიუფაუნდლენდი (New found land - ახლად აღმოჩენილი მიწა) თუმცა კი ზღვაოსნობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იმ დროის ზოგიერთი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწის შორსმჭვრეტელი აზრები. ჯერ კიდევ ჰენრი VII მეფობის ხანაში ერთ-ერთმა კარისკაცმა მეფესთან საუბარში შემდეგი აზრი გამოთქვა: „თუკი ჩვენ ჩვენი სამფლობელოების გაფართოება გვიწერია, დე ეს ჩვენთვის შესაძლებელი გზით მოხდეს რომელიც განგებამ გვარგუნა. ეს გზა ზღვაზე გადის.“ მომავალმა დაამტკიცა ამ სიტყვების ავტორის სიბრძნე. მანამდე კი ინგლისელები საზღვაო საქმეში ერთობ მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ. ყაირათიანი და მომჭირნე ჰენრი VII მაინც და მაინც არ ფანტავდა ფულს გემების შექმნაზე. მის დროს სამეფო ფლოტი სულ რაღაც ათიოდე გემს ითვლიდა.

მაგრამ თუკი მომჭირნე მეფე ვერ იმეტებდა ფულს გემთმშენებლობისათვის, იგი ვერ აუვლიდა გვერდს მოთხოვნას აეგო მოდური საძვალე თავისათვის და თავისი თანამეცხედრისათვის. სწორედ ეს არის დამახასიათებელი აღორძინებისათვის ინგლისში. ხელოვნების განვითარებას ბიძგს აძლევენ არა ეკლესია, არამედ სამეფო ხელისუფლება ანდა მდიდარი ერისკაცები. ჰენრი VII სამეფო საძვალე შეუკვეთა ცნობილ იტალიელ ოსტატს პიეტრო ტორიჯიანოს[25].

სწორედ მისი წყალობით შემოიჭრა პირველ ტიუდორთა საძვალის მორთულობაში აღორძინების გავლენა, რომელიც წმინდანებისა და ფუნთუშა ანგელოზების სახით არის წარმოდგენილი.

ჰენრი VIII მეფობა შეიძლება ჩაითვალოს როგორც გოთური ხუროთმოძღვრების უმაღლესი მწვერვალი. ამის დადასტურებაა ორი კოლეჯი: უოლსის მიერ ოქსფორდში აგებული ქრაისტ ჩერჩი და ჰენრი VIII მიერ დასრულებული ქინგს კოლეჯი კემბრიჯში. მაგრამ გოთურ სტილში აგებული ჰემპტონ კორტი, რომლის მშენებლობა დაიწყო უოლსიმ და დაასრულა. ჰენრი VIII შემკულია იტალიელი ოსტატების მიერ შესრულებული ქანდაკებებით. საერთოდ ჰენრის წვლილი აღორძინების ტრადიციების დამკვიდრებაში ერთობ დიდია. რომთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ინგლისურ ხელოვნებაში გარკვეული ხნის მანძილზე დამკვიდრდა ფრანგული სკოლის გავლენა. ეპაექრებოდა რა მეცენატობაში საფრანგეთის მეფე ფრანსუა I ჰენრი VIII გადაწყვიტა სარის საგრაფოში სასახლის აგება, რომელსაც მისი აზრით ყველა დანარჩენი უნდა დაეჩრდილა. ამიტომ ამ სასახლეს ეწოდა პელის ოვ ნონსაჩ (Palace of Nonsuch, ე.ი. უბადლო) ამ სასახლის ასაგებად ჰენრი VIII ფრანგი ოსტატები მოიწვია. სამწუხაროდ ნონსაჩი ხანძრის შედეგად დაიღუპა XVIIს.

იტალიელებმა და ფრანგებმა აღორძინების პრინციპები შეიტანეს ინგლისის ქანდაკებასა და ხუროთმოძღვრებაში. მთლიანობაში აქ ინგლისელებმა ვერ შექმნეს რაიმე ორიგინალური. კიდევ უფრო მოკრძალებული იყო მათი მიღწევები ფერწერაში. როგორც ჩანს იტალიელებისგან ან ესპანელებისაგან განსხვავებით ჩრდილოელ ინგლისელებს ნაკლები მიდრეკილება ჰქონდათ გადმოეცათ თავისი ხედვა ფერთა და მოცულობის სამყაროს მეშვეობით. სწორედ ამიტომ ინგლისში აღორძინების ხანის ყველაზე თვალსაჩინო მხატვარი იყო ცნობილი გერმანელი ოსტატი ჰანს ჰოლბეინი. ჰოლბეინი ინგლისში ჩავიდა 1526წ. იგი თომას მორთან იყო წარგზავნილი ერაზმ როტერდამელის რეკომენდაციით. ინგლისში ჰოლბეინის შემოქმედება ჰორტრეტულ ჟანრში გაიშალა. მას ეკუთვნის თომას მორის, კარდინალ უოლსის და თვით ჰენრი VIII პორტრეტები.

---

[25] ეს უკანასკნელი ისტორიას დაამახსოვრდა იმითაც, რომ ქუჩის ჩხუბში დიდ მიქელანჯელოს ცხვირი დაუმახინჯა.

ჰოლბეინის ნამუშევრებში უპირატესობა ენიჭებოდა ხაზს (გარშემოწერილობას), გარეგნულ ატრიბუტებს. მას თვით მეფე მფარველობდა. რომელიც თავისი გაუთავებელი ქორწინებების გამო ცდილობდა თავისი მორიგი საცოლის კარგი პორტრეტი ჰქონოდა. ჰოლბეინმაც მართლაც დახატა ჯეინ სეიმური და კლევეს ჰერცოგის ასული ანა. ეს უკანასკნელი მას იმდენად კარგი გამოუვიდა, რომ პორტრეტით აღტყინებული ჰენრი საცოლის უშუალო ხილვისას ერთობ გულგატეხილი დარჩა, რასაც მალე განქორწინებაც მოჰყვა. ჰოლბეინის გარდაცვალების შემდეგ ინგლისურ ფერწერაში ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას ნიკოლას ჰილიარდი წარმოადგენდა, რომელიც ინგლისელთათვის ტრადიციულ მინიატურის ჟანრში მუშაობდა.

გარკვეული წარმატებები ჰქონდა ინგლისელებს მუსიკაში. ფრანგული მუსიკის გავლენით მეფის პირადი გუნდის წევრმა, კომპოზიტორმა რობერტ ფერფაქსმა შეიტანა ინგლისურ მუსიკაში საქალაქო (საერო) მრავალხმიანი სიმღერები (მოტეტი). საერთოდ ამ ხანად კომპოზიტორები ინგლისში დევნასა და შევიწროვებას განიცდიდნენ, როგორც ერეტიკოსები. ჯონ მერბოკს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ გაქცევით თავს უშველა, ჯონ ტავერნერი ციხეში ჩასვეს, მაგრამ იგი კარდინალმა უოლსიმ შეიწყალა ერთობ ორიგინალური გამართლებით: „იგი ხომ მხოლოდ მუსიკოსია" განაცხადა კარდინალმა. როგორც ჩანს, მუსიკოსების ამგვარი დევნა განპირობებული იყო, როგორც მათი რელიგიური მრწამსით, ასევე სწრაფვით, გაენთავისუფლებინათ საკუთარი შემოქმედება საეკლესიო იერარქიის ზეგავლენისაგან.

უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ ინგლისელები ლიტერატურაში. ამ მხრივ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბიბლიის ინგლისურ ენაზე თარგმნა უილიამ ტინდელის მიერ 1526წ. (ეს უკანასკნელი 1536წ. დაწვეს ნიდერლანდებში როგორც მწვალებელი). 1533წ. ჰენრი VIII ბრძანება გასცა ინგლისურად ნათარგმნი ბიბლია ყველა ეკლესიაში წაეკითხათ. ბიბლიის თარგმნამ ხელი შეუწყო როგორც ენის განვითარებას, ასევე საზოგადოების მსოფლმხედველობის შემდგომ წინსვლას. ინგლისელებს საშუალება მიეცათ თვითონვე ჩაწვდომოდნენ და განესაჯათ ბიბლიაში გადმოცემული დებულებები. ლიტერატურაში კვლავ ბატონობდა ალეგორია. ამ მხრივ უნდა აღინიშოს ჯონ სკელტონის შემოქმედება. გრაფმა სარიმ და სერ თომას უაიტმა პოეზიაში დაამკვიდრეს აღორძინებისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტი განცდები და ვნებები. აღნიშვნის ღირსია დრამატურგია. ბერძნული ენის შესწავლამ უნივერსიტეტებში ბიძგი მისცა ანტიკური დრამატურგის შესწავლასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია კარდინალ უოლსის საქმიანობა, რომლის ინიციატივითაც მის სასახლეებში ანტიკური პიესები იდგმებოდა. იმავდროულად ხალხს სურდა ეხილა საერო, ხალხური ხასიათის წარმოდგენები. სწორედ ამ სწრაფვამ ხელი შეუწყო ახალი ჟანრის, ინტერლიუდიის შექმნას, რომლის ავტორი იყო ჯონ ჰეივუდი. სპექტაკლები იდგმებოდნენ სკოლებში, კოლეჯებში, სასტუმროებში. მათში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალი, ასევე მოყვარული მსახიობები.

ყველაფერი ეს ხდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც თანამედროვეთა თქმით მოსახლეობის დიდი ნაწილი თივით გატენილ ლეიბებზე იწვა, თავქვეშ კი კოხტა მრგვალი კუნძი ედოთ. ბალიში ქალთა ხვედრი იყო, ისიც მშობიარობისას, ხოლო თუკი ადამიანი მატყლის ლეიბზე იწვა, იგი თავს შეძლებულად თვლიდა. და ამგვარი საზოგადოება, მისი თითოეული ფენა დღენიადაგ იღწვოდა თავ-თავის ასპარეზზე და ქვეყანა საერთო წარმატებისაკენ მიჰყავდათ, რომლებმაც სრულად იჩინეს თავი XVIს. მეორე ნახევარში.

ელიზაბეთ I-ის ხანა. „ოქროს ხანა"

ინგლისის ისტორიაში უდავოდ ბევრია ისეთი პერიოდი, როდესაც ქვეყნის აღზევებას ჰქონდა ადგილი, როდესაც ინგლისისა თუ ინგლისელების მიერ მიღწეული წარმატებები ისტორიის გადასახედიდან სიამაყესა თუ აღტაცებას იწვევენ. მაგრამ მხოლოდ ერთმა მათგანმა დაიმსახურა „ოქროს ხანის" სახელი. ეს არის XVIს. მეორე ნახევარი, რომელიც თითქმის მთლიანად იყო დაკავებული დედოფალ ელიზაბეთ I მეფობით (1558-1603წწ.). რით შეიძლება აიხსნას მოსაზრება,

საფუძვლები შეერყია. ამაზე მეტყველებენ ამბოხებები, ძარცვა-გლეჯა, თავდასხმები სურსათის ქარავნებზე. მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა ამგვარ გამოხტომებს, მაგრამ სამეფო კარზე გრძნობდნენ, რომ ამ სოციალურ-ეკონომიკური ბოროტების ამოძირკვა შეუძლებელი იყო მხოლოდ დამსჯელი ზომების გატარებით. ამიტომ ელიზაბეთ I მეფობის ხანაში მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მუშა-ხელის ბაზრის დარეგულირებას და უმუშევართა თუ ღარიბ-ღატაკთათვის გარკვეული დახმარების გაწევას. კანონი შეგირდთა შესახებ არაკვალიფიცირებულ მუშას უკრძალავდა თვითნებურად ბაზარზე გასვლას შეგირდობის 7 წლიანი ვადის დასრულებამდე და ადგილობრივ სასამართლო ორგანოებს ავალებდა მათი დასაქმების მოგვარებას. კანონი ღარიბთა შესახებ ამკაცრებდა მესაკუთრეთა დაბეგვრას და მათზე დაკისრებული გადასახადებიდან შემოსული თანხა ღარიბებსა და უმუშევრებს ხმარდებოდა. იგივე კანონი კრძალავდა მათხოვრების უსაქმოდ ხეტიალს, თაღლითობას,. რომელთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიმართავდნენ. მთლიანობაში ეს რასაკვირველია მკაცრი კანონები იყო, მაგრამ იმ ხანად შეუძლებელი იყო სხვა რაიმე ხერხის გამოყენება აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ბოროტების აღმოსაფხვრელად. ისტორიულად ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რომელმაც უნდა აღნიშნოს, გარკვეულწილად განაპირობა შემდგომში იმ კანონმდებლობის მიღება, რომელიც საზოგადეობრივი კეთილდღეობის ზრდისკენ იყო მიმართული.

ელიზაბეთ I დროს ეკონომიკის მნიშვნელოვან მოვლენას სავაჭრო კომპანიების შექმნა წარმოადგენდა. კომპანიები ვაჭრებისა და მათთან დაახლოებული პირების სახსრების გაერთიანებით იქმნებოდნენ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენდნენ. კომპანიებისთვის ქარტიების (საქმიანობის უფლების) მინიჭებით სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვან მოგებას პოულობდა. ამავე დროს ქარტია ადასტურებდა ამა-თუ იმ კონკრეტული კომპანიის კონკრეტულ ტერიტორიაზე ვაჭრობის მონოპოლიურ უფლებას. ასეთ მონოპოლიურ კომპანიებს წარმოადგენდნენ აფრიკის, ლევანტის (ახლო აღმოსავლეთის), მოსკოვის, ოსტ-ინდოეთის კომპანიები. განსაკუთრებით მომგებიანი იყო ოსტ-ინდოეთის სანელებლებით ვაჭრობა. ამ საქონელზე მოთხოვნა ევროპაში და კერძოდ ინგლისში სულ უფრო იზრდებოდა.

ტიუდორების და კერძოდ ელიზაბეთ I ხანის ეკონომიკა, რომელმაც წინ წამოსწია ჯენტრის ფენა, ე.წ. ახალი თავადაზნაურობა, გარკვეულად აირეკლა ქვეყნის მართვა-გამგეობაში და საერ-თოდ, საშინაო პოლიტიკაში. ქვეყნის მართვა-გამგეობაში სამეფო ხელისუფლება როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ორგანოებში პოლიტიკურად და ეკონომიკურად მზარდ ჯენტრის ფენას ეყრდნობოდა. სწორედ თავადაზნაურობა და არა ძველი დიდგვაროვნები წარმოადგენდნენ იმ სოციალურ ფენას, რომელიც სულ უფრო მოწინავე პოზიციებს იკავებდა ქვეყნის შიგაპოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მნიშვნელოვან ცენტრალიზაციას. ამ ელემენტების შეხამება ინგლისურ აბსოლუტიზმს თავისებურ ელფერს აძლევდა და გამორჩეულს ხდიდა მას კონტინენტზე გამეფებული აბსოლუტისტური რეჟიმებისაგან.

ხელისუფლების ცენტრალიზაციის უმნიშვნელოვანესი მანიშნებელი იყო ის, რომ, ჰენრი VIII მოყოლებული მეფე და მისი საიდუმლო საბჭო ადგენდნენ კანონპროექტებს და დასამტკიცებლად მათ პარლამენტს წარუდგენდნენ. მანამდე კი საპირისპირო პროცედურა იყო პრაქტიკაში. ის, რომ პარლამენტი დაამტკიცებდა მათ წარდგენილ კანონპროექტებს დედოფალსა და საიდუმლო საბჭოს ეჭვი არ ეპარებოდათ. რასაკვირველია, სამეფო ხელისუფლება ნებისმიერ დროს გასტეხდა საპარლამენტო ოპოზიციას, თუკი ასეთი იარსებებდა. შერიფების მეშვეობით დედოფალი თემთა პალატაში საგრაფოებიდან აარჩევინებდა მხოლოდ თავისთვის სასურველ კანდიდატებს, მით უმეტეს ღია კენჭისყრის პირობებში. იმავე დროს მას შეეძლო იმ ქალაქებისათვის მიენიჭებინა საარჩევნო უფლებები, რომლებიც ადრე მათ არ ფლობდნენ და ისეთი დეპუტატები შეერჩია, რომლებიც ყოველთვის დედოფლის ნება-სურვილს დაუჭერდნენ მხარს. მაგრამ ელიზაბეთ I ხანის ინგლისში არ იყო ამის საჭიროება, რადგანაც სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ძირითადში სრულიად ემთხვეოდა მმართველი ფენების ინტერესებს. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე

სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით თვლიდა, რომ ამ სფეროში ხელისუფლება სწორ კურსს ატარებდა.

აღნიშნულ პოლიტიკურ კურსს დედოფალი საიდუმლო საბჭოსთან ერთად შეიმუშავებდა. საიდუმლო საბჭო წარმოადგენდა ერთგვარ აღმასრულებელ ორგანოს, რომელმაც თანდათანობით დევნიდა პრაქტიკიდან სახელმწიფოს მართვას იმ წრის მეშვეობით, რომელსაც მეფის ოჯახი, მისი უახლოესი ნათესავები და დაახლოებული პირები შეადგენდნენ და რომელსაც ჰაუსჰოლდი[27] (Household) ეწოდება. მართვის ეს პრინციპი, რომელიც ჰენრი VIII მეფობაში თომას კრომველმა დანერგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ნათესაურ, ვიწრო ჯგუფური საქმიანობიდან უფრო საზოგადო, პროფესიულ საქმიანობად აქცევდა. ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხზე საბჭოს წევრები დედოფალს შესაბამის რჩევებს სთავაზობდნენ. დედოფალი მათ შორის საუკეთესოს ირჩევდა თავისი შეხედულებისამებრ. ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების დროს საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნოდა.

მაგრამ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ძლიერდებოდნენ ის დაწესებულებები და ფართოვდებოდა იმ ინსტიტუტების საქმიანობა, რომლებიც აწონასწორებდნენ გვირგვინის აბსოლუტისტურ სწრაფვებს. ლაპარაკია სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოებზე. XVIს. მეორე ნახევარში კიდევ უფრო დაიხვეწა და ქმედითუნარიანი გახდა სასამართლო სისტემა, რომელიც ოთხი საფეხურისაგან შედგებოდა: 1) სამომრიგებლო სასამართლოები, რომლებიც საოლქო მნიშვნელობის საქმეებს განიხილავდნენ, 2) საგრაფოს სასამართლოები, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ იკრიბებოდნენ შედარებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეების განსახილველად; 3) გამსვლელი სასამართლო სესიები, რომლებსაც სამეფო სასამართლოს მოსამართლეები თავმჯდომარეობდნენ; 4) უესტმინსტერში განლაგებული უზენაესი ინსტანციის სასამართლო. მათ გარდა მოქმედებდნენ აგრეთვე მაღალი კომისია, ვარსკვლავიანი პალატა, ჩრდილოეთის საგრაფოების, უელსისა და ირლანდიის სასამართლოები. ესოდენ დანაწევრებული და ინტენსიურად მოქმედი სასამართლო სისტემა უთუოდ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ სფეროს ემოქმედა მაქსიმალურად ობიექტურად (შექმნილი ისტორიული ეპოქის პირობებიდან გამომდინარე) და თავიდან აეცილებინა ხელისუფლების ორგანოების ჩარევა სასამართლო პროცესებში. ეს უკანასკნელი კი იმ დროის პირობებიდან გამომდინარე პიროვნების დაცვის გარკვეულ გარანტიებს იძლეოდა.

თემთა პალატის მნიშვნელობასთან ერთად იზრდებოდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლიც. ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლეები, რომელთა ფუნქციები სულ უფრო ფართოვდებოდა, შერიფები, პირები, ვისაც ღარიბთა მეთვალყურეობა და ამ უკანასკნელთა შესახებ კანონის ცხოვრებაში გატარება ეკისრებოდა, გამომძიებლები და სანაპირო ზოლის ვიცეადმირალები ხელისუფლების მნიშვნელოვან საფეხურად იქცნენ. ამ თანამდებობებს ჯენტლმენთა ფენის წარმომადგენლები იკავებდნენ, რაც მათ თავისებურ კლასობრივ ღირსებას მატებდა. გრძობდნენ რა თავის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას ჯენტრის წარმომადენლები თავისი ფენის მნიშვნელობით და სამეფო ხელისუფლებისადი (რომელიც მათ აწინაურებდა) ერთგულების გრძნობით იმსჭვალებოდნენ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოშიც. ლაპარაკია პარლამენტის თემთა პალატაზე. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი წევრების რაოდენობის ზრდა, რომელთა რიცხვმა 296-დან 462-ს მიაღწია. ეს ზრდა სწორედ ახალი თავადაზნაურობის ხარჯზე მოხდა. თემთა პალატაში იმატა იმ ახლად გამდიდრებული სოფლის ჯენტლმენების რიცხვმა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული სოფლის მეურნეობაში, წარმოებასა თუ ვაჭრობაში და ამიტომაც ცხოველ ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკის მიმართ. პარლამენტში შემოღებულ იქნა კანონპროექტების სამჯერადი წაკითხვა. შეიქმნა საპარლამენტო კომიტეტები, რომლებიც განიხილავდნენ

[27] სიტყვასიტყვით ჯალაბს ნიშნავს.

შეღავათების (პრივილეგიების) საკითხებს, ამოწმებდნენ ანგარიშებს და იმ არჩევნებს, რომელთა შედეგები სადავოდ მიიჩნეოდა.

სწორედ პარლამენტთან ურთიერთობაში მდგომარეობს ინგლისური აბსოლუტიზმის თავისებურება. კონტინენტის მეფეებისაგან განსხვავებით ტიუდორებს არ ჰყავდათ არც მრავალრიცხოვანი ჯარი და არც ფართოდ გატოტვილი სამოხელეო აპარატი, რათა დაუფარავად, ძლიერი ხერხებით ემოქმედათ. ამიტომ ისინი მოქნილ პოლიტიკურ მანევრებს მიმართავდნენ. თემთა პალატის წევრების რაოდენობის ზრდით და მისი ფუნქციების გაფართოებით სამეფო ხელისუფლება ჯენტრის მიმართ კეთილგანწყობის სურათს ქმნიდა და ამით ამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად მზარდ ფენას იახლოვებდა. ეს საშუალებას აძლევდა სამეფო ხელისუფლებას ჯენტრი დიდგვაროვანი წარჩინებულებისათვის დაეპირისპირებინა. თავის მხრივ დიდგვაროვნები, რომლებიც პოლიტიკაში ლორდთა პალატით იყვნენ წარმოდგენილი ასევე საპირისპირო, გამაწონასწორებელ ძალას წარმოადგენდნენ თემთა პალატის და შესაბამისად ჯენტრის მიმართ. ლორდები ხშირად გავლენას ახდენდნენ თემთა პალატის შემადგენლობაზე. მაგრამ სამეფო ხელისუფლება მუდამ ცდილობდა არ დაეშვა მათი მეტისმეტი გაძლიერება. მნიშვნელოვანი დარტყმა ძველ არისტოკრატიას ელიზაბეთ I მიაყენა 1569წ., როდესაც სასტიკად იქნა ჩახშობილი ჩრდილოეთის საგრაფოების თავადაზნაურობის ამბოხება, რომელსაც გრაფი ნორთუმბერლენდი და გრაფი უესტმორლენდი მეთაურობდნენ და რომელიც კათოლიკური სარწმუნოების აღდგენის ლოზუნგით დაიწყო. რაც შეეხება შედარებით გვიანდელი ფორმაციის წარჩინებულებს, ეს ფენა ჯერ კიდევ ვარდების ომის შემდეგ თავად ტიუდორებმა შექმნეს და სამეფო ხელისუფლების ერთობ ერთგული იყო. დიდად შეუწყო ხელი ლორდთა პალატაზე სამეფო ხელისუფლების კონტროლის გაძლიერებას რეფორმაციამ. მას შემდეგ, რაც ლორდთა პალატიდან გაჰქრნენ აბატები, ეპისკოპოსების დანიშნვა მეფის პრეროგატივა გახდა. ამ უკანასკელის პირად კონტროლს დაექვემდებარა პალატის წევრთა 1/3. ამგვარად ინგლისში მეფის აბსოლუტური ხელისუფლება უფრო ქვეყნის პოლიტიკური ძალების წონასწორობის შენარჩუნებაზე იყო დამყარებული. მაშინ, როცა კონტინენტზე, მაგალითად საფრანგეთში, სამეფო ხელისუფლება, რომლის განკარგულებაში ძლიერი ჯარი და მრავალრიცხოვანი სამოხელეო აპარატი იყო ცალსახად ახშობდა როგორც თავადაზნაურობას, ასევე მესამე წოდებას და ქვეყნის უცილობელ მბრძანებლად გამოდიოდა.

ელიზაბეთ I მეფობის მნიშვნელოვან მოვლენას მისი საგარეო პოლიტიკა წარმოადგენდა. ამ მხრივ მხედველობაში მისაღებია არა მარტო ის დიპლომატიური გეზი და ხერხები, რომლითაც ელიზაბეთი გზას იკვლევდა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და უზრუნველყოფდა თავისი სამეფოს უსაფრთხოებას, არამედ ის გავლენაც, რომელსაც მისი საგარეო პოლიტიკა, და საერთოდ საგარეო პოლიტიკური სიტუაცია ახდენდა ინგლისური საზოგადოების ყოფასა და ცნობიერებაზე.

ელიზაბეთ I ხანის საგარეო პოლიტიკა აგებული იყო ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური ძალების წონასწორობის შენარჩუნებაზე, რათა პატარა პროტესტანტულ ინგლისს არ ჰქონოდა აუცილებლობა უშუალო საომარი მოქმედებები ეწარმოებინა რომელიმე დიდ კათოლიკურ სახელმწიფოსთან (ესპანეთი, საფრანგეთი). დედოფალი ელიზაბეთი მოქნილი გონების ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო საჭიროების შემთხვევაში დათმობებზე წასვლა, რათა შემდგომ ამის წყალობით მეტი უპირატესობა მოეპოვებინა. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ინგლისი კარგად იყენებდა ესპანეთსა და საფრანგეთს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ამ პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად ელიზაბეთმა თავისი პირადი ცხოვრებაც კი გამოიყენა. განიცადა რა მარცხი საფრანგეთის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებების განხორციელებისას 1562წ., როცა ჩავარდა ინგლისელთა სამხედრო ექსპედიცია, რომელიც ფრანგი ჰუგენოტების (პროტესტანტების) მხარდასაჭერად იყო გაგზავნილი, ელიზაბეთმა შეცვალა ტაქტიკა. მან დაიწყო ჰუგენოტებისათვის ფარული დახმარების გაწევა. იმავე დროს ინგლისურმა დიპლომატიამ წამოიწყო ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკება, საფრანგეთის კართან დედოფლის გათხოვების საკითხთან დაკავშირებით. დედოფლის საკარეოდ მეუღლეების სახით გვევლინებიან ჯერ საფრან-

გეთის მეფე შარლ IX, ხოლო შემდგომ მისი ძმები, ანჟუსა და ალანსონის ჰერცოგები. აგვარად საქორწინო გეგმებმა დიდი ხნით გაანეიტრალეს საფრანგეთის პოზიცია ინგლისის მიმართ.

ამგვარი გარიგების განხორციელება არ აწყობდა ესპანეთს. ესპანეთის მეფე ფილიპე II შიშობდა, რომ ამგვარი ქორწინების შედეგად ინგლისი მისი მეტოქე საფრანგეთის პროვინციად გადაიქცეოდა, რაც ამ უკანასკნელს კიდევ უფრო გააძლიერებდა ესპანეთის საზიანოდ. ამიტომ ფილიპე II პოლიტიკამ ინგლისის მიმართ თავდაპირველად გარკვეული კეთილგანწყობითაც კი გამოირჩეოდა. მან ელიზაბეთი აღიარა კანონიერ დედოფლად და უფრო მეტიც, მას ხელი სთხოვა. მაგრამ ელიზაბეთი აქაც ტრადიციული გაჭიანურების პოლიტიკას დაადგა. ფილიპე II ქორწინებას შეიძლება თან მოჰყოლოდა ესპანურ-კათოლიკური მოძალება, რაც ინგლისელთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა. პრაქტიკულად ამავე მიზეზით უარი ეთქვათ დედოფლის ხელის მთხოვნელ ფრანგ პრეტენდენტებს.

ფრანგი ჰუგენოტების ფარული მხარდაჭერა არ წარმოადგენდა ელიზაბეთის პოლიტიკურ არსენალში მეტოქეებთან ბრძოლის ერთადერთ ხერხს. იგივე მიზანს ემსახურებოდა ნიდერლანდებისათვის გაწეული დახმარება. ნიდერლანდების პროტესტანტული მოსახლეობა ესპანეთის მეფის კოლონიურ პოლიტიკას ებრძოდა. ამიტომ რელიგიური თანამოძმეების დახმარება ესპანეთის დასუსტების ერთობ ქმედით საშუალებას წარმოადგენდა. მაგრამ იმავე დროს ელიზაბეთი გაურბოდა ესპანეთთან უშუალო შეტაკებას. ნიდერლანდების დახმარებასთან ერთად მან ესპანეთთან ბრძოლის საკმაოდ შედეგიანი ხერხი გამოიყენა. ეს იყო მეკობრეობა. თუკი რელიგიური დაპირისპირება ორ ქვეყანას შორის გაუცხოებას უწყობდა ხელს, რის შედეგად ერთმანეთის პირისპირ „პაპისტი" ესპანელები და „ერეტიკოსი" ინგლისელები იდგნენ, ესპანეთ-პორტუგალიის გაერთიანებული (1580წ.) მონარქიის ამერიკის კონტინენტზე და იქაურ ოქრო-ვერცხლზე ბატონობა ინგლისელების გულს შურით და მეტოქეობის წყურვილით ავსებდა.

ელიზაბეთმა შესანიშნავად გამოიყენა ეს ფაქტორი და ყოველნაირად შეუწყო ხელი ინგლისის ფლოტის გაძლიერებას. მის მიერ საზღვაო მინისტრად დანიშნული ძველი მეკობრე სერ ჯონ ჰოუკინსი ნოვატორი აღმოჩნდა გემთმშენებლობის საქმეში. ინგლისელთა ახალი ტიპის გემები, უფრო მოძრავი, სწრაფმავალი, მრავალრიცხოვანი ქვემეხით აღჭურვილი გაცილებით სჯობდნენ ესპანელთა ტლანქ და ნაკლებად მოძრავ გალეონებს, რომლებიც მცურავ ციხე-სიმაგრეებს წააგავდნენ. მათი დანიშნულება გემბანსა და კაიუტებში მრავალრიცხოვანი ჯარისკაცების განთავსებაში მდგომარეობდა. ესპანელთა საზღვაო ბრძოლის ტექნიკა მოწინააღმდეგის გემის აბორდაჟზე[28] აყვანაში მდგომარეობდა. მეზღვაურები ცდილობდნენ თავისი გემი მოწინააღმდეგის გემთან მიჯრით დაეყენებინათ, რის შედეგად მტრის გემბანი საკუთარ გემთან სპეციალური კაუჭებით ფიქსირდებოდა, ხოლო გემზე განლაგებული ჯარისკაცები გადადიოდნენ მოწინააღმდეგის გემზე და ხელჩართულ ბრძოლაში ებმეოდნენ.

ფაქტიურად ეს იყო სახმელეთო ბრძოლის ზღვაზე გადატანა. მაშინ როცა ინგლისელების მთავარი იარაღი ხომალდების მანევრირება და ზუსტი საზარბაზნე ცეცხლი იყო. სწორედ ამის წყალობით ინგლისელი მეკობრეები, იგივე სერ ჯონ ჰოუკინსი, სერ ფრენსის დრეიკი, მარტინ ფრობიშერი და სხვები ესპანელთა ნამდვილ რისხვად იქცნენ. მათი თავდასხმები ესპანური ხომალდების ქარავნებზე, რომლებსაც ამერიკიდან ოქრო-ვერცხლი მოჰქონდათ არნახულად შედეგიანი იყო. ხშირი იყო ინგლისელი მეკობრეების თავდასხმები ესპანეთის საზღვაო ნავსადგურებზეც. ინგლისი ნაძარცვი ძვირფასეულობით აივსო. დედოფალი თვალს ხუჭავდა ამგვარ ქმედებებზე. უფრო მეტიც. მას ერთობ დიდი წილი ერგებოდა ნაძარცვი სიმდიდრიდან. სწორედ ამიტომ ე.წ. სამეფო მეკობრეებს რაინდთა წოდება მიენიჭათ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, სერ ფრენსის დრეიკი ერთ დროს დედოფლის ფავორიტიც კი გახდა.

ინგლისელი ზღვაოსნების ამ ეპოპეაში აღსანიშნავია არა მარტო ტექნიკური მომენტი, რაც გემთმშენებლობაში უპირატესობით იქნა მოპოვებული, არამედ სულიერიც. პროტესტანტული

---

[28] შუასაუკუნეობრივი საზღვაო ბრძოლის ხერხი.

სულისკვეთების დამკვიდრებამ, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაქსიმალური ინდივიდუალიზმი და საკუთარ ძალებში რწმენა, ინგლისელ ზღვაოსნებს არაჩვეულებრივი შინაგანი მუხტი შესძინა. ინგლისელი მეზღვაურები საკუთარ თავში ხედავდნენ სარწმუნოებისა და ქვეყნის დამცველებს, რომელთაც ღმერთი ჰფარავდა მათი სამართლიანი საქმის გამო. ასე რომ ტიუდორთა ხანის ზღვაოსნები აღჭურვილები იყვნენ არა მარტო პირველხარისხოვანი გემებით არამედ მტკიცე და მედგარი სულისკვეთებითაც. მათ სწამდათ, რომ ბადალი არ ჰყავდათ მთელ მსოფლიოში და ამიტომაც იყო, რომ ერთი ინგლისური გემი და მისი ეკიპაჟი არ ერიდებოდა შებმოდნენ თუნდაც ესპანელთა მთელ ესკადას. და ასეთი ბრძოლები როგორც წესი, ინგლისელთა გამარჯვებით მთავრდებოდნენ.

ესპანეთთან ამგვარი ფარული ომით არ შემოიფარგლებოდა ინგლისის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისაკენ იყო მიმართული. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ურთიერთობა შოტლანდიასთან. ინგლისის შეურიგებელი მტერი, შოტლანდია ტრადიციულად საფრანგეთის ანტიინგლისური პოლიტიკის განხორციელების იარაღად გამოდიოდა. ჰენრი VIII მეფობის ხანაში თითქოსდა ამ ორი ქვეყნის დაახლოების პერსპექტივა გამოჩნდა. ჰენრიმ გადაწყვიტა ემოქმედა დინასტიური ქორწინების მეშვეობით და 1543წ. გააფორმა საქორწინო ხელშეკრულება თავის მცირეწლოვან ვაჟსა და შოტლანდიის ჩვილ დედოფალ მერი (მარიამ) სტიუარტს შორის. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება შოტლანდიას პრაქტიკულად ინგლისის მიერ ჩაყლაპვით ემუქრებოდა. ეს ნათელი გახდა იმ შოტლანდიელი წარჩინებულებისათვისაც კი, ვინც კეთილგანწყობილი იყო ინგლისის მიმართ. შოტლანდიამ განაახლა ტრადიციული კავშირი საფრანგეთთან და კვლავ დაუპირისპირდა ინგლისს. მერი სტიუარტის საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეზე გათხოვებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ურთიერთობა.

კათოლიკე მერი სტიუარტი, რომელიც ტიუდორებს ენათესავებოდა (მისი ბებია, შოტლანდიის დედოფალი მარგრეტი, ჰენრი VIII და იყო) მთელი კათოლიკური სამყაროს თვალში ინგლისის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო, ნაცვლად პროტესტანტი და „უკანონო" ელიზაბეთისა. საფრანგეთის დედოფლობა გააძლიერებდა მის პრეტენზიებს და თავისთავად გააქტიურებდა საფრანგეთის ანტიინგლისურ პოლიტიკას. მაგრამ მერი 1561 დაქვრივდა და იძულებული იყო შოტლანდიაში დაბრუნებულიყო, სადაც მანამდე სამოქალაქო ომის შედეგად და ელიზაბეთ I დახმარების მეშვეობით პროტესტანტობა დამკვიდრდა. აქ მერი მთელი თავისი არსებით ჩაეფლო შოტლანდიის ინტრიგებითა და ძალმომრეობით აღსავსე პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაშიც ერთობ დიდი უნარი გამოიჩინა. მერის ინტრიგებმა მისი უახლოესი ადამიანებიც კი იმსხვერპლეს (მისი ქმარი ლორდი დარნლი). თავისი აგენტების მეშვეობით იგი ცდილობდა ინგლისში კათოლიკური ამბოხება მოეწყო და დაემხო ელიზაბეთი. მაგრამ მისმა ზედმეტად ინტრიგანულმა პოლიტიკამ მის წინააღმდეგ 1567წ. აჯანყება გამოიწვია. მერი დამხობილ იქნა. დედოფლის წინააღმდეგ გაერთიანებულმა როგორც პროტესტანტმა, ასევე კათოლიკე ლორდებმა მის ვაჟი ჯეიმს VI გაამეფეს. დამხობილმა მერიმ ინგლისს შეაფარა თავი, სადაც იგი ფაქტიურად ელიზაბეთ I ტყვედ იქცა.

სწორედ ინგლისში ყოფნისას იწყება მერი სტიუარტის ფარული პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ელიზაბეთ I დასამხობად. თავისი პატივმოყვარეობის და პრეტენზიების წყალობით მერი იქცა ანტიინგლისური და ანტიპროტესტანტური შეთქმულების ცენტრად, რომელესაც აფინანსებდნენ და მხარს უჭერდნენ ესპანეთის მეფე ფილიპე II და რომის პაპი. მერის და მის მხარდამჭერებს ინგლისელი კათოლიკეებისა და კათოლიკეობის მომხრეთა თანადგომის იმედი ჰქონდათ. სწორედ მერის გამეფების და კათოლიკობის აღდგენის ლოზუნგით იფეთქა 1569წ. აჯანყებამ ჩრდილოეთის საგრაფოებში შეთქმულებებს ადგილი ჰქონდათ 1571, 1583, 1586წწ. მაგრამ ელიზაბეთ I საიდუმლო სამსახურის მესვეური სერ ფრენსის უოლსინგამი თავის აგენტების წყალობით დროულად ააშკარავებდა დედოფლის წინააღმდეგ მიმართულ ყველა შეთქმულებას. დედოფლის სიცოცხლის გადასარჩენად და კათოლიკობის მომხრეთა წარმატებული ამბოხების

თავიდან ასაცილებლად მთავრობამ გადაწყვიტა ამგვარი საფრთხის მთავარი მამოძრავებელი ძალის, მერი სტიუარტის თავიდან მოცილება. 1587წ. მერი სტიუარტი სიკვდილით იქნა დასჯილი.

მერი სტიუარტის სიკვდილით დასჯა ერთობ თავისებურად აისახა ინგლის-შოტლანდიის ურთიერთობაზე. მერის ვაჟმა, შოტლანდიის მეფემ ჯეიმს VI თავის დროზე სწორედ ელიზაბეთ I დახმარებით შეინარჩუნა ტახტი, მასვე 1585წ. ინგლისთან დადებული ჰქონდა სამხედრო კავშირი, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას შეტევითი ან თავდაცვითი ომების წარმოებისას. ჯეიმსს მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული ტიუდორების და სტიუარტების ნათესავური კავშირის მნიშვნელობა. მემკვიდრის გარეშე დარჩენილი ელიზაბეთისათვის უახლოესი ნათესავები სწორედ მერი სტიუარტი და მისი ვაჟი ჯეიმსი იყვნენ./ ელიზაბეთის. მიმართ გატარებული გონივრული პოლიტიკა ჯეიმსს გზას გაუხსნიდა ინგლისის ტახტისაკენ./ ამიტომ საკუთარი დედის სიკვდილით დასჯის შემდეგ ჯეიმსს არ დაუწყია აღშფოთების გამოხატვა და იარაღის ჟღარუნი. იგი ერთობ თავშეკავებული პროტესტით შემოიფარგლა. 16 წლის შემდეგ ჯეიმსმა თავისი თავ-შეკავებისათვის სათანადო საზღაური მიიღო. ელიზაბეთ I ანდერძის თანახმად ლონდონიდან გაგზავნილმა დესპანმა მას ინგლისის მეფობა მიულოცა.

მაგრამ სანამ ჯეიმს VI-თვის ესოდენ სასიხარულო მოვლენა მოხდებოდა ინგლისი კიდევ ერთხელ დადგა მძიმე გამოცდის წინაშე. მერი სტიუარტის სიკვდილით დასჯამ ინგლისის, და პირველ რიგში ელიზაბეთ I წინააღმდეგ მთელი კათოლიკური სამყარო აამხედრა. მანამდე, მეფე ფილიპე II, ინგლისელი ზღვაოსნების ესპანურ საზღვაო ქარავნებზე თავდასხმების მიუხედავად თავს იკავებდა ომისაგან, რადგან მერი სტიუარტს უფრო საფრანგეთისაკენ ეჭირა თვალი. მერის სიკვდილმა ბიძგი მისცა მის ინგლისის წინააღმდეგ ლაშქრობას. დადგა დრო, როცა ინგლისელებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი უბადლო ზღვაოსნები იყვნენ და შეეძლოთ თავდაუზოგავად ებრძოლათ თავისი სამშობლოსა და დედოფლის დასაცავად. / ამის ნიშნები უკვე 1587წ. გამოჩნდა. სერ ფრენსის დრეიკის გაბედული რეიდი წარმატებით დასრულდა მას შემდეგ, რაც იგი თავის ესკადრით მოულოდნელად თავს დაესხა და გაანადგურა ესპანელთა მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა კადისში, სადაც ინგლისზე ლაშქრობის სამზადისი მიდიოდა. ამ რეიდმა ერთი წლით დააყოვნა ომის დაწყება. 1588წ. ივლისში ესპანეთიდან ლა მანშის მიმართულებით გამოვიდა 130 გემი, რომელზედაც განლაგებული იყო 8 ათასი მეზღვაური და 20 ათასი ჯარისკაცი. ფლოტის სარდალი, საზღვაო საქმეში აბსოლუტურად ჩაუხედავი ჰერცოგი მედინა მიზნად ისახავდა მიეღწია ბელგიის ნაპირებისათვის, სადაც მას ელოდა ჰერცოგი პარმა 40 ათასი ჯარისკაცით. ამის შემდეგ უძლეველ არმადას, როგორც ამაყად უწოდებდნენ ესპანურ ფლოტს უნდა უზრუნველყო იმ სატრანსპორტო ხომალდების დაცვა, რომლითაც კონტინენტიდან ინგლისში 40 ათას ესპანელ ჯარისკაცს გადაიყვანდნენ.

ამ განსაცდელს ინგლისელები ერთ მუშტად შეკრულ ერად შეეგებნენ, რომელსაც ერთიანი ეროვნული ცნობიერება ამოძრავებდა. არმადა განადგურებულ იქნა როგორც ბრძოლის, ასევე ქარიშხლის შედეგად. ინგლისელმა მეზღვაურებმა, რომლებსაც ამ ბრძოლაში სახელმოხვეჭილი მეკობრეები სერ ფრენსის დრეიკი, სერ უილიამ ჰოუკინსი და სერ უოლტერ რელი[29] სარდლობდნენ. დაამტკიცეს, რომ მათ უბადლო ხომალდები და შეუდრეკელი გულები ჰქონდათ. არმადის დამარცხება სწორედ ინგლისური სამხედრო-საზღვაო ხელოვნების უპირატესობის დემონსტრაცია იყო. / ძნელია თქმა, რითი დასრულდებოდა ეს ომი, ესპანელთა გაწრთვნილი 40-ათასიანი ჯარი რომ ინგლისის ნაპირებზე გადამსხდარიყო. ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. მაგრამ ისტორიამ ამის საპირისპიროდ რეალური ფაქტი შემოინახა. ინგლისელებმა მთელი თავის ძალების მობილიზაცია მოახდინეს. ყველა საგრაფომ ჩამოაყალიბა მოხალისეთა საბრძოლო შენაერთები, ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. კათოლიკეებიც კი არ დარჩენილან განზე. თავიანთი ალმსარებლობის გამო მათ უჭირდათ კათოლიკე მეფის წინააღმდეგ იარაღის

---

[29] ეს უკანასკნელი ალბათ ელიზაბეთ I ხანის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ პიროვნებას წარმოადგენდა. დახვეწილი კარისკაცი, მოხდენილი ლექსების ავტორი, ისტორიკოსი, ზღვაოსანი, ახალი მიწების აღმომჩენი, დედოფლის ფავორიტი. აი, ასეთი იყო ასპარეზი, რომელზედაც ინგლისური აღორძინების ეს თვალსაჩინო მოღვაწე იღვწოდა.

ხელში აღება, რომლის ზურგს უკან რომის პაპი იდგა. ამიტომ სანაცვლოდ მათ უხვად გაიღეს დიდი ფულადი თანხები, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის და ჯარის ორგანიზებაშეირაღებას მოხმარდა. ამ საყოველთაო ეროვნულ-პატრიოტული შემართების მწვერვალს დედოფალის საჯარო განცხადება წარმოადგენდა. „მე ერთი სუსტი და უმწეო ქალი ვარ განაცხადა ელიზაბეთ I, მაგრამ თუ საჭირო იქნება იარაღით ხელში თავად გაუძღვები ჩემს ხალხს.“ უძლეველი არმადის განადგურება და ინგლისელთა საერთო გამარჯვება ესპანეთთან ომში არ იყო უბრალოდ სამხედრო-საზღვაო საქმეში მქონე უპირატესობის შედეგი. ეს კერძო უპირატესობა შედეგი იყო იმ ზოგადი უპირატესობისა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა საზოგადოებას, რომელიც სოციალურ-პოლიტიკურად უფრო მაღალ საფეხურზე იდგა და ეფუძნებოდა უფრო მოწინავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც მის წევრებს მეტად ქმედითუნარიანს და საზოგადოებრივად უფრო აქტიურს ხდიდა.

„არმადის განადგურება არ ნიშნავდა ესპანეთ-ინგლისის მეტოქეობის დასასრულს. ბრძოლა გაგრძელდა, მაგრამ შენიღბულ ფორმებში. ამჯერად ინგლისი საფრანგეთს ეხმარებოდა ესპანეთის ექსპანსიის აღკვეთაში. ამ მიზნით ინგლისმა 1589-1593წწ. ხუთი ექსპედიცია გააგზავნა საფრანგეთში. ეს კავშირი და დახმარება გაგრძელდა მაშინაც, როცა საფრანგეთის ტახტზე 1593წ. კათოლიკობას მიბრუნებული პროტესტანტი ანრი IV ბურბონი ავიდა. 1596წ. ინგლისის ესკადრამ ლორდ ეფინგამის, ლორდ უესექსის და სერ უოლტერ რელის მეთაურობით თავდასხმა განახორციელა ესპანეთის ნავსადგურ კადისზე და მიწასთან გაასწორა იგი.“

„აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას ინგლისი ახორციელებდა ირლანდიაში. ეს ქვეყანა XVIს.-მდე პრაქტიკულად თავისი პირვანდელი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელიც აგებული იყო გვარ-ტომობრივ ურთიერთობაზე, რომლის ფონზე თავის პოზიციებს აძლიერებდნენ ცალკეული დიდი გვარები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ო'ნეილები, ჯერალდები და სხვ.“ ინგლის-ირლანდიის ურთიერთობა ტიპიური მაგალითია საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნების ურთიერთობისა. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ წარიმართებოდა ირლანდიის განვითარება ინგლისის გარეშე. რეალურმა ისტორიულმა სინამდვილემ ირლანდიას წინსვლის დაჩქარებას ბიძგის სახით ინგლისი მოუვლინა. ადრეული შუა საუკუნეების ირლანდიის კელტურმა მოსახლეობამ, რომელიც VIს. ეზიარა ქრისტიანობას თავისი მარტივი საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფიდან გამომდინარე შთაგონებული და ამავე დროს გულუბრყვილო სულისკვეთების ამსახველი კულტურის ორიგინალური ძეგლები შექმნა. მაშინ ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავისი ბარბაროსი ანგლო-საქსი მეზობლებისაგან. მაგრამ იმ დროს წარმოჩენილი რელიგიური აღმაფრენა და ხელოვნებაში გამოვლენილი წარმოსახვის უნარი საკმარისი არ აღმოჩნდა ირლანდიის კელტური საზოგადოების გვარ-ტომებრივი შეზღუდულობის დასაძლევად.

1541წ. ჰენრი VIII თავი ირლანდიის მეფედ გამოაცხადა და ამის საფუძვლად ქვეყნის ეკლესიის მეთაურის სახელიც დაისაკუთრა ამან არა მხოლოდ პაპის ერთგული ირლანდიელების გულისწყრომა გამოიწვია, არამედ თავად კათოლიკური სამღვდელოების ანტიინგლისური პოლიტიკის გააქტიურებაც. ირლანდია აივსო იეზუიტებით, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ანტიინგლისური სულისკვეთების გაძლიერებას. ორ ქვეყანას შორის ეროვნულ-სარწმუნოებრივი დაპირისპირება შეიქმნა. ეს დაპირისპირება რასაკვირველია კიდევ უფრო ამძაფრებდა ინგლისის ექსპანსიას ირლანდიაში, რომელსაც ინგლისის სამეფო კარის და მმართველი წრეების ინტერესები ედო საფუძვლად. კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი ინგლისის ეკონომიკას ესაჭიროებოდა უფრო მეტი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი თუ ნედლეული საკუთარი წარმოების (პირველ რიგში მაუდის) დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით ტიუდორები ირლანდიაში ატარებდნენ მიწების კონფისკაციის აქტიურ პოლიტიკას. ინგლისელთა მიერ მიწების მიტაცებას ხელს უწყობდა ადგილობრივ გვარებს შორის არსებული ქიშპი და მტრობა. მაგრამ ინგლისს არა მარტო ეკონომიკური მოტივები ამოძრავებდა. მისი პასიურობის შემთხვევაში ირლანდია შეიძლებოდა მოქცეულიყო მოწინააღმდეგე ქვეყნის (პირველ რიგში ესპანეთის) გავლენის ქვეშ, და უფრო მეტიც, გამხდარიყო ანტიინგლისური პოლიტიკის გატარების თავსებური პლაცდარმი.

სწორედ ამიტომ ელიზაბეთ I დაიწყო ირლანდიაში ინგლისური სამფლობელოების გაფართოება. საერთო ჯამში მისი მეფობის ხანაში ინგლისელებმა ირლანდიაში ხელთ იგდეს 1300 000 აკრი[30] მიწა. ინგლისელთა ექსპანსიამ და რელიგიურმა გაუცხოებამ ირლანდიელების საპასუხო რეაქცია გამოიწვია. ელიზაბეთ I ხანაში ირლანდიაში არა ერთმა აჯანყებამ იფეთქა, რომლებსაც მეთაურობდნენ შან ო'ნეილი, გრაფი დესმონდი, გრაფი ტაირონი. უკანასკნელი აჯანყება, რომელმაც ტაირონის მეთაურობით იფეთქა, მიმდინარეობდა ესპანელების აქტიური მხარდაჭერით, რომლებმაც ირლანდიაში დესანტიც კი გადასხეს. მაგრამ აჯანყებულებიც და ესპანელთა დესანტიც საბოლოოდ დამარცხებულ იქნენ ლორდ მაუნტჯოის მიერ 1605წ.

თავდაცვითმა (ესპანეთთან) და დაპყრობითმა (ირლადიაში) ომებმა იმ დროის ინგლისურ საზოგადოებას ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება შესძინეს. პროტესტანტი ინგლისელები კონტინენტის მოსახლეობისაგან (რომელიც ძირითადად კათოლიკეებით იყო დასახლებული ესპანელები, ფრანგები, იტალიელები) გამოცალკევებული და გაუცხოვებული ცნობიერებით განიმსჭვალნენ. სძირავდნენ რა ესპანელთა ხომალდებს, იპყრობდნენ ირლანდიის კელტურ მოსახლეობას, ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ პირველ რიგში პაპისტებს ებრძოდნენ ჭეშმარიტი, პროტესტანტული სარწმუნოების დასაცავად. რელიგიური დაპირისპირება აძლიერებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ხოლო ქვეყნის კუნძულოვანი მდებარეობა მას განსაკუთრებულობის შეგრძნებას მატებდა. XVIს. ინგლისელი დანარჩენ სამყაროს სიფრთხილისა და უნდობლობის თვალით უყურებდა. ამგვარ პირობებში მონარქის პიროვნება ძალზე თავისებურ ელფერს იძენდა. მტრებით გარშემორტყმულ ქვეყანას ქალი უძღვებოდა და ეს ერთი-ორად აძლიერებდა სიმპატიებს დედოფლის მიმართ. დედოფალი, სარწმუნოების დამცველი, ქვეყნის მეთაური გაიგივებული იყო ინგლისთან. მისი ერთგულება პროტესტანტული, მშობლიური ინგლისის ერთგულებას ნიშნავდა და პირუკუ. სწორეედ ეს იყო ე.წ. კარის პატრიოტიზმი, რომელიც ელიზაბეთ I ხანაში ჩამოყალიბდა და ინგლისელთა მნიშვნელობანი ნაწილის ეროვნული თვითშეგნების, მათი „ინგლისელობის" განუყოფელ ნაწილად იქცა.

სწორედ ამ სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალული ელიზაბეთ I ხანის ინგლისელი ზღვაოსნები, რომლებიც წარბშეუხრელად ერკინებოდნენ როგორც ესპანელთა ფლოტილიებს, ასევე უკიდეგანო ზღვებსა და ოკეანეებს. სერ ჯონ ჰოუკინსს, სერ ფრენსის დრეიკს, სერ უოლტერ რელის, მარტინ ფრობიშერს და სხვა ინგლისელ ზღვაოსნებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ — ეჯობნათ პაპისტი ესპანელებისათვის, თავად აღმოეჩინათ ზღაპრული სიმდიდრეებით აღსავსე მიწები და რაც მთავარია, აღმოეჩინათ ოსტ-ინდოეთისაკენ მიმავალი სხვა საზღვაო გზა. სწორედ იმ ხანებში აღმოაჩინა მარტინ ფრობიშერმა ლაბრადორი, სერ უოლტერ რელი სამხრეთ ამერიკაში მიადგა ორინიკოს შესართავს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში მანვე დაარსა პირველი ინგლისური კოლონია, რომელსაც გაუთხოვარი დედოფლის საპატივსაცემოდ ვირჯინია[31] უწოდა, სერ ფრენსის დრეიკმა კი სამწლიანი მოგზაურობის შედეგად შემოუარა დედამიწას. ამგვარი მიღწევები სიამაყით აღავსებდნენ ინგლისელთა გულებს და სხვა ხალხებთან უპირატესობის გრძნობას უნერგავდნენ მათ. სწორედ ამიტომ მიაჩნდათ მათ, რომ დედამიწაზე არსად იყო ინგლისისთანა ქვეყანა, რომელიც ღვთისმოშიში და გულადი ხალხით იყო დასახლებული, და რომელსაც სათავეში სწორუპოვარი გვირგვინოსანი ედგა. ამიტომ იყო, რომ იმ დროის ინგლისელებს ყველაფერი ინგლისური საუკეთესოდ მიაჩნდათ. მაგ. იმ დროის პამფლეტისტი, ფაინს მორისონი ადრიდა რა კონტინენტის და ინგლისის ყოფას, უცილობელ უპირატესობას ინგლისურ კვებასა და სასტუმროებს ანიჭებდა.

რასაკვირველია, ყოფა მართლაცდა შეიცვალა. ზღვაოსნობის განვითარებამ, ევროპის კონტინენტთან თუ მსოფლიოს სხვა კუთხეებთან ურთიერთობის გაცხოველებამ, წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია საზოგადოების გარკვეული ფენების მატერიალური

---

[30] 520 ათასი ჰექტარი.

[31] Virginia მომდინარეობს სიტყვიდან Virgin, რაც ქალწულს ნიშნავს.

კეთილდღეობის ზრდა. მშვიდობიანმა ყოფამ თანდათან საფუძველი გამოაცალა ფეოდალთა ციხე-კოშკების არსებობას. მათი ადგილი უფრო კეთილმოწყობილმა სახლებმა დაიკავეს. თანდათანობით გაქრა ზღვარი განათლებულ სწავლულსა და გაუთლელ ბარონს შორის, რაც შუა საუკუნეებს ახასიათებდა. შეიქმნა იდეალური ჯენტლმენის სახე, რომელიც ელიზაბეთ I ხანის სიმბოლოდ იქცა. ეს ტიპი აერთიანებდა კარისკაცის შორსმჭვრეტელობას, სწავლულის მჭერმეტყველებას და მეომრის ძლიერებას. „ოქროს ხანის" ამ ტიპის განსახიერებად ითვლებოდა სერ ფილიპ სიდნი, პოეტი, კარისკაცი, მეომარი, ფილოსოფოსი. ინგლისის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა იმ სოციალური ფენის განმარტება, რომელიც ქვეყნის ქვაკუთხედს წარმოადგენდა და რომელიც ჯენტლმენად იწოდებოდა. ელიზაბეთ I ხანის ავტორი თომას სმიტი თავის ტრაქტატში წერდა რომ ის ადამიანი, რომელიც სახელმწიფო საქმეებშია ჩართული, უნივერსიტეტში სწავლობს, არ არის ფიზიკური შრომით დაკავებული, შეუძლია იარაღის ტარება, ვინც ჯენტლმენის მოვალეობას იტვირთავს და შესაბამისი მოქცევითაც ხასიათდება, აი ის შეიძლება იწოდებოდეს ჯენტლმენად.

ინგლისელთა ცნობიერებაში ეროვნული სიამაყისა და გამორჩეულობის გრძნობის ჩამოყალიბება არ ნიშნავდა ამ კუნძულოვანი ქვეყნის იზოლაციას მაშინდელ მსოფლიოში მომხდარი მოვლენებისაგან. XVIს. ის დროა როცა ინგლისი ერთობ მნიშვნელოვნად ეზიარა ევროპის კულტურული ცხოვრების მოვლენებს, კერძოდ კი უფრო წინ წავიდა აღორძინების პრინციპებთან დაახლოების გზაზე. ამ პერიოდის ინგლისის კულტურა უნდა განვიხილოთ არა როგორც აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების თავისებური მფარველობის შედეგი, არამედ თავისუფალი საზოგადოების შემოქმედების ნაყოფი, საზოგადოებისა, სადაც პიროვნებას თავისი უნარის გამოხატვის მაქსიმალური შესაძლებლობები ეძლეოდა. იმ დროის ინგლისური კულტურის ყველაზე თვალსაჩინო სფერო, ლიტერატურა და დრამატურგია არა მარტო განსჭვალული იყვნენ აღორძინების ეპოქისათვის დამახასიათებელი ვნებათაღელვით და ცხოვრებისეული სინამდვილით, არამედ სრულიად ასახავდა ინგლისური საზოგადოების სულისკვეთებას, რომელიც აღსავსე იყო პატრიოტიზმით, ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნებით და პოლიტიკური აზროვნების მოწიფულობით. სწორედ ამგვარი პრინციპები იყო ელიზაბეთ I ხანის პროზაში. მისი აღმზრდელი და მდივანი როჯერ ეშემი თავის თხზულებებში პოლიტიკური განათლების იდეებს ანვითარებდა; რალფ ჰოლინშედის პატრიოტულმა ქრონიკებმა ისტორიის სიყვარული გაუღვიძეს საზოგადოებას და შექსპირისა და მარლოს ისტორიული პიესების ამოსავალ წერტილებად იქცნენ; სამეფო კარის საზოგადოებაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებები აღწერილ იქნა ჯონ ლილის მიერ; რიჩარდ ჰაკლიუტმა ინგლისელი ზღვაოსნების მიღწევებსა და აღმოჩენებს სიამაყით აღსავსე გამოკვლევა მიუძღვნა, ხოლო რიჩარდ ჰუკერმა ხოტბა შეასხა ელიზაბეთის გონივრულ და გაწონასწორებულ საეკლესიო პოლიტიკას.

ინგლისური პოეზია ყველაზე დახვეწილი და ნატიფი გრძნობების გამოხატვის საშუალებად იქცა. აღორძინებამ გააცოცხლა ადამიანის ყველა გრძნობა და ვნება, მაგრამ ამასთან ერთად ინგლისელი პოეტები კუნძულის უპირველესი მანდილოსნის გარშემო ტრიალებდნენ. დედოფლის კულტი საყოველთაო ხოტბის ობიექტი იყო. აქ პირველობა პოეტთა პოეტს ედმუნდ სპენსერს ეკუთვნოდა, რომელმაც ინგლისელთა შეხედულებებსა და განცდებს თავის „ფერიათა დედოფალში" მოუყარა თავი. სერ უოლტერ რელი თავის მოხდენილ ლექსებში ანტიკური პასტორალობის ფონზე აცოცხლებდა სასიყვარულო ურთიერთობის ნაირფეროვნებას. „ოქროს ხანის" იდეალური პიროვნების განსახიერება, სერ ფილიპ სიდნი[32] თავის ნატიფ სონეტებში ცოცხალ და ნაზ გრძნობებს წარმოაჩენდა, ხოლო მისი „პოეზიის აპოლოგია" პოეზიის ღრმად ფილოსოფიურ და დახვეწილ ხოტბის შესხმას წარმოადგენს. ეს თხზულება სიდნიმ პურიტანების წინააღმდეგ წარმართა, რომლებმაც პოეზიას სიყალბე და უზნეობა უწოდეს.

---

[32] სერ ფილიპ სიდნი სასიკვდილოდ დაიჭრა, როდესაც ნიდერლანდებში იბრძოდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსში ესპანელების წინააღმდეგ. გადმოცემით მან უარი თქვა მისთვის მიწოდებულ ჭიქა წყალზე და სთხოვა, რომ იგი მის გვერდით მყოფი მძიმედ დაჭრილი რიგითი ჯარისკაცისათვის მიეცათ.

ინგლისური კულტურის უდიდეს მიღწევას XVIს. მეორე ნახევარში წარმოადგენს დრამატურგია. ეს იყო ინგლისური ცნობიერების მცდელობა გაეაზრებინა არა მხოლოდ საკუთარი, ეროვნული ჩარჩოებით შემოფარგლული სამყარო, არამედ გაეთავისებინა და წარმოეჩინა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, ის მისწრაფებები და ვნებები, რომლებიც დასაბამიდან სდევდნენ კაცობრიობას და რომლებზეც არის აგებული ადამიანთა ბედნიერება თუ უბედურება. თეატრის მოყვარულმა ინგლისელებმა იმ ხანად დრამატურგთა დიდი რაოდენობა შვეს, რომელთა შორის უპირველესებს ქრისტოფერ მარლო, ბენ ჯონსონი და რასაკვირველია მსოფლიო დრამატურგიის მწვერვალი, უილიამ შექსპირი წარმოადგენდნენ. თავდაპირველად თეატრალური წარმოდგენები ძირითადად სასტუმროების ეზოებში იმართებოდა. 1575წ. ჯეიმს ბარბიჯმა პირველი თეატრი ააგო ინგლისში. იგი ლონდონის ჩრდილოეთ კედლის მიღმა მდებარეობდა. საუკუნის მიწურულს ლონდონში სამი-ოთხი თეატრი იყო, მათ შორის „გლობუსი", სადაც თამაშობდა უილიამ შექსპირი. თეატრი ის ადგილი იყო, რომელიც აერთიანებდა მთელ საზოგადოებას და რომლის მიმართ ინტერესს იჩენდა საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი. მარლოს „თემურ ლენგი", „დოქტორი ფაუსტუსი", შექსპირის „ჰამლეტი" „ოტელო" „რიჩარდ III", „რომეო და ჯულიეტა", ჯონსონის „ყველა თავ-თავისი ზნით" ერთნაირად იზიდავდა როგორც ოქსფორდის პროფესორს, ისევე ხელოსანს, რომელმაც ხელის მოწერაც კი არ იცოდა. მარლოს გმირები, თემურ ლენგი, დოქტორი ფაუსტუსი განასახიერებენ აღორძინების ხანის ადამიანებს, რომელთა იდეალია პიროვნული ძლიერება, ყოვლისშემძლეობა, თვითდამკვიდრება, რისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ საკუთარი ნიჭისა და უნარის წყალობით. მაგრამ თუკი მარლო ამ ერთი კონკრეტული სფეროს წარმოჩენას ცდილობდა, უილიამ შექსპირის შემოქმედებამ, არაჩვეულებრივად მასშტაბურმა, ინტერესთა მრავალფეროვნებით და მასში გადმოცემული უკიდეგანო აზრებით სრული გადატრიალება მოახდინა დრამატურგიაში. შექსპირის დრამატურგიამ წარმოაჩინა არა მარტო მისი თანადროული საზოგადოების, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრება, მისი ამაღელვებელი განცდებით თუ ქვენა გრძნობებით. მისმა მდიდარმა ფანტაზიამ შექმნა მრავალფეროვანი, დინამიური მოვლენებით აღსავსე სამყარო, რომლის ფონზე იშლება ნებისმიერი სახის გმირის მოქმედება, რომელშიც მთელი სისრულით არის გამოცემული მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. მისი კონკრეტული გმირების მიღმა ყოველთვის გამოსჭვივის ის მარადიული ფასეულობები, რომელთა გარშემო გაბმული აზრთა ჭიდილი თუ უშუალო შეჯახებები აწუხებდნენ და ასულდგმულებდნენ არა მარტო შექსპირისეულ თუ შუასაუკუნეობრივ ინგლისს, იმავე დროის ევროპას ან ანტიკურ სამყაროს, არამედ მთელი სისრულით დღესაც დგანან კაცობრიობის წინაშე და მით უკვდავყოფენ გენიალური შემოქმედის სახელს.

ნაკლებად შთაბეჭდავი იყო ინგლისელთა წარმატება ხუროთმოძღვრებასა და ფერწერაში. უნდა ითქვას, რომ ორივე დარგი ფლამანდიელი ოსტატებისა და მათ მიერ შემოტანილი პრინციპების გავლენით ყალიბდებოდა. ორივე დროის კონკრეტულ მოთხოვნებს პასუხობდა. არქიტექტურაში ციხე-კოშკების ადგილს თანდათან სახლის ტიპის ნაგებობები იკავებდნენ. მათი მფლობელები არა მარტო წარჩინებულები, არამედ შეძლებული მეწარმეები და ვაჭრებიც კი იყვნენ. ფერწერაში ასევე ფლამანდიური ტრადიციები ბატონობდნენ, რომლებიც ხუროთმოძღვრების მსგავსად ნიდერლანდელმა იმიგრანტებმა შემოიტანეს. მათ შემოქმედებაში ერთობ ხაზგასმით იყო წარმოჩენილი დედოფლის კულტი. იმ დროის ყველაზე ცნობილი ინგლისელი მხატვარი იყო ჯორჯ გოუერი, რომელიც ინგლისელთათვის ტრადიციულ, პორტრეტის ჟანრში მუშაობდა.

პროტესტანტობის გაბატონებამ მუსიკას საბოლოოდ შესძინა საერო ხასიათი. იმავდროულად იგი საშინაო თავშექცევის საშუალებაც გახდა. ელიზაბეთ I თავად უკრავდა იმ დროის პოპულარულ კლავიშიან საკრავზე-ვირჯინელზე. კომპოზიტორებმა უილიამ ბირდმა და ჯონ უილბიმ დედოფალს სახოტბო ნაწარმოებები მიუძღვნეს.

ასეთები იყვნენ „ოქროს ხანის" საკუთარ ქვეყანაში და საკუთარ თავში შეყვარებული ინგლისელები. გარეშე საფრთხემ ერთ ერად შეკრა საზოგადოების სხვადასხვა ფენა და ხელისუფლების სხვადასხვა შტო, მაგრამ უძლეველი არმადის განადგურების შემდეგ ინგლისს

უკვე აღარ ემუქრებოდა გარეშე შემოსევების საფრთხე. საგარეო დაძაბულობა ერთგვარად განიმუხტა. სამაგიეროდ ამან წარმოაჩინა შიდა წინააღმდეგობები, რომლებიც გარეშე საფრთხის გამო მეორე პლანზე იყვნენ გადასული. პარლამენტმა თანდათანობით პრეტენზიები წამოუყენა სამეფო ხელისუფლებას. პრეტენზიები ეხებოდა დაბეგვრის, პატენტების გაცემის საკითხებს. პარლამენტი ითხოვდა საომარი ხარჯებისათვის აკრეფილი გადასახადების შესახებ ანგარიშგებას და პატენტებით ვაჭრობის შეწყვეტას, რაც ცალკეული მეწარმეების მონოპოლიას უწყობდა ხელს. უთანხმოება შეიქმნა რელიგიურ სფეროშიც. (მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ანგლიკანური ეკლესია არასაკმარისად პროტესტანტულად ეჩვენებოდა. ისინი ანგლიკანური ეკლესიის განწმენდას მოითხოვდნენ კათოლიკეობის ნაშთებიდან. ამიტომ მათ პურიტანები ეწოდებოდათ, რაც წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან Purus-წმინდა.) მაგრამ ელიზაბეთ I მეფობის დასასრულს ეს წინააღმდეგობები ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შარავანდედით მოსილი ხანდაზმული დედოფლის ავტორიტეტი ერთობ ურყევი იყო, რომ მას ღიად დაპირისპირებოდნენ. დაპირისპირებამ მისი გარდაცვალების შემდეგ, ახალი დინასტიის გამეფებისას იჩინა თავი.

სტიუარტების აბსოლუტიზმის ძრიზისი. ჯუროტანები

1603წ. ტიუდორების დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. დინასტიის ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელი ამავე დროს უკანასკნელიც აღმოჩნდა. ინგლისზე სიმბოლურად შეულლებული ელიზაბეთ I ამ სიმბოლური ქორწინების მანიშნებელი ბეჭედი კარისკაცებმა უკვე აწგარდაცვლილ დედოფალს გაქლიბვის მეშვეობით მოხსნეს, იმდენად მჭიდროდ ჩაზრდილიყო იგი მის თითში. სამეფოზე შეულლებულ დედოფალს სიცოცხლეშივე მოუხდა მემკვიდრეზე ზრუნვა. ალბათ ამიტომ შენატროდა იგი თავის მამიდაშვილის შვილს, მერი სტიუარტს. რომელსაც ვაჟი მიეცა. ელიზაბეთისა და მერის, ამ ორი დედოფლის მტრობით აღსავსე ურთიერთობა პარადოქსამდე მივიდა. ინგლისის ტახტის მუდმივი მოცილე მერი თავისივე მამიდის, ელიზაბეთის მიერ იქნა სიკვდილით დასჯილი. ელიზაბეთმა უვნებელყო საკუთარი ტახტი და სიცოცხლე. მაგრამ ბედმა მერის სრულად უზღო სიკვდილის შემდეგ. მისი მცდელობები, გზიდან ჩამოეცილებინა ელიზაბეთი და ინგლისის ტახტს დაპატრონებოდა, ელიზაბეთის გარადცვალების შემდეგ დაგვირგვინდა. ინგლისს შეულლებულმა დედოფალმა სამეფო მერის ვაჟს, შოტლანდიის მეფეს ჯეიმს VI სტიუარტს უანდერძა. ამრიგად ინგლისის სამეფო ტახტზე ტიუდორების დინასტია სტიუარტების დინასტიამ შეცვალა. ჯეიმს VI ინგლისის ტახტზე ავიდა როგორც ჯეიმს I. როგორი იყო ინგლისის ახალი მეფე და როგორი იყო ქვეყანა რომელიც მას დახვდა?

ჯეიმს I მიერ განვლილი გზა ადასტურებს იმას, რომ იგი არ იყო ადვილად ხელწამოსაკრავი მმართველი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეინარჩუნებდა ტახტს ისეთ რთულ და ძნელად სამართავ ქვეყანაში, როგორიც იყო შოტლანდია. ტახტზე ყოფნის 36 წლის მანძილზე მას ვერაფერი დააკლეს შეთქმულებებმა და ინტრიგებმა. ჯეიმსმა კარგად იცოდა თუ როდის წასულიყო დათმობაზე და როდის ეხმარა ძალა. ერთობ საფუძვლიანმა განათლებამ, რომელიც მან თავისი აღმზრდელის, ჯორჯ ბიუკენენის წყალობით მიიღო, ჯეიმსის შეხედულებებს გარკვეულწილად პედანტური ხასიათი შესძინა. იგი ურყევად იყო დარწმუნებული გვირგვინოსანთა ღვთით ბოძებული უფლებების უზენაესობაში და არ აპირებდა ამ შეხედულების შეცვლას. რამდენად გამოსადეგი იყო ამგვარი ურყევი რწმენა ინგლისში?

ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჯეიმსმა, მისი ეშმაკობის მიუხედავად ვერ გაიცნობიერა ძირითადი სხვაობა ორ სამეფოს შორის. შოტლანდიისათვის დამახასიათებელი სინამდვილე ძლიერი, თავნება დიდებულები და სუსტი პარლამენტი არ მიესადაგებოდა XVIIს. ინგლისს, ქვეყანას ძლიერი პარლამენტით და შედარებით მორჩილი არისტოკრატიით. სწორედ ამ ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა, თუ ზნეობრივმა სიახლეებმა წარმოშვეს ის სირთულეები, რომლებიც

წინ აღუდგნენ ახალი სამეფო დინასტიის სწრაფვას დაემყარებინა კონტინენტური ტიპის აბსოლუტიზმი.

XVIIს. ინგლისის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აღინიშნა ჯენტრის პოზიციების შემდგომი გაძლიერებით. მაუდის წარმოების არნახულმა გაფართოებამ და მისი ექსპორტის ზრდამ (რაც ინგლისის საერთო ექსპორტის 4/5 შეადგენდა) კიდევ უფრო გააქტიურა თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც მეურნეობის ამ სფეროში იყო ჩაბმული. კანონმდებლობაში მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ კი მატყლის გატანის აკრძალვამ კიდევ უფრო დააჩქარა მაუდის წარმოების ზრდა. მეურნეობის ამ დარგში, რომელიც დაკავშირებული იყო მატყლის წარმოებასთან, მის დამუშავებასთან და მზა ნაწარმის გატანასთან მნიშვნელოვანწილად ჩაბმული იყო სწორედ ეს ე.წ. ახალი თავადაზნაურობა. ამგვარი საქმიანობა არნახულად ზრდიდა ჯენტრის ეკონომიკურ ინტერესებს. თავადაზნაურობის ეს ნაწილი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საძოვრების გაფართოებაში, მანუფაქტურული წარმოების ზრდაში, რაზეც დამოკიდებული იყო მაუდის დამზდება, გემთმშენებლობის და საგარეო ვაჭრობის განვითარება. ეს გაზრდიდა ექსპორტს და დაუქვემდებარებდა ინგლისს უცხოურ ბაზარს. მაგრამ თავადაზნაურობის გარდა მრეწველობის და ვაჭრობის განვითარება ასევე გავლენას ახდენდა მოსახლეობის სხვა ფენებზეც. თუკი წარმოებაში ჩაბმა ჯენტრის ინტერესებს ვაჭრების ინტერესებს უახლოვდება და აახლოვებდა ამ ორ კლასს, იგივე პროცესი სოციალურ-ეკონომიკურად ააქტიურებდა მასში ჩაბმულ მოსახლეობის სხვა ფენებსაც. მანუფაქტურულ წარმოებაში ჩაბმული მუშები, მსხვილ მამულებში მომუშავე მოჯამაგირეები, მეზღვაურები თუ გემთმშენებლობასთან დაკავშირებული ხელოსნები, ყველანი სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული მრეწველობის განვითარებაში. მოსახლეობის ეს ფენები ახალ თავადაზნაურობასა და ვაჭრებთან ერთად წარმოადგენდნენ იმ კლასებს. რომლებიც ბიძგს აძლევდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ჯენტრი, ვაჭრები, ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ადამიანები ყველაზე უფრო მეტად დააჩქარებდნენ მრეწველობის განვითარების პროცესს და დაიკავდნენ ამ პროცესში საკუთარ პოზიციებს სხვა ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფების შემოტევისაგან. ამის საწინდარს მატერიალურ დაინტერესებასთან ერთად წარმოადგენდა ჯენტრის წარმომადგენლობის ზრდა თემთა პალატაში. XVIს. პარლამენტი მოწინავე სოციალურ-ეკონომიკური ფენების დასაყრდენად იქცა.

მაგრამ ახალი თავადაზნაურობის, ვაჭრების და შეძლებული გლეხების, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ იომენების (yeomanry) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობას ხელს უწყობდა არა მარტო მათი ეკონომიკური დაინტერესება, არამედ მათი ზნეობრივი მრწამსი. აღნიშნული საკითხი ინგლისის პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს. ლაპარაკია იმ რელიგიურ მიმდინარეობაზე, რომელმაც ინგლისში იმძლავრა ელიზაბეთ I მეფობის შუა ხანებიდან და რომელიც სტიუარტების ზეობის ხანაში საზოგადოებრივი აზრის წარმმართველ ძალად იქცა. ლაპარაკია პურიტანობაზე, მიმდინარეობაზე, რომელიც, როგორც ადრე ითქვა მოითხოვდა ანგლიკანური ეკლესიის განწმენდას კათოლიკეობის ნაშთებისაგან. მაგრამ ამჯერად მოცემული საკითხის განხილვისას საჭიროა ამ მოვლენის უფრო ფართოდ გაშუქება.

XVI–XVIIსს. მიჯნაზე ინგლისელები, რომლებიც საკუთარ თავს შექსპირის ტრაგიზმითა თუ მხიარულებით აღსავსე ნაწარმოებებში ხედავდნენ, ამ წინააღმდეგობებით აღსავსე ყოფიერების ახსნას ბიბლიაში ეძებდნენ. მოსახლეობის ფართო მასებისათვის ეს იყო ცოდნის ყველაზე მისაწვდომი წყარო, ხოლო მთლიანობაში მოსახლეობისათვის, მისი დუხჭირი თუ დოვლათით სავსე ცხოვრების შემსუბუქების ან გამართლების მთავარი საშუალება. სწორედ ამიტომ ინგლისელები ხარბად ეწაფებოდნენ ბიბლიას, რამაც საშუალება მისცა ჰოლანდიელ მოაზროვნეს ჰუგო გროციუსს ეთქვა ინგლისში ჩასვლისას, რომ ამ ქვეყანაში ღვთისმეტყველება ბატონობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელები მქადაგებლად იქცნენ. ეს ქადაგება არა მარტო არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების და საერთოდ, ანგლიკანური ეკლესიის და მისი ღვთისმსახურების გარეგნული ბრწყინვალების წინააღმდეგ იყო წარმართული. იგი მოითხოვდა სისადავისა და უბრალოების ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებას. მაგრამ ამ ქადაგებაში

ადგილი არ ჰქონდა სიმდიდრისა თუ მომხვეჭელობის დაგმობას. დაუღალავი შრომა, კაპიკის კაპიკზე დადება და დოვლათის მომრავლება, ყაირათიანობა და მომჭირნეობა, გართობასა და ფუქსავატ ცხოვრებაზე უარის თქმა, აი პურიტანების მთავარი მრწამსი. მაგრამ ეს მოწოდებები არ იფარგლებოდნენ ამქვეყნიური ცხოვრებით. შრომა და მისი მეშვეობით ყოველდღიური გამდიდრება, ყაირათიანობა, ყველაფერი ეს პურიტანების აზრით იყო ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა ზეციური სასუფეველისაკენ. არა ზეციური მადლი, რომელიც ყველას უნდა მოსცხებოდა, არამედ წინასწარ გამორჩეულთა ხვედრი. და ამ ხვედრს სწორედ ისინი, პურიტანები იმსახურებდნენ, როგორც ჭეშმარიტად ღვთისმოშიში და ღვთისმოსავი ადამიანები (მათი აზრით, რასაკვირველია). პურიტანები გაურბოდნენ ამქვეყნიურ სიამესა და ნეტარებას, გმობდნენ სანახაობებს, მათ შორის თეატრს, მოკრივეთა შეჯიბრებას, მუსიკას. ყველაფერი ეს მათ სატანის მსახურებად მიაჩნდათ. პურიტანები აღვსილნი იყვნენ ასკეტიზმითა და სიმკაცრის გრძნობით. თვით ღმერთის შემეცნებაში ისინი ძალზე თავისებურ პოზიციებზე დადგნენ. მათმა მკაცრმა ბუნებამ ყველაზე მეტად გაიცნობიერა და აითვისა არა მაცხოვრის მიერ ნაქადაგები შეწყალება და სიყვარული, არამედ ძველი აღთქმის მრისხანე ღმერთი, რომლის ღვთიურ რისხვას ვერ წაუვიდოდა ვერც ერთი ურწმუნო თუ წარმართი. ამიტომაც მათი რელიგიურობა თუ დამოკიდებულება ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობების მიმართ გამოირჩეოდა არნახული აგრესიულობით. ისინი შეპყრობილები იყვნენ ფანატიკური რწმენით და ამავე დროს სასტიკ შეურიგებლობას იჩენდნენ სხვათა მიმართ. მათი იდეალი იყო სადა, დაუღალავი შრომითა და დოვლათის ზრდით შეპყრობილი სამყარო, სადაც ბიბლიური, განსაკუთრებით ძველი აღთქმის პრინციპები იბატონებდნენ. ამ იდეებით გატაცება თვით მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიხატა. ხმარებიდან თანდათან გაქრა სამკაული და მორთულობა. სადა, ძირითადად შავი მაუდის ტანსაცმელი, უბრალო თეთრი საყელო, აი პურიტანის მთავარი მორთულობა. მოდაში შემოვიდა ძველ აღთქმაში ხმარებული სახელები. ინგლისში მომრავლდნენ პატარა ბიჭები, რომლებსაც აიზეკი, ჯერემი ან მელექი ერქვათ. შეიძლება ითქვას, რომ პურიტანობა მზარდი ბურჟუაზიის იდეოლოგიას წარმოადგენდა.

რასაკვირველია, პურიტანობა ინგლისში ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. იგი სათავეს იღებდა შვეიცარიული კალვინიზმიდან, რომელიც პროტესტანტობის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენდა და რომლის საერო გამოხატულება მმართველობის რესპუბლიკური ფორმა იყო. შესაბამისად, პურიტანთა შეხედულებები მიმართული იყო როგორც აბსოლუტიზმის, ასევე მისი რელიგიური დასაყრდენის, ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად სამეფო ხელისუფლების მიერ იმართებოდა. მაგრამ თვით პურიტანობა არ იყო ერთგვარი. პურიტანების ერთი ნაწილი, რომელთაც სურდათ შოტლანდიის მაგალითზე მოეწყოთ ანგლიკანური ეკლესია არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთიანი ეკლესიის არსებობას, მაგრამ მოითხოვდნენ მეფის მიერ დანიშნული არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების ინსტიტუტის გაუქმებას. ისინი მოითხოვდნენ ეკლესიის სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას, ანგლიკანობის განწმენდას კათოლიკობის ნაშთებისაგან და ეპისკოპოსების მრევლის მიერ არჩეული პრესბითერებით ანუ უხუცესებით შეცვლას. პურიტანთა ამ მიმდინარეობას პრესბითერიანები ეწოდებოდათ. ამ მიმდინარეობას მომხრეები ყავდა ახალი თავადაზნაურობის ნაწილში, მდიდარ ვაჭრებსა და ხელოსნებს შორის.

უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილი ის პურიტანები, რომლებიც მოითხოვდნენ ერთიანი ეკლესიის გაუქმებას, და ცალკეული საეკლესიო სექტებისა და თემებისათვის სრული დამოუკიდებლობის და უფლებამოსილების მინიჭებას. მათ ინდეპენდენტები ეწოდებოდათ[33].

მათი იდეალი იყო ოჯახური რელიგია, ანუ ბიბლიის ოჯახში კითხვა, მისი აბსოლუტურად თავისუფალი კომენტირება და პერიოდული სამლოცველო თავშეყრები ე.წ. სალოცავ სახლებში. ამ იდეოლოგიას იზიარებდნენ საშუალო შეძლების ჯენტრი, წვრილი ვაჭარ-ხელოსნები, ფერმერები და ქალაქისა თუ სოფლის ღარიბობა. ადვილი გასაგებია, რომ პოლიტიკურ ასპექტში პრესბითერიანები შეზღუდული მონარქიის მომხრეები იყვნენ, ხოლო ინდეპენდენტები კი რადიკალურად

[33] Independent (ინგლ.) – დამოუკიდებელი.

განწყობილ რესპუბლიკელებს წარმოადგენდნენ. აი ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც მზად იყვნენ თავდაუზოგავად დაეცვათ თავისი სიმდიდრე და მრწამსი მოუხდათ დაპირისპირება ინგლისის ტახტზე ასულ სტიუარტებს.

სტიუარტები ინგლისში აბსოლუტური ხელისუფლების იდეებით შეპყრობილები მოვიდნენ. მაგრამ იმ დროისათვის ინგლისში და ინგლისის გარშემო ზოგი რამ შეიცვალა. ესპანეთიდან მომდინარე საფრთხე უკუგდებულ იქნა. ამან კი გავლენა იქონია მეფისა და პარლამენტის დამოკიდებულებაზე. ელიზაბეთის დროს მის მიერ ვაჭრობის და ზღვაოსნობის წახალისება, გარეშე საფრთხის მოგერიების აუცილებლობა აახლოებდა სამეფო ხელისუფლებასა და თემთა პალატას. ჯეიმსის დროს კი ზედაპირზე ამოტივტივდა ის წინააღმდეგობები, რომლებიც უკანა პლანზე იყვნენ გარეშე საფრთხისა და ელიზაბეთის პრესტიჟის გამო. წინააღმდეგობების უმთავრეს წყაროს ფულის საკითხი წარმოადგენდა. აქ ახალი დინასტიისათვის არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა. ელიზაბეთ I მეფობის ბოლო პერიოდში მთავრობის ყოველწლიური ხარჯები 220 ათას გირვანქა სტერლინგს არ აღემატებოდა. ჯეიმს I კი ეს ციფრი 1607წ. 500 ათას გირვანქა სტერლინგამდე გაზარდა. აქედან გამომდინარე, მეფეს ხშირად უნდა მიემართა პარლამენტისათვის, მით უფრო, რომ იგი ნადირობის, ჯირითის და ფავორიტების მოყვარული იყო. ყველაფერი ეს კი უზომოდ ზრდიდა კარის ხარჯებს.

ჯეიმსის ურთიერთობა მის ქვეშევრდომებთან თავიდანვე დაპირისპირებით დაიწყო. 1604წ. ჰემპტონ კორტის სასახლეში შემდგარ შეხვედრაზე პურიტანებმა მეფეს წარუდგინეს პეტიცია, რომელშიც ითხოვდნენ ეკლესიის პრესბითერიანულ ყაიდაზე გარდაქმნას. მეფემ ისინი უარით გაისტუმრა. ამან რასაკვირველია პურიტანთა უკმაყოფილება გამოიწვია. სულ მალე ჯეიმს I ბრძანა თანამდებობიდან გაენთავისუფლებინათ 300-მდე პურიტანი ღვთისმსახური, რომლებიც არ დაემორჩილნენ მის გადაწყვეტილებას. ამან პურიტანები ერთობ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. შემდგომში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. პურიტანების მიერ ანგლიკანური ეკლესიის, მეფის ხელისუფლების და სამეფო კარის დაუფარავი კრიტიკა, რომელსაც თვით დედოფალი ვერ გადაურჩა თავისი თეატრით გატაცების გამო, აშკარად დაუპირისპირა ისინი სტიუარტებს. დაიწყო პურიტანების დევნა. ამან პურიტანები აიძულა მიეტოვებინათ სამშობლო და ოკეანეს გაღმა, ამერიკის კონტინენტზე გადასახლებულიყვნენ. 1620წ. პლიმუტიდან გასულმა გემმა „მეიფლაუერმა" გეზი ამერიკისაკენ აიღო. მის გემბანზე ასამდე პურიტანი იყო. ახალ სამყაროში პურიტანები იმედოვნებდნენ მათთვის სასურველი საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრებას. შემდგომში გადასახლება კიდევ უფრო გაფართოვდა და 1630 წლისათვის ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე უკვე სამი ინგლისური ახალშენი შეიქმნა. ინგლისელმა კოლონისტებმა ამერიკაში რელიგიურ საბურველში გახვეული თავისი თავისუფლებისმოყვარე, რესპუბლიკური სულისკვეთება ჩაიტანეს, რომელიც იმავდროულად ძლიერ ინდივიდუალიზმს ეფუძნებოდა, სწორედ ამ ტენდენციებმა იმძლავრა ინგლისის ამერიკული კოლონიების მოსახლეობაში, რომლებიც მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველ პრინციპებად იქცა.

ინგლისში კი კონფლიქტი მეფესა და პარლამენტს შორის უფრო და უფრო ღრმავდებოდა. უთანხმოების ობიექტს წარმოადგენდა მეფის უფლებამოსილობა სასამართლოსა თუ ბაჟის დაწესების საკითხებში. პარლამენტმა მოთხოვნა წამოაყენა, რომ მისი წევრები არ ექვემდებარებოდნენ მეფის მიერ გასამართლებას. მოგვიანებით პარლამენტი და ვაჭრები მეფის საბაჟო გადასახადების გაზრდის წინააღმდეგ გაილაშქრნენ. 1611წ. საპარლამენტო სესიის მოწვევისას ჯეიმსმა თემთა პალატას ყოველწლიურად 200 ათასი გირვანქა სტერლინგი მოსთხოვა. სანაცვლოდ კი მეთვალყურეობის უფლებაზე უარის თქმას შეპირდა. მაგრამ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ჯეიმსმა პარლამენტი დაითხოვა. უფულობამ აიძულა მეფე 1614წ. კვლავ მოეწვია პარლამენტი, მაგრამ ორთვიანი კამათის შემდეგ იგი დათხოვილ იქნა, რადგანაც მეფემ კვლავ ვერ მიიღო თანხმობა ფულადი დახმარების გამოყოფაზე. მომდევნო შვიდი წელი ჯეიმს I პარლამენტი არ მოუწვევია. ხაზინის შევსებისათვის მეფემ ძალდატანებით სესხებს და წოდებების გაყიდვას

მიმართა. მაგრამ მეფე კვლავ იძულებული შეიქნა მოეწვია პარლამენტი, რომელმაც კვლავ შეუტია მეფეს, კერძოდ, მექრთამეობაში ბრალდება წაუყენა რამოდენიმე კარისკაცს, მათ შორის იმ დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეცნიერს, ლორდ-კანცლერს ფრენსის ბეკონს. მეფის მდგომარეობას ართულებდა მისი მიდრეკილება ფავორიტებით მართვისადმი. მეფის ფავორიტები, ჰერცოგი ბაკინჰემი და გრაფი სომერტესი ერთობ არაკომპეტენტურები იყვნენ სახელმწიფოს მართვაში, რაც როგორც პარლამენტის, ასევე საიდუმლო საბჭოს გულისწყრომას იწვევდა. მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა ესპანეთთან ომით, რომლის გამოცხადებამ პარლამენტის დადებითი რეაქცია გამოიწვია და შესაბამისად მეფეს ფულადი თანხებიც გამოეყო.

მაგრამ მდგომარეობა კვლავ დაიძაბა ჯეიმს I ვაჟის, ჩარლზ I (1625-1649წწ.) ტახტზე ასვლის შემდეგ. ეს ერთობ დადებითი პიროვნება მოკლებული იყო ხასიათის სიმტკიცეს და პოლიტიკური საქმიანობის გაძღოლის უნარს. ურთიერთობა მეფესა და პარლამენტს შორის დაიძაბა, როცა მეფემ ესპანეთის წინააღმდეგ და ფრანგი ჰუგენოტების დასახმარებლად წარმოებული საომარი მოქმედებებისათვის საჭირო ფული მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრა პარლამენტს სამხედრო გეგმების წარდგენაზე. პარლამენტმა უარი თქვა სამხედრო ოპერაციების დაფინანსებაზე და ისინიც სრული მარცხით დამთავრდა. ჩარლზ I მეორე პარლამენტი, კერძოდ დეპუტატი ჯონ ელიოტი მეფის ფავორიტის, ჰერცოგ ბაკინჰემის წინააღმდეგ გაილაშქრა. განრისხებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა, თვითნებურად დააწესა სახელმწიფო სესხი და მის ასაკრეფად კერძო სახლებში ჯარისკაცები ჩააყენა.

ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებისათვის ეს ნამდვილი ძალმომრეობა და დესპოტიზმი იყო. ინგლისელთა ცნობიერებაში ჯარი იყო დესპოტიზმისა და საზოგადოების დამონების საშუალება და სიმბოლო. ტიუდორებსაც კი, თავის ძალაუფლების ზენიტში მყოფებს არ ყოლიათ მუდმივი ჯარი. ამიტომაც ჩარლზის I მიერ ჩატარებულმა ეკზეკუციამ საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია. 1628წ. მოწვეულმა პარლამენტმა მეფეს წერილობითი პროტესტი წარუდგინა, რომელსაც უფლებათა პეტიცია ეწოდა. მასში დეპუტატები ითხოვდნენ პარლამენტის მიერ დაუმტკიცებელი გადასახადების გაუქმებას, ეკზეკუციების აღკვეთას და დაუსაბუთებელი დაპატიმრების აკრძალვას. ჩარლზ I მიიღო პეტიცია და სანაცვლოდ პარლამენტმა მას 350 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოუყო. მაგრამ პარლამენტმა გადაწყვიტა კიდევ უფრო შორს წასვლა. საქმე ეხებოდა საეკლესიო საკითხს, კერძოდ, ანგლიკანური ეკლესიის შიგნით ეპისკოპოსთა ინსტიტუტის მოძალებას. თემთა პალატამ, რომელიც პურიტანულ განწყობილებას ასახავდა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად იკრძალებოდა რელიგიაში ყოველგვარი სიახლის შეტანა და პარლამენტის თანხმობის გარეშე რაიმე გადასახადის დაწესება. იმათ, ვინც აღნიშნული დადგენილებების წინააღმდეგ გამოვიდოდა, ბრალდებას წაუყენებდნენ.

მაგრამ მეფის განკარგულებაში ჯერ კიდევ იყო ოპოზიციის დათრგუნვის საშუალებები. კერძოდ, ინგლისურ კანონმდებლობაში არ იყო მკაფიოდ დაწესებული პარლამენტის მოწვევის სიხშირე. თუკი მეფეს არ სჭირდებოდა პარლამენტში სტატუტების გატარება ან გადასახადების დამტკიცება მას შეეძლო არ მოეწვია პარლამენტი. ამით ისარგებლა ჩარლზ I და პარლამენტი დაითხოვა. მეფემ ეს ნაბიჯი არ იკმარა და პარლამენტის 11 დეპუტატი დააპატიმრა, რომელთა შორის იყო საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ჯონ ელიოტი. ამის შემდეგ, 11 წლის მანძილზე, ე.ი. 1629 წლიდან 1640 წლამდე მეფეს პარლამენტი აღარ მოუწვევია.

როგორ შეიძლება დახასიათდეს ეს 11 წლიანი პარლამენტის გარეშე მმართველობა? სამეფო ხელისუფლების პოზიციიდან ეს რასაკვირველია წარმატება იყო. სტიუარტებმა მათთვის ესოდენ სასურველ ერთმმართველობას მიაღწიეს. მაგრამ ინგლისურ სინამდვილეში მდგომარეობა უარყოფითად უნდა შეფასებულიყო. ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარლამენტი სამეფო ხელისუფლებისა და იმ დროისათვის პოლიტიკურად უკვე ესოდენ მნიშვნელოვანი ფენის, ჯენტრის შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. პარლამენტის დათხოვნამ და მისმა ხანგრძლივმა უმოქმედობამ სამეფო ხელისუფლებისადმი ძლიერი გაუცხოება გამოიწვია ჯენტრის მხრიდან.

მეფემ თავიდან მოიცილა პარლამენტი, მაგრამ ამან ინგლისელთა თვალში მის მმართველობას უკანონობის ელფერი მისცა. პარლამენტი გადასახადების დაწესების ერთადერთი კანონიერი საშუალება იყო. ახლა კი მეფემ ხაზინის შევსება სამეფო ბრძანებულებების საფუძველზე მოთხოვილი მოსაკრებლების ხარჯზე დაიწყო. ხარჯები კი ჩარლზ I მამამისივით ბევრი ჰქონდა, თუმცა, თუკი მამა ურიცხვ მეჯლისსა და სანახაობაზე ფლანგავდა ფულს, შვილის გატაცება უფრო დახვეწილი იყო და ფერწერისა თუ ხელოვნების სხვა ნიმუშების შეგროვებაში მდგომარეობდა. მაგრამ პურიტანებისათვის ორივე სატანური და არაფრის მაქნისი იყო, თანაც ორივე ფულს საჭიროებდა. ამიტომ ჩარლზ I ხელახლა აამოქმედა ყველასათვის მივიწყებული სატყეო კანონები, რომელთა დამრღვევები მკაცრად ჯარიმდებოდნენ. ჩარლზმა შემოიღო მონოპოლიები, ეს იყო უფლება, რომლის მინიჭება ცალკეულ პირსა თუ სავაჭრო ან საწარმოო გაერთიანებას აძლევდა ერთპიროვნულ უფლებას წამოუწყო ესა თუ ის ბიზნესი, რომელზედაც სხვას აღარ ქონდა რაიმე უფლება. მონოპოლიების გაყიდვა-მინიჭებით კი მეფე დიდ თანხებს იღებდა. მონოპოლიური უფლება ზღუდავდა თავისუფალ კონკურენციას, იწვევდა საქმიანი წრეების დისკრიმინაციას, რამაც ერთ ოპოზიციურად განწყობილ პამფლეტისტს ათქმევინა: „მონოპოლიები სასლში გვეჭრებიან და ლამის ჩვენ ჯამ-ჭურჭელში ჩაძვრნენ.“ თუკი ჯეიმს I ყიდდა უმაღლეს არისტოკრატიულ წოდებებს, ჩარლზ I რაინდად კურთხევის ერთობ ძვირადღირებული პროცედურა აღადგინა. იმათ კი, ვინც ამ პროცედურისაგან თავის დაძვრენას შეეცდებოდა, მძიმე ჯარიმის გადახდა მოუწევდა.

ამგვარი პოლიტიკა განუხრელად ტარდებოდა ცხოვრებაში და ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდა თომას უენტვროტს, რომელიც ადრე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო. უფლებათა პეტიციის წარდგენის შემდეგ უენტვორტმა ჩათვალა, რომ საპარლამენტო რადიკალიზმი ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანდა და ამიტომ მეფის მხარე დაიჭირა. ამ ასპარეზზე მან დიდი უნარი გამოიჩინა. მას შემდეგ რაც უენვორტი წარმატებით გაუძღვა ჩრდილოეთის საგრაფოების მართვა-გამგეობას მეფემ მას სტრაფორდის გრაფის წოდება უბოძა და ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტად (ფაქტიურად მეფისნაცვლად) დანიშნა. სტრაფორდი აქაც განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში აბსოლუტისტურ პოლიტიკას, რომელიც ორ მიზანს ისახავდა. პირველი იყო ირლანდიის შემდგომი დამორჩილება ინგლისის ხელისუფლებისადმი, რისთვისაც იგი მიმართავდა ადგილობრივი კელტური მოსახლეობის შევიწროვებას და ირლანდიაში ინგლისელი, შოტლანდიელი თუ უელსელი პროტესტანტების ახალშენების მომრავლებას. მეორე მიზანი კი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ქვეყანა და მისი რესურსები გამოეყენებინა ჯარის შესაქმნელად, რომელიც აბსოლუტური ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო საჭიროების შემთხვევაში. ამ ჯარის საშუალებით სტრაფორდი ვარაუდობდა შესაძლო ოპოზიციური გამოსვლის ჩახშობას.

თუკი სტრაფორდი საერო პოლიტიკაში წარმოადგენდა აბსოლუტიზმის დასაყრდენს, იგივე კურსს საეკლესიო სფეროში ატარებდა კენტერბერის არქიეპისკოპოსი უილიამ ლოდი. ლოდი განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში პურიტანების შევიწროვებისა და დევნის პოლიტიკას. მან ყველა ეკლესიაში ღვთიმსახურების ერთიანი, საყოველთაო სისტემა დააწესა და ყველასათვის სავალდებულო გახადა მასზე დასწრება. ამან პურიტანების, რომლებიც დეცენტრალიზებული ეკლესიის მომხრეები იყვნენ უკმაყოფილება და კრიტიკა გამოიწვია. ლოდმა უკმაყოფილოთა წინააღმდეგ აამოქმედა მაღალი კომისია და ვარსკვლავიანი პალატა, სასამართლო ორგანოები. რომლებიც მკაცრად სჯიდნენ პურიტანებს. აქ წინააღმდეგობები არანაკლებად მძაფრი იყო, ვიდრე პოლიტიკური კონფლიქტის ასპარეზზე. ფაქტიურად პოლიტიკური და რელიგიური კონფლიქტები მჭიდროდ იყო ურთიერთგადაჭდობილი. პურიტანები მოითხოვდნენ ეპისკოპოსობის გაუქმებას, მაგრამ სტიუარტების ლოზუნგი ჯეიმს I-დან მოყოლებული შეუვალი იყო: „არ არსებობს მეფე ეპისკოპოსის გარეშე!“ ყველაფერი ეს მიუთითებდა იმაზე, რომ მხარეთა მორიგება შეუძლებელი იყო. ხშირ შემთხვევაში პურიტანების შეხედულებები ფანატიზმამდე მიდიოდა, როგორც ეს იურისტ უილიამ პრინს მოუვიდა, რომელმაც სამეფო კარს თეატრით გატაცებისათვის სატანის

ბუდე უწოდა. პრინს ამისათვის ყურები დააჭრეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ პოზიცია მაინც ვერ შეაცვლევინეს. ბევრი პურიტანი ტოვებდა ინგლისს და ოკეანეს გაღმა, ამერიკაში მიდიოდა

მაგრამ ამ ერთპიროვნული მმართველობის პირობებში პროტესტმა საერო ასპარეზზეც იჩინა თავი. 1637წ. ჩარლზ I აღადგინა ძველი გადასახადი, რომელიც გემთმშენებლობას ხმარდებოდა. ჩვეულებისამებრ ამ გადასახადს ზღვისპირა საგრაფოები იხდიდნენ, ხოლო დაბეგვრა ომის დროს ხდებოდა. ამჯერად კი მეფემ გადასახადი მშვიდობიან დროს დააწესა და იგი შიგა საგრაფოებზეც გაავრცელა. თითქოსდა პარლამენტის გარეშე მმართველობის პირობებში მეფის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას წინ არაფერი დაუდგებოდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. შეძლებულმა პურიტანმა ჯენტლმენმა, ჯონ ჰემპდენმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ არ გადაიხდის თავის წილ გადასახდელ 20 შილინგს. ამას ჰემპდენი არა საკუთარი უსახსრობით ხსნიდა, არამედ იმით, რომ გადასახადს უკანონოდ მიიჩნევდა, რადგანაც ეს უკანასკნელი არ იყო გათვალისწინებული ქვეყნის სამართლით. ეს იყო მოქალაქეობრივი შეგნებისა და ღირსების შესანიშნავი მაგალითი. იმ ადამიანების შთამომავალი, რომლებიც მზად იყვნენ ესპანური საფრთხის პირობებში ელიზაბეთ I უფრო მეტი გემი თუ ჯარისკაცი გამოეყვანათ, ვიდრე ამას დედოფალი ითხოვდა, უარს ამბობდა გადასახადის გადახდაზე იმიტომ, რომ ეს კანონის უზენაესობას დაარღვევდა. ჰემპდენი და მისი სახით ინგლისური საზოგადოება კანონის მეშვეობით იცავდა საკუთარ თავს და თავად კანონს. ჰემდენი სასამართლოს წინასე წარსდგა. სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა უმნიშვნელო უმრავლესობით (შვიდი ხუთის წინააღმდეგ) სცნო მისი ბრალეულობა (და ისიც მეფის ზეწოლით). მაგრამ თავად პროტესტის ფაქტი და ჰემპდენის მოქალაქეობრივი სიმტკიცის ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ეს იყო ფაქტიურად მეფის ზნეობრივი მარცხი. ცხადი შეიქნა, რომ ინგლისური საზოგადოება ისეთი ინდივიდებისაგან შედგებოდა, რომლებიც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების წყალობით არ შეურიგდებოდნენ მეფის ძალმომრეობას.

სამეფო ხელისუფლების ამგვარი არაპოპულარობის პირობებში ჩარლზ I მორიგი წამგებიანი ნაბიჯი გადადგა. მეფემ გადაწყვიტა ანგლიკანური ეკლესიის პრინციპების შოტლანდიაზე გავრცელება. ეჭვგარეშეა, რომ ამით იგი ნიადაგს ამზადებდა, რათა ამ ქვეყანაში შემდგომში თავისი პოლიტიკური ბატონობა დაემყარებინა. მაგრამ მეფე შოტლანდიელების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. ე.წ. წმინდა ლიგის შექმნა და კოვენანტის (პაქტის) ხელმოწერა შოტლანდიელების მიერ წარმოადგენდა იმის დემონსტრაციას, რომ ისინი არ დასთმობდნენ პრესბიტერიანობას. ჩარლზის ორი მცდელობა (1637 და 1638წწ.) წამოეწყო სამხედრო მოქმედებები შოტლანდიის წინააღმდეგ წარუმატებლად დამთავრდა. მეფის დაცარიელებული ხაზინა ვერ უზრუნველყოფდა სამხედრო წარმატებებს. სახსრების მოძიების ერთადერთ გზად კი კვლავ პარლამენტის მიერ დადგენილი გადასახადები რჩებოდა. მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ პარლამენტი მოეწვია ამგვარად, სტიუარტების პარლამენტის გარეშე მმართველობა ჩიხში მოექცა.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია (საბჭოთა ლიტ. ოჯი)

მოვლენები, რომლებიც XVII ს. 40-იან წლებში დატრიალდა ინგლისში მათი თანადროული პერიოდიდანვე წინააღმდეგობრივ შეფასებას იმსახურებდნენ. ერთნი მას ამბოხებას და ღვთით მირონცხებული მონარქის წინააღმდეგ უკანონო ამხედრებად მიიჩნევდნენ, მეორენი — ტრადიციული უფლებებისა და თავისუფლებათა კანონიერ დაცვად. მეცნიერული შეფასების თვალსაზრისით მეფესა და პარლამენტს შორის დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი კუთხით განიხილებოდა; რელიგიური, კერძოდ პურიტანების დროშით წარმოებული ბრძოლა; ახალი, პროგრესული, უფრო ნაყოფიერი წარმოების წესის დამკვიდრება კონსერვატიულისა და მოძველებულის ნაცვლად, რომელიც ვეღარ უზრუნველყოფდა მატერიალური დოვლათის დაჩქარებულ ზრდას; ახალი პოლიტიკური ფორმებისათვის ბრძოლა, თუ პირიქით, ძველი,

ტრადიციული პრივილეგიებისა თუ უფლებების შენარჩუნება. ამ თეორიულ აზრთა ჭიდილის ფონზე ყველაზე უფრო საინტერესოდ მაინც გვესახება ორი დებულების დაპირისპირება. რევოლუცია თუ სამოქალაქო ომი? რასაკვირველია საზოგადოებრივი და პოლიტიკური არსებობის ფორმების დროის მოკლე მონაკვეთში აბსოლუტური შეცვლა სხვა არაფერია თუ არა რევოლუცია. მაგრამ თავის მხრივ, რევოლუცია საზოგადოების შიგნით განხეთქილებას და ურთიერთდაჯახებას იწვევს, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც სამოქალაქო ომი. რა მიესადაგება ამ შემთხვევაში XVIIს. 40-50წწ. ინგლისში მომხდარ მოვლენებს? შეძლებისამებრ გადავავლებთ რა თვალს ინგლისის ისტორიას, აქაც ინგლისისათვის დამახასიათებელი, ევროპის კონტინენტისაგან, ტრადიციული განსხვავება წარმოჩნდება ამოსავალ წერტილად. რევოლუცია, რომელმაც ინგლისში იფეთქა, რასაკვირველია იმ საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება როგორც მისი მომდევნო რევოლუციები ევროპაში. მაგრამ იმავე დროს მან თავისებური იერ-სახე მიიღო. და ეს სწორედ მისი მსვლელობის საომარ ხასიათში გამოიხატება. ახალი თავადაზნაურობა (ჯენტრი, ჯენტლმენები) რომელიც ამ პოლიტიკური მოვლენის დამკვრელ ძალას წარმოადგენდა, გამოირჩეოდა პოლიტიკური ცნობიერების მაღალი დონით და მყარი ეკონომიკური პოზიციებით. ეს საშუალებას აძლევდა მას ემოქმედა მისი კლასის საზოგადოებრივ-ზნეობრივი ნორმების შესაბამისად, რაც გამორიცხავდა იმ ქაოტურ და გაუცნობიერებელ ქმედებას, რომლებიც ანარქიას ბადებს და რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო კონტინენტის რევოლუციური მოძრაობისათვის XVIII-XIXსს. ინგლისში დაპირისპირებამ, რომელშიც ჯენტლმენები მონაწილეობდნენ თავისებურად ჯენტლმენური ხასიათი მიიღო, პოლიტიკურმა ბრძოლამ არა ქუჩის ქაოტური შეტაკებების, ან მმართველი ძალების სუმბურული მონაცვლების, არამედ მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული მოქმედებების სახე მიიღო. ასეთად კი წარმოსდგება ომი, სადაც მოვლენები მართლია სასტიკი, მაგრამ გარკვეულ ნორმებსა და მოთხოვნების შესაბამისად ვითარდება.

მაგრამ რევოლუციის შესახებ ფიქრი და განსჯა დაკავშირებულია არა მარტო მისი მსვლელობის, მამოძრავებელი ძალების და ფორმების გამო. რევოლუცია საზოგადოებას უჩვენებს დაპირისპირების პრაქტიკულად მანამდე არნახულ ფორმებს, რომლებიც უცნობი იყო კლასობრივი დაპირისპირების ადრეული ფორმებისათვის. უოტ ტაილერის აჯანყების დროს ერთმანეთს მკვეთრად გამიჯნული კლასები უპირისპირდებოდნენ. ყმა-გლეხები და ფეოდალები აბსოლუტურად განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სამყაროს და შესაბამისად სხვადასხვა ცნობიერებას წარმოადგენდნენ. რევოლუციის ხანაში კი ინგლისის საზოგადოება უფრო მეტად იყო დიფერენცირებული, ეს საზოგადოებრივი ფენები უფრო მეტად იყვნენ ერთმანეთთან დაახლოებული, საზოგადოებრივი ცნობიერება უფრო იყო შეკრული და შესაბამისად კონფლიქტის შედეგად შექმნილი დაპირისპირება კიდევ უფრო მძაფრ და დრამატულ ხასიათს ატარებდა. დაპირისპირება იქმნებოდა არა მარტო სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, არამედ ცალკეულ ჯგუფებს შიგნითაც. უფრო მეტიც, განხეთქილებას ადგილი ჰქონდა ცალკეულ ოჯახებს შიგნითაც კი, რაც კონფლიქტს კიდევ უფრო მეტ ტრაგიზმს მატებდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მეგობრები, შვილები და მშობლები. ერთნი მომავალ შეტაკებას იმედითა და განახლების რწმენით ალსავსენი შეჰყურებდნენ, მეორენი მას ნგრევისა და უბედურების მომტან მოვლენად მიიჩნევდნენ.

ამგვარი იყო საზოგადოების გუნება-განწყობილება, როცა 1640წ. აპრილის შუა რიცხვებში მეფემ 11 წლიანი შესვენების შემდეგ პარლამენტი მოიწვია. პარლამენტის მოწვევის მიზანი დაცარიელებული სამეფო ხაზინის შევსება იყო. მეფე ვარაუდობდა პარლამენტის მიერ ახალი სუბსიდიების დამტკიცებას. მაგრამ პარლამენტმა მისი ვარაუდი არ გაამართლა. ამიტომ მაისის შუა რიცხვებში მეფემ პარლამენტი დაითხოვა. ამან როგორც პარლამენტის დეპუტატების, ასევე მოსახლეობის ფართო მასების უკმაყოფილება გამოიწვია და ბიძგი მისცა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობის გაღრმავებას. პარლამენტის (რომელსაც ხანმოკლე ეწოდა მისი დროის მცირე მანძილზე მოქმედების გამო) დათხოვნის შემდეგ ლონდონში არქიეპისკოპოს ლოდის სასახლეს ალყა შემოარტყეს და კინაღამ ცეცხლს მისცეს იგი. ქალაქის ღარიბობა შეეცადა

ციხიდან გაენთავისუფლებინა პატიმრები. სოფლად გახშირდა გლეხთა გამოსვლები, რომლებიც მოითხოვდნენ სათემო მიწებზე თავისი უფლებების აღდგენას.

შექმნილ ვითარებაში მეფემ 1640წ. ნოემბერში ახალი პარლამენტი მოიწვია, იმედოვნებდა რა დეპუტატებს შორის თავისი პოზიციების გაძლიერებას. მაგრამ მისი მოლოდინი არც ამჯერად გამართლდა. ,ახლადმოწვეულ პარლამენტში ოპოზიციამ იმძლავრა. პარლამენტმა თავისი საქმიანობა 1653წ.-მდე გააგრძელა, რისთვისაც ისტორიაში ხანგრძლივი პარლამენტის სახელით შევიდა. საპარლამენტო ოპოზიციის დამკვრელ ძალას ახალი თავადაზნაურობა წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში უკვე საქვეყნოდ ცნობილი და თავისი მრწამსის ერთგული პურიტანი ჯენტლემენები ედგნენ, მათ შორის ჯონ პიმი და ჯონ ჰემპდენი. ოპოზიცია ერთობ ენერგიულად და მიზანდასახულად იყო განწყობილი. იგი მოითხოვდა უკანონო გადასახადების გაუქმებას, სამეწარმეო საქმიანობაზე ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნას, პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტას. ჩარლზ I იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლებულ იქნენ, ხოლო პარლამენტმა მიაღწია ძალზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთხოვნის შესრულებას. გაუქმებულ იქნა კანონი მონოპოლიების შესახებ, რომელიც ესოდენ ამუხრუჭებდა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და ჯენტრისა და ბურჟუაზიის უკმაყოფილებას იწვევდა. ყველასათვის საძულველი სასამართლო ორგანოები, ვარსკვლავიანი პალატა და მაღალი კომისია, ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანების, განსაკუთრებით კი დისენტერი (დისიდენტი) პურიტანების დევნის საშუალება, გაუქმებულ იქნენ.

თემთა პალატა გრძნობდა, რომ მოვლენათა მსვლელობა მის სასარგებლოდ ვითარდებოდა და ცდილობდა უპირატესობის სრულად გამოყენებას. საჭირო იყო იმ პოლიტიკური მოღვაწეების ჩამოცილება, რომლებიც აბსოლუტიზმის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამიტომ ოპოზიციამ მოითხოვა გრაფ სტრაფორდის და კენტერბერის არქიეპისკოპოსის ლოდის დაპატიმრება და გასამართლება. მეფე წინ აღუდგა თავისი ფავორიტების დასჯას. მაგრამ პროტესტის აგორებული ტალღის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. თემთა პალატის მხარდასაჭერად გამოვიდა ლონდონის მოსახლეობა. შეეშინდა რა სახალხო აჯანყების, ჩარლზ I გასწირა სტრაფორდი, რომელიც 1641წ. მაისში სიკვდილით იქნა დასჯილი[34].

საძულველი ფავორიტის ჩამოცილებასთან ერთად პარლამენტმა გადადგა სხვა, მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯები. მიღებულ იქნა კანონი პარლამენტის სამ წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოწვევის შესახებ, თანაც მოწვეულ პარლამენტს სულ ცოტა 50 დღე მაინც უნდა ემუშავა. მოგვიანებით კი მეფეს საერთოდ ჩამოერთვა პარლამენტის დათხოვნის უფლება. ამრიგად, რევოლუციის პირველ, მშვიდობიან ეტაპზე პარლამენტმა მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნების შესრულებას მიაღწია.

არანაკლებად მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციისათვის რელიგიური საკითხიც. აქ კი ოპოზიციის და საერთოდ პარლამენტართა შორის არ იყო ერთსულოვნება. ოპოზიციის რადიკალურად განწყობილი წევრები ჯონ პიმის მეთაურობით ითხოვდნენ ანგლიკანური ეკლესიის სრულ გაუქმებას და მის ნაცვლად აბსოლუტურად დამოუკიდებელი პატარ-პატარა რელიგიური თემების (კონგრეგაციების) შემოღებას, რაც თავისებურ რელიგიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა და სრულიად ესადაგებოდა პურიტანთა მოთხოვნებს. ოპოზიციის უმრავლესობა ეკლესიის პრესბიტერიანულ ყაიდაზე მოწყობას მოითხოვდა, რომლის დროსაც, ეკლესიას არჩეული საერო პირები გაუძღვებოდნენ. მაგრამ მოსახლეობაში პრესბიტერიანელებს უმცირესობა უჭერდა მხარს. ოპოზიციონერთა მცირე ნაწილს კი ეკლესიის ოდნავი, ზედაპირული შეცვლა უნდოდა. სწორედ ამიტომ, როდესაც 1641წ. პიმმა პარლამენტს შესთავაზა კანონპროექტი ეპისკოპოსობის გაუქმების შესახებ, აქამდე ერთსულოვნად მოქმედი პარლამენტი ორ ნაწილად გაიყო. ბუნებრივია, რომ ეპისკოპოსთა ინსტიტუტის გაუქმება და ეკლესიის რესპუბლიკური მოწყობა უშუალო საფრთხეს უქმნიდა სამეფო ხელისუფლებას, რადგანაც მეფე ოფიციალურად ეკლესიის მეთაური იყო.

---

[34] მოგვიანებით, 1643წ. სიკვდილით დასჯილ იქნა კენტერბერის არქიეპისკოპოსი ლოდი.

ჩარლზ I სცადა განხეთქილების გამოყენება. ამისათვის ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. 1641წ. შემოდგომაზე ირლანდიაში აჯანყებამ იფეთქა. მეფე ცდილობდა ირლანდიელები ინგლისისათვის დაეპირისპირებინა. ამიტომ მან ირლანდიელებს თავი მათი ინტერესების დამცველად მოაჩვენა. რასაკვირველია, სინამდვილეში მეფე აჯანყების ჩახშობის და ირლანდიის დამორჩილებისაკენ ისწრაფოდა. ამისათვის იგი ჯარს აგროვებდა. მაგრამ ამ ჯარის გამოყენება მას ოპოზიციის წინააღმდეგაც უნდოდა. ოპოზიცია მიუხვდა ამ განზრახვას და სცადა მისი აღკვეთა საპარლამენტო კანონმდებლობის მეშვეობით. ამიტომ ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა (1641წ. ნოემბერში შემოიტანა პარლამენტში დიდი რემონსტრაცია. ეს იყო საპროტესტო ხასიათის დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი იყო სამეფო ხელისუფლების მიერ ჩადენილი დარღვევები და წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომლის თანახმად ვერავინ ვერ დაიკავებდა მეფის მრჩევლისა ან ჯარის ოფიცრის თანამდებობას პარლამენტის დასტურის გარეშე. ცხარე კამათის შემდეგ რემონსტრაცია მიღებულ იქნა მხოლოდ 11 ხმის უმრავლესობით. შექმნილი ვითარება იმაზე მიუთითებდა, რომ პარლამენტის შიგნით სერიოზული განხეთქილება იყო და რომ პოლიტიკოსების მნიშვნელოვან ნაწილს სახიფათოდ მიაჩნდა მოვლენათა შემდგომი განვითარება რადიკალური მიმართულებით. მათი აზრით ეს არსებულ პოლიტიკურ სისტემას საფრთხეს შეუქმნიდა. მეფემ არ დაამტკიცა დიდი რემონსტრაცია.

შექმნილ ვითარებაში მეფემ გადადგა ნაბიჯი, რომელმაც საბოლოო განხეთქილებამდე მიიყვანა საქმე. მან გადაწყვიტა ოპოზიციის ხუთი ლიდერის: პიმის ჰემდენის. ჰოლისის, სტროდის და ლორდთა პალატის წევრის კიმბლტონის დაპატიმრება. ეს ნამდვილად წინდაუხედავი ნაბიჯი იყო. მეფე დედოფლის წაქეზებით მოქმედებდა და ნაკლებად ითვლისწინებდა შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა პარლამენტში მისი და მის მიერ გაგზავნილი ბადრაგის გამოჩენას. ამგვარი აქტით ხომ თემთა პალატის ხელშეუხებლობის უფლება ირღვეოდა! მაგრამ როდესაც მეფე შეიარაღებული ამალით ეწვია თემთა პალატას მას ზემოაღნიშნული ხუთი დეპუტატიდან არავინ დახვდა ადგილზე. ისინი წინასწარ გააფრთხილეს მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ და მათაც ლონდონის საქმიან ნაწილს, სიტის შეაფარეს თავი. ეს უკანასკნელი კი თვითმმართველობით და შეუვალობით სარგებლობდა, ხოლო მის განკარგულებაში შეიარაღებული რაზმები იყო. მეფემ ვერ გაბედა დაერღვია სიტის შეუვალობა, სადაც მალე პარლამენტიც გადაბარგდა. მეფის უკანდახევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლონდონის მიმდებარე საგრაფოების მოსახლეობამ, რომელიც სახელდახელოდ შეიარაღდა და გამოვიდა პარლამენტის დასაცავად. რამდენიმე დღის შემდეგ საყოველთაო მხარდაჭერით გამხნევებული პარლამენტი ძველ შენობაში დაბრუნდა. პარლამენტმა მიიღო პიმის შემოთავაზებული კანონი ლორდთა პალატიდან ეპისკოპოსთა განდევნის შესახებ. ხოლო როდესაც პარლამენტმა უარი უთხრა ჩარლზ I ეცნო მისი უფლება მეფის კონტროლს დაექვემდებარებინა შეიარაღებულ ძალები მეფემ დატოვა ლონდონი და 1642წ. იანვარში ჩრდილოეთის საგრაფოებისაკენ გაემგზავრა, სადაც მისმა მომხრეებმა დაიწყეს თავმოყრა. ეს იყო სამოქალაქო ომის დასაწყისი.

175

პარლამენტი და ქვეყანა ორად გაიყო. ლორდა პალატის 80 წევრი და თემთა პალატის 300 დეპუტატი მეფის ერთგული დარჩა. 30 პერი და თემთა პალატის 300 დეპუტატი - პარლამენტს მიემხრო. ამრიგად, პარლამენტის უმრავლესობა რევოლუციის მხარეზე აღმოჩნდა. სოციალური თვალსაზრისით ეს თანაფარდობა შემდეგნაირად წარმოჩნდება. მეფის მხარეზე, ე.ი. როიალისტთა ბანაკში აღმოჩნდა დიდგვაროვანთა უმრავლესობა, ახალი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი, კათოლიკეები და ანგლიკანური ეკლესიის მომხრეები. პარლამენტს მხარს უჭერდნენ ვაჭრები, ხელოსნები, ახალი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, იომენი-ფერმერები, ანგლიკანური ეკლესიის მოწინააღმდეგეები.

ეს დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ფონზე მიმდინარეობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რევოლიცია არა მარტო რელიგიურ-პოლიტიკური იდეების ჭიდილი იყო, არამედ ერთდროულად ეკონომიკური ინტერესების დაჯახებაც. ლონდონი, ეს უდიდესი საფინანსო და სავაჭრო ცენტრი, სამრეწველო წარმოებასა და საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული

სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოები პარლამენტს ამოუდგნენ მხარში. როიალისტურმა ტენდენციებმა კი იქ იმძლავრეს, სადაც ეკონომიკური განვითარება შედარებით მოისუსტებდა, კერძოდ, ჩრდილოეთისა და დასავლეთის საგრაფოებში. ამრიგად, პარლამენტის ეკონომიკური პოტენციალი გაცილებით ძლიერი იყო როიალისტურზე. პარლამენტის მხარეზე იყო სიტი თავისი ფინანსებით, ფლოტი და საპორტო ქალაქები. სოფლის სკვაირებიც კი, რომელთაც მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ლონდონისა თუ სხვა ქალაქების ვაჭრებთან ან ფინანსისტებთან, პარლამენტის მხარეს იხრებოდნენ, მაშინ როცა მიყრუებული სოფლების მოსახლეობა მეფეს უჭერდა მხარს, მაგრამ მოსახლეობისათვის არც ნეიტრალური პოზიცია იყო უცხო. მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ განზე დამდგარიყვნენ მიმდინარე მოვლენებისაგან. „ჭირმა წაგიღოთ ორთავენი!“ ასე მიმართავდნენ ისინი დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს.

მატერიალური რესურსებისაგან განსხვავებით სამხედრო პოტენციალში ვითარება საპირისპირო იყო. მეფის არმია დიდგვაროვანთა წრეების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. საუკუნეების მანძილზე ომი და სამხედრო საქმე თავადაზნაურობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. საომარი უნარ-ჩვევები, რიხი, საკუთარი უპირატესობის რწმენა, ყველაფერი ეს არისტოკრატიას სისხლში ჰქონდა გამჯდარი, რაც მეფის ჯარს უპირატესობას ანიჭებდა. მეფის მომხრე დიდგვაროვანმა თავადაზნაურობამ, რომლის წარმომადგენლებიც იმ დროის მოდის შესაბამისად პეწიანად იცვამდნენ და ეფექტურ, კულულებიან ვარცხნილობას ატარებდნენ კავალერების სახელი დაიმსახურა.

განსხვავებული მდგომარეობა იყო პარლამენტის ჯარში. დიდგვაროვნებისაგან განსხვავებით ვაჭარ-ხელოსნებსა და გლეხებს არ გააჩნდათ შთამომამვლობით ათვისებული სამხედრო უნარ-ჩვევები. საგრაფოს მოხალისეთა რაზმები უხალისოდ ტოვებდნენ მშობლიურ ტერიტორიას. მეფის არმიისაგან განსხვავებით პარლამენტს პრაქტიკულად არ ყავდა გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი. არც აღჭურვილობა იყო მეფის ჯარისაზე უკეთესი. განსხვავება იყო სარდლობაშიც. მეფრის ჯარს სარდლობდნენ მისი დისწულები, უფლისწულები რუპერტი და მორისი, რომლებიც დახელოვნებული სარდლები იყვნენ. მათგან განსხვავებით პარლამენტის ჯარის მთავარსარდალი გრაფი ესექსი მერყევი და რაც მთავარია სამეთაურო თვისებებს მოკლებული ადამიანი იყო. მთლიანობაში მეფის ჯარს და მის სარდლობას უფრო მკაფიოდ ჰქონდა გაცნობიერებული თავის მიზანი, ვიდრე პარლამენტის ჯარს და მის მესვეურებს. პირველნი მეამბოხეთა და უგვაროთა დასჯასა და ჭკუის სწავლებას ისახავდნენ მიზნად, რაც პარლამენტის და მისი არმიის დამარცხება-განადგურების მეშვეობით უნდა მომხდარიყო. როიალისტებისაგან განსხვავებით პარლამენტის ბანაკში არ სუფევდა ერთსულოვნება. პარლამენტი და მისი მომხრეები, რომლებსაც მოწინააღმდეგეები მათი მოკლედშეჭრილი თმის გამო (რაც განპირობებული იყო პურიტანული სისადავით) მრგვალთავიანებს უწოდებდნენ, ორად იყვნენ გაყოფილი. პრესბითერიანელები, რომლებიც ახალი თავადაზნაურობის ზედა ფენის, შეძლებული ვაჭრების და ფინანსისტების ინტერესებს გამოხატავდნენ, არმიის სარდლობაში სჭარბობდნენ. ისინი აქტიური სამხედრო მოქმედებების მოწინააღმდეგეები იყვნენ და ისწრაფოდნენ მეფესთან ურთიერთობა უფრო მოლაპარაკებით, ვიდრე მახვილის მეშვეობით მოეგვარებინათ. არმიის უფრო რადიკალურ ფრთას ინდეპენდენტები წარმოადგენდნენ. მათ არ სურდათ ეკლესიის პრესბითერიანულ ყაიდაზე მოწყობა. ისინი შოტლანდიისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის მომხრეები იყვნენ. გამოხატავდნენ რა წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა, გლეხობის, ასევე საშუალო შეძლების ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს, ინდეპენდენტები წარმატების საწინდარად და სამეფო აბსოლუტიზმის ასალაგმავ საშულებად მეფის ჯარის განადგურებას მიიჩნევდნენ. თუკი პრესბითერიანელები პარლამენტში სჭარბობდნენ, ჯარისკაცთა და უმცროსი წოდების ოფიცერთა შორის ინდეპენდენტები სარგებლობდნენ პოპულარობით.

მაგრამ ამგვარ, კლასობრივ-პარტიულ, ერთის შეხედვით თითქოსდა კანონმზომიერ დაყოფასთან ერთად რევოლუციამ მოიტანა სხვა, სოციალურ დაპირისპირებისათვის მანამდე უცნობი გახლეჩა,

უთანხმოება უახლოეს ადამიანთა შორის რომელსაც საფუძვლად ედო იდეურ-პოლიტიკური მრწამსის სხვაობა. ეს მომენტი კი მოვლენათა მსვლელობას მანამდე არნახულ პიროვნულ ტრაგიზმს მატებდა. ერთმანეთს უპირისირდებოდნენ გუშინდელი მეგობრები, ნათესავები, ზოგჯერ ოჯახის წევრებიც კი. ამის მაგალითად თუნდაც სერ ედმუნდ ვერნის ოჯახის ისტორიაც გამოდგება. სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე მეფის მედროშე სერ ედმუნდი თავისი მონარქისა და მოწოდების ერთგული დარჩა. მას მხარში უფროსი ვაჟი ამოუდგა. მაგრამ შუათანა და უმცროსი ვაჟი პარლამენტს მიემხრნენ. ოჯახი, რომლის რევოლუციამდელი დღიურები ტრადიციული, იდილიური ყოფის სურათებს ასახავენ, ორად გაიხლიჩა და ერთმანეთს დაუპირისპირდა. და ამ ტრაგიზმის ყველაზე კარგი ამსახველი თავად ოჯახის თავის, სერ ედმუნდ ვერნის სიტყვებია: „მე ვიცი, თქვა სერ ედმუნდმა რომ ჩემი ვაჟები, რომლებიც პარლამენტს მიემხრნენ სამართლიანი საქმისათვის იბრძვიან, მაგრამ მე 30 წელი მეფის დროშის ქვეშ ვდგევარ და 30 წელი მეფის ლუკმით ვსაზრდოობ. განა შემიძლია მე ახლა ჩემი მრწამსი და პოზიცია შევიცვალო?" ძველი მედროშე თავისი შეხედულებების ბოლომდე ერთგული დარჩა და ეჯჰილთან ბრძოლაში დაიღუპა.

ომის დასაწყისში უპირატესობა კავალერების მხარეზე იყო. პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა ეჯჰილთან 1642წ. ოქტომბერში და მომდევნო, შედარებით მცირე მასშტაბის შეტაკებები როიალისტების გამარჯვებით დამთავრდა. პარლამენტის რიგებში უიმედობამ დაისადგურა. პარლამენტართა და ლონდონის შეიღლებულ მოსახლეობას შორის დაზავების მოთხოვნები გაისმა პარლამენტის ჯარის მდგომარეობას ართულებდა არა მარტო ესექსის უნიათობა, არამედ ისეთი თავდადებული და ენერგიული მოღვაწეების სიკვდილიც, როგორებიც იყვნენ ჯონ ჰემპდენი და ჯონ პიმი.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ადამიანი, რომლის ნიჭმა და თავდადებამ ახალი სული შთაბერა რევოლუციის ბანაკს და მკვეთრად შეცვალა მოვლენათა მსვლელობა. აღმოსავლეთ საგრაფოთა წარმომადგენელთაგან შემდგარ 14 ათასიან შენაერთში თანდათანობით დაწინაურდა ჰენტინგდონელი მიწათმფლობელი ოლივერ კრომველი (1599-1658წწ.)

კრომველზე, როგორც რევოლუციის წამყვან პიროვნებაზე, რასაკვირველია, ბევრის თქმა შეიძლება. შორს წაგვიყვანდა მასზე როგორც ორგანიზატორზე, ადმინისტრატორზე ან თუნდაც სარდალზე ლაპარაკი. მაგრამ რევოლუციისათვის ამ კრიტიკულ მომენტში, კრომველი ყურადღებას იპყრობს, როგორც ახალი იდეოლოგიის სულისჩამდგმელი, რომელმაც საბოლოო ჯამში პარლამენტის გამარჯვება განაპირობა. რევოლუცია ხომ ყველაფერთან ერთად იდეებისა და მრწამსის დაჯახებაც იყო. მაგრამ ორივე ბანაკში მრწამსი სხვადასხვანაირი სიღრმით იყო გაცნობიერებული. მეფის ბანაკი, კავალერები ურყევად იყვნენ დარწმუნებული თავისი საქმის სიმართლეში. აქ ყველაფერი ნათელი იყო. მეფე ღვთის მიერ იყო მირონხცებული და მისი ბატონობა ღვთის ნების გამოხატულება იყო. სამეფო ტახტის დაცვა ღვთის ნების დაცვის ტოლფასი იყო. რას დაუპირისპირებდა ამას პარლამენტი? ერთობ ზოგად იდეას საპარლამენტო ტრადიციების და პრივილეგიების დაცვის შესახებ, რომლებიც თავად მეფის მიერ იყვნენ ბოძებული. ტახტს გვერდში ედგა ხალხი, რომელთა შეგნება აღსავსე იყო საკუთარი გვარის, წარმოშობის და ღირსების უპირატესობით, რისთვისაც ისინი თვით სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ. რას დაუპირისპირებდნენ ამ გრძნობას პარლამენტის ჯარში შეკრებილი ვაჭრები, ხელოსნები თუ გლეხები? ამ ორი ბანაკის შეტაკებაში პიროვნული და სოციალური ღირსების ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამას გამოხატავდნენ გრაფ მანჩესტერის, საპარლამენტო ჯარის ერთ-ერთი სარდლის სიტყვები: „ასი ბრძოლიდან ოთხმოცდაცხრამეტჯერაც რომ დავამარცხოთ მეფედ ის კვლავ მეფედ დარჩება, მაგრამ, საკმარისია მეფემ ერთხელ მანც დაგვამარცხოს, რომ ჩვენ ყველას ჩამოგვახრჩობენ."

ჯარის დაბალი მორალური დონე, საკუთარი ღირსების ცნების უქონლობა, იყო პარლამენტის ჯარის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი და ამ სისუსტის აღმოფხვრიდან დაიწყო კრომველის აღზევება. თავგადადებული პურიტანი, ბიბლიური პრინციპების განუხრელი მიმდევარი, სადა ჩაცმადახურვის კაცი ოლივერ კრომველი თავისი სიმტკიცით, რელიგიური აღმაფრენით და ოდნავი უხეშობითაც კი ხანგძლივი პარლამენტის დეპუტატთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სამოქალაქო

ომის დაწყებისთანავე მან დაუფარავად განუცხადა პარლამენტის მესვეურებს, თუ რას ფიქრობდა პარლამენტის ჯარზე. „ხელზე მოახლე ბიჭებისა და შეგირდების გროვა ვერასოდეს შეებრძოლება პიროვნული ღირსებით აღსავსე ადამიანებს“ – უთხრა მან ჰემპდენს ეჯჰილთნ. კრომველის წინასწარმეტყველება გამართლდა. ამიტომაც მან პარლამენტს შესთავაზა ჯარის ორგანიზების დროს მთელი ყურადღება რელიგიური ენთუზიაზმის გაძლიერებაზე გადაეტანათ, რელიგიური აღმაფრენა, პურიტანობის იდეებისადმი ერთგულება, ბიბლიის დებულებების წარბშეუხრელი მიდევნება, ურყევი რწმენა მეორედ მოსვლის შემდეგ ათასწლოვანი საყოველთაო კეთილდღეობისა და თანასწორობის სამეფოს დამყარებაში, აი ეს უნდა ყოფილიყო კრომველის აზრით ჯარისკაცთა და ოფიცერთა ცნობიერების ქვაკუთხედი. ეს პრინციპები უკვე დანერგილი იყო იმ შენაერთში, რომელიც კრომველმა საკუთარი სახსრებით ჩამოაყალიბა და თავად გაუძღვა მას პირველსავე ბრძოლაში. ‹რკინისებრი დისციპლინა, არნახული თავდადება, ფანატიზმამდე ასული რელიგიურობა, ლოთობისა თუ ბილწსიტყვობის სასტიკი აკრძალვა, ასეთი იყო კრომველის რაზმში მოქმედი პრინციპები.› მისი ჯარისკაცები ბრძოლაში ბიბლიური ფსალმუნების მღერით მიდიოდნენ. ჯარისკაცებს ურყევად სჯეროდათ, რომ ღვთის ნებას ასრულებდნენ. „რაიმის წუხილი ხომ არ მიგყვება ამ ქვეყნიდან მიმავალს?“ ჰკითხა კრომველმა თავის რაზმის მომაკვდავ ახალგაზრდა პურიტან-ჯარისკაცს. „მხოლოდ ის, რომ უფალმა არ მომცა საშუალება, რომ უფრო მეტი მისი მტერი მომესპო“ უპასუხა ჯარისკაცმა კრომველს. ‹თავისი შეუვალობისა და სიმტკიცის გამო კრომველს რკინის გვერდებიანს (Ironside) უწოდებდნენ. მალე ეს მეტსახელი მის რაზმზეც გავრცელდა. მისი შენაერთი თავდადებული ენთუზიასტებისაგან შედგებოდა, რომლებსაც კრომველი არჩევდა არა სოციალური მდგომარეობისა თუ გვარიშვილობის მიხედვით, არამედ პურიტანობისადმი ერთგულების საფუძველზე.› „უბრალოდ ჩაცმულ-დახურული და გაუთლელი კაპიტანი, რომელსაც შეგნებული აქვს თუ რისთვის იბრძვის და თავისი იდეის ერთგულია მე მირჩევნია იმ თქვენს ჯენტლმენს. რომელსაც არაფერი არ გააჩნია თავისი ფუყე ჯენტლმენობის გარდა“ - ამბობდა კრომველი.

‹ახალი ბელადის სიმტკიცემ› და თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. არმიის დაკომპლექტება კრომველის მიერ წამოყენებული პრინციპებით დაიწყო. იმავდროულად პარლამეტმა გარკვეულწილად მომგებიანი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. 1643წ. მიწურულს პარლამენტმა ხელი მოაწერა შოტლანდიელების მიერ წამოყენებულ წმინდა ლიგას და კოვენანტს (პაქტს). ამის საფუძვლად მან მიიღო სამხედრო დახმარება და 1644წ. დასაწყისში 20 ათასიანი შოტლანდიური ჯარი, რომელიც შედგებოდა 30 წლიან ომში გამობრძმედილი ვეტერანებისაგან და რომლებსაც სარდლობდა გამოცდილი გენერალი ლესლი შემოვიდა ჩრდილოეთ ინგლისში. ამან აიძულა მეფეს თავისი ძალების ნაწილი შოტლანდიელების წინააღმდეგ წარემართა, რამაც შეამსუბუქა საპარლამენტო ჯარის მდგომარეობა. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ ეს დახმარება პარლამენტს ძვირად დაუჯდა; სანაცვლოდ პარლამენტი სცნობდა ინგლისში პრესბითერიანული ეკლესიის უზენაესობას.

1644წ. ზაფხულში კავალერების და მრგვალთავიანების ჯარები ერთმანეთს იორკის მახლობლად, მარსტონ-მურთან შეხვდნენ. კრომველის უნარიანი სარდლობის და მისი შენაერთების თავდადების წყალობით გამარჯვება პარლამენტის არმიას დაარჩა. მარსტონ-მურთან გამარჯვებამ არნახულად გაზარდა პარლამენტის ჯარის საბრძოლო სულისკვეთება და აამაღლა კრომველის ავტორიტეტი. სწორედ მისი ზეგავლენით 1645წ. დასაწყისში პარლამენტმა მიიღო კანონი ახალი ყაიდის ჯარის შექმნის შესახებ (New Model Ordinance) რომლის თანახმად პარლამენტის ჯარი ყალიბდებოდა კრომველის რკინისგვერდებიანების ყაიდაზე. ეს იყო 20 ათასი ჯარისკაცი, კარგად გაწრთვნილი, აღჭურვილი და კარგი გასამრჯელოთი. კრომველის მოთხოვნებმა, ემოქმედათ უფრო ენერგიულად მკვეთრად დაუპირისპირა იგი ჯარის პასიურ, გაუბედავ პრესბითერიანულ სარდლობას. ახალმა მოთხოვნებმა თავისი გაიტანეს. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად როგორც ლორდთა, ასევე თემთა პალატის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება დაეკავებინა თანამდებობა არმიაში. ეს იყო ინდეპენდენტების გადამწყვეტი გამარჯვება, მერყევი

პრესბიტერიანი სარდლები, ესექსი და მანჩესტერი გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან. მათ სხვებიც მიყვნენ. გამონაკლისი მხოლოდ ოლივერ კრომველისათვის გაკეთდა, რაც ამ ადამიანის არნახულ ავტორიტეტზე მიუთითებს. უმაღლეს მთავარსარდლად კრომველის თანამზრახველი, ინდეპენტენტი სერ თომას ფერფაქსი დაინიშნა. მალე სარდლობაში მნიშვნელობით მეორე თანამდებობაზე ოლივერ კრომველი დაინიშნა და ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა რევოლუციის ბანაკს. გარდაქმნებმა ხელი შეუწყვეს სამეთაურო თანამდეობებზე უბრალო, მაგრამ უნარიანი ადამიანების დაწინაურებას, ისეთები, როგორიც იყვნენ ყოფილი მედროგე ჰრაიდი, შკიპერი რეინბორო და სხვ.

ამ გადამჭრელმა ცვლილებებმა ნაყოფი გამოიღეს. 1645წ. ზაფხულში ახალი ყაიდის ჯარმა სასტიკად დაამარხცა მეფის ჯარი ნესბისთან ბრძოლაში. გამარჯვებულებმა ხელთ ჩაიგდეს მეფის საიდუმლო მიმოწერა ირლანდიელ კათოლიკეებთან, რომელმაც გამოაშკარავა მეფის ანტისაპარლამენტო და ფაქტიურად ანტიინგლისური ინტრიგები. ამ სიახლემ კიდევ უფრო გაამძაფრა ანტიროიალისტური განწყობა. დამარცხებულმა ჩარლზ I შოტლანდიას შეაფარა თავი, მაგრამ 1647წ. დასაწყისში შოტლანდიელებმა გარკვეული ფულადი საფასურის სანაცვლოდ ჩარლზ I ინგლისის პარლამენტს გადასცეს. სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი დამთავრდა.

რა მოუტანა ქვეყანას იმ დროისათვის რევოლუციამ? შესაბამისი დასკვნის გაკეთებისათვის უნდა გავიხსენოთ, თუ რა ლოზუნგები იყო წამოყენებული რევოლუციის დასაწყისში. რასაკვირველია, ეს არ იყო დამშეული მოსახლეობის ამბოხება, რასაც უნდა მოყოლოდა მისი უმალ დაპურება. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგნენ ახალი თავადაზნაურობა, შეძლებული ვაჭრები, ფინანსისტები, რომლებიც ანგლიკანურ ეკლესიასა და მეფის აბსოლუტიზმს უპირისპირდებოდნენ, მოითხოვდნენ იმ დრომოჭმული კანონების გაუქმებას, რომლებიც თვითმპყრობელი მეფის ხელში ტრადიციული თავისუფლებების და პრივილეგიების შეზღუდვის საშუალებად იქცეოდა. ამიტომაც პარლამენტმა, რომელიც აღნიშნული კლასების ინტერესებს გამოხატავდა შესაბამისი გარდაქმნები გაატარა. გაუქმდა ანგლიკანური ეკლესია, ეპისკოპოსთა ინსტიტუტი, მის ნაცვლად ეკლესიის პრესბიტერიანული მოწყობა შემოიღეს. ანგლიკანური ეკლესიის, მეფის და როიალისტების მიწები სეკვესტრირებულ იქნენ. ამ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა სახელმწიფო ვალის გასტუმრებას ან საჯაროდ იქნა გაყიდული. გაყიდული მიწები ახალმა თავადაზნაურობამ და შეძლებულმა ვაჭრებმა შეიძინეს.

ამრიგად, პირველ რიგში გამდიდრდა რევოლუციის სათავეში მყოფი ფენა, რომელიც მის თავისებურ ავანგარდს წარმოადგენდა. სამოქალაქო ომმა ხარჯების ზრდა გამოიწვია. სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად პარლამენტმა შემოიღო აქციზები და გადასახადები ფართო მოხმარების საგნებზე. პარლამენტმა დააწესა ამ გადასახადების აკრეფის უფლების გაყიდვის პრინციპი. აღნიშნულ უფლებებს პირველ რიგში სიტის ფინანსური მაგნატები იძენდნენ. გადასახადების აკრეფა მათთვის გამორჩენის წყაროდ იქცა. გაუქმებულ იქნენ სამეფო მეთვალყურეობის უფლება თავადაზნაურთა მამულებზე, რაინდის წოდების მინიჭებისათვის საჭირო გადასახადი და ფეოდალური მოსაკრებლების პალატა. მანორთა მფლობელები, რომლებიც ადრე მიწის ფაქტობრივი ბატონ-პატრონები იყვნენ, ახლა მის ფორმალურ განმგებლებადაც გადაიქცნენ.

სამოქალაქო ომის პერიოდში მოხდა მოვლენა, რომელიც უდავოდ გაახარებდა რევოლუციის მონაწილე რიგით პურიტანებს. სიკვდილით იქნა დასჯილი მათთვის საძულველი, მელად წოდებული კენტერბერის არქიეპიკოპოსი უილიამ ლოდი. მაგრამ ეს აქტი ვერ დააკმაყოფილებდა სოფლის მოსახლეობის იმ მრავალრიცხოვანი ფენის მოთხოვნებს, რომლებსაც კოპიჰოლდერები შეადგენდნენ და რომლებიც ისწრაფოდნენ თავისი მიწების მუდმივი მფლობელები გამხდარიყვნენ. პარლამენტმა ისინი კვლავ მოიჯარადრეებად სცნო. დადებითი იყო პარლამენტის დამოკიდებულება შემოღობვების მიმართაც. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მაგ დროს ინგლისის საზოგადოებაში გაისმოდა მოსაზრებები, რომლებიც ამართლებდნენ მეურნეობებისა და სავარგულების ამგვარ გამსხვილებას. მსხვილ მამულებს, რომლებიც მრავალრიცხოვანი დაქირავებული მუშახელით მუშავდებოდა, ან ვრცელ საძოვრებად იქცეოდა, უფრო მომგებიანად მიიჩნევდნენ.

შესაბამის ხასიათს ატარებდა პრესბითერიანული პარლამენტის პოლიტიკური გეზიც. პარლამენტს არ სურდა მონარქიის დამხობა და მეფესთან შეთანხმებას ესწრაფოდა. გამდიდრებული პარლამენტარები რევოლუციას დამთავრებულად მიიჩნევდნენ. მაგრამ მათი პოზიცია არ ასახავდა ქვეყანაში შექმნილ ძალთა რეალურ თანაფარდობას. პარლამენტის გამარჯვება არ ნიშნავდა მის რეალურ უზენაესობას. სამოქალაქო ომმა, რომელიც რევოლუციის მიმდინარეობის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა, რეალურ პოლიტიკურ ძალად ქვეყნის შიგნით ჯარი აქცია. ინდეპენდენტურად განწყობილი ჯარი კი რიგ საკითხებში არ ეთანხმებოდა პარლამენტს. ინდეპენდენტებს არ სურდათ პრესბითერიანულის მსგავსი მორიგება სამეფო ხელისუფლებასთან, ისინი ქვეყნის ეკლესიის პრესბითერიანულ ყაიდაზე მოწყობის წინააღმდეგი იყვნენ. ინდეპენდენტებს სურდათ პარლამენტის უფლებების შემდგომი გაფართოება, ჯარის და მასთან დაკავშირებული ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება და განმტკიცება. ყველაზე კონკრეტულ მოთხოვნა კი ჯამაგირის დროულად გაცემა იყო. ამიტომ, როდესაც პარლამენტმა ჯარს დაშლა მოსთხოვა, მისმა ინდეპენდენტურმა სარდლობამ, ფაქტიურად კი კრომველმა ბრძანება გასცა მეფისათვის საარმიო დაცვა მიეჩინათ, ხოლო თავად ჯარს დედაქალაქის დაკავება უბრძანა. ჯარის ამგვარი გააქტიურება პოლიტიკურ ასპარეზზე მოსახლეობის ფართო ფენების გამოჩენას ნიშნავდა. ამან გააღრმავა კრიზისი რევოლუციის ბანაკში. საერთო მტერი (მეფის ჯარი) დამარცხებული იყო, ამიტომ გარეშე საფრთხის ჩამოცილებისთანავე გამარჯვებულთა შორის წინააღმდეგობებმა იჩინეს თავი, რაც არ შეიძლება არ მომხდარიყო პოლიტიკურ ძალთა ისეთ რთულ კონგლომერატში, როგორიც პარლამენტი და მისი მომხრეები იყვნენ.

`1წინააღმდეგობას პრესბითერიანებსა და ინდეპენდენტებს შორის დაემატა განხეთქილება თავად ინდეპენდენტების წრეში. არმია ორად გაიყო. ჯარისკაცები და ოფიცერთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც გამოხატავდნენ გლეხების, წვრილი ვაჭარ-ხელოსნებისა და ხელმოკლე მემამულეების ინტერესებს, გამოვიდნენ რადიკალური მოთხოვნებით. ისინი მოითხოვდენ მამაკაცებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებების მინიჭებას, წოდებრივი პრივილეგიების და ქონებრივი ცენზის გაუქმებას, პარლამენტში სადეპუტატო მანდატების განაწილებას საარჩევნო ოლქების მოსახლეობის რაოდენობის მიიხედვით, რესპუბლიკური მმართველობის დამყარებას, ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას. ამ რადიკალურად განწყობილ დაჯგუფებას სათავეში პოდპოლკოვნიკი ჯონ ლილბერნი ედგა. ლილბერნსა და მის მომხრეებს ლეველერები უწოდეს, რაც გამომდინარეობს სიტყვიდან Level -დონე Levellers, ე.ი. მათ ადამიანების ერთ დონეზე დაყენება უნდოდათ. ლეველერებს (გამთანაბრელებს) უპირისპირდებოდა ჯარის სარდლობა, რომლის წარმომადგენლებსაც ლეველერები დამცინავად გრანდებს (Grands), დიდებულებს უწოდებდნენ. გრანდები, პირველ რიგში გენერლობა (კრომველი, ფერფაქსი, აირტონი) მიიჩნევდნენ, რომ ლეველერების რადიკალიზმი ქვეყანას ანარქიამდე მიიყვანდა. ამიტომაც მათ უფრო ზომიერი მოთხოვნები წამოაყენეს. ეს იყო მონარქიული მმართველობა, ქონებრივი საარჩევნო ცენზი, სადეპუტატო მანდატების გადანაწილება და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ორ წელიწადში ერთხელ.

გრანდების და ლეველერების გადამწყვეტი დაპირისპირება მოხდა ლონდონის მახლობლად, პატნიში 1647წ. შემოდგომაზე ჩატარებულ საჯარისო კონფერენციაზე. ორივე მხარემ თავისი მოთხოვნები წამოაყენა. ამ კონფერენციაზე დავის ქვაკუთხედს წარმოადგენდა მარადიული კითხვა: „ვინ უნდა მართოს ქვეყანა, ვის ხელში უნდა იყოს ძალაუფლება?“ დავა ამ საკვანძო საკითხის გარშემო ძალზე პრაგმატული და თავისებური დასკვნით დასრულდა, რომელიც გარკვეულწილად ასაბუთებს იმდროინდელი ინგლისური საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. გრანდების აზრი გამოიხატა პოლკოვნიკ რიჩის გამოსვლაში, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო მართვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც, გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი გააჩნიათ. ამ ინტერესში კი საკუთრება იგულისხმებოდა. ამრიგად, საკუთრების უზენაესობის ამგვარი გაცნობიერება მიუთითებს იმაზე, რომ იმხანად ნებისმიერი გამთანაბრებლური, თუნდაც შინაარსით ძალზე კეთილშობილური იდეები უტოპიას წარმოადგენდნენ და მათ გამარჯვება არ ეწერათ. კონფერენციაზე არსებული იდეური დაპირისპირება მალე უშუალო

შეჯახებაში გადაიზარდა. არმიის სარდლობამ კონფერენცია დაითხოვა. მაგრამ ადგილზე დაბრუნებული ზოგიერთი ლეველერი ჯარისკაცი და ოფიცერი არ დაემორჩილა სარდლობის ბრძანებას. მათ გადაწყვიტეს რადიკალური იდეების ძალით განხორციელება. ეს კი უშუალო ამბოხება იყო, რომელიც არმიის სარდლობამ სასტიკად ჩაახშო. ამბოხების ჩახშობისას ოლივერ კრომველმა მთელი თავისი ავტორიტეტი გამოიყენა და მისთვის ჩვეული სიმტკიცე და სიმამაცეც კი გამოავლინა.

განხეთქილება რევოლუციის ბანაკში მოხერხებულად გამოიყენა ჩარლზ I. მან არა მარტო გაქცევა მოახერხა, არამედ დაუკავშირდა აგრეთვე შოტლანდიელ პრესბითერიანებს და წააქეზა ისინი ინგლისის წინააღმდეგ ომისაკენ. შოტლანდიელები, რომლებსაც ეშინოდათ ინგლისში ინდეპენდენტების და შესაბამისად, პურიტანობის გამარჯვებისა მაშინვე შეიჭრნენ ინგლისში. კენტსა და უელსში როიალისტების ამბოხებებმა იფეთქეს. პარლამენტის მდგომარეობა გართულდა და შექმნილ ვითარებაში გრანდებმა და ლეველერებმა გამოავლინეს პოლიტიკური სიბრძნე, დაივიწყეს იდეური უთანხმოება და გაერთიანებული ძალებით შეუტიეს მტერს. აჯანყებები ჩაახშეს, ხოლო ინგლისში შემოჭრილი შოტლანდიელები სასტიკად იქნენ დამარცხებული კრომველის მიერ 1648წ. აგვისტოში. მეფე კვლავ შეიპყრეს. სამოქალაქო ომის მეორე ეტაპი დამთავრდა.

აღნიშნულმა მოვლენებმა ინდეპენდენტებს დაანახვა, რომ მათი პოზიციები ყოველთვის საფრთხის ქვეშ იქნება მანამ, სანამ იარსებებს პრესბითერიანული პარლამენტი და სამეფო ხელისუფლება. პარლამენტმა გადაჭრით უარი თქვა მეფის გასამართლებაზე. ინდეპენდენტები აქაც საერთო ძალებით დაუპირისპირდნენ მტერს და განახორციელეს თავისებური რევოლუციური ძალმომრეობა. კრომველის ბრძანებით 1648წ, დეკემბერში პოლკოვნიკი პრაიდი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით გამოცხადდა პარლამენტში და ძალით დაატოვებინა თემთა პალატა ყველა იმ დეპუტატს, რომელიც არ თანაუგრძნობდა ინდეპენდენტებს. ასორმოცდაათზე მეტი დეპუტატი გაძევებულ იქნა პარლამენტიდან და დაპატიმრებული. დეპუტატის უფლებამოსილობა ოცდაათამდე დეპუტატმა შეინარჩუნა. „დაშნის უფლებამ", რომელზე დაყრდნობითაც (როგორც თავად ამბობდა), მოქმედებდა პრაიდი გადამწყვეტი გამოდგა რევოლუციის პროცესში ხელისუფლების განხორციელებისათვის. ძალმომრეობას (არჩეული დეპუტატების ძალით დაშლა თავისი არსით უკანონობა იყო) ამ შემთხვევაში ზურგს უმაგრებდა ისტორიული განვითარების პროცესი. პრესბითერიანულ პარლამენტს აღარ ჰქონდა დასაყრდენი ხალხში. სწორედ ამით აიხსნება ის სიადვილე, რომლითაც ჩატარდა პარლამენტის „პრაიდისეული წმენდა." ამ შემთხვევაში კრომველი ხალხის ნებას გამოხატავდა.

პარლამენტის „პრაიდისეული წმენდის" შემდეგ ჯარის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გადამწყვეტი გახდა. მისი ზეწოლით თემთა პალატამ 1649წ. იანვარში თავი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა, რაც ფაქტიურად ლორდთა პალატის გაუქმებას ნიშნავდა. პრაქტიკულად მეფის გასამართლებას, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა მასა, ასევე ლონდონის უბრალო მოსახლეობა, წინ აღარაფერი ედგა. შეიქმნა სპეციალური ტრიბუნალი სერ ჯონ ბრედშოს მეთაურობით. მაგრამ მეფის გასამართლება და დასჯა, მიუხედავად მისი მამხილებელი საბუთისა (ინგლისის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგები ირლანდიელებისა და შოტლანდიელების მონაწილეობით) მაინც ძნელად წარმოსადგენ მოვლენად რჩებოდა ინდეპენდენტთა გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში. გრანდების ნაწილი უფრთხოდა მეფისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას. ამას კარგად გამოხატავენ ლედი ენ ფერფაქსის სიტყვები, რომელიც მან სასამართლო პროცესზე წარმოთქვა. როდესაც გარკვეული პროცედურის გასარკვევად მოსამართლემ მოიკითხა ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი, სერ თომას ფერფაქსი, მისმა მეუღლემ, რომელიც ნიღბით იჯდა ლოჟაში წამოიძახა: „მას ყოფნის იმის ჭკუა, რომ აქ არ მოვიდეს." მაგრამ ხალხის ზეწოლის შემდეგ, რომელმაც დიდი რაოდენობით მოიყარა თავი სასამართლოს შენობასთან მეფეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1649წ. 30 იანვარს ჩარლზ I ვაჟკაცურად შეხვდა განაჩენის სისრულეში მოყვანას.

რესპუბლიკა და კრომველის პროტექტორატი

მეფის სიკვდილით დასჯამ დაანახა ინგლისს და მასთან ერთად ისტორიას, რომ ტირანად შერაცხული ადამიანის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობისთანავე ქვეყნის ცხოვრებაში არ იწყება აღთქმული ფურცლები და საზოგადოება მეორე დღესვე არ ეზიარება საყოველთაო კეთილდღეობას. პირიქით, წინააღმდეგობების გაღრმავება და გამრავალფეროვნება, დაპირისპირების ახალი ფორმების წარმოჩენა და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ რთული და დინამიური პროცესის მონაწილე ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუცია, აი მოვლენათა ის ფართო სპექტრი, რომელიც წარმოჩნდა ჩარლზ I პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობისთანავე. მეფის სიკვდილით დასჯას სხვა ქვეყნებში უარყოფითი რეაქცია მოყვა. ინგლისის ელჩი გაძევებულ იქნა რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის კარიდან. საფრანგეთმა გამოიწვია თავისი ელჩი ინგლისიდან. ინგლისის ელჩები მოკლულ იქნენ ჰოლანდიასა და ესპანეთში. უფრო მეტიც, ჰოლანდიამ მაშინვე სცნო მეფედ ჩარლზ I ვაჟი, უფლისწული ჩარლზი და ხელი შეუწყო როიალისტებს ინგლისის წინააღმდეგ საზღვაო ოპერაციების წამოწყებაში. შოტლანდიელებმა ასევე სცნეს უფლისწული ჩარლზი მეფედ და თავისი ქვეყნის ტახტზე მიიწვიეს. ირლანდიაში გაერთიანდა ყველა დაჯგუფება, რომელიც იმდროინდელი ინგლისის წინააღმდეგი იყო. ირლანდიელი კათოლიკეები, ინგლისელი კათოლიკეები, როიალისტი ანგლიკანები და პრესბითერიანები. მათმა ბელადმა ოუენ ო'ნეილმა კი უფლისწული ჩარლზი ირლანდიაში მიიწვია და ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ერთგულება აღუთქვა. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისი მტრული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა.

არანაკლებად რთული იყო შიდაპოლიტიკური მდგომარეობაც, რაც ხელისუფლების სისუსტეში გამოიხატებოდა. ეს უკანასკნელი კი ქვეყანაში არასტაბილურობას იწვევდა რაში გამოიხატებოდა ყველაფერი ეს? ხანგძლივი პარლამენტი, უფრო სწორედ მისი ნარჩენი (the Rump) ფაქტიურად ვერ ფლობდა სიტუაციას და ვერ მოქმედებდა სათანადო პოლიტიკური ენერგიით. მონარქიის გაუქმება გამოცხადდა მეფის სიკვდილით დასჯიდან თვენახევრის შემდეგ. კიდევ უფრო გვიან, მაისის თვეში კი ინგლისი რესპუბლიკად (Commonwealth) გამოცხადდა. სამეფო წოდება და ლორდთა პალატა გაუქმებულ იქნენ. აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები გადაეცა სახელმწიფო საბჭოს. ამრიგად, მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა ერთობ ძნელი საქმე აღმოჩნდა.. ტრადიციული სახელისუფლებო ორგანოების მსხვრევამ გამოიწვია არა მარტო შეცბუნება, არამედ მაქსიმალური პოლიტიკური აქტიურობაც. თუკი ისინი, ვისაც ადრე შეხება ჰქონდა მართვა-გამგეობასთან, სიტუაციას განიხილავდნენ, როგორც რთულს და ლამის კატასტროფულს, რადიკალურად განწყობილი ელემენტები პირიქით, მონარქიის დამხობას შემდგომი, უკიდურესი დემოკრატიზაციის მიღწევის საშუალებად მიიჩნევდნენ. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კვლავ გააქტიურდნენ ლეველერები ჯონ ლილბერნის მეთაურობებით, რომელიც მოითხოვდა ახალი პარლამენტის მოწვევას, ჯარში დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენას, რიგი გადასახადების გაუქმებას. ლეველერებზე უფრო შორს მიდიოდნენ ე.წ. დიგერები (Diggers-მბარავები), რომლებიც თავის თავს ჭეშმარიტ ლეველერებს უწოდებდნენ. მათი ბელადი ჯერარდ უინსტენელი ლილბერნისაგან განსხვავებით არა მარტო პოლიტიკური, არამედ სრული ქონებრივი თანასწორობის ლოზუნგით გამოდიოდა და ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა თავისებური აგრარული კომუნიზმის პრინციპები (კოლექტიური სამიწათმოქმედო თემების შექმნა, მიწის კოლექტიურად დამუშავება და ა.შ.) უინსტენლი, ისევე როგორც იმ დროის ბევრი რადიკალურად განწყობილი რევოლუციონერი რელიგიური ენთუზიაზმით იყო შეპყრობილი და მისი ლოზუნგები მემარცხენე ელემენტების სარწმუნეობრივ ექსტაზს გამოხატავდნენ. გათანაბრება მას და მის მიმდევრებს ღვთიური ნების გამოხატვად მიაჩნდათ. „ქრისტე ღრუბლებიდან გამომავალი მოაბიჯებს თქვენკენ. ასე, რომ ძლიერნო ამა ქვეყნისა, მონახეთ სხვა ადგილი, თუკი გსურთ თქვენებურად ცხოვრება“ წერდა თავის ერთ-ერთ მიმართვაში უინსტენლი.

ამგვარ, გარკვეულწილად ქაოტურ მდგომარეობაში ერთადერთი მდგრადი სოციალურ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა ეხსნა ქვეყანა როგორც საგარეო

შემოტევებისაგან, ასევე რადიკალიზმის ევოლუციის შედეგად შესაძლო შექმნილი ანარქიისაგან იყო არმია. „არმია იყო რესპუბლიკის ერთადერთი დასაყრდენი, და მომხრე, რადგანაც სახელმწიფო საბჭოს უდიდესმა ნაწილმა ფაქტიურად უარი თქვა რესპუბლიკის ერთგულებაზე ფიცი დაედო, ასეთივე იყო მოსამართლეების, საეკლესიო პირების, თუ სახელმწიფო მოხელეების დიდი ნაწილის რეაქცია, რომლებმაც უარი თქვეს დაეკავებინათ შემოთავაზებული თანამდებობები. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ პარლამენტი არ სარგებლობდა პოპულარობით არც ჯარში, და არც მოსახლეობის ფართო ფენებში. ‚ხელისუფლება შეიძლებოდა ნებისმიერ დროს დამხობილიყო, მაგრამ აქ გამაწონასწორებელ როლს თამაშობდა ოლივერ კრომველი. ეს ადამიანი, რომელიც ჯარის სრული განმგებელი იყო სამოქალაქო ომში მოპოვებული თავისი ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით ჯერ კიდევ არ ისწრაფოდა დაემყარებინა სამხედრო დიქტატურა. იმავე დროს მას მიაჩნდა, რომ პარლამენტი (როგორც ამას ჯარი და ხალხი ითხოვდა) მართლაც საჭიროებდა განახლებას, ხოლო რადიკალები კი მისი აზრით ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანდნენ.

ამიტომაც კრომველი ენერგიულად გაილაშქრა როგორც ლეველერების, ასევე დიგერების წინააღმდეგ. მან პირადად უხელმძღვანელა ლეველერების მეთაურობით მომხდარი გამოსვლების ჩახშობას. დარბეულ იქნენ დიგერებიც. თუმცა კი უნდა აღინიშნოს (და ეს პირველ რიგში დიგერებს ეხება), რომ პოლიტიკური და განსაკუთრებით ქონებრივი გათანაბრების იდეები ვერ მოიკიდებდნენ ფეხს იმ დროის ინგლისში, რომლის კანონმდებლობა და საზოგადოებრივ-ზნეობრივი ნორმები საუკუნეების მანძილზე ემსახურებოდნენ ინგლისელთა ცნობიერებაში სოციალური იერარქიისა და საკუთრებისადმი პატივისცემის აღზრდას. ამგვარად, გამთანაბრებელთა მარცხი წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც სახელისუფლებო ძალმომრეობის შედეგი, არამედ უფრო მეტად როგორც აღნიშნული იდეების უპერსპექტივობა XVIIს. ინგლისის საზოგადოებრივ სინამდვილეში.“

შიგა სიძნელეებთან ერთად ჯარის სარდლობას კარგად ესმოდა საგარეო საფრთხის მნიშვნელობაც. აქ მოვლენათა განვითარებას თავისი მრავალფეროვნებით შეეძლო ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა რესპუბლიკის ბედ-იღბალზე. რასაკვირველია, შოტლანდიელთა შემოჭრა, რომლებმაც უფლისწული ჩარლზი აღიარეს მეფედ, ბოლოს მოუღებდა რესპუბლიკას. ჰოლანდია, რომელიც ესპანეთის დაქვეითების შემდეგ იქცა ინგლისის მთავარ საზღვაო მეტოქედ ასევე იმუქრებოდა ომით. „მაგრამ ინგლისის რესპუბლიკისათვის იმჟამად ყველაზე მეტი საფრთხე ირლანდიიდან გამომდინარეობდა. პრაქტიკულად მთელი ირლანდია გახვეული იყო ანტიინგლისური მოძრაობის ქარცეცხლში. უდავოა, რომ ობიექტურად ეს იყო კანონზომიერი ბრძოლა რომელსაც ირლანდიელი კათოლიკე-პატრიოტები აწარმოებდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ. „მაგრამ იმჟამად ამ ბრძოლაში კათოლიკე ირლანდიელებთან ერთად ჩაბმულები იყვნენ ინგლისელი პროტესტანტი და კათოლიკე როიალისტები, აგრეთვე რესპუბლიკის მოწინააღმდეგ ინგლისელი პრესბითერიანები. ეს ფაქტი არნახულად ამძაფრებდა ინგლისელთა და კერძოდ, ჯარის სიძულვილს ირლანდიელებისადმი. ირლანდიელები, რომლებთანაც ჯერ კიდევ ჩარლზ I-ობამდა ინტრიგების ქსელს პარლამენტის წინააღმდეგ წარმოჩნდნენ როგორც ინგლისის რესპუბლიკის დაუძინებელი მტრები, ხოლო ირლანდია, ადგილობრივი აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში გადაიქცეოდა იმ პლაცდარმად, საიდანაც დაიწყებოდა ინგლისის რესპუბლიკის დამხობა. ამ საფრთხის გაცნობიერებამ დროებით გააერთიანა პარლამენტი და ჯარის სარდლობა, ე.ი. კრომველი. ირლანდიაზე ლაშქრობა გადაუდებელ ამოცანად იქცა. ამ ლაშქრობით პარლამენტი ცდილობდა გარკვეულწილად თავი დაეღწია ძლევამოსილი ჯარისა და მისი ყოვლისშემძლე სარდლის გავლენისაგან. თავის მხრივ კრომველისათვის ძლევამოსილი ომი იქნებოდა საკუთარი პოზიციების შემდგომი გაძლიერების, ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის სამხედრო ნადავლის დარიგების და როიალისტური საფრთხის უვნებელყოფის შესაძლებლობა.

1649წ. აგვისტოში კრომველი თავისი ჯარით ირლანდიაში გადასხდა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ომმა არნახულად სასტიკი და უმოწყალო ხასიათი მიიღო ინგლისელთა მხრიდან. სამხედრო მოქმედებები გასცღნენ ომის კანონებს და რელიგიური შეუწყნარებლობის

სულისკვეთებით გაიჟღინთა. კრომველის ჯარისკაცები დაუნდობლად უსწორდებოდნენ არა მარტო შეიარაღებულ მტერს, არამედ ზოგჯერ უიარაღო სამოქალაქო პირებს და კათოლიკე ღვთისმსახურებს, როგორც ეს ქალაქ დროედას აღებისას მოხდა. თავად კრომველი ამგვარ ქმედებებს მიიჩნევდა ღვთის რისხვად, რომელიც განგებამ სამართლიანად დაატეხა თავს უღვთო ბოროტმოქმედებს. ირლანდიის დაპყრობა იქცა ფაქტიურად რელიგიურ ომად, რომელსაც პურიტანები კათოლიკეების წინააღმდეგ აწარმოებდნენ.

•1649-1651წწ. ირლანდია მთლიანად იქნა დაპყრობილი. ადგილობრივი მოსახლეობა ძალით აყარეს მიწიდან და მეურნეობისათვის ნაკლებად გამოსადეგ, მწირ, დასავლეთ პროვინციაში, კონნოთში გადაასახლეს. ნაყოფიერ მიწებს ჩალის ფასად იძენდნენ კრომველის ჯარის ოფიცრები, ჯარისკაცები და ხშირ შემთხვევაში ინგლისიდან ჩამოსული სპეკულიანტები. ირლანდიელები თავის ქვეყანაში საკუთარი მიწის მოიჯარადრეებად იქცნენ. ამან დასაბამი მისცა ირლანდიელთა ემიგრაციას კონტინენტზე.

ირლანდიის დაპყრობის შემდეგ კრომველი ინგლისში დაბრუნდა., უფრო სწორედ, იგი გამოძახებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელიც შეშფოთებული იყო უფლისწულ ჩარლზსა და შოტლანდიელებს შორის მიღწეული შეთანხმებით, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. გენერალი ფერფაქსი ვერ ბედავდა აქტიური სამხედრო მოქმედებების დაწყებას. ამიტომ საბჭომ კრომველს მიმართა. 'მისთვის ჩვეული სიმტკიცითა და გაბედულებით კრომველი შეუდგა შოტლანდიელთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო გეგმის განხორციელებას და ორჯერ, 1651წ დანბართან და 1652წ. ვუსტერთან სასტიკად დაამარცხა შოტლანდიელები.

ამ გამარჯვებებმა კრომველი კიდევ უფრო მეტი დიდებით შემოსა და თავისებურ სამხედრო კერპად აქცია. არმია და მისი სარდალი მკაფიოდ წარმოჩდნენ როგორც ერთადერთი რეალური ძალა ქვეყნის შიგნით. პარლამენტი ცდილობდა რამენაირად დაეჩრდილა ძლევამოსილი გენერლისა და სახმელეთო ჯარის ტრიუმფი საზღვაო წარმატებებით. ამის მიღწევას იგი ჰოლანდიასთან საზღვაო ომის მეშვეობით ცდილობდა. ისწრაფოდა რა სამამულო გემთმშენებლობისა და საზღვაო ვაჭრობის განვითარებისაკენ, რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო 1651წ. ე.წ. სანავიგაციო აქტი, რომლის თანახმად ინგლისში უცხოური ნაწარმის შემოტანა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ ინგლისური ან იმ ქვეყნის გემით, სადაც ეს ნაწარმი იყო გამოშვებული. ამით ძირი ეცლებოდა ჰოლანდიელთა გამდიდრების ძირითად წყაროს, ზღვაზე საშუამავლო ვაჭრობას. ამ აქტმა ინგლის-ჰოლანდიის ომი გამოიწვია, რომელიც 1653წ. თებერვალში დასრულდა ინგლისელთა გამარჯვებით. ზღვაზე გამარჯვებამ ვერ შეუშალა ხელი ჯარის დომინირებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო, რომ მთელ რიგ უკანონო ქმედებაში ჩაფლული, მხოლოდ თავისი ანგარებიანი ინტერესების მიმდევარი, გახრწნილი პარლამენტის პრესტიჟი ეცემოდა. პარლამენტის კორუმპირებულობა ისეთ მასშტაბებს აღწევდა, რომ ამაზე პირდაპირ ლაპარაკობდნენ. „შეეცადეთ აღკვეთოთ მექრთამეობა ყველა ინსტანციაში. რესპუბლიკას არ ეკადრება ნება დართოს ერთ მუჭა ადამიანებს გამდიდრდნენ უამრავი ადამიანის გაღატაკების ხარჯზე," იწერებოდა კრომველი ფრონტიდან. ამ შემთხვევაში კრომველი, რომელიც გრძნობდა, რომ კორუმპირებული პარლამენტი ძირს უთხრის რესპუბლიკას, მოითხოვდა პარლამენტისაგან მდგომარეობის გამოწორებას, რაც ობიექტურად, მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს ემთხვეოდა, კრომველსა და პარლამენტს შორის უთანხმოებას უფრო კონკრეტულ საკითხების გარშემოც ჰქონდა ადგილი. ეს იყო ირლანდიაში დაპყრობილი მიწების განაწილების საკითხი. მაგრამ ხანგრძლივი პარლამენტის „ნარჩენი" არ აპირებდა პოზიციების დათმობას. ამის უპირველესი მაჩვენებელი იყო ის, რომ „ნარჩენი" ეწინააღმდეგებოდა ახალი პარლამენტის მოწვევას. სიტუაცია კრიზისული ხდებოდა. თავისუფლების და რესპუბლიკის იდეებს ამოფარებული „ნარჩენი" ფაქტიურად საზოგადოებრივი დოვლათის უკანონო მითვისებით იყო დაკავებული. ამან „ნარჩენს" და მის მომხრეებს დიდძალი ქონება შესძინა. შესაბამისად მათთვის ძალაუფლებაზე უარის თქმა გამდიდრების წყაროზე უარის თქმას ნიშნავდა. მაგრამ მეორე მხრივ, საპირისპირო მხარეზე იდგა არმია. ეს არ იყო მხოლოდ ფაქტიური, იარაღსა და დისციპლინაზე დაყრდნობილი ძალა. ეს იყო ძალა, რომელმაც

სინამდვილედ აქცია რესპუბლიკის იდეა. მას კი ამ დროს ასე ოსტატურად თავის სასარგებლოდ იყენებდა „ნარჩენი.“ ჯარისკაცები და ოფიცრები, პურიტანობისა თუ ლეველერობის იდეების ერთგული მატარებლები, მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ. ხოლო იმ რესპუბლიკას, რომელსაც „ნარჩენი“ განასახიერებდა, არაფერი ეცხო პურიტანობის მიერ აღთქმული ათასწლოვანი საუფლო სამეფოსი. არმია, რომელიც სისხლს ღვრიდა ნესბისთან, დანბართან თუ ირლანდიაში ვერ შეურიგდებოდა კორუმპირებული მედროვეების თარეშს. დაპირისპირებას ამძაფრებდა „ნარჩენის“ სწრაფვა საკუთარი წევრებისათვის ადგილი მიეჩინა მომავალ პარლამენტში და არჩევნები საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა. „ნარჩენის“ მხრიდან ეს ძალაუფლების უზურპაციის ტოლფასი იყო.

ამ კრიტიკულ ვითარებაში ოპოზიციამ ბიძგი მისცა ოლივერ კრომველს პოლიტიკური გარდაქმნის მთავარ ძალად ქცეულიყო. ადამიანი, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ფაქტიურად სათავეში ედგა საპარლამენტო ბანაკს და უდიდესი წვლილი შეიტანა რევოლუციის როგორც შიგა, ასევე გარეშე მტრების დამარცხებაში წლების მანძილზე ხელისუფლების მორჩილი იყო. მაგრამ სწორედ ხელისუფლების უუნარობამ აიძულა იგი გადაედგა ესოდენ რთული ნაბიჯი და გადამწყვეტ წუთს ეტვირთა ქვეყნის გაძღოლის უმძიმესი ამოცანა. ამ მხრივ საინტერესოა კრომველის კერძო საუბარი მის თანამედროვესთან, ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან ბალსტროდ უაიტლოკთან, რომელიც კარგად ასახავს როგორც საზოგადოების, ასევე აქედან გამომდინარე კრომველის გუნება-განწყობილებას. კერძოდ, ამ საუბრიდან გამოჩნდა, რომ არმია ველარ მალავდა თავის აღშფოთებას იმის გამო, რომ პარლამენტი მხოლოდ საკუთარი გამდიდრებისაკენ ისწრაფოდა და ამისათვის არაფერს არ ერიდებოდა. პარლამენტს, აღნიშნეს მოსაუბრეებმა არ შესწევს უნარი მოთოკოს თავისი სიხარბე, რაც არნახულად დიდ საფრთხეს უქმნის მთელ ქვეყანას. ყველაფერი ეს მიუთითებდა იმაზე, რომ აღნიშნულ ხელისუფლებას არავითარი დასაყრდენი აღარ ჰქონდა საზოგადოებაში, ხოლო მის დამხობას ერთი გაბედული ბიძგიღა სჭირდებოდა. ამგვარ პირობებში ის პიროვნება, ვისაც ამ ნაბიჯის გადადგმა (ამ შემთხვევაში კი კრომველი,), საზოგადოების ნება-სურვილს გამოხატავდა.

სწორედ ამგვარი რამ მოხდა. 1653წ. 20 აპრილს, როდესაც კრომველი გენერალ-მაიორ ჰარისონისა და 30 შეიარაღებული ჯარისკაცის თანხლებით მივიდა პარლამენტში და უბრძანა მის წევრებს დაეტოვებინათ იქაურობა. ცოტა ხნის შემდეგ დათხოვნილ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოც, სახელმწიფო საბჭო. ამგვარად „ნარჩენის“ დათხოვნასთან ერთად შეწყვიტა თავისი არსებობა ხანგრძლივმა პარლამენტმა, რომელიც 1640 წლიდან მოქმედებდა.

კრომველის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო გადატრიალებას მოსახლეობა მშვიდად შეეგება. არავინ გამოსულა „ნარჩენის“ დასაცავად. „ერთ ძაღლსაც კი არ დაუყეფია მათი წასვლის გამო“ ამბობდა მოგვიანებით კრომველი. და ამგვარი რეაქცია არც არის გასაკვირი. „ნარჩენის“ გარეკვით კრომველმა თავისუფლებისა და დემოკრატიაზე კი არ მოახდინა ძალადობა, არამედ დაამხო ის აბსოლუტურად გახრწნილი სისტემა, რომლის მესვეურებიც ინიღბებოდნენ დემოკრატიული ლოზუნგებით, სინამდვილეში კი ქვეყნის მართვის პრინციპად კორუფციას აქცევდნენ.

„ნარჩენის“ დაშლამ აღაფრთოვანა რადიკალურად განწყობილი ელემენტები. მათი აზრით ეს მოასწავებდა ათასწლოვანი[35] საუფლო სამეფოს დადგომას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საყოველთაო თანასწორობზე. უნდა ითქვას, რომ მათი იმედები არ იყო უსაფუძვლო. კრომველის მარჯვენა ხელი სახელმწიფო გადატრიალებაში ხომ ათასწლოვანი სამეფოს ერთ-ერთი აქტიური მომხრე გენერალ-მაიორი ჰარისონი იყო. ამგვარი იმედები კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც თავად კრომველის ინიციატივით და ხელმოწერით მოწვევა დაურიგდა 140 ადამიანს, რომლებიც შერჩეულ იქნენ როგორც მომავალი პარლამენტის დეპუტატები. ამ ადამიანთა უმრავლესობა წარმოადგენდა ულტრარადიკალურად განწყობილ პურიტანებს, რომლებსაც მათი რელიგიური

[35] მათ მილენარიებს (Millenarics) უწოდებდნენ, რაც წარმოსდგება სიტყვიდან Millenium და მიშნავს უფლის ათასწლოვან მეფობას ღედამიწაზე.

შემართებისათვის მეტსახელად წმინდანებსაც კი ეძახდნენ და რომლებსაც საზოგადოების მოწყობა სურდათ იმ დროისათვის ულტრადემოკრატიულ საფუძველზე. ეს ე.წ. მცირე ანუ როგორც კიდევ მას უწოდებდნენ ბერბონის[36] პარლამენტი შეიკრიბა 1653წ. ივლისში. მას მგზნებარე სიტყვით მიმართა კრომველმა, რომელმაც აღიარა, რომ „ნარჩენის" დაშლით ძალადობა ჩაიდინა, მაგრამ დასძინა, რომ ამის უფლებამოსილობა მას ჯარმა მისცა. ჯარი, რომელიც მოწოდებულია მახვილის მეშვეობით წესრიგი დაამყაროს ქვეყანაში მოუწოდებს ახალ პარლამენტს, რომ მართოს ქვეყანა ღვთისმოსავობისა და ღვთისმოშიშობის მეშვეობით. „თქვენ ღვთისგან ხართ მოვლენილი ქვეყნის სამართავად" - აღაფრთოვანა კრომველმა პარლამენტი.

ამგვარი პათოსით და საკუთარი მრწამსით აღტყინებული „წმინდანები" მართლაც დიდი ენერგიით შეუდგნენ ქვეყნის მართვა-გამგეობას. შემუშავებულ იქნა რიგი რეფორმებისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ პრეცედენტებზე აგებული ინგლისური სამართლის გამარტივებას, საეკლესიო მეათედის გაუქმებას, სამოქალაქო ქორწინების შემოღებას, პატრონატის სისტემის გაუქმებას, რომელიც საშუალებას აძლევდა მიწათმფლობელებს წარმოედგინათ კანდიდატები საეკლესიო თანამდებობებზე.

რა გამოხმაურება შეიძლება ჰქონოდა იმ დროისათვის ესოდენ რადიკალურ გარდაქმნებს? პირველ რიგში საინტერესოა თვით კრომველის, მოვლენათა მსვლელობის ამ ცენტრალური ფიგურის პოზიცია, რომელიც ფაქტიურად მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო. „იმ ხანად ამბობდა კრომველი, ყველას მიგვაჩნდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც ომი გამოიარეს და ამგვარი აზრებით იყვნენ განსჭვალული ყველაფერში ხელი ეწიფებოდათ და ყველაფერს ზედმიწევნით გააკეთებდნენ ისე, როგორც ეს საჭირო იყო. ასე ფიქრობდა ყველა, მეც ასე ვფიქრობდი და მით უარესი ჩემთვის." რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებში? პირველ რიგში ალბათ ამგვარი რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური იდეების მატარებელი ადამიანების, როგორც სახელმწიფო მოღვაწეების უწიფრობა. რადიკალების იდეები უდავოდ მიმზიდველად გამოიყურებოდნენ. მაგრამ იმ ხანად, მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურის და მისგან გამომდინარე მატერიალური დოვლათის დანაწილების პრინციპების პირობებში ამგვარი იდეები ძნელად განსახორციელებელი და ძნელად აღსაქმელიც კი იყვნენ. ეს იდეები მიუღებელი აღმოჩნდნენ მათთვის, ვინც იმ პირობებში თავის თავს განიხილავდა როგორც არსებული საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური სტრუქტურის საყრდენს. სწორედ ამიტომ ამ რეფორმების წინააღმდეგ გაილაშქრნენ იურისტები, სამღვდელოება და მიწათმფლობელები. უკმაყოფილება თავად კრომველს გადაედო. ეს ადამიანი, რომელიც ინგლისური ცნობიერებისათვის ისეთი დამახასიათებელი თვისებების ნაკრებს წარმოადგენდა, როგორებიცაა ფრთხილი რეალიზმი და ძლიერი გრძნობები, შექმნილ ვითარებაში სწორედ ამ თვისებებით ხალმძღვანელობდა. იგი ხვდებოდა, რომ აღნიშნული იდეების განხორციელება ქვეყნის შიგნით ახალ დაპირისპირებას გამოიწვევდა, ქვეყანას კი სიმშვიდე სჭირდებოდა. იყო რა აზნაური, კრომველს უბრალოდ არ შეეძლო არ ემოქმედა თავისი კლასის შიგნით გამეფებული ფასეულობების შესაბამისად. მას ყველაზე სწორად იმ დროისათვის არსებული საზოგადოებრივ ფენებად დანაწევრება მიაჩნდა. იგი გათანაბრების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. უფრო მეტიც, მას სწამდა, რომ ქონებრივი გათანაბრების პირობებში, ისინი, ვინც უწინ ქვედა საფეხურზე იდგნენ, აღზევების შემდეგ თავად იქცეოდნენ სიმდიდრის და ქონების თავგამოდებულ დამცველებად.

ამგვარმა ფრთხილმა და იმავდროულად საღმა შეფასებამ კრომველს საშუალება მისცა სწორად განეჭვრიტა სიტუაცია და მისულიყო დასკვნამდე, რომ პოლიტიკური ექსპერიმენტი არ წარმოადგენდა გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. საზოგადოება ჯერ არ იყო მზად ამგვარი ლიბერალიზაციისათვის. და სწორედ ამან გააბედვინა კრომველს მისი მტკიცე ხასიათიდან გამომდინარე, გადაედგა ნაბიჯი ერთმმართველობის დამყარებისაკენ. 1653წ. დეკემბერში პარლამენტმა, ჯარის სამეთაურო შემადგენლობის გარკვეული ზეწოლის შედეგად თვითონვე

[36] ბერბონი, დაბახანის მეპატრონე, პარლამენტის დეპუტატი.

გამოიტანა დადგენილება თვითდათხოვნის შესახებ და ძალაუფლება გადაულოცა მთავარსარდალს, ე.ი. კრომველს. 1653წ. 16 დეკემბერს მაღალი თანამდებობის სამხედრო თუ სამოქალაქო პირთაგან შემდგარმა დეპუტაციამ, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი ლამბერტი მიმართა კრომველს თხოვნით, მიეღო ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ლორდ-პროტექტორის (მფარველის) წოდება და ფუნქციები, რაც კრომველის ერთპიროვნული მმართველობის დამყარებას ნიშნავდა.

რესპუბლიკის დამხობას და დიქტატურის დამყარებას საზოგადოების მხრიდან დიდი პროტესტი არ მოყოლია. და ეს ერთობ კანონზომიერიც იყო. სამოქალაქო ომისა და მომდევნო პერიოდის მოვლენებმა გადატვირთა და დაქანცა საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება. „ნარჩენის" მოღვაწეობამ გამოიწვია რესპუბლიკური რეჟიმის დისკრედიტაცია. ყველაფერ ამას მოჰყვა საზოგადოების პოლიტიკური აპათია. ამიტომ გაუთავებელი პოლიტიკური ვნებათაღელვით დაქანცული ქვეყანა ადვილად მინებდა რკინისებრი ხასიათის ადამიანის ნებას, რომლის ძლიერ მკლავებშიც მას სიმშვიდის მოპოვების იმედი ჰქონდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას დიქტატურის ესოდენ ადვილად დამყარება. ეს მშვენივრად ესმოდა თავად კრომველს, რომელმაც ზუსტი შეფასება მისცა თავის ხელისუფლებას. „მე იმდენად სიკეთის გასაკეთებლად არ ვარ მოვლენილი, რამდენადაც მოსალოდნელი ბოროტების აღმოსაფხვრელად. მზად ვარ გემსახუროთ, როგორც შემეძლება, არა როგორც მეფე, არამედ როგორც კონსტებლი" (ე.ი. პოლიციელი-ივ.მ.).

რას წარმოადგენდა პროტექტორატი? ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო დოკუმენტში შემდეგი სათაურით „მართვის საშუალება" ლორდ-პროტექტორის ხელში თავმოყრილი იყო არნახულად დიდი ძალაუფლება. მას ემორჩილებოდა ჯარი და ფლოტი, იგი უფლებამოსილი იყო გამოეცა ბრძანებულებები და დაედო ხელშეკრულებები უცხო ქვეყნებთან. ლორდ-პროტექტორის ძალაუფლებას აძლიერებდა ისიც, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება თავმოყრილი იყო მის და პარლამენტის ხელში. მაგრამ პარლამენტის ფუნქცია, რომლის მოწვევაც განსაზღვრული იყო სამ წელიწადში ერთხელ და ისიც 5 თვით, შემოფარგლული იყო გადასახადების დაკანონების საკითხებით. ამგვარად, მას ფაქტიურად არ შესწევდა უნარი შეეზღუდა ლორდ-პროტექტორის ხელისუფლება. პარლამენტში წარმოდგენილი იყო 400 დეპუტატი ინგლისიდან, 30-შოტლანდიიდან და ამდენივე ირლანდიიდან. აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო ლორდ-პროტექტორისა და სახელმწიფო საბჭოს ხელში, ეს უკანასკნელი შედგებოდა საჯარისო საბჭოს მიერ დანიშნული წევრებისაგან, რვა სამხედრო და რვა სამოქალაქო პირისაგან. ხელისუფლების მთავარ ფიგურას რასაკვირველია ლორდ-პროტექტორი წარმოადგენდა. მაგრამ მას მუდმივად უხდებოდა ორ დაპირისპირებულ ძალას შორის წონასწორობის დაცვა. ესენი იყვნენ სამხედროები და პარლამენტი. პირველი ძალაუფლების რეალურ დასაყრდენს წარმოადგენდა, რადგანაც იყო შუალედური რგოლი ჯარსა (რიგითებს) და ლორდ-პროტექტორს შორის. მეორის ხელში იყო ფინანსები, კერძოდ კი გადასახადების დაწესების უფლება. ფულს კი პროტექტორი მუდმივად საჭიროებდა. ეს გამოწვეული იყო იმ ხარჯებით, რომლებიც უნდა მოხმარებოდა მრავალრიცხოვან ჯარს და საპოლიციო აპარატს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, კერძოდ ომებს და ხელისუფლების უსაფრთხოების შენარჩუნებას. კრომველი ორივე სტრუქტურას არ მიიჩნევდა ბოლომდე საიმედოდ. როგორც ჯარის სამეთაურო შემადგენლობაში, ასევე პარლამენტში იყვნენ რესპუბლიკის მომხრეები, ხოლო პარლამენტის დეპუტატთა შორის კი ზოგჯერ შენიღბული როიალისტებიც კი. საერთოდ პარლამენტი ერთობ ოპოზიციურად იყო განწყობილი პროტექტორატის მიმართ, რის გამოც ორჯერ მოწვეული პარლამენტი, ორივეჯერ იქნა დათხოვნილი. პროტექტორატის რეჟიმის გაძლიერების მიზნით კრომველს 1657წ. შესთავაზეს მეფის წოდების მიღება და ზედა, ლორდთა პალატის შექმნა. ლორდ-პროტექტორმა უარყო პირველი, მაგრამ მიიღო მეორე წინადადება. მის საფუძველზე შეიქმნა ლორდთა ახალი პალატა, რომელიც 63 წევრს ითვლიდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ კრომველის ოჯახის წევრები, საჯარისო შენაერთების მეთაურები, გადამდგარი ოფიცრები და საშუალო შეძლების ჯენტლმენებიც კი. ძველი ლორდთა პალატის წევრთა უმრავლესობამ უარი თქვა ახალი პარლამენტის წევრობაზე.

ამრიგად, ლორდთა ახალმა პალატამ თავის დანიშნულება ვერ გაამართლა, მით უმეტეს, რომ თემთა პალატამ თავიდანვე შეიტანა ეჭვი მის სტატუსში.

მიუხედავად იმისა, რომ პროტექტორატს უტევდნენ როგორც როიალისტები, ასევე რესპუბლიკელები, რეჟიმი მაინც გამოირჩეოდა გარკვეული მდგრადობით. რით იყო ეს განპირობებული? პირველ რიგში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პროტექტორატი დიქტატურაა და დიქტატორული რეჟიმის განკარგულებაში კი იყო და არის მართვის საგანგებო მეთოდები. სწორედ ასეთს წარმოადგენდა გენერალ-მაიორთა სისტემა. 1655წ. როდესაც გახშირდა რადიკალი სექტანტებისა და როიალისტების გამოსვლები კრომველმა ქვეყანა დაყო 11 სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად, რომელთა სათავეში დააყენა გენერალ-მაიორები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იყო თანამდებობა და არა სამხედრო წოდება). ძირითადში ესენი იყვნენ საპარლამენტო არმიის მეთაურები ლამბერტი, სკიპონი, ჰოფი და სხვ. გენერალ-მაიორები სასტიკად ახშობდნენ რეჟიმით გამოწვეულ ნებისმიერ უკმაყოფილებას. განსაკუთრებით იდევნებოდნენ როიალისტები რომლებსაც მძიმე გადასახადის გადახდა ეკისრებოდათ (შემოსავლის 10%). პროტექტორის ქვეშევრდომთა პრაქტიკულად ნებისმიერ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა საიდუმლო პოლიცია, რომელსაც მეთაურობდა ჯონ ტერლო. მაგრამ გენერალ-მაიორების მიერ გატარებული კურსის სიმკაცრე მეტისმეტად შორს წავიდა რამაც აიძულა ხელისუფლება ორი წლის შემდეგ გაეუქმებინა ეს სისტემა.

მართალია, კრომველს ზოგჯერ ხიშტებზე ჩამომჯდარ ადამიანს უწოდებდნენ, მაგრამ მის განკარგულებაში უდავოდ იყო ხიშტებს გარდა კიდევ სხვა საშუალებები, რაც სიცოცხლისუნარიანს ხდიდა პროტექტორატის რეჟიმს. მართალია პროტექტორატის კონსტიტუცია ძალზე შორს იდგა იმ პრინციპებიდან, რომლებსაც დისენტერი ლეველერები და დიგერები ქადაგებდნენ, მაგრამ კრომველმა შესძლო შეექმნა ის სულიერი გარემო, რომელიც გარკვეულწილად აკმაყოფილებდა რადიკალური პურიტან-დისენტერების იდეალებს და საზოგადოების ფართო ფენებს უქმნიდა ათასწლოვანი საუფლო მონარქიის ილუზიას. ამგვარი ნაბიჯი გადაიდგა მკაცრი, ძველი აღთქმისეული ზნეობრივი ნორმების დანერგვით, რომელსაც ესოდენ ეტრფოდნენ პურიტანები. საზოგადოებრივმა წესრიგმა სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათი მიიღო. პურიტანებმა ვერ გაათანაბრეს ქონება, მაგრამ მიაღწიეს საზოგადოებრივი ნორმების და ზნეობის გათანაბრებას, რაც სჩვევია რევოლუციურ რეჟიმებს. აიკრძალა გართობა და სანახაობები, დაიხურა თეატრები და სამიკიტნოები, სპეციალური. დადგენილებებით იდევნებოდა თავშეყრები გართობის მიზნით. ცოლქმრული ღალატი სიკვდილით ისჯებოდა. აიკრძალა აზარტული თამაშები, ხოლო გენერალ-მაიორებმა კვირა დღეს დასვენების მიზნით გასეირნებაც კი აკრძალეს. გართობის ერთადერთ საშუალებად კვირა დღეს სახლში ყოფნა და ფსალმუნების მღერა იქნა მიჩნეული. ტიუდორების დროის ძველი, მხიარული ინგლისი მკაცრ, პირქუშ სამყაროდ გადაიქცა, სადაც მოხდენილად ჩაცმასაც კი ვერავინ ბედავდა. პურიტანები სრულიად დაეპატრონნენ ქვეყნის სულიერ სამყაროს და ამიტომ პროტექტორატის ხანას ხშირად წმინდათა ბატონობასაც კი უწოდებდნენ. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ ამასთან ერთად ზნეობრივი გამკაცრება შეეხო საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს; მათ ვინც აყალ-მაყალს სტეხდა, მეძავეებს, ქურდებს. უმნიშვნელო ქურდობაც კი სიკვდილით ისჯებოდა. ასე რომ ამგვარმა მომენტმა ხელი შეუწყო რეჟიმის მხარდაჭერას პურიტანთა წრეების მხრიდან.

მაგრამ პროტექტორატს მხოლოდ „წმინდანთა" სულიერი უპირატესობისათვის არ მიუცია ბიძგი. ლორდ-პროტექტორის ძლევამოსილმა საგარეო პოლიტიკამ ინგლისს უპირატესობა მოუტანა მთელ რიგ ქვეყნებზე. ამით დაკმაყოფილებულ იქნენ როგორც გაბატონებული ფენა, რომელმაც ომებისაგან უშუალო მოგება მიიღო და ასევე მოსახლეობის ფართო წრეები, რომლებმაც ომების შედეგად დაინახეს, თუ რა უპიტარესობა შესძინა მათ ქვეყანას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ლორდ-პროტექტორის ხელისუფლებამ. 1654წ. კრომველმა წარმატებით დაასრულა ჯერ კიდევ 1652წ. დაწყებული საზღვაო ომი ჰოლანდიასთან, რამაც აიძულა ჰოლანდიელები დამორჩილებოდნენ სანავიგაციო (ზღვაოსნობის) აქტის გადაწყვეტილებებს. ამან არნახული

უპირატესობა მისცა ინგლისის ფლოტსა და საგარეო ვაჭრობას. დაიდო ინგლისისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებები პორტუგალიასთან, დანიასთან და შვეციასთან. ინგლისმა დაიწყო ომი ესპანეთთან რომელიც უკრძალავდა ინგლისელ ვაჭრებს მის კოლონიებში ვაჭრობას. ეს ომი ინგლისის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც დამარცხებულ ესპანეთს წაართვა კუნძული იამაიკა, შაქრის ლერწმის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი. ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისელებმა განდევნეს აკადიიდან (მომავალი კანადის ჩანასახი) ფრანგები და დაეპატრონნენ მას. ევროპაში საფრანგეთის მხარდაჭერისათვის ესპანეთან ომში ინგლისელებმა დიუნკერკი მიიღეს.

მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად შეიძლებოდა თქმა, რომ ხელისუფლება ლორდ-პროტექტორის პიროვნების, მისი დიდი სამხედრო და ადმინისტრაციული ნიჭის წყალობით არსებობდა. „წმინდანების" სულიერი დესპოტიზმი მძიმე უღელივით აწვა საზოგადოებას, ხოლო გენერალ-მაიორები და მათი შეზღუდვები, იმათ გულისწყრომას იწვევდნენ, ვინც ესოდენ მინდობილი იყო ძველ, ტრადიციულ ყოფას, რომლის დროსაც რასაკვირველია არ სუფევდა საყოველთაო კეთილდღეობა, მაგრამ სამაგიეროდ შესაძლებელი იყო მცირედი განმუხტვა კათხა ლუდის და რაიმე სანახაობის მეშვეობით. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ 1658წ., მრისხანე ლორდ-პროტექტორის გარდაცვალებისთანავე პროტექტორატის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თითქოსდა დამთხვევის წყალობით, თვით ოლივერ კრომველის ვაჟი, რიჩარდი, რომელიც მამის სიცოცხლეშივე გამოცხადდა მის მემკვიდრედ, არაფრით არ წააგავდა თავის დიდ მამას და არა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის, არამედ სოფლის ჯენტლმენის მშვიდი და მაძღარი ცხოვრებისათვის უფრო იყო მოწოდებული. მისდა საბედნიეროდ რიჩარდ კრომველი თავად მიხვდა, რომ არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას და სულ მალე გადადგა გენერლების ზეწოლის შედეგად. შექმნილ სიტუაციაში რეალური ხელისუფლება კვლავ სამხედროების ხელში აღმოჩნდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჯარის სარდლებში არ იყო ერთსულოვნება. გენერლების ნაწილი (ლამბერტი, ფლიტვუდი) რომლებიც სარდლობდნენ ლონდონში განლაგებულ შენაერთებს მხარს უჭერდნენ რესპუბლიკის მაგვარ მმართველობას, რისთვისაც მათ შექმნეს ე.წ. „უშიშროების კომიტეტი." მაგრამ შოტლანდიაში განლაგებული ნაწილების სარდალი, გენერალი ჯორჯ მონკი (ყოფილი როიალისტი, რომელიც მერე პარლამენტის ბანაკში გადაბარგდა) მხარს უჭერდა მონარქიის რესტავრაციას, ხოლო გაცილებით ცუდ მდგომარეობაში მყოფ მის ჯარისკაცებს მაინც და მაინც არ უყვარდათ ლონდონში დაბანაკებული გენერლები. შექმნილ ვითარებაში მონკი სწრაფად დაიძრა ლონდონისაკენ, დაიკავა დედაქალაქი, დააპატიმრა გენერალი ლამბერტი და მოიწვია „ნარჩენი." პარლამენტმა კი თავის მხრივ უარი თქვა პოლიტიკურ ექსპერიმენტებებზე და მიმართა მმართველობის ძველ, ნაცად ხერხს, მონარქიას. მოწვევა გაეგზავნა ემიგრაციაში მყოფ ჩარლზ I ვაჟს ჩარლზს, რომელიც 1660წ. დაბრუნდა ინგლისში და ტახტზე ავიდა ჩარლზ II სახელით. ამრიგად 11 წლიანი შესვენების შემდეგ ინგლისში კვლავ აღდგა მონარქია.

ექვსი ათეული წლის მანძილზე ინგლისში ბევრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილება მოხდა. ინგლისელებმა გამოსცადეს პარლამენტის გარეშე მმართველობა, მათ თვალწინ სიკვდილით დასაჯეს კენტერბერის არქიეპისკოპოსი, ომი გამოუცხადეს მონარქიას, თავი მოკვეთეს მეფეს, გააუქმეს ლორდთა პალატა, გამოაცხადეს რესპუბლიკა, ხოლო შემდეგ კი ერთპიროვნული მმართველობა. რასაკვირველია ეს მოვლენები ინგლისელების ხელით განხორციელდა. რაც მთელი ამ ხნის მანძილზე მათი ცნობიერების ევოლუციაზე მიუთითებს. ხოლო ეს ევოლუცია გამოიხატება არა მარტო აღნიშნული პოლიტიკური მოვლენებით, არამედ ძალზე მრავალფეროვანი კულტურული შემოქმედებით, რომლის სხვადასხვა ნიმუშები შუქს ფენდნენ იმ დროის ვნებათაღელვას.

როგორი იყო ზემოაღნიშნული პერიოდის კულტურული ცხოვრება? დრამატურგია და პოეზია, რომლებიც „ოქროს ხანის" მშვენებას წარმოადგენდნენ, კვლავ აღმავლობას განიცდიდნენ. სწორედ იმ პერიოდში შექმნა შექსპირმა „ჰამლეტი", „ოტელო" და „მაკბეტი". რეალიზმს მიმდევარი ბენ ჯონსონი და ჰეივუდი კვლავ თანამედროვე საზოგადოების ზნე-ჩვეულებების და მათი ავ-კარგიანობის წარმოჩენით და გაკიცხვით იყვნენ დაკავებული. ცოტა მოგვიანებით პოეზიაში შეიქმნა ახალი მიმდინარეობა, ე.წ. მეტაფიზიკური პოეზია, რომელიც აღსავსე იყო მკაცრი, პროზაული

მსჯელობით და რომელსაც საფუძვლად ედო ყოფიერების შესაბამისი გააზრება. ის თითქოსდა ეხმაურებოდა იმ ერთგვარად ასკეტურ შინაგან ძიებას, რომელიც დამახასიათებელი იყო პურიტანული ცნობიერებისათვის. მთლიანობაში როგორც დრამატურგია, ისე პოეზია ერთობ რთული გამოცდის წინაშე იდგნენ. მათ (განსაკუთრებით პირველის) წინააღმდეგ ილაშქრებდნენ პურიტანები, რომელთა ერთ-ერთი აქტიური მქადაგებლის, დოქტორ უილიამ პრინის სიტყვით თეატრი იყო ცოდვა, ეშმაკის ზეობა. ამიტომაც პურიტანები სასტიკად ილაშქრებდნენ თეატრის, მათ შორის სამეფო კარის თეატრის წინააღმდეგ, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ჯეიმს I მეუღლე დედოფალი ენი (ანა) და მისი სეფე ქალები. მაგრამ შეტევების მიუხედავად ინგლისურმა პოეზიამ მაინც შეინარჩუნა აღორძინების დროინდელი პეწი, რაც მკაფიოდ წარმოჩნდა ენდრიუ მარველის პოეზიაში, რომელიც ერთნაირი ოსტატობით ხატავდა როგორც პურიტანების სულიერ განცდებს, ასევე ბუნების მარადიულ მშვენიერებას. სულ უფრო და უფრო მოძალებული პურიტანული ასკეტობა ხელს ვერ უშლიდა რობერტ გერიკს ხოტბა შეესხა ქალის გარეგნული მშვენიერებისათვის და ყოფიერების არსად მარადიულ გრძნობებზე დამყარებული ბედნიერება მიეჩნია.

სტიუარტების ხანაში ინგლისურმა ხელოვნებამ და მეცნიერებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, თუმცა ეს ორივე მონარქის თანაბარ დამსახურებად არ უნდა ჩაითვალოს. თუკი ჯეიმს I უფრო ცხენებით იყო დაინტერესებული და თავს ლაღად საჯინიბოში გრძნობდა, ჩარლზ I ხელოვნების მოყვარულად ჩამოყალიბდა და მეცენატის როლში გამოდიოდა. მისი მეფობის პერიოდში ინგლისში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოიტანეს საუკეთესო ტილოები. მის მიერვე ინგლისში მოწვეულ იქნენ იმ დროის ფერწერის ისეთი აღიარებული დიდოსტატები როგორებიც იყვნენ ფლანდრიელი პეტერ პაულ რუბენსი და ჰოლანდიელი ანტონის ვან დეიკი. ამ ორი ცნობილი მხატვრის და მათი თანამამემამულეების შემოქმედება ინგლისში მიუთითებს იმაზე, რომ ინგლისელები კვლავინდებურად უთმობდნენ პირველობას კონტინენტის ოსტატებს, თუმცა მოგვიანებით ინგლისელთა წრეში გამოჩდნენ მხატვრები, რომლებმაც ეროვნულ ნიადაგზე შესძლეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნა. დობსონის, კუპერის, უოკერის ტილოები პორტრეტულ ჟანრს განეკუთვნებიან, რომელიც ესოდენ ტრადიციული იყო ინგლისური ფერწერისათვის. მათ მიერ შექმნილი მათი თანამედროვეთა პორტრეტები, რომლებიც გამოსახავდნენ ცნობილ კარისკაცს სერ ენდიმიონ პორტერს, რევოლუციის თვალსაჩინი მოღვაწეებს ოლივერ კრომველს, ჰენრი აირტონს, აღსავსეა პიროვნებისა და ეპოქის სულისკვეთებით.

ფერწერის მსგავსად ხუროთმოძღვრებაშიც ინგლისელები კონტინენტზე გავრცელებულ პრინციპებს მიყვებოდნენ კვალში. XVIIს. პირველი ნახევარის ყველაზე დიდ ინგლისელ ხუროთ-მოძღვარს წარმოადგენდა ინიგო ჯონსი, რომლის ყველაზე ცნობილი ნაგებობაა იტალიური არქიტექტურის გავლენით შექმნილი ბენქუეტინგ ჰაუსი, რომლის დარბაზები რუბენსმა მოხატა. ბენქუთინგ ჰაუსისაგან განსხვავებით, მისივე აგებული ჰათვფილდ ჰაუსი და გრინვიჩ ჰაუსი მკაცრი, კლასიკური ხუროთმოძღვრების სტილს განეკუთვნებიან.

გარკვეული წარმატებებით აღინიშნება მუსიკის სფეროც. აქ პირველობა სიმებიან საკრავს, კერძოდ მუღნს ენიჭება. ამ საკრავის ევროპული მასშტაბის დიდოსტატად ითვლებოდა ჯონ დოვლენდი. მუსიკას მუღნისათვის წერდა პოეტი თომას კემპიონი. მეორე პოპულარული სამუსიკო ჟანრს წარმოადგენდა ვირჯინელის (კლავიშებიანი საკრავი) მუსიკა, რომლის ოსტატად ითვლებოდა ჯონ ბული, მუსიკის პირველი პროფესორი გრეშემ კოლეჯში. ამ პერიოდშივე შეიქმნა ინგლისური საკლავირო მუსიკის პირველი კრებული, რომლის ავტორი იყო უელსელი მუსიკოსი ფრენსის ტრეჯიანი.

თუკი ხუროთმოძღვრებასა და ფერწერაში ინგლისელები კონტინენტზე შექმნილი იდეების მიმდევრებად გამოდიოდნენ, თეორიული და გამოყენებითი მეცნიერებების რიგ დარგებში ისინი მოწინავე პოზიციებზე აღმოჩდნენ. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია შესანიშნავი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი, რომელმაც მეცნიერებში ექსპერიმენტი და ინდუქციური აზროვნების პრინციპი დანერგა. მნიშვნელოვანი იყო ინგლისელთა მიღწევები ზუსტი მეცნიერებების დარგში, რომლებიც

ერთობ ფართოდ გამოიყენებოდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათემატიკოსმა ჯონ ნეპირმა კალკულატორის მსგავსი ხელსაწყო შექმნა. ასტრონომიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიგსმა, ჰარისონმა და გილბერტმა. მედიცინის დარგში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჰარვის მიერ სისხლის მიმოქცევის სისტემის აღმოჩენას. მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო საგანმანათლებლო სისტემისა და ბეჭდვითი სიტყვის ერთობ მაღალი დონით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ჩარლზ I და კენტერბერის არქიეპისკოპოსის ლოდის დამსახურება, რომელთა პირადი განკარგულებითაც ოქსფორდის უნივერსიტეტს მიენიჭა არა ერთი პრივილეგია, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მისი ბიბლიოთეკის ფონდების ზრდას და საგამომცემლო საქმის განვითარებას.

აბსოლუტიზმის წინააღმდეგ დაწყებულმა ბრძოლამ ბიძგი მისცა პუბლიცისტიკის განვითარებას. ჯეიმს I უჩიოდა კიდეც იმ დროის ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ კარის და პოლიტიკური ცხოვრების ყველა წვრილმანის გამოაშკარავებას და გაკრიტიკებას. სამოქალაქო ომის დროს როგორც კავალერები, ასევე მრგვალთავიანები თავის პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდნენ ინფორმაციას საომარი მოქმედებების მსვლელობის შესახებ. თავად სამოქალაქო ომმა უბიძგა საზოგადოებას გაერკვია მისი გამომწვევი მიზეზები, დამოკიდებულება კლასთა შორის, ხელისუფლების წარმოშობის სათავეები და მმართველობის ოპტიმალური ფორმები. ამგვარი გააზრების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თომას ჰობსის „ლევიათანი", ტრაქტატი სახელმწიფოს შესახებ, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვანი შენაძენია. დგას რა როიალიზმის პოზიციებზე, ჰობსი მონარქიის მომხრედ გვევლინება და საზოგადოებრივი ანარქიის თავიდან ასაცილებელ საშუალებას ძლიერ, ყოვლისმპყრობელ სახელმწიფოში ხედავს.

პურიტანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და გაბატონების პარალელურად საინტერესო ცვლილებებს განიცდიდა საზოგადოების ცნობიერება. თუკი თავდაპირველად პურიტანობა თავს იჩენდა ჩაცმა-დახურვის სისადავეში, მორიდებულ, მაღალზნეობრივ ქცევაში, მოგვიანებით, მისი ზეობის პერიოდში მან შეურიგებელი და ფანატიკური ხასიათიც კი შეიძინა. სამწუხაროდ ყველაფერმა ამან რევოლუციის გარკვეულ ეტაპზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნგრევაც კი მოიტანა. პურიტანული იდეოლოგიით შეპყრობილი „წმინდანები" ანგრევდნენ და არბევდნენ ტაძრებს, სასახლეებს. ისთ ენგლიაში ექვს კვირაში 150 ეკლესია იქნა დანგრეული. ჰენრი VIII და ელიზაბეთ I საყვარელ სასახლეში, გრინვიჩ პელისში დაამტვრიეს მუსიკალური საკრავები, გაანადგურეს სურათები და საერო ხასიათის წიგნები, ხოლო თავად სასახლე ფურნედ აქციეს. განადგურება ელოდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ცნობილ ბოდლის ბიბლიოთეკას, მაგრამ იგი გენერალმა ფერფაქსმა გადაარჩინა, ხოლო შემდგომ მისი მთავარი მფარველი თავად კრომველი გახდა.

აი ამგვარი მოვლენებით იყო აღსავსე ინგლისის კულტურული ცხოვრება XVIIს. ექვსი ათეული წლის მანძილზე. მისი შესწავლა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აღმშენებლობა, წინააღმდეგობები და ხშირად ნგრევა ნებისმიერი ქვეყნის ისტორიული განვითარების შეუქცევადი პროცესის შემადგენელი ნაწილები არიან.

სტიუარტების რესტავრაცია და დიადი[17] რევოლუცია. კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბება ინგლისში

„1660 წ. 26 მაისს ჩარლზ II სტიუარტი ზარ-ზეიმით შევიდა ლონდონში. საზეიმო მიმართვაში პარლამენტის სპიკერმა მონარქიის აღდგენა განგების ნების აღსრულებად მონათლა. როგორც დედაქალაქში, ასევე ქვეყანაში მთლიანად ხალხის უმრავლესობა რესტავრაციას დადებითად შეეგებ-

[17] აღნიშნულ შემთხვევაში ეფიქრობთ, რომ სიტყვას „Glorious, რომელიც იხმარება ინგლისურენოვან ისტორიოგრაფიაში და ნიშნავს „სახელოვანს" უფრო შეეფერება ტერმინი „დიადი".

რასაკვირველია, მონარქიის აღდგენის მოწინააღმდეგეები წარმოადგენდნენ გარკვეულ ძალას და მათ ჰქონდათ თავისი სამოქმედო პროგრამა. კერძოდ, დისიდენტი — ანაბაპტისტები მეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ, რათა ათასწლოვანი საუფლო სამეფო დაემყარებინათ. არც კრომველის ვეტერანები იყვნენ კმაყოფილი მომხდარით. ბრძოლებში გამობრძმედილი რესპუბლიკელები პირქუშად შეჰყურებდნენ ლონდონში შემომავალ მრავალრიცხოვანი კავალერის მსვლელობას. ნაწილი ვეტერანებისა მზად იყო მიმხრობოდა ულტრარევოლუციურად განწყობილ დისიდენტებს და აღედგინათ რესპუბლიკური წყობა.

მაგრამ მთლიანობაში დემოკრატიულ ძალთა შორის აღარ იყო ერთსულოვნება და შემართება. ისინი აღარ აკონტროლებდნენ სიტუაციას, როგორც ეს იყო 40-50-იან წლების მიჯნაზე. სიტუაციას დედაქალაქის მოსახლეობის ზედა ფენები და სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოთა თავადაზნაურობა ფლობდა. მართალია, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიცია სწორედ პროტექტორატის დროს განმტკიცდა, მაგრამ კრომველის გარდაცვალებამ ახალი პოლიტიკური დასაყრდენის საჭიროება გამოიწვია. ქონების გადანაწილების შედეგად შექმნილ სიტუაციას სტაბილურობა სჭირდებოდა. სტაბილურობის გარანტად კი სტიუარტები იქნენ მიჩნეული.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ. „წმინდანების" ბატონობა, უამრავი აკრძალვა, რაც თან მოყვა პურიტანული მორალის დამკვიდრებას, საბოლოო ჯამში მიუღებელი აღმოჩნდა ინგლისისათვის. პურიტანობა, როგორც ყველა ის იდეოლოგია, რომელიც ზნეობის გარდაქმნას ისახავს მიზნად, თავის არსით ტირანიის მატარებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ გადამეტებული სიმკაცრით გადაღლილი საზოგადოება გარკვეული ხალისით შეეგება ახალ ხელისუფლებას, რომელიც მისი იმედით, უფრო ლმობიერი უნდა ყოფილიყო. ხალხი, რომელმაც ჩარლზ I სიკვდილით დასჯის შემდეგ ლონდონში სამეფო ბირჟის წინ მდგარი მისი ქანდაკება დაამხო და მის ადგილას წარწერა გააკეთა „ძირს ტირანები", 1660 წ. 26 მაისს ლონდონის ქუჩებში გაიძახოდა, „ღმერთმა დალოცოს მეფე ჩარლზ II!" ამრიგად, ტახტზე კვლავ სტიუარტები აღმოჩნდნენ ჩარლზ II (1660-1685 წწ.) სახით.

მონარქიის აღდგენა არ იყო მხოლოდ ემიგრანტი უფლისწულის და მისი თანმხლები თავადაზნაურების კონტინენტიდან ინგლისში დაბრუნება და უაიტჰოლზე[38] განლაგება. ინგლისში დაბრუნებამდე, 1660 წ. აპრილში, ჰოლანდიაში, ქ.ბრედაში მყოფმა ჩარლზმა გენერალ მონკის რჩევით გამოსცა დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი იყო ვალდებულებები, რომლებსაც მომავალი მეფე იღებდა სამშობლოში დაბრუნების წინ. ეს ე.წ. ბრედას დეკლარაცია ითვალისწინებდა შემდეგს: პოლიტიკურ ამნისტიას სამოქალაქო ომში მონაწილეთათვის, აღმსარებლობის თავისუფლებას და რევოლუციის დროს შეძენილი ქონების ხელშეუხებლობას.

ამავე დეკლარაციის თანახმად მეფე უარს ამბობდა გადასახადების დაწესებაზე პარლამენტის თანხმობის გარეშე, ხოლო მას და მის სამეფო საბჭოს არ ჰქონდათ ვინმეს დაპატიმრების, გასამართლებისა და დასჯის უფლება. მეფეს არ ჰყავდა მუდმივი ჯარი. მის განკარგულებაში იყო მხოლოდ 3 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც უფრო პირადი დაცვის ფუნქციებს ასრულებდა. არც სამეფო მიწების აღდგენა მოხდა. პრაქტიკულად მიწის საკუთრების გარეშე მყოფი მეფე მთლიანად სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებოდა. ამ მხრივ ჩარლზ II მთლიანად პარლამენტზე იყო დამოკიდებული, რომელმაც მეფისა და მისი კარის ხარჯების დასაფარავად ყოველწლიურად გამოყო 1200 გირვანქა სტერლინგი. ამრიგად, შეიქმნა იმის გარანტიები, რომ ტახტზე აღდგენილი მეფე ვერ გადაამეტებდა თავის უფლება-მოვალეობას.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობა სხვანაირად წარიმართა, რაც შემდეგი მიზეზით აიხსნება. ჯერ ერთი, ემიგრაციაში ხანგრძლივად ყოფნამ მეფეც და მისი თანმხლები კავალერები არნახულად დაახარბა ხელისუფლებას. ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე ხან ერთი, ხან მეორე ევროპული ქვეყნის კარს აფარებდნენ თავს, და საკუთარი უფლების მთავარ მიზეზად ინგლისში დარჩენილ მეამბოხეებსა და მეფის მკვლელებს მიიჩნევდნენ, არ შეიძლებოდა ლმობიერი განწყობით დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. კავალერებს შურისძიება სწყუროდათ. გასათვალისწინებელია თავად ჩარლზ II პიროვნებაც. გარეგნულად უდარდელი, ფუქსავატი ცხოვრების მიმდევარი, იგი იმავდროულად დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ძალაუფლების საკითხს, ოდნავადაც არ თმობდა თავის პრინციპებს და უნარი შესწევდა ნებისმიერი მოვლენა გამოეყენებინა თავისი მიღწევების შესანარჩუნებლად.

---

[38] ქუჩა ლონდონში, სადაც იმ დროს იმავე სახელწოდების სამეფო რეზიდენცია იყო განლაგებული.

ყველაფერთან ერთად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა 1661 წ. მოწვეულ პარლამენტში. მასში დეპუტატთა უმრავლესობას კავალერები შეადგენდნენ. ესენი ძირითადად იყვნენ იმ დიდგვაროვანთა შვილები, რომელთა მამები სამოქალაქო ომში მეფის ჯარში იბრძოდნენ, რის გამოც მათი როიალისტური მისწრაფებები უკიდურეს ზომამდე იყო მისული.

ამგვარად განწყობილმა მეფემ და კავალერებმა შეიძლება ითქვას დაბრუნებისთანავე დაიწყეს კონტრრევოლუციური ტერორის განხორციელება. ბრედას დეკლარაციის დარღვევა პოლიტიკური ამნისტიის გარანტიის გაუქმებით დაიწყო. ჩარლზ II ლონდონში დაბრუნებისთანავე გააკეთა განცხადება, რომ ამნისტია არ შეეხება მეფის მკვლელებს", ანუ ჩარლზ I სასამართლო ტრიბუნალის წევრებს. სიკვდილით იქნენ დასჯილი ამ სასამართლოს ცოცხლად დარჩენილი წევრები, მათ შორის გენერალი ჰარისონი, ათასწლოვანი საუფლო სამეფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მქადაგებელი, რომელიც სასტიკად აწამეს. სიკვდილით დასაჯეს სერ ჰენრი ვენი უმცროსი, თუმცა იგი თავისი რესპუბლიკელობის მიუხედავად, მეფის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. განადგურებულ იქნა, მილენარიების სექტა, რომლებმაც 1661 წ. ლონდონში შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს. ტერორი მიცვალებულებსაც კი შეეხო, საფლავებიდან ამოიღეს კრომველის, აირტონის, ბრედშოს გახრწნილი გვამები და სახრჩობელებზე ჩამოკიდეს. შემდეგ კი მათ თავები მოკვეთეს, რომლებიც უესტმინსტერზე გამოფინეს.

დაახლოებით ამგვარი იყო ჩარლზ II პოლიტიკა რელიგიის სფეროშიც. თავდაპირველად მეფე, რომლის დაბრუნებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პრესბიტერიანებმა, მათ მიმართ გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვან თანამდებობაზეც კი დანიშნეს. ანგლიკანთა დ პრესბიტერიანთა გაერთიანების გეგმაც კი დაისახა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ურთიერთდათმობების ხარჯზე ზოგიერთი დოგმატის სფეროში. მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. სრულად იქნა აღდგენილი ანგლიკანური ეკლესიის უფლებები და პრივილეგიები. ამასთან ერთად მთავრობამ დაიწყო სხვა საეკლესიო მიმდინარეობების, მათ შორის პრესბიტერიანების შევიწროვება.

1662 წ. გამოიცა კანონი ერთგვაროვნების შესახებ (Act of Uniformity), რომელიც მოითხოვდა ყველა ღვთისმსახურისაგან ანგლიკანური ეკლესიის დებულებებისადმი მორჩილებას, რამაც აიძულა 2 ათასი პრესბიტერიანი და ინდეპენდენტი ღვთისმსახური დაეტოვებინა თავისი თანამდებობა. იმავე წელს მიღებულ იქნა კანონი კორპორაციათა შესახებ, რომლის თანახმად ნებისმიერი პირი, რომელიც აპირებდა რაიმე თანამდებობის დაკავებას, ვალდებული იყო ერთგულების ფიცი დაედო ანგლიკანური რიტის შესაბამისად.

1664 წ. აიკრძალა ყველა ღვთისმსახურება ანგლიკანურის გარდა. ამ კანონის დამრღვევნი ჯერ დაპატიმრებას, ხოლო ორგზის დარღვევისას ამერიკულ კოლონიებში გადასახლებას ექვემდებარებოდნენ. ფიცის მიუღებელ, ანუ ნონკონფორმისტ (Nonconformists) ღვთისმსახურებს ეკრძალებოდათ რომელიმე დასახლებულ პუნქტთან 5 მილზე ახლოს მიახლოვება. ამ კანონების ცხოვრებაში გატარებამ უამრავი ნონკონფორმისტი ღვთისმსახურის თუ მასწავლებლის დაპატიმრება გამოიწვია. კავალერებს საერთოდ უნდოდათ ბრედას დეკლარაციის გაუქმება, მაგრამ ჩარლზ II, რომელიც გულის სიღრმეში კათოლიკე იყო, მაინც არ წავიდა ამ ნაბიჯზე, რადგან გრძნობდა, რომ ეს ახალ სამოქალაქო ომს გამოიწვევდა.

ძველი რევოლუციონერების და ნონკონფორმისტების დევნა დიდი დარტყმა იყო თავისუფლების პრინციპებისათვის. თავისი პოზიციის სრული განმტკიცებისათვის სამეფო ხელისუფლებას ესაჭიროებოდა რევოლუციის შედეგად შექმნილი ქონებრივი ურთიერთობების სრული გადასინჯვა, რათა აღედგინა კავალერების, როგორც წამყვანი მიწათმფლობელთა კლასის მდგომარეობა, ამით მეფის ხელისუფლება შექმნიდა თავისათვის მტკიცე სოციალურ-ეკონომიკურ დასაყრდენს.

რევოლუციის ეკონომიკურ მონაპოვრებთან ბრძოლა გაცილებით რთული აღმოჩნდა. მართალია, რესტავრაციის შემდეგ კავალერებმა შესძლეს რევოლუციის დროს ჩამორთმეული მიწების გარკვეული რაოდენობის დაბრუნება, მაგრამ ამ პროცესებმა ვერ მიიღო საყოველთაო ხასიათი. ძალზე უჭირდათ მიწების დაბრუნება იმ კავალერებს, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებული სამეფო კართან, ასეთები კი როიალისტების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ.

არ დაუბრუნდათ კავალერებს კომპოზიციების[39] გადახდისათვის გაყიდული მიწები, რადგანაც ეს პროცედურა ჩვეულებრივ სავაჭრო გარიგებად ჩაითვალა. ხშირად ჩამორთმეული მიწები რამო-

[39] ხელშეკრულება, რომლის თანახმად მევალე კმაყოფილდება სესხად გაცემული თანხის ნაცვლად მასზე ნაკლები ფულადი თანხის მილებით (ინგ. Composition)

დენიმე ახალი მფლობელის ხელში გაივლიდნენ, რაც ართულებდა პირველი მფლობელის უფლებების დადგენას და ისიც გარკვეულ თანხას სჯერდებოდა კომპენსაციის სახით. უფრო მეტიც, რესტავრაციის მთავრობამ სპეციალური კანონით დაადასტურა რევოლუციის დროს რაინდული მიწის ჭერის და ფეოდალური მოსაკრებლების პალატის გაუქმება. 1677 წ. კანონმა კი ფართო გზა გაუხსნა სოფლად დაქირავებულ შრომაზე შექმნილი მსხვილი მეურნეობების წარმოშობას რაც მოხდა კოპიჰოლდერების შევიწროვებისა და შემდგომი გაღატაკების ხარჯზე.

ამგვარად, სტიუარტებმა ვერ შესძლეს სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის პროცესის შეჩერება. ეს პროცესი, რიგი უარყოფითი მომენტისდა მიუხედავად (წვრილი მიწათმფლობელების გაღატაკება), ობიექტურად პროგრესულ ხასიათს ატარებდა, რადგანაც ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

აბსოლუტისტურ პოლიტიკას უშუალოდ ახორციელებდა მეფის პირველი მინისტრი, გრაფი კლარენდონი, აბსოლუტიზმის მომხრე, რომელიც მიიჩნევდა პარლამენტის არსებობის აუცილებლობასაც. კლარენდონი ხედავდა, რომ სამეფო კარის აღვირახსნილობა, ფავორიტების გახრწნილება ხიფათს შეუქმნიდა მეფის ხელისუფლებას. ამიტომ იგი ცდილობდა რამდენადმე მოეთოკა შექრთამეობის მორევში ჩაფლული ფავორიტები, რომლებიც პარლამენტის ზურგს უკან თავის ბინძურ საქმეებს აკეთებდნენ. მაგრამ თუ მოხერხდებოდა, თავად გრაფიც არ ამბობდა უარს „ძღვენზე" ამიტომაც იყო, რომ მისი სასახლე მეფისას ჩრდილავდა თავისი ბრწყინვალებით.

კლარენდონი სათავეში ჩაუდგა ჩარლზ II საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას. იმისათვის, რომ არ ყოფილიყო პარლამენტზე ფინანსურად დამოკიდებული, ჩარლზ II გადაწყვიტა დაახლოებოდა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV, რადგანაც მისი დახმარებით განემტკიცებინა აბსოლუტიზმი ინგლისში. ჯერ იყო მეფემ და კლარენდონმა სარფანგეთს მიჰყიდეს კრომველის მიერ მოპოვებული ქალაქი დიუნკერკი, რამაც ინგლისში დიდი აღშფოთება გამოიწვია, ხოლო მოგვიანებით კლარენდონმა თხოვნით მიმართა ლუი XIV „სესხად" მიეცა ჩარლზ II 50 ათასი გირვანქა სტერლინგი. სესხის დაბრუნებაზე არც ერთი მხარე არ ფიქრობდა. ამრიგად თავისი აბსოლუტისტური სწრაფვების გამო ჩარლზ II საფრანგეთის პენსიონერი და ინგლისის ეროვნული ინტერესების მოღალატე გახდა.

ინგლისის სახელმწიფო ინტერესები არა მარტო ამ პროფრანგული პოლიტიკით დაზ[illegible] [illegible]ენ. კარის გახრწნილობამ, საადმირალოში (სამხედრო-საზღვაო სამინისტროში) გამეფებულმა შექრთამეობამ, მეფის ძმის, იორკის ჰერცოგის ჯეიმსის უუნარობამ განაპირობა ინგლისის სრული მარცხი ჰოლანდიასთან გამართულ საზღვაო ომში 1665-1667 წწ. ჰოლანდიელებმა ლონდონის მისადგომებიც კი დაბომბეს. უკეთ წარიმართა ინგლისელთა საქმე ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ინგლისელებმა წაართვეს ჰოლანდიელებს რიგი ტერიტორიებისა, მათ შორის ახალი ამსტერდამი, რომელსაც ახალი იორკი, ნიუ იორკი (New York) უწოდეს. საბოლოო ჯამში მარცხმა აიძულა ინგლისი გარკვეულად შეერბილებინა 1651 წ. სანავიგაციო აქტი, რომელიც ჰოლანდიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ომში დამარცხებამ ინგლისში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, განტევების ვაცად პირველი მინისტრი კლარენდონი იქცა. თემთა პალატამ მას სახელმწიფო ღალატში ბრალდებაც კი წაუყენა, რომელიც ლორდებმა არ მიიღეს. უსაფრთხოების მიზნით ჩარლზ II ურჩია კლარენდონს ემიგრაციაში წასულიყო.

კლარენდონის გადადგომის შემდეგ საშინაო და საგარეო პოლიტიკამ კიდევ უფრო შენილბული, და იმავე დროს აბსოლუტისტური და ანტიეროვნული ხასიათი მიიღო. მთავრობის სათავეში აღმოჩნდა ხუთი მინისტრი, მათგან ორი კათოლიკე. ამ მთავრობას ხშირად კაბალს (CABAL) უძახდნენ, რაც წარმოსდგება მათი წევრების გვარების პირველი ასოებისგან (კლიფორდი, არლინგტონი, ბაკინგემი, ეშლი, ლოდერდეილი)[40]. მაგრამ ეს სიტყვების თამაშიც იყო. CABAL ინგლისურად საიდუმლო შეთქმულებასაც ნიშნავს.

სწორედ ამ დაჯგუფების მეშვეობით დაიწყო ჩარლზ II თავისი აბსოლუტისტური პოლიტიკის შემდგომი ეტაპი. ეს პოლიტიკა საფრანგეთის მსგავსი აბსოლუტიზმის დამყარებას ითვალისწინებდა, რასაც საფუძვლად ედო კათოლიკეობის აღდგენა. კათოლიკეობაში ჩარლზ II და მისი ძმა ჯეიმსი მეფის შეუზღუდავი ხელისუფლების დასაყრდენს ხედავდნენ. ამავე დროს, მისივე მეშვეობით

[40] Clifford, Arlington, Buckingham, Ashley, Loderdale.

ჩარლზ II იმედოვნებდა ლუი XIV მხრიდან კიდევ მეტი კეთილგანწყობა დაემსახურებინა, რათა მისგან მუდმივად მიეღო ფულადი თანხები.

1670 წ. დუვრში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჩარლზ II პირობას დებდა აღედგინა ინგლისში კათოლიკეობა და საფრანგეთთან ერთად ჩაბმულიყო ომში ჰოლანდიის წინააღმდეგ. ლუი XIV ვალდებულებას იღებდა გაეგზავნა ინგლისში სექსპედიციო კორპუსი თუკი იქ აჯანყება იფეთქებდა. ეს ხელშეკრულება, რომელიც საიდუმლო ხასიათს ატარებდა და უცნობი იყო პარლამენტისათვის წარმოადგენდა ინგლისის ეროვნული ინტერესების ღალატს. საფრანგეთის ფინანსების გენერალური კონტროლიორის ჟან-ბატისტ კოლბერის, რომელმაც ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას, ენერგიული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით საფრანგეთი ინგლისის საშიშ მეტოქედ იქცეოდა.

სწორედ ამგვარი ანტიეროვნული პოლიტიკის გამო ინგლისი საფრანგეთთან ერთად კვლავ ჩაება ჰოლანდიასთან ომში, რომელიც მიმდინარეობდა 1672-1674 წწ. და კვლავ ინგლისის მარცხით დამთავრდა. ამგვარ შედეგს რასაკვირველია ვაჭართა და მეწარმეთა უკმაყოფილება მოყვა. მაგრამ ამაზე უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია 1672 წ. მეფის მიერ ერთპიროვნულად გამოცემულმა კანონმა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის შესახებ. კანონი ერთობ ეშმაკურად იყო შედგენილი. მის თანახმად ხდებოდა კათოლიკეებისა და ნონკონფორმისტების წინააღმდეგ გამოცემული კანონების დროებითი შეჩერება. გარეგნულად ეს იყო ძალზე ლიბერალური და პროგრესული ნაბიჯი. მაგრამ სინამდვილეში ჩარლზ II პირველ რიგში კათოლიკეობის ბედი აწუხებდა. შეიქმნა კათოლიკეობის აღდგენის საშიშროება.

შექმნილ მდგომარეობაში პარლამენტმა მტკიცე და შეუვალი პოზიცია დაიკავა და უარი უთხრა მეფეს აღნიშნული კანონის დამტკიცებაზე. მის სანაცვლოდ პარლამენტმა 1673 წ. მიიღო ე.წ. გამოცდის (შემოწმების კანონი) (Test Act). ამ კანონის თანახმად სახელმწიფო სამსახურში ყოფნა და თანამდებობის დაკავება შეეძლოთ მხოლოდ ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრებს. იმ დროის ინგლისური საზოგადოების ამგვარ ანტიკათოლიკურ განწყობას სავსებით რეალური ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა. თავადაზნაურობა, რომელიც გამდიდრდა ჰენრი VIII დროინდელი რეფორმაციის მეშვეობით, როდესაც შეიძინა სამონასტრო მიწები, კათოლიკეობის აღდგენაში თავისი ეკონომიკური ძლიერების მოშლას ხედავდა.

გამოცდის კანონმა აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგეებს გარკვეული წარმატება მოუტანა. ოპოზიციისათვის სასურველი ცვლილებები ხელისუფლების უმაღლეს საფეხურებშიც კი მოხდა. დაკავებული თანამდებობები დატოვეს კათოლიკეებმა: იორკის ჰერცოგმა (მეფის ძმამ), რომელიც საადმირალოს პირველი ლორდი იყო (სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) და მმართველი სამთავრობო ჯგუფის, „კაბალის"-ის ერთ-ერთმა წევრმა, კლიფორდმა. ყველაფერმა ამან სერიოზული დარტყმა მიაყენა სამეფო კარის პარტიას. „კაბალი" დაიშალა, ხოლო მისი ერთ-ერთი წევრი ეშლი (ლორდი შეფტსბერი) საერთოდ ოპოზიციის ბანაკში გადაბარგდა და მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მიუხედავად ლუი XIV დაჟინებული მოთხოვნებისა განეგრძო ომი, ჩარლზ II 1674 წ. სეპარატულ ზავს მოაწერა ხელი ჰოლანდიასთან.

საგარეო პოლიტიკაში პროტესტანტული კურსის გატარების გამოხატულებას წარმოადგენდა მეფის ძმისწულის, მერის და ჰოლანდიის შტატჰალტერის ვილჰელმ ორანელის ქორწინება. მაგრამ ოპოზიციის ეს წარმატება არ ნიშნავდა პოლიტიკური ვნებათაღელვის ჩაქრობას. პირიქით, დაპირისპირებამ მეფის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო, ხოლო პოლიტიკური ბრძოლა უფრო მძაფრი და დინამიური გახდა. როგორც ჩანს, სამეფო პარტია მიხვდა, რომ მისი პოზიციები სერიოზულად შეირყა. ეს საჭიროებდა ძველი მდგომარეობის აღდგენას. ოპოზიციამ კი იგრძნო რა თავისი წარმატება, საჭიროდ ჩათვალა მისი შემდგომი განვითარება.

აბსოლუტისტური პოლიტიკის გატარება იკისრა მეფის ახალმა პირველმა მინისტრმა, ლორდმა დენბიმ. იგი სამეფო ხელისუფლების განუხრელი გაფართოებისა და განმტკიცების მომხრე იყო. ოპოზიციის დასამარცხებლად დენბის არსენალში სხვადასხვა ხერხი იყო: დეპუტატების მოსყიდვა, პარლამენტის მოწვევის გადავადება. 1675 წ. დენბიმ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი წინააღმდეგობის არგაწევის შესახებ (Non-resistance Bill) რომლის თანახმად იკრძალებოდა მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევა ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერ შემთხვევაში.

ულტრარეაქციულმა კანონპროექტმა როგორც ლორდთა, ასევე თემთა პალატის კრიტიკა გამოიწვია და უარყოფილ იქნა. უფრო მეტიც, ოპოზიციამ თავად შეუტია ხელისუფლებას 1675 წ. სა-

პარლამენტო სესიაზე. მის „დამკვრელ ძალას“ წარმოადგენდა ენტონი ეშლი. ლორდი შეფტსბ. ეს ადამიანი, ერთობ არაჩვეულებრივი პოლიტიკური მრწამსით, დაჯილდოებული იყო ნიჭით გამოდგ. თუ საით უბერავდა პოლიტიკური სიო. სამოქალაქო ომის დასაწყისში იგი მეფის მხარეზე იბრძ. და, მერე პარლამენტის მხარეზე გადავიდა. პროტექტორატის დროს შეფტსბერი პარლამენტის დ. პუტატი იყო, ხოლო კრომველის გარდაცვალების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა სტიუარტების. რესტავრაციაში, რისთვისაც დაწინაურდა კიდეც ჩარლზ II კარზე და „კაბალ“-ის ერთ-ერთი წევ. რიც კი გახდა. თანამედროვეები აკრიტიკებდნენ მისი პოლიტიკური მრწამსის ამგვარ ცვალებადობ. ბას და აღვირახსნილ ცხოვრებას, მაგრამ იმავე დროს მისი მეტოქეებიც კი არ უარყოფდნენ იმ. რომ იგი მოხერხებული, საზრიანი და საქმიანი პოლიტიკოსი იყო.

ხელისუფლების კრიტიკა ლორდმა შეფტსბერიმ სამეფო ხელისუფლების დამცველების იდეებ. სადმი სკეპტიკურ მიდგომაზე ააგო. იგი არ უარყოფდა სამეფო ხელისუფლების აუცილებლობას. მაგრამ სთვლიდა, რომ მეფე ისევე უნდა დამორჩილებოდა კანონს, როგორც ქოხმახში მცხოვრები ღარიბ-ღატაკი ადამიანი. შეფტსბერი ცდილობდა საზოგადოებრივ აზრში ეჭვი დაეთესა სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის იდეის მიმართ. „თუკი მეფის ინსტიტუტი ღვთიური წარმოშობისაა, შესაბამისად ადამიანის მიერ შექმნილ კანონს არ სძალუძს მისი შეცვლა“ — აბეზღებ. შეფტსბერი. მაგრამ იქვე მას მოყავდა საწინააღმდეგო არგუმენტი, რომ ასეთ შემთხვევაში ა. ეკარგებოდა თავისუფლებათა დიდ ქარტიას და სხვა დანარჩენი კანონების არსებობას. ამგვარი რები რასაკვირველია მნიშვნელოვნად უმაგრებდნენ ზურგს ოპოზიციას, რადგანაც მიმართავდნ. ინგლისური პოლიტიკური ცნობიერებისათვის ესოდენ წმინდათაწმინდა პოლიტიკურ პრივილეგიებს.

შეფტსბერის არსენალში იყო სხვა, მოსახლეობის ფართო მასაზე გათვალისწინებული ლოზუნ. გებიც. მაგ.: მას ხშირად უყვარდა თქმა, რომ უმრავლესობა ყოველთვის მართალია. ასევე მზად. იყო იგი თავისი ხალხი საჭიროების შემთხვევაში გაეგზავნა ლონდონის ღარიბებით დასახლებულ. გარეუბნებში, რათა აემხედრებინა ისინი კათოლიკეებისა და მათი დიდგვაროვანი მფარველობის წი. ნააღმდეგ.

შეფტსბერისა და მისი მომხრეების გაერთიანებას წარმოადგენდა 1675 წ. შექმნილი ლ. �ტის. „მწვანე ბაფთის კლუბი“. კლუბის ხელმძღვანელობა შედგებოდა ოპოზიციურად განწყობილი ლორ. დებისაგან, რომელთაც სათავეში ედგა შეფტსბერი. მაგრამ მის წევრებს შორის იყვნ. ლი ვაჭრები, ფინანსისტები, დედაქალაქში მცხოვრები ან მასთან დაკავშირებული ჯენტრი, ავრეთ. ვე ჟურნალისტები, იურისტები, ლიტერატორები. კლუბი ძირითადად ეყრდნობოდა ვაჭრებს. ბანკ. რებს, ახალ თავადაზნაურობას, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. კლუბის წევრთა შორის იყვნ. 40-50-იანი წლების რესპუბლიკელები; ალჯერნონ სიდნი, რიჩარდ რამბოლდი და ჯონ უაილდმენი. მრავალრიცხოვანი აგენტებისა და პამფლეტისტების წყალობით, რომლებიც მთელ ქვეყანაში იყვნ. მიმოფანტულნი, კლუბს შეეძლო ნებისმიერ დროს საზოგადოებრივი აზრი თავისათვის საჭირო ი. მართულებით წარემართა. ყველაფერი ეს უდავოდ ლორდ შეფტსბერის, როგორც მოხერხებულ. პოლიტიკოსის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ოპოზიცია დაბეჯითებით მოითხოვდა მეფისაგან საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას. ძირ. მოთხოვნით ინგლისს კავშირი უნდა დაედო ჰოლანდიასთან და დაეწყო ომი საფრანგეთთან. 1678 წ. მარტში პარლამენტმა მეფეს მოსთხოვა დაეწყო ომი საფრანგეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფ. ფეს უნდა დაეთხოვა თავისი მუდმივი ჯარი, რომელიც თითქოსდა საფრანგეთთან ომის წარმოებ. სათვის იყო ჩამოყალიბებული, სინამდვილეში კი მისი ამოცანა საჭიროების შემთხვევაში ოპოზიცი. ის განადგურება იყო.

მეფე არ ღალატობდა თავის პროფრანგულ კურსს, მით უფრო, რომ 1676 წ. იგი ლუი XIV ყოველწლიურად 100 ათას გირვანქა სტერლინგს იღებდა, რის სანაცვლოდ ჩარლზ II უარი თქვა დაედო ნებისმიერი საგარეო ხელშეკრულება საფრანგეთის მეფის თანხმობის გარეშე. მეფის წინა. აღმდეგობის საპასუხოდ პარლამენტმა აკრძალა ინგლისში ფრანგული ნაწარმის შემოტანა.

მდგომარეობა ძალზე დაიძაბა 1678 წ., როდესაც ინგლისში გავრცელდა ხმები კათოლიკეთა მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ჩარლზ II მკვლელობას, პრო. ტესტანტების ამოწყვეტას, კათოლიკეობის აღდგენას, ხოლო ტახტზე კათოლიკე იორკის ჰერცო. გის აყვანას. ხმები გაავრცელა ვინმე ტიტუს ოტსმა, ანგლიკანმა ღვთისმსახურმა, რომელსაც ჭო. რიკანასა და მატყუარას სახელი ჰქონდა დამკვიდრებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხმები საფუძველს მოკლებულ იყო. თვით ცინიკურად განწყობილმა ჩარლზ II, იცოდა რა, რომ მისი ძმა

ძალზე არაპოპულარული იყო ქვეყანაში, პირდაპირ უთხრა მას: „შიში ნუ გაქვთ, ისინი მე მარტო იმის გულისთვის არ მომკლავენ, რომ თქვენ არ ახვიდეთ ტახტზე!“.

მიუხედავად ამისა, ქვეყანა საყოველთაო პანიკამ მოიცვა. ამ ანტიკათოლიკური ისტერიის პირობებში პარლამენტმა მოსთხოვა მეფეს გაეძევებინა ლონდონიდან ყველა კათოლიკე, ლორდთა პალატიდან ყველა კათოლიკე ლორდი, მეფის ძმა, იორკის ჰერცოგი გამოეყვანათ მეფის საიდუმლო საბჭოდან, ხოლო კათოლიკე დედოფალი, პორტუგალიის მეფის ასული ეკატერინე ბრაგანცა სასახლიდან მოეცილებინათ. პრაქტიკულად ეს მეფის ძალაუფლების გაბათილებას ნიშნავდა. ამიტომ, როდესაც ოპოზიციამ მოითხოვა ლორდ დენბის გასამართლება, რომელიც პროფრანგული პოლიტიკის გატარებაში ამხილეს, მეფემ 1679 წ. დასაწყისში დაითხოვა პარლამენტი.

1679 წ. დასაწყისში დანიშნული საპარლამენტო არჩევნები არაჩვეულებრივად დაძაბულ სიტუაციაში ჩატარდა. სამეფო ხელისუფლება, პირადად ლორდი დენბი პირდაპირ მიუთითებდნენ საგრაფოების ადმინისტრაციას ზეწოლა მოეხდინათ ამომრჩევლებზე კარის ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ხელისუფლებას არც ოპოზიცია ჩამორჩა. ისარგებლა რა ანტიკათოლიკური განწყობით, ამ უკანასკნელმა არ დაიშურა ოქრო და ლუდი, რათა ამომრჩევლების გული და ხმები მოეგო. შედეგმაც არ დააყოვნა.

არჩევნები ოპოზიციის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ჩარლზ II სერიოზულ დათმობებზე წავიდა; იორკის ჰერცოგი იძულებული იყო ინგლისი დაეტოვებინა, ლორდი დენბი გადადგა, ხოლო მოგვიანებით ტაუერში ამოყო თავი, სადაც ხუთი წელი გაატარა. მეფე დათანხმდა ემართა ქვეყანა არა მინისტრთა ვიწრო წრის, არამედ საიდუმლო საბჭოს მეშვეობით. ეს უკანასკნელი უნდა გაფართოებულიყო ოპოზიციის ხარჯზე, ხოლო მის თავმჯდომარედ ოპოზიციის ლიდერი, ლორდი შეფსტბერი უნდა დანიშნულიყო.

მაგრამ ოპოზიცია არ დასჯერდა მიღწეულს. 1679 წ. მარტში შეკრებილმა პარლამენტმა წამოაყენა კანონპროექტი გამორიცხვის შესახებ (Exclusion Bill). ამ კანონით ტახტის მემკვიდრეთა პრეტენდენტობიდან გამოირიცხებოდა იორკის ჰერცოგის, ჯეიმსის კანდიდატურა.[41] მის ნაცვლად ოპოზიციამ საკუთარი კანდიდატი, მეფის უფროსი უკანონო შვილი, მონმაუტის ჰერცოგი წამოაყენა, რომელიც „მწვანე ბაფთის კლუბის“ აქტიური წევრი იყო.

ეს იყო არაჩვეულებრივად გაბედული ნაბიჯი. ოპოზიცია გრძნობდა ამას და ამიტომაც, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით პარლამენტმა 1679 წ. მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც ჰაბეას კორპუს აქტი (Habeas Corpus Act).[42] ამ კანონმა მოაწესრიგა მდგომარეობა იმ სფეროში, რომელიც ეხებოდა დაპატიმრების პროცედურას და წინასწარ პატიმრობას, რომელთა შესახებ არსებულ კანონმდებლობას ხშირად არღვევდნენ მეფის მოხელეები. აღნიშნული კანონის თანახმად მოსამართლეს უნდა მოეთხოვა სასამართლოში იმ პირის წარდგენა, თუკი ეს უკანასკნელი ან სხვა პირი უკანონოდ მიიჩნევდნენ დაპატიმრებას.

პირის სასამართლოში წარდგენას უნდა მოყოლოდა მისი დაპატიმრების კანონიერების დადგენა. მაგრამ კანონი არ იფარგლებოდა დაკავების პროცედურის სამართლიანობის დადგენით. დაკავებულის ციხეში განთავსებისას ციხის უფროსისათვის უნდა წარედგინათ სპეციალური ფორმით შედგენილი ბრძანება, რომელშიც ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო დაპატიმრების მიზეზი. აღნიშნული ბრძანების გარეშე ციხის ზედამხედველს ეკრძალებოდა დაკავებულის ციხეში მოთავსება. წინასწარი პატიმრობის ვადა განსაზღვრული იყო 3-დან 20 დღემდე და დამოკიდებული იყო მანძილზე სასამართლოსა და ციხეს შორის. Habeas Corpus Act-ი ითვალისწინებდა სამართალდამცავების დაჯარიმებას ამ დებულებების დარღვევისათვის.

ამ კანონითვე დადგინდა დაკავებულის თავდებით გამოშვება, მაგრამ დიდი ფულადი შენატანის შემდეგ. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვნად ავიწროვებდა კანონის მოქმედების სოციალურ სფეროს, რადგან დიდი თანხის შეტანა მხოლოდ მდიდარ ადამიანს შეეძლო, მაგრამ მაინც კანონი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პიროვნების ხელშეუხებლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

---

[41] ჩარლზ II და დედოფალ ეკატერინე ბრაგანცას შვილები არ ყავდათ. სამაგიეროდ მეფეს ყავდა შვილები თავის მრავალრიცხოვან ფავორიტ ქალებთან, რომელთაგან ერთ-ერთის, ლუსი უოლტერსის ვაჟს, მან მონმაუტის ჰერცოგობა უბოძა.

[42] წარმოსდგება ძველი სამეფო კანონის ლათინურენოვანი ფორმიდან, რომელიც შეეხებოდა პატიმრის სასამართლოში წარდგენას. Habeas Corpus ad subjudiciendum ნიშნავს: „შენ (ე.ი. სამეფო მოხელემ) უნდა მიიყვანო სასამართლოში დაპატიმრებული სხეული (პირი)“.

კანონი არ ვრცელდებოდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ფულადი დავალიანება ჰქონდათ. ამგვარი დებულება მაქსიმალურად უზრუნველყოფდა საკუთრების ხელშეუხებლობას, რაც საზოგადოების ეკონომიკური თუ სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვანი წანამძღვარი იყო. მაგრამ ყველაფერთან ერთად მთავრობას შეეძლო შეეჩერებინა ამ აქტის მოქმედება.

თითქოსდა შექმნილ მდგომარეობაში გამარჯვება ოპოზიციას უნდა დარჩენოდა. მაგრამ ოპოზიციონერთა რიგებში არსებულმა მერყეობამ საშუალება მისცა მეფეს კონტრშეტევაზე გადასულიყო. ოპოზიციის ზოგიერთი წევრი, ლორდი ჰალიფაქსი, ლორდი სანდერლენდი სამეფო კარის მხარეზე გადავიდა. ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა შოტლანდიაში დაწყებულ აჯანყებას, რომელიც გამოიწვია ჩარლზ II მცდელობამ შოტლანდიაში ანგლიკანობა გაევრცელებინა. პირიქით, ოპოზიციის ერთერთი წევრი, მეფის უკანონო შვილი ჰერცოგი მონმაუტი აჯანყების ჩახშობის ორგანიზატორი გახდა.

მეფემ უარყო ოპოზიციის მოთხოვნა ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმის, იორკის ჰერცოგის ნაცვლად ჰერცოგი მონმაუტი დაემტკიცებინა. მას ეშინოდა, რომ ეს ნაბიჯი კარზე განხეთქილებას გამოიწვევდა, ჩამოაშორებდა მას დიდგვაროვანთა მნიშვნელოვან ნაწილს. 1679 წ. მაისის მიწურულს ჩარლზ II ლორდი შეფტსბერი გაანთავისუფლა საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარეობიდან და დაითხოვა პარლამენტი.

მიუხედავად სამეფო ხელისუფლების ამგვარი შეტევებისა 1679 წ. ოქტომბერში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება კვლავ ოპოზიციას დარჩა. მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ შეძლებისდაგვარად გადაედო ამ პარლამენტის მოწვევა. ამან რასაკვირველია კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შესძინა სამეფო კარის მომხრეებისა და ოპოზიციის ურთიერთობას. სწორედ იმ დროის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ შემოიტანა პოლიტიკურ ლექსიკონში მოქიშპე დაჯგუფებების მეტსახელები, რომლებიც მოგვიანებით პოლიტიკური პარტიების სახელწოდებებად იქცნენ. სამეფო კარის მომხრეები ოპოზიციას ვიგამორებს, ან ვიგებს (Whigs) უწოდებდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ შეფტსბერი და მისი მომხრეები შოტლანდიელ პატრიოტებს უჭერდნენ მხარს, რომლებიც ინგლისის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სიტყვა ვიგი ჟარგონზე შოტლანდიელი მედროგის მეტსახელი იყო.

ვალში არც ოპოზიცია დარჩენილა. ხაზს უსვამდნენ რა სამეფო კარის სიახლოვეს ირლანდიელებთან, რომელთა გამოყენება კარს სურდა ოპოზიციის წინააღმდეგ, აგრეთვე ჩარლზ II პროკათოლიკურ სიმპათიებს, ოპოზიციონერები მეფის მომხრეებს ტორებს (Tories) უწოდებდნენ. ტორის პროტესტანტები ირლანდიელ საქონლის გამტაცებელს უწოდებდნენ. ამრიგად, აღნიშნული დროიდან, XIX ს. მეორე ნახევრამდე პოლიტიკური პარტიები ამ მეტსახელებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

1680 წ. მოწვეული პარლამენტი ერთობ ურჩი გამოდგა. თემთა პალატამ მიიღო დადგენილება, რომ იორკის ჰერცოგს, როგორც კათოლიკეს, ჩამორთმეოდა ტახტის მემკვიდრის უფლება. მაგრამ ლორდთა პალატამ ამ კანონპროექტში საყოველთაო ანარქიის ნიშნები დაინახა და ხმების უმრავლესობით უარყო იგი. 1681 წ. დასაწყისში მეფემ პარლამენტი დაითხოვა. იმავე წელს მეფემ კვლავ მოიწვია პარლამენტი. მაგრამ ამჯერად არა ლონდონში, არამედ ოქსფორდში. ეს წინასწარ გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და იქ მცხოვრები ჯენტრი ყოველთვის გამოირჩეოდნენ როიალისტური სულისკვეთებით. აკი ჩარლზ I სამოქალაქო ომის დროს ოქსფორდში დაიდო თავისი შტაბ-ბინა. და მართლაც, წარმოებას მოწყვეტილი ეს შუასაუკუნეობრივი ყაიდის ქალაქი, მცირერიცხოვანი მოსახლეობით არ გამოდგებოდა ოპოზიციის მხარდამჭერად.

სიტუაცია მაინც ძალიან დაძაბული იყო. ოპოზიციის ბევრი დეპუტატი და პირველ რიგში მათი თავკაცი შეფტსბერი ოქსფორდში გაძლიერებული დაცვის თანხლებით ჩავიდნენ, რომელიც, როგორც ტორები ამბობდნენ ლონდონელი შფოთისთავებისაგან იყო ჩამოყალიბებული. დაირხა ხმები მეფეზე თავდასხმის შესახებ, რამაც აიძულა ჩარლზ II უინძორის სასახლიდან ოქსფორდამდე სამეფო გვარდიის გაძლიერებული ბადრაგი განელაგებინა.

ოპოზიციამ პარლამენტის გახსნისთანავე შეუტია მეფეს და მოსთხოვა გამორიცხვის შესახებ კანონპროექტის მიღება. ვიგებს იმედი ჰქონდათ, რომ უფულობის წინაშე მდგარი მეფე მათ ნებას დაყვებოდა. მაგრამ ოპოზიციამ არაფერი იცოდა ჩარლზ II საგარეო პოლიტიკური გარიგებების შესახებ. ჩარლზ II უკვე მიღებული ჰქონდა ლუი XIV 406 ათასი გირვანქა სტერლინგი, რამაც

მოუხსნა მეფეს ფინანსური სიძნელეები და მანაც ყველასათვის მოულოდნელად დაითხოვა პარლამენტი.

პარლამენტის დათხოვნა მძიმე დარტყმა აღმოჩნდა ვიგებისათვის. ოპოზიციამ ვერ მოახერხა ძალების მობილიზაცია და კონკრეტული საოქმედო გეგმების დასახვა. შეფტსბერიმ ლონდონის სიტის შეაფარა თავი და გამუდმებით იკვეხნიდა, რომ მის დაძახებაზე 10 ათასი ვაჟკაცი გამოვა საბრძოლველად, მაგრამ ამ განცხადებების იქით იგი არ წასულა. ოპოზიცია თითქოსდა ცდილობდა კარის გადატრიალება მოეწყო, მაგრამ ეს გეგმები ლიტონი სიტყვები გამოდგა. პირიქით, მეფემ თავად შეუტია ვიგებს. შეფტსბერი დააპატიმრეს, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი გაამართლა. განთავისუფლების შემდეგ ოპოზიციის ლიდერმა კონტინენტს, ჰოლანდიას შეაფარა თავი, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც.

1683 წ. მთავრობამ რეპრესიებს მიმართა. საბაბი ვიგების მიერ მოწყობილი ე.წ. რაიჰაუზის[43] შეთქმულება იყო. „მწვანე ბაფთის კლუბი" გაუქმებულ იქნა. ბევრი ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის ოპოზიციის ლიდერები, ესექსი, რასელი და სიდნი. ესექსმა ციხეში თავი მოიკლა, ხოლო რასელი და სიდნი სიკვდილით იქნენ დასჯილი. ალჯერნონ სიდნის შეთქმულებაში მონაწილეობა ვერც კი დაუმტკიცეს. იგი თავისი დემოკრატიული შეხედულებების გამო დაისაჯა, რომლებიც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

აქედან მოყოლებული დაიწყო რეაქციის პერიოდი. ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტებმა მორჩილებით აღსავსე მიმართვები გაუგზავნეს მეფეს, სადაც ჩამოყალიბებული იყო სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის იდეა. ოქსფორდის უნივერსიტეტში საჯაროდ დაწვეს დიდი პოეტის ჯონ მილტონის და ცნობილი ფილოსოფოსის თომას ჰობსის თხზულებები, რომელთა შეხედულებები აბსოლუტური ხელისუფლებისათვის სახიფათოდ იქნენ მიჩნეული. ლონდონს ჩამოერთვა მისი პრივილეგიები, ხოლო მის ლორდ-მერს ამიერიდან თანამდებობაზე მეფე დაამტკიცებდა. მნიშვნელოვნად შეზღუდეს სხვა ქალაქების თვითმმართველობაც.

გახშირდა ჰაბეას კორპუს აქტის დარღვევა. ადამიანების ოპოზიციასთან უმნიშვნელო კავშირისთვისაც კი აპატიმრებდნენ. ქვეყნის შიდა საქმეებში სულ უფრო მეტად ერეოდა საფრანგეთის ელჩი ბარილიონი. ოპოზიციის თავკაცები ტორებს შეუერთდნენ, ხოლო უფრო რადიკალურმა ელემენტებმა კონტინენტს შეაფარეს თავი. ამგვარ პირობებში 1685 წ. გარდაიცვალა ჩარლზ II და ტახტზე ავიდა მისი ძმა იორკის ჰერცოგი ჯეიმს II სახელით (1685-1688 წწ.).

„თავისი უფროსი ძმისგან განსხვავებით, ჯეიმს II არასოდეს ფარავდა თავის შეხედულებებსა და მისწრაფებებს. მიუხედავად თავისი აბსოლუტისტური სწრაფვებისა ჩარლზ II იმდენად გონიერი იყო, რომ არასოდეს აშკარად არ ავლენდა თავის პროკათოლიკურ სიმპათიებს. მას კარგად ესმოდა, რომ მისი ქვეშევრდომები აიტანდნენ ერთმმართველობის ძალმომრეობას, მაგრამ ვერ შეურიგდებოდნენ კათოლიკეობის აღდგენას, რადგანაც პროტესტანტობა ინგლისელებს ძვალსა და რბილში ჰქონდათ გაჟღარი.

ჯეიმს II ნამდვილად აკლდა თავისი ძმის მოქნილობა და წინდახედულება. იგი ცდილობდა ჯიქურ ემოქმედა და დაუფარავად მიეღწია თავისი პოლიტიკური თუ რელიგიური მიზნებისათვის. თავად კათოლიკე, ჯეიმს II ისწრაფოდა კათოლიკეობის აღდგენისაკენ. მისი გამეფებისთანავე ციხეებიდან მასობრივად დაიწყო კათოლიკეების განთავისუფლება. სამეფო კარის ეკლესიაში დიდი ზარზეიმით ტარდებოდა კათოლიკური წირვა-ლოცვა. ამავე დროს ახალი პარლამენტის მოწვევის გარეშე მეფემ ბრძანება გასცა კვლავ აეკრიფათ გადასახადები, რომლებიც დაწესდა ჩარლზ II დროს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ეს გადასახადები ძალადაკარგულად ითვლებოდნენ ჩარლზ II სიკვდილის გამო.

მიუხედავად ამისა გაუცხოებას სამეფო ხელისუფლებასა და ქვეყანას შორის, რომელიც პარლამენტით იყო წარმოდგენილი, მაინც ადგილი არ ჰქონია. მთლიანობაში ქვეყანა მეფის ერთგული რჩებოდა. 1685 წ. მაისის საპარლამენტო არჩევნებმა თვით მეფისათვის სასურველ მოლოდინს გადააჭარბა. დეპუტატების უდიდეს უმრავლესობას მეფის ერთგული ტორები წარმოადგენდნენ. რასაკვირველია, ამაში გარკვეული როლი შეასრულეს საარჩევნო კამპანიის დროს კარის მიერ ჩატარებულმა მოსყიდვებმა და სხვა მაქინაციებმა, მაგრამ მხედველობაში კიდევ ერთი მიზეზიც არის მისაღები. მაშინვე შოტლანდიაში იფეთქა პრესბიტერიანების აჯანყებამ, რომელსაც გრაფი არჯილი

[43] იმდროინდელი ლონდონის გარეუბანი სადაც ჩარლზ II და ჰერცოგ იორკზე თავდასხმის მოწყობას ვარაუდობდნენ. არის მოსაზრება, რომ ეს შეთქმულება მთავრობის მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყო. რიჩარდსაც სამართალი სჭირდებოდა ოპოზიციის გასამაგურებლად.

ედგა სათავეში. არჯილი და მისი მომხრე შოტლანდიელ ემიგრანტ ვიგებს იმედი ჰქონდათ, რომ ანტიკათოლიკური ლოზუნგების მეშვეობით ისინი მთელ შოტლანდიას აამხედრებდნენ ჯეიმს II და საერთოდ ინგლისის წინააღმდეგ. მათ განსაკუთრებით შოტლანდიის მთიანეთის კლანების იმედი ჰქონდათ.

მაგრამ აჯანყებულთა იმედები არ გამართლდა. თავი იჩინა თემთა შორის დაპირისპირებამ. ის გვარები, რომლებიც არჯილების მოქიშპეს, მარკიზ მონტროუზს უჭერდნენ მხარს, არ მიემხრნენ აჯანყებას. განზე დადგა ბარის შოტლანდიის მოსახლეობაც, რომელიც შეწუხებული იყო მთიელთა გამუდმებული თარეშით. საბოლოო ჯამში ცუდად ორგანიზებული აჯანყება დამარცხდა, ხოლო მისი ბელადი არჯილი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ამგვარად, შიშმა შოტლანდიელთა აჯანყების წინაშე თავადაზნაურობა სამეფო კარის ეროგულ მსახურებად აქცია.

დაახლოებით იგივე განმეორდა 1685 წ. მარკიზ მონმაუტის აჯანყების დროსაც. ჩარლზ II ამ უკანონო ვაჟმა ჯეიმს II გამეფება შესაფერის მომენტად ჩათვალა ამბოხისათვის. მისმა პოპულარობამ დასავლეთის საგრაფოებში და კონსტიტუციური მმართველობის ლოზუნგებმა მონმაუტი გლეხობისა და ქალაქის უბრალო მოსახლეობის თანადგომით უზრუნველყვეს. მაგრამ თავადაზნაურობა და მეტ-ნაკლებად შეძლებულ ვაჭართა და მეწარმეთა ფენა კვლავ განზე დარჩა. მათ სამოქალაქო ომისა ეშინოდათ.

ისევე როგორც შოტლანდიელთა აჯანყება, ჰერცოგ მონმაუტის აჯანყებაც დამარცხდა. მისი ძალები განადგურებულ იქნენ სეჯმურთან ბრძოლაში, სომერსეტშირის საგრაფოში. თავად ჰერცოგი სამარცხვინოდ გაიქცა ბრძოლის ველიდან, მაშინ, როცა მის ლაშქარში მყოფი გლეხები და ხელოსნები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ მეფის ჯარების წინააღმდეგ. მოგვიანებით თავად მონმაუტი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.[44]

აჯანყების ჩახშობას მოყვა სასტიკი რეპრესიები. რეპრესიებს ახორციელებდა მთავარი მოსამართლე ჯეფრისი, რომელსაც მისი სისასტიკის გამო „ყასაბი" უწოდეს. მის მიერ ჩატარებული სასამართლო პროცესების შედეგად 330 კაცი ჩამოხრჩობილი იქნა და 800 გადაასახლეს კუნძულ იამაიკაზე, სადაც ისინი მონებად გაყიდეს. ადამიანებს აპატიმრებდნენ უმნიშვნელო ეჭვის გამო. ამავე დროს ჯეფრისი, მისი ხელქვეითი მოსამართლეები და სამეფო კარზე მყოფი მანდილოსნებიც კი გამოძალვით იყვნენ დაკავებული. ეჭვმიტანილს შეიწყალებდნენ ფულადი თანხის გადახდის შემდეგ. სისასტიკემ ისეთ ფარგლებს მიაღწია, რომ თვით მეფის მომხრეების პროტესტიც კი გამოიწვია, მაგრამ მეფემ სავსებით მოიწონა ჯეფრისის მოქმედება. ეს უკანასკნელი ლორდთა პალატის წევრი გახდა და მას აგრეთვე საიდუმლო საბჭოს ბეჭედი ჩააბარეს.

მონმაუტის აჯანყება მეფისათვის თავისებურ საბაბს წარმოადგენდა იმისთვის, რომ შეექმნა ძლიერი და მრავალრიცხოვანი (ინგლისის პირობებში) არმია, რომელიც 30 ათას კაცს ითვლიდა. ეს ჯარი, მისი აზრით უნდა ქცეულიყო დასაყრდენად სავარაუდო ოპოზიციასთან ბრძოლაში. ჯარის შენახვას კი ჯეიმს II ლუი XIV ფულით აპირებდა, რომლისგანაც იგი ჩარლზ II მსგავსად იღებდა ფარულ დახმარებას. თავისი პროფრანგული ზრახვები და ვერსალისადმი სრული მორჩილების მზადყოფნა ჯეიმს II გამეფებისთანავე ამცნო ლუი XIV.

სწორედ ასეთმა პროფრანგულმა კურსმა მისცა დასაბამი ჯეიმს II საბედისწერო ოპოზიციურ მოძრაობას. პროტესტანტური ინგლისი ძრწოლვით უყურებდა საფრანგეთში დატრიალებულ მოვლენებს, სადაც ლუი XIV აშკარა კათოლიკური რეაქციის პოლიტიკას ატარებდა. ფრანგი პროტესტანტები (ჰუგენოტები) სასტიკი რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ. ისინი მასობრივად ტოვებდნენ საფრანგეთს, გარბოდნენ ჰოლანდიასა და ინგლისში და ჩაჰქონდათ იქ ამბავი კათოლიკური რეაქციის საშინელებების შესახებ. ნანტის ედიქტის, რომელიც პროტესტანტებისადმი შემწყნარებლობას ითვალისწინებდა, გაუქმებამ 1685 წ. ლუი XIV მიერ, დამთრგუნავი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე.

სწორედ ამ ფონზე დაიწყო ინგლისში ოპოზიციური მოძრაობა მეფის მცდელობის წინააღმდეგ აღედგინა კათოლიკეობა. პირველად პროტესტი პარლამენტიდან წამოვიდა. თემთა პალატამ მოითხოვა, რომ მეფეს არ დაერღვია გამოცდის კანონი და არ დაენიშნა ოფიცრებად კათოლიკეები. მეფის მიერ ჯარის გაძლიერების საწინააღმდეგოდ პარლამენტმა დაიწყო მოხალისეთა მილიციის რეფორმისათვის მზადება. კრიტიკულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლორდთა პალატაშიც.

[44] ჰერცოგის სიკვდილით დასჯა საზარლად ჩატარდა. ჯალათმა მხოლოდ მეხუთე დარტყმის შემდეგ შესძლო მისთვის თავის მოკვეთა.

მაგრამ ჯეიმს II ყურადღებას არ აქცევდა არც ამგვარ პროტესტს და არც ფრთხილი თანამზრახველების შეგონებას, დათმობებზე წასულიყო. „დათმობებმა დაღუპეს მამაჩემი“ — ასეთი იყო მისი პასუხი. პრაქტიკულად მისი ყოველი ნაბიჯი კათოლიკეობის დაუფარავი მხარდაჭერის დემონსტრაციას წარმოადგენდა. 1686 წ. კათოლიკე ედუარდ ჰეილსის სამხედრო შენართის მეთაურად დანიშვნით მეფემ დაუფარავად დაარღვია კანონი გამოცდის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ გათამაშებულმა სასამართლო ფარსმა დაადგინა მეფის მოქმედების მართებულობა. დადგინდა მისი უფლება თავისი ბრძანებით შეენაცვლა კანონი. მეფეს, დაადგინა სამეფო სკამის მთავარმა მოსამართლემ ჰერბერტმა, შეუძლია შეიწყალოს ნებისმიერი ქვეშევრდომი ნებისმიერი კანონის დარღვევისათვის და უფლება მისცეს მისთვის სასურველ პირს არ დაემორჩილოს ქვეყნის კანონებს.

მაგრამ სწორედ ამგვარ პირობებში როგორც ცალკეულმა პირებმა, ასევე მთლიანად საზოგადოებამ გამოავლინეს როგორც ერთგულება რწმენისადმი, ასევე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. პროტესტს მეფის ერთგული დიდგვაროვნებიც კი არ მოერიდნენ. ჰერცოგი ნორფოლკი, რომელსაც მეფის მახვილი ჰქონდა მიბარებული, არ შეჰყვა კათოლიკურ წირვაზე ჯეიმს II. ჰერცოგი სომერსეტი მისაღებ დარბაზში არ შეუძღვა პაპის ნუნციუსს.[45]

პროტესტანტობა, რომელიც ინგლისთან, ინგლისელობასთან იყო გაიგივებული, პოლიტიკურ მრწამსზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. პატრიოტიზმმა ტორებში კლასობრივ კუთვნილებას სძლია. შეუვალი პოზიცია და მაღალი საზოგადოებრივი შეგნება გამოავლინეს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებმაც არ სცნეს მეფის მიერ დანიშნული კოლეჯების კათოლიკე რექტორები, თუმცა კი ამისთვის დაკავებული თანამდებობების დატოვება მოუხდათ.

კათოლიკეების მცირერიცხოვნობამ აიძულა მეფე თავისი პოზიციების გაძლიერებისათვის შემდეგი პოლიტიკური ფანდისათვის მიემართა. ჯეიმს II გადაწყვიტა პროტესტანტების ბანაკში შეეტანა განხეთქილება. ამისათვის მან 1687 წ. აპრილში გამოსცა დეკლარაცია სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის შესახებ, რომელიც პურიტან-დისიდენტებსა და კათოლიკეებს ანგლიკანების ტოლფას უფლებებს ანიჭებდა. ნონკონფორმისტების გულის მოგების ხარჯზე მეფე ცდილობდა ფართო გზა გაეხსნა კათოლიკეობისათვის. და მართლაც, დეკლარაცია ერთობ ხატოვნად ლაპარაკობდა აღმსარებლობის თავისუფლებაზე, რომელიც მომავალში სიმდიდრეს მოუტანდა და ააყვავებდა ინგლისს.

ზოგმა ნონკონფორმისტმა, მაგ. კვაკერებმა დადებითი შეფასება მისცეს ამ ნაბიჯს. მათი ბევრი თავკაცი, მათ შორის უილიამ პენი, რომელმაც ამერიკაში ინგლისური კოლონია პენსილვანია დაარსა, იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი იყო. ამ დეკლარაციაში კი ისინი თავისი შემდგომი ეკონომიკური წინსვლის საშუალებას ხედავდნენ.

მაგრამ ნონკონფორმისტების უმრავლესობას არ სჯეროდა მეფისა. ყველას თვალწინ ედგა ფრანგი ჰუგენოტების მწარე გამოცდილება და თვითონ ჯეიმსის მიერ ნონკონფორმისტების დევნა. ამგვარ ეჭვებს კარგად გამოხატავდა დიდი ტირაჟით გამოსული ერთი პოპულარული პამფლეტი, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენ განზრახ ჩაგიკრავენ გულში იმისათვის, რომ მერე მოგახრჩონ“. გარდა ამისა, თავად ნონკონფორმისტები იმდენად შეურიგებლად იყვნენ განწყობილი კათოლიკეობის მიმართ, რომ დევნილებად ყოფნა ერჩივნათ, ოღონდაც კანონით აკრძალული ეს უკანასკნელი მიმდინარეობა არ აღდგენილიყო.

წარუმატებლად დამთავრდა მეფის მცდელობა დაეყოლიებინა შოტლანდიელი პრესბითერიანები მიეღოთ ეს დეკლარაცია. შოტლანდიელებმა არა თუ უარყვეს მათი მრწამსის დამკანონებელი დეკლარაცია (ისევ კათოლიკეობასთან შეურიგებლობის გამო), არამედ უარი თქვეს დამატებით პრივილეგიაზე. დეკლარაციის მიღების სანაცვლოდ ჯეიმს II შოტლანდიელებს ინგლისთან თავისუფალი ვაჭრობის უფლებას ჰპირდებოდა. „ნუთუ ჩვენ ღმერთი ვაჭრობის საგნად უნდა ვაქციოთ?“ — ასეთი იყო პრესბითერიანების პასუხი.

ამგვარად, ჯეიმს II პროკათოლიკური პოლიტიკა თავადაზნაურობის და მოსახლეობის ფართო ფენების მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. მაგრამ მეფე, ჯიუტად ცდილობდა თავისი გაეტანა. მას თავისი 30 ათასიანი ჯარის იმედი ჰქონდა. ინგლისის ისტორიაში პრაქტიკულად არცერთ მონარქს არ ყოლია ასეთი მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარი. ამით იგი იმედოვნებდა ნებისმიერი ოპოზიციის

[45] რომის პაპის ელჩი

გატეხვას. იმავე დროს მეფე დარწმუნებული იყო, რომ ინგლიკანი სამღვდელოება მისი მორჩილად ერთგული იყო.

მაგრამ სწორედ აქ უმტყუნა მეფეს პოლიტიკურმა ალღომ. ინგლიკანური სამღვდელოება სოციალურად და ზნეობრივად ახალი ყაიდის თავადაზნაურობის, ჯენტრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მას შესისლხორცებული ჰქონდა ყველა ის ფასეულობა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ჯენტრი. ამ უკანასკნელისათვის კი უმთავრეს საფრთხეს კათოლიკეობის აღდგენა წარმოადგენდა, რასაც შეიძლება მოყოლოდა მიწების ხელახალი გადანაწილება. ამიტომ, როცა ჯეიმს II გამოსცა მეორე დეკლარაცია რჯულშემწყნარებლობის შესახებ 1688 წ. მაისში ექვსმა ეპისკოპოსმა კენტერბერის არქიეპისკოპოსის, სანკროფტის მეთაურობით, მეფეს დეკლარაციის გაუქმება მოსთხოვა.

განრისხებულმა მეფემ ეპისკოპოსების დაპატიმრება ბრძანა და მათი საქმე სასამართლოს გადასცა. და აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ინგლისური საზოგადოების მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კულტურა. აბსოლუტიზმის ძალმომრეობის, კათოლიკე ოფიცრებით დაკომპლექტებული მუდმივი ჯარიდან გამომდინარე შესაძლო საფრთხის მიუხედავად, სამეფო სასამართლოზე მთავრობის ზეწოლის პირობებში შვიდივე ღვთისმსახური გამართლებულ იქნა. ამგვარად, სამართალი მეფის ძალმომრეობაზე მაღლა დადგა. ლონდონი ყიყინითა და ხირალდნებით შეხვდა სასამართლო განაჩენს.

აღნიშნული განაჩენი ნიშანი იყო იმისა, რომ ჯეიმს II აბსოლუტისტურ და პროკათოლიკურ სწრაფვებს საფუძველი ეცლებოდა. მეფეს განუდგა ინგლიკანური ეკლესია, რომელიც აქამდე სტიუარტებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. სიტუაცია არნახულად დაიძაბა. მეფე არ აპირებდა პოზიციების დათმობას, ოპოზიცია კი ხედავდა, რომ მისი მხრიდან ნებისმიერი დათმობა დაღუპვის ტოლფასი იყო. და სწორედ ამგვარ სიტუაციაში მოხდა მოვლენა, რომელმაც თავისებური კატალიზატორის როლი შეასრულა. 1688 წ. ივნისში მეფეს ტახტის მემკვიდრე შეეძინა, უფლისწული ჯეიმსი. მემკვიდრე შვა დედოფალმა მარიამმა, (მერიმ) მოდენის ჰერცოგის ასულმა, ე.ი. კათოლიკემ. ამგვარად ინგლისს კათოლიკე დედ-მამის კათოლიკე უელსის უფლისწული მოევლინა.

კათოლიკეობის საყოველთაო აღდგენის საფრთხე მთელი სისრულით კიდევ ერთხელ დადგა ინგლისელთა წინაშე. ამ საფრთხემ გადამწყვეტი ბიძგის როლი შეასრულა ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანებაში. სეიგები და ტორები გაერთიანდნენ საერთო საფრთხის წინააღმდეგ. ოპოზიციის თავკაცებმა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა ოთხი ვიგი და სამი ტორი, წერილი გაუგზავნეს ჯეიმს II სიძეს, მისი ქალიშვილის მერის ქმარს, ჰოლანდიის შტატჰალტერს, ვილჰელმ III ორანელს[46]. ვილჰელმს ოპოზიცია პროტესტანტობის დასაყრდენად მიიჩნევდა. წერილში ინგლისში შექმნილი სიტუაცია ერთობ მუქ ფერებში იყო დახატული, წერილის ავტორი ლორდები წერდნენ, რომ „ინგლისის მოსახლეობის 19/20 მოუთმენლად მოელის ცვლილებებს, რადგანაც გაწამებულია მთავრობის ძალმომრეობით". ვილჰელმს პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ შექმნილი ვითარება ყველაზე ხელსაყრელი იყო მისი შემოჭრისათვის. მალე ვილჰელმმა ჯარისა და ფლოტის სარდლობის წარმომადგენელთა ერთგულების გარანტიაც მიიღო.

პოლიტიკური გადატრიალებისათვის თავად ინგლისში შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას თან ერთოდა შესაბამისი საგარეო პოლიტიკური ვითარებაც. სტიუარტების მფარველი და მეგობარი საფრანგეთი 1686 წ. ჩაება ომში ფართო კოალიციასთან, რომელიც აუსბურგის ლიგის სახელით იყო ცნობილი. ამ ომმა გარკვეულწილად ამოაგდო ინგლისი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრიდან. იმავე დროს ლიგის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ჰოლანდია, (იგულისხმება ვილჰელმ ორანელი) გრძნობდა, რომ საფრანგეთის ექსპანსიის აღსაკვეთად და ლიგის გაძარჯვებისათვის საჭირო იყო ანტიფრანგულ კოალიციაში ინგლისის ჩაბმა. სწორედ ყველა ზემოხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, ვილჰელმ ორანელმა, ფრთხილმა, მაგრამ ამავე დროს მტკიცე ხასიათის და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა ვადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი. 1688 წ. ოქტომბერში მან გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გადავლეს ინგლისში პროტესტანტობის, საკუთრების და თავისუფალი პარლამენტის დაცვის მიზნით. ნოემბრის დასაწყისში კი ვილჰელმი ინგლისის სანაპიროს მიადგა 600 ხომალდითა და 15 ათასიანი ჯარით.

მოვლენათა ამგვარი მსვლელობა აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ჯეიმს II, რომელიც მტკიცედ იყო დარწმუნებული თავისი სიძის ერთგულებასა და კეთილგანწყობაში. სამეფო კარი პანიკამ მოიცვა. თუმცა მეფის ჯარი რიცხობრივად სჭარბობდა ორანელის ჯარს, მაგრამ ეს არ იყო

---

[46] [illegible] ვილჰელმ III ორანელი [illegible] I [illegible] ქალიშვილის, მერის [illegible] ჯეიმს II ორანელის.

საიმედო. მეფის ერთგულები მხოლოდ კათოლიკე ირლანდიელები იყვნენ, რაც კიდევ უფრო არაპოპულარულს ხდიდა ჯეიმს II. ჯარის სარდლობა, გენერლები ფეევერშემი და ჯონ ჩერჩილი (უინსტონ ჩერჩილის წინაპარი) გაურბოდნენ ვილჰელმის ჯართან გადამწყვეტ შეტაკებას.

ნოემბრის შუა რიცხვებიდან სამხრეთ-დასავლეთ საგრაფოების მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო გადასვლა ვილჰელმის მხარეზე. მალე მეფე მიატოვეს დიდგვაროვანმა ოფიცრებმა, მთავარსარდალმა ჯონ ჩერჩილმა, მეფის ასულმა ანამ და მისმა ქმარმა დანიის უფლისწულმა გეორგმა. ვილჰელმის მხარეზე გადავიდნენ ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამრეწველო ცენტრები, როგორებიც იყვნენ ნიუკასლი, ჰალი, ნორიჩი და ბრისტოლი. მეფის წინააღმდეგ აჯანყებებმა იფეთქა იორკშირში, ვუსტერშირში, გლოსტერშირში. სტიუარტების ტრადიციული დასაყრდენი, ოქსფორდი, ზეიმით შეეგება ვილჰელმ ორანელს და მის ჯარს.

ყოველგვარ მხარდაჭერას მოკლებულ ჯეიმს II ისღა დარჩენოდა, რომ ქვეყანა დაეტოვებინა. 1688 წ. დეკემბერში ჯეიმს II დატოვა ინგლისი და საფრანგეთში გაიქცა, სადაც მანამდე მისი ცოლ-შვილი იყო გახიზნული. 21 დეკემბერს ლონდონში შესული ვილჰელმ ორანელი ლორდების, ჩარლზ II დროის პარლამენტის დეპუტატების და ლონდონის ოლდერმენების თავყრილობის მიერ გამოცხადებულ იქნა რეგენტად. მასვე დაევალა ახალი პარლამენტის მოწვევა. ვილჰელმის მიერ დედაქალაქში შექმნილი არეულობის დაშოშმინებამ მას ლონდონის შეძლებული მოსახლეობის დახმარება მოუპოვა, სიტიმ უყოყმანოდ მისცა ვილჰელმს სესხი 200 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

მიუხედავად ამგვარი სიმპათიებისა ვილჰელმის მდგომარეობა და მთლიანად სიტუაცია ქვეყანაში რთული იყო. სირთულე მდგომარეობდა მოვლენის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებაში. ინგლისმა ერთხელ უკვე გადაიტანა ერთი რევოლუცია, რომელსაც მოყვა მეფის სიკვდილით დასჯა (თავისთავად შემაძრწუნებელი ფაქტი იმ დროის პოლიტიკური თვალხედვით), რესპუბლიკური მმართველობა, მისი სრული დისკრედიტაცია და მერე კი სამხედრო დიქტატურა, რომელიც გარეგნულად კი წააგავდა საუფლო სამეფოს „წმინდანთა" ზნეობრივი ბატონობის გამო, მაგრამ საბოლოო ჯამში მიუღებელი აღმოჩნდა დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ინგლისური ცნობიერებისათვის. ყველაფერ ამას მოყვა სტიუარტების რესტავრაცია, მაგრამ ვერც სტიუარტებმა გაამართლეს.

რა უნდა ეღონა თავადაზნაურობასა და მსხვილ მეწარმეებსა და ვაჭრებს, რათა თავიდან აეცილებინათ როგორც პურიტანი-დისენტერების ყველაფრის დამანგრეველი ეგალიტარიზმი, და ასევე მონარქიის ტრადიციული სწრაფვა აბსოლუტიზმისაკენ? სწორედ ამიტომ დამფუძნებელმა პარლამენტმა მომხდარის შეფასებისას თავი აარიდა ისეთი ტერმინების ხმარებას, როგორიც არის დამხობა და ა.შ., რათა თავიდან აეცილებინა საყოველთაო მღელვარება. ეს უკანასკნელი კი უზენაეს ხელისუფლებას კვლავ, როგორც სამოქალაქო ომის დროს, ძალმომრეობის ობიექტად აქცევდა. ამიტომ 1689 წ. იანვრის დამფუძნებელი პარლამენტის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ მეფე ჯეიმს II, მოისურვა რა ქვეყნის კონსტიტუციის დამხობა, დაარღვია მასა და ხალხს შორის არსებული ხელშეკრულება. თავისი გაქცევით მან უარი თქვა ძალაუფლებაზე და ამით გაანთავისუფლა ტახტი. ამგვარად, ჩამოყალიბდა დებულება ტახტის ვაკანტურობის შესახებ. ძალმომრეობის ფაქტი, რომლის გაცნობიერებაც შესაძლოა გამოიწვევდა რადიკალური გამოსვლების ახალ ტალღებს, ვეღარ მოიკიდებდა ფეხს საზოგადოების ცნობიერებაში.

გაბატონებული წრეების გარკვეულ ნაწილს მაინც აფრთხობდა ვილჰელმის სწრაფვა დაყრდნობოდა რადიკალურად განწყობილ დისიდენტებს, რასაც შეიძლებოდა ანარქია მოყოლოდა. ხელისუფლების დასაყრდენს ისინი საკუთარ თავში და ანგლიკანურ ეკლესიაში ხედავდნენ. ამიტომ ლორდები არ ჩქარობდნენ ვილჰელმის მეფედ გამოცხადებას.

არც ვილჰელმი აპირებდა სხვის ნებას დაყოლოდა. მას მტკიცედ სწადდა ინგლისში მეფობა. ამიტომ ამ გამჭრიახმა პოლიტიკოსმა სწორი ნაბიჯი გადადგა და პარლამენტს ჰოლანდიაში დაბრუნებით დაემუქრა. მუქარამ გაჭრა. ვილჰელმის და მისი ჯარის გარეშე ქვეყანა სტიუარტების რესტავრაციის ან რადიკალური მოძრაობის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამიტომ პარლამენტმა ვილჰელმი და მერი მეფედ და დედოფლად გამოაცხადა. ფაქტიურად მეფედ მხოლოდ ვილჰელმი გამოცხადდა უილიამ III (1688-1702 წწ.) სახელით და მას გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლებაც. მერი არც კი ერეოდა ქვეყნის გამგეობაში იმ შემთხვევების გარდა, როცა უილიამ III ლაშქრობით იყო დაკავებული.

ამგვარად, უილიამმა მიიღო სამეფო გვირგვინი, რაშიც მას ადრე ეჭვი ეპარებოდა, რადგანაც მის ცოლს მერის და ცოლის დას ანას უფრო კანონიერი უფლებები ჰქონდათ ტახტზე. მაგრამ გამოიჩინა რა „გულუხვობა“ უცხო მთავრის მიმართ, პარლამენტი ძალზე კეთილგონიერი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ მიიღო რიგი დადგენილებებისა, რომლებმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ითამაშეს ინგლისის შემდგომ ისტორიულ განვითარებაში. უმთავრესი მიზანი, რომელიც პარლამენტს ამოძრავებდა, იყო ის, რომ ინგლისში აღარასოდეს არ ყოფილიყო არც აბსოლუტური მონარქია და არც კათოლიკე მეფე. ამიტომ 1689 წ. თებერვალში პარლამენტმა მიიღო უფლებათა დეკლარაცია, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში უფლებათა ბილის (კანონპროექტის) სტატუსი მიენიჭა.

უფლებათა ბილი შეიცავდა უმთავრეს საკონსტიტუციო გარანტიებს. მეფეს ჩამოერთვა უფლება შეეჩერებინა კანონების მოქმედება ანდა თავად გაეტარებინა ისინი ცხოვრებაში პარლამენტის თანხმობის გარეშე. მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლებოდა გადასახადების დაწესება და მათი აკრეფა, ანდა მუდმივი ჯარის ყოლა მშვიდობიან პერიოდში. ინგლისში საბოლოოდ დამკვიდრდა პროტესტანტული, კერძოდ ანგლიკანური რელიგიის ბატონობა. მხოლოდ პროტესტანტებს ეძლეოდათ იარაღის ტარების უფლება. გაუქმდა ჯეიმს II დროს აღდგენილი მაღალი კომისია.

გაითვალისწინა რა ის ფაქტი, რომ დისიდენტ-ნონკონფორმისტებმა, რომლებიც სხვადასხვა პურიტანულ სექტას წარმოადგენდნენ, მხარი არ დაუჭირეს ჯეიმს II, პარლამენტმა გამოსცა დადგენილება კათოლიკეებს გარდა ყველა ქრისტიანის უფლებათა გათანაბრების შესახებ. სპეციალური დადგენილებები ითხოვდნენ ნაფიცი მსაჯულების სამართლიანად შერჩევას, მათივე მონაწილეობით უნდა განხილულიყო საქმეები სახელმწიფო ღალატში ბრალდებასთან დაკავშირებით. აიკრძალა დაპატიმრებულ პირთა ქონების კონფისკაცია მათთვის განაჩენის გამოტანამდე. მეფეს ეკრძალებოდა არჩევნებში ან პარლამენტის მუშაობაში ჩარევა. 1694 წ. კანონით დაწესდა პარლამენტის სამ წელიწადში ერთხელ მოწვევა. 1701 წ. გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით ინგლისის ტახტის დაკავება აეკრძალა კათოლიკეს ან კათოლიკესთან ქორწინებაში მყოფ პირს. იგივე კანონი უკრძალავდა მონარქს ჩარეულიყო სასამართლოს საქმეში, კერძოდ, გადაეყენებინა თანამდებობიდან მისთვის არასასურველი მოსამართლეები.

ამრიგად, 1688 წ. სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ინგლისის ისტორიაში „დიადი რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი დამთავრდა პარლამენტის სრული გამარჯვებით მეფის ხელისუფლებაზე. ინგლისმა გამოიარა სამოქალაქო ომის ქარტეხილები, მაგრამ კონსტიტუციური მმართველობის დამყარებისათვის საჭირო იქნა ერთობ თავისებური, ინგლისურად გაწონასწორებული, შუალედური მოვლენა. ისეთი რევოლუცია, რომლის დროსაც პრაქტიკულად არ ჰქონია ადგილი საბრძოლო მოქმედებებს. შეიძლება ითქვას, რომ ზომიერმა ინგლისურმა სულისკვეთებამ კონსტიტუციური მმართველობისათვის ბრძოლა შესაბამისი პოლიტიკური ნაბიჯით დააგვირგვინა.

ეს იყო თავისებური ჯენტლმენური გარიგება მოწვეულ მონარქს და პარლამენტში გაბატონებულ არისტოკრატიას შორის. „დიადი რევოლუციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იმ დროიდან მოყოლებული პოლიტიკურ ცხოვრებაში წამოიჭრებოდა არა პარლამენტის უფლებათა დაცვის, არამედ პარლამენტის შემადგენლობის გაფართოების საკითხი. საქმე ეხებოდა პარლამენტში იმ სოციალური ფენების წარმომადგენელთა შეყვანას, რომლებიც ამ უფლებით არ სარგებლობდნენ. ამრიგად, 1688 წ. ინგლისში ჭეშმარიტ კონსტიტუციურ მონარქიას ჩაეყარა საფუძველი“

დიადი რევოლუცია ინგლისის საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ამსახველი მოვლენა იყო. პარლამენტი, რომლის ნებას დაემორჩილა უილიამ III, ძირითადად გამოხატავდა მიწათმფლობელთა ინტერესებს. სწორედ მათი ინტერესების გამოხატვას წარმოადგენდა მეფის მიერ გამოცემული ბრძანებულებები, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ინგლისიდან ხორბლის საზღვარგარეთ გატანას.

შორსმჭვრეტელი უილიამ III, რომელსაც აქტიური კონტინენტური, კერძოდ, ანტიფრანგული პოლიტიკის გატარება ჰქონდა მიზნად, ხვდებოდა, რომ ამგვარი კურსი ვერ მოიტანდა შედეგს. აქტიურ საგარეო პოლიტიკას, ომს მუდმივად დიდი ფულადი სახსრები სჭირდებოდა. ეს სახსრები კი იმ დროისათვის ინგლისში არა მარტო მიწათმფლობელების, არამედ მნიშვნელოვანწილად სავაჭრო და სამეწარმეო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში იყო მოქცეული. ამიტომ უილიამ III სწორედ ამ კაპიტალის მფლობელებზე აიღო გეზი.

ეს შემდეგნაირად მოხდა. ადრე, შუა საუკუნეებში და თვით რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროსაც მთავრობა ხანმოკლე სესხებს იღებდა ლონდონში, ლომბარდ სტრიტზე (ადრე იქ იტალიიდან, კერძოდ ლომბარდიიდან ჩამოსული ზარაფები იყვნენ განლაგებული) მცხოვრები ოქრომჭედლებისაგან, ვაჭრებისა და მევახშეებისაგან. ნასესხები თანხისა და პროცენტების გასტუმრება ხდებოდა გადასახადების აკრეფის შემდეგ. მაგრამ მთავრობა ყოველთვის არ იყო გადახდისუნარიანი. ამიტომ ადგილი ჰქონდა გაკოტრებას. მევახშეებს ეშინოდათ თანხების გასესხების, ამიტომ ფული შედარებით ნაკლებად იყო ბრუნვაში.

მდგომარეობა შეიცვალა 1694 წ., როცა მთავრობამ დაარსა ინგლისის ბანკი. ბანკი გასცემდა მსხვილ, გრძელვადიან სესხებს. სანაცვლოდ მთავრობა, რომელიც იღებდა სესხს, მევალეს ყოველწლიურად უბრუნებდა თანხის მტკიცედ დადგენილ 8%, ნაცვლად მთელი თანხისა. ამრიგად სესხი იქცეოდა მუდმივ სახელმწიფო ვალად.

ამ ვალის შენარჩუნებასა და გაზრდაში დაინტერესებული იყო ვაჭრობისა და წარმოების სფეროს ნებისმიერი წარმომადგენელი. წარმატებული საგარეო პოლიტიკა (კოლონიური სამფლობელოების შეძენა, ხელსაყრელი საგარეო ხელშეკრულებები) ხელს უწყობდა ხაზინის შევსებას და სესხების ზრდას. პარლამენტი პროცენტების გაცემის გარანტად გამოდიოდა, რამაც აღმოფხვრა ადრინდელი შიში და უნდობლობა.

იზრდებოდა ბრუნვაში მყოფი ფულადი თანხების მოცულობა. ყველაფერ ამის წყალობით იქმნებოდა ბიუჯეტი (სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი). მისი ჩამოყალიბების პროცესში თავად ბანკი გამოდიოდა შუამავლად სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. აღნიშნულ მოვლენას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. შუა საუკუნეებში მთავრობის ფინანსური პოლიტიკა დამყარებული იყო იმ შემოსავალზე, რომელსაც მიწა იძლეოდა. XVII ს. ბოლოს კი სახელმწიფოს, რომელიც ეყრდნობოდა მოსახლეობის გაცილებით ფართო ფენებიდან შემოსულ სესხებს, უნარი შესწევდა უფრო ფართო მასშტაბის შიგა თუ საგარეო პოლიტიკური ღონისძიებები გაეტარებინა, ვიდრე ეს ფეოდალიზმის ხანაში ხდებოდა. ამითვე იზრდებოდა საზოგადოების იმ ფენების პოლიტიკური თუ ეკონომიკური აქტიურობა, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობდნენ.

სწორედ მოსახლეობის ის ფენები, რომელთა აქტიურ საქმიანობაზე დამოკიდებული იყო ინგლისის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა თუ ვაჭრობის წარმატება, კერძოდ კი მიწათმფლობელები, რომლებიც ისწრაფოდნენ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული გაეტანათ კონტინენტზე და მრეწველები და ვაჭრები, რომლებსაც სურდათ გაეზარდათ მზა ნაწარმის ექსპორტი და ხელში ჩაეგდოთ მომგებიანი საზღვაო გადაზიდვები, მკაფიოდ წარმოჩნდნენ ინგლისის საგარეო პოლიტიკაში.

მათ სწრაფვას პირველობისკენ გზას ულობავდა საფრანგეთი, რომელსაც ევროპაში ბატონობა სურდა. უილიამ III, რომელიც ამ კლასების გარიგებამ აიყვანა ტახტზე, უნდა დაემტკიცებინა, რომ მასზე ტყუილად არ შეჩერდა არჩევანი. ამიტომ მან მკვეთრად შეცვალა სტიუარტების დროის პროფრანგული, ფაქტიურად კი ანტიეროვნული კურსი და შეუერთდა 1689 წ. ანტიფრანგულ ე.წ. აუსბურგის ლიგას, რომელიც აერთიანებდა რიგ გერმანულ სახელმწიფოს, ჰოლანდიას, შვეციას, ესპანეთს.

ამ ომით უილიამ III არა მარტო ქვეყანას, არამედ ტახტსაც იცავდა. ლუი XIV არ სცნობდა მას ინგლისის მეფედ. ვერსალის სამეფო კარზე მან თავშესაფარი მისცა გაქცეულ ჯეიმს II, ამარაგებდა მას ფულით და ჯარისკაცებით, რათა დამხობილი მეფე ირლანდიაში შეჭრილიყო, სადაც მას ადგილობრივი კათოლიკეების იმედი ჰქონდა.

ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბრძოლებს ადგილი ჰქონდა როგორც კონტინენტზე, ასევე ზღვაზე. ცალკეულ სამხედრო შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ამერიკაში და ინდოეთშიც, სადაც ამ ქვეყნებში არსებულ ინგლისურ და ფრანგულ კოლონიებში მყოფი სამხედრო შენაერთები იღებდნენ მონაწილეობას. საომარი მოქმედებები 1697 წ. დასრულდა. რისვიკის ზავის თანახმად საფრანგეთმა შეინარჩუნა ყველა ის მიწა, რომელიც მას დაპყრობილი ჰქონდა 1678 წ. მოყოლებული. უილიამ III ცნობილი იქნა ინგლისის მეფედ, ხოლო ჰოლანდიამ უფლება მიიღო ციხე-სიმაგრეები აეგო თავის საზღვარზე საფრანგეთთან. შეიძლება ითქვას, რომ ზავის პირობები მთლიანად არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებდა, რაც არ გამორიცხავდა მომავალში მათ შორის ურთიერთობის დაძაბვას. მაგრამ ახალი მეფისა და დინასტიისათვის თავისებური „პროგრამა მინიმუმი" შესრულებულ იქნა.

მთელი ეს ხანა, მოყოლებული, პრიტექტორატის დამსობიდან, აღსავსე იყო მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენებით, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ინგლისური საზოგადოების სულიერ განვითარებაში. აქ ტრადიციულად ინგლისელთათვის წინა პლანზე ლიტერატურა გამოდის, რომელმაც სრულად განიცადა იმ დროის ქარტესილების გაელენა. სამოქალაქო ომმა, მისმა შედეგებმა უდავოდ შეძრეს ინგლისური საზოგადოების ცნობიერება. ამბოხი, მონარქის სიკვდილით დასჯა, აღქმული ათასწლოვანი სამეფოს მოლოდინი, მის ნაცვლად კი სამხედრო დიქტატურა და მონარქიის რესტავრაცია, ყველაფერი ეს იყო სხვა არაფერი, თუ არა პურიტანული იდეალების მსხვრევა.

ეს იდეური ტრაგედია არნახული სიღრმითა და იმავე დროს მკაცრი, სადა სიდიადი ასახულ იქნა ჯონ მილტონის (1608-1678 წწ.) პოემაში „დაკარგული სამოთხე". ეს გრანდიოზული ნაწარმოები რევოლუციური ქარტესილების ბიბლიური ფორმით გადმოცემის მცდელობაა. სამოთხის დაკარგვა — ეს პურიტანთა მარცხია, მათი ათასწლოვანი საუფლო მონარქიისაკენ სწრაფვაში. თავად მილტონი, თავგამოდებული პურიტანი, გადაურჩა როიალისტთა ტერორს. ჩარლზ II არ ჩაითვალა საჭიროდ ამ ასაკოვანი და უსინათლო ადამიანის დასჯა. სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი დიდმა პოეტმა ფართო საზოგადოებისაგან შორს, ოჯახურ განმარტოებაში გაატარა. მილტონის უკვდავი პოემა და პურიტანობის დამხობა თავისებურ წყალგაყოფს წარმოადგენდა ინგლისის ზნეობრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

პურიტანობის სისადავე, სიმკაცრე, რომელიც საეკლესიო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და დესპოტიზმის ხასიათს იძენდა, დამხობილ იქნა. საზოგადოება მთლიანობაში მიესალმებოდა ამ ზნეობრივი დესპოტიზმის დამსობას, რადგანაც პურიტანობის თავგამოდებულმა რელიგიურობამ და სათნოების აუცილებლობამ ხალხს გაცილებით ლიბერალური ეკლესია მოანატრა. როგორც აბბობდნენ „წმინდანების" ბატონობის დროს სასმელ-საჭმელიც კი რელიგიით იყო შეკმაზული. ამიტომ რესტავრაციის დროის კულტურული ცხოვრება უშეალო რეაქციას წარმოადგენდა პურიტანობის დროის სავალდებულო საზოგებაზე.

ამგვარი რეაქციის უპირველეს განსახიერებას სამეფო კარი წარმოადგენდა. აზრია ერთსულოვნებაა იმის თაობაზე, რომ რესტავრაციის დროის ინგლისის სამეფო კარი თავისი ზნეობით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ემიგრაციიდან დაბრუნებული კავალერები ქცევის თავისუფლებით თითქოსდა ბრძოლას უცხადებდნენ პურიტანების მკაცრ მორალს. აბსოლუტური აკრძალვის შემდეგ სრულმა აღვირახსნილობამ დაისადგურა. თუკი პურიტანები კვირა დღეს გასეირნებასაც კი ცოდვად მიიჩნევდნენ, დაბრუნებული კავალერები (ქალებიც და მამაკაცებიც) ზოგჯერ ერთობლივ შიშვლად ცეკვასაც არ გაურბოდნენ. ლოთობა მოდური ჩვევა გახდა. პურიტანები კათხა ლუდის დალევას კრძალავდნენ და ცოლქმრული ღალატისათვის სიკვდილით სჯიდნენ. რესტავრაციის დროს ადრე დახურული სამიკიტნოები გაიხსნა და საროსკიპოების რაოდენობაც გაიზარდა. ჩაისა და ყავის სმა ასევე მოდად იქცა, მაგრამ იმ დროის ჩაიხანებსა თუ ყავახანებში უფრო მეტად ბრენდის მიირთმევდნენ, ვიდრე ჩაის ან ყავას.

სამეფო კარის და ემიგრაციიდან დაბრუნებული კავალერების გაიგივება არამც და არამც არ შეიძლება დანარჩენ ინგლისთან. პროვინციაში საზოგადოება „ძველი, დალოცვილი" ინგლისისათვის იმ ტრადიციული ცხოვრების წესს მისდევდა, რომელშიც თავ-თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი შრომას, ლოცვას თუ გართობა-დასვენებას. ისინი ხშირად ეჭვის თვალით უყურებდნენ დედაქალაქში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ამ გაწონასწორების შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი წვლილი ისევ პურიტანებმა, კერძოდ კი კრომველის ჯარის ვეტერანებმა შეიტანეს. გამართლდა კრომველის სიტყვები, რომელიც მან ახალი ყაიდის ჯარის შექმნისას წარმოსთქვა: „მხოლოდ ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ადამიანები გამოდგებიან დიდი საქმის დასაცავად. მშვიდობიანობის დროს კი ისინი ისევე დაემორჩილებიან სახელმწიფოს და კანონს, როგორც სახარებას". და მართლაც, კბილებამდე აღჭურვილი, ბრძოლაში გამობრძმედილი კრომველის ვეტერანები უთქმელად, წარბშეუხრელად დაემორჩილნენ რესტავრაციის ხელისუფლებას და დაიშალნენ. ისინი დაუბრუნდნენ თავის ადრინდელ საქმიანობას და თუკი სადმე ყურადღებას მიიპყრობდა სანიმუშო ყოფაქცევის, გაწაფულობის და შრომისმოყვარეობის იომენი ან ხელოსანი, იგი აუცილებლად „ბებერი ოლივერის" ერთ-ერთი ვეტერანთაგანი უნდა ყოფილიყო. ტრადიციულმა რაციონალობამ იმძლავრა ინგლისურ ცნობიერებაში. პურიტანობის ზეობის დროის ეკზალტაციამ ადგილი დაუთმო ზეციური

ჭეშმარიტების საკუთარ თავში გაცნობიერებას. სწორედ ამგვარი ცნობიერებით შეპყრობილი ინგლისური საზოგადოება ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ ისტორიული განვითარების გზაზე.

მაგრამ რესტავრაციის შეხედულებები არ შეიძლებოდა არ დასტყობოდა კულტურულ ფასეულობებს. ლიტერატურამ სრულად აირეკლა კავალერების მიერ პურიტანობის აბუჩად აგდება. ეს კარგად აისახა სემიუელ ბატლერის შემოქმედებაში, რომლის პოემაშიც „ჰუდიბრასი" გაკრიტიკებული იყო პურიტანობა, მისი მიმდევრების თავგამოდებული რელიგიურობა და პედანტურობა. თუმცა ისეთივე პოეტური მოხდენილობითა და აზრის სიღრმით იგი ამათრახებდა სინდისზე ხელაღებულ ხარბ მედროვეებს, რომლებიც მზად იყვნენ ფეხქვეშ გაეთელათ ყველა და ყველაფერი.

პუტიპურიტანულ ლიტერატურას უპირისპირდებოდა ჯონ ბანიანის „პილიგრიმის მოგზაურობა", რომელშიც ბიბლიური ალეგორიის ფონზე ზნეობრივი სენტენციები და პურიტანული სულისკვეთება იყო გადმოცემული. რესტავრაციის ხანის პოეტი-ლაურეატი, ყველასათვის უცილობელი ავტორიტეტი იყო ჯონ დრაიდენი. მისი შემოქმედება არაჩვეულებრივად ფართო სპექტრს მოიცავდა — პოეზია, დრამატურგია, კოიტიკა, სატირა. მის ლექსებში ერთნაირი დახვეწილობით იყო გადმოცემული სილამაზის ხილვით აღძრული დამათრობელი ვნება და ამავე დროს იდეურ-პოლიტიკური მოწინააღმდეგეების (ძირითადად ვიგების, დრაიდენი როიალისტი და კონსერვატორი იყო) მომაკვდინებელი კრიტიკა.

მნიშვნელოვნად განვითარდა მემუარული ლიტერატურა. სემიუელ პეპისის დღიურები და ჯონ ობრის ბიოგრაფიული ჩანაწერები XVII ს. მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უამრავ ფაქტს შეიცავენ და ეპოქის ამსახველ ნათელ სურათს ქმნიან. პეპისი მიუკერძოებლად აღწერს როგორც რესტავრაციის პირველი პერიოდის ეიფორიას, ასევე ნოსტალგიას კრომველსა და მისი დროის სამხედრო თუ საგარეო პოლიტიკურ ძლევამოსილებაზე, რომელიც გამოწვეული იყო სტიუარტების მარცხიანი საგარეო პოლიტიკით.

გაიხსნა პურიტანების მიერ დახურული თეატრებიც. მაგრამ რესტავრაციის დროის ექსცენტრიულობამ აქაც იჩინა თავი. თეატრალური წარმოდგენები ზოგჯერ აბსოლუტურად უშინაარსო იყო და უგულვებელყოფდნენ ზნეობრივ პრინციპებს. ასეთი იყო უილიამ უიჩერლისა და უილიამ კონგრევის დრამატურგია. შექსპირის გადაკეთებასაც კი ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ავტორის წყალობით „მეფე ლირის" ახალი ვერსიის ფინალში კორდილია ედგარს მიჰყვებოდა ცოლად.

თუკი ოდესმე ინგლისურ მუსიკას მიუღწევია მსოფლიოს მასშტაბებისათვის, ეს იყო სწორედ XVII ს. მეორე ნახევარში. ეს მიღწევა დაკავშირებულია შესანიშნავი კომპოზიტორის ჰენრი პერსელის სახელთან. თავისი შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე პერსელმა შექმნა მრავალი მაღალი ღონის საერო თუ საკულტო ხასიათის ნაწარმოები და მათ შორის პირველი, ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ინგლისური ოპერა „დიდონა და ენეოსი". პერსელის მუსიკა აღსავსეა იშვიათი ლირიულობით, ხოლო მელოდიურობა არაჩვეულებრივად ეხმიანება და ესადაგება ინგლისური ენის გრამატიკულ თავისებურებებს და ეფუძნება ხალხურ მუსიკაში არსებულ მრავალფეროვან, საუკეთესო ტრადიციებს.

რესტავრაცია და მისი შემდგომი ხანა აღინიშნება მნიშვნელოვანი წარმატებებით ხუროთმოძღვრების დარგში, რომლებიც დაკავშირებულია სერ კრისტოფერ რენის სახელთან. მან გარკვეული ხანი დაჰყო იტალიაში, აითვისა ბაროკის სტილი და სწორედ ამ სტილში ააგო თავისი ქმნილებების უმეტესი ნაწილი, მათ შორის წმ. პავლეს ცნობილი ტაძარი, რომლის ძველი ნაგებობა განადგურდა 1666 წ. ლონდონში მომხდარი დიდი ხანძრის შედეგად. მასვე ეკუთვნის ოქსფორდში მყოფი ისეთი ცნობილი ნაგებობა როგორიცაა შელდონის თეატრი, რომელიც რომაული ამფითეატრის სტილშია აგებული.

იგივე პერიოდი აღინიშნება საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებით. აღნიშვნის ღირსია თვით მეფე ჩარლზ II, რომელიც აბსოლუტისტურ სწრაფვებთან ერთად შეპყრობილი იყო მეცნიერებისადმი ინტერესით. მეფე და მისი მამიდაშვილი უფლისწული რუპერტი ერთობ გატაცებულები იყვნენ ქიმიით. მეფის ლაბორატორიაში თავს იყრიდნენ მეცნიერებით დაინტერესებული პირები, კარისკაცები, კულტურის მოღვაწეები (მაგ. ჯონ დრაიდენი). ამ თავყრილობას თავად ჩარლზ II მისი სიმპათიების ნიშნად „სამეფო საზოგადოება" უწოდა, რითაც სწავლულთა მომავალ პროფესიულ გაერთიანებას დაუდო საფუძველი. გრინვიჩში დაარსდა პირველი ინგლისური ობსერვატორია. ჰალიმ დაიწყო ზღვის მიქცევისა და მოქცევის შესწავლა, ჰუკმა სრულყო მიკროსკოპი.

მაგრამ ყველაფერი ეს დაჩრდილა აიზეკ (ისააკ) ნიუტონის (1643-1727 წწ.) გენიალურმა აღმოჩენებმა. მისმა მიღწევებმა (პლანეტების მოძრაობის გამოთვლის სრულყოფა, აღმოჩენები ოპტიკის დარგში, მიზიდულობის კანონი) ახალი წარმოდგენა შექმნეს სამყაროზე, როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

ნიუტონმა შექმნა მოსაზრება სამყაროსეულ უზოგადეს წონასწორობაზე, რომელზედაც დაფუძნებულია ყოფიერება. ამ გენიალური მოსაზრების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ის თეორიები, რომლებიც იმჟამინდელი სახელმწიფოს ახსნის განმარტებას იძლეოდნენ. სწორედ ამ თეორიების გამოხატულებასა და ხორცშესხმას წარმოადგენდა „დიადი რევოლუცია", 1688 წ. სახელმწიფო გადატრიალება. ეს თავისებური კომპრომისი ტორებს და ვიგებს შორის სწორედ სახელმწიფოს შიგნით გარკვეული საზოგადოებრივი წონასწორობის შენარჩუნება იყო, რომელიც მმართველი კლასების თვალსაზრისით უკვე დარღვეული იყო სტიუარტების აბსოლუტიზმის მეშვეობით. მაგრამ იგი შეიძლებოდა ასევე დარღვეულიყო მემარცხენე, რადიკალური ელემენტების, პურიტანებისა თუ სხვა გამთანაბრებლების და დისიდენტების გააქტიურების წყალობით.

სწორედ ამგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაწონასწორების იდეა იყო ჩამოყალიბებული ა. სიდნისა და ჯონ ლოკის ტრაქტატებში. სიდნი ილაშქრებდა აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. იგი მხარს უჭერდა მმართველობის შერეულ ფორმას. მისი აზრით ეს იყო კონსტიტუციური ანუ შეზღუდული მონარქია. ასეთი მმართველობისას მონარქის უფლებამოსილობა შეზღუდულია იმ ძალაუფლებით, რომელიც მას მიანიჭეს ხალხის წარმომადგენლებმა. ამის გამო მეფეს არ შეუძლია გამოსცეს მისთვის სასურველი, ზოგჯერ დესპოტური კანონები.

კიდევ უფრო ფართოდ და საფუძვლიანად იყო ჩამოყალიბებული შეხედულებები შეზღუდული მონარქიის შესახებ ჯონ ლოკის (1632-1704 წწ.) თეორიულ ნააზრევში. გამოხატავდა რა გარკვეულწილად მეწარმეთა კლასის ინტერესებს, რომლებმაც შეთანხმებას მიაღწიეს მიწათმფლობელებთან, ლოკმა წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკუთრება წარმოიშვა შრომის შედეგად და არა სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით, როგორც ამას ადრე თ.ჰობსი ფიქრობდა. ამრიგად საკუთრება, რომელიც ჯერ კიდევ XVII ს. 20-იან წლების საპარლამენტო დადგენილებაში კანონიერებისა და წესრიგის ქვაკუთხედად იქნა მოხსენიებული ჯ.ლოკის თქმით აბსოლუტურად ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო მონარქიული სახელმწიფოს მხრიდან.

სწორედ ამ ქვაკუთხედის, ე.ი. საკუთრების დაცვის მიზნით ადამიანებმა შექმნეს სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო, რომელიც ლოკის აზრით, ექვემდებარება კონტროლის და გაწონასწორების პრინციპებს საზოგადოების მხრიდან. ეს პრინციპები ლოკის აზრით ხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფით, რომელთაგან პირველი აკონტროლებს მეორეს. მაგრამ თუკი აღმასრულებელი ხელისუფლება, ე.ი. მეფე და მისი მინისტრები შეეცდებიან ხალხის წარმომადგენელთა ე.ი. პარლამენტის კონტროლიდან გამოსვლას, საზოგადოებას უფლება აქვს მიმართოს უკიდურეს ზომას — აჯანყებას. ლოკის იდეები სტიუარტების დამხობის და შეზღუდული მონარქიის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენდნენ.

ამრიგად, XVII ს. დასასრული ინგლისისათვის იყო პერიოდი, როდესაც საფუძველი დაედო ხანგრძლივ პოლიტიკურ სტაბილურობას. ხელისუფლება მტკიცედ გადავიდა პარლამენტის, კერძოდ კი თემთა პალატის ხელში. მისი წევრები, მიწათმფლობელები და სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები, თანამიმდევრობით შეუდგნენ იმ პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომელმაც XVIII ს. განაპირობა ინგლისის ეკონომიკური წინსვლა და წარმატებები საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით კოლონიურ ასპარეზზე.

სუფრენტელო გადატრიალება ინგლისში

XVIII ს. ინგლისში დასაბამი მიეცა მოვლენას, რომელმაც შემდგომში ძირეულად შეცვალა არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიული განვითარება. ეს იყო სამრეწველო გადატრიალება. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მსოფლიოს თანამედროვე საზოგადოების ყოფას, რომელიც დაფუძნებულია სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო საქონლის მასობრივ წარმოებაზე და ამ ნაწარმის მასობრივ მოხმარებაზე.

სამრეწველო გადატრიალებამ არსებითად შეცვალა როგორც ეკონომიკის, ასევე მთლიანად საზოგადოების განვითარებაც, შესძინა რა ამ პროცესებს არსებითად ახალი, მანამდე გაუგონარი ტემპები და შედეგები. როგორი იყო ამ პროცესის სათავეები? ამის გასაშუქებლად არ უნდა შემოვიფარგლოთ იმ სურათის განხილვით რომელიც შეიქმნა XVIII ს. ინგლისის მრეწველობაში, არამედ განვიხილოთ სოფლის მეურნეობის და მასთან გარკვეულ მიმართებაში ვაჭრობის განვითარება, ე.ი. შეძლებისდაგვარად შევიქმნათ წარმოდგენა აღნიშნული დროის ინგლისის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე.

XVIII ს. ინგლისის ეკონომიკაში აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა. აქ ჩვენ ვგულისხმობთ შემოსავალს, რომელიც ეკონომიკის ამ დარგიდან შემოდიოდა. XVII ს. ბოლოსათვის ცნობილი ეკონომისტის და სტატისტიკოსის გრეგორი კინგის მონაცემების თანახმად ყველაზე დიდი წლიური შემოსავალი, 12 909 000 გირვანქა სტერლინგი მსხვილი მიწათმფლობელების წილად მოდიოდა (იგულისხმება თავადაზნაურობა პერებიდან მოყოლებული ჯენტრის ჩათვლით).

მოსახლეობაში პროცენტული შეფარდებიდან გამომდინარე ამ ფენას თავისი შემოსავლით მხოლოდ ვაჭარ-სოვდაგართა კლასი თუ გაუტოლდებოდა, რომლებიც საშინაო და საგარეო ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმული. მათთან ეს მონაცემი 5 980 000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროის ინგლისში საკუთრების ყველაზე მომგებიან ფორმას მიწა და მისი ექსპლუატაცია წარმოადგენდა. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ტენდენცია, რომელიც ბატონობდა ინგლისურ საზოგადოებაში, კერძოდ კი არნახული გატაცება სოფლის მეურნეობით. XVIII ს. ინგლისელები განსაკუთრებული გატაცებით იყვნენ ჩაბმული სოფლის მეურნეობაში. ეს იყო თავისებური მოდა. ძნელად თუ მოიძებნებოდა ლორდი ან ჯენტლმენი, რომელიც არა თუ მოურაკის მეშვეობით, არამედ თვითონვე არ უძღვებოდა საკუთარ მამულებში მიწის დამუშავებას. ამის მაგალითად თუნდაც ლორდი ტაუნშენდი გამოდგება. დიდგვაროვანი, პრემიერ-მინისტრი, იგი გატაცებით იყო ჩართული სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ტურნეფსის გამოყვანაში, რის გამოც მეტსახელად სწორედ ტურნეფსი-ტაუნშენდი შეარქვეს.

სოფლის მეურნეობის მომგებიანობა და ამ დარგით თავისებური გატაცება იწვევდა სასოფლო-სამეურნეო საკარგულების გადანაწილებას, ცვლილებებს სამიწათმფლობელო სისტემაში და თავად მიწათმფლობელთა შემადგენლობაში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მდიდარი ვაჭრების სწრაფვა, სოფლად შეეძინათ მამულები. ამის საშუალებას მათი მატერიალური მდგომარეობა იძლეოდა. XVIII ს. ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება არნახულად მაღალი იყო სავაჭრო კომპანიების მონოპოლიის გამო (თუმცა კი უნდა აღინიშნოს ამ მოგების მაღალი კონცენტრაციაც). ამის წყალობით ვაჭრებსა ფენის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ სოფლად მიწა შეეძინათ. მოგვიანებით ამ მამულს წოდებაც ემატებოდა და ორიოდე თაობის შემდეგ ვაჭრის შვილიშვილი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენლად ევლინებოდა საზოგადოებას.

მიწათმფლობელი არისტოკრატიის ამგვარი ზრდის საპირისპირო პროცესი იყო საშუალო და წვრილი მიწათმფლობელების რიცხვის თანდათანობითი შემცირება. ეს კლასი მაშინდელი ინგლისის მესაკუთრეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო მისი საერთო შემოსავალი 23 360 000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა შემოსავლების ცხრილში.[47] რასაკვირველია, სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები სწორედ მათ მიწებს დაადგავდნენ თვალს. მაგრამ ამ კატეგორიის მიწათმფლობელების შემცირებასა და გაქრობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შემოღობვებმა, რომლებიც მასობრივად ჩატარდა ინგლისში XVIII ს. მეორე ნახევარში.

XVIII ს. ჩატარებული შემოღობვები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, რადგანაც მჭიდრო კავშირში არიან სამრეწველო გადატრიალებასთან და საერთოდ, ინგლისში არსებულ მაშინდელ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სიტუაციასთან. ამგვარი თვალხედვით შემოღობვები შეიძლება დახასიათდეს როგორც პარლამენტში გაბატონებული მიწათმფლობელების და ნაწილობრივ ვაჭრების შეტევა არსებულ აგრარულ ურთიერთობებზე. რასაკვირველია, ამ კლასებს ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა. მათ სურდათ უფრო მეტი მიწა ჩაეგდოთ ხელში, მოეხდინათ საკარგულების გამსხვილება. მაგრამ ამ ერთი შეხედვით ეგოისტური და ხარბი მისწრაფებების მიღმა ისტორიის ობიექტური განვითარების შესაბამისი მოთხოვნები იდგა.

---

[47] ამ კლასის მრავალრიცხოვნებაც უნდა გავითვალისწინოთ.

XVIII ს. ინგლისში აღგილი ჰქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას, რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით. შემოღებულ იქნა აცრა ყვავილის წინააღმდეგ, რომელსაც ადრე თითოეული თაობის 1\13 ნაწილი ეწირებოდა, დაიხვეწა მედიცინის ზოგიერთი სფერო, მაგ, ქირურგია. ქველმოქმედების წყალობით იმატა საავადმყოფოების რიცხვმა, ხოლო სამეანეო საქმეში შემოტანილმა სიახლეებმა არნახულად შეამცირეს ჩვილთა სიკვდილიანობა. ყველაფერ ამას შედეგად მოყვა მოსახლეობის ზრდა. გაზრდილი მოსახლეობა კი საჭიროებდა მეტ სურსათ-სანოვაგეს.

ამ ამოცანის გადაწყვეტის უნარი არ შესწევდა ძველი ტიპის, ე.წ. ღია მინდვრების პრინციპზე დამყარებულ სოფლის მეურნეობას, რომელიც ეფუძნებოდა წვრილი მიწათმფლობელების მცირე ნაკვეთებს. ამგვარ პირობებში სახნავ-სათესი მიწა დაყოფილი იყო სამ დიდ მინდვრად. ეს მინდვრები თავის მხრივ იყოფოდა სამი იარდის (1 იარდი = 91 სმ) სიგანის ზოლებად. თითოეულ მიწათმფლობელს სულ ცოტა ერთი ზოლი მაინც ერგებოდა თითოეულ მინდორში. ფერმერები ვალდებულები იყვნენ მიწის დამუშავების ერთნაირი მეთოდები გამოეყენებინათ. ამგვარი მეურნეობები არ გამოირჩეოდა უხვი მოსავლით. „არასოდეს – წერდა XVIII ს. ინგლისელი პუბლიცისტი არტურ იანგი, არ მენახა ესოდენ მწირი მოსავალი, როგორც ეს დამახასიათებელი იყო სათემო მინდვრებისათვის. იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს". ამის მიზეზი იყო ხვნა-თესვის მეთოდების ერთფეროვნება, მუდმივი დავა ზოლების საზღვრების და საქონლის საძოვრებზე გამოდენის გარშემო, დროის დანაკარგი, რომელიც თან ახლდა ფერმერის, თუ მისი საქონლის გადასვლას ერთი ზოლიდან მეორეში.

ამგვარ პირობებში არ იყო სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტების ჩატარების, თუ ახალი, უფრო ნაყოფიერი მეთოდების გამოყენების საშუალება. სიახლეები დაინერგებოდა მხოლოდ მსხვილ, მასშტაბურ მეურნეობებში, სადაც მოხდებოდა დიდი თანხების დაბანდება, მრავალრიცხოვანი მუშახელისა და შრომის მოწინავე მეთოდების ექსპლოატაცია.

სწორედ ეს ამოცანები გადაჭრა XVIII ს. საპარლამენტო აქტების მიერ ჩატარებულმა შემოღობვებმა. 1761-1801 წწ. მანძილზე გამოიცა ორი ათასი აქტი, რომელთა საფუძვლად შემოღობილ იქნა 1 200 000 ჰა მიწა. აქტები მიწათმფლობელთა მოთხოვნების შედეგად გამოიცა, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ პარლამენტში. ჩვეულებისამებრ პარლამენტის მიერ გამოყოფილი რწმუნებულები ახდენდნენ მიწის დათვალიერებას, შეფასებას და გადანაწილებას მის ახალ მფლობელთა შორის. ამგვარი პროცედურა მრავალრიცხოვან მიწის ნაკვეთს ერთ მსხვილ მეურნეობაში უყრიდა თავს.

როგორც ყველა ისტორიულ პროცესს შემოღობვებსაც თავისი შუქ-ჩრდილები ჰქონდა. სოციალური თვალსაზრისით შემოღობვების შედეგად თანდათან გაქრა საშუალო და წვრილი მიწათმფლობელების კლასი, რომლებსაც ინგლისში იომენებს უძახდნენ. მათი პროტესტი შემოღობვების წინააღმდეგ უნაყოფო აღმოჩნდა.

შემოღობვების შედეგად ამ კლასის რიგებში გარკვეული გადანაწილება მოხდა. ერთნი მიწათმფლობელებიდან მოიჯარადრე-ფერმერებად ან მოჯამაგირეებად იქცნენ, ნაწილმა ქალაქებს მიაშურა და ლონდონში, ბრისტოლსა თუ ნიუკასლში გაჩაღებულ ვაჭრობასა და წარმოებაში ჩაება. სამწუხაროდ, დარჩა ის ნაწილიც, რომელიც ვერ მოერგო ახალ პირობებს. ამის შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ოდესღაც სოციალური ღირსებით აღსავსე, რომლის წარმომადგენლები საარჩევნო უფლებითაც კი სარგებლობდნენ, გაღატაკდა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების ფარგლებს მიღმა აღმოჩნდა.

მაგრამ ამგვარი მოვლენების პარალელურად შემოღობვებმა ბიძგი მისცეს სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებას. სწორედ ამიტომ საზოგადოებაში მოარულად იქცა გამოთქმა: „ერთი აკრი შემოღობილი მიწა სჯობია ოთხს, რომელიც ღია მინდვრებზეა განლაგებული". ახალ, დიდ მეურნეობებში ფართოდ გაიშალა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვა. მიწათმოქმედებაში აქცენტი საფურაჟე ბალახზე კეთდებოდა. ექსპერიმენტატორმა ჯეტრო ტალმა დანერგა მიწის დამუშავებისა და მოსავლის გაზრდის მაღალეფექტური მეთოდი. ლორდ ტაუნშენდის მიერ შემოღებული ტურნეფსი საქონლისათვის ზამთრის საკვებად იქცა. მანვე შემოიტანა ანეულის უფრო რენტაბელურად მოხმარების მეთოდი. მარცვლეულისა თუ საფურაჟე კულტურების მოსავლის მკვეთრმა ზრდამ ბიძგი მისცა მეცხოველეობის განვითარებას. გამოჩნდა პირუტყვის ახალი, სახორცე ჯიშები. ლონდონის სმიტფილდის ბაზრის ჩანაწერები გვამცნობენ, რომ 1710-1795 წწ. როგორც

წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა (მაგ. ხარის წონა შესაბამისად უდრიდა 400 და 1200 გირვანქას).

სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის რაოდენობის ზრდა დაეტყო მოსახლეობის კვების რაციონსაც. ინგლისელთა საკვებში დამკვიდრდა შემწვარი ხორცი და თეთრი პური. XVIII ს. ხორბლის პურმა საბოლოოდ გამოდევნა ჭვავისა და შვრიის პური.

გაიზარდა შემოსავალი. XVIII ს. 30-იანი წლებისათვის სოფლის მეურნეობაში ჩაბმული, დღიურ გამომუშავებაზე მყოფი მუშები თავისი ხელფასით, ბინით, კვებით და პირველადი მოხმარების ნივთების შეძენის შესაძლებლობებით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების გლეხები ან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოჯამაგირეები.

ამასვე მოწმობენ სხვა მონაცემებიც. XVII ს. ინგლისში დაქირავებული მუშის დღიური ხელფასი სოფლად უდრიდა 10,25 პენსს, მაშინ როცა ერთი კვუოტერი (1 კვუოტერი = 12,7 კგ.) ხორბალი ღირდა 38 შილინგი და 2 პენსი. XVIII ს. შუახანებისათვის კი ხელფასი 1 შილინგამდე გაიზარდა, მაშინ როცა ხორბლის ფასი 32 შილინგამდე შემცირდა. ცხოვრების დონის ამაღლებაზე მიუთითებს ისიც, რომ თითოეულ ღარიბ ოჯახშიაც კი დღეში ერთხელ სვამდნენ ჩაის, კოლონიებიდან შემოტანილ საქონელს, რომელიც მთლიანობაში ფუფუნების საგნად ითვლებოდა.

XVIII ს. შუა ხანებში ინგლისს, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 7,5 მლნ. ადამიანს შეეძლო გამოეკვება 10 მილიონი ადამიანი. სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპების წყალობით ინგლისმა აღნიშნულ პერიოდში მარცვლეულის გატანაც კი დაიწყო საზღვარგარეთ.

თავისი ზოგადისტორიული მნიშვნელობით შემოღობვებმა საბოლოო ჯამში დადებითი როლი შეასრულეს ინგლისის განვითარებაში. მათ ხელი შეუწყვეს კაპიტალისტური ყაიდის სოფლის მეურნეობის ზრდას, რაც თავის მხრივ უცილობელ პირობას წარმოადგენდა ეკონომიკის ამ დარგის სწრაფი განვითარებისათვის. XVIII ს. შემოღობვების შედეგად ინგლისის სოფლის მეურნეობა საბოლოოდ დაფუძნდა მსხვილ მიწათმფლობელობაზე. დიდი მამულები ლენდლორდების ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელები მათ იჯარით გადასცემდნენ შეძლებულ ფერმერებს. თავის მხრივ მოიჯარადრე-ფერმერები კი მიწას ამუშავებდნენ მოჯამაგირეების მეშვეობით.

მოსავლიანობის ზრდა, მეცხოველეობის განვითარება აფართოებდა შიდა ბაზარს და ზრდიდა ინგლისის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს. ეს უფრო მეტად აბამდა სოფლის მესაკუთრეებს კაპიტალისტურ წარმოებასა და საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაში, რაც ინგლისის სოფლის მეურნეობას კონკურენტუნარიანს ხდიდა მსოფლიო მასშტაბით. ყველაფერი ეს კი წინაპირობას ქმნიდა რევოლუციური ძვრებისათვის, რომლებიც ინგლისის მრეწველობაში დაიწყო XVIII ს. 30-იანი წლებიდან და სამრეწველო გადატრიალების სახელით არის ცნობილი.

სამრეწველო გადატრიალებას ინგლისში წინ უძღოდა რიგი წანამძღვრებისა. პირველ რიგში ეს იყო ქვეყანაში მნიშვნელოვანი ფულადი თანხების დაგროვება. ეს თანხები ოსტ-ინდოეთთან და ამერიკასთან გაცხოველებული ვაჭრობის შედეგი იყო. ფულის მასის ზრდა მოხდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების ხარჯზე. ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვებას თან ერთვოდა მოსახლეობის ზრდაც, რაც თავის მხრივ ზრდიდა მოთხოვნას სამრეწველო ნაწარმზე.

ინგლისში კარგა ხანია არსებობდა მანუფაქტურული წარმოება, რომელიც დაფუძნებული იყო შრომის პროცესის დანაწილებაზე. ეს იყო წარმოების ერთობ მაღალი ფორმა, რომელსაც ფართო ორგანიზაციული მასშტაბი ჰქონდა. მაგრამ იგი დამყარებული იყო ხელით შრომაზე. საჭირო იყო ამ პროცესის შემდგომი ინტენსიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ინტენსიფიკაციას აფერხებდა არა მარტო ხელით შრომა, არამედ პოლიტიკური ფაქტორიც. ლაპარაკია კანონმდებლობაზე, რომელიც ერთობ მოძველებული იყო (ზოგიერთი სტატუტი ელისაბედ I მეფობის ხანას განეკუთვნებოდა) და ზღუდავდა წარმოების ზრდას, მუშახელის დაქირავებას და სხვ.

ამ დრომოჭმული ხუნდების მოსპობას და წარმოების სრულ გადახალისებას ბიძგი მისცა მანქანური ტიპის იარაღების დანერგვამ. მანქანა ეს იყო სხვადასხვანაირი ხელსაწყოების ერთობა, რომელიც მოძრაობაში ძრავს მოჰყავდა. აღსანიშნავია, რომ პირველი მანქანა-დანადგარები საფეიქრო მრეწველობაში დაინერგა, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო შეზღუდული ძველი შრომითი კანონმდებლობით. გარდა ამისა, ეს დარგი, განსაკუთრებით კი ბამბეულის წარმოება უხვად მარაგდებოდა ნედლეულით, რომელიც ამერიკიდან და ოსტ-ინდოეთიდან შემოდიოდა.

პირველი ტექნიკური გამოგონება 1733 წ. (ზოგიერთ წყაროში მითითებულია 1738 წ.) თარიღდება. ამ წელს მესაათე ჯონ კეიმ გამოიგონა მფრინავი მაქო, რომელმაც საქსოვი დაზგის მუშაო-

ბას მექანიკური ხასიათი მისცა. მფრინავი მაქო მოძრაობაში ხელით კი არ მოდიოდა, არამედ სპეციალური ბერკეტების მეშვეობით. მაქომ არა მარტო დააჩქარა ქსოვა, არამედ საშუალება მისცა მოექსოვათ მქსოველის განმკლავის სიგანის ქსოვილი. ამ სიახლის მასობრივად გამოყენება XVIII ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო.

1764 წ. ლანკაშირელმა ფეიქარმა ჯეიმს ჰარგრივსმა გამოიგონა მექანიკური სართავი დაზგა, რომელიც ერთდროულად ამზადებდა 16-18 ძაფს. ჰარგრივსმა საკუთარ გამოგონებას თაეისი ქალიშვილის საპატივსაცემოდ „ჯენი" შეარქვა. როგორც თავისი წინამორბედი მაქო, „ჯენიც" შემსრულებელ მანქანას წარმოადგენდა, რომელიც თავისი ხელსაწყოების მეშვეობით იგივე სამუშაოს ასრულებდა, რაც ადრე მუშას ევალებოდა.

1767 წ. დალაქმა რიჩარდ არკრაიტმა გამოაცხადა, რომ მან გამოიგონა წყლის მექანიკური სართავი მანქანა. დროთა განმავლობაში გამოირკვა, რომ სინამდვილეში გამოგონება ეკუთვნოდა ვინმე ჰაისს. არკრაიტმა მოიპარა და მიითვისა მისი პროექტი და გამომგონებლის სახელიც მას შერჩა. „ჯენისაგან" განსხვავებით ახალი მანქანა მოძრაობაში მოდიოდა არა ხელის, არამედ წყლის მეშვეობით. 1771 წ. არკრაიტმა აამენა დერბიშირში ფაბრიკა, რომელიც ზემოხსენებული ტიპის მანქანებით იყო აღჭურვილი.

ამით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ტიპის წარმოებას. ეს იყო მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი ფაბრიკა, რომელიც განთავსებული იყო დიდ შენობაში. ფაბრიკა განლაგებული იყო ენერგეტიკული წყაროს (ამ შემთხვევაში წყლის) მახლობლად, მაგრამ მთავარი სიახლე კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ მუშები სამუშაოს შესასრულებლად ფაბრიკაში მიდიოდნენ, მაშინ, როცა ადრე ისინი სამუშაოს სახლში ასრულებდნენ ხელის მარტივი დაზგების მეშვეობით. ამრიგად შრომის პროცესმა დაკარგა შინაური, პატრიარქალური ხასიათი. იგი შეუდარებლად მასშტაბური გახდა, ხოლო მუშა მის დანამატად იქცა.

არკრაიტის მიერ გამოგონებული მანქანა მაგარ, გამძლე ძაფს ამზადებდა, მაგრამ იგი ერთობ სქელი იყო. ამ ძაფით შეუძლებელი იყო ისეთი ნატიფი ქსოვილების დამზადება, რომლებიც ინდოეთიდან შემოჰქონდათ, მაგ. მუსლინი. მაგრამ ტექნიკური აზრის განვითარებამ ეს ამოცანაც გადაჭრა. 1779 წ. ლანკაშირელმა ფეიქარმა სემიუელ კრომპტონმა შექმნა ე.წ. მიულ-მანქანა. მიული (mule — ჯორი)[48] წარმოადგენდა „ჯენისა" და არკრაიტისეული მანქანის საუკეთესო თვისებების კომბინაციას. მისი მეშვეობით შეიძლებოდა ძალზე მაგარი და ძალიან წვრილი ძაფის დამზადება.

აღნიშნული დანადგარების გამოგონებამ დისპროპორცია შექმნა როვასა და ქსოვას შორის. პირველმა საგრძნობლად გაუსწრო მეორეს. შექმნილმა სიტუაციამ ბიძგი მისცა ქსოვის მანქანურ მეთოდებზე გადასვლას. ეს ამოცანა გადაჭრა სოფლის მღვდელმა ედმუნდ კარტრაიტმა. მან გამოიგონა მექანიკური საქსოვი დაზგა, ხოლო მოგვიანებით ააგო ამგვარი დაზგებით აღჭურვილი ფაბრიკა. ამრიგად ქსოვის პროცესიც საფაბრიკო, მანქანური წარმოების წესზე გადავიდა. დაზგა წყლის ენერგიას მოყავდა მოძრაობაში.

ბამბეულის წარმოების მექანიზაციამ გამოიწვია მრეწველობის ამ დარგის ტერიტორიული გადანაცვლება. ბამბეულის წარმოება დაიწყო ლანკაშირის საგრაფოში, რადგანაც იქაური ტენიანი ჰავა თავისებურად ხელს უწყობდა ნატიფი ძაფის დამზადების პროცესს, ხოლო ლივერპული ყველაზე ახლომდებარე და მოხერხებული ნავსადგური იყო ამ ნაწარმის უცხოეთში გასატანად.

მექანიკური საქსოვი დაზგების გამოგონების შემდეგ შესაბამისი ფაბრიკების აგება სწორედ იმ სწრაფი დინების მდინარეების გვერდით დაიწყო, რომლებიც ასე უხვად იყვნენ ამ საგრაფოში. მოგვიანებით, როდესაც მექანიკური საქსოვი დაზგები დაინერგა მაუდის წარმოებაში ეს დარგი ფართოდ გავრცელდა უესტ რაიდინგსა და იორკშირში, რადგანაც აღნიშნულ საგრაფოებში ბევრი იყო სწრაფი დინების მქონე მდინარე. ამის შედეგად საფეიქრო მრეწველობამ, რომელიც ადრე გავრცელებული იყო ისტ ენგლიაში, მისთვის დამახასიათებელი ვაკე ტერიტორიით და ნელი მდინარეებით ჩრდილოეთის და დასავლეთის მთაგორიან რაიონებში გადაინაცვლა.

წყალი, თუნდაც ყველაზე სწრაფმავალი დინების, ვერ გადაიქცეოდა ენერგიის წყაროდ, რომელიც უზრუნველყოფდა უნივერსალური ძრავის მუშაობას. წყლის ძალა გარკვეულწილად შეზღუდული იყო და ცვალებადი, ფაბრიკის მდინარის ნაპირზე აგების აუცილებლობა კი საბოლოო ჯამში მაინც ზღუდავდა წარმოებას. შეიქმნა უნივერსალური ძრავის შექმნის აუცილებლობა, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული წყლის ან სხვა რაიმე გარეშე ენერგიის წყაროზე.

---

[48] ჯორი წარმოადგენს ცხენისა და ცხენის ნაჯვარს.

ეს ამოცანა 1784 წ. წარმატებით გადაჭრა ჯეიმს უოტმა, შესანიშნავმა მექანიკოსმა, კონსტრუქტორმა და გამომგონებელმა, რომელიც კაპიტალისტ ბოლტონის ფაბრიკაში მუშაობდა. უოტმა შექმნა ერთცილინდრიანი ორმაგი მოქმედების ორთქლის ძრავი. ამ დანადგარს შეეძლო ერთდროულად მოქმედებაში მოეყვანა უამრავი მექანიზმი. 1785 წ. ორთქლის მანქანა გამოყენებულ იქნა სართავი დაზგების ასამოქმედებლად.

ამ გამოგონების წყალობით წარმოების პროცესმა არნახულად მასშტაბური და ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამაც დააჩქარა ცვლილებები მრეწველობის სხვა დარგებში. 1784 წ. მეტალურგ კორტის მიერ გამოგონებულ იქნა რკინის წარმოების გაუმჯობესებული მეთოდი ე.წ. პუდლინგირების მეთოდი. ამგვარი რკინა გაცილებით უკეთ იჭედებოდა. მანვე გამოიგონა რკინის გლინვის მეთოდი, რამაც 15-ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება. XVIII ს. მიწურულს ინგლისში მნიშვნელოვნად გაიზარდა კალის, ტყვიის და სპილენძის მადნის მოპოვება. სიახლეებმა მეტალურგიაში გამოიწვიეს წინსვლა წარმოების სხვა დარგებში. ხის მასალის ნაცვლად მშენებლობაში ფართოდ დაიწყო რკინის გამოყენება. 1818 წ. ინგლისში დაიწყეს რკინის ხომალდების წარმოება, რომლებმაც ხის გემები შეცვალეს.

XVIII ს. დასასრულს ინგლისში მნიშვნელოვნად გაიზარდა მანქანათმშენებლობა. კერძოდ, 1800 წ. ინგლისურ მრეწველობაში მოქმედებდა უკვე 300 ორთქლის მანქანა, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრიდა 5 ათას ცხენის ძალას. თავდაპირველად ეს დანადგარები მანუფაქტურებსა და სახელოსნოებში იწარმოებოდა. მოგვიანებით, ორთქლის მანქანებსა თუ სხვა დანადგარებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად დადგა მათი არა სახელოსნო–მანუფაქტურული, არამედ საქარხნო-მანქანური წესით წარმოების აუცილებლობა. მანქანები მანქანებს უნდა ეწარმოებინათ. ეს პროცესი XIX ს. დასაწყისიდან დაიწყო.

სიახლეები მრეწველობის სხვადასხვა დარგში და წარმოების მანამდე არნახული ზრდა ითხოვდა კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სისტემის შეცვლას. ძველი გზები და სატრანსპორტო საშუალებები ხუნდებად იქცა ნედლეულისა თუ მზა ნაწარმის გადაადგილების გზაზე. პირველი ნაბიჯი ამ ასპარეზზე საწყალოსნო არხების გაყვანით დაიწყო. ჰერცოგმა ბრიჯუოტერმა, გამოიყენა რა თავისი გავლენა როგორც ლორდთა პალატის წევრმა, 1761 წ. გააჭრევინა არხი მანჩესტერიდან რანკორნამდე, რომელიც მდინარე მერსიზე მდებარეობდა. ამით ჰერცოგმა უორსლიში განლაგებული მისი ქვანახშირის საბადოები დაუკავშირა მანჩესტერს. არხის გაყვანა განხორციელდა თვითნასწავლი ინჟინრის ჯეიმს ბრიდლის პროექტის მიხედვით.

ეს მაგალითი ძალზე მნიშვნელოვანია თავისი სოციალური მხარითაც. უმაღლესი წოდების არისტოკრატი ინგლისში დასაქმებული იყო წარმოებაში და თანამშრომლობდა მესამე წოდების წარმომადგენელთან. ერთიც და მეორეც საოცილოდ მოეჩვენებოდა კონტინენტის ნებისმიერ დიდგვაროვანს, რომელიც ძველი ფეოდალური პრივილეგიების ხარჯზე ამჯობინებდა ცხოვრებას. ყველაფერი ეს რასაკვირველია ინგლისური საზოგადოების სოციალურ მობილურობაზე და მოქნილ სოციალურ აზროვნებაზე მეტყველებს.

ტვირთის გადაზიდვა ამ არხის მეშვეობით ოთხჯერ უფრო იაფი ჯდებოდა ვიდრე სახმელეთო გზებით. ამიტომ ჰერცოგ ბრიჯუოტერს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. 1790 წლისათვის ტემზის, სევერნის, მერსის და ჰამბერის წყალუხვი შესართავები ერთმანეთს არხებით დაუკავშირდა, რომლებიც ერთმანეთს ბირმინგემის მახლობლად ერწყმოდნენ. არხების ექსპლოატაციამ გაზარდა ტვირთბრუნვა და დიდად შეუწყო ხელი შიგა თუ საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

სამრეწველო გადატრიალებამდე ინგლისის გზები ერთობ სავალალო მდგომარეობაში იყო იმ თვალსაზრისით, რომ შემოდგომის წვიმების შემდეგ ისინი პრაქტიკულად გაუვალი ხდებოდნენ. ძირითადში ესენი იყვნენ გზები, რომლებიც თავის დროზე რომაელებმა გაიყვანეს. რასაკვირველია ასეთ გზებზე როგორც მგზავრების გადაყვანა, ასევე ტვირთის გადაზიდვა დიდი შეფერხებით მიმდინარეობდა. ამ გზების შეკეთება და ახლების გაყვანა, რომლებიც უპასუხებდნენ მზარდ ეკონომიკურ მოთხოვნებს დაკავშირებულია ისეთი ინჟინრების სახელთან, როგორებიც იყვნენ მეტკალფი, ტილფორდი და მაკადამი.

გზებთან ერთად შეიცვალა ტრანსპორტიც. ეტლები უფრო მსუბუქი და სწრაფი გახდა. შესაბამისად გაიზარდა გადაადგილების სისწრაფეც. თუკი 1706 წ. ლონდონიდან ნიუკასლამდე ეტლი რვა დღეს უნდებოდა, იგივე მანძილს 1820 წ. მოგზაური ორმოც საათში ფარავდა. ეს სწორედ მა-

კადამის მეთოდით გაყვანილი გზების წყალობით მოხდა, რომლებზედაც ყოველ საფოსტო სადგურში შეცვლილი ცხენები ეტლს საათში 10 მილის სისწრაფით მიაქროლებდნენ.

მაგრამ ნამდვილი გადატრიალება სატრანსპორტო სისტემაში ორთქლის ძრავის გამოყენებამ მოახდინა. 1803 წ. არხზე, რომელიც უკავშირებდა ერთმანეთს მდინარეებს კლაიდსა და ფორტს პირველად გამოჩნდა გემი, რომელიც ოროქლის ძრავის მეშვეობით მოძრაობდა, ხოლო 1812 წ. ჰენრი ბელის მიერ ორთქლის ძრავით აღჭურვილმა გემმა „კომეტამ" დაიწყო მოძრაობა მდინარე კლაიდზე გლაზგოსა და გრინოკს შორის.

უფრო ძნელი იყო იმავე მეთოდით სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობაში მოყვანა. მაგრამ ეს ამოცანა 1814 წ. წარმატებით გადაჭრა ნიჭიერმა თვითნასწავლმა კონსტრუქტორმა ჯორჯ სტეფენსონმა. აღსანიშნავია, რომ მისი გამოგონება თავდაპირველად სწორედ მრეწველობის მოთხოვნებს ემსახურებოდა. კერძოდ, 1814 წ. მის მიერ გამოგონებული ძრავის მეშვეობით ამოძრავდა ვაგონეტების შემადგენლობა, რომლითაც მაღაროდან ქვანახშირი ამოჰქონდათ.

1825 წ. იგივე ძრავა გამოყენებულ იქნა ორთქმავალზე, რომელმაც შემადგენლობა გაატარა სტოქტონიდან დარლინგტონამდე. ხოლო 1829 წ. გაიყვანეს რკინიგზა ლივერპულიდან მანჩესტერამდე, რომელზეც მის მიერ შექმნილმა ორთქლმავალმა „როკეტმა" საათში 30 მილის სიჩქარით გაიარა. ერთდროულად დაიწყო ლონდონ-ბირმინგემის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და XIX ს. 40-იანი წლების დასაწყისისათვის მატარებლით შეიძლებოდა ჩრდილოეთით ლანკასტერამდე, ხოლო დასავლეთით ეკზეტერამდე ჩასვლა.

სამრეწველო გადატრიალებამ მოიტანა მანამდე არნახული ცვლილებები ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მისი გარეგნული იერის ჩათვლით. XVIII ს. დასაწყისში ეს იყო ქვეყანა, რომელიც მაინც და მაინც არ განსხვავდებოდა გარეგნულად მსგავსი გეოგრაფიული არეალის ქვეყნებისაგან. ეკონომიკას უპირატესად სასოფლო-სამეურნეო ხასიათი ჰქონდა. სოფლის მეურნეობა ძირითადში ძველ, შუა საუკუნეობრივ ხასიათს აჭარებდა. ერთადერთი ჭეშმარიტად დიდი ქალაქი ლონდონი იყო, რომელიც თავისი მოსახლეობითა და სიდიდით (500 000 ადამიანი) 15-ჯერ აღემატებოდა თავის უახლოეს კონკურენტებს ბრისტოლსა და ნორუიჩს. ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 5,5 მლნ. ადამიანს შეადგენდა. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად განვითარებული საგრაფოები ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთში იყო განლაგებული.

სამრეწველო გადატრიალებამ ერთბაშად შეცვალა ყველაფერი. ქვეყანა ფაბრიკა-ქარხნებით, ქვანახშირისა და რკინის მადნის მაღაროებით დაიფარა. მკვეთრად გაიზარდა მრეწველობის პროდუქცია.

XVII ს. ბოლოს ინგლისი 2 982 000 ტ ქვანახშირს მოიპოვებდა. XVIII ს. ბოლოს ეს მაჩვენებელი 10 155 000 ტ-მდე გაიზარდა. 1740 წ. ინგლისი აწარმოებდა 17 000 ტ რკინას, 1790 წ. ეს მაჩვენებელი 120 000 ტ-ს უდრიდა, ხოლო 1830 წ. კი 700 000 ტ-ს.

ჯერ კიდევ წყლის ძრავის შემოტანამ ბამბეულის და მაუდის წარმოებაში გამოიწვია როგორც სამრეწველო ობიექტების, ასევე წარმოებაში ჩაბმული მუშახელის გადაჯგუფება. მეტალურგიის განვითარებამ, რომელიც დაფუძნებული იყო ქვანახშირის გამოყენებაზე კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი. სამრეწველო ცენტრებმა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიდლენდსა და ჩრდილოეთში გადაინაცვლეს, უმეტესად ქვანახშირის საბადოების მახლობლად. შესაბამისად გაიზარდა ამ რეგიონების მოსახლეობა, რომელიც უმეტესად განლაგებული იყო დიდ სამრეწველო ქალაქებში. 1821 წ. მანჩესტერის მოსახლეობამ 150 ათას. მიაღწია. გლაზგო, ლივერპული და ბირმინგემი 100 ათასზე მეტ მაცხოვრებელს ითვლიდა.

მრეწველობის განვითარებამ ქვეყნის ლანდშაფტიც კი შეცვალა. ბევრგან პასტორალური იდილიით აღსავსე მდელოები თუ გორაკები ქარხნებისა და ფაბრიკების პირქუშმა ხედებმა შესცვალეს. ფაბრიკა-ქარხნების არნახულმა კონცენტრაციამ შესაბამისი რეგიონის ახალი დასახელებაც კი შემოიტანა, „შავი ქვეყანა" (Black Country). სწორედ ასე დაერქვა ფაბრიკა-ქარხნების კვამლით გაჭვარტლულ ინგლისის მიდლენდის რამოდენიმე საგრაფოს.

სამრეწველო რევოლუციამ არნახულად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და წარმოების ტემპები. ამან გამოიწვია წარმოებული საქონლის თვითღირებულების შემცირება. დაიწყო სამრეწველო ნაწარმის ფასების შემცირება. მანქანური წარმოების წყალობით ინგლისს თავისი საქონლის წარმოება გაცილებით უფრო იაფი უჯდებოდა ვიდრე კონტინენტის ნებისმიერ ქვეყანას. განუხრელად იზრდებოდა ინგლისის შიდა და საგარეო ვაჭრობა. XVIII. ბოლოს ინგლისის ნავსადგურებიდან გა-

სული ინგლისური სავაჭრო გემების ტონაჟი 3-ჯერ გაიზარდა საუკუნის დასაწყისთან შედარებით და XIX ს. დასაწყისში 2 მლნ. ტონას მიაღწია.

ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ და ესოდენ დიდმა წარმატებებმა გამოიწვიეს შესაბამისი ეკონომიკური თეორიებისა და შეხედულებების წარმოშობა. სამრეწველო გადატრიალების ეკონომიკური არსი ყველაზე უფრო სრულად ჩამოყალიბდა შესანიშნავი ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმიტის ნააზრევში, რომელიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლად გვევლინება. თავის მთავარ ნაშრომში „სახელმწიფოთა სიმდიდრის წარმოშობის და მიზეზების შესახებ" სმიტმა გაანალიზა და შეფასება მისცა ახლადშექმნილ ეკონომიკურ სიტუაციას. საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის შექმნის მთავარ წყაროდ მას შრომა მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ნებისმიერი ნივთის თუ სხვა პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება მათი წარმოებისათვის დახარჯული შრომის ოდენობით. ამ დებულებამ წინ წამოსწია შრომის ელემენტი, როგორც საზოგადოების საერთო პროგრესის განმსაზღვრელი ფაქტორის როლი. შესაბამისად, შრომა, მისი შესაბამისი ორგანიზება-ანაზღაურება იქცა საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მომენტად, რომელიც წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის მთელ შემდგომ ისტორიას.

შრომის როლის ესოდენ წინ წამოწევა, შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს მომენტად გადაქცევამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა სმიტის პოლიტიკურ ეკონომიაში. სმიტი მიუახლოვდა დებულებას ზედმეტი ღირებულების შესახებ. მან წამოაყენა მოსაზრება, რომ მოგება და მიწის რენტა წარმოადგენენ მუშის შრომის პროდუქტიდან გამოქვითულ ნაწილს, ე.ი. მეწარმეებისა და მიწათმფლობელების უშრომელ შემოსავალს. სწორედ ეს სფერო წარმოადგენდა საზოგადოებრივი წინააღმდეგობების განხეთქილების ვაშლს. ბრძოლა ხელფასის გაზრდისათვის იქცა ახლად ჩამოყალიბებული მუშათა კლასის მთავარ ამოცანად.

სამრეწველო გადატრიალებამ ხელით შრომა შეცვალა მანქანური წარმოებით. ეს იყო მისი ტექნიკური შედეგი. მისი სოციალური შედეგი კი ორი დაპირისპირებული კლასის — ბურჟუაზიის და მუშათა კლასის წარმოშობა იყო. ორივე კლასი წარმოების პროცესის უშუალო მონაწილე იყო. ბურჟუაზია (კაპიტალისტი-მეწარმეები) ჩაბმული იყო წარმოების პროცესის დაგეგმვა-ორგანიზაციაში, რაც მოიცავდა ნედლეულის მოძიებას, საწარმოოს ამოქმედებას, სამუშაო პროცესის მაქსიმალურად ინტენსიურად ორგანიზაციას. მუშები უშუალოდ ნაწარმის გამოშვების პროცესში იყვნენ ჩაბმულები.

წარმოებაში ჩაბმული მუშა ინგლისის ეკონომიკისათვის XVII საუკუნისათვისაც იყო დამახასიათებელი. მაგრამ ადრე ეს იყო მუშაკი, რომელიც სახლში მუშაობდა, პრიმიტიულ დაზგაზე, ხოლო დროის თავისუფალ ნაწილს საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებას უთმობდა. სამრეწველო გადატრიალებამ ბოლო მოუღო ამგვარ სიტუაციას. მუშა სრულიად მიეჯაჭვა ფაბრიკა-ქარხანაში განთავსებულ მანქანას. სამუშაო პროცესმა სინქრონული, დროის თვალსაზრისით ზუსტად გამოზომილი ხასიათი შეიძინა. ამ პროცესის მთავარი მიზანი იყო მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯების მეშვეობით.

სამრეწველო გადატრიალებამ ბოლო მოუღო არა მარტო ხელოსნისა და გლეხის შრომის შეთავსებას, არამედ თავად ხელოსანსაც, როგორც მწარმოებელს და სოციალურ ელემენტს. ქსოვასა და რთვაში დასაქმებული ხელოსნები ვერ უწევდნენ მეტოქეობას მანქანებს და მათ მიერ დამზადებული დაბალი თვითღირებულების მასობრივ პროდუქციას. ისინი კოტრდებოდნენ, თავს ანებებდნენ თავის საქმიანობას და ავსებდნენ მუშებისა და ღატაკთა რიგებს.

ამ მოვლენას მუშა-ხელოსნების თავისებური რეაქცია მოყვა. სამუშაოდაკარგული და გაღატაკებული მუშა-ხელოსნები სთვლიდნენ, რომ მათ საკალალო მდგომარეობაში მთავარი დანაშაული... მანქანებს მიუძღოდათ, რომლებმაც მათ ლუკმა-პური წაართვეს. ამიტომ XVIII ს. 60-70-იან წლებში ინგლისში ფართოდ გავრცელდა მანქანების მსხვრეველთა მოძრაობა, რომელიც ლუდიტთა მოძრაობის სახელით არის ცნობილი. სახელწოდება წარმოსდგება ამ მოძრაობის ლეგენდარული ბელადის ნედ ლუდის სახელიდან. რასაკვირველია, ამგვარი მიდგომა არ იყო სწორი. იგი მხოლოდ მუშების სოციალური და კულტურული გაუცნობიერებულობის მაჩვენებელი იყო. მოგვიანებით მუშებმა მიაგნეს სოციალურ-ეკონომიკური პროტესტის შესაბამის ფორმას. ეს იყო გაფიცვა. პირველად საგაფიცვო მოძრაობას მიმართეს მაღაროელებმა და ბამბეულის დარგის მუშებმა. XVIII ს. დასასრულს ინგლისში შეიქმნა მუშების პირველი პროფესიული კავშირები.

სამრეწველო გადატრიალებამ დაამსხვრია ადრინდელი სოციალურ-ეკონომიკური თეორიები და აბსოლუტურად ახალ საფეხურზე დააყენა ადამიანთა ურთიერთობები. სამრეწველო გადატრიალებამდე ეკონომიკა ეფუძნებოდა გარკვეულწილად (ინგლისშიც კი) სახელმწიფო რეგულირებას. ეს შეეხებოდა შრომის ანაზღაურებას, სავაჭრო პროცენტის სიდიდეს, შრომითი საქმიანობის დაწყების უფლებას, ბაზარზე გასვლას და ა.შ. აქ გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ა.სმიტის მოძღვრებამ, რომელმაც სრული სამეწარმეო თავისუფლების იდეა წამოაყენა წინა პლანზე, უკუაგდო სახელმწიფო რეგულირების შეხედულებები. სწორედ ამით უნდა აიხსნას წარმოების მანამდე არნახული გაქანება სამრეწველო გადატრიალების ხანაში. უსაზღვრო იყო წარმოების ზრდის და ექსპლუატაციის მასშტაბები. სამუშაო დღე 16-18 საათს გრძელდებოდა. ბავშვებს და ქალებს ისეთივე სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ, როგორც მამაკაცებს. ხელფასი საარსებო მინიმუმისათვის თუ კმაროდა. ამ მწირი ხელფასიდანაც კი მეპატრონეები თავისი ნება-სურვილისამებრ უქვითავდნენ მუშებს თანხებს, ანდა ხელფასის ნაცვლად აიძულებდნენ მათ სურსათ—სანოვაგე აეღოთ ფაბრიკანტების საკუთრებაში მყოფი მაღაზიებიდან.

არ არსებობდა შრომის ელემენტარული უსაფრთხოება, ხოლო საცხოვრებელი პირობები ხშირად უბრალოდ არაადამიანური იყო. წარსულს ჩაბარდა ძველი დროისათვის დამახასიათებელი პატრიარქალური ურთიერთობა ოსტატსა და შეგირდს შორის. მეპატრონეების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა ასობით და ათასობით მუშა, რომელთა უმრავლესობა მეპატრონეს თვალითაც არ ენახა. ისინი, მისთვის წარმოების პროცესის რიგითი ჭანჭიკები იყვნენ, რომელთა შეცვლაც ყოველთვის იყო შესაძლებელი.

ეს იყო ექსპლუატაციის სრული თავისუფლება, რომელიც წარმოების ზრდით იყო განპირობებული. ახალი ეკონომიკური თეორია უკუაგდებდა სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერ ჩარევას ანაზღაურებისა თუ სამუშაო დროის განსაზღვრის საქმეში. მთელი ეს პროცესი ახალი იდეების თანახმად თანდათანობით თვითონვე მოგვარდებოდა. კონკურენცია, რომელსაც გზას უღობავდა ძველი ტიპის რეგლამენტაციებით შეიარაღებული სახელმწიფო, ახალი შეხედულებების წყალობით სამრეწველო საზოგადოებაში ეკონომიკის მთავარ ბერკეტად იქცა.

კონკურენციამ საზოგადოებას ახლებური მიდგომა გამოუმუშავა საწარმოო პროცესისადმი. ადრე ნაწარმის ხარისხს სახელმწიფო აკონტროლებდა და ამ პროცესს თავისებური ადმინისტრაციული ხასიათი ჰქონდა. სამრეწველო საზოგადოებაში ხარისხის დონეს თავად საზოგადოება აფასებს და მეწარმეც ვალდებულია სწორედ საზოგადოების მოთხოვნა გაითვალისწინოს. ეს სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების ეკონომიკური კულტურის ზრდა. ამას საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, კერძოდ მეწარმესა და მომხმარებელს შორის გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება მოყვება.

ყოველივე ზემოთქმული სამრეწველო საზოგადოებას ერთობ მუქ ფერებში წარმოაჩენს მის გარიჟრაჟზე. ეს არც გადაჭარბებაა და არც მიკერძოება. კაცობრიობას, კერძოდ ინგლისის საზოგადოებას, სამწუხაროდ მოუხდა ამ მძიმე პერიოდის გავლა. იმ დროს, აღნიშნული ეკონომიკური შეხედულებებით და გამდიდრების წყურვილით შეპყრობილ საზოგადოებას ჯერ არ შესწევდა უნარი სოციალური სამართლიანობის კალაპოტში მოექცია მიმდინარე ეკონომიკური პროცესი.

მიუხედავად სასტიკი ექსპლუატაციისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამრეწველო გადატრიალების ხანაში, საზოგადოებაში ერთი არნახულად დადებითი მოვლენა მოხდა. წარმოების პროცესი, ესოდენ მასშტაბური, დაფუძნებულ იქნა თავისუფალ შრომაზე, და საერთოდ, ყოველმხრივ თავისუფალ ურთიერთობებზე. სწორედ ამ თავისუფლების შემდგომი დახვეწისათვის წარმოებულ ბრძოლას, თავისუფლების რეალურ საფუძვლებზე დანერგვას, მოყვა მისი გაცნობიერება, საზოგადოებრივი შეგნების შემდგომი ამაღლება, რამაც კაცობრიობა საზოგადოებრივი ურთიერთობების დღევანდელ ფორმებამდე მიიყვანა.

ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება XVIII ს.

XVIII ს. დასაწყისი შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდად, რომლიდან მოყოლებული ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება საბოლოოდ გადის თავის კუნძულოვან ფარგლებს გარეთ და იქცევა მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ. ამ პერიოდში ინგლისის სოციალურ ცხოვრებაში ადგილი

აქვს მოვლენებს, რომლებიც წინა თავში განხილულ ეკონომიკურ მოვლენებთან ერთად შინაარსობრივად ახალ საფეხურზე აყენებენ ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას. საპარლამენტო სისტემის განმტკიცება, მისი უპირატესობა სამეფო ხელისუფლებაზე საშუალებას იძლეოდნენ მაქსიმალურად წამოეწიათ წინა პლანზე მმართველი, გაბატონებული კლასების ინტერესები, რაც უზრუნველყოფდა ინგლისის აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმატებას. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული პატარა კუნძულოვანი ქვეყანა არა მარტო ევროპის კონტინენტის, არამედ ხშირ შემთხვევაში მსოფლიო პოლიტიკის განმკარგულებლად იქცა. როგორი იყო სოციალური სტრუქტურა, რომელიც განაპირობებდა წარმატებულ საგარეო პოლიტიკას?

XVIII ს. დასაწყისში ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში კვლავინდებურად მსხვილი მიწათმფლობელები იდგენენ. ამ ადამიანების ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც წარჩინებულ გვარებს მიეკუთვნებოდნენ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან და შესაბამისად ყოველნაირად მხარს უჭერდნენ იმ გარდაქმნებს, რომელთა წყალობით XVIII ს. ინგლისის სოფლის მეურნეობა სულ უფრო რენტაბელური ხდებოდა. მათ შემდგომ მოდიოდა საშუალო შეძლების თავადაზნაურობა, ჯენტრი, რომლებიც მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში იყვნენ წარმოდგენილი. დიდგვაროვნებისაგან განსხვავებით მათი გავლენა ხელისუფლებაზე შედარებით ნაკლები იყო. მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თამაშობდნენ მდიდარი ვაჭრები, ფინანსისტები, გემთმშენებლები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებაში. ამგვარი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შედეგად კი მათ ხელში აღმოჩნდებოდა ნედლეულის წყაროები და საქონლის გასაღების ბაზრები. რა გზით ახორციელებდნენ ეს კლასები ხელისუფლებაში მონაწილეობას?

საპარლამენტო მმართველობის პროცესები მტკიცედ იყო დაფუძნებული 1688 წ. რევოლუციის მონაპოვრებზე, რომლებმაც საბოლოოდ დააკანონეს და შეუვალი გახადეს პარლამენტის უპირატესობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ მონარქია კვლავ ასრულებდა ერთობ სპეციფიკურ ფუნქციას, მისი მეშვეობით ხდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების იმ შემადგენლობით, დაკომპლექტება, რომელიც ყველაზე მეტად გამოდგებოდა პარლამენტთან თანამშრომლობისათვის.

თავად საპარლამენტო სისტემა ერთობ საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა. პრაქტიკულად მთელი XVIII ს. მანძილზე თემთა პალატის წევრთა რაოდენობა უცვლელი იყო — 558 დეპუტატი. რასაკვირველია დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოების ფონზე 5 მლნ. მოსახლეობისათვის აღნიშნული რაოდენობის წარმომადგენლების ყოლა ერთობ დიდი მიღწევა იყო.

თავისთავად ინგლისის საპარლამენტო სისტემა შორს იყო იდეალური მდგომარეობისაგან. „დიადი რევოლუციიდან" მოყოლებული XVIII ს. პირველ ნახევარში თემთა პალატის ძალაუფლება განუხრელად იზრდებოდა, რადგანაც აღმასრულებელი ხელისუფლება სულ უფრო საჭიროებდა მის მხარდაჭერას. მაგრამ ეს ზრდა არ უქმნიდა საფრთხეს არც მონარქიას და არც გაბატონებულ არისტოკრატიას, რადგანაც თემთა პალატა ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაო-სახალხო წარმომადგენლობის ორგანო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი კარის, ფინანსური ოლიგარქიის და მიწის არისტოკრატიის მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომაც დეპუტატები ამ პოლიტიკური დაჯგუფებების მანიპულირების ობიექტებად იყვნენ ქცეული.

ამ პოლიტიკური მანიპულირების უმნიშვნელოვანეს საშუალებას ე.წ. „დამპალი ადგილები" (rotten boroughs) წარმოადგენდნენ. ზოგჯერ მათ ჯიბის ადგილებსაც (pocket boroughs) უწოდებდნენ, რადგანაც ისინი ხშირად დაუფარავი ვაჭრობის ობიექტებად იყვნენ ქცეული. ეს იყო პატარა დასახლებული პუნქტები, თითოეული ხშირად ათიოდე მაცხოვრებელს თუ ითვლიდა. იყო ისეთი ადგილებიც, რომლებიც წყლით იყო დაფარული და სადაც საერთოდ არავინ ცხოვრობდა. ესეთი ადგილები დიდგვაროვნების ან მდიდარი მეწარმეებისა და ფინანსისტების საკუთრებას წარმოადგენდნენ და უფლებამოსილნი იყვნენ დეპუტატები გაეგზავნათ პარლამენტში.

ამგვარად, ერთი მუჭა ადამიანებით დასახლებული ან საერთოდ დაუსახლებელი პუნქტები პარლამენტში უფრო მეტ დეპუტატს აგზავნიდნენ ვიდრე დიდი ქალაქები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებდნენ. მაგ. ლონდონი, რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიონ ადამიანს ითვლიდა, მხოლოდ 4 დეპუტატს აგზავნიდა პარლამენტში (1 დეპუტატი 125 ათას მოსახლეზე), მაშინ როცა 30 დამპალი ადგილი 375 მოსახლით, წარმოდგენილი იყო პარლამენტში 60 დეპუტატით. ასეთი დისპროპორციის პირობებში შეუძლებელი იყო ლაპარაკი ჭეშმარიტად სახალხო წარმომადგენლობაზე. დამპალ ადგილებში ჩატარებული არჩევნები სრულ სიყალბეს წარმოად-

გენდნენ, რადგანაც ნაყიდი ადგილი (მათი ყიდვა კი ზოგჯერ საჯარო ვაჭრობითაც კი ხდებოდა) მისი მოსახლეობითურთ მყიდველის საკუთრებად იქცეოდა. ამ უკანასკნელს კი ამომრჩევლებზე ზემოქმედების უამრავი ხერხი მოეპოვებოდა ღია კენჭისყრის პირობებში. ზემოქმედების ყველაზე ძლიერი და უტყუარი ხერხი იყო ქრთამი. მექრთამეობა იმ დროის არჩევნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. კანდიდატები ამომრჩევლებს აღუთქვამდნენ მათი ან მთლიანად დასახლებული პუნქტის ვალების გადახდას. ზოგჯერ ამომრჩევლები პირდაპირ იღებდნენ ფულს კანდიდატებისაგან. მაგ. XVIII ს. ბოლოს ცნობილმა პოლიტიკოსმა ჩარლზ ფოქსმა ამომრჩევლებს 18 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა და ისე გახდა პარლამენტის წევრი. ცნობილმა პოლიტიკოსმა და ორატორმა შერიდანმა, რომელიც თავის მჭერმეტყველ გამოსვლებში სასტიკად აკრიტიკებდა მექრთამეობაში ჩაყლულ თავის პოლიტიკურ მეტოქეებს დეპუტატობას იმის წყალობით მიაღწია, რომ არჩევნების წინ თავის 248 ამომრჩეველიდან თითოეულს დაურიგა 5 გირვანქა სტერლინგი და 5 შილინგი. მომავალი დეპუტატები თანხებს არ იშურებდნენ, რათა უხვად გამასპინძლებოდნენ თავის ამომრჩევლებს, დაეფარათ მათი ხარჯები სამიკიტნოებსა და სასტუმროებში.

საპარლამენტო სისტემის მანკიერება ამით არ სრულდებოდა. ამომრჩეველთა მოსყიდვას მოყვებოდა არჩეულთა მოსყიდვა. მოხვდებოდნენ რა პარლამენტში, დეპუტატები სწრაფად უღებდნენ ალღოს შექმნილ სიტუაციას და დაუყოვნებლივ იწყებდნენ თავისი მანდატით ვაჭრობას. ეს როგორც მათ, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას აწყობდა. მინისტრები დეპუტატებს სარფიან თანამდებობებს სთავაზობდნენ, ასაჩუქრებდნენ დიდი ფულადი თანხებით, უნიშნავდნენ დიდ პენსიებს. მართალია, მეფე უილიამ III მეფობის ხანაში გამოიცა კანონი, რომელიც უკრძალავდა დეპუტატებს თანამდებობების დაკავებას, მაგრამ დეპუტატები და მათი მფარველები მას მოხერხებულად უვლიდნენ გვერდს.

ასეთ შემთხვევაში ხდებოდა დეპუტატის უფლებამოსილობის მოხსნა და მისი პარლამენტში ხელახლა არჩევა. ამგვარი ფანდებით როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება ითბობდა ხელს. მდიდარი სავაჭრო კომპანიები, მსხვილი ფინანსისტები ოფიციალური სესხისა თუ ფარული „ძღვენის" მეშვეობით აიძულებდნენ პარლამენტს მიეღო მათთვის სასურველი კანონმდებლობა და გაეტარებინათ მათი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ კორუფცია პოლიტიკურ ნორმად იყო ქცეული და ქვეყანა მისი მეშვეობით იმართებოდა.

ამგვარი ტენდენციის გაღრმავების ფონზე ხდებოდა ინგლისში კონსტიტუციური მონარქიის პრინციპების შემდგომი განვითარება, რაც პირველ რიგში გამოიხატა მეფის უფლებების შემდგომ შეზღუდვაში. აქოსავალ წერტილად აქ კვლავ დიადი რევოლუცია უნდა ჩაითვალოს, რომელმაც ვიგებს სამეფო ხელისუფლებაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი ჩაუგდო ხელში. უილიამ III საჭიროებდა მათ მხარდაჭერას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის გატარებისას.

სწორედ ვიგების კარნახით მიიღეს 1701 წ. კანონი ტახტზე მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც ინგლისის სამეფო გვირგვინს უზრუნველყოფდა პროტესტანტული აღმსარებლობის უფლისწულებისათვის. ამ დადგენილების თანახმად უილიამ III გარდაცვალების შემდეგ გვირგვინი უნდა გადაცემოდა ანას (ენს), ჯეიმს II უმცროს ქალიშვილს, პროტესტანტს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი ჯეიმს I შვილიშვილს სოფიას და მის მემკვიდრეებს, რომელთა სამფლობელოს მდინარეების ელბასა და ვეზერის ქვემო წელში განლაგებული გერმანული მიწა, ჰანოვერის სამთავრო წარმოადგენდა. ამ დადგენილების წყალობით ინგლისის მომავალი მეფეები ვიგებზე დამოკიდებულები ხდებოდნენ, რამაც ამ პარტიას ხანგრძლივი დროის მანძილზე უპირატესობა მიანიჭა მათ მეტოქე ტორების პარტიაზე. XVIII ს. პირველი ნახევარი ინგლისის პოლიტიკურ ასპარეზზე შეიძლება ვიგი პოლიტიკოსების ზეობის ხანად ჩაითვალოს.

1702 წ. დასაწყისში გარდაიცვალა მეფე უილიამ III და ტახტზე ზემოხსენებული კანონის თანახმად ავიდა ჯეიმს II უმცროსი ქალიშვილი ენი. ენის მეფობამ წინა პლანზე წამოსწია სამი ფავორიტი. დედოფლის უახლოესი მეგობარი სარა ჩერჩილი, მისი მეუღლე ჯონ ჩერჩილი, რომელიც მალბოროს ჰერცოგის ტიტულს ატარებდა და ლორდი გოდოლფინი. დედოფალი თავისი მეგობრის სრული გავლენის ქვეშ იყო და ფაქტიურად მარიონეტის როლით კმაყოფილდებოდა. ჰერცოგი მალბორო უდავოდ თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედარმთავარი იყო. სწორედ ჰერცოგი მალბორო იყო იმ დროს ინგლისის სამხედრო და საგარეო პოლიტიკის მთავარი გამტარებელი. ლორდი სიდნი გოდოლფინი იყო ლორდი ხაზინადარი და ამ პოლიტიკური კურსისათვის საპარლამენტო მხარდაჭერას უზრუნველყოფდა.

ჰერცოგი მალბორო და ლორდი გოდოლფინი ფორმალურად ზომიერი ტორის რიგებს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკურ მოქნილობას ავლენდნენ. მათ შესწევდათ უნარი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ვიგებთან გამოენახათ საერთო ენა. ვიგები იმ დროს საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ამიტომ მალბოროც და გოდოლფინიც ხელს უწყობდნენ მათი გეგმების ხორცშესხმას, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. ორივენი თავისი თანაპარტიელების, მტკიცე პოზიციის ტორების კრიტიკის ობიექტად იქცნენ. პარტიათა შორის უთანხმოება კი პირველ რიგში საგარეო პოლიტიკის საკითხებით იყო გამოწვეული. ვიგები ე.წ. ესპანური მემკვიდრეობისთვის წარმოებული ომის მომხრეები იყვნენ, ტორები კი მოწინააღმდეგეები.

გოდოლფინ-მალბოროს მთავრობამ განახორციელა ერთი უდავოდ ისტორიული აქტი. 1707 წ. მან გამოსცა კანონი, რომელმაც გააერთიანა ინგლისი და შოტლანდია. რასაკვირველია, აქტიურობა ინგლისელთა მხრიდან გამომდინარეობდა. თავის დროზე ჯერ ტიუდორები, შემდეგ კი სტიუარტები უშედეგოდ ცდილობდნენ ამ ორი სამეფოს გაერთიანებას. ამჯერად ინგლისელებს აშინებდა იმის შესაძლებლობა, რომ დედოფალ ენის გარდაცვალების შემდეგ შოტლანდიელები თაკად აირჩევდნენ მეფეს. ამიტომ ინგლისელებმა დააჩქარეს მოვლენათა მსვლელობა. შოტლანდიაში გაგზავნილ იქნენ ინგლისის პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებიც შეხვდნენ ადგილობრივი პარლამენტის მესვეურებს.

მოლაპარაკების შედეგად მხარეთა წარმომადგენლები შემდეგზე შეთანხმდნენ: 1) შოტლანდიის ეკლესია და სასამართლო სისტემა განაგრძობდნენ თავის დამოუკიდებელ არსებობას; 2) შოტლანდიის პარლამენტი გაუქმებას ექვემდებარებოდა. სანაცვლოდ, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატას ემატებოდა 45 დეპუტატი შოტლანდიიდან და 16 წარჩინებული გვარის შოტლანდიელი ხდებოდა ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატის წევრი; 3) შოტლანდია ცნობდა ჰანოვერთა დინასტიის კანონიერ უფლებას ინგლისის სამეფო ტახტზე; 4) შოტლანდიას ეძლეოდა დიდი ფულადი თანხა, რათა თავის თავზე აეღო ინგლისის სახელმწიფო ვალის წილი და შესაბამისად მისი გასტუმრება; 5) შოტლანდია და ინგლისი თანაბარი სავაჭრო უფლებებით ისარგებლებდნენ.

შოტლანდიელების უმრავლესობა ამ გაერთიანებას მაინც და მაინც აღფრთოვანებით არ შეხვედრია. „ჩვენ ინგლისურ ოქროზე გაგვყიდეს და გვიყიდეს" — აღშფოთებით ამბობდა ცნობილი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი. სერ უოლტერ სკოტიც კი, რომელიც პირადად დიდად აფასებდა ამ ისტორიულ აქტს, თავის რომანებში აღწერდა, თუ როგორი უარყოფითი განწყობა წარმოშვა ამ გაერთიანებამ შოტლანდიელებში. შოტლანდიელებს მათივე აზრით, არაფერი ებადათ, გარდა ეროვნული ცნობიერების და ეროვნული ღირსებისა. გაერთიანების შემდეგ, კი მათ ეს ერთადერთი სიმდიდრეც კი ჩამოართვეს.

და მაინც ისტორიის გადასახედიდან რომ ვთქვათ გაერთიანებამ გარკვეული ეკონომიკური განვითარება და კეთილდღეობა მოუტანა შოტლანდიას. ბევრი შოტლანდიური წარმოშობის სამხედრო პირი თუ პოლიტიკოსი კი სხვადასხვა დროს ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში მოექცა.[49] ამ გაერთიანებამ დასაბამი მისცა აგრეთვე ტერმინს დიდი ბრიტანეთი (Great Britain), რომელიც ზოგიერთი ინგლისელი ავტორის აზრით წმინდა გეოგრაფიულ და არა დიდმპყრობელურ ხასიათს ატარებდა.

1710 წ. ვიგების პოზიცია შეირყა. ინგლისის ესპანური მემკვიდრეობისათვის წარმოებულ ომში მონაწილეობა ქვეყანაში არაპოპულარული ხდებოდა მასთან დაკავშირებული ხარჯების გამო. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე (მაგ. ღვთისმსახური ჰენრი სეჩეევერელი) საჯაროდ ამხელდა მთავრობას, ვიგების პარტიას, აკრიტიკებდა მათ მხარდამჭერ ნონკონფორმისტ-დისიდენტებს. არჩევნებში ტორის პარტიამ გაიმარჯვა. მთავრობას სათავეში რობერტ ჰარლი და ლორდი ბოლინგბროკი ჩაუდგნენ. ჰერცოგმა მალბორომ და ლორდმა გოდოლფინმა დაკარგეს თავისი პოზიციები.

ჰარლი-ბოლინგბროკის მთავრობის მოღვაწეობა მიუთითებს იმაზე, რომ მეფის მომხრე ტორის პარტიის მიზანი მონარქის ხელისუფლების აბსოლუტიზირება კი არ იყო, არამედ თავისი ოპონენტი ვიგების პოლიტიკურად დასუსტება. შესაბამისად იქცეოდნენ ვიგებიც, რომლებიც სულაც არ ისწრაფოდნენ მონარქის დამხობისაკენ. ამგვარად, ეს იყო მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც არ ისახავდა მიზნად არსებული პოლიტიკური სისტემის დანგრევას. ამიტომაც ტორების მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლითაც დისენტერებს (ძირითადში ვიგებს) ეკრძალებოდათ

---

[49] მათ შორის აღსანიშნავია ოსტ-ინდოეთის კომპანიის გენერალ-გუბერნატორი ლორდი დალპუზი, ინდოეთში მომსახურე გენერალი მაკგრეგორი, თაუდაცვის მინისტრი მაკენა, პრემიერ-მინისტრები ლორდი აბერდანი, კემპბელ-ბინერმანი, მაკდონალდი და ბლეირი.

ოფიციალური თანამდებობების დაკავება. საკუთრების განსაზღვრის კანონი კი მოითხოვდა თემთა პალატის წევრებისაგან ჰქონოდათ 300-600 გირვანქა სტერლინგის საფასურის მიწის საკუთრება. ეს კანონიც ვიგების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც მართალია დიდ, მაგრამ ძირითადად საფინანსო ან სავაჭრო კაპიტალს ფლობდნენ. შესაბამისად, მამულების უქონლობისას მათი არჩევა თემთა პალატაში ვერ მოხდებოდა.

თითქოსდა ტორების პარტიამ მტკიცედ ჩაიგდო ხელთ მართვის სადავეები. მაგრამ ტორებს მათი ზოგიერთი ლიდერის პირადმა შეხედულებებმა, კერძოდ კი პროსტიუარტულმა სიმპათიებმა გაუწიეს ცუდი სამსახური. ვიგები ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის მტკიცე მომხრეები იყვნენ, რომელიც უკრძალავდა სტიუარტების გვარის მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ტახტზე ასვლას. ამ მხრივ ტორების პარტიაში არ იყო ერთსულოვნება. ზომიერად განწყობილი ტორები მხარს უჭერდნენ ჰანოვერთა დინასტიის გამეფებას. მაგრამ მათ ხელმძღვანელობაში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სტიუარტების რესტავრაციაზე ოცნებობდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მოაზროვნე ლორდი ბოლინგბროკი.

ბოლინგბროკმა ჯერ საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ჯეიმს II ვაჟთან, ჯეიმს სტიუარტთან. იგი ცდილობდა პრეტენდენტის დაყოლიებას, რათა ამ უკანასკნელს უერყო კათოლიკეობა და პროტესტანტობას მიბრუნებოდა, მაგრამ ეს ცდები წარუმატებლად დამთავრდა. მაშინ ბოლინგბროკმა გადაწყვიტა ხელისუფლებას ჩამოეშორებინა თავისი თანაპარტიელი, ლორდი-ხაზინადარი გრაფი ოქსფორდი, რომელიც ჰანოვერთა დინასტიას უჭერდა მხარს.

ბოლინგბროკის ინტრიგები წარმატებით დაგვირგვინდა. გრაფმა ოქსფორდმა დატოვა მთავრობის შემადგენლობა. ბოლინგბროკი თითქოსდა სიტუაციის უცილობელი ბატონ-პატრონი გახდა. მაგრამ მისმა გამარჯვებამ იგი იზოლაციაში მოაქცია. სტიუარტების მომხრე ბოლინგბროკი ყველასათვის მათი რესტავრაციის ძალზე საშიშ სიმბოლოდ იქცა. ინგლისური საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება ისევე, როგორც 1688 წ. კვლავ მტკიცედ იდგა ანგლიკანურ, ანტიაბსოლუტისტურ და ანტისტიუარტულ პოზიციებზე. ამიტომ მთავრობა, რომელსაც ზომიერი ორიენტაციის ტორი, ჰერცოგი შრუსბერი ედგა სათავეში წინ აღუდგა ლორდ ბოლინგბროკის გეგმებს. ჰერცოგი შრუსბერი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც 1688 წ. ხელი მოაწერა ვილჰელმ ორანელისადმი გაგზავნილ მიმართვას. შრუსბერი დედოფლის მიერ დამტკიცებულ იქნა მთავრობის მეთაურად და ირგვლივ თავისი თანამოაზრეები შემოიკრიბა. სტიუარტების მომხრე ლორდი ბოლინგბროკი კი საბოლოოდ იქნა დისკრედიტირებული.

1714 წ. დედოფალი ენი გარდაიცვალა და ჰერცოგი შრუსბერი შეუდგა ჰანოვერთა მოწვევის პროცედურის გაფორმებას. იმ დროისათვის მემკვიდრე ჰანოვერთა დინასტიიდან, ჯეიმს I შვილიშვილი სოფია უკვე გარდაცვლილი იყო და მემკვიდრეობა მის ვაჟს, ჰანოვერის მთავარს გეორგს, ანუ როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ ჯორჯს ერგო. 1714 წ. სექტემბერში გეორგი მრავალრიცხოვანი მრჩევლის, ფავორიტი ქალის და მეძებარი ძაღლის თანხლებით ინგლისში ჩავიდა. ინგლისის ტახტზე მორიგი უცხოური, ამჯერად გერმანული, ჰანოვერთა დინასტია გამეფდა. დინასტიათა მონაცვლეობა მშვიდობიანად ჩატარდა, რადგანაც თავად ჰანოვერები პროტესტანტობის, შეზღუდული მონარქიის გარანტები იყვნენ. ამ უკანასკნელთ კი ინგლისში სტაბილურობა მოჰქონდათ.

ეჭვგარეშეა, რომ ახალი დინასტია და მისი წარმომადგენლები თავს უცხო გარემოში გრძნობდნენ. ჯორჯ I (1714-1727 წწ.) თავისი ტლანქი გემოვნებით, გარეგნული სიცივით და უამრავი გერმანელი კარისკაცით ვერ იქნებოდა თავისი ქვეშევრდომებისათვის ნანატრი მონარქი. უფრო მეტიც, ახლადმოვლენილი მეფე ერთ სიტყვასაც კი ვერ იტყოდა ინგლისურად და ალბათ 34 წლის ასაკში სულაც არ ჰქონდა უცხო ენის შესწავლის სურვილი. სამაგიეროდ ის თავიდან ააცილებდა ინგლისელებს სტიუარტების აბსოლუტისტურ პრეტენზიებს. სწორედ ამიტომ პოლიტიკოსები და პირველ რიგში ვიგები ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ახალი დინასტიისათვის. თავის მხრივ ჰანოვერებიც, ხედავდნენ რა ვიგების წვლილს თავის გამეფებაში, მთელი არსებით მიენდნენ მათ, მაშინ როცა ტორები, ლორდ ბოლინგბროკის პროსტიუარტული სიმპათიების გამო ნაკლები პოპულარობით სარგებლობდნენ ახალი დინასტიის წარმომადგენლებთან. ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ვიგებმა ხანგრძლივი დროით ჩაიგდეს ხელში ქვეყნის მართვის სადავეები.

ვიგების ამგვარ აღზევებასთან დაკავშირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს, კაბინეტის ჩამოყალიბება. ჯერ კიდევ ტიუდორების ხანაში მეფეები სათათბიროდ იწვევდნენ თავის საიდუმლო საბჭოში აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ პასუხისმგებელ პირს. სტიუარტების დროს პარლამენტმა ცერად დაუწყო ყურება ამ პროცედურას და იმ ადამიანებს, რომლებიც მეფის დაახლოებული პირები და მრჩევლები ხდებოდნენ. ასეთ ადამიანებში აბსოლუტიზმის დასაყრდენს ხედავდნენ.

დიადი რევოლუციიდან და უფრო მეტად XVIII ს. დასაწყისიდან მოყოლებული პარლამენტმა შეცვალა თავისი ტაქტიკა. მისი მეცადინეობით მეფის მრჩევლები სწორედ პარლამენტართა რიგებიდან შეირჩეოდნენ და მათ უზრუნველყოფილი ჰქონდათ საპარლამენტო მხარდაჭერა. ამგვარად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის მტკიცე კავშირი ჩამოყალიბდა. პარლამენტი აღარ განიხილავდა მთავრობას როგორც შესაძლო დესპოტიზმის დასაყრდენს. დროთა განმავლობაში საიდუმლო საბჭოს კონსილიაბულუმი (Conciliabulum), შემდგომ კი კაბინეტი (Cabinet) ეწოდა.

კაბინეტის უფლებამოსილობა არნახულად გაიზარდა ჰანოვერთა დინასტიის პირველი მეფეების დროს. ჯორჯ I და ჯორჯ II (1727-1760 წწ.) თავს ინგლისში უცხოელებად გრძნობდნენ. ინგლისური ენის არცოდნის გამო მათი დასწრება ამგვარ სამთავრობო თავყრილობაზე ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. მინისტრები მეფის გარეშე იკრიბებოდნენ, რამაც ჯორჯ II ათქმევინა, რომ ინგლისს არა მეფე, არამედ მინისტრები მართავენ. ეს ადამიანები საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, ე.ი. პარლამენტის უმრავლესობა მათ მხარეზე იყო და სრულ ნდობას უცხადებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თავის მხრივ მინისტრებიც პარლამენტის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელი. კაბინეტის უფლებამოსილობა გრძელდებოდა მანამდე, სანამ მას მხარს უჭერდა პარლამენტი ანდა საკუთრივ მის წევრებს შორის იყო თანხმობა. მინისტრებს შორის უპირველესს, რომელიც კაბინეტის მუშაობას უწევდა კოორდინაციას პირველი, ანუ პრემიერ-მინისტრი ეწოდებოდა. თავდაპირველად ეს ტერმინი გაკილვის სახით დამკვიდრდა. ასე მოიხსენიებდნენ პოლიტიკური მეტოქეები რობერტ უოლპოლს იმისათვის, რომ იგი გამოირჩეოდა თავის კოლეგების ფონზე.

ვიგების აღზევებას კიდევ ერთმა კონკრეტულმა მოვლენამ შეუწყო ხელი. 1715 წ. შოტლანდიაში იაკობიტურმა[50] ამბოხმა იფეთქა, რომელშიც შოტლანდიის მთიანეთის ზოგიერთი გვარი მონაწილეობდა გრაფ მარის მეთაურობით. აჯანყებულები ტახტის პრეტენდენტის ჯეიმს ედუარდის გადმოსხდომას ელოდნენ. მაგრამ ვიდრე პრეტენდენტი საფრანგეთიდან ჩამოვიდოდა, აჯანყება ჩახშობილ იქნა, ამ აჯანყებამ კიდევ უფრო შეარყია ტორების ავტორიტეტი, რომელთა ნაწილი სიმპათიებს გამოსთქვამდა სტიუარტების მიმართ და განამტკიცა ვიგების მდგომარეობა.

ვიგების მმართველობა, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობდა ჰანოვერთა გამეფებიდან, XVIII ს. პირველი ნახევრის დასასრულამდე იყო ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის ტიპიური ხანა, რომლისათვისაც დამახასიათებელია ცალკეული ლიბერალური გარდაქმნები, საზოგადოების გარკვეული ნაწილის არნახული, კალეიდოსკოპური სისწრაფით გამდიდრება, სახელმწიფოს მართვის პრინციპების ფულად-საბაზრო მომენტებზე აგება, რაც პოლიტიკურ ცხოვრებას პრაგმატულ და ზოგჯერ ცინიკურ ხასიათსაც კი სძენდა. ვიგების მიერ 1688 წ. მოპოვებულმა თავისუფლებამ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ინდივიდუალისტური ნება, თავისებური აზარტი და რისკის მომენტი შემოიტანა.

სწორედ ამგვარი პრინციპების პიროვნული გამოხატულება იყო XVIII ს. პირველი ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე რობერტ უოლპოლი. ნორფოლკელი სკვარის ვაჟი, უოლპოლი რიგი ისტორიკოსის აზრით იმ დროის ტიპიური სოფლის ჯენტლმენის განსახიერება იყო, რომელსაც ახასიათებდა გაუთლელი ქცევა, ნაწილობრივი უზნეობა, სმისკენ უზომო მიდრეკილება, ხელგაშლილობა მეგობრების მიმართ და მეტოქეების უგულვებელყოფა. თავისი კარიერა მან 1700 წ. დაიწყო, როგორც ერთ-ერთი „დამპალი ადგილის" მფლობელმა. 1714 წ. იგი კაბინეტის წევრი გახდა. ხოლო 1721-1742 წწ. უცვლელად ედგა სათავეში მთავრობას.

ინგლისის ისტორიაში იგი გვევლინება როგორც პირველი პრემიერ-მინისტრი. მმართველი დინასტიისადმი ერთგულების, მექრთამეობის, მფარველობის, დიდი შრომისუნარიანობის და წვრილმა-

---

[50] ინგლისური სახელი ჯეიმსი (James) ბიბლიური იაკობის (Jacob) ნაირსახეობას წარმოადგენს. ამიტომ ჯეიმს II, საერთოდ, სტიუარტების მომხრეებს იაკობიტებს უწოდებდნენ.

ნებში ჩაწვდომის არაჩვეულებრივი უნარის მეშვეობით უოლპოლი წარმატებით უძღვებოდა სახელმწიფოს მართვას. მას გააჩნდა იშვიათი უნარი გამოეცნო ადამიანური ბუნების სისუსტე, ჩაწვდომოდა საზოგადოებრივ აზრს, რათა ქვეყანა საჭირო მიმართულებით წაეყვანა. იგი არასოდეს ყოფილა იდეალისტი ან რეფორმატორი, ამიტომაც მის მიერ არჩეული გეზი ყოველთვის უსაფრთხოებას და კონკრეტულ მოგებას ისახავდა.

თავად პოლიტიკურად „დამპალი ადგილის" პირმშომ, უოლპოლმა ალღო აუღო დროის სულისკვეთებას და თავისი პრემიერ-მინისტრობის ხანაში ქრთამი პოლიტიკური მართვის უნივერსალურ და უზენაეს საშუალებად აქცია. იგი გრძნობდა, რომ ოლიგარქია გარემოცვაში, რომელთაც სწყუროდათ ელვისებური სისწრაფით გამდიდრება, სხვანაირად მოქმედება შეუძლებელი იყო. ამიტომ იყო, რომ როდესაც მისმა ოპონენტებმა სცადეს მისი კორუფციაში დადანაშაულება, მან უყოყმანოდ მიმართა პარლამენტის დეპუტატებს: „ყველა აქ მჯდომ ადამიანს თავისი ფასი ადევს", და ოპონენტებსაც არაფერი ჰქონდათ საპასუხოდ სათქმელი.

იყო რა საფინანსო საქმეების დიდოსტატი, უოლპოლი თავის პოლიტიკურ კურსში აქცენტს აკეთებდა ქვეყნის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე. ომი მას ძვირადღირებულ, ფულის გამფლანგავ საშუალებად მიაჩნდა და ამიტომაც ყოველნაირად გაურბოდა საგარეო პოლიტიკურ გართულებებს. მისი საგარეო პოლიტიკა ერთობ მშვიდობიანი იყო. უოლპოლმა 4 პროცენტამდე შეამცირა სახელმწიფო ვალის დარიცხვა, რაც უფრო მეტად წაახალისებდა სახელმწიფოს აეღო სესხები კერძო კომპანიებისაგან. მან შეასუსტა კოლონიებში მოქმედი შეზღუდვები, გაამარტივა არეულ-დარეული საგადასახადო ტარიფები და გააუქმა სამრეწველო საქონელზე არსებული საექსპორტო გადასახადები.

მისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო დაბალი გადასახადები. აღსანიშნავია მიწაზე გადასახადების შემცირება, რამაც უოლპოლს მიწათმფლობელების მხარდაჭერა შესძინა როგორც სამეფო კარზე, ასევე პარლამენტში. ეს ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგანაც მიწათმფლობელები, განსაკუთრებით ჯენტრი, ტორების პოზიციაზე იდგნენ და წამყვან როლს თამაშობდნენ ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ლიბერალურ ხასიათს ატარებდა ვიგების მიერ გადადგმული სხვა პოლიტიკური ნაბიჯებიც. მოექცნენ რა ქვეყნის სათავეში 1714 წ. ვიგებმა გააუქმეს აქტი სქიზმატიკოსთა შესახებ, ამით მასწავლებლებს აღარ ესაჭიროებოდა ეპისკოპოსების ნებართვა, რათა დაეწყოთ პროფესიული საქმიანობა. მათვე მოეხსნათ ვალდებულება დასწრებოდნენ წირვა-ლოცვას ანგლიკანურ ეკლესიაში. დისიდენტ-ნონკონფორმისტებს მიეცათ უფლება დაეკავებინათ თანამდებობა, თუკი ისინი წელიწადში ერთხელ გაივლიდნენ ზიარებას ანგლიკანური წესით, მაგრამ ვიგებმა ვერ მოახერხეს შემოწმების შესახებ კანონის გაუქმება.

გარდა ეკონომიკური ხერხებისა, ვიგებმა და კერძოდ უოლპოლმა სხვა მეთოდებითაც სცადეს პოპულარობის მოპოვება ჯენტრის შორის, რომლებიც ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ჯერ კიდევ 1719 წ. მთავრობის მეთაურმა ლორდმა სტენჰოუპმა პარლამენტში შემოიტანა კანონპროექტი, რომელიც კრძალავდა ლორდთა პალატის რაოდენობის გაზრდას. კანონპროექტი მიზნად ისახავდა არ დაეშვა პერებს შორის ტორების წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა და ამით შეენარჩუნებინა ვიგების პოზიციები. მაგრამ კანონის წინააღმდეგ გამოვიდა უოლპოლი, იმ დროს კაბინეტის ერთ-ერთი წევრი და ჩააგდო კანონპროექტი. უოლპოლის არგუმენტი შემდეგში მდგომარეობდა. აღნიშნული კანონპროექტი ლორდთა პალატაში გზას უღობავდა ჯენტრის. ამ უკანასკნელის რიგებს კი უკვე მაშინ უხვად ავსებდნენ ვიგების მომხრეები (მდიდარი ვაჭრები, გემთმშენებლები), რომლებიც მამულებს იძენდნენ და ისწრაფოდნენ მიწათმფლობელი არისტოკრატების წრესთან შეერთებას.

ვიგების სწრაფვამ, ბიძგი მიეცათ ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარებისათვის გამოხატულება ჰპოვა სავაჭრო კომპანიების საქმიანობის შემდგომ გაფართოებაში. ისეთი კომპანიები, როგორებიც იყვნენ ოსტ-ინდოეთის კომპანია, სამხრეთის ზღვების კომპანია, უხვად აძლევდნენ სესხებს მთავრობას და სანაცვლოდ მათთვის სასურველ შეღავათებს იღებდნენ. კომპანიებს, განსაკუთრებით ოსტ-ინდოეთისას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მთავრობასთან, პარლამენტარებთან, სიტის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. მის დირექტორთა საბჭოს წევრებს ყოველოვის ყავდათ „თავისი ხალხი" აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში. სააქციო სისტემის მტკიცედ დანერგვამ საზოგადოების ფართო ფენები ჩააბა კომპანიის სავაჭრო საქმიანობაში და საერთოდ მათ

არსებობაში. კომპანიის აქციებით ვაჭრობა გამდიდრების და საერთოდ, ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

საზოგადოება სულ უფრო იძენდა საბაზრო ხასიათს, ე.ი. თავისი არსებობის ფორმით სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ბაზარს. გამოჩნდნენ ბირჟის შუამავლები – მაკლერები, რომლებიც თავს იყრიდნენ ჯერეუეისა და ჯონათანის ყავახანებში, სადაც აქციებით ვაჭრობის საკითხებს განიხილავდნენ. ბირჟის მაკლერები თანდათან მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენად იქცნენ, თუმცა, გარკვეული დროის მანძილზე მათ ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ბრუნვაში შემოვიდა ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდების გამოჩენას მ. ვებერის სიტყვებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეწარმეობის შემდგომი განვითარებისათვის, რადგანაც რაციონალურ ხასიათს სძენდა სპეკულაციის პროცესს და ხელს უწყობდა შრომის კომერციალიზაციას.

მაგრამ ეკონომიკური განვითარების და სიმდიდრის დაგროვების პროცესს გაბუღმებულად არ ჰქონდა აღმასვლითი ხასიათი. მფარველობისა და მოქრთამვის მეთოდები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკოსები ხშირად გზას უხსნიდა საქმიან სამყაროში სხვადასხვა მაქინაციასა თუ თაღლითობას. ასეთების რიცხვს მიეკუთვნებოდა სამხრეთის ზღვების კომპანიასთან დაკავშირებული თაღლითობა. კომპანიის მესვეურებმა წლების მანძილზე ნახეს ზღაპრული მოგება, გაზარდეს რა თავისი აქციების ფასი. მათვე ერთდროულად აიღეს ვალდებულება ვადაზე აღრე დაეფარათ სახელმწიფო ვალი. საბოლოოდ კომპანია გაკოტრდა. გაკოტრდა მისი აქციების ათასობით მფლობელი, რასაც მოყვა ფინანსური და პოლიტიკური კრიზისი. მოგვიანებით გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ მაქინაციაში მაღალი რანგის ბევრი პირი იყო გარეული.

ვერ ვიტყვით, რომ უოლპოლისეულ მართვის მეთოდებს საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში. პრემიერ-მინისტრი და ვიგები თავისი მეტოქეების, ტორების მუდმივი კრიტიკის ქარ-ცეცხლში იყვნენ გახვეული. ამ მხრივ ტორის პარტიაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლორდი ბოლინგბროკი. თავის მწვავე და მოხდენილი ენით დაწერილ პამფლეტებში იგი მიწასთან ასწორებდა უოლპოლს და მას მანკიერების მისიონერს უწოდებდა.

მოგვიანებით, XVIII ს. 30-იან წლების შუახანებიდან უოლპოლის კრიტიკით გამოვიდნენ ვიგი ლორდი ჩესტერფილდი, ახალგაზრდა ვიგები, ე.წ. „პატრიოტი ბიჭები" უილიამ პიტი და ჯორჯ გრენვილი. „პატრიოტმა ბიჭებმა" განსაკუთრებით კორუფციას შეუტიეს. მაგრამ როდესაც 1742 წ. უოლპოლი გადადგა, მას შემდეგ, რაც ვერ ჰპოვა თემთა პალატის უმრავლესობის მხარდაჭერა,[51] მდგომარეობა არ შეცვლილა. კორუფცია, როგორც მართვის სისტემა ძალაში დარჩა. უფრო მეტიც, მისი მასშტაბები გაიზარდა. ეს არც არის საკვირველი. თვით ერთ-ერთი „პატრიოტი ბიჭი", უილიამ პიტიც ხომ ყბადაღებული „დამპალი ადგილის" ოლდ სარუმის წარმომადგენელი იყო თემთა პალატაში.

უოლპოლის შემდგომი კაბინეტის ერთ-ერთმა წევრმა არჩევნების დროს ერთ დილას 25 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა ამომრჩეველთა მოქრთამვაზე. ამრიგად, უოლპოლის მოწინააღმდეგეები ებრძოდნენ თავად უოლპოლს და არა გახრწნილ სისტემას, რომლის აღმოსაფხვრელად მისი გამომწვევი მიზეზების, თუნდაც „დამპალი ადგილების" ლიკვიდაცია იყო საჭირო.

და მაინც, ზემოხსენებული მანკიერი მხარეების მიუხედავად XVIII ს. ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე სიმართლის თქმის გაცილებით მეტ საშუალებას იძლეოდა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო იმ დროის ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. თავისი გახრწნილობის მიუხედავად პარლამენტი ის ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა კრიტიკა, მართალი სიტყვის თქმა. პარტიათა მეტოქეობა წინაპირობებს ქმნიდა მთავრობის კრიტიკისათვის, რისი წყალობით შეიძლებოდა მექრთამეობისა თუ სხვა მანკიერების მხილება. პარლამენტის წყალობით არსებობდა საზოგადოებრივი აზრი და მმართველ წრეებს არ შეეძლო მისი უგულვებელყოფა. ეს განაპირობებდა იმ ინტერესს, რომელსაც ინგლისში პოლიტიკური ორატორებისადმი იჩენდნენ, რადგანაც მგზნებარედ, მოხდენილად და დასაბუთებულად წარმოთქმულ სიტყვას შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა თემთა პალატის პოზიციაზე.

იგივე მიზეზები განაპირობებდნენ ინგლისური საზოგადოების ინტერესს პოლიტიკური პუბლიცისტიკისადმი. კონტინენტის ქვეყნებისგან განსხვავებით (მაგ. საფრანგეთი) ინგლისში ხელისუფლება ვერ ჩაახშობდა პამფლეტისტის ხმას. პირიქით, როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პოლიტიკური ლიტერატურის წარმომადგენლებთან. ეს მომენტი

[51] ეს იყო თანამდებობიდან გადადგომის პირველი შემთხვევა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XVIII ს. ინგლისის შიგაპოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა.

საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ბრძოლა ვიგებსა და ტორებს შორის არა მარტო პარლამენტში, არამედ ჟურნალებისა თუ პამფლეტების ფურცლებზეც იმართებოდა. ეს პოლიტიკურ ბრძოლას საჯარო განსჯის ობიექტს ხდიდა და შესაბამისად მოსახლეობის პოლიტიკურ დონეს ამაღლებდა. ინგლისში მყოფი უცხოელები გაოცებულები აღნიშნავდნენ, რომ ტემზელი მეკარჭაპეები თავის „მილორდებთან" ბჭობდნენ პოლიტიკის შესახებ, ხოლო ხელოსნები შესვენებაზე პამფლეტების კითხვით იყვნენ დაკავებული.

პოლიტიკური ბრძოლის და პოლიტიკური პუბლიცისტიკის ურთიერთქმედებას ისიც სძენდა ფასეულობას, რომ მასში ჩართულები იყვნენ იმ დროის უბრწყინვალესი მწერლები და პუბლიცისტები, ჯოზეფ ადისონი, ჯონატან სვიფტი, დენიელ დეფო. ადისონი და დეფო ვიგების ინტერესებს გამოხატავდნენ, სვიფტი ტორებს უჭერდა მხარს. ეს მწვავე პუბლიცისტური პაექრობა არა მარტო ამდიდრებდა ლიტერატურას, არამედ ხვეწდა საზოგადოებრივ აზროვნებას და გზას უკაფავდა რადიკალურ მოძრაობას. რადიკალიზმის ზრდის სხვა ხელშემწყობი პირობა იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების: კლუბების, ყავახანების რაოდენობის ზრდა. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც კამათობდნენ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, ეცნობოდნენ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ინფორმაციას. ყველაფერი ეს საზოგადოებრივ ცხოვრებას უფრო საჯარო ხასიათს აძლევდა, ხოლო პარლამენტს კი უფრო დემოკრატიულს ხდიდა.

სწორედ რადიკალიზმის გაფართოებამ გამოიწვია ის, რომ რობერტ უოლპოლის გადადგომიდან მოყოლებული, და შემდგომ, XVIII ს. მეორე ნახევარში ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად შემცირდა პარტიული, და კიდევ უფრო მეტად, პიროვნული მონოპოლია. XVIII ს. მეორე ნახევრის ინგლისს ახსოვს უოლპოლის მსგავსი დიდი პრემიერ-მინისტრები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონია შესაძლებლობა 21 წლის მანძილზე უწყვეტად გაძღოლოდა კაბინეტს. პირიქით, უოლპოლის შემდგომი ხანა გამოირჩევა პრემიერ-მინისტრების სწრაფი მონაცვლეობით.

იმავე პერიოდის დასაწყისი აღინიშნა ინგლისისათვის ერთი შიგაპოლიტიკური გართულებით. 1745 წ. შოტლანდიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც როგორც 1715 წ. მიზნად ისახავდა სტიუარტების დინასტიის აღდგენას. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ჯეიმს II-ის შვილიშვილი, უფლისწული ჩარლზ ედუარდი, რომელიც ისტორიაში ცნობილია ასევე ლამაზი (Bony) უფლისწული ჩარლის სახელით. პრეტენდენტის ჯარი ამჯერადაც სტიუარტების ერთგული შოტლანდიის მთიანეთის მეომარი გვარების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. აჯანყებულებმა დაიკავეს ედინბურგი და დაამარცხეს ინგლისის ჯარი პრესტონპანსთან. პრეტენდენტი სამხრეთისაკენ დაიძრა და დერბის მიადგა. მას ინგლისელების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. მაგრამ საბოლოოდ აჯანყებულები დამარცხებულ იქნენ კალოდენ მურთან 1746 წ. პრეტენდენტმა, ისევე როგორიც მამამისმა 1715 წ. გაქცევით უშველა თავს. მისი ბევრი მომხრე სიკვდილით დასაჯეს. ხელისუფლებამ გააუქმა შოტლანდიის მთიანეთის გვარების მემკვიდრეობითი იურისდიქცია.

აქედან მოყოლებული ხელისუფლება მეთოდურად ძირს უთხრიდა მთიანეთის პატრიარქალურ ტრადიციებს, რისთვისაც იგი ადგილობრივი მოსახლეობის ზოგადბრიტანულ ცხოვრებაში ინტეგრაციას უწყობდა ხელს. ამისათვის ერთობ ხელსაყრელი იყო სამხედრო სამსახური. ხელისუფლებაც ხელს უწყობდა მთიელების სამხედრო საქმისაკენ სწრაფვას. 1830 წ. ბრიტანული ჯარის 14%-ს შოტლანდიელები შეადგენდნენ.

ამ აჯანყების ჩახშობამ საბოლოოდ ჩამოაცილა ჰანოვერთა დინასტიას პრეტენდენტები და მათგან გამომავალი საფრთხე. ალბათ გარკვეულწილად აქედან გამომდინარე, და ნაწილობრივ ახალი მონარქის პირადი მისწრაფებების გამო XVIII ს. 60-იანი წლებიდან სამეფო ხელისუფლება შეეცადა თავისი ზოგიერთი პრეროგატივის აღდგენას. ეს მცდელობა დაკავშირებულია ჯორჯ III სახელთან. ჯორჯ III (1760-1820 წწ.) შეიძლება ჩაითვალოს ჰანოვერთა დინასტიიდან პირველ ინგლისელ მეფედ. მისი მშობლიური ენა ინგლისური იყო და იგი ინგლისური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ახალგაზრდა, ღვთისმოსავმა და სერიოზულმა მონარქმა ადვილად მოიპოვა პოპულარობა პოლიტიკურ წრეებში. ყველა იმედოვნებდა, რომ იგი ითანამშრომლებდა ხელისუფლების ორივე შტოსთან. მაგრამ მოგვიანებით ეს იმედები გაქარწყლდა. აქ გადამწყვეტი როლი მეფის ფსიქიურმა აშლილობამ შეასრულა. მეფეს პერიოდულად გონებრივი აშლილობის შეტევები ემართებოდა. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მან კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა ტახტის მემკვიდრე. საღ გონე-

ბაზე ყოფნის დროს კი მეფე თანდათანობით დიდ სიჯიუტეს აკლებდა და ისწრაფოდა აღედგინა მივიწყებული სამეფო პრეროგატივა – მფარველობა, რომლითაც დიადი რევოლუციის შემდეგ მთავრობის წევრი მინისტრები სარგებლობდნენ.

XVIII ს. მეორე ნახევრის პირველი ათწლეული ინგლისურ პოლიტიკაში კვლავ აღინიშნებოდა ვიგების უპირატესობით. ამჯერად ვიგებს შორის გამოირჩეოდა მათი ახალი ლიდერი, უილიამ პიტი. პიტი პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII ს. 40-იან წლებში გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ეპოქის პირმშო იყო. პარლამენტში იგი მას შემდეგ მოხვდა, რაც პაპამისმა, ოსტ-ინდოეთის კომპანიის ერთ-ერთი სამფლობელოს, მადრასის გუბერნატორმა,[52] შეიძინა ცნობილი „დამპალი ადგილი" ოლდ სარუმი. ახალგაზრდა დეპუტატმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება თავისი მგზნებარე გამოსვლებით, რომლებშიც იგი ვიგების მაშინდელ უცილობელ ბელადს, რობერტ უოლპოლს ესხმოდა თავს.

ეს ორი მოღვაწე ერთობ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მუშაობის სტილით და პოლიტიკური ამოცანების ხედვით. თუკი უოლპოლი ადამიანებით მანიპულირებას ახდენდა და უშუალოდ შედიოდა პოლიტიკურ პარტნიორებთან საქმიან კონტაქტში, პიტი განმარტოებით მოქმედებდა და ცდილობდა ფრაქციებს მიღმა ყოფილიყო. ეს იყო ამაყი, ძალაუფლების მოყვარული და საკუთარ თავს მინდობილი ადამიანი. თუკი უოლპოლის მიზანი საგარეო პოლიტიკური სიმშვიდე და ქვეყნის გამდიდრება იყო, პიტი დიდი ბრიტანეთის სიდიადის იდეით იყო შეპყრობილი. მას შესწევდა უნარი მთელი საზოგადოება განემსჭვალა ამგვარი იდეებით და მათ მისაღწევად დაერაზმა. მაგრამ პიტის ამგვარ მუდმივ აღმაფრენას არ შეეძლო ყოველთვის დაძაბულობაში ყოლოდა საზოგადოება. ამის გამო მისდამი მხარდაჭერაც არ იყო მუდმივი და ხანგრძლივი. იმავდროულად, სწორედ ამგვარი ფეთქებადი ენერგიის წყალობით პიტი კრიზისულ სიტუაციებში შეუცვლელი ლიდერი იყო.

პიტის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ისეთი ფაქტები, რომლებიც ერთ მხრივ მოწმობენ ამ პოლიტიკოსის მზარდ პოპულარობას, ხოლო მეორე მხრივ, რადიკალიზმის ზრდაზე, რისი მაუწყებელიც იყო საზოგადოებრივი აზრის როლის ამაღლება. 40-იანი წლების შუახანებში პიტი კაბინეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო მისი პოპულარობით. პოპულარობა კი განპირობებული იყო პიტის უარით დაეკავებინა ძალზე „სარფიანი" თანამდებობა, შეიარაღებული ძალების მთავარი ხაზინადარის ადგილი. ამან პიტს არაკორუმპირებულის რეპუტაცია შეუქმნა.

1755 წ., როდესაც პიტმა ვერ მიიღო მისთვის სასურველი თანამდებობა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას გაეკონტროლებინა ინგლისის მიერ წარმოებული ომები, იგი გადადგა. მისმა პოპულარობამ აიძულა პრემიერ-მინისტრი ლორდი ნიუკასლი დაებრუნებინა პიტი კაბინეტის შემადგენლობაში ამ უკანასკნელისათვის სასურველ თანამდებობაზე.

მოგვიანებით პიტს თვით მეფე ჯორჯ II მოუვიდა უთანხმოება, რისთვისაც მას კვლავ დაატოვებინეს კაბინეტი. საპასუხოდ ქვეყანას საპროტესტო დემონსტრაციების ტალღამ გადაუარა. საზოგადოება პოპულარული მინისტრის დაბრუნებას ითხოვდა, რომელიც მთავრობის ფაქტიური მეთაური იყო. ამ საზოგადოებრივი ზეწოლის შემდეგ პიტი კვლავ დაბრუნდა მთავრობის შემადგენლობაში და 1757-1761 წწ. მანძილზე ლორდ ნიუკასლთან ერთად უძღვებოდა კაბინეტს.

XVIII ს. 60-იანი წლებიდან უილიამ პიტისა და ვიგების პოზიციები შეირყა. გამეფებისთანავე ჯორჯ III შეეცადა მინისტრთა პორტფელები თავისი დაახლოებული პირებისათვის დაერიგებინა და საერთოდ, აღედგინა მონარქების ძველი უფლებები. ამით იგი დაუფარავად უგულებელყოფდა საპარლამენტო უმრავლესობის ნება-სურვილს. ლორდ ნიუკასლის და პიტის მთავრობა გადადგა. აქედან მოყოლებული ათი წლის მანძილზე ინგლისმა ათი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა. ხშირ შემთხვევაში მთავრობაში მეფის დაახლოებული პირები და ტორები იმყოფებოდნენ.

ამგვარმა პოლიტიკამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ლონდონში იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეები მოითხოვდნენ მართვისაგან მეფის ფავორიტების ჩამოცილებას. 1763-1768 წწ. პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა ე.წ. „უილქსის საქმის" გამო. მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა პარლამენტის დეპუტატი, ჟურნალისტი ჯონ უილქსი, რომელიც თავის სტატიებში აკრიტიკებდა მთავრობას, მეფეს და მის მიერ პარლამენტის უფლებების შევიწროვებას. უილქსი დააპატიმრეს. მთავრობის ამგვარმა ძალმომრეობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ საზოგადოებაში. უილქსის დასაცავად გამოვიდა ოპოზიცია და საზოგადოების ფართო ფენები. სასამართლომ უილქსი გაამართლა და მინისტრები კი, ვინც მისი დაპატიმრების ბრძანება გასცეს, დააჯარიმა. საბოლოოდ უილქსი სრულად იქნა რეაბილიტირებული.

---

[52] ამ უკანასკნელს მისი ხიბლიანობის გამო მარგალიტის პიტს (Diamond Pitt) უწოდებდნენ.

დიდი გამოხმაურება ჰპოვეს საზოგადოებაში აგრეთვე ე.წ. „ჯუნიუსის წერილებმა“, რომელთა გამოქვეყნება დაიწყო ლონდონის ერთ-ერთ გაზეთში XVIII ს. 60-იანი წლების მიწურულს. ამ ანონიმურ წერილებში სასტიკად აკრიტიკებდნენ მეფესა და მთავრობას, მოუწოდებდნენ პარლამენტის უფლებათა დაცვისაკენ. წერილების ავტორი ყოფილა ვიგების პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ფილიპ ფრენსისი. მაგრამ მისი სახელი უცნობი დარჩა მთავრობისათვის, რომელმაც ამიტომ მთელი რისხვა გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ წარმართა.

რადიკალური მოძრაობის მონაწილეები სულ უფრო ენერგიულად მოითხოვდნენ არქაული საარჩევნო სისტემის შეცვლას, პირველ რიგში ე.წ. დამპალი ადგილების გაუქმებას, წვრილი მესაკუთრეებისა და მუშებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას, ყოველწლიურ საპარლამენტო არჩევნებს, დეპუტატებისათვის ხელფასის დანიშვნას, მექრთამეობასთან ბრძოლას და ა.შ. შეიქმნა „უფლებათა ბილის დაცვის საზოგადოება“ რომელიც აღნიშნული მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას ცდილობდა. რადიკალებმა პარლამენტში საპარლამენტო რეფორმის კანონპროექტიც კი შეიტანეს. მაგრამ კანონპროექტი პარლამენტში გაბატონებულმა ტორებმა ჩააგდეს. სამრეწველო გადატრიალების პირობებში რადიკალურ მოძრაობაში ჩაება მუშათა კლასიც. მუშების მხრიდან ამგვარი მოთხოვნებისათვის მხარის დაჭერა რასაკვირველია გაცილებით უფრო პროგრესული მოვლენა იყო, ვიდრე მანქანა-დანადგარების მსხვრევა.

მაგრამ ვერც მშვიდი და გაწონასწორებული ინგლისი დარჩა განზე პროტესტის უკიდურესი ფორმებისაგან. აღსანიშნავია, რომ ამგვარ გამოსვლებს ბიძგი მისცეს მოსახლეობის შეძლებულმა წარმომადგენლებმა, მაგრამ შემდგომ დაკარგეს მათზე კონტროლის საშუალება. მღელვარება დაიწყო ლონდონში 1780 წ., როდესაც მთავრობამ ნება დართო კათოლიკეებს შეეძინათ მიწა. მაგრამ მოგვიანებით იგი გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში, რომლის ლოზუნგები იყო „ძირს მეფე“, „ძირს მინისტრები!“, „ძირს პაპობა!“. აჯანყებულებმა დაარბიეს დედაქალაქი. მისი ჩახშობა მხოლოდ 8 დღის შემდეგ მოხერხდა.

ამ აჯანყებამ, რომელიც ისტორიაში გორდონის[53] აჯანყების სახელით არის ცნობილი, უბიძგა ხელისუფლებას გარკვეული გარდაქმნების გატარებისაკენ. 1782 წ., როდესაც მთავრობას სათავეში ვიგები ჩაუდგნენ, მათ გაატარეს რამოდენიმე რეფორმა. რეფორმების შედეგად მოხდა სამეფო ოჯახის (ჰაუსჰოლდის) რეორგანიზაცია, პარლამენტში წარმომადგენლობა ჩამოერთვა პირებს, რომლებიც მთავრობის ნება-სურვილის გამტარებლები იყვნენ, არჩევნებში მონაწილეობას ჩამოაცილეს სამთავრობო აპარატის ბევრი წევრი.

ამგვარი რადიკალური მოძრაობის ფონზე ინგლისის შიგაპოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა პოლიტიკური გუნება-განწყობის და ფასეულობების მემარჯვენე პოზიციებზე გადახრა. 1783 წ. მთავრობას კვლავ ტორის პარტია ჩაუდგა სათავეში. ტორების მმართველობა 1801 წლამდე გაგრძელდა. ტორების ეს ხანგრძლივი აღზევება დაკავშირებულია ცნობილი ვიგი მოღვაწის, უილიამ პიტის, შემდგომში გრაფ ჩატამის ვაჟის, უილიამ პიტის სახელთან. ეს უკანასკნელი ისტორიაში უმცროსი უილიამ პიტის სახელით არის ცნობილი. დაიწყო რა პოლიტიკური კარიერა ვიგების პარტიაში, უმცროსი პიტი მოგვიანებით ტორებისაკენ გადაიხარა. მაშინ როცა ვიგების პარტიაში გაუთავებელ ფრაქციულ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი ლორდ შელბორნსა და ჩარლზ ფოქსს შორის, უმცროსი პიტი წარმოჩდა როგორც ინგლისური ტრადიციების და ზომიერების მტკიცე მიმდევარი, რაც მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა ექსტრავაგანტური და სკანდალური პირადი ცხოვრების მიმდევარ ფოქსის წინაშე.

ამ ტიპის მოღვაწე, უმცროსი პიტი რევოლუციურ საფრანგეთთან ომის დროს ქვეყნის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. მისი პრემიერ-მინისტრობის ხანაში მოხდა სახელმწიფო საფინანსო სისტემის რეორგანიზაცია. ინგლისის ომმა მის ამერიკულ კოლონიებთან გააორმაგა მისი სახელმწიფო ვალი. მთავრობას არაგადამხდელუნარიანობის საფრთხე შეექმნა. პიტის მიერ ჩატარებულმა რეორგანიზაციამ მოხსნა ეს საფრთხე. მან გაამარტივა გადასახადების აკრეფის რთული სისტემა, ხოლო თავად გადასახადები შეამცირა. საბაჟო ტარიფების შემცირებამ შეამცირა კონტრაბანდული საქონლის მოზღვავება.

საინტერესოა პიტის მცდელობა შეეტანა ცვლილებები საპარლამენტო სისტემაში. მან შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი 35 „დამპალი ადგილის“ გაუქმების შესახებ. დეპუტატებმა მას მხარი

---

[53] აჯანყებას ხელმძღვანელობდა ულტრაპროტესტანტი ლორდი გორდონი.

არ დაუჭირეს, მაგრამ პიტმა შესძლო ბევრი პენსიის (ფაქტიურად ფულადი საჩუქრის) და დეპუტატთა მოქრთამვის სხვა ფორმების გაუქმება-აღკვეთა.

გარდაქმნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა მოძრაობა მონობის წინააღმდეგ. ზანგების აფრიკიდან გაყვანა და მათი მონებად გაყიდვა ინგლისელებმა XVI ს. 50-იანი წლებიდან დაიწყეს. შავკანიანი მონებით ვაჭრობა და მათი ექსპლუატაცია მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, მათ შორის რელიგიურ დაწესებულებებს დიდ მოგებას აძლევდა. 1745 წ. „დეილი ქრონიკლ"-ის მონაცემებით ლონდონში 30 ათასი შავკანიანი იყო, მაგრამ ეს ალბათ გადაჭარბებული მაჩვენებელია.

1772 წ. მონობა ინგლისში გაუქმებულ იქნა. უმცროსი პიტის პრემიერ-მინისტრობის ხანაში 1787 წ. კი დასავლეთ აფრიკაში შეიქმნა სახელმწიფო სიერა-ლეონე, სადაც სახლდებოდნენ განთავისუფლებული მონები. ამის შემდეგ პიტი გაილაშქრა შავკანიანი მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1807 წ. აიკრძალა.

უმცროსი პიტი შეეცადა გარკვეული შეღავათები მიეცა ირლანდიის საგარეო ვაჭრობისათვის, მაგრამ ეს მცდელობა ინგლისის საქმიანი წრეების წინააღმდეგობას წააწყდა. ინგლისის პარლამენტმა, რომელიც ინგლისელი ვაჭრებისა და მეწარმეების ინტერესებს გამოხატავდა ჩააგდო პიტის ეს წამოწყება.

უმცროსი პიტი და მისი მიმდევარი ე.წ. „ახალი ტორები", თავისი თანაპარტიელების ძველი თაობისაგან განსხვავებით ენერგიულად უჭერდნენ მხარს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. თავად უმცროსი პიტი ადამ სმიტის თავისუფალი კონკურენციის და თავისუფალი ვაჭრობის იდეების თაყვანისმცემელი იყო. მაგრამ რევოლუციამ საფრანგეთში და შემდგომ ომმა რესპუბლიკურ საფრანგეთთან დაამუხრუჭა პიტის მიდრეკილება გარდაქმნებისაკენ. ხელმძღვანელობდა რა ომში ჩაბმულ ქვეყანას, იგი უფრო არსებულის შენარჩუნებას ცდილობდა, ვიდრე ახლის მიღწევას. უფრო მეტიც, მისი პრემიერ-მინისტრობის ხანაში შეჩერდა ჰაბეას კორპუს აქტის მოქმედება, ხოლო 1799 წ. გამოიცა კანონი გაერთიანებების შესახებ, რომელიც კრძალავდა მუშების პროფესიულ კავშირებს. რეაქციული გახდა არა მარტო მთავრობის საშინაო პოლიტიკა, არამედ საზოგადოების ცნობიერებაც. ამაზე მეტყველებს თუნდაც შემდეგი ფაქტი. როდესაც ცნობილმა მეცნიერმა, ბუნებისმეტყველმა პრისტლიმ გადაწყვიტა თავის მეგობრებთან ერთად აღენიშნა პარიზელების მიერ ბასტილიის დანგრევა, გააფთრებული ბრბო შეიჭრა მის ბინაში და დაარბია მისი ლაბორატორია.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკური ნაბიჯები წარმოადგენდნენ მთლიანად ინგლისური საზოგადოების, სოციალური აზროვნებისა და მიდრეკილებების თავისებურ გამოხატულებას. გორდონის აჯანყებამ, ამერიკული კოლონიების ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის, რევოლუციამ საფრანგეთში გარკვეული ეჭვი შესძინა მოსაზრებას საზოგადოების, სახელმწიფოს ერთი ხელის დაკვრით გაუმჯობესების შესახებ. იყო რა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა, ინგლისი იმავდროულად გამოირჩეოდა კონსერვატიზმით. ეს უკანასკნელი კი მდგომარეობდა იმაში, რომ ინგლისელები, პირველ რიგში კი მათი პოლიტიკოსები ამჯობინებდნენ ძველის შემონახვასა და გაუმჯობესებას, ვიდრე მის ერთბაშად დანგრევას და ახლის აშენებას.

კონსერვატიზმის მატარებლებად მოსახლეობის ფართო ფენებიც გამოდიოდნენ. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიურმა მოძრაობამ, რომელიც XVIII ს. მეორე მეოთხედიდან დაიწყო და რომელიც მეთოდიზმის სახელით არის ცნობილი. ამ მოძრაობას სათავეში ედგა ვინმე ჯონ უესლი, რომელმაც ჯერ კიდევ ოქსფორდში სტუდენტობისას თავისი ზედმიწევნით მოწესრიგებული რელიგიური ცხოვრების გამო მეთოდისტის მეტსახელით დაიმსახურა.

1728 წ. უესლიმ და მისმა მიმდევრებმა დაარსეს რელიგიური საზოგადოება და დაიწყეს შესაბამისი პროპაგანდა. ეს იყო ბიბლიის პროპაგანდა, რომელიც დაფუძნებული იყო სოციალური თუ ქონებრივი უთანასწორობის, ჩაგვრის, როგორც ღვთით ბოძებული ხვედრის აღქმაზე. ამგვარი მდგომარეობისათვის ადამიანს უნდა დაეპირისპირებინა არა პროტესტი, არამედ შინაგანი ბედნიერება, რომელიც მოსალოდნელი ხსნითი იყო განპირობებული.

უესლის და მისი მიმდევრების პროპაგანდა არნახული ემოციურობით გამოირჩეოდა. იმ პირობებში, როცა ანგლიკანური ეკლესია მეტისმეტად არისტოკრატულ და ზოგჯერ რაციონალისტურ-საერო ხასიათსაც კი ატარებდა, ხოლო ნონკონფორმისტული სექტები შეურიგებლობის სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულები, მეთოდიზმი ან კიდევ როგორც მას ეძახდნენ უესლიანობა ერთობ პოპულარული გახდა მოსახლეობის დაბალ ფენებში. ეს იდეოლოგია გარკვეულწილად უმსუბუქებდა მატერიალურ კეთილდღეობას მოკლებულ სოციალურ ფენებს მათ მიერ მძიმე ხვედრის შეგ-

რძნებას, რელიგიურ ბურანში ახვევდა მათ ცნობიერებას და უნელებდა სწრაფვას აქტიური კლასობრივი ბრძოლისაკენ.

თავად უესლი ერთობ კონსერვატულად იყო განწყობილი და უარყოფითი პოზიცია დაიკავა უილქსის რადიკალიზმის, ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და კათოლიკეთათვის თანაბარი უფლებების მინიჭების მიმართ. მაგრამ იმავე დროს ათასობით ადამიანს, რომელიც მზად იყო სოციალური აფეთქებისათვის მეთოდისტურმა იდეოლოგიამ როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი სიმშვიდე შესძინა. ამის გარდა მეთოდისტურმა პროპაგანდამ, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს ამხელდა გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმ მოძრაობების გაჩაღებას, რომლებიც ითხოვდნენ მონობის გაუქმებას, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ციხეებში რეფორმის გატარებას.

მაღალ სოციალურ საფეხურზე მყოფი ადამიანების ცნობიერება საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო უშუალო სარგებელს ეძებდა, ვიდრე განყენებულ იდეალებს. გაუმჯობესება ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწეოდა. კონტინენტისაგან განსხვავებით, ერთმანეთის გვერდით მყოფ სოციალურ ფენებს შორის (ეს განსაკუთრებით თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას ეხება) არ იყო აბსოლუტური გამიჯვნა და გაუცხოება. ინგლისური სიტყვა ჯენტლმენი (Gentleman) პრაქტიკულად აბსოლუტურად შეუსაბამო გახდა ფრანგული ტერმინისა Gentilhomme. (აზნაური – ფრანგ.). თუკი ეს უკანასკნელი აბსოლუტურად უცვლელი დარჩა და ვიწრო, ლამის კასტობრივი შინაარსის მატარებელი იყო, ინგლისურმა სიტყვამ „ჯენტლმენი" გაცილებით უფრო ფართო სოციალური შინაარსი შეიძინა. საფრანგეთისაგან განსხვავებით ინგლისში ბურჟუაზია არ იყო დამცირებული და დათრგუნული. დაწინაურებული ვაჭარი თუ მეწარმე ხშირად შედიოდა თავადაზნაურთა ოჯახში სიძედ. მემამულეებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თავის ფერმერებთან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები უფრო მოქნილს და ნაკლებად დამთრგუნველს ხდიდა ცენტრალური ხელისუფლების საშინაო პოლიტიკას.

სწორედ ამიტომ იყო, რომ XVIII ს. უცხოელები ახასიათებდნენ ინგლისს, როგორც ერთ ერად შეკრულ ქვეყანას, ხოლო ზედა თუ ქვედა სოციალური ფენების წარმომადგენლები ხასიათდებოდნენ ბევრი საერთო ნიშან-თვისებით. ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVIII ს. მიწურულს ინგლისი განზე დარჩა მძლავრი სოციალური და პოლიტიკური ვნებათაღელვისაგან. ფრანგებისაგან განსხვავებით ინგლისელებს მიმზიდველ, მაგრამ ბუნდოვან და ძნელად მისაღწევ იდეებს თავისი ნაცადი ცხოვრებისეული გზა ერჩივნათ. მართალია საფრანგეთში მომხდარი რევოლუციის გავლენით ინგლისში შეიქმნა რევოლუციური ორგანიზაციები, ე.წ. კორესპონდენტული საზოგადოებები, ადგილი ჰქონდა მღელვარებას ფლოტში, მაგრამ საერთო ჯამში ინგლისი განზე დარჩა იმ რევოლუციური ენთუზიაზმისაგან, რომელმაც XVIII ს. დასასრულს მოიცვა ევროპა.

ინგლისელები იმ პოლიტიკური პრინციპების ერთგულები დარჩნენ რომელთა თანახმად ქაოსს ისევ წესრიგი და მართვა სჯობია. ვესტმინსტერის სასახლეში თავმოყრილ ადამიანებს მტკიცედ სწამდათ, რომ არ არსებობდა უნაკლო სახელმწიფო, ამიტომაც მათი აზრით უმჯობესი იყო უკეთესი მთავრობის ჩამოყალიბება. თვით თავისუფლების ისეთი მეხოტბეც კი, როგორიც იყო შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი, რევოლუციური საფრანგეთის მოსალოდნელი აგრესიის დროს საჯაროდ დაიარებოდა ინგლისელი მოხალისე-მოლაშქრის ტანსაცმელში, რაც ინგლისური პატრიოტიზმის თავისებური გამოვლენა იყო. კონტინენტიდან მოსულ თავისუფლების მიმზიდველ იდეას უსაფრთხო, კუნძულოვანი არსებობის შეგრძნებამ სძლია.

ამრიგად XVIII ს. ინგლისის სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ შემდგომი წინსვლა განიცადა. განმტკიცდნენ და განვითარდნენ კონსტიტუციური მონარქიის პრინციპები, ადგილი ჰქონოდა თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის გარკვეულ დაახლოებას. დინასტიათა და ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიების მონაცვლეობა უმტკივნეულოდ, სოციალურ-პოლიტიკური შეჯახების გარეშე ხდებოდა. ყველაფერი ეს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას სტაბილურობას სძენდა.

ინგლისის საგარეო პოლიტიკა XVIII ს.

წარმატებებმა, რომლებითაც აღინიშნა ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება XVIII ს. ბიძგი მისცა აქტიური საგარეო და განსაკუთრებით კოლონიური პოლიტიკის გატარებას და რაც მთავარია, მის წარმატებით დაგვირგვინებას. აღნიშნულ პერიოდში გარკვეულად შეიცვალა საგარეო პოლიტიკური მიმართულებაც და მისი ცხოვრებაში გატარების ხერხები. XVIს. ინგლისის მთავარი მეტოქე ესპანეთი იყო. ამ მეტოქეობას გარკვეულწილად იდეოლოგიური, კერძოდ რელიგიური ელფერი დაჰკრავდა. ამ ქვეყნების ეკონომიკური და მითუმეტეს კოლონიური ინტერესები იმ ხანად უშუალო შეჯახებაში არ მოდიოდა. მდიდარი კოლონიების მფლობელ ესპანეთს ნაკლებად აინტერესებდა ინგლისის პერიოდული გააქტიურება ევროპის კონტინენტზე. თავის მხრივ ინგლისსაც არ გააჩნდა შესაბამისი სამხედრო-ტექნიკური ბაზა და რესურსები, რომ ესპანეთის ამერიკული კოლონიების მიტაცებაზე ეზრუნა. ამიტომ ინგლისელები მეკობრეობით კმაყოფილდებოდნენ და ესპანური საზღვაო ქარავნების ძარცვის იქით არ მიდიოდნენ. პროტესტანტ ინგლისელებს სურდათ კათოლიკე ესპანელების დათრგუნვა-დამცირება.

სიტუაცია შეიცვალა XVII ს. მსოფლიო ბაზრის გაფართოებამ, ინგლისის უფრო ფართოდ ჩაბმამ კონტინენტთან ვაჭრობაში, სხვადასხვა სავაჭრო კომპანიის (განსაკუთრებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის) საქმიანობის გააქტიურებამ უფრო მიზანმიმართული ხასიათი მისცა მის პოლიტიკას. ინგლისის ხელისუფალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორად განჭვრიტეს სიტუაცია და საგარეო პოლიტიკაში აქცენტი ესპანეთიდან ჰოლანდიაზე გადაიტანეს. დასუსტებული ესპანეთი ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა. საჭირო იყო საშუამავლო საზღვაო ვაჭრობით დაკავებული ჰოლანდიის ნეიტრალიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ინგლისს „მარწუხებში მოაქცევდა". საზღვაო ომმა ჰოლანდიასთან ეს ამოცანა ინგლისის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მაგრამ XVII ს. დასასრულიდან ინგლისი ახალი საგარეო პოლიტიკური პრობლემის წინაშე დადგა. დასავლეთ ევროპას ფრანგული აგრესიის საფრთხე შეექმნა. წარმატების შემთხვევაში დასავლეთ ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია დამყარდებოდა. ინგლისს კი არ აწყობდა კონტინენტზე არსებული ძალთა თანაფარდობის დარღვევა. თუკი ლუი XIV აბსოლუტისტური საფრანგეთი თავისი დიდი ფინანსური და სამხედრო შესაძლებლობების წყალობით შთანთქავდა დასავლეთ ევროპას, ინგლისს სრული იზოლაცია ემუქრებოდა. ამიტომ დიადი რევოლუციიდან მოყოლებული და განსაკუთრებით XVIII ს. ინგლისის საგარეო პოლიტიკა ცალსახად იძენს ანტიფრანგულ მიმართულებას.

ანტიფრანგული ტენდენციის განმტკიცებას თავად ლუი XIV უსაზღვრო ამბიციებმა მისცეს ბიძგი. 1697 წ. დადებული რისვიკის ზავის თანახმად საფრანგეთმა სცნო უილიამ III სრული უფლება ინგლისის სამეფო ტახტზე და ვალდებულებაც კი აიღო ჩამოეცილებინა მისთვის ნებისმიერი პრეტენდენტი. ინგლისში ამ გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდნენ და ქვეყანა მაშინვე მშვიდობიან ყაიდაზე გარდაიქმნა. ომის მომხრე ვიგების პარტია მთავრობაში ტორებმა შეცვალეს. ჯარის რაოდენობა 7 ათასამდე შემცირდა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტში მეზღვაურთა რაოდენობა 8 ათასამდე. მოსახლეობა მიესალმა ომთან დაკავშირებული გადასახადების გაუქმებას.

ამგვარ სიტუაციაში ლუი XIV გადადგა ორი პოლიტიკური ნაბიჯი, რომლებმაც მის წინააღმდეგ როგორც ინგლისი, ასევე მთელი დასავლეთ ევროპა აამხედრა. ჯერ ერთი, მისი ზეწოლით ესპანეთის ტახტის მემკვიდრედ (ესპანეთის მეფე, მომაკვდავი კარლოს II უშვილო იყო) მისი შვილიშვილი, ანჟუს ჰერცოგი გამოცხადდა. ინგლისის, და საერთოდ იმ დროის დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების წინაშე გამოიკვეთა დინასტიურ საფუძველზე გაერთიანებული ფრანგულ-ესპანური სახელმწიფოს ჩამოყალიბების სახიფათო პერსპექტივა. „ამიერიდან აღარ არსებობს პირენეის მთები — ასეთი სიტყვებით გაისტუმრა ლუი XIV თავისი შვილიშვილი, ანჟუს ჰერცოგი ფილიპე ესპანეთში, რაც მიანიშნებდა ამ ორი სამეფოს გაერთიანებაზე. ამ გაერთიანებას კი შეეძლო თავისი პოტენციალის წყალობით ევროპა შთაენთქა.

მაგრამ ლუი XIV ამას არ დასჯერდა და მეორე, უშუალო ანტიინგლისური ნაბიჯი გადადგა. იგი ეწვია საფრანგეთში მყოფ ემიგრანტ მეფეს ჯეიმს II სტიუარტს და აღუთქვა სიკვდილის პირას მყოფ პრეტენდენტს, რომ ინგლისის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მის ვაჟს, უფლისწულ ჯეიმსს სცნობდა. ეს განცხადება რისვიკის ზავის პირობების აშკარა დარღვევა იყო. სწორედ ამან აიძულა ინგლისი შეექმნა დიდი კოალიცია ავსტრიის და ჰოლანდიის მონაწილეობით და ჩაბმული-

ყო ომში საფრანგეთის წინააღმდეგ. ომი, რომელიც 1702-1713 წწ. მიმდინარეობდა ცნობილია ესპანეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომის სახელით.

ამ ომში ინგლისის მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებები დაკავშირებულია ცნობილი ინგლისელი სარდალის, ჯონ ჩერჩილის სახელთან, რომელსაც მოგვიანებით მალბოროს ჰერცოგის წოდება მიენიჭა. მალბორომ სასტიკად დაამარცხა ფრანგები 1704 წ. ბლინჰაიმთან, 1706 წ. რამილისთან, 1708 წ. უდენარდთან, ხოლო 1709 წ. მალპლაკესთან. ასევე წარმატებით მოქმედებდა ფრანგების წინააღმდეგ ინგლისელების მოკავშირის, ავსტრიის იმპერატორის ცნობილი სარდალი, სავოიის უფლისწული ევგენი, რომელმაც 1706 წ. სასტიკად დაამარცხა ფრანგები იტალიაში. ამრიგად, საფრანგეთის არმია ფაქტიურად განადგურებული იქნა. წარმატებულად მოქმედებდნენ ინგლისელები ზღვაზეც. 1704 წ. ინგლისელთა და ჰოლანდიელთა გაერთიანებულმა ფლოტმა გიბრალტარი დაიკავა, რამაც ფაქტიურად ხმელთაშუა ზღვა ინგლისის კონტროლს დაუქვემდებარა. ხოლო 1708 წ. ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს კუნძული მინორკა, ხმელთაშუა ზღვაში.

საბრძოლო მოქმედებები პირენეის ნახევარკუნძულზეც მიმდინარეობდნენ. კოალიციის ჯარებმა მადრიდიც კი აიღეს, მაგრამ საბოლოდ ესპანეთში ფეხი ვერ მოიკიდეს. მიუხედავად ამისა, ინგლისმა მაინც მოახერხა ამ სამხედრო კამპანიიდან სარგებლის ნახვა. დაიდო ინგლის-პორტუგალიის შეთანხმება, რომლის თანახმად ინგლისი პორტუგალიას თავის მაუდს აწვდიდა, სანაცვლოდ კი პორტუგალიურ ღვინოს იღებდა.

ომი ევროპის კონტინენტით არ შემოიფარგლა. ინგლისელები და ფრანგები ერთმანეთს ჩრდილოეთ ამერიკაშიც შეეჯახნენ. 1710 წ. ინგლისელებმა ფრანგები დაამარცხეს აკადიაში (დღევანდელი კანადის ნაწილი) და ეს ტერიტორია ჩაიგდეს ხელთ.

ამრიგად, ომში ინგლისს დიდი წარმატება ხვდა. საფრანგეთი ყველა ფრონტზე დამარცხებულ იქნა და მას საბრძოლო მოქმედებების გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა. ინგლისს უშუალო საფრთხე აღარ ემუქრებოდა. სწორედ ამან გააძლიერა ინგლისში ომის მოწინააღმდეგეთა, ტორების პოზიცია, რომლებიც გამოდიოდნენ ზედმეტი სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ და ამიტომაც დაზავების მოითხოვდნენ. ვიგები ომის გაგრძელებას ცდილობდნენ. მაშინ ტორებმა აქტიურად აამოქმედეს პოლიტიკური პროპაგანდის მანქანა. მათ ჯერ ომის ჭეშმარიტი გმირი, ჰერცოგი მალბოროს ამხილეს სახაზინო თანხების უკანონო მითვისებაში და მიაღწიეს 1711 წ. მისი მოკავშირეობა ჯარის მთავარსარდლის თანამდებობიდან განთავისუფლებას. უფრო მეტიც, გუშინდელი გმირი ემიგრაციაში წავიდა, რათა სასამართლოსათვის თავი დაეღწია. მოგვიანებით კი უკვე ხელისუფლების სათავეში მყოფმა ტორებმა ჯონათან სვიფტის შთამბეჭდავი პამფლეტის მეშვეობით (ეს იყო მთავრობის უშუალო დავალება) საზოგადოებრივი აზრი ომის საწინააღმდეგოდ განაწყვეს.

1713 წ. ჰოლანდიაში, ქ. უტრეხტში მყოფმა მხარეებმა ზავს მოაწერეს ხელი. ზავის თანახმად ესპანეთის ტახტი ლუი XIV შვილიშვილს დარჩა, რომელმაც ფილიპე V სახელით დაიდგა გვირგვინი. მაგრამ საფრანგეთის და ესპანეთის გაერთიანება არ მოხდარა ამ დინასტიური გადანაწილების შედეგად. თუმცა კი, ვერავინ ვერ იძლეოდა გარანტიას, რომ მომავალში ეს არ მოხდებოდა. მაგრამ ბელგია (ესპანეთის ნიდერლანდები) ჩაეთვალა ესპანეთს და გადაეცა ავსტრიის იმპერატორს ავსტრიის ნიდერლანდების სახელით. ავსტრიასვე გადაეცა ესპანეთის იტალიური სამფლობელოები. ჰოლანდიამ უფლება მიიღო თავისი გარნიზონები ჩაეყენებინა ბელგიის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებში. ინგლისმა ვერ მიიღო ესპანურ კოლონიებთან ვაჭრობის სრული თავისუფლება. მაგრამ მას მიენიჭა განსაკუთრებული უფლება ზანგი მონები ჩაეყვანა სამხრეთ ამერიკაში. ინგლისს ნება დართეს წელიწადში ერთი ხომალდი გაეგზავნა სამხრეთ ამერიკაში. ინგლისელებს გადაეცათ გიბრალტარი, რამაც მათ სრულ კონტროლს დაუქვემდებარა ზღვაოსნობა ხმელთაშუა ზღვაში. ჩრდილოეთ ამერიკაში ფრანგებმა დაუთმეს ინგლისელებს აკადია და ტერიტორია რომელიც გარს ეკრა ჰადსონის ყურეს.

ამრიგად ომმა ინგლისს არა უბრალოდ გარკვეული ტერიტორიები შესძინა, არამედ აამაღლა მისი საერთაშორისო პრესტიჟი და მისცა მას საშუალება წამოეწყო ფართომასშტაბიანი კოლონიური პოლიტიკა. თავად პოლიტიკა კი უფრო ადვილი განსახორციელებელი უნდა გამხდარიყო, რადგანაც შედარებით გაადვილდა და გაუმჯობესდა ომის წარმოება, კერძოდ, გაუმჯობესდა ცეცხლსასროლი იარაღი, ფთილის თოფები კაჟიანმა თოფებმა შეცვალეს. ამან გამოიწვია მუზარადისა და ჯავშნის ხმარებიდან ამოღება, რომლებიც უფრო მოხერხებულმა და ადვილად სატარებელმა სამ-

ხედრო ფორმამ შეცვალა. თოფის ლულაზე დამაგრებული ხიშტის ხმარებაში შემოტანამ გამოდევნა ჯარიდან შუბები. ამით ჯარი უფრო ქმედითი და მობილური გახდა.

ომმა და მისმა შედეგებმა ინგლისთან მიმართებაში კიდევ რამოდენიმე საინტერესო მომენტი წარმოაჩინა. მხედველობაში გვაქვს მიზეზები, რომლებმაც ინგლისის გამარჯვება განაპირობა. რასაკვირველია, ჰერცოგ მალბოროს, როგორც შესანიშნავი მთავარსარდლის როლის დამცირება უბრალოდ შეუძლებელია. მისმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა ბლინჰაიმთან თუ რამილისთან გააქარწყლეს მითი ფრანგული ჯარის უძლეველობის შესახებ. სწორედ იმ დროიდან დაიწყეს საფრანგეთში ბავშვების „მალბურგით" (როგორც ეძახდნენ ევროპაში მალბოროს) შეშინება.

მაგრამ ომში გამარჯვება მხოლოდ ბრძოლის ველზე არ იჭედება. ომის წარმოებას უშრეტი ფინანსები სჭირდებოდა. სწორედ აქ გამოჩნდა ინგლისის უპირატესობა საფრანგეთთან. სახელმწიფო ბანკის დაარსებამ, სახელმწიფო ვალის შემოღებამ, გადასახადების უფრო მოქნილმა და ქმედითმა სისტემამ ინგლისის მთავრობის განკარგულებაში ფულის უშრეტი წყარო მოაქცია. ინგლისისაგან განსხვავებით კონტინენტზე, მაგ. საფრანგეთში, სამეფო ხელისუფლება ვერ გამოსძალავდა ფულს დიდგვაროვანთა ფენას მისი ფისკალური შეუვალობის გამო. ამრიგად, პოლიტიკური განვითარების უფრო მაღალმა დონემ განაპირობა ინგლისის უფრო დიდი ეკონომიკური ქმედითუნარიანობა.

მაგრამ ომმა დაამტკიცა ისიც, რომ დემოკრატიულ პოლიტიკურ გარემოში არ რჩება ადგილი კერპებისა და მათი თაყვანისმცემლებისათვის. რაოდენ დიდი არ იყო ჰერცოგ მალბოროს სამხედრო ავტორიტეტი და დამსახურება, მან მაინც უკან დაიხია საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ბრწყინვალე გამარჯვებებმა ვერ უშველეს გმირს, რომელსაც ხაზინის ქურდობა დააბრალეს. სვიფტის და ლორდ ბოლინგბროკის ოსტატური და მძაფრი კრიტიკის წყალობით საზოგადოებრივი აზრი დიდების შარავანდეთით შემოსილი მთავარსარდლის წინააღმდეგ გამოვიდა. სამხედრო ტრიუმფით გამოწვეული ეიფორია მაშინვე გაიფანტა, როდესაც სვიფტმა ინგლისის საზოგადოებას მისი ჯიბიდან სუბსიდიებისა და სახელმწიფო სესხის სახით ამოღებული მილიონობით გირვანქა სტერლინგზე მიუთითა.

სწორედ ამგვარმა გუნება-განწყობამ და ომისშემდგომ პერიოდში ხელისუფლების სათავეში ვიგების პარტიის ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფნამ უზრუნველყო XVIII ს. 20-30-იან წლებში მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა. რობერტ უოლპოლი, ვიგების ეს შეუდარებელი ბელადი ყოველნაირად ცდილობდა ომისაგან თავი დაეღწია. მისი მშვიდობიანი, ყოველგვარ გმირულ შარავანდედს მოკლებული საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ქვეყანას ეკონომიკის განვითარების და სიმდიდრის დაგროვების პირობები შექმნოდა. და ამგვარი პოლიტიკური კურსი ამართლებდა კიდეც. თვით ამაყი და თავისუფლებისმოყვარე შოტლანდიელებიც კი ფაქტიურად არ აყენენ იაკობიტების მიერ მოწყობილ ორ ამბოხს და მაინც და მაინც არ გასწირეს თავი სტიუარტთა დინასტიის პრეტენდენტებისათვის. მშვიდობისა და გამდიდრების პერსპექტივამ მათაც მოუქონა თავი.

ვაჭრებისა და მეწარმეებისათვის, რომლებიც ინგლისის საზოგადოების მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ელემენტს წარმოადგენდნენ, მსოფლიო წარმოუდგენელი იყო ახალი ბაზრებისა თუ ნედლეულის წყაროების მოპოვების გარეშე. საერთაშორისო მასშტაბით კი, უფრო გაფართოებული პოლიტიკური არეალის და გამძაფრებული მეტოქეობის პირობებში უპირატესობის მიღწევა შეუძლებელი იყო მხოლოდ მშვიდობიანი ხერხებით.

უტრეჰტის ზავის პირობებმა ვერ დააკმაყოფილა ინგლისის ვაჭართა და მეწარმეთა ინტერესები. ინგლისელები კვლავ შეზღუდულები იყვნენ ესპანეთის ამერიკულ კოლონიებთან ვაჭრობაში. მოთხოვნა ინგლისურ საქონელზე ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში კი დიდი იყო. ეს იწვევდა ფარული, კონტრაბანდული ვაჭრობის გაფართოებას. კოლონიების ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა აღმოეფხვრა კონტრაბანდა. ამისათვის იგი კონტრაბანდისტების დასჯას მიმართავდა.

სწორედ ერთ-ერთი კონტრაბანდისტის, ინგლისური გემის კაპიტნის, ვინმე ჯენკინსის დასჯამ, რომელსაც ყურები დააჭრეს, გამოიწვია ინგლისის საზოგადოების გააფთრება და აღვირახსნილი ანტიესპანური კამპანია. მშვიდობისმოყვარე უოლპოლი ყოველნაირად ცდილობდა ვნებათაღელვის დაშოშმინებას, მაგრამ მგზნებარე სიტყვამ, რომელიც თემთა პალატაში წარმოთქვა ახალგაზრდა დეპუტატმა, ე.წ. „პატრიოტი ბიჭების" ფრაქციის წევრმა უილიამ პიტმა ფაქტიურად წაართვა მარ-

თვის სადავეები გამოცდილ პრემიერ-მინისტრს. უოლპოლის სურვილის საწინააღმდეგოდ 1739 წ. ინგლისი ესპანეთთან ომში ჩაება.

საომარი მოქმედებები ხეირიანად არც იყო დაწყებული, რომ ინგლისს ახალ, და უფრო მასშტაბურ ომში მოუხდა ჩაბმა. ეს იყო ომი ავსტრიული მემკვიდრეობისათვის, რომელიც ევროპის კონტინენტზე გაჩაღდა. ეს ომი, რომელიც 1740-1748 წწ. მიმდინარეობდა, გამოწვეული იყო დინასტიური კრიზისით, რომელიც შეიქმნა ჰაბსბურგთა მრავალეროვნულ იმპერიაში. 1740 წ. გარდაიცვალა, იპერატორი კარლ VI. მის მემკვიდრეს, 23 წლის მარია ტერეზიას მეტოქე გამოუჩნდა, ჰაბსბურგთან ნათესავი ბავარიის კურფიურსტი (მთავარი).

ამ მეტოქეობამ ფრთები შეასხა საფრანგეთს, რომელიც ჰაბსბურგთა სამფლობელოების დანაწილების ხარჯზე იმედოვნებდა აღედგინა ევროპაში თავისი ჰეგემონია. საფრანგეთს მხარი დაუჭირეს ტრადიციულმა მოკავშირეებმა, ესპანეთმა და ბავარიის სამთავრომ. მათვე მიემხრო პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, რომელსაც ჰაბსბურგთა მიწებზე ეჭირა თვალი.

ჰაბსბურგებისათვის ამ მძიმე სიტუაციაში მათი მხარე ინგლისმა დაიჭირა. მას როგორც ყოველთვის არ აწყობდა კონტინენტზე ძალთა თანაფარდობის დარღვევა. მაგრამ თუკი ფრთხილი უოლპოლი იმით კმაყოფილდება, რომ ურჩევდა მარია ტერეზიას ტერიტორიული დათმობების მეშვეობით შეენარჩუნებინა გვირგვინი, „პატრიოტი ბიჭები" მას უშუალო სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდნენ. თავდაპირველად ინგლისი თავისი ფულით ჩაება ომში. მისმა სესხებმა საშუალება მისცეს მარია ტერეზიას დაეწყო საომარი მოქმედებები და ერთობ წარმატებით მოეგერიებინა ბავარიისა და პრუსიის შემოტევები. მაგრამ უოლპოლის გადადგომის შემდეგ, რომლის ფრთხილმა პოლიტიკამ დაკარგა როგორც პარლამენტის, ასევე მთავრობის მხარდაჭერა, ინგლისი უშუალოდ ჩაება სამხედრო მოქმედებებში.

საომარი მოქმედებები კონტინენტზე ინგლისისათვის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 1743 წ. დეტინგენთან გამარჯვებას ორი წლის შემდეგ დამარცხება მოყვა ფონტენუასთან ბრძოლაში. ამ დამარცხებას იაკობიტების ამბოხი და ჩარლზ ედუარდ სტიუარტის ჩამოსვლა მოყვა საფრანგეთიდან. მართალია პრეტენდენტი და მისი მომხრეები დამარცხდნენ, მაგრამ მთავრობამ მაინც გადაწყვიტა საომარი მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტა. ჩათვალეს, რომ არ ღირდა პროტესტანტული პრუსიის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ, როდესაც ინგლისს კათოლიკე პრეტენდენტი ემუქრებოდა. ამიტომ 1745 წ. ინგლისმა ცალმხრივი შეთანხმება დადო პრუსიასთან და შეწყვიტა საომარი მოქმედებები კონტინენტზე.

ომის შეწყვეტა ევროპაში სულაც არ ნიშნავდა ინგლისისათვის დაზავებას თავის მთავარ მეტოქესთან, საფრანგეთთან. სწორედ ზემოაღნიშნული ომის პერიოდში ინგლისს და საფრანგეთს შორის დაიწყო საომარი მოქმედებები, რომელთა მეშვეობით თითოეული მათგანი უკიდეგანოდ ამბიციური მიზნის, ფაქტიურად მსოფლიო ბატონობის მიღწევას ვარაუდობდა. ლაპარაკია ამ სახელმწიფოების მეტოქეობაზე მსოფლიოს სხვა კონტინენტებზე, აზიასა და ამერიკაში, რომლებიც XVIII ს. თავისი ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე ევროპული ქვეყნების კოლონიური ექსპანსიის ობიექტებად გადაიქცნენ.

ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობის უპირველეს ასპარეზად აზიაში ინდოეთი უნდა იქნას დასახელებული. ინდოეთი XVIII ს. წარმოადგენდა ინდოსტანის ვეებერთელა ნახევარკუნძულზე განლაგებულ მრავალრიცხოვან სახელმწიფოს, რომლებიც იმ დროისათვის ნომინალურად ემორჩილებოდნენ დიდ მოღოლთა დინასტიის ფადიშაჰებს, ერთ დროს ძლევამოსილი იმპერიის მბრძანებლები, რომლებიც ერთპიროვნულად განაგებდნენ მთელ ინდოსტანს, დიდი მოღოლები XVIII ს. ვეღარ აკონტროლებდნენ ვერც თავის ვეებერთელა იმპერიას და ვერც თავის გაძლიერებულ ქვეშევრდომებს. ეს უკანასკნელები კი სრულებით დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო მუდმივი ქიშპი და მეტოქეობა. სწორედ ამ მეტოქეობაზე ააგეს თავისი პოლიტიკა ინდოეთში ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც აზიის ამ რეგიონში ორი სავაჭრო გაერთიანებით, შესაბამისად ინგლისისა და საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიებით იყვნენ წარმოდგენილი.

ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული დაპირისპირება ინდოეთში დაიწყო მაშინ, როდესაც ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის წინააღმდეგ ჩაება ომში, რომელიც ავსტრიული მემკვიდრეობისათვის მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპანია სავაჭრო დაწესებულება იყო, მათ განკარგუ-

ლებაში იყო გარკვეული რაოდენობის სამხედრო შენაერთი, სადაც როგორც ევროპელები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები მსახურობდნენ, რომლებსაც სიფაჰებს[54] ეძახდნენ.

1744 წ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიწყო ომი ინდოეთში. რიცხობრივად ფრანგული კომპანიის საშხედრო შენაერთები სჭარბობდნენ ინგლისისას. რიცხობრივი უპირატესობის და მოხერხებული დიპლომატიური სვლების წყალობით (ფრანგებმა მიიმხრეს ზოგიერთი ინდოელი მთავარი) ფრანგულმა კომპანიამ მოახერხა ინგლისელების დამარცხება და განდევნა ისინი მადრასიდან, რომელიც ინგლისური კომპანიის მთავარი დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა სამხრეთ ინდოეთში. მაგრამ მალე ფრანგული კომპანიის მესვეურთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რამაც უარყოფითი გაკლენა იქონია მათ მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებზე. ამის წყალობით ინგლისელებმა შესძლეს დაკარგული პოზიციების აღდგენა. მათი მდგომარეობა ევროპაში ომის დასრულებამაც განამტკიცა.

1748 წ. ე-ლა-შაპელის ხელშეკრულებით საფრანგეთმა სცნო ინგლისელთა უფლებები და სამფლობელოები ინდოეთში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა მეტოქეობის დასასრულს. ინდოეთი, როგორც ძვირფასი ნედლეულის ბაზა ვერ დარჩებოდა ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს მიღმა. ინდოეთი ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა ამ ქვეყნების მზარდი ეკონომიკისათვის. ობიექტურად, ერთ-ერთი უნდა დაუფლებოდა მას, როგორც ნედლეულის ბაზას და საქონლის გასაღების ბაზარს, რათა ეს ვეება რეგიონი უფრო მჭიდროდ ჩაება მსოფლიოს ისტორიული განვითარების პროცესში. ასე რომ, ბრძოლა ინდოეთში გაბატონებისათვის მომავლისათვის გადაიდო.

საომარი მოქმედებები განახლდა 1751 წ. სწორედ ამ დროს ინდოეთში პირველად გაისმა რობერტ კლაივის სახელი. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ეს რიგითი მორხელე კომპანიისათვის მძიმე ჟამს სათავეში ჩაუდგა მის სამხედრო შენაერთებს და ყველასათვის მოულოდნელად არნახული სიმამაცე, ჟინი და სამხედრო მეთაურის უნარი გამოავლინა. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ კლაივის მეთაურობით მოპოვებული გამარჯვებების წყალობით ფრანგები უკუიქცნენ, ხოლო კარნატიკი, ინდოსტანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საამთავრო ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა.

ბრძოლა ინდოეთისათვის და შესაბამისად მსოფლიო ბატონობისათვის განახლდა ევროპაში ე.წ. შვიდწლიანი ომის დაწყებისთანავე. შვიდწლიან ომში (1756-1763 წწ.) ინგლისი პრუსიის მოკავშირე იყო. ეს ორი ქვეყანა ებრძოდა საფრანგეთს, ავსტრიასა და რუსეთს. ომში ინგლისის მონაწილეობა ერთობ თავისებურ ხასიათს ატარებდა. ევროპაში ინგლისი უმთავრესად ფულით იბრძოდა, უხვად აძლევდა რა სესხებს პრუსიის მეფეს ფრიდრიხ II, იმ დროის ცნობილ სარდალს. სწორედ ინგლისის ფულის წყალობით აგროვებდა და აიარაღებდა ფრიდრიხი თავის ჯარს, ამარცხებდა ფრანგებს და რუსებს. თუმცა ამ ნიჭიერ, მაგრამ სულსწრაფ სარდალს არც დამარცხება ასცდენია რუსებთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისის ესოდენ დიდი ზრუნვა პრუსიის მეფეზე აიხსნება ინგლისის მმართველი წრეების სწრაფვით, დაემარცხებინათ და საბოლოოდ ჩამოეშორებინათ საგარეო პოლიტიკური ასპარეზიდან თავისი მთავარი მეტოქე, საფრანგეთი.

ამ ინტერესების ურყევი მებაირახტრე იყო იმ დროის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი უილიამ პიტი, რომელმაც შემდგომში ჩატამის გრაფის წოდება მიიღო. იყო რა საგარეო საქმეთა და სამხედრო მინისტრი, იგი ფაქტიურად უძღვებოდა მთავრობის საქმიანობას და თავისი მჭერმეტყველების, ტემპერამენტის გამო არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა. მას უნარი შესწევდა აენთო და დაერაზმა როგორც პარლამენტი, ასევე მოსახლეობა და აემოქმედებინა საერთო მიზნის მისაღწევად. ეს საერთო მიზანი კი ინგლისის სავაჭრო ბატონობა იყო. „როდესაც სასწორზე ვაჭრობის ბედ-იღბალი დევს, თქვენ იგი უნდა ისევე დაიცვათ, როგორც უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდე, ან დაიღუპოთ“ — ამბობდა პიტი თავის გამოსვლებში.

პიტის ენერგიულობისა და გააზრებული მიდგომის წყალობით დამარცხებით დაწყებულ ომში წარმატების სასწორი თანდათან ინგლისისაკენ გადაიხარა. ჯერ იყო და ინგლისელებმა თავისი მოკავშირის, ჰანოვერის საამთავროს ჯარებთან ერთად დაამარცხეს ფრანგები მინდენთან ბრძოლაში, სადაც ამ უკანასკნელებს რიცხობრივი უპირატესობაც კი ჰქონდათ. ევროპაში ამ გამარჯვებას მოჰყვა ორი ძლევამოსილი საზღვაო ბრძოლა ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში. ინგლისელმა ადმირალებმა ბოსავენმა და ჰოოკმა სასტიკად დაამარცხეს ფრანგული ესკადრები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი იყო ადმირალ ჰოოკის გამარჯვება კიბერონის ყურეში,

[54] მონდობილობის თურქული სიტყვიდან სიფაჰი, რაც მეომარს ნიშნავს.

რომელმაც რთულ პირობებში, მეჩეჩებით გარშემორტყმულმა ღამით შეუტია ფრანგების ესკადრას და გაანადგურა იგი.

ტრიუმფს ევროპასა და ზღვაზე მოყვა გამარჯვება ამერიკაში. 1758 წ, ადმირალ ბოსავენის და გენერალ ამჰერსტის კომბინირებული დარტყმების შედეგად ინგლისელებმა ხელთ იგდეს მდინარე წმ. ლავრენტის შესართავში მდებარე პუნქტი ლუიბურგი, რომელიც ფრანგების მნიშვნელოვანი ამერიკული სამფლობელოს, კვებეკისაკენ მიმავალ გზას ხსნიდა. ერთი წლის შემდეგ კი ინგლისელებმა გენერალ ვულფის გაბედული და გონებამახვილი მანევრის წყალობით დაამარცხეს ფრანგთა ჯარი გენერალ მონკალმის სარდლობით კვებეკის მისადგომებიდან. ვულფი ამ ბრძოლის მიწურულს დაიღუპა, მაგრამ ინგლისელთა საბოლოო გამარჯვებას წინ უკვე ვერაფერი აღუდგებოდა. 1760 წ. ინგლისელებმა ფრანგების უკანასკნელი დასაყრდენი კანადაში, მონრეალი აიღეს. ამით ეს მხარე მთლიანად გადავიდა ბრიტანული გვირგვინის მფლობელობაში. ამრიგად ჩრდილოეთ ამერიკა, ესპანელების სამფლობელოების გარდა, ეს თავისებური ცივილიზაციური ყამირი, იმ დროიდან მოყოლებული ინგლისური სამყაროს თანამგზავრი გახდა და მისი სულისკვეთებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით განიმსჭვალა.

მაგრამ ინგლისისათვის შვიდწლიან ომში მოპოვებული წარმატებები მხოლოდ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებით არ შემოიფარგლა. ამ ორი ქვეყნის მეტოქეობის მომდევნო ასპარეზი კვლავ ინდოეთი იყო. თუკი ამერიკაში ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი სამეფო ხელისუფლება იყო, ანუ მისი სახელით მოქმედი პარლამენტი და მთავრობა, ინდოეთში პოლიტიკის გატარება როგორც უკვე ადრე ითქვა კერძო სავაჭრო დაწესებულებას, ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჰქონდა მინდობილი. აქ კომპანია თავისი სახსრებით, ჯარით და პოლიტიკური გეზით მოქმედებდა.

შვიდწლიანი ომის დასაწყისში ინგლისელების მდგომარეობა ინდოეთში და კერძოდ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამთავროში ბენგალიაში გართულდა. იქ პროფრანგულად განწყობილი მთავარი, ნაბაბი სურაჯ-უდ-დოულა მართავდა. ნაბაბს ინგლისელები უფრო სახიფათო მტრებად მიაჩნდა და ამიტომ ცდილობდა მათგან გამომავალი ხიფათი ფრანგების მხარდაჭერის მეშვეობით გაეწონასწორებინა. ფრანგულმა კომპანიამ მას სამხედრო ინსტრუქტორები მიაშველა და მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური დახმარებაც აღმოუჩინა. ამ დახმარებით დაიმედებულმა ნაბაბმა შეუტია ინგლისელებს და დაატოვებინა კალკუტა, მათი საყრდენი პუნქტი ბენგალიაში.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინგლისელთა საქმე საბოლოოდ განწირული იყო. მაგრამ ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა რობერტ კლაივი. ჩაუდგა რა სათავეში კომპანიის მცირერიცხოვან რაზმს (ათასი ინგლისელი ჯარისკაცი და ორი ათასი სიფაჰი) კლაივმა ჯერ მოხერხებული დიპლომატიური სვლებით განხეთქილება შეიტანა ნაბაბის ბანაკში და გადაიბირა მისი ჯარის სარდალი მირ ჯაფარი, ხოლო შემდეგ, 1757 წ, ივნისში უკუაქცია ნაბაბის მრავალრიცხოვანი ჯარი. მოგვიანებით დამარცხებული სურაჯ უდ-დოულა მოკლულ იქნა. ნაბაბის ტახტზე ინგლისელებმა მათი მორჩილი მირ ჯაფარი აიყვანეს, რომელიც მალე კომპანიის მარიონეტად იქცა. კლაივის ამ გაბედული ნაბიჯის შედეგად ბენგალია, აგრეთვე მისი მიმდებარე პროვინციები ბიჰარი და ორისა ფაქტიურად კომპანიის მფლობელობაში გადავიდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ბრიტანეთის ბატონობას ინდოეთში.

ინგლისელთა კოლონიური პოლიტიკა ინდოეთში ერთობ მოქნილ ხასიათს ატარებდა. კლაივმა, რომელმაც ჯერ კომპანიის გუბერნატორი გახდა, და შემდეგ კი ლორდთა პალატის წევრი, კურსი ე.წ. ირიბ მმართველობაზე აიღო. კომპანიამ ტახტები შეუნარჩუნა ადგილობრივ მმართველებს, რომლებსაც გადასახადების აკრეფა და შიდა ადმინისტრაციის განხორციელება ევალებოდათ. სანაცვლოდ კი ადგილობრივ მთავრებს გარანტირებული ჰქონდა ტახტი და გარე უსაფრთხოება.

ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობამ ჩრდილოეთ ინდოეთიდან სუბკონტინენტის სამხრეთში გადაინაცვლა. 1759-1761 წწ. ინგლისის ფლოტის შეტევამ ჩაშალა ფრანგების მცდელობა ხელში ჩაეგდოთ მადრასი; კლაივის განკარგულებით დაწყებულმა სამხედრო ოპერაციამ ინგლისელთა გავლენას სრულებით დაუქვემდებარა სამხრეთ ინდოეთის სამთავრო კარნატიკი; ხოლო ინგლისელთა მიერ ინდოსტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე გამაგრებული პუნქტის პონდიშერის აღებამ ბოლო მოუღო ფრანგების ყოველგვარ იმედს ინდოეთში ბატონობაზე.

ამრიგად ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანიის განკარგულებაში აღმოჩნდა ტერიტორია, რომლის მოსახლეობა ითვლიდა 25 მლნ. ადამიანს და ყოველწლიური შემოსავალი კი 40 მლნ. რუპიას. ამგვარმა სიტუაციამ გამოიწვია არნახული ძარცვა-გლეჯა და მითვისება. აღმოჩნდნენ რა ადგილობრივი დესპოტური ხელისუფლების პოლიტიკური მემკვიდრეები, კომპანიის მოხელეები, მესვეუ-

რები, და პირველ რიგში კლაივი მაშინვე დაადგნენ იმ ფინანსური ძალმომრეობისა და „ძღვნის“ ე.ი. ქრთამის მიღების გზას, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო აღმოსავლური დესპოტიებისათვის. ტრადიციულად გამოზომილი და მომჭირნე პურიტანების მემკვიდრეებს აურაცხელი სიმდიდრის დანახვისას აშკარად უმტყუნა ზომიერების გრძნობამ. კომპანიის მოხელეები ზღაპრულად გამდიდრდნენ. სწორედ იმ დროს შემოვიდა ხმარებაში სიტყვა „ნაბობი“, რომელიც „ნავაბის“ დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს და არნახულად მდიდარ ადამიანს ნიშნავს. ინგლისელთა სამხედრო ტრიუმფს ზღაპრული სიმდიდრე დაემატა.

მაგრამ პიტის ძლევამოსილი, ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა უსასრულო ვერ აღმოჩნდა. არნახული სამხედრო ხარჯები პიტის თანაპარტიელებისა და კაბინეტის წევრების უკმაყოფილებას იწვევდა. იმავე დროს პიტი მტკიცედ ახორციელებდა ომში აქტიური მონაწილეობის პოლიტიკას. ეს პირველ რიგში პრუსიისადმი დახმარების გაწევაში გამოიხატებოდა. მაგრამ ფრიდრიხ II წარმატებამ ზურგი შეაქცია. ამგვარ ფონზე პიტის უარი საფრანგეთის წინადადებაზე დაედო ზავი, სანაცვლოდ კი სრულად მიეღო დაპყრობილი მიწები, მაგრამ შეეწყვიტა პრუსიისათვის დახმარების აღმოჩენა მისთვისვე წამგებიანი აღმოჩნდა. პარლამენტმა და კაბინეტმა მხარი არ დაუჭირეს მის წინადადებას გაეაქტიურებინათ სამხედრო მოქმედებები. პიტი გადადგა, მას პრემიერ-მინისტრი ლორდი ნიუკასლი მიჰყვა. მთავრობას მეფის აღმზრდელი და ნება-სურვილის შემსრულებელი ლორდი ბიუტი ჩაუდგა სათავეში.

ბიუტი მშვიდობიანი პოლიტიკის მიმდევარი იყო და ამიტომ უმალ შეუდგა დაზავებისათვის მზადებას. 1763 წ. პარიზში ხელი მოაწერეს ზავს. ზავის თანახმად ინგლისმა დაიბრუნა კუნძული მინორკა ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს პრუსია და ჰანოვერის სამთავრო. ჩრდილოეთ ამერიკაში საფრანგეთმა ინგლისს დაუთმო კანადა, კუნძული კეიპ ბრეტონი, ვესტ-ინდოეთის რამოდენიმე კუნძული და უარი თქვა თავის პრეტენზიებზე, რომლებსაც აცხადებდა ალეგანის მთებსა და მდინარე მისისიპის შორის მდებარე დიდ ტერიტორიაზე. ესპანეთმა ინგლისს დაუთმო ფლორიდა და ინგლისელ მეწარმეებს ჰონდურასში ხე-ტყის დამუშავების უფლება მისცა.

ეს იყო ინგლისის სრული ტრიუმფი. ინგლისელებს თავისი ჯარი და ფლოტი უძლეველად მიაჩნდათ. „ჩვენ მგლის გული და ძერას თვალი გვაქვს“ — მღეროდნენ იმ ხანად შექმნილ პოპულარულ ხალხურ სიმღერაში და ამით მიანიშნებდნენ გენერალ ვულფის და ადმირალ ჰოოკის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე.[55] „ისე ხშირად ვიმარჯვებთ, რომ ყოველ დღე ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა მორიგი გამარჯვება არ გამოგვეპაროს“ — ხუმრობდა იმ დროის პოლიტიკოსი ჰორეიშო უოლპოლი. და მართლაც, ინგლისელები არნახულ ძალისხმევას ავლენდნენ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც კერძო-ინდივიდუალურ, ასევე სახელმწიფო მასშტაბით.

ვლაპარაკობთ რა კერძო — ინდივიდუალურ ინიციატივაზე ინგლისის კოლონიურ პოლიტიკაში, ვგულისხმობთ ოსტ-ინდოეთის კომპანიას და მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო საქმიანობას ინდოსტანის ნახევარკუნძულის უკიდეგანო სივრცეზე. XVIII ს. 70-იანი წლებიდან ბევრი რამ შეიცვალა კომპანიის საქმიანობასთან მიმართებაში. იყო რა კვლავ სააქციო საზოგადოება, კომპანია ამის წყალობით ინდოეთისადმი ინტერესს უღვივებდა მისი აქციების ყველა მფლობელს, რომელთა შორის ბევრი შეძლებული ადამიანი იყო.

კომპანიის მიღწევებმა და მის მიერ მოპოვებულმა სიმდიდრემ სურვილი აღუძრა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას კომპანია საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ. ასე რომ კომპანია თანდათანობით არა ვაჭართა და მეწარმეთა ჯგუფის, არამედ სახელმწიფო ინტერესების გამომხატველად გადაიქცა. სახელმწიფო კი იმხანად ძლევამოსილ საგარეო პოლიტიკას ატარებდა.

სწორედ ამგვარად მოქმედებდა კომპანიის გენერალ-გუბერნატორი უორენ ჰასტინგსი. მისი საგარეო პოლიტიკა, ე.ი. ურთიერთობა ინდოეთის სხვადასხვა სამთავროებთან გამოირჩეოდა იშვიათი გაბედულებითა და მოქნილობით. 1765-1767 წწ. მან ძლევამოსილად დაასრულა ორი ომი, რომლებსაც აწარმოებდა ძლიერი მარათჰული სამთავროების წინააღმდეგ.

კომპანიის პოზიციებს ინდოეთში ემუქრებოდა ინდოეთის სამხრეთში განლაგებული ძლიერი სახელმწიფო, მაისორი, მაგრამ ჰასტინგსმა დაამარცხა მაისორის სულთანი და უვნებელყო მისგან მომავალი საფრთხე. იმავე დროს ჰასტინგსი დახმარებას უწევდა სხვა ადგილობრივ მთავრებს, მაგ-

[55] ვულფი. Wolf — მგელი (ინგ.) ჰოოკ, Hawke — ძერა (ინგ.)

აუდისა და ბერარის მმართველებს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რათა ეს მთავრები თავის მოკავშირეებად გაეხადა.

ჰასტინგსის პოლიტიკურმა კურსმა გაამართლა, კომპანიამ მნიშვნელოვანი მიწები შემოიერთა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ოსტ-ინდოეთის გენერალ-გუბერნატორად 13 წლის (1772-1785 წწ.) მანძილზე ყოფნის დროს დაიწყო ბრიტანეთის ინდური იმპერიის ჩამოყალიბება.

მაგრამ ინგლისის ეს საგარეო პოლიტიკური ტრიუმფი მუდმივი და უწყვეტი არ იყო. XVIII ს. 70-იან წლებში ინგლისის წარმატებული სვლა დამუხრუჭდა ჩრდილოეთ ამერიკაში დაწყებული მოვლენების გამო. ლაპარაკია დამოუკიდებლობისათვის ომზე, რომელმაც ინგლისის ჩრდილო ამერიკულ კოლონიებში იფეთქა, და რომელსაც შედეგად მოყვა ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. ინგლისის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის ნამდვილად უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში. იგი სცდება საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის დამახასიათებელ ფარგლებს და უფრო ფართო განხილვის ღირსია.

ეს ომი მკაფიოდ წარმოჩდება როგორც ისტორიული განვითარების პროცესში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დემონსტრაცია. ინგლისის მთელი ისტორიული განვითარების გზამ, მისთვის ესოდენ დამახასიათებელი ლტოლვით თავისუფლების დანერგვისაკენ თავის ლოგიკურ შედეგს მიაღწია ამ ომში. ახალ სამყაროში პირველი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელმაც რესპუბლიკის ფორმა მიიღო.

ამავე დროს ეს მოვლენა თავისებურია იმითაც, რომ დაპირისპირება მოხდა პრაქტიკულად ერთი ეროვნების ხალხს შორის. ამ ხალხის ის ნაწილი, რომელსაც დაქვემდებარებული, დამოკიდებული მდგომარეობა ეკავა თავისი ე.წ. „უფროსი თანამოძმეების" მიმართ, მათგან სრული გამოცალკევების მოთხოვნით გამოვიდა.

რას წარმოადგენდნენ ინგლისის ჩრდილო ამერიკული კოლონიები XVIII ს.? 1713 წ. უტრეჰტში დადებული ზავით, რომლითაც დასრულდა ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის ინგლისი ჩრდილოეთ ამერიკაში ფლობდა ჰადსონის ყურის გარშემო მდებარე მიწებს, ნიუფაუნდლენდს, ნოვა სკოტიას და ატლანტის ოკეანის სანაპირო ზოლზე მდებარე ახალშენების ჯგუფს, რომლებიც გადაჭიმული იყო ჩრდილოეთში მეინიდან და სამხრეთში კაროლინამდე. სანაპირო ზოლის გასწვრივ მდებარე ახალშენების რიცხვი 13 აღწევდა. ესენი იყვნენ: მასაჩუსეტსი, ნიუ-ჰემპშირი, როდ-აილენდი, კონექტიკუტი, ნიუ-იორკი, პენსილვანია, დელავერი, ნიუ-ჯერსი, მერილენდი, ვირჯინია, ჩრდ.კაროლინა, სამხ.კაროლინა, ჯორჯია.

ეს კოლონიები მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული ინგლისზე, პირველ რიგში, მათი უსაფრთხოების თვალსაზრისით. საფრთხე ორგვარი იყო. ახალმოშენეებს უპირისპირდებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები, ინდიელები. მაგრამ თუკი კოლონისტებს ინდიელებთან თავისით უხდებოდათ გამკლავება და ისინი ამას ახერხებდნენ კიდეც, საფრანგეთის სამფლობელოებიდან მომავალი საფრთხის უვნებელყოფა ინგლისის ხელისუფლების მოვალეობა იყო. ფრანგები მუდმივად ცდილობდნენ ინგლისელი კოლონისტების შევიწროვებას და ინგლისიც რასაკვირველია ყოველნაირად იცავდა თავის სამფლობელოებს და ხშირად თავად გადადიოდა შეტევაზე, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები. ფრანგების წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში სამეფო ჯართან ერთად ინგლისელი კოლონისტებიც მონაწილეობდნენ. მაგ. შვიდწლიან ომში გენერალ ამპერსტის შენაერთების მხარდამხარ ინგლისელ კოლონისტების ლაშქარიც იბრძოდა, რომელსაც ვირჯინიელი პლანტატორი ჯორჯ ვაშინგტონი მეთაურობდა. ვაშინგტონის შენაერთმა ფრანგების გამაგრებული პუნქტის, ფორტ დიუკენის აღებაც კი მოახერხა.

ამერიკაში მდებარე ფრანგულ და ინგლისურ ახალშენებს შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. ფრანგული ახალშენები კანადაში ძირითადად ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანებისაგან შედგებოდა. ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ობიექტს ბეწვეული წარმოადგენდა. ამიტომაც ფრანგებს მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ინდიელებთან, რომლებიც მათ ბეწვეულით ამარაგებდნენ. ფრანგებისაგან განსხვავებით ინგლისელი კოლონისტების ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. კოლონიების მოსახლეობის ზრდასთან ერთად კოლონისტები განუხრელად ზრდიდნენ თავის სავარგულებს, რაც სხვანაირად ვერ მოხდებოდა, თუ არა ინდიელთა მიწების მიტაცების ხარჯზე. ამის გამო ინგლისელ კოლონისტებსა და ინდიელთა ტომებს შორის ერთობ დაძაბული და საერთოდ მტრული ურთიერთობა იყო.

რაც შეეხება ინგლისური კოლონიების მოსახლეობის რიცხვს, იგი განუხრელად იზრდებოდა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს ფრანგული კოლონიების მოსახლეობასთან შედარებისას. XVII ს. კანადის ფრანგული მოსახლეობა 3 ათას კაცს ითვლიდა, ხოლო ინგლისის კოლონიებში 35 ათასი ადამიანი იყო. ასი წლის შემდეგ ამ ციფრებმა შესაბამისად 80 ათასს და 2 მილიონს მიაღწიეს. მიზეზი უბრალო იყო. საფრანგეთის მოსახლეობა ფეოდალური სისტემის უღელქვეშ იმყოფებოდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გლეხობა, მიწაზე იყო მიჯაჭვული, მაშინ როცა წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასულ ინგლისში იგივე სოფლის მოსახლეობა გაცილებით მეტი სოციალური თუ ფიზიკური მობილურობით სარგებლობდა.

ინგლისური კოლონიების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგებოდა ადამიანებისაგან, რომლებმაც ახალ კონტინენტზე რელიგიური თავისუფლება ჰპოვეს. რელიგიური მიმდინარეობების სიჭრელე (კალვინისტი-პურიტანები, კათოლიკეები, ანგლიკანები, ლუთერანები, კვაკერები, ბაპტისტები) პირობებს ქმნიდა რელიგიური შემწყნარებლობისათვის. ამ დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ადამიანების მიერ შექმნილი მარტივი პოლიტიკური დაწესებულებებიც შესაბამისი ხასიათის იყო. თითოეული კოლონია იმართებოდა მთელი მისი მოსახლეობის მიერ არჩეული საბჭოს მეშვეობით. ზოგიერთ კოლონიაში საბჭოს გუბერნატორი ნიშნავდა. თავის მხრივ გუბერნატორი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული ან სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნული. ერთი სიტყვით, თავისუფლება და დემოკრატიულობა თავიდანვე თან დაყვებოდა ინგლისური კოლონიების მოსახლეობის ცნობიერებასა და ყოფას.

შვიდწლიანი ომის შედეგებმა ფრთები შეასხეს ინგლისის კოლონიების მოსახლეობას. ფრანგული საფრთხე სამუდამოდ იქნა თავიდან მოცილებული. ფრანგების მხარდაჭერის გარეშე კი ინდიელებიც ვერ გაბედავდნენ მათ ხშირად შეწუხებას. კოლონისტების წინაშე, რომლებიც მნიშვნელოვნად გამდიდრდნენ მეფის არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების ხარჯზე, კანადის ტერიტორიაზე ახალი მიწების მოპოვების პერსპექტივა იშლებოდა.

მაგრამ ომს თან ხარჯებიც მოყვებოდა. ეს ხარჯები კი მხოლოდ დიდი ბრიტანეთის გადასახდელი იყო. კოლონიებს არ სურდათ ამ ხარჯების დაფარვა. ომის დასასრულს ინგლისის სახელმწიფო ვალმა 148 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია.[56] ბრიტანელ პოლიტიკოსებს გული მოსდიოდათ „უმადურ" კოლონისტებზე, რომლებიც სარგებლობდნენ „დედა ინგლისის" მფარველობით, სანაცვლოდ კი არაფერს იძლეოდნენ.

ვეება ტერიტორიაზე გაფანტული მოსახლეობის მოხერხებულად დაბეგვრისათვის პარლამენტმა დააწესა ე.წ. სააქციზო გადასახადი. ამის საფუძველზე ნებისმიერი სახის ბეჭდვითი ნაწარმის ყიდვა-გაყიდვა იურიდიული დოკუმენტით დაწყებული და ბანქოს სათამაშო ქაღალდით დამთავრებული აკრძალული იყო მასზე დაკრული სპეციალური მარკის გარეშე.

სწორედ ამ აქციზური მარკის გაყიდვის მეშვეობით ინგლისის მთავრობა ვარაუდობდა ამერიკიდან ყოველწლიურად ბიუჯეტში 60 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღებას. ინგლისელ პოლიტიკოსებს და საზოგადო მოღვაწეებს მტკიცედ სწამდათ ამ ნაბიჯის სისწორის. ფინანსთა მინისტრი ლორდი ტაუნშენდი თვლიდა, რომ ინგლისის „ამერიკელი შვილები" არ იტყვიან უარს ამ უნიშვნელო თანხაზე, რომელიც ინგლისის მიერ გაწეული ზრუნვისა და ამაგის მცირე საზღაურს წარმოადგენს. მაგრამ იყვნენ უფრო აგრესიულად განწყობილი ადამიანები. ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი სემიუელ ჯონსონი ამბობდა, რომ ამერიკელები ბოროტმოქმედთა რასაა, რომლებიც ყველაფერს ინგლისს უნდა უმადლოდნენ.

სარგებელი არც ისეთი ცალმხრივი იყო, როგორც ამას ინგლისელი პოლიტიკოსები ხატავდნენ. XVIII ს. პირველი ნახევრის მანძილზე ინგლისის ექსპორტი მის ამერიკულ კოლონიებში 12-ჯერ გაიზარდა და 4,2 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია. იმპორტი კი კოლონიებიდან ინგლისში გაიზარდა მხოლოდ 3-ჯერ და 1,3 მლნ. გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ფაქტიურად ინგლისი ამუხრუჭებდა კოლონიების მრეწველობის განვითარებას, ცდილობდა მათი ნედლეულის ბაზად და ბრიტანული საქონლის გასაღების ბაზრად გადაქცევას. გარდა ამისა დიდი ბრიტანეთი უზღუდავდა კოლონიებს მათი საქონლის გასაღების ბაზარსაც. კოლონიებს აკრძალული ჰქონდა თავისი საქონელი ბრიტანეთს გარდა სხვა ქვეყნებში გაეყიდათ, თუნდაც ეს მათთვის წამგებიანი ყოფილიყოს. ამრიგად, მეტროპოლიაც ვალში იყო თავისი კოლონიების წინაშე.

---

[56] XVIII ს. 1 გირვანქა სტერლინგი ულრიდა დაახლოებით თანამედროვე 50 აშშ დოლარს.

სწორედ ამიტომ გადაწყვეტილებამ აქციზური გადასახადების შემოღების შესახებ კოლონიების მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია. საპროტესტო მოძრაობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ბრიტანეთის პარლამენტმა არ მოახდინა ამ კანონპროექტის დამტკიცება. სანაცვლოდ მიღებულ იქნა კანონი რომლითაც იბეგრებოდა ინგლისიდან კოლონიებში ჩატანილი უამრავი საქონელი, მაგ. ჩაი, მინა, ქაღალდი, საღებავი.

კოლონისტები ამ გადაწყვეტილებასაც აღშფოთებით შეხვდნენ. ორივე შემთხვევაში ამის მიზეზი მკაფიო და ცალსახა იყო. კოლონისტებს არ სურდათ დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ შემოღებული გადასახადების გადახდა, რადგანაც თვითონ ამ პარლამენტში არ იყვნენ წარმოდგენილი. „არავითარი დაბეგვრა წარმომადგენლობის გარეშე!" — ასეთი იყო კოლონიების მაცხოვრებლების ურყევი მოთხოვნა.

კოლონიები ერთგულებას ეფიცებოდნენ გვირგვინს, თავს მეფის მორჩილ მსახურებად აცხადებდნენ მაგრამ ერთი პირობით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო მათი უფლებების შელახვა. „მე ვერვინ მაქცევს მონად. მე სრული უფლება მაქვს ვისარგებლო ინგლისის კონსტიტუციით მონიჭებული თავისუფლებებით და უფლებებით!" — საჯაროდ განაცხადა საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთმა თავკაცმა, მდიდარმა ბოსტონელმა ვაჭარმა ჯონ ჰენკოკმა. ბოსტონის მოქალაქეებმა მიმართვა გაუგზავნეს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას რომელშიაც განაცხადეს, რომ ერთადერთი მეფე, რომელსაც ისინი ემორჩილებიან, არის უფალი იესო ქრისტე. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კოლონიების მოსახლეობა კვლავ ერთგული იყო პურიტანების რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპების, რომლებიც რელიგიურ საბურველში იყო გახვეული.

ამ პროტესტის საპასუხოდ ინგლისის პოლიტიკური კურსი კოლონიებისადმი სულ უფრო მკაცრი ხდებოდა. პარლამენტში ზოგჯერ გაისმოდა მოწოდებები გაეტარებინათ უფრო გააზრებული პოლიტიკა, კერძოდ, კოლონისტები არ დაებეგრათ მათი თანხმობის გარეშე. ამგვარი მოწოდებებით გამოდიოდნენ ლორდთა პალატაში გრაფი ჩატამი (უილიამ პიტი) და თემთა პალატაში ედმუნდ ბერკი, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ლორდმა ნორტმა, რომელიც 1770 წ. ჩაუდგა სათავეში მთავრობას შუალედური ნაბიჯი გადადგა, გააუქმა ყველა გადასახადი ჩაის ბეგარის გარდა.

მაგრამ თავისუფლებისმოყვარე კოლონისტების პოზიცია ურყევი იყო. ისინი განაგრძობდნენ ინგლისიდან შემოტანილი საქონლის ბოიკოტს. ამ ბოიკოტმა თავის ზენიტს მიაღწია 1774 წ. ბოსტონში მომხდარ მოვლენაში. ბოსტონელებმა ოკეანეში გადაყარეს ჩაის დიდი მარაგი, რომელიც ინგლისური გემების მიერ იყო შემოტანილი ქალაქის ნავსადგურში. ამ აქტმა, რომელიც „ბოსტონის ჩაის სმის" სახელით შემორჩა ისტორიას ბიძგი მისცა მეტროპოლიასა და კოლონიას შორის უშუალო განხეთქილებას. „ბოსტონის ჩაის სმით" გააფთრებულმა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დახურა ქალაქის ნავსადგური, გააუქმა კოლონია მასაჩუსეტსის ყველა პრივილეგია და ფაქტიურად დაუქვემდებარა იგი მეტროპოლიის უშუალო მმართველობას.

ამან და კიდევ სხვა აქციებმა, რომლებიც ინგლისის მთავრობამ ჩაატარა მასაჩუსეტსის და ზოგიერთი სხვა კოლონიის წინააღმდეგ დაარწმუნა ადგილობრივი მოსახლეობა, რომ ინგლისი კიდევ უფრო მეტ რისხვას დაატეხდა თავის ამერიკულ კოლონიებს. ამიტომ მასაჩუსეტსის მოსახლეობამ დაიწყო ტყვია-წამლისა და იარაღის შეგროვება. შეიქმნა მილიცია (სახალხო ლაშქარი). 1775 წ. აპრილში კი დაიწყო საომარი მოქმედებები სახალხო ლაშქარსა და ამერიკაში გამოგზავნილ ბრიტანულ ჯარს შორის. საომარი მოქმედებები, რომლებიც მიმდინარეობდა 1775-1783 წწ. ცნობილია როგორც ინგლისის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის.

ომის დასაწყისში ამერიკელების მდგომარეობა ერთობ არასახარბიელო იყო. მათი თავდადებითა და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი სახალხო ლაშქარი უნდა შერკინებოდა ბრიტანეთის რეგულარულ ჯარს, რომელსაც სათავეში პროფესიონალი ოფიცრები და გენერლები ედნენ. და თუკი პირველ შეტაკებებში (ლექსინგტონთან, ბანკერ ჰილთან) ამერიკელებმა სწორედ თავდადებისა და ინდივიდუალური გაწაფულობის ხარჯზე გაიმარჯვეს, მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. ინგლისის რეგულარული ჯარის უპირატესობამ თავისი გაიტანა. გამოცდილებასა და დისციპლინას მოკლებული კოლონისტების ლაშქარი რიგ ბრძოლებში დამარცხდა.

ამ კრიტიკულ მომენტში გადამწყვეტი როლი შეასრულა კოლონისტების სამხედრო მეთაურის ჯორჯ ვაშინგტონის სიმტკიცემ და სამხედრო—ორგანიზატორულმა ნიჭმა. ეს მდიდარი ვირჯინიელი პლანტატორი, რომელიც შვიდწლიან ომში ინგლისელების მხარდამხარ იბრძოდა ფრანგების

წინააღმდეგ 1775 წ. ფილადელფიაში შეკრებილმა კონტინენტალურმა კონგრესმა კოლონისტების ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნა, ვაშინგტონის დაუღლავი მეცადინეობის წყალობით არაორგანიზებული, ცუდად მომარაგებული კოლონისტების ლაშქარი თანდათანობით უდრეკ რეგულარულ ჯარად იქცა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა ისეთმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა როგორიც იყო 1776 წ. 4 ივლისს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება. დეკლარაცია, რომლის ავტორი იყო იმ დროის ცნობილი განმანათლებელი და პოლტიკური მოღვაწე, ვირჯინიელი პლანტატორი თომას ჯეფერსონი კატეგორიულად უარყოფდა ინგლისის უზენაესობას. იგი მიიჩნევდა, რომ კოლონიური მმართველობა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის განუყოფელ უფლებებს. ასეთებად მიჩნეული იყო: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. აღსანიშნავია, რომ ჰუმანისტმა ჯეფერსონმა დეკლარაციაში შეიტანა დებულება ზანგების მონობის გაუქმების შესახებ, მაგრამ ეს დებულება უარყოფილ იქნა კონგრესის დელეგატების მიერ. დეკლარაციამ ინგლისის 13 კოლონია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებად გამოაცხადა.

ამ ღონისძიებებმა ერთ მუშტად შეკრეს ახალგაზრდა სახელმწიფო. 1777 წ. ამერიკელებმა დაამარცხეს ინგლისის ჯარი სარატოგასთან. ამერიკის დიპლომატიის მოხერხებული სვლების წყალობით, კერძოდ, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბენჯამინ ფრანკლინის პარიზში წარმატებული მისიის შედეგად ამ ომში საფრანგეთი ჩაება ამერიკელების მხარეზე. ამან გააუმჯობესა შტატების მდგომარეობა. 1781 წ. ინგლისის ჯარი დანებდა გაერთიანებულ ამერიკულ–ფრანგულ ძალებს იორკტაუნთან. ამ დამარცხებამ აიძულა ინგლისი დაეწყო საზავო მოლაპარაკება. 1783 წ. ვერსალში დაიდო ზავი, რომლითაც ინგლისმა სცნო ამერიკის შეერთებული შტატები როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ომის პროცესში ინგლისს არა მარტო ამერიკელი კოლონისტების ლაშქართან, არამედ თავის ტრადიციულ მეტოქეებთან, საფრანგეთთან და ესპანეთთან მოუხდა ბრძოლა. ინგლისის საგარეო პოლიტიკურ მარცხად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისმა დიპლომატიამ ვერ მოახერხა ამ ორი ქვეყნის ნეიტრალიზაცია.

წარუმატებლობა განიცადა ინგლისის პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებაშიც. ინგლისის მთავრობამ ვერ შესძლო რუსეთში ჯარის დაქირავება, რომელსაც იგი გააგზავნიდა აჯანყებული ამერიკელების წინააღმდეგ. ეკატერინე II ჯორჯ III ამ თხოვნას უარით უპასუხა. უშედეგო გამოდგა ინგლისის მთავრობის თხოვნა, რათა გამოცხადებულიყო საფრანგეთისა და ესპანეთის ნავსადგურების ბლოკადა, რომელიც უნდა დაეცვათ ნეიტრალურ ქვეყნებს. პასუხად ეკატერინე II შესთავაზა ნეიტრალურ ქვეყნებს ე.წ. შეიარაღებული ნეიტრალიტეტის დეკლარაცია, რომელიც სთავაზობდა ნეიტრალურ ქვეყნებს იარაღის მეშვეობით დაეცვათ თავისი ზღვაოსნობა. შეიქმნა ე.წ. შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, რომელმაც გააერთიანა, რუსეთი, შვეცია, დანია და ჰოლანდია. ამის გამო მოგვიანებით ინგლისსა და ჰოლანდიას შორის ომიც კი დაიწყო.

ინგლისის ომი თავისი ამერიკული კოლონიების წინააღმდეგ ამ უკანასნელთა გამარჯვებით დამთავრდა. შეიქმნა ახალი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკული კოლონიების დაკარგვამ არ გაანელა ინგლისელთა ლტოლვა ახალი სამფლობელოების შეძენისაკენ. უფრო მეტიც, ადგილი ჰქონდა თავისებურ გადახრას აღმოსავლეთისაკენ. ეს ჯერ ავსტრალიის და მისი მიმდებარე ტერიტორიების დალაშქვრაში გამოიხატა და საუკუნის მიწურულს კი ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ახალი მიწების დაპყრობაში.

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის შესწავლა-გამოკვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ინგლისელმა ზღვაოსნებმა, კაპიტანმა უოლისმა და კაპიტანმა კუკმა. სწორედ ამ ზღვაოსნების და განსაკუთრებით კუკის დამსახურება იყო ის, რომ მათი მოგზაურობების შემდეგ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XVIII ს. 60-70-იან წლებში, ინგლისელები დაიძრნენ დედამიწის ამ რეგიონისაკენ.

1788 წ. ავსტრალიას პირველი ინგლისელები ეწვივნენ. ესენი ინგლისიდან გადასახლებული პატიმრები იყვნენ, რომლებსაც სასჯელი ავსტრალიაში უნდა მოეხადათ. ჩასვლისთანავე გემის კაპიტანმა დამოძღვრა და დალოცა ახლადჩასულები, უსურვა მათ გამოსწორება, რადგან მისივე თქმით ახალ მიწაზე მოსაპარიც კი არაფერი იყო. პატიმრებს სახაზინო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ისინი სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებოდნენ.

1793 წ. უკვე ნამდვილი ახალმოშენეები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ ინგლისელი ფერმერები. თითოეულ მათგანს 60-80 აკრი[57] მიწა ეძლეოდა. 1797 წ. ავსტრალიაში კი პირველი მეცხვარეები გამოჩნდნენ. იქიდან მოყოლებული ავსტრალიის მოსახლეობაში ორი კლასი ჩამოყალიბდა: წვრილი მიწათმფლობელებისა და შეძლებული მეცხვარეების.

ინგლისის ამერიკული კოლონიების ომმა დამოუკიდებლობისათვის, რომლის დროსაც თავისუფლების მებაირახტრე ინგლისი თავად გამოვიდა ამ თავისუფლების დამთრგუნველისა და ჩამხშობის როლში აჩვენა, რომ ინგლისიც კი, რომელიც აქამდე დემოკრატიის ავანგარდში იყო, საჭიროებდა პოლიტიკური სისტემის გარკვეულ გადახალისებას. გაბატონებულ პოზიციაზე მყოფი მიწათმფლობელები და კორუმპირებულ საარჩევნო სისტემაზე აგებული პარლამენტი ვეღარ უწყობდა ფეხს დროის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდა ცვლილებებს. იგრძნობოდა გარდაქმნების ჩატარების აუცილებლობა. მაგრამ ამგვარი პოლიტიკური გუნება-განწყობა უკუგდებულ იქნა გარეშე მოვლენით. ეს იყო საფრანგეთის რევოლუცია.

რევოლუცია, რომელმაც საფრანგეთში იფეთქა მთელს ევროპაში და მათ შორის ინგლისში ჰპოვა ფართო გამოხმაურება. მისი დაწყების სიმბოლური აქტი, ბასტილიის დაცემა 1789 წ. 14 ივლისს, კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა აღიქვა როგორც ახალი ეპოქის დასაწყისი. მეზობელი ქვეყნებიდან სპეციალურად ჩადიოდნენ საფრანგეთში, რათა როგორც თვითონ ამბობდნენ „დასწრებოდნენ დესპოტიზმის დასაფლავებას“.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ინგლისი წარმოადგენდა. ვიგების ლიდერი ჩარლზ ფოქსი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დემოკრატი უილიამ უილბერფორსი, რომანტიკული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები უილიამ უორდსუორტი და ჩარლზ გრეი აღტაცებით შეხვდნენ რევოლუციას. ლონდონში შეიქმნა დემოკრატიული საზოგადოებები, რომლებმაც საპარლამენტო რეფორმის გატარება დაისახეს მიზნად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნები იყვნენ ლონდონის საკორესპონდენტო საზოგადოება და ხალხის მეგობართა საზოგადოება. რევოლუციას მიესალმა ტორის ლიდერი უმცროსი უილიამ პიტიც. იგი ვარაუდობდა, რომ საფრანგეთის რევოლუცია ინგლისის დიად რევოლუციას დაემსგავსებოდა და საფრანგეთიც ინგლისის მსგავსად კონსტიტუციურ მონარქიად გარდაიქმნებოდა.

მაგრამ მოგვიანებით ინგლისელი პოლიტიკოსების პოზიცია შეიცვალა. რევოლუციურმა საფრანგეთმა მონარქიული, კერძოდ ლუი XIV დროინდელი აგრესიულობა შეიძინა, რევოლუციურ ეიფორიაში მყოფი ფრანგი პოლიტიკოსები ახლა რევოლუციის ევროპის მასშტაბით გავრცელებას აპირებდნენ. მათი რწმენით ძმობის, ერთობის და თავისუფლების იდეებს ყველა ხალხი უნდა ზიარებოდა.

რასაკვირველია ამ განყენებულ ლოზუნგებს მიღმა რეალური მიზნებიც იდგა. რევოლუციის მეშვეობით ხელისუფლების სათავეში მოსულ ბურჟუაზიას ახალი ბაზრების თუ ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდება სურდა. თავის მხრივ არც ევროპელი მონარქები თვლემდნენ. მათ გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით ჩაეხშოთ რევოლუცია და სრულად აღედგინათ ლუი XVI თავის უფლებებში. რევოლუციურმა საფრანგეთმა დაასწრო მათ და 1792 წ. აპრილში თავად გამოუცხადა ომი ავსტრიას, რომელსაც იმავე წელს შეუერთდნენ პრუსია და სარდინიის სამეფო. რევოლუციური საფრანგეთი კოალიციური ინტერვენციის საფრთხის წინაშე დადგა.

ძალების მობილიზაცია და კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლა საგანგებო ღონისძიებების მეშვეობით მოხდა, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტერორი. 1792 წ. აგვისტოში დამხობილ იქნა მონარქია და გამოცხადდა რესპუბლიკა. 1792 წ. სექტემბერში პარიზს სისხლიანი ტერორის პირველმა ტალღამ გადაუარა. 1793 წ. იანვარში კი ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს მეფე ლუი XVI. მეფის სიკვდილით დასჯამ ერთბაშად დაამსხვრია ინგლისში საფრანგეთის რევოლუციის მომხრეთა ენთუზიაზმი. ედმუნდ ბერკი რევოლუციის კრიტიკით გამოვიდა თავის პამფლეტში. უამრავმა, ხშირად ექსტრავაგანტურმა სიახლემ შეაძრწუნა ინგლისელები, რომლებიც არსებული ტრადიციებისა და ფასეულობების ერთგულები დარჩნენ. ხოლო უმცროსი პიტი კი, რომელმაც რევოლუციის დასაწყისში განაცხადა რომ „სულ მალე საფრანგეთი უბრწყინვალეს სახელმწიფოდ გადაიქცევა“, საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის სულისჩამდგმელი გახდა.

---

[57] 1 აკრი=0,4 ჰა

აქედან მოყოლებული ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთადერთ და უმთავრეს ამოცანად საფრანგეთთან ბრძოლა და მისი დამარცხება გახდა. მას შემდეგ რაც 1793 წ. ოებერვალში ინგლისი ჩაება საფრანგეთთან ომში მან ზედიზედ შექმნა რამოდენიმე კოალიცია სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოს მონაწილეობით. ინგლისის ფულით უხვად მომარაგებული კოალიციები ხმელეთზე ებრძოდნენ საფრანგეთს, ხოლო ინგლისი მონაცვლეობით მონაწილეობდა ანტიფრანგულ სამხედრო მოქმედებებში ზღვაზე და ხმელეთზე.

მაგრამ პირველი კოალიციიდან მოყოლებული გამოჩნდა, რომ პიტმა და მისმა მოკავშირეებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს მტერი. რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ფრანგი ხალხის ცნობიერება. თავისუფლებისა და თანასწორობის იდეამ შვა არნახული დონის რევოლუციური პატრიოტიზმი. ფრანგმა ხალხმა თავისი თავი სახელმწიფოსთან და რევოლუციასთან გააიგივა. სამშობლოსა და რევოლუციის დასაცავად წარმოებული ომი საერთო სახალხო საქმედ იქცა. მასობრივი გაწვევის პრინციპებზე აგებული ფრანგული ჯარი, რომელსაც ხალხის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდა მეთაურები სარდლობდნენ უძლეველ ძალად იქცა. 1793 წ. ფრანგებმა დაამარცხეს ინგლისელები ჰოლანდიაში და განდევნეს ისინი ამ ქვეყნიდან. 1794-1796 წწ. ინგლისის საექსპედიციო კორპუსები დამარცხებულ იქნენ ფრანგების მიერ ვესტ-ინდოეთში. არაკომპეტენტური სამხედრო მინისტრის ჰენრი დანდასის ეს ავანტიურა, ხელში ჩაეგდო იქაური ფრანგული კოლონიები, ინგლისს 40 ათას ჯარისკაცად დაუჯდა. 1795 წლისთვის ფრანგებმა დაამარცხეს და გამოოიშეს კოალიციიდან პრუსია და ესპანეთი. კოალიციას მხოლოდ რუსეთი, ავსტრია და სარდინიის სამეფო შემორჩა.

სწორედ ამ კოალიციური ომების გარიჟრაჟზე პირველად გაისმა მანამდე ყველასათვის უცნობი კორსიკული წარმოშობის ფრანგი ოფიცრის ნაპოლეონ ბონაპარტის სახელი. ამ ახალგაზრდა არტილერისტის, 24 წლის კაპიტნის ოსტატური და გაბედული სარდლობის წყალობით 1793 წ. რევოლუციური ჯარის შენაერთებმა იერიშით აიღეს ქალაქი ტულონი, რომელიც კონტრრევოლუციონერებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. ამ უკანასკნელებს კი ზურგს ინგლისის ფლოტი უმაგრებდა. ამ წარმატებისთვის 24 წლის კაპიტანს პრიგადის გენერლის წოდება მიენიჭა. გავიდა სამი წელი და ჯერ გენერალი ბონაპარტი, შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული ნაპოლეონ ბონაპარტი, ხოლო 1804 წლიდან მოყლებული 1815 წლამდე ფრანგთა იმპერატორი ნაპოლეონ I იქცა ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთავარ საზრუნავად. 1796-1815 წწ. ინგლისის საგარეო პოლიტიკას ნაპოლეონი განაპირობებდა.

1797 წ. ინგლისის მთავარი საზრუნავი ბრიტანეთის კუნძულების ფრანგული აგრესიისაგან დაცვა იყო. მხოლოდ ძლიერმა ქარიშხალმა შეუშალა ხელი ფრანგებს თავისი ჯარი გადაესხათ ირლანდიაში. მდგომარეობა გაართულა ინგლისის ფლოტში დაწყებულმა ამბოხმა, რომელიც გამოწვეული იყო ცუდი კვებით, დაბალი ანაზღაურებით და რიგითი მეზღვაურებისადმი სასტიკი, არაადამიანური მოპყრობით. მაგრამ ეს სირთულე დაძლეულ იქნა. ფლოტში წესრიგში იქნა აღდგენილი.

1797 წ. ინგლისელებმა ჯერ ატლანტის ოკეანეში, სენ-ვინსენტის კონცხთან დაამარცხეს ესპანეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის ზღვაში კამპერდაუნთან ჰოლანდიის ფლოტი. აღსანიშნავია, რომ პირველ გამარჯვებაში ლომის წილი ეკუთვნოდა ადმირალ ჯერვისის თანაშემწეს, ახალგაზრდა ზღვაოსანს ჰორეიშო ნელსონს, რომელმაც მოგვიანებით თავისი გამარჯვებებით უკვდავყო საკუთარი სახელი.

შიში საფრანგეთის წინაშე საუკუნის მიწურულს გადაიქცა ირლანდიის მიმართ მკაცრი და შეიძლება ითქვას სასტიკი პოლიტიკის გატარების მიზეზად. სტიუარტების დაცემიდან მოყოლებული ირლანდია ინგლისელების უსაზღვრო სიძულვილისა და შურისძიების ობიექტი გახდა. პროტესტანტ ინგლისელებს ვერ ეპატიებინათ კათოლიკე ირლანდიელებისათვის ის, რომ ეს უკანასკნელნი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ კათოლიკე ჯეიმს II სტიუარტის. დამხობილი მეფე კონტინენტზე გაიქცა. ირლანდიელები კი გამარჯვებული ინგლისელების პირისპირ აღმოჩნდნენ.

იქიდან მოყოლებული ირლანდიაში დაიწყო ირლანდიელების სასტიკი დევნისა და შევიწროვების ხანა. კათოლიკე ირლანდიელები თავისავე სამშობლოში მეორეხარისხოვან ადამიანებად იქცნენ. ისინი ყოველგვარ უფლებას იყვნენ მოკლებული და მათი საქმიანობის სფერო ტყის მჭრელობასა ან თულუხჩობას არ სცდებოდა. რელიგიურ და ეროვნულ ჩაგვრას თან სდევდა ეკონომიკური შევიწროვება. ინგლისი ყოველნაირად ცდილობდა დაემუხრუჭებინა ირლანდიის ეკონომიკური განვითარება და ეს ქვეყანა მეტროპოლიისათვის რესურსების მიმწოდებელ დანამატად ექცია. დამოკიდე-

ბულება ირლანდიელი კათოლიკეებისადმი იმდენად არაადამიანური იყო, რომ ჯონათან სვიფტმა მთელი თავისი მწარე, სისასტიკის საბურველში გახვეული იუმორი არ დაიშურა, რათა როგორმე გაელვიძებინა პროტესტანტულ საზოგადოებაში ოდნავი თანაგრძნობა კათოლიკე ირლანდიელების მიმართ.

კათოლიკეების დისკრიმინაციაში განსაკუთრებით თავი გამოიდეს ადგილობრივმა პროტესტანტებმა, ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტების შთამომავლებმა. სწორედ მათი ზეწოლის შედეგად 1782 წ. ირლანდიის პარლამენტს საკანონმდებლო და საფინანსო დამოუკიდებლობა მიენიჭა. ეს იყო გარკვეული თვითმმართველობა. თითქოსდა კათოლიკეების მდგომარეობა შემსუბუქდა. 1794 წ. უილიამ პიტის ინიციატივით მათ სამხედრო თანამდებობების დაკავების და ხმის მიცემის უფლება მიენიჭა.

ეს ნაბიჯები ეროვნული და სარწმუნოებრივი შერიგების გარკვეულ იმედებს იძლეოდა. მაგრამ რევოლუციური საფრანგეთის მცდელობამ, გამოეყენებინა ირლანდია ანტიინგლისური ბრძოლის პლაცდარმად კვლავ ცუდი სამსახური გაუწია ირლანდიელებს. ფრანგული აგრესიის საფრთხემ გააგულისა პროტესტანტები, გაამწვავა რელიგიური ურთიერთობა. პროტესტანტებმა კათოლიკეების წინააღმდეგ ტერორს მიმართეს, რასაც 1798 წ. კათოლიკეების აჯანყება მოყვა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ლონდონში მიიღეს გადაწყვეტილება ირლანდია უშუალო მმართველობისათვის დაექვემდებარებინათ. ეს გადაწყვეტილება დაკანონდა სპეციალური კანონით კავშირის (უნიის) შესახებ, რომელიც 1800 წ. გამოიცა.

თუკი ევროპაში ბრიტანეთს ხშირად უხდებოდა საფრანგეთიდან გამომავალი ხიფათის წინაშე დადგომა, აზიასა და სამხრეთის ნახევარსფეროში მისი მდგომარეობა კვლავ მტკიცე და ურყევი იყო. სწორედ XVIII ს. 90-იან წლებში ბრიტანეთმა ხელთ იგდო კეთილი იმედის კონცხი, კუნძული ცეილონი, საქვეყნოდ ცნობილ სანელებლების კუნძულები და კუნძული იავა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ინგლისელებმა მაინც ინდოეთში მოიპოვეს.

ინდოეთში გატარებული პოლიტიკა ასევე მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული საფრანგეთთან მეტოქეობასთან. იწყებდა რა თავის აღმოსავლურ ლაშქრობას, ნაპოლეონი ვარაუდობდა აემხედრებინა ინგლისელთა წინააღმდეგ სპარსეთი, ავღანეთი და ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთში მდებარე ძლიერი ადგილობრივი სახელმწიფო, მაისორის სასულთნო.

ოსტ–ინდოეთის ინგლისური კომპანიის მესვეურები ძრწოდნენ ამგვარი გეგმების სავარაუდო განხორციელების წინაშე. იმავე დროს კომპანიის გენერალ-გუბერნატორს, ლორდ რიჩარდ უელსლის არ ასვენებდა შიში რუსეთის ახლო და შუა აღმოსავლეთში შესაძლო ექსპანსიის გამო. უელსლის აზრით რუსეთის ექსპანსიის შეჩერება შესაძლებელი იყო ამიერკავკასიაში სპარსეთის პოზიციების გაძლიერებით, კერძოდ ამ ქვეყნისათვის საქართველოს მაქსიმალური დაქვემდებარებით. მაგრამ უელსლის გეგმები მთავრობის გეგმებს დაუპირისპირდა, ლონდონში რუსეთზე მეტად ნაპოლეონის ეშინოდათ, ამიტომ უელსლის გეგმები საქართველოს მიმართ არ განხორციელდა.

ნაპოლეონის ლაშქრობის საბოლოო წარუმატებლობა არ ხსნიდა დღის წესრიგიდან ოსტ–ინდოეთის კომპანიის წინაშე არსებულ პრობლემებს. მაისორის სულთანი თიფუ ერთობ აგრესიულად იყო განწყობილი ინგლისელთა წინააღმდეგ. მას მიმოწერაც კი ჰქონდა ნაპოლეონთან, რომელშიც ეს უკანასკნელი აქეზებდა თიფუს ინგლისელების წინააღმდეგ და დახმარებასაც პირდებოდა. ეს მიმოწერა ხელში ჩაუვარდა ინგლისელებს. სწორედ ამან უბიძგა ლორდ უელსლის დაეჩქარებინა სამხედრო მოქმედებების დაწყება მაისორის წინააღმდეგ. გადამწყვეტ ომში თიფუ სულთანი დამარცხდა და ბრძოლაში დაეცა. მაისორი ინგლისელთა კონტროლს დაექვემდებარა, რამაც კომპანია უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად აქცია ინდოეთში.

XVIII ს. საგარეო პოლიტიკაში მოპოვებულმა წარმატებებმა ინგლისი საუკუნის ბოლოს უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. ბრიტანეთის კუნძულების მასშტაბით ჩატარებულმა აქციებმა ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია ერთ სახელმწიფოდ შეკრეს, რამაც საფუძველი დაუდო დიდი ბრიტანეთის ცნებას, რაც კუნძულოვანი ხალხის ცნობიერებას მეტ რიხს და მედიდურობას მატებდა. XVIII ს. დიდი ბრიტანეთი ჩამოყალიბდა, როგორც უძლეველი საზღვაო სახელმწიფო, პირველხარისხოვანი სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტით. ფლოტი, „ბრიტანეთის ეს ხის კედლები“, არა მარტო ქვეყნის დაცვის, არამედ ბევრი ომის, განსაკუთრებით კოლონიებში წარმოებული სამხედრო მოქმედებებში მოპოვებული წარმატების საწინდარი იყო. ეს განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობას ეხება ინდოეთსა და ამერიკაში. მტრის საზღვაო კომუნიკაციების მოშლა,

მეტროპოლიიდან კოლონიებში სამხედრო გადაზიდვების შებორკვა თუ საერთოდ ჩაშლა — აი ინგლისელთა ფრანგებზე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი იარაღი.

რიგი ბრწყინვალე გამარჯვების ფონზე დიდმა ბრიტანეთმა განიცადა ასევე დიდი სამხედრო მარცხი და ტერიტორიული დანაკარგი. მას ჩამოსცილდა აჯანყებული 13 კოლონია რომლებმაც შექმნეს ახალი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები. იმ პერიოდის გადასახედიდან ეს რასაკვირველია იყო მარცხი და დანაკარგი. მარცხი ჯორჯ III-სა, რომელმაც ვერ დაიმორჩილა აჯანყებული ქვეშევრდომები. პრემიერ-მინისტრების; ლორ ბიუტისა და ლორდ ნორტის მარცხი, რომლებმაც ვერ გაატარეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დიდ ბრიტანეთს 13 ამერიკულ კოლონიას შეუნარჩუნებდა.

მაგრამ მსოფლიო ისტორიის გადასახედიდან ეს მოვლენა უნდა მიჩნეული იყოს, როგორც ინგლისის, მის მიერ წარმოჩენილი თავისუფლების პრინციპების, ინგლისური ინდივიდუალიზმის გამარჯვება. ლტოლვა თავისუფლებისაკენ, მისი თავგამოდებული დაცვა და მაქსიმალური, მაგრამ ამავე დროს გააზრებული ინდივიდუალიზმი (გავიხსენოთ თუნდაც კოლონისტების მოთხოვნა, „არავითარი დაბეგვრა წარმომადგენლობის გარეშე"), ყველა ამ ცნებამ, რომელიც ინგლისურმა სამყარომ შვა, ოკეანის გაღმა, ახალი ბუნებრივი და სოციალური გარემოს პირობებში, ინგლისელი ახალმოშენეების, პირველ რიგში დისიდენტ-პურიტანების ცნობიერებაში კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე და შეუვალობა შეიძინა.

სწორედ ამ ცნობიერებამ და სამყაროს ამგვარმა ხედვამ მისცა დასაბამი ხარისხობრივად ახალ სახელმწიფოს. ინგლისი, მისი პოლიტიკური და ზნეობრივი პრინციპები თავისებურ აკვნად იქცნენ მომავალი ამერიკული სახელმწიფოსათვის. ინგლისმა დაკარგა დაქვემდებარებული მიწები და ხალხი, მაგრამ შესძინა მსოფლიოს ახალი სახელმწიფო.

სიახლე მხოლოდ ახალი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შექმნით არ შემოიფარგლა. სიახლეები თავად ახალ სახელმწიფოს შიგნით იყო. ომმა დამოუკიდებლობისათვის სიახლე შესძინა სამხედრო საქმეს. გამოუცდელი მოხალისეებისაგან შემდგარმა კოლონისტების ჯარმა ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით მიუხედავად ურთულესი პირობებისა საბოლოოდ მაინც დაამარცხა ინგლისის ჯარი, რომელიც დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა და რომელსაც პროფესიონალი გენერლები სარდლობდნენ. ეს იყო ნათელი დემონსტრაცია იმისა, თუ რა სძალუძს საკუთარი თავისუფლების დასაცავად გამოსულ ხალხს.

ადამიანთა კეთილდღეობა, რომელიც აქამდე ერთობ ბუნდოვნად გაიაზრებოდა, მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. დეკლარაციამ წარმოაჩინა ინდივიდის კეთილდღეობის თავისებური ქვაკუთხედი, რომლის შეუვალობა განაპირობებდა ადამიანის კეთილდღეობას.

თუკი დასავლეთის ნახევარსფეროში ინგლისმა ბიძგი მისცა ახალი სახელმწიფოს წარმოშობას, აღმოსავლეთის ნახევარსფეროში მისი კოლონიური პოლიტიკის წყალობით მოხდა არანაკლები თუ არა უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ ინდოსტანის ნახევარკუნძულის დაპყრობა წარმოადგენდა ისტორიულად იმ ერთადერთ, გარდაუვალ და კანონზომიერ გზას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა ურთიერთშეხება.

დაპყრობა და კოლონიური პოლიტიკა ხორციელდებოდნენ უხეში ძალის გამოყენებით, ინგლისი ურიცხვი რაოდენობით ეზიდებოდა ინდოეთიდან (ისევე როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნიდან) მისი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულს თუ სხვა სიმდიდრეს, მაგრამ ცივილიზაციათა აბსოლუტური განსხვავების გამო იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო მათი სხვა სახით თანაარსებობა. მსოფლიო—ისტორიულ პროცესს კი მთლიანობა და ცივილიზაციათა დაახლოება სჭირდებოდა. ინგლისის მსოფლიო—ისტორიული როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ისტორიული განვითარების ერთიან პროცესში ჩააბა ინდოეთი, რაც მანამდე ვერ შესძლო დასავლეთის ვერც ერთმა ქვეყანამ.

ინგლისის კულტურა XVIII ს.

XVIII ს. ინგლისის ისტორიაში აღსავსე იყო არა მარტო მრავალრიცხოვანი სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიახლით, მნიშვნელოვანი წარმატებებით საგარეო თუ კოლონიურ პოლიტიკაში. ეს საუკუნე წარმოსდგება ასევე როგორც მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი კულ-

ტურული მიღწევების ხანა, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს არა მარტო ინგლისის, არამედ ევროპის კონტინენტის სულიერ განვითარებაშიც.

ინგლისის სულიერ ცხოვრებაში ეს იყო უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური ბრწყინვალეების ხანა, რომლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას გონების ბატონობა წარმოადგენდა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო ადამიანის ურყევი რწმენა გონების ყოვლისშემძლეობაში. ადამიანებს სწამდათ, რომ გონების მეშვეობით შეიძლება ნებისმიერი იმ კანონის ამოხსნა, რომლითაც ბუნება თუ საზოგადოება იმართება. ამგვარი იდეებით გაჟღენთილი იყო ლიტერატურა, ხელოვნება და ეკონომიკური თეორიები.

ადამიანების წარმოდგენაში სამყარო წარმოსდგებოდა როგორც ერთგვარი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოიყვანა კაცობრიობის მიმართ კეთილგანწყობილმა ღვთაებრივმა ძალამ. ამგვარად, თუკი ეს ე.წ. „მექანიზმი" ერთხელ უკვე მოძრაობაში იყო მოყვანილი, საჭირო იყო მხოლოდ მისი „მუშაობის" პრინციპების გაგება და მართვა. ამის წყალობით კი კაცობრიობა უდრტვინველი ცხოვრებით იცხოვრებდა და გონიერებას მინდობილი, მიაღწევდა საყოველთაო კეთილდღეობას.

ამრიგად, სამყაროს და ადამიანის არსის საფუძველს ჰარმონია წარმოადგენდა. ასეთი იყო ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლების ლორდ შეფტსბერის და ლორდ ბოლინგბროკის ურყევი რწმენა. მათი აზრით ადამიანის ბუნება სიკეთისაკენ ილტვოდა. ამგვარი კეთილი ბუნების ბედნიერების მისაღწევ იარაღად გადაქცევა მათი აზრით შეიძლებოდა განათლების მეშვეობით. განათლება მაშინ ყოვლისშემძლე საშუალებად მიაჩნდათ. განათლებული, ცრურწმენებისაგან თავისუფალი საზოგადოება, რომელსაც სათავეში განათლებული, ფილოსოფიურად მოაზროვნე მონარქი ჩაუდგებოდა ლორდ ბოლინგბროკის აზრით საზოგადოებრივი ცხოვრების ეტალონს წარმოადგენდა. ამ იდეების გამო მათ მატარებლებს განმანათლებლები ეწოდათ.

ამგვარი იდილიური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი მოწინავე მოაზროვნეების თეორიები, რომლებიც გაბატონებულები იყვნენ XVIII ს. ინგლისის საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეს თავისებურ თვითკმაყოფილებას ბადებდა. XVII ს. თავისი რევოლუციებით და პოლიტიკური ვნებათაღელვით წარსულს ჩაბარდა. სტიუარტების აბსოლუტიზმის აღდგენის მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა. კონსტიტუციური მონარქია ძალას იკრებდა. ამიტომ მოსახლეობის ზედა და საშუალო ფენების ცნობიერებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ისინი სამყაროთა შორის საუკეთესოში ცხოვრობდნენ.

ამ თავისებურმა ეიფორიამ გამოიწვია ასოციაციები იმპერიული ხანის ძველი რომის ბრწყინვალებასთან. მწერლები პარალელს ატარებდნენ თავიანთ თანადროულობასა და იმპერატორ ავგუსტუსის ზეობას შორის, ბაძავდნენ იმ დროის შედევრებს, რის გამოც XVIII ს. ინგლისურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „აუგუსტიანური". სწორედ ამიტომ კლასიკური მწერლობის აღორძინების მიზნით მწერლები თუ პოეტები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი ნაწარმოებები, სადაც ვნებიანი და ფეთქებადი სულის ნაცვლად ბატონობდა პენი და სიდიადე.

აღნიშნული მიმართულების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი იყო პოეტი ალექსანდერ პოუპი (1688-1744 წწ.). მისი მოღვაწეობა ერთობ ფართო მასშტაბისა იყო და მოიცავდა ლიტერატურულ კრიტიკას, სოციალურ სატირას, პოეზიას. შემოქმედების ამ სფეროებიდან აღსანიშნავია მისი დიდაქტიკური, დახვეწილი პოეზია, რომელშიაც სრულად არის წარმოჩენილი მისი დროის ესთეთიკური თუ ინტელექტუალური ინტერესები (ესეები კრიტიკისა და ადამიანის შესახებ). ასევე გროტესკულ-გმირული ხასიათის ნაწარმოები „კულულის მოტაცება", რომელიც ინგლისურ ენაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის საუკეთესოდ ითვლება ამ ჟანრში.

პოუპის ნეოკლასიკურ პოეზიასთან ერთად XVIII ს. პირველ ნახევარში გაიფურჩქნა ლიტერატურის ისეთი მიმართულება, როგორიც არის სატირა. ეს იმ დროის დიდი სატირიკოსის ჯონათან სვიფტის (1667-1743 წწ) დამსახურებაა, რომელიც ბრძნულად ჩასწვდა პოლიტიკური პარტიებისა თუ პოლიტიკოსების გამუდმებული მეტოქეობის და ქიშპის არსს, ფარდა ახადა მათ ნამდვილ მამოძრავებელ ძალას — ვიწრო, ჯგუფურ თუ პირად ეგოიზმს, გამორჩენისადმი ლტოლვას, რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით ინილბებოდნენ. მისი ნიჭის და სამწერლო პოპულარობის გამო სვიფტი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველა მიმართულების პოლიტიკოსსა თუ ჟურნალისტს შორის, რომლებიც ცდილობდნენ მასთან დაახლოებას. მაგრამ სიმართლის მძებნელი სვიფტი ვერც ვიგებს და ვერც ტორებს ვერ ურიგდებოდა და თავი ყველასთან ამაყად და დამოუკიდებლად ეჭირა. მისი „გულივერის მოგზაურობა" ეს არის XVIII ს. ინგლისის

პოლიტიკური ცხოვრების და პოლიტიკოსების დაუნდობელი კრიტიკა, რომელიც ალეგორიული ფორმით არის გადმოცემული.

საინტერესოა დენიელ დეფოს (1659-1731 წწ.) შემოქმედება. მან ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო როგორც სატირიკოსმა. თავის პამფლეტებში იგი აკრიტიკებდა ოფიციალურ ანგლიკანურ ეკლესიას მისი რელიგიური შეუწყნარებლობის გამო (დეფო ნონკონფორმისტი გახლდათ). ამისათვის იგი დააპატიმრეს და მიუსაჯეს სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. პასუხად დეფომ გამოსცა „ჰიმნი სამარცხვინო ბოძს", რომელშიც ხოტბა შეასხა სიმართლეს და სიმარილისათვის ტანჯვას. პამფლეტი იმდენად პოპულარული იყო, რომ ბოძზე გაკრული დეფო ხალხმა ყვავილებით შეამკო. მოგვიანებით ხელისუფლებამ იგი ციხიდან გამოუშვა და დაიახლოვა კიდეც, რადგან დეფო ციხეშიც არ წყვეტდა კრიტიკული წერილების წერას.

მაგრამ დეფოს საქვეყნოდ სახელი გაუოქვეს მისმა რომანებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი". ეს ნაწარმოები ეპოქის გაბატონებული იდეის, გონების ყოვლისშემძლეობის სულისკვეთებით არის განმსჭვალული. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ნაწარმოების მთავარი გმირი, რობინზონ კრუზო და ამის წყალობით ნებისმიერ, ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი გამარჯვებული გამოდის. კრუზოს ურთიერთობა რომანის მეორე პერსონაჟთან, მის მიერ პარასკევად მონათლულ ველურთან არის ფერადკანიანი ადამიანების ცივილიზების მაგალითი, რომლის საფუძვლად კვლავ განმანათლებლობის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი გონების ყოვლისშემძლეობა გვევლინება.

კრუზოს სახით მწერალმა კონკრეტული საზოგადოებრივი ფენა, ვაჭართა კლასი წარმოაჩინა და განადიდა, როგორც შრომის, გარჯისა და დოვლათის შექმნის სიმბოლო.

თავის სხვა ნაწარმოებში „სამაგალითო ინგლისელი ჯენტლმენი", გამოხატავდა რა გაბატონებულ საზოგადოებრივ ფასეულობებს დეფო წერდა: „ვაჭრობა არათუ არ არის უცხო, არამედ პირიქით, ინგლისში ვაჭრობა აყალიბებს ჯენტლმენს. ვაჭართა შვილები და მით უფრო შვილიშვილები წარმოსდგებიან როგორც ნამდვილი ჯენტლმენები, მოღვაწეობენ პარლამენტში, არიან მოსამართლეები, ეპისკოპოსები, დიდი მოხელეები, ისევე, როგორც დიდგვაროვანთა შვილები". ამგვარად, XVIII ს. ინგლისის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჯენტლმენობა, ე.ი. კეთილშობილება მტკიცედ იყო გაიგივებული სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობასთან და სიმდიდრის დაგროვების პროცესთან.

კონსტიტუციური მონარქიის შემდგომი განვითარება და პოლიტიკური თავისუფლების შედარებითი გაფართოება ხელს უწყობდა ახალი პერიოდული გამოცემების გამოჩენას. პერიოდული გამოცემები ორგვარ ამოცანას ასრულებდნენ; ერთ მხრივ ისინი ამძაფრებდნენ პოლიტიკურ სატირას, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობდნენ ლიტერატურული სტილის განვითარებას და პოლიტიკური მჭერმეტყველების ჩამოყალიბებას. ამით იყო გამოწვეული XVIII ს. დასაწყისში ორი პოპულარული ჟურნალის გამოსვლა. ესენი იყვნენ „ტატლერი" და „სპექტეიტორი"[58], რომლებსაც გამოსცემდნენ რიჩარდ სტილი და ჯოზეფ ადისონი. ჟურნალები მოუთხრობდნენ მკითხველს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი საკითხის შესახებ. ინფორმაცია მიწოდებული იყო იმ დროისათვის მეტად პოპულარული ფორმით — მეგობართა წრეში გამართული საუბრის მეშვეობით. ლონდონელ მასპინძელთან თავს იყრიდნენ მემამულე, ვაჭარი, კაპიტანი და სტუდენტი—იურისტი, რომლებიც საუბრობდნენ პოლიტიკაზე, თეატრზე და ა.შ. ჟურნალები ფართოდ გავრცელდა ინგლისში. ლონდონში ყველა განათლებული ადამიანი დილით ჩაიზე აუცილებლად უნდა გასცნობოდა „სპექტეიტორს"

ახალი ნაბიჯები გადაიდგა ინგლისური რომანის განვითარების გზაზე. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ჰენრი ფილდინგის (1707-1754 წწ.) რომანი „ტომ ჯონსი", თავისი ჩამოყალიბებულად დახატული გმირებით და გაწონასწორებული შინაარსით. საშუალო ფენების ცხოვრება, მათი გატაცებებითა და ფასეულობებით გადმოცემული იყო სემიუელ რიჩარდსონის რომანებში „პამელა" და „კლარისა", რომლებიც დაწერილი იყო იმ დროისათვის პოპულარულ სენტიმენტალური რომანის ფორმაში.

XVIII ს. შუახანები ინგლისურ ლიტერატურაში აღინიშნა სემიუელ ჯონსონის ბატონობით. ჯონსონის პოპულარობა განპირობებული იყო იმით, რომ იგი იცავდა არსებულ ტრადიციებს საეკლესიო სისტემაში, სახელმწიფო სისტემასა და განათლების სფეროში. იგი შორს იყო პოლიტიკური კონიუნქტურისაგან და ფარისევლობისაგან. ესოდენ დიდი პოპულარობა ჯონსონმა მოიპოვა არა

[58] The Tatler; The Spectator. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ყბედს და მაყურებელს.

თავისი ნაწარმოებით „ინგლისელ პოეტთა ცხოვრება“, არამედ თავის მეგობრის და მუდმივი თანმხლები პირის, ჯეიმს ბოსუელის ნაწარმოებით — „სემიუელ ჯონსონის ცხოვრება“. ამ ნაწარმოებში ჯონსონთან საუბრის სახით წარმოჩენილია ამ უკანასკნელის შეხედულებები და იდეები.

ჯონსონის იდეებმა ბიძგი მისცა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. პოეტებმა ნელ-ნელა დაიწყეს ავგუსტიანური ხანის პოეზიის გადასინჯვა. მძიმე ავგუსტიანური ფორმების გვერდით გამოჩნდა განსხვავებული სახის ლექსები. შემოღობვები სოფლად, გლეხების მიწიდან აყრა, მათი სავარგულების გაპარტახება, ეს კანონზომიერი, მაგრამ მტკივნეული პროცესები არ გამორჩენია ოლივერ გოლდსმიტს (1728-1774 წწ.) რომელიც თავის „მიტოვებულ სოფელში“ მისტირის ოდესღაც ხვავითა და ბარაქით აღსავსე გაპარტახებულ სოფლებს. უილიამ კოუპერის (1731-1800 წწ.) ლექსებში გამოჩნდა პირადი და რელიგიური მოტივები.

საუკუნის მიწურული ინგლისურ პოეზიაში ორი მნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებით აღნიშნა. რობერტ ბერნსი (1759-1796 წწ.) ბუნების ლაღი შვილი, რომლის პოეზია ისევე თავისუფალი იყო ყოველგვარი, მითუმეტეს ავგუსტიანური ეპოქის ნორმებისაგან და ამავე დროს ისეთივე კოხტა და უბრალო სილამაზით აღსავსე, როგორც მისი მშობელი შოტლანდიის მთიანეთი. წრფელი სიყვარული, დროსტარება თანამოძმეთა წრეში, ოჯახის, მთიანეთის ამ ქვაკუთხედის მიმზიდველი ძალა, აი ის სამყარო, რომელშიც ბრუნავს ბერნსის სიცოცხლით სავსე პოეტური ენერგია.

ამ ლაღ და ბობოქარ ფონზე სულ სხვანაირად ჩანდა იდუმალებით შეპყრობილი უილიამ ბლეიკი (1757-1827 წწ.). ისევე როგორც ბერნსი, ისიც არც ერთ სკოლასა და მიმდინარეობას არ ეკუთვნოდა. უარყოფდა რა ნეოკლასიკოსების მწყობრ ფორმებს და გონების კულტს, ბლეიკი თავის ცნობიერების მიერ შექმნილ ზმანებისა და სიმბოლოების სამყაროში ბრუნავდა. მაგრამ ამასთან ერთად ბლეიკს შეეძლო იდუმალისა და იდეალურისაკენ სწრაფვის მეშვეობით ჩასწვდომოდა იმ მკაცრ რეალობას, რომელიც თანდათანობით იქმნებოდა მის გარშემო. სამრეწველო გადატრიალებამ შეცვალა ბუნება, ყოფა და ხალხიც. ძველი, იდილიური ყოფის და პეიზაჟების ნაცვლად, რომლებსაც ბლეიკი აღთქმულ მიწასთან აიგივებდა, გაოგნებულ ადამიანებს შავი, გაჭვარტლული, ჯოჯოხეთური ფაბრიკა-ქარხნები შერჩათ ხელში. მაგრამ ბლეიკი არ ყრის ფარ-ხმალს და თავს მარადიული სილამაზის ერთგულ რაინდად აცხადებს.

საინტერესოა განათლების სისტემის მდგომარეობა იმ პირობებში, როცა გამოცხადებული იყო გონების ყოვლისშემძლეობა. ღარიბი მოსახლეობა მოწყვეტილი იყო განათლებას. წვრილ ვაჭრებს და ხელოსნებს შეეძლოთ მიეღოთ დაწყებითი განათლება, რომლის ქსელი XVIII ს. საკმაოდ გაფართოვდა ქველმოქმედების გავრცელების წყალობით. ამის შედეგად იმატა განათლებული ადამიანების რიცხვმა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გაზრდის აუცილებლობა. ამავე დროს არსებობს მოსაზრება, რომ საუკუნის დასაწყისში საუნივერსიტეტო სისტემა არ გამოირჩეოდა აქტიური შემოქმედებით, რადგანაც ჯენტრის უმაღლესი განათლება ხელისშემშლელად მიაჩნდა იმ ყაიდის ცხოვრებისათვის, რომელსაც ის მისდევდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა რიგ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ჰენრი კავენდიშმა აღმოაჩინა წყლის შემადგენელი ელემენტები. ჯოზეფ პრისტლიმ ლინზების თვისებები დაახასიათა. ედუარდ ჯენერმა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა გამოიგონა.

იზრდებოდა ბიბლიოთეკების და სამეცნიერო, კერძოდ ფილოსოფიური საზოგადოებების რიცხვი, რომლებიც პრაქტიკულად ინგლისის ყველა ქალაქში არსებობდნენ.

1800 წ. დაარსდა სამეფო ინსტიტუტი, რომელმაც ძველი სამეფო საზოგადოების პარალელურად გააგრძელა მუშაობა. ამ ორი სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობამ ხელი შეუწყო მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ადამ სმიტის მიერ ახალი ეკონომიკური მოძღვრების ჩამოყალიბება. თავის ნაშრომში „გამოკვლევა სახელმწიფოთა სიმდიდრის შესახებ“ (1776 წ.) სმიტმა წამოაყენა აზრი, რომ თავისუფალ საზოგადოებაში ინდივიდები, რომელთაც პირადი ინტერესი ამოძრავებს შექმნიან მაღალგანვითარებულ ეკონომიკას. ამის საწინდარი კვლავ გონების ყოვლისშემძლეობა, განვითარების ბუნებრივი კანონების არ დარღვევა და ვაჭრობა-მეწარმეობაში ხელისუფლების ჩაურევლობა იყო.

სმიტმა გააკრიტიკა ყოველგვარი შეზღუდვა, რომელიც ფეოდალიზმის ხანაში თან ახლდა წარმოებას და გამოვიდა მეწარმეობის სრული თავისუფლების მებაირახტრედ. სმიტი გამოვიდა ნების-

მიერი შეზღუდვის წინააღმდეგ, რომელიც დაამუხრუჭებდა მრეწველობასა და ვაჭრობას. აანალიზებდა რა მზარდი ინგლისური კაპიტალიზმის მოთხოვნებს, რომელიც მნიშვნელოვანწილად ვითარდებოდა შემოტანილ ნედლეულზე (მაგ. ამერიკასა და ოსტ-ინდოეთიდან შემოტანილ ბამბაზე), სმიტი ანვითარებდა იდეას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც სრული ინტენსიურობით უნდა განვითარებულიყო საზოგადოების გამდიდრებისათვის. ამგვარად, სმიტმა გააცამტვერა ძველი, მერკანტილისტური შეხედულება, რომლის მიხედვით ქვეყნის სიმდიდრე მისი ძვირფასი ლითონების რეზერვებით განისაზღვრებოდა. სმიტის დებულებების მიხედვით ოქრო (ფული) ისეთივე საქონელი იყო, როგორც სხვა ნებისმიერი ნაწარმი და გამდიდრება არა მის შენახვა-დაგროვებას, არამედ მის მაქსიმალურად ინტენსიურ ბრუნვას მოყვებოდა. ეს იყო მოსაზრება, რომელიც ახლადშექმნილი წარმოების, ვაჭრობის და შრომის ბაზრის არსს ხსნიდა. ეს ბაზარი უკვე მსოფლიო მასშტაბს აღარებდა, შრომამ და წარმოებამ ინტერნაციონალური ხასიათი მიიღეს. ოსტ-ინდოეთში მოკრეფილ ბამბას ინგლისელი მუშები ქსოვილად აქცევდნენ, რომელსაც შემდეგ ევროპის კონტინენტის მაცხოვრებლები მოიხმარდნენ.

ორიგინალური მოსაზრებები გამოითქვა ფილოსოფიაში. თუკი ნიუტონისა და ლოკის თეორიებზე დაყრდნობით განმანათლებლებმა ჰარმონიის და კეთილდღეობის პერსპექტივები დასახეს, უილიამ მანდევილმა სასტიკად გააკრიტიკა ამგვარი მოსაზრება და პროგრესის წყაროდ წინააღმდეგობები და საერთოდ, უარყოფითი მოვლენები დაინახა. საყოველთაო სიკეთე და შემწყნარებლობა მისი აზრით ე.წ. „ოქროს ხანას" ჩაბარდა, როდესაც ადამიანი პრიმიტიული გულუბრყვილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი თქმით თანამედროვე საზოგადოების სიმდიდრე და ძლიერება უხეშ ძალაზე და ხშირად უზნეო მომენტებზე იყო დამყარებული.

სკეპტიკურ შეხედულებას საზოგადოების ჰარმონიული განვითარების შესახებ გამოთქვავდა აგრეთვე ფილოსოფოსი და ისტორიკოსი დეივიდ ჰიუმი (1711-1776 წწ.). მან სახელმწიფოებრივ სისტემაში დაინახა არა ჰარმონიულობა, არამედ საზოგადოების უშუალო დაინტერესება ხელისუფლების ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის არსებობაში, რომელსაც ამ საზოგადოების წევრებისათვის რაღაც გარკვეული სიკეთე მოაქვს.

მნიშვნელოვანი წვლილი ფილოსოფიური და საისტორიო მეცნიერების განვითარებაში შეიტანა ადამ ფერგიუსონმა (1720-1800 წწ.). თავის ნაშრომში „ადამიანთა საზოგადოების ისტორიის გამოკვლევა" მან წარმოაჩინა კაცობრიობის ისტორია არა მხოლოდ როგორც ცალკეულ მოვლენათა თანამიმდევრობა, არამედ განიხილა ეს მოვლენები როგორც ადამიანების, ცალკეული ინდივიდების ქმედების, სულიერი მისწრაფებების, გუნება-განწყობის შედეგი. მანვე მიუთითა ამ ქმედებების გამომწვევი მიზეზების დადგენის აუცილებლობაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფერგიუსონმა სცადა გაეცოცხლებინა" კაცობრიობის ისტორია და იგი დინამიურობაში ეჩვენებინა.[59] მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეულ იქნა საისტორიო კვლევის დარგშიც. უილიამ რობერტსონმა (1721-1793 წწ.) თავის ნაშრომში „ცნობები ინდოეთის შესახებ უძველეს ხანაში" აღწერა და ახსნა ინდური სამყარო, განმარტა მისი ისტორიული განვითარების თავისებურებების გამომწვევი მიზეზები. ედუარდ გიბონმა (1737-1794 წწ.) თავის მრავალტომიან ნაშრომში დახატა რომის იმპერიის დაცემის სურათი და წარმოაჩინა ამ დაცემის მისეული მიზეზები. განმანათლებლობის მიმდევარი, გიბონი რომის დაცემის მიზეზებს ხედავდა იმპერატორების შეუზღუდავი, დესპოტური ხელისუფლების უზომოდ გაძლიერებაში.

საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელმაც შეძრა მთელი ევროპა, ორმხრივი გავლენა იქონია ინგლისური საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე. თავდაპირველად დემოკრატიულად განწყობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწეები აღფრთოვანებით მიესალმნენ ბასტილიის დაცემას. თომას პეინი და უილიამ უილბერფორსი მიიჩნევდნენ, რომ საფრანგეთი ახალი, ძმობაზე, ერთობაზე და თავისუფლებაზე დამყარებული სახელმწიფოს მაგალითს მისცემდა მსოფლიოს.

მაგრამ რევოლუციურ საფრანგეთთან ომის დაწყებამ, თავად საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში ულტრამემარცხენე ძალების მოსვლამ და რევოლუციური ტერორის გაბატონებამ შიში და ძრწოლვა გამოიწვია ინგლისური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში. ინგლისელთა უმრავლესობა საკუთარი ტრადიციებისა და საცადი ცხოვრების წესის ერთგული დარჩა.

---

[59] თანამედროვე დასავლური საზოგადოებრივი მეცნიერება ფერგიუსონს სოციოლოგიის ფუძემდებლად მიიჩნევს.

სწორედ ამგვარი იდეების გამოხატულებას წარმოადგენდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის და მოაზროვნის ედმუნდ ბერკის ნაშრომი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო საფრანგეთის რევოლუცია. მასში ბერკი მტკიცედ დგას ინგლისური კონსერვატიზმის პოზიციებზე, აკრიტიკებს ფრანგების აბსტრაქტული იდეებით გატაცებას, ხოტბას ასხავს ინგლისური ცნობიერების პრაგმატიზმს. მისი აზრით შეუძლებელია ადამიანის ბუნების შეცვლა, ე.ი. გაუმჯობესება, ისევე როგორც სწრაფვა იდეალური სახელმწიფოს შექმნისაკენ, რაც მხოლოდ სისასტიკისა და ნგრევის მორევში ჩააგდებს ადამიანებს, როგორც ეს ფრანგებს მოუვიდათ. არსებულის გაფრთხილება და შენარჩუნება, მისი თანდათანობით გაუმჯობესება, აი საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა, რომლის ნიმუშს ბერკის აზრით ინგლისი წარმოადგენდა.

XVIII ს. მნიშვნელოვანი სიახლე შესძინა ინგლისურ ხელოვნებას, კერძოდ ფერწერას. ტრადიციულად ინგლისელები მოიკოჭლებდნენ ფერწერაში. მაგრამ XVIII ს. გამოჩნდნენ მხატვრები, რომლებიც გასცდნენ ვიწრო, ეროვნულ ჩარჩოებს. მათ შექმნეს ისეთი შინაარსობრივი სიღრმის და მხატვრული დატვირთვის ტილოები, რომლებმაც გარე სამყაროს ყურადღება მიიპყრეს.

შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა უილიამ ჰოგარტის (1697-1704 წწ.) ტილოები. ჰოგარტი გამოსახავდა ყოფით სცენებს, უბრალო ადამიანებს, რაც სიახლეს წარმოადგენდა. ხშირად ამ ნამუშევრებში გამათრახებული იყო ცხოვრების და ცალკეული ადამიანების მანკიერი მხარეები. ჰოგარტის შემოქმედებაში ყველაზე უკეთ არის ასახული ლონდონის ცხოვრება XVIII ს. პირველ ნახევარში და შეიძლება ითქვას რეალიზმის პირველ ნიმუშს წარმოადგენს ინგლისურ ფერწერაში.

ჰოგარტთან შედარებით კიდევ უფრო წინგადადგმული ნაბიჯი იყო მისი უმცროსი თანამედროვეების სერ ჯოშუა რეინოლდსის (1723-1792 წწ.) და თომას გენისბოროს (1727-1788 წწ.) შემოქმედება. თუკი ჰოგარტმა სახელი მოუტანა ინგლისურ ფერწერას როგორც პოლიტიკური და ყოფითი სენსაციის ან სკანდალური სცენების გამოხატვის საშუალებას, რეინოლდსმა და გეინსბორომ ევროპულ საზოგადოებაში გააღვიძეს პატივისცემა ინგლისური მხატვრობისადმი მისი ფერწერული ხელოვნებისა და პორტრეტული ჟანრის ოსტატობის გამო.

რეინოლდსი ოფიციალური პორტრეტის ტიპიური დიდოსტატი იყო. კლასიკური იტალიური სტილის, ბაროკოს თაყვანისმცემელი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ხელოვნების თეორიის შესახებ მრავალი გამოკვლევის ავტორი, რეინოლდსი ცდილობდა ძველი და ახალი მიმდინარეობების მშვიდობიანად მორიგებას. ამ მხრივ რეინოლდსი ტრადიციული ინგლისური კომპრომისის ტიპიური წარმომადგენელია. რეინოლდსი თავის თანამედროვეებს გამოხატავდა, მაგრამ მის გმირებს ყოველთვის მონუმენტურობისა და სიდიადის ელფერი დაჰკრავდა.

რეინოლდსისაგან განსხვავებით გეინსბოროს ტილოებში მეტია ემოციურობა და ლირიზმი, განსაკუთრებით ქალების გამოსახვის დროს. გეინსბოროს ახასიათებდა პორტრეტისა და პეიზაჟის შეხამების იშვიათი უნარი. შეიძლება ითქვას, რომ მათი და მათი მომდევნო მხატვრების შემოქმედების წყალობით ინგლისმა დიდი წვლილი შეიტანა მხატვრობის განვითარებაში.

ხუროთმოძღვრებაში კვლავ პოპულარობით სარგებლობდა სერ კრისტოფერ რენის მიერ დაკანონებული კლასიკური სტილი თავისი დახვეწილი პროპორციებით. ამის ნათელი დადასტურებაა რენის მიმდევრის, ჯეიმს გიბსის მიერ XVIII ს. პირველ ნახევარში ლონდონსა და ოქსფორდში აგებული წმ. მარტინის ეკლესია და რადკლიფის კამერა. ლიტერატურის მსგავსად ხუროთმოძღვრებაში ანტიკური ნორმები დამკვიდრდა. ამის მაგალითებია უილიამ კენტის და ლორდ ბურლინგტონის მიერ ნორფოლკში აგებული სასახლე ჰოლკამ ჰოლი და ლონდონში, თემზის სანაპიროზე ძმები ადამების მიერ აგებული არქიტექტურული კომპლექსი ადელფი.

ამგვარი მნიშვნელოვანი მიღწევების ფონზე უდავოდ ნაკლებად შთამბეჭდავია ინგლისელთა წარმატებები მუსიკაში. საუკუნის ყველაზე გამოჩენილ ინგლისელ კომპოზიტორად მიჩნეულია თომას ერნი, მაგრამ მისი შემოქმედებიდან ერთადერთი სიმღერა შემორჩა. ეს არის საქვეყნოდ ცნობილი „მართე ბრიტანეთო“, რომელიც 1742 წ. შეიქმნა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა გეის მუსიკალური სპექტაკლი „მათხოვართა ოპერა“, რომელიც უოლპოლის ხანის პოლიტიკური ცხოვრების სატირას წარმოადგენდა. ამ მწირი ეროვნული მიღწევების ფონზე ინგლისის მუსიკალურ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ინგლისში ჩასული ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის ჰენდელის მოღვაწეობა.

თეატრი და დრამატურგია „ოქროს ხანის" მიღწევათა ფონზე ვერ დაიკვეხნიდნენ დიდ წარმატებას. პრაქტიკულად XVIII ს. პირველ ნახევარში არ შექმნილა რამდენადმე ღირებული ნაწარმოები. ამიტომ თეატრის მოღვაწეები ძირითადად შექსპირის შედევრების სხვადასხვა ვარიაციების შექმნით იყვნენ დაკავებული.

სიახლეებით აღინიშნა ყოფითი ხელოვნება. იყო რა დიდი საოჯახო კულტურის ქვეყანა ინგლისი გამოვიდა ინტერიერის გაფორმების ახალი მოდის კანონმდებლად. მოდაში შემოვიდა წითელი ხე, მკაფიო დეკორატიული მოკარაყება. თომას ჩიპენდეილის და თომას შერატონის დიზაინით დამზადებულმა ავეჯმა მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. ჯოზია ვეჯვუდის მიერ აღმოჩენილი ქვის მასისაგან (ფაიანსის განსაკუთრებული სახე) დამზადებულმა ჭურჭელმა კი დიდი პოპულარობა მოიპოვა თავისი სადა სიკოხტავით, ჰარმონიული დეკორატიული გაფორმებით და მაღალი ხარისხის მასობრივი ნაწარმით.

XVIII ს. ინგლისური საზოგადოების ყოფაში დამკვიდრდა ყავახანების ტრადიცია, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა პროფესიის და ხშირად სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ასეთი თავშეყრების დროს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა იმართებოდა. ყველაფერი ეს გარკვეულწილად აახლოებდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას და აყალიბებდა ცხოვრების ერთნაირ სტილს.

გართობის მნიშვნელოვანი საშუალება იყო ალკოჰოლის მიღებაც. უბრალო ხალხი იაფფასიან ჯინს ეტანებოდა დიდი რაოდენობით, დიდგვაროვნები ძვირფას ფრანგულ ღვინოს. ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ლორდი ბოლინგბროკი და რობერტ უოლპოლი, მაგარი მსმელების სახელი ჰქონდათ დამკვიდრებული.

სმას და ლოთობას თავისთავად აყალმაყალი და დუელი (დიდგვაროვანთა შორის) მოყვებოდა. ბათის ცნობილი კურორტის ცერემონიმაისტერმა, რიჩარდ ნეშმა აუკრძალა დიდგვაროვან დამსვენებლებს იარაღის ტარება, რამაც დუელების რიცხვი შეამცირა. მოგვიანებით ეს ჩვეულება მთელს ქვეყნაში გავრცელდა. მანვე აკრძალა სამკურნალო აბაზანების მიღების დროს დამსვენებლების დაყოფა მათი სოციალური წარმოშობის მიხედვით, რაც თავისებურად ხელს უწყობდა კლასების დაახლოებას.

ამგვარად XVIII ს. ინგლისის კულტურული ცხოვრება აღსავსე იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით. სხვადასხვა მეცნიერული აღმოჩენის გააზრების და განზოგადების შედეგად ინგლისში ჩამოყალიბდა რიგი ახალი და მოწინავე თეორიებისა (მაგ. განმანათლებლობა), რომელებიც შემდგომ ევროპის კონტინენტზე გავრცელდნენ. რწმენამ გონების ყოვლისშემძლეობაში საზოგადოების ცნობიერებაში შექმნა ჰარმონიული განვითარების პერსპექტივები. მაგრამ სამრეწველო გადატრიალების ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა შედეგებმა, საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა დაამსხვრიეს ზემოაღნიშნული წარმოდგენები. ინგლისის საზოგადოება მკაცრი რეალობის წინაშე დადგა, რასაც არსებული ფასეულობების ნაწილობრივი გადაფასება მოყვა.

დიდ ბრიტანეთი ნაპოლეონის ომების ხანაში

XVIII ს. დასასრული და XIX ს. პირველი ორი ათწლეული ინგლისისათვის არაჩვეულებრივად მძიმე გამოცდის ხანა იყო, რომელიც მან გაიარა მსოფლიოს უდიდეს სამხედრო გენიასთან ბრძოლაში. ეს იყო ომები, რომლებსაც ნაპოლეონი აწარმოებდა ჯერ როგორც საფრანგეთის არმიის გენერალი, შემდეგ ქვეყნის პირველი კონსული და ბოლოს იმპერატორი „ვერაგი ალბიონის"[60] წინააღმდეგ.

ინგლისის საფრანგეთთან ბრძოლის მთავარი საშუალება იყო ანტიფრანგული კოალიციები, რომლებშიც სხვადასხვა ევროპული სახელმწიფო შედიოდა. ინგლისი ამ კოალიციებს უხვად ამარაგებდა ფულით და თავადაც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას საბძოლო მოქმედებებში.

ინგლისის ინიციატივით შექმნილ ანტიფრანგულ კოალიციას ნაპოლეონი პირველად 1796 წ. დაუპირისპირდა. ფრანგული არმია მისი სარდლობით შეიჭრა იტალიაში და გაანადგურა ავსტრიის და სარდინიის სამეფოს ჯარები. ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებებმა 1797 წ. ფაქტიურად და-

[60] ასე იხსენიებდა ნაპოლეონი ინგლისს.

შალეს კოალიცია, რომელსაც მალე რუსეთიც ჩამოშორდა. ინგლისი მარტო დარჩა ძლევამოსილი შტრის წინაშე.

1798 წ. ინგლისს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ეს იყო ნაპოლეონის აღმოსავლური ლაშქრობის ნეიტრალიზება. ახალგაზრდა ფრანგი გენერალი, რომლის სამხედრო გენიას მისი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ექიშპებოდა, გადაწყვიტა ინგლისის ძლიერების მოშლა მისი აღმოსავლური სამფლობელოების დალაშქვრის გზით. ინდოეთის დალაშქვრა ნაპოლეონმა ეგვიპტეში ლაშქრობით დაიწყო, სადაც კვლავ სწორუპოვარი დიდებით შეიმოსა მას შემდეგ, რაც დაამარცხა ადგილობრივი მამლუქები.

ეგვიპტიდან ნაპოლეონი სირიისაკენ დაიძრა. ინგლისის მთავრობამ იცოდა, რომ სირიიდან ნაპოლეონი ინდოეთისაკენ დაიძვროდა. ამ მომავალი ლაშქრობის ერთ-ერთი სავარაუდო, ყველაზე მოკლე და ყველაზე მოხერხებული გზა კი კავკასიაზე, კერძოდ საქართველოზე გადიოდა. ინგლისის მთავრობა ამ სავარაუდო მარშრუტის საქმის კურსშიც იყო. სწორედ ამიტომ ინგლისი მაინც და მაინც არ ცდილობდა შეებოჭა რუსეთის აქტიურობა კავკასიაში. ლონდონში იმედოვნებდნენ, რომ სწორედ რუსეთი იყო ის ძალა, რომელიც შეაჩერებდა ნაპოლეონის მსვლელობას აღმოსავლეთისაკენ. პიტის მთავრობას რუსეთი „ნაკლებ ბოროტებად" მიაჩნდა და ნაპოლეონისაგან მომავალი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით თანახმა იყო თვალი დაეხუჭა რუსეთის ექსპანსიაზე ახლო აღმოსავლეთში.

ამგვარ სიტუაციაში კავკასია, კერძოდ კი საქართველო და უპირველესად ქართლ-კახეთის სამეფო თავისებური ხურდა ფულის როლში გამოვიდნენ დიდი პოლიტიკის ინტერესებისათვის. ამიტომაც იყო, რომ რუსეთმა ერთობ უმტკივნეულოდ მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთება. ლონდონში ამის თაობაზე სიტყვიერი პროტესტით შემოიფარგლნენ.

მეორე კოალიციის დაშლის შემდეგ რუსეთი იმპერატორ პავლე I დროს საფრანგეთისაკენ გადაიხარა. პიტის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა რუსეთი კვლავ თავისი საგარეო პოლიტიკის ფარვატერში მოექცია. ამიტომ პეტერბურგში კარის შეთქმულებას და პავლე I მკვლელობას არ ჩაუვლია ინგლისის დიპლომატიის ჩარევის გარეშე. სწორედ ინგლისის ელჩმა პეტერბურგში უიტვორტმა შეახსენა ყოველივე მომხდარით შეცბუნებულ უფლისწულ ალექსანდრე პავლეს ძეს: „დროა მეფობას შეუდგეთ". ამრიგად, XVIII-XIX სს. მიჯნაზე ინგლისი რუსეთის მიმართ გარკვეულწილად მაამებლობის პოლიტიკას ატარებდა.

1801 წ. ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებებმა იტალიაში ავსტრიელების წინააღმდეგ ბოლო მოუღო ინგლისის ინიციატივით შექმნილ მეორე ანტიფრანგულ კოალიციას. მართალია, დანიის ფლოტზე გამარჯვებამ, რომელიც იმავე წელს ადმირალ ნელსონის თავგანწირვისა და ძალისხმევის შედეგად იყო მიღწეული, ბოლო მოუღო ინგლისის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგასაც, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. თავად ინგლისში როგორც პოლიტიკოსთა შორის, ასევე ფართო საზოგადოებაში გაისმოდა სამშვიდობო მოწოდებები. ოპოზიცია მთავრობას აკრიტიკებდა, რომ ამ უკანასკნელმა უამრავი ფული დახარჯა იმისათვის, რომ საფრანგეთში ტირანიის და ფეოდალიზმის დამცველი ბურბონთა დინასტია აღედგინათ.

მთავრობა ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარების მეშვეობით. საქმე კათოლიკეთა უფლებებს ეხებოდა. ირლანდიის ინგლისთან შეერთების შემდეგ ეს საკითხი დიდ მნიშვნელობას იძენდა. გაერთიანების შემდეგ კათოლიკე ირლანდიელები ინგლისის გვირგვინის უშუალო ქვეშევრდომები გახდნენ. ისინი მოსახლეობის ერთ მეოთხედს წარმოადგენდნენ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულები იყვნენ. ამგვარი მდგომარეობა ხელისუფლებას ერთობ არასახარბიელო პოლიტიკურ ფონს უქმნიდა.

იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტორი. ინგლისისადმი მტრულად განწყობილი კათოლიკური ირლანდია ყოველთვის სახიფათო იარაღს წარმოადგენდა საფრანგეთის ხელში. რესპუბლიკურმა საფრანგეთმა რამოდენიმეჯერ აამხედრა ირლანდიელები ინგლისის წინააღმდეგ და დესანტის გადასხმასაც კი შეეცადა. ამიტომ პიტი ცდილობდა კათოლიკეთა ემანსიპაციის მეშვეობით ირლანდიის დაშოშმინებას. მაგრამ პიტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი ჩავარდა და ეს უკანასკნელიც იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. მთავრობას ვიგები ჩაუდგნენ სათავეში ადინგტონის მეთაურობით.

მთავრობის შეცვლამ დააჩქარა დაზავება ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ვიგების ბევრი მოღვაწე თვლიდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამყარებით ინგლისი შესძლებდა

საფრანგეთთან მორიგებას, „დე კარგმა ვაჭრობამ გადააქციოს ბონაპარტი მშვიდობის მომხრედ“. – განაცხადა ვიგების ცნობილმა ორატორმა შერიდანმა. ნახავთ, როგორ გარდაიქმნება იგი, როდესაც სავაჭრო დახლს მიუჯდება“. ლონდონი ზარ-ზეიმით შეეგება ნაპოლეონის პირად წარგზავნილს, რომელმაც სამშვიდობო ხელშეკრულება ჩამოიტანა ინგლისში. მაგრამ ტორებს მიაჩნდათ, რომ ეს ზავი სიცოცხლისუნარიანი არ იყო. პიტის აზრით ნაპოლეონი მხოლოდ ხმლის, დაპყრობებისა და დიდების მოპოვების საშუალებით შეინარჩუნებდა ხელისუფლებას.

ზავს, რომელიც, 1802 წ. იქნა ხელმოწერილი საფრანგეთის ქალაქ ამიენში ინგლისისათვის დიდი შელავათები არ მოუტანია. იგი ერთგვარ საყაიმო ხასიათს ატარებდა. ინგლისმა სცნო საფრანგეთის ახალი ხელისუფლება, აღუთქვა ნაპოლეონს, რომ მოახდენდა კუნძულ მალტადან თავისი ჯარების ევაკუაციას, დათმო ცეილონი და ტრინიდადი. ინგლისის სამეფო ხელისუფლებამ კი თავისი გერბიდან ამოიღო თეთრი შროშნები, საფრანგეთის სამეფო გვარის გერბი. ეს ფორმალობა ედუარდ III-ის დროიდან მოყოლებული ინგლისის სამეფო კარის ფრანგულ გვირგვინზე პრეტენზიის განცხადებას წარმოადგენდა. ამიენის ზავით ეს ფორმალური პრეტენზიები გაუქმებულ იქნა.

თვით ზავის პერიოდშიაც ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დაძაბული რჩებოდა. ნაპოლეონის მიერ გატარებული საბაჟო პოლიტიკა მნიშვნელოვნად აზარალებდა ინგლისის წარმოებას და ვაჭრობას. ინგლისი კი მაამებლობის პოლიტიკას ატარებდა ბურბონების და ემიგრანტი თავადაზნაურობის მიმართ, ფაქტიურად ზურგს უმაგრებდა და ხელს უწყობდა ფრანგ როიალისტებს ყველა იმ ქმედებაში, რომლებიც ნაპოლეონის ხელისუფლების დამხობისაკენ იყვნენ მიმართული. კუნძულ მალტას კვლავ ინგლისის ჯარი აკონტროლებდა, ხოლო როცა პარიზში ინგლისის ელჩად ლორდი უიტვორტი დაინიშნა, სწორედ ის, ვისი ჩარევითაც თავის დროზე მოეწყო შეთქმულება ნაპოლეონის მოკავშირის, რუსეთის მეფის პავლე I წინააღმდეგ ომი ორ ქვეყანას შორის განახლდა. 1803 წ. მაისში ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს. მთავრობის საოავეში კვლავ პიტი და კონსერვატორები მოვიდნენ.

აქედან მოყოლებული, იწყება ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი ინგლისის ისტორიაში. კუნძულოვანი სახელმწიფო ჯერ უშუალო დაპყრობის, ხოლო შემდეგ ეკონომიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. ნაპოლეონმა მიზნად დაისახა ინგლისში შეჭრა, რისთვისაც ბულონში მოაწყო დიდი სამხედრო ბანაკი, სადაც თავი მოუყარა მრავალრიცხოვან ჯარსა და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებას. „ექვსი საათით ლა-მანშის ხელში ჩაგდება ჩვენ მსოფლიოზე ბატონობას მოგვიტანს“ – ამისთვის ჩვეული ხატოვანი ლაკონურობით ამბობდა ნაპოლეონი. სიტუაცია არნახულად კრიტიკული შეიქმნა. ნაპოლეონის შეჭრა დიდ ბრიტანეთში გარდაუვალი ჩანდა. მთავრობამ შესძლო 300 ათასი მოხალისისაგან ლაშქარი ჩამოეყალიბებინა. ნაპოლეონს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „მედუქნეების“[61] დამარცხება და დაპყრობა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ინგლისის დიპლომატიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან მოახერხა ქვეყნის იზოლაციიდან გამოყვანა და შეიძლება ითქვას, იხსნა სიტუაცია. პიტის სუბსიდიების წყალობით შეიქმნა ახალი ანტიფრანგული კოალიცია რუსეთის, ავსტრიის და შვეციის შემადგენლობით. ამან ნაპოლეონი აიძულა მთავარი ყურადღება კონტინენტური პრობლემებისაკენ გადაეტანა.

მაგრამ ბრიტანეთში შეჭრის საშიშროება საბოლოოდ ისევ ინგლისის ფლოტმა მოხსნა. 1805წ. თებერვალში ტრაფალგარის კონცხთან (ესპანეთის სანაპიროს მახლობლად), ატლანტის ოკეანეში, მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებს შორის. ინგლისის ფლოტს იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული და ბრძოლებში გამობრძმედილი ადმირალი, ცალხელა და ცალთვალა ნელსონი სარდლობდა. ინგლისელთა შემართება ისეთივე უდრეკი იყო, როგორც მათი სარდლის გამარჯვების ურყევი რწმენა. ისტორიას დღემდე შემორჩა მისი ცნობილი ბრძანება, რომელიც ადმირალის ხომალდიდან სიგნალებით გადაეცა მთელ ფლოტილიას: „ინგლისს სწამს, რომ თვითეული თქვენთაგანი შეასრულებს თავის მოვალეობას!“ გაერთიანებული საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი განადგურებულ იქნა ინგლისელების მიერ, თუმცა კი თავად ნელსონი ამ ბრძოლაში დაიჭრა და სასიკვდილო სარეცელზე შეიტყო ცნობა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ.

ტრაფალგარის კონცხთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ააცილა თავიდან ინგლისს საფრანგეთის ინვაზია. მაგრამ მისი საქმეები კონტინენტური პოლიტიკის სფეროში კატასტროფით დამთავ-

---

[61] ინგლისელები სარბიელი რაინდული სულისკვეთებით შეპყრობილი ნაპოლეონი გამოხატავდა თავის უგულებელყოფას ვაჭრობით გამდიდრებული ინგლისელების მიმართ.

რდა. ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ულმსა და აუსტერლიცთან 1805 წ. ოქტომბერ-დეკემბერში არა მარტო გაანადგურა ავსტრიისა და რუსეთის არმიები, არამედ ბოლო მოუღო პიტის მიერ შექმნილ ანტიფრანგულ კოალიციასაც. თავად პიტისათვის ეს კატასტროფა საბედისწერო აღმოჩნდა. მან ვერ გადაიტანა საკუთარი პოლიტიკის გამანადგურებელი დამარცხება. „დაახვიეთ ეს რუკა", უთხრა მან თავის კოლეგებს ევროპის რუკაზე, იგი ათი წლის მანძილზე მაინც აღარ დაგვჭირდება". „ჩემო სამშობლო, რა სავალალო მდგომარეობაში გტოვებ!" — აღმოხდა პიტს სიკვდილის წინ.

აუსტერლიცის ბრძოლიდან მოყოლებული დაიწყო საფრანგეთის არნახული აღზევება. ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებებმა პრუსიაზე, ავსტრიაზე და რუსეთზე იგი ევროპის მბრძანებლად აქცია. მის განკარგულებაში იყო ძლევამოსილი არმია და უშრეტი მატერიალური რესურსები. დარწმუნდა რა იმაში, რომ შეუძლებელი იყო ინგლისში შეჭრა, ნაპოლეონმა გადაწყვიტა „ვერაგი ალბიონი" ეკონომიკურად გაესრისა. ამისათვის მან 1807 წ. გამოსცა დეკრეტი კონტინენტური ბლოკადის შესახებ. ამ დადგენილებით აიკრძალა ინგლისური ნაწარმის შეტანა ევროპის კონტინენტის ქვეყანებში.

კონტინენტურმა ბლოკადამ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო ინგლისი. ვაჭრობა კონტინენტთან ფაქტიურად მოიშალა, ინგლისის ნავსადგურები აივსო უამრავი სამრეწველო, თუ სხვა სახის ნაწარმით, რომელსაც მოჭრილი ჰქონდა გზა კონტინენტისაკენ. ინგლისური ნაწარმი კონტრაბანდის მეშვეობით თუ მოხვდებოდა კონტინენტზე. ამან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ინგლისის მრეწველობა. გაკოტრდა უამრავი მეწარმე, დაიხურა ბევრი საწარმო. მოუსავლიანობის, ფასების ზრდის და ეკონომიკური ბლოკადის გამო მოსახლეობა სურსათის, პირველ რიგში პურის შეძენის სიძნელის წინაშე აღმოჩნდა.

პურის ფასები არნახულად გაიზარდა. 1792-1812 წწ. მანძილზე 1 კუოტერი ხორბლის ფასი 43 შილინგიდან 126 შილინგამდე გაიზარდა. ქალაქის და სოფლის ღარიბობა შიმშილობდა. სამაგიეროდ არნახულად გამდიდრდნენ მიწათმფლობელები და მსხვილი მოიჯარადრეები, რომელთათვისაც ჭეშმარიტად ოქროს ხანა დადგა.

რთული მდგომარეობა შეიქმნა მრეწველობაშიც. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეწარმეები ხშირად ამცირებდნენ მუშა-ხელის რაოდენობას, რასაც სოციალური აფეთქებები მოყვებოდა. ჩრდილოეთის საგრაფოებში მუშებმა დაიწყეს დაზგების და სხვადასხვა მანქანა-დანადგარების სისტემატური მსხვრევა. მუშებს მანქანები სამუშაო ადგილების შემცირების მთავარ მიზეზად მიაჩნდათ. ხელისუფლება მანქანების მსხვრეველთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა. ერთი სიტყვით ინგლისი ერთობ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. ინგლისისათვის ეს იყო ჭეშმარიტად უმძიმესი გამოცდის ხანა.

მაგრამ არც საფრანგეთის მდგომარეობა იყო იოლი. ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ნაპოლეონს მუდმივი ბრძოლები სჭირდებოდა. ევროპის მონარქები ნაპოლეონში რევოლუციის პირმშოს ხედავდნენ და არ სწყვეტდნენ მასთან ბრძოლას ან ღიად ანდა მისი ანტიინგლისური დადგენილებების დარღვევის მეშვეობით. იქმნებოდა ერთობ რთული სიტუაცია. ინგლისის, როგორც მეტოქის ჩამოსაცილებლად და საფრანგეთის გარშემო მშვიდობის შესანარჩუნებლად იმპერატორს გამუდმებული დაპყრობები სჭირდებოდა.

იმისათვის, რომ კონტინენტური ბლოკადა უფრო ეფექტური გაეხადა, ნაპოლეონმა მიყოლებით პორტუგალიის და ესპანეთის ოკუპაცია მოახდინა. მაგრამ ამ უკანასკნელის რეალური დამორჩილება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. დამარცხებულ ესპანეთში ხალხმა აიღო ხელში იარაღი და დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღა პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურობის მეთაურობით.

ესპანეთში გაჩაღებული ანტიფრანგული სახალხო ომი (გვერილია) ინგლისმა გამოიყენა ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად. ინგლისის საექსპედიციო ჯარებმა, რომლებში პორტუგალიელებიც და ესპანელებიც იბრძოდნენ ადგილობრივ პარტიზანებთან მოხერხებული ურთიერთქმედებით თანდათან შეავიწროვეს ფრანგები. მათმა სარდლებმა, გენერლებმა მურმა და მისი დაღუპვის შემდეგ არტურ უელსლიმ მოულოდნელი თავდასხმებით და სწრაფი უკანდახევითი ტაქტიკის მეშვეობით თანდათანობით მოშალეს ფრანგების კომუნიკაციები.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უელსლიმ, რომელმაც არაერთ ბრძოლაში დაამარცხა ნაპოლეონის ისეთი ცრობილი მარშლები, როგორებიც იყვნენ სულტი, ნეი და მასენა, მიღწეული წარმატე-

ბებისათვის არტურ უელსლის ველინგტონის ჰერცოგის წოდება მიენიჭა. ამგვარად, ესპანეთში ნაპოლეონის პოლიტიკამ მარცხი განიცადა. მოგვიანებით კი ფრანგებს მოუხდათ ამ ქვეყნის დატოვება.

ესპანეთის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ნაპოლეონი „ინგლისური პრობლემის" გადაჭრის აუცილებლობაში. რადგანაც ბრიტანეთში შეჭრა ტრაფალგარის ბრძოლის შემდეგ შეუძლებელი გახდა, ნაპოლეონმა დასახა გრანდიოზული გეგმა. მან განიზრახა ინგლისის დამარცხება ინდოეთში, მისი ინდური სამფლობელოების დაპყრობის მეშვეობით, რათა ინგლისისთვის ესოდენ საჭირო კოლონიური ნედლეულის წყარო დაეხშო. ეს დაპყრობა რუსეთის გავლით, ე.ი. ამ უკანასკნელის დაპყრობის შემდეგ უნდა მომხდარიყო. „გეგულებათ განა ქვეყნად ისეთი ძალა, რომელიც შესძლებს თბილისიდან განგის ნაპირებისაკენ დაძრული დიდი ფრანგული არმიის შეჩერებას? საკმარისი იქნება ძლევამოსილი ფრანგული დაშნის ერთი შეხება, რათა ნამსხვრევებად იქცეს ჩარჩების მიერ შექმნილი ყალბი სიდიადე"[62] — ეუბნებოდა ნაპოლეონი რუსეთში გალაშქრების წინ სამხედრო მინისტრს, გრაფ ნარბონს.

1812 წ. ივნისში ნაპოლეონის 600 ათასიანი „დიდი არმია" რუსეთში შეიჭრა. მაგრამ მიღწეულმა გამარჯვებებმა (მათ შორის ბოროდინოსთან, რომლის შედეგად ფრანგებმა მოსკოვი აიღეს) ვერ მოუტანა ნაპოლეონს საბოლოო წარმატება. პრაქტიკულად მოხდა უპრეცედენტო მოვლენა. დამარცხებულმა რუსებმა უარი თქვეს დაზავებაზე, ხოლო მოსახლეობამ ესპანელების მსგავსად ჯარალი აისხა და პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა. ნაპოლეონი რეზერვებისაგან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისაგან სრულებით მოწყვეტილი აღმოჩნდა, ხოლო მისი მრავალეროვანი ჯარი ჯერ დეზერტირობისაგან, შემდეგ კი არნახული ყინვებისა და შიმშილის გამო პრაქტიკულად განადგრუდა.

ნაპოლეონის კატასტროფამ რუსეთში იმედის ახალი ნაპერწკალი გაუღვივა ინგლისს. მისი მცდელობით შეიქმნა ახალი ანტინაპოლეონური კოალიცია რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის მონაწილეობით. ნაპოლეონის სამხედრო გენიამ თითქოსდა მეორე სუნთქვა შეიძინა და 1813-1814 წწ. სამხედრო კამპანიებში მან არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ სამხედრო მოქმედებების ასპარეზი ძალზე ფართო იყო, კოალიციის რიცხობრივი უპირატესობა არნახულად დიდი, ნაპოლეონს კი, მისივე თქმით, არ შეეძლო ერთდროულად ყველგან ყოფნა. იმპერატორის გამარჯვებებს მისი მარშლების დამარცხება მოყვებოდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ესპანეთში, სადაც წარმატებით მოქმედებდა ინგლისის ჯარი ჰერცოგ ველინგტონის მეთაურობით.

1814 წ. მოკავშირეები ესპანეთიდან და გერმანული მიწებიდან საფრანგეთში გადავიდნენ. მარტის ბოლოს მტრებით გარშემორტყმული და მოღალატე მარშლების მიერ მიტოვებული ნაპოლეონი ტახტიდან გადადგა. საფრანგეთში ბურბონების დინასტიის მმართველობა აღდგა. ნაპოლეონს შეუნარჩუნეს იმპერატორის წოდება და 1000 გვარდიელი. ხოლო ადგილსამყოფელად და სამფლობელოდ კი გამოუყვეს პატარა კუნძული ელბა ხმელთაშუა ზღვაში. იმპერატორის თავის ძველ გვარდიასთან გამოთხოვების ამაღელვებელი სცენა, რომელმაც ცრემლი მოჰგვარა ყველას, მათ შორის ინგლისის კომისარს კემპბელს,[63] ევროპამ აღიქვა, როგორც ნაპოლეონის ომების ეპოქის დასასრული. „მსოფლიო ისტორიის უდიდესი გმირული ეპოპეა დასრულდა, იგი გამოეთხოვა თავის გვარდიას". — წერდა ინგლისური გაზეთი „თაიმსი". მაგრამ მალე მოვლენათა მსვლელობა მკვეთრად შეიცვალა.

ნაპოლეონთან ომის მიწურულს ინგლისს მოუხდა ახალ ომში ჩაბმა. ეს იყო ომი აშშ-ს წინააღმდეგ. იბრძოდა რა ნაპოლეონის წინააღმდეგ, ინგლისი ცდილობდა მაქსიმალურად გაემკაცრებინა საზღვაო რეჟიმი ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ, რათა არ მიეცა მათთვის საფრანგეთთან ვაჭრობის საშუალება. ამან ამერიკის უკმაყოფილება გამოიწვია. თავის მხრივ აშშ-ს მმართველ წრეებს უნდოდათ ესარგებლათ იმით, რომ ინგლისი და ესპანეთი ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რათა კანადასა და ფლორიდაში შეეღწია.

1812 წ. აშშ-მ ინგლისს ომი გამოუცხადა. ომმა პრაქტიკულად არაფერი მოუტანა მეომარ მხარეებს. მისი ერთადერთი „ღირშესანიშნავი" მოვლენა ის იყო, რომ ინგლისელებმა ხელთ იგდეს და გადაწვეს აშშ-ს დედაქალაქი ვაშინგტონი, რითაც შური იძიეს ამერიკელების მიერ იორკის, დღე-

---

[62] ჩარჩებში ნაპოლეონი ალბათ ინგლისელებს გულისხმობდა.

[63] „რა გულისამაჩუყებელი სცენაა და რაოდენ შეშვენის იგი ამ დიდ ადამიანს!" — შესძახა თვალცრემლიანმა კემპბელმა.

ვანდელი ტორონტოს დაწვაზე. ომი 1814 წ. დასრულდა. გენტის ზავით აღდგენილ იქნა ომამდელი მდგომარეობა. ინგლისს საშუალება მიეცა კვლავ მიბრუნებოდა ევროპულ პოლიტიკას./

ევროპაში კი მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ნაპოლეონის დამხობის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მისი იმპერიის ნანგრევებზე ევროპაში ახალი წესრიგის დამყარების საკითხი. ამისათვის ვენაში შეიკრიბა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელშიც წამყვან როლს ანტინაპოლეონური კოალიციის წევრი ქვეყნები თამაშობდნენ. კონგრესი მიზნად ისახავდა ევროპაში ლეგიტიმიზმის პრინციპების გაბატონებას, ე. ი. კანონიერი მონარქებისა თუ სხვა მბრძანებლების უფლებათა აღდგენას. ეს კონტინენტზე ძალთა ბალანსის გარკვეულ გარანტიას იძლეოდა და თავიდან აციდებდა ევროპას შესაძლო ბრძოლას საზღვრების გადანაწილებისათვის.

/კონგრესის გადაწყვეტილებები ნაძდვილად სასიკეთო იყო ინგლისისათვის. ევროპაში მან შეინარჩუნა მალტა, იონიის კუნძულები, კ.ჰელპოლანდი, ხოლო ევროპის ფარგლებს მიღმა კი კაპის კონცხი, ცეილონი და ილ-დე-ფრანსი (მავრიკიუსი). კონტინენტური პოლიტიკის სფეროში ინგლისი ძალთა ბალანსის პოლიტიკის ერთგული დარჩა./ამას სულაც არ აწყობდა რომელიმე დიდი სახელმწიფოს, თუნდაც თავისი გუშინდელი მოკავშირეების მეტისმეტად გაძლიერება. ამიტომაც ივი წინ აღუდგა რუსეთის მთელ პოლონეთში გაბატონებას და პრუსიისა მიერ საქსონიის სამეფოს შემოერთებას.

ეს დაძაბული დიპლომატიური ბრძოლა, რომელიც ვენაში გაუთავებელი მეჯლისებისა და ზეიმების ფონზე მიმდინარეობდა, შეწყვეტილ იქნა ნაპოლეონის საფრანგეთში მოულოდნელი დაბრუნებით /1815 წ. მარტში. ისარგებლა რა იმ საყოველთაო უკმაყოფილებით, რომელიც საფრანგეთში ბურბონების რესტავრაციას მოყვა, ნაპოლეონმა ფარულად დატოვა ელბა, გადასხდა საფრანგეთში და 20 დღის შემდეგ, ერთი გასროლის გარეშე ტრიუმფით შეკიდა პარიზში./ მთელი საფრანგეთი დადგა იმპერატორის საბჭეროვანი დროშის ქვეშ, რომელიც ფრანგების თვალში რევოლუციის, სამშობლოს და საბჭედრო დიდების განსახიერება იყო.

ნაპოლეონის დაბრუნებამ თავზარი დასცა ევროპელ მონარქებს. ძლევამოსილი მტრის ასპარეზზე ხელახლა გამოჩენამ აიძულა ისინი განზე გადაედოთ თავისი უთანხმოებები. მათ ნაპოლეონი კანონგარეშე გამოაცხადეს, როგორც ერთიადერთი წინააღმდეგობა მშვიდობის დამყარების გზაზე./ სასწრაფოდ შეიქმნა ახალი, რიგით მეშვიდე ანტიფრანგული კოალიცია, რომლისთვისაც ინგლისმა 11 მლნ. გირვანქა სტერლინგი გაიღო. იმავე დროს ინგლისმა დაიწყო ახალი არმიის ჩამოყალიბება, რათა იგი ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოეყვანა/ ამ მხრივ ინგლისელთა მდგომარეობა ერთობ რთული იყო. საუკეთესო, ესპანეთის ბრძოლებში გამობრძმედილი შენაერთები ჯერ კიდევ ამერიკაში იმყოფებოდნენ. ინგლისის ასი ათასიანი არმია, რომელსაც ჰერცოგი ველინგტონი სარდლობდა, სანახევროდ ბელგიური და ჰოლანდიური შენაერთებისაგან შედგებოდა.

/ კოალიციამ ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოიყვანა 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი. თავისი მეორე მეფობის მანძილზე, რომელიც ნაპოლეონის ტახტზე ყოფნის დროის გამო ისტორიაში პირობითად „ასი დღის" სახელით შევიდა, იმპერატორმა დაახლოებით 320 ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი აქედან ჩრდილოეთის არმია, რომელსაც თავად ნაპოლეონი სარდლობდა 128 ათას კაცს ითვლიდა. ეს არმია დაუპირისპირდა მოკავშირეთა ორ არმიას, რომელსაც ჰერცოგი ველინგტონი (100 ათასი) და პრუსიელი მარშალი ბლიუხერი (128 ათასი) სარდლობდნენ./

მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ და თავისი ტრადიციული, შემტევი ტაქტიკისადმი ერთგულებამ უბიძგა ნაპოლეონს დაეწყო საომარი მოქმედებები და შეეტია მოკავშირეებისათვის. იგი სწრაფი, მათთვის მოულოდნელი მარშით შეიჭრა ბელგიაში და მოწინააღმდეგეთა წინ გაჩნდა. 16 ივნისს კატრ-ბრასთან მისი ბრძანებით მარშალმა ნეიმ შეუტია ველინგტონს და აიძულა იგი უკან დაეხია. ხოლო თავად იმპერატორი იმავე დღეს ლინისთან თავისი არმიის ძირითადი ძალებით ეკვეთა ბლიუხერს, დაამარცხა იგი და უკუაგდო. დამარცხებულ ბლიუხერს ნაპოლეონმა თავისი ჯარის ერთი მესამედი (30ათასი) დაადევნა მარშალ გრუშის მეთაურობით, თვითონ კი ველინგტონს მიუბრუნდა, რათა იგი გაენადგურებინა მანამ, სანამ ბლიუხერი მისთვის დახმარების გაწევას შესძლებდა.

/გადამწყვეტი ბრძოლა 1815 წ. 18 ივნისს მოხდა სოფელ ვატერლოოსთან, რომლის მახლობლად, სენ-ჟანის გორაკზე გამაგრდა ველინგტონი. ინგლისელმა სარდალმა ძალზე კარგი პოზიცია შეარჩია და გეზი თავდაცვით ტაქტიკაზე აიღო. მისი მიზანი იყო რადაც არ უნდა დასჯდომოდა გაეძლო ნაპოლეონის შეტევებისათვის მანამ, სანამ მის დასახმარებლად ბლიუხერი არ მიეკიდოდა.

ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში ფრანგების მიერ შეტევის დროს გამოვლენილ თავდადებას ინგლისელების მიერ თავდაცვის დროს გამოვლენილი თავგანწირვა არ უდებდა ტოლს. ველინგტონი ბულდოგივით იყო ჩაფრენილი თავის პოზიციას. მან დაამტკიცა, რომ უსაფუძვლოდ არ დაიმსახურა რკინის ჰერცოგის მეტსახელი. ინგლისელთა განახევრებული და ლამის განადგურების პირზე მისული პოლკები არ თმობდნენ პოზიციებს.

და აი, როცა კრიტიკულ მომენტში ინგლისელთა თავდაცვის ცენტრი გარღვეულ იქნა და თვით ველინგტონსაც კი გადაეწურა ხსნის იმედი, ხოლო ნაპოლეონს გამარჯვებამდე ფაქტიურად ერთი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი, ბრძოლის ველზე ბლიუხერი გამოჩნდა. იგი მოხერხებული მანევრით გაუსხლტა გრუშის და გადამწყვეტ წუთს ადგილზე აღმოჩნდა. ფრანგების არმია ორ ცეცხლს შუა მოექცა და სრულიად იქნა დამარცხებული. ნაპოლეონმა ბრძოლის ველი თავისი ძველი გვარდიის თავგანწირვისა და უმაგალითო გმირობის წყალობით დატოვა. პარიზში დაბრუნებული, იგი მეორედ გადადგა ტახტიდან. მოგვიანებით იგი ინგლისელებს ჩაბარდა, რომლებმაც იგი წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც იგი გარდაიცვალა 1821 წ.

ნაპოლეონის საბოლოო დამარცხება ეტაპობრივი მოვლენა იყო ინგლისის ისტორიაში. ნეიტრალიზებულ იქნა მტერი, რომლის ტოლფასი თავისი ძლიერებით და შეურიგებლობით ინგლისს მანამდე არ ყოლია. ნაპოლეონის სახით დამარცხებულ იქნა არა მარტო ევროპაში ერთი სახელმწიფოს ჰეგემონიის იდეა, არამედ რევოლუციაც, რომელსაც ნაპოლეონი განასახიერებდა ევროპელი მონარქებისათვის. ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში უპირატესობა უნდა მისცემოდა დიდ სახელმწიფოთა ერთობლივ ქმედებას (ე.წ. ევროპულ კონცერტს). მაგრამ ამ ერთობაში ინგლისს მაინც პირველი ვიოლინოს როლის დასაკუთრება უნდოდა. ვატერლოოს შემდეგ ინგლისის ხმა განახლებულ ვენის კონგრესზე კიდევ უფრო რიხიანად გაისმა. იგი შეეცადა თავისებური მომრიგებლის როლში გამოსულიყო. პრემიერ-მინისტრი ლორდი კესლრი, რომელიც ინგლისს წარმოადგენდა, მოუწოდებდა არა შურისძიებისაკენ, არამედ უსაფრთხოების დამყარებისაკენ.

1817 წ. კესლრის ინიციატივით დაიდო ოთხმხრივი შეთანხმება ინგლისს, რუსეთს, ავტრიასა და პრუსიას შორის. ამ კავშირის მეშვეობით იგი იმედოვნებდა მცირე სახელმწიფოების დაცვას და საფრანგეთში რევოლუციური იდეების ნეიტრალიზებას. მცირე სახელმწიფოთა მეშვეობით კი კესლრი ვარაუდობდა ინგლისისათვის მხარდამჭერების და პოპულარობის მოპოვებას, აგრეთვე ევროპაში ძალთა გარკვეულად გაწონასწორებას.

კესლრის საპირისპიროდ რუსეთის მეფე ალექსანდრე I წმინდა კავშირის შექმნის იდეა წამოაყენა, რასაც კესლრიმ ამაღლებული მისტიკურობა და უაზრობა უწოდა. რუსეთს და აგრეთვე ავტსრიას უნდოდათ ორივე კავშირი გამოეყენებინათ ნებისმიერ ქვეყანაში შეჭრისათვის რევოლუციის ჩახშობის საბაბით.

ამგვარ პირობებში ინგლისის საგარეო პოლიტიკაში თანდათანობით ცვლილება მოხდა. ლიბერალური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ინგლისში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა უკმაყოფილება ევროპულ კონცერტში მონაწილეობის გამო. კრიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა, ეს გაერთიანება გამოყენებულ იქნა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ესპანეთსა და იტალიაში. 1823 წ. ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ემიჯნება ვენის კონგრესის სისტემას.

რა შეიძლება ითქვას ინგლის-საფრანგეთის ესოდენ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებზე იმ ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე? ომი, რომელსაც მნიშვნელოვანწილად საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მისცა ბიძგი, საფრანგეთის მხრიდან ერთგვარ რომანტიკულ საბურველში იყო გახვეული. ებრძოდნენ რა ევროპელი მონარქების კოალიცებს, ფრანგები თავის მიერ წამოყენებული ცნებებს — ძმობას, თანასწორობას და თავისუფლებას იცავდნენ. ომების გაფართოების გარკვეულ ეტაპზე ფრანგები ამ პრინციპების უშუალო დანერგვასაც კი შეუდგნენ უცხო ქვეყნებში.

სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ნაპოლეონის გამოჩენამ ამ მოვლენას ახალი იმპულსი შესძინა. მისი არნახული გენიის წყალობით დაინერგა სამხედრო დიდების კულტი. მისმა ძლევამოსილებამ თითქოსდა ააღორძინა რაინდული ეპოქის მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება — მხედრული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის აღზევება, მისი წამყვანი და გაბატონებული როლი მთელ საზოგადოებაში. შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონი რომანტიზმის თავისებური განსახიერება იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. მისი სახით ისევე, როგორც რაინდულ ეპოქაში, მოვლენათა განვითარებაში გადამწყვეტი როლი კვლავ გმირულ პიროვნებას და მის ხმალს დაეკისრა.

ვინ იყვნენ ისინი, ვისაც პოლიტიკაში ეს უდიდესი რომანტიკოსი დაუპირისპირდა? სამეფოს რეგენტი უფლისწული ჯორჯი, პრემიერ-მინისტრი უმცროსი უილიამ პიტი, ინგლისის ჯარების სარდალი, ჰერცოგი ველინგტონი, ეს ადამიანები შორს იყვნენ რომანტიზმისაგან. ისინი წარმოადგენდნენ იმ ინგლისს, რომელიც ახორციელებდა რა სამრეწველო გადატრიალებას, რაციონალური და პრაგმატული იდეებით იყო შეპყრობილი. ეკონომიკური სიახლეები როგორც ქალაქად, ასევე სოფლად ერთადერთ, მკაფიო მიზანს კარნახობდნენ ინგლისელ მეწარმეებს მაქსიმალური მოგება ენახათ თავისი საქმიანი წამოწყებებიდან. სწორედ ამიტომ იმედოვნებდა ინგლისელი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ნაპოლეონის შემორიგებას თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების საყოველთაო დანერგვის მეშვეობით.

რაინდი ნაპოლეონი პრაქტიკულად მოაზროვნე პრაგმატიკოს ვაჭრებსა და მეწარმეებს დაუპირისპირდა. ამ ჭიდილში კი საბოლოო უპირატესობა წარმოების ახალ ფორმებს უნდა ჰქონოდათ. მათი ისტორიული მისია იყო კაცობრიობა შემდგომი განვითარებისაკენ წაეყვანათ. ინგლისური მანქანები და ფაბრიკა-ქარხნები უფრო ძლიერი და ისტორიულ განვითარებასთან უფრო მისადაგებულები გამოდგნენ, ვიდრე ნაპოლეონის გენიალური დაშნა. XIX ს. ინგლისი შემოდიოდა თავისი სამეწარმეო ექსპანსიით. თავად ნაპოლეონი, რომელიც მუდამ ინგლისის დამხობისაკენ ისწრაფოდა, იძულებული იყო თავისი ბრძოლებში გამობრძმედილი ვეტერანები ინგლისურ დაზგებზე დამზადებული მაუდის ფარაჯებში გამოეწყო, ხოლო წვერი ინგლისური, კერძოდ, ბირმინგემული ფოლადისაგან დამზადებული საპარსით გაეპარსა, რომელიც საფრანგეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. პროგრესი, რომელსაც საფუძვლად დაედო წარმოების ზრდა და საერთო ეკონომიკური წინსვლა, ინგლისის ისტორიული მოკავშირე და თანამგზავრი გახდა.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება XIX ს. პირველ ნახევარში

რაოდენ დიდი არ იყო ნაპოლეონი, რაოდენ ისტორიულად პროგრესული არ უნდა ყოფილიყო. მის მიერ წარმოებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, XIX ს. უკუაგდო ერთპიროვნული, თუნდაც გენიალურ პიროვნებაზე დამყარებული განვითარების პრინციპი. სამრეწველო გადატრიალებამ, წარმოების უწყვეტმა, მასობრივმა ხასიათმა შრომის პროცესს მაქსიმალურად კოლექტიური სახე შესძინა. შრომამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. უამრავი მუშა დასაქმებული იყო მაღაროში თუ დაზგასთან, ხოლო საწარმოოს მფლობელი კაპიტალისტი დაკავებული იყო საკუთარი საწარმოს კონტროლით, შრომის მომგებიანობის მაქსიმალური ორგანიზაციით და საწარმოო მეტოქეობის საკითხების გადაწყვეტით. ყველაფერი ეს უცნობი იყო წინა საზოგადოებრივი ფორმაციებისათვის.

თავისუფალი, დაქირავებული შრომა ინგლისურ საზოგადოებაში საყოველთაო და არნახულად დიდ მასშტაბებს იძენდა. ეს იყო მატერიალური დოვლათის წარმოების ერთადერთი საშუალება. ამგვარ ეკონომიკურ სტრუქტურას კი შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობა და მმართველობის ფორმა სჭირდებოდა. ამ უკანასკნელს კი დემოკრატია წარმოადგენდა. მაგრამ დემოკრატია, ე.ი. ქვეყნის მმართველობაში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა ინგლისისათვისაც კი არ აღმოჩნდა ადვილად მიღწევადი.

ომებმა ნაპოლეონის საფრანგეთთან და საგარეო საფრთხემ ხელისუფლება ხანგრძლივი დროის მანძილზე ტორების პარტიას შეუნარჩუნა. გარეშე საფრთხის და რევოლუციის შიშმა ტორები ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო გარდაქმნის შეურიგებელ მტრებად აქცია. მაგრამ თუკი ომის პერიოდში მოსახლეობის ფართო ფენები მეტ-ნაკლებად მაინც ურიგდებოდნენ სიძნელეებს, ომისშემდგომ პერიოდში წინააღმდეგობებმა მთელი სიმწვავით იჩინეს თავი.

ომის დასასრულმა არ მოიტანა ის შეღავათები, რომელთაც მოსახლეობა ესოდენ ელოდა. მისი რაოდენობა 1815 წ. უკვე 20 მლნ. ადამიანს აღწევდა და ამგვარი დემოგრაფიული აფეთქება კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას. უამრავ გაჭირვებას გამოვლილი ხალხი ერთობ მიამიტურად ელოდა მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც იმ დროის ცნობილი ჟურნალისტი სიდნი სმიტი ირონიულად წერდა თავის ერთ-ერთ პამფლეტში „ქალიშვილებს ეგონათ, რომ ყველა ერთბაშად გათხოვდებოდა, ბავშვებს სჯეროდათ, რომ ნამცხვრების ყიდვა კაპიკების ფასად გახდებოდა შესაძლებელი,

ხელო კაპრალები და სერჟანტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ხელფასი ორმაგად გაეზრდებოდათ. მაგრამ, — ასკვნიდა სმიტი, ბრიყვები, როგორც ყოველთვის ცარიელზე დარჩნენ".

ომისშემდგომმა წლებმა არ გაამართლა მოლოდინი. ინგლისში ეკონომიკურმა სირთულეებმა იჩინა თავი. შიდა ბაზარი ჭარბი საქონლით აივსო, რომელსაც აღარ ჰქონდა გასაღება უცხოეთში. ანტიფრანგული კოალიციის ქვეყნებს აღარ ესაჭიროებოდათ ინგლისის მიერ მასობრივად წარმოებული საქონელი. ომით გაღარიბებულ ევროპას არ შესწევდა უნარი შეეძინა ინგლისური ნაწარმი. უფრო მეტიც, ბევრმა ქვეყანამ პროტექციონისტული ტარიფები შემოიღო. ყველაფერმა ამან გამოიწვია წარმოების შემცირება თავად დიდ ბრიტანეთში, რასაც უმუშევრობა მოყვა. უმუშევრობა კიდევ უფრო გაამძაფრა ევროპული და ამერიკული ფრონტებიდან დაბრუნებულმა 600 ათასმა ჯარისკაცმა, რომელთა წინაშე დასაქმების პრობლემა დადგა.

სწორედ ამგვარ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მთავრობა შეუდგა თავისი ერთერთი ამოცანის შესრულებას, სახელმწიფო ვალის გადახდას, რომელმაც ნაპოლეონთან ომის დასასრულს იმ დროისათვის არნახულად დიდ თანხას, 850 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ამ ვალდებულება თანხის დაფარვა მოხდა მოსახლეობის ფართო ფენების ხარჯზე. პარლამენტმა, რომელშიც კონსერვატულად განწყობილი მიწათმფლობელები სჭარბობდნენ ჩააგდო საშემოსავლო გადასახადის კანონპროექტი. სამაგიეროდ შემოიღეს უამრავი გადასახადი პირველადი მოხმარების საგნებზე, რაც სწორედ მოსახლეობის ფართო ფენებს დააწვა მძიმე ტვირთად.

მშრომელთა მდგომარეობას ამძიმებდა უამრავი დრომოჭმული კანონი თუ დებულება, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა იმ დროის მანქანურ წარმოებაზე დაფუძნებულ მრეწველობას (მაგ. შუასაუკუნეობრივი კანონი, რომლის მიხედვით ზოგიერთ საგრაფოში მუშების ხელფასს მომრიგებელი მოსამართლეები ადგენდნენ). ხშირად მუშებს ღატაკთა რიგებიდან იყვანდნენ. ეს საშუალებას აძლევდა ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებს საკუთარი შემოსავალი დაეზოგათ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ამ კატეგორიის მუშებს ეძლეოდათ მინიმალური ხელფასი ღარიბთათვის გაღებული შემწეობის ფონდიდან. მუშახელის დაქირავების ამგვარი პრინციპი ძალზე მომგებიანი იყო და მეპატრონეებიც ეანუხრელად აფართოვებდნენ მის გამოყენებას. ამაზე შემდეგი ციფრებიც მეტყველებდნენ. თუკი 1811 წ. ამ კატეგორიის მუშები 1 მლნ. 340 ათასს შეადგენდნენ, 1821 წ. მათმა რიცხვმა 2,5 მლნ. მიაღწია.

მშრომელთა მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მიწათმფლობელთა ინტერესების დასაცავად ფეოდალებმა 1815 წ. მიიღო ე.წ. პურის (ხორბლის) კანონები. ამ კანონების შესაბამისად უცხოეთიდან შემოტანილი პური გაყიდვაში შემოდიოდა მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივი ერთი კუოტური ხორბლის ფასი 4 გირვანქა სტერლინგს მიაღწევდა. მაგრამ ბაჟის წყალობით იზრდებოდა შემოტანილი პურის ფასიც. ამგვარად, მომხმარებელი თავისებურ მოჯადოებულ რკალში ექცეოდა.

პურის კანონები არა მარტო გაუსაძლისს ხდიდნენ მშრომელთა ცხოვრებას, არამედ იწვევდნენ ვაჭართა და კაპიტალისტების უკმაყოფილებასაც. კერძოდ, ეს უკანასკნელები იძულებულები ხდებოდნენ პურის გაძვირების გამო გაეზარდათ მუშების ხელფასი. ამიტომ, მწვავე შიდაკლასობრივი წინააღმდეგობების მიუხედავად მუშებისა და მეწარმეების ინტერესები კონსერვატულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში გარკვეულწილად ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

ამგვარ პირობებში მუშების მდგომარეობა შეუდარებლად მძიმე იყო. ხანგრძლივი (ზოგჯერ 16-სთ) სამუშაო დღე, შრომის და ცხოვრების აუტანელი პირობები, შრომის უსაფრთხოების უქონლობა, მინიმალური ხელფასი მათ ცხოვრებას ადამიანური ყოფის ელემენტარულ სახეს უკარგავდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ქალებისა და ბავშვების მდგომარეობა. მათი დაქირავება წარმოების ზოგიერთ დარგებში (მაგ. საფეიქრო მრეწველობა) უფრო მომგებიანი იყო რიგი მიზეზების გამო (მოქნილობა, ხელის სიმარდე). მათ ისეთივე ექსპლუატაცია ეწეოდა, როგორც მამაკაცებს, მაგრამ ამ მძიმე შრომის სანაცვლოდ გაცილებით ნაკლები ხელფასი ეძლეოდათ.

მუშების დუხჭირ ცხოვრებას ემატებოდა მათი პოლიტიკური უუფლებობა. ისინი მოკლებულები იყვნენ ყოველგვარ საშუალებას შეექმნათ საკუთარი უფლებების დამცველი ორგანიზაცია, ემოქმედათ ერთმანეთის მხარდამხარ და ერთმანეთისათვის პროფესიული თანადგომა გაეწიათ. მუშების გაერთიანება ნებისმიერი სახის ორგანიზაციაში კანონით იყო აკრძალული. იყო შემთხვევები, როდესაც მუშებს სამართალში აძლევდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ბედავდნენ თავიანთი გარდაცვლილი მეგობრების დასაკრძალავი ფულის შეგროვებას.

ყოველივე ეს მუშების ცხოვრებას გაუსაძლისს ხდიდა. ამიტომაც, მკაცრი კანონების და აკრძალვების მიუხედავად ჯერ კიდევ ნაპოლეონთან ომის ბოლო წლებში და ომისშემდგომ პერიოდში იმატა მასობრივი გამოსვლების რიცხვმა. ამ გამოსვლებში არა მარტო მუშები, არამედ მოსახლეობის სხვა ფენებიც მონაწილეობდნენ. 1811-1813 წწ. ადგილი ჰქონდა ლუდიტთა მოძრაობას, 1816 წ. სპა ფილდსში, ლონდონის მახლობლად მოხდა მშრომელთა გამოსვლა, რომელიც ჩახშობილ იქნა. ამ გამოსვლით შეშინებულმა მთავრობამ დროებით, 1817 წლამდე შეაჩერა Habeas Corpus Act-ის მოქმედება.

1817 წ. მრავალრიცხოვანი უმუშევარი და ღატაკი დაიძრა მანჩესტერიდან ლონდონისაკენ, მაგრამ მთავრობის მიერ გამოგზავნილმა ჯარებმა დაარბიეს ეს მსვლელობა. ამ შემოტევებმა ვერ შეაშინეს მუშები, რომელთა ანტისამთავრობო განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებდა რადიკალურად განწყობილი მოღვაწეების, კერძოდ კი ჰენრი ჰანტის და უილიამ კობეტის აგიტაცია. მუშების საზოგადოებრივი ცნობიერება იმ ხანად ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი იყო, ისინი ვერ მოიაზრებდნენ სოციალური ბრძოლის მასშტაბურ ამოცანებს. ამიტომაც მასობრივ მოძრაობას სათავეში წვრილი ბურჟუაზიის ზემოხსენებული წარმომადგენლები და მათი სხვა თანამოაზრე იდგა.

ჰანტი უბადლო ორატორი იყო, რომელსაც უნარი შესწევდა თავისი მგზნებარე სიტყვით დაემუხტა მრავალრიცხოვანი მიტინგი. კობეტი კი უფრო კლასობრივი ბრძოლის თეორიით იყო დაკავებული. იგი აკრიტიკებდა კაპიტალისტებს, ლენდლორდებს, მოუწოდებდა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისაკენ, გმობდა მშრომელთა დაუნდობელ ექსპლუატაციას, მოითხოვდა პურის კანონების გაუქმებას, საპარლამენტო რეფორმის გატარებას და საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას.

მაგრამ კობეტის სოციალურ-ეკონომიკური იდეალი — წვრილ გლეხურ მეურნეობაზე და წვრილ ხელოსნურ წარმოებაზე დამყარებული საზოგადოება, უდავოდ უპერსპექტივო იყო. რეალურ ისტორიულ პირობებში პროგრესი და დემოკრატიზაცია ისევ და ისევ კაპიტალიზმის შემდგომ დახვეწას უნდა მოეტანა. საერთო ჯამში რადიკალების აგიტაციას რასაკვირველია დადებითი შედეგი ჰქონდა. იგი მოსახლეობას პოლიტიკურად უფრო აქტიურს ხდიდა.

აღნიშნულ პირობებში იზრდებოდა ბურჟუაზიის პოლიტიკური აქტიურობაც. მაგრამ თუკი მუშები თავისი კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ლუკმა-პურის პრობლემით იყვნენ დაკავებული, მატერიალურად უზრუნველყოფილმა ბურჟუაზიამ დღის წესრიგში პოლიტიკური მოთხოვნები დააყენა. ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნების შეხამება რასაკვირველია უფრო მაღალ საფეხურზე აყენებდა სოციალურ ბრძოლას.

1816 წ. სიტის მდიდარმა ვაჭრებმა და ფინანსისტებმა ლორდ-მერის მეთაურობით პეტიცია წარუდგინეს უფლისწულ-რეგენტს, რომელშიც მოთხოვდნენ არსებული საარჩევნო სისტემის მანკიერებების აღმოფხვრას. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ნათქვამი იყო პეტიციაში, სახელმწიფო დაიღუპება. ასე რომ, ხელისუფლება არა მარტო მუშების შეტევის ობიექტი გახდა, არამედ იმ კლასისაც, რომელშიაც ის თავის თავისებურ დასაყრდენს ხედავდა.

პროტესტის გაფართოებას ბიძგი მისცა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ. რადიკალებმა გააძლიერეს თავისი აგიტაცია. 1819 წ. მანჩესტერის მახლობლად, პიტერსფილდში მთავრობის ბრძანებით ჯარმა დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, რომელსაც 80 ათასი კაცი ესწრებოდა. დაიჭრა 400 და მოკლულ იქნა რამოდენიმე ადამიანი. გულმოსულმა ხალხმა ამ დარბევას ირონიულად პიტერლოო უწოდა. ამით მშვიდობიანი მომიტინგეების ხოცვას ვატერლოოსთან გამარჯვებას უპირისპირებდნენ.

ამ დარბევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ცნობილი პოეტი, რომანტიკოსი პერსი შელი თავის ლექსში „სიმღერა ინგლისელი ხალხისადმი“ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. სიტის ვაჭრებმა მთავრობას პეტიცია წარუდგინეს, სადაც გამოხატავდნენ თავის პროტესტს იმის გამო, რომ დარღვეულ იქნა ინგლისელთა მტკიცედ ჩამოყალიბებული უფლება-საჯაროდ შეკრებილიყვნენ და განეხილათ ქვეყნის მართვაში არსებული ნაკლოვანებები. როდესაც უფლისწულმა რეგენტმა თავის საპარლამენტო გამოსვლაში არსებულ წეს-წყობილებას სრულყოფილი უწოდა პარლამენტიდან დაბრუნებისას, მის ეტლს ლონდონელებმა ქვები დაუშინეს.

„პიტერლოოს“ მოვლენებმა და მდგომარეობის გამწვავებამ მთავრობას რეპრესიებისაკენ უბიძგა. მომრიგებელმა მოსამართლეებმა ჩხრეკის ჩატარების უფლება მიიღეს, ქალაქებში, რომლებიც არ სარგებლობდნენ თავითმმართველობის უფლებით (ასეთები კი დიდი სამრეწველო ცენტრები იყვნენ)

[illegible]ალა საზოგადოებრივი თავშეყრები, ხელისუფლებამ დაიწყო პრესის შევიწროვება. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის მთავრობა მოქმედებდა იმ რეაქციული პოლიტიკის მაგვარად, რომელსაც ატარებდნენ კონტინენტის ქვეყნების პოლიტიკოსები.

მაგრამ ამგვარი საგანგებო კანონები ეწინააღმდეგებოდა ინგლისის კონსტიტუციურ მოწყობას და პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკას. მართვის რეპრესიული ფორმები უცხო იყო როგორც ინგლისური პოლიტიკური ტრადიციისათვის, ასევე ინგლისური საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის. XIX ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული ინგლისში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, რამაც მეტი გასაქანი მისცა ლიბერალური მიმართულების პოლიტიკოსთა მოღვაწეობას.

ცვლილებები, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის თანდათანობითი ლიბერალიზაცია, რომელიც დაიწყო დიდ ბრიტანეთში, განხილულ უნდა იქნას როგორც ეკონომიკური და იდეური სიახლეების შედეგი. დაიწყო წარმოების სწრაფი ზრდა. XIX ს. 20-იანი წლების პირველ ნახევარში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 58%, ბამბეულის კი 40%. ასევე სწრაფად იზრდებოდა წარმოებაში საფეიქრო და ორთქლის მანქანების გამოყენების რიცხვი. ფართოდ გაიშალა ორთქლის მეშვეობით მოძრავი გემების მშენებლობა.

წარმოების გაფართოებას მუშათა კლასის რაოდენობის ზრდა მოყვა. მუშები თანდათანობით მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. სწორედ ამიტომ იცვლებოდა დამოკიდებულება ამ კლასის მიმართ, იქმნებოდა თეორიები, რომლებიც ამ კლასის გარკვეულ, მყარ როლზე და ადგილზე მიანიშნებდნენ საზოგადოებრივ სისტემაში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი დეივიდ რიკარდო (1772-1823 წწ.). რიკარდოს თეორიამ საქონლის ღირებულებას საფუძვლად შრომა დაუდო, რაც უდავოდ პროგრესულ მომენტს წარმოადგენდა.

იმავე დროს რიკარდომ გააკრიტიკა მოსაზრება, რომლის თანახმად ქვეყნის დოვლათი იზრდება მუშების ხელფასის შემცირების პროპორციულად და დაასაბუთა ამ შეხედულების სიმცდარე. რიკარდომ ჩამოაყალიბა დებულება ხელფასის მინიმუმის შესახებ. ეს არის ოჯახის არსებობისათვის საჭირო მინიმუმი, ზღვარი, რომლის ქვემოთ ჩამოსვლა დაუშვებელია. ამრიგად, შეიქმნა თეორია, რომელშიც დაასაბუთა მუშების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

უფრო შორს გადადგმული ნაბიჯი არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფისაკენ, კერძოდ კი, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ იყო ქველმოქმედ რობერტ ოუენის (1771-1858 წწ.) მოღვაწეობა. მისი სახით ინგლისის პოლიტიკურ სამყაროში შემოვიდა სოციალისტური (კომუნისტური) მიმდინარეობა. მეწარმე და ქველმოქმედი, საზოგადოების სრულყოფის იდეით გატაცებული ადამიანი, ოუენი გამოვიდა თავად კაპიტალისტური სისტემის კრიტიკით. მისი აზრით ბოროტების სათავე არა მოვლენათა არსში იყო საძიებელი, არამედ ადამიანური თვისებების არასრულყოფილებაში, შეცდომებსა და ზნეობრივ ნაკლოვანებებში.

ოუენმა ჩაატარა რიგი ექსპერიმენტებისა, რათა მოენახა საზოგადოების სრულყოფის გზები. ნიუ ლანარკში, გლაზგოს მახლობლად, მან შექმნა თავისებური საცდელი საწარმო, სადაც 10,5 სთ-მდე შეამცირა სამუშაო დღე, გააუმჯობესა შრომის პირობები, საწარმოსთან ჩამოაყალიბა ბაგა-ბაღები, აკრძალა ბავშვების შრომა, დააწესა პენსიები და შემწეობები, გაზარდა ხელფასები. მოგვიანებით, გადავიდა რა საცხოვრებლად ამერიკაში, იუენმა თავის თანამზრახველებთან ერთად მიზნად დაისახა შეექმნა კომუნისტური ახალშენი, მომავალი უკლასო, კერძო საკუთრებისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩანასახი. მაგრამ ოუენის მცდელობა უტოპიური გამოდგა. საკუთრებას მოკლებული საზოგადოებრივი ფორმები უსიცოცხლო გამოდგა და „ახალი ჰარმონია", როგორც უწოდებდნენ ახალშენს, მალე დაიშალა.

XIX ს. 30-იან წლებში ინგლისში დაბრუნებულმა ოუენმა კვლავ წამოიწყო ახალი სოციალისტური ექსპერიმენტი. მან ლონდონში შექმნა გაცვლითი ბაზარი, რომელიც ახორციელებდა სასაქონლო ურთიერთობებს გაცვლის საყოველთაო საშუალების, ფულის გარეშე. ამით ოუენს უნდოდა შეექმნა წინაპირობა ისეთი საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც ადგილი არ ექნებოდა ფულს, კერძო საკუთრების ერთ-ერთ ქვაკუთხედს და მატერიალური დოვლათის გაცვლა მოხდებოდა თვითრეგულირებული მოთხოვნების შესაბამისად.

მაგრამ ოუენის ეს ცდაც მარცხით დამთავრდა. მისი უდავოდ კეთილშობილი სწრაფვები არარეალური გამოდგა, რადგანაც არ ემყარებოდა საზოგადოების ისტორიული განვითარების თუმცა ერთობ მძიმე, მაგრამ ერთადერთ კანონზომიერ გზას. ოუენის იდეებს გარკვეულად დოქტრინერობის

ელფერი დაჰკრავდა. მისი მეთოდები (ფულის, კერძო საკუთრების აკრძალვა) საზოგადოებას ერთობ ხელოვნურ და თანაც მკვეთრ მარწუხებში მოაქცევდა. მაგრამ კაპიტალიზმის მისეული კრიტიკა, ბრძოლა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის შემდგომში პროგრესული შრომის კანონმდებლობის საწინდარი გახდა.

ამ განყენებული თეორიების ფონზე, რომლებსაც საყოველთაო ჰარმონია და კეთილდღეობა უნდა მოეტანა და რომლებიც თეორეტიზირებისადმი ესოდენ დიდი ლტოლვის მქონე ფრანგული პოლიტიკური ცნობიერებიდან იყო ნასესხები, სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ინგლისელი მოაზროვნის ჯერემი ბენტამის (1771-1832 წწ.) მოსაზრებები. ბენტამის ამოსავალი წერტილი იყო სარგებლიანობა. ნებისმიერი ნაბიჯი, ნებისმიერი წამოწყება უშუალო, კონკრეტულ სარგებელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამიტომაც ბენტამის მოძღვრებას უტილიტარიზმი (Utility — სარგებელი, სარგებლიანობა — ინგ.) ეწოდა. ამ კონკრეტული სარგებლის მიზანი ბენტამის თქმით იყო ბედნიერების მიღწევა. თავად ბედნიერება კი ინდივიდების შეძლებისდაგვარად მეტ რიცხვს უნდა მოიცავდეს.

ამრიგად, ბენტამის და შესაბამისად უტილიტარიზმის მიზანი იყო არა რაღაც სრულებით ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის შექმნა, სოციალურ-პოლიტიკური განზომილების ერთი მდგომარეობიდან ახალში გადასვლა, არამედ საზოგადოების თითოეული წევრისათვის შეძლებისდაგვარი, კონკრეტული სარგებლის გამონახვა, რომელიც გააუმჯობესებდა მის მდგომარეობას.

როგორც ჩანს, ბენტამის ძალზე მიწიერი იდეები კონკრეტული სარგებლის შესახებ უფრო ადვილად აღსაქმელი იყო პრაგმატული ინგლისური ცნობიერებისათვის. ბენტამი მოუწოდებდა, რომ სისტემის შეცვლის ნაცვლად გადაესინჯათ და გაეუმჯობესებინათ თითოეული კანონი, ნორმა, თუ წეს—ჩვეულება. ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც სწორედ ამ გზით წარიმართა.

XIX ს. 20-იან წლებში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ადამიანები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ ე.წ. „ახალგაზრდა ტორები“: ჯორჯ კანინგი, რობერტ პილი, უილიამ ჰასკინსონი. ისინი არისტოკრატიის იმ ნაწილს წარმოადგენდნენ, რომელიც მიხვდა ცვლილებების აუცილებლობას, თუნდაც იმიტომ, რომ შეენარჩუნებინა საკუთარი პოზიციები. კონტინენტის დიდგვაროვნებისაგან განსხვავებით მათ ხელი შეუწყვეს ცვლილებებს. როცა კონტინენტზე რევოლუციებმა იფეთქა, ინგლისში ცვლილებების ინიციატივა ხელისუფლებიდან წამოვიდა, ე.ი. განხორციელდა თავისებური „რევოლუცია ზემოდან“.

გარდაქმნები საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გატარდა. მრეწველობის განვითარების და მუშათა კლასის ზრდის პირობებში კანონი პროფესიული კავშირების აკრძალვის შესახებ სულ უფრო მეტად იძენდა ანაქრონიზმის სახეს. ამ აკრძალვის მოწინააღმდეგეები, გამოდიოდნენ რა ბენტამის შეხედულებებიდან ამტკიცებდნენ, რომ აკრძალვის გაუქმება უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა მთელ საზოგადოებას. არსებულ პირობებში მუშების საიდუმლო შეკრებები თუ გაერთიანებები ლამის ტერორისტულ ხასიათს იძენდნენ, მაშინ, როცა მათი დაშვება მუშებს საშუალებას მისცემდა მშვიდობიანად ეწარმოებინათ დავა მეპატრონეებთან.

ამ აკრძალვის მოწინააღმდეგეთა თავკაცმა, გამდიდრებულმა მკერავმა პლესმა შემოიკრიბა გარშემო ლონდონელი რადიკალები, პარლამენტარები. იგი ატარებდა მუშების გამოკითხვას, აგროვებდა მასალებს მათი მდგომარეობის შესახებ.

მოძრაობამ საბოლოოდ დადებითი შედეგი გამოიღო. 1824 წ. მუშებმა მიიღეს უფლება შეექმნათ პროფესიული კავშირები (თრეიდ იუნონები). პროფკავშირებმა უფრო ორგანიზებულად და ენერგიულად წარმართეს ბრძოლა ხელფასის გაზრდისა და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, 1825 წ. გამოსული კანონით პროფკავშირებს აეკრძალათ აგიტაცია საგაფიცვო მოძრაობის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელმა კანონმა თითქმის 50 წელი იარსება.

შემდგომი და ერთობ მნიშვნელოვანი ნაბიჯი სახელმწიფო სისტემის ლიბერალიზაციის გზაზე იყო სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა. ამ რეფორმის ინიციატორი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი სერ რობერტ პილი. პილმა გააუქმა ორასამდე მუხლი, რომელთა თანახმად ძალზე უმნიშვნელო დანაშაულიც კი სიკვდილით ისჯებოდა. მანვე შექმნა პირველი საპოლიციო სამსახური.

გარკვეული ძვრები მოხდა ვაჭრობის სფეროში. აქ ერთობ ენერგიულად მოქმედებდა სავაჭრო საბჭოს პრეზიდენტი (თავმჯდომარე) უილიამ ჰასკინსონი. ჰასკინსონი გაგებით ეკიდებოდა ინგლისის ეკონომიკის მიღწევებს და მიიჩნევდა, რომ ამგვარ პირობებში დასაშვები იყო ზოგიერთი სა-

ვაჭრო კანონის ლიბერალიზაცია. სანავიგაციო აქტების შენარჩუნების მიუხედავად მთავრობამ მიაღწია იმას, რომ უცხო ქვეყნებთან დაედო ხელშეკრულება რათა ამ უკანასკნელთა გემებს მინიჭებოდა ინგლისის ნავსადგურებში შემოსვლის უფლება. ეს რიგ შემთხვევაში უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა უცხოურ საქონელს.

შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით მთავრობამ შეამცირა სახელმწიფო ვალის პროცენტები და გაამარტივა რთული საბაჟო სისტემა. ამ ნაბიჯს კი მოყვა ზოგიერთი მოსაკრებლის გაუქმება და სხვადასხვა სახის საქონელზე ბაჟის შემცირება. შემოტანილ მარცვლეულზე არსებული საბაჟო გადასახადები ძალაში დარჩა, მაგრამ მთავრობამ მიიღო მცოცავი ტარიფი. ამით დაშვებულ იქნა უცხოური მარცვლის შემოტანა მაშინაც, როცა მისი ფასი შიდა ბაზარზე შედარებით დაბალი იყო, 60 შილინგი (ნაცვლად 80-ის) ერთ კუოტერზე.

ჰასკინსონი წარმოადგენდა უტილიტარისტული პრინციპების ჭეშმარიტ განსახიერებას. თავის საჯარო გამოსვლებში მას არაერთხელ უთქვამს, რომ სულაც არ სურს დანერგოს სიახლეები, თუკი ამას არ მოითხოვს შექმნილი მდგომარეობა. მაგრამ იქვე დასძენდა, რომ მთავრობა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს კანონში, თუკი ეს უკანასკნელი ამუხრუჭებს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

მნიშვნელოვან ნაბიჯს სახელმწიფოს შემდგომი ლიბერალიზაციის გზაზე იყო პროტესტანტი დისიდენტების წინააღმდეგ არსებული კანონების გაუქმება. სამრეწველო გადატრიალების პერიოდში, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მძიმე, ხშირად გაუსაძლის მატერიალურ პირობებში აღმოჩნდა, ზოგიერთი პროტესტანტული სექტა (მეთოდისტი — უესლიანელები, ევანგელისტები) ამ ადამიანებისათვის თავისებურ სულიერ თავშესაფარად იქცა. ამ სექტების იდეოლოგია (განსაკუთრებით უესლიანელების) თავისებურ შემრიგებლურ სულისკვეთებას უნერგავდა ადამიანებს დუხჭირი ცხოვრებისადმი, რითაც გარკვეულწილად ანეიტრალებდა კლასობრივ ანტაგონიზმს.

იმავდროულად ეს იდეოლოგია ხელს უწყობდა ჰუმანიტარული სულისკვეთების გაღვივებას. ამის შედეგად მეთოდისტებსა და ევანგელისტებს შორის ფართოდ გაიშალა საქველმოქმედო საქმიანობა. მათი რიგები გაფართოვდა. ამ მიმდინარეობებს შედარებით მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ისინი მუშებს შორის ავრცელებდნენ წერა-კითხვას, იბრძოდნენ ზანგების მონობის გაუქმებისათვის, მოითხოვდნენ საქარხნო კანონმდებლობის გაუმჯობესებას. ამრიგად, მათმა საქმიანობამ გააძლიერა ლიბერალური ტენდენციები ინგლისურ საზოგადოებაში.

ამ მიმდინარეობებზე დაყრდნობით ახალგაზრდა ვიგმა, ლორდმა ჯონ რასელმა 1828 წ. პარლამენტში გაატარა კანონი, რომელმაც გააუქმა აკრძალვა, რომლის მიხედვით პროტესტანტ-დისიდენტებს არ ჰქონდათ სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო პოლიტიკური განვითარების გზაზე.

დისიდენტებისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება სერიოზულ დარტყმას წარმოადგენდა კონსერვატული პოლიტიკური სისტემისათვის. სწორედ მან მისცა ბიძგი ამ სისტემის შემდგომ ლიბერალიზაციას, რაც გამოიხატა კათოლიკეთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებაში.

კრომველის დროიდან მოყოლებული ირლანდია ინგლისის მთავრობის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მონაკვეთად რჩებოდა. რელიგიური განსხვავება არნახულად ამწვავებდა ურთიერთობას კათოლიკე ირლანდიელებს (კელტებს) და ინგლისური და შოტლანდიური წარმოშობის პროტესტანტ იმიგრანტებს შორის. ეს უკანასკნელნი, რომელთა წინაპრები ირლანდიაში მასობრივად კრომველის დროს გამოჩნდნენ თავად სთვლიდნენ თავს ირლანდიელებად და ქვეყნის კანონიერ შვილებად. XIX ს. წინააღმდეგობის მიზეზს კვლავ რელიგიური განსხვავება წარმოადგენდა. დიადი რევოლუციის დროს კათოლიკე ირლანდიელების მიერ ჯეიმს II დახმარების გაწევა საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის. ამით მათ პროტესტანტი ინგლისელების წარმოდგენაში საბოლოოდ დაიმკვიდრეს მტრის სახელი. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკეებმა უმცროსი პიტის მცდელობით 1794 წ. მიიღეს ხმის უფლება, მათ კვლავ არ ჰქონდათ უფლება არჩეული ყოფილიყვნენ პარლამენტში.

უუფლებობას რელიგიურ ნიადაგზე ემატებოდა ეკონომიკური ჩაგვრა. პროტესტანტი ლენდლორდები ყოველნაირად ავიწროვებდნენ ღარიბ ფერმერებსა და მოჯამაგირეებს, რომლებიც ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდნენ. ეს უკანასკნელნი პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ. ადგილი ჰქონდა მემამულეთა სახლ-კარის გადაწვას, შეიარაღებულ თავდასხმებს, მკვლელობებს. ფართოდ იყო გავრცელებული შეიარაღებული ფარული

რაზმების მოქმედება, ისეთების, როგორებიც იყვნენ მაგ. „თეთრი ბიჭები". სწორედ ამგვარი მოვლენების ფონზე გაიშალა ისეთი მასობრივი ორგანიზაციის მოქმედება, როგორიც იყო კათოლიკური ასოციაცია.

ეს ორგანიზაცია 1823 წ. ჩამოაყალიბა ირლანდიელმა ადვოკატმა, თავად კათოლიკემ, ძველი კელტური გვარის მდიდარმა შთამომავალმა დენიელ ო'კონელმა. რიხმა, ენერგიულმა მოქმედებამ, მჭერმეტყველებამ ო'კონელს დიდი პოპულარობა მოუპოვა თანამემამულეთა შორის. მან გეზი მასობრივი მიტინგების ჩატარებაზე აიღო, რითაც კათოლიკურ მოსახლეობას არნახულად ძლიერი პოლიტიკური მუხტი შესძინა. ხელისუფლებამ ასოციაცია რამოდენიმეჯერ აკრძალა, მაგრამ დაუშრეტელი ენერგიის მქონე ო'კონელი ყოველთვის ახერხებდა მის აღდგენას სხვა სახელითა თუ ფორმით. ასოციაციის საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებული გახდა მას შემდეგ, რაც მას კათოლიკე საძღვდელოება მიემხრო, რომელსაც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. სწორედ ამგვარი საერთო ძალისხმევის შედეგად მოხდა უპრეცედენტო რამ. კათოლიკეთა წინააღმდეგ არსებული კანონის მიუხედავად ო'კონელი პარლამენტის დეპუტატად იქნა არჩეული.

ო'კონელის პარლამენტის დეპუტატად არჩევით დაძაბულობამ თავისი მწვერვალს მიაღწია. კანონის თანახმად მას არ ჰქონდა ამის უფლება. მაგრამ მისი პარლამენტში არდაშვება ირლანდიაში საყოველთაო აჯანყებას გამოიწვევდა. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა. ამგვარ სიტუაციაში პრემიერ-მინისტრმა ჰერცოგმა ველინგტონმა, მისთვის ჩვეული კონსერვატულობის მიუხედავად პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოავლინა. ძველმა ჯარისკაცმა მაშინვე იგრძნო „დენთის სუნი" და განაცხადა, რომ არ დაუშვებს, რომ მისი ქვეყანა სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცეს, თუნდაც ყველაზე სახიფათო ნაბიჯის გადადგმის ფასად.

1829 წ. ველინგტონმა სერ რობერტ პილის მხარდაჭერით პარლამენტში გაატარა კანონი კათოლიკეთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების შესახებ. კათოლიკეებს უფლება მიეცათ პარლამენტის დეპუტატებად არჩეულიყვნენ, თუმცა კი ამისთვის დაწესებულ იქნა მაღალი საარჩევნო ცენზი. ეს პოლიტიკური ნაბიჯი უდავოდ მნიშვნელოვანი და დადებითი იყო თავისი ხასიათით. ინგლისმა მორიგი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციის გზაზე. მაგრამ როგორც ზოგიერთ ბრიტანელი, თუ სხვა ქვეყნის ისტორიკოსი თვლის, ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა. მას არ შესწევდა ძალა გაექარწყლებინა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ირლანდიელთა ბოლმა და მოეხდინა კათოლიკეებისა და პროტესტანტების შერიგება.

კათოლიკეთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება, ამ პოლიტიკური აქტის გარშემო ატეხილი ვნებათაღელვა საყურადღებოა კიდევ ერთი მიზეზის გამო. ეს ნაბიჯი გამოხატავდა არა მარტო ბრიტანეთის მმართველი წრეების დამოკიდებულებას კათოლიკური პრობლემის მიმართ, არამედ არსებული პოლიტიკური სისტემის შემდგომი ლიბერალიზაციის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტორების პარტიის ბევრი წევრი თვლიდა, რომ კათოლიკეთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება გამოიწვევდა საარჩევნო სისტემის შემდგომ ცვლილებას, რაც ესოდენ არასასურველი იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებული მიწათმფლობელთა პარტიისათვის.

პოლიტიკური სისტემა კი ნამდვილად საჭიროებდა ცვლილებებს. არათუ ქალაქისა და სოფლის მუშები, რომლებიც XIX ს. პირველი მეოთხედისათვის ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან და ყველაზე უუფლებო კლასს წარმოადგენდნენ, არამედ საშუალო შეძლების ვაჭრები და მეწარმეები, რომ არ ვილაპარაკოთ გონებრივი შრომის ადამიანებზე, მოკლებული იყვნენ საშუალებას თავისი წარმომადგენლები ყოლოდათ პარლამენტში, რომლებიც შესძლებდნენ მათი უფლებების დაცვას. ეს განპირობებული იყო 1710 წ. მიღებული კანონით. მის თანახმად პარლამენტის დეპუტატად არჩევის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ იმ ადამიანს, რომლის საკუთრებაში მყოფი მაბუალი წელიწადში იძლეოდა სულ ცოტა 300 გირვანქა სტერლინგის შემოსავალს. ამით პარლამენტს მიღმა რჩებოდა ყველა, მსხვილი მიწათმფლობელებისა და იმ მდიდარი ვაჭრების გარდა, რომლებსაც შეეძლოთ დიდი მამულების ყიდვა.

მაგრამ ეს ფაქტიც კი არ შეიძლება ჩაითვალოს იმჟამინდელი ინგლისური საარჩევნო სისტემის ყველაზე დიდ ნაკლად. დღესდღეობით ძალზე მდიდარი ადამიანიც კი, რომელსაც პარლამენტის დეპუტატობა სურს, ასე თუ ისე იძულებულია გაითვალისწინოს ამომრჩეველთა მოთხოვნები და გააკეთოს გარკვეული დაპირებები. იმ დროის კანდიდატობის დეპუტატებს არ ჰქონდათ ამის საჭიროება. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა ტიუდორების შემდეგ მაინც და მაინც არ შეცვლილა. XIX ს. 30-იანი წლებისათვის ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში

658 დეპუტატი იყო) სხვა მონაცემებით ეს რიცხვი უდრიდა 424). ამათგან 186 დეპუტატს საგრაფოთა საკრებულოები ირჩევდნენ, 5 დეპუტატს უნივერსიტეტები აგზავნიდნენ, ხოლო დეპუტატთა უმრავლესობა – 467 ე.წ. დამპალ ადგილებზე მოდიოდა. მათ ხშირად ჯიბის ადგილებსაც (pocket boroughs) უწოდებდნენ.

სწორედ ისინი წარმოადგენდნენ იმ დროის საარჩევნო სისტემის არადემოკრატიული არსის დასაყრდენს. მათი უმრავლესობა წარმოადგენდა ტერიტორიას, სადაც არავითარი ადგილი არ ჰქონდა რაიმე პოლიტიკურ, ან თუნდაც ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგ. ბირალსტოუნში ერთადეროი სახლი იყო, დენვიჩი საუკუნეების მანძილზე დატბორილი იყო, ხოლო ჰატონი მხოლოდ და მხოლოდ პარკს წარმოადგენდა. ბეკრ მათგანში 50 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ ამგვარი ჯიბის ადგილების მფლობელებს თავად შეეძლოთ შეერჩიათ და აერჩიათ დეპუტატები. მაგ. ჰერცოგ ნორტუმბერლენდს პარლამენტში 11 დეპუტატის გაგზავნა შეეძლო. ხშირად დაუსახლებელი ადგილის მფლობელი თავის თავს „ირჩევდა" პარლამენტში. ამგვარად 658 დეპუტატიდან 357 ამგვარი სახით იყო არჩეული.

ამომრჩევლებზე ზეწოლა ან მათი მოსყიდვა ჩვეულებრივ და ლამის სავალდებულო მოვლენას წარმოადგენდა. 1829 წ. ჰერცოგმა ნიუკასლმა თავის მფლობელობაში მყოფი დამპალი ადგილის მაცხოვრებლები გაასახლა იმის გულისათვის, რომ მათ გაბედეს ხმა მიეცათ ჰერცოგის კანდიდატის მეტოქისათვის. თავისი მოქმედება კი ჰერცოგმა ასე ახსნა: „ნუთუ მე არა მაქვს უფლება ჩემს საკუთრებას მოვექცე ისე, როგორც მე მსურს?". ამგვარად, პარლამენტი წარმოადგენდა ოლიგარქიული მმართველობის ორგანოს.

რასაკვირველია, ტორების პარტიას, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს გამოხატავდა, სავსებით აწყობდა ამგვარი საარჩევნო სისტემა, მაგრამ იგი არ აწყობდა ვიგებს, რომლებიც ვაჭრების და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეების ინტერესებს გამოხატავდნენ და მით უფრო რადიკალებს, რომელთა მიმდეკრები წვრილი მესაკუთრეები და მუშები იყვნენ. სწორედ ვიგები თავისი საპარლამენტო გამოსვლებით და რადიკალები მასობრივი მანიფესტაციებითა და მიტინგებით ცდილობდნენ ზეწოლა მოეხდინათ ხელისუფლების სათავეში მყოფ ტორებზე, რათა ამ უკანასკნელთ დაეშვათ საარჩევნო სისტემის რეფორმა.

ვიგებისა და რადიკალების აქტიურობას საგარეო პოლიტიკურმა მოვლენებმაც შეუწყვეს ხელი. 1830 წ. საფრანგეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. რევოლუციამ დაამხო ფეოდალიზმის პრინციპებზე დამყარებული ბურბონთა მონარქია და ხელისუფლების სათავეში ახალი მეფე, ორლეანების დინასტიის წარმომადგენელი ლუი-ფილიპე მოიყვანა. ლუი-ფილიპე კი ვაჭრებისა და კაპიტალისტების ინტერესებს გამოხატავდა. კონტინენტზე ე.წ. „საშუალო კლასის" გამარჯვებამ აღაფრთოვანა ვიგები და რადიკალები ინგლისში და გამოაღვიძა მათში 1688 წ. რევოლუციის მოგონებები. პრემიერ-მინისტრი ჰერცოგი ველინგტონი, რომელმაც კათოლიკეთა საკითხში შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა ამჯერად ჯიუტად გაიძახოდა, რომ არსებული საარჩევნო სისტემა სრულყოფილების განსახიერებაა და თავად იგი თავგამოდებით იბრძოლებს მისი შეცვლის წინააღმდეგ. ამან 1830 წ. ტორებისგან შემდგარი მთავრობის გადადგომა გამოიწვია. ხელისუფლების სათავეში ვიგები მოვიდნენ გრაფ გრეის მეთაურობით.

ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა ვიგებმა თავის დევიზად საარჩევნო რეფორმის მოთხოვნა წამოაყენეს. ბილი (კანონპროექტი) საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ ყველაზე პოპულარულ ლოზუნგად იქცა. „ბილი, ბილი მილიანად, არაფერი ბილს გარდა". ასეთი იყო ვიგების წინასაარჩევნო მოთხოვნა. რეფორმის გატარებას 15 თვიანი ბრძოლა დასჭირდა.

საინტერესოა, რომ ამ ბრძოლის დროს გაკეთებული განცხადებების დედააზრი რეფორმის მომხრეების და მოწინააღმდეგეების მხრიდან პოლიტიკური ცნობიერების ერთგვაროვნებას გამოხატავდა. ტორების ერთ-ერთი ბელადი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე სერ რობერტ პილი, რომელიც ადრე თავად იყო სხვადასხვა გარდაქმნის მოთავე, აცხადებდა, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია რეფორმის, რომელიც მხოლოდ დემაგოგებისა და ჟურნალისტების დესპოტიზმს მოიტანდა. რეფორმა, პილის აზრით ბოლოს მოუღებდა თანამიმდევრობასა და გაწონასწორებას, რომლებიც ინგლისელთა პოლიტიკური ცნობიერების ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ. იმ დროის ცნობილი იურისტის, მაკინტოშის აზრით რეფორმის აუცილებლობა რაღაც ახლის შემოტანა კი არა, არამედ იმ დაკარგული ურთიერთ ნდობის აღდგენა იყო, რომელიც ადრე ხელისუფლებასა და ხალხს შორის არსებობდა.

ცნობილი ვიგი ისტორიკოსი, ლორდი თომას მაკოლეი კი, მიუთითებდა რა საფრანგეთში ბურბონების დამხობაზე, მოუწოდებდა თავის თანამემამულეებს შეენარჩუნებინათ ძველი, ტრადიციული ინსტიტუტები სახელმწიფოს განახლების მეშვეობით, რათა თავიდან აეცილებინა მესაკუთრეთა კლასისათვის (მიწათმფლობელები და ბურჟუაზია — ივ.მ.) გათიშვა, ხოლო მშრომელი ხალხი გამოეხსნათ მისსავე წიაღში შობილი ბობოქარი ვნებებისაგან.

ამრიგად, იქმნებოდა ძალზე თავისებური სიტუაცია. როგორც რეფორმის მოწინააღმდეგეებს, ასევე მის მომხრეებს ფაქტიურად ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა — არსებული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება. შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მოვლენათა მსვლელობა ინგლისში ოდნავ განსხვავებულად წარიმართა, ვიდრე საფრანგეთში. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ სიტუაცია არ იყო დაძაბული.

პარლამენტში მძაფრი კამათი მიმდინარეობდა ჰერცოგ ველინგტონსა და გრაფ გრეის შორის. რეფორმის მოწინააღმდეგეები გრეის საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს გაჩაღებულ ტერორს ახსენებდნენ. მაგრამ როდესაც ლორდთა პალატამ რამოდენიმეჯერ ჩააგდო კანონპროექტი, ყველა ოპოზიციური ძალა გაერთიანდა. გაზეთები შავი არშიებით გამოვიდა, მეპატრონეების ძიერ მოწყობილ მიტინგებში უამრავი მუშა იღებდა მონაწილეობას. ზოგიერთ ქალაქში აჯანყების ჰქონდა ადგილი, რომელთაგან ერთ-ერთი (ბრისტოლში) სისხლისღვრით დამთავრდა. საძრეწველო ქალაქებში მუშებმა მზადყოფნა გამოაცხადეს იარაღით ხელში გამოსულიყვნენ რეფორმის დასაცავად, ხოლო ბირმინგემის პოლიტიკური კავშირი მისი 100 ათასი წევრის სახელით გადასახადების გადაუხდელობით დაიმუქრა. ამგვარმა ზომებმა გასტეხეს ტორების წინააღმდეგობა. 1832 წ. მაისში კანონი საარჩევნო რეფორმის შესახებ მიღებულ იქნა.

რეფორმამ გააუქმა 56 დამპალი ადგილის სადეპუტატო მანდატი, რომელთა მოსახლეობა 2 ათასზე ნაკლებ მცხოვრებს ითვლიდა, ხოლო 40 დამპალ ადგილს 4 ათასი მცხოვრებით ორიდან ერთი სადეპუტატო მანდატი ჩამოართვა. ეს ჩამორთმეული მანდატები განაწილდა ჩრდილო-დასავლეთის საგრაფოების დიდ საძრეწველო ქალაქებს შორის (მანჩესტერი, ლიდსი, ბირმინგემი და სხვ.), რომლებმაც ორ-ორი მანდატი მიიღეს. შედარებით მცირე ქალაქებმა თითო-თითო მანდატი მიიღეს. რეფორმის თავისებური შემრიგებლური ხასიათის გამო ზუსტად იმდენივე სადეპუტატო მანდატი მიიღეს საგრაფოებმა, რაც მიწათმფლობელთა მიმართ დათმობას წარმოადგენდა.

თუმცა პალატის შვიდწლიანი უფლებამოსილების ვადა და ღია კენჭისყრა დეპუტატების არჩევის დროს ძალაში დარჩა. საარჩევნო ცენზი მტკიცედ იდგა უძრავი ქონების მფლობელთა სალარაჯოზე. ქალაქებში ხმის უფლება მიენიჭა იმ სახლების მესაკუთრეებს და დამქირავებლებს, რომლებიდანაც მიღებული წლიური შემოსავალი სულ ცოტა 10 გირვანქა სტერლინგს უდრიდა. სოფლად ხმის უფლება მიენიჭა მიწათმფლობელებს, რომელთა მამულის შემოსავალი წელიწადში 40 გირვანქა სტერლინგს უდრიდა და მოიჯარადრეებს, რომლებიც დაქირავებული მიწიდან წლიურად 50 გირვანქა სტერლინგ შემოსავალს იღებდნენ.

ამომრჩეველთა რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა: 450 ათასიდან 650 ათასამდე, რაც მოსახლეობის 1/22 ნაწილს წარმოადგენდა. რეფორმა არ ვრცელდებოდა მუშათა კლასზე, თუმცა კი, შეიძლება ითქვას, სწორედ მუშების აქტიურმა მოქმედებამ აიძულა ხელისუფლება შეეცვალა საარჩევნო კანონი.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ რიგში საზოგადოებაში გაბატონებული პოლიტიკური ფასეულობების შემდგომი ცვლილების თვალსაზრისით. რეფორმამ დააჩქარა საზოგადოებრივ ცნობიერებაში (თუნდაც გაბატონებულ კლასებში) დამკვიდრებული შეხედულებები კონსტიტუციის უცვლელობის შესახებ, როგორც ამას უულისწული რეგენტი და ჰერცოგი ველინგტონი ქადაგებდნენ. რეფორმამ დააჩქარა ცალკეული სოციალური კორპორაციის ისტორიული უფლებები და მათ ნაცვლად შემოიღო წესი და რიგი, რომელიც პრაქტიკულ საჭიროებაზე იყო დაფუძნებული. ცვლილებების პრეცედენტმა შემდგომი გარდაქმნების შესაძლებლობას ჩაუყარა საფუძველი. რეფორმამ შეცვალა ბრიტანეთის პარლამენტის არსიც. იგი აღარ იყო პრივილეგირებული კორპორაცია.

XIX ს. 30-40-იანი წლები დიდი ბრიტანეთის ისტორიაში აღინიშნებოდა ეკონომიკის, კერძოდ მრეწველობის სწრაფი განვითარებით. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საძრეწველო გადატრიალების დასასრული, რის შედეგად დიდი ბრიტანეთი მრეწველობის განვითარების დონით პირველ ადგილზე აღმოჩნდა მსოფლიოში. 1840 წ. მისი წილი მსოფლიო საძრეწველო ნაწარმში უდრიდა 45%.

წამყვანი ადგილი მრეწველობაში საფეიქრო მრეწველობას ეკავა, 1834 წ. ფაბრიკებში მოქმედი ორიქლის მანქანების საერთო სიმძლავრე 33 ათას ცხენის ძალას აღწევდა. ხოლო მრეწველობის ამ დარგში 200 ათასი მუშა იყო ჩაბმული. მოხმარების საგნების წარმოება ინგლისის მთელი სამრეწველო ნაწარმის 5/6 შეადგენდა.

მსუბუქ მრეწველობასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა მძიმე მრეწველობაც. 1834 წ. დიდ ბრიტანეთში წარმოებულ იქნა 700 ათასი ტონა რკინა. XIX ს. 40-იან წლებში ყველა დიდი ქალაქი ერთმანეთის რკინიგზით უკავშირდებოდა. 1850 წ. სარკინიგზო ქსელის სიგრძემ 10 ათას კილომეტრს მიაღწია. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომელიც XIX ს. შუა ხანებისათვის 27,6 მლნ ადამიანს შეადგენდა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო მუშები შეადგენდნენ. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ქვეყნის მზარდი დოვლათის უშუალო შემქმნელებს.

მაგრამ მატერიალური დოვლათის არნახულმა ზრდამ დაანახა ქვეყანას მისი უშუალო მწარმოებლების საკვალალო მდგომარეობაც. ამან განაპირობა ის, რომ XIX ს. 30-40-იან წლებში, როგორც გარკვეული ჰუმანიტარული სწრაფვის საფუძველზე, ასევე მუშათა მოძრაობის გააქტიურების შედეგად დაიწყო გარდაქმნები, რომლებიც მიმართული იყო მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ეს პროცესი, მშრომელთა შეტევის და მთავრობის მხრიდან დათმობის და მანევრირების მონაცვლეობა, იქცა დიდი ბრიტანეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მთავარ მიმართულებად XIX ს. 30-40-იან წლებში.

ვიგების პარტია, რომელსაც XIX ს. 30-იან წლებში ახალი სახელი, ლიბერალები შეერქვა, საარჩევნო სისტემის რეფორმის შემდეგ ადმინისტრაციული რეფორმების გატარებაზე გადაერთო. პირველ რიგში ეს ადგილობრივ მმართველობას შეეხო. იმ დროისათვის არსებული ეს სისტემა მთლიანად ეწყუმნებოდა შუასაუკუნეობრივ პრინციპებს, რომელთა მიხედვით ადგილობრივი თანამდებობის პირები (შერიფი, ლორდ-ლეიტენანტი, მოსამართლე) ადგილობრივი ჯენტრის წარმომადგენლები იყვნენ და ამ თანამდებობრივ მოვალეობებს ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ ასრულებდნენ. ხშირად ეს ფუნქციები მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ხელს უწყობდა ჯენტრის, როგორც მიწათმფლობელთა კლასის დასაყრდენის პოზიციების განმტკიცებას.

1832 წ. რეფორმის შემდეგ ლიბერალებმა მიწათმფლობელების ამ დასაყრდენსაც შეუტიეს. მათ აღნიშნული სისტემა მოუქნელად და ნაკლებად ქმედითუნარიანად ჩაითვალეს. მაგრამ აქაც ვიგებისათვის, და საერთოდ ინგლისური საძეარისათვის დამახასიათებელი სანახევრო, კომპრომისული პრინციპი გამომჟღავნდა. ძველი თანამდებობები დეკორაციასავით შემორჩა. პროფესიონალ პოლიციელებსაც კი გარკვეული დროის მანძილზე ისევ კონსტებლებს უწოდებდნენ. მაგრამ სინამდვილეში მათ მოვალეობას ახალი არჩევითი ორგანოები და მათში შემავალი ადამიანები ასრულებდნენ, რომლებიც ამისათვის ოფიციალურად ხელფასს იღებდნენ. მაგ. მუშაობის კონტროლისა და წარმართვისათვის ლონდონში შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის საბჭო, რომელიც შემდგომში შინაგან საქმეთა საბინისტროდ გარდაიქმნა.

ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივი საშუშაოების (გზების, ხიდების მშენებლობა) ჩატარების პრინციპებშიც. შუასაუკუნეობრივი ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც საეკლესიო მრევლის პრინციპზე იყვნენ დამყარებული და ამგვარ საშუშაოებს განაგებდნენ უფრო მსხვილ ოლქებად გაერთიანდა. სწორედ მათ გადაეცათ ამგვარი საშუშაოების ჩატარების უფლება, ხოლო მათზე ზედამხედველობა დაეკისრა ანაზღაურების მქონე ინსპექტორებს, რომლებსაც თავის მხრივ ლონდონში არსებული სპეციალური ცენტრალური საბჭო უწევდა კონტროლს. ამან განაპირობა ადრე არსებული საგზაო გადასახადის გაუქმებაც. სანიტარული საშსახური ასევე დაექვემდებარა ახლადშექმნილ სპეციალურ საბჭოებს.

გარდაიქმნა ადგილობრივი საქალაქო მმართველობაც. სპეციალური კანონით გაუქმდა ე.წ. ძირძველი მაცხოვრებლების საგანგებო უფლებები და ადგილობრივ საქალაქო საბჭოში ხმის მიცემის უფლება მიენიჭა ყველას, ვინც კი იხდიდა გადასახადებს. თავად საქალაქო საბჭოები კი ყველა ერთი სახით ჩამოყალიბდა. მათ შემადგენლობაში შედიოდნენ: მერი, ოლდერმენები და მრჩეველები. შემოღებულ იქნა საქალაქო მდგომარეობის დაფიქსირების საერო სისტემა.

ცვლილებები შეეხო საგანმანათლებლო სისტემასაც. ინგლისში გაბატონებული ტრადიციული შეხედულებების თანახმად სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო განათლების საკითხებში. ეს საქმე კერძო პირებსა თუ დაწესებულებებს ჰქონდათ მინებებული. პირველად ეს პრინციპი ლიბერალების მთავრობამ დაარღვია, როდესაც 1833 წ. კერძო საზოგადოებებს სკოლების ასაშენებლად 20 ათასი

გირვანქა სტერლინგი გამოუყო. მოგვიანებით ამგვარი საკითხების შემსწავლელი კომისიაც ჩამოყალიბდა. 1839 წ. კი სახალხო განათლების მეთვალყურეობის კერძო საბჭოს კომიტეტი შეიქმნა. თანდათან იზრდებოდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, რომელიც განათლებისათვის იყო განკუთვნილი.

მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელეები გამოიწვია ღარიბთა სასარგებლოდ არსებული გადასახადის გაუქმებამ. საუკუნეების მანძილზე ეს კანონი გარკვეულ შეღავათს აძლევდა ღარიბ-ღატაკსა და ულუკმა-პუროდ დარჩენილ ადამიანებს, შრომის უნარდაკარგულ პირებს. როგორც ჩანს, კანონი ერთდროულად სასიკეთოც იყო და მაამებელიც. ამაზე მეტყველებს შუა საუკუნეების დროინდელი ერთი ბალადა, რომლის გმირები, შრომისუუნარობის ნიღაბს ამოფარებული ორი უქნარა ათასნაირად თავს ეცლება და ლოცავს თავის სხეულზე არსებულ იარებსა თუ წყლულებს, რომელთა წყალობით მათ საშუალება ეძლევათ მიიღონ ღარიბთათვის განკუთვნილი შემწეობა.

ამ გადასახადით ძირითადში მოსახლეობის ფართო ფენები იყვნენ დაბეგრილი (წვრილი მესაკუთრეები, ქალაქისა თუ სოფლის მუშები). ხშირი იყო შემთხვევა, როცა სოფლის მოჯამაგირეებს მიწათმფლობელები ან მოიჯარადრეები შეგნებულად უნიშნავდნენ დაბალ ხელფასს. დანაკლისს მოჯამაგირეები შემწეობის სახით იღებდნენ. XIX ს. 30-იანი წლებისათვის შემწეობის რაოდენობა არნახულად გაიზარდა. იგი წლიურად – 7 მლნ. გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ყოველი მეექვსე შემწეობას იღებდა. ეს აღნიშნული გადასახადით დაბეგრილი მოსახლეობის უკმაყოფილებასაც იწვევდა. შემწეობის გაღების აუცილებლობა ხელს უშლიდა მათ დამქირავებლებს გაეხარდათ შრომის ანაზღაურება.

ამგვარ პირობებში მთავრობამ ერთიან გადამჭრელი, მაგრამ ამავე დროს მტკივნეული ნაბიჯი გადადგა. 1834 წ. კანონი ღარიბთა შემწეობის შესახებ გაუქმებულ იქნა. შემწეობა შეინარჩუნეს / მხოლოდ ავადმყოფებმა, ჭეშმარიტად შრომისუუნაროებმა (დავრდომილებმა) და მცირეწლოვანმა ბავშვებმა. ყველა დანარჩენი კი უნდა შესულიყო ე.წ. შრომის სახლში. ეს სახლები ღარიბთათვის ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცნენ, სადაც მათი ხვედრი იყო მძიმე შრომა, კვების და საცხოვრებელი პირობების მინიმუმი.

შრომის სახლებში გაბატონებული პირობები თანამედროვეთა აზრით უარესი იყო ვიდრე ციხეში. ადამიანები პრაქტიკულად მიჯაჭვულები იყვნენ შრომის სახლებს, რომლებსაც, იმ დროის ცნობილმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა თომას კარლაილმა „ღარიბთა ბასტილიები" უწოდა. ხშირად იქ მყოფი ადამიანი ცდილობდა რაიმე დანაშაული ჩაედინა, რათა ციხეში მოხვედრილიყო, სადაც რეფორმების გატარების შემდეგ უკეთესი კვება მაინც იყო.

მაგრამ იმავე დროს ამ სასტიკმა კანონმა თავისებური ქირურგიული ჩარევის როლი ითამაშა. ღარიბთათვის გაღებული შემწეობის ხარჯები თანდათან შემცირდა (1837 წ. 4 მლნ. გირვანქა სტერლინგი), ხელფასები თანდათან გაიზარდა. ბევრი მაიგანი, რომელიც ადრე შემწეობის იმედად იყო, უფრო ქმედითუნარიანი და შრომისმოყვარე გახდა. თუმცა კი, ამ ღონისძიებას არ შეეძლო სრულად აღმოეფხვრა არსებული მდგომარეობა და ერთბაშად დაემყარებინა საყოველთაო კეთილდღეობა.

ამგვარი „შოკური თერაპიის" ხერხების გარდა, რომლებსაც მთავრობა მიმართავდა, საზოგადოება ცდილობდა გამოენახა სხვა საშუალებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

XIX ს. 30-40-იან წლები აღინიშნა ჰუმანიტარულ – საეკლესიო იდეების გავრცელებით, კერძოდ, ევანგელიკური მიმდინარეობის გააქტიურებით. ამ იდეების პროპაგანდისტები ცდილობდნენ მოწყალების გრძნობა გაეღვიძათ მოსახლეობის ჩაგრული ფენის, ე.ი. მუშების მიმართ.

მეორე მხრივ, ტორის პარტიის ზოგიერთი მიმდევარი, აკრიტიკებდა რა ვიგებს, ამხელდა კაპიტალიზმის მიერ დამკვიდრებულ სიხარბეს, სასტიკ ექსპლუატაციას, ადამიანის მიმართ გაუცხოვების გრძნობას და უპირისპირებდა მას ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ პატრიარქალურ, პატრონ-ყმურ ურთიერთობას.

ამ კრიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ტორების პარტიის დამწყები პოლიტიკოსი ბენჯამინ დიზრაელი, ცნობილი ფილოსოფოსი თომას კარლაილი. დიზრაელის რომანი „სიბილა, ანუ ორი ერი" კაპტალიზმის სისასტიკეთა მხილების ნათელი მაგალითი იყო. ინგლისი მან წარმოაჩინა როგორც ორ ერად გახლეჩილი საზოგადოება, რომელთა შორის ღრმა უფსკრული იყო მათი ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გამო.

დიზრაელი და კარლაილი ადანაშაულებდნენ სიმდიდრით აღზევებულებს იმაში, რომ მათ დაავიწყდათ, რომ ძალაუფლება და სოციალური პასუხისმგებლობა განუყოფელი ცნებები არიან. კარლაილი მოუწოდებდა კაპიტალისტებს ისევე ეხრუნათ მუშებზე და გასძღოლოდნენ მათ, როგორც ამას შუა საუკუნეობრივი სენიორები აკეთებდნენ ყმა-გლეხების მიმართ.

სწორედ ამგვარი პროპაგანდისა და კრიტიკის შედეგად საზოგადოება დაინტერესდა იმით, თუ რა ხდებოდა ფაბრიკა-ქარხნებში. 1831 წ. შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელმაც ბავშვთა შრომის ექსპლუატაციის შემზარავი ფაქტები გამოაშკარავა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ეკანგელისტური მიმდინარეობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მიმდევარმა ლორდმა ეშლიმ, (შემდგომში გრაფი შეფსტბერი) წამოიწყო ენერგიული კამპანია, რომელმაც აიძულა მიეღო 1833 წ. მიელო კანონი, რომლის თანახმად 13 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის ფაბრიკებში დადგინდა 8-საათიანი სამუშაო დღე, ხოლო 13-18 წლის ასაკის მოზარდებისათვის 12-საათიანი სამუშაო დღე. ამ კანონითვე საერთოდ აიკრძალა ღამის საათებში მუშაობა. კანონის აღსრულებას კი თვალყურს ადევნებდნენ სპეციალურად გამოყოფილი საქარხნო ინსპექტორები. ამრიგად, სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას სამეწარმეო საქმეში მეწარმეობის თავისუფლების დარღვევის შიშით ბოლო მოელო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო წარმოებაში მეპატრონეების განუსაზღვრელი ბატონობის დასასრული.

ამის შემდეგ ლორდი ეშლი ძალაროებს მიუბრუნდა. იქ ქალები და ბავშვები უბრალოდ გამწევი ძალის ფუნქციას ასრულებდნენ. ეშლის დაყენებული მეცადინეობის წყალობით 1842 წ. მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც აკრძალა ქალების, გოგონების და 10 წლის ასაკზე უმცროსი ბიჭების დასაქმება მიწისქვეშა სამუშაოებზე. იქაც, როგორც ფაბრიკა-ქარხნებში დაწესდა ინსპექტორების ინსტიტუტი. საქარხნო კანონმდებლობაში მიღწეული ძირითადი წარმატება იყო 1844 წ. კანონი, რომელმაც ქალთა სამუშაო დროის მაქსიმუმი 12-საათით განსაზღვრა, ხოლო 13 წლამდე ბავშვებისათვის 6,5 საათით.

ლორდ ეშლის საქველმოქმედო პოლიტიკის წარმატების ზენიტს წარმოადგენდა 1847 წ. მისი ინიციატივით მიღებული კანონი, რომელმაც ორივე სქესის ზრდასრული მუშების სამუშაო დრო განსაზღვრა 10-საათით. კანონი მართლაცდა დიდი შენაძენი იყო მუშათა კლასისათვის, მაგრამ მან კაპიტალისტებიც ახეირა. მეპატრონეები გაიცებულები იყვნენ მაითოეის მოულოდნელი მოგებით. გაუმჯობესებულ პირობებში მყოფი მუშები გაცილებით მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის ნაწარმს ქმნიდნენ.

ამ საყოველთაო სახის სასიკეთო ცვლილებებთან ერთად მოხდა სხვა ცვლილებებიც. აიკრძალა ბავშვების მეკვამურეებად მუშაობა და მუშებთან სურსათ-საჩოვაგით ანვარიშსწორება, რომელიც მეპატრონეთა კუთვნილ მაღაზიებში ხდებოდა.

ეს ცვლილებები და გაუმჯობესება, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდიოდა დიდი ბრიტანეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში უდავოდ დიდ მიღწევას წარმოადგენდა. მაგრამ არსებული მძიმე მდგომარეობის ფონზე ისინი ერთბაშად ვერ დააკმაყოფილებდნენ მუშათა კლასის ყველა მოთხოვნას და მშრომელთა ცნობიერებაში ვერ წარმოშობდნენ სხვა, უფრო მაღლა მდგომ სოციალურ ჯგუფებთან თანაფარდობის შეგრძნებას. ადამიანს, რომელიც ათწლეულების მანძილზე დაჩაგრული და უუფლებო იყო უდავოდ ექნებოდა სურვილი ერთი ხელის მოსმით მიეღწია ნირვანა, მაგრამ ამავე დროს ნაკლებად გაცნობიერებული ბედნიერებისათვის.

სწორედ ამ გრძნობით იყო შეპყრობილი ბრიტანელი მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი. ბრძოლა, არსებული წეს-წყობილების შეცვლა, ეროვნულ მიმზიდველ მიზანს წარმოადგენდა, ძით უფრო, რომ მისკენ ესოდენ მგზნებარედ მოუწოდებდა რომანტიკული პოეზია (მუშათა მანიფესტაციების დროს ტრანსპარანტებზე ხშირად იყო გამოსახული დიდი პოეტების ბაირონისა თუ შელის სიტყვები). მომავალი საყოველთაო თანასწორობის, კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებაში მუშების მოწინავე როლის მეცნიერულად დასაბუთებას ცდილობდნენ გერმანელი სოციალისტები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ამგვარმა იდეოლოგიურმა საფუძვლებმა, მატერიალურმა სიდუხჭირემ და რასაკვირველია პოლიტიკურ ასპარეზზე პირადი წარმოჩენის სწრაფვამ უბიძგა რადიკალურ დაჯგუფებებს ენერგიული მოქმედებისაკენ, რაც დიდ ბრიტანეთში XIX ს. 30-40-იან წლებში გაშლილ ჩარტისტულ მოძრაობაში გამოიხატა.

1832 წ. რეფორმის შემდეგ რადიკალურმა დაჯგუფებებმა, რომლებიც რეფორმისათვის ბრძოლის დროს ვიგების მხარდამჭერებად გამოდიოდნენ წამოაყენეს მოთხოვნა საყოველთაო საარჩევნო

უფლებების მინიჭების შესახებ. მაგრამ ვიგებმა, განიმტკიცეს რა პოზიციები რეფორმის შემდეგ, თავისი იმჟამინდელი ლიდერის ლორდ რასელის პირით განაცხადეს, რომ რეფორმები დამთავრდა. ამან გამოიწვია რადიკალური ჯგუფების გაერთიანება რობერტ ოუენის მიმდევრებთან, რომლებიც მუშების საწარმოო გაერთიანებების მეშვეობით ცდილობდნენ მოქმედებას და რომლებსაც სოციალისტებს უწოდებდნენ. ამ გაერთიანების საქმიანობას ხელმძღვანელობდა ლონდონის მუშათა ასოციაცია. იგი დაარსდა 1837 წ. და მას სათავეში ოუენის მიმდევარი, ლონდონელი დურგალი უილიამ ლოვეტი ედგა.

ასოციაციამ მიზნად დაისახა შეემუშავებინა საპროგრამო დოკუმენტი და პეტიციის (მიმართვის) სახით წარედგინა პარლამენტისათვის. პარალელურად პეტიციის მხარდასაჭერად უნდა გამართულიყო გრანდიოზული მანიფესტაციები. პეტიცია, რომელიც შეადგინეს ლოვეტმა და პლესმა (რომელიც ადრე პროფკავშირების დაკანონებისათვის იბრძოდა) შედგებოდა ექვსი დებულებისაგან: 1) საყოველთაო საარჩევნო უფლება; ფარული კენჭისყრა; დეპუტატთა ანაზღაურება; ამომრჩევლებისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმება; ქვეყნის თანაბარ საარჩევნო ოლქებად დაყოფა; პარლამენტის ყოველწლიური მოწვევა.

თავდაპირველად ლოვეტმა წამოაყენა მოთხოვნა ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ, მაგრამ შემდგომში მოხსნა ეს მოთხოვნა დღის წესრიგიდან. ამ ექვსი მოთხოვნისაგან შემდგარმა პეტიციამ სახალხო ქარტიის (ინგლისურად Charter) სახელი მიიღო. ამიტომაც მისი მომხრეები ჩარტისტებად იწოდებოდნენ. ჩარტიზმის ბელადები ცდილობდნენ ქარტიის მომხრეთა რაც შეიძლება მეტი ხელმოწერა შეეგროვებინათ და ქარტიისათვის პროპაგანდა მრავალრიცხოვანი მიტინგების მეშვეობით გაეწიათ.

ჩარტისტების აგიტაცია ათ წელიწადს, 1838-1848 წწ. გრძელდებოდა. ეს არ იყო უწყვეტი პროცესი. ადგილი ჰქონდა ცალკეულ „შესვენებებს". ჩარტიზმის აღმავლობა ძირითადად ემთხვეოდა ეკონომიკური კრიზისების პერიოდებს. ასეთ პირობებში ჩარტიზმის მიმდევართა რიგებს ავსებდნენ ძირითადად უმუშევრები. აგიტაციის ცენტრებს წარმოადგენდნენ დიდი სამრეწველო ცენტრები: ლონდონი, მანჩესტერი, ლივერპული, ლიდსი, შეფილდი, სამხრეთ უელსი. ნაკლებად აქტიური ამ მოძრაობაში იყო ე.წ. „მუშათა არისტოკრატია; მაღალკვალიფიციური და მაღალი ანაზღაურების მქონე მუშები, რომლებიც რადიკალურ ლოზუნგებსა და ქმედებებს ურთიერთობის მეპატრონეებთან მოგვარებას ამჯობინებდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩარტისტული მოძრაობის აღმავლობა ემთხვეოდა ძირითადად ეკონომიკური კრიზისების პერიოდს.

ჩარტისტების აგიტაცია დაიწყო 1838 წ. მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა პირველი პეტიცია სახალხო ქარტიის შესახებ, რომელიც ზემოხსენებულ ექვს მოთხოვნას შეიცავდა. დიდი სამრეწველო ცენტრების: მანჩესტერის, ნიუკასლის და სხვათა მახლობლად იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და მსვლელობები, ხშირად ღამით, ურიცხვი ჩირაღდნის შუქზე. მიტინგებზე ძირითადად აგრესიული მოწოდებები გაისმოდა. ბევრი ორატორი, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დისიდენტი მქადაგებელი სტეფენსი, მოუწოდებდა ხალხს ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისა.

თავად ჩარტისტული მოძრაობის სათავეში ამგვარ ძალისმიერ მეთოდებს და ბრძოლის აგრესიულ ხერხებს მხარს უჭერდნენ ადვოკატი ფერგიუს ო'კონორი და ჟურნალისტი ბრონტერ ო'ბრაიენი. იმ ორმა ირლანდიელმა და მათმა მომხრეებმა ჩამოაყალიბეს ე.წ. „ფიზიკური ძალის" ‘დაჯგუფება, რომელიც მიიჩნევდა, რომ დასახული მიზნის მიღწევა მხოლოდ ძალისმიერი ხერხებით, შეიარაღებული ბრძოლის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამ დაჯგუფების დასაყრდენი იყო ღარიბი, დაბალკვალიფიცირებული მუშების ფენა. ო'კონორი აღნიშნავდა, რომ მიმართავს გაუპარსავ და დაკოჟრილ ხელებიან ადამიანებს.

მათ უპირისპირდებოდა მეორე დაჯგუფება, რომელსაც „მორალური ძალის" მომხრეებს უწოდებდნენ. მათი აზრით ქარტიის დებულებების ცხოვრებაში გატარება მხოლოდ მშვიდობიანი ხერხებით იყო შესაძლებელი. დაჯგუფების დასაყრდენს წვრილბურჟუაზიული რადიკალები და მაღალკვალიფიციური, შედარებით კარგად ანაზღაურებადი მუშები, ე.წ. მუშათა არისტოკრატია შეადგენდა. ამ მიმდინარეობას სათავეში მოძრაობის მამამთავარი, უილიამ ლოვეტი ედგა. მათვე ემხრობოდა ზოგიერთი ლიბერალურად განწყობილი მსხვილი მესაკუთრე, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ბირმინგემის „პოლიტიკურ კავშირში". კავშირს ბანკირი ატვუდი მეთაურობდა.

თავისი მთავარი ხელმძღვანელი ორგანოს, ეროვნული ყრილობის (ანუ როგორც მას უწოდებდნენ კონვენციის) მეშვეობით ჩარტისტებმა სამჯერ წარუდგინეს პეტიცია მთავრობას (1839, 1842 და 1848 წწ.). პეტიცია, რომელიც მოითხოვდა ქარტიის ექვსი დებულების მიღებას და რომლებსაც სამივეჯერ ერთ მილიონზე მეტი ადამიანი აწერდა ხელს სამივეჯერ უარყოფილ იქნა პარლამენტის მიერ.

როგორი იყო ხელისუფლების ამგვარ გადაწყვეტილებაზე ჩარტისტების რეაქცია? თავის რიხიანი და ულტრარევოლუციური განცხადებებისდა მიუხედავად არც სტეფენსი, არც ო'კონორი და არც ო'ბრაიენი კონკრეტულ, გადამწყვეტ სიტუაციაში არ გამოსულან შეიარაღებული ბრძოლის მოითხოვნით. პირიქით, კრიტიკულ სიტუაციებში ისინი ყოველთვის წესრიგის და მოთმინებისაკენ მოუწოდებდნენ. ნამდვილი შეიარაღებული გამოსვლა მხოლოდ ერთხელ, 1839 წ. მოხდა. სამხრეთ უელსში სამოამადნო მრეწველობის მუშებმა იარაღით ხელში ქალაქ ნიუპორტზე მიიტანეს იერიში, მაგრამ ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა.

ჩარტიზმის ამ სამი თვალსაჩინო მოღვაწის თეორიული შეხედულებებიც საბოლოო ჯამში მიწის საკუთრების მაქსიმალურ დანაწილებამდე დადიოდა. მიწა და მასზე საკუთრება, როგორც მატერიალური კეთილდღეობის საუკეთესო, იდეალური ფორმა არნახულად ძლიერი იყო ინგლისურ და საერთოდ, ზოგადბრიტანულ ცნობიერებაში. მიწას ფლობდა ლენდლორდი, ამისკენ ისწრაფოდა მდიდარი ვაჭარი თუ მეწარმე და როგორც ჩანს ის მუშაც, რომლის წინაპრები ორიოდე თაობის წინ თავად იყვნენ მიწის წვრილი მესაკუთრეები. კეთილდღეობის ამგვარი ხედვა უფრო პრაგმატულს ხდიდა ინგლისურ ცნობიერებას. ამის გამო მისთვის უცხო იყო თავისუფლებისა და თანასწორობის განყენებული თეორიები, რომლებსაც იმ დროს კონტინენტზე კომუნიზმის პროპაგანდისტები, მარქსი და ენგელსი ქადაგებდნენ.

ჩარტისტთა შორის იყვნენ რევოლუციური ბრძოლის კომუნისტური მეთოდების (შეიარაღებული ბრძოლა, არსებული წეს-წყობილების ძალით დამხობა) მომხრეებიც, მაგალითად ჯულიან ჰარნი და ერნესტ ჯონსი. მაგრამ მათი გავლენა უმნიშვნელო იყო. საბოლოოდ კი მათაც უკუაგდეს ამგვარი მოსაზრებები. კომუნისტური პრინციპების მიხედვით პროლეტარიატს, ე.ი. მუშებს არაფერი ჰქონდათ დასაკარგი თავისი ბორკილების გარდა.

როგორც ჩანს, ეს დებულება სრულად ვერ შეესაბამებოდა კაპიტალიზმის ინგლისურ ვარიანტს. მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში, კოლონიური სამფლობელოებიდან შემოსული დოვლათის წყალობით ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა მოახერხეს მუშათა კლასის გარკვეული ნაწილისათვის შეექმნათ ცხოვრების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი დონე, ჩამოეყალიბებინათ ე.წ. მუშათა არისტოკრატია. ეს უკანასკნელი ერთობ გავლენიანი და თავისებურად მისაბაძიც კი იყო მუშების დანარჩენი მასისათვის.

სამუშაო პირობების გაუმჯობესებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. 30-40-იან წლებში, ხელისუფლების მოქნილმა და დამთმობმა პოლიტიკამ გარკვეულად დააკმაყოფილა მუშები და მათ უკეთესი მომავლის იმედები ჩაუსახა. ასე, რომ ინგლისში კონტინენტისაგან განსხვავებით (მაგ. საფრანგეთი) მუშები ვერ აიტაცებდნენ სასოწარკვეთილებით აღსავსე ლოზუნგს: „ფეხზე მდგომი სიკვდილი დაჩოქილ სიცოცხლეს სჯობია". ევოლუციური განვითარებისაკენ მიდრეკილებამ კვლავ იჩინა თავი ინგლისურ ცნობიერებაში. ამიტომ ინგლისი კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით კვლავ რევოლუციური ქარტეხილების მიღმა დარჩა.

ვლაპარაკობთ რა ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ესოდენ სპეციფიკურ განვითარებაზე, უნდა ავღნიშნოთ, რომ ულტრარადიკალური იდეების არგანხორციელება გამოწვეული იყო სხვა მიზეზებითაც. ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარტისტების იდეების გარდა XIX ს. 30-40 წწ. სხვა იდეებიც იყო გავრცელებული, რომელთა განხორციელების მოთხოვნაც ერთობ ჰქონდა გამჯდარი ინგლისის საზოგადოებას.

თავისი ეკონომიკური განვითარების წყალობით დიდი ბრიტანეთი უნიკალური შესაძლებლობის წინაშე იდგა. ეს იყო მსოფლიო ბატონობის პერსპექტივა. ბრიტანელი მეწარმეების, გემთმშენებლების, ფინანსისტების მთავარი მოთხოვნა იყო მიგრაციის, კაპიტალდაბანდებების და ბაზრების სრული თავისუფლება. სწორედ ამის წყალობით მიაღწევდნენ ისინი მსოფლიო ბატონობას. ამ მიზნის მიღწევას კი მათი აზრით ორი წინააღმდეგობა უშლიდა ხელს. პირველი იყო რიგი აკრძალვებისა, რომელიც ამუხრუჭებდა მათთვის ესოდენ სასურველ და შემოსავლიან ნედლეულის იმპორტს. ამ

აკრძალვებიდან ყველაზე უფრო მკაცრი ე.წ. პურის (მარცვლეულის) და ზღვაოსნობის კანონები იყო.

წინააღმდეგობათა მეორე წყება უფრო საგარეო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ეს იყო კონტინენტზე გამეფებული ფეოდალურ-მონარქიული რეაქცია, რომლის სულისჩამდგმელები ავსტრიის და რუსეთის იმპერიები იყვნენ. მოვლენათა ამგვარი მსვლელობა ევროპას (ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებითურთ) ფეოდალური და კლერიკალური პრინციპების აღდგენას უქადდა, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა სულით-ხორცამდე კაპიტალისტური ინგლისის ზრახვებს, რომელიც კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებისაკენ ისწრაფოდა.

სწორედ ამ წინააღმდეგობების პირველმა წყებამ მნიშვნელოვნად განაპირობა აღნიშნული პერიოდის ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება. საქმიანი წრეების წარმომადგენლებს ვაჭრობა თავისებურ პანაცეად მიაჩნდათ. „ვაჭრობის წყალობით ჩვენ არა მარტო ჩვენს ნაწარმს, არამედ გონებრივი განვითარების მიღწევებსაც ვაწვდით ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებებს" — წერდა თავისუფალი ვაჭრობის მებაირახტრე, მანჩესტერელი მეწარმე რიჩარდ კობდენი.

მაგრამ პურის კანონები არა მარტო ამუხრუჭებდნენ თავისუფალ ვაჭრობას, არამედ ეკონომიკურ სიდუხჭირესაც კი ქმნიდნენ. მოსახლეობა მათი „წყალობით" სურსათსაც კი ვერ იძენდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული მძაფრი წინააღმდეგობა ვაჭარ-მეწარმეებსა და მიწათმფლობელთა შორის, რაც აისახა მარცვლეულის კანონების წინააღმდეგ წარმართულ აგიტაციაში.

1838 წ. ჯერ ლონდონში და მერე კი მანჩესტერში შეიქმნა პარტია, რომელმაც მარცვლეულის კანონების გაუქმება დაისახა მიზნად. პარტიას ეწოდა მარცვლეულის კანონების მოწინააღმდეგეთა ლიგა. მის შემადგენლობაში ძირითადად სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები შედიოდნენ. პარტიის ცენტრი მანჩესტერში იყო განლაგებული. მისი ოფიციალური ხელმძღვანელი იყო პარლამენტის დეპუტატი ვილერი, მაგრამ ფაქტიურად თავისუფალი ვაჭრობის პროპაგანდას სათავეში ედგნენ მეწარმე რიჩარდ კობდენი და რადიკალური მიმართულების პოლიტიკოსი ჯონ ბრაიტი.

თავდაპირველად ლიგამ პარლამენტს წაუყენა მოთხოვნა გაეუქმებინა მარცვლეულის კანონები, მაგრამ პარლმენტმა იგი უარყო. მაშინ ლიგამ რადიკალების ტაქტიკას მიმართა. კობდენმა და ბრაიტმა დაიწყეს ხალხმრავალი მიტინგების მოწყობა. მომიტინგეები აკრიტიკებდნენ მარცვლეულის კანონებს, პროტექციონისტულ პოლიტიკას. ისინი მიუთითებდნენ, რომ ეს კანონები აძვირებდნენ სურსათს და ხელს უშლიდნენ ინგლისური სამრეწველო ნაწარმის შეუზღუდავ ექსპორტს. ამით ლიგის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა ვნებდა როგორც მუშების, ასევე კაპტალისტების ინტერესებს.

კონსერვატორების პარტია, რომელიც მიწათმფლობელების ინტერესებს გამოხატავდა, ამ კანონების გაუქმების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. დიზრაელი, იმ დროისათვის საკმაოდ პოპულარული საზოგადოებრივი მოძრაობის „ახალგაზრდა ინგლისის" ლიდერი, ამტკიცებდა, რომ მუშების მთავარი უკმაყოფილება გამოწვეული იყო მათი პოლიტიკური უუფლებობით, საპარლამენტო რეფორმის არასრული ხასიათით და არა სიძულვილით მიწათმფლობელთა და მარცვლეულის კანონების მიმართ.

მაგრამ კონსერვატორთა პარტიის ლიდერი სერ რობერტ პილი ერთობ მოქნილი პოლიტიკოსი იყო. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ XIX ს. 20-იან წლებში ის თავად იდგა ლიბერალური რეფორმის სათავეებთან. და აი ახლაც, 40-იან წლებში პილის პოლიტიკაში საღმა აზრმა და პრაგმატიზმმა აჯობა პარტიულ პრინციპებსა და განყენებულ ცნებეს. ამაში მას შექმნილი მდგომარეობაც დაეხმარა. XIX ს. 40-იანი წლების შუახანების შიმშილობამ, რომელიც გამოწვეული იყო მოუსავლიანობით და კარტოფილის დაავადების გავრცელებით (განსაკუთრებით ირლანდიაში) კიდევ ერთხელ დაარწმუნა პილი იმაში, რომ პროტექციონიზმი უნდა გაუქმებულიყო თუნდაც მისი საკუთარი პარტიის საზიანოდ.

1846 წ. მარცვლეულის კანონები გაუქმებულ იქნენ. ეს რეფორმა იმდენად დროული იყო, რომ თავისი კონსერვატიზმით ცნობილი ჰერცოგი ველინგტონიც კი ამოუდგა მას მხარში. სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით ლორდთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონების გაუქმებას. მოგვიანებით, 1849 წ. კი გაუქმებულ იქნა ზღვაოსნობის (სანავიგაციო) აქტი. ამით უცხო ქვეყნების ხომალდები და მათი ტვირთი დაშვებულ იქნენ დიდი ბრიტანეთის ნავსადგურებში. დიდი ბრიტანეთი თავისუფა-

[illegible] ფაქრობის ქვეყნად იქცა. საბაჟო გადასახადები გაუქმებულ იქნენ. უცხოური საქონელი თავისუფლად შემოდიოდა დიდ ბრიტანეთში.

პროტექციონიზმის გაუქმება ეკონომიკური ლიბერალიზმის ტრიუმფს წარმოადგენდა. ინგლისის ინდუსტრიალიზებულ წარმოებას საშუალება მიეცა თავისი ნაწარმით დაეპყრო მსოფლიო ბაზარი.

პირობებში, ქვეყნის საერთო ეკონომიკური წინსვლის და ლიბერალიზმის ზეობის ფონზე აბსოლუტურად საწინააღმდეგო სურათი შეიქმნა ირლანდიაში, რომლის მოსახლეობა კვლავ მძიმე ეკონომიკურ და რელიგიურ-პოლიტიკურ პირობებში იმყოფებოდა.

1829 წ. შემდეგ ირლანდიელებს მიეცათ საარჩევნო უფლებები. მათ შეეძლოთ დეპუტატების არჩევა და თავადაც არჩეულიყვნენ პარლამენტში. მაგრამ პრაქტიკულად ყველა თანამდებობა (მომრიგებელი მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები, გადასახადების განმანაწილებლები, პოლიციელები) პროტესტანტების ხელში იყო. ოფიციალურ ეკლესიადაც პროტესტანტული ეკლესია იყო მიჩნეული, [illegible] კი კათოლიკურ ირლანდიაში მას პრაქტიკულად არ ყავდა მრევლი (მცირე გამოკლებით). პროტესტანტული ეკლესიის სასარგებლოდ დაწესებული იყო ორი გადასახადი: მეათედი და საეკლესიო შენობა-ნაგებობათა შენახვის გადასახადი. ამ გადასახადების გადახდაც კათოლიკეებს უწევდათ.

კიდევ უფრო მძიმე იყო ირლანდიელების ეკონომიკური მდგომარეობა. ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ოფიციალურ გამოკვლევებში აღნიშნული იყო, რომ ირლანდიელი გლეხები პირუტყვთან ერთად ვეშურის მაგვარ მიწურებში ცხოვრობდნენ, იკვებებოდნენ მხოლოდ კარტოფილით და სრულებით იყვნენ დამოკიდებული თავის ინგლისელ (პროტესტანტ) მიწათმფლობელებზე. ამ უკანასკნელთ კი ნებისმიერ დროს შეეძლოთ მათი აყრა მიწიდან. მიწის უკმარისობა აიძულებდა ირლანდიელ გლეხებს და მათ ოჯახებს თავი არა თუ დამხმარე სამუშაოებით, არამედ ხშირად მათხოვრობითაც კი ერჩინათ.

ამ გაუსაძლის პირობებში ირლანდიელთა პროტესტი ხშირად გამოიხატებოდა ძალადობის სხვადასხვანაირი აქციების მეშვეობით: ლენდლორდების მკვლელობა, მათი მამულების გადაწვა. მაგრამ პოლიტიკურად ამას მდგომარეობის გაუმჯობესება კი არა, არამედ მთავრობის მხრიდან [illegible] ზომები მოყვებოდა. ამიტომ ირლანდიელთა ბელადმა, პოპულარულმა ორატორმა ო'კონელმა [illegible] სწორედ ბრძოლის პოლიტიკური მეთოდებისაკენ აიღო. თავის ხალხმრავალ მიტინგებზე [illegible] გამოიდიოდა შემდეგი მოთხოვნებით: კათოლიკური ეკლესიის პროტესტანტულთან გათანაბრება, საეკლესიო მეათედის გაუქმება, კათოლიკეთა და პროტესტანტებს შორის უფლებათა თანაბარი [illegible] [illegible].

[illegible] ო'კონელმა წამოაყენა ირალნდიის თვითმმართველობის (ინგ. — Home rule) აღდგენა, რაც ნიშნავდა ინგლისსა და ირლანდიას შორის არსებული კავშირის გაუქმებას. შეიძლება [illegible], რომ ეს მოთხოვნა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამოცხადებას ნიშნავდა. მაგრამ მალე ო'კონელმა შეცვალა ტაქტიკა. რეფორმის შემდგომ პარლამენტში მან მხარი დაუჭირა ვიგების მთავრობას. ამით მან გადაწყვიტა საპარლამენტო ტრიბუნა გამოეყენებინა იმისთვის, რომ საჯაროდ ეცნო ქვეყნისათვის ირლანდიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა.

ო'კონელის ამგვარმა ტაქტიკამ გარკვეულწილად გაამართლა. ამაში ამნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახალხო პროტესტმაც. გლეხები უარს ამბობდნენ მეათედის გადახდაზე. ამიტომ მთავრობამ ირლანდიაში ნაწილობრივი რეფორმა გაატარა. მან ვააუქმა ათი ანგლიკანური საეპისკოპოსო (მათი საერთო რიცხვი 22 უდრიდა) და საეკლესიო შენობა-ნაგებობების შენახვის გადასახადი.

1838 წ. ო'კონელის მხარდაჭერით კმაყოფილი ლიბერალური მთავრობა კიდევ უფრო შორს წავიდა და ახალი რეფორმები გაატარა ირლანდიაში. საეკლესიო მეათედის გადახდა გლეხების ნაცვლად ლენდლორდებს დაეკისრა. ჩამოყალიბდა აგრეთოე საზოგადოებრივი უზრუნველყოფის სამსახური, რაც ადრე არ არსებობდა ირლანდიაში. ირლანდიის საქმეთა მინისტრმა, სერ თომას დრამონდმა ულტრაპროტესტანტული დაჯგუფებების ალაგმვაც კი მოახერხა. ამრიგად, XIX ს. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ირლანდიაში გატარებული პოლიტიკა გარკვეულწილად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა.

ამგვარი შემრიგებლური პოლიტიკა როგორც ჩანს ხელს აძლევდა როგორც ვიგებს, ასევე ო'კონელს. მაგრამ 1841 წ. მთავრობას ტორები ჩაუდგნენ სათავეში და ო'კონელმა კვლავ განაახლა თავისი მოთხოვნები ირლანდიის თვითმმართველობის შესახებ. ამ მოთხოვნის აგიტაცია მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგების მეშვეობით, რომლებიც მოსახლეობის აღტკინებას და იმავე

დროს მთავრობის შეშფოთებას იწვევდნენ. თუმცა კი, ო'კონელი ყოველთვის ხაზგასმით აცხადებდა, რომ იგი მხოლოდ მშვიდობიანი და კანონიერი ხერხებით იმოქმედებდა.

მისგან განსხვავებით, პატრიოტების გარკვეულმა ნაწილმა, რომელიც გაერთიანდა ორგანიზაციაში, „ახალგაზრდა ირლანდია", უარი თქვა ამგვარ ტაქტიკაზე. მათ გეზი რევოლუციურ ბრძოლაზე აიღეს. რიგი მიზეზების გამო მათი მოქმედება თანდათან გააქტიურდა.

40-იანი წლების შუახანებში ხანგრძლივი ბრძოლით გამოფიტული ო'კონელი თანდათან ჩამოსცილდა პოლიტიკურ ასპარეზს (იგი 1847 წ. გარდაიცვალა). 1845-46 წწ. შიმშილობამ საშინელი სიკვდილიანობა და ემიგრაცია გამოიწვია. მოსახლეობა 30%-ით შემცირდა. მარცვლეულის კანონების გაუქმებამ ინგლისის ბაზარი წაართვა ირლანდიულ მარცვლეულს. მისი ადგილი უცხოეთიდან შემოტანილმა მარცვლეულმა დაიკავა. ამან მძიმე დარტყმა მიაყენა ირლანდიის სოფლის მეურნეობას და უფრო გააუარესა მოსახლეობის მდგომარეობა.

ლორდ რასელის მეთაურობით ხელისუფლების სათავეში მოსული ვიგების მთავრობა შეეცადა გაეტარებინა კანონი, რომელიც შეამსუბუქებდა მოიჯარადრე ირლანდიელი გლეხების მდგომარეობას. მაგრამ პარლამენტის თემთა პალატამ ჩააგდო ეს კანონპროექტი. როგორც ჩანს მასში სჭარბობდა მარცვლეულის კანონების დამცველთა სულისკვეთება. ისინი ისწრაფოდნენ დაემარცხებინათ რასელი და მისი მხარდამჭერი ტორები, რომლებიც პილის მომხრეებისაგან შედგებოდნენ. ამასთან ერთად გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრადიციულმა ანტიირლანდიურმა განწყობილებამ. საერთო ლიბერალური ტენდენციების მიუხედავად, ინგლისელი პოლიტიკოსები კვლავ ანტიკათოლიკური სულისკვეთებით იყვნენ გაჟღენთილი. თუკი ვინმე ირლადიელების მიმართ ლმობიერებას გამოიჩენდა, მას მაშინვე აბრალებდნენ, რომ ის რომის პაპთან ხვევნა-კოცნისკენ ისწრაფოდა.

ამგვარი მდგომარეობა დასრულდა იმით, რომ მთავრობამ დაასწრო ირლანდიელ რევოლუციონერებს, რომლებიც შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ. 1848 წ. დააპატიმრეს „ახალგაზრდა ირლანდიის" თავკაცები, ხოლო ცალკეული გამოსვლები კი ჩახშობილ იქნენ. ირლანდიაში პოლიტიკური უძრაობა გამეფდა.

ამრიგად, XIX ს. პირველი ნახევარი დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში აღინიშნებოდა ევოლუციით, რომელიც მიმდინარეობდა კონსერვატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ. ნაპოლეონის საფრანგეთთან წარმოებული ომების დროს რევოლუციის შიშით შეპყრობილი ინგლისის მმართველი კლასები ყოველგვარ გარდაქმნას ეწინააღმდეგებოდნენ.

მშვიდობის დამყარების შემდეგ მრეწველობის განვითარებამ, კაპიტალისტური წარმოების არნახული მასშტაბებით ზრდამ წინ წამოსწია ამ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მთავარი კლასები — ბურჟუაზია და მუშები.

ინგლისის ეკონომიკა სულ უფრო კაპიტალისტური ხდებოდა, რაც ველარ შეეგუებოდა სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პოლიტიკურ უუფლებობას და მუშების უკიდურეს სიდუხჭირეს. მიწათმფლობელი არისტოკრატიის ბატონობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ანაქრონიზმად და მძიმე ეკონომიკურ უღლად იქცა, რამაც გარკვეულწილად გააერთიანა მუშათა კლასი და ბურჟუაზია პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამის გამო რადიკალურ მოძრაობასა და პროპაგანდას, რომელიც მუშათა კლასის ბრძოლას წარმართავდა, თავისებური ანტიარისტოკრატიული, მიწათმფლობელთა წინააღმდეგ წარმართული სულისკვეთების ელფერი დაჰკრავდა. ამან რამდენადმე გაანელა კლასობრივი წინააღმდეგობების სიმწვავე მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ინგლისმა, რომელმაც უშუალოდ არ განიცადა XVIII ს. დასასრულის რევოლუციური ქარტეხილები თანდათანობით აითვისა საფრანგეთიდან წამოსული სახალხო სუვერენიტეტის იდეა. ინგლისის სინამდვილეში მოხდა პარლამენტის უზენაესობის და სახალხო სუვერენიტეტის ურთიერთშეხამება. სწორედ ამ ფაქტორების წყალობით დიდ ბრიტანეთში XIX ს. პირველ ნახევარში სოციალურ-პოლიტიკურმა განვითარებამ კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით თავი დააღწია რევოლუციურ აფეთქებებს და მიმდინარეობდა ევოლუციური გზით.

დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა XIX ს. პირველ ნახევარში

ნაპოლეონის ომების დასრულებამ ინგლისის საგარეო პოლიტიკას იმედის მომცემი პერსპექტივები გადაუშალა. ქვეყანა სამხედრო დიდებით შემოსილი წარსდგა მსოფლიოს წინაშე. დამარცხებულ და გზიდან ჩამოცილებულ იქნა არნახულად ძლიერი მეტოქე. სამხედრო იმპერია, რომლის სათავეში იდგა სწორუპოვარი სამხედრო გენია და რომლის განკარგულებაშიც იყო მრავალრიცხოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსი.

„სამხედრო ტრიუმფს ზურგს უმაგრებდა ეკონომიკური წინსვლა. ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმი, მანქანური წარმოების განვითარება არნახულად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ იმისათვის, რომ ინგლისს თავისი ბატონობა დაემყარებინა მსოფლიო ბაზარზე. კაპიტალის გაბატონებას კი შესაბამისი, ეკონომიკური მეტოქეობისათვის თავისუფალი გარემო ესაჭიროებოდა, რომლის პირობებში დიდი ბრიტანეთი თავისი მძლავრი ეკონომიკით კონკურენციის გარეშე იქნებოდა. ამიტომ XIX ს. 10-იანი წლების შუახანებიდან ინგლისმა გეზი აიღო ლიბერალურ საგარეო პოლიტიკაზე.„

„ამ პოლიტიკის არსი მდგომარეობდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერაში.„ კაპიტალისტურ წარმოებაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები ბიძგს აძლევდნენ არა მარტო ეკონომიკურ ექსპანსიას, არამედ ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს სხვადასხვა სახის ლიბერალური თეორიისა და პრინციპის წარმოშობისათვის.

ამგვარ შეხედულებებს ზიარებული ინგლისური საზოგადოება მოითხოვდა ხელისუფლებისაგან უცხოეთში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერას და იმავდროულად გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას კონსერვატული რეჟიმების მიმართ. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ დიდი ბრიტანეთი თანდათანობით ჩამოსცილდა „საღვთო კავშირს“ და მის რეაქციულ პოლიტიკას. ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როცა ინგლისს სათავეში ტორების პარტია ედგა. ლიბერალურ პოლიტიკაზე კურსის აღების აუცილებლობა ამ კონსერვატულად განწყობილმა პოლიტიკოსებმაც კი გაიცნობიერეს.

საგარეო პოლიტიკაში ლიბერალურ კურსთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი (და შეიძლება ითქვას წამყვანი) ადგილი ეჭირა შემდეგ მიმართულებებს. ესენი იყო დიდი ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოების გაფართოება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევროპაში ძალთა ბალანსის შენარჩუნება, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის ექსპანსიის შეჩერება. ყველაფერი ეს ეფუძნებოდა ე.წ. მოქმედების თავისუფლების პრინციპს, რომლის არსი მოგვიანებით, XIX ს. 30-იან წლებში ჩამოაყალიბა ცნობილმა ინგლისელმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა ლორდმა პალმერსტონმა. ეს დებულება საჯაროდ აცხადებდა, რომ „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები ან მუდმივი მეგობრები, რადგან მუდმივი და უცვლელია მისი ინტერესები“.

ელაპარაკობთ რა ლიბერალურ კურსზე ინგლისის საგარეო პოლიტიკაში, პირველი რიგში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ბრიტანელი პოლიტიკოსების დამოკიდებულებაზე ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. ინგლისი ჯერ კიდევ XVIII ს. დასასრულიდან მხარს უჭერდა ლათინოამერიკელი პატრიოტების ბრძოლას ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ საქმეში ინგლისის ნება და პოზიცია რომ ყოფილიყო საკმარისი ბუენოს-აირესი (შემდგომში არგენტინა), ჩილი და მექსიკა უკვე 1806-08 წწ. მიაღწევდნენ დამოუკიდებლობას. ნაპოლეონთან ომმა აიძულა ინგლისი დროებით განზე გადაედო თავისი პროამერიკული სიმპათიები.

1812 წ. ინგლისმა გამოთქვა მზადყოფნა შუამავლად გამოსულიყო ესპანეთსა და მის კოლონია ბუენოს-აირესს შორის, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო აჯანყების შედეგად შექმნილი სახელმწიფოს დაკანონების ძალზე მოხერხებული გზა. შუამავლობის სანაცვლოდ კი ბრიტანეთის მთავრობა ითხოვდა ამერიკაში თავისი ვაჭრობისათვის სრულ თავისუფლებას და მონებით ვაჭრობის გაუქმებას. იმ ხანად ესპანეთი ინგლისზე იყო დამოკიდებული და ამიტომ მეფე ფერნანდო VII შეგნებულად ხუჭავდა თვალს იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ამერიკელი აჯანყებულები პოულობდნენ ინგლისში ან ინგლისის ამერიკულ კოლონიებში. მაგ. 1815 წ. განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილმა ბელადმა სიმონ ბოლივარმა თავისი მორიგი ანტიესპანური კამპანიის მზადება კუნძულ იამაიკაზე დაიწყო.

ინგლისის მაშინდელ მთავრობას, რომელსაც ტორები ედგნენ სათავეში ეშინოდა რევოლუციური იდეების და რევოლუციის გავრცელებისა, მაგრამ იგი იძულებული იყო ჩარეულიყო აღნიშნულ

პროცესებში. ამით ინგლისი ცდილობდა გაენეიტრალებინა ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა, რომლებიც ცდილობდნენ კოლონიებში რესპუბლიკური სულისკვეთება დაემკვიდრებინათ. ინგლისი მიესალმებოდა კოლონიების დამოუკიდებლობას, მაგრამ ცდილობდა თავიდან აეცილებინა მათთვის რესპუბლიკური მმართველობა. თუმცა კი ზოგიერთი ტორი, მაგალითად კანინგი, მიიჩნევდა, რომ კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევა რესპუბლიკური მმართველობის პირობებშიც კი სასარგებლო იქნებოდა ინგლისისათვის.

ინგლისი დარწმუნებული იყო, რომ ესპანეთს არ შესწევდა ძალა ჩაეხშო კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამიტომ იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ რომელიმე სახელმწიფო დახმარებოდა ფერნანდო VII ამ მოძრაობის ჩახშობაში. ეს გამოვლინდა ჯერ კიდევ ვენის კონგრესზე, როდესაც რუსეთის მეფის ალექსანდრე I მცდელობის მიუხედავად ინგლისმა ხელი შეუშალა ევროპის სახელმწიფოებს გამოსულიყვნენ ესპანეთის კოლონიური ბატონობის კოლექტიურ გარანტად.

ინგლისმა გააგრძელა ანტიესპანური პოლიტიკა. აშშ-თან ერთად იგი ყოველნაირად ხელს უშლიდა საღვთო კავშირს დახმარება გაეწია ესპანეთისათვის მის კოლონიებთან ბრძოლაში. ამიტომ მადრიდი იძულებული იყო კოლონიებში გაჩაღებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას საკუთარი მწირი ძალებით დაპირისპირებოდა.

ძალზე ენერგიულად მოქმედებდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კანინგი. იგი წინ აღუდგა საფრანგეთის გადაწყვეტილებას გაეგზავნა ამერიკაში ესპანეთის დასახმარებლად საექსპედიციო კორპუსი. მისი ინიციატივით კოლონიებს გამოეყო სესხები, ხოლო 1824 წ. მან ჩაშალა ესპანეთის მეფის ფერნანდო VII მცდელობა მოეწვია ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი ამერიკის საქმეებთან დაკავშირებით.

კანინგის ამგვარი პოლიტიკის დამაგვირგვინებელ აქტს წარმოადგენდა მისი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი სცნობს ესპანეთის ამერიკულ კოლონიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და დებს მათთან საკაჭრო ხელშეკრულებებს. ეს მოხდა 1825წ. და მალე დიდი ბრიტანეთის მაგალითს ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს.

უფრო რთული იყო ინგლისის პოლიტიკა ბალკანეთში, კერძოდ კი იმ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, რომელსაც ბერძნები აწარმოებდნენ ოსმალების წინააღმდეგ. აქ ბრიტანელი პოლიტიკოსები უფრო ფრთხილად და ნაკლები თავგამოდებით მოქმედებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ბერძნების სასარგებლოდ, ვიდრე ამას აკეთებდნენ ესპანეთის წინააღმდეგ აჯანყებული ამერიკელების მიმართ. აქ ინგლისელთა დიპლომატიურ არსენალში უამრავი მომენტი წარმოჩნდა, მათ შორის ფარისევლობა და ეგოიზმი. ეს გამოწვეული იყო ინგლის–რუსეთის მეტოქეობით ახლო აღმოსავლეთში.

ამ ორი დიდი სახელმწიფოს ფარული მეტოქეობა ბერძენი ხალხის თავგანწირული ბრძოლის ფონზე ზოგჯერ ცინიკურ ფორმებს იძენდა. მათ მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები ხშირად იმაზე მიუთითებდა, რომ როგორც ლონდონს, ასევე პეტერბურგს პირველ რიგში ურთიერთის გაძლიერება არ აწყობდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. რუსეთის მეფეები, ჯერ ალექსანდრე I და მერე ნიკოლოზ I დაჟინებით ცდილობდნენ ოსმალეთის დანაწევრებას, რასაც რუსეთის ბატონობა მოყვებოდა ახლო აღმოსავლეთში. ამიტომ რუსეთი მუდმივად ცდილობდა ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩარევას საბერძნეთში მიმდინარე მოვლენების გამო. ამას იგი ქრისტიანების დაცვის საბაბით ხსნიდა. სინამდვილეში რუსეთს არა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, არამედ მის გავლენას დაქვემდებარებული საბერძნეთი აწყობდა.

ინგლისს არ აწყობდა აღნიშნულ რეგიონში რუსეთის გაძლიერება. ოსმალეთის დანაწევრებას ლონდონისათვის სავალალო შედეგები მოყვებოდა. ამიტომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი კესლრი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა რუსეთის უშუალო ჩარევა საბერძნეთის საქმეებში. ბრიტანული დიპლომატია არ რეაგირებდა ოსმალთა მიერ საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში ჩატარებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე.[64] როდესაც ერთ-ერთი ასეთი ჟლეტის შემდეგ ალექსანდრე I ოსმალეთს ომით დაემუქრა და ამ საკითხის შესახებ დიდი ბრიტანეთის პოზიციით დაინტერესდა ლონდონში განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ რუსეთ-თურქეთის ომს. ბერძნების მხარდაჭერა კი ამბოხებისა და მეამბოხეთა კანონიერად ცნობის ტოლფასად გამოცხადდა.

---

[64] 1821-1822 წწ. მასობრივი ტერორის დროს ოსმალებმა მარტო კუნძულ ქიოსზე 23 ათასი კაცი გაუჟლიტეს. მოკლულ იქნა 80 ქრისტიანი ღვთისმსახური, მათ შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

თავად დიდ ბრიტანეთში საზოგადოების გარკვეული ნაწილი სიმპათიით იყო განწყობილი აჯანყებულ ბერძნებისადმი. მათ თანაუგრძნობდა დიდი პოეტი ლორდი ბაირონი, რომელიც ჩავიდა საბერძნეთში და ცდილობდა აჯანყებულთა შორის არსებული დაპირისპირებულობების განმუხტვას. ბაირონი იქვე, საბერძნეთში გარდაიცვალა 1824 წ., ალყაშემორტყმულ ქალაქ მისოლუნგში და სამხედრო პატივით იქნა დაკრძალული. დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქებიდან (ლონდონი, ედინბურგი) საბერძნეთში მოხალისეებმა იწყეს ჩასვლა, რომლებიც ბერძნების მხარდამხარ იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ.

მდგომარეობა შეიცვალა 1822 წ., მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ლორდი კანინგი. მას არ ახასიათებდა ისეთი პანიკური შიში რევოლუციების და აჯანყებების წინაშე, როგორც მის წინამორბედ კესლრის. კანინგს შეეძლო გადამწყვეტ მომენტში თვალი დაეხუჭა პრინციპზე და საქმიდან გამომდინარე პრაქტიკული სარგებლისკენ გადახრილიყო. მოვლენათა მსვლელობამ იგი დაარწმუნა, რომ ბერძნების გამარჯვება გარდაუვალი იყო. ამიტომ კანინგმა გადაწყვიტა აქტიურად ჩარეულიყო ბერძნების მიერ წარმოებულ ბრძოლაში, რათა ეს უკანასკნელნი გამარჯვების შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის მეტოქის, რუსეთის მადლიერები არ ყოფილიყვნენ.

ბრიტანეთის საზოგადოების სიმპათიები აშკარად ბერძნების სასარგებლოდ იხრებოდა და მთავრობას არ შეეძლო ამის არ გათვალისწინება. იმავე დროს ლონდონში შეიტყვეს, რომ საფრანგეთის მთავრობა გეგმავდა მომავალი დამოუკიდებელი საბერძნეთის სამეფო ტახტზე ერთ-ერთი ფრანგი უფლისწულის აყვანას. ამის გამო კანინგმა კურსი პრო.ბერძნულ პოლიტიკაზე აიღო. მისი ინიციატივით აჯანყებულ მთავრობას ორჯერ გამოეყო სესხი (800 ათასი და 2 მლნ. გირვანქა სტერლინგი). მათ უფლება მიიღეს სურსათი მოემარაგებინათ ინგლისელთა მფლობელობაში მყოფ იონიის კუნძულებზე.

1824 წ. მიწურულს კანინგმა აცნობა ბერძნებს, რომ დიდი ბრიტანეთი მზად არის იკისროს შუამავლის როლი მათი თხოვნის შესაბამისად. მოგვიანებით, 1825 წ. კომოდორ ჰამილტონის ესკადრის საბერძნეთის წყლებში გამოჩენამ და თავად ჰამილტონის მუქარით აღსავსე განცხადებამ აიძულა ოსმალები უარი ეთქვათ მორიგ დამსჯელ ექსპედიციაზე.

ამგვარმა ქმედებებმა არნახულად გაზარდა ბერძენთა შორის ინგლისის ავტორიტეტი. აჯანყებულებმა თხოვნით მიმართეს ლონდონს, საბერძნეთი ოფიციალურად ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ გამოეცხადებინა. ლონდონში არ უნდოდათ ოსმალეთის გაღიზიანება, ამიტომ მიანიშნეს ბერძნებს, რომ ოფიციალური განცხადების გარეშეც არ დაუშვებდნენ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. აქ პირველ რიგში რუსეთის გეგმები იგულისხმებოდა, რომელიც ვარაუდობდა საბერძნეთის სამ სამთავროდ დაყოფას, რომლებიც ოსმალეთის ვასალების სტატუსით ისარგებლებდნენ.

ინგლისის გააქტიურებამ შეაშფოთა რუსეთი და საფრანგეთი. ამ უკანასკნელს არ სურდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი მის გარეშე გადაჭრილიყო. სწორედ საფრანგეთის თანადგომამ მისცა საშუალება მეფე ნიკოლოზ I დაეწყო საომარი მოქმედებები ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის დამარცხებამ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომში აიძულა სულთანი ეცნო საბერძნეთის დამოუკიდებლობა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც შემუშავებულ იყვნენ იმავე დროს დიდი ბრიტანეთის ინიციატივით მოწყობილ კონფერენციაზე ლონდონში.

ასეთივე პრინციპებით ხელმძღვანელობდა ბრიტანული დიპლომატია 1830 წ. დასავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში. საქმე ეხება რევოლუციას ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც შედგებოდა საკუთრივ ნიდერლანდებისაგან (ჰოლანდია) და ბელგიისაგან. საფრანგეთში 1830 წ. მომხდარი რევოლუციის გავლენით სამეფოს ბელგიურ ნაწილში, რომელიც რიგ საკითხებში დისკრიმინაციას განიცდიდა, აჯანყებამ იფეთქა ჰოლანდიელთა გაბატონებული მდგომარეობის წინააღმდეგ. აჯანყებული ბელგიელების წინააღმდეგ ნიდერლანდების მეფემ ჯარები დაძრა. მას ზურგს მისი მონათესავე პრუსიის და რუსეთის სამეფო დინასტიები უმაგრებდნენ. აჯანყებულ ბელგიელებს კი საფრანგეთი თანაუგრძნობდა, რომელსაც გარკვეულწილად თვალიც ეჭირა ამ ქვეყანაზე.

ინგლისს არც პრუსიის და რუსეთის რეაქციული რეჟიმების ჩარევა აწყობდა ამ ომში ნიდერლანდების მხარდასაჭერად და არც ბელგიის საფრანგეთთან შეერთება. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა პალმერსტონმა გამოიყენა დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდე-

გობები და მოხერხებული დიპლომატიის წყალობით მიაღწია იმას, რომ ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა აღიარეს ბელგიის დამოუკიდებლობა.

ამ წარმატებულმა სვლებმა ლორდი პალმერსტონი დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის უცილობელ თავკაცად აქცია. მას სჩვეოდა პრემიერ-მინისტრისაგან და საერთოდ კაბინეტისაგან დამოუკიდებლად ეპოქმედა, რაც ძალზე აღიზიანებდა მთავრობის წევრებს. მაგრამ მისი აგრესიული ტონი, რომლითაც იგი თავის უცხოელ კოლეგებს ან საერთოდ მთავრობებს მიმართავდა, ძალზე პოპულარული შეიქნა თავად დიდ ბრიტანეთში. ხალხი ამგვარ მოქმედებაში პატრიოტიზმის და ეროვნული რიხის გამოვლენას ხედავდა.

პალმერსტონის დადებითმა დამოკიდებულებამ კი სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ლიბერალური მოძრაობებისადმი მის მიმართ სიმპათიებით განაწყო როგორც ბრიტანელი, ასევე ევროპის კონტინენტის ლიბერალები. სწორედ აქიტომ იყო, რომ XIX ს. 40-იან წლებში ინგლისი ბევრი ევროპელი რევოლუციონერის (უნგრელი ლაიოშ კოშუტი, იტალიელი ჯუზეპე მაძინი) თავშესაფარად იქცა. პალმერსტონის დიპლომატიურ ოსტატობაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი ხმამაღალი ტონის და აგრესიული განცხადებების მიუხედავად დიდი ბრიტანეთი არასოდეს ჩაბმულა ომში თავის რომელიმე მეტოქესთან.

უშუალო კონფლიქტის და საომარი მოქმედებების თავიდან აცილება არ ნიშნავს, რომ პალმერსტონის და საერთოდ დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ოდესმე ატარებდა მაამებლობის ხასიათს. ლონდონში განუხრელად ბისდევდნენ ძალთა ბალანსის პრინციპს, რომლის მიხედვით არ უნდა მომხდარიყო რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეტისმეტი გაძლიერება, რაც შემდეგ საფრთხეს შეუქმნიდა დიდი ბრიტანეთის პოზიციებს. ეს პირველ რიგში რუსეთს შეეხებოდა.

ნაპოლეონის ომების დამთავრების შემდეგ რუსეთმა თანდათანობით გააქტიურა თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მისადგომებთან. მისი გაბატონება კავკასიაში ოსმალეთის, სპარსეთის და უფრო შორეული რეგიონების ბიმართ ექსპანსიის თავისებური წინაპირობა იყო. დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებს არ გამოპარვიათ ეს გარემოება. ნაპოლეონის ხანაში ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული იძულებითი ლოიალობა თანდათან ურთიერთ ეჭვითა და არაკეთილმოსურნეობით შეიცვალა. ბაგალითად, ინგლისში იმატა ანტირუსული პამფლეტების რიცხვმა. სწორედ რუსეთიდან მომავალი საფრთხის თავიდან აცილებისაკენ იყო მიმართული პალმერსტონის დიპლომატიური სვლები ე.წ. აღმოსავლურ საკითხში, რომელიც ოსმალელის იმპერიას ეხებოდა.

პალმერსტონმა ორჯერ, 1832 და 1839 წწ. გადადგა წარმატებული დიპლომატიური ნაბიჯი. მან დახვეწილი დიპლომატიური კომბინაციებით იხსნა ოსმალეთი სრული დანაწევრებისაგან, ხოლო სულთნის ხელისუფლება კი დამხობისაგან. აღნიშნული საფრთხე მომდინარეობდა სულთნის ძლევამოსილი და ურჩი ვასალის, ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალისაგან, რომელმაც ფაქტიურად დაიქვემდებარა ცალკეული პროვინციები და თავისი ძლიერი ჯარით თავად სტამბოლს ემუქრებოდა. მუჰამედ ალის საფრანგეთი უჭერდა მხარს, ხოლო რუსეთი კი ოსმალეთის მფარველის როლში გამოდიოდა. მეფე ნიკოლოზ I მზად იყო სულთნის ხელისუფლების დაცვის საბაბით ოსმალეთში ჯარი, ხოლო ბოსფორის და დარდანელის სრუტეებში ფლოტი შეეყვანა.

ამგვარ პირობებში პალმერსტონმა მოხერხებულად გამოიყენა საფრანგეთისა და რუსეთის ესოდენ განსხვავებულ პოზიციებზე ყოფნა და დიდი სახელმწიფოების შეშფოთება რუსეთის გავლენის არნახული გაძლიერებით ოსმალეთში, რომელსაც მას მოუტანდა სულთანთან 1833 წ. უნკიარ-ისკელესიში დადებული ხელშეკრულება.

პალმერსტონის მცდელობის შედეგად დიდი სახელმწიფოები ოსმალეთის უსაფრთხოების კოლექტიურ გარანტად გამოვიდნენ. ამან საშუალება არ მისცა რუსეთს გამოეყენებინა აღნიშნული უპირატესობა და მარტო ჩარეულიყო შექმნილ ვითარებაში ოსმალეთის დასახმარებლად. იმავე დროს პალმერსტონმა თავისი აგენტურის მეშვეობით გამოიწვია აჯანყება მუჰამედ ალის დაქვემდებარებულ პროვინციებში. სეპარატისტმა ფაშამ ვეღარ შეუტია სულთნის ხელისუფლებას. რუსეთის მიერ სულთანისათვის დახმარების აუცილებლობა მოიხსნა. დასუსტდა აგრეთვე ფრანგების გავლენა ეგვიპტეში, რომლის წყალობით მუჰამედ ალიმ ესოდენ დიდ ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას მიაღწია. ამრიგად აღნიშნულ საკითხში პალმერსტონის დიპლომატიამ სრული გამარჯვება მოიპოვა.

ინგლის-რუსეთის ფარული დაპირისპირების და მეტოქეობის ასპარეზს არა მარტო ოსმალეთი წარმოადგენდა. რუსეთის აქტიურ აღმოსვლურ პოლიტიკას მხოლოდ ოსმალეთი არ ჰქონდა მიზან-

ში ამოღებული. პეტერბურგში უფრო შორსაც იყურებოდნენ. რუსი პოლიტიკოსების წარმოდგენაში ქვეცნობიერად სპარსეთი და ინდოეთიც კი ისახებოდა.

რუსეთის იმპერიის მმართველი წრეები აზიას და აზიასთან ვაჭრობას რუსეთის ეკონომიკური ინტერესების უმნიშვნელოვანეს სფეროდ მიიჩნევდნენ. გზა კი ამ ესოდან მნიშვნელოვანი რეგიონებისაკენ კავკასიაზე გადიოდა. კავკასია რუსეთისთვის აღმოსავლეთის თავისებურ გასაღებს წარმოადგენდა. რუსი სახელმწიფო მოღვაწეების აზრით საქართველოში, შავ და კასპიის ზღვებზე გაბატონება რუსეთს ჩამოაცილებდა არასასურველ კონკურენტებს აღმოსავლეთის ვაჭრობაში. სწორედ ამიტომ XIX ს. 20-50-იან წლებში კავკასია იქცა ინგლის-რუსეთის ფარული დაპირისპირების მნიშვნელოვან კვანძად.

დიდი ბრიტანეთი ვერ შეეგუებოდა იმას, რომ რუსეთს სრული კონტროლი დაემყარებინა სპარსეთის ყურეზე და ინდოეთისკენ მიმავალ გზებზე. ამიტომ აღნიშნული პერიოდის მანძილზე ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეადგენდა კავკასიაში რუსეთის გაბატონებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამისათვის ინგლისი ცდილობდა წაექეზებინა ოსმალეთი და სპარსეთი რუსეთის წინააღმდეგ. ბრიტანული დიპლომატია ხელს უწყობდა მათ შეჭრას ამიერკავკასიაში. სტამბოლი და თეირანი უხვად იღებდნენ ფულად და მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას.

ოსმალეთისა და სპარსეთის ამიერკავკასიაში აგრესიის ხელშეწყობა არ იყო რუსეთის აღმოსავლური ექსპანსიის შეჩერების ერთადერთი ხერხი. ინგლისი დახმარებას უწევდა კავკასიის მთიელების ბრძოლას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. მებრძოლ მთიელებს (დაღესტნისა და ჩერქეზეთის მოსახლეობას), ფარულად ეგზავნებოდათ ფული, იარაღი, ტყვია-წამალი.

ობიექტურად, ამგვარ სიტუაციაში ინგლისი კავკასიის მოსახლეობის რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მხარდამჭერად გამოდიოდა. მაგრამ მისი მისწრაფებები საბოლოო ჯამში არ სცილდებოდა ამ რეგიონიდან რუსეთის გამოდევნას. რაც შეეხება მისი მოსახლეობის მომავალს, აქ ბრიტანეთის დიპლომატია არ მიდიოდა ერთობ ბუნდოვანი პოლიტიკური გეგმების მიღმა. კავკასიის როგორც ქრისტიანი, ასევე მაჰმადიანი მოსახლეობა ინგლისის ან ოსმალეთის პროტექტორატში უნდა შესულიყო. შეიძლება ითქვას, რომ შექმნილ ვითარებაში როგორც რუსეთი, ასევე ინგლისი თავის საკუთარ ინტერესებს იცავდნენ. უბრალოდ რუსეთი ამას შეუნიღბავად აკეთებდა, ხოლო ინგლისისათვის კავკასიის მოსახლეობის სწრაფვა თავისუფლებისაკენ მხოლოდ სასურველ ხერხს წარმოადგენდა იმისათვის, რომ განედევნა რუსეთი ამ რეგიონიდან.

ნაკლები წინააღმდეგობები ახასიათებდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობებს. ნაპოლეონის ომების დამთავრების შემდეგ ინგლისი ცდილობდა საფრანგეთთან დაახლოებას, რათა ხელახლა გამეფებული ბურბონების დინასტია უფრო დამყოლი და ლოიალური გაეხადა. მაგრამ როდესაც 1830წ. რევოლუციის შედეგად ტახტზე ახლად ასულმა ორლეანთა დინასტიამ მეფე ლუი-ფილიპეს სახით გადაწყვიტა საფრანგეთის პოზიციები გაეძლიერებინა ესპანეთში და ახლო აღმოსავლეთში, ლორდი პალმერსტონი მაშინვე გაილაშქრა ამგვარი მცდელობების წინააღმდეგ.

XIX ს. 40-იანი წლების მიწურულს პალმერსტონმა მხარი დაუჭირა იტალიელთა ეროვნულ და ლიბერალურ მოძრაობას. 1848 წ. რევოლუციის დროს კი მან სცნო ახლადშექმნილი საფრანგეთის რესპუბლიკა და დაარწმუნა ოსმალეთის სულთანი, რომ მას არ გადაეცა ავსტრიისათვის და რუსეთისათვის ოსმალეთში გახიზნული უნგრელი რევოლუციონერები. ამგვარი პოლიტიკა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული იმ გავლენით, რომელსაც ინგლისის ლიბერალური საზოგადოებრივი აზრი ახდენდა მთავრობაზე.

დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას სხვა, არაევროპულ ცივილიზაციებთან, მისი კოლონიური პოლიტიკის გააქტიურებას დიდად განაპირობებდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო სამრეწველო გადატრიალება. აქ პირველ რიგში ინდოეთი უნდა განვიხილოთ.

XIX ს. პირველი ნახევარი აღინიშნება ინგლისელთა, კერძოდ კი ინგლისის ოსტ—ინდოეთის კომპანიის ბატონობის დამყარებით ინდოეთში. მთელი ამ ხნის მანძილზე ინგლისელები ნაბიჯ-ნაბიჯ ანხორციელებდნენ ამ ვეება სუბკონტინენტის დაპყრობას. ინგლისის ინდური პოლიტიკა ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებით. ფორმალურად დაპყრობილი მიწები კომპანიის საკუთრებად ითვლებოდა. მაგრამ კომპანიის მესვეურები პირველ რიგში აქციების კურსის სიმტკიცეზე და მათგან მიღებულ შემოსავალზე ზრუნავდნენ. მათ ერთობ აშინებდა აქტიური პოლიტიკა, ომები, რომელთა შედეგად კომპანია ოფიციალურად ახალი ტერიტორიების მფლობელი ხდებოდა. ყველაფერი ეს ხომ

ხარჯების ზრდასთან და ზოგჯერ აქციების კურსის დაცემასთან იყო დაკავშირებული. ეს კი ძალიან აფრთხობდა კომპანიის ხელმძღვანელობას.

კომპანიის გენერალ-გუბერნატორები, რომლებიც დირექტორთა საბჭოსაგან განსხვავებით ინდოეთში იმყოფებოდნენ და ადგილზე უძღვებოდნენ საქმეებს, რეალურ სიტუაციაში ხშირად რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ კურსს მიმართავდნენ. ეს კურსი კი უფრო ესადაგებოდა ინგლისის მთავრობის ზოგად საგარეო პოლიტიკურ ხედვას და გამომდინარეობდა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო მდგომარეობიდან, მისი ურთიერთობებიდან ისეთ ქვეყნებთან, როგორიც იყვნენ საფრანგეთი და რუსეთი. სწორედ ამ ქვეყნებთან მეტოქეობით იყო განპირობებული ინგლისელთა აქტიური დაპყრობითი პოლიტიკა ინდოეთში.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა XIX ს. დასაწყისი, როდესაც ლორდ უელსლის გენერალ-გუბერნატორობის ხანაში ინგლისელთა ბატონობას დაექვემდებარა ისეთი დიდი ინდური სამთავროები, როგორებიც იყვნენ მაისორი, ავადი, მარათჰთა კონფედერაცია, კარნატიკი და მოღოლთა იმპერიის ნომინალური მეთაური, ფადიშაჰი შაჰ-ალამ II. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბომბეისა და მადრასის საპრეზიდენტოების უშუალო სამფლობელოები, ხოლო კალკუტის საპრეზიდენტოს ტერიტორია იმდენად გაიზარდა, რომ მის შემადგენლობაში დიდ მოღოლთა ნომინალური სატახტო ქალაქი, დელიც კი შედიოდა. ამით ინგლისელებმა თავიდან აიცილეს საფრთხე, რომელიც საფრანგეთიდან მომდინარეობდა, რადგანაც ნაპოლეონი შეპყრობილი იყო ინდოეთში ინგლისელთა პოზიციების შერყევის და საერთოდ ინდოეთის დალაშქვრის იდეით.

XIX ს. 10-იანი წლები აღინიშნებოდა ინგლისელთა მხრიდან ინდოეთში აქტიური დიპლომატიური საქმიანობით. ინგლისელები ყოველნაირად ცდილობდნენ გადაებირებინათ სიქჰი მთავრები, ავღანეთის ამირა და სინდის (ძდ.ინდის აუზში მდებარე სახელმწიფო) მმართველები. ამგვარი პოლიტიკა ასევე ნაპოლეონის შესაძლო აგრესიის აღკვეთას ისახავდა მიზნად. ინგლისელთა ეს მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. ინდოეთის ოკეანეში წარმატებული სამხედრო-საზღვაო ოპერაციების შედეგად ინგლისელებმა გამოდევნეს ფრანგები ისეთი კუნძულებიდან, როგორებიც არის: როდრიგესი, ბურბონი და მავრიკი.

ინდურ ბაზებზე დაყრდნობით ინგლისელებმა განახორციელეს წარმატებული შეტევა ჰოლანდიის (ფაქტიურად კი საფრანგეთის) კოლონიებზე ე.წ. ოსტ-ინდოეთის კუნძულებზე და დაიკავეს კუნძულები ამბოინა, ტერნატე და იავა. მოგვიანებით, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ეს კუნძულები ისევ ჰოლანდიას დაუბრუნდა. 1815 წ. ინგლისელებმა დაასრულეს კუნძულ ცეილონის დაპყრობა.

ნაპოლეონის დამხობის შემდეგ XIX ს. 50-იან წლებამდე ინგლისელებმა განახორციელეს ინდოეთის თანამიმდევრობითი და სრული დაპყრობა. მათ საბოლოოდ დაამარცხეს მარათჰთა კონფედერაცია, გურკჰთა მებრძოლ ხალხზე გამარჯვებით შემოიერთეს ჰიმალაების მისადგომებთან მდებარე ტერიტორია, თავის ვასალებად აქციეს რაჯპუტი მთავრები. ბირმასთან წარმატებულმა ომმა ინგლისელების ინდურ სამფლობელოებს პროვინცია ასამი შესძინა.

ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელი ინგლისელთათვის სიქჰებთან წარმოებული ორი ომი გამოდგა. მამაცი და დახელოვნებული მეომრები, სიქჰები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ინგლისელებს და რიგ შემთხვევაში დამარცხებაც კი აგემეს მათ. მაგრამ საბოლოო ჯამში გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ.

ეს პერიოდი არ იყო ინგლისელთათვის უწყვეტი გამარჯვებების სერია. წარუმატებელი გამოდგა ინგლისელების ავღანეთში ბატონობის დამყარების მცდელობა. XIX ს. 30-40-იანი წლების მიჯნაზე მათ მიერ წარმოებული ორი ომი ავღანეთში მარცხით დამთავრდა. ეს ომები ინგლისელებმა წამოიწყეს იმის საპასუხოდ, როცა წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის მიერ წაქეზებული სპარსეთის შეტევა ჰერათის წინააღმდეგ, რომელიც ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ კარიბჭეს და მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ამ ორმხრივმა წარუმატებლობამ აიძულა როგორც დიდი ბრიტანეთი, ასევე რუსეთი დიდი ხნით ხელი აეღოთ ამ ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წარმოებაზე, რამაც ავღანეთს დამოუკიდებლობა და თავისებური ბუფერის როლი შეუნარჩუნა ამ ორ დიდ სახელმწიფოს სამფლობელოებს შორის.

ინდოეთში ინგლისელთა ბატონობის დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ინგლისის ისტორიისათვის, არამედ მსოფლიო ისტორიული თვალსაზრისითაც. ვეებერთელა ტერიტორია, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით ინგლისელთა მართვა-გამგეობაში აღმოჩნდა. ინგლისელები

ინდოეთში მართვის ორ ხერხს იყენებდნენ: პირდაპირს (უშუალოს) და ირიბს. პირველ შემთხვევაში ოსტ-ინდოეთის კომპანია უშუალოდ განაგებდა დაქვემდებარებულ ტერიტორიებს. მეორეში მართვა-გამგეობა ხორციელდებოდა ადგილობრივი მთავრების მეშვეობით, რომელთა სამხედრო-ფინანსურ დასაყრდენს კომპანიის ჯარი და პენსია წარმოადგენდა.

ირიბი მართვის მეთოდი ქვეყნის ტერიტორიის 1/3-ზე ვრცელდებოდა და მოსახლეობის 1/4-ს მოიცავდა.

თავის წარმატებას ინგლისელებმა მიაღწიეს პირველ რიგში იმის წყალობით, რომ ინდური სამყაროს წინაშე წარსდგნენ როგორც ერთიანი ეროვნული და სახელმწიფო ერთეული, მაშინ, როცა ინდოეთი დანაწევრებული იყო მრავალრიცხოვან პოლიტიკურ, ეროვნულ თუ სარწმუნოებრივ ერთეულად, რომელთა შორის მუდმივი და შეურიგებელი დაპირისპირება იყო. ინდოეთის ინგლისელთა მიერ დაპყრობამ გააერთიანა ინდოეთი და თანდათანობით გააღვიძა ადგილობრივ მოსახლეობაში ერთიანი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერება. ამგვარად, დაპყრობით, კოლონიურ პროცესს ობიექტურად მოყვა პროგრესული მოვლენა.

ინგლისის მზარდ, კაპიტალისტურ ეკონომიკას ინდოეთის სახით მოევლინა ნედლეულის უშრეტი წყარო და ხელსაყრელი ბაზარი. ფართომასშტაბიანი კაპიტალისტური მრეწველობა ვერ დაკმაყოფილდებოდა წარმოების იმ ტემპებით, რომლითაც ტრადიციულად მოქმედებდა ინდოეთი. წარმოების დაჩქარება ინგლისმა მსოფლიო ბაზრის ინტერესების მოთხოვნით და თავისი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად განახორციელა, რამაც დასცა ინდოეთის ტრადიციული წარმოება.

ინგლისური საფეიქრო ნაწარმი ინდოეთში შეტანისას დაბალი საბაჟო გადასახადებით იბეგრებოდა, მაშინ როცა ინგლისში შემოტანილი ინდური ნაწარმის საბაჟო გადასახადი არნახულად გაიზარდა. მაგრამ იმ ხანად მსოფლიო კონკურენციის პირობებში უბრალოდ შეუძლებელი იყო სხვანაირად მოქმედება. თუმცა ამ სასტიკმა მეთოდებმაც კი ობიექტურად დადებითი შედეგი გამოიღო. ათასწლეულების მანძილზე ცხოვრებისა თუ წარმოების არქაულ, პატრიარქალურ წესზე დაფუძნებული ინდური სამყარო, ადრე ევროპისათვის ზღაპრული და მიუწვდომელი მსოფლიო ეკონომიკურ ფერხულში ჩაება და მსოფლიოისტორიული პროცესის მონაწილე გახდა.

მართალია ინდოეთი განიცდიდა სასტიკ ეკონომიკურ ექსპლუატაციას, რომელმაც გააპარტახა ადრე აყვავებული საფეიქრო ცენტრები, როგორებიც იყვნენ მაგ. დაკა და მურშიდაბადი, რომელთა მოსახელობა ოცდაოდე წლის მანძილზე 200 ათასიდან 150 ათასამდე შემცირდა, მაგრამ იმავე დროს კოლონიურმა ადმინისტრაციამ შემოიტანა დაფიქსირებული გადასახადების მწყობრი სისტემა, გააუქმა რიგი ძველი ადათ-წესებისა (მაგ. ქვრივების დაწვა გარდაცვლილ ქმართან ერთად, ბავშვთა ქორწინებები, თვითმკვლელობისა თუ მკვლელობის რიტუალები).

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები დაშვებულ იქნენ კოლონიურ მმართველობის აპარატში სამუშაოდ, რამაც ინდოელები თანდათან აზიარა მართვა-გამგეობის დასავლურ მეთოდებს. ინდოეთში ჩასული ჰუმანიტარული დარგის მოღვაწეები (მეცნიერები და მისიონერები) ერთობ ენერგიულ საქმიანობას ეწეოდნენ. პირველნი სწავლობდნენ და ფაქტიურად ხელახლა წარმოაჩენდნენ (ადგილობრივი მოსახლეობისათვის) ინდოეთის უძველესი ეპოქის კულტურის მიღწევებს, მეორენი კი აზიარებდნენ ინდოელებს დასავლური ყაიდის განათლებას. თავად ევროპელებში ეს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ კაცთმოყვარეობის გრძნობას ნერგავდა. თავის მხრივ ინდურმა სამყარომ გარკვეული გავლენა იქონია ინგლისურზე, რამაც გამოვლენა ჰპოვა ინგლისის კულტურასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განსხვავებულად ვითარდებოდა ურთიერთობა აზიის მეორე დიდ ქვეყანასთან, ჩინეთთან. თუკი ინდოეთი უფრო გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა და მრავალ სახელმწიფოდ დანაწევრებული უძლური აღმოჩნდა წინააღმდეგობა გაეწია ინგლისელებისათვის, ჩინეთი, ცენტრალიზებული, ერთიანი და გარე სამყაროსათვის გარკვეულწილად ჩაკეტილი ენერგიულად აღუდგა წინ მომხდურთა მოძალებას. ინგლისის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ამ ორი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროს ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენს.

ჩინეთის მმართველი ფენები პრაქტიკულად ვერ აცნობიერებდნენ ისტორიულ რეალობას და არ ესმოდათ, თუ რა სამყაროსთან ჰქონდათ ურთიერთობა. მათი ცნობიერების სტაგნაციაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ინგლისის ელჩებს ჯერ ლორდ მაკარტნის (1792 წ.) და მერე ლორდ ამჰერსტს (1816 წ.) სთხოვდნენ ჩინეთის იმპერატორებთან შეხვედრისას რთული და ევროპელებისთვის დამამცირებელი რიტუალის შესრულებას, ხოლო ინგლისის მეფეს ჩინეთის მბრძანებლები მუ-

ქარით და შეურაცხყოფით აღსავსე წერილებს უგზავნიდნენ. იმპერატორების ცნობიერება კვლავ იმ უძველესი იდეის ტყვეობაში იმყოფებოდა, როცა მათი სახელმწიფო სამყაროს ცენტრად აღიქმებოდა.

ამგვარ სამყაროს დაუპირისპირდა ინგლისი, თავისი ეკონომიკური ინტერესებით, რომლებიც ქადაგებდნენ თავისუფალ ვაჭრობას, მაქსიმალურ მოგებას და ამ მოგების მისაღებად აბსოლუტურად ყველა ხერხს რომ მიიჩნევდნენ დასაშვებად. ინგლისი, მისი მაუდი ან სხვა ნაწარმი ნაკლებად აინტერესებდა ჩინეთს. მისი ეკონომიკა აბსოლუტურად თვითკმარი იყო. მაგრამ ამას ვერ შეეგუებოდა ინგლისი იმ ცნებებიდან გამომდინარე, რომლებიც მის მმართველი წრეების შეგნებაში ბატონობდნენ. მოგების ნებისმიერი ფორმით მიღებისაკენ სწრაფვამ უბიძგა ინგლისელებს, რომლებიც ადრე ჩინეთში ჩაისა თუ აბრეშუმს ვერცხლის ფასად ყიდულობდნენ ამ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალება, ოპიუმი შეეტანათ.

ოპიუმი ინგლისელებს ინდოეთში, კერძოდ ბენგალიაში მოყავდათ, რის შემდეგაც ოსტ-ინდოეთის კომპანია მას ჩინეთში ვერცხლზე ჰყიდდა. თუკი 1800 წ. კომპანიამ ჩინეთში 2000 ყუთი ოპიუმი შეიტანა, 1834 წ. ამ ყუთების რაოდენობამ 21 785 მიაღწია. 1836 წ. ოპიუმი ჩინეთში ინგლისური ექსპორტის 55% შეადგენდა. ოპიუმით ვაჭრობას საკვალალო შედეგები მოჰქონდა ჩინეთის მოსახლეობისათვის, რომელიც ნარკომანიის მორევში ეფლობოდა და იმავდროულად აცარიელებდა ქვეყნის ხაზინას. იმპერატორის ბრძანებით აიკრძალა ჩინეთში ოპიუმის შემოტანა. ამან გამოიწვია ფართომასშტაბიანი კონტრაბანდა, რასაც ხელს უწყობდა ჩინელი მოხელეების კორუმპირებულობა. 1837 წ. ინგლისელებმა ჩინეთში 39 ათასი ყუთი ოპიუმი შეიტანეს.

კონტრაბანდის აღსაკვეთად ჩინეთის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა რამოდენიმე ინგლისელი კონტრაბანდისტი და აკრძალა ინგლისელებთან ნებისმიერი სავაჭრო ოპერაციის ჩატარება. ამან გამოიწვია ინგლის-ჩინეთის ომი, რომელიც ოპიუმის პირველი ომის სახელით არის ცნობილი. ამ ომმა (1840-1842 წწ.) აჩვენა განვითარებული, კაპიტალისტური ინგლისის სრული უპირატესობა კარჩაკეტილ, ფაქტიურად განვითარების მაგისტრალურ ხაზს მოწყვეტილ ჩინეთზე. ჩინეთი დამარცხდა.

ქალაქ ნანკინში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად ჩინეთმა გახსნა საგარეო ვაჭრობისათვის ხუთი ნავსადგური: კანტონი, შანჰაი, ამოი, ნინბო და ფუჩეოუ. კუნძული ჰონკონგი ინგლისს „სამარადისო მფლობელობაში" გადაეცა. იგი დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვან სამხედრო–საზღვაო ბაზად იქცა წყნარ ოკეანეში. ჩინეთმა ინგლისს კონტრიბუცია გადაუხადა 21 მლნ. დოლარის ოდენობით. ჩინეთში შემავალ ინგლისურ საქონელს შეღავათიანი 5% ბაჟი დაედო. გაუქმდა ჩინური სავაჭრო ორგანიზაციის „კოხტონის" მონიპოლიური უფლებები. ამიერიდან ყველა ჩინელ ვაჭარსა თუ სავაჭრო ორგანიზაციას უცხოელებთან ვაჭრობის უფლება ეძლეოდა. ეს ადგილობრივ მეწარმეობას ანთავისუფლებდა შუასაუკუნეობრივი მარწუხებიდან და ბიძგს აძლევდა ინდივიდუალური სამეწარმეო ინიციატივის განვითარებას.

დამატებითი, 1843 წ. ხელშეკრულებით ჩინეთმა სცნო ინგლისის ექსტერიტორიულობის უფლება, ე.ი. დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები არ ექვემდებარებოდნენ ჩინურ სასამართლოს. ინგლისმა აგრეთვე მიიღო უფლება ღია ნავსადგურებში შეექმნა თავისი დასახლებები, რომლებშიც მცხოვრები ინგლისელები არ ექვემდებარებოდნენ ჩინურ კანონმდებლობას. ყველა ნავსადგურში ინგლისური სამხედრო ხომალდი იდგა. ინგლისზე გავრცელდა ე.წ. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, რაც ნიშნავდა, რომ ჩინეთის მიერ ნებისმიერი ქვეყნის მიმართ გაკეთებული რაიმე დათმობა ავტომატურად ინგლისზე ვრცელდებოდა.

ამრიგად ომმა, რომელსაც ზოგიერთი ინგლისელი სამხედრო პირი თუ უცხოელი მიმომხილველი სამარცხვინოს უწოდებდა ინგლისს ფაქტიურად გაბატონებული მდგომარეობა შეუქმნა ჩინეთში, უპირატესობა მიანიჭა მას რუსეთთან კონკურენციაში, რომელიც ინგლისს ჩინურ ბაზარს ეცილებოდა და თავად ჩინეთი კი საუკუნოვანი იზოლაციის შემდეგ ჩაბა საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი, პროგრესული მოვლენა სამწუხაროდ ძალადობით და სისხლისმღვრელი ფორმით მოხდა. ახლადფეხადგუმლი კაპიტალისტური სამყაროს ცნობიერებაში ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმატების მიღწევისათვის ნებისმიერი ხერხი ვარგოდა.

თუ აზიის ვეებერთელა ქვეყნები, ინდოეთი და ჩინეთი ინგლისის მეშვეობით დასავლური ცივილიზაციის ფასეულობებს ეზიარებოდნენ, ევროპიდან და კერძოდ დიდი ბრიტანეთიდან ჩასული ახალმოშენეებით დასახლებული სამფლობელოები მეტროპოლიის მეშვეობით თვითმმართველობის

და სახალხო წარმომადგენლობის პრინციპებს ითვისებდნენ. ლაპარაკია ისეთ სამფლობელოებზე, როგორიც იყვნენ კანადა, ავსტრალია და ოკეანეთში განლაგებული კუნძულები.

კანადის ისტორია რამდენადმე წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას. ევროპიდან ჩამოსული იმიგრანტები ითვისებდნენ ახალ მიწებს, ებრძოდნენ და ანადგურებდნენ ინდიელებს. როდესაც ამერიკის 13 კოლონია აჯანყდა ინგლისის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობა მოიპოვა და როცა 1812 წ. დაიწყო ომი ინგლისსა და ახლადშექმნილ აშშ–ს შორის კანადელი კოლონისტები ერთგულად ედგნენ გვერდში მეტროპოლიას და ბრიტანეთიდან გამოგზავნილი ჯარების მხარდამხარ იბრძოდნენ.

მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა. კოლონიასა და მეტროპოლიას შორის წინააღმდეგობებმა იჩინეს თავი. მოსახლეობა, კერძოდ ვაჭრების და მეწარმეების მზარდი კლასი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ინგლისიდან მოსული განკარგულებებით, რომლებიც კრძალავდნენ კანადის ნავსადგურებში უცხო ქვეყნების ხომალდების შემოსვლას და აიძულებდნენ კოლონისტებს მხოლოდ ინგლისური საქონელი შეეძინათ. კოლონისტები მოითხოვდნენ კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიების მიწების საერო მფლობელობაში გადაცემას, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, მიწათმფლობელობის ფეოდალური სისტემის და ჰადსონის ყურის კომპანიის ზოგიერთ ტერიტორიაზე მფლობელობის გაუქმებას.

თითქოსდა წინააღმდეგობები იმ ხასიათს იძენდნენ, რომელმაც თავის დროზე გამოიწვია ომი ინგლისსა და მის 13 ამერიკულ კოლონიას შორის. მაგრამ მოვლენათა მსვლელობა ცოტა სხვანაირად წარიმართა. ამაში კანადაში არსებულმა ეროვნულმა დაპირისპირებამ ითამაშა გარკვეული როლი.

მიუხედავად იმისა, რომ შვიდწლიანი ომის შემდეგ კანადა ინგლისის სამფლობელოდ იქცა, ფრანგული მოსახლეობა იქ ამით არ შემცირებულა. ძირძველ, ე.წ. ქვემო კანადაში ფრანგები მოსახლეობის 5/6-ს შეადგენდნენ, ხოლო უფრო გვიანდელ პროვინციებში, ე.წ. ზემო კანადაში – 1/4-ს.

ორივე მხარეს ჰქონდა თავისი წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგრამ მათი უფლებები შეზღუდული იყო, განსაკუთრებით საფინანსო საკითხში. კანადას პრაქტიკულად გენერალ-გუბერნატორი მართავდა, რომელიც ინგლისის მეფის წარმომადგენელი იყო. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც გენერალ-გუბერნატორი ამ წარმომადგენლობით ორგანოებს დაითხოვდა, თუკი ისინი მისთვის არასასურველი პირებისაგან (ოპოზიციონერებისაგან) შედგებოდა. XIX ს. 30-იანი წლებისათვის მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა.

ამგვარ და სხვა სახის შევიწროებაზე განსაკუთრებით მტკივნეულად ქვემო კანადის ფრანგული მოსახლეობა რეაგირებდა. ფრანგული წარმოშობის კანადელებს მიაჩნდათ, რომ ხელისუფლება მათ მიმართ მიკერძოებას იჩენდა, ადანაშაულებდნენ მას ფინანსურ მაქინაციებსა და ინგლისურენოვანი მოსახლეობისადმი მაამებლობაში. საპროტესტო მოძრაობის გარკვეულ ეტაპზე ფრანგულენოვანმა მოსახლეობამ შესძლო ინგლისურენოვანი კოლონისტების გარკვეული რაოდენობის მიმხრობა.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ ლონდონში საპროტესტო მიმართვა გააგზავნა. განსაკუთრებული სიმძაფრით ქვემო კანადის მოსახლეობის მიმართვები გამოირჩეოდა. ინგლისის მთავრობამ მდგომარეობის გასარკვევად კანადაში სპეციალური კომისია გააგზავნა. კომისიამ შესძლო ზემო კანადაში მდგომარეობის განმუხტვა და ინგლისურენოვანი მოსახლეობის გადაბირება. მაგრამ ქვემო კანადის ფრანგები არ თმობდნენ თავის რადიკალურ მოთხოვნებს და ხმამაღლა მოუწოდებდნენ ამერიკული რევოლუციისათვის მიებაძათ.

ამგვარი დაძაბულობის შედეგად 1837 წ. ქვემო კანადაში აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში ადგილობრივი სახალხო ლაშქრის მეთაური, ერთ დროს წარმომადგენლობითი ასამბლეის თავმჯდომარე პაპინო მეთაურობდა. მოგვიანებით აჯანყებამ ზემო კანადაშიც იფეთქა. მას მეთაურობდა ჟურნალისტი მაკენზი. ორივე აჯანყებაში არც თუ ისე ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის არ იყო ურთიერთშეთანხმება, ამიტომაც ისინი ადვილად ჩაახშეს. ამგვარად, ეროვნულმა დაპირისპირებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის დამარცხებაში. ამას გარდა, როგორც ჩანს, კანადელ კოლონისტებს აკლდათ ის თავდადება და შემართება, რაც თავის დროზე 13 კოლონიის მოსახლეობამ გამოავლინა.

მაგრამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ინგლისის პოლიტიკამ კანადაში შემდგომი განვითარება ჰპოვა. ეს როგორც ჩანს, ამერიკული რევოლუციის გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. 1840 წ. ინ-

გლისის მთავრობამ მიიღო კანონი ორივე პროვინციის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული კანადის ასამბლეამ ფაქტიურად ინგლისის პარლამენტის თემთა პალატის მსგავსი ფუნქციები შეიძინა. ორივე პროვინცია პარლამენტში დეპუტატთა ერთნაირ რაოდენობას აგზავნიდა პარლამენტში, თუმცა კი ზემო (ინგლისურენოვანი) კანადა მოსახლეობით ოდნავ სჭარბობდა ქვემოს (ფრანგულს). ამ ჟესტმა გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო. პარლამენტში მხოლოდ ინგლისური ენის გამოყენების უფლებამ მალე დაკარგა ძალა და ადრე შეურიგებელი ფრანგულენოვანი მოსახლეობა გაერთიანდა რა ანგლო-საქს რეფორმისტებთან, მათთან ერთად დაიწყო პოლიტიკური საპარლამენტო ბრძოლა შემდგომი ლიბერალიზაციისათვის.

ერთობ თავისებურად მიმდინარეობდა ავსტრალიის კოლონიზაცია. ეს თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ავსტრალია დიდი ხნის მანძილზე სასჯელის მოხდის და შრომა-გასწორების ადგილს წარმოადგენდა. ამიტომ ამ კონტინენტისათვის არ იყო დამახასიათებელი „წესიერი" მოსახლეების სიჭარბე, რომელთაც არ სურდათ დასჯილ ან სასჯელმოხდილ ბოროტმოქმედების გვერდით ცხოვრება. კოლონისტების რიცხვის სიმცირეს განაპირობებდა აგრეთვე რთული ბუნებრივი პირობები. ბრიტანელი იმიგრანტების მცირერიცხოვანი დასახლებები ძირითადად განლაგებული იყვნენ ვიწრო სანაპირო ზოლის გასწვრივ ან რამოდენიმე მდინარის შესართავთან.

მოსახლეობის ამგვარი თავისებურების გამო (მსჯავრდებულთა და სასჯელმოხდილთა სიჭარბე) პირველი ავსტრალიური კოლონიების გუბერნატორებს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ და დაქვემდებარებულ ტერიტორიებს ისინი სამხედრო ყაიდაზე მართავდნენ. მხოლოდ 1824 წ. ინგლისის პარლამენტმა შესაძლებლად ჩათვალა ახალ სამხრეთ უელსში შეექმნა საკანონმდებლო საბჭო. მაგრამ მისი წევრები მაინც გუბერნატორის მიერ ინიშნებოდნენ. მხოლოდ 1840 წ. მიეცათ კოლონისტებს უფლება აერჩიათ თავისი წარმომადგენლები ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში.

XIX ს. 40-იან წლებიდან შეწყდა ავსტრალიაში დასჯილ დამნაშავეთა გადასახლება. ნოყიერი საძოვრების და ოქროს საბადოების აღმოჩენამ ავსტრალიის კოლონიზაციას უფრო ინტენსიური ხასიათი შესძინა. ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროვებისა და ხშირ შემთხვევაში განადგურების პროცესი. აბორიგენები, რომლებიც თავისი განვითარებით ქვის ხანის ცივილიზაციას შეესაბამებოდნენ, უბრალოდ ვერ შესძლებდნენ ევროპელ კოლონისტებთან თანაარსებობას, რომლებიც ინტენსიურად ითვისებდნენ ახალ კონტინენტს, რომელიც დიდ ბრიტანეთს ამარაგებდა მატყლით, ხორცით, მარცვლეულით.

ეს იყო მზარდი ეკონომიკური პროცესი, ნაკარნახევი მსოფლიო ეკონომიკური მოთხოვნებით, რომელსაც პრიმიტიულ ნადირობასა და შემგროებლობაში ჩაბმული ავსტრალიის აბორიგენები ვერანაირად ვერ აუბავდნენ მხარს. ამიტომ მათი ჩამოცილება ისტორიული ასპარეზიდან ადამიანური თვალსაზრისით ძალზე მტკივნეული, მაგრამ იმავე დროს გარდაუვალი მოვლენა იყო. სამწუხაროდ, ობიექტურმა მსოფლიო ისტორიულმა პროცესმა კვლავ გამოავლინა თავისი ულმობელი ხასიათი, რომლის დროსაც მარქსის ხატოვანი გამოთქმით პროგრესი ემსგავსება სისხლისმსმელ ურჩხულს, რომელიც ღვთაებრივ ნექტარს ადამიანთა თავის ქალებიდან მიირთმევს.

1840-1843 წწ. ინგლისმა დაიპყრო ახალი ზელანდია, რასაც მოჰყვა ადგილობრივი ტომის, მაორის ნაწილობრივი ამოჟლეტა და შემდგომ მათი დამორჩილება.

აქტიურ დაპყრობით მოქმედებებს ინგლისი ეწეოდა აგრეთვე სამხრეთ აფრიკაში. იქ ინგლისელებს უხდებოდათ ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობის და XVII-XVIII სს. ჰოლანდიიდან გადმოსახლებული იმიგრანტების, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ ბურების (ბური – Boer, ჰოლანდიურად ნიშნავს გლეხს) წინააღმდეგობის დაძლევა. აქ ურთიერთობის გამწვავებას უფრო თეთრკანიან ბურებთან ჰქონდა ადგილი, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურად უფრო ქმედით ელემენტს წარმოადგენდნენ.

მას შემდეგ, რაც 1815 წ. კონცხის (კეიპის – ინგ. Cape) კოლონია ინგლისის საკუთრება გახდა, იქ ბრიტანეთიდან ჩამოსული ახალმოშენეები გამოჩნდნენ. დიდი ბრიტანეთის მთავრობა აქ ხშირად ბურებისათვის არასასურველ ღონისძიებებს ატარებდა (ჰოლანდიური სასამართლოს გაუქმება, ინგლისური ენის სავალდებულო ენად გამოცხადება). იყო შემთხვევები, როცა მეტროპოლია ადგილობრივ ზანგთა ტომების უფლებებს იცავდა, რათა ამით ბურები შეევიწროვებინა. ყველაფერმა ამან აიძულა ბურები დაეტოვებინათ კეიპის კოლონია და ჩრდილოეთით გადასახლებულიყვნენ, სადაც მათ 1838 წ. დაარსეს ახალი სახელმწიფო, ნატალი.

1843 წ. კეიპის კოლონიის ადმინისტრაციამ ომი დაიწყო ნატალის წინააღმდეგ, დაიპყრო იგი და ინგლისის სამფლობელოდ აქცია.

ყველა ამ ზემოაღნიშნული ვრცელი კონტინენტური სამფლობელოების გარდა XIX ს. პირველ ნახევარში, კერძოდ 30-40-იან წწ. დიდი ბრიტანეთი დაეუფლა რიგ საზღვაო სადგომებს, რომლებიც მის მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზებად იქცნენ. ესენი იყვნენ ბორნეო და ლაბუანი (ინდონეზიის არქიპელაგის კუნძულები), ადენი (წითელი ზღვის შესასვლელში), ფოლკლენდის კუნძულები (მაგელანის სრუტესთან).

ამრიგად XIX ს. პირველი ნახევარი დიდი ბრიტანეთისათვის იყო განუხრელი აღმავლობის ხანა. რევოლუციურმა სიახლეებმა ეკონომიკაში განაპირობეს ქვეყნის საწარმოო ძალების და მატერიალური დოვლათის მანამდე არნახული ზრდა. ამის წყალობით ინგლისმა გაიმარჯვა ნაპოლეონის საფრანგეთთან ბრძოლაში. ახლებურმა საწარმოო ურთიერთობებმა თავად ინგლისი პოლიტიკური განახლებისა და ლიბერალიზაციის გზაზე დააყენა.

ინგლისის საგარეო პოლიტიკა XIX ს. პირველ ნახევარში ერთობ მრავალფეროვანი იყო. თავისი შიგაპოლიტიკური განვითარების ლიბერალური ხასიათიდან გამომდინარე იგი მხარს უჭერდა სხვადასხვა ქვეყანაში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. იმავე დროს დიდი ბრიტანეთი მაქსიმალურად იცავდა თავის ინტერესებს ისეთ დიდ სახელმწიფოებთან მეტოქეობაში, როგორებიც იყვნენ რუსეთი და საფრანგეთი. კოლონიურ ასპარეზზე დიდი ბრიტანეთის საქმიანობა აღინიშნებოდა ინდოეთის დაპყრობით, ჩინეთზე პოლიტიკურ-ეკონომიკური ბატონობის დამყარებით და თეთრკანიანი იმიგრანტებით დასახლებულ კანადასა და ავსტრალიაში სამფლობელოების შემდგომი გაფართოებით. ყველაფერ ამას მოყვებოდა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო ბაზარზე თანდათანობით გაბატონება და მისი მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად გადაქცევა.

ინგლისის კულტურა XIX ს. პირველ ნახევარში

საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა, რომლებმაც გრიგალივით გადაუარეს ევროპას წარუშლელი კვალი დატოვეს არა მარტო მაშინდელ საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, არამედ დიდი გავლენა მოახდინეს საზოგადოების ცნობიერებაზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ადამიანების ხედვა და ფასეულობების ჩამოყალიბება.

საფრანგეთის რევოლუცია და მისი იდეები ევროპელი და კერძოდ ინგლისელი მოაზროვნეებისათვის თავისუფლებისა და თანასწორობის სიმბოლოდ იქცნენ. ნაპოლეონსაც კი რევოლუციის პირმშოდ აღიქვამდნენ. მმართველი წრეების რეაქციულ პოლიტიკას, რომელთვისაც ყველაფერი ლიბერალური გაიგივებული იყო საფრანგეთთან, იაკობინელობასთან და ომთან ემატებოდა სამრეწველო გადატრიალებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები. ძველი, მეტნაკლებად გაწონასწორებული მატერიალური ყოფა შეცვალა არნახული ფუფუნებისა და საზარელი სიღატაკის თანაარსებობამ.

დიდი ბრიტანეთი არნახული კონტრასტების ქვეყანად იქცა. ლორდმა ბენტინკმა დოღში ერთ ჯერზე 27 ათასი გირვანქა სტერლინგი წააგო; ლორდ გრეის კერძები სადილზე შედგებოდა ორი შემწვარი დედლის, ორი მწყერის, ცხელი ბიფშტექსის და ცივი ხოხბისგან. იმავე დროს პოლიციამ ლონდონში დააკავა ორი პატარა ბიჭი, რომლებმაც ხორცის მაღაზიიდან მოიპარეს საქონლის ნახევრადმოხარშული შიგნეული და იქვე შეჭამეს. ლონდონის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ ღარიბთა კვარტალში, უაიტჩეპელში კი ოჯახები, რომლებიც 8-9 სულისაგან შედგებოდა განთავსებული იყვნენ ოთახებში, რომელთა ფართობი 10-12 კვ. ფუტს (დაახლოებით 3,66 მ 2) უდრიდა.

მანქანურ წარმოებაზე დამყარებულმა კაპიტალიზმმა მის ადრეულ ეტაპზე კონკურენციისა და მოგების უტყვ მონებად აქცია უამრავი ადამიანი. ადამიანი მანქანის დანამატად იქცა, მოხდა პიროვნების ნიველირება. „ჩვენ უცხოეთში მყოფი მონების ჩაგვრა გვაფიქრებს, მაგრამ არად ვაგდებთ ჩვენს გვერდით მყოფი მონების კვნესას“ — წერდა იმ დროის ერთ-ერთი ავტორიტეტული ინგლისური ჟურნალი. როგორი ასახვა ჰპოვა ყველაფერმა ამან ინგლისურ კულტურაში?

მასობრივი გაღატაკების ხილვამ და ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ესოდენ უარყოფითმა უშუალო შედეგმა ინგლისური კულტურის მოღვაწეების პროტესტი და თავისებური სულიერი ამბოხება გამოიწვია. აქ პირველ რიგში პოეტები და მწერლები უნდა ვიგულისხმოთ. თა-

ნადროულობის სისასტიკით შეძრწუნებულები, შემოქმედების ამ სფეროს წარმომადგენლები წარსულს მიუბრუნდნენ. ამგვარი მიმდინარეობა ლიტერატურაში რომანტიზმის სახელით არის ცნობილი.

წარსული, რომანტიკოსების თვალში ორი მომენტის აღორძინებას წარმოადგენდა. ძველი ყოფისათვის უცხო იყო „ეშმაკეული" ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ერთ მხრივ თავისი უსახურობით პეიზაჟს ამახინჯებდნენ და მეორე მხრივ, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად ნთქავდნენ უამრავ ადამიანს, წარმოების პროცესის მარტივ ჭანჭიკებად აქცევდნენ მათ. ამიტომ წარსულით გატაცებასთან ერთად რომანტიკოსებისათვის არც ბუნების ლამაზი ხედებით ტკბობა იყო უცხო. სწორედ ამგვარი მიმართულებით ვითარდებოდა უფროსი თაობის რომანტიკოსების, უილიამ უორდსვორტის (1770-1850 წწ.) და სემიუელ კოლრიჯის (1772-1834 წწ.) შემოქმედება. მათი პოეზია აღსავსე იყო ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის წარმოჩენით, ბუნების იდუმალების ხაზგასმით, ამ უკანასკნელის უნარით ადამიანის ცნობიერებაში ჩაებეჭდა ყველაზე მშვენიერი და საინტერესო მომენტები. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო უორდსვორტის პოეზიისათვის, რომელიც უპირატესობას შეურყვნელ ბუნებას ანიჭებდა. მისი თანამედროვე და თანამოაზრე სემიუელ კოლრიჯი ხშირად ფანტასტიკურ სიუჟეტებს მიმართავდა და ისწრაფოდა ზებუნებრივისათვის რეალურის იერი და არსი მიეცა.

სიჭაბუკეში საფრანგეთის რევოლუციის მომხრეები, უორდსვორტი და კოლრიჯი სხვა რომანტიკოსებთან ერთად ხოტბას ასხამდნენ პიროვნულ თავისუფლებას, თანაუგრძნობდნენ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლებს და აღიქვამდნენ კაცობრიობას როგორც ერთიან ძმურ ოჯახს. მაგრამ ნაპოლეონის საფრანგეთთან ომებმა ისინი ტორების ოფიციალური რეაქციული პოლიტიკის მხარდამჭერებად აქცია.

მათგან განსხვავებით რომანტიკოსთა მომდევნო თაობა ბოლომდე რევოლუციური იდეალების და მეამბოხე სულისკვეთების ერთგული დარჩა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ლორდი ბაირონი, შელი და კიტსი. აქ პირველობა უდავოდ ჯორჯ გორდონ ბაირონს (1789-1829 წწ.) ეკუთვნის, რომლის შემოქმედების უდიდეს მამოძრავებელ ძალას და უდიდეს გამოხატულებას მისი უკიდეგანოდ ინდივიდუალისტური და შეუდარებლად მშფოთვარე პიროვნება წარმოადგენდა. თავისუფლების მეხოტბე და მისი თავგამოდებული დამცველი, პოეზიაში თუ საზოგადოებრივ ყოფაში არსებული ნორმების მსხვრეველი, ხშირად ექსცენტრიულიც, ლორდი ბაირონი ერთნაირად მსრბოლავი, ვნებიანი და ამავ დროს მოხდენილი და ნატიფი იყო თავის სასიყვარულო ლექსებსა და პოემებში („პარიზინა"), თავისუფლების თუ ნაპოლეონის სადიდებელ ლექსებში („ვატერლოო"), ან საზოგადოების მანკიერი მხარეების წარმოჩენისას („დონ ჟუანი").

იყო რა ლორდთა პალატის წევრი, იგი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ლორდა პალატაში მანქანების მსხვრეველი მუშების, ლუდიტების დასაცავად. თანაუგრძნობდა რა ბერძენთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ოსმალთა წინააღმდეგ ბაირონი საბერძნეთში ჩავიდა ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. იგი ოსმალებით გარშემორტყმულ ქალაქ მისოლუნგში გარდაიცვალა 1824 წ. და მხედრული პატივით იქნა დაკრძალული ბერძენი პატრიოტების მიერ.

ლორდ ბაირონის მსგავსად თავისუფლების ქომაგი და გაბატონებული კლასების ზნე-ჩვეულებების კრიტიკოსი იყო მის მეგობარი პერსი ბისი შელი (1792-1822 წწ.). მის პოეზიას მიიჩნევენ როგორც ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილს და ჟღერადს ინგლისურ პოეზიაში. მას ღრმად სწამდა, რომ თუკი ადამიანებს მიეცემოდა თავისუფლება და ურთიერთის სიყვარულის უნარი, მათი ყოფა აბსოლუტურად მშვიდობიან ხასიათს მიიღებდა. შელი არაჩვეულებრივი ოსტატობით გადმოსცემდა ადამიანის სულიერ განცდებს. მას შეეძლო ჩაწვდომოდა ყოფიერების წარმავლობით გამოწვეულ სევდას და იმავდროულად სრულად გადმოეცა ბუნების მარადიული მშვენიერების ხილვით გამოწვეული აღტაცება.

ბაირონის და შელის უმცროსი თანამოკალმე ჯონ კიტსი (1795-1821 წწ.) გაურბოდა მისი თანადროული საზოგადოებრივი ვნებათაღელვის წარმოჩენას. მისი მიზანი საკუთარი პიროვნული არსის წვდომა იყო. ამ მიზნის განხორციელებას იგი ესწრაფოდა სხვადასხვა პოეტური ფორმით, აღწერდა რა შესაბამისად ანტიკურობის მშვენიერებას, აღორძინების ხანის გმირების თავდადებას თუ საკუთარი ყოფის და შემოქმედების გააზრებით გამოწვეულ ჭმუნვას.

ამგვარად, რომანტიკოსმა პოეტებმა გაილაშქრეს ყოფასა და ლიტერატურაში არსებული ნორმების წინააღმდეგ, დაგმეს გაბატონებული ფასეულობები. ყველაფერი ეს, მათი აზრით ზღუდავდა

პიროვნებას. ამის სანაცვლოდ მათ თავის შემოქმედებაში წინ წამოსწიეს პიროვნება, მისი განცდები და პიროვნულ ჭრილში წარმოაჩინეს უკიდეგანო სამყარო თავისი მრავალფეროვნებით.

წარსულით გატაცება მხოლოდ მეამბოხე სულისკვეთებით შეპყრობილი ახალგაზრდობისათვის არ იყო დამახასიათებელი. პიროვნების ნიველირებამ და ფორმაციათა მონაცვლეობისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ნორმების მსხვრევამ წარსულის გაიდეალებისაკენ უბიძგა კონსერვატულად განწყობილ ადამიანებსაც. მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ცნობილი პოლიტიკოსი ბენჯამინ დიზრაელი და პოპულარული რომანისტი სერ უოლტერ სკოტი.

თუკი დიზრაელს ლიტერატურული შემოქმედების პოპულარობა მისი სიცოცხლით შემოიფარგლა, სერ უოლტერ სკოტმა (1771-1832 წწ.) თავისი ისტორიული რომანებით (რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „აივენჰო") არნახულად გააღვივა ინტერესი შუა საუკუნეებისადმი. რომანტიკოსი პოეტებისათვის წარსული მხოლოდ ერთგვარი ხერხი იყო მათი საკუთარი განცდების წვდომისათვის, სკოტი კი მართლაც გატაცებული იყო წარსულის ისტორიული ასპექტით. შუა საუკუნეები, თავისი გმირებითა და რაინდებით თავისებური პროტესტი იყო სამრეწველო გადატრიალებით გამოწვეული რიგი უსახურობის წინააღმდეგ.

ძალზე თავისებური და იმავე დროს მნიშვნელოვანი იყო იმ დროის ცნობილი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის, თომას კარლაილის (1795-1881 წწ.) შემოქმედება. დღეს-დღეობით მის ისტორიულ თუ ფილოსოფიურ თხზულებებს არ შეიძლება ეწოდოს კლასიკური, მაგრამ იმ დროისათვის ისინი მძაფრად აღიქმებოდა, რადგანაც პასუხობდნენ საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებს.

თავის თხზულებებში კარლაილმა უჩვენა ისტორიულ მოვლენათა დრამატული, ულმობელი ხასიათი, რომელთა ფონზე ადამიანთა სხვადასხვა, ზოგჯერ სასტიკი ვნებების გამოვლენას აქვს ადგილი („საფრანგეთის რევოლუციის ისტორია"). ამით მან სცადა მისი თანადროული პერიოდის სასტიკი მოვლენების კანონზომიერება აეხსნა.

მზარდი კაპიტალიზმის მიერ დაკანონებულ ეკონომიკურ თუ სოციალურ კოლექტივიზმს მან დაუპირისპირა დიდი პიროვნებების მიერ გზაგაკვალული ისტორიული პროცესი, რომლებიც განგების ნება-სურვილს აღასრულებენ („გმირები და გმირთა თაყვანისცემა"). გამოკვლევაში, რომელიც მიეძღვნა ოლივერ კრომველს, კარლაილმა გააქარწყლა მრისხანე დიქტატორის უარყოფითი სტერეოტიპი და დახატა გმირი-მბრძანებლის პორტრეტი, რომელიც იტვირთავს რა მძიმე საზოგადოებრივ მოვალეობას, მიუძღვის თავის ხალხს დიდებისა და გამარჯვების გზაზე.

ინგლისური ლიტერატურის განვითარება XIX ს. პირველ ნახევარში არ შემოფარგლულა აღნიშნული მოღვაწეებით. თუკი სამრეწველო გადატრიალებით გამოწვეულმა მტკივნეულმა ცვლილებებმა პოეტებისა და მწერლების ერთ ნაწილს წარსულისაკენ უბიძგა და ხსნა სულიერი სიღრმეების მრავალფეროვნებაში დაანახვა, შემოქმედთა მეორე ნაწილმა შექმნილ ვითარებას თვალი გაუსწორა და არსებულის რეალისტური ასახვით შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც მათი რომანტიკოსი თანამოკალმეთა ქმნილებების მსგავსად მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს ამშვენებენ.

აქ პირველობა შესანიშნავ რეალისტს, ჩარლზ დიკენსს (1812-1870 წწ.) ეკუთვნის. ნაწარმოებებში, რომლებიც XIX ს. პირველ ნახევარში შეიქმნა („ოლივერ ტვისტის თავგადასავალი", „ნიკოლას ნიკლბი", „დომბი და შვილი", „დეივიდ კოპერფილდი"), დიკენსმა ოსტატურად და მართებულად დახატა თავისი თანადროული საზოგადოება და მისი ფასეულობები, ისინი, რომლებიც აღაშფოთებდნენ და წარსულისაკენ უბიძგებდნენ რომანტიკოსებს. ეს იყო ე.წ. მუშათა სახლებში გაბატონებული სასტიკი ჩაგვრა, სასკოლო სისტემაში ბავშვებისადმი არაადამიანური მოპყრობა, ფულისა და საკუთრების კულტის მიერ მამაშვილური ურთიერთობის გათელვა, სიდუხჭირე და თავის გატანისათვის მუდმივი ბრძოლა,

დიკენსმა რეალისტურად დახატა ის სოციალური ფსკერი, რომელიც რიჯენტ სტრიტისა და პიკადილის გაჩირაღდნებული მაღაზიების მიღმა იმყოფებოდა და თავს ადელფის სანაპიროს თაღებში თუ ვატერლოს ხიდქვეშ აფარებდა. დიკენსის მიერ დახატულმა სოციალურმა ყოფამ შექმნა თავისებური სტეროტიპი, ხელმოკლე ადამიანის ზნეობრივი უპირატესობა შეძლებულზე. მაგრამ აქვე წარმოჩნდებოდა დადებითი მომენტი. ტრადიციული ზნეობრივი სქემა ხშირ შემთხვევაში წინ წამოსწევდა კეთილ და შეძლებულ ადამიანს, რომელიც მოვლენათა მსვლელობის მთავარი წარმმართველის როლში გამოდიოდა.

უფრო თავისებური იყო მეორე შესანიშნავი ინგლისელი პროზაიკოსის, უილიამ თეკერეის (1811–1861 წწ.) შემოქმედება. თუკი არსებულ საზოგადოებრივ მანკიერებებში დიკენსი კონკრეტუ-

ლი დროის კონკრეტულ მოვლენებს ხედავდა, თეკერეისთვის ყველაფერი ეს მარადიული მოვლენა იყო, რომელიც მუდამ თან სდევდა კაცობრიობას. მისი გმირები ზოგადსაკაცობრიო სპექტაკლის მონაწილეები იყვნენ. თავისი ნილბებით ისინი მუდმივ მოქმედებაში იყვნენ ამქვეყნიურ ყოფაში, სადაც ყველაფერი იყიდება და სადაც ყველა ცდილობს საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ნებისმიერი წინააღმდეგობისდა მიუხედავად. სწორედ ამიტომ ასევე ერქვა თეკერეის შედევრს „ამაოების ბაზარი". ეს არის კაცობრიობის ისტორიის მისეული გაგების გამოხატულება, ტრაგიკომიკური გროტესკი, ჩაკეტილ წრეწირზე მოძრაობა. ალბათ სწორედ ამ ამაოების მარადიულობის წარმოჩენაში იყო თეკერეის, როგორც შემოქმედს შეუდარებლობა.

თავისებური აკტობიოგრაფიული ხასიათი მიეცა შარლოტა ბრონტეს (1816-1855 წწ.) რომანს „ჯეინ ეირი", რომელიც ეხმაურებოდა მის მიერ განვლილ ცხოვრების რთულ გზას.

რომანტიზმი, რომელსაც ესოდენ ელტვოდნენ ინგლისელი პოეტები თუ მწერლები არ იყო უცხო არც მათი თანამემამულე მხატვრებისათვის. მხრჩოლავი, „სატანური" ფაბრიკა-ქარხნებისაგან თავის დაღწევის სურვილი ინგლისელ მხატვრებს მშობლიური პეიზაჟების ტილოზე გადმოტანისაკენ უბიძგებდა. აქ ინგლისელია ტრადიციულ სიყვარულს ბუნებასა და სოფლის ხედებისადმი დაემატა ფერმწერთა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი უნარი, რომელთაგან ორმა ინგლისური ფერწერა არნახულად მაღალ დონეზე აიყვანა.

ალბათ არასოდეს არ ყოლია ინგლისს მანამდე ესოდენ დიდი მხატვრები, როგორც ჯონ კონსტებლი (1770-1837 წწ.) და ჯოზეფ ტერნერი (1775-1851 წწ.). კონსტებლის შემოქმედება უდავოდ მოვლენა იყო არა მარტო ინგლისურ, არამედ მთელ დასავლეთ ევროპულ ფერწერაში. იგი ახალი საფეხური იყო პეიზაჟის ჟანრში. ეს იყო ბუნების ხილვა სამრეწველო გადატრიალების მომსწრე ადამიანის თვალით, რომელსაც სურდა თავი დაეღწია ფაბრიკა-ქარხნების და ქალაქური ცხოვრების აურზაურისაგან. ინგლისური ბუნების თავისებურებებმა (ნისლი, ტენიანობა, მწვანე საფარის სიუხვე) კიდევ უფრო გაამძაფრა იქაური მხატვრების შემოქმედებითი ძიება.

მათი სტილი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ბუნებით მშვიდი და სოფლის განმარტოების მოყვარული კონსტებლის რომანტიზმი აბსოლუტურად რეალისტურია. მან დანერგა პეიზაჟში ბუნების გარკვეული მომენტის დაფიქსირება, მისი ელემენტების დინამიურობა, შეფერილობის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. ცნობილი ფრანგი მხატვარი ეჟენ დელაკრუა მასზე წერდა: „ეს შესანიშნავი ადამიანი, კონსტებლი, თავად ბუნებას მიყვება, მაშინ როცა ჩვენ მხოლოდ მის ცალკეულ სურათებს ვბაძავთ".

აბსოლუტურად განსხვავებული იყო ტერნერის შემოქმედება. ბუნებით რთული და გაორებული, იგი ორმაგ ცხოვრებას მისდევდა, მდიდარი, დიდებით შემოსილი მხატვრის და მიყრუებულ უბანში მცხოვრები ღარიბი ადამიანისას და სწორედ ამ უკანასკნელის სახელით გარდაიცვალა. ასეთივე იდუმალებით აღსავსეა მისი შემოქმედება. რომანტიკული თავისი ხასიათით, იგი სრულებით გადის რეალურ ფარგლებს მიღმა და არნახულად ფანტასტიკურ, იდუმალ და ზებუნებრივ ხასიათს იძენს. მას მაქსიმალურად აქვს გამძაფრებული ყველა ეფექტი, რისი წყალობით მისი შემოქმედება იძენს უსაგნო, კოსმიურ ხასიათს. სწორედ ასეთებია მისი ცნობილი ტილოები „მონათა ხომალდი", „ვენეციის მისალმები".

ტერნერმა პირველმა ევროპელ მხატვართაგან ახლებურად, თემატიურად გამოიყენა ევროპულ ფერწერაში ესოდენ პოპულარული სტიქიები — სინათლე და ჰაერი და იმავდროულად მათ ახალი დატვირთვა შესძინა. როგორც კონსტებლი, ასევე ტერნერი თავის შემოქმედებაში იმპრესიონიზმის ზღურბლს მიადგნენ.

კონსტებლის და ტერნერის შემოქმედებითი ძიება შეიძლება დაუპირისპირდეს ნიჭიერი პორტრეტისტის სერ ტომას ლოურენსის (1769-1830 წწ.) შემოქმედებას, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისის და ევროპის მაღალ საზოგადოებაში, მათ შორის სამეფო ოჯახში, იყო რა მათი „საშტატო" მხატვარი. მაგრამ საბოლოოდ იგი შემოქმედებით ჩიხში აღმოჩნდა, რადგან უფრო ძლიერთა ამა ქვეყნისას ნება სურვილს ასრულებდა, ვიდრე ჭეშმარიტებას ეძიებდა.

ლიტერატურასა და ფერწერაში არსებული მიღწევების ფონზე უდავოდ მწირია და უფერული ინგლისელთა მიღწევები მუსიკაში. ინგლისელმა მუსიკოსებმა ვერ შექმნეს რაიმე ღირებული, რაც ოდნავ მაინც გაუტოლდებოდა ვენის კლასიკური სკოლის შედევრებს ან მზარდი რომანტიკული მიმდინარეობის ნაწარმოებებს. სერ ჰენრი ბიშოპს, რომელსაც დედოფალ ვიქტორიას ტახტზე ასვლისთანავე რაინდის წოდება ებოძა, არ შეუქმნია რაიმე ღირებული და ამიტომაც ინგლისელები

ლონდონის საფილარმონიო საზოგადოების პროპაგანდის წყალობით ისმენდნენ ბეთჰოვენის შედევრებს, ან ვებერისა და მენდელსონის მუსიკას, როდესაც ეს უკანასკნელნი საკუთარი ნაწარმოებების სადირიჟოროდ ჩამოდიოდნენ ლონდონში.

ნაპოლეონთან ომში გამარჯვებამ, კოლონიური სამფლობელოების (პირველ რიგში ინდოეთში) შეძენამ ინგლისელები სიამაყით აღავსო. მათი აზრით ეს იყო ინგლისური პრინციპების, ფასეულობების ტრიუმფი, რასაც საფუძვლად ედო მათი თავდაჭერილობა, ტრადიციებისადმი ერთგულება და სწრაფვა საკუთარი თავის სრულყოფისაკენ. სწორედ ამგვარი სულისკვეთებით იყო აღსავსე იმ დროის პოპულარული მოქანდაკეების ჯონ ფლექსმენის და სერ რიჩარდ უესტმეკოთის შემოქმედება. მათ მიერ შექმნილი ქანდაკებები ან ქანდაკებათა ჯგუფები („ლორდი ჰაუ", „გენერალი ებერკრომბი") წარმოაჩენდნენ სისადავეს, ზნეობრიობას (ქალთა გამოსახულებები), ცოდნისადმი სწრაფვას (მამაკაცები წიგნით ხელში), ხოლო მთავარი გმირები კი გარეშმორტყმულები არიან ანტიკური ხასიათის ალეგოროიული ფიგურებით, რომლებიც მათ განადიდებენ.

კოლონიური სამფლობელოების გაფართოებამ ინგლისელთა ცნობიერებაში მესიანური დანიშნულების პირველი ნიშნები წარმოაჩინა. ინგლისელებს თავი ინდოელების განმანათლებლებად და მეგზურებად მიაჩნდათ, პოლიტიკოსების ნაწილი კოლონიებს მოწინააღმდეგე ქვეყნების განეიტრალების საშუალებად მიიჩნევდა. იზიარებდნენ რა ამ აზრებს, მოქანდაკეები თავის ნამუშევრებში ანტიკური სიდიადით შემკულ ინგლისელ კოლონიურ მოღვაწეებს (უორენ ჰასტინგსი, ლორდი ბენტინკი, გენერალი ოტრამი) ყოვლად უმწეო და უსუსური ინდოელების ფიგურებს უპირისპირებდნენ.

ძალზე მრავალფეროვანია XIX ს. პირველი ნახევრის ინგლისური ხუროთმოძღვრება. ხელოვნების გაბატონებული მიმდინარეობა, რომანტიზმი, აქ ერთობ მრავალფეროვნად წარმოჩნდა. ინგლისელი ხუროთმოძღვრების წარსულით გატაცება გოთური, კლასიკური (ანტიკური) და აღმოსავლური სტილების დანერგვაშიც კი გამოიხატა. გოთურ სტილში აგებულ იქნენ ფონტჰილის სააბატო (კერძო რეზიდენცია უილტშირის საგრაფოში) ჯეიმს უაიტის მიერ და უილიამ ბატერფილდის ყველა წმინდანის ეკლესია ლონდონში. გოთურ სტილშივე დაიწყო პარლამენტის შენობის ხელახლა აგება 1837 წ. მომხდარი ხანძრის მერე. მისი ავტორები იყვნენ არქიტექტორები ბარი და პაგინი.

მაგრამ ყველაზე დიდი პატივი მაინც ანტიკურობას ერგო. ინგლისის მიერ ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერამ, დიდი ბრიტანეთიდან საბერძნეთში მოხალისე მებრძოლების ჩასვლამ და ბოლოს, ინგლისის წარგზავნილის, ლორდ ელჯინის მიერ პართენონის განუმეორებელი ქანდაკებების ინგლისში ჩამოტანამ[65] არნახულად გააღვიძეს დიდ ბრიტანეთში ინტერესი ანტიკური ხუროთმოძღვრებისადმი. გამოჩნდა უამრავი შენობა რომელიც დამშვენებული იყო ანტიკური ქანდაკებებით, ბარელიეფებით, დორიული თუ იონიური სვეტებით. მათგან აღსანიშნავია ჯონ ჰენინგის ჰაიდ პარკის კუთხეში აგებული შენობა ანტიკური ფრიზით, სერ ჯონ სოანის ინგლისის ბანკის შიდა მორთულობა.

კლასიკური ხუროთმოძღვრების ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს უილიამ უილკინსის მიერ კემბრიჯში აგებული დოუნინგ კოლეჯი და ეროვნული გალერეა ლონდონში. ჰარვი ელმსმა ააგო ლივერპულში სენტ ჯორჯ ჰოლი, დედოფალ ვიქტორიას ტახტზე ასვლის აღსანიშნავად. გრანდიოზული და გარკვეულწილად მძიმე, ეს უკანასკნელი თითქოსდა მსოფლიო ბატონობის გზაზე დამდგარი დიდი ბრიტანეთის მედიდურობასა და ქედმაღლობას ანსახიერებს.

ინგლისის ზიარებას მსოფლიოს კულტურებთან და მისი კოლონიურ ბატონობის დასაწყისს ასახავს მრავალმხრივი ხელოვანის, არქიტექტორ ჯონ ნეშის შემოქმედება. მრავალრიცხოვანი კლასიკური სტილის შენობის ავტორმა, ნეშმა საკურორტო ქალაქ ბრაიტონში ააგო სამეფო-პავილიონი, რომელიც შესრულებულია ე.წ. ინდურ-მაჰმადიანურ სტილში.

თუკი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სამრეწველო გადატრიალებამ რომანტიზმს მისცა ბიძგი, მეცნიერებაში მან წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული, გამოყენებითი მხარე, მაშინ, როცა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეები ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდნენ ამ ტენდენციას. ელიტარულ მოაზროვნეთა ვიწრო ჯგუფი კვლავ მეცნიერების თეორიული მხარით იყო დაკავებული.

---

[65] საბერძნეთის მთავრობა დღესაც უკანონოდ მიიჩნევს ამ ქმედებას და მოითხოვს პართენონის ფრაგმენტების, რომლებიც ელჯინის მარმარილოს სახელით არიან ცნობილი (Elgin Marbles) საბერძნეთში დაბრუნებას. ინგლისურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქანდაკებები შესყიდულ იქნა ინგლისისათვის 1816 წ.

XIX ს. 20-იან წლებში ინგლისელმა ასტრონომებმა ჯორჯ ერიმ და ჯონ გერშელმა შექმნეს ნაშრომები, რომლებშიც გადმოცემული იყო მათემატიკური გამოკვლევები მთვარისა და პლანეტების შესახებ, დაკვირვებები უძრავ და მოძრავ ვარსკვლავებზე.

მაგრამ წარმოების განვითარება ითხოვდა ბუნების შესახებ მეცნიერებების განვითარებას, კერძოდ ფიზიკის და ქიმიის. ინგლისელების პრაქტიკულმა გონებამაც არ დააყოვნა. სწორედ ამ დარგებში მიაღწიეს ინგლისელმა მეცნიერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს. მაიკლ ფარადეიმ აღმოაჩინა ბენზოლი, სხვადასხვა გაზის გათხევადების პროცესი. მის მთავარ მიღწევას კი წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ინდუქციის აღმოჩენა. ამის წყალობით მექანიკური სამუშაოს ელექტროდენად გადაქცევის შესაძლებლობა შეიქმნა და პირუკუ. ეს საფუძვლად დაედო ელექტროძრავის შექმნას.

ჯეიმს ჯოულმა გააკეთა მნიშვნელოვანი აღმოჩენა ელექტროდენში სითბოს განვითარების შესახებ. მნიშვნელოვან ბიძგს მრეწველობის განვითარებისათვის წარმოადგენდა უილიამ სმიტის მიერ ინგლისის გეოლოგიური რუკის გამოქვეყნება, რაც ეფუძნებოდა სმიტის მიერ დედამიწის სხვადასხვა ფენის დახასიათებას მათი შემადგენელი სასარგებლო წიაღისეულისდა მიხედვით. მანვე დაასაბუთა დედამიწის განვითარების ბუნებრივი და ევოლუციური პროცესი.

ყველა ამ სიახლესთან ერთად, რომლებიც ინგლისური საზოგადოების სულიერ განცდებს და მეცნიერულ ნააზრევს გადამოსცემდნენ, XIX ს. პირველ ნახევარში დიდ ბრიტანეთში ადგილი ჰქონდა მოვლენებს, რომლებიც განპირობებული იყვნენ ეკონომიკური განვითარებით და საზოგადოების ახალ ყოფას ქმნიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი უორდსვორტი რკინიგზას საზიზღრად მიიჩნევდა, საუკუნის შუა ხანებისათვის ქვეყანა რკინიგზების ქსელით დაიფარა და ბრიტანელებს ჩვევად ექცათ რკინიგზის პირას ცხოვრება.

1845 წ. მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ყველა სარკინიგზო კომპანიას დღეში ერთხელ მაინც ექსპლუატაციაში უნდა გაეშვა შემადგენლობა მესამე კლასის ვაგონებით, რომლებშიც თითოეული გასავლელი მილის საფასური ერთი პენსი იყო. ამრიგად რკინიგზა ღარიბთათვისაც ხელმისაწვდომი გახდა. იაფ რკინიგზას კი მოყვა იაფი სურსათი და იაფი ქვანახშირი. 1838 წ. ამუშავდა პირველი ელექტროტელეგრაფი. საფოსტო მარკების შემოღებამ კი წერილების რაოდენობა კვირაში 1 მილიონიდან 4 მილიონამდე გაზარდა. მიმოწერა, ადრე შეძლებულთა პრივილეგია, ბრიტანელთა საყოველთაო და საყვარელ საქმიანობად იქცა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ არ შეიძლებოდა მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე ლაპარაკი.

ამრიგად, XIX ს. პირველი ნახევარი აღინიშნა ინგლისურ კულტურაში მნიშვნელოვანი მიღწევებით. ეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობასთან კავშირში უნდა განვიხილოთ. სამრეწველო გადატრიალებამ, მოსახლეობის ფართო ფენების გაღატაკებამ, საქარხნო წარმოების დანერგვის შედეგად ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლამ, საზოგადოებაში ახალი სულიერი ფასეულობების დანერგვამ მძლავრი ბიძგი მისცეს ახალი მიმართულების ძიებას ლიტერატურასა თუ ფერწერაში. ამ ძიების შედეგი იყო რომანტიკული მიმდინარეობა. საფრანგეთის რევოლუციამ ხელი შეუწყო ლიტერატურის გარკვეული წარმომადგენლების შემოქმედებაში თავისუფლების იდეების დამკვიდრებას. რომანტიზმი დამახასიათებელი იყო ხუროთმოძღვრებისათვისაც, რაც გოთური, თუ ანტიკური სტილის ნაგებობების აგებაში გამოიხატა.

კოლონიური სამფლობელოების გაფართოებამ, ფერადკანიან მოსახლეობაზე ბატონობის დასაწყისმა ბრიტანელთა ცნობიერებას მედიდურობა და ქედმაღლობა შესძინა, რაც შესაბამისად გამოიხატა ინგლისურ ქანდაკებაში. სხვა ცივილიზაციებთან კონტაქტმა ხელოვნების ცალკეულ დარგებში შემოიტანა უცხო ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი სტილი. წარმოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა მეცნიერებაც, რომლის მიღწევები წარმოების სხვადასხვა დარგებში ინერგებოდა. ერთი სიტყვით, გონებრივი შემოქმედების თვალსაზრისით, ინგლისური საზოგადოებისათვის ეს იყო ძალზე ნაყოფიერი პერიოდი.

ინგლისი „ვიქტორიანულ სახელოსნო"

XIX ს. მეორე ნახევარში დიდი ბრიტანეთი წინა პერიოდის განვითარების ნაყოფს იმკიდა. სამრეწველო გადატრიალების საწყისი საფეხურისათვის დამახასიათებელი მშრომელთა მასობრივი გაღატაკება მატერიალური დოვლათის არნახულმა ზრდამ და რაც მთავარია, შედარებით უკეთესმა

განაწილებამ შეცვალა. თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დანერგვამ ინგლისი მსოფლიო ბაზარზე გააბატონა. კონტინენტის რევოლუციური ქარტეხილებისაგან განზე დგომამ კი ბრიტანელებს ერთიანი, ერთ ერად შეკრული და სხვებზე უკეთესი ხალხის ცნობიერება შესძინა. ეს ხალხი ერთიანი, მიზანმიმართული ცხოვრებით ცხოვრობდა, რომლის სოციალურ ყოფას და ეროვნულ ცნობიერებას ვერაფერი ვერ დაამსხვრევდა. სწორედ ამიტომ იყო ძალზე პოპულარული XIX ს. 40-50-იან წლების მიჯნაზე ინგლისელთა შორის კარიკატურა, რომელიც ტიპიურ ინგლისურ ოჯახს გამოხატავდა. ინგლისური ყოფის დასაყრდენი, მშვიდი და უზრუნველი ცხოვრების მიმდევარი ოჯახი ირონიით აღსავსე, გაოცებით ეცნობოდა გაზეთს, რომელიც კონტინენტზე დატრიალებულ სისხლიან რევოლუციურ მოვლენებზე მოუთხრობდა მკითხველებს. ინგლისი შეუვალი იყო ამგვარი ქარტეხილებისათვის. ამას ისიც ამტკიცებს, რომ კომუნისტური მოძღვრების მებაირახტრეები, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი კაპიტალიზმის და საერთოდ არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართულ იდეურ-თეორიულ მუშაობას ეწეოდნენ ინგლისში, ინგლისშივე არსებული საწარმოო ურთიერთობათა შესწავლის ფონზე. მაგრამ მათ მიერ გაწეული პროპაგანდა ვერაფერს აკლებდა არსებულ წეს-წყობილებას.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა უნდა ჩაითვალოს. XIX ს. შუახანებიდან მოყოლებული ინგლისი რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე განუხრელად ინარჩუნებდა სამრეწველო პირველობას. იმ დროისათვის იგი უფრო მეტ რკინას აწარმოებდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყანა ერთად აღებული. 1870 წ. ინგლისის ბამბეულის მრეწველობა 30 მლნ. მექანიკური თითისტარით იყო აღჭურვილი, ე.ი. 6-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე საფრანგეთსა ან აშშ-ში. იმავე წელს საფეიქრო მრეწველობა 440,7 ათას მექანიკურ დაზგას ითვლიდა.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო წარმატება წარმოების სხვა დარგებში. რკინის მადნის აღმოჩენამ ჩრდილოეთ რაიონებში, ინჟინერ თომასის მიერ მეტალურგიაში ფოსფორული მადნის გამოყენებამ გააუმჯობესა ფოლადისა და თუჯის ჩამოსხმა. გაიზარდა ლითონის მოხმარება შიდა ბაზარზე, მაგ. გემთმშენებლობაში და მისი გატანა უცხოეთში. მრეწველობასა და ტრანსპორტში 1870 წ. 4,5 მლნ. ცხენის ძალის სიმძლავრის ორთქლის ძრავა გამოიყენებოდა. შესაბამისად გაიზარდა მძიმე მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, რომელიც 1841-1871 წწ. მანძილზე 410 ათასიდან 913 ათასამდე გაიზარდა.

მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარება ხელს უწყობდა ინგლისის სავაჭრო ექსპანსიის ზრდას. 1870წ. მისი ხვედრითი წილი მსოფლიო ვაჭრობაში 25% შეადგენდა, მაშინ როცა საფრანგეთის წილად 10,45%, გერმანიის 9,7%, აშშ-ს კი 7,5% მოდიოდა. დიდი ბრიტანეთი დანარჩენ მსოფლიოს ამარაგებდა ფართო ასორტიმენტის საქონლით, რომელთა შორის იყო როგორც ნედლეული (რკინის მადანი, ქვანახშირი), მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი (ხომალდები, ორთქლის ძრავები, მაუდი, ბამბეული) და ფართო მოხმარების საგნები. ყველაფერი ეს მიემართებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ინგლისური გემების მეშვეობით. ამ საწარმოო და სავაჭრო საქმიანობას ზურგს უმაგრებდა მყარი ვალუტა და განვითარებული საბანკო სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დროისათვის ინგლისმა მსოფლიო ეკონომიკურად დაიპყრო. სწორედ ამიტომ მას „მსოფლიო სახელოსნოს“ უწოდებდნენ.

1870 წ. ქალაქებში დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 66% ცხოვრობდა. XIX ს. შუა ხანებისათვის ოქროს საბადოების აღმოჩენამ ამერიკაში (კალიფორნია) და ავსტრალიაში მძლავრი ბიძგი მისცა ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რომლისათვისაც ეს კონტინენტები მომგებიან სავაჭრო ასპარეზად და მყარი ვალუტის შეძენის წყაროდ იქცნენ.

მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებამ ბიძგი მისცა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, რაც შემდეგ მონაცემებში გამოიხატა: 1842წ. 1429 000 ღარიბი იღებდა შემწეობას, 1861წ. კი 890 000. იკლო დამნაშავეობამ. ბრალდებულთა რიცხვი 1842 წ. 31 ათასი კაციდან 1861 წ. 18 ათასამდე შემცირდა. იკლო ლოთობამ. მთავრობამ გაზარდა გადასახადი სპირტიან სასმელებზე (12-დან 16 შილინგამდე), სამაგიეროდ შეამცირა გადასახადი ჩაიზე (26-დან 6 პენსამდე).

მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს სანიტარული პირობების გაუმჯობესებაც (საპნის მოხმარების გაფართოებამ ირონიულად ათქმევინა გერმანელ ისტორიკოსს ტრეიჩკეს, რომ ინგლისელებს საპონი ცივილიზებულობის ნიშნად მიაჩნდათ). გაუმჯო-

ბესდა მუშების კვება, ჩაცმა-დახურვა და რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათ დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ, რასაც ადრე არ ჰქონდა ადგილი.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოსახლეობაში საშუალო ფენის რაოდენობის და მისი სოციალური როლის ზრდა. საშუალო ფენის ზრდა მატერიალური მდგომარეობის მაჩვენებელი იყო. იმავე დროს ამ ფენის წარმომადგენლები (ექიმები, იურისტები, სამხედრო მოსამსახურეები, მოხელეები, საშუალო შეძლების მეწარმეები) თანდათან იქცნენ იმ საზოგადოებრივ ფენად, რომლის დაუღალავი შრომა და სოციალური თვითდისციპლინა საზოგადოების სიმდიდრესა და სტაბილურობას განაპირობებდა. აქედან გამომდინარე, მაოვე ჩამოაყალიბეს იმ დროის ბრიტანული საზოგადოების ცნობიერება, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო პიროვნების ინტერესების მაქსიმალური დაქვემდებარება მისი პროფესიული საქმიანობის და მკაცრი მორალის პრინციპებისადმი.

XIX ს. ფრანგი ფილოსოფოსის და ისტორიკოსის, იპოლიტ ტენის აზრით, ინგლისის საშუალო ფენები მხოლოდ თავისი საქმიანობაზე და სიღარიბისაგან თავის დაღწევაზე ფიქრით იყვნენ დაკავებული. ადამიანებს მისი აზრით, არ რჩებოდათ დრო ამქვეყნიური სიამოვნებისათვის. თითოეული საკუთარი საქმის გარდა სხვას ვერაფერს ვერ ხედავდა. ამგვარი ცნობიერება არა მარტო საშუალო შეძლების ბიზნესმენებს, არამედ დიდი ქონების პატრონებსაც ახასიათებდათ. მათთვის უცხო არ იყო საკუთარ ოფისებში დროზე მისვლა და სადა სამხარი.

გარეგნულადაც კი ეს სამყარო, რომელიც მსოფლიოს ამარაგებდა თავის ნაწარმით და სანაცვლოდ ასევე მთელი მსოფლიოს ოქროს იღებდა, სადა და გადამეტებულ ბრწყინვალებას მოკლებული იყო.

ამგვარი სულისკვეთების გაბატონებამ განაპირობა ის, რომ დიდ ბრიტანეთში, მზარდი ეკონომიკური პროგრესის პირობებში მუშათა კლასი არ გამოირჩეოდა ულტრამეამარცხენე რევოლუციური იდეებისადმი ლტოლვით. მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ მუშათა ცნობიერების გაწონასწორება გამოიწვია. მაღალკვალიფიციურ, შეძლებულ მუშებს, ე.წ. მუშათა არისტოკრატიას უფრო მეტი ლტოლვა ჰქონდათ მეპატრონეთა და მეწარმეთა წრეში ეტრიალათ, ვიდრე რევოლუციურ იდეებს გაყოლოდნენ. ამას თვით კომუნიზმის ბელადები, მარქსი და ენგელსიც კი აღიარებდნენ.

XIX ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული დიდ ბრიტანეთში მუშათა მოძრაობის და მუშათა გაერთიანებების დონე ორგანიზაციული თვალსაზრისით წინ წავიდა. შეიქმნა პროფესიული კავშირები, რომლებიც ერთი პროფესიის მუშებს აერთიანებდნენ. ეს კავშირები შემდგომ ერთიან ცენტრალურ ორგანოში, საბჭოში გაერთიანდნენ. მაგრამ კავშირები არ მიილტვოდნენ პოლიტიკური საქმიანობისაკენ ან პოლიტიკური ლოზუნგებისაკენ. მათი მიზანი იყო მეპატრონეებთან ურთიერთობის გარკვევა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ასეთი საქმიანობა სრულად ესადაგებოდა ინგლისური ბურჟუაზიის ლიბერალურ სულისკვეთებას და იდეოლოგიას. ამის წყალობით XIX ს. 50-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ინგლისში თავისებური სიმშვიდით გამოირჩეოდა. რაიმე მნიშვნელოვან შიგაპოლიტიკურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ქვეყანა და მისი მმართველები ძირითადად საგარეო პოლიტიკის საკითხებით იყვნენ დაკავებული, რომლებშიც წამყვან როლს ლორდი პალმერსტონი ასრულებდა. მას სხვადასხვა დროს საგარეო, შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები ეკავა.

პალმერსტონი ლიბერალიზმის მომხრე იყო. მაგრამ საგარეო პოლიტიკისგან განსხვავებით, მისი საშინაო პოლიტიკა ნაკლებად ლიბერალური იყო. ამგვარი მიდგომა კი უკვე ნაკლებად მიესადაგებოდა დროის სულისკვეთებას. საშუალო ფენების აღზევებამ, მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირებულობის ზრდამ ჟურნალ-გაზეთების გაიაფების შედეგად, რაც გამოწვეული იყო 1861 წ. ქაღალდზე გადასახადის შემცირებით, საზოგადოებრივი აზრი თანდათანობით უფრო მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. 1832 წ. რეფორმის შემდგომმა სამმა ათეულმა წელმა თანდათან აღზარდა საზოგადოებაში უნარი, უფრო რადიკალურად მოაზროვნე დეპუტატები აერჩიათ პარლამენტში. ამგვარმა ტენდენციამ პირობები შექმნა უფრო ლიბერალური შიგაპოლიტიკური კურსის გატარებისათვის. სიახლეს სუბიექტურმა ფაქტორმაც შეუწყო ხელი. 1865 წ. გარდაიცვალა იმ დროის ინგლისური პოლიტიკის უცილობელი მბრძანებელი ლორდი პალმერსტონი, რამაც ხელი შეუწყო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი სახელების გამოჩენას.

ლორდი პალმერსტონის გარდაცვალების შემდეგ ინგლისურ პოლიტიკაში გარკვეული ხნის მანძილზე დაწინაურდა ორი ადამიანი, რომლებიც მოწინააღმდეგე პარტიებს მეთაურობდნენ. ვიგე-

ბის პარტიას, რომელსაც ახლებურად ლიბერალურს უწოდებდნენ სათავეში ჩაუდგა უილიამ გლადსტონი, ბრწყინვალე ორატორი, ანტიკურობის მოტრფიალე, ღვთისმეტყველებაში განსწავლული. ყველაზე მეტად იგი შიგაპოლიტიკური და ფინანსური საკითხებით იყო დაინტერესებული. გლადსტონისაგან განსხვავებით, საპირისპირო პოზიციაზე იდგა მისი დიდი მეტოქე, ტორების (ახლებურად კონსერვატორების) პარტიის ლიდერი, ქრისტიანობას მოქცეული ებრაელი ბენჯამინ დიზრაელი. რომანტიკული გუნება-განწყობის ადამიანი და თავად თავისი დროის ერთობ პოპულარული მწერალი-რომანისტი, იგი მთელი არსებით გატაცებული იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებით. მას აღანთებდა ფიქრი ბრიტანეთის სიდიადეზე, იმ ბრიტანეთზე, რომელიც მის წარმოდგენაში სწორუპოვარი უნდა გამხდარიყო მას შემდეგ, რაც იქცეოდა მსოფლიო, უკიდეგანო იმპერიად, რომელსაც თვით რომის იმპერიის ბრწყინვალებაც კი უნდა დაეჩრდილა.

მაგრამ საგარეო პოლიტიკით ამგვარ გატაცებას ხელი არ შეუშლია დიზრაელისათვის საღად შეეფასებინა შიგაპოლიტიკური სიტუაცია. დიზრაელი მიხვდა ძველი ტორიზმის პრინციპების დრომოჭმულობას. საშუალო ფენების აღზევების და მუშათა გააქტიურების პირობებში კონსერვატიული პარტია მოძველებული პრინციპებით ვეღარაფერს გააწყობდა. იყო რა ჯენტრის წარმომადგენელი და მისი ინტერესების თავგამოდებული დამცველი, დიზრაელიმ მიზნად დაისახა ტორების პარტიის რეანიმაცია რადიკალური პოლიტიკის გატარების მეშვეობით. სწორედ ამიტომ XIX ს. 60-70-იან წლებში ლიბერალებისა და კონსერვატორების პარტიები თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პროგრესული გარდაქმნების გატარებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას სწორედ ზემოაღნიშნულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

სწორედ კონსერვატორების ხელისუფლებაში ყოფნის დროს, 1867 წ. დიზრაელიმ გაატარა ახალი საარჩევნო რეფორმა. მისი პოლიტიკური გამჭრიახობა იმაშიც გამოიხატა, რომ რეფორმისწინა დაძაბულ პერიოდში, როცა ლონდონის მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვდა საარჩევნო რეფორმის გატარებას, რაც ჰაიდ-პარკში გრანდიოზული მიტინგით და რკინის ღობეების დამტვრევითაც კი დასრულდა, მან დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიცია არ გამოიყენა.

რეფორმა ეტაპობრივი მოვლენა იყო ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან საბოლოოდ გააუქმა „დამპალი ადგილები", ერთი მესამედით გაზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა დიდ სამრეწველო ქალაქებში (მაგ. ბირმინგემში 30 ათასი ახალი ამომრჩეველი გამოჩნდა) და რაც ყველაზე საყურადღებოა, პირველად მიანიჭა მუშების გარკვეულ ნაწილს საარჩევნო უფლება. მატერიალური დოვლათის უშუალო შემქმნელები პირველად ეზიარნენ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს.

1868 წ. დეკემბერში ხელისუფლების სათავეში კვლავ ლიბერალები მოვიდნენ. ცდილობდნენ რა არ ჩამორჩენოდნენ კონსერვატორებს, რომელთა პრესტიჟი ერთობ გაიზარდა ჩრდილოეთის სამრეწველო საგრაფოებში, ლიბერალებმა ზედიზედ გაატარეს რამოდენიმე რეფორმა. 1870 წ. გარდაქმნილ იქნა განათლების სისტემა, რომელიც მანამდე უდავოდ კლასობრივ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებული იყო განთლების მიღების საშუალებას. რეფორმის შედეგად დაწესდა სავალდებულო განათლება ბავშვებისათვის 5-დან 12 წლამდე. თითოეულ ოლქში შეიქმნა სასკოლო საბჭოები. მათ უფლება მიეცათ დაებეგრათ ადგილობრივი მოსახლეობა, რათა ამოღებული თანხა მოხმარებოდა ახალი სკოლების გახსნას და მასწავლებელთა ანაზღაურებას.

შემდგომ ათწლეულებში ლიბერალებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს განათლების საქმე. 1880წ. შემოღებულ იქნა საყოველთაო საშუალო განათლება, ხოლო 1891 წ. გაუქმდა განათლების საბჭოების მიერ სკოლებისათვის განკუთვნილი გადასახადები.

განათლების რეფორმამ ხელი შეუწყო საზოგადოების ცნობიერების და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. მაგრამ შეგნებულ და განათლებულ ადამიანებს ცხოვრების და საქმიანობის უფრო სამართლიანი პირობები ესაჭიროებოდათ. სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახური კი იმ დროის ბრიტანეთში მექრთამეობის მარწუხებში იმყოფებოდა. მაგ. ჯარში წოდება და თანამდებობა იყიდებოდა. შესაბამისად, სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ ოფიცერი ყიდდა თავის წოდებას.

1870 წ. რეფორმის შედეგად ნებისმიერი სამოქალაქო მოხელე (საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გარდა) თანამდებობაზე ინიშნებოდა სპეციალური გამოცდის ჩაბარების შემდეგ, და არა უწყების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე. ამან ინგლისს შესძინა პროფესიონალი და არაპოლიტიზირებული მოხელეები, რომელთა მორჩილება და ეროგულება ეფუძნებოდა ობიექტურ და არა სუბიექტურ მომენტებს.

1871 წ. გატარდა სამხედრო რეფორმა. წოდებისა და თანამდებობის გაყიდვა აკრძალულ იქნა. იმავე წელს ნონკონფორმისტ-დისენტერებს უნივერსიტეტებში ჩარიცხვის უფლება მიეცათ. ადრე ამ უფლებით მხოლოდ ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრები სარგებლობდნენ.

1872 წ. შემოღებულ იქნა არჩევნების დროს ფარული კენჭისყრა. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დემოკრატიის განვითარების გზაზე. ამომრჩევლებს ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცათ. ყველაფერმა ამან პოლიტიკოსები უფრო მეტად გახადა ხალხზე დამოკიდებული. პოლიტიკურმა პარტიებმა მეტი საპარლამენტო დისციპლინა შეიძინეს. საპარლამენტო ფრაქციათა ხელმძღვანელობა უფრო მკაცრად მოითხოვდა თანაპარტიელებისაგან სხდომებზე დასწრებას. თუმცა დეპუტატებს ჯერ კიდევ არ ეძლეოდათ ანაზღაურება და ისინი თავისი პროფესიული საქმიანობის გამო პარლამენტს გარეთ იმყოფებოდნენ.

ის, რომ ამ გარდაქმნებს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი პროგრესისათვის გამოვლინდა 1874 წ. საპარლამენტო არჩევნებშიც. ლიბერალთა ესოდენ რეფორმისტულმა პოლიტიკამ მაინც ვერ დააკმაყოფილა მუშები, რომლებიც გლადსტონისაგან პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას მოითხოვდნენ. ხალხმა ზურგი აქცია გლადსტონს და ხმა მისცა დიზრაელის. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები მოექცნენ.

დიზრაიელიმ მაშინვე გააკეთა დასკვნები ლიბერალთა დამარცხებიდან. 1875წ. მან გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელმაც დააკანონა „მშვიდობიანი პიკეტირება", ე.ი. გაფიცვა. სპეციალური კანონით კი გაუქმებულ იქნა მუშათა და მეწარმეთა შორის არსებული იურიდიული უთანასწორობა. ამრიგად, კონსერვატორებმა კიდევ ერთი ბიძგი მისცეს დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

დიზრაელის პრემიერ-მინისტრობის ხანაში გამოიცა ასევე ორი მნიშვნელოვანი კანონი. პირველმა აკრძალა სამრეწველო საწარმოებში 10 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმება, ხოლო 10-დან 14 წლამდე წარმოებაში დასაქმებული ბავშვებისათვის შემოიღო სავალდებულო სასკოლო განათლება (ე.ი. შეამცირა მათი დასაქმების დრო).

მეორე კანონით საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებს უფლება მიეცათ დაენგრიათ შენობები იმ კვარტლებში, სადაც ჯანმრთელობისათვის მავნე პირობები იყო (ეს მუშათა კვარტლებს ეხებოდა) და მათ ნაცვლად საღი შენობები აეგოთ.

კონსერვატორებმა აგრეთვე აუკრძალეს გემების მფლობელებს დაექირავებინათ მეზღვაურები ამორტიზირებულ ხომალდებზე სამუშაოდ. ამორტიზაციის გაუთვალისწინებლობას სასიკვდილო შედეგები მოყვებოდა. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც იყო დიდი ბრიტანეთი, სადაც ზღვაოსნობა შეიძლება ითქვას ეროვნულ საქმიანობას წარმოადგენდა ამ კანონის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დიზრაელის ძვირადღირებული საგარეო პოლიტიკით მეტისმეტმა გატაცებამ 1880 წ, ხელისუფლება კვლავ ლიბერალებს ჩაუგდო ხელში. გაითვალისწინა რა ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსების და ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კონსერვატორებმა გაანელეს საშინაო პრობლემებზე ზრუნვა, გლადსტონმა 1884 წ. გაატარა მორიგი საარჩევნო რეფორმა. რეფორმის შედეგად დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა რაოდენობა 3 მლ. 150 ათას-იდან 5 მლნ. 700 ათასამდე გაიზარდა.

ყურადღება მიაქციეს ქალთა უფლებებსაც. ქალებს მიენიჭათ ხმის უფლება საქალაქო (მუნიციპალურ), სასკოლო და საზოგადოებრივი ზრუნვის საბჭოების არჩევნებში. მათვე მიენიჭათ უფლება არჩეული ყოფილიყვნენ სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სასკოლო საბჭოში. გათხოვილ ქალებს თავისი ქონების განკარგვის სრული უფლება მიეცათ. ეს მნიშვნელოვანი პროგრესი იყო, თუმცა კი ქალები კვლავინდებურად საპარლამენტო არჩევნებს მილმა რჩებოდნენ.

იმ საერთო პროგრესის ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის შიგაპოლიტიკურ ცხოვრებაში XIX ს. 50-80-იან წლებში ერთობ დაძაბულად და რთულად გამოიყურებოდა ირლანდიაში შექმნილი მდგომარეობა. ამ ქვეყანას კვლავ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის დაღი ედო.

XIX ს. 40-იანი წლების მოვლენებმა (ხორბლის კანონების გაუქმება, შიმშილობა) მძიმე კვალი დაამჩნიეს ირლანდიას. ქვეყნის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა როგორც სიკვდილიანობის, ასევე ემირგაციის გამო. ამან რასაკვირველია დაასუსტა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მაგრამ XIX ს. 60-იან წლებში ეროვნული მოძრაობა ირლანდიაში გამოცოცხლდა. შეიქმნა თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალი პარტია, რომელსაც ფენიების (ფენიანელთა)[66] სახელი ეწოდა. იგი ფარულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ფენიებს მხარს უჭერდნენ ამერიკაში მცხოვრები ირლანდიელები, რომელთა შორის ბევრი იყო სამხედრო პირი, აშშ-ში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გამართული ომის მონაწილე ჯარისკაცი თუ ოფიცერი.

ამერიკულმა ელემენტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფენიების მოძრაობაზე. კერძოდ, ითვალისწინებდნენ რა ამერიკელი თვისტომების მხარდაჭერას, ფენიები ირლანდიის განთავისუფლებას სწორედ შეიარაღებული ბრძოლის გზით გეგმავდნენ.

1865 წ. ამერიკაში მყოფი ირლანდიელი ფენიები შეეცადნენ კანადის ხელში ჩაგდებას და იქ ინგლისის ხელისუფლების დამხობას. მათი მეორე ნაწილი, რომელიც აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეებისაგან შედგებოდა, შეეცადა 1867 წ. ინგლისში საყოველთაო აჯანყების დაწყებას, მაგრამ უშედეგოდ. ერთი მათგანი, ამერიკელი გენერალი კელი იარაღის გატაცებას გეგმავდა ჩესტერის არსენალიდან, მაგრამ დაპატიმრებულ იქნა.

ფენიებმა შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეს ბადრაგზე და გაანთავისუფლეს კელი. იმავე წელს თავისი მეორე ბელადის განთავისუფლებისათვის ფენიებმა აფეთქება მოაწყვეს ლონდონში, ერთ-ერთ ციხეში. აფეთქების შედეგად დაიღუპა 12 და დაშავდა ასამდე ადამიანი. ამრიგად, ფენიები ტერორის გზას დაადგნენ.

აღნიშნული მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ლიბერალები მოვიდნენ. პრემიერ-მინისტრი გლადსტონი თავის თავად არ აპირებდა ფენიების მოთხოვნების შესრულებას. მისი მიზანი იყო ირლანდიელთა მასის დაშოშმინება, რათა ხელსაყრელი პოლიტიკური ფონი შეექმნა ლიბერალთა მიერ დაგეგმილი რეფორმებისათვის. „უნდა ვაიძულოთ ირლანდიელები პატივი სცენ კანონს. ამისათვის კი უნდა დავანახოთ მათ, რომ კანონი მათი მეგობარია და არა მტერი" — ამბობდა გლადსტონი. იგი ისწრაფოდა გაეტარებინა ღონისძიებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა ირლანდიის მოსახლეობის ორ მნიშვნელოვან ფენას: მრავალრიცხოვან გლეხობას და მოსახლეობაში ავტორიტეტის მქონე კათოლიკე სამღვდელოებას.

გლადსტონის პირველი რეფორმა შეეხებოდა მიწის საკითხს. ახალი კანონის თანახმად ლენდლორდს (მიწათმფლობელს) აეკრძალა მოიჯარადრე ფერმერისათვის მიწის ჩამორთმევა მანამ, სანამ არ აანაზღაურებდა ამ უკანასკნელის მიერ მეურნეობის გაუმჯობესებისათვის გაწეულ ხარჯებს. ამან გარკვეულწილად გააუმჯობესა ირლანდიელი გლეხების მდგომარეობა.

მეორე რეფორმის შედეგად კი ანგლიკანურ ეკლესიას, რომლის მიმდევრებიც ირლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ, ჩამოერთვა სახელმწიფო (გაბატონებული) ეკლესიის სტატუსი, სასამართლო ფუნქციები და მეათედის აკრეფის უფლება. მისი 16 მლნ. გირვანქა სტერლინგად შეფასებული ქონების ერთი ნაწილი დაურიგდა კათოლიკურ და პრესბიტერიანულ ეკლესიებს, მეორე კი მოხმარდა საავადმყოფოებისა და ობოლ ბავშვთა სახლების გახსნას. მაგრამ ქონების დიდი ნაწილი კვლავ ანგლიკანური ეკლესიის განკარგულებაში დარჩა. კანონის სანახევრო ხასიათის მიუხედავად, იგი მაინც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგანაც ფორმალურად ბოლო მოუღო ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის დამამცირებელ, მეორეხარისხოვან მდგომარეობას.

მიუხედავად ამ გარდაქმნებისა ირლანდია კვლავინდებურად რჩებოდა ინგლისის მმართველი წრეებისათვის თავისებურ აქილევსის ქუსლად. თუ მანამდე ირლანდიელები პერიოდულად ახსენებდნენ თავს ხელისუფლებას თავისი მანიფესტაციებითა თუ შეიარაღებული გამოსვლების მცდელობით, XIX ს. 70-იანი წლებიდან მათმა მოძრაობამ სისტემატური, და რაც მთავარია საპარლამენტო ხასიათი მიიღო. ეს სიახლე დაკავშირებულია ჩარლზ პარნელის სახელთან. ირლანდიაში დაბადებული ეს პროტესტანტი ინგლისელი მგზნებარედ იყო მინდობილი ირლანდიის განთავისუფლების საქმეს.

გახდა რა 1875 წ. პარლამენტის დეპუტატი, პარნელი სწრაფად მოექცა იმ საპარლამენტო ირლანდიული ფრაქციის სათავეში, რომელიც ირლანდიისათვის არა სრულ დამოუკიდებლობას, არამედ თვითმმართველობას[67] ითხოვდა. პეწიანი, მუდამ თავაზიანი და კოხტად ჩაცმული (რისი თქმაც არ შეიძლებოდა ბევრ მის თანაპარტიელ ირლანდიელზე) პარნელი ტიპიური ინგლისელი

---

[66] ამ დასახელებას საფუძველად ედო ირლანდიური ეპოსის გმირის, ფენ მაკულის სახელი.

[67] ინგლისურად Home Rule, ამიტომაც ირლანდიელ დეპუტატებს ჰოუმრულის პარტიას უწოდებდნენ.

ჯენტლმენის განსახიერებას წარმოადგენდა. ამის წყალობით პარნელმა პარლამენტარების პატივისცემა დაიმსახურა.

ასეთივე ორგანიზებული იყო მის მიერ გამოყენებული ბრძოლის მეთოდებიც. პარნელმა უარი თქვა ირლანდიელი დეპუტატების ცალკეულ გამოხტომებზე და გეზი პარლამენტის მუშაობის გეგმაზომიერ და ამავე დროს კანონიერ ფორმებში წარმოებულ ჩაშლაზე აიღო.

საპარლამენტო ტრადიციით არ იყო დაშვებული კამათის შეწყვეტა. ნებისმიერ დეპუტატს უფლება ჰქონდა უსასრულოდ ელაპარაკა ერთსა და იგივე საკითხზე, შესწორება შეეტანა კანონპროექტის ნებისმიერ სიტყვაში და მოეთხოვა, ამ ნებისმიერი შესწორებისათვის კენჭი ეყარათ, რაც ერთობ ხანგრძლივ პროცედურას წარმოადგენდა.

პარნელმა არაჩვეულებრივად დახვეწა ამგვარი ობსტრუქციული მეთოდი. ამის წყალობით მას ნებისმიერ დროს შეეძლო პარლამენტის მუშაობის პარალიზება. შემდგომში დაითვალეს, რომ პარლამენტის 1879 წ. ბოლო სხდომის დროს მარტო პარნელმა 500-ჯერ აიღო სიტყვა. 1877წ. პარნელის ობსტრუქციული მეთოდის წყალობით პარლამენტი ორი დღის მანძილზე შესვენების გარეშე განიხილავდა სამხრეთ აფრიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მაგრამ ირლანდიელთა ფრაქცია არ შემოიფარგლა მხოლოდ საპარლამენტო ასპარეზით. ფრაქციის პოზიციის გასაძლიერებლად პარნელი დაუკავშირდა მაიკლ დევიტს, ძველ ფენიელს, კატორღაში ნამყოფს, რომელმაც უარი თქვა ტერორზე და შექმნა ირლანდიელ გლეხთა გაერთიანება, ე.წ. მიწის ლიგა, რომელიც აგრარული მოთხოვნებით გამოდიოდა. ლიგის ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ დაეკანონებინა მტკიცე და ზომიერი საიჯარო გადასახადი, ხოლო გლეხები, მოჯამაგირეები და მოიჯარადრეები თანდათანობით მიწის წვრილ მესაკუთრეებად ექცია.

დევიტი და პარნელი ერთობ ენერგიულად მოქმედებდნენ. ლიგა მოუწოდებდა ირლანდიელ ფერმერებს არ დაეკავებინათ მიწიდან აყრილი თავიანთი თანამოძმეების ნაკვეთები, წინააღმდეგობა გაეწიათ პოლიციისათვის მიწიდან აყრის დროს, დაეხოცათ ლენდლორდების პირუტყვი, ან დაეწვათ მათი მამული. ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდს ლენდლორდებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა იყო. ინგლისელ მემამულეებს აღარ შეეძლოთ დაექირავებინათ მოსამსახურეები, მინდვრის მუშები, არავინ არ ყიდულობდა მათ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს. ბრძოლის ეს მეთოდი პირველად 1880 წ. იქნა გამოყენებული ერთ-ერთი ინგლისელი ლენდლორდის მოურავის, ვინმე ბოიკოტის მიმართ, რომელსაც ყველამ შეაქცია ზურგი. ამის გამო პროტესტის ამგვარ ფორმას ბოიკოტი ეწოდა.

ლიგის საპროტესტო აქციები ფულს საჭიროებდა. თანხების შეგროვება პარნელმა იკისრა. მან აშშ-ში მცხოვრებ ირლანდიელებს მიმართა დახმარებისათვის, პირადად შემოიარა ეს ქვეყანა და ერთი წლის მანძილზე 72 ათასი გირვანქა სტერლინგი შეაგროვა.

ფულითა და ლიგის აგიტაციით გამხნევებულმა ირლანდიელებმა კიდევ უფრო ენერგიულად შეუტიეს ინგლისელ ლენდლორდებს. ბოიკოტისა და უშუალო თავდასხმების გამო ამ უკანასკნელთა მდგომარეობა ირლანდიაში ძალზე გართულდა. პასუხად მთავრობამ გადაწყვიტა ირლანდიაში საგანგებო ზომები მიეღო. მთავრობის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ პარნელის ფრაქციამ მთელი თავისი ენერგია და ობსტრუქციული პოლიტიკის უნარ-ჩვევები წარმართა. ობსტრუქციული მეთოდის წყალობით კანონპროექტი 41 საათს განიხილებოდა შესვენების გარეშე. საბოლოოდ კანონი მიღებულ იქნა, ხოლო მოგვიანებით გლადსტონმა, რომელიც ადრე იმედოვნებდა ირლანდიელებისათვის ეჩვენებინა, რომ კანონი მტერი კი არა, მეგობარია, მოითხოვა პარნელის დაპატიმრება.

პარნელი, დევიტი და ირლანდიელთა მოძრაობის სხვა თავკაცები დააპატიმრეს. თავად მიწის ლიგა დათხოვნილ იქნა. მაგრამ ამან ვერ გაანელა საპროტესტო მოძრაობა, იმდენად კარგად იყო იგი უკვე ორგანიზებული თავად პარნელისა და დევიტის მიერ. ამან აიძულა მთავრობა კვლავ დაეწყო მოლაპარაკება ირლანდიელთა იმჟამად უკვე დაპატიმრებულ ლიდერებთან. მიღწეული შეთანხმების თანახმად მთავრობა დათანხმდა მიეღო ირლანდიელთა მოთხოვნა ფერმერების მიერ დავალიანების დაფარვის გადავადების შესახებ, ხოლო პარნელმა აღუთქვა მთავრობას, რომ აღარ მიმართავდა ობსტრუქციას. ირლანდიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დაინიშნა ლიბერალურად განწყობილი ლორდი კავენდიში.

სიტუაცია თითქოსდა განიმუხტა. მაგრამ მალე მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. 1882 წ. შეურიგებლად განწყობილმა ფენიებმა, რომელთა ერთადერთი ლოზუნგი იყო ირლანდიის სრული დამოუკიდებლობა, დღისით-მზისით, დუბლინში, ფენიქს-პარკში სეირნობის დროს მოკლეს მეფისნაცვალი ლორდი კავენდიში და მისი თანაშემწე ბერკი. ამ ტერორისტულმა აქტმა მკვეთრად შეცვალა

სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ პარნელმა და დევიტმა საჯაროდ დაგმეს ეს ტერორისტული აქტი, მთავრობამ ირლანდიაში საგანგებო წესები შემოიღო, რასაც მოჰყვა რეპრესიები. ფენიებმა რეპრესიებს ტერორისტული აქტებით უპასუხეს. აფეთქებები მოხდა ვლაზგოსა და ლონდონში, სხვადასხვა სამთავრობო თუ კულტურულ დაწესებულებაში. ყველაფერმა ამან ინგლისელთა ფართო ფენებში ირლანდიელთა მიმართ სიძულვილი გამოიწვია. ბუნებრივია, რომ ამგვარ პირობებში ირლანდიაში რაიმე გარდაქმნების გატარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

მაგრამ ამ ბობოქარმა მოვლენებმა, პარნელისა და დევიტის დაუღალავმა აგიტაციამ ირლანდიული ფრაქცია ინგლისის პარლამენტის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად აქცია. როგორც ლიბერალების, ასევე კონსერვატორების პოზიცია დამოკიდებული გახდა მათ პოლიტიკაზე ირლანდიურ საკითხში. პარნელის ფრაქციის მხარდაჭერას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. პარნელიც მაქსიმალურად ცდილობდა გამოეყენებინა ეს სიტუაცია და მიეღო თითოეული პარტიისაგან დათმობათა მაქსიმუმი. ამიტომ იყო, რომ 15 თვის მანძილზე, 1885-1886 წწ. მთავრობა ოთხჯერ შეიცვალა.

ირლანდიელთა დასაშოშმინებლად და ლიბერალების პოზიციის განსამტკიცებლად გლადსტონმა 1886 წწ. შემოიტანა პარლამენტში ირლანდიისათვის თვითმმართველობის მინიჭების კანონპროექტი, მაგრამ მას წინ აღუდგნენ არა მარტო კონსერვატორები, არამედ ლიბერალთა ნაწილიც, ბირმინგემელი დეპუტატის ჯოზეფ ჩემბერლენის მეთაურობით. ამ უკანასკნელებს მათი პოზიციის გამო ლიბერალ-იუნიონისტები[68] უწოდეს.

ჩემბერლენის ფრაქციის მხარდაჭერას მოკლებული გლადსტონის მთავრობა იძულებული შეიქნა გადამდგარიყო, ხოლო იმავე წელს ჩატარებულ არჩევნებში ირლანდიის ავტონომიის იდეით უკმაყოფილო მოსახლეობამ კონსერვატორების და ლიბერალ-იუნიონისტების კოალიციურ პარტიას მისცა ხმა. მათ მიერ წამოყენებული გაერთიანებული სამეფოს ლოზუნგი უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა. იმ დროიდან მოყოლებული, კონსერვატორებმა თითქმის 20 წლის მანძილზე ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება.

ამრიგად XIX ს. 50-80-იანი წლები დიდი ბრიტანეთის ისტორიაში პირველ რიგში აღინიშნება საპარლამენტო დემოკრატიის მნიშვნელოვანი განვითარებით და კლასიკური ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებით. მზარდი ეკონომიკური განვითარება უბიძგებდა პოლიტიკურ პარტიებს ერთიმეორეს მიყოლებით გაეტარებინათ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. მათი საშინაო პოლიტიკა განხორციელების ცალკეულ მეთოდებში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. შეიცვალა პარტიათა სოციალური დასაყრდენი და შემადგენლობა. ეს პირველ რიგში კონსერვატორებს შეეხება. თუკი ადრე პარტიაში წარმოდგენილები იყვნენ მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელები, აგრეთვე, ფინანსისტების ნაწილი, XIX ს. 60-იანი წლებიდან, საერთაშორისო კონკურენციის ზრდასთან დაკავშირებით კონსერვატორთა რიგებში გამოჩნდნენ სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

მოვლენებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის და მსოფლიო ეკონომიკაში XIX ს. 80-იანი წლების დასასრულს განაპირობეს ცვლილებები დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების პოლიტიკურ პროგრამებში, პარტიული თანაფარდობის გადაჯგუფება და შესაბამისად ახალი პოლიტიკური კურსის გატარება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა XIX ს. მეორე ნახევარში

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გამარჯვებამ, ინგლისის „მსოფლიოს სახელოსნოდ" გადაქცევამ განაპირობეს საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც ინგლისი ანხორციელებდა XIXს. მეორე ნახევარში. ამ საგარეო პოლიტიკის უმთავრესი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მკვეთრად განსხვავდებოდა იმავე დროის საშინაო პოლიტიკისაგან და თითქოსდა ნაკლებად ესადაგებოდა მას. მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მთელი აღნიშნული პერიოდის მანძილზე აღსავსე იყო მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებით, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის განუხ-

[68] მომდინარეობს სიტ:ეიდან Union – კავშირი, გაერთიანება. იუნიონისტები ინგლისის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მომხრეები იყვნენ

რელ დემოკრატიზაციას, საგარეო პოლიტიკის წამყვან მიმართულებას კოლონიური ექსპანსია და აგრესიული ომები წარმოადგენენ. სწორედ აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ კი XIX ს. ბოლო მესამედიდან ჩაეყარა საფუძველი ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელიც იმპერიალიზმის სახელით იყო ცნობილი. იგი ქადაგებდა კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბებას, შენარჩუნებას და წარმოადგენდა ინგლისური საზოგადოების ცნობიერების შემადგენელ ნაწილს.

თავისუფალი ვაჭრობის და ეკონომიკური აღმავლობის პირობებში ინგლისს სჭირდებოდა ბაზრები თავისი საქონლის გასაღებისათვის. საბანკო სისტემის განვითარებამ, პარიზის როლის დაქვეითებამ (საფრანგეთის პრუსიასთან ომში დამარცხების გამო) ლონდონი წამყვან სავალუტო ბირჟად აქცია. ლონდონის ბანკი მსოფლიოს საფინანსო სისტემას აკონტროლებდა.

არნახულად გაზრდილ ინგლისურ კაპიტალდაბანდებებსა თუ სესხებს სტაბილური გარემო სჭირდებოდა, რომელიც გამორიცხავდა კონკურენციას ან შევიწროვებას მეტოქის მხრიდან. ყველაფერი ეს კი განაპირობებდა შემტევ საგარეო პოლიტიკას. ინგლისური კაპიტალის პოზიციები საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული.

ინგლისის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა მეწარმეებს ეკავათ, საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი ფასეულობები ბატონობდნენ. შესაბამისად, მათი ინტერესების დაცვა საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა.

XIX ს. 50-60-იან წლებში ინგლისის საგარეო პოლიტიკის წამყვანი ფიგურა იყო ლორდი პალმერსტონი. მისი საგარეო პოლიტიკური კურსი გამოირჩეოდა შემტევი ხასიათით და კატეგორიულობით. ხელმძღვანელობდა რა პრინციპით, რომლის თანახმად ინგლისს თავისი მუდმივი და უცვლელი ინტერესების გამო არ გააჩნდა მუდმივი მტრები თუ მეგობრები, პალმერსტონი თავის საგარეო პოლიტიკაში ერთმანეთს უხამებდა პროგრესულ ნაბიჯებს და აშკარად აგრესიულ ქმედებებს. ქვეყნის სიმდიდრე, ფინანსური ძლიერება და უძლეველი ფლოტი ხელს უწყობდნენ პალმერსტონს რიგი საგარეო პოლიტიკური საკითხებისა შეიარაღებული ჩარევის გარეშე გადაეწყვიტა. იგივე ფაქტორები აძლევდნენ მას საშუალებას საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალა გამოეყენებინა.

დიდ სახელმწიფოებთან მიმართებაში პალმერსტონი ტრადიციულად ძალთა წონასწორობის შენარჩუნების პოლიტიკას ატარებდა. აქ მის მთავარ საზრუნავს რუსეთი და საფრანგეთი წარმოადგენდნენ. როგორც უკვე ითქვა ადრე, ნაპოლეონის ომების დამთავრების შემდეგ თანდათანობით გამოიკვეთა ინგლის-რუსეთის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში. XIX ს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე ამ მეტოქეობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. რუსეთის მეფის ნიკოლოზ I არაერთგზის განცხადებამ, რომ დიდი სახელმწიფოები დროულად უნდა შეუდგნენ „მომაკვდავი ავადმყოფის" (ე.ი. ოსმალეთის) მემკვიდრეობის გაყოფაზე ზრუნვას ინგლისის მთავრობის შეშფოთება და ფარული პროტესტი გამოიწვია.

პალმერსტონის და მისი კოლეგებისათვის ნათელი იყო, რომ ოსმალეთის დაშლა და ამ პროცესში რუსეთის აქტიური მონაწილეობა თვითმპყრობელობას გზას გაუხსნიდა იმ მიწებისაკენ, რომლებიც ინგლისის სასიცოცხლო ინტერესების სფეროს წარმოადგენდნენ. კერძოდ კი საფრთხეს შეუქმნიდა ახლო აღმოსავლეთს, სპარსეთის ყურეს და ინდოეთსაც კი.

რუსეთის ექსპანსიონისტურმა მისწრაფებებმა, რომლითაც არა მარტო ინგლისი, არამედ საფრანგეთიც იყო უკმაყოფილო ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის უშუალო სამხედრო დაპირისპირებას, მით უფრო, რომ რუსების მიერ სინოპის საზღვაო ბრძოლაში 1853 წ. თურქების ფლოტი სრულებით იქნა განადგურებული, რამაც რუსეთის ოსმალეთში ინტერვენციის რეალური საფრთხე შექმნა. ამან გამოიწვია ომი, რომელიც ყირიმის ომის სახელით არის ცნობილი (1853-1856 წწ.).

ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ თურქეთთან ერთად ინგლისი, საფრანგეთი და სარდინიის სამეფო ჩაებნენ. უფრო სწორად, ინგლისი და საფრანგეთი წარმოადგენდნენ სამარი მოქმედებების მთავარ დამკვრელ ძალას. ევროპელი მოკავშირეების არმიები ყირიმის ნახევარკუნძულზე მოქმედებდნენ. ომმა გამოავლინა როგორც რუსეთის მატერიალურ-ტექნიკური ჩამორჩენილობა (კავშირგაბმულობის მოძველებული საშუალებები და შეიარაღება, იალქნიანი ფლოტი), ასევე ინგლისურ არმიაში არსებული ხარვეზები. ეს ეხება ინგლისის ჯარის დრომოჭმულ ტაქტიკას, ასაკოვანი გენერლების უუნარობას. სწრაფი შეტევითი ოპერაციების ნაცვლად მათ დააყოვნეს, რამაც საშუალება მისცა რუსებს გაემაგრებინათ მოკავშირეების შეტევის მთავარი ობიექტი, სევასტოპოლი. ინგლისის ჯარი მოუმზადებელი აღმოჩნდა ზამთრის მკაცრი პირობებისთვის. რუსი ჯარისკაცების თავგანწირ-

ვამ და სიმამაცემ, აგრეთვე საფუძვლიანმა საინჟინრო-საფორტიფიკაციო სამუშაოებმა სევასტოპოლი პრაქტიკულად აუღებელ ციხე-სიმაგრედ აქცია. ბალაკლავასთან და ინკერმანთან გამარჯვების მოპოვება ინგლისელებს და მათ მოკავშირეებს კი დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა.

ყირიმის ფრონტის გარდა სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა კავკასიაშიც, სადაც თურქების ჯარები მოქმედებდნენ. ინგლისელებისათვის კავკასიის ფრონტს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ყირიმისას. სწორედ აქ აპირებდა ინგლისი შეეჩერებინა რუსეთის ახლოაღმოსავლური ექსპანსია. ამიტომ საქართველოში შემოჭრილ თურქთა ჯარს ინგლისი მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უწევდა. თურქებს ინგლისელი სამხედრო ინსტრუქტორები უწევდნენ კონსულტაციას.

აქტიურ დახმარებას უწევდა ინგლისი იმ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ შამილის მეთაურობით მებრძოლ კავკასიის მთიელებსაც. ინგლისელი აგენტები ცდილობდნენ საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობას. ინგლისის სამხედრო წრეებში ამუშავებდნენ საქართველოში სამხედრო დესანტის გადასხდომის შესაძლებლობებს. ინგლისელი პოლიტიკოსები კი კავკასიის ომისშემდგომი პოლიტიკური მოწყობის გეგმებს ამუშავებდნენ, რომლებშიც ნავარაუდევი იყო საქართველოსა და ჩერქეზეთის თურქეთის ან ინგლისის პროტექტორატის ქვეშ გადაცემა.

შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ომი ინგლისის სანახევრო გამარჯვებით დამთავრდა. მოკავშირეებმა საბოლოოდ შესძლეს სევასტოპოლის აღება. პარიზის ზავის პირობებით რუსეთს ეკრძალებოდა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და ზღვისპირა ზოლში გამაგრებული პუნქტების ქონა. მაგრამ ამიერკავკასიაში მისი გეგმები ჩაიშალა. მან ვერ შესძლო თურქების ხელით ამ რეგიონიდან რუსეთის გამოდევნა. 25 ათასი დაღუპული ჯარისკაცი და ოფიცერი და 70 მლნ. გირვანქა სტერლინგი. აი რად დაუჯდა ინგლისს ოსმალეთის დანაწევრების და რუსეთის ახლოაღმოსავლური ექსპანსიის დროებითი შეჩერება.

ამასთან ერთად ომმა ერთი საინტერესო მომენტი გამოავლინა. ეს იყო ინგლისის მოსახლეობის, კერძოდ კი საშუალო ფენების აგრესიულობა, რომლებიც ამართლებდნენ ომს და მხარს უჭერდნენ ლორდ პალმერსტონის შეურიგებელ პოზიციას. როგორც ჩანს, მისი შემტევი საგარეო პოლიტიკა და მცდელობა, ნებისმიერი საშუალებით დაეცვა ინგლისის ინტერესები მოსახლეობას გარკვეული ეროვნული სიამაყით აღავსებდნენ.

პალმერსტონის მორიგ საგარეო პოლიტიკურ აქციას წარმოადგენდა ომი ჩინეთთან, რომელიც ოპიუმის მეორე ომის სახელით არის ცნობილი. ეს ომი მნიშვნელოვანია იმით, რომ ერთდროულად წარმოაჩენს ინგლისური კაპიტალის სწრაფვას ექსპანსიისაკენ, მის დასაკმაყოფილებლად გატარებულ პოლიტიკურ კურსს, წინააღმდეგობას ინგლისის მმართველ წრეებს შიგნით და საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართ.

სამოქალაქო ომი, რომელშიც ჩინეთი იყო გახვეული (აჯანყებული ტაიპინები მანჯურ ხელისუფლებს ებრძოდნენ) თავისი არასტაბილურობის და ტაიპინების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო ამუხრუჭებდა ინგლისის და საერთოდ დასავლური სახელმწიფოების ვაჭრობას ჩინეთთან. ტაიპინების სახელმწიფოს შექმნამ ასევე ჩამოაშორა ჩინეთის ნავსადგურები ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას. ინგლისელებს კი ღია ქვეყანა სჭირდებოდათ ბაზრის შესასწავლად და დასაპყრობდა.

იმაზე, რომ ინგლისელები ჯეროვნად არ იცნობდნენ ადგილობრივ ბაზარს მეტყველებს თუნდაც შემდეგი ფაქტი. ერთმა ინგლისურმა ფირმამ ჩინეთში დანა-ჩანგლის დიდი პარტია შეიტანა. მაგრამ საქონელი ვერ გასაღდა. ფირმის მესვეურებმა ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ჩინელები ჭამისათვის სპეციალურ ჩხირებს ხმარობდნენ.

ომი მცირე შესვენებით 1857-1860 წწ. მიმდინარეობდა. მისი დაწყება პროვოცირებულ იქნა კანტონში მყოფი ინგლისელი მოხელეების მიერ და დასრულდა ჩამორჩენილი ჩინეთის სრული დამარცხებით. ომის პროცესში ჩინელების სიძულვილი მომხდურებისადმი მთელ რიგ სასტიკ ქმედებებში გამოიხატა: ინგლისელთა სავაჭრო ფაქტორიებისა და ვაჭრების განადგურება, მათთვის მიყიდულ პურში დარიშხანის შერევა. ამას პასუხად ინგლისელთა კიდევ უფრო საზარელი სისასტიკე და ძალადობა მოყვა. ინგლისელებმა და მათთან ერთად მოქმედმა ფრანგებმა არა მარტო უამრავი ადამიანი გაჟლიტეს, არამედ სასტიკად დაარბიეს და გაძარცვეს პეკინის მახლობლად მდებარე ჩინეთის იმპერატორის საზაფხულო რეზიდენცია, რომელიც ხელოვნების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა და რომელშიც თავის მხრივ განთავსებული იყო ხელოვნების უამრავი შედევრი.

ამ ომს ინგლისში ურთიერთსაწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა. პარლამენტში პალმერსტონი გააკრიტიკეს როგორც ლორდთა პალატაში (ლორდი დერბი, ლორდი ლინდჰერსტი), ასევე თემთა პალატაში (გლადსტონი, კობდენი, ლორდი რასელი და დიზრაელი).

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი პალმერსტონის, ე.ი. ომის მხარეზე იყო. „ჩინელებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ. მათ უნდა დააფასონ ინგლისელები, რომლებიც მათზე მაღლა დგანან და მათზე უნდა იბატონონ" — წერდა „დეილი ტელეგრაფი". პალმერსტონის ამომრჩევლები კი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ნებისმიერი უსამართლო ქმედება შეიძლება გამართლებულ იქნას ეროვნული ინტერესების დაცვით.

ამრიგად, სამეწარმეო ინტერესებმა, რომლებიც მაშინდელი ინგლისური ცნობიერების წამყვან ელემენტს წარმოადგენდნენ, განაპირობა და გაამართლა პალმერსტონის აგრესიული პოლიტიკა ჩინეთში. მით უფრო, რომ სამშვიდობო ხელშეკრულებით ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ტიანცზინი, რომელიც გაიხსნა თავისუფალი ვაჭრობისათვის. ინგლისმა მიიღო დიდი კონტრიბუცია და ჰონკონგის მახლობლად მდებარე კოულუნის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი.

ინგლისის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა პალმერსტონის ევროპული პოლიტიკაც. აქ, როგორც XIX ს. პირველ ნახევარში, პალმერსტონი ხშირად მიმართავდა ლიბერალურ სვლებს, რასაკვირველია ინგლისის ინტერესების სასიკეთოდ. იმისათვის, რომ არ დაერღვია ძალთა წონასწორობის პრინციპი და არ დაეშვა ავსტრიისა და საფრანგეთის გაძლიერება, პალმერსტონმა მხარი დაუჭირა იტალიის ეროვნულ მოძრაობას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისაკენ იყო მიმართული. აქ მას ლორდი რასელი და გლადსტონი ამოუდგნენ მხარში. რასელმა საჯაროდ გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ იტალიელები თვითონ არიან საკუთარი ბედილბლის საუკეთესო განმგებლები. ხოლო პალმერსტონმა აგრძნობინა საფრანგეთის და ავსტრიის მთავრობებს, რომ ინგლისი არ დაუშვებს ამ ქვეყნების ინტერვენციას იტალიაში.

ინგლისს განსაკუთრებით საფრანგეთი აშინებდა. ერთიანი და ლიბერალური მიმართულების იტალია კი ინგლისელთა ვარაუდით დააკმაყოფილებდა როგორც ინგლისის სწრაფვებს თავისუფალი ვაჭრობისაკენ, ასევე არ დაუშვებდა ხმელთაშუა ზღვის „ფრანგულ ტბად" გადაქცევას.

ფრთხილი იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკა აშშ-ს მიმართ მაშინ, როცა ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა თავისუფალ, კაპიტალისტურ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთს შორის. პალმერსტონმა და რასელმა თავი აარიდეს რაიმე ოფიციალურ განცხადებას იმის თაობაზე, თუ ვის უჭერდა მხარს ამ ომში ინგლისი და ძალზე ფრთხილად ეკიდებოდა სამხრეთის კონფედერაციის ცნობის საჩოთირო საკითხს.

გაბატონებული კლასები და პრესა სამხრეთს უჭერდნენ მხარს. ინგლისის მსუბუქი მრეწველობისათვის სამხრეთის შტატებიდან შემოტანილ ბამბას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

რაც შეეხება მუშათა კლასს, მათი სიმპათიები თავისუფალი ჩრდილოეთის მხარეზე იყო და ეს მაშინ, როდესაც ომის გამო სამხრეთის შტატებიდან ინგლისში ბამბის შეტანა პრაქტიკულად შეწყდა და ინგლისელი მუშები წარმოების შემცირების და უმუშევრობის გამო დიდ მატერიალურ სიძნელეებს განიცდნენ. სამხრეთისათვის რიგ შემთხვევაში გაწეული ფარული დახმარების გამო ინგლისს ომის შემდეგ მნიშვნელოვანი კომპენსაციის გადახდა მოუწია.

მაგრამ პალმერსტონის ლიბერალურ-ნაციონალიზმზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ, რომელმაც სხვადასხვა დროს წარმატება მოუტანა ინგლისს საბერძნეთთან, ბელგიასთან და იტალიასთან მიმართებაში ვერ ივარგა პრუსიის მიმართ. როგორც ჩანს, აქ პალმერსტონი თვისობრივად სხვა სამყაროს წინაშე აღმოჩნდა. საბერძნეთსა და იტალიაში ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ეროვნული მოძრაობა ედო საფუძვლად, გერმანული მიწების გაერთიანება კი ხორციელდებოდა „ზემოდან", სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით. გაერთიანების ეპიცენტრს პრუსის მემამულურ-მილიტარისტული სამეფო წარმოადგენდა. ეს იყო აგრესიული სულისკვეთებისა და ტრადიციების სახელმწიფო. მისი მთავრობის მეთაური, მემამულეების და სამხედრო წრეების ინტერესების გამომხატველი თავადი ოტო ფონ ბისმარკი კი ამგვარი სულისკვეთებით მოქმედებდა. მისი პოლიტიკა იყო რეალურ სამხედრო ძალაზე დაყრდნობილი პოლიტიკა.

ყველაფერი ეს ნათლად გამოვლინდა 1864წ., როდესაც პრუსიამ პრეტენზია განაცხადა გერმანელებით დასახლებულ ორ დანიურ პროვინციაზე, შლეზვიგსა და ჰოლშტაინზე. როგორც წესი, პალმერსტონმა ამის თაობაზე მისთვის ჩვეული რიხიანი და მუქარით სავსე განცხადება გააკეთა

პარლამენტში. „ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც შეეცდება დანიის უფლებების დარღვევას, საკადრისად მიეზღვება“ — თქვა მან.

მაგრამ ბისმარკი არ იყო ის პოლიტიკოსი, რომელსაც სიტყვიერი განცხადება ან ინტერვენციით მუქარა შეაჩერებდა. პალმერსტონის მორალურ ზეწოლას მან რეალური ქმედება დაუპირისპირა. პრუსიამ კავშირი დასდო ავსტრიასთან და შეიჭრა დანიაში. ხანმოკლე ომში დანია დამარცხდა და დათმო ორივე პროვინცია. პალმერსტონმა ვერ გაბედა ძალის გამოყენება, მით უფრო, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი კონტინენტზე მომხდარ მოვლენებში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგი იყო.

ეს იყო პალმერსტონისეული საგარეო პოლიტიკის დასასრული, მით უფრო, რომ მომდევნო წელს პრუსიამ დაამარცხა თავისი ადრინდელი მოკავშირე ავსტრია და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები გერმანულ სახელმწიფოებში. ძალთა წონასწორობის პრინციპს საფრთხე შეექმნა, მაგრამ ინგლისის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს ეს მომენტი გამოეპარათ. ამ საფრთხის განეიტრალება პალმერსტონისეული მორალური ზეწოლის მეშვეობით კი შეუძლებელი იყო.

XIX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარი ძირითადად მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკით გამოირჩეოდა. როგორც ლიბერალები, ასევე კონსერვატორები ქვეყნის შიგნით სოციალურ–პოლიტიკური რეფორმებით იყვნენ დაკავებული. ორივე პარტია შიგაპოლიტიკური პრობლემების გადაჭრით ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას და პოზიციების განმტკიცებას.

საგარეო პოლიტიკურმა პრობლემებმა კვლავ წინ წამოიწიეს XIX ს. 70-იანი წლებიდან. მაგრამ ამჯერად მათ ახალი ელფერი შეიძინეს. ამ სიახლის ინიციატორი კონსერვატორების ლიდერი ბენჯამინ დიზრაელი იყო. ისწრაფოდა რა ტორიზმის აღორძინებისაკენ, დიზრაელი არა მარტო ცდილობდა მის დემოკრატიზაციას ხალხთან დაახლოვების გზით, არამედ ცდილობდა ხალხში ქვეყნის სიდიადის გრძნობის გაღვივებას.

ამ გრძნობას მისი აზრით ოფიციალურად დაკანონებული საგარეო პოლიტიკური მიღწევები უნდა დასდებოდა საფუძვლად. ინგლისი საჭიროებდა იმპერიის სახესა და სახელს. ამ მდგომარეობას კი მონარქის ახალი სტატუსი სჭირდებოდა. სწორედ მონარქია გამოაცხადა დიზრაელიმ იმპერიული პოლიტიკის წყაროდ. მონარქის განდიდება მისი აზრით ინგლისურ სახელმწიფოებრიობას სიდიადეს შესძენდა. დიზრაელი თვლიდა, რომ ამით ინგლისისა და ინგლისის მონარქის ბატონობას და კავშირს დაქვემდებარებულ ხალხებზე უფრო რეალური და ოვალსაჩინო ხასიათი მიეცემოდა.

თავის საგარეო პოლიტიკაში დიზრაელი ენერგიულობითა და რისკიანობით გამოირჩეოდა. ამ მხრივ უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს მისი ქმედება სუეცის არხთან დაკავშირებით. განიცდიდა რა ქრონიკულ ფინანსურ სიძნელეებს ეგვიპტის მმართველმა (ხედივმა) გადაწყვიტა მის გამგებობაში მყოფი სუეცის არხის აქციათა პაკეტის გაყიდვა საფრანგეთში, საკარო ვაჭრობით.

იმისათვის, რომ არ დაეშვა საფრანგეთის მონოპოლიის დამყარება ამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სტრატეგიულ პუნქტზე, რომელიც ინდოეთისაკენ მიმავალ უმოკლეს გზას წარმოადგენდა, დიზრაელიმ თავისი ინიციატივით და ყველასგან საიდუმლოდ ისესხა პარიზელი როტშილდებისაგან 4 მლნ. გირვანქა სტერლინგი და 1875 წ. ასევე გაუხმაურებლად შეიძინა დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის ზემოაღნიშნული პაკეტიდან 177 ათასი აქცია. აქციათა პაკეტის უდიდესი ნაწილის ინგლისის საკუთრებაში გადასვლის შესახებ განცხადება გაკეთდა გარიგების შემდეგ. დედოფალი და მთელი ქვეყანა აღტაცებით შეეგებნენ ამ სიახლეს. დიდი ბრიტანეთი ფაქტიურად სუეცის არხის ბატონ-პატრონი გახდა. დიზრაელის პოპულარობა არნახულად გაიზარდა.

დიზრაელის ინიციატივით ტახტის მემკვიდრე, უელსის უფლისწული ედუარდი პირველად ეწვია ინდოეთს, მოიარა ეს ქვეყანა და შეხვდა ადგილობრივ ვასალ მთავრებს. 1876 წ. თავისი თანაპარტიელების ოპოზიციის მიუხედავად დიზრაელიმ დელიში შეკრიბა ინდოელი მთავრები. ამ საზეიმო შეხვედრაზე (დარბარზე, როგორც იგი იწოდებოდა დიდი მოღოლი ფადიშაჰების დროს) მან გამოაცხადა დედოფალი ვიქტორია ინდოეთის იმპერატორად. ბრიტანეთის იმპერია ოფიციალურ პოლიტიკურ ერთეულად იქცა.

ამ აქციების აღმოსავლური მიმართულება შემთხვევითი არ იყო. დიზრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინგლისის ინტერესების დაცვას აღმოსავლეთში და ამბობდა კიდეც, რომ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ინგლისი უფრო აღმოსავლური სახელმწიფოა, ვიდრე ევროპული. სწორედ ამიტომ იგი ენერგიულად წინ აღუდგა რუსეთის წარმატების შემდგომ განვითარებას რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში. ეს ომი, რომელშიაც რუსეთი ბალკანეთის სლავური მოსახლეობის

ოსმალეთის უღლისაგან განთავისუფლების საბაბით ჩაება ინგლისს ისევე, როგორც ყირიმის ომის დროს ოსმალეთის დანაწევრების პერსპექტივით ემუქრებოდა. ყირიმის ომის მსგავსად ამ ომშიც სამარი მოქმედებები ორ ფრონტზე, ბალკანეთის და კავკასიის ფრონტებზე მიმდინარეობდა. როგორც ადრე, ინგლისი ახლაც მნიშვნელოვან მატერიალურ–ტექნიკურ დახმარებას უწევდა საქართველოში შეჭრილ ოსმალეთის ჯარს, ცდილობდა კავკასიაში ანტირუსული აჯანყების მოწყობას.

რუსეთის ახლოაღმოსავლურ ექსპანსიაზე ყურადღების გამახვილებამ და მოწოდებებმა, წინ აღდგომოდნენ ამ ექსპანსიას დიზრაელი საერთო სახალხო მხარდაჭერით უზრუნველყო. ხალხი იწონებდა მის ანტირუსულ პოლიტიკას. ლონდონის სამიკიტნოებსა და ლუდხანებში დღე მუდამ გაისმოდა რიხიანი, პატრიოტული სიმღერები, რომლებშიც გამოთქმული იყო მზადყოფნა შებმოდნენ ნებისმიერ მტერს, თუკი ამას ქვეყნის პრესტიჟი მოითხოვდა. ქვეყანა ომის ფსიქოზმა მოიცვა.

კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარმა ინგლისის იმედები ვერ გაამართლა. მაგრამ როდესაც წარმატებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ ბალკანეთის ფრონტზე მოქმედი რუსეთის ჯარი 1878 წ. თებერვალში სტამბოლს მიადგა, დიზრაელიმ კატეგორიული პოზიცია დაიკავა. მან პარლამენტს მოსთხოვა საგანგებო სესხი 150 მლნ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით, გამოაცხადა თადარიგში მყოფი სამხედრო პირების მობილიზაცია და ინგლისის ჯარის ნაწილები კუნძულ მალტაზე გადაისროლა. მისივე ბრძანებით ინგლისური ჯავშნოსნების ესკადრა შევიდა ბოსფორის სრუტეში და დაიკავა პოზიცია სტამბოლის წინ. ესკადრის სარდალს ადმირალ ჰორნბის ებრძანა გაეხსნა რუსეთის ჯარისათვის ცეცხლი, თუკი ის განაახლებდა სტამბოლისაკენ მოძრაობას.

დიზრაელის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბერლინის კონგრესი, რომელზეც გადაისინჯა სანსტეფანოს დაზავების პირობები. მისი დაჟინებული მცდელობით მაკედონია დაუბრუნდა ოსმალეთს, რუსეთის ფაქტიურ მოკავშირეს ბულგარეთს ჩამოეჭრა ტერიტორია, რამაც რუსეთს ჩაუკეტა გზა სტამბოლისაკენ. ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდა.

მაგრამ დიზრაელი ამაზე არ შეჩერებულა. მისი ანტირუსული პოლიტიკის სანაცვლოდ მან აიძულა სულთანი დაეთმო ინგლისისათვის კუნძული კვიპროსი, რომელიც ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან სამხედრო ბაზად იქცა ახლო აღმოსავლეთის მისადგომებთან.

დიზრაელის სწრაფვა შეეზღუდა რუსეთის ექსპანსია არ შემოფარგლულა ახლო აღმოსავლეთით. მას არ გამორჩენია რუსეთის მცდელობა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ავღანეთი. ავღანეთიდან გზა ინდოეთისაკენ იხსნებოდა. ეს კარგად ესმოდა დიზრაელის. ავღანეთის ამირამ უარი განაცხადა მიეღო ინგლისის წარგზავნილი, რომელიც სიტუაციას გააკონტროლებდა და აღკვეთდა რუსეთის შეღწევას ამ ქვეყანაში. პასუხად ავღანეთში საექსპედიციო კორპუსი იქნა გაგზავნილი და 1878-1880წწ. წარმოებული სამხედრო მოქმედებების შედეგად ეს ქვეყანა ინგლისის გავლენას დაექვემდებარა. დიზრაელი ყოვლისშემძლე პოლიტიკოსად იქცა. მას ბიკონსფილდის ლორდის წოდება მიენიჭა და იგი ლორდთა პალატის წევრი გახდა.

მაგრამ ამგვარი, თუნდაც წარმატებული საგარეო პოლიტიკა ერთობ ძვირი ღირდა. სამხედრო ხარჯებმა ბიუჯეტში დეფიციტი გამოიწვია. დიზრაელის მთავრობა იძულებული გახდა გაეზარდა საშემოსავლო გადასახადი, რომლის გაუქმებას გლადსტონი პირდებოდა ამომრჩევლებს. გლადსტონმა შემოიარა ჩრდილოეთ ინგლისი და შოტლანდია და ყველგან თავის ამომრჩევლებს მიუთითებდა დიზრაელის საგარეო პოლიტიკურ ხარჯებზე და თავისი კაბინეტის გაწონასწორებულ და უხვშემოსავლიან ბიუჯეტზე.

ფინანსურმა მომენტმა ამომრჩევლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1880 წ. არჩევნებში ლიბერალებმა გაიმარჯვეს. მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ინტერესი აღმოსავლური საკითხებისადმი და ყურადღება ინგლის-რუსეთის ურთიერთობების მიმართ არც მერე შესუსტებულა.

დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, შიში ინდოეთის მიმართ რუსეთის მოსალოდნელი ექსპანსიის წინაშე და ამ საშიშროების აღკვეთა წარმოადგენდა ინგლისის საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს XIXს. 80-90-იან წლებში. განსაკუთრებით დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა 1885წ. აფართოებდა რა თავის სამფლობელოებს შუა აზიაში, რუსეთი ავღანეთში შეიჭრა. გლადსტონის მთავრობამ უმალ გამოსთხოვა პარლამენტს საგანგებო სამხედრო სესხები და ესკადრა გააგზავნა შავ ზღვაში. თითქოსდა ომი გარდაუვალი იყო. მაგრამ გერმანიის შუამავლობამ განმუხტა დაძაბულობა. მოგვიანებით კი სპეციალურმა რუსულ-ინგლისურმა კომისიამ დააზუსტა საზღვარი რუსეთსა და ავღანეთს შორის. ანალოგიური სიტუაცია კვლავ შეიქმნა XIX ს. 90-იანი წლების შუახანებში.

მთელი ამ ხნის მანძილზე და განსაკუთრებით დაძაბული სიტუაციების შექმნისას ინგლისის სამხედრო-პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში იყო ამიერკავკასია, რუსეთის მთავარი პლაცდარმი, საიდანაც ინგლისელთა აზრით მას შეეძლო განევითარებინა თავის წინსვლა ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთის მიმართულებით. ამიტომ ინგლისი ყოველნაირად ისწრაფოდა გართულებები შეექმნა რუსეთისათვის ამიერკავკასიაში. მაგრამ ყველა ეს ქმედება შენილბულ ხასიათს ატარებდა.

მთლიანობაში XIX ს. 80-90-იან წლებში დიდი ბრიტანეთი საგარეო პოლიტიკაში მოქმედებდა ე.წ. „ბრწყინვალე იზოლაციის" პრინციპით. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა. ეყრდნობოდა რა თავის ძლიერ ფლოტს და დიდ ფინანსურ რესურსებს, დიდი ბრიტანეთი თავს არიდებდა რაიმე სამოკავშირეო მოვალეობებს დიდი სახელმწიფოების მიმართ. არ იყო რა რომელიმე მათგანთან ოფიციალურ კავშირში, იგი ამით იტოვებდა მოქმედების თავისუფლების საშუალებას.

აღნიშნული პერიოდის ინგლისური საგარეო პოლიტიკის წარმატების მიზეზები უნდა ვეძებოთ როგორც ცალკეული პოლიტიკოსების პირად უნარსა და გამჭრიახობაში, ასევე ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემდგომ განვითარებაში, რამაც საშუალება მისცა კაპიტალის წარმომადგენლებს უშუალოდ გაეტარებინათ თავისი ეკონომიკური ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე და საჭიროების შემთხვევაში ქმედითად დაეცვათ ისინი. ამავე დროს აღნიშნული შიგაპოლიტიკური გარდაქმნების გამო ინგლისის საგარეო პოლიტიკამ შეიძინა საჯარო ხასიათი, მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე, რამაც მას გარკვეულწილად საერთო-სახალხო ხასიათი შესძინა და ასევე განაპირობა მისი წარმატება.

„მეორე ადამიანის ტვირთი"

კოლონიურ პოლიტიკას ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში და საერთოდ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ XIX ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით საუკუნის ბოლო მესამედიდან კოლონიები, კოლონიური იმპერია დიდი ბრიტანეთის ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ყოფის უმნიშვნელოვანეს, არსებით ნაწილად იქცა, გასცდა რა წმინდა ეკონომიკურ მომენტებს, ისეთებს, როგორიცაა ნედლეულის წყარო, საქონლის გასაღების ბაზარი და ა.შ. მრავალრიცხოვანი მიწების დაპყრობა, რომლებიც არაევროპეიდული რასის ხალხებით იყო დასახლებული ინგლისურ ცნობიერებაში, ეროვნული თუ რასობრივი უპირატესობის გრძნობებს ბადებდა. იყვნენ რა ეკონომიკურად და სოციალ-პოლიტიკურად ყველაზე მოწინავე ქვეყნის წარმომადგენლები, ბრიტანელები კოლონიალიზმს მესიანობის კუთხით უყურებდნენ. მათი აზრით ეს იყო ამ მოწინავე ფასეულობების მსოფლიო მასშტაბით გავრცელება და დამკვიდრება. არა დაპყრობა, დამონება და გამორჩენა, არამედ ტვირთი, რომელსაც თეთრკანიანები ეზიდებოდნენ და ამით განგების ნებას ასრულებდნენ.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ სინამდვილეში კოლონიები არ იყო სიახლე. ინგლისელებმა ჯერ კიდევ XVI ს. დაარსეს ამერიკის კონტინენტზე თავისი ახალშენები. მაგრამ XIXს. მეორე ნახევარში კოლონიურმა იმპერიამ და საერთოდ იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, იმპერიალიზმმა, როგორც მას ინგლისელი პოლიტიკოსები უწოდებდნენ, ქვეყნისათვის ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

XIXს. პირველ ნახევარში ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევდა, რომ უცხოეთში მდებარე სამფლობელოები მათზე გაწეული ხარჯების გამო ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი სამფლობელოების დაარსება კერძო პირების ან კომპანიების ინიციატივა იყო. სამრეწველო გადატრიალების და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრების შემდეგ ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარმა პოლიტიკოსების ნაწილმა ჩათვალა, რომ განვითარებული მრეწველობა და აღნიშნული ეკონომიკური დოქტრინა გახსნიდნენ დიდი ბრიტანეთის წინაშე მსოფლიო ბაზარს. შესაბამისად, თვლიდნენ ისინი (ბრაიტი, კობდენი) არ იყო საჭირო ბრძოლა კოლონიური სამფლობელოების შეძენისათვის.

XIXს. 70-იანი წლებიდან საერთაშორისო სიტუაცია შეიცვალა. შეიქმნა ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფოები (გერმანია, უფრო ადრე იტალია), ტრადიციულად გააქტიურდა თავის აღმოსავლურ პოლიტიკაში რუსეთი. ეს სახელმწიფოები ეყრდნობოდნენ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ ძალებს და ცხოვრებაში ძლიერი სახელმწიფოსა და საკუთარი ეროვნული სიდიადის დამ-

კვიდრებას ცდილობდნენ. ამგვარ პირობებში, დიდი ბრიტანეთი თავისი 200 ათასიანი არმიით და თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგით ვერ გაუწევდა საჭიროების შემთხვევაში მათ ჯეროვან წინააღმდეგობას.

ეს საფრთხე ყველაზე ადრე ბენჯამინ დიზრაელიმ დაინახა. ამიტომ კონსერვატორთა ლიდერმა ახალი საგარეო პოლიტიკური კონცეფცია ჩამოაყალიბა. საჭირო იყო ახალი მიწების, ტერიტორიების ხელში ჩაგდება, კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბება. კოლონიური სამფლობელოები დიზრაელის აზრით დაეხმარებოდნენ ინგლისს თავისი მატერიალური რესურსებითა და სტრატეგიული მნიშვნელობით აქტიური და შემტევი პოზიცია დაეკავა თავის პარტნიორებთან თუ მეტოქეებთან ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთის კოლონიურ პოლიტიკაში გამოიკვეთა ორი მიმართულება: ძველ, უკვე არსებულ კოლონიებში პოზიციების განმტკიცება მათი თვითმმართველობის გაფართოების გზით, რათა არ დაეშვა იგივეს განმეორება რაც თავის დროზე ამერიკის 13 კოლონიაში მოხდა (ეს ძირითადად დიდი ბრიტანეთიდან ემიგრირებული მოსახლეობით დასახლებულ კოლონიებს ეხებოდა), და ახალი სამფლობელოების შეძენა.

დიდი ბრიტანეთიდან გამოსული თეორკანიანი იმიგრანტებით დასახლებულ ყველაზე მნიშვნელოვან კოლონიას კანადა წარმოადგენდა. XIX ს. 50-60-იანი წლები უკიდეგანო ყამირი მიწების ათვისების, ახალი კოლონიების დაარსების და ფაქტიურად კანადის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის პერიოდს წარმოადგენდა. მაგრამ ერთიანი ქვეყნის შექმნას და მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას ხელს უშლიდა კოლონიების დაქსაქსულობა. ნოვა სკოტია, მანიტობა, სასკაჩევანი და სხვა კოლონიები თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ნაკლები შეხება ჰქონდათ იმ ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულთან, რასაც ზემო და ქვემო კანადის გაერთიანებული პროვინციები ეწოდებოდა.

ეკონომიკურმა ამოცანებმა დაანახვეს კოლონიების ადგილობრივ მესვეურებს გაერთიანების სიკეთე. 1867 წ. გაერთიანებული კოლონიების ფედერაციას დიდი ბრიტანეთის მთავრობამ კანადის დომინიონის (ბრიტანეთის იმპერიაში, შემდგომ ერთა თანამეგობრობაში შემავალი კოლონია, რომელიც თვითმმართველობით სარგებლობს) სტატუსი მიანიჭა. კოლონიებში კვლავინდებურად ფუნქციონირებდნენ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგრამ ზოგადსახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს კანადის დედაქალაქში შეკრებილი პარლამენტი სწყვეტდა. ინგლისის პარლამენტი, სასამართლოები აბსოლუტურად არ ერეოდნენ კანადის პარლამენტის და მთავრობის გადაწყვეტილებებში, კანადასთან ეკონომიკური კავშირის სიმტკიცე გამორიცხავდა დიდი ბრიტანეთის მხრიდან რაიმე ზეწოლას კანადის მიმართ. სამეფო ხელისუფლებას კანადაში გენერალ-გუბერნატორი წარმოადგენდა.

თვითმმართველობის მინიჭების შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო კანადის ეკონომიკის განვითარება, რასაც ხელს უწყობდა კანადის ხელისუფლების პროტექციონისტური პოლიტიკა და ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ადგილობრივი ბურჟუაზიის და მუშათა კლასის ჩამოყალიბება, რამაც ხელი შეუშალა კანადის აშშ-ს მიერ ანექსიას, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო XIX ს. 80-90-იან წლებში. ეს ე.წ. ეროვნული პოლიტიკა სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით. კანადელი კაპიტალისტების ინტერესები იმ ხანად პრაქტიკულად სრულიად ემთხვეოდა მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე. სწორედ ეს განაპირობებდა ქვეყნის სტაბილურ მდგომარეობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ კანადის, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბება აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა. ყამირის გატეხა, სატრანსპორტო სისტემის გაფართოება წინააღმდეგობაში მოდიოდა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან, ინდიელებთან. ბუნებრივია, რომ ინდიელთა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი ვერ შეეგუებოდა მზარდი კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნებს. თავის მხრივ ვერც მეწარმეობის და მრეწველობის განვითარება, რომელსაც საფუძვლად ედო ობიექტური მოთხოვნები და სუბიექტური სწრაფვები ვერ დაამუხრუჭებდა თავის სვლას. პრიმიტიული სათნოებითა და რომანტიკით აღსავსე პატრიარქალური ყოფა წინააღმდეგობაში მოვიდა ისტორიის მკაცრ, მაგრამ გარდაუვალ და ობიექტურ აუცილებლობასთან. ყველაფერი ეს, სამწუხაროდ გამოიხატა ინდიელთა მიწიდან აყრაში, მათ შევიწროებასა და განადგურებაში. თავისთავად, ინდიელებიც ყველაფერ ამას შეიარაღებული ბრძოლით პასუხობდნენ. მათ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მეტისი (თეთრკანიანისა და ინდიელის ქორწინების შედე-

გად დაბადებული ადამიანი) ლუი რილი, ფრანგული წარმოშობის და ფრანკო–კანადური ორიენტაციის ადამიანი.

მაგრამ ამგვარი, თუნდაც თავგანწირული და თვითმყოფადი პატრიოტიზმიდან გამომავალი ბრძოლა ვერ შეაჩერებდა ისტორიული განვითარების ობიექტურ პროცესს. კანადა თანდათანობით ებმეოდა საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. დომინიონის ურთიერთობა მეტროპოლიასთან მოხერხებულად იქნა გამოყენებული აშშ-ს მხრიდან ანექსიის თავიდან ასაცილებლად ისევე, როგორც ამერიკულ-ინგლისური წინააღმდეგობები კანადის პოზიციების განსამტკიცებლად.

დაახლოებით ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა ავსტრალიაში. მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ძალზე დიდი დაშორება დიდი ბრიტანეთიდან) ავსტრალიის სოციალურ–პოლიტიკური განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობდა. იყო რა გადასახლების ტერიტორია, სადაც დამნაშავეებს აგზავნიდნენ სასჯელის მოსახდელად, ავსტრალია იმართებოდა ინგლისიდან გამოგზავნილი გუბერნატორის მიერ, რომელიც ფაქტიურად განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა.

XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისში ავსტრალიაში ოქროს საბადოების აღმოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა ემიგრაცია დიდი ბრიტანეთიდან ავსტრალიაში. ოქროს საბადოების ინტენსიურ დამუშავებასთან ერთად კონტინენტის შიდა ნაწილში აღმოჩენილ იქნა საძოვრებისათვის გამოსადეგი ვეებერთელა ტერიტორია, რაც მესაქონლეობის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარების წინაპირობად იქცა.

იმიგრანტთა რიცხვის ზრდამ საბოლოოდ შეცვალა თანაფარდობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის. თავისუფალმა იმიგრანტებმა გადააჭარბეს რაოდენობით იმათ, ვინც ავსტრალიაში გადასახლებული იყო ან უკვე მოიხადა კატორღის ვადა. სამეურნეო ცხოვრებაში ჩაბმულ ადამიანებს აღარ სურდათ ყოფილი კატორღელების გვერდით ცხოვრება. მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნების შედეგად 1869 წ. შეწყდა ავსტრალიაში დამნაშავეთა გადასახლება.

ავსტრალიაში განლაგებულ კოლონიებში სწრაფად მიმდინარეობდა კვებისა და სამთამადნო მრეწველობის განვითარება. 1874 წ. ინგლისში ჩავიდა პირველი გემი, რომელიც დატვირთული იყო გაყინული ავსტრალიური ხორცით. ინგლისი თანდათანობით იქცა ავსტრალიური ხორცის, ყველის და კარაქის გასაღების მნიშვნელოვან ბაზრად.

ეკონომიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ავსტრალიური კოლონიების სწრაფვას გაერთიანებისაკენ. საჭირო იყო კოლონიებში არსებული საბაჟოების გაუქმება, ერთიანი ავსტრალიური ბაზრის შექმნა. გაერთიანების მომხრეებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ერთი კონტინენტი – ერთი სახელმწიფო“.

ავსტრალიური კოლონიების გაერთიანებას მხარდაჭერა ჰქონდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც, დიდი ბრიტანეთის მხრიდან. ავსტრალიის ბურჟუაზია კოლონიების გაერთიანებაში ხედავდა ქვეყნის მზარდი ეკონომიკის დაცვის საშუალებას ამერიკელი თუ იაპონელი კონკურენტებისაგან. ამავე მიზეზით ხელს უწყობდა გაერთიანებას დიდი ბრიტანეთი, რომელსაც სურდა გაერთიანებული ავსტრალია ექცია თავის საიმედო დასაყრდენად წყნარ ოკეანეში. გარდა ამისა, გაერთიანებული ავსტრალია კარგი დასაყრდენი გახდებოდა ინგლისის კაპიტალდაბანდებებისათვის.

1900 წ. ინგლისის პარლამენტმა ავსტრალიის კოლონიების საკანონმდებლო ორგანოებთან შეთანხმებით მიიღო კანონი ექვსივე ავსტრალიური კოლონიის ერთ ფედერაციად – ავსტრალიის კავშირად გარდაქმნის შესახებ. 1901 წ. კი ავსტრალიის კავშირს დომინიონის სტატუსი მიენიჭა, ხოლო კოლონიებმა შტატების უფლებები მიიღეს.

დომინიონის სტატუსის მინიჭებას არ შეუსუსტებია ავსტრალიის კავშირი მეტროპოლიასთან. ამას ხელს უწყობდა ინგლისური კაპიტალის გაბატონებული მდგომარეობა ავსტრალიურ ბაზარზე. ავსტრალია დიდ მოგებას იღებდა ორი ქვეყნის კაპიტალის შერწყმის შედეგად. უფრო მეტი, იგი მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის კოლონიურ პოლიტიკაში და სარგებლობდა ამ სფეროდან შემოსული მოგებით. 1906 წ. დიდმა ბრიტანეთმა გადასცა ავსტრალიას თავისი კოლონია პაპუა (ახალი გვინეის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი). შეიძლება ითქვას, რომ ავსტრალია ბრიტანული კაპიტალის „ფილიალს“ წარმოადგენდა წყნარ ოკეანეში.

მეტროპოლიის მსგავსად მიმდინარეობდა ავსტრალიის სოციალურ–პოლიტიკური განვითარებაც. მშრომელთა შორის გავრცელებული იყო ინგლისური თრეიდიუნიონიზმის, ლეიბორიზმის და ფაბიანელობის იდეები. მატყლის მსოფლიო ბაზარზე მოპოვებული მონოპოლიური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა მმართველ წრეებს მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად გადაენაწილებინათ ქვეყანაში შექმნილი მატერიალური დოვლათი. ყველაფერი ეს უზრუნველყოფდა ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს და ქვეყნის სტაბილურ განვითარებას, რომლისთვისაც პრაქტიკულად უცხო იყო კლასობრივი კონფლიქტები, დაპირისპირება და ა.შ.

ამასვე უწყობდა ხელს იმიგრაციის შემზღუდავი კანონი, რომელიც თავისი არსით რასისტული იყო. იგი კრძალავდა ავსტრალიაში ფერადკანიანი იმიგრანტების შემოსვლას, რათა ამ უკანასკნელებს არ გაეწიათ კონკურენცია ადგილობრივი მუშებისათვის, რაც გამოიწვევდა ხელფასის შემცირებას. შიგაპოლიტიკურმა სტაბილურობამ და ცხოვრების შედარებითმა მაღალმა დონემ საბაბი მისცა ფაბიანელთა იდეოლოგებს სიდნი და ბეატრის უებს გამოეცხადებინათ ავსტრალია მსოფლიოს სოციალურ ლაბორატორიად.

„სამწუხაროდ, ისევე როგორც კანადაში, ავსტრალიაშიც სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს თან სდევდა პროცესი, რომლის თავიდან აცილება რეალურ ისტორიულ სიტუაციაში შეუძლებელი იყო. ეს იყო დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასთან. აბორიგენები ქვის ხანის ცივილიზაციის ხალხი იყო, ამიტომ ისინი უბრალოდ ვერ გაძლებდნენ მათი თანადროული დასავლური ცივილიზაციის პირობებში. ამავე დროს რკინიგზების გაყვანა, ფერმერთა სავარგულების და საძოვრების გაფართოვება მსოფლიო ბაზრის და საერთოდ, ისტორიული განვითარების კანონზომიერი მოთხოვნა იყო. ქვის ცულით შეიარაღებული აბორიგენები, რომლებიც ხშირად სხვადასხვა სახის მწერებითაც კი იკვებებოდნენ ვერ იარსებებდნენ ორთქმავლის გვერდით. აბორიგენების მიწიდან აყრას მისი ცივილიზებული ექსპლუატაციისათვის თან სდევდა მათი ფიზიკური განადგურებაც, რადგანაც ეს უკანასკნელები სრულებით იყვნენ დამოკიდებული თავის ტრადიციულ საცხოვრებელ გარემოზე.

ავსტრალიას პირველობა ეკუთვნის ერთ ერთობ საინტერესო მოვლენაში იგი პირველი ქვეყანაა, სადაც სოციალისტური ტიპის პარტია არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ეს მოხდა 1904წ., როდესაც არჩევნებში გაიმარჯვა ავსტრალიის ლეიბორისტულმა პარტიამ.

პრაქტიკულად იგივე გზა განვლო თვითმმართველობამდე დიდი ბრიტანეთის კიდევ ერთმა კოლონიამ, რომელიც თეთრკანიანი იმიგრანტებით იყო დასახლებული. ლაპარაკია ახალ ზელანდიაზე. ინგლისელთა ბატონობა აქ 1840 წ. დამყარდა, მას შემდეგ, რაც მათ ხანგრძლივ ბრძოლაში დაამარცხეს და დაიმორჩილეს მკვიდრი მოსახლეობა, მაორი. ამის შემდეგ დაიწყო კუნძულის ეკონომიკური ათვისება.

მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება აღმოჩნდა მსხვილი მემამულეების ხელში. 1881 წ. 12,5 მლნ. აკრიდან 7 მლნ. აკრი მიწა იყო 584 მსხვილი მემამულის საკუთრებაში. ახალ ზელანდიას ლათინურამერიკული ქვეყნების სახიფათო პერსპექტივა ემუქრებოდა, რომლის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო მდიდარი ლატიფუნდისტები და გაღატაკებული და უუფლებო მოჯამაგირე გლეხები.

მაგრამ ინგლისური თავისუფლებისმოყვარე და ლიბერალური ტრადიციების წყალობით მდგომარეობა შეიცვლა. ფერმერების, მუშების და ახლადგადმოსახლებული იმიგრანტების გაერთიანებული ზეწოლის შედეგად, მთავრობამ მიიღო რიგი კანონებისა, რომელთაც შეზღუდეს მსხვილი მიწათმფლობელობა და ხელი შეუწყვეს საშუალო და წვრილი ფერმერული მეურნეობის განვითარებას.

ამ კატეგორიის მიწათმფლობელებმა ხორცის და რძის ნაწარმის წარმოებაზე აიღეს გეზი, რასაც ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა. 1882 წ. 14 თვიანი მოგზაურობის შემდეგ გემმა-რეფრიჟერატორმა ახალი ზელანდიიდან ინგლისში ჩაიტანა გაყინული ხორცი. ტვირთი მშვენიერ მდგომარეობაში იყო და უმალ გაიყიდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომლის შემდეგაც ახალი ზელანდია დიდი ბრიტანეთისათვის „ოკეანის გაღმა ფერმად“ იქცა. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა ახალი ზელანდიის მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიბერალური (ზოგჯერ მას ლეიბორისტულსაც უწოდებენ) მთავრობის გატარებულმა გარდაქმნებმაც. დაწესდა ხელფასის მინიმუმი, შემცირდა სამუშაო საათები, საწარმოო კონფლიქტების მოსაგვარებლად შეიქმნა სახელმწიფო არბიტრაჟის სისტემა. ინგლისური ყაიდის სოციალურ-

პოლიტიკური სისტემის პირობებში ახალი ზელანდიის შემდგომი განვითარება ეკონომიკური ზრდის და სტაბილურობის პირობებში მიმდინარეობდა.

ცალკე ყურადღების ღირსია მკვიდრი მოსახლეობის, მაორის შემდგომი ბედი. ეს თავისუფლებისმოყვარე ხალხი ადვილად ვერ ურიგდებოდა მომხდურებს. 1860წ. მაორიმ კვლავ განაახლეს ბრძოლა ინგლისელთა წინააღმდეგ, რომელიც 1872 წ. გაგრძელდა. თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა ინგლისელები გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ. თავის მხრივ მაორის უმრავლესობაც მოერგო ახლებურ ცხოვრებას.

ავსტრალიელი აბორიგენებისაგან განსხვავებით მაორიმ აბსოლუტურად განსხვავებული თვისებები გამოავლინეს, როგორც წინააღმდეგობის გაწევაში, ასევე ადაპტაციაში. 1865 წ. მაორის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ქვეშევრდომთა ყველა უფლება მიენიჭა. 1867 წ. ახალზელანდიურ პარლამენტში უკვე 4 დეპუტატი იქნა არჩეული მაორის ხალხიდან. მაორი კაპიტალისტურ მეწარმეობაში ჩაებნენ, ჩამოყალიბდა მათი ეროვნული ბურჟუაზია, დაიწყო კულტურული აღორძინება მათი მოსახლეობა რიცხვობრივადაც კი გაიზარდა. სწორედ ამ საერთო აღმავლობის ფონზე, 1907წ. ახალმა ზელანდიამ დომინიონის სტატუსი მიიღო.

გაზრდილი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში დომინიონების არსებობა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში ზოგიერთ ინგლისელ პოლიტიკოსს მიაჩნდა ამ კონკურენციასთან ბრძოლის ქმედით საშუალებად. 1887 წლიდან სისტემატურად ტარდებოდა საიმპერიო კონფერენციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დომინიონების მეტროპოლიასთან შემდგომ დაახლოვებას.

განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს ამ იდეას კოლონიების საქმეთა მინისტრი ჯოზეფ ჩემბერლენი. თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ჩემბერლენმა დიდ ბრიტანეთს დაღლილი ტიტანი უწოდა, გულისხმობდა რა მის მიერ იმპერიის მასშტაბით გაწეულ სხვადასხვა ხარჯებს. „დომინიონები, — აღნიშნა ჩემბერლენმა, სარგებლობენ სამხედრო—საზღვაო თავდაცვის ყველა სიკეთით, მაგრამ არავითარი წვლილი არ შეაქვთ ბრიტანული სამხედრო—საზღვაო ფლოტის განვითარებაში". ამიტომ საიმპერიო კონფერენციებზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: პოლიტიკური (საიმპერიო ფედერაცია), ეკონომიკური (საიმპერიო უპირატესობა) და სამხედრო (საიმპერიო თავდაცვა).

ამ საკითხებიდან ჩემბერლენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საიმპერიო უპირატესობის, ანუ ეკონომიკურ საკითხებს. იყო რა პროტექციონიზმის[69] მომხრე, ჩემბერლენი მიიჩნევდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში უნდა მომხდარიყო ვაჭრობის მაქსიმალური წახალისება. მაღალი საბაჟო ტარიფები ეხებოდა მხოლოდ უცხო ქვეყნების საქონელს. მაგრამ დიდ ბრიტანეთში კოლონიებიდან შემოსული ნებისმიერი საქონელი თავისუფლდებოდა საბაჟო გადასახადებისაგან. ამავე დროს კოლონიებში დიდი ბრიტანეთიდან საქონელი უნდა შესულიყო ბაჟის გარეშე. ამით ბრიტანეთის იმპერიის მასშტაბით იქმნებოდა თავისებური დამცავი ზღუდე, რომელიც იმპერიის წევრ ქვეყნებს ააცილებდა უცხოურ კონკურენციას.

მაგრამ იმპერიის წევრმა დომინიონებმა არ აიტაცეს იმპერიული ცენტრალიზაციის იდეა. მათი ეკონომიკა უკვე საკმაოდ მომძლავრებული იყო, ხოლო ინგლისური საქონლის მათ ბაზრებზე უბაჟოდ შემოსვლა დაამუხრუჭებდა დომინიონების წარმოების შემდგომ განვითარებას. ამგვარ პირობებში მათი ნაწარმის დიდ ბრიტანეთში უბაჟოდ შესვლა ვეღარ იქნებოდა მომგებიანი.

ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა კანადის პრემიერ-მინისტრი ლორიე. მან აღნიშნა, რომ სამომავლო საიმპერიო ფედერაციაში დიდ ბრიტანეთს ყოველთვის ექნებოდა უპირატესობა. თავდაცვის სფეროში დომინიონებმა ამჯობინეს ყოლოდათ თუნდაც მცირე, მაგრამ თავისი ფლოტი და უარი თქვეს თანხები გაეღოთ დიდი ბრიტანეთის ფლოტის მშენებლობაზე. იყო საკითხები, რომლის წინააღმდეგ თავად ინგლისი გამოვიდა. მაგ. როცა ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ საიმპერიო პარლამენტის შექმნის წინადადება შემოიტანეს, ამის წინააღმდეგ თავად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ასკვიტი გამოვიდა. მან განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს არ სურს საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება შეზღუდოს სხვებთან კონსულტაციის ან ამა თუ იმ საკითხზე ერთსულოვნების არსებობის აუცილებლობით. ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის ინტერესებმა უკუაგდეს ფედერაციული გაერთიანების იდეა თვით ინგლისურენოვანი სამყაროს შიგნით.

მიუხედავად ამისა, დომინიონები დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდნენ. დომინიონებში დაბანდებული კაპიტალი და მათთან ვაჭრობა დიდი ბრიტანეთის მოგების მნიშვნე-

---

[69] საშინაო წარმოების დაცვა უცხოური ნაწარმის კონკურენციისაგან ამ უკანასკნელზე მაღალი საბაჟო გადასახადების დაწესების მეშვეობით.

ლოვან წყაროს წარმოადგენდა. მათი, როგორც სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორების არსებობა კი აწონასწორებდა დიდი ბრიტანეთის მეტოქეების პრეტენზიებს.

მაგრამ არანაკლები, თუ არა მეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთისათვის კოლონიებს, რომლებიც არა თეთრკანიანი იმიგრანტების დასახლებებისაგან შეიქმნა, არამედ ისეთებს, რომლებიც შავკანიანი და ფერადკანიანი მოსახლეობით იყვნენ დასახლებული და უშუალოდ იყვნენ დაპყრობილი.

თუკი ადრე ზოგიერთ პოლიტიკოსს ეს დაპყრობილი მიწები ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა, დიზრაელიდან მოყოლებული და შემდგომ, კოლონიური სამფლობელოები სახელმწიფოს უსაფრთხოების, სიმდიდრის, ძლიერების და საშინაო სტაბილურობის გარანტად იქცა. ეს დებულება მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული XIXს. მიწურულს ცნობილი პოლიტიკოსის სესილ როდსის ერთ-ერთ საპარლამენტო გამოსვლაში: „იმისათვის, რომ ვიხსნათ გაერთიანებული სამეფოს ორმოც მილიონიანი მოსახლეობა მომაკვდინებელი სამოქალაქო ომისაგან, ჩვენ უნდა დავეპატრონოთ ახალ მიწებს, რომლებშიც დავასახლებთ ჩვენ ჭარბ მოსახლეობას და გავასაღებთ ჩვენ საქონელს. იმპერია, ეს კუჭის საკითხია. თუ თქვენ არ გსურთ, რომ გაჩაღდეს სამოქალაქო ომი, თქვენ უნდა გახდეთ იმპერიალისტები“.

ეს მშვენივრად ესმოდათ ინგლისელ პოლიტიკოსებს და ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ როგორც ძველი კოლონიების შენარჩუნებისათვის, ასევე ახალი კოლონიების მოპოვებისათვის. პირველთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი რასაკვირველია ინდოეთს ეჭირა.

XIXს. მეორე ნახევრისათვის ინდოეთი, ბრიტანეთის იმპერიის „გვირგვინის მარგალიტი“ უკვე ინგლისელთა სრულ გამგეობაში იყო. ვეებერთელა ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 190 მლნ. ადამიანს ითვლიდა, იმართებოდა ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანიის მიერ. ინდოეთის ორი მესამედი ანექსირებული იყო და მას კომპანიის მოხელეები მართავდნენ. დანარჩენ ტერიტორიაზე კი განლაგებული რამდენიმე ასეული დიდი თუ მცირე ადგილობრივი სამთავრო ინგლისის ვასალი იყო.

ინგლისის პოლიტიკა ინდოეთში XIX ს. მეორე ნახევარში (ისევე, როგორც წინა პერიოდში) შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ექსპლუატაციის პროცესი, რომელიც წარმოადგენდა ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ორი განსხვავებული ცივილიზაციის დაახლოების და ურთიერთქმედების ერთადერთ ფორმას. დაპყრობილი ინდოეთი ინგლისისათვის წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს (ინდოეთიდან გატანილი ნედლეულის და იქ დაბანდებული კაპიტალის მეშვეობით). მაგრამ იმავე დროს სწორედ კოლონიური პოლიტიკის წყალობით ინდოეთი სულ უფრო მჭიდროდ ებმეოდა მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესში და ეზიარებოდა დასავლეთის ცივილიზაციის ფასეულობებს.

ინდოელები უცხოელთა (ინგლისელთა) მეშვეობით იმართებოდნენ, მაგრამ სწორედ ამ უცხო ძალამ მეტ-ნაკლებად გააერთიანა და ერთ სახელმწიფოდ შეკრა ინდოეთი, რაც მანამდე ვერც ერთმა ადგილობრივმა, თუ უცხოეთიდან დამპყრობლის სახით მოსულმა ხელისუფალმა ვერ შესძლო.

ბრიტანელთა ინდოეთში ყოფნა ემყარებოდა არა მარტო მათ სამხედრო ძლიერებას. უამრავი ადგილობრივი ვასალი-მთავარი თუ ხალხი მუდმივად ექიშპებოდა ერთმანეთს და თავის უსაფრთხოებას ბევრი მათგანი სწორედ ინგლისელთა სამხედრო-პოლიტიკურ მფარველობაში ხედავდა. უდავოა, რომ ინგლისელთა მიერ ინდოეთის ექსპლუატაციას საამურს ვერ უწოდებთ, მაგრამ მას უფრო მოწესრიგებული და ნორმირებული სახე ჰქონდა, ვიდრე ადგილობრივი მთავრების ძარცვაგლეჯის მსგავს უსისტემო გადასახადებს. სწორედ ამის გამო ინდოელი გლეხები ხშირად გარბოდნენ მთავართა მიწებიდან და თავს ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიწებს აფარებდნენ.

დასავლური ფასეულობების ინდოეთში დანერგვა, რომლის გარეგნულ გამოხატულებას ქრისტიანი-მისიონერების ქადაგება, ევროპული განათლების გავრცელება და დასავლური ცნობიერებისათვის მიუღებელი ადათ-წესების (ქვრივების დაწვა, ბავშვთა დაქორწინება, ადამიანთა მსხვერპლშეწირვა) აკრძალვა გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ინდური საზოგადოების ფართო ფენების რწმენა-წარმოდგენებს. მათ სიახლეების დანერგვა ტრადიციული ფასეულობების დაკარგვის საწინდარად მიაჩნდათ. ინგლისელებს გაყავდათ რკინიგზები, ტელეგრაფი, ხსნიდნენ ფოსტას და აარსებდნენ სასწავლებლებს, რათა „თავისათვის საჭირო“ ინდოელები აღეზარდათ. და სწორედ ეს აშინებდა ამ უკანასკნელებს. ინდოეთი ეწინააღმდეგებოდა სიახლეებსა და ცვლილებებს.

სწორედ ამგვარმა დაპირისპირებამ მისცა ბიძგი აჯანყებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1857-1859 წწ. და რომელიც ისტორიულ ლიტერატურაში მეტწილად სიფაჰების აჯანყების (ზოგჯერ

ამბოხების) სახელით არის ცნობილი. აჯანყებამ გამოავლინა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული ერთიანობის უქონლობა. ინდუისტები უპირისპირდებოდნენ მაჰმადიანებს. სიქჰები დახმარებას უწევდნენ ინგლისელებს მაჰმადიანების წინააღმდეგ. აჯანყებას ის მთავრები მიემხრნენ, რომლებსაც მიწების მემკვიდრეობით გადაცემის უფლება ჩამოერთვათ, და რომლებიც ადრე არ უპირისპირდებოდნენ ინგლისელებს.

ინდოეთში არსებული სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან აჯანყებამ პრაქტიკულად მხოლოდ ერთი, კალკუტის საპრეზიდენტო მოიცვა. დანარჩენ ორში — ბომბეის და მადრასის საპრეზიდენტოებში სიმშვიდე იყო. ერთი სიტყვით, აჯანყებამ წარმოაჩინა, რომ ეროვნული ერთიანობის და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ინდოეთის მოსახლეობაში.

აჯანყების დროს ბევრი სისასტიკე გამოვლინდა, როგორც აჯანყებულთა, ასევე ინგლისელთა მხრიდან, რომლებმაც განსაკუთრებული სისასტიკით ჩაახშეს აჯანყება. მაგრამ აჯანყების შემდეგ საბოლოოდ დაიმსხვრა ძველი წეს-წყობილების აღდგენის იდეა. ოსტ-ინდოეთის კომპანია გაუქმდა. ინდოეთი მთავრობის უშუალო გამგეობას დაექვემდებარა. მას მეფისნაცვალი და მასთან არსებული აღმასრულებელი საბჭო განაგებდნენ.

ახალმა ხელისუფლებამ თანდათანობით გაატარა გარკვეული რეფორმები, რომლებმაც გააუმჯობესეს გლეხების მდგომარეობა, შეამსუბუქეს გადასახადების სიმძიმე და გააუმჯობესეს მათი იურიდიული უფლებები.

გაფართოვდა ადგილობრივი პრესის უფლებები. ინდოეთში გამოდიოდა 600 გაზეთი, მათგან 16 ადგილობრივ ენებზე.

მრეწველობის განვითარებამ (ბამბეულის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება) ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებას. გამოჩნდა ეროვნული ბურჟუაზია და მუშათა კლასი, ადგილობრივი ინტელიგენცია. ეს კლასები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მოთხოვნით გამოვიდნენ.

ახალმა ხელისუფლებამ თანდათან გზა გაუხსნა ინდოელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ხოლო 1886 წ. შეიქმნა ინდოეთის ეროვნული კონგრესი, პირველი პოლიტიკური პარტია, რომელიც აერთიანებდა ინდუისტ ინდოელებს და რომელიც მომავალში დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა.

თუკი ბრიტანელი პოლიტიკოსების სწრაფვა, მაქსიმალურად უზრუნველყოთ დიდი ბრიტანეთის სრული ბატონობა ინდოეთში და მის მისადგომებთან განპირობებული იყო მათი სწრაფვით წინ აღდგომოდნენ რუსეთის ექსპანსიას, მათი მცდელობა, განემტკიცებინათ თავისი პოზიციები ინდო—ჩინეთში გამოწვეული იყო ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობით. სწორედ საფრანგეთის ექსპანსიამ ამ რეგიონში უბიძგა ინგლისს ბირმის წინააღმდეგ აგრესიისაკენ, რომელიც 1881 წ. იქნა დაპყრობილი. XIX ს. 80-იან წლებში ინგლისმა დაიპყრო მალაის ნახევარკუნძული და წყნარ ოკეანეში განლაგებული კუნძულების დიდი ჯგუფი.

მიუხედავად აზიაში ესოდენ ფართო კოლონიური ინტერესებისა დიდი ბრიტანეთის კოლონიური მისწრაფებების მთავარ ობიექტად XIX ს. აფრიკის კონტინენტი აღმოჩნდა. 80-იანი წლებიდან მოყოლებული დიდი ბრიტანეთი აფრიკაში აწარმოებდა ფართომასშტაბიან დაპყრობით პოლიტიკას, რომლის შედეგად მისი ბატონობა დამყარდა აფრიკის კონტინენტის მნიშვნელოვან ნაწილზე. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელებმა აფრიკაში ლომის წილი მიიღეს.

1882 წ. დიდი ბრიტანეთის ფაქტიური ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა ეგვიპტე, რომლის მმართველმა მხოლოდ ფორმალური ძალაუფლება შეინარჩუნა. ინგლისელებმა დაიპყრეს სუდანი. ფორმალურად, მათ აღადგინეს ეგვიპტის ადრეული სიუზერენიტეტი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ფაქტიურად ინგლისელთა ბატონობას ეგვიპტეში მათი სუდანში გაბატონება მოყვა. წარმატებული იყო ინგლისელებისათვის დაპყრობები დასავლეთ აფრიკაში, სადაც მათ ხელში ჩაიგდეს ოქროს ნაპირი, სიერა ლეონე, გამბია, მდინარე ნიგერის ქვედა წელის აუზი. აღმოსავლეთ აფრიკაში ბრიტანეთმა დაიპყრო სომალილენდი, კენია, უგანდა და ნიასალენდი.

დაპყრობით ომებს ყოველთვის წარმატება არ მოსდევდა. ზოგჯერ მარცხსაც ჰქონდა ადგილი, 1879 წ. ინგლისელებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს ზულუს მეომარ ტომთან ბრძოლაში. თოფებით შეიარაღებულმა ინგლისელებმა ვერაფერი გააწყვეს ბრძოლის ჟინით შეპყრობილ შავკანიან მეომრებთან, რომლებსაც შუბებისა და ფარების გარდა პრაქტიკულად სხვა შეიარაღება არ გააჩნდათ.

ზულუს ტომთან ომის გაგრძელებამ და მათმა საბოლოო დამარცხებამ ინგლისელები სამხრეთ აფრიკის თეთრკანიან მოსახლეობას, XVII ს. ჰოლანდიელი იმიგრანტების შთამომავლებს, ბურებს დაუპირისპირა. ინგლისელთა მიერ ზულუს დამარცხებამ ამ უკანასკნელთა შემოტევის საფრთხე ბურებს თავიდან ააცილა. მაგრამ ახლა თავად ინგლისელებს გაუჩნდათ ბურებზე გაბატონების სურვილი, ადგილობრივი ტომების სრული განეიტრალების საბაბით. მაგრამ ბურების რესპუბლიკის, ტრანსვაალის ოკუპაცია ინგლისელებს ძვირად დაუჯდათ. ბურები აჯანყდნენ და 1881 წ. სასტიკი დამარცხება აგემეს ინგლისელებს მაჯუბა ჰილთან. ამის შემდეგ ინგლისელებს დიდი ხნის მანძილზე აღარ წამოუწყიათ ბურების წინააღმდეგ რაიმე სამხედრო ოპერაცია.

ბურებთან ომს და ეგვიპტის დაპყრობას ადგილი ჰქონდა გლადსტონის ლიბერალური მთავრობის პერიოდში, რომელიც ადრე ესოდენ აკრიტიკებდა კონსერვატორებს და მათ ლიდერს დიზრაელის აგრესიული საგარეო პოლიტიკისათვის. ყველაფერი ეს მიუთითებდა იმაზე, რომ იმპერიალიზმი, კოლონიური სამფლობელოების გაფართოება გასცდა ერთი პიროვნების პოლიტიკური მრწამსის ფარგლებს და ეპოქის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კანონზომიერ ისტორიულ მოვლენად იქცა.

ინგლისის მიერ აფრიკაში წარმოებული კოლონიური ომები საინტერესოა ასევე იმ მოტივებისა და ფასეულობების გამო, რომლითაც ინგლისელები ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ ომის დაწყების დროს ან მის წარმოებისას. ისინი ასახავენ იმ პრინციპებს, რომლებიც დამკვიდრდნენ იმ დროისათვის დასავლურ და კერძოდ, ბრიტანულ სამყაროში, და რომლებიც წარმოაჩენენ მისი ეკონომიკური, სოციალური თუ ზნეობრივი განვითარების ცალკეულ მხარეებს.

ეგვიპტეში დიდი ბრიტანეთის ბატონობის დამყარებას წინ უძღოდა ამ ქვეყნის ბრიტანული და ფრანგული კაპიტალის სრულ ფინანსურ დამოკიდებულებაში მოქცევა. ამის მიზეზი იყო ადგილობრივი ფინანსური და საგადასახადო სისტემის სრული მოშლა. ეგვიპტის ხედივმა და მისმა დაახლოებულმა პირებმა სახელმწიფო შემოსავალი პირადი გამორჩენის წყაროდ აქციეს. საკუთარი ხარჯების დასაფარავად ხედივი აურაცხელ თანხებს სესხულობდა ფრანგი და ინგლისელი ფინანსისტებისაგან. საბოლოოდ ხედივი გაკოტრდა. მას სუეცის არხის აქციების გაყიდვამაც კი ვერ უშველა.

ბრიტანულ და ფრანგულ ფინანსურ კაპიტალს ეგვიპტეში აშკარა საფრთხე შეექმნა ადგილობრივი ხელისუფლების გადახდის უუნარობის გამო. ინგლისმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს ეგვიპტის გადახდის უნარიანობის მოწესრიგება მკაცრი საფინანსო და პოლიტიკური კონტროლის დამყარების მეშვეობით. მათმა ჩარევამ არაბი სამხედროების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. არაბ ოფიცერთა ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო საკუთარი პოზიციების დასუსტებით იარაღით ხელში გამოვიდა უცხოელთა წინააღმდეგ. მათ პოლკოვნიკი არაბი ფაშა მეთაურობდა. მოძრაობამ მაჰმადიანობის დაცვის ელფერი მიიღო და ქრისტიანთა წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით წარიმართა.

პასუხად ინგლისმა 1882 წ. ეგვიპტეში საექსპედიციო კორპუსი გადასხდა და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი მაგალითი, როდესაც დასავლური სამყარო თავის ფინანსური სისტემის დანერგვას და დაცვას ცდილობდა „უმცროს" პარტნიორთან ურთიერთობაში. ამით დასავლეთი მოუწოდებდა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკის, კერძოდ ფინანსური სფეროს მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვისაკენ, რაც სამწუხაროდ ძალისმიერი ხერხებით მოხდა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ამაში მნიშვნელოვანი დანაშაული თავად ეგვიპტის ხელისუფლებას მიუძღოდა. იგი თავის საფინანსო პოლიტიკაში არა რაციონალური და ქვეყნისათვის სასიკეთო, არამედ თავისი ერთპიროვნული, ვიწრო ჯგუფური ინტერესებით ხელმძღვანელობდა.

ეგვიპტის ფაქტობრივი დაპყრობის შემდეგ ინგლისელებმა თვალი მის სამხრეთით მდებარე სუდანს მიაპყრეს. იქ ინგლისელები რამდენადმე შეფერხდნენ, რადგანაც მათი რაზმი გენერალ გორდონის მეთაურობით განადგურებულ იქნა 1885წ. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომლის ნაწილიც, იყო რა უკმაყოფილო ინგლისელთა სუდანში ყოფნით გაერთიანდა მაჰმადიანი მქადაგებლის გარშემო, რომელმაც მაჰდი (მესია) დაირქვა. მაჰდიმ ისლამის საყოველთაო დამკვიდრებისაკენ მოუწოდა თავის თანამებრძოლებს. მაგრამ საბოლოოდ იგი და მისი მომხრეები მიუხედავად თავდადებული ბრძოლისა განადგურებულ იქნენ 1898 წ. ომდურმანთან ბრძოლაში პოლკოვნიკ კიტჩნერის საექსპედიციო კორპუსის მიერ.

თუკი ეგვიპტის ოკუპაციამ მოახდინა იმ დროის ეკონომიკური სისტემის მზარდი განმგებლის, დასავლური ფინანსური კაპიტალის მოთხოვნის დემონსტრაცია, სუდანის დაპყრობამ გამოავლინა კოლონიალიზმის, ამ გარდაუვალი ისტორიული პროცესის ერთ-ერთი ნიშან—თვისება, თეთრი რასის წარმომადგენლების სისასტიკე. ხელმძღვანელობდნენ რა თეთრი რასის უპირატესობის იდეით, რომელსაც კოლონიალიზმის იდეოლოგია ქადაგებდა, ინგლისელები ხშირად კაცთმოყვარეობის ელემენტარული ნორმების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. მაგ. ომდურმანთან ბრძოლის შემდეგ, როდესაც ტყვიამფრქვევების წყალობით კიტჩნერმა გაანადგურა შუბებითა და ისრებით შეიარაღებული შავკანიანი მაჰდისტები, მან ბრძანა დაეხოცათ ყველა დაჭრილი და არ დაენდოთ არც ერთი ტყვე. ხოლო შემდეგ უბრძანა საფლავიდან ამოეღოთ თავად მაჰდის გვამი და იგი ნილოსში გადაეგდოთ.

მაჰდისტების განადგურების შემდეგ სუდანი ინგლის-ეგვიპტის ერთობლივ გამგეობაში გადავიდა, მაგრამ ფაქტიურად იგი ინგლისელთა სრულ ბატონობას დაექვემდებარა. დაპირისპირებაში, რომელიც ამ ქვეყანაში ბატონობისათვის ბრძოლაში შეიქნა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ინგლისელებმა იმარჯვეს. საფრანგეთის მთავრობა კონფლიქტს მოერიდა. ამის შემდეგ ლონდონში ბურებით დასახლებულ ორ რესპუბლიკას მიაპყრეს თვალი, ტრანსვაალსა და ორანჟს.

როგორც ყოველთვის, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ერთობ მოქნილად მოქმედებდა თავის საგარეო პოლიტიკური ექსპანსიის დროს. იგი მოქმედებდა არა უშუალოდ, არამედ მდიდარი და გავლენიანი მეწარმეების მეშვეობით, რომლებიც 1889 წ. გაერთიანდნენ სამხრეთ აფრიკულ კომპანიაში. ამ კომპანიას სათავეში ჩაუდგა იმპერიალიზმის ცნობილი მებაირახტრე სესილ როდსი, რომელსაც თავად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლონდონელი როტშილდების სახლთან. ამრიგად საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ელიტა უშუალოდ იყო დაკავშირებული კოლონიური საიფლობელოების მოპოვებასთან. სესილ როდსის საპატივსაცემოდ, რომელიც ამ დაპყრობების სულისჩამდგმელი იყო დაპყრობილი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს როდეზია ეწოდა.

მოგება დაპყრობილი მიწებიდან არნახულად დიდი იყო. თავად როდსი სათავეში ედგა კომპანიას, რომელსაც მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა სამხრეთ აფრიკაში ალმასების მოპოვების საქმეში. როდსის დაქვემდებარებაში მყოფი ფინანსური ჯგუფი აკონტროლებდა აგრეთვე ტრანსვაალის ოქროს საბადოებს. ამრიგად, იმპერია არ იყო მხოლოდ განყენებული სიდიდე, იგი რეალურ, დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა, რომლისათვისაც ღირდა ბრძოლა, მით უფრო, რომ ამ სიმდიდრის დაუფლებაში ინგლისელებს აფრიკაში გამუდმებულ მეტოქეობას უწევდნენ ფრანგები და ნაწილობრივ გერმანელებიც. ინგლისის პასიურობის შემთხვევაში ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობა არავითარ შემთხვევაში არ დარჩებოდა თავის პირვანდელ, ცივილიზაციისაგან შეუბღალავ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში ინგლისელთა ადგილს ფრანგები ან გერმანელები დაიკავებდნენ.

სწორედ ამიტომ მოუწოდებდა როდსი ინგლისური კოლონიური სამფლობელოების უწყვეტი ზოლის შექმნისაკენ, რომელიც გადაჭიმული იქნებოდა კაიროდან კეიპტაუნამდე.

მაგრამ ბურებთან ომი არ გაძოლგა იმ იოლ გასეირნებად, რომელზეც ოცნებობდნენ მისი სულისჩამდგმელები სესილ როდსი, ნევილ ჩემბერლენი და მისი მონაწილე ინგლისელი სამხედროები. ბურებთან ომმა (1899-1902 წწ.) გამოავლინა ინგლისური სამხედრო სისტემის მოძველებული და მოუქნელი ხასიათი. მშვილდ-ისრითა და შუბებით შეიარაღებული მაჰდისტების განადგურებით აღტკინებულმა ინგლისელებმა ვერაფერი გააწყვეს ასევე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ბურების წინააღმდეგ. დახელოვნებული მსროლელები და მოჯირითეები, ბურები გაურბოდნენ დიდ ბრძოლებს, მიმართავდნენ მცირე შეტაკებების ტაქტიკას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს. ბურების მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილი ინგლისის მეტოქე დიდი სახელმწიფოები (რუსეთი, საფრანგეთი), ხოლო გერმანია კი მათ თითქმის დაუფარავ მხარდაჭერას უწევდა.

ძალების არნახული დაძაბვის ხარჯზე (სამხრეთ აფრიკაში დიდი ბრიტანეთიდან 250 ათასი ჯარისკაცი იქნა გადასროლილი) და სასტიკი ზომების მეშვეობით (ინგლისელებმა ამ ომში პრაქტიკაში შემოიტანეს საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები და ქალები შერეკეს) ინგლისმა საბოლოოდ შესძლო ბურების დამარცხება.

ბურების სახელმწიფოების დაპყრობა წარმოადგენდა კიდევ ერთ ნაბიჯს ბრიტანეთის იმპერიის გაფართოების და განმტკიცების გზაზე. მაგრამ ბრიტანელმა იმპერიალისტებმა აქაც გამოავლინეს თავისი პოლიტიკური მოქნილობა. ამ ქვეყნების მრავალრიცხოვანი აბორიგენული შავკანიანი მოსახლეობის მართვა-გამგეობა მძიმე ტვირთად დააწვებოდა საიმპერიო ხელისუფლებას. ამიტომ ინგლი-

სელებმა ბურებთან კომპრომისი ამჯობინეს. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა 1910 წ. ახალი დომინიონის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბურების დაპყრობილი რესპუბლიკები და ინგლისელებით დასახლებული კოლონიები — კეიპი და ნატალი. ამგვარად, „შავებსა და ფერადკანიანებზე" ბატონობის განმტკიცება, რისკენაც ბრიტანელებსა და ბურებს მოუწოდებდა ცნობილი კოლონიური მოღვაწე ალფრედ მილნერი, ადგილობრივი ხელისუფლების საზრუნავი გახდა.

ამრიგად XIX ს. მეორე ნახევარი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში წარმოსდგება როგორც კოლონიური იმპერიის შექმნის ხანა. ეკონომიკის განვითარებამ, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებამ და ამ მდგომარეობის შენარჩუნების სურვილმა უბიძგა ბრიტანელ პოლიტიკოსებს აქტიური კოლონიური პოლიტიკისაკენ და თუ ადრე ამგვარი პოლიტიკა ცალკეული პოლიტიკოსების (მაგ. დიზრაელი) პირადი შეხედულებების ნაყოფი იყო, რასაც ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და ლიბერალიზმის იდეოლოგია, მოგვიანებით სხვა სახელმწიფოებთან მეტოქეობის გამწვავებამ იმპერიალიზმი, კოლონიური სამფლობელოების შეძენა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. იმპერიალისტური პოლიტიკისადმი ესოდენ დიდი ლტოლვა აიხსნება მისი შედეგების ზემოქმედებით. ბრიტანელი პოლიტიკოსებისათვის იმპერიალიზმი დიდი ბრიტანეთის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის საწინდარს წარმოადგენდა. საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერებაში კი ეს იყო მესიანური ფუნქცია, მოწინავე ფასეულობების გავრცელება, ე.წ. „თეთრი ადამიანის ტვირთი".

ᲞᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲥᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲐᲛᲓᲔ

XIX ს. დასასრული დიდი ბრიტანეთისთვის მნიშვნელოვანი თავისებურებით აღინიშნა. „მსოფლიო სახელოსნომ", წამყვანმა სამრეწველო ქვეყანამ თანდათან დათმო თავისი პოზიციები. უკვე XIX ს. 80-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო ბრიტანეთის კონკურენტების არაჩვეულებრივი გააქტიურება. ეს პირველ რიგში გერმანიას და აშშ-ს შეეხება. გერმანულმა ნაწარმმა თანდათანობით ფეხი მოიკიდა ახლო და შორეულ აღმოსავლეთის ბაზრებზე, სადაც ადრე ინგლისური საქონელი ბატონობდა. 1896 წ. ინგლისელმა ჟურნალისტმა უილიამსმა გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით „წარმოებულია გერმანიაში". ბროშურამ თავზარდამცემი სიახლე ამცნო ბრიტანეთის საქმიან წრეებს. გაირკვა, რომ შესაბამისი დამღის მქონე, ე.ი. გერმანულმა საქონელმა ფაქტიურად გამოდევნა ბრიტანული სხვადასხვა ბაზრებიდან და უკვე ბრიტანეთშიც ლამობდა შეჭრას.

არანაკლებად სახიფათო იყო კონკურენცია აშშ-ს მხრიდან. ამერიკულმა ექსპორტმა შეავიწროვა ბრიტანული არა მარტო ლათინური ამერიკის ქვეყნებში, არამედ ევროპაში და ბრიტანეთის კოლონიურ სამფლობელოებშიაც კი. 1894 წ. აშშ-მ გაუსწრეს ინგლისს თუჯის წარმოებაში, ხოლო 1899 წ. — ქვანახშირის მოპოვებაში. მთლიანობაში, წარმოების მოცულობა დიდ ბრიტანეთში 1870-1913 წწ. მკვეთრად დაეცა. ამაზე შემდეგი ციფრები მეტყველებენ. თუკი 1870 წ. მსოფლიო წარმოების 31,8% ინგლისზე მოდიოდა, 1913 წ. ეს ციფრი 14%-მდე შემცირდა. ამგვარი დაცემის ფონზე შეიმჩნეოდა ზრდა გერმანიაში (შესაბამისად 13,2% და 15,7%) და განსაკუთრებით აშშ-ში — 23,3% და 35,8%. დიდი ბრიტანეთი თანდათანობით ჩამორჩა მრეწველობის ე.წ. „ახალ" დარგებში: ქიმიური, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებლობა. მაგ. 1913 წ. ინგლისში გამოშვებულ იქნა 34 ათასი ავტომანქანა, რაც იმავე წლის ამერიკული წარმოების მხოლოდ 8% შეადგენდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისის ინგლისური ეკონომიკისათვის უცხო იყო კაპიტალის კონცენტრაციის და მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესი. პირიქით, სწორედ იმ დროს შეიქმნა მძლავრი კონცერნები სამხედრო მრეწველობაში — „ვიკერსი" (სააქციო კაპიტალი 12 მლნ. გირვანქა სტერლინგი), „არმსტრონგი" (9,5 მლნ. გირვანქა სტერლინგი). დიდი მონოპოლიები შეიქმნა ნავთობის მოპოვების და გადამუშავების დარგში: ანგლო-ჰოლანდიური ტრესტი „როიალ-დატჩ შელი" და „ინგლის-ირანული ნავთობის კომპანია".

მონოპოლისტური გაერთიანებები, რომლებიც საერთო ჯამში უფრო კონკურენტუნარიანი და ეკონომიკურად უფრო ქმედითი და მომგებიანი იყო შეიქმნა ინგლისური წარმოების სხვა დარგებ-

შიც. მაგრამ მთლიანობაში ეს პროცესი უფრო ნელა და ნაკლებად მასშტაბურად მიმდინარეობდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაგ. გერმანიაში ან აშშ-ში.

ამის მიზეზად შეიძლება დასახელებულ იქნას შემდეგი მომენტები, რომლებიც განპირობებული იყო ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების და სულიერი ფასეულობების თავისებურებებით. XIX ს. მეორე ნახევრის მანძილზე ინგლისელ მეწარმე-კაპიტალისტთა კლასი სოციალურად და ცნობიერებით შეესისხლხორცა მიწათმფლობელ-არისტოკრატიას. ბევრმა მათგანმა მიიღო წარჩინებული წოდება და შეიძინა მამული, ე.ი. თავისებურად „გაფეოდალდა". მოგება მიწიდან მათ უფრო პრესტიჟულად ჩათვალეს და არჩიეს იგი მოგებას წარმოებიდან. ამან გარკვეულწილად დაამუხრუჭა ინგლისური მეწარმეობა.

მეორე მხრივ, ათწლეულების მანძილზე სამრეწველო უპირატესობამ ძალზე დიდი მოგება მოუტანა ინგლისელ კაპიტალისტებს. იყვნენ რა დარწმუნებული თავისი წარმოების უპირატესობაში, ისინი ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ ტექნიკური სიახლეებისადმი, რასაც ვერ ვიტყვით მათი გერმანელი თუ ამერიკელი კოლეგების მიმართ, რომლებიც დაუყოვნებლივ ნერგავდნენ ტექნიკურ გამოგონებებს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. მიწურულიდან დიდ ბრიტანეთში ადგილი ჰქონდა ე.წ. „სამეწარმეო ჟინის" დასუსტებას. მიწათმფლობელი არისტოკრატიის გაბატონებული ცნობიერებით შეპყრობილმა „ჯენტლმენურმა კაპიტალიზმმა" ვერ გაუძლო სამეწარმეო ჟინით შეპყრობილი უცხოური კაპიტალის კონკურენციას.

მაგრამ შექმნილი მდგომარეობა, ე.ი. წარმოების დაცემა სხვა მიზეზებითაც აიხსნება. XIX ს. მიწურულს უკიდეგანო ბრიტანეთის იმპერიის შექმნამ დიდი ბრიტანეთის განკარგულებაში ვეებერთელა და არაჩვეულებრივად მომგებიანი ბაზარი მოაქცია. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ბრიტანეთის საქმიანი წრეების აქტიურობა. მოხდა კაპიტალდაბანდებების თავისებური გადაქაჩვა შიდა ბაზრიდან და წარმოების სფეროდან საგარეო ბაზრებზე. კაპიტალის ექსპორტმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებენ შემდეგი ციფრები. თუკი XX ს. დასაწყისში ინგლისური კაპიტალდაბანდებები უცხოეთში 2 მლრდ. გირვანქა სტერლინგს შეადგენდნენ, 1913 წ. ამ ციფრმა 4 მლრდ-ს მიაღწია.

თვით ამერიკის კონტინენტზეც კი, სადაც სრული ბატონობისაკენ ისწრაფოდნენ აშშ, ინგლისური საინვესტიციო კაპიტალი ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციებს. მაგ., ცენტრალურ ამერიკაში ინგლისისა და აშშ-ს კაპიტალდაბანდებები შეადგენდნენ 1148 და 1068 მლნ. დოლარს. უფრო დიდი უპირატესობა ჰქონდა ინგლისს სამხრეთ ამერიკაში, სადაც ეს მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენდა 3836 და 173 მლნ. დოლარს. საერთო ჯამში ეს ინგლისელ კაპიტალისტებს წლიურად 200 მლნ. გირვანქა სტერლინგს აძლევდა.

კაპიტალის დაბანდება უცხოეთში მათთვის გაცილებით მომგებიანი აღმოჩნდა. განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალის დაბანდება ისეთ დარგებში, როგორიც იყო გემთმშენებლობა და საზღვაო გადაზიდვები (სადაც ინგლისს კვლავ ურყევად ეკავა პირველი ადგილი), საბანკო სფერო (ინგლისური ბანკები იმ დროისათვის უმდიდრესები იყვნენ მსოფლიოში და გამოირჩეოდნენ კაპიტალის მაღალი კონცენტრაციით), დაზღვევის სფერო. ერთი სიტყვით, აქცენტი ეკონომიკის არამწარმოებელ დარგებზე კეთდებოდა.

კონკურენციის ზრდა და ინგლისის ჩამორჩენა გამოწვეული იყო სხვა მიზეზითაც. XIX ს. 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც გაუქმდა ხორბლის კანონები, ინგლისში დაიწყო ლიბერალთა ეკონომიკური იდეოლოგიის, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების ზეობის ხანა. „მსოფლიო სახელოსნომ" უკუაგდო ყოველგვარი საბაჟო გადასახადი და მიიღო რა პასუხად ასეთივე ნაბიჯი, თავისი მაღალგანვითარებული მრეწველობის წყალობით დაიპყრო მსოფლიო ბაზარი.

მაგრამ XIX ს. 80-90-იანი წლებიდან მდგომარეობა შეიცვალა. მსოფლიოს რიგი ქვეყანა კვლავ პროტექციონიზმის გზას დაადგა. მაღალი საპროტექციო ტარიფების მეშვეობით ისინი წინ აღუდგნენ ინგლისური საქონლის მოძალებას, მაშინ, როცა თავად ინგლისი, თავისი ეკონომიკური თეორიის გამო დაუცველი აღმოჩნდა.

სირთულეების წინაშე აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობაც. უკვე 1880წ. დიდ ბრიტანეთში მოხმარებული მარცვლეულის 2/3 უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლეული შეადგენდა. შემდგომში ადგილობრივი ხორბალი კიდევ უფრო შეავიწროვა კანადიდან, აშშ-დან და არგენტინიდან შემოტანილმა ხორბალმა, სადაც სახნავ—სათესი მიწების გაფართოება მოხდა. ამან გამოიწვია თავად ინგლისში სახნავ-სათესი სავარგულების შემცირება 1871-1901 წწ. 8, 1/4 მლნ. აკრიდან 5,

3/4 მლნ. აკრამდე. სამაგიეროდ გაფართოვდა საძოვრების ტერიტორია შესაბამისად 11, 1/4 მლნ. აკრიდან 15, 1/4 მლნ. აკრამდე. საძოვრების გაფართოება იყო ბრიტანელი მესაქონლეების მცდელობა შეეჩერებინათ ავსტრალიასა და ახალი ზელანდიიდან გაყინული ხორცის ექსპორტის ტალღა.

სწორედ ამ ეკონომიკური სიახლეებით და სირთულეებით უნდა აიხსნას კონსერვატორთა პარტიის ხანგრძლივი, თითქმის ოცწლიანი ყოფნა ხელისუფლების სათავეში 1886-1905 წწ. ამ ხნის მანძილზე ლიბერალებმა მხოლოდ 1892-1895 წწ. მოახერხეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება. ლიბერალების ტრადიციული ლოზუნგები თავისუფალი ვაჭრობის, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის და სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამომრჩევლებს უფრო მეტად პროტექციონიზმი, კოლონიური სამფლობელოების გაფართოება და იქიდან შემოსული მოგება აინტერესებდათ. ეს ლოზუნგები კი კონსერვატორების პოლიტიკური პროგრამის დღის წესრიგში იყვნენ.

სწორედ პროტექციონიზმის მებაირახტრე იყო კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერი ჯოზეფ ჩემბერლენი, რომელმაც ლორდ სოლსბერის კონსერვატიულ კაბინეტ'ში კოლონიათა მინისტრად დაინიშნა. გახდა რა მთავრობის წევრი, „დიდი ჯო", როგორც მეტსახელად ეძახდნენ ჩემბერლენს, ენერგიულად შეუდგა თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, რომლის არსი მდგომარეობდა ბრიტანული წარმოების პროტექციული ტარიფებით დაცვაში და მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის შეღავათიანი, ბაჟის გარეშე ვაჭრობის სისტემის დამყარებაში.

ამომრჩეველთა შორის პოპულარობის მოპოვების მიზნით კონსერვატორებმა სოციალურ-პოლიტიკური რეფორმებიც გაატარეს. 1888 წ. გატარდა ადგილობრივი მმართველობის რეფორმა. ადრე საგრაფოებში სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეული ფუნქციები თავმოყრილი იყო მომრიგებელი მოსამართლის ხელში, რომელიც ადგილობრივი ჯენტრის წარმომადგენლებიდან ინიშნებოდა. რეფორმამ ჩამოართვა ამ პირებს ყველა ფუნქცია, სასამართლოს გარდა. რეფორმის თანახმად საგრაფოებში შეიქმნა საბჭოები, რომლებსაც ირჩევდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ საპარლამენტო არჩევნებში, არამედ 30 წელს მიღწეული ქალებიც.

საგრაფოს საბჭოებს მიენიჭათ ერთობ დიდი უფლებები ადგილობრივი გადასახადების აკრეფის, საქალაქო მეურნეობის მოწესრიგების, გზების გაყვანის, საპოლიციო სამსახურის გაძღოლის და სხვა. მოგვიანებით, 1902 წ. მათვე დაეკისრა განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება. ამავე კანონით სკოლები უზრუნველყოფილები იყვნენ სახელმწიფო სუბსიდიებით.

ითვალისწინებდნენ რა მოსახლეობის ფართო ფენების როლის ზრდას, როგორც ლიბერალები, ასევე კონსერვატორები ცდილობდნენ ისეთი რეფორმების გატარებას, რომლებიც სტიმულს მისცემდნენ სწორედ საზოგადოების ამ ნაწილს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლიბერალთა მიერ 1892 და 1894 წწ. გატარებული რეფორმები. პირველით 18 წლამდე პირებისათვის სამუშაო კვირის ოდენობა განისაზღვრა 74 საათით.

მეორე რეფორმა ადგილობრივი მმართველობის ძირეულ რგოლს — სოფელს შეეხებოდა. საუკუნეების მანძილზე ამ ადმინისტრაციული ერთეულის მართვა-გამგეობა წარმოადგენდა არისტოკრატიის ბატონობის განსახიერებას. აქ ადგილობრივი ლენდლორდი და მღვდელი ბატონობდნენ. და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობის განვითარება არნახულ მასშტაბებს აღწევდა! მსოფლიო დემოკრატიის ლიდერი, დიდი ბრიტანეთი ითავსებდა ყველაზე მოწინავე საპარლამენტო სისტემას და ტიპიურ ფეოდალურ ადგილობრივ მმართველობას. რეფორმის შემდეგ მთელი ხელისუფლება გადაეცა სასოფლო კრებას ან სასოფლო საბჭოს (უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობით), რომლებშიც შედიოდა ყველა ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც გადასახადს იხდიდა. ამან საშუალება მისცა სოფლის მოსახლეობას უშუალოდ მიეღო მონაწილეობა მართვა-გამგეობაში.

მუშათა კლასის მზარდი როლის გათვალისწინება გამოიხატა კონსერვატორთა მიერ 1897 წ. მიღებულ კანონში, რომლის მიხედვით მეპატრონე ვალდებული იყო მიეცა მუშისათვის ფულადი ანაზღაურება საწარმოო ტრავმის შემთხვევაში.

მაგრამ ამ მზარდი სოციალური ჯგუფის ინტერესების სრული დაკმაყოფილება ვერ მოხერხდებოდა ცალკეული რეფორმების მეშვეობით. XIX ს. 80-იანი წლების ბოლოდან მომხდარმა ცვლილებებმა დიდი ბრიტანეთი დამოკიდებული გახადეს საერთაშორისო ვაჭრობასა და მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნებზე. ბრიტანელთა დიდი ნაწილი, და პირველ რიგში მუშები დამოკიდებულები გახდნენ ისეთ მოვლენებზე, რომელთა მართვა და კონტროლი მათ მთავრობას არ შეეძლო. თუკი

ადრე ინგლისი აკონტროლებდა და არეგულირებდა მსოფლიო ბაზარს, ახლა მას თავად უნდა ედევნა თვალყური თავისი მეტოქეებისათვის. რათა მეტისმეტად არ ჩამორჩენოდა მათ. ამგვარად, არსებული პოლიტიკური პარტიები და მათი იდეოლოგია ვერ უშველიდნენ მუშებს გამოსავალი ენახათ იმ სიძნელეებიდან, რომლებიც დიდ ბრიტანეთსა და მსოფლიოში მომხდარი ეკონომიკური ცვლილებებით იყო განპირობებული. მუშებს ხელისუფლებაში თავისი ინტერესების უშუალო დამცველები სჭირდებოდათ.

სწორედ ამიტომ XIXს. 80-90-იანი წლები დიდი ბრიტანეთის ისტორიაში აღინიშნება მუშათა მცდელობით ჩამოეყალიბებინათ თავისი პარტია, რომელიც ხელისუფლების დონეზე გაატარებდა მათ ინტერესებს. უნდა ითქვას, რომ ეს მოძრაობა ხასიათდებოდა რიგი თავისებურებით, რომლებიც დამახასიათებელი იყო ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

მუშათა პარტიის შექმნისათვის წარმოებულ მოძრაობაში არ წამოყენებულა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წყობის შეცვლის იდეა. თავად მოძრაობა თავისებური „ექსპერიმენტებით" აღინიშნა. სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა მოღვაწის მიერ შეიქმნა სოციალისტური ტიპის სხვადასხვა ორგანიზაცია. ეს იყო: სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია (ჰენრი ჰაინდმანი, 1881წ). სოციალისტური ლიგა (უილიამ მორისი, 1885 წ.) დამოუკიდებელი მუშათა პარტია (კეირ ჰარდი, 1893), მაგრამ არც ერთი არ იდგა იმ პოზიციაზე, რომელიც ითვალისწინებდა საკუთრების ფორმის და სახელმწიფო წყობის შეცვლას. თუმცა კი ნაკლებად კვალიფიციური მუშები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა არ იყო მთლად სახარბიელო ცდილობდნენ ენერგიულად ემოქმედათ თავისი ახლად შექმნილი პროფკავშირების მეშვეობით. მათი აქტიურობა ნეიტრალდებოდა მაღალკვალიფიციური და მაღალხელფასიანი მუშების, ე.წ. „მუშათა არისტოკრატიის" პასიურობით, რომელიც კმაყოფილი იყო რა თავისი მატერიალური მდგომარეობით, განზე იდგა აქტიური პოლიტიკური მოძრაობისაგან.

მუშათა მოძრაობის განეიტრალების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა 1883 წ. შექმნილი ფაბიანური[70] საზოგადოება. საზოგადოების დამფუძნებელთა და წევრთა შორის იყვნენ ინგლისური კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მაგ. დრამატურგი ბერნარდ შოუ, ისტორიკოსები, ცოლ-ქმარი ბეატრის და სიდნი უები. ფაბიანელები ამტკიცებდნენ, რომ ინგლისისათვის დამახასიათებელია თანდათანობითი განვითარება, რომლისათვისაც უცხოა სწრაფი ცვლილებები, კლასობრივი ბრძოლა და ა.შ. ფაბიანელთა იდეოლოგიას მრავალრიცხოვანი მიმდევრები ყავდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში.

შემტევი ხასიათის მქონე მუშათა მოძრაობის არ ასრებობა ინგლისში განპირობებული იყო იმითაც, რომ მმართველი წრეები იქ ერთობ მოქნილად მოქმედებდნენ, თავად გამოდიოდნენ ისეთი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების ინიციატივით, რომლებიც მუშების ინტერესებს პასუხობდა. ყველაფერ ამის გამო ინგლისელის, თუნდაც მუშის ცნობიერება დაკავებული იყო არა არსებული წეს-წყობილების შეცვლის იდეით, არამედ სურვილით, არსებულ პირობებში გაეუმჯობესებინა საკუთარი მატერიალური მდგომარეობა. ამიტომაც იყო ალბათ, რომ პუბლიცისტ სემიუელ სმაილსის ბროშურა „თვითდახმარება", რომელიც შრომას, ფხიანობას და მათ უცილებელ შედეგს, გამდიდრებას განადიდებდა 1860-1890 წწ. 130 000 ტირაჟით გამოიცა, მაშინ როცა ინგლისში მოღვაწე მარქსისა და ენგელსის შრომები პრაქტიკულად არც კი იყო თარგმნილი ინგლისურ ენაზე.

ზემოხსენებული მიზეზების გამო ინგლისში, ევროპის კონტინენტის ქვეყნებისაგან განსხვავებით დაყოვნდა სოციალისტური პარტიის ჩამოყალიბება, რომელიც მუშათა ინტერესების უშუალო გამომხატველი იქნებოდა. ეს მხოლოდ 1900 წ. მოხდა, როდესაც სხვადასხვა სოციალისტური თუ პროფკავშირული ორგანიზაცია გაერთიანდა მუშათა წარმომადგენლობით ლიგაში. ლიგამ ორი მიზანი დაისახა: მაქსიმალურად დაერაზმა მშრომელები, რათა ექცია ისინი სრულფასოვან ამომრჩევლებად და უზრუნველყო პარლამენტში კვალიფიცირებული მუშების არჩევა, ისეთების, რომლებიც თავისი უნარით და თვისებებით მუშათა მიმართ ნდობას განამტკიცებდნენ. ლიგამ თავიდანვე უარი თქვა კლასობრივ ბრძოლაზე, სახელმწიფო წყობისა და საკუთრების ფორმის შეცვლაზე.

1906 წ. ლიგას ლეიბორისტული (Labour – ინგ.შრომა) პარტია ეწოდა. პარტიის რიგები სწრაფად იზრდებოდა. თუკი 1900 წ. მასში 376 ათასი ადამიანი იყო გაერთიანებული 1904 წ.

---

70 წარმოსდგება ანტიკურობის ხანის რომაელი სარდლის, კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსის სახელიდან, რომელსაც მეტსახელად ნელს (Cunctator) უწოდებდნენ. ჰანიბალის წინააღმდეგ წარმოებულ II პუნიკურ ომში (218-201 წწ. ძვ.წთ.) იგი შესაფერისი მომენტების დალოდების და აუჩქარებელი მოქმედების მომხრედ გამოდიოდა.

იგი უკვე 1 მლნ. წევრს ითვლიდა. პარტიის პროგრამა და პოლიტიკური გეზი ინგლისური პოლიტიკური ტრადიციებიდან და რეალობიდან გამომდინარე მის წინაშე გარკვეულ პერსპექტივებს შლიდა, რაც დაამტკიცა კიდეც დიდი ბრიტანეთის XX ს. მეორე ნახევრის პოლიტიკურმა ცხოვრებამ.

XX ს. დიდი ბრიტანეთისათვის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო. 1901 წ. გარდაიცვალა დედოფალი ვიქტორია. ვიქტორიას გარდაცვალება ინგლისურ ცნობიერებაში არ იყო ერთი მონარქის მორიგი მონარქით შეცვლის მოლოდინი, რომელსაც თან ახლავს ტრადიციული შეძახილი: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!" თავისი პირადი თვისებებით დედოფალმა ვიქტორიამ აღადგინა საზოგადოების ცნობიერებაში სამეფო ხელისუფლების ერთობ შერყეული პრესტიჟი.

მაგრამ რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მისი ხანგრძლივი მეფობის ხანაში (1837-1901 წწ.), განსაკუთრებით XIX ს. 50-იანი წლებიდან ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ პროგრესს და მატერიალური კეთილდღეობის არნახულ ზრდას. მარტო ბანკებში შეტანილი ფულადი დანაზოგები 1850-1870 წწ. მანძილზე 30 მლნ. გირვანქა სტერლინგიდან 53 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა. 1875-1914 წწ. ფასები 40%-ით შემცირდა. რეალური ხელფასი 1873-1898 წწ. 75%-ით გაიზარდა. ინგლისური საზოგადოების ცნობიერებაში ვიქტორიას მეფობა იყო მშვიდობისა და კეთილდღეობის ზრდის ხანა. ინგლისურ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი მის ელიტას ერთიანი ცნობიერება ჩამოუყალიბდა.

ბუნებრივია, რომ ამ ელიტას სოციალურ-პოლიტიკური სიახლეები აღელვებდა: პროფკავშირების გააქტიურება, ლეიბორისტული პარტიის შექმნა (მისი ზომიერებისდა მიუხედავად), პარლამენტში ლეიბორისტი-დეპუტატების გამოჩენა. ამ მოვლენებს, რომლებიც დაემთხვა დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალებას ელიტა აიგივებდა სიმშვიდისა და კეთილდღეობის დასასრულთან. მისი აზრით, ამას უნდა მოყოლოდა სოციალური ქარტეხილების ხანა.

მაგრამ აღნიშნულ პირობებში ინგლისელმა პოლიტიკოსებმა კვლავ გამოავლინეს მოქნილობა. ეს პირველ რიგში ლიბერალებს ეხება. გაიცნობიერეს რა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ინგლისს აიძულებდნენ გაეზარდა სამხედრო ხარჯები, რათა გამკლავებოდა თავის მეტოქეებს შესაძლებელი კონფლიქტების დროს, ლიბერალები მიიჩნევდნენ, რომ ამ ხარჯების გარკვეული ნაწილის სოციალური საკითხების გადაჭრისათვის გამოყენება დააკმაყოფილებდა მოსახლეობის ფართო ფენებს და განამტკიცებდა გაბატონებული კლასების მდგომარეობას.

სოციალური საკითხები კი უდავოდ ითხოვდნენ ყურადღებას. 1900 წ. ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობა 41 მლნ. აღწევდა. მათგან 30% სიღარიბეში ცხოვრობდა. მათთვის უცხო იყო დასვენების დღეების სახლის გარეთ გატარება. მუშათა მატერიალურ მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მათ ოჯახებში პრაქტიკულად არ სწარმოებდა კონტროლი შობადობაზე, ასეთ ოჯახში ათი ბავშვი არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო, მაშინ, როცა ზედა და საშუალო ფენების წარმომადგენელთა ოჯახები ორი-სამი ბავშვით იფარგლებოდნენ და ეს მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან, ხოლო მოსახლეობის ხელმოკლე ფენების კვების რაციონში კი დამკვიდრდა ხორცი, რძე და ბოსტნეული. საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ისიც, რომ მისი უგულვებელყოფა სხვა ქვეყნებში კლასობრივ კონფლიქტებს იწვევდა.

1905 წ. დასრულდა კონსერვატორთა ხელისუფლების სათავეში თითქმის ოცწლიანი ყოფნა. ჯოზეფ ჩემბერლენის თავდაუზოგავი საქმიანობის მიუხედავად, მისმა გეგმამ, დაემყარებინა ბრიტანეთის იმპერიის მასშტაბით უბაჟო ვაჭრობა და შემოეღოთ მაღალი პროტექციული ტარიფები დიდ ბრიტანეთში შემოტანილ ხორბალზე მარცხით დამთავრდა. დიდი ბრიტანეთისათვის სავაჭრო ხელშეწყობის ნაცვლად კოლონიებმა საკუთარი მრეწველობის დაცვა ამჯობინეს, რაშიც მათ ბრიტანულ საქონელზე დადებული ბაჟი ეხმარებოდა. ხოლო უცხოეთიდან შემოტანილი ხორბლის მაღალი საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის იდეა უარყოფილ იქნა, რადგანაც ამ ნაბიჯს სურსათზე ფასების ზრდა მოყვებოდა.

შექმნილმა სიტუაციამ კონსერვატორთა რიგებში განხეთქილება გამოიწვია. მათგან განსხვავებით, ლიბერალთა ლიდერმა კემპბელ-ბანერმანმა მოახერხა თავისი პარტიის გაერთიანება და საერთო მიზნისაკენ დარაზმვა. მან პარტიაში ნიჭიერ და ენერგიულ ადამიანებს მოუყარა თავი, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა დროს პრემიერ-მინისტრები გახდნენ. ესენი იყვნენ ჰერბერტ ასკვიტი,

რომელსაც ყველა აფასებდა მისი ღირსებისა და სხვა პირადი თვისებების გამო, არნახულად მოხერხებული და ალღოს მქონე დეივიდ ლოიდ-ჯორჯი, შემტევი და თავისის გამტანი უინსტონ ჩერჩილი. მოგვიანებით უ.ჩერჩილი კონსერვატიულ პარტიაში გადავიდა. კემპბელ-ბანერმანის სწორმა ტაქტიკამ ლიბერალებს 1906 წ. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა. მათ ხელისუფლება 1916 წლამდე შეინარჩუნეს.

მოვიდნენ რა ხელისუფლების სათავეში, ლიბერალები შეუდგნენ თავისი რეფორმების განხორციელებას, რაშიც მათ მხარს უჭერდნენ ლეიბორისტები, რომლებსაც იმ დროისათვის პარლამენტში უკვე 40 დეპუტატი ყავდათ. 1906-1911 წწ. ლიბერალებმა მიიღეს მნიშვნელოვანი კანონები. მეპატრონეებს აეკრძალათ პროფკავშირების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა. ადრე ამგვარი სარჩელის საფუძველზე მეწარმეები ითხოვდნენ გაფიცვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, რაც აფერხებდა საგაფიცვო მოძრაობას.

საყოველთაო ხასიათი მიიღო მუშებისათვის ფულადი ანაზღაურების გაცემამ საწარმოო ტრავმის შემთხვევაში, რაც ადრე ვრცელდებოდა მხოლოდ მუშათა გარკვეულ კატეგორიებზე. მიღებულ იქნა კანონი პენსიების შესახებ, რომელიც ეძლეოდა 70 წელს მიღწეულ ადამიანებს. პენსიის ოდენობა შეადგენდა კვირაში 5 შილინგს და ეძლეოდა პირებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში არ აღემატებოდა 25 გირვანქა სტერლინგს. ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე მუშებისათვის დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე. დაარსდა შრომის ბირჟები, რომლებიც შუამავლობდნენ მუშებსა და მეპატრონეებს შორის სამუშაოზე დაქირავების დროს. მიღებულ იქნა კანონი სოციალური დაზღვევის შესახებ, რომლის თანახმად მუშა-მოსამსახურეებს ეძლეოდა ფულადი ანაზღაურება ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვის და რაც მიაკარია უმუშევრობის შემთხვევაში. სადაზღვევო ფონდში თანხები შეჰქონდათ მთავრობას, თავად მუშებს და მეპატრონეებს. მიღებულ იქნა კანონი მაქსიმალური სამუშაო საათებისა და მინიმალური საცხოვრებელი დონის შესახებ.

აღნიშნულმა რეფორმებმა გააუმჯობესეს მშრომელი ხალხის მდგომარეობა. მაგრამ ლიბერალების მიერ დაგეგმილ ზოგიერთ გარდაქმნას წინ აღუდგა ლორდთა პალატა, რომელსაც ენერგიულად უჭერდა მხარს კონსერვატიული პარტია. ლორდებმა მოახერხეს განათლების რეფორმის კანონპროექტის ჩაგდება, ხოლო როცა 1909 წ. ისინი წინ აღუდგნენ ლიბერალების მიერ შემოტანილ ახალ ბიუჯეტს სიტუაცია პარლამენტში არნახულად დაიძაბა.

ბიუჯეტი შემოტანილ იქნა ლიბერალთა ფინანსთა მინისტრის ლოიდ ჯორჯის მიერ და ითვალისწინებდა გაზრდილ სამხედრო და სოციალურ რეფორმებზე საჭირო ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას მიწაზე ახალი გადასახადების შემოღებით. ამან არნახულად შეაშფოთა ლორდთა პალატაში თავმოყრილი მსხვილი მიწათმფლობელები. ამგვარად, ლორდები აშკარად რეაქციულ ძალად იქცნენ, რაც უდავოდ არ შეეფერებოდა სოციალური განვითარების ზოგადპროგრესულ ფონს.

ამ კონფლიქტმა დაარწმუნა ლიბერალები თავად საპარლამენტო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობაში. სხვანაირად მათ მიერ დაგეგმილი სოციალურ-პოლიტიკური ლიბერალიზაცია ცხოვრებაში ვერ გატარდებოდა. ამიტომ პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა შემოიტანა ახალი კანონპროექტი. ამ კანონპროექტით ლორდებს ჩამოერთმეოდათ ვეტოს უფლება. მათ ასევე აეკრძალათ საბიუჯეტო-საფინანსო კანონპროექტების განხილვა.

რაც შეეხება სხვა ხასიათის კანონპროექტებს, აქ ლორდთა პალატას დაუტოვეს უფლება ორჯერ გადაედო მათთვის არასასურველი კანონპროექტის მიღება. მაგრამ ამ უფლებასთან ერთად მოქმედებდა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე. ზედიზედ სამი მოსმენის შემდეგ კანონპროექტი ლორდთა პალატის გვერდის ავლით ავტომატურად იქცეოდა კანონად. საპარლამენტო არჩევნები შვიდი წლის ნაცვლად ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. ლორდები გააფთრებით გაილაშქრნენ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ.

შექმნილ სიტუაციაში აშკარად პროგრესული ნაბიჯი გადადგა სამეფო ხელისუფლებამ. ლორდებს აცნობეს, რომ თუკი ისინი გააგრძელებდნენ კანონპროექტისათვის წინააღმდეგობის გაწევას, მეფე ჯორჯ V (1910-1936 წწ.) გაზრდიდა ლიბერალი პერების რაოდენობას იმდენად, რომ ამ უკანასკნელებს ხმების უმრავლესობა ჰქონოდათ ლორდთა პალატაში. ამან შეაშინა ლორდები და 1911 წ. მათ მიიღეს ახალი კანონი.

ეს იყო ლიბერალების და საერთოდ დემოკრატიზმის მნიშვნელოვანი გამარჯვება. ინგლისურმა პოლიტიკურმა სისტემამ, გარეგნულად კონსერვატიულმა და ლამის შუასაუკუნეობრივმა (სამეფო ხელისუფლება, ლორდთა პალატა) საბოლოოდ შეიძინა დემოკრატიული ხასიათი. სწორედ დემოკ-

რატიზაციის პროცესის გაღრმავებამ მისცა ბიძგი პროფკავშირთა და მუშების შემდგომ გააქტიურებას. მშრომელთა მასებს „მადა გაეღვიძათ“ და ენერგიულად ჩაებნენ საკუთარი უფლებების და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

1905-1913 წწ. პროფკავშირთა წევრთა რაოდენობა 2 მილიონიდან 4 მილიონამდე გაიზარდა. თუკი 1905 წ. გაფიცვებში 516 ათასი მუშა მონაწილეობდა, 1912 წ. ეს რიცხვი 1463 ათასამდე გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზელთა 1911 წ. და მაღაროელთა 1912 წ. გაფიცვები, რკინიგზელებმა პირველად ინგლისის ისტორიაში აიძულეს ყოვლისშემძლე კომპანიები დაეწყოთ მათთან უშუალო მოლაპარაკება, ხოლო მაღაროელთა დასაშოშმინებლად პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც მინიმალური ხელფასის ზღვარს აწესებდა.

მაგრამ ლიბერალების წარმატება ერთობ სათუო იყო მათი საპარლამენტო წარმომადგენლობის თვალსაზრისით. 1910 წლიდან მოყოლებული ლიბერალები თემთა პალატაში უმრავლესობას ინარჩუნებდნენ მხოლოდ ლეიბორისტების და ირლანდიელთა ჰოუმრულის ფრაქციის მხარდაჭერის წყალობით. და თუკი ლეიბორისტები უდავოდ კმაყოფილები იყვნენ ლიბერალთა მიერ გატარებული გარდაქმნებით, იგივეს თქმა არ შეიძლება ირლანდიელებზე.

ირლანდიელთა მოძრაობა, რომელიც გარკვეულწილად ჩაცხრა ადგილობრივ ტერორისტებზე თავს დატეხილი რეპრესიების გამო და პარნელის სიკვდილის შემდეგ (1891 წ.), კვლავ აღორძინდა XX ს. დასაწყისში. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიბერალთა პოლიტიკურმა კურსმა. ირლანდიაში წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელიც ირლანდიის თვითგამორკვევას ისახავდა მიზნად. იგი „შინ ფეინ“-ის სახელით იყო ცნობილი, რაც გელურ ენაზე ნიშნავს „ჩვენ თვითონ“. შინფეინელთა მოძრაობას სათავეში ედგა ჟურნალისტი ა.გრიფიტი.

აქტიურობით გამოირჩეოდა ირლანდიის სოციალისტური პარტიაც, რომელსაც მეთაურობდა ენერგიული ორგანიზატორი და ნიჭიერი ისტორიკოსი ჯეიმს კონოლი. ისწრაფოდა რა ირლანდიის დამოუკიდებლობისაკენ, კონოლი იმავე დროს იხრებოდა მარქსისტული ტიპის სოციალიზმის დამყარებისაკენ.

ირლანდიაში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებამ, ლიბერალთა პარტიის ირლანდიული ფრაქციის თავისებურად „ვალში ყოფნამ“ უბიძგა პრემიერ-მინისტრ ასკვიტს და მის კოლეგებს 1912 წ. შემოეტანათ პარლამენტში კანონპროექტი ირლანდიისათვის თვითმმართველობის მინიჭების შესახებ. თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი. ჯერი ლორდთა პალატაზე მიდგა. მაგრამ ლორდებმა ისარგებლეს მათ განკარგულებაში მყოფი ერთადერთი უფლებით და კანონპროექტის დამტკიცება ორი წლით გადაავადეს.

გადავადებამ საბედისწერო როლი ითამაშა ინგლის-ირლანდიის ისედაც დაძაბულ ურთიერთობაში. მართალია, კანონპროექტი დამტკიცებულ იქნა 1914 წ. მაგრამ ოლსტერის პროტესტანტებმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს ირლანდიის თვითმმართველობის მიმართ. მათ დაიწყეს შეიარაღებული მოხალისეებისაგან რაზმების ჩამოყალიბება. პასუხად კათოლიკეებმაც დაიწყეს მოხალისეთა რაზმების შექმნა. მდგომარეობა დაიძაბა. მოგვიანებით დაიწყო I მსოფლიო ომი და მთავრობამ ამ საკითხის გადაწყვეტა ომისშემდგომი პერიოდისათვის გადასდო.

ამრიგად, 1880-იანი – 1914 წწ. დიდ ბრიტანეთის ეკონომიკურ და შიგაპოლიტიკურ ცხოვრებაში აღინიშნა შემდეგი მოვლენებით. სამრეწველო განვითარების ტემპების შენელების და წარმოების დაცემის გამო დიდმა ბრიტანეთმა დათმო ლიდერის პოზიცია მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. იგივე პროცესი შეინიშნება სოფლის მეურნეობაში. იმავე დროს მოხდა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ტრანსფორმაცია. წამყვანი პოზიციები მასში დაიკავეს არამწარმოებლურმა დარგებმა (კაპიტალის დაბანდება უცხოეთში, საბანკო საქმე, საზღვაო გადაზიდვები), რამაც არნახულად გაზარდა ბრიტანელი კაპიტალისტების მოგება შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

შიგაპოლიტიკური ცხოვრება აღინიშნა მრავალრიცხოვანი ლიბერალური გარდაქმნით, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ დემოკრატიზაციას და შედარებით სტაბილურ განვითარებას.

XIX ს. მეორე ნახევრის ინგლისის კულტურა

ინგლისმა ბევრი რამით დაამახსოვრა თავი ისტორიას: პირველმა ჩამოაყალიბა პარლამენტი და უჩვენა კაცობრიობას, თუ როგორ ხორციელდება წარმომადგენლობითი მმართველობა; გამოიგონა უამრავი მანქანა—დანადგარი ორთქმავლიდან დაწყებული საკერავი მანქანით დამთავრებული და ამით საფუძველი ჩაუყარა დღეისათვის არსებულ კაცობრიობისათვის ესოდენ სასურველ მატერიალური დოვლათის სიუხვეს. მაგრამ ინგლისელებზე საუბრისას ალბათ, ყველას უპირველეს ყოვლისა თვალწინ წარმოუდგება ქედმაღალი, ამავე დროს თავდაჭერილი ადამიანი, რომელსაც ეამაყება საკუთარი თავი და თავისი ქვეყანა, რომელიც თავისი მატერიალური კეთილდღეობის მიუხედავად უფლებას არ მისცემს საკუთარ თავს, რომ სულიერად წახდეს და შთაინთქას ფუფუნების მორევში. სწორედ ამგვარი იყო XIX ს. მეორე ნახევრის ინგლისი, ასეთები იყვნენ იმ დროის ინგლისელები, რომლებიც ერთიანი, შეკრული ცნობიერებით წარსდგნენ სამყაროს წინაშე. ამ ცნობიერების ეპიცენტრს სამეფო ხელისუფლების იდეა წარმოადგენდა, რის გამოც თავად ეპოქას, დედოფლის ხანგრძლივი მმართველობის გამო ვიქტორიანული ეწოდა.

ვიქტორიანული ხანის ინგლისის სოციალური განვითარების ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზე იყო საშუალო ფენების აღზევება, მათი არნახული წინსვლა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სწორედ მოსახლეობის საშუალო ფენების მოწინავე პოზიციებზე გასვლამ, მათი ფასეულობების დამკვიდრებამ შექმნა იმ დროის ინგლისელთა სტერეოტიპი, რომელმაც გარეგნულადაც კი დაამახსოვრა კაცობრიობას თავისი თავი. შავი, წელში გამოყვანილი სერთუკი და გახამებული თეთრი საყელო. აი ასეთი იყო აღნიშნული ეპოქის საშუალო ფენის ინგლისელი, რომელიც ერთნაირი შემართებით იღვწოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ფენის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელი იყო სადა ყოფა და ზნეობრივი სიმკაცრე, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთებოდა ქვეყნის ეკონომიკური მიღწევებისა და მასში დაგროვილი სიმდიდრის ფონზე. სწორედ ამ კლასის იერ-სახის და ცხოვრების წესის გამო აღნიშნულ ეპოქას ხშირად პურიტანთა ბატონობის პერიოდსაც კი ადრიან.

საშუალო ფენების საზოგადოებრივი აქტიურობა და მათი თვითდამკვიდრება ძალზე საინტერესო გზით მიმდინარეობდა. იკაფავდა რა გზას საზოგადოებაში, საშუალო ფენა იმავდროულად ხარბად ითვისებდა მიწათმფლობელთა ცნობიერებას და ფასეულობებს. კაპიტალისტი აფართოებდა თავის წარმოებას, მაგრამ მას სოფლის ჯენტლმენის ცხოვრებისაკენაც მიუწევდა გული. ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობდა, რომ სოფლად შეეძინა მამული. მილიონერი, რომელიც 1870 წ. ზღაპრულ ფასად იძენდა მამულს ქება-დიდებას იმსახურებდა, მაშინ როცა მის წინამორბედს 1832 წ. ისეთივე ხარჯებისათვის კრიტიკის ქარცეცხლში ახვევდნენ.

უძრავი ქონებისადმი საშუალო ფენების მხრიდან ესოდენ დიდ ლტოლვას თან ერთვოდა მათ მიერ დიდგვაროვნების ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებების და ენის ათვისება. ყველაფერმა ამან მატერიალური დოვლათის მაქსიმალურ დაგროვებასთან ერთად მოიტანა ის, რომ XX ს. დასაწყისისათვის ინგლისში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ელიტა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო არაჩვეულებრივად ერთიანი, ყოველგვარ დანაწევრებას მოკლებული ცნობიერება.

ამ ელიტის შემადგენელი ნაწილი იყო საშუალო ფენა, რომელიც თავისი ცნობიერებითა და ზნით არაფრით არ განსხვავდებოდა არისტოკრატიისაგან. მეწარმე მატერიალური დოვლათის შექმნის სათავეებთან იდგა, მაგრამ სულიერ სფეროში იგი დიდგვაროვანის ბატონობას შეურიგდა და უფრო მეტიც, ყოველნაირად ცდილობდა მის სამყაროსთან შერწყმას.

როგორც ყველა საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი, აღნიშნული შერწყმაც შეიცავდა გარკვეულ წინააღმდეგობებს. ქვეყანა თითქოსდა ორნაირად უყურებდა საკუთარ თავს და თავის მიღწევებს. ითვლება, რომ ეს ხედვა და მასში არსებული განსხვავება გეოგრაფიული რეგიონებით არის წარმოდგენილი. ჩრდილოეთი — პრაგმატული, ბურჟუაზიული, პურიტანული, მეწარმეობისა და მოხვეჭის სულისკვეთებით გაჟღენთილი და სამხრეთი — რომანტიკული, ჯენტლმენური, ანგლიკანური, ტრადიციებს მიმდევარი, დარწმუნებული იმაში, რომ ადამიანი მსახურების და მოვალეობის შესრულებისათვის არის გაჩენილი.

შესაძლოა, რომ გეოგრაფიული ფაქტორი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად პირობითია, მაგრამ ერთი კი ცხადია. მოაზროვნეთა ერთი ნაწილისათვის 1851 წ. ლონდონში გახსნილი მსოფლიო

გამოფენა და საგამოფენო პავილიონი კრისტალ პელისი (Crystal Palace – ბროლის სასახლე) ინგლისის სამეცნიერო თუ საწარმოო განვითარების განსახიერებას წარმოადგენდა. ისტორიკოსი თომას მაკოლეი (1800-1859 წწ.) საზოგადოების ცნობიერებაში განუხრელი პროგრესის რწმენას ნერგავდა.

იმავე დროს მათი იდეური მოწინააღმდეგეები აღიარებდნენ რა მატერიალური დოვლათის არნახული ზრდის ფაქტს აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ ვაჭრობასა და წარმოებაზე ვერ აიგებოდა ჭეშმარიტი ცივილიზებულობა. ამგვარად განწყობილი ადამიანები მიუთითებდნენ საზოგადოებაში არსებულ გაუცხოებაზე. მათი აზრით ადამიანები მხოლოდ საკუთარი საქმით, ფულის მოგებით და სიღარიბისაგან თავის დაღწევის აზრით იყვნენ შეპყრობილები. ნებისმიერი ამქვეყნიური მოვლენა ბიზნესით და მისი მოთხოვნებით იყო ახსნილი და გამართლებული.

ამგვარი გუნება-განწყობის წინააღმდეგ ილაშქრებდა XIX ს. მეორე ნახევრის ლიტერატურის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე. აღნიშნული დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტი ალფრედ ტენისონი (1809-1892 წწ.), რომელსაც ლორდის ტიტული ებოძა, თავის ლექსებში რომანტიკული, სულიერი დახვეწილობით აღსავსე სამყაროს გამოხატავდა, იგი ხოტბას ასხამდა ამაღლებული სულისკვეთების, საზოგადეობის კეთილდღეობისათვის თავდადებულ პიროვნებას („გოდივა"), სასტიკად ილაშქრებდა მეშჩანური უხამსობის წინააღმდეგ, რომელიც სიამოვნებას ჰპოვებდა პიროვნების ღირსების შეურაცხყოფასა და შებღალვაში, აცოცხლებდა ანტიკურ სიუჟეტებს, ანდა უმღერდა ზღვის სივრცის მშვენიერებას.

ასეთივე რომანტიკული განწყობით იყვნენ შეპყრობილი ცოლ-ქმარი ელიზაბეთ ბარეთ ბრაუნინგი (1806-1861 წწ.) და რობერტ ბრაუნინგი (1812-1889 წწ.) თავის პოეზიაში ისინი აღორძინების ხანას აცოცხლებდნენ. ელიზაბეთი თავის „პორტუგალიურ სონეტებში" სასიყვარულო განცდებს უმღეროდა. ხოლო რობერტი დიდ იტალიელ ფერმწერებზე და ძველბერძნულ მითებზე საუბრის ფონზე ადამიანთა ყოფის სხვადასხვა მხარეებს გამოხატავდა, ცდილობდა ცნობიერების განვითარების არსის ჩაწვდომას. მნიშვნელოვანი იყო რობერტ ბრაუნინგის წვლილი პოეტური ენისა და სტილის განვითარებაში.

მაღალგანვითარებული მანქანური წარმოების პირობებში, კაპიტალიზმის გაბატონების ხანაში მეტიუ არნოლდი (1822-1888 წწ.) ხოტბას ასხავდა სულიერებას, სილამაზეს, მიუთითებდა ამქვეყნიური ყოფის წარმავალ ხასიათზე. არნოლდი მოუწოდებდა ადამიანებს მათ თანადროულ მექანიკურ, ურბანიზებულ ყოფაში არ დავიწყებოდათ მარადისობა, მშვენიერება, არ დაეკარგათ მათი შეცნობის უნარი. სწორედ ასეთი აზრები იყო ჩაქსოვილი მის ლექსებში „დუვრის ნაპირი", „მომავალი", „პალადიუმი".

ისევე, როგორც XIX ს. პირველ ნახევარში, ახლაც აღსანიშნავია დიდი რეალისტის, ჩარლზ დიკენსის რომანები. თავისი ზნეობრივი და იდეური პრინციპების ერთგული დიკენსი ჩვეული ოსტატობით ამათრახებდა მომხვეჭელობას, უსულგულო დამოკიდებულებას ადამიანისადმი, კაპიტალისტურ ექსპლუატაციას. რომანში „ცივი სახლი" მან დახატა ადამიანი, როგორც არსებული კანონების მსხვერპლი. კანონის უსულგულობა ამსხვრევს ადამიანურ ურთიერთობას, პიროვნების არსებობას აზრი ეკარგება.

რომანი „მძიმე დროება" ააშკარავებს კაპიტალისტური წარმოების მეორე მხარეს, ექსპლუატაციის დაუნდობლობას. მწერლის მიერ გამოგონილ ქალაქში, კოკსტაუნში მცხოვრები ხარბი მეპატრონეებისათვის ერთადერთ რეალობას შემოსავლის აღმნიშვნელი ციფრები წარმოადგენენ. ადამიანი და მისი სიცოცხლე მათთვის არაფრის მთქმელი მოვლენაა. „პაწია დორიტი" კი აღწერს ციხეს, სადაც ვალის გადაუხდელობის გამო საშინელ პირობებში იმყოფებიან ადამიანები. თავის ერთ-ერთ ბოლო რომანში „დიდი იმედები" დიკენსმა დეტექტიური ჟანრის ფონზე გააშუქა სხვადასხვა სოციალური პრობლემა. დიკენსის ნაწარმოებების მნიშვნელობა არა მარტო მათ მაღალ მხატვრულ ღირებულებაშია, არამედ იმაშიც, რომ მათ გარკვეულწილად გაალღვეს ვიქტორიანული ხანის ინგლისში არსებული გაუცხოება საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის და ბიძგი მისცეს ერთგვარი თანაგრძნობის განვითარებას.

ვიქტორიანული ხანის ღვთისმსახურების და პოლიციელების დახასიათება მოცემულია ენტონი ტროლოპის (1815-1882 წწ.) რომანებში. მწერალი ქალი მარიან ევანსი (1819-1880 წწ.), რომელიც თავის ნაწარმოებებს ჯორჯ ელიოტის ფსევდონიმით აქვეყნებდა გმირების ხასიათების დახვეწილ ანალიზს უხამებდა მაღალზნეობრივი პრინციპების ქადაგებას.

აღსანიშნავია ჯორჯ მერედიტის (1828-1909 წწ.) და თომას ჰარდის (1840-1928 წწ.) შემოქმედება. ორივემ როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში მოიხვეჭა სახელი. მათი პროზა ფილოსოფიური მიმართულებისაა და ცხოვრების შესახებ გარკვეულ იდეებს გამოხატავს. მერედიტის გარკვეულწილად კომიკურ მიმართულებას ჰარდის პესიმიზმი უპირისპირდება, რაც ესოდენ კარგად არის გადმოცემული მის „ტეს დ'ერბერვილში".

აღნიშნული დროის საზოგადოებრივ ცნობიერებაში და შესაბამისად მის მწერლობაში არსებული რეალობისადმი ორგვარი მიდგომა უნდა გამოვყოთ. ვიქტორიანული ხანის პირველ ათწლეულებში ლიტერატურაში, კერძოდ პროზაში მოწინავე პოზიციები რეალიზმს ეჭირა, ნაწარმოებებში ძირითადად სამრეწველო გადატრიალებით გამოწვეული მძიმე ყოფა, სულიერი გაუცხოვება, ექსპლუატაცია და დაუნდობლობა იყო აღწერილი.

მოგვიანებით, საუკუნის ბოლო ათწლეულებში მდგომარეობა შეიცვალა. მატერიალური ყოფის მეტ-ნაკლებმა გაუმჯობესებამ, ცხოვრების პირობების გაწონასწორებამ, კონტინენტზე შექმნილმა მიმართულებებმა ახალ ინტერესებს მისცეს ბიძგი. მწერალთა შემოქმედებაში პიროვნების სულიერი სიღრმის წარმოჩენასა და სიმბოლური თუ ესთეთიკური მომენტების წინ წამოწევაზე გაკეთდა აქცენტი.

ამ მხრივ აღსანიშნავია ირლანდიული წარმოშობის მწერალი და დრამატურგი ფინგალ ო'ფლაჰერტი უილსი, რომელსაც მსოფლიო ოსკარ უაილდის (1854-1900 წწ.) სახელით იცნობს. ესთეთიკური მიმართულების ლიდერი, ოსკარ უაილდი თავის განუმეორებელ ზღაპრებში „ბედნიერი უფლისწული", „ბულბული და ვარდი", „ვარსკვლავბიჭუნა" და სხვ. იშვიათი სინატიფით და აღმფრენით ამკვიდრებს ისეთ უზენაეს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს როგორებიცაა უანგარო კაცთმოყვარეობა, თავგანწირვა სიყვარულისათვის და სულიერი ამაღლება მონანიების შედეგად. იმავდროულად ამ კეთილშობილი და სილამაზით აღსავსე თემატიკის საპირისპიროდ უაილდმა ისეთივე ოსტატობით, სიმბოლური ხერხების მეშვეობით წარმოაჩინა პიროვნების ბოროტებისადმი დაქვემდებარება და ამის შედეგი „დორიან გრეის პორტრეტში".

თუკი ოსკარ უაილდის სფერო სიმბოლოებისა და დახვეწილი სილამაზის სამყარო იყო, რომელის ფონზეც იგი ცდილობდა ადამიანის სულის ლაბირინთებში გზის გაკვლევას, რედიარდ კაპლინგი (1865-1836 წწ.) ბრიტანელთა ცნობიერებაში და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ რეალობაში არსებული მომენტების ამსახველი იყო.

XIX ს. ბოლო მეოთხედში ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტს იმპერია წარმოადგენდა. იმპერიალიზმი იყო გაზეთებისა თუ მიუზიკ ჰოლების მუდმივი თემატიკა. სწორედ ამ პოლიტიკურ მიმართულებას, უკიდეგანო ბრიტანეთის იმპერიის შექმნას და გაძლიერებას აღწერდა და ხოტბას ასხამდა ეს ნიჭიერი პოეტი და მწერალი. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი შორს იყო რასისტული ეიფორიისაგან, რომელიც იმ ხანად ერთობ დამკვიდრებული იყო ბრიტანელთა შორის.

კაპლინგი მოუწოდებდა თავის თანამემამულეებს შეესრულებინათ ცივილიზატორთა როლი, გამოეჩინათ მოთმინება, შემწყნარებლობა, სიმამაცე და თავდადება უკიდეგანო იმპერიის სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, ღირსეულად და თავმდაბლად ეტარებინათ „თეთრი ადამიანის ტვირთი". კაპლინგის შემოქმედებამ გააცნო ევროპელებს ინდოეთი, ხოლო თავად პოეტს ნობელის პრემია მიენიჭა ვაჟკაცური ლიტერატურული სტილისათვის.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა სათავგადასავლო და ავანტიურისტული ჟანრის განვითარება. ეს მიმართულება წარმოჩენილი იყო რობერტ სტივენსონის „განძთა კუნძულში", რაიდერ ჰაგარტის „სოლომონ მეფის საგანძურში" და „ალმასებზე მონადირეებში".

თუკი უფროსი თაობის პოეტები თუ მწერლები მომხვეჭელობისა და სიმდიდრის კულტთან ბრძოლის ხერხს რომანტიკულ წარსულში ეძებდნენ, უმცროსი თაობის შემოქმედებმა ამ ფასეულობების ერთგული კლასების წინააღმდეგ გაილაშქრეს, ანდა უჩვენეს მათ მიერ პიროვნების სულიერი განადგურების სურათი. თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ფუძემდებლებმა ჰერბერტ უელსმა (1866-1946 წწ.) მართებულად გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ადამიანი ვალდებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს თავისი ზნეობრივი განვითარება შეუფარდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას კატასტროფა ელოდება. თავის „უჩინარ ადამიანში" მან დახატა მეცნიერის ტრაგედია, რომელიც საზოგადოებამ თავისი ფასეულობების წყალობით ბოროტმოქმედად აქცია.

თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე დრამატურგი ბერნარდ შოუ (1856-1950 წწ.) აკრიტიკებდა მოჩვენებითი, ფულზე აგებულ პატივისცემას („მისის უორენის პროფესია"), გარიგებაზე დაფუძნებული, სიყვარულის გარეშე ქორწინებას („კანდიდა"). მომაკვდინებელი ირონია, ხასიათების გახსნის ოსტატობა – შოუს დრამატურგიის ამ ელემენტებმა თავისი სიღრმის წყალობით გაამდიდრეს არა მარტო ინგლისური, არამედ მსოფლიო თეატრიც.

ვიქტორიანული ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება, საშუალო კლასების აღზევება, მათი განუხრელი აღმასვლა სოციალურ-ეკონომიკურ საფეხურებზე და მათი ცხოვრებისეული ფილოსოფიის ცხოვრებაში გაბატონებული მორალის სახით დამკვიდრება მთელი სისრულით არის ნაჩვენები XIXს. დასასრულისა და XXს. დასაწყისის ცნობილი მწერლის ჯონ გოლსუორსის რომან-ეპოპეაში „ფორსაიტების საგა". ფორსაიტების გვარის რამდენიმე თაობის მაგალითზე ნაჩვენებია ადამიანების მიერ საზოგადოების ზნეობრივი ნორმების შექმნა და თავად ამ ადამიანების ტრანსფორმაცია. ერთნი ხედავენ, რომ ცხოვრებას ვერ შეავსებს მხოლოდ მოხვეჭა და სულიერების ძებნაში პროტესტს უცხადებენ თავის მიერვე დაკანონებული ნორმებს. მორენი კი, თუმცა ხედავენ ამგვარი ყოფის ამაოებას, ურიგდებიან მას და თავისებურ მწარე სულიერ მარცხს განიცდიან.

XIX ს. მეორე ნახევრის და განსაკუთრებით მისი დასასრულის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პრესის როლი. რასაკვირველია, გაზეთი არ იყო სიახლე, მაგრამ აღნიშნული პერიოდისათვის მის წინაშე ახალი მოთხოვნა დადგა. იგი მასების გართობის და ყურადღების მიზიდვის საშუალება უნდა გამხდარიყო, იმ ფენების, რომლებსაც სწორედ იაფი გაზეთის შეძენა შეეძლოთ.

1896 წ. ალფრედ ჰარმსუორტმა დაარსა გაზეთი „დეილი მეილ"-ი. გაზეთის მეპატრონემ მიზნად დაისახა ტირაჟის მაქსიმალური გაზრდით მიეზიდა რეკლამის მსურველთა მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო სენსაციური შინაარსით, მოსახლეობის სურვილების გამოცნობით უზრუნველყო ტირაჟის მაქსიმალური რაოდენობა. „დეილი მეილ"-მა თავისი ენერგიული კამპანიებით ფრანგების, გერმანელების, ბურების წინააღმდეგ მიიქცია ხალხის ყურადღება და მნიშვნელოვნად განაპირობა ბრიტანელთა იმპერიალისტური გუნება-განწყობა.

სიახლეს ჰქონდა ადგილი ინგლისურ ფერწერაში. XIX ს. შუახანებში პოეტმა და მხატვარმა, იტალიური წარმოშობის ინგლისელმა დანტე როსეტიმ, მისმა დამ კრისტინამ და მათმა რამოდენიმე თანამოაზრემ შექმნეს ე.წ. პრერაფაელიტური საძმო. შემოქმედთა გაერთიანების ლოზუნგი იყო აღედგინათ ის სიმარტივე, რომელიც არსებობდა ფერწერაში მანამდე, ვიდრე მას რაფაელის მიერ შემოტანილი დახვეწილი სტილი არ შეცვლიდა. მათ უარი თქვეს სამეფო აკადემიაში მიღებულ სამხატვრო ნორმებზე და გეზი აიღეს არსებული გარემოს გამოსახვაზე. პრერაფაელიტებმა მაქსიმალური ყურადღება დაუთმეს დეტალებს და მიმართავდნენ ბუნების მსუყე და ნათელი ფერების გამოყენებას.

მათ მიერ რუბენსის და რემბრანდტის ტილოების აგდებულად მოხსენიებამ სკანდალი გამოიწვია, ხოლო როდესაც საძმოს ერთ-ერთმა წევრმა, ჯონ მილესმა თავისი ტილო „ქრისტე თავისი მშობლების ოჯახში" გამოფინა, პრერაფაელიტები კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს. ასეთი მარცხიანი დასაწყისის მიუხედავად, როდესაც 1862 წ. უილიამ ჰანტმა წარმოადგინა თავისი „მწყემსი", კრიტიკამ აღიარა პრერაფაელიტები, ხოლო ერთ-ერთ მათგანს, ჯონ მილესს, მოგვიანებით რაინდის წოდებაც კი ებოძა.

მიუხედავად ამ თვითმყობადი ორიგინალობისა, ფერწერის დარგში ინგლისელები მაინც განზე იდგენენ იმ დიდი ძვრებისაგან, რომლებსაც ამ სფეროში კონტინენტზე ჰქონდა ადგილი. საფრანგეთში წარმოშობილმა იმპრესიონიზმმა ერთობ სუსტი გამოძახილი ჰპოვა ინგლისში. ინგლისელი მხატვრები ძალზე „ინგლისურები" იყვნენ თავის შემოქმედებაში. მათგან აღსანიშნავია რიჩარდ სიკერტი, რომლის შემოქმედებაში ასახული იყო ლონდონის მიუზიკ ჰოლების ცხოვრება. მოლიანობაში კი, უნდა ვიკარაუდოთ, რომ იმ დროის ინგლისურ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ფერწერისადმი, რადგანაც სწორედ იმ პერიოდში გაიხსნა უამრავი სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, მათ შორის პორტრეტების ეროვნული გალერეა და ტეიტის გალერეა.

აღნიშნული პერიოდის არქიტექტურა წარმოაჩენს სხვადასხვა სტილის ნაგებობას. არქიტექტორები გატაცებული იყვნენ წარსულის გაცოცხლებით. 1867 წ. აგებული ვესტმინსტერის სასახლე (პარლამენტის შენობა), რომელმაც ძველი, ხანძრისაგან დამწვარი შეცვალა, წარმოადგენს გოთიკი-

სა და ტიუდორების დროის ხუროთმოძღვრების ნაზავს. 1871 წ. დასრულდა როიალ ალბერტ[71] ჰოლის (ხელოვნების და მეცნიერების სამეფო ცენტრი) მშენებლობა, რომელიც ანტიკური ამფითეატრის სტილშია შესრულებული. ბრიტანეთის იმპერიის უკიდეგანო სივრცეები უცხო კულტურების მიბაძვისათვის ქმნიდნენ წინაპირობას. სწორედ აღმოსავლურ სტილშია აგებული ვესტმინსტერის საკათედრო ტაძარი.

ადგილი ჰქონდა წმინდა ტექნიკურ სიახლეებსაც. 1862 წ. ძველი, ქვის ვესტმინსტერის ხიდის ნაცვლად ახალი, რკინის ხიდი აიგო. მაგრამ საერთო ჯამში აღნიშნული დროის ინგლისური არქიტექტურა შორს იყო იმ შემოქმედებითი ძიებისაგან, რომელიც ახასიათებდა სხვა ქვეყნების არქიტექტორებს და რომლის მოთავეებად გამოდიოდნენ ავსტრიელი ო.ვაგნერი, ამერიკელი ლ.სალივანი და სხვ.

ძველი ფორმების გაცოცხლება არც ქანდაკებისათვის იყო უცხო. მაგ. სწორედ აღორძინების სტილშია შესრულებული 1893 წ. პიკადილის მოედანზე მდგარი ქრისტიანული მოწყალების ანგელოზის ქანდაკება, რომელიც უფრო სიყვარულის ძველბერძნული ღმერთის, ეროსის სახელით არის ცნობილი[72].

ხელოვნების ყველა ამ აღნიშნული დარგის ფონზე ერთობ მოკრძალებულია ინგლისელთა მიღწევები მუსიკის დარგში. მაშინ, როდესაც კონტინენტზე გამოჩნდა ახალი სახელები და ახალი მიმდინარეობები საფორტეპიანო, სიმფონიურ თუ საოპერო მუსიკაში (კ.დებიუსი საფრანგეთში, რ.შტრაუსი გერმანიაში, გ.მალერი ავსტრიაში, ჯ.პუჩინი, პ.მასკანი და რ.ლეონკავალო იტალიაში) ინგლისური მუსიკის მიღწევები შემოიფარგლა სერ ედუარდ ელგარის შემოქმედებით. თავად ინგლისელი კრიტიკოსების შეფასებით, ჭეშმარიტებისაგან შორს იქნებოდა იმის თქმა, რომ ელგარის ნაწარმოებებმა ინგლისურ მუსიკას ევროპაში უფრო მეტი სახელი დაუმკვიდრა, ვიდრე ეს ჰენრი პერსელმა შესძლო XVII ს.

სამეწარმეო, მომხვეჭი და მეორე მხრივ ჯენტლმენური, ამაღლებული სამყაროთა ერთდროული შერწყმა და ჭიდილი ერთობ საინტერესოდ გამოიხატა მეცნიერებისა და განათლების სფეროში. XIX ს. მეორე ნახევარი აღინიშნებოდა მეცნიერების მნიშვნელოვანი განვითარებით. მაგრამ უამრავი მიღწევით განახლებული მეცნიერება სიცოცხლისუნარიანობას შეინარჩუნებდა იმ შემთხვევაში, თუ მისი სხვადასხვა დარგი მაქსიმალურად შევიდოდა როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ასევე საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებში. ამასვე ითხოვდა მეცნიერული მიღწევების სულ უფრო მეტი დანერგვა წარმოებაში. სწორედ ამ მხრივ შეიქმნა ძალიან თავისებური მდგომარეობა დიდ ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემაში.

ეს განპირობებული იყო არისტოკრატიის ზნეობრივი ბატონობით, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ინგლისელი ჯენტლმენის ცნობიერებაში განათლება უპირველეს ყოვლისა გაიგივებული იყო კლასიკური ენების და ლიტერატურის შესწავლასთან. ამიტომ დიდგვაროვნებისათვის განკუთვნილ ე.წ. დახურულ სასწავლებლებში სწორედ ძველ ბერძნულს, ლათინურს, ჰომეროსის და ვირგილიუსის შესწავლას ენიჭებოდა უპირატესობა. ზუსტი მეცნიერებები გაიგივებული იყო მრეწველობასთან, მუშათა კლასთან და ფულის არსებობისათვის გამომუშავებასთან. ჯენტლმენი კი, ინგლისში გაბატონებული ფასეულობების მიხედვით, ფულზე და ფულისადმი სწრაფვაზე მაღლა უნდა მდგარიყო.

მეცნიერების ტექნიკური დარგების ამგვარმა უგულვებელყოფამ ათქმევინა თავისი დროის ცნობილ ბუნებისმეტყველს, თომას ჰაქსლის, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის წამყვან პროფესორ-მასწავლებელთა შორის ცოტამ თუ იცოდა ის ფაქტი, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. მაგრამ იგივე ჰაქსლიმ და XIX ს. ერთ-ერთმა უდიდესმა ინგლისელმა ინჟინერ-გამომგონებელმა ისამბარდ ბრუნელმა შვილები შესაბამისად ჰაროუს დახურულ სასწავლებელში და ოქსფორდის უნივერსიტეტში მიაბარეს, რაც ჯენტლმენობის ხიბლის ყოვლისშემძლე ძალაზე მიუთითებს.

განათლების ამგვარ სისტემას თავისი ნაკლიც ჰქონდა, როგორც ამაზე დღეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ისტორიკოსები მიუთითებენ. დახურული სასწავლებლების და ტრადიციული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში აქცენტი გაკეთებული იყო ხასიათის, მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე. ამგვარი განათლების სისტემის წყალობით ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულები სამოქალაქო მოხელეების და სამხედრო მოსამსახურეებისათვის

---

[71] უფლისწული ალბერტი, დედოფალ ვიქტორიას მეუღლე. დღეისათვის ამ ცენტრში მუსიკალური კონცერტები იმართება.

[72] ქანდაკება დაიდგა ვიქტორიანული ხანის ცნობილი ქველმოქმედის, ლორდ შეფტსბერის ხსოვნის საპატივსაცემოდ.

საჭირო საუკეთესო უნარ-ჩვევებს იძენდნენ, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო მართვის ერთობ მაღალ დონეს, როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე თვალუწვდენელი ბრიტანეთის იმპერიის ნებისმიერ კუთხეში.

მაგრამ ტექნიკური თუ ეკონომიკური დისციპლინების უგულვებელყოფა გარკვეულწილად ამუხრუჭებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ლტოლვას სამეწარმეო თუ სავაჭრო საქმიანობისაკენ. ამ ფონზე ინგლისი უფრო წამგებიან მდგომარეობაში იყო აშშ-ს თუ გერმანიასთან შედარებით, რომელთა განათლების სისტემებიც პირიქით, ბიძგს აძლევდნენ ამგვარ ლტოვას. შექმნილმა მდგომარეობამ, როგორც ვარაუდობს ზოგიერთი ავტორი, გარკვეულწილად განაპირობა ინგლისის სამრეწველო ჩამორჩენა.

დახურულ სასწავლებლებში გაბატონებული ცნობიერების საყოველთაოდ დამკვიდრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. სწორედ ამან განაპირობა ცვლილებები განათლების სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1889 წ. გამოცემული კანონი, რომლის მიხედვით მართვის ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიეცათ თავად განესაზღვრათ ხარჯები, რომლებიც მოხმარდებოდა ტექნიკურ განათლებას.

ამავე მიზანს ეხმაურებოდა ახალი, პროვინციული უნივერსიტეტების გახსნის ტენდენციაც. XIX ს. 80-90-იან წლებში უნივერსიტეტები გაიხსნა მანჩესტერში, უელსში, ბირმინგემში. უფრო დემოკრატიული ხასიათი შეიძინეს ტრადიციულმა, ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტებმაც, რომლებშიც დაშვებულ იქნენ ნონკონფორმისტები.

ამ თავისებური მდგომარეობის მიუხედავად, რომელშიც აღმოჩნდნენ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ინგლისის განათლების სისტემაში, ამ დარგებში ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი წარმოჩნდა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. 50-60-იან წლები აღინიშნა ისეთი ცნობილი მათემატიკოსების მოღვაწეობით, როგორებიც იყვნენ არტურ კეილი, ჯოზეფ სილვესტრი და ჯორჯ ბული, რომლებმაც შემოიტანეს ინვარიანტების თეორია. რიცხვთა თეორიის სფეროში მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა სტივენ სმიტმა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ინგლისელმა მეცნიერებმა, ასტრონომიის და ფიზიკის განვითარებაში. XIX ს. მეორე ნახევარში, როდესაც ევროპის მოწინავე ქვეყნებში დასრულდა სამრეწველო გადატრიალება, თეორიულმა მეცნიერებამ კიდევ უფრო ფართო ნაბიჯი გადადგა მანქანურ წარმოებაზე დამყარებულ მრეწველობასთან დასაკავშირებლად. არა მარტო კონკრეტული მექანიკური აღმოჩენები, არამედ ფართომასშტაბიანი თეორიული დებულებები თანდათანობით იქცნენ სამყაროს საყოველთაო პროგრესის საწინდარად. ამ პირობებში ინგლისური მეცნიერება ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯონ-კაუჩ ადამსის მიერ მთვარის მოძრაობის შესწავლა. სატურნის გარშემო არსებული ყინულის სარტყელი ამერიკელ ბენჯამინ პირსთან ერთად ახსნა და განმარტა ჯეიმს მაქსველმა. მანვე შექმნა სინათლის ელექტრომაგნიტური თეორია, ხოლო მისმა თანამემამულემ უილიამ ტომსონმა, რომელსაც მოგვიანებით ლორდის წოდება ებოძა, დიდი წვლილი შეიტანა ტელეგრაფის განვითარებაში.

საბუნებისმეტყველო დარგში ჩარლზ დარვინის (1809-1882 წწ.) 1859 წ. გამოსულმა შესანიშნავმა გამოკვლევამ „სახეობათა წარმოშობის შესახებ" საფუძველი დაუდო ევოლუციონიზმის თეორიას. მის თანახმად ბიოლოგიური სამყაროს განვითარებას საფუძვლად ედო ბუნებრივი შერჩევის პრინციპი. კერძოდ, არსებობისათვის ბრძოლაში სახეობისათვის სასურველი ცვლილებები მემკვიდრეობითობის მეშვეობით ვითარდებიან და ამით ხელს უწყობენ ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი სახეობის ჩამოყალიბებას.

დღიდან წარმოშობისა თეორიამ უამრავი თავგამოდებული მომხრე და მოწინააღმდეგე შეიძინა. განსაკუთრებით გაილაშქრა ამ თეორიის წინააღმდეგ ანგლიკანური ეკლესია, რადგანაც ევოლუციონიზმი სამყაროს საბოლოო სახით ჩამოყალიბების საქმეში არ ტოვებდა ადგილს ღვთიური ნებისათვის. ასეა თუ ისე, დარვინის თეორია XIX ს. მეორე ნახევრის მეცნიერეული აზრის განვითარებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს.

ინერგებოდა სხვადასხვა ტექნიკური გამოგონება. ქიმიკოსმა უ.პერკინმა მოახდინა ანილინის საღებავის სინთეზირება, რასაც მოყვა საღებავების მასობრივი წარმოება, ხოლო მოგვიანებით ეს ტექნოლოგია დაედო საფუძვლად ასაფეთქებელ ნივთიერებების გამოშვებას. ინგლისელმა გამომგონებლებმა ჰ.ბესემერმა და ს.თომასმა გამოიგონეს ფოლადის სადნობი ღუმელები, რამაც ხელი შეუწყო მეტალურგიის შემდგომ განვითარებას. ტექნიკოსმა დ.იუზმა შექმნა სატელეფონო აპარატის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მიკროფონი.

სიახლეებმა საბუნებისმეტყველო სფეროში გამოიწვიეს საზოგადოებაზე, მის განვითარებაზე ახლებური ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ინგლისის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა წარმატებებმა საისტორიო მეცნიერების წარმომადგენლებს უბიძგეს თავის ნაშრომებში სწორედ აღნიშნული მომენტებისათვის დაეთმოთ ყურადღება. ტოროლდ როჯერსი (1823-1890 წწ.) ფასების, ხელფასის და ფასწარმოქმნის საკითხებს იხილავდა. არნოლდ ტოინბი (1852-1883 წწ.) სამრეწველო გადატრიალებას სწავლობდა. პროტესტანტიზმი და საპარლამენტო სისტემის განვითარება, როგორც ინგლისის პროგრესის წინაპირობა საფუძვლად უდევს ისტორიკოს ჯონ გრინის (1837-1883 წწ.) გამოკვლევებს.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური წინსვლა, მნიშვნელოვანი წარმატებები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, მისი განვითარების თავისებურებები, რომლებიც მას ევროპის დანარჩენი ქვეყნებისაგან განასხვავებდნენ აისახა და განმარტებულ იქნა ფილოსოფოსისა და ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის (1807-1873 წწ.) შრომებში. მილი საზოგადოების განვითარების რეალური პერსპექტივებით იყო დაინტერესებული. ახალგაზრდობაში მილი იზიარებდა უტილიტარიზმის, ლიბერალიზმის და კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის იდეებს, რომლებიც პიროვნების თავისუფლებას, ინდივიდუალურ სარგებელს ქადაგებდნენ და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირებას მოთხოვნისა და მიწოდების პრინციპის მეშვეობით იმედოვნებდნენ.

ამ იდეებმა ვერ შესძლეს საზოგადოებისათვის თავიდან აეცილებინათ სამრეწველო გადატრიალებით გამოწვეული ფართო მასების გაღატაკება. ამიტომ მილმა ზურგი აქცია ამ მოძღვრებებს და შეიმუშავა კლასობრივი და ქონებრივი უთანასწორობის მოსპობის თავისებური თეორია, რომელიც სახელმწიფოს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას ითვალისწინებდა. ამისათვის მილი მიიჩნევდა სხვადასხვა სახის ახალი გადასახადის დაწესებას შემოსავალზე თუ მემკვიდრეობით მიღებული ქონებაზე, საყოველთაო განათლების შემოღებას, პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას, საზოგადოებრივი საწარმოების შექმნას, რომლებშიც მუშებს თავისი საქმიანობის შესაბამისი წილი ექნებოდათ.

ქონებრივ უთანასწორობასა და სოციალურ ბოროტებასთან თავის დამოკიდებულებაში მილი რამდენადმე ეხმაურებოდა კომუნიზმის იდეოლოგებს, მარქსსა და ენგელსს. მაგრამ მილმა არ მიიღო მათი შეხედულება რევოლუციური მოძღვრების შესახებ, რადგანაც მიიჩნევდა, რომ სწრაფი და ძალადობრივი ცვლილება კიდევ უფრო მეტ უბედურებას მოიტანდა, ხოლო კომუნისტების მოთხოვნა, წარმოების სახელმწიფოს სრული კონტროლისადმი დაქვემდებარება, მონობაში მოაქცევდა თავისუფალ საზოგადოებას. ამგვარად, მილმა ტიპიური ინგლისური, შუალედური ვარიანტი აირჩია. იგი მოეკლინა საზოგადოებას როგორც XVIII ს. ინგლისური ლიბერალიზმიდან, რომელიც პიროვნების სრულ თავისუფლებას ქადაგებდა, XX ს. სახელმწიფოს საზოგადოების ცხოვრებაში ჩარევის თეორიაზე გადასვლის გარდამავალი ფიგურა.

დარვინის ევოლუციურმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერების სხვადასხვა დარგზე. ამ მხრივ აღსანიშნავია XIX ს. მეორე ნახევრის ფილოსოფოსის და სოციოლოგის ჰერბერტ სპენსერის (1820-1903 წწ.) თეორია. აიტაცა რა დარვინის თეორია, სპენსერმა საზოგადოება და მისი ისტორია ახსნა ორგანიზმის ევოლუციური პრინციპებიდან გამომდინარე. მისი აზრით, ბუნებრივი შერჩევა მიმდინარეობდა საზოგადოებაშიც და შესაბამისად, ისტორიულ ასპარეზზე მხოლოდ ყველაზე ვარგისები და საუკეთესოები იმარჯვებდნენ. ამგვარი თეორია, რომელსაც სოციალ-დარვინიზმი ეწოდა, იყო იმ გაბატონებული მდგომარეობის ასახვა, რომელიც დიდ ბრიტანეთს მსოფლიოში ეკავა.

საშუალო ფენების ეკონომიკურმა წინსვლამ მათ ყოფაში შემოიტანა ისეთი მოვლენა, როგორიცაა უქმეებისა თუ შვებულებების ქალაქგარეთ, მათ შორის ზღვის ნაპირზე გატარება. მაგ. იორკშირის საგრაფოში მდებარე ზღვისპირა ქალაქი სკარბორო მათი დასვენების საყვარელი ადგილი შეიქნა. ველოსიპედის გამოგონება საშუალო კლასებისათვის დიდგვაროვანთა ცხენით გასეირნების თავისებურ ალტერნატივად იქცა. მით უფრო, რომ ველოსიპედის ტარებისათვის საჭირო ტანსაცმელში, თავისი უნიფიცირებული გარეგნობით საშუალო და ზედა ფენის წარმომადგენელი თავისებურად გაუტოლდებოდნენ ერთმანეთს, თუკი ეს უკანასკნელი მოისურვებდა ახალი სახის ტრანსპორტით გასეირნებას.

მნიშვნელოვან კულტურულ სიახლეს, რომელიც გარკვეულ სოციალურ დატვირთვასაც ასრულებდა იყო სპორტი. აქ აღსანიშნავია სპორტის ორი სახეობა: კრიკეტი და ფეხბურთი. პირველი

XVIII ს. წარმოიშვა, მაგრამ ორგანიზებული სახით XIX ს. მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. პირველი საფეხბურთო მატჩი ინგლისში 1863 წ. ჩატარდა, ხოლო საუკუნის მიწურულს ყველა ქალაქს პორტსმუტიდან (სამხრეთი ინგლისი) აბერდინამდე (ჩრდილო-აღმოსავლეთი შოტლანდია) თავისი საფეხბურთო გუნდი ჰყავდა.

ორივე თამაში თავდაპირველად საშუალო ფენების, ასე ვთქვათ, ჯენტლმენთა გატაცების სფეროს წარმოადგენდა, მაგრამ მალე მოიპოვეს პოპულარობა მოსახლეობის ფართო ფენებში. უბრალო ხალხისთვის ისინი სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდულობის თავისებურ კომპენსაციას წარმოადგენდნენ. მუშა-კაცი, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა უქმე დღე ქალაქგარეთ გაეტარებინა, კრიკეტის მოედანსა ან საფეხბურთო სტადიონს მიაშურებდა. ზოგჯერ სპორტი გატაცებაზე მეტს გამოხატავდა. გლაზგოში ჩამოსული ათასობით კათოლიკე-ირლანდიელი იმიგრანტი თავგამოდებით გულშემატკივრობდა „სელტიკ"-ს, მაშინ როცა „რეინჯერს"-ის ქომაგები პროტესტანტები იყვნენ, მაგრამ იმ დროის გულშემატკივრებისათვის სტადიონზე აღვირახსნილი ქცევა და მუშტი-კრივი ჯერ კიდევ უცხო იყო.

მაგრამ ყველაზე მეტად, რაც კი აერთიანებდა გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომებს, იყო იმპერია და მისგან გამომავალი იმპერიული ცნობიერება. ამ საკითხში დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა პრემიერ-მინისტრიდან უბრალო მუშამდე ერთსულოვანი იყო. იმპერია ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ჯონ რასკინის თქმით იყო იმ მისიის არსი, რომელიც ინგლისს განგების მიერ ჰქონდა დანათლული. გლადსტონმა, რომელიც მუდამ აკრიტიკებდა თავის მეტოქეს დიზრაელის სწორედ აგრესიული, იმპერიალისტურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯების გამო ერთხელ აღნიშნა: „ასე რომ ბატონებო, მაშინ, როცა ყველანი ვაკრიტიკებთ იმპერიალიზმს, იმავდროულად ჩვენ იმპერიის ერთგულები ვართ".

იმპერიალისტური აღტკინება და იმპერიის სიდიადის ქადაგება თავის გამოხატულებას ჰპოვებდა არა მარტო დიზრაელის თუ როდსის მოწოდებებში გაეფართოებინათ ბრიტანეთის დაქვემდებარებული მიწები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არამედ ამ სამფლობელოებში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ კანის ფერის ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ამ საკითხშიც ბრიტანელები ერთსულოვნები იყვნენ. ყველაზე დახვეწილი გონების პატრონი მოაზროვნე ტოლს არ უდებდა ნებისმიერ პოლიტიკოსს. ფილოსოფოსი კარლაილი საჯაროდ აცხადებდა, რომ ზანგებს ერთადერთი უფლება აქვთ, იშრომონ თავისი მოვალეობისდა შესაბამისად. ცნობილი ბუნებისმეტყველი თომას ჰაქსლი ავტსრალიის აბორიგენების გაქრობას ადრიდა კაცობრიობისათვის არასასურველი ლაქის მოცილებას. როდესაც იამაიკის გუბერნატორმა, ე.ერმა უმოწყალოდ ჩაახშო 1865 წ. კუნძულზე მომხდარი ზანგების აჯანყება კარლაილმა, დიკენსმა, ტენისონმა და ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ჯონ რასკინმა უყოყმანოდ გაამართლეს მისი მოქმედება.

სხვა რასებისადმი ამგვარ უგულვებელყოფას ერთვოდა თეთრი, (განსაკუთრებით კი ანგლოსაქსური მოდგმის) რასის განდიდება. როდსი, ჩემბერლენი, რასკინი ინგლისელებს ყველაზე ჯანსაღი სისხლის, თეთრი ადამიანის ღირსებების და ღვთისგან დალოცვილ რასის განსახიერებად მიიჩნევდნენ. ინდოეთის მეფისნაცვალი ლორდი კერზონი ბრიტანელთა ბატონობას ამ ქვეყანაში განგების მიერ მოვლენილ სიკეთედ მიიჩნევდა. სპენსერისეული სოციალ-დარვინიზმით გატაცებამ ზოგიერთი მეცნიერი იქამდე მიიყვანა, რომ მათ დაიწყეს რჩეული ადამიანების, თავისებური ფიზიკური და გონებრივი ელიტის „გამოყვანის" თეორიის შექმნა. ამის მოთავედ დარვინის ნათესავი, ანტროპოლოგი ფრენსის გალტონი გამოვიდა, მის მოძღვრებას კი ევგენიკა ეწოდა.

იმპერიალიზმი და იმპერია პოლიტიკოსისა და მეწარმისათვის გავლენის და მოგების წყარო იყო, მეცნიერისა თუ ხელოვანისათვის ბრიტანელის, თეთრი რასის წარმომადგენლის გონებრივი უპირატესობის დემონსტრაცია და მის მიერ ცივილიზატორული მისიის აღსრულება, ხოლო უბრალო ადამიანებისათვის საკუთარი თავის წარმოჩენის ყველაზე ქმედითი საშუალება. ლონდონსა თუ ლივერპულში მყოფი წვრილი მოხელე, ან სხვადასხვა მუშაკი, რომლის არსებობის შესახებ ცოტამ თუ იცოდა, სადღაც შორს, კალკუტასა თუ მომბასაში ბატონი, მბრძანებელი, თეთრი საჰიბი[73] იყო, რომელიც ადამიანების ბედ-ილბალს განაგებდა. სწორედ ეს მატებდა ღირსებას რიგით ადამიანებს, არწმუნებდა მათ საკუთარი თავის მნიშვნელობაში.

---

[73] ბატონი (ინდი)

ამ გრნობით აღვსილნი, იღებდნენ რა კოლონიული სამფლობელოებიდან შემოსული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს, ისინი იმპერიის თავგამოდებული დამცველები ხდებოდნენ. ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობის, დედოფლისადმი ერთგულების დემონსტრაციას ემსახურებოდა დედოფალ ვიქტორიას მეფობის „ბრილიანტის" იუბილე, რომელიც 1897 წ. აღინიშნა. ამ იუბილეზე ლონდონში იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნებისა თუ ხალხების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. მეორე ნახევარი დიდი ბრიტანეთის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა. მეცნიერული აზრის განვითარებამ და მატერიალურ-ტექნიკურმა პროგრესმა გარკვეული დროით უზრუნველყვეს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პირველობა მსოფლიო მასშტაბით.

მეცნიერული აზრის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი საზოგადოების მიერ არ აღიქმებოდა ერთნაირად. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა მათ პროგრესის მამოძრავებელ ძალებად. მეორენი კი თვლიდნენ, რომ სწრაფვა მატერიალური დოვლათის ზრდისკენ და მოხვეჭისაკენ გააუფასურებდა სულიერ ფასეულობებს, წინ აღუდგებოდა მშვენიერებისაკენ ლტოლვას და პიროვნების ინდივიდუალიზმს ბურჟუაზიული, მექანიკურობამდე დასული კულტურის მარწუხებში მოაქცევდა. ამ აზრთა სხვაობის გამო აღნიშნული პერიოდის ბრიტანული ცნობიერება წარმოსდგება, როგორც ერთმხრივ პრაგმატიზმის, ბურჟუაზიული მომხვეჭელობის და მეორე მხრივ რომანტიზმის, პიროვნული ღირსების და ჯენტლმენობის თავისებური სინთეზი და დაპირისპირება.

ამ მომენტმა განაპირობა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებისა, რომლებიც წამოიჭრა ვიქტორიანული ინგლისის კულტურის სხვადასხვა სფეროში.

იდეურ ჭიდილს და საზოგადოების შიგნით არსებულ სხვადასხვა სახის დაპირისპირებას გარკვეულწილად ანეიტრალებდა იმპერიის არსებობა და ერთიანი იმპერიული ცნობიერების ჩამოყალიბება. იმპერიული მუხტი ბრიტანელთა სულიერ მთლიანობას განაპირობებდა.

ამგვარი ცნობიერებით შეპყრობილი, უძლეველი სამხედრო-საზღვაო ფლოტით დაცული ბრიტანელები, თავისი პატარა კუნძულიდან ამაყად გადაჰყურებდნენ თავის უკიდეგანო იმპერიას და დანარჩენ სამყაროს. ცოტას თუ წარმოედგინა იმ დროს, რომ გავიდოდა სულ რაღაც ცამეტი წელი და ქვეყანა მძიმე გამოცდის წინაშე დადგებოდა.

დიდი ბრიტანეთი პირველ მსოფლიო ომში

ვიქტორიანული ინგლისის აყვავება, იმ დროის ინგლისელთა ქედმაღლობა და საერთოდ მათი ყველა დანარჩენი ფასეულობა მნიშვნელოვნად განპირობებული იყო იმით, რომ ვატერლოოს ბრძოლიდან მოყოლებული ინგლისს არ მიუღია მონაწილეობა ჭეშმარიტად ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში, ხოლო თავად ბრიტანეთის კუნძულები არ ქცეულან უშუალო შეტევის ობიექტად. ომი, სამხედრო საფრთხე დიდი ბრიტანეთისათვის ძალზე განყენებულ ცნებებს წარმოადგენდნენ. ვიქტორიანული ხანის ინგლისი თავისი ცნობიერებითა და ცხოვრების წესით ძალზე სამოქალაქო ქვეყანას წარმოადგენდა. საზოგაოების თვალში ყველა პროფესია პრესტიჟული იყო, სამხედროს გარდა. ჯარში სამსახური მშვიდობიან დროს საშუალო კლასებისათვის და მშრომელთათვისაც კი სამარცხვინოდ ითვლებოდა. ჯარი ხელმოცარულთა ხვედრი იყო. თუკი ვისმეზე ამბობდნენ, რომ „იგი ჯარში წავიდა" ეს იმას ნიშნავდა, რომ მან ვერც ერთ სხვა „ღირსეულ" საქმეში (ვაჭრობა, წარმოება, იურისპრუდენცია) ვერ ივარგა. სამხედროებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მომაკვდინებელი ირონიით არის აღწერილი კაპლინგის ლექსში „ტომი ატკინსი". XIX ს. ბოლომდე ინგლისში არ არსებობდა მუდმივი ჯარი და საყოველთაო სამხედრო სამსახური. სამხედრო ხარჯების ზრდის მიუხედავად XIX-XX სს. მიჯნის ინგლისისათვის უცხო იყო სამხედრო სულისკვეთება.

სწორედ ამიტომ ვიქტორიანულ ხანაში ინგლისი ძირითადად ანხორციელებდა „ბრწყინვალე იზოლაციის" პოლიტიკას. იგი არავისთან არ ამყარებდა ოფიციალურ კავშირს, ყოველთვის იტოვებდა მოქმედების თავისუფლების საშუალებას და სხვადასხვა დროს შექმნილ დაძაბულ ვითარებას გადაწყვეტდა თავის სასარგებლოდ დიპლომატიური ხერხებითა თუ სამხედრო ფლოტის ძლიერების დემონსტრაციის საშუალებით.

XX ს. დასაწყისიდან ინგლისის საგარეო პოლიტიკის მეთოდები ოდნავ შეიცვალა. გაჩნდა ახალი ტენდენცია. ლონდონში გეზი შეთანხმებების დადებაზე აიღეს. აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო სიახლით, რომელსაც ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე. მთელი XIX ს. მანძილზე ინგლისს ორი უძლიერესი და ტრადიციული მეტოქისაგან გამომავალი საფრთხის გათვალისწინება უხდებოდა. ესენი იყვნენ საფრანგეთი და რუსეთი. სამივე ქვეყანა ერთმანეთისადმი დიდი უნდობლობით იყო შეპყრობილი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის სპეციალურ მოხსენებით ბარათში ამცნობდა საიმპერატორო მთავრობას, რომ „ინგლისი იყო და რჩება რუსეთის ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური წამოწყების შეურიგებელ მტრად". ინგლისელი პოლიტიკოსები მუდამ მიუთითებდნენ იმ საფრთხეზე, რომელსაც ამიერკავკასიაში ფეხმოკიდებული რუსეთი უქადდა ბრიტანულ კოლონიებს და პირველ რიგში ბრიტანეთის ინდოეთს. საფრანგეთიდან გამომავალი საფრთხის შიში კი ნებისმიერ ინგლისელს ჰქონდა გამჯდარი ნაპოლეონის დროიდან მოყოლებული.

XX ს. პოტენციურ მოწინააღმდეგეთა რიცხვს გერმანია დაემატა. „სამივესთან ბრძოლა ძალზე გაჭირდება" — ამბობდა პრემიერ–მინისტრი ლორდი სოლსბერი. სწორედ ამან განაპირობა ცვლილებები დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკურ მეთოდებში.

1902 წ. დაიდო ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება. იგი ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მხარე საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ერთზე მეტ დიდ სახელმწიფოსთან. ამით ინგლისმა ზურგი გაიმაგრა რუსეთ–საფრანგეთის შესაძლებელი ერთობლივი საზღვაო შეტევის შემთხვევაში.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამაზე არ შეჩერებულა. საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი მაშინვე გამოეხმაურა თავისი ფრანგი კოლეგის დელკასეს წინადადებას, მოეგვარებინათ ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოება. უთანხმოების ასპარეზს აფრიკის კონტინენტი წარმოადგენდა. 1904 წ. დადებული შეთანხმებით ინგლისი მხარს უჭერდა საფრანგეთის პოლიტიკას მაროკოში, სანაცვლოდ კი საფრანგეთის შესაბამის პოზიციას იღებდა თავისი პოლიტიკის მიმართ ეგვიპტეში. ამ ხელშეკრულებას ანტანტა (მომდინარეობს ფრანგული ტერმინიდან Entente Cordiale, რაც გულითად შეთანხმებას ნიშნავს) ეწოდა. 1907 წ. ინგლისმა დადო ხელშეკრულება რუსეთთან, რომელმაც დაადგინა გავლენის სფეროები და გადაჭრა სასაზღვრო დავა რომელიც არსებობდა ორ ქვეყანას შორის სპარსეთში, ავღანეთსა და ტიბეტში.

მაგრამ არც საფრანგეთთან და არც რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები არ წარმოადგენდნენ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს, რომლებიც ორივე მხარეს ვალდებულს ხდიდნენ საჭიროების შემთხვევაში ურთიერთისათვის აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება. დიდი ბრიტანეთი პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყო თავის საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან და საფრანგეთთან მიმართებაში. სწორედ ამან ათქმევინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოვს, რომ „ამ სამ ქვეყანას შორის სამხედრო კავშირი ისევე არსებობს, როგორც არსებობს რაიმე ზღაპრული ურჩხული".

ამ შეთანხმებებით ინგლისი არაფერს უთმობდა ორივე ქვეყანას და ხშირად მათ მიმართ ტრადიციულად მტრულ პოლიტიკას ახორციელებდა. მაგ. რუსეთ-იაპონიის ომი იაპონელი პოლიტიკოსების თქმით იაპონიამ ინგლისის უშუალო წაქეზებით დაიწყო. ინგლისელი პოლიტიკოსები კვლავინდებურად მიიჩნევდნენ რუსეთს ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში დიდი ბრიტანეთის ბატონობის მთავარ მოწინააღმდეგედ. ამიტომაც XX ს. პირველ ათწლეულებში ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მოეხდინათ რუსეთის ექსპანსიის ნეიტრალიზაცია რომელიც მის უმნიშვნელოვანეს, ამიერკავკასიის პლაცდარმიდან ხორციელდებოდა.

გერმანული საფრთხის წარმოშობა არ ნიშნავდა იმას, რომ ინგლისელი პოლიტიკოსებისათვის მიუღებელი იყო პროგერმანული მიმართულება საგარეო პოლიტიკაში. გერმანიასთან დაახლოების მომხრე იყო კოლონიათა მინისტრი ჯოზეფ ჩემბერლენი. არნახულად გავლენიანი კაბინეტსა და ქვეყანაში, „დიდი ჯო" ხაზს უსვამდა ორ გერმანულენოვან ქვეყანას და მონათესავე ხალხებს შორის კავშირის აუცილებლობას. მისი აზრით უძლეველი ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ფლოტის და ძლიერი გერმანული სახმელეთო ჯარის კავშირი განაპირობებდა ამ ორი ქვეყნის სამომავლო ბატონობას მსოფლიოში.

ეს იდეა აიტაცა გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ II, რომელმაც აგრძნობინა გერმანიაში ინგლისის ელჩს ლასელსს ორი ქვეყნის დაახლოებისათვის ამ ერთობ ხელსაყრელი მომენტის გამოყენების აუცილებლობა. ვილჰელმ II დინასტიურ სიახლოვეზე მიანიშნებდა. იგი ხომ დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი იყო. მაგრამ ინგლის-გერმანიის დაახლოება ვერ განხორციელდა. მხარეებმა ვერ

მოახერხეს გაეყოთ ერთმანეთში პორტუგალიის კოლონიები — გერმანიამ ვერ გაბედა რუსეთის გაღიზიანება, ხოლო ინგლისმა როგორც ყოველთვის არ ისურვა ვინმესთან მეტისმეტად დაახლოება. ინგლისი კვლავინდებურად განაგრძობდა თავისი დამოუკიდებელი კურსის გატარებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამთა კავშირის (სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც აერთიანებდა გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, იტალიას და აღიქმებოდა როგორც ანტანტის საპირისპირო გაერთიანება.) მიმართ ინგლისმა ლოიალობა I მსოფლიო ომის დაწყებამდე შეინარჩუნა.

მაგრამ თუკი საგარეო პოლიტიკური სიმპათიები თუ ანტიპათიები თავად ნისლიანი ალბიონიკით ძნელად განსაჭვრეტი და გასარკვევი იყო, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში დიდმა ბრიტანეთმა XX ს. დასაწყისიდანვე დაუფარავად აიღო გეზი გამალებულ შეიარაღებაზე.

როგორც ყოველთვის, ყურადღება სამხედრო-საზღვაო ფლოტზე იყო გამახვილებული. ჩამორჩებოდა რა სხვა დიდ ქვეყნებს წარმოების ზრდის ტემპებით თუ წარმოებული სამრეწველო ნაწარმის ოდენობით, დიდი ბრიტანეთი არ თმობდა პირველობას გემთმშენებლობაში. ამაზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს. 1906 წ. დიდ ბრიტანეთში შეიქმნა ახალი ტიპის საბრძოლო ხომალდი — დრედნოუტი, რომელმაც პრაქტიკულად უსარგებლო გახადა იმ დროისათვის არსებული ყველა დანარჩენი სამხედრო გემი.

იმისათვის, რომ არ ჩამორჩენოდა თავის მეტოქეს, გერმანიამ სასწრაფოდ დაიწყო ამგვარი ხომალდების აგება. ამ გამოწვევას ინგლისმა არნახული მასშტაბის სამხედრო-საზღვაო მშენებლობით უპასუხა. იმისათვის, რომ გზიდან ჩამოეცილებინათ გერმანია, გადაწყდა რვა ახალი დრედნოუტის მშენებლობა. მთავრობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, სოციალური რეფორმის მომხრეების არნახული წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებსაც სურდათ იგივე საბიუჯეტო თანხა არა დრედნოუტების მშენებლობისათვის, არამედ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამოეყენებინათ.[74] სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაფართოებული მშენებლობის წყალობით 1910-1914 წწ. დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა მსოფლიო ფლოტის წყალწყვის 61,9%.

გამალებული შეიარაღების გარდა მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი გარდაქმნები სამხედრო სტრუქტურებში. თავდაცვის მინისტრმა ჰალდეინმა წამოიწყო ჯარის ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია. შეიქმნა გენერალური შტაბი, საექსპედიციო კორპუსი, ხოლო არარეგულარული შენაერთები გაერთიანდნენ ახალ საჯარისო ერთეულში — ტერიტორიულ ჯარში.

ყველაფერი ეს მოხერხდა მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული რადიკალების ზეწოლის შედეგად. გაფართოვდა საიმპერიო თავდაცვის კომიტეტის ფუნქციები, მას დაევალა სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო სამხედრო ოპერაციების ერთობლიობის დაგეგმვა, აგრეთვე ამ ოპერაციებში დომინიონების მოქმედების კოორდინირება. 1911 წ., როდესაც საადმირალოს პირველი ლორდის თანამდებობაზე დაინიშნა უინსტონ ჩერჩილი შეიქმნა მთავარი სამხედრო-საზღვაო შტაბი, დაიწყო მუშაობა საზღვაო და სახმელეთო შენაერთების კოორდინირებისათვის.

ამგვარი მოსამზადებელი მოქმედება საშუალებას აძლევდა დიდ ბრიტანეთს შესაბამისი რეაგირება მოეხდინა საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილ ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაზე. მაგ. როდესაც 1911 წ. გერმანიამ მაროკოს წყლებში შეიყვანა თავისი სამხედრო ხომალდი „პანტერა" (ე.წ. „პანტერის" ნახტომი), რათა აეძულებინა საფრანგეთი ზოგი რამ დაეთმო მაროკოში გერმანელებისათვის, ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა საჯაროდ განაცხადა, რომ მთავრობა არ დაუშვებს, რომ დიდ ბრიტანეთს ვინმე მოეპყრას ისე, თითქოსდა ის არ არის მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ეს იყო მინიშნება იმაზე, რომ საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში ინგლისი პირველის მხარეს დაიჭერდა. ლონდონის ესოდენ კატეგორიულმა პოზიციამ აიძულა გერმანია უკან დაეხია.

მიუხედავად ამისა ინგლისი ყოველთვის იტოვებდა თავისუფალი არჩევანის საშუალებას და ბოლომდე არც ერთ მხარეს არ ემხრობოდა. მაგ. ამგვარ პოზიციას ხელი არ შეუშლია ინგლისის მთავრობისათვის მოგვიანებით ნაბიჯი გადაედგა გერმანიასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. იმავე წელს ბერლინს ინგლისის თავდაცვის მინისტრი ეწვია. მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ

---

[74] (ინგლისელთა კატეგორიულ სწრაფვას, არ დაეშვა, მეტოქის დაწინაურება ფლოტის სფეროში კარგად გამოხატავდა იმ დროის პოპულარული გამოთქმა: „We want eight and we won't wait" (ჩვენ გვინდა რვა და ჩვენ ვერ მოვიცდით). აზრისა და სულიკვეთების სიმძაფრე და შეუვალობა აგებულია ყრაზების: want eight (გვინდა რვა) და won't wait (ვერ მოვიცდით) ერთნაირ ელერადობაზე.)

დამთავრდა. ინგლისმა უარი თქვა გერმანიის მოთხოვნაზე დაეცვა ნეიტრალიტეტი, თუკი ეს უკანასკნელი ომში ჩაებმეოდა.

ასეთივე ცვალებადი იყო ინგლისის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი გრეი ცდილობდა რუსეთთან ურთიერთშეხების წერტილების გამონახვას და ამისაკენ მოუწოდება ინგლისის ელჩს პეტერბურგში, მაგრამ როგორც კი იქმნებოდა ამიერკავკასიიდან რუსეთის ოსმალეთში შეჭრის საფრთხე, მაგ. ბალკანეთის ომების დროს (1912-1913 წწ.) გრეი დაუფარავად მიუთითებდა რუსეთის მთავრობას, რომ ამგვარი ნაბიჯი საფრთხეს შეუქმნიდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობას, ანტანტის არსებობას და ჩაითრევდა მთელ ევროპას ფაროომასშტაბიან ომში. ასეთივე იყო ლონდონის დამოკიდებულება რუსეთის გეგმების მიმართ გაეფართოებინა თავისი გავლენის სფერო სპარსეთში. რუსეთის ელჩთან, გრაფ ბენკენდორფთან საუბრისას, რომელიც შედგა 1914 წ. მაისში, მეფე ჯორჯ V აღნიშნა, რომ რუსეთის ექსპანსია სპარსეთში გამოიწვევდა ანტანტის დაშლას.

ასეთი ფრთხილი, შეიძლება ითქვას შეუცნობადი იყო ინგლისის პოზიცია მაშინაც კი, როდესაც მსოფლიო ომი ფაქტიურად უკვე გაჩაღებული იყო. ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობამ 1914 წ. 28 ივნისს სერბი პატრიოტული ორგანიზაციის წევრის მიერ საბაბი მისცა ვენას იმავე წლის 28 ივლისს ომი გამოეცხადებინა სერბიისათვის. ლორდ გრეის მცდელობა, კრიზისი მოეგვარებინა მასში ჩათრეული ქვეყნების ლონდონში აკრედიტირებული ელჩების შეხვედრით უშედეგოდ დამთავრდა. შეხვედრა გერმანიის კატეგორიულმა უარმა ჩაშალა, ომი უდავოდ საყოველთაო ხასიათს იძენდა. აქ კვლავ გამოჩნდა ინგლისის სწრაფვა თავიდან აეცილებინა უკვე გარდაუვალი კატასტროფა. გერმანიის ელჩთან, თავად ლიჰნოვსკისთან საუბარში გრეი სინანულს გამოთქვამდა იმ მოსალოდნელი უბედურების გამო, რომელსაც გამოიწვევდა ომი ისეთ დიდ სახელმწიფოებს შორის, როგორებიც იყო გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და მათი მოწინააღმდეგეები საფრანგეთი და რუსეთი, მაგრამ გრეის ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ინგლისი, როგორც ამ ომის მონაწილე.

ერთობ ჩამოყალიბებული იყო მთავრობის პოზიციაც. კაბინეტის წევრებს მიაჩნდათ, რომ ინგლისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩარეულიყო ამ ომში საფრანგეთისა და რუსეთის მხარეზე. 30 ივლისს გრეიმ აცნობა საფრანგეთის ელჩს, რომ ინგლისი შესაძლოა ამ ომში ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩებოდა.

ამგვარად, დიდი ბრიტანეთი ყოველნაირად ცდილობდა ომისაგან თავი დაეღწია. ეს რასაკვირველია არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მას ომში მონაწილეების კეთილდღეობა სურდა და ერიდებოდა მათთვის ზიანის მიყენებას. უბრალოდ, ლონდონში იმედოვნებდნენ, რომ ინგლისის მეტოქეების დასუსტება და ასპარეზიდან ჩამოცილება მოხდებოდა მათივე ხელით, მით უმეტეს, რომ ისინი სხვადასხვა ბანაკებში იყვნენ. როგორც ჩანს, გამოცდილი ინგლისური დიპლომატია კვლავ ცდილობდა სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ ამჯერად ომის მასშტაბებმა ჩაშალეს ვესტმინისტერსა და უაიტჰოლში შემუშავებული გეგმები.

გამოუცხადა რა ომი საფრანგეთს, გერმანიამ ამ ქვეყანაში შეჭრა ბელგიის გავლით გადაწყვიტა, რადგანაც ბელგიის ნეიტრალიტეტის იმედით საფრანგეთის საზღვარი ამ მიმართულებით ნაკლებად იყო გამაგრებული. ხელშეკრულებას ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ გერმანიის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა ფარატინა ქაღალდი უწოდა. 1839 წ. დადებული ამ ხელშეკრულების და საერთოდ, ნეიტრალიტეტის გარანტი კი ინგლისი იყო. საფრანგეთის წინაშე არსებული მორალური პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, გარანტის პრესტიჟი და ფორმალური სტატუსი ინგლისისათვის გაცილებით მაღალი ფასეულობა გამოდგა, რომ მისი შელახვა დაეშვა.

გერმანელთა ბელგიაში შეჭრას ლონდონის დაუყოვნებლივი რეაქცია მოყვა. 3 სექტემბერს, ნაშუადღევს, გრეი პარლამენტს შეხვდა და საკითხი დააყენა ომში ჩაბმის შესახებ; არა საფრანგეთის წინაშე მქონე მორალური პასუხისმგებლობის გამო, არამედ ბელგიასთან დადებული ხელშეკრულების დაცვის საბაბით.

ადრინდელისაგან განსხვავებით პარლამენტმა ამჯერად მხარი დაუჭირა ომში ჩაბმას. გრეის მხურვალედ გამოეხმაურნენ კონსერვატორები და ირლანდიელი ნაციონალისტები. მხოლოდ ლეიბორისტი დეპუტატები მაკდონალდის მეთაურობით გამოვიდნენ ომში ჩაბმის წინააღმდეგ.[75]

მეორე დღეს ვაირკვა, რომ ლეიბორისტული პარტია მხარს უჭერდა ომში ჩაბმას და მაკდონალდს მოუხდა ფრაქციის ლიდერის თანამდებობის დატოვება. 1914 წ. 4 სექტემბერს დიდმა ბრიტანეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა.

ამგვარად, ინგლისი თავისი მცდელობის მიუხედავად აღმოჩნდა მსოფლიო ომის მონაწილე. ამ ომში ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს ე.ი. ანტანტას, (რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა იტალია) უპირისპირდებოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და შემდგომ ოსმალეთიც.

ომში ჩაება აგრეთვე ევროპის რამდენიმე მცირე ქვეყანა, მაგ. სერბია, ბელგია და აზიის სახელმწიფო, იაპონია. ინგლისის მიერ ომის გამოცხადებას სამთავრობო წრეებში გარკვეული აჟიოტაჟიც კი მოყვა, მაგრამ მთლიანობაში ქვეყნისათვის ეს თავისებური თავზარდამცემი მოულოდნელობა გამოდგა. რასაკვირველია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ომი სულ რამდენიმე თვეში დამთავრდებოდა ინგლისის ბრწყინვალე გამარჯვებით. მაგრამ ამგვარ მოსაზრებას აჭარბებდა თავად საფრთხის მასშტაბების გაცნობიერება. ერთი რამ ნათელი იყო. ეს არ იყო კოლონიური ომი სადმე აფრიკასა ან აზიაში. ეს იყო გამოცდა, რომლის მსგავსის წინაშე უკანასკნელად ინგლისი ასი წლის წინათ იდგა.

ომში ჩაბმამ დიდი ბრიტანეთის წინაშე იმ პოლიტიკური ამოცანების განხორციელების პერსპექტივები დასახა, რომლებისკენაც იგი, ისე როგორც სხვა დიდი სახელმწიფო, ომის დაწყებამდე ისწრაფოდა. ინგლისის უმთავრესი ამოცანა გერმანიის, როგორც სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო მეტოქის ჩამოცილება იყო. ინგლისს გერმანიის აფრიკულ კოლონიებზეც ეჭირა თვალი.

მაგრამ ზომიერების გრძნობა აქაც არ ღალატობდა ინგლისის მმართველ წრეებს. ებრძოდნენ რა გერმანიას, ლონდონში ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის საჭირო იყო, როგორც საფრანგეთისა და რუსეთის სავარაუდო გაძლიერების გამაწონასწორებელი. მაგ. გენერალმა რობერტსონმა წამოაყენა წინადადება დაეტოვებინათ გერმანია ხმელეთზე ზომიერად ძლიერად.

ბრიტანელი იმპერიალისტების ინტერესს მიღმა არ დარჩენილა არც ახლო აღმოსავლეთი, თავის ნავთობის საბადოებით და სტრატეგიული მნიშვნელობით. აქ მათ თურქებთან მოუხდებოდათ ჭიდილი. იმავე დროს მხედველობაში უნდა მიეღოთ რუსეთის ექსპანსიონისტური სწრაფვები ამ რეგიონის მიმართ. სწორედ ამიტომ ინგლისური სარდლობა უხალისოდ ეხმაურებოდა რუსეთის თხოვნას, ამა თუ იმ შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მისთვის კავკასიის ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ.

საომარ მოქმედებაში ბრიტანული შენაერთები ომის დაწყებისთანავე ჩაებნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს ფრანგებთან ერთად გერმანელების წინააღმდეგ წარმოებულ ყველა სამხედრო ოპერაციაში და მათთან ერთად გაიზიარეს როგორც დამარცხების სიმწარე ასევე გამარჯვების სიხარული. 1914 წ. აგვისტოში ინგლისის საექსპედიციო კორპუსი გენერალ სერ ჯონ ფრენჩის მეთაურობით მონაწილეობდა სამხრეთ ბელგიაში წარმოებულ ბრძოლებში, რომლებიც მოკავშირეთა დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ იმავე წლის სექტემბერში მოკავშირეებმა გერმანელები მდ. მარნასთან დაამარცხეს, რითაც იხსნეს პარიზი უშუალო დარტყმისაგან.

1915-1916 წწ. საომარმა მოქმედებებმა დასავლეთის ფრონტზე პოზიციური ხასიათი მიიღო. 1916 წ. ივნის-ნოემბერში ინგლისის ჯარებმა ფრანგებთან ერთად აწარმოეს სისხლისმღვრელი ბრძოლები მდ. სომასთან. ორივე მხარემ არნახულად დიდი ზარალი ნახა. 1917 წ. დასაწყისში გერმანელებმა უკან დაიხიეს. მთლიანობაში ანტანტის და კერძოდ ბრიტანული ჯარების სარდლობას 1914-1916 წწ. დასავლეთის ფრონტზე არ გამოუჩენია თავი რაიმე ეფექტური და მაღალოსტატური სამხედრო ოპერაციის ჩატარებით. ბრიტანული ჯარების სარდალი გენერალ სერ დუგლას ჰეიგი, ისევე როგორც მისი ფრანგი კოლეგა გენერალი ჟოფრი წარმატების მიღწევას მოწინააღმდეგის ძალების ხანგრძლივ ბრძოლებში გამოფიტვის მეშვეობით გეგმავდნენ. შესაბამისად დიდი

---

75 ძნელია თქმა, რით იყო განპირობებული ეს პოზიცია, დიპლომატიური სიფრთხილით, თუ იმ პაციფისტური ლოზუნგების გავლენით, რომლებიც წამოაყენეს ლენინმა და რუსეთის ბოლშევიკებმა. ეს უკანასკნელები მოუწოდებდნენ მუშებს გადაექციათ ეს ომი სამოქალაქო ომად და დაეხსნათ თავისი ქვეყნების ბიავრობა.

იყო დანაკარგიც. სომასთან ბრძოლაში, მარტო პირველ დღეს ინგლისელებმა დაკარგეს 20 ათასი ჯარისკაცი დაღუპულის და 40 ათასი დაჭრილის სახით.

საომარ მოქმედებაში გარდატეხა ვერ შეიტანა ინგლისელთა მიერ შექმნილმა „საიდუმლო იარაღმა“ — ტანკებმა, რომლებიც ბრძოლაში პირველად ჩაებნენ 1916 წ. სექტემბერში. მაგრამ ვერც გერმანელთა მიერ გამოყენებულმა „სიახლეებმა“ მოუტანეს მათ წარმატება. ლაპარაკია პირველ რიგში 1915 წ. მაისში, ბელგიაში მდ. იპრთან გერმანელების მიერ ბრძოლაში მომწამლავი გაზის გამოყენება, რომელსაც შემდგომ იპრიტი ეწოდა. ეს აქცია, რომელმაც ანტანტის 5 ათასი ჯარისკაცი შეიწირა, წარმოადგენდა გერმანელთა მხრიდან ჰააგის საერთაშორისო კონვენციის უხეშ დარღვევას, რომელიც კრძალავდა ომის დროს მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებას.

იმავე წელს ბრძოლაში მონაწილე კანადურმა შენაერთებმა პირველად იწვნიეს საჰაერო დაბომბვის სისასტიკე. გერმანელებმა მათ ყუმბარები საჰაერო დირიჟაბლების, ცეპელინების მეშვეობით დაუშინეს. იმავდროულად გერმანელებმა გამოიყენეს ცეპელინები თავად დიდი ბრიტანეთის დაბომბვისათვის, რამაც 537 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. რასაკვირველია, ამგვარი ეპიზოდური დარტყმები ვერ განაპირობებდნენ გერმანელთა სამხედრო წარმატებას.

წარუმატებელი გამოდგა დიდი ბრიტანეთის მიერ წამოწყებული სამხედრო ოპერაციები პირველი მსოფლიო ომის სხვა ფრონტებზეც. 1915 წ. აპრილში სამხედრო-საზღვაო მინისტრის უ.ჩერჩილის წინადადებით დაიწყო დარდანელის ოპერაციის განხორციელება. ინგლისური, ავსტრალიური და ახალ ზელანდიური ნაწილები გადასხდნენ დარდანელის სრუტის შესასვლელში, გალიპოლის ნახევარკუნძულზე. მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ისინი დამარცხებულ იქნენ თურქების მიერ, რომლებსაც გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი მეთაურობდა და იძულებული შეიქნენ საბერძნეთისკენ დაეხიათ, რათა სერბებისათვის გაეწიათ დახმარება ავსტრიელების წინააღმდეგ. მაგრამ ბრიტანელებმა ვერც ეს მოახერხეს და მთელი ორი წელი გაატარეს სალონიკში თავდაცვით მდგომარეობაში.

თითქოსდა საომარი მოქმედებები უკეთესად უნდა წარმართულიყო ერაყში, სადაც 1915 წ. ინგლისურმა და ინდოეთის შენაერთებმა დაამარცხეს რა თურქები, ბრძოლებით გაიკაფეს გზა ბაღდადისაკენ. მაგრამ მოგვიანებით ბრიტანელებს რეზერვები შემოაკლდათ, არსებული ძალებით კი მეტის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ყველაფერი ეს დასრულდა იმით, რომ 1916 წ. გაზაფხულზე ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი ალყაშემორტყმულ იქნა კუტთან და დანებდა თურქებს.

ხმელეთზე ესოდენ უღიმღამო შედეგები, რომელთა მიღმა არნახულად დიდი მსხვერპლი იყო აიძულებდა ინგლისელებს იმედის თვალი სამხედრო-საზღვაო ფლოტისაკენ მიეპყროთ. აქ ინგლისელებს მართლაც უცილობელი უპირატესობა ჰქონდათ. გერმანელების ფლოტი ვერ ბედავდა ღია ბრძოლაში ინგლისელებთან შებმას.

ამიტომ გერმანელებმა გეზი ულმობელ წყალქვეშა ომზე აიღეს. გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა მიიღეს ბრძანება გაფრთხილების გარეშე ჩაეძირათ სავაჭრო და სამგზავრო გემები, მათ შორის ნეიტრალური ქვეყნებისაც. ამან დიდი ბრიტანეთი ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მისი სავაჭრო ფლოტის 40% მწყობრიდან იყო გამოყვანილი გერმანული წყალქვეშა ნავების მიერ.

ბრიტანეთის კუნძულებს იზოლაცია ემუქრებოდა. გარკვეული ხნის მანძილზე ქვეყანა შიმშილობის პირზე იყო მისული. მაგრამ როდესაც გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა საოკეანო ხომალდი „ლუზიტანია“, რომელზედაც დაიღუპა აშშ-ს ბევრი მოქალაქე, აშშ-ს და სხვა ნეიტრალური ქვეყნების ზეწოლის შედეგად გერმანულმა სარდლობამ ხელი აიღო წყალქვეშა ომის ამ ბარბაროსულ მეთოდებზე.

ინგლისელებმა მოახერხეს ამ მძიმე დანაკარგების ანაზღაურება. გემთმშენებლობის ახალმა და დაჩქარებულმა პროგრამამ, წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის ახალმა, ეფექტურმა ხერხებმა კვლავ განამტკიცეს დიდი ბრიტანეთის პოზიციები ზღვაზე. მაშინ გერმანელებმა გადაწყვიტეს უშუალო იერიში მიეტანათ ბრიტანულ ფლოტზე, გაერღვიათ მისი თავდაცვითი ზღუდეები და ბრიტანეთის კუნძულებზე თავდასხმის პირობები შეექმნათ.

1916 წ. მაისში იუტლანდიის ნახევარკუნძულთან (დანიის მახლობლად) მოხდა პირველი მსოფლიო ომის ერთადერთი გენერალური ბრძოლა დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ფლოტებს შორის. ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული ფლოტის ზარალი უფრო მნიშვნელოვანი იყო (გერმანელებმა ჩაძირეს სამი კრეისერი, თითოეულის ეკიპაჟი ათასი კაცის შემადგენლობით), მან შესძლო გერმანელთა ყველა შეტევის მოგერიება. გერ-

მანელებს აღარ ეყოთ ძალები გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვა და იძულებულები იყვნენ უკან დაეხიათ.

უკან დახევის წარმატებით განხორციელებას ნისლმა და სიბნელემ შეუწყო ხელი და ამან თავიდან ააცილა გერმანელებს სრული განადგურება. მათი გემები იმდენად იყო დაზიანებული, ხოლო პირადი შემადგენლობა იმდენად დემორალიზებული, რომ გერმანელთა სარდლობას ომის დასასრულამდე მეტი აღარც უცდია ინგლისელებთან ღია საზღვაო ბრძოლის გამართვა. ამან ხელი შეუწყო ინგლისელებს შემდგომში კიდევ უფრო გაეძლიერებინათ გერმანიის საზღვაო საზღვრის ბლოკადა.

პირველმა მსოფლიო ომმა თავისი მასშტაბების და სიახლეების წყალობით უდავოდ მოახდინა ინგლისზე გავლენა, რომლის მსგავსი არ მოუხდენია არც ერთ ომს, რომელშიც ეს ქვეყანა მანამდე იყო ჩაბმული. ეს არ იყო ჩვეულებრივი კოლონიური კამპანია, რომლის შედეგებს ლონდონის რომელიმე კლუბში გაზეთიდან შეიტყობდნენ და შემდეგ დაითვლიდნენ, თუ რა გავლენა ექნებოდა მის შედეგებს აქციათა კურსზე. ლონდონის ცენტრში გერმანული ცეპელინებიდან ჩამოგდებული ყუმბარები სკდებოდა, ხოლო სულ ახლოს, ლამანშს გაღმა, კონტინენტზე, მარნისა და სომის ნაპირები უკვე ათეულ ათასობით ბრიტანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით იყო მოფენილი. ამიტომ არ იქნება ინტერესმოკლებული იმის განხილვა, თუ რა სახე მიიღო საზოგადოების ცხოვრებამ პოლიტიკის, ეკონომიკის და ზნეობის სფეროებში ომის პერიოდში.

ომის დაწყებისთანავე ქვეყნის მართვის მეთოდები საომარი მდგომარეობის მოთხოვნებს დაექვემდებარა. კაბინეტმა საგანგებო უფლებამოსილება მიიღო. „კანონი სამეფოს დაცვის შესახებ" დაპატიმრებისა და გასახლების უფლებას იძლეოდა დამნაშავეობის ყოველგვარი დადგენის გარეშე, გაუქმებულ იქნა „ჰაბეას კორპუს აქტი", შემოიღეს მკაცრი ცენზურა. ყველა შიგა წინააღმდეგობა განზე იქნა გადადებული. პარლამენტმა ხელი აიღო ყოველგვარ ოპოზიციურ საქმიანობაზე. მთავრობის ჩამოყალიბება პარტიულ საფუძველზე ამოღებულ იქნა პრაქტიკიდან. შეიძლება ითქვას, რომ პარტიები გაერთიანდნენ.

1915 წ. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა ლიბერალურ კაბინეტში შეიყვანა რვა წამყვანი კონსერვატორი და ერთი ლეიბორისტი. 1916 წ. პრემიერ-მინისტრი ასკვიტი, რომელსაც უფრო მშვიდობიანი დროის შესაფერის ხელმძღვანელად მიიჩნევდნენ, ლოიდ ჯორჯმა შესცვალა. ახალ მთავრობაში წამყვანი თანამდებობები კონსერვატორებმა დაიკავეს. მათ გარდა ლოიდ ჯორჯმა კაბინეტში რამოდენიმე ლეიბორისტი და უპარტიო ბიზნესმენი შეიყვანა.

ომმა მკაცრი მოთხოვნები წამოუყენა ეკონომიკას, კერძოდ მრეწველობას. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა 1915 წ., როცა ფრონტზე მყოფ ბრიტანულ ჯარს საზარბაზნე ჭურვები შემოაკლდა. მაგრამ წარმოების გაფართოება უშუალოდ იყო დაკავშირებული რიგ სოციალურ მომენტთან. პროფკავშირებმა და ხელისუფლებამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც გაუქმდა გაფიცვის უფლება. წარმოების გაფართოებამ გარკვეულწილად შეამცირა უმუშევრობა და ხელფასებიც კი გაზრდა. მაგრამ გაიზარდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ფასები. ფაბრიკა-ქარხნებში, რომლებიც ალინუსხნენ როგორც ფრონტის მოთხოვნებისათვის მომუშავე, აიკრძალა გაფიცვა ან სხვა სახის საპროტესტო ქმედება. „ურჩებს" დაჯარიმება და დაპატიმრება ემუქრებოდა.

შეზღუდვები და სახელმწიფო კონტროლის დამყარების შესაძლებლობა შეეხო ალკოჰოლური სასმელების წარმოება-მოხმარებასაც კი. წარმოების ინტენსიფიკაციამ მიანიშნა ხელისუფლებას ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვის აუცილებლობა. ნასვამი ან ნაბახუსევი მუშა ნაკლებად გამოდგებოდა შაშხანის, ტყვიამფრქვევის ან ზარბაზნის წარმოებისათვის. დღის წესრიგში ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ნაციონალიზაცია ან მშრალი კანონის შემოღება დადგა. მაგრამ ლუდის და ვისკის მოყვარული ბრიტანელებისათვის ეს ორივე არასახარბიელო გადაწყვეტილება თავიდან იქნა აცილებული. მთავრობამ სასურველ შედეგს ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრის გაზრდით მიაღწია. ომის დროს ალკოჰოლიანი სასმელებისაგან თავშეკავების მაგალითი სამეფო ოჯახიდან წამოვიდა. თავად ჯორჯ V თავის სუფრაზე მინიმუმამდე დაიყვანა ალკოჰოლიანი სასმელის მიღება.

საერთოდ, სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში და მართვის აპარატის გაფართოება ომის პერიოდის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა, რასაც თვით ინდივიდუალისტი ინგლისელებიც კი შეეგუვნენ. სურსათის ნაკლებობამ მთავრობა აიძულა განკარგულება გაეცა რესტორნებსა და სასტუმროებში საკვების ულუფის შემცირების შესახებ. მარცვლეულის რაოდენობის გაზრდის მიზნით დაიწყო ყამირი მიწების ათვისების წახალისება. 1917 წ. აგვისტოდან შაქრის შეძე-

ნისათვის საცალო მოვაჭრესთან რეგისტრაციაში გატარება გახდა საჭირო. იმავე წლის ბოლოს მაღაზიებიდან გაქრა ხორცი, ხოლო 1918 წ. დასაწყისიდან შემოღებულ იქნა საბარათო სისტემა.

სურსათის ნაკლებობამ ფასების ზრდა გამოიწვია. 1914-1917 წწ. ფასები ყოველწლიურად დაახლოებით 27%-ით იზრდებოდა. ომის დასასრულისათვის საბითუმო ფასები ომამდელ მაჩვენებელს 140%-ით აჭარბებდა. გაიზარდა სახელმწიფო ვალი. 650 მლნ. გირვანქა სტერლინგიდან მან 7 000 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია.

იმავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო შემოსავალი მის მიერ გატარებული მკაცრი რეგლამენტაციის მეშვეობით. საშემოსავლო გადასახადი 1 გირვანქა სტერლინგზე 9 პენსიდან 6 შილინგამდე გაიზარდა. დიდი მოგება არნახულად დაიბეგრა, რათა კერძო კომპანიებს მეტისმეტად ადვილად არ გაეკეთებინათ ფული სამხედრო შეკვეთების წყალობით. ალკოჰოლიანი სასმელების გარდა ძალზე მაღალი გადასახადით დაიბეგრა კინოს, თეატრის და საფეხბურთო მატჩების ბილეთები.

სახელმწიფო აკონტროლებდა მაღაროებს, ყველა სახის ტრანსპორტს, მრეწველობიდან შემოსულ მოგებას, მუშათა ხელფასებს, სამუშაო საათებს და საწარმოო დავებს. სახელმწიფო კონტროლის გაზრდის შედეგად ხაზინის შემოსავალი 1914-1918 წწ. ოთხჯერ გაიზარდა. არნახულად გაიზარდა სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობაც, რომლებმაც უამრავი სასტუმრო და სახლი დაიკავეს მათთვის საჭირო სახელმწიფო შენობების ნაკლებობის გამო.

ამგვარად, ინდივიდუალისტურად განწყობილ ინგლისში, სადაც საუკუნეების მანძილზე პიროვნება სახელმწიფოს მიერ მისი თავისუფლების შეზღუდვას მკრეხელობად მიიჩნევდა და სასტიკი პროტესტით პასუხობდა, ომის პირობებში ადამიანებმა ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს სახელმწიფოს დომინირებას. ამ ტენდენციებმა მოგვიანებით დასაბამი მისცეს ახალ სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შესახებ.

ომი მოულოდნელად დაატყდა თავს ბრიტანელებს. ქვეყანას სჯეროდა, რომ ის განზე დარჩებოდა კონტინენტზე გაჩაღებული ომისაგან. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. დიდი ბრტანეთი ომში ჩაება. საომარმა აღტკინებამ და გამარჯვების რწმენით აღსავსე ეიფორიამ ყველა ქვეყანა მოიცვა. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ინგლისი. გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში სამხედრო ტრადიციები სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდნენ. სახელმწიფო ამ ქვეყნებში ყოველთვის ბიძგს აძლევდა პატრიოტულ სულისკვეთებას. პატრიოტიზმის აღზრდა სახელმწიფო პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი იყო.

სულ სხვაგვარად მიდიოდა საქმე ინგლისში. სახელმწიფო აქ ნაკლებად იყო ჩაძიებული იმაში, თუ რაოდენ უძგერდა გული ინგლისელს თავისი სამშობლოსთვის, შეეძლო თუ არა მას იარაღით ხელში მისი დაცვა. სახელმწიფოს პრიმატს აქ სცვლიდა ერთგულება სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების და მათი ტრადიციებისადმი. ბრიტანელები ამაყობდნენ იმით, რომ ამ გაერთიანებებში იყვნენ გაწევრიანებული. ისინი მათი მოქალაქეობის, თავისუფლებისმოყვარეობის და საკუთარი უფლებების გამოხატვის საშუალებას წარმოადგენდნენ.

ამ ინდივიდუალიზმის და თავისუფლებისმოყვარეობის გამოხატვის საშუალებას კი კვლავ სახელმწიფოს უნიკალური ხასიათი იძლეოდა, რომელიც არ თრგუნავდა პიროვნებას. ასეთი თავისუფალი მხოლოდ ბრიტანელი მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც ბრიტანელებმა სამოქალაქო ყაიდის ერისათვის არნახული შემართება გამოავლინეს. ისინი ერთხმად აღსდგნენ თავისუფლების და სამშობლოს დასაცავად, სამშობლოსი, რომელიც ამ თავისუფლებას უზრუნველყოფდა. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო განმსჭვალული რედიარდ კიპლინგის მგზნებარე ლექსი. „რაღა შეგვრჩება, თუ თავისუფლებას დავკარგავთ, დაიღუპება განა ვინმე, თუკი ინგლისი იცოცხლებს?" — მიმართავდა იგი თავის თანამემამულეებს.

ბრიტანელების გუნება-განწყობას ომის პირველ წლებში კარგად ასახავს ის თავდადება, რომლითაც იყო გაჟღენთილი საფრონტო პოეზია. სანგრებში შექმნილი ლექსების ავტორები არ მალავდნენ, რომ სიკვდილი თითოეულის ხვედრი შეიძლება გამხდარიყო და ვაჟკაცურად უსწორებდნენ თვალს მოსალოდნელ ულმობელ აღსასრულს „იღუპება ის, ვინც არ იბრძვის" — წერდა ჯულიან გრინფელი. „იმ ბიჭების სიმღერა ეფინება მთებს და ველებს, რომლებსაც ალბათ სიკვდილი შეეგებება" — ნათქვამი იყო ერთი უცნობი ლეიტენანტის ლექსში.

უნდა ითქვას, რომ სწრაფად გამარჯვების მოლოდინს აღვივებდა პრესაც, რომელიც ზოგჯერ არარეალური ინფორმაციით სავსე სტატიებს ბეჭდავდა, მაგ. ავრცელებდა ხმას ომის დასაწყისში

დასავლეთის ფრონტზე რუსული დესანტის გამოჩენის შესახებ. ყველაფერმა ამან განაპირობა მოხალისეთა არნახული მოზღვავება გასაწვევ პუნქტებზე. ომის დაწყებიდან 18 თვის მანძილზე დიდ ბრიტანეთში ფრონტზე წავიდა 3 მილიონამდე მოხალისე.

მაგრამ ამგვარი ეიფორია მოგვიანებით საგანგაშო განწყობით შეიცვალა. 1914 წ. დეკემბერში გერმანულმა კრეისერებმა სკარბოროს დაუშინეს ცეცხლი, იმ სკარბოროს, რომელიც ბრიტანელთა უდარდელი ზღვისპირა დასვენების ადგილს წარმოადგენდა. 1915 წ. გერმანელებმა ლონდონი დაბომბეს ცეპელინებიდან. ხოლო როდესაც გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა დაიწყეს სამგზავრო და სავაჭრო გემების ჩაძირვა, ინგლისში არნახულმა ანტი-გერმანულმა ისტერიამ იფეთქა. ლონდონში უამრავი ფურნე თუ მაღაზია დაარბიეს იმიტომ, რომ მათი მეპატრონეების გვარებს გერმანული ელფერი დაჰკრავდა.

ყველგან გერმანელ ჯაშუშებს ან მათ თანამზრახველებს ეძებდნენ, რომლებიც ცეპელინებს დასაბომბ ობიექტებზე მიანიშნებდნენ. პაციფიზმის ნებისმიერი გამოვლენა ღალატის ტოლფასი იყო. პაციფისტების შეკრებებს სასტიკად არბევდნენ. ლეიბორისტთა ლიდერი მაკდონალდი, რომელიც თავიდან ომის წინააღმდეგი იყო პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია. პაციფისტობისათვის იგი გოლფის კლუბიდან გარიცხეს. სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს, რომლებიც გერმანულ ტიტულებს ატარებდნენ უარი ეთქვათ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებაზე. თვით მეფე ჯორჯ V ამგვარ პირობებში გადაწყვიტა თავისი დინასტიის გვარი შეეცვალა და მას გერმანული საქს-კობურ გოთას ნაცვლად ვინძორის დინასტია უწოდა.

არნახულმა მსხვერპლმა ფრონტზე (მაგ. ინგლისმა დაკარგა ყველაზე მეტი უმცროსი ოფიცერი), მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობა. 1915-16 წწ. გაიფიცნენ უელსელი მაღაროელები და შოტლანდიელი გემთმშენებლები. ეს იყო თავისებური გამოხატულება იმისა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ომით. იკლო მოხალისეთა რიცხვმა. 1916 წ. იანვარში შემოღებულ იქნა სავალდებულო სამხედრო გაწვევა. მდგომარეობას ამწვავებდა ეროვნული წინააღმდეგობები ქვეყნის შიგნით. 1916 წ. აპრილში ირლანდიაში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყების მოთავე დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა ირლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და თავის მოწოდებაში აღნიშნა, რომ „ირლანდიელ ხალხს მხარს უჭერენ მისი გულადი მოკავშირეები ევროპის კონტინენტზე“. „გულად მოკავშირეებში“ რასაკვირველია დიდი ბრიტანეთის მოწინააღმდეგეები გერმანია და ავსტრია-უნგრეთი იგულისხმებოდნენ.

ეჭვგარეშეა, რომ ამგვარ პირობებში, როდესაც დიდი ბრიტანეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ცენტრალური ბლოკის ქვეყნებთან ირლანდიელი პატრიოტების ამ გამოსვლას და ასეთ ლოზუნგებს მხოლოდ ერთი სახის რეაქცია უნდა მოყოლოდა. ეს იყო აჯანყების ჩახშობა, რაც მოხდა კიდეც ერთთვიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ. 3 ათასი კაცი დაპატიმრებულ იქნა და 16 სიკვდილით დასჯილი, მათ შორის ნიჭიერი ისტორიკოსი რობერტ კონოლი. ერთი სიტყვით, დიდი ბრიტანეთი 1914-1916 წწ. ერთობ რთულ პირობებში იმყოფებოდა როგორც ფრონტზე, ასევე შინ.

1917 წ. დასავლეთის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების მთელი სიმძიმე ბრიტანულ ნაწილებს დააწვა. ივლის-ნოემბერში გენერალმა ჰეიგმა აწარმოა ხანგრძლივი, მაგრამ ფაქტიურად უნაყოფო შეტევა იპრთან, რომლის შედეგად გერმანელებმა უმნიშვნელოდ დაიხიეს უკან, რაც ინგლისელებს 380 ათას დაღუპულ და დაჭრილ ჯარისკაცად დაუჯდათ. ასევე უშედეგოდ დამთავრდა შეტევა კამბრესთან, სადაც გერმანელთა კონტრ-შეტევის შედეგად ინგლისელებმა დათმეს ადრე დაკავებული პოზიციები.

შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა სამხედრო ოპერაციები ახლო აღმოსავლეთში. 1917 წ. ინგლის-ინდოეთის ჯარებმა აიღეს ბაღდადი. შემოდგომაზე კი ბრიტანულმა ჯარებმა აჯანყებულ არაბებთან ერთად განდევნეს თურქები იერუსალიმიდან.

1917 წ. რუსეთში მოხდა სოციალისტური რევოლუცია. 25 ოქტომბერს (ახ. სტილით 7 ნოემბერს) მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა) შეიარაღებული აჯანყების გზით ხელთ იგდეს ძალაუფლება. ხელისუფლების სათავეში მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების მოსვლამ გარკვეული გავლენა მოახდინა ბრიტანელ რადიკალებზეც. ლეიბორისტებმა მიიღეს ახალი წესდება, რომელშიც ითქვა, რომ პარტიის მიზანს სოციალიზმი წარმოადგენს. მათ პროგრამაში გამოჩნდა ღებულება, რომელიც ითვალისწინებდა წარმოების გარკვეული ნაწილის ნაციონალიზაციას. მოთხოვნა სახელმწიფოსა და მუშების კონტროლის დაქვემდებარებაში მრეწველობის ზოგიერთი

დარგის გადასვლის შესახებ წამოაყენეს პროფკავშირებმაც, რომელთა წევრთა რაოდენობამ 6,5 მლნ. ადამიანს მიაღწია.

ახალი სახელმწიფოს წარმოშობა, რომელიც დაფუძნებული იყო კომუნისტურ იდეოლოგიაზე და რომლის მიმართ გარკვეული სიმპათიებით განიმსჭვალა ისეთი ნაკლებად რევოლუციური მუშათა კლასი, როგორიც იყო ბრიტანეთში, საფრთხეს უქადდა მსოფლიო წესრიგს. ამიტომ 1917 წ. დასასრულს ინგლისმა და საფრანგეთმა შეიმუშავეს ყოფილ რუსეთის იმპერიაში ინტერვენციის გეგმა. ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას, რომელიც ბრიტანულმა ჯარებმა დაიკავეს 1918 წ. დეკემბერში. ზოგიერთი ბრიტანელი პოლიტიკოსის განცხადებით, ეს იყო ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენა. მაგ., საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი კერზონი აღნიშნავდა, რომ ბათუმის დაკავება ბრიტანული სამხედრო ნაწილების მიერ იყო ბრიტანეთის ინდოეთის სტრატეგიული საზღვრების გაფართოება და უსაფრთხოების შემდგომი გაძლიერება. შიგა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის გამო დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ამიერკავკასია 1920 წელს.

რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა 1918 წ. მარტში სეპარატული ზავი დასდეს გერმანიასთან. ამგვარად რუსეთი გამოეთიშა ანტანტის რიგებს. ამან საშუალება მისცა გერმანელებს აღმოსავლეთის ფრონტზე დაკავებული ჯარების ნაწილი დასავლეთის ფრონტზე გადაესროლათ. აქედან მოყოლებული მათ წარმატებით შეუტიეს მოკავშირეებს და 40 კმ-ს მანძილზე მიუახლოვდნენ პარიზს. მაგრამ ივლისში ფრანგულ-ინგლისურმა ჯარებმა რომელთაც სარდლობდა ფრანგი მარშალი ფოში განახორციელეს წარმატებული კონტრშეტევა. ამ ოპერაციაში ინგლისურმა ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე აგვისტოში ჯერ ამიენთან, სექტემბერში კი არასთან.

წარმატებით მიმდინარეობდა საომარი ოპერაციები ახლო აღმოსავლეთშიც, სადაც გენერალი ალენბი მცირე აზიაში შეიჭრა. 3 ოქტომბერს დაზავება ითხოვა ოსმალეთმა, ერთი თვის შემდეგ ომს გამოეთიშა ავსტრია-უნგრეთი. 11 ნოემბერს კი, დასავლეთის ფრონტის ყველა მონაკვეთზე დამარცხებულმა გერმანიამ მოაწერა ხელი კაპიტულაციას. I მსოფლიო ომი, რომელშიც დიდმა ბრიტანეთმა 750 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა და რომელიც ბრიტანეთის ისტორიაში ხშირად „დიდი ომის" სახელითაც მოიხსენიება, დიდი ბრიტანეთის და მისი მოკავშირეების გამარჯვებით დამთავრდა.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიო ომს შორის პერიოდში (1918-1939წწ.)

1918წ. 11 ნოემბერს, საფრანგეთში, კომპიენის ტყეში, ანტანტის ჯარების მთავარსარდლის, ფრანგი მარშლის, ფოშის სალონ–ვაგონში ინგლის–საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლებმა დაზავებას მოაწერეს ხელი. გერმანიამ თავი დამარცხებულად სცნო და მისმა წარმომადგენლებმა უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. ომი ბრიტანელთათვის დასრულდა ორმაგი, გაორებული გრძნობით. ეს იყო განუზომელი ტკივილი იმ 750 ათასი სიცოცხლის გამო, რომელიც ომმა შეიწირა და რომელიც თვით პატრიოტი და თითქოსდა ყოვლისგამძლე, „რკინის" რედიარდ კიპლინგის გულს აღავსებდა უსაზღვრო მწუხარებით[76]. იმავე დროს ეს იყო გამარჯვების ეიფორია, არნახული ზარ–ზეიმი გამოწვეული პრემიერ–მინისტრის ლოიდ ჯორჯის იმ მოწოდებით და დანაპირებით, რომ „კაიზერს ჩამოახრჩობენ, გერმანიას ლიმონივით გამოწურავენ, ხოლო ინგლისი გმირებისათვის შესაფერის ქვეყანად უნდა იქცეს".

მართლაც, ერთი შეხედვით, ომის დასასრული ინგლისის ტრიუმფს წარმოადგენდა. მისი მთავარი მეტოქე გერმანია დამარცხებულ და ჩამოცილებულ იქნა საერთაშორისო ასპარეზიდან. ომის შედეგად ინგლისმა ხელთ იგდო ახალი კოლონიური სამფლობელოები, რომელთა ფართობი 2619 ათას კვ.კმ-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა 9მლნ. ადამიანს. 1939წ., მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ბრიტანეთის იმპერია მსოფლიო სახმელეთო ტერიტორიის ერთ მეოთხედს მოიცავდა, ხოლო მოსახლეობა 525მლნ. ადამიანს შეადგენდა. მეტროპოლიის ფართობი კოლონიების ფართობზე 140-ჯერ ნაკლები იყო, ხოლო მეტროპოლიის თითოეულ მოსახლეზე კოლონიის 10 მცხოვრები მოდიოდა.

[76] კიპლინგმა შემზარავი ტკივილით აღსავსე ლექსი უძღვნა ფრონტზე დაღუპული თავისი ვაჟის ხსოვნას.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალება იყო. დიდი ბრიტანეთის მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იყო. იგივე გერმანიის დამარცხებამ და რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მას მნიშვნელოვანი ბაზრები და ნედლეულის წყარო გამოაცალა ხელიდან. საომარი ხარჯების გაზრდამ გამოიწვია საშემოსავლო გადასახადის არნახული ზრდა 6%-დან 1914წ. 25%-მდე 1918წ. ასევე გაიზარდა სახელმწიფო ვალი. 1914წ. იგი 650მლნ. გირვანქა სტერლინგს უდრიდა. 1918წ. ეს მაჩვენებელი 8მლრდ. სტერლინგამდე გაიზარდა.

ომის დროს დიდმა ბრიტანეთმა თავისი სავაჭრო ფლოტის 70% დაკარგა. ამან რასაკვირველია შეასუსტა მისი კავშირები კოლონიებთან. 1918წ. ინგლისის საგარეო ვაჭრობა ორჯერ შემცირდა. ამის უშუალო შედეგს კი ის წარმოადგენდა, რომ ბრიტანულ კოლონიებში აშშ—ს და იაპონიის მონოპოლიებმა იწყეს შეღწევა. ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე ისიც მიუთითებს, რომ თუკი ომამდე ის აშშ-ს აძლევდა სესხს, ომის დამთავრების შემდეგ მას თავად დაედო აშშ-ს ვალი, რომელიც 5,5 მლრდ. დოლარს შეადგენდა.

სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ გმირების შესაფერისი ქვეყნის მომლოდინეთ იმედგაცრუება ელოდა. ომისშემდგომი პერიოდი (1918–1930წწ.) დიდ ბრიტანეთში წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკური სირთულეების ხანა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ უმუშევრობა, გაფიცვები, წარმოების ზრდის ნელი ტემპები. მაგ. 1929წ. წარმოების დონემ ძლივს მიაღწია 1913წ. მაჩვენებლებს. ფაბრიკა—ქარხნებისა თუ მაღაროების მოძველებული აღჭურვილობა და წარმოების არქაული ორგანიზაცია განაპირობებდნენ დიდი ბრიტანეთის წილის განუხრელ შემცირებას მსოფლიო წარმოებაში.

ომის დამთავრების შემდეგ შინ დაბრუნდა 3,5 მლნ. ჯარისკაცი და მეზღვაური, რომელთაც მცირე დროის მანძილზე უმნიშვნელო ფულადი შემწეობა ეძლეოდა. კიდევ უფრო უმნიშვნელო იყო, დათხოვნილი მუშების შემწეობა, ამიტომ 1919–1921წწ. დიდ ბრიტანეთს გაფიცვათა მძლავრმა ტალღამ გადაუარა. გარკვეულწილად საგაფიცვო მოძრაობის ზრდას იდეურად „კვებავდა" რუსეთში ბოლშევიკთა გამარჯვების ფაქტი. როგორც ჩანს, რუსეთში მუშების და გლეხების ხელისუფლების სათავეში მოსვლა (თუნდაც ფორმალურად) ერთობ მიმზიდველი აღმოჩნდა თვით პოლიტიკურად თავდაჭერილი ინგლისელი მუშებისათვისაც. ამ გაფიცვების წინააღმდეგ ჯარები იქნა გამოყენებული და მუშები ძალით დააბრუნეს სამუშაოზე. მნიშვნელოვან საგაფიცვო მოძრაობას ჰქონდა ადგილი 1924–1925წწ.. აღნიშნული წლების გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, რომლებმაც ხელფასის გაზრდის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მიაღწიეს.

ბრიტანული ეკონომიკის მძიმე მდგომარეობის ერთ—ერთი მაჩვენებელი იყო 1926წ. საყოველთაო გაფიცვა. სამთამადნო მრეწველობაში არარენტაბელობის შემდგომი ზრდის შეჩერების მიზნით მეპატრონეებმა გადაწყვიტეს ხელფასების შემცირება და სამუშაო საათების გაზრდა, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა უმუშევრობის ზრდას. მუშები, პროფკავშირების მეთაურობით, რასაკვირველია გაილაშქრნენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მეპატრონეების დაინტერესება წარმოების საერთო მდგომარეობით მუშების საკუთარი მატერიალური მდგომარეობით დაინტერესებას დაუპირისპირდა. ეს მწვავე დაპირისპირება გადაიზარდა 9 დღიან საყოველთაო გაფიცვაში, რომელმაც 5 მლნ. ადამიანი მოიცვა (მაღაროელები, ტრანსპორტის, პრესის მუშაკები). გარკვეულწილად ქვეყნის ცხოვრება პარალიზებულ იქნა.

ამგვარ პირობებში სავარაუდო შედეგები შეიძლება ერთობ სავალალო ყოფილიყო. გაფიცულთა მეტისმეტად ენერგიულ და რადიკალურ ქმედებებს შეეძლო ქვეყანა ანარქიამდე მიეყვანა, რადგან მათი ხელმძღვანელობა არათუ მეპატრონეებს, არამედ პარლამენტსაც უპირისპირდებოდა. ეს უკანასკნელი უარყოფდა გაფიცულთა მოთხოვნას წარმოების რიგი დარგების ნაციონალიზაციის შესახებ. მეორე მხრივ კი, საკუთარი პოზიციებ_ს_ _ გადასარჩენად ხელისუფლებას შეეძლო მეტისმეტად მკაცრი ზომებისათვის მიემართა. ეს გასცდებოდა ნებისმიერი კონსერვატორობის ზღვარს და ქვეყნის მართვის რეაქციულ, დამთრგუნავ მეთოდებს შემოიტანდა პრაქტიკაში. ინგლისმა ორივე საშიშროება აიცილა თავიდან. გაფიცვა მშვიდობიანად დასრულდა. უნდა ითქვას, რომ მან მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის გარკვეული გაღიზიანებაც გამოიწვია (უტრანსპორტობა თუ თავისი „რჩეული", „გაპიროვნებული" გაზეთების უქონლობა ნამდვილად გააღიზიანებდა ყოფის ტრადიციული ნორმების ერთგულ ბრიტანელებს).

შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხრიდან ზომიერი ნაბიჯები გადაიდგა. ხელისუფლებას არ მიუმართავს ტერორისა და რეპრესიებისათვის. მთავრობამ მუშებს მოუწოდა შეეწყვიტათ გაფიცვა,

ხოლო უმაღლესმა სასამართლო ორგანომ. ლორდთა პალატამ გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა. შესაბამისად მის მონაწილეებს კანონი ვერ დაიცავდა. თავის მხრივ გაფიცულთა ხელმძღვანელობამ, ბრიტანეთის პროფკავშირთა ყრილობამ (კონგრესმა) მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტათ გაფიცვა. გაფიცვას ბოლომდე მხოლოდ მაღაროელები განაგრძობდნენ. ერთი სიტყვით, ინგლისურმა ზომიერებამ კვლავ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა, თუმცა კი, მრავალი მუშის გაუარესებული ცხოვრების ფასად. მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რას მოიტანდა დაძაბულობის შემდგომი გაღრმავება, მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას, თუ ანარქიასა და დესპოტიზმს.

მთლიანობაში საყოველთაო გაფიცვა შეიძლება ჩაითვალოს უფრო ისეთ მცდელობად, რომელიც მიმართული იყო მეტ–ნაკლებად კარგი მატერიალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. და მართლაც, 1924–1929წწ. მანძილზე შეიმჩნეოდა ეკონომიკის გამოცოცხლება. უფრო ინტენსიური გახდა ვაჭრობა, საშემოსავლო გადასახადი 1 გირვანქა სტერლინგზე 6 შილინგამდე დაეცა, აშენდა 8 მლნ. სახლი, მშრომელთა დანაზოგები 170 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა, ხოლო სოციალური მომსახურეობის სფეროში დახარჯული თანხები 341 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა (1911წ. ეს თანხა 63 მლნ.-ს უდრიდა). იყო დრო, როდესაც უმუშევრობა ნახევარ მილიონამდე დაეცა.

მთავრობა შეეცადა კიდევ უფრო შორს წასულიყო და ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა ექსპერიმენტის გაფართოვება, რაზეც ესოდენ იყო დამოკიდებული ბრიტანელთა კეთილდღეობა. რიგ ზემოხსენებულ მიზეზებთან ერთად, ინგლისური ექსპორტი შემცირებული იყო იმის გამო, რომ მას კონკურენცია უხდებოდა ისეთი ქვეყნების ნაწარმთან, სადაც წარმოებაში ჩაბმულ მშრომელთა ხელფასები და ცხოვრების დონე უფრო დაბალი იყო ვიდრე ინგლისში. ექსპორტის გასაუმჯობესებლად მთავრობამ გადაწყვიტა პროტექციონიზმის გაუქმება იმ იმედით, რომ ინგლისის უცხოელი სავაჭრო პარტნიორები იგივეს გააკეთებდნენ. მაგრამ ამ რეფორმის გატარება ვერ მოხერხდა.

ყველაფერი ეს დაემთხვა კონსერვატიული კაბინეტის მმართველობას, რომელსაც სტენლი ბალდუინი მეთაურობდა. პრესამ იგი თავისებურ პანაცეად გამოაცხადა. იუმორისტული ჟურნალი „პანჩი“ ერთ–ერთ თავის კარიკატურაში გამოსახავდა ქ-ნ ბრიტანიას, რომელიც გაოცებით კითხულობდა: „რა აურზაური აგიტეხიათ მსახურთა საკითხის გამო? მიმართეთ ჩემს ბალდუინს, მას ყველაფერში ეწიფება ხელი“. კონსერვატორების პრესტიჟი ძალზე გაიზარდა.

მაგრამ ამ გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, მდგომარეობა მთლიანობაში მძიმე იყო. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველ რიგში მუშები შეიძლება ითქვას, სიღარიბეში ცხოვრობდა. ბევრი ჩვილი სიცოცხლის პირველსავე წელს იღუპებოდა. ერთობ არათანაბარი იყო ეროვნული დოვლათის განაწილება. მის 2/3-ს ფლობდა 400 ათასი ადამიანი, ე.ი. მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები.

ეკონომიკის ნაწილობრივი გამოცოცხლება, რაც მსოფლიო ეკონომიკური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, 1929წ. შეიცვალა არნახული კრიზისით. იგი აშშ-ში დაიწყო და ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. განზე არც დიდი ბრიტანეთი დარჩენილა. მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დიდ ბრიტანეთში კრიზისს არ ჰქონია ესოდენ მძაფრი გამოხატულება. ესეც, შეიძლება ითქვას ინგლისურ თავისებურებას წარმოადგენდა. მიზეზი კი შემდეგში იყო. 1924-1928წწ. ინგლისში წარმოების ზრდა არ იყო ესოდენ სწრაფი და შედეგიანი, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგ. აშშ-ში, სადაც ე.წ. „ამერიკულ აყვავებას“ მოყვა სრული ეკონომიკური კატასტროფა. ინგლისში კი ეკონომიკის ზომიერ წინსვლას მისი ზომიერი დამუხრუჭება მოყვა.

მაგრამ კრიზისის შედეგები მაინც უარყოფითი იყო. მნიშვნელოვნად დაეცა საცალო ვაჭრობის ფასები, სამრეწველო ნაწარმი გასაღებას ვერ პოულობდა. ამან გამოიწვია მრავალი საწარმოს დახურვა, რასაც მოყვა მასობრივი უმუშევრობა. 1931 წ. უმუშევართა რიცხვმა 3 მლნ. ადამიანს მიაღწია. უმუშევრობა მოედო თვით ე.წ. მუშათა არისტოკრატიის გარკვეულ ნაწილსაც კი. 24%-ით შემცირდა კაპიტალდაბანდებები უცხოეთის ქვეყნებში. ე.წ. „უხილავი“ შემოსავალი უკვე ველარ ფარავდა საგარეო ვაჭრობის უარყოფით ბალანსს.

გარკვეულ მცდელობას, მიეღწიათ ბრიტანული ექსპორტის გაფართოებისათვის დომინიონებში ადგილი ჰქონდა ოტავის საიმპერიო კონფერენციაზე 1932წ.. მაგრამ ამას მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება მოყვა, რადგანაც დომინიონები თავად იყვნენ დაინტერესებული საკუთარი

მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და შესაბამისად ვერ დაუშვებდნენ ინგლისური ნაწარმის მოძალებას.

30-იანი წლების შუა ხანებიდან ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობა აღმავლობით შეიცვალა. მთლიანობაში 1934–1939 წწ. სამრეწველო წარმოება 20%-ით გაიზარდა. ჯერ კიდევ 1933წ. დასაწყისში უმუშევართა რიცხვი 250 ათასით შემცირდა. შემდგომი წლები კი აღინიშნებოდა უმუშევართა რაოდენობის განუხრელი შემცირებით. დასაქმებამ თითქმის მასობრივი ხასიათი მიიღო. გაიზარდა მშრომელთა ხელფასიც. თუკი 1924–1932წწ. იგი 1900 წ. მაჩვენებელზე 2%-ით დაბალი იყო, 1933–1939 წწ. ხალფასმა 1900 წ. მაჩვენებელს 4%-ით გადააჭარბა. მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი საწარმო (საავტომობილო, სამშენებლო, მეტალურგიული), მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები კი უფრო კომფორტული გახდა (მუდმივი ცივი და ცხელი წყალი, ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგება, რადიომიმღები).

აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიკური აღმავლობა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო სამხედრო წარმოებისა და სამხედრო ბიუჯეტის ზრდით. სამხედრო წარმოების გაფართოებითვე გამოწვეული იყო უმუშევრობის შემცირებაც. თუკი 1935–1936წწ. საბიუჯეტო წელს თავდაცვაზე გამოყოფილი ხარჯები 136,9 მლნ. გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, 1939–1940 წწ. ეს მაჩვენებელი 624,4 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა. ამრიგად, დიდი ბრიტანეთის მოსახლეობისათვის, რომელმაც ესოდენ დიდი ზარალი ნახა I მსოფლიო ომში და რომელიც ნებისმიერი მთავრობისაგან უპირობო მშვიდობას მოითხოვდა, სწორედ შეიარაღება და ომისათვის მზადება იქცა კეთილდღეობის გარკვეულ საფუძვლად. „თუ გსურთ მშვიდობა, ემზადე ომისათვის“! ძველ რომაელთა ეს გამონათქვამი სამწუხაროდ, კვლავ ძალაში რჩებოდა. როგორი იყო ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება იმ ორი ათწლეულის მანძილზე, რომელიც ორ მსოფლიო ომს შორის მოჩვენებითი მშვიდობის ილუზიებით კვებავდა ევროპას და საერთოდ მთელ მსოფლიოს?

პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა ნგრევა და სიკვდილი (თუნდაც 10 მლნ. დაღუპულის სახით). ყველაფერ ამის აღმოსაფხვრელად გამარჯვებულებმა „დასაჯეს“ ომის გამჩაღებლები, პირველ რიგში გერმანია. მას ჩამოერთვა კოლონიები, მისივე ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ იგი მეორეხარისხოვან ქვეყანად იქცა.

სწორედ ამ მოვლენების სახიფათო ხასიათზე მიუთითებდა იმ დროის ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ კეინსი. იგი აღნიშნავდა, რომ არასრულფასოვანი გერმანიის არსებობა ვერ შეუწყობდა ხელს მისი პარტნიორების, ე.ი. ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ნორმალურ განვითარებას.

კეინსის ვარაუდი გამართლდა. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკურმა სიძნელეებმა XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში შექმნეს პირობები ფაშისტური (ნაციონალ–სოციალისტური) პარტიის ერთმმართველობის დამყარებისათვის, რომელსაც სათავეში ადოლფ ჰიტლერი ედგა. მაგრამ ტოტალიტარიზმი გერმანიით არ შემოფარგლულა. XX ს. 20–30-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმები სხვადასხვა ფორმით დამყარდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნაში (იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, სსრკ). სერიოზული პოლიტიკური პრობლემები შეიქმნა საფრანგეთში. ამ ფონზე ინგლისში დემოკრატიისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება უდავოდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რიგ ქვეყნებში (გერმანია, ესპანეთი), ულტრამემარჯვენე რეჟიმების დამყარება წარმოადგენდა თავისებურ რეაქციას ულტრამემარცხენე ძალების გააქტიურებაზე. პოლიტიკურ არასტაბილურობას და გაურკვეველ მდგომარეობას, მოსახლეობის უკმაყოფილებას არსებული მატერიალური მდგომარეობით და ხშირ შემთხვევაში უნიათო მართვა–გამგეობით მოყვებოდა „ძლიერი ხელის“ მმართველობა.

ამ მხრივ ინგლისელებმა წარმატებით აიცილეს თავიდან გადახრა მართვის უკიდურესად მემარცხენე თუ მემარჯვენე ფორმებისაკენ. მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური არჩევანი ტრადიციულ ორპარტიულ სისტემას შორის კეთდებოდა, მაგრამ ამ სისტემამ მაინც განიცადა გარკვეული ცვლილება. კერძოდ, ტრადიციულად ორ წამყვან პოლიტიკურ პარტიას, კონსერვატორებსა და ლიბერალებს, მესამე, ლეიბორისტული (მუშათა) პარტია დაემატა. დაემატა, როგორც პარლამენტში უმრავლესობის მოცილე. ლეიბორისტები ორჯერ, 1924 და 1929 წწ. მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და მათი ლიდერი, მაკდონალდი

ინგლისის პრემიერ–მინისტრი გახდა. მართალია, ლეიბორისტების უმრავლესობა პარლამენტში არ იყო აბსოლუტური და გამარჯვებასაც ისინი სხვა პარტიასთან, კერძოდ ლიბერალებთან კოალიციის წყალობით აღწევდნენ, მაგრამ თავად ლეიბორისტების გამარჯვების ფაქტი ამ პარტიის პოლიტიკური პროგრამის წარმატებაზე მეტყველებს.

შეიქმნა რა კონტინენტის სოციალისტური პარტიების მსგავსად, ლეიბორისტულმა პარტიამ გეზი ზომიერი პოლიტიკური მიზნებისაკენ აიღო. პარტიის ხელმძღვანელობა საშუალო ფენის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ამან განაპირობა ის, რომ ლეიბორისტებმა უარი თქვეს სოციალურ რევოლუციაზე, რათა არ დაეფრთხოთ ამომრჩევლები და შეეცადნენ თავისი პოლიტიკური კურსი ქვეყანაში არსებული ტრადიციებისა და სიტუაციისთვის მიესადაგებინათ, რამაც ისინი თანდათანობითი გარდაქმნების მომხრეებად აქცია.

ლეიბორისტების პოზიციების გაძლიერებამ, პროფკავშირების ზრდამ (1918წ. ისინი 8 მლნ. წევრს ითვლიდნენ) განაპირობა ის, რომ როგორც ცნობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე ბეატრის უები ამბობდა, ინგლისში დემოკრატიისაკენ სვლა ხორციელდებოდა არა რომელიმე ერთი ფენის (მაგ. არაკვალიფიცირებული მუშების) აქტიურობით, არამედ მთელი საზოგადოების ძალისხმევით.

პოლიტიკური ურთიერთობების სხვა სიახლეს წარმოადგენდა ლიბერალური პარტიის დასუსტება და მისი ასპარეზიდან თანდათანობითი გაქრობა. ლიბერალები, რომელთა ლიდერი ლოიდ ჯორჯი მეთაურობდა მთავრობას ნაწილობრივ ომის დროს და მერე, ომისშემდგომ წლებში, მთელი ამ ხნის მანძილზე ნომინალურად ითვლებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის პარტიად. ლოიდ ჯორჯის მთავრობა ყოველთვის კოალიციური იყო. მასში ბევრი კონსერვატორი და ზოგიერთი ლეიბორისტი შედიოდა. თავად ლიბერალთა შორის განხეთქილება მოხდა. ლიბერალების ნაწილი კოალიციის წინააღმდეგი იყო, არ სცნობდა ლოიდ ჯორჯს პარტიის მეთაურად და შესაბამისად ჩამოშორდა პარტიას. განხეთქილებამ დაასუსტა ლიბერალების პოზიციები. ამრიგად, მათი ადგილი პოლიტიკაში ნელ–ნელა ლეიბორისტებმა დაიკავეს.

ლეიბორისტების გაძლიერებასთან ერთად ადგილი ჰქონდა საარჩევნო უფლებების გაფართოვებას. პირველ რიგში ეს ქალებს შეეხო. ომის დროს გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებული ქალების რაოდენობა, რომლებმაც ფრონტზე წასული მამაკაცები შეცვალეს. 1918წ. დიდ ბრიტანეთში მთელი მუშახელის 29%-ს ქალები შეადგენდნენ. ამრიგად, ქალი მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენად იქცა. ამისათვის არ შეიძლებოდა ანგარიშის არ გაწევა. ამიტომ 1918წ. 30 წელს მიღწეულ ქალებს, რომლებსაც ჰქონდათ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მიენიჭათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც. 1928წ. ქალთა საარჩევნო უფლებებმა კიდევ უფრო დემოკრატიული ხასიათი მიიღო. ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე შემცირდა.

და მაინც XXს. 20–30-იანი წლები ლეიბორისტებისათვის თავისებური პოლიტიკური გამოცდის პერიოდი იყო. ისინი ხელისუფლების სათავეში ორჯერ, 1924წ. და 1929წ. მოვიდნენ, ხოლო 1931წ. მათი ლიდერი მაკდონალდი კოალიციურ მთავრობას ჩაუდგა სათავეში, რომელშიც თავად ლეიბორისტები უმცირესობას წარმოადგენდნენ. მოლიანობაში, აღნიშნული ორი ათეული წლის მანძილზე ბრიტანეთის პოლიტიკურ ასპარეზზე კონსერვატორები დომინირებდნენ.

გარკვეულწილად შეიცვალა კონსერვატორების მართვის პრინციპებიც. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მათ უარი თქვეს მათთვის დამახასიათებელ სახელმწიფოს მიერ წარმოებაში ჩაურევლობის პრინციპზე. მთავრობა ერთობ გააქტიურდა ეკონომიკის სფეროში. წინა პლანზე წამოვიდა დაგეგმვის, სამუშაო ბაზრის რეგულირების საკითხები. აღნიშნული მიდგომა კონსერვატორთა მხრიდან განპირობებული იყო არა რაიმე თეორიული შეხედულებებით, არამედ პრაქტიკული საჭიროებით. ფაშისტური გერმანიისაგან მომავალი საფრთხე მეტ–ნაკლებ რეალობას იძენდა. საჭირო იყო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. ურთიერთობა გერმანიასთან, ევროპის სხვა ქვეყნებთან, თავად ბრიტანეთის იმპერიის წევრებთან ინგლისის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის იმპერია ერთობ რთულ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც დამოუკიდებელი, დიდ ბრიტანეთზე სიმბოლურად დამოკიდებული სახელმწიფოები (დომინიონები) მაგ. კანადა ან ავსტრალია, და სამფლობელოები, რომლებსაც უშუალოდ ლონდონიდან წარგზავნილი მოხელეები

განაგებდნენ (აფრიკის და აზიის ქვეყნები). ომის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთს გადაეცა დამარცხებული გერმანიის კოლონიები. ყველაფერი ეს იმპერიული სამფლობელოების მართვა–გამგეობას რთულ საქმედ ხდიდა.

ომისშემდგომ წლებში საბოლოდ იქნა ჩამოყალიბებული დიდ ბრიტანეთსა და მის დომინიონებს (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა) შორის ურთიერთობის პრინციპები. 1926წ. ჩატარებულ საიმპერიო კონფერენციაზე დადგენილ იქნა, რომ დიდი ბრიტანეთი და დომინიონები იმპერიის შემადგენლობაში შემავალი თვითმართვადი, თანაბარუფლებიანი და ერთმანეთისადმი სრულიად დაუქვემდებარებელი პოლიტიკური ერთეულები არიან. მათ აერთიანებთ ბრიტანეთის სამეფო გვირგვინისადმი ერთგულების იდეა და ისინი წარმოადგენენ ბრიტანეთის ერთა (სახელმწიფოთა) თანამეგობრობის თავისუფალ წევრებს. ეს განცხადება 1931წ. რატიფიცირებულ იქნა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ და ცნობილია ვესტმინსტერის სტატუტის სახელით. შემდგომში ეს სტატუტი გავრცელდა იმპერიის სხვა წევრებზეც, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს.

უფრო რთული მდგომარეობა იყო დიდი ბრიტანეთის უძველეს კოლონიაში, ირლანდიაში. 1916წ. აჯანყების მეთაურების სიკვდილით დასჯამ ირლანდიელებს თავზარი დასცა. მანვე გამოიწვია უკმაყოფილება როგორც ბრიტანეთში, ასევე ამერიკაში, სადაც მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ირლანდიული თემი იყო. 1918წ. ირლანდიაში არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში დამოუკიდებლობის მომხრეებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ექვს საგრაფოში (ოლსტერში) ხმების უმრავლესობა ინგლისთან კავშირის მომხრეებმა მიიღეს. დამოუკიდებლობის მომხრეებმა დუბლინში ირლანდიის დამოუკიდებელი პარლამენტი შექმნეს, რომელსაც კელტურ ყაიდაზე დოილი (Dail) უწოდეს.

დამოუკიდებელი პარლამენტის შექმნამ კიდევ უფრო გაამძაფრა მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობა, რასაც საომარი მოქმედებები მოყვა ბრიტანულ ჯარებსა და დამოუკიდებლობის მომხრეებს შორის. 1921წ. ომი შეწყდა. ინგლისმა აღიარა ირლანდიის რესპუბლიკის, მას სხვანაირად კიდევ ეირეს (Eyre) უწოდებდნენ. ირლანდიამ მიიღო დომინიონის სტატუსი. 1949წ. ირლანდიის რესპუბლიკამ დატოვა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის რიგები. ოლსტერი გაერთიანებულ სამეფოს შემადგენელ ნაწილად დარჩა. არსებული შეთანხმებით ორივე ქვეყნის მოქალაქეები არც ერთ სახელმწიფოში უცხოელებად არ ითვლებიან. მაგრამ ოლსტერის პრობლემა, დაპირისპირება მის ირლანდიის რესპუბლიკასთან შეერთების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დღემდე რჩება გაერთიანებული სამეფოს ერთ–ერთ უმწვავეს პრობლემად.

რთული მდგომარეობა იყო დიდი ბრიტანეთის იმ კოლონიებში, რომლებიც განლაგებული იყვნენ აზიასა და აფრიკაში. ეს სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ ამ კოლონიებში თავად ბრიტანული კაპიტალის შეღწევის შედეგად ჩამოყალიბდა და მეტ–ნაკლებად გაძლიერდა ადგილობრივი ბურჟუაზია და მუშათა კლასი. სწორედ მოსახლეობის ამ ფენებმა დაიწყეს თანდათანობით ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის წამოყენება. ამგვარად, იმპერიალიზმმა ობიექტურად აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში უკვე პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შექმნა პირობები ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისათვის.

ერთ–ერთ ასეთ კოლონიას ინდოეთი წარმოადგენდა. ინგლისის მმართველი წრეები ხშირად სასტიკად ახშობდნენ ამბოხებებს და სხვა შეიარაღებულ გამოსვლებს, რომლებსაც დროდადრო ადგილი ჰქონდა ამ ქვეყანაში. 1919 წ. ქ. ამრიტსარში სიქჰთა მშვიდობიანი თავყრილობაც კი იქნა დახვრეტილი. მაგრამ იმავდროულად კოლონიური ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა.

1918 წ. შემოღებულ იქნა კანონი, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა (ძირითადად მისი შეძლებული ფენები) დაშვებულ იქნა როგორც ცენტრალურ, ასევე პროვინციულ საკანონმდებლო ორგანოებში. ამ ორგანოებს უფლება ჰქონდათ შეემუშავებინათ კანონები და შემოელოთ გადასახადები. ჯანდაცვისა და განათლების დარგებში მათ სრული დამოუკიდებლობა ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგრამ მეფისნაცვალს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ისინი თავისი შეხედულებისამებრ.

1935–1937 წწ. მთელი მოზრდილი მოსახლეობის ერთ მეოთხედს მიენიჭა პროვინციულ საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. თავის მხრივ კი ეს

პროვინციული ორგანოები აგზავნიდნენ წარმომადგენლებს ინდოეთის ასამბლეაში. იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ინდოეთის მოსახლეობის (რომელიც ასეულობით მილიონს ითვლიდა) მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა თუ იცოდა წერა–კითხვა, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო თვითმმართველობის მოპოვებისაკენ.

ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა ძალას იკრებდა ეგვიპტეშიც. ისევე როგორც ინდოეთში, აქაც ადგილი ჰქონდა აჯანყებებს, რომლებიც ჩახშობილ იქნა. 1922წ. დიდმა ბრიტანეთმა საბოლოოდ სცნო ეგვიპტის დამოუკიდებლობა. მაგრამ ეგვიპტეში დარჩა ბრიტანული ჯარი, რომლის მთავარი მიზანი იყო სუეცის არხის დაცვა, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

1936 წ. ხელშეკრულებით ინგლისმა ეგვიპტის დამცველის როლი იკისრა. როგორც ჩანს, ახლადშექმნილი სახელმწიფოს შედარებითი სისუსტე და ზრუნვა თავის სტრატეგიულ ინტერესებზე აიძულებდა დიდ ბრიტანეთს შეენარჩუნებინა სამხედრო პოზიციები ამ ქვეყნებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შესაძლებელია, რომ ინგლისის მეტოქეთა გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდ ბრიტანეთს გადაეცა გერმანიის კოლონიების უმრავლესობა, აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ტერიტორია, მაგ. პალესტინა, ერაყი. განაწილების ამგვარ პრინციპს საფუძვლად ედო ე.წ. სამანდატო სისტემა. მანდატი ამა თუ იმ ტერიტორიაზე მას არა ბრიტანეთის უშუალო სამფლობელოდ, არამედ მეთვალყურეობის ობიექტად აქცევდა. მანდატი სამხრეთ–დასავლეთ აფრიკაში და წყნარ ოკეანეში განლაგებულ გერმანიის კოლონიებზე ბრიტანეთის იმპერიის წევრებს, სამხრეთ აფრიკის კავშირს და ავსტრალიას გადაეცა, ხოლო პალესტინასა და ერაყზე კი უშუალოდ დიდ ბრიტანეთს.

ერაყში ოსმალეთის იმპერიის დაშლამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის, არაბებისა და ქურთების მოძრაობის გამოცოცხლება. ნავთობით მდიდარი ეს ქვეყანა ინგლისელებისათვის სასიცოცხლო ინტერესების წყაროს წარმოადგენდა. ისტორიულად ინგლისს ამ რეგიონში ყველაზე მეტად რუსეთის შესაძლებელი ექსპანსია აშინებდა, რომელიც ამიერკავკასიიდან იღებდა სათავეს. მეფის რუსეთის ადგილი საბჭოთა კავშირმა დაიკავა. ამიტომ დიდი ბრიტანეთი ყოველნაირად, მათ შორის შეიარაღებული გზით ცდილობდა არაბთა თუ ქურთთა მოძრაობის ჩახშობას, რათა ეს უკანასკნელი ბრიტანეთის სავარაუდო მეტოქეების გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

რთული მდგომარეობა შეიქმნა პალესტინაშიც. 1917წ. დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა, რომ თავის თავზე იღებს ვალდებულებას შექმნას ამ ტერიტორიაზე ებრაელთა დასახლება. ებრაელმა იმიგრანტებმა მასობრივად მიაშურეს პალესტინას, მაგრამ მოგვიანებით წააწყდნენ არაბი მოსახლეობის წინააღმდეგობას, რომელიც XXს. 30-იანი წლების შუა ხანებიდან შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. ამ ომში პალესტინაში განლაგებულ ბრიტანულ შენაერთებსაც მოუხდათ ჩაბმა, რომლებიც ებრაელთა მხარეზე იბრძოდნენ.

არანაკლებად რთული იყო დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ე.წ. დიდ სახელმწიფოებთან, რომლებიც ომში მის მოკავშირეებსა თუ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენდნენ. თავიდანვე წარმოჩნდა წინააღმდეგობა აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს შორის. ეყრდნობოდა რა თავის არაჩვეულებრივად მზარდ ეკონომიკას, აშშ-მ წამოაყენა მოთხოვნები თავისუფალი ზღვაოსნობის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც თავისი არსით ანტიინგლისური იყო. იგი მიზნად ისახავდა ინგლისური ზღვაოსნობის და ექსპორტის შევიწროებას.

მსოფლიოში აშშ-ს პოზიციების განმტკიცებას ისახავდა მიზნად ამერიკელი პრეზიდენტის ვუდრო უილსონის წინადადებაც ერთა ლიგის, თავისებური ზესახელმწიფოებრივი საერთაშორისო გაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას დაიცავდა. აშშ-ს პრეზიდენტი ამ ორგანოში თავისი ქვეყნისათვის წამყვანი პოზიციების დაკავებას ვარაუდობდა, რაც დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ამერიკის უმცროს პარტნიორებად აქცევდა.

ინგლისმა ომის შედეგად ჩამოიცილა თავისი მთავარი სამხედრო–საზღვაო და სავაჭრო მეტოქე, გერმანია. მაგრამ ომის შემდეგ მას დაუპირისპირდა საფრანგეთი, რომელსაც ევროპაში პირველობა სურდა, და რომელსაც უპირატესობის მისაღწევად თავისი მრავალრიცხოვანი და ძლიერი ჯარის იმედი ჰქონდა.

სწორედ დამარცხებული გერმანიის მომავლით იყო გამოწვეული ინგლის–საფრანგეთის დაპირისპირება. ფრანგებს სურდათ დამარცხებული გერმანია მაქსიმალურად დაესუსტებინათ ტერიტორიული დაქსაქსვით, მძიმე კონტრიბუციით და ა.შ., რათა საბოლოოდ მოესპოთ „გერმანული საფრთხე". პარიზის საზავო კონფერენციაზე ამის წინააღმდეგ გამოვიდა ლოიდ ჯორჯი და აიძულა საფრანგეთი რიგ საკითხებში ზომიერი მოთხოვნებით დაკმაყოფილებულიყო. დიდი ბრიტანეთი იმედოვნებდა ამის მეშვეობით თავიდან აეცილებინა საფრანგეთის მეტის–მეტი აღზევება.

მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთისთვის მისი ინტერესები რუსეთში, სადაც 1917წ. რევოლუციური გადატრიალების შედეგად კომუნისტური პარტია მოვიდა სათავეში და პროლეტარიატის დიქტატურაზე დამყარებული ერთპარტიული მმართველობა ჩამოყალიბდა. ომამდე ინგლისურ კაპიტალს ამ ქვეყანაში გაბატონებული პოზიცია ეკავა. რევოლუციის შემდეგ რუსეთი გარკვეულწილად ანარქიამ მოიცვა. მას ჩამოსცილდა არარუსი ერებით დასახლებული მიწები, კერძოდ კავკასია, სადაც შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ითვალისწინებდა რა თავის თითქმის საუკუნოვან ინტერესებს ამ რეგიონის მიმართ, ინგლისმა ომის შემდეგ მისი თავის გავლენის სფეროდ გადაქცევა დაისახა მიზნად.

სწორედ ამიტომ გერმანიის კაპიტულაციის და მისი ჯარების ამიერკავკასიიდან გასვლის შემდეგ ინგლისმა უმალ შეიყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიაში. როგორც ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი ლორდი კერზონი ამბობდა, „ბათუმზე ინგლისის კონტროლის დამყარება მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ბრიტანეთის ინდოეთის სტრატეგიული მისადგომების უსაფრთხოების განმტკიცებაში".

მაგრამ მოგვიანებით, ინგლისმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ხელი აიღო ამ რეგიონზე და გაიყვანა იქიდან თავისი ჯარები. როგორც ჩანს, ამიერკავკასიაზე კონტროლის შენარჩუნება ინგლისისათვის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მოთხოვნიდან გამომდინარე გაცილებით რთულ ამოცანას წარმოადგენდა, ვიდრე ამ რეგიონში პირველობის მინებება სხვა ქვეყნისათვის გარკვეული გარიგების ხარჯზე. ამან საბჭოთა რუსეთს მნიშვნელოვნად გაუადვილა ამიერკავკასიის ანექსია.

დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების შეშფოთებას იწვევდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაც. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ხელმძღვანელობის გარკვეული ნაწილისათვის არ იყო უცხო რევოლუციის ექსპორტისა და მსოფლიო რევოლუციის იდეა. ეს საფრთხეს შეუქმნიდა ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლებს დასავლურ სამყაროში. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად დიდმა ბრიტანეთმა ანტანტის ქვეყნებსა და აშშ-სთან ერთად 1918–1919წწ. რუსეთის სხვადასხვა რეგიონში მოაწყვეს შეიარაღებული ინტერვენცია. მაგრამ იგი საბოლოო ჯამში მარცხით დამთავრდა.

ინტერვენციის მარცხი გარკვეულწილად განაპირობა თავად ინგლისის მუშების პოზიციამ. ახლადშექმნილი მუშურ–გლეხური სახელმწიფო საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა მსოფლიოს, კერძოდ ინგლისელ მშრომელთა თვალში და სწორედ ამ სიმპათიებით გამსჭვალული ინგლისელი მუშები წინ აღუდგნენ საკუთარ ხელისუფლებას ლოზუნგით: „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!"

პარიზის საზავო კონფერენციაზე ბრიტანეთის იმპერიამ მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებას მიაღწია. მას ერგო გერმანიის კოლონიების უმრავლესობა. მანვე მოახერხა წამყვანი როლი დაეკავებინა ამერიკელთა წინადადებით შექმნილ ერთა ლიგაში, რის გამოც თავად აშშ-მ უარი თქვეს მის წევრობაზე. ამგვარად გამოიკვეთა ინგლის–ამერიკის დაპირისპირება. მდგომარეობას ართულებდა ინგლის–იაპონიის შეთანხმებაც, რომელიც არსებულ პირობებში იაპონელთა ხელში ქმედით იარაღს წარმოადგენდა აშშ-ს წინააღმდეგ. და ეს ყველაფერი ხდებოდა იმის ფონზე, როცა ომის შემდგომ თავად ინგლისს აშშ-ს მნიშვნელ;ოვანი ვალი დაუგროვდა.

აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად აშშ-ს ინიციატივით 1921წ. ნოემბერში ვაშინგტონში მოწვეულ იქნა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა აშშ-ს და საკუთარი დომინიონების ზეწოლით გააუქმა იაპონიასთან დადებული ხელშეკრულება, ხოლო სამხედრო–საზღვაო ფლოტის მშენებლობაში დაუშვა აშშ-ს ფლოტის თანაფარდობა თავის ფლოტთან. ასე, რომ ლოიდ ჯორჯის განცხადება, რომ „ინგლისი უკანასკნელ გინეას არ დაიშურებს, რათა შეინარჩუნოს თავისი ფლოტის უპირატესობა ამერიკულზე", ლიტონ სიტყვად

დარჩა. ეს იყო დიდი ბრიტანეთის პირველი მარცხი აშშ-სთან ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლაში.

დიდი ბრიტანეთი ასე თუ ისე ურიგდებოდა აშშ-სთან დაპირისპირებას, რადგანაც ოკეანეს გაღმა პარტნიორი მისი მეტოქე იყო. მაგრამ ეს არ წარმოადგენდა ბრიტანული პოლიტიკოსების ერთადერთ საზრუნავს. ლონდონში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საფრანგეთ—გერმანიის ურთიერთობის განვითარებას.

გერმანიის შედარებითი გაძლიერება ომისშემდგომ პერიოდში, რაც აშშ-ს ბანკირის ჩარლზ დაუესის და მისი თანამემამულე პოლიტიკოსის ოუენ იანგის მიერ შემუშავებული გეგმის წყალობით მოხდა, მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთს. ფრანგებს სურდათ გერმანია იმდენად დაესუსტებინათ, რომ მას აღარასოდეს ჰქონოდა რაიმე აგრესიული ქმედების თავი. ეს ბერლინსა და პარიზს შორის დიდ უთანხმოებას და დაძაბულობასაც კი იწვევდა.

ისწრაფოდა რა მდგომარეობის გაწონასწორებისაკენ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ—მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა ითავა 1922წ. იტალიის ქალაქ გენოვაში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომელზედაც უნდა მოეგვარებინათ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა და შეემუშავებინათ ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტიები. მაგრამ კონფერენციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

მოგვიანებით მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. 1923წ. საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ რურის ოლქში, რომელიც გერმანიის მნიშვნელოვან რაიონს წარმოადგენდა. ინტერვენციის მიზანი იყო აეძულებინათ გერმანია სრულად გადაეხადა მასზე დაკისრებული კონტრიბუცია. მაგრამ ფრანგებმა ვერ მიაღწიეს საწადელს. ინტერვენციამ ვერ უზრუნველყო კონტრიბუციის გადახდა. ფრანგებმა დატოვეს რური. ეს მათი მარცხი იყო.

დიდი ბრიტანეთი უარყოფითად შეხვდა ამ აქციას. იმისათვის, რომ მიეღწიათ გარკვეული შეთანხმებისათვის და აეცილებინათ თავიდან ომის საფრთხე, ოსტინ ჩემბერლენის, არისტიდ ბრიანის და გუსტავ შტრეზემანის, შესაბამისად ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ინიციატივით 1925წ. შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში მოწვეულ იქნა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად გერმანიამ, საფრანგეთმა და ბელგიამ სცნეს თავისი საზღვრების ხელშეუხებლობა.

ინგლისმა და იტალიამ ვალდებულება აიღეს დაეწყოთ სამხედრო მოქმედება ნებისმიერი ამ სამ ქვეყანათაგანის წინააღმდეგ, თუკი ერთ—ერთი მათგანი დაარღვევდა ამ ხელშეკრულებას. მაგრამ ხელშეკრულება არ შეეხო გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებს. ამიტომ ცალკე დადებული შეთანხმების თანახმად საფრანგეთმა იკისრა ვალდებულება დაეცვა ბელგია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი, თუკი ერთ—ერთი მათგანი გერმანიის აგრესიის ობიექტი გახდებოდა.

ლოკარნოს შეთანხმებას ევროპის საზოგადოება ზარ—ზეიმით შეხვდა. იგი მშვიდობის მტკიცე გარანტიად იქნა მიჩნეული. მაგრამ მას კრიტიკოსებიც გამოუჩნდა. ბრიტანეთის საგარეო სამინისტროს თანამშრომლები თავისი უფროსის ზურგს უკან ხშირად ამბობდნენ, რომ „სერ ოსტინი (ჩემბერლენი — ივ. მ.) ლოკარნოში ნეხვის გროვაში ჩაეფლო“.

ლოკარნოს კონფერენციის შედეგებმა წყალი შეუყენეს ერთა ლიგას და პარიზის საზავო კონფერენციის დადგენილებებს, რომლებიც მშვიდობის და ევროპის მშვიდობიანი მოწყობის მთავარ საშუალებებად იყვნენ მიჩნეული. მშვიდობა კვლავ კონკრეტულ სახელმწიფოთა ნებაზე და მათ უშუალო ურთიერთობაზე შეიქნა დამოკიდებული, და არა საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციებზე.

ლოკარნოს კონფერენციის ხელშეკრულებებმა ვერ გაანელეს დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების ეჭვები საფრანგეთის მიმართ. კონტინენტზე წონასწორობის მოსურნე ინგლისი კვლავ შეშფოთებით ადევნებდა თვალს საფრანგეთის ანტიგერმანულ განზრახვებს. 1928წ. დიდი ბრიტანეთის ავიაციის მესვეურებმა შეიმუშავეს საფრანგეთზე თავდასხმის გეგმა, იმ შემთხვევისათვის, თუკი ეს უკანასკნელი, ლოკარნოს ხელშეკრულებების საწინააღმდეგოდ შეიჭრებოდა გერმანიაში. ამგვარად, XXს. 20-იანი წლების მანძილზე დიდი ბრიტანეთი ძირითადად დაკავებული იყო იმით, რომ არ დაეშვა ევროპაში საფრანგეთის გაბატონება.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა XXს. 30-იან წლებში. 1933წ. გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა უკიდურესად აგრესიული და შოვინისტურად განწყობილი ნაციონალ—სოციალისტური მუშათა პარტია, რომელსაც სათავეში ედგა ადოლფ ჰიტლერი.

ნაციონალ–სოციალისტებმა ოსტატურად გამოიყენეს რა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სიდუხჭირე, პარიზის ზავით გათვალისწინებული მძიმე პირობები, ფართომასშტაბიანი დემაგოგიის მეშვეობით, რომელიც მნიშვნელოვანწილად აგებული იყო ჰიტლერის პათეთიკასა და ორატორულ ნიჭზე, გამოიწვიეს მოსახლეობის ფართო ფენების ეროვნულ–პატრიოტული აღტკინება.

ნაცისტების პროპაგანდაში გერმანია და გერმანელი ხალხი წარმოჩენილი იყო როგორც დაჩაგრული, შეურაცყოფილი და დათრგუნული ერი. ამ ჩაგვრას ნაცისტების თქმით საფუძვლად ედო უსამართლო საზავო პირობები. მდგომარეობის გამოსასწორებელ ერთადერთ საშუალებად ნაცისტებს ომი მიაჩნდათ. ამგვარად, გერმანელი ერის არნახული ინტელექტუალური, კულტურული და სოციალური პოტენციალი ჰიტლერის ხელისუფლების მიერ სრულად იყო წარმართული შეიარაღების და ახალი ომის გაჩაღებისაკენ. გერმანიამ დაიწყო არნახული სიმძლავრის სამხედრო–პოლიტიკური მანქანის შექმნა. მსოფლიო, და პირველ რიგში ევროპა, ახალი ომის რეალური საფრთხის წინაშე დადგა.

საერთაშორისო სიტუაციაში ესოდენ რადიკალურმა ცვლილებებმა თავისთავად შეცვალეს დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულება. მისი ყურადღების ცენტრში კვლავ გერმანია რჩებოდა, მაგრამ უკვე სულ სხვა კუთხით. გერმანია უკვე არა სხვისი აგრესიისაგან გახდა დასაცავი, არამედ თავად იქცა ომის გაჩაღების კერად.

ამგვარ პირობებში ინგლისმა კურსი აიღო თავისებურ „მაამებლურ" პოლიტიკაზე. ინგლისის მმართველმა წრეებმა მიზნად დაისახეს არ გაეფუჭებინათ გერმანიასთან ურთიერთობა. ამიტომ ჰიტლერის პრაქტიკულად ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც ეხებოდა პარიზის ზავის დებულებების გადასინჯვას გერმანიის სასარგებლოდ, ლონდონის თანხმობა ერთვოდა. ლონდონში ვარაუდობდნენ, რომ მოხერხდებოდა გერმანიის წარმართვა აღმოსავლეთით, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ლოკარნოს შეთანხმება არავითარ გარანტიებს არ იძლეოდა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების მიმართ.

სამწუხაროდ ამგვარი ტენდენცია საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ბრიტანელი პოლიტიკოსები თავს აფარებდნენ, საბოლოო ჯამში დამღუპველი აღმოჩნდა. მაგრამ იმ დროს ლონდონში მიაჩნდათ, რომ ამ ხერხით საფრთხეს თავიდან აიცილებდნენ. როგორც ჩანს, ტრადიციული, იზოლაციონისტური, კუნძულოვანი ხედვა კვლავ სჭარბობდა ინგლისის საგარეო პოლიტიკურ ცნობიერებაში. მთავარი იყო ხიფათისაგან განზე ყოფნა.

როცა 1935წ. ჰიტლერმა პარიზის ზავის დებულება დააღვია და საყოველთაო სამხედრო გაწვევა შემოიღო, ლონდონი მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით შემოიფარგლა. არავითარი რეაქცია არ მოყოლია ინგლისის მხრიდან გერმანიის მიერ საარის ოლქის შემოერთებას, რაც გაყალბებული სახალხო გამოკითხვის საფუძვლად მოხდა. 1935წ. დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას შორის დაიდო საზღვაო შეთანხმება, რომლის თანახმად გერმანიას უფლება მიეცა ჰყოლოდა სამხედრო–საზღვაო ფლოტი, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის შესაბამისი ძალების 35%-ის ტოლი იქნებოდა. ეს მაჩვენებელი საფრანგეთის სამხედრო–საზღვაო ფლოტის ტოლფასი იყო. ამით ინგლისმა დაარღვია პარიზის ზავის პირობა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ გერმანიას არ ჰქონდა უფლება ჰქონოდა საფრანგეთის ტოლფასი სამხედრო–საზღვაო ფლოტი. ასეთივე უმოქმედობა გამოავლინა ინგლისმა მაშინ, როცა გერმანიამ პარიზის საზავო ხელშეკრულების დარღვევით 1936წ. შეიყვანა თავისი ჯარი რაინის დემილიტარიზებულ ზონაში.

მაამებლობას დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში ადგილი ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთშიც, სადაც იაპონია მიმართავდა აგრესიას ჩინეთის წინააღმდეგ. ინგლისმა უპასუხოდ დატოვა იაპონიის მიერ ჩინეთში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დაწყება 1937წ.

ჩაურევლობის პოლიტიკა გაატარა ინგლისმა ესპანეთის მიმართ, სადაც 1936წ. რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ იფეთქა რეაქციულად განწყობილი სამხედროების ამბოხმა გენერალ ფრანკოს მეთაურობით. მეამბოხეებს დიდ მატერიალურ–ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ ფაშისტური გერმანია და იტალია, რომლებმაც ფაქტიურად ინტერვენცია განახორციელეს ესპანეთში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიისა და იტალიის ამგვარი აგრესია ძალზე ვნებდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ხმელთაშუაზღვისპირეთში, ლონდონში მტკიცედ აიღეს კურსი ჩაურევლობის პოლიტიკაზე. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა მეამბოხეების გამარჯვება. ესპანეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა.

ამგვარი პოლიტიკა გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით. ლონდონში უფრო მეტად აწუხებდათ საბჭოთა კავშირიდან მომდინარე სავარაუდო საფრთხე (დასავლური დემოკრატიის დამხობა მსოფლიო რევოლუციის ან სხვა სახის ძირგამომთხრელი მუშაობის მეშვეობით), ვიდრე ფაშისტური რეჟიმის მიერ დაწყებული გამალებული შეიარაღება და აშკარად აგრესიული ზრახვები. ამის ნათელი დადასტურება იყო როგორც ინგლისის საგარეო პოლიტიკა, ასევე ინგლისელი პოლიტიკოსების განცხადებები.

1937წ. ბერლინს პრემიერ მინისტრი ნევილ ჩემბერლენის გადაწყვეტილებით ეწვია კაბინეტის წევრი ლორდი ჰალიფაქსი. მას ჩემბერლენისაგან დავალებული ჰქონდა ჰიტლერისათვის შეეთავაზებინა დიდ ბრიტანეთთან დაახლოება იმ თანხმობის სანაცვლოდ, რომელსაც ეს უკანასკნელი სთავაზობდა გერმანიას მისი ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებაში. ლონდონში დაბრუნებულმა ჰალფაქსმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „ფიურერმა (ჰიტლერმა — ივ. მ.) ააგო საიმედო ბასტიონი ბოლშევიზმის წინააღმდეგ".

იმავე წელს ჩემბერლენი ორჯერ შეხვდა გერმანიის ელჩს დიდ ბრიტანეთში რიბენტროპს. მასთან საუბარში ჩემბერლენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველნაირად მხარს უჭერს ინგლის—გერმანიის დაახლოებას.

მაამებლობა გეომეტრიული პროგრესიით იკრებდა ძალას ბრიტანულ საგარეო პოლიტიკაში. 1938წ. მარტში ჰიტლერმა ავსტრიელ ფაშისტებზე დაყრდნობით და ავსტრიის მთავრობისადმი უშუალო მუქარის შედეგად შეიყვანა გერმანიის ჯარი ავსტრიაში და მოახდინა მისი ოკუპაცია. ავსტრია გერმანიის შემადგენელი ნაწილი გახდა. ჩემბერლენის ერთადერთი რეაქცია ამ აგრესიულ აქტზე იყო მის მიერ პარლამენტის თემთა პალატაში გაკეთებული განცხადება, რომ „გერმანია სერიოზულ საყვედურს იმსახურებს".

ჰიტლერის მადა კი იზრდებოდა, რადგანაც ინგლის—საფრანგეთის უმოქმედობა აშკარა იყო. ავსტრიის შემდეგ მან თვალი ჩეხოსლოვაკიას დაადგა. როდესაც 1938წ. აპრილში ლონდონში ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ, ჩემბერლენმა პირდაპირ განუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს, რომ თუკი გერმანიას სურს ჩეხოსლოვაკიის განადგურება, იგი (ჩემბერლენი — ივ. მ.) ვერ ხედავს საშუალებას, რომ ხელი შეუშალოს ამ განზრახვას.

ჩეხოსლოვაკიასთან მიმართებაში ჰიტლერს პრეტენზია ჰქონდა გერმანელებით დასახლებულ სუდეტის ოლქზე. რასაკვირველია, ჰიტლერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა პოზიციას დაიკავებდა მისი გეგმების მიმართ ინგლისი. 1938წ. ივნისში გერმანიის ელჩმა ინგლისში დირკსენმა ბერლინს აცნობა, რომ ჩემბერლენის კაბინეტი ბერლინთან შეთანხმებისაკენ ისწრაფვის და სუდეტის ოლქის საკითხში იგი მაქსიმალური გაგებით ხვდება გერმანიის ინტერესებს.

იმავე წლის აგვისტოში ბერლინში მივლენილმა ლორდ რენსიმენის მისიამ თვენახევრიანი მუშაობის შედეგად შეადგინა მემორანდუმი, რომელშიც გერმანიის პრეტენზია სუდეტის ოლქზე კანონზომიერად და ბუნებრივად იყო მიჩნეული. 1938წ. სექტემბერში ჩემბერლენმა პირადად ორჯერ ინახულა ჰიტლერი ბერლინში და აღუთქვა მას, რომ ინგლისი წინ არ აღუდგება ჰიტლერის გეგმებს ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.

ამგვარი პოლიტიკის კანონზომიერი შედეგი იყო მიუნჰენის გარიგება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1938წ. 29 სექტემბერს. ამ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰიტლერი, ფაშისტური იტალიის დიქტატორი ბენიტო მუსოლინი, ჩემბერლენი და საფრანგეთის პრემიერ—მინისტრი ედუარდ დალადიე ინგლისმა და საფრანგეთმა თანხმობა განაცხადეს სუდეტის ოლქის გერმანიისათვის გადაცემაზე. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები ამ შეხვედრაზე არც კი დაუშვეს. თავად ჩემბერლენმა კი მიუნჰენში გაფრენის წინ რადიოთი შემდეგი განცხადება გააკეთა: „უცნაური იქნება ომში ჩაბმა ჩვენი ქვეყნიდან ესოდენ შორს გამართული დავის გამო, რომელიც მიმდინარეობს ხალხებს შორის, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით".

უფრო გულახდილი იყო თავის გამონათქვამში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის კოორდინირების მინისტრი ინსკიპი. მან კაბინეტის ერთ—ერთ სხდომაზე, რომელიც წინ უძღოდა მიუნჰენის გარიგებას, აღნიშნა: „ლაპარაკია არა ჩეხოსლოვაკიის გადარჩენაზე, არამედ ჰიტლერის შეჩერებაზე. ასეთ ომს კი შესაძლოა მოყვეს არა მარტო ჰიტლერის, არამედ უფრო მნიშვნელოვანი რამის განადგურება, კერძოდ ევროპაში არსებული მდგომარეობის შეცვლა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვსა და ბოლშევიკებს დააკმაყოფილებს".

ჩემბერლენის, ლორდ ჰალიფაქსის, თუ ინსკიპის სიტყვები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ ვის უფრო უფრთხოდნენ ლონდონში, ადოლფ ჰიტლერს თუ იოსებ სტალინს. სწორედ ამიტომ, როდესაც 1939წ. მარტში გერმანიამ მოახდინა ჩეხოსლოვაკიის სრული ოკუპაცია, ლონდონში შემოიფარგლნენ იმით, რომ დახმარების გარანტიები მისცეს პოლონეთს, საბერძნეთს და რუმინეთს იმ შემთხვევაში, თუ მათ მესამე ქვეყანა დაესხმოდა თავს. ამგვარი განცხადებები გაკეთდა იმ პირობებში, როდესაც უკვე ხელმოწერილი იყო ინგლის–გერმანიის დეკლარაცია, რომელიც ფაქტიურად თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

ამგვარად, XXს. 30-იანი წლების მანძილზე დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ომისაგან. თანამედროვე ბრიტანულ ისტორიოგრაფიაში ეს აიხსნება სხვადასხვა მიზეზით. ჩემბერლენის პირადი პაციფისტური მრწამსით; იმით, რომ იყო რა კეთილშობილი ბუნების ადამიანი, იგი ზედმეტად მიენდო ჰიტლერს; ინგლისის წამყვანი სამხედრო პირების ომისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, რომლებიც სთვლიდნენ, რომ ქვეყანა იმ დროს მზად არ იყო ომისათვის; ბრიტანეთის იმპერიის ზოგიერთი წევრის, მაგ. ავსტრალიის და სამხრეთ აფრიკის პოზიციით, რომლებმაც განაცხადეს, რომ მხარს არ დაუჭერენ დიდ ბრიტანეთს, თუკი ეს უკანასკნელი გერმანიასთან ომს დაიწყებს. ამრიგად, ერთადერთ ხსნას ინგლისის მთავრობა ჰიტლერის პრეტენზიების დაკმაყოფილებაში ხედავდა, იმ იმედით, რომ ინგლის–საფრანგეთის მიერ დაკმაყოფილებული ჰიტლერი თავის დარტყმას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართავდა.

ამ მაამებლობის პოლიტიკის ფონზე, რომელსაც ვესტმინსტერში და დაუნინგ სტრიტზე ახორციელებდნენ, ბრიტანელი პოლიტიკოსების მხრიდან დაჟინებით გაისმოდა ამგვარი პოლიტიკის გამკიცხველი, მაგრამ გავლენიან პოლიტიკოსთა შორის სამწუხაროდ ერთადერთი ხმა. იგი უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნოდა.

ჩერჩილი, კონსერვატიული პარტიის წევრი, რომელსაც I მსოფლიო ომიდან მოყოლებული სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა მთავრობაში, ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის მომხრეთა რიცხვს. მაგრამ თავისი პოლიტიკური ალღოს წყალობით იგი მაშინვე მიხვდა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მშვიდობას ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ ჰიტლერის მხრიდან ემუქრებოდა. „ის ბიჭები, რომლებიც დღეს მიხაკისფერ პერანგებში[77] მწყობრი ნაბიჯით დააბიჯებენ გერმანული ქალაქების ქუჩებში, ხვალ უთუოდ მოისურვებენ სხვა ქვეყნების ქალაქებში გავლას“–აღნიშნა ჩერჩილმა ჯერ კიდევ XXს. 30-იანი წლების შუახანებში. ამით იგი მიანიშნებდა, რომ ფაშისტური გერმანია ომის გაჩაღების რეალური კერა იყო.

როდესაც ჩემბერლენმა მიუნჰენიდან ჩამოიტანა ჰიტლერთან დადებული თავდაუსხმელობის დოკუმენტი და წარუდგინა იგი პარლამენტს როგორც „ღირსეული მშვიდობა“, ფეხზე მდგომი დეპუტატები მას ტაშით შეეგებნენ. პროტესტის ნიშნად მხოლოდ ოთხი დეპუტატი განაგრძობდა ჩუმად ჯდომას. მათ შორის იყო უინსტონ ჩერჩილი. 5 ოქტომბერს, ჩერჩილმა საპარლამენტო ტრიბუნიდან დაგმო მიუნჰენის გარიგება და თქვა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ერთი გასროლის გარეშე დაუთმეს ჰიტლერს ესოდენ მნიშვნელოვანი მოკავშირე.

სწორედ ჩერჩილისა და მისი თანამზრახველი სხვა პოლიტიკოსის ზეწოლით ჩემბერლენის კაბინეტი დათანხმდა დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, რათა დადებული შეთანხმების მეშვეობით გადაელობათ გზა გერმანიის შემდგომი აგრესიისათვის. მოლაპარაკებას, რომელიც 1939წ. 12–20 აგვისტოს მიმდინარეობდა, საფრანგეთიც შეუერთდა.

მაგრამ არც ჩემბერლენი და არც დალადიე ამ მოლაპარაკებას სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. მათ ისევ ჰქონდათ იმედი, რომ მოახერხებდნენ ჰიტლერის დაშოშმინებას დანციგთან[78] დაკავშირებული პრეტენზიების დაკმაყოფილებით. ამიტომ მათ მოლაპარაკებაზე მეორეხარისხოვანი მოხელეები გამოაგზავნეს, რომლებსაც არც კი ჰქონდათ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ხელმოწერის რწმუნებები. მოლაპარაკება ჩაკარდა. ჩერჩილმა უარყოფითად შეაფასა საკუთარი მთავრობის მოქმედება და მიუთითა, რომ მოლაპარაკების ჩავარდნა ჩემბერლენის უარყოფითმა პოზიციამ განაპირობა.

ამგვარად, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები აშკარა პოლიტიკურ სიბეცეს იჩენდნენ. მათ კვლავ ჰქონდათ გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის შეჯახების იმედი. მაგრამ

---

[77] ჰიტლერული პარტიის გასამხედროებული ორგანიზაციის, მოიერიშე რაზმების წევრებს ... ეკისფერი პერანგები ეცვათ.
[78] დღევანდელი ქ. გდანსკი პოლონეთში.

მათი ვარაუდი არ გამართლდა. შექმნილ რთულ საერთაშორისო სიტუაციაში საბჭოთა ლიდერმა სტალინმა გადადგა ყველასათვის მოულოდნელი და თავისი ქვეყნისათვის მომგებიანი ნაბიჯი. იგი უმალ დათანხვდა ჰიტლერის წინადადებას დაედოთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

თავდაუსხმელობის პაქტის საიდუმლო მუხლით გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ფაქტიურად გაიყვეს პოლონეთი. ჰიტლერს პოლონეთთან ომისათვის ხელ–ფეხი გაეხსნა, საბჭოთა კავშირმა პოლონეთის შემადგენლობაში მყოფი უკრაინული და ბელორუსიული მიწები, აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნები: ლიტვა, ლატვია და ესტონეთი მიიღო.

ეს მოვლენა ჩემბერლენმა შეაფასა როგორც ძალზე არასასიამოვნო. დასავლეთში არ ელოდენენ სტალინის ასეთ ოსტატურ დიპლომატიურ სვლას. ფაქტიურად ლონდონიც და პარიზიც თავისივე ორმაგი დიპლომატიური თამაშის მსხვერპლად იქცნენ. თუკი ჰიტლერი თავს დაესხმოდა პოლონეთს, რაც უეჭველი იყო, ისინი იძულებულები შეიქნებოდნენ ჩაბმულიყვნენ გერმანიასთან ომში პოლონეთისათვის მიცემული გარანტიების გამო. ჩემბერლენის ესოდენ საგულდაგულოდ გატარებული მაამებლობის პოლიტიკა გაკოტრების წინაშე იდგა. და მართლაც, 1939 წ. 1 სექტემბერს გერმანიის ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

ბრიტანეთის იძულებული მეორე მსოფლიო ომში

გერმანიის პოლონეთზე თავდასხმა და ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გერმანიისათვის ომის გამოცხადებას არ მოყოლია საყოველთაო სამხედრო მოქმედებები. ეს კარგად განჭვრიტა თავად ჰიტლერმა, რომელმაც გაიგო რა ლონდონისა და პარიზის შესაბამისი განცხადებების შესახებ, თქვა: „ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი იბრძოლებენ". და მართლაც, მოკავშირეებმა პოლონეთი ბედის ანაბარად მიატოვეს, რომელიც ერთთვიანი გმირული, მაგრამ უთანასწორო ბრძოლის შემდეგ დამარცხდა და დაპყრობილ იქნა. ჩემბერლენი კვლავ ცდილობდა მიემართა ჩაურევლობის პოლიტიკისათვის. მისი ტრადიციული არგუმენტი იყო ის, რომ პოლონეთი ერთობ შორს იყო და ბრიტანეთში ცოტა ვინმემ თუ იცოდა რამე მის შესახებ. სწორედ ამიტომ პოლონელები ამ ომში სამოკავშირეო განცხადებების მიუხედავად დახმარების გარეშე დარჩნენ.

ინგლისის სარდლობა არ ჩქარობდა კონტინენტზე საექსპედიციო კორპუსის გაგზავნას. 1939 წ. 11 სექტემბრისათვის საფრანგეთში გადასროლილ იქნა მხოლოდ 158 ათასი ბრიტანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მაგრამ მათ ნაბრძანები ჰქონდათ არ გაეხსნათ ცეცხლი გერმანელებისათვის, რათა არ გამოეწვიათ საბრძოლო მოქმედებები გერმანელთა მხრიდან. ასეთივე ხასიათს ატარებდა ფრანგული სარდლობის მიდგომა. გერმანული 23 დივიზიის საწინააღმდეგოდ ფრანგებს გერმანიასთან საზღვარზე 110 დივიზია ყავდათ, მაგრამ საფრანგეთის ჯარებს ნაბრძანები ჰქონდათ არ წამოეწყოთ შეტევა. სამხედრო მოქმედებები არ დაწყებულა მაშინაც, როცა 1940 წ. გაზაფხულისათვის ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობა 10 დივიზიამდე გაიზარდა. ამიტომ დასავლეთში ამ ომს, მოჩვენებით[79] ომს უწოდებდნენ.

სწორედ მოკავშირეთა ამგვარი უმოქმედობის გამო ჰიტლერულმა გერმანიამ ადვილად მოახდინა დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა თავად დიდ ბრიტანეთს. ამის მიზეზი იყო ის, რომ მოჩვენებითი ომის დროს მეტ-ნაკლებად სერიოზული საომარი ოპერაციები მხოლოდ ზღვაზე მიმდინარეობდა. გერმანელებმა შესძლეს ინგლისელების, ფრანგების და მათი მოკავშირეების 400 სავაჭრო გემის ჩაძირვა. თავის მხრივ ბრიტანეთის სამხედროსაზღვაო ფლოტმა გაანადგურა 27 გერმანული წყალქვეშა ნავი. მთლიანობაში კი მოკავშირეები კაპიტულაციისაკენ მიმავალ პოლიტიკას აგრძელებდნენ.

ამ რთულ მდგომარეობაში დიდ ბრიტანეთში პოლიტიკურად საღმა და პატრიოტულმა ძალებმა გაიმარჯვეს, რომელთათვისაც მიუღებელი იყო ქვეყნის ეროვნული ღირსებისა და ისტორიული პრესტიჟის შელახვა. ისინი ნათლად ხედავდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც ჰიტლერი და მისი იდეოლოგია უქადდნენ კაცობრიობას და მათ შორის ბრიტანეთსაც. ამ ძალების სათავეში კვლავ უინ-

---

79 Phoney (ინგ. – მოჩვენებითი, ყალბი). საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაერცელებული იყო ტერმინი უცნაური ომი.

სტონ ჩერჩილი იდგა. ანტიფაშისტური ძალების ზეწოლით ჩემბერლენის კაბინეტი გადადგა. 1940 წ. 10 მაისს ხელისუფლების სათავეში კოალიციური მთავრობა მოვიდა (კონსერვატორები, ლეიბორისტები, ლიბერალები), რომელსაც ჩერჩილი ჩაუდგა სათავეში.

სწორედ ამ დროს გერმანულმა სარდლობამ წამოიწყო შეტევა დასავლეთის ფრონტზე. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეები სჭარბობდნენ გერმანელებს ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში (განსაკუთრებით ტანკების ხარისხსა და რაოდენობაში) მათ არ გააჩნდათ საბრძოლო მოქმედების ქმედითი გეგმა. ჯარები მნიშვნელოვანწილად დემორალიზებული იყვნენ მოჩვენებითი ომის დროს უმოქმედობით. ყოველივე ამის შედეგად გერმანელებმა გაარღვიეს მათი თავდაცვითი ზღუდეები. ნიდერლანდებისა და ბელგიის ჯარები მზად იყვნენ ბრძოლისათვის, მაგრამ მათმა მთავრობებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. უნდა ითქვას, რომ არც თავად ფრანგებს უცდიათ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ამის შედეგად მოკავშირეების საკმაოდ დიდი შენაერთი, 224 ათასი ბრიტანელი და 95 ათასი ფრანგი ჯარისკაცი ალყაში მოქცევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ბრიტანულმა სარდლობამ მდგომარეობა უიმედოდ მიიჩნია და გადაწყვიტა ამ შენაერთის ევაკუაცია, რომელიც 26 მაისიდან 2 ივნისამდე ჩატარდა საზღვაო ქალაქ დიუნკერკიდან.

დიუნკერკის მოვლენებმა კიდევ უფრო გაუადვილეს ჰიტლერს საფრანგეთის დამარცხება. 14 ივნისს საფრანგეთის მთავრობამ უბრძოლველად დათმო პარიზი, ხოლო 22 ივნისს ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. საფრანგეთის უმეტესი ნაწილი გერმანიის მიერ იქნა ოკუპირებული და მის უშუალო დაქვემდებარებაში შევიდა. ქვეყნის შედარებით მცირე, სამხრეთ ნაწილზე მარიონეტული მთავრობის ხელისუფლება ვრცელდებოდა, რომელსაც კაპიტულიანტი მარშალი პეტენი ედგა სათავეში. მისი რეზიდენცია პატარა საკურორტო ქალაქ ვიშიში მდებარეობდა. ვიშის მთავრობა ვალდებული იყო გაეგზავნა გერმანიაში ნედლეული, სურსათი და მუშა-ხელი. განიარაღებული და დემობილიზებული ფრანგული არმიის შეიარაღება გერმანიას გადაეცა.

საფრანგეთის, ბელგიისა და ნიდერლანდების დამარცხებამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ინგლისი. იგი მარტო აღმოჩნდა აგრესორის წინაშე. არ კმაროდა ჯარი გერმანელთა სავარაუდო დესანტის უკუგდებისათვის. მათი რაოდენობა მხოლოდ 27 დივიზიას შეადგენდა. ბრიტანული სარდლობის განკარგულებაში იყო მხოლოდ 240 საშუალო და 108 მძიმე ტანკი, არ კმაროდა ტყვიამფრქვევები და შაშხანები. მდგომარეობას ართულებდა ირლანდიელების, შოტლანდიელების და უელსელების ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელთა პოზიციაც. კონტრდაზვერვის მონაცემები იუწყებოდნენ, რომ ისინი აპირებდნენ მხარი დაეჭირათ გერმანიისათვის, თუკი ეს უკანასკნელი ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრის შემდეგ აღიარებდა ჩრდილოეთ ირლანდიის, შოტლანდიის და უელსის დამოუკიდებლობას. უელსელებმა 1940 წ. ბერლინში ფარულად დელეგაციაც კი გააგზავნეს და ჰიტლერს დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ დახმარება აღუთქვეს.

ჰიტლერმა ინგლისს დაზავება შესთავაზა, თუკი ეს უკანასკნელი აღიარებდა გერმანიის ბატონობას ევროპაში და დაუთმობდა მას თავის კოლონიებს. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ბრიტანეთს ფაშისტური გერმანიის მარიონეტად აქცევდა. ჰიტლერის წინადადება კატეგორიულად იქნა უარყოფილი. პასუხად ჰიტლერმა 1940 წ. 16 ივლისს მოაწერა ხელი დირექტივას ინგლისთან ომის წარმოების შესახებ. დღის წესრიგში დადგა ინგლისის, როგორც სამხედრო მოწინააღმდეგის განადგურება და მისი შემდგომი ოკუპაციაც კი. მდგომარეობა საგანგაშო იყო.

ამ განსაცდელის ჟამს ინგლისელებმა და საერთოდ, ბრიტანეთის კუნძულების მთელმა მოსახლეობამ გამოავლინა ის თვისებები, რომელთა გამოც თვით მტრებიც კი არ იშურებდნენ მათთვის ქება-დიდებას[80]. ქვეყანა ერთ მუშტად შეიკრა და ყველაფერი მტრის შემოტევის მოსაგერიებლად იქნა წარმართული. ამ პატრიოტული თავდადების ეპიცენტრს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი წარმოადგენდა. იგი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას თუნდაც იმიტომ, რომ სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენს ინგლისისათვის ტრადიციულ ისტორიულ სინამდვილეში და ამით სპეციფიკურობას სძენს თავად ინგლისის ისტორიას. ქვეყანა, სადაც საუკუნეების მანძილზე თავისუფლება და შემდგომ დემოკრატია წარმოადგენდნენ ისტორიული განვითარების წარმმართველ ძალას,

---

[80] „ინგლისელები ტრადიციების ხალხია და არაფრით არ იტყვიან მათზე უარს. მაგრამ განსაცდელის ჟამს მათ უნარი შესწევთ არნახულად გარდაისახონ. ისინი ყველაფერს განზე გადასდებენ, თუკი მიაჩნიათ, რომ მათი ქვეყანა განსაცდელშია და ამ დროს ისინი არაჩვეულებრივად სახიფათონი არიან" - წერდა 1940 წ. ნაცისტური იერარქიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სს-ის ბრიგადენფიურერი ვალტერ შელენბერგი.

განსაცდელმა შესძლო ეშვა მოღვაწე, რომელიც პიროვნული კულტის გარკვეული ნიშნებით შეიმოსა.

მაგრამ ამ აღზევების მიზანს არა პირადი გაბატონება, არამედ ხალხის დარაზმვა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ჩერჩილი წარმოსდგება, არა როგორც დიქტატორი, არამედ როგორც თავისებური სახალხო ბელადი, რომლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს მისი ბრიტანულობა წარმოადგენს. მან საკუთარ პიროვნებაში მოაქცია და წარმოაჩინა ყველა ის თვისება, რაც იმ კრიტიკულ მომენტში უნდა გამოეჩინა ბრიტანეთს, თუკი მას გადარჩენა სურდა.

თავის პირველივე მიმართვაში პარლამენტისა და ქვეყნისადმი ჩერჩილმა დაუფარავად დაახასიათა შექმნილი ვითარების სიმძიმე, მაგრამ იმავე დროს აღანთო თანამემამულეები ამაღლებული საბრძოლო სულისკვეთებით. „მოახლოვდა ბრძოლა ჩვენი კუნძულისათვის. ჩვენ უნდა დავიცვათ იგი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. მე ვერაფერს შეგპირდებით, სისხლისა და ცრემლების გარდა. ჩვენ ვიბრძოლებთ ჰაერში, ზღვაზე, ხმელეთზე და არასოდეს არ დავნებდებით. და თუკი ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობას არსებობა უწერია, დე მომავალმა თაობებმა თქვან ჩვენზე: ეს მათი უდიადესი ჟამი იყო“.

ჩერჩილის დამსახურებად მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერების საქმეში უნდა ჩაითვალოს ის, რომ შექმნილი მდგომარეობის გააზრებაში იგი გასცდა ეროვნული უსაფრთხოების ჩარჩოებს და ამაღლდა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დაცვის იდეამდე. „ამ ბრძოლაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, — თქვა მან, დამოკიდებულია, გადარჩება თუ არა ქრისტიანული ცივილიზაცია“. ჩატარდა საყოველთაო სახელმწიფო პარაკლისი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროტესტანტმა და კათოლიკე ღვთისმსახურებმა. მათ იუდეველი ღვთისმსახურებიც შეუერთდნენ. ომის განმავლობაში ბი-ბი-სი-ს მაუწყებლობა რელიგიურ თემაზე სამჯერ გაიზარდა.

ჩერჩილის განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტს წმინდა პავლეს ტაძარი წარმოადგენდა. მისი პირადი განკარგულებით ლონდონის ლორდ-მერს დაევალა ნებისმიერი ღონე ეხმარა, რომ ეს ტაძარი არ დაზიანებულიყო.

ბრიტანეთისათვის ბრძოლა ჩერჩილის ენერგიული და ექსპრესიული პიროვნების წყალობით პროპაგანდისტული მანქანის ამოქმედებით დაიწყო. ომამდე პროპაგანდას ტოტალიტარული ხელისუფლების დასაყრდენად მიიჩნევდნენ. ჩერჩილის ფენომენმა შეცვალა ეს მოსაზრება. ომის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩერჩილმა დარაზმა ინგლისური ენა და იგი ბრძოლაში ჩაბა. ათი ბრიტანელიდან სულ ცოტა შვიდი სულგანაბული უსმენდა მის მიმართვებს რადიოთი, რომლებიც აღსავსე იყო ქვეყნის ისტორიის ცოდნით, მისდამი სიყვარულით და ამავე დროს გარკვეული თავხედობითაც კი. ეს უკანასკნელი ბრიტანელებს განსაკუთრებით მოსწონდათ, როგორც მათი ეროვნული ცნობიერების განუყოფელი ნიშან-თვისება.

რასაკვირველია, ფაშისტური გერმანიის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ შემოიფარგლებოდა პროპაგანდისტური მეთოდებით. საჭირო იყო ძალების მაქსიმალური კონცენტრაცია საზღვაო და საჰაერო ბრძოლებისათვის. ბრიტანეთის კუნძულებზე შეტევის განხორციელებისათვის გერმანიის სარდლობამ შეიმუშავა საზღვაო ოპერაცია გასაიდუმლოებული დასახელებით „ზღვის ლომი“, ხოლო საჰაერო ბრძოლებისათვის გამოყო 1000 ბომბდამშენი და 700 გამანადგურებელი.

თუკი ზღვაზე უპირატესობა მიუხედავად გერმანელთა საგულდაგულო მზადებისა მაინც დიდი ბრიტანეთის მხარეზე იყო იგივე არ ითქმის ავიაციაზე. აქ ბრიტანეთი გერმანიას უპირისპირდებოდა მხოლოდ 500 ბომბდამშენს და 700 გამანადგურებელს. გერმანული ავიაციის სარდალი, რაიჰის ერთ-ერთი მეთაური გერინგი ტრაბახობდა, რომ მისი ლიუფტვაფე (სამხედრო საჰაერო ძალები — გერმ.) აღგვის ინგლისს პირისაგან მიწისა. მაგრამ ნაცისტების ვარაუდი ვერ გამართლდა. ბრიტანულმა ავიაციამ გამოავლინა მაღალი საბრძოლო თვისებები, ისევე როგორც რადიოსალოკაციო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ.

1940 წ. ივლის-ნოემბრის მანძილზე არ შეწყვეტილა ბრიტანეთზე მასირებული საჰაერო იერიშები. ცეცხლის ალში გახვეული იყო ლონდონი, ბრისტოლი, პლიმუტი, მიწასთან გასწორდა კოვენტრი. დაიღუპა 40 ათასი და მძიმედ დაიჭრა 46 ათასი ადამიანი. მაგრამ ბრიტანელებმა საბოლოო ჯამში აიძულეს მტერი უკან დაეხია. ამ საჰაერო ბრძოლაში ნაცისტების ავიაციამ დაკარგა 1733 თვითმფრინავი, ბრიტანულმა — 915. 1941 წ. გაზაფხულიდან გერმანელთა საჰაერო იერიშებ-

მა მნიშვნელოვნად იკლო. ჰიტლერი საბჭოთა კავშირთან ომისათვის ემზადებოდა და ჯარს რაიჰის აღმოსავლეთ საზღვრებთან უყრიდა თავს.

ბრიტანეთის კუნძულებისაგან უშუალო საფრთხის აცილება არ ნიშნავდა დიდი ბრიტანეთისათვის საომარი მოქმედების დასასრულს. მტრის შეტევის ობიექტი მისი ვეებერთელა იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა სამფლობელო იყო. ჰიტლერული ბლოკის წევრის, იტალიის აგრესია ინგლისის აფრიკული კოლონიებისაკენ წარიმართა. ისარგებლა რა გერმანიის შეტევით ბრიტანეთის კუნძულებზე, ფაშისტურმა იტალიამ 1940 წ. ზაფხულში წამოიწყო საბრძოლო მოქმედებები აღმოსავლეთ აფრიკაში, რათა გამოედევნა ინგლისი იქაური კოლონიური სამფლობელოებიდან.

აფრიკის ამ რეგიონში სახმელეთო და საზღვაო ძალთა უპირატესობა იტალიელთა მხარეზე იყო. მათ დაიკავეს ბრიტანეთის სომალი, შეიჭრნენ კენიასა და სუდანში. სექტემბერში იტალიელებმა წამოიწყეს შეტევა ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ და ეგვიპტეში შეიჭრნენ. მაგრამ მათი წარმატება ვერ გამოდგა ხანგრძლივი. მიიღეს რა შევსება, ინგლისელებმა დეკემბერში წამოიწყეს კონტრშეტევა და განდევნეს იტალიელები ეგვიპტიდან. 1941 წ. დასაწყისში წარმოებული ოპერაციების შემდეგ იტალიელებმა არა მარტო დათმეს მანამდე დაკავებული ბრიტანული ტერიტორიები, არამედ დაკარგეს ყველა თავისი სამფლობელო აღმოსავლეთ აფრიკაში.

მოკავშირის მარცხით შეშფოთებულმა გერმანულმა სარდლობამ თავისი ძალების გარკვეული რაოდენობა გადაისროლა აფრიკაში. მარტში გერმანია-იტალიის გაერთიანებულმა ჯარებმა დაამარცხეს ინგლისელები ლიბიაში და უკუაგდეს ისინი ეგვიპტის საზღვრებისაკენ. მაგრამ აპრილში ინგლისელებმა შესძლეს მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება. გერმანია საბჭოთა კავშირთან ომისათვის ემზადებოდა და მთელ ყურადღებას ახალ სამხედრო კამპანიას უთმობდა. აფრიკულმა ფრონტმა მისთვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

წარუმატებლად დასრულდა 1941 წ. აპრილში ბრიტანული ჯარებისათვის ბალკანეთის ოპერაცია, რომლებმაც მძიმე დამარცხება განიცადეს გერმანელებისაგან. გერმანიამ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული თავის კონტროლს დაუქვემდებარა. ეს საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც, 1941 წ. აპრილში ერაყში გერმანული დაზვერვის ხელშეწყობით მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში ანტიინგლისური მთავრობა მოვიდა. ამან აიძულა ინგლისი სასწრაფოდ გადაესროლა ჯარი ერაყში, რომელმაც უმნიშვნელოვანესი პუნქტები დაიკავა. ამრიგად, გერმანიამ ვერ მოახერხა ერაყის ხელში ჩაგდება.

მარცხი განიცადეს გერმანიის გეგმებმა სირიისა და ლიბანის მიმართაც, რომლებიც 1941 წ. ზაფხულში დროულად დაიკავეს ბრიტანეთისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი „თავისუფალი საფრანგეთის" ჯარებმა. მაგრამ მთლიანობაში ინგლისის მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. ამიტომაც ჩერჩილის სახელით დიდი ბრიტანეთის ელჩი აშშ-ში მიმართავდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს: „ბრიტანეთს უჭირს და ჩვენ თქვენი ფული გვჭირდება". ამის პასუხად რუზველტის ადმინისტრაციამ მიიღო ლენდ-ლიზის (Lend – სესხება (ინგ.); Lease – იჯარა (ინგ.) კანონი, რომლის მიხედვით აგრესორის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანას სესხად ან იჯარით გადაეცემოდა შეიარაღება.

1941 წ. 22 ივნისს გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. მეორე მსოფლიო ომმა არნახული მასშტაბები მიიღო საბრძოლო მოქმედებების სივრცით და მათში ჩაბმული ადამიანების რაოდენობით. ჩერჩილმა უმალ საღად და ერთობ თავისებურად შეაფასა სიტუაცია: „ამ სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირი – ივ.მ.) დაარსებიდან მას არ ყოლია ჩემზე დიდი მოწინააღმდეგ და მე არც ერთი სიტყვა არ მიმაქვს უკან. მაგრამ დღეს რომ ჰიტლერი ჯოჯოხეთს დასხმოდა თავს, მე ეშმაკს გაუწევდი დადებით რეკომენდაციას". ამით მან ხაზი გაუსვა, რომ ესმოდა, თუ არა მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლას ჰიტლერის წინააღმდეგ და შესაბამისად განზე გადასდო იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება.

ჩერჩილის ამგვარ განცხადებას დიდი ბრიტანეთის მთავრობის შესაბამისი ნაბიჯები მოყვა. 16 აგვისტოს დაიდო ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება საქონელბრუნვასა და სესხებზე. ლონდონმა ვალდებულება აიღო გაეზარდა ექსპორტი საბჭოთა კავშირში და გამოეყო მისთვის 3%-იანი სესხი 10 მლნ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ინგლის-ამერიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით 1941 წ. შემოდგომაზე მოსკოვში ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის შეიარაღების და სტრატეგიული მასალების გადაცმის შესახებ.

დეკემბერში კი მოსკოვში დაიდო ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ორი ქვეყნის თანამშრომლობას ფაშიზმის სრულ განადგურებამდე.

მნიშვნელოვანი როლი ანტიფაშისტური ფრონტის განმტკიცებაში ითამაშა აგრეთვე 1941 წ. აგვისტოში ინგლის-აშშ-ს მიერ ხელმოწერილმა ერთობლივმა დოკუმენტმა, რომელიც ატლანტიკური ქარტიის სახელით იყო ცნობილი. ქარტიამ ჩამოაყალიბა ფაშისტურ აგრესიასთან ბრძოლის მიზანი და სამოქმედო პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ომისშემდგომი მსოფლიოს დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობას.

დიპლომატიურ ნაბიჯებთან ერთად ინგლისი მიმართავდა პრაქტიკულ საშუალებებს, რათა უვნებელყო თავისი სტრატეგიული უსაფრთხოება. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლიტიკა ირანის მიმართ. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ ირანში ძალზე გააქტიურდა გერმანიის დაზვერვა, რათა ადგილობრივ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მეშვეობით ეს ქვეყანა გერმანიის მოკავშირედ ექცია. შექმნილ ვითარებაში, თავდაცვის მიზნით ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა შეიყვანეს თავისი ჯარები შესაბამისად ირანის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში. ამგვარი ნაბიჯი გათვალისწინებული იყო ამ ქვეყანასთან ადრე დადებული ხელშეკრულებებით. ირანი ანტიფაშისტურ კოალიციას შეუერთდა.

1941წ. მიწურულს მსოფლიო ომის ასპარეზი გაფართოვდა. გერმანიის მოკავშირე იაპონიამ, რომელსაც საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტი ჰქონდა დადებული, გადაწყვიტა დარტყმა აშშ-თვის მიეყენებინა, რათა ომის მეშვეობით გადაეწყვიტა ამ ქვეყანასთან მქონე წინააღმდეგობები. იაპონია მიისწრაფოდა სამხრეთ—აღმოსავლეთი აზია ჩაეგდო ხელთ და წყნარ ოკეანეზე გაბატონებულიყო. 7 დეკემბერს იაპონიის ავიაციამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ჰავაის კუნძულებზე მდებარე აშშ-ს სამხედრო—საზღვაო ბაზას პირლ ჰარბორში. ამის პასუხად აშშ-მ ომი გამოუცხადა ჰიტლერული კოალიციის ქვეყნებს.

პირლ ჰარბორზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ იაპონელებმა ინგლისელებს შეუტიეს და სინგაპურის მახლობლად ორი ინგლისური სამხედრო ხომალდი ჩაძირეს. 25 დეკემბერს მათ აიღეს ჰონკონგი, ხოლო 1942 წ. თებერვალში ხელთ იგდეს სინგაპური, სადაც 60 ათასიანი ბრიტანული არმია დანებდა. აპრილში მათ დაიპყრეს ბირმა და ინდონეზია. უშუალო საფრთხე შეექმნა ინდოეთს.

სამხედრო მარცხს და მდგომარეობის გაუარესებას ფრონტზე დაემატა სიძნელეები ქვეყნის შიგნით. გერმანული წყალქვეშა ნავების წარმატებული ოპერაციების შედეგად დიდი ზარალი ნახა ინგლისის სამხედრო და სავაჭრო ფლოტმა. მნიშვნელოვნად იკლო ქვეყანაში შემოსული სურსათსანოვაგის რაოდენობამ. ისეთი სახის სურსათზე, როგორიც არის ხორცი, კარაქი, შაქარი, ჩაი, შოკოლადი ბარათები შემოიღეს. ხელფასის გარკვეული ნაწილის სანაცვლოდ გაიცემოდა ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და საპონი. ყოველთვის ცხოვრების მაღალ დონეს ჩვეული ბრიტანელებიც ამგვარ შეზღუდვას მტკივნეულად აღითქვამდნენ. მით უფრო, რომ მდგომარეობა უარესდებოდა. დიდი ბრიტანეთი სასურსათო ბლოკადის საშიშროების წინაშე იდგა.

მდგომარეობა აშშ-ს დახმარებამ იხსნა. ამერიკელებმა განიმტკიცეს პოზიციები გრენლანდიასა და ისლანდიაში, რამაც ძალზე გააძლიერა სავაჭრო ქარავნების სამხედრო ბადრაგი. გარდა ამისა, ლენდ-ლიზით გაწეული დახმარების წყალობით დიდ ბრიტანეთსა თუ ანტიფაშისტური კოალიციის სხვა წევრებს გადაეცემოდა სურსათი, რომლის საერთო საფასურმა 1945 წ. ივლისისთვის 45 მლრდ. აშშ-ს დოლარს მიაღწია.

სრული დატვირთვით მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკა, რომელმაც ცენტრალიზებული და გეგმიური ხასიათი მიიღო. კონტროლს, დარეგულირებას დაექვემდებარა წარმოება და შრომის ანაზღაურება. ომმა და ოკუპაციის საფრთხემ აიძულეს ინდივიდუალისტურად შეპყრობილი ინგლისელები შეგუებოდნენ მათთვის ესოდენ არასასურველ სახელმწიფოს ჩარევას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბევრი კერძო დაწესებულება თუ სასტუმრო სახელმწიფო დაქვემდებარების ობიექტად გადაიქცა.

გაიზარდა საერთო ეროვნული შემოსავალი, რომლის უმაღლესი მაჩვენებელი მიღწეულ იქნა 1943 წ. დასაქმებაში უდიდესი წილი სამხედრო წარმოებაზე მოდიოდა — 30%, ყველა დანარჩენ სფეროზე კი 36%. დასაქმებულთა 50%-ს ქალები შეადგენდნენ, თუმცა კი ისინი მამაკაცებზე ნაკლებ ხელფასს იღებდნენ. ქალების ასეთმა მოძალებამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ზოგიერთ საწარმოში მათ მტრულად ხვდებოდნენ. მაგრამ ეს იყო ობიექტური პროცესი. შექმნილი მდგომარე-

ობის მეშვეობით ქალები უფრო ფართოდ იმკვიდრებდნენ ადგილს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, შრომით პროცესში, რომელზედაც ესოდენ იყო დამოკიდებული თავდაცვისუნარიანობის გამაგრება და მტერზე გამარჯვება.

1942 წ. გადამწყვეტი იყო მეომარი მხარეებისათვის. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერმა 6,2 მლნ. ჯარისკაცსა და ოფიცერს მოუყარა თავი (არც მანამდე, არც მერე მას არ ყოლია ასეთი ძალა აღმოსავლეთის ფრონტზე). გერმანელებმა დაიწყეს შეტევა სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით, რათა ხელთ ეგდოთ ამ უკანასკნელის ნავთობი, მანგანუმი და გაჭრილიყვნენ ახლო აღმოსავლეთში. ჩრდილოეთ აფრიკაში გენერალი რომელის აფრიკულმა კორპუსმა შეუტია ინგლისელებს და უკუაგდო ისინი კაირომდე. ბრიტანეთის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში უშუალო საფრთხე შეექმნა. საბჭოთა და ახლო აღმოსავლური ფრონტების გარღვევის შემთხვევაში გერმანული ჯარები იაპონელებთან ერთად ინდოეთს შეუტევდნენ.

ვეებერთელა მასშტაბების ეს ოპერაცია ანტიჰიტლერული კოალიციის სრული გამარჯვებით დამთავრდა. სტალინგრადის და კავკასიისათვის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მტრის 100 დივიზიაზე მეტი და სრულიად დაეუფლნენ სტრატეგიულ ინიციატივას. 1942 წ. ივლისში ინგლისის ჯარებმა გენერალ მონტგომერის მეთაურობით შეუტიეს გერმანულ-იტალიურ ჯარებს და დაამარცხეს ისინი ელ ალამეინთან, ალექსანდრიიდან 100 კმ-ს მოშორებით.

ოქტომბერში მონტგომერიმ ახალი შეტევა წამოიწყო. გენერალი რომელი ჰიტლერს დაჟინებით სთხოვდა რეზერვებს. მაგრამ ამაოდ. ჰიტლერს პრაქტიკულად მთელი თავისი მოქმედი ძალები სტალინგრადის ბრძოლაში ჰყავდა ჩაბმული. ამან საშუალება მისცა მონტგომერის განევითარებინა თავისი წარმატება და მტერი ლიბიის საზღვრამდე უკუეგდო. ერთდროულად ლიბიაში ინგლის-ამერიკულმა დესანტმა წამოიწყო ოპერაცია „ტორჩი" (Torch – ჩირაღდანი ინგ.) და მოწინააღმდეგეს დასავლეთიდან შეუტია. რომელის დაჯგუფება ალყაში მოექცა. 1943 წ. მაისში 250 ათასიანი გერმანულ-იტალიური დაჯგუფება დანებდა. აფრიკულ ფრონტზე ბრძოლა ინგლისელთა გამარჯვებით დამთავრდა.

წარმატებული გამოდგა ინგლისისათვის საბრძოლო მოქმედებები აზიაში. 1942წ. დასაწყისში ინგლისელებმა დაამარცხეს იაპონელები ჩრდილოეთ ბირმაში და ამით მოაშორეს ინდოეთს უშუალო საფრთხე. იმავე წლის მაისში მათ დაამარცხეს იაპონელები ჯერ მარჯნის ზღვის, ხოლო ივნისში მიდუეის საზღვაო ბრძოლებში. ამან თავიდან ააცილა ავსტრალიას იაპონელთა შეჭრის საფრთხე.

1942წ. სამხედრო კამპანიების შედეგად გამოვლინდა ზოგიერთი წინააღმდეგობა ანტიჰიტლერული კოალიციის რიგებში. აფრიკაში გერმანელთა დამარცხებით ამერიკელები ისწრაფოდნენ დაემყარებინათ თავისი გავლენა საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ აფრიკულ კოლონიებში. ამან შეაშფოთა ინგლისელები, რომლებიც საფრანგეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გენერალ შარლ დე გოლს უჭერდნენ მხარს. საბოლოოდ აფრიკის ეს რეგიონი დე გოლის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, რაც ინგლისელთა წარმატებათაც უნდა ჩაითვალოს.

უფრო შესამჩნევ უთანხმოებას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირსა და მის დასავლელ მოკავშირეებს შორის. საბჭოთა კავშირი, რომლის წილად უდავოდ, ყველაზე მძიმე სამხედრო ტვირთი მოდიოდა, ითხოვდა მის შემსუბუქებას. სტალინი დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეებისაგან მათი ვალდებულების შესრულებას მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. რასაკვირველია, სამოკავშირეო ურთიერთობები ბოლომდე ვერ წაშლიდნენ მხარეებს შორის არსებულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას. ეჭვგარეშეა, რომ სტალინი საბჭოური სისტემის სამომავლო გაფართოებაში ხედავდა იმ თავისებურ კომპენსაციას, რომელიც საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო ომში ნანახი ზარალის სანაცვლოდ. თავისთავად, ამას ვერ შეეგუებოდა დასავლეთის სამყარო, რომელიც ტოტალიტარული სისტემის და მით უფრო, მისი გაფართოების მოწინააღმდეგე იყო.

მეორე ფრონტთან დაკავშირებით ენერგიულად ამოქმედდა ჩერჩილი. იმ მიზნით, რომ დასავლეთის დემოკრატიებს არ დაეკარგა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაზე, მან წამოაყენა წინადადება გაეხსნათ მეორე ფორონტი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ჩერჩილი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა აშშ-ს პრეზიდენტი რუზველტი ამ გეგმის ქმედითუნარიანობაში. მაგრამ ამერიკულმა მხარემ თავი აარიდა ამ გეგმას, რომელიც მეტისმეტად რთულად მიაჩნდა. ვაშინგტონში უფრო დასავლეთ ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში შეჭრის იდეას ემხრობოდნენ.

1943 წ. იანვრის შეხვედრაზე კასაბლანკაში რუზველტმა და ჩერჩილმა მიიღეს გადაწყვეტილება მოკავშირეთა ჯარების სიცილიაში და შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრის შესახებ. ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა ომიდან გერმანიის ევროპული მოკავშირის, იტალიის გამოთიშვას. იტალიის ფაშისტური რეჟიმის კრიზისი და პოლიტიკური კატასტროფა დაჩქარდა გერმანიის საბჭოთა ჯარებთან კურსკის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ 1943 წ. ივლისში, რომლის შედეგად განადგურებულ იქნა 30 გერმანული დივიზია. ივლისში ინგლის-ამერიკის დესანტმა დაამარცხა იტალიელები ჯერ სიცილიაში, მერე კი აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთში. მუსოლინის რეჟიმი დამხობილ იქნა.

მოკავშირის გადარჩენის მიზნით გერმანიამ მოახდინა იტალიის სრული ოკუპაცია. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად ინგლის-ამერიკის ჯარებს გაუჭირდათ გერმანულ შენაერთებთან ბრძოლა, იტალია, სადაც გერმანელთა დახმარებით აღდგენილ იქნა მუსოლინის მარიონეტული რეჟიმი, საბოლოოდ განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ 1945 წ. აპრილში.

1943 წ. ნოემბერ-დეკემბერში თეირანში შედგა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების მეთაურთა, ე.წ. „დიდი სამეულის", სტალინის, ჩერჩილის და რუზველტის შეხვედრა. თეირანის შეხვედრამდე შედგა ჩერჩილის და რუზველტის შეხვედრა კაიროში, ამ შეხვედრაზე მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება იაპონიის აგრესიის აღკვეთის და მისი, როგორც აგრესორის დასჯის შესახებ. გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ ჩინეთს უნდა დაბრუნებოდა იაპონიის მიერ მიტაცებული მიწები. მათვე სცნეს კორეელი ხალხის უფლება შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

თეირანის კონფერენციაზე მსჯელობის საგანი იყო მეორე ფრონტის გახსნა. რუზველტმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა შეჭრა დასავლეთ ევროპაში სავარაუდოდ მოხდებოდა 1944 წ. მაისივნისში. მისგან განსხვავებით ჩერჩილმა თავი აარდა პირდაპირ პასუხს და კვლავ წამოაყენა მოსაზრება ასეთი ფრონტის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გახსნის შესახებ.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა სტალინი. იგი მიუთითებდა, რომ მოკავშირეებისათვის დესანტის გადასხმა ყველაზე მოსახერხებელი იყო სწორედ საფრანგეთში და არა უგვიანეს მაისისა. მანვე აღუთქვა მოკავშირეებს, რომ მათ დესანტს საბჭოთა კავშირი მხარს დაუჭერდა ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციით აღმოსავლეთის ფრონტზე. აღნიშნული საკითხზე კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა ჩრდილოეთ საფრანგეთში 1944 წ. მაისში.

აზრთა სხვაობა გამოიწვია გერმანიის ომისშემდგომი მოწყობის საკითხმა. რუზველტმა შემოიტანა წინადადება გერმანია ხუთ სახელმწიფოდ დაენაწევრებინათ. ჩერჩილის აზრით საჭირო იყო პრუსიის დანარჩენი გერმანიისაგან იზოლირება, ხოლო სამხრეთ გერმანული მიწების ე.წ. „დუნაის ფედერაციაში" გაერთიანება. როგორც ჩანს, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურებს სურდათ ამ გზით გერმანიის, როგორც აგრესიის სავარაუდო კერის ნეიტარლიზაცია.

ამ მოსაზრებების წინააღმდეგ გამოვიდა სტალინი. საბჭოთა ჯარის სწრაფი, ძლევამოსილი მოქმედების მეშვეობით იგი ვარაუდობდა გერმანიის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლის დამყარებას და ბუნებრივია, არ დეთანხმა პატარა წარმონაქმნების ჩამოყალიბებას. ეს საკითხი ევროპის საკონსულტაციო კომისიას გადაეცა გადასაწყვეტად. მიუხედავად ზოგიერთ საკითხზე არსებული აზრთა სხვაობისა კონფერენციას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან არ გაამართლა ჰიტლერის დიპლომატიის ზრახვები, რომელიც ანტიფაშისტური კოალიციის გახლეჩისაკენ ისწრაფოდა. კონფერენციაზე მხარეები შეთანხმდნენ ებრძოლათ ჰიტლერის რეჟიმის სრულ განადგურებამდე.

1944წ. დასაწყისში ინგლის-ამერიკის სარდლობამ დაიწყო მზადება მეორე ფრონტის გახსნისათვის. ამ ოპერაციის განხორციელებისათვის, რომელიც „ოვერლორდის" (Overlord-ინგ. უზენაესი მბრძანებელი) გასაიდუმლებული სახელით იყო ცნობილი მოკავშირეებმა ბრიტანეთის კუნძულებზე თავი მოუყარეს 4 არმიას, რომელიც 37 დივიზიას და 13 ბრიგადას ითვლიდა. მათ განკარგულებაში იყო ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომელიც ზღვაზე ბატონობდა 11 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი. გერმანელებს დასავლეთ ევროპაში 61 დივიზია ჰყავდათ განლაგებული, მაგრამ შეიარაღების დონე და საბრძოლო თვისებები ჩამორჩებოდა აღმოსავლეთის ფრონტზე მებრძოლი გერმანული ჯარების შესაბამის მონაცემებს.

6 ივნისს მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ საფრანგეთში, ნორმანდიაში. ჯარების სარდლობა დაევალა ამერიკელ გენერალს ლუაიტ ეიზენჰაუერს, მისი მოადგილე იყო ავიაციის მთავარი მარშალი, ბრიტანელი სერ არტურ ტედერი.

მეორე ფრონტის გახსნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰიტლერული გერმანია რკალში მოექცა და ამან თავისითავად დააჩქარა მისი დამარცხება. თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ ბრძოლების მასშტაბები და სიმძაფრე, რომლითაც ხასიათებოდა აღმოსავლეთის ფრონტი, უცხო იყო დასავლეთ ევროპაში წარმოებული სამხედრო ოპერაციებისათვის. ამას თავად გერმანული სარდლობის წარომადგენლებიც არ უარყოფდნენ. როგორც გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი, გენერალი გუდერიანი ამბობდა, მთელი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე კატასტროფული მდგომარეობის გადასარჩენად იყო გადასროლილი (მეორე ფრონტის გახსნის დღიდან ეს 59 დივიზია და 13 ბრიგადას შეადგენდა. გერმანელი გენერლის მელენტინის ცნობით 1944 წ. 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე გერმანელებმა საბჭოთა კავშირთან ბრძოლებში დაკარგეს 916 860 ჯარისკაცი და ოფიცერი, მაშინ, როდესაც დროის იმავე მონაკვეთში დასავლეთ ევროპაში მხოლოდ 293 802.

მოკავშირეთა ოპერაციის მასშტაბები უდავოდ მეტყველებენ მათი ქვეყნების (პირველ რიგში აშშ-ს) მაღალ მატერიალურ-ეკონომიკურ დონეზე. მაგრამ უშუალოდ საომარ მსვლელობაში მათი წინსვლა მოკრძალებული იყო. საფრანგეთში, ფალეზის რაიონში მათ ალყას დაუსხლტა 20 გერმანული დივიზია. პარიზი პრაქტიკულად საფრანგეთის წინააღმდეგობის (პარტიზანული) მოძრაობის ძალების მიერ იქნა განთავისუფლებული. ინგლის-ამერიკულ ჯარებს მნიშვნელოვანწილად ზურგის სამსახურმა უმტყუნა, რომლის არასათანადოდ ეფექტურ მოქმედებას თავად ფრონტზე მყოფი ბრიტანელი და ამერიკელი გენერლებიც აკრიტიკებდნენ.

გერმანულმა სარდლობამ ისარგებლა აღნიშნული მდგომარეობით და 1944 წ. დეკემბერში დასავლეთის ფრონტზე შეტევა წამოიწყო არდენის მიდამოებში. მოწინააღმდეგის დაჯგუფების დამარცხებით ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ აიძულებდა მოკავშირეებს დაეწყოთ მოლაპარაკება სეპარატული ზავის შესახებ.

1944 წ. დეკემბერში გერმანიამ შეტევა წამოიწყო არდენის მიდამოებში. მიუხედავად მოკავშირეთა რიცხობრივი და მატერიალურ-ტექნიკური უპირატესობისა გერმანელებმა აიძულეს მტერი უკან დაეხია. 1945 წ. იანვარში გერმანელებმა ახალი დარტყმა მიაყენეს მოკავშირეებს ალზასში. ბრიტანულ-ამერიკული ჯარები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შექმნილ სიტუაციაში ჩერჩილმა მიმართა თხოვნით სტალინს რათა საბჭოთა ჯარებს დაეწყოთ შეტევა აღმოსავლეთის ფრონტზე და ამით მიეზიდათ მტრის ძალების გარკვეული რაოდენობა, რაც შეამსუბუქებდა მოკავშირეთა მდგომარეობას. საბჭოთა სარდლობამ არ დააყოვნა სამოკავშირეო ვალდებულების შესრულება, ვადაზე ადრე წამოიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა, რომლის დროს გაანადგურა მტრის 60 დივიზია და შეიჭრა გერმანიის ტერიტორიაზე.

ჰიტლერელთა მარცხმა აღმოსავლეთის ფრონტზე საშუალება მისცა მოკავშირეებს კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. მარტში მათ მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს რაინის მარჯვენა ნაპირზე და ალყაში მოაქციეს მტრის 325 ათასიანი დაჯგუფება. ალყაში მოქცეული ფაშისტური გერმანიის განადგურება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

ამგვარ პირობებში, 1945 წ. თებერვალში, საბჭოთა კავშირში, ყირიმში, იალტაში შედგა ახალი სამოკავშირეო კონფერენცია, „დიდი სამეულის", სტალინის, ჩერჩილის და რუზველტის მონაწილეობით. კონფერენციის მონაწილეებს უნდა შეემუშავებინათ ფაშიზმის განადგურების საბოლოო გეგმა და ჩამოეყალიბებინათ მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობის საფუძვლები. მოლაპარაკებაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გერმანიის საკითხს. უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ გერმანია სამ საოკუპაციო ზონად უნდა დაყოფილიყო. აღმოსავლეთის ზონა საბჭოთა კავშირის კონტროლს ექვემდებარებოდა, ჩრდილო-დასავლეთი — დიდი ბრიტანეთის, ხოლო სამხრეთ დასავლეთი — ამერიკის. დედაქალაქი ბერლინი ასევე სამ საოკუპაციო ზონად დაიყოფოდა. კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიის დამარცხების ორი-სამი თვის შემდეგ იაპონიასთან ომის დაწყების შესახებ.

მაგრამ კონფერენციამ გამოავლინა მოკავშირეთა ბანაკში არსებული წინააღმდეგობებიც. ამ წინააღმდეგობებმა, რომელთაც აბსოლუტურად კანონზომიერი ხასიათი ჰქონდა განაპირობეს ომისშემდგომი მსოფლიოს ბედი XX ს. დასასრულამდე. საერთო მტრის დამარცხების მოახლოებამ მოკავშირეების წინაშე ომისშემდგომ მსოფლიოში თავისი საკუთარი ქვეყნის როლის და ადგილის სა-

კითხი დააყენა. საკუთარი პოპულარობის და ავტორიტეტის ზრდამ მსოფლიოს მასშტაბით,[81] ძლევამოსილი არმიის შექმნამ, რომელმაც უდავოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, პირადმა რიხმა და ამბიციურობამ სტალინს იმედი ჩაუსახა, რომ ომის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა კომუნისტური სისტემის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება. საბჭოთა ხელმძღვანელის წინაშე ერთობ მიმზიდველი პერსპექტივა ყალიბდებოდა – მსოფლიოს კომუნისტური სისტემა მისი უშუალო გავლენის ქვეშ.

რასაკვირველია, ეს აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა დასავლეთის ხელმძღვანელობის მისწრაფებას და რწმენას. მათთვის მიუღებელი იყო კომუნიზმი და მით უფრო მისი გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. კომუნიზმი, მისი ერთპარტიული სისტემით, სახელმწიფოს უზენაესობით, სახელმწიფო საკუთრების წარმმართველი როლით, პიროვნების სახელმწიფო სტრუქტურებისადმი სრული დაქვემდებარებით მსოფლიოს ნაციზმის ალტერნატივის როლში მოეევლინებოდა. ამიტომ დასავლეთის ლიდერებმა გადაწყვიტეს წინ აღდგომოდნენ საბჭოთა სისტემის ესოდენ მასშტაბურად გავრცელებას.

ამ მხრივ ერთობ ენერგიული იყო ჩერჩილი. ჯერ კიდევ ყირიმის კონფერენციაზე, და შემდეგაც, მან დააყენა პოლონეთის ომისშემდგომი მოწყობის საკითხი. მისი აზრით პოლონეთს სათავეში ემიგრაციაში (კერძოდ ლონდონში) მყოფი მთავრობა უნდა ჩასდგომოდა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე იყო აგებული. ამ საკითხში ჩერჩილი სტალინის წინააღმდეგობას წააწყდა, რომლის ზეწოლით პოლონეთის მომავალი მთავრობა შერეული ხასიათის, როგორც პროსაბჭოური, ასევე ემიგრაციული წარმომადგენლებისაგან ჩამოყალიბდა.

ჩერჩილის შეშფოთებას იწვევდა აგრეთვე საომარი მსვლელობის გადამწყვეტი ეტაპიც. თუკი სტალინგრადის ბრძოლის დროს ივი სწერდა სტალინს: „არნახული აღფრთოვანებით ვადევნებთ თვალყურს იმ შესანიშნავ წინააღმდეგობას, რომელსაც თქვენი ჯარები უწევენ მტერს. ღმერთი იყოს ყველა თქვენი წამოწყების მფარველი". 1945 წ. აპრილში კი მას აწუხებდა საბჭოთა ჯარების სწრაფი სვლა ბერლინისაკენ. იგი მიიჩნევდა, რომ ინგლის-ამერიკის ჯარებს ყველაფერი უნდა ეღონათ, რათა პირველები შესულიყვნენ ბერლინში.

ჩერჩილი იმასაც შიშობდა, რომ საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას ბერლინის აღების შემდეგ და მოკავშირეთა ზონებში შეიჭრებოდნენ. ამ სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იგი უკიდურეს ნაბიჯზეც კი წავიდა. მან უბრძანა ბრიტანული ჯარების სარდალს ფელდმარშალ მონტგომერის შეეგროვებინა ტყვედ ჩაბარებულ გერმანელთა იარაღი, რათა იგი საჭიროების შემთხვევაში მათთვისვე დაერიგებინა და საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ წარემართა.

მაგრამ მოკავშირეთა ბანაკში განხეთქილება არ მომხდარა. 30 აპრილს ჰიტლერმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. 2 აპრილს კი საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბერლინი. 8 მაისს დამარცხებული გერმანული ჯარის სარდლობამ უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

გერმანიის დამარცხების შემდეგ მოკავშირეთა წინაშე დადგა მისი აღმოსავლელი პარტნიორის, იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოება. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა გაორებულ სიტუაციაში მოხდა. ერთ მხრივ, კოალიციის შემდგომი განმტკიცების სიმბოლოდ იქცა 1945 წ. აპრილ-ივნისში სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა. მეორე მხრივ კი, ადგილი ჰქონდა თავად მოკავშირეთა რიგებში წინააღმდეგობების შემდგომ გაღრმავებას. საბჭოთა კავშირი მისი დიდი სამხედრო შესაძლებლობებით და შეურიგებელი იდეოლოგიით დასავლური დემოკრატიების მიერ რეალურ საფრთხედ იქნა მიჩნეული. ამის საპასუხოდ აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, რომელმაც ეს თანამდებობა 1945 წ. აპრილში დაიკავა პრეზიდენტ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის მიმართ უფრო მკვეთრი კურსი გაეტარებინა.

სწორედ ეს ტენდენცია გამოვლინდა 1945 წ. ივლის-აგვისტოში ჩატარებულ პოტსდამის საერთაშორისო კონფერენციაზე. „დიდი სამეული" ამ კონფერენციას ცვალებადი შემადგენლობით ესწრებოდა. ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ სტალინი იყო. რუზველტი ტრუმენმა შეცვალა, ხოლო ჩერჩილმა კონფერენციის პირველ ნახევარში მიიღო მონაწილეობა. საყოველთაო არჩევნებში

---

81 ომის დროს ბრიტანელი მუშები და მომარაგების მინისტრი ლორდი ბივერბრუკი ერთნაირი ენთუზიაზმით შეუდგნენ ტანკების ჯოსათვის გამოშვებას. „Tanks for Joe" – ტანკები ჯოსათის. Joe, Joseph (ინგ. სოსო, იოსები), იგულისმებოდა იოსებ სტალინი. თეირანის კონფერენციაზე სტალინმა ჩაიბარა სამახსოვრო მახვილი, რომელიც ინგლისის მეფემ ჯორჯ V უბოძა სტალინგრადის გმირ დამცველებს.

მისი საკმაოდ მოულოდნელი დამარცხების შემდეგ კონფერენციაზე იგი ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კლემენტ ეტლიმ შეცვალა.

პრეზიდენტ ტრუმენის მკვეთრი კურსის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ატომური ბომბი. ეს ყველასათვის უცნობი, მანამდე არნახული გამანადგურებელი ძალის, გასაიდუმლოებულ პირობებში დამზადებული იარაღი უნდა გამხდარიყო საბჭოთა ექსპანსიის მთავარი შემაკავებელი ძალა. კონფერენციაზე ტრუმენმა სტალინს უთხრა, რომ აშშ-ს განკარგულებაში უკვე იყო არნახულად დიდი დამანგრეველი ძალის იარაღი. ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი იგივე იარაღის შექმნას დაახლოებით 20 წლის შემდეგ შესძლებდა. საბჭოთა ლიდერმა მისთვის ჩვეული სიმშვიდით, წარბშეუხრელად მოისმინა ეს სიახლე[82]. ოთხი წლის შემდეგ კი 1949წ. საბჭოთა კავშირმა პირველად გამოსცადა თავისი ატომური იარაღი. მაგრამ მიუხედავად შექმნილი დაძაბულობისა კოალიციის გახლეჩა, რასაც ესწრაფოდა იაპონია, არ მომხდარა. აგვისტოში საბჭოთა კავშირი შეუერთდა მოკავშირეებს და ჩაება ომში იაპონიის წინააღმდეგ.

ომის აზიურ ფრონტზე საომარი მოქმედებები ბრიტანული ჯარების სასარგებლოდ მიმდინარეობდა. 1945 წ. მაის-აგვისტოში იაპონელები დამარცხებულ და განდევნილ იქნენ ბირმადან. იმავე წლის ზაფხულში ბრიტანულ-ავსტრალიურმა ჯარებმა შეუტიეს იაპონელებს ინდონეზიის კუნძულებზე. აგვისტოს დასასრულს მათ განდევნეს ოკუპანტები იავის, ბორნეოს და ცელებესის კუნძულებიდან.

საბჭოთა კავშირის ჩაბმამ ომში დააჩქარა იაპონიის დამარცხება. არანაკლები, თუ არა მეტი ეფექტი ჰქონდა ამერიკელების მიერ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ატომური იარაღის გამოყენებას. 6 და 9 აგვისტოს მათ დაბომბეს ქალაქები ხიროსიმა და ნაგასაკი, დაიღუპა და დაიჭრა 247 ათასამდე ადამიანი. რასაეკვირველია, ატომური დაბომბვა გარკვეულწილად საბჭოთა კავშირის დაშინებასაც ისახავდა მიზნად. შექმნილ ვითარებაში იაპონიას აღარ შესწევდა ძალა გაეგრძელებინა ომი. იაპონიის მთავრობამ დაზავება ითხოვა. 1945 წ. 2 სექტემბერს იაპონიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც არნახული ნგრევა გამოიწვია და თითქმის 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დამთავრდა. დიდმა ბრიტანეთმა გაუძლო ამ ხანგრძლივ და მძიმე გამოცდას. გამოავლინეს რა სიმამაცე, ხასიათის სიმტკიცე და პატრიოტული შემართება, ბრიტანელებმა დაამტკიცეს მათი ეროვნული ფასეულობების მარადიული ხასიათი.

ჟეფილდღეობის სახელმწიფო

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთისათვის ნამდვილად ახალი ხანა დადგა. ომმა როგორც ყოველთვის მსხვერპლი და ზარალი მოიტანა. პირველი მსოფლიო ომის დანაკარგებით დათრგუნული ბრიტანელები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ომისაგან განზე დადგომას, მაინც ვერ ასცდნენ მის ქარტეხილს. დიდმა ბრიტანეთმა 710 ათასი ადამიანი დაკარგა, აქედან 60 ათასი სამოქალაქო პირი. მნიშვნელოვანი იყო მატერიალური და ფინანსური ზარალიც. უარყოფითმა სხვაობამ ექსპორტსა და იმპორტს შორის 1 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია. 1939 წ. არსებული ოქროს მარაგის 2/3 დაიხარჯა, საშინაო კაპიტალი 3 მლნ. გირვანქა სტერლინგით შემცირდა, ექსპორტის დონემ ომამდელ მაჩვენებელთან შედარებით 1/3 დაიწია. საგარეო ვალმა 3 ათას მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. სახელმწიფო ვალი 23 მილიარდ სტერლინგამდე გაიზარდა. ერთი სიტყვით დიდი ბრიტანეთის გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში ნამდვილად „პირობის გამარჯვება“[83] იყო.

ამგვარ პირობებში ომისაგან დატანჯული მოსახლეობა რადიკალური ცვლილებების მოლოდინით იყო აღვსილი. ეს ცვლილებები კი ძნელად აღიქმებოდა ჩერჩილის და საერთოდ, იმ მთავრობის ფონზე, რომელშიც კონსერვატორები სჭარბობდნენ. უინსტონ ჩერჩილი, უდავოდ ომში გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი იყო. მისი რიხი, უშრეტი ენერგია მთელ საზოგადოების თავისე-

---

[82] იმ ხანად ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ სტალინის განკარგულებით საბჭოთა მეცნიერები გამალებით მუშაობდნენ ატომური იარაღის შექმნაზე.

[83] პიროსი, III ს.ძვ.წთ. ცნობილი ბერძენი სარდალი, იბრძოდა რიმაელთა წინააღმდეგ. ერთ-ერთ სისხლისმღვრელ ბრძოლაში მან გამარჯვება ლაჩარი დანაკარგის ფასად მოიპოვა. ამიტომ ასეთ გამარჯვებას პიროსის გამარჯვება ეწოდება.

ბურ მამოძრავებელ ძალად იქცა. იგი ოსტატურად ხელმძღვანელობდა პოლიტიკოსებსა და სამხედროებს, გაცილებით უკეთ, ვიდრე ამას აკეთებდნენ ლოიდ ჯორჯი და ასკვიტი I მსოფლიო ომის დროს. მაგრამ ეს ომის დროს ხდებოდა. ჩერჩილიც ომის დროის ბელადი იყო. მან ერთდროულად დაიკავა პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობები. ინგლისში, დემოკრატიის ამ აკვანში, ამგვარი მოვლენები მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში იყო მისაღები.

ომი დამთავრდა, და ამგვარი მმართველობა ბრიტანელთა თვალში ტოტალიტარიზმის ანგლოსაქსურ ფორმად წარმოჩნდა. მოსახლეობას კარგად ახსოვდა 30-იანი წლების ეკონომიკური სიძნელეები, მაამებლობა ჰიტლერის აგრესიული პოლიტიკის მიმართ და ყველაფერს ამას კონსერვატორებს უკავშირებდა.

როდესაც ომის შემდეგ კოალიციური მთავრობა დაიშალა, ჩერჩილმა მთელი თავისი ენერგია და ორატორული ნიჭი თავისი კაბინეტის ყოფილი წევრების, ლეიბორისტების კრიტიკას მოახმარა. იგი ამომრჩევლებს აფრთხილებდა, რომ ლეიბორისტების მიერ ნაქადაგები სოციალიზმი ქვეყანას პოლიციურ-ტოტალიტარულ სახელმწიფომდე მიიყვანდა. მაგრამ ამომრჩევლებმა ყურად არ იღეს მისი შეგონება. მათთვის ჩერჩილი ომის გმირად რჩებოდა. ახლა კი მშვიდობა იყო. რამდენად მოერგებოდა ომის ბელადი მშვიდობიან ხანას? სწორედ ეს აეჭვებდა ამომრჩევლებს. ამასთან ერთად, ყურადსაღებია ერთი მომენტი, რომელიც ნათელს ფენს ბრიტანელების პოლიტიკურ ცნობიერებას. ომის ბელადის შარავანდედმა, რომლითაც შემოსილ იყო ჩერჩილი, ვერ მოსჭრა თვალი პრაქტიკულად მოაზროვნე ბრიტანელებს, ვერ მოაქცია ისინი ბელადის დიდების ტყვეობაში. ძველი დიდება უმალ წარსულს ჩაბარდა. ახალ პირობებში ჩერჩილი ამომრჩევლებისათვის მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთი პარტიის ლიდერი იყო.

ლეიბორისტებმა, რომლებმაც ზურგი აქციეს თავის ძველ მეთაურსა და მოკავშირეს, წამოაყენეს სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ლოზუნგით: „მოგვეცით საშუალება მზერა მივაპყროთ მომავალს“. ამგვარ პირობებში მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ ჩერჩილი და მისი მომხრეები. 1945 წ. ივლისში ჩატარებულ არჩევნებში ლეიბორისტებმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვეს. მათ 393 მანდატი მიიღეს პარლამენტში, კონსერვატორებმა მხოლოდ 189. ლეიბორისტული მთავრობა პარტიის ლიდერმა კლემენტ ეტლიმ ჩამოაყალიბა.

რასაკვირველია, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მშვიდობიან ყაიდაზე გარდაქმნა ერთბაშად ვერ მოხდებოდა. ამას დრო, გარკვეული გეგმა და რაც მთავარია ფული სჭირდებოდა. დიდი ბრიტანეთი კი ამ უკანასკნელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყარო, საგარეო ვაჭრობა მოშლილი იყო, რადგან ბრიტანეთმა ომში თავისი სავაჭრო ფლოტის ნახევარი დაკარგა. ომის შემდეგ გაქრა აგრეთვე ე.წ. უხილავი შემოსავალი, მოგება, რომელიც ინგლისში შემოდიოდა უცხოეთში გაკეთებული კაპიტალდაბანდებებიდან. ომით გათვალისწინებული ლენდ-ლიზის კანონით გაწეული დახმარების შეწყვეტამ აიძულა დიდი ბრიტანეთი აელო ახალი სესხები, რათა შეესყიდა აშშ-სგან სურსათი. სწორედ ამ მიზნით, ბრიტანეთმა აშშ-სგან ისესხა 3,75 მილიარდი დოლარი, ხოლო კანადისაგან 1,125 მილიარდი დოლარი. მნიშვნელოვანი იყო ევროპის აღდგენის გეგმით (მარშალის გეგმით)[84] გაწეული დახმარება, რომელმაც 1948-1951 წწ. მანძილზე 2 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამრიგად, დიდი ბრიტანეთი ფინანსურად აშშ-ზე შეიქნა დამოკიდებული. დიდი ბრიტანეთის მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ ჯერ კიდევ ლენდ-ლიზით გათვალისწინებული ერთ-ერთი მუხლის თანახმად მან უარი თქვა აშშ-სთან კონკურენციაზე და დაუთმო მას სამხრეთ ამერიკის ბაზარი.

ამ ფინანსურ სიძნელეებს რეალური გამოხატულება ჰქონდა მოსახლეობის ცხოვრებაში. შეზღუდვა ტანსაცმლის შეძენა–მოხმარებაზე გაუქმდა მხოლოდ 1949წ., სურსათის ზოგიერთ სახეობაზე 1954წ., ხოლო ქვანახშირზე, რომელიც გათბობისთვის გამოიყენებოდა 1958 წ. უფრო მეტიც, შეზღუდვები ომისშემდგომი რამოდენიმე წლის მანძილზე შემოღებულ იქნა პურსა და კარტოფილზე. ამ სახის სურსათზე შეზღუდვისაგან მთავრობა ომის დროს თავს იკავებდა, რადგანაც თვლიდა, რომ საომარ პირობებში ეს მოსახლეობაზე მეტისმეტად დამთრგუნავად და დამამცირებლად იმოქმედებდა.

ამგვარ პირობებში დაიწყო ლეიბორისტულმა მთავრობამ თავისი წინასაარჩევნო პროგრამის განხორციელება, რომელსაც მათი თქმით მოსახლეობისათვის შვება და აყვავება უნდა მოეტანა. ამ

[84] ჯორჯ მარშალი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, აღნიშნული გეგმის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

პროგრამის მთავარ ამოცანას ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ნაციონალიზაცია წარმოადგენდა. ნაციონალიზებულ იქნა ინგლისის ბანკი, ქვანახშირის, ელექტრო, ტრანსპორტის, გაზის, კავშირგაბმულობის სამსახურები, მეტალურგია. სულ აღნიშნულ დარგებში დასაქმებული იყო 2 მლნ. მუშა-მოსამსახურე.

შემოღებულ იქნა სახელმწიფო დაზღვევა, რომელიც ფულადი შემწეობით უზრუნველყოფდა უმუშევრებს, დროებით შრომისუნარმოკლებულთ,პენსიონერებს, ქვრივებს და ობლებს. დაწესებულ იქნა საყოველთაო უფასო სამედიცინო მომსახურება, ამ სფეროს დაფინანსება ორი წყაროს მეშვეობით ხდებოდა. ეროს სახელმწიფო გადასახადები შეადგენდა, მეორეს კი მუშა-მოსამსახურეების და მათი დამქირავებლების ფულადი შენატანები.

მნიშვნელოვანი სიახლეები მოხდა საბინაო მშენებლობაში. 1946-1949 წწ. მანძილზე მწყობრში ჩადგა 860 ათასი სახლი და ბინა, შეკეთდა 333 ათასი ძველი სახლი. საბინაო მშენებლობაში კერძო სახლებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა უფრო ხელმისაწვდომ, შედარებით იაფ კომუნალურ ბინებს. მჭიდროდ დასახლებული პუნქტების განსატვირთავად სპეციალური კანონის საფუძველზე დაიწყო ახალი ქალაქების მშენებლობა. ასეთი ქალაქების რიცხვს განეკუთვნებიან სტივენ ეიჯი და კრაული. გატარდა ღონისძიებები გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის. 1938-1950 წწ. მანძილზე მინიმუმამდე შემცირდა უმუშევრობა, ორჯერ გაიზარდა სახელმწიფოს მიერ სოციალური უზრუნველყოფისათვის გაღებული თანხები.

ნაციონალიზაციამ, რომლის დროს საწარმოთა მეპატრონეებმა 2,5 მლრდ. გირვანქა სტერლინგი მიიღეს კომპენსაციის სახით საშუალება მისცა მათ მიღებული თანხები დაებანდებინათ მრეწველობის უფრო მომგებიან დარგებში. მაგრამ აქაც მნიშვნელოვან ნაკლს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, წარმოების ორგანიზაციის საკითხებში. აქ თავი იჩინა ტრადიციულმა ინგლისურმა კონსერვატიზმმა. იშვიათი იყო მცდელობა გაეზარდათ ბრიტანული ნაწარმის კონკურენტუნარიანობა, ხშირად თანხების დაბანდება არ ხდებოდა საჭიროებისდა შესაბამისად. ამის მაგალითს საავტომობილო მრეწველობა წარმოადგენს, სადაც უკვე 1947 წ. მიღწეულ იქნა ომამდელი წარმოების მოცულობის დონე, ხოლო 1950 წ. მან საერთო ევროპული წარმოების 2% შეადგინა. მაგრამ ამგვარი რაოდენობრივი ზრდის პროცესში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ნაწარმის ხარისხს, მეწარმეები არ ითვალისწინებდნენ უცხოური ბაზრის მოთხოვნებს. აქცენტი კეთდებოდა ძირითადად შიდა ბაზარზე.

არასახარბიელო მდგომარეობა იყო ექსპორტის და იმპორტის ურთიერთშეფასებაშიც. საქონლის შემოტანა გაცილებით სჭარბობდა მის გატანას. ამაზე შემდეგი ციფრებიც მეტყველებენ. თუკი 1946 წ. საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შეადგენდა 162 მლნ. გირვანქა სტერლინგს, 1951 წ. იგი 749 სტერლინგამდე გაიზარდა. იმპორტის გაზრდამ გამოიწვია ოქროსა და სავალუტო მარაგის შემცირება, ამიტომ მთავრობამ 1949 წ. მოახდინა ეროვნული ვალუტის დევალვაცია, რათა შეეჩერებინა აღნიშნული პროცესი. 1 გირვანქა სტერლინგის საფასური 4,5 დოლარიდან 2,80 დოლარამდე შემცირდა, რამაც დაასუსტა სტერლინგის პოზიციები საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე.

მაგრამ ამგვარ კურსს, რომელიც ორიენტირებული იყო არა ეკონომიკის საგარეო კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, არამედ შიდა ბაზრის მოთხოვნებზე ის შედეგიც მოსდევდა, რომ ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მოთხოვნების მნიშვნელოვან დაკმაყოფილებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, XX ს. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ბრიტანული პოლიტიკური წრეების მთავარ ლოზუნგად იქცა კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ეს ლოზუნგი როგორც ლეიბორისტებმა, ასევე კონსერვატორებმა გაიზიარეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კონსერვატორებმა კვლავ კერძო სექტორს დაუქვემდებარეს ზოგიერთი ნაციონალიზებური წარმოება (მაგ. ფოლადის ჩამოსხმა), მეტი გასაქანი მისცეს კერძო ინიციატივას.

კონსერვატორები ხელისუფლების სათავეში 1951 წ. მოვიდნენ, მას შემდეგ, რაც ლეიბორისტებში შემდეგი უთანხმოება შეიქმნა; განეგრძოთ ჩვეული კურსი, თუ გაეზარდათ სამხედრო ხარჯები კორეის ომთან დაკავშირებით. ახალი კაბინეტი 77 წლის უინსტონ ჩერჩილმა ჩამოაყალიბა. აქედან მოყოლებული კონსერვატორები ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ 1964 წლამდე. ამ პერიოდის მანძილზე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავათ უინსტონ ჩერჩილს, სერ ენტონი იდენს, ჰაროლდ მაკმილანს და სერ ალეკ დაგლას-ჰიუმს. კონსერვატორების ესოდენ ხანგრძლივი ბატონობა აიხსნება იმით, რომ მათი მთავარი მეტოქე, ლეიბორისტული პარტია იდეურ-ორგანიზაციულ კრიზისს განიცდიდა. პარტიის მემარცხენე ფრთა მოითხოვდა ნაციონალიზაციის შემდგომ

გაღრმავებას, სახელმწიფოს პოზიციების გაფართოებას საზოგადოების ცხოვრებაში, ბირეული იარაღის ცალმხრივ გაუქმებას.

ამგვარ მოთხოვნებს, განსაკუთრებით ნაციონალიზაციის და სახელმწიფო სექტორის გაფართოების შესახებ დოგმატიზმის ელფერი დაჰკრავდა, მით უფრო, რომ როგორც გამოჩნდა, ყველა ნაციონალიზებული წარმოება არ გამოდგა მომგებიანი. ამის წინააღმდეგ გამოდიოდა პარტიის ლიდერი ჰიუ გეიტსკელი, რომელიც უფრო მოქნილი პოლიტიკური კურსისკენ მოუწოდებდა. როგორც ბევრი ანალიტიკოსი მიუთითებდა, კეთილდღეობის ზრდის შედეგად საზოგადოება ბურჟუაზიული გახდა და ველარ აიტაცებდა შემარცხენე ლოზუნგებს. ამან გარკვეულწილად შეამზადა ნიადაგი პარტიების იდეური პლატფორმების დაახლოებისათვის.

ამის მაგალითს წარმოადგენდა XX ს. 60-70-იან. წლებში ლეიბორისტების ხელისუფლების სათავეში ყოფნა. 1963-1970 წწ. და 1971-1979 წწ. პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავათ ჰაროლდ უილსონს და ჯეიმს კალაჰენს. 1970-1974 წწ. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები მოვიდნენ ედუარდ ჰიტის მეთაურობით.

ამ ხნის მანძილზე ლეიბორისტებმა პრაქტიკულად ვერაფერი მოიმოქმედეს იმაზე მეტი, რის გაკეთებასაც კონსერვატორები ცდილობდნენ ეკონომიკის „გაჯანსაღებისათვის". უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში მათ შეკვეცეს მუშათა უფლება საწარმოო დავის ზოგიერთ საკითხში, კერძოდ კი ხელფასის დადგენაზე. ეს გამოწვეული იყო იმით რომ 1964-1966 წწ. ხელფასი ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა ვიდრე წარმოება, რაც ასუსტებდა ბრიტანული ექსპორტის პოზიციას მსოფლიო ბაზარზე.

მნიშვნელოვანი ბიძგი ეკონომიკურ ზრდას მისცა 1951-1954 წწ. სამხედრო ხარჯების გაორმაგებამ. 1953 წ. შემცირდა შემოსავალზე და მოხმარების საგნებზე დაწესებული გადასახადი. 1953-1957 წწ. ყოველწლიურად მწყობრში ჩადგა 300 ათასი სახლი. საერთო ეროვნული პროდუქტი ყოველწლიურად 2%-ით იზრდებოდა. იკლო უმუშევრობამ. მისი უმაღლესი მაჩვენებელი იყო 1952წ. – 2%. მთლიანად კი XX ს. 50-იან წლებში უმუშევართა რიცხვი 338 ათასს, ხოლო 60-იან წლებში კი 459 ათასს შეადგენდა, მაშინ როცა 20-30-იან წლებში ეს მაჩუენებელი პრაქტიკულად არ ჩამოსულა 1 მლნ. ქვემოთ.

მნიშვნელოვანი იყო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში გატარებული ღონისძიებების შედეგებიც. 1950-1970 წწ. ორჯერ იკლო ჩვილთა სიკვდილიანობამ. გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობაც. ქალებში 71,5 წლიდან – 75,6 წლამდე; კაცებში 66,4 წლიდან – 69,2 წლამდე. 1950-1973 წწ. წარმოებაში კვირის ხელფასი გაიზარდა 7,83 გირვანქა სტერლინგიდან 41,52 გირვანქა სტერლინგამდე. იმავე დროს შემცირდა სამუშაო კვირა, 47.5 სთ-დან 44,7 სთ-მდე. 1950 წ. 10 ოჯახიდან სულ ცოტა 6 მაინც ცხოვრობდა კერძო სახლში. აღსანიშნავია, რომ კერძო სახლები საშუალო შემოსავლის ოჯახებისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი.

მკვეთრად გაიზარდა ავტომანქანის მფლობელთა რიცხვი, 1000 კაცზე 46-დან 247-მდე. 1968 წ. დაიწყეს ფერადი ტელევიზორების გამოშვება, ხოლო 1973 წ. ყოველ მეხუთე ოჯახს უკვე ჰქონდა ფერადი ტელევიზორი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები. სამრეწველო ქალაქებში უსახური და ხშირად ანტისანიტარული სახის საცხოვრებლები შეცვალეს კეთილმოწყობილმა ბინებმა.

იზრდებოდა ბრიტანული ექსპორტიც. 1950-1963 წწ. იგი 25%-ით გაიზარდა, ხოლო 1963-1970 წწ. 40%-ით. საგარეო ვაჭრობაში იზრდებოდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების („საერთო ბაზრის") წილი. ამის შედეგად დიდი ბრიტანეთი ამ გაერთიანებაში შეავიდა 1973 წ. მაგრამ საერთაშორისო ბაზარზე ბრიტანული ფასები ნაკლებად კონკურენტუნარიანი იყო.

მცირდებოდა დიდი ბრიტანეთის წილი წარმოებაშიც. 1950 წ. იგი 25% შეადგენდა, 1960 წ. 16,5%, ხოლო 1970 წ. კი 10%. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის თავად დიდი ბრიტანეთის ეკონომიკამ არამწარმოებლური ხასიათი მიიღო. 1955 წ. წარმოებაში ჩაბმული იყო დასაქმებული მოსახლეობის 48%, 1973 წ. კი – 32%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 3%.

XX ს. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დიდი ბრიტანეთი გარკვეული ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ეს სიძნელეები გამოწვეული იყო ნავთობზე ფასების ზრდით. ამ დროისათვის ბრიტანეთი თავად გახდა ნავთობმომპოვებელი ქვეყანა. მას გარკვეული პრობლემები შეექმნა სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებთან. სირთულეები შეექმნა ქვეყნის შიგნითაც. ფასების ზრდის პი-

რობებში მშრომელები არ თმობდნენ თავის პოზიციებს და ცდილობდნენ მაღალი ხელფასების შენარჩუნებას.

ამგვარ პირობებში ხელისუფლებამ გადასინჯა კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფცია. ეს ინიციატივა ლეიბორისტული მთავრობისაგან გამოდიოდა. პრემიერ–მინისტრმა კალაჰენმა განაცხადა, რომ მთავრობა აღარ გაატარებს დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნების პოლიტიკას. მათი მთავრობის დროს, 1979 წ. უმუშევრობამ 1 მლნ. მიაღწია. 1979 წ. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები მოვიდნენ. დიდი ბრიტანეთის ისტორიაში პირველად პრემიერ-მინისტრი ქალი, მარგარეტ ტეტჩერი გახდა. აქედან მოყოლებული კონსერვატორებმა ზედიზედ ოთხ არჩევნებში გაიმარჯვეს. ტეტჩერი 1991 წლამდე იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

მარგარეტ ტეტჩერი XX ს. მეორე ნახევრის დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ასპარეზზე უდავოდ ყველაზე შთამბეჭდავ პიროვნებას წარმოადგენს. როგორც პოლიტიკოსს მას ახასიათებდა არნახული ენერგია, პოზიციის სიმკვეთრე და ჩამოყალიბებულობა, საკუთარი პრინციპების რწმენა, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებით იყო მინდობილი. თავის პოლიტიკურ გარემოცვაში იგი ყოველთვის ამჯობინებდა ყოლოდა მოქმედების, ვიდრე განსჯის ადამიანები.

იყო რა კონსერვატიული პარტიის პრინციპების თავდადებული დამცველი, ტეტჩერმა გამოაცხადა ე.წ. „დამოკიდებულების ცნობიერების" დასასრული. ეს სახელმწიფოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის რეგულირებაში ჩარევის შეკვეცას ნიშნავდა. ამ სფეროში ლეიბორისტების მიერ დახარჯული საერთო ეროვნული პროდუქტიდან 26% კონსერვატორებმა 23%-დე დაიყვანეს. აქცენტი კვლავ ინდივიდუალიზმის გაძლიერებასა და კერძო ინიციატივის წახალისებაზე გაკეთდა. სწორედ ინდივიდუალისტური ტენდენციის განსახიერება იყო ტრადიციული კონსერვატიული პრიორიტეტი, საკუთარი სახლების მფლობელთა რიცხვის ზრდა. თუკი 1976 წ. მათი რაოდენობა 59% შეადგენდა, 1988 წ. ეს ციფრი 66%-ს გაუტოლდა.

კონსერვატორთა მმართველობის ხანაში ადგილი ჰქონდა მძაფრ დაპირისპირებას შრომასა და კაპიტალს შორის. ლაპარაკია მაღაროელთა ერთწლიან გაფიცვაზე 1984-1985წწ., რომელიც აღნიშნული დარგის პროფკავშირის ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიწყო ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე. გაფიცვა მარცხით დამთავრდა. ამან დაადასტურა ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ კი უჩვენა, რომ ქვანახშირის მოპოვება, ისე როგორც საერთოდ, ეკონომიკის წარმოების სფერო აღარ თამაშობდა გადამწყვეტ როლს. ტეტჩერის მთავრობამ შეუტია პროფკავშირებს, გააფართოვა რიგითი წევრების უფლებები ხელმძღვანელობის უფლებების შეკვეცის ხარჯზე.

აღნიშნული ზომები მკაცრ ხასიათს ატარებდნენ. მოგვიანებით აღიარებულ იქნა, რომ, შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX ს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ნაწილობრივ გამოწვეული იყო სწორედ ზემოაღნიშნული ცვლილებებით. მანამდე პროფკავშირთა ხშირ გაფიცვებს ზოგჯერ ეკონომიკა ქაოსამდე მიყავდა.

შედეგიანი აღმოჩნდა ტეტჩერის მთავრობის მიერ ჩატარებული პრივატიზაცია. XX ს. 70-იან წლებში ქრონიკული არარენტაბელობის და შტატების უზომოდ გაზრდის გამო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ნაციონალიზებულ წარმოება-დაწესებულებებში. პრივატიზაციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მეტალურგიული კომპანია „ბრიტიშ სტილი", რომელიც ადრე ჩამორჩებოდა აშშ-ს და გერმანიის კომპანიებს, პრივატიზაციის შემდეგ მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას „ბრიტიშ ტელეკომ"-ზე. თუკი ადრე კავშირგაბმულობის ამ კომპანიისათვის მიუღწეველი იყო მთავრობის მიერ დაწესებული მომგებიანობის 5%-იანი ზღვარი, პრივატიზაციის შემდეგ იგი 7% მიჯნას მიუახლოვდა.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარება XX ს. 70-80-იან წლებში ორგვარი, ერთიმეორის საწინააღმდეგო მოვლენებით ხასიათდებოდა. ერთ მხრივ, უდავოდ იზრდებოდა ინდივიდუალური კეთილდღეობა. ზემოაღნიშნული ათწლეულების მიჯნაზე ქვეყანაში ოჯახთა 4/5 ჰქონდა ტელეფონი და მაცივარი, ოჯახების 2/3 კი ფლობდა საკუთარ სახლსა და ავტომანქანას.

მაგრამ ამავე დროს დიდი ბრიტანეთი ჩამორჩებოდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებს წარმოებული ნაწარმის ოდენობით. თუკი 1964 წ. გაერთიანების წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანია აწარმოებდა ერთ სულ მოსახლეზე მეტ ნაწარმს ვიდრე დიდი ბრიტანეთი, 1977 წ. ამ მაჩვენებლით დიდი ბრიტანეთი გაერთიანების წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ იტალიას უსწრებდა. 1979 წ. დიდი ბრიტანეთის ელჩი საფრანგეთში აღნიშნავდა: „დღეს არათუ მსოფლიოს, არამედ ევ-

როპის მოწინავე ქვეყნებს შორისაც კი აღარ ვართ. თუ ეს ასე გაგრძელდება, ჩვენ საუკუნის მიწურულს იტალია და ესპანეთი გაგვისწრებენ". ელჩი მიუთითებდა, რომ პირველად სამასი წლის მანძილზე საფრანგეთმა მნიშვნელოვნად გაუსწრო დიდ ბრიტანეთს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობით.

გარკვეულ ეკონომიკურ სირთულეებზე მიუთითებდა ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის რაოდენობის ზრდაც. თუკი 1953 წ. იგი 4 მლნ. შეადგენდა, 1985 წ. ამ მაჩვენებელმა 15 მლნ. მიაღწია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ეს ფენა იმავე პირობებში ცხოვრობდა, რომლებიც დამახასიათებელია 1945 წლამდე პერიოდისათვის ან თანამედროვე მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის. სწორედ ეს იყო ტეტჩერის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე სერიოზული ბრალდება, რომ მის დროს ქონებრივი უთანასწორობა არნახულად გაიზარდა, შეიქმნა მდიდრების და ღარიბების ქვეყანა.

კონსერვატორებმა გეზი აიღეს ფულის დაბანდებაზე არა უშუალოდ წარმოებაში, არამედ კადრების გადამზადებაში. ინგლისელი მუშა-მოსამსახურეები ნაკლებად კონკურენტუნარიანები იყვნენ თანამედროვე სამრეწველო სამყაროს მოთხოვნათა პირობებში. საჭირო იყო შრომის შემდგომი მექანიზაცია, რომელსაც მოთხოვდა „საერთო ბაზართან" თანამშრომლობის გაფართოება.

დიდ ბრიტანეთში გაცილებით დაბალი იყო ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერება, ვიდრე გერმანიასა ან საფრანგეთში. 1982 წ. ლივერპულის გვერდით მდებარე ფორდის ავტოქარხანა, რომელშიც მუშაობდა 9700 მუშა, დღეში უშვებდა 721 მანქანას, მაშინ როცა მისი ფილიალი დასავლეთ გერმანიაში 7300 მუშის მეშვეობით დღეში უშვებდა 1232 მანქანას. ბრიტანელი მუშა ერთი კვირის მანძილზე ქმნიდა 150 გირვანქა სტერლინგის საფასურის მატერიალურ დოვლათს, მაშინ როცა იგივე მონაცემი საფრანგეთში უდრიდა 330, ხოლო დას. გერმანიაში 390 სტერლინგს.

ამრიგად, კეთილდღეობის მაქსიმალურად გაფართოება ვერ აღმოჩნდა წარმოების მაქსიმალურად ზრდის ტოლფასი. ეს მომენტი წარმოების გაძღოლის ინგლისური მეთოდის, განათლების სისტემის და მუშათა (პროფკავშირული) მოძრაობის თავისებური ასახვაა. დიდი ხნის მანძილზე წარმოების გაძღოლაში უფრო სამოყვარულო, ვიდრე პროფესიული მიდგომა იყო გაბატონებული. განათლების სისტემა უგულვებელყოფდა ტექნიკურ დარგებს, პროფკავშირული მოძრაობა, მშრომელთათვის ესოდენ სასიკეთო, ხშირად წარმოების განვითარების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. დიდი ბრიტანეთის სიმდიდრე მნიშვნელოვანწილად დამყარებული იყო საზღვაო გადაზიდვებზე, საბანკო და სადაზღვევო ოპერაციებზე, ე.წ. უხილავ ვაჭრობაზე. დოლარის მიერ სტერლინგის შევიწროვებამ და ციურიხის, ნიუ-ორკის და პარიზის მხრიდან კონკურენციის ზრდამ აიძულა დიდი ბრიტანეთი დაეთმო მოწინავე პოზიციები.

საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროს XX ს. მეორე ნახევარში წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა კელტურ მხარეებთან, უელსსა და შოტლანდიასთან. 70-იანი წლებისათვის უელსსა და შოტლანდიაში სულ უფრო იხრებოდნენ იმ მოსაზრებისაკენ, რომ მთავრობა ლონდონში მეტისმეტად დიდ უფლებებს ფლობდა. მოსაზრება უფლებათა გადანაწილების შესახებ განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1973 წ. დიდი ბრიტანეთი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი გახდა. გაერთიანების წევრობიდან გამომდინარე სიკეთეების განჭვრეტის შედეგად კარდიფსა და გლაზგოში გაჩნდა მოსაზრება, რომ უფრო სამართლიანი და მოქნილი იქნებოდა, თუკი უელსი და შოტლანდია ლონდონის გარეშე, უშუალოდ ბრიუსელზე შესძლებდნენ გასვლას.

უელსელების და შოტლანდიელების სეპარატიზმს თავისებური ეროვნულ-ეკონომიკური ნიადაგი ჰქონდა. უელსში, კელტური (ბრიტული) ენის სიცოცხლისუნარიანობა ყოველთვის აღვივებდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ გრძნობებს. 1951 წ. უელსელების 29% ლაპარაკობდა ბრიტულად. უელსში დაიწყო ტელემაუწყებლობა ბრიტულ ენაზე, იგი გაუთანაბრად ინგლისურს. მაგრამ რატომღაც სწორედ ასეთი წახალისების პირობებში ენის ფაქტორი, უელსურობის ეს თავისებური აკანგარდი დასუსტდა. 1981 ბრიტულზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა 19%-მდე შემცირდა. მაგრამ ამ ფონზე მაინც ეროობ ენერგიულად მოქმედებდა უელსის ეროვნული პარტია „პლად კაპრი", რომელიც ეროვნული ასამბლეის მოთხოვნით გამოდიოდა.

უფრო შემტევ ხასიათს ატარებს შოტლანდიის ეროვნული (ნაციონალისტური) პარტიის და მისი მომხრეების პოლიტიკური საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიაში კელტურ (გელურ) ენაზე მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობა ლაპარაკობს, ვიდრე უელსში ბრიტულზე, შოტლანდელთა სეპარატისტული ლოზუნგები უფრო მკვეთრად ჟღერდა. როგორც ჩანს,

ამას ისტორიული წარსულიც კვებავდა, რადგან შუა საუკუნეები აღსავსე იყო ინგლის-შოტლანდიის ომებით. ამიტომ უკიდურესად პატრიოტულად განწყობილი შოტლანდიელი პოლიტიკოსები თუ სხვა წრეების წარმომადგენლები არ ერიდებოდნენ საჯაროდ მწვავე განცხადებების გაკეთებას თუ რადიკალური ან საერთოდ კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას.

1953 წ. ბრიტანეთის პარლამენტის პირველმა დეპუტატმა შოტლანდიის ეროვნული პარტიიდან რობერტ მაკინტაირმა ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე გამართულ მიტინგზე განაცხადა, რომ „ინგლისელების მზე ჩაესვენა და ინგლისი უნდა დაუბრუნდეს თავის მოკრძალებულ კუნძულოვან არსებობას" 1956 წ. როდესაც დიდმა ბრიტანეთმა სუეცის არხის გამო ატეხილ ომში მარცხი განიცადა, გლაზგოში შოტლანდიელებმა დაწვეს გაერთიანებული სამეფოს დროშა, ე.წ. „იუნიონ ჯეკი" (Union Jack). მოგვიანებით კი გლაზგოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა ვესტმინსტერის საბატოდან მოიპარეს სკოუნის ქვა, ლოდი, რომელზედაც შუა საუკუნეებში შოტლანდიის მეფეების კურთხევა ხდებოდა და რომელიც ლონდონში მეფე ედუარდ I ჩამოიტანა შოტლანდიაში ლაშქრობის შემდეგ.

პოლიტიკურ ასპარეზზე შოტლანდიის ეროვნული პარტია საკმაოდ წარმატებით მოქმედებდა XX ს. 70-იან წლებში. კერძოდ, თავად შოტლანდიაში დაგროვილი ხმების რაოდენობით მან მეორე ადგილი დაიკავა ლეიბორისტების შემდეგ და უკან ჩამოიტოვა კონსერვატიული პარტია.

როგორც უკვე ითქვა, უელსურ და შოტლანდიურ პატრიოტიზმს ეკონომიკური სარჩულიც ჰქონდა. ეკონომიკური კრიზისები პირველ რიგში მაღაროებზე, ნავსადგურებზე და გემთსაშენებზე სტოვებდნენ უარყოფით კვალს. უელსის და შოტლანდიის ეკონომიკა კი პირველ რიგში სწორედ ამ ობიექტებზე იყო დაფუძნებული. ადრე უკიდეგანო იმპერიის არსებობა ბრიტანეთის მკვიდრთ საკუთარი თავის გამოჩენის და შემოსავლის მიღების საშუალებად სთავაზობდა კოლონიურ ასპარეზს. აქ განსაკუთრებული წარმატებით შოტლანდიელები მოქმედებდნენ. სხვა კონტინენტებზე, უცხო რასის მოსახლეობას შორის ყოფნა აძლიერებდა ბრიტანელებში ერთიან ცნობიერებას. იმპერიის დაშლამ და მსოფლიოში მოწინავე პოზიციების დაკარგვამ რასაკვირველია შეამცირა ბრიტანელობიდან გამომდინარე სარგებელი და შოტლანდიელებსა და უელსელებს საკუთარი ეთნიკური წიაღისაკენ უბიძგა. ჩრდილეთის ზღვაში ნავთობის აღმოჩენამ კიდევ უფრო გააძლიერა შოტლანდიელთა პოლიტიკური პრეტენზიები.

მოვლენათა ამგვარი მსვლელობის შედეგად ცენტრმა და პროვინციებმა შესძლეს შუალედური გადაწყვეტილების მოძებნა, რომელმაც დააკმაყოფილა კელტური მხარეები, მაგრამ არც სეპარატიზმი დაუშვა. XX ს. მიწურულს შოტლანდიაში ადგილობრივი პარლამენტი შეიქმნა, ხოლო უელსში – ეროვნული ასამბლეა. ამ ორგანოებმა ერთობ ფართო უფლებამოსილება მიიღეს ჯანდაცვის, განათლების, მართლწესრიგის, ბინათმშენებლობის და ეკონომიკური განვითარების საკითხებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ესოდენ მნიშვნელოვანმა გაფართოებამ დააკმაყოფილა კელტური წარმოშობის პოლიტიკოსების პრეტენზიები და გააუმჯობესა ურთიერთობა ცენტრსა და კელტურ მხარეებს შორის.

უფრო რთულად ვითარდებოდა მოვლენები ჩრდილოეთ ირლანდიაში (ოლსტერში). ამ პროვინციაში, რომელიც თვითმმართველობის უფლებით სარგებლობდა, მოსახლეობის 67% პროტესტანტები შეადგენდნენ. ამგვარ პირობებში კათოლიკური უმცირესობა გარკვეულ დისკრიმინაციას განიცდიდა. 1969 წ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა რეფორმების გატარება, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ კათოლიკეთა დისკრიმინაციას. მაგრამ რეფორმების გატარებას წინ აღუდგა პროტესტანტული უმრავლესობა. ურთიერთობა ორ თემს შორის უკიდურესად დაიძაბა. შეჯახების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ჩრდილოეთ ირლანდიაში ჯარები გაგზავნა. მაგრამ ამან ვერ ააცილა მოსახლეობას სისხლისღვრა. კათოლიკური თემის ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ, ირლანდიის რევოლუციურმა არმიამ (ირა) ოლსტერის ირლანდიის რესპუბლიკასთან შეერთების საბაბით ტერორს მიმართა მთელი გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით. ნაღმები სკდებოდა ბელფასტში, ლონდონში, რასაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირებოდა, ოლსტერში ირა-ს ტერორს პროტესტანტები ძალმომრეობითვე პასუხობდნენ. მარტო 1969-1974 წწ. ოლსტერში ტერორის შედეგად ათასი ადამიანი დაიღუპა.

1985 წ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ჩრდილოეთ ირლანდიის გარშემო არსებული საკითხების კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის. მაგრამ იგი პროტესტანტული თემის წინააღმდეგობას წააწყდა. ამ უკანასკნელის გარკვეული ნაწილი ოლსტერის ირლან-

დიის რესპუბლიკასთან სავარაუდო შეერთების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ისინი მზად იყვნენ ამ პოლიტიკური აქტისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობაც კი გაეწიათ. XX ს. მიწურულს ტერორისტული აქტები პრაქტიკულად შეწყდა, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ჯერჯერობით ვერ გასცდა ზოგადი სახის განცხადებებსა და შეთანხმებებს.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მოითხოვდა არა მარტო კეთილდღეობის დონის ამაღლებას არამედ ლიბერალური კანონმდებლობის შემდგომ გაფართოებას. სწორედ ამიტომ XX ს. 60-70-იან წლებში გამოიცა რიგი კანონებისა, რომელთა მიხედვით არჩევნებში მონაწილეობის ასაკმა 21-დან 18-წლამდე დაიწია, ქალების ხელფასი მამაკაცებისას გაუტოლდა, ქალებმა მიიღეს უფლება განქორწინების შემდეგ მიეღოთ ქონება იმისდა მიუხედავად, მუშაობდნენ ისინი თუ დიასახლისები იყვნენ. გაუმჯობესდა ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობებიც.

ამგვარი ლიბერალიზაციის ფონზე ერთობ მკაფიოდ წარმოჩნდა დამნაშავეობის ზრდა XX ს. 50-70-იანი წლების მანძილზე. თითოეულ ათწლეულში დანაშაულებათა რიცხვი საშუალოდ 5-6 ათასით იზრდებოდა. ეს ზრდა განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 14-21 წლების ასაკის მოსახლეობაში. მკვეთრად გაიზარდა ლოთობა ოც წლამდე ახალგაზრდებს შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონსერვატორებმა სკოლებში გაროზგვის აღდგენაც კი მოითხოვეს, რომელიც 1948 წ. იქნა გაუქმებული ლეიბორისტების მიერ.

საქმეს ვერც 1965 წ. სიკვდილით დასჯის ხუთი წლის საცდელი ვადით გაუქმებამ უშველა. ბავშვთა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტმა დამნაშავეობის ამგვარი ზრდა შემდეგნაირად ახსნა: „მატერიალური კეთილდღეობის ზრდა აშკარაა. გაიზარდა სურვილების უკანონო ხერხებით დაკმაყოფილების საშუალებები და მათთან ერთად შესაძლებლობაც, თავიდან აიცილონ სავსებით დამსახურებული სასჯელიც". ტეტჩერის პრემიერ-მინისტრად ყოფნის ხანაში პოლიციელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ამას არ მოყოლია დამნაშავეობის დონის შემცირება ან გახსნილ დანაშაულთა რიცხვის ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვისაც მდგომარეობა გარკვეულწილად იგივეა. დიდი ბრიტანეთი დასავლეთ ევროპაში ყველაზე წინ დგას დამნაშავეობის დონით. აქ 100 ათას მოსახლეზე 133 პატიმარი მოდის.

არანაკლებად, რთულ პრობლემას წარმოადგენდა რასობრივი საკითხი. ეს იყო იმპერიალიზმის პოლიტიკის უშუალო უკუგება. საუკუნეების მანძილზე ბრიტანეთის იმპერია წარმოსდგებოდა არა მარტო სიმდიდრისა და ძლიერების, არამედ ცივილიზაციის გავრცელების სიმბოლოდაც. ამგვარი ცივილიზატორული მისიით შთაგონებული ბრიტანელებიც წარბშეუხრელად ეზიდებოდნენ „თეთრი ადამიანის ტვირთს", რაც მათ ცნობიერებას მესიანურ მომენტს და ქედმაღლობას სძენდა. სწორედ ამიტომ მათ წარმოდგენაში ერთობ ძნელი უნდა ყოფილიყო საკუთარ ქვეყანაში უცხო რასის წარმომადგენლებთან თანაცხოვრება. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვები, რომელმაც 1925 წ. განუცხადა ებრაელ იმიგრანტთა ჯგუფს, რომ ამ ქვეყანაში საცხოვრებლად შემოსვლა იყო არა უფლება, არამედ პრივილეგია.

მაგრამ მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ამაში მნიშვნელოვანი როლი II მსოფლიო ომმა ითამაშა. ომის დროს ბრიტანეთის იმპერიის ფერადკანიანმა ქვეშევრდომებმა თავისი შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანეს ფაშიზმთან ბრძოლაში.

აფრიკაში 374 ათასი მოხალისე შევიდა ბრიტანულ ჯარში. ინდოეთში ამ რიცხვმა მილიონ ნახევარს მიაღწია. ნიგერიაში კანოს ტომმა 10 ათასი გირვანქა სტერლინგი შეაგროვა, რომელიც „სპიტფაიერის"-ის ტიპის თვითმფრინავის შეძენისათვის გადასცეს მთავრობას.

მაგრამ იგივე ნიგერიის მოსახლეობას 100 ათას კაცს თავი უკრეს იძულებით სამუშაოზე კალის საბადოებზე, ხოლო კრიკეტისტ ლირი კონსტანტინს, ინგლისის ნაკრების წევრს ომის დროს რესტორანში უარი უთხრეს მომსახურეობაზე, მისი კანის შავი ფერის გამო. ამგვარი ფაქტები თავად დიდ ბრიტანეთს უწევდა ცუდ სამსახურს, რადგან გულს უცრუვებდა იმპერიის ფერადკანიან ქვეშევრდომებს. ისინი ხედავდნენ, რომ მათთვის დიდი განსხვავების მომტანი არ უნდა ყოფილიყო, ვისი უზენაესობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ: ჯორჯ VI თუ ჰიტლერის, რომელიც მათ მაიმუნის ტოლფას არსებებად მიიჩნევდა.

მაგრამ, დასრულდა II მსოფლიო ომი. კოლონიებმა ერთი მეორის მიყოლებით მიიღეს დამოუკიდებლობა და დაიწყო ძალზე საინტერესო პროცესი. ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ აზიაში, აფრიკაში და ვესტ-ინდოეთში, მიიღეს რა თანამეგობრობად ქცეული იმპერიის თანასწორუფლებიანი ქვეშევრდომების სტატუსი, მეტროპოლიას მიაშუ-

რეს. ადაჰიანები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ბრიტანელებს მათი ქვეყნები დაეტოვებინათ, თავად აღმოჩნდნენ თავისი გუშინდელი მბრძანებლების გვერდით მათსავე ქვეყანაში.

ამ მოვლენის მიზეზი ალბათ იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც კოლონიებში მათი დამოუკიდებლობის შემდეგ შეიქმნა. კოლონიზატორების წასვლამ ერთბაშად არ მოიტანა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ აღთქმული საყოველთაო კეთილდღეობა. ბრიტანელები წავიდნენ, მაგრამ აღთქმული ქვეყნის ნაცვლად ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური თუ სოციალური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თავი იჩინა უამრავმა, მათ შორის ეთნიკურმა პრობლემამ. ყველაფერ ამას დაემატა, ის, რომ ამ სიძნელეებთან ბრძოლა და მათი აღმოფხვრა თავად ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობებს უნდა ეტვირთა. ამგვარად, დეკოლონიზაციამ უმალ გამოაშკარავა რიგი სიძნელეებისა, რომლებსაც კოლონიური სისტემის არსებობა გარკვეულწილად ანეიტრალებდა კიდეც. ყოფილი კოლონიების მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ამ სიძნელეების გადაჭრა ერთობ მარტივი გზით, დიდ ბრიტანეთში ჩასვლის და იქ ცხოვრების მეშვეობით გადაწყვიტა.

1948 წ. გემ „იმპაირ"-ს 429 იმიგრანტი ჩამოყვა ვესტ-ინდოეთიდან. შემდგომში ეს რიცხვი 200 ათას ფერადკანიან იმიგრანტს ითვლიდა. 1968 წ. ამ რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია, ხოლოდ 1990 წ. ფერადკანიანი იმიგრანტების რაოდენობა სულ ცოტა 2,5 მლნ., ე.ი. მთელი მოსახელობის 5% შეადგენდა.

თავდაპირველად იმიგრანტები საპორტო ქალაქებში, მაგ. ლივერპულსა და კარდიფში სახლდებოდნენ. მოგვიანებით მათი დასახლებები გამოჩნდა მიდლენდსა და ჩრდილოეთის საგრაფოებში. ყველაზე დიდი რაოდენობით ფერადკანიანი იმიგრანტები (რასაკვირველია) ლონდონში სახლდებოდნენ, სადაც აზიელები ძირითადად ისტ ენდსა და საუსჰოლში სახლდებოდნენ, ხოლო, აფრიკის და ვესტ ინდოეთის ზანგი მოსახლეობა კი ლამბეტში, კემდენსა და ჩრდილოეთ კენსინგტონში იდებდა ბინას.

როგორი იყო იმიგრანტთა მდგომარეობა? რასაკვირველია, ისინი დიდ ბრიტანეთში ჩასვლისთანავე უამრავ სიძნელეს წააწყდნენ. პირველ რიგში აღსანიშნავია მსოფხედველობითი სხვაობა. იმიგრანტები არამარტო რასობრივად, არამედ კულტურული თვალსაზრისით აბსოლუტურად სხვანაირ გარემოში აღმოჩნდნენ. ისინი უნდა შეგუებოდნენ სამყაროს და ფასეულობებს, სადაც სულ სხვა ცნობიერება ბატონობდა. როგორც პოლ ჯონსონის რედაქციით გამოსულ ნაშრომშია აღნიშნული, მათ ძალზე უჭირდათ ბრიტანულ საზოგადოებაში შერწყმა, განსაკუთრებით კი იქ, სადაც უკიდურესი „ინგლისურობის" ატმოსფერო იყო გაბატონებული. თეთრკანიანებმა მათ მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს. ლივერპულსა და კარდიფში განსახლებულ ზანგებს სასტიკად ეპყრობოდნენ. ეს რასაკვირველია ამწვავებდა რასობრივ ურთიერთობებს. 1958 წ. ლონდონის დასავლეთ გარეუბანში, ნოტტინ ჰილში მოხდა შეტაკება რასობრივ ნიადაგზე, ძირითადად ახალგაზრდებს შორის. დაპატიმრებულ იქნა 177 ადამიანი.

იმიგრანტების მოზღვავებამ და რასობრივი ურთიერთობების სიმძაფრემ არც შემდგომში იკლო. ამიტომ 1962 წ. მთავრობამ გამოსცა კანონი იმიგრაციის შესახებ, რომელიც ზღუდავდა იმიგრაციის უფლებას თანამეგობრობის ქვეყნებიდან იმ პიროათვის, ვისაც არ შეეძლო წარმოედგინა გარანტიები სამუშაო ადგილის ან საკუთარი თავის რჩენის შესახებ. 1968 წ. კანონმა კიდევ უფრო გაზარდა შეზღუდვათა რაოდენობა, რასაც თანამეგობრობის ქვეყნების მოქალაქეთა პროტესტი მოყვა. იმავე დროს დიდ ბრიტანეთში ჩასული იმიგრანტების სასარგებლოდ გამოდიოდა კანონები, მაგ. 1965 წ., რომლებიც კრძალავდნენ რასობრივ დისკრიმინაციას საბინაო და დასაქმების სფეროში.

მაგრამ კანონები ყოველთვის არ ასახავდნენ რეალურად არსებულ მდგომარეობას. ფერადკანიანი იმიგრანტები მუდამ ჩამორჩებოდნენ მკვიდრ თეთრკანიან მოსახლეობას მატერიალური კეთილდღეობის სფეროში მაგ. 1988-1990 წწ. უმუშევრობა თეთრკანიანთა შორის 7%-ს შეადგენდა, ხოლო ფერადკანიან იმიგრანტთა შორის 13%-ს. კვლავ არსებობდა ძალადობის საფრთხე. 1995 წ. სტატისტიკური მონაცემებით ათიდან ერთი ფერადკანიანი ოჯახი ძალადობის ობიექტი იყო, ხოლო ათიდან სამი გრძნობდა ძალადობის საფრთხეს.

ამგვარი შეურიგებლობა როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეც არსებობდა. შეურიგებლობით იყო გაჟღენთილი კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლის, პარლამენტის დეპუტატის ენოქ პაუელის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1968 წ. ბირმინგემში. „ინგლისში დაბადება ვერ გახდის ვესტ ინდოელებს ინგლისელებად. კანონით ისინი გაერთიანე-

ბული სამეფოს მოქალაქეები ხდებიან, მაგრამ ფაქტიურად ისინი კვლავ ვესტ ინდოელებად ან აზიელებად დარჩებიან". ფერადკანიანი იმიგრანტების ბრიტანულ ცნობიერებასში ეჭვს გამოთქვამდა ცნობილი მეცნიერი, გეოგრაფი ფაუსეტი.

ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად იმიგრანტები მაინც განუხრელად იმკვიდრებდნენ ადგილს ბრიტანულ საზოგადოებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ვესტ ინდოეთის წარმომადგენლები. აგრესიულები, რომლებიც ადვილად ებმებიან კონფლიქტში, ისინი გაცილებით ადვილად ექვემდებარებიან კულტურულ-ზნეობრივ ასიმილაციას.

მათგან განსხვავებით, შედარებით უფრო მდგრადი და ტრადიციული ცნობიერების მატარებლები არიან ინდო-პაკისტანელები. გაცილებით გამრჯე, ხშირად წარმატებულნიც, რომელთა შვილები ვესტ ინდოელებისაგან განსხვავებით ქუჩების ნაცვლად სკოლებს მიაშურებენ, ამ თემის წარმომადგენლები გარკვეულ ეთნიკურ და კულტურულ შეუვალობას ავლენენ, რაც თეთრკანიანთა გაღიზიანებას და მტრულ დამოკიდებულებას იწვევს.

ინდო-პაკისტანელთა და კერძოდ მაჰმადიანური თემის ამგვარ მდგრადობაზე და ეკონომიკურ წარმატებულობაზე თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ XX ს. 60-იან წლებში კარდიფის მაჰმადიანურ თემს, რომელიც ორ ათას ადამიანს ითვლიდა აგებული ჰქონდა სამი მეჩეთი და სკოლა, რომელშიც ბავშვებს ყურანს ასწავლიდნენ მას შემდეგ, რაც სრულდებოდა ჩვეულებრივ ინგლისურ სკოლაში ჩატარებული გაკვეთილები.

რასისტული ვნებათაღელვის მიუხედავად ინგლისური დემოკრატიული და გაწონასწორებული ცნობიერების წყალობით მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპები განუხრელად იმკვიდრებდა ადგილს. მათ წინააღმდეგ ვერაფერს აწყობენ ულტრამემარჯვენე ეროვნული ფრონტი და ეროვნული პარტია. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ 1992 წ. საპარლამენტო არჩევნებში მათ ერთად 11 821 62 შეაგროვეს და დღემდე ერთი სადეპუტატო მანდატიც კი ვერ მიულიათ. ენოქ პაუილი კი ბირმინგემში წარმოთქმული სიტყვის გამო პარტიის მაშინდელმა ლიდერმა ჰიტმა ჩრდილოვანი კაბინეტიდან გამოიყვანა.

კრიკეტისტი ლირი კონსტანტინი, რომელსაც ომის დროს რესტორანში არ მოემსახურნენ მისი კანის შავი ფერის გამო, 1956 წ. ლორდა პალატის წევრი გახდა. XXIს. 90-იან წლებში მას მეორე ზანგი პერი შეემატა. იმავე დროს პარლამენტში გამოჩნდა პირველი მაჰმადიანი დეპუტატი, მუჰამად სარვარი, ლეიბორისტული პარტიიდან. ნოტინ ჰილი, 1958 წ. მომხდარი მღელვარების შემდეგ მასპინძლობს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასშტაბურ ფესტივალს ღია ცის ქვეშ. ზანგი თუ ინდოელი წამყვანები მიმართავენ მოსახლეობას სხვადასხვა ტელესამაუწყებლო არხიდან, იმსახურებენ ტაშს ფეხბურთის და კრიკეტის მოედნებზე, რომ არაფერი ვთქვათ მათ ყოველდღიურ შრომით საქმიანობაზე მაღაზიისა თუ კაფეს დახლთან.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული XX ს. მეორე ნახევრის მანძილზე დიდმა ბრიტანეთმა გაიარა ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცვლილებების ხანგრძლივი გზა. მთელი ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ცხოვრებაში ბევრი სიახლე გაჩნდა. მათთან ზიარება ძირითადად უმტკივნეულოდ მოხდა, რაც კვლავ ინგლისური პოლიტიკური და ზნეობრივი ინსტიტუტების მოქნილობაზე მეტყველებს. სისტემამ კიდევ ერთხელ გაუძლო გამოცდას და შეაბიჯა XXI საუკუნეში.

იმპერიიდან ერთა თანამეგობრობამდე

მრავალი ათწლეულის მანძილზე ისტორიული განვითარების ავანგარდში ყოფნამ ინგლისელებს შთაუნერგა უპირატესობის გრძნობა და ურყევი რწმენა იმისა, რომ ისინი მსოფლიოზე ბატონობისათვის არიან მოვლენილები. „ნეტავი ვინ არის ის, ვინც ვერ ხედავს, რომ ჩვენი ბატონობა კოლონიებში განგების ნების გამოხატვაა, და რომ ბრიტანელები მოვლენილები არიან ამ ქვეყნად, რათა მსოფლიოს მოჰფინონ თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთე" — ქედმაღლურად აცხადებდა თავის პამფლეტში XIXს. პირველი ნახევრის ბრიტანელი მიმომხილველი. სწორედ ამიტომ ბრიტანელთა სიამაყისა და ზრუნვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ობიექტი მთელი ამ ხნის მანძილზე ბრიტანეთის იმპერია იყო. „რა მდგომარეობაშია იმპერია?" — იკითხა სარეცელს მიჯაჭვულმა, მომაკვდავმა მეფემ ჯორჯ V.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელები არა მარტო თავის მშობლიურ კუნძულებს, არამედ იმპერიასაც იცავდნენ, რომლის დამხობა თავად დიდი ბრიტანეთის დაღუპვას მოასწავებდა. სწორედ ამიტომ ლონდონში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აზიასა და აფრიკაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს.

ომის დროს იმპერია არ იყო მხოლოდ გადარჩენის გარანტია. ეს იყო სამომავლო არსებობის ერთ–ერთი წინაპირობაც. სწორედ ამიტომ როდესაც 1941წ. აგვისტოში დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ ე.წ. ატლანტიკურ ქარტიას მოაწერეს ხელი, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ქარტიაში არსებული დებულებები ერთა თვითგამორკვევის შესახებ არ ეხებოდა ბრიტანეთის იმპერიას. 1942წ. ელ ალამეინთან გამარჯვების შემდეგ მას უფრო მეტი იმედი მიეცა და ამიტომაც თავდაჯერებულად განაცხადა: „მე იმისათვის არ გავმხდარვარ მეფის პირველი მინისტრი, რომ ბრიტანეთის იმპერიის დაშლის პროცესს ვუთავმჯდომარეო“. იმპერიული განწყობა იმდენად ძლიერი იყო ზოგიერთ ბრიტანელ ხელისუფალთა შორის, რომ ამერიკელთა ამგვარი მოწოდების გასანეიტრალებლად ისინი სთავაზობდნენ ჩერჩილს რუზველტის დაშინებას სტალინთან დაახლოების მუქარით.

მაგრამ ომმა იმდენად შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე და თავად დიდი ბრიტანეთის მდგომარეობა, რომ ეს უკანასკნელი ვერც თავის მეტოქესა და მოკავშირეს, აშშ-ს და ვერც თავის კოლონიებს ველარ დაუპირისპირდებოდა.

ამ ორ ძალას ემატებოდა მესამე, საბჭოთა კავშირი, რომელიც ძლევამოსილი გამოვიდა რა მსოფლიო ომიდან, ისწრაფოდა პროსაბჭოური სისტემა გაევრცელებინა ევროპის და აზიის რიგ ქვეყნებში. ეს სწრაფვა დასავლური დემოკრატიის მისამართით ყველაზე სერიოზულ მუქარას წარმოადგენდა და რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურთა მიერ. აღმოსავლეთის და დასავლეთის (სსრკ და შემდგომ მისი მოკავშირეების) და დასავლური დემოკრატიების დაპირისპირება იყო XXს. მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი დამახასიათებელი ნიშან–თვისება. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაც სწორედ ამ სამი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით ხორციელდებოდა.

ომისშემდგომი რამდენიმე წელი დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში აღინიშნებოდა აშშ-სთან ერთობ დაძაბული ურთიერთობით. ეს მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. პირველ რიგში იმით, რომ ამერიკელები ყოველნაირად ცდილობდნენ დაესუსტებინათ და დაეშალათ ბრიტანეოის იმპერია. უპირველეს ყოვლისა, ამერიკელები ინგლისელთა ინდოეთიდან წასვლას ელოდნენ. დამოუკიდებელ ინდოეთთან ეკონომიკური ურთიერთობიდან ამერიკელები არნახული მოგების მიღებას გეგმავდნენ.

ინდოეთის საკითხი მათ იმდენად აინტერესებდათ, რომ ჯერ კიდევ 1943წ. თეირანის კონფერენციაზე პრეზიდენტმა რუზველტმა საუბარი დაიწყო ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მიზანშეწონილობაზე და ამ საკითხში სტალინის მხარდაჭერა ჰპოვა. ამერიკელი პოლიტიკოსები ენერგიულად ილაშქრებდნენ ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ხშირად კოლონიების გამო დიდ ბრიტანეთს საბჭოთა კავშირსაც კი ადარებდნენ.

რასაკვირველია, ამერიკელთა ამ ანტიიმპერიალისტურ კამპანიას ეკონომიკური ინტერესები ედო საფუძვლად. ამერიკელები სამომავლოდ ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში აპირებდნენ დამკვიდრებას. ამიტომ ისინი ენერგიულად ილაშქრებდნენ დიდი ბრიტანეთის იმპერიაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც აგებული იყო იმპერიული უპირატესობის სისტემაზე.

ჯერ კიდევ ომის დროს აშშ-მ შეზღუდა დიდი ბრიტანეთისათვის ლენდ-ლიზით გადაცემული ნაწარმის რაოდენობა. ომის შემდგომ კი ამერიკელები ყოველნაირად ცდილობდნენ საკითხი დაეყენებინათ ისე, თითქოს დიდი ბრიტანეთი ომში იმაზე ნაკლებად დაზარალდა, ვიდრე ამის წარმოჩენას ცდილობდა. ამით ისინი ცდილობდნენ, რომ ლონდონს უარი ეთქვა ვაჭრობაში იმპერიული უპირატესობის პოლიტიკაზე და გაეხსნა თავისი კოლონიები ამერიკული საქონლისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის ერთ-ერთი სტატია მიუთითებდა, რომ ინგლისელები აზვიადებდნენ თავის წვლილს ომში.

სწორედ ამგვარი აზრი გამოხატა აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ვინსონმა ცნობილ ინგლისელ ეკონომისტთან, ლორდ ჯონ კეინსთან საუბარში, როდესაც ამ უკანასკნელმა ზემოაღნიშნულ

სტატიაში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა სცადა. „ყოვლად შესაძლებელია, რომ თქვენ მართალი ხართ, ლორდ კეინს – თქვა ვინსონმა, მაგრამ იმ ქვეყანაში, საიდანაც მე ვარ, ხალხი სხვანაირად ფიქრობს“. ვინსონის აზრით დიდ ბრიტანეთს თავისი იმპერიის მასშტაბით ამერიკული „ღია კარის“ პრინციპის შესაბამისად უნდა ემოქმედა. თუკი მხედველობაში მივიღებთ აშშ-ს ეკონომიკურ ზრდას ომის დროს, მოგებას, რომელიც მან იმ დროს ნახა, მისი ბაზრის დაცულობას, დიდი ბრიტანეთის ამგვარ პრინციპებზე გადასვლა მისი ტრადიციული ბაზრებიდან განდევნის ტოლფასი იყო.

ამგვარი ეკონომიკური პერსპექტივების პოლიტიკურ-დიპლომატიურ გამოხატვას წარმოადგენდა აშშ-ს მიერ გატარებული ომისშემდგომი პოლიტიკური კურსი. 1946წ. აშშ-მ ჩინეთის მაშინდელ მეთაურთან, ჩან კაი შისთან დადო ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის გვერდის ავლით; აშშ გულგრილად ეკიდებოდა დიდი ბრიტანეთის სირთულეებს ახლო აღმოსავლეთში და სულაც არ ცდილობდა ბრიტანეთის მხარდამხარ ემოქმედა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

არსებული უთანხმოების მიუხედავად ორივე ქვეყანა საბოლოო ჯამში იძულებული იყო ეთანამშრომლა ერთმანეთთან. თანამშრომლობა და შეიძლება ითქვას ერთსულოვნება განპირობებული იყო ევროპის კონტინენტზე შექმნილი მდგომარეობით. დიდი ბრიტანეთის ევროპული პოლიტიკა 1945–1950წწ. კი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა.

ლონდონში ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ექსპანსიის ეშინოდათ. ომის ბოლოს ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა ვერ ჰპოვეს აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერა. ვაშინგტონში სთვლიდნენ, რომ ჩერჩილი საფრთხეს აზვიადებდა. ჩერჩილი კი თავის მხრივ მოუწოდებდა ინგლის–ამერიკული კავშირის განმტკიცებისაკენ, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა ევროპაში კომუნისტურ ექსპანსიას.

დასავლური დემოკრატიებისათვის საბჭოეთიდან გამომავალი საფრთხე და მასთან ბრძოლის კონცეფცია მან ჩამოაყალიბა 1946წ. 5 მარტს ქ. ფულტონში (აშშ), წარმოთქმულ სიტყვაში. „შცეტინიდან ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ტრიესტემდე ადრიატიკის ზღვაზე, მთელ კონტინენტზე დაეშვა რკინის ფარდა. მის მიღმა დარჩა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ძველი სახელმწიფო თავისი დედაქალაქითურთ. ყველა ისინი საბჭოთა გავლენის სფეროშია და მოსკოვის მკაცრ და მზარდ კონტროლს ექვემდებარება“.

ეს იყო ცნობილი „რკინის ფარდის“ სიტყვა, რომელმაც დასაბამი დაუდო ე.წ. „ცივი ომის“ პერიოდს, რომელიც XXს. 80-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა, და ხასიათდებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, კომუნისტურ და დემოკრატიულ სისტემებს შორის დაძაბული, ზოგჯერ კი მწვავე ურთიერთობით, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა ფარული მტრობა.

გადამდგარმა პრემიერმა, ჩერჩილმა, მისთვის დამახასიათებელი პათეტიკური გამოსვლით „ცივი ომის“ დროშა ააფრიალა, მისმა პარტიულმა მეტოქეებმა, ლეიბორისტებმა კი ამ იდეის ხორცშესხმა დაიწყეს. საგარეო საქმეთა მინისტრის, ერნესტ ბევინის მიერ გატარებულმა კურსმა უბიძგა ამერიკელებს უფრო საღად შეეხედათ მოვლენათა მსვლელობისათვის და ყურად ეღოთ ჩერჩილის სიტყვა, რომელსაც ისინი თავდაპირველად გულგრილად შეხვდნენ. დიდი ბრიტანეთის აქტიურობაზე „ცივ ომში“ მიუთითებს ბრიტანელი ისტორიკოსის კრისტოფერ კოკერის შენიშვნაც, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს თავისი ძველი მოკავშირეებიდან ყველაზე შეუპოვარ მოწინააღმდეგედ არა ყველაზე ძლიერი (აშშ), არამედ ყველაზე ეშმაკი (დიდი ბრიტანეთი) მიაჩნდა.

ბევინის ზრუნვის ობიექტს პირველ რიგში ირანი, თურქეთი და საბერძნეთი წარმოადგენდა. ირანში საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ ყოფნას, მაშინ როცა ომის დამთავრებისთანავე დიდმა ბრიტანეთმა გამოიყვანა ჯარი ამ ქვეყნიდან. საბჭოთა კავშირი დიპლომატიურ ზეწოლას აწარმოებდა თურქეთზე იმისათვის, რომ მისგან გარკვეული ტერიტორიული და სამხედრო–სტრატეგიული სახის დათმობები მიეღო. საბერძნეთში ომის შემდეგ გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ბერძენი კომუნისტები ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მათი წარმატების შემთხვევაში კომუნისტები ალბათ გაიმარჯვებდნენ იტალიაში, სადაც ერთობ ძლიერი და გავლენიანი კომუნისტური პარტია მოქმედებდა. ამგვარად, დასავლეთის დემოკრატიები რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. პირველ ორ შემთხვევაში ინგლის–ამერიკის ერთიანმა პროტესტმა ხელი ააღებინა საბჭოთა კავშირს თავის ზრახვებზე ირანისა და თურქეთის მიმართ. ხოლო საბერძნეთში დიდი ბრიტანეთის უშუალო ჩარევამ თავიდან ააცილა ამ ქვეყანას კომუნისტური მმართველობის დამყარება.

ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა, საბჭოთა კავშირის მკვეთრმა პოზიციამ დღის წესრიგში ახალი საკითხები დააყენა. ეს იყო ევროპის სამომავლო თანამშრომლობის გზების გარკვევა და ევროპული ქვეყნების სავარაუდო ეკონომიკური გაერთიანება. საგარეო პოლიტიკის ეს მიმართულება აღინიშნა დიდი ბრიტანეთის აქტიურობით.

ეს აქტიურობა მოდიოდა პოლიტიკური ოპოზიციიდან. მისი სულისჩამდგმელი კვლავ უინსტონ ჩერჩილი იყო. მისი გამოსვლები სხვადასხვა „ევროპულ ყრილობაზე" დელეგატებს თავისი პათოსით ცრემლს გვრიდნენ. ჩერჩილი ევროპის გაერთიანების სხვადასხვა ფორმას სთავაზობდა (მაგ. ევროპის საბჭო). მაგრამ მთავრობა (ლეიბორისტები) ეჭვის თვალით უყურებდნენ ამგვარ გაერთიანებას. ჩერჩილს დიდი ბრიტანეთი კვლავ ყოვლისშემძლედ მიაჩნდა. ლეიბორისტები კი თვლიდნენ, რომ კავშირები აშშ-სთან და იმპერიაში შემავალ ქვეყნებთან გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ევროპის ქვეყნების გაერთიანება.

აშშ-სთან დაახლოების სწრაფვა (მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობდა დაესუსტებინა და საერთოდ დაეშალა ბრიტანეთის იმპერია) გამოიხატა დიდი ბრიტანეთის მიერ მარშალის გეგმის სწრაფ მიღებაზე. იგივე კურსი დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში გაძლიერდა საბჭოთა კავშირის ანტიდასავლური აქციის პასუხად. 1948წ. საბჭოთა კავშირმა მოახდინა დასავლეთ ბერლინის ბლოკადა. ეს იყო მცდელობა აეძულებინა აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ხელი აეღოთ გერმანიის დასავლეთ ზონაში პროდასავლური გერმანული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.

ბლოკადა 324 დღე გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მუდმივი საჰაერო ხაზის წყალობით უზრუნველყვეს დასავლეთ ბერლინი, რომელიც საბჭოთა ზონის შუაგულში იმყოფებოდა. ბლოკადა მარცხით დამთავრდა. ბლოკადის მოხსნას მოყვა დასავლეთის საოკუპაციო ზონაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე იქნა ჩამოყალიბებული. მოგვიანებით კი, 1949წ. შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკური სახელშეკრულებო ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization) NATO, რომელმაც თავდაპირველად გააერთიანა აშშ, კანადა, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, დანია, ნორვეგია, იტალია.

ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება იყო ბევინის საგარეო პოლიტიკური კურსის თავისებური დაგვირგვინება, რადგანაც იგი მუდამ მიისწრაფოდა აშშ მჭიდროდ დაეკავშირებინა დასავლეთ ევროპასთან. NATO-ს პირველ გენერალურ მდივნად დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ლორდი ისმეი იქნა არჩეული.

აშშ-სთან ურთიერთობის და მისი ნებისმიერი პოზიციის მიუხედავად დიდ ბრიტანეთს თავად უნდა ეზრუნა თავის უკიდეგანო იმპერიაზე, მასში შემავალ სამანდატო ტერიტორიასა თუ კოლონიებზე. სიტუაცია კი ორივეგან რთული იყო. ახლო აღმოსავლეთში ჯერ ლორდ ბალფურის 1917წ. დეკლარაციით შეგულიანებული და მერე ჰიტლერის მიერ მოწყობილ ჟლეტას გამოქცეული ებრაელები სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩადიოდნენ პალესტინაში, რაც ადგილობრივი არაბი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ამას მოყვა დაპირისპირება და შეტაკებები არაბებსა და ებრაელებს შორის. მდგომარეობის განმუხტვა კი დიდ ბრიტანეთს ევალებოდა, რადგანაც პალესტინა ამ უკანასკნელის დამოკიდებულებაში იყო როგორც სამანდატო ტერიტორია. შექმნილ სიტუაციაში დიდ ბრიტანეთს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, პალესტინიდან წასვლა. 1948წ. დიდმა ბრიტანეთმა პალესტინა დატოვა.

მაგრამ პალესტინიდან ბრიტანელების წასვლას არ მოუტანია მშვიდობა რეგიონისათვის. იქ განლაგებულმა ოთხმა არაბულმა სახელმწიფომ არ სცნო 1949წ. შექმნილი ისრაელის სახელმწიფო და ომი გამოუცხადეს მას, მაგრამ დამარცხდნენ და საკუთარი მიწების გარკვეული ნაწილის დათმობაც კი მოუხდათ. პალესტინის დარჩენილი ნაწილი გაერთიანებულ იქნა ტრანსიორდანიასთან, რის შედეგად შეიქმნა ახალი სახელმწიფო, იორდანიის სამეფო.

ბრიტანეთის იმპერია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ძალზე თავისებური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. ბრიტანელი ისტორიკოსების ალან სკიდის და კრის კუკის აზრით, ეს იყო ორ ცეცხლს შორის ყოფნა. კოლონიური სამფლობელოების არსებობისათვის დიდ ბრიტანეთს კრიტიკის ქარცეცხლში ახვევდნენ. თვით ტერმინი „იმპერია" ფაშიზმის, მესამე რაიხის ასოციაციას იწვევდა. იმავე დროს კოლონიებიდან წასვლას აუცილებლად მიიჩნევდნენ ქვეყნის დასუსტების მაჩვენებლად.

ამრიგად, დიდი ბრიტანეთი თავისებური არჩევანის წინაშე იდგა. ერთ მხრივ მას ელოდა კრიტიკა, მაგრამ იმავე დროს ურყევი პოზიციის დაკავება აამაღლებდა მის პრესტიჟს და უზრუნველყოფდა კოლონიების მოსახლეობის შიშს და მორჩილებას. მეორე მხრივ, თუ იგი დამოუკიდებლობას მიანიჭებდა თავის კოლონიებს, ამით დასაბამს მისცემდა ახალი სახელმწიფოების შექმნას. ეს კი მსოფლიოს, და უპირველეს ყოვლისა, კოლონიების მოსახლეობის თვალში მისი სისუსტის მაჩვენებელი იქნებოდა.

დიდი ბრიტანეთისათვის ეს უდავოდ მორიგი სერიოზული გამოცდა იყო. იგი თავისებურად მისივე ისტორიული შემოქმედების ნაყოფის მოწევის წინაშე იდგა. საუკუნეების მანძილზე, ბრიტანელები მათივე რწმენით „თეთრი ადამიანის" ტვირთს ეზიდებოდნენ. და აი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგა დღე, როდესაც მათ მოიწიეს, როგორც ამას კიპლინგი ამბობდა, მათ მიერვე გაწეული შრომის ნაყოფი. კოლონიებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანმა, ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინის მარგალიტმა, ინდოეთმა, დამოუკიდებლობა მიიღო. დიდი ბრიტანეთის ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე ორ საუკუნოვანმა ბატონობამ ინდოეთის მრავალრიცხოვანი და ამორფული მოსახლეობა ერთ პოლიტიკურ, ეროვნულ ერთეულად აღზარდა. გაიცნობიერა რა თავი ინდოეთად, ამ ხალხმა და ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოთხოვნა წამოაყენა. ამგვარად, დადგა ის დღე, რომელსაც ჯერ კიდევ XIXს. პირველ ნახევარში ინგლისელი ისტორიკოსი ლორდი მაკოლეი ინგლისის ისტორიაში უდიდეს დღეს უწოდებდა.

შექმნილ სიტუაციაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურმა წრეებმა ტრადიციული პრაგმატიზმი და საქმისადმი საღი დამოკიდებულება გამოავლინეს. იმპერიული მედიდურობა არ იქცა აკვიატებულ იდეად, რომელიც დააკონსერვებდა და შებორკავდა პოლიტიკურ ცნობიერებას. ინგლისური პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელმა მოქნილობამ კვლავ იჩინა თავი. ინდოეთი მომწიფდა დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ეს მოვლენა დაინახეს ლონდონში და შესაბამისი ნაბიჯი გადადგეს. შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთის პოლიტიკური ზრდის პარალელურად ინგლისური პოლიტიკური ხედვის ზრდა მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ 1942წ. ჩერჩილის კაბინეტმა შეიმუშავა ინდოეთისათვის ფართო მატერიალურ–ფინანსური დახმარების გაწევის გეგმა. როდესაც გამოირკვა, რომ მთავრობას თანხები თავად დიდი ბრიტანეთის სოციალურ–ეკონომიკური აღდგენისათვის სჭირდებოდა, ნათელი გახდა, რომ ინდოეთზე ბატონობდა და მასზე რაიმე ფორმით ზრუნვა დიდ ბრიტანეთს უფრო მეტად ტვირთად დააწვებოდა, ვიდრე მოგებას მოუტანდა. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა დაეჩქარებინა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, რომლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ინდოეთის ეროვნულ კონგრესს ჯერ კიდევ 1942წ. ემცნო.

1947წ. ინდოეთი დამოუკიდებლად გამოცხადდა. მაგრამ ქვეყანამ ვერ აიცილა თავიდან შიგა დაპირისპირება და განხეთქილება. ეს იყო დაპირისპირება მაჰმადიან და ინდუისტ პოლიტიკურ ლიდერებს შორის, რომელიც შემდგომ შესაბამისი აღმსარებლობის თემებს შორის კონფლიქტში გადაიზარდა. ქვეყანა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაიყო: ინდოეთის რესპუბლიკად და პაკისტანად. პირველში ინდუისტები სახლობდნენ, მეორეში მაჰადიანები. 1948წ. კი დამოუკიდებლობა მიენიჭა კ. ცეილონს (მომავალში შრი ლანკა) და ბირმას.

ამ სახელმწიფოთათვის დამოუკიდებლობის მინიჭებამ დასაბამი მისცა იმპერიის თანამეგობრობად გარდაქმნას. თუკი ბირმამ არჩია ყოფილ მეტროპოლიასთან მტკიცე კავშირის შენარჩუნება, ინდოეთმა, პაკისტანმა და ცეილონმა მისაღებად მიიჩნიეს 1949წ. ჩამოყალიბებული დებულება, რომლითაც გაერთიანებული სამეფოს მეფე გამოცხადდა თანამეგობრობის თავისუფალი წევრების ერთიანობის სიმბოლოდ და შესაბამისად თანამეგობრობის მეთაურად. აქედან გამომდინარე, თანამეგობრობის წევრებს უფლება ენიჭებოდათ თანამეგობრობის შიგნით აბსოლუტურად თავისუფლად ემოქმედათ. დიდი ბრიტანეთის კოლონიებთან ურთიერთობაში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სპეციალური დაწესებულებების შექმნა, რომლებიც კოლონიებში ცხოვრების დონის და მათი სურსათით მომარაგებით გაუმჯობესებაზე იმუშავებდნენ.

XXს. 50-იან წლები დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში აღსავსე იყო სხვადასხვა სამხედრო თუ დიპლომატიური ხასიათის მოვლენით, რომლებიც ნათლად მეტყველებდნენ იმაზე, რომ ქვეყანა გამოაკლდა ზესახელმწიფოთა რიგს და მსოფლიოში თავისი ახალი ადგილის ძიების რთულ პროცესში იმყოფებოდა. ქვეყანას უხდებოდა როგორც დემოკრატიული და კომუნისტური ბლოკების დაპირისპირებაში მონაწილეობის მიღება, ასევე კოლონიური პრობლემების მოგვარება.

ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ურთიერთობის გამწვავება გამოიხატა ე.წ. კორეის ომში (1950–1953წწ.). პროკომუნისტური ჩრდილოეთ კორეა შეიჭრა დემოკრატიულ პრინციპებზე შექმნილ სამხრეთ კორეაში. მაგრამ ეს მხოლოდ კონფლიქტის გარეგნული გამოხატულება იყო. აანალიზებს რა ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს, ბრიტანელი მკვლევარი ტ. მაკალივი მიუთითებს იმის შესაძლებლობაზე, რომ ჩრდ. კორეა საბჭოთა კავშირის მიერ იქნა წაქეზებული. სამხ. კორეის დაცვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა იკისრეს.

ომმა, რომელშიც მოგვიანებით ჩინეთიც ჩაერთო ჩრდილოეთ კორეის მხარეზე, დიდძალი მსხვერპლი მოიტანა და დასრულდა ომამდელი საზღვრების აღდგენით. ამ ომში დიდმა ბრიტანეთმა დიდი მსხვერპლი ნახა. ომმა გამოაშკარავა ქვეყნის სამხედრო–ტექნიკური ჩამორჩენილობა ომისშემდგომი მოთხოვნების ფონზე. ომში მონაწილე ბრიტანული კონტინგენტი, 27 ბრიგადა, არასრულად იყო დაკომპლექტებული და აღჭურვილი. არ იყო სატრანსპორტო საშუალებები და საძილე ტომრებიც კი. გაუმართავი იყო რადიოკავშირი.

საომარ მსვლელობაში ბრიტანული შენაერთების მონაწილეობა ამერიკელთა წვლილის ფონზე უმნიშვნელო იყო. მაგრამ მშვიდობის მისაღწევად ბრიტანულმა დიპლომატიამ უდავოდ შეიტანა გარკვეული წვლილი. აშშ-ს პრეზიდენტი ტრუმენი ჩინეთს ატომური იარაღით ემუქრებოდა. 1949წ. ამგვარი იარაღი უკვე იყო სსრკ-ს განკარგულებაში. 1952წ. დიდმა ბრიტანეთმა პირველად გამოსცადა თავისი ატომური იარაღი. ამგვარად, ყოვლად შესაძლებელი იყო, რომ სამყარო ბირთვული ომის გამანადგურებელი საშიშროების წინაშე დამხდარიყო. შექმნილ სიტუაციაში პრემიერ–მინისტრი ეტლი ჩაფრინდა ვაშინგტონში და პირადად შეხვდა ტრუმენს. ეტლის შეგონების შედეგად ტრუმენმა ხელი აიღო ბირთვული იარაღის გამოყენებაზე.

1951წ. არჩევნებში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს და მთავრობა უინსტონ ჩერჩილმა ჩამოაყალიბა. კონსერვატორები 1964 წლამდე იყვნენ ხელისუფლების სათავეში. ზოგიერთ საკითხში კონსერვატორები მიყვებოდნენ ლეიბორისტების საგარეო პოლიტიკურ კურსს. ეს პირველ რიგში ევროპის კონტინენტის ქვეყნებთან ურთიერთობას ეხებოდა.

ჩერჩილი, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს აქტიურად გამოდიოდა გაერთიანებული ევროპის იდეით, პრემიერ–მინისტრად გახდომის შემდეგ არ ცდილა შეეცვალა ლეიბორისტების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მიესალმებოდა რა ევროპის ქვეყნების გარკვეული ფორმით გაერთიანებას, ჩერჩილი იმავდროულად წინააღმდეგი იყო ამ გაერთიანების რომელიმე სტრუქტურაში (განსაკუთრებით სამხედრო–თავდაცვითი ხასიათის) დიდი ბრიტანეთის უშუალო გაწევრიანების. მას მიაჩნდა, რომ ამგვარი ნაბიჯი დიდი ბრიტანეთისათვის სუვერენიტეტის დათმობის ტოლფასი იქნებოდა. ამის თაობაზე მან ოფიციალური განცხადებაც კი გააკეთა რომში 1951წ.

ჩერჩილის ამგვარმა განცხადებამ კონტინენტზე შეშფოთება გამოიწვია. დიდი ბრიტანეთის პარტნიორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გაერთიანებული თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ამ სფეროში მტკიცე ურთიერთ ვალდებულებას. ამგვარი პოლიტიკური კურსი აქტუალობას იძენდა სსრკ-სთან დაპირისპირების პირობებში. საბოლოოდ კონსერვატორთა მთავრობაშიც ამ პოლიტიკურმა კურსმა გაიმარჯვა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საგარეო საქმეთა მინისტრის სერ ენტონი იდენის მოხერხებულმა დიპლომატიურმა სვლებმა.

1954წ. ლონდონში მისი ინიციატივით ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ განამტკიცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სამხედრო კავშირების გაძლიერება და მოამზადა ნიადაგი დასავლეთ გერმანიის და იტალიის ნატოში გაწევრიანებისათვის. გარდა ამისა, ლონდონის დოკუმენტის ხელმოწერამ დასაბამი დაუდო ბრიტანული სამხედრო შენაერთების მუდმივ ყოფნას ევროპის კონტინენტზე.

კონსერვატორთა საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო ევროპის ფარგლებს მიღმაც. იდენმა წარმატებით დაასრულა ლეიბორისტების მიერ დაწყებული ამერიკელთა დაშოშმინების პროცესი, რომელთა პოლიტიკოსებს ანტიკომუნისტური ისტერიის გავლენით სურდათ ჩინეთის წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენება.

დიდი ბრიტანეთისათვის სასიკეთოდ წარიმართა მოვლენათა მსვლელობა ირანშიც. 1952წ. ირანში აღდგენილ იქნა შაჰის ხელისუფლება, რომელთანაც ლონდონმა შეთანხმებას მიაღწია ინგლის–ირანული ნავთობის კომპანიის შესახებ. კომპანია ამოქმედდა საერთაშორისო

კონსორციუმის მეთაურობით. დიდ ბრიტანეთს აქციების 40% ერგო, ხოლო აქციების დანარჩენი ნაწილი გაყიდულ იქნა 214 მლნ. გირვანქა სტერლინგად.

სხვაგვარად წარიმართა მოვლენები ეგვიპტეში. 1952წ. იქ დამხობილ იქნა მეფე ფარუქი. ხელისუფლების სათავეში სამხედროები მოვიდნენ პოლკოვნიკ ნაჯიბის მეთაურობით. ახალ ხელისუფლებასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება სუდანის და სუეცის არხის შესახებ, რომლებიც ინგლის–ეგვიპტეს ურთიერთობის მტკივნეულ ნაწილს წარმოადგენდნენ. სუდანი 1950წ. მიიღებდა თვითმმართველობას, ხოლო სუეცის არხის ზონიდან ბრიტანული ჯარები 1956წ. გავიდოდნენ.

შექმნილ სიტუაციაში როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე ეგვიპტეში გააქტიურდნენ უკიდურესი პოლიტიკური წრეები. ლონდონში კონსერვატორთა ნაწილმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ბრიტანული ჯარების სუეცის არხიდან წასვლის მიმართ, ხოლო კაიროში ოფიცრობის ნაწილი ოპოზიციაში ჩაუდგა პოლკოვნიკ ნაჯიბს და მოითხოვდა ინგლისელებისგან მაქსიმალურ დათმობაზე წასვლას. ამ უკანასკნელთ სათავეში პოლკოვნიკი გამალ აბდელ ალ ნასირი ედგა. ნასირის პოზიციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე და თვით ინგლისის კაბინეტის შემადგენლობაზეც კი.

1955წ. პრემიერ–მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თანამდებობიდან გადადგა. შარავანდედით მოსილ ღვაწლმოსილ პოლიტიკოსს ოთხმოცდაერთი წელი შეუსრულდა. ასაკმა და შერყეულმა ჯანმრთელობამ უდავოდ დაღი დაასვეს მის საქმიანობას. მის ერთადერთ და უცილობელ „მემკვიდრედ“ საგარეო საქმეთა მინისტრი სერ ენტონი იდენი ითვლებოდა და კონსერვატორებიც, ბუნებრივია დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე, გამომდინარე მისი თავისებური პირადი ხიბლიდან და წარმატებული საგარეო პოლიტიკური საქმიანობიდან.

გახდა რა პრემიერ–მინისტრი იდენმა გაუცრუვა იმედები როგორც თანაპარტიელებს, ასევე საზოგადოებას მთლიანად. მან ვერ შესძლო კაბინეტის მუშაობის გაძღოლა. საზოგადოებრივი აზრის ჩატარებულმა გამოკითხვებმა პრემიერ–მინისტრობის პირველსავე თვეებში უჩვენეს მისი პოპულარობის მკვეთრი დაცემა. იდენის პოზიცია საბოლოოდ შეირყა ეგვიპტეში დატრიალებული მოვლენების გამო.

1956წ. პოლკოვნიკმა ნასირმა, რომელიც იმ დროისათვის ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა, გამოაცხადა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რათა მოეძია თანხები ასუანის გიგანტური კაშხალის მშენებლობისათვის. აღნიშნული ქმედება არ იყო გათვალისწინებული ინგლის–ეგვიპტეს შორის არსებული შეთანხმებით. ნაციონალიზაციას ლონდონში ცალსახად უარყოფითი რეაქცია მოყვა. ნასირს ჰიტლერს და მუსოლინის ადარებდნენ. ოპოზიციაში მყოფი ლეიბორისტებიც კი მოითხოვდნენ საკითხის სამხედრო ჩარევის მეშვეობით გადაწყვეტას.

არხის ნაციონალიზაციამ შეშფოთება გამოიწვია საფრანგეთშიც. არხი ფრანგული კომპანიის მფლობელობაში იყო. მისი 800 ათასი აქციიდან 324 ათასი ინგლისის მთავრობას ეკუთვნოდა, ხოლო დირექტორთა საბჭოს 32 წევრიდან 16 ფრანგი, ხოლო 9 ინგლისელი იყო. დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა თავდაპირველად სცადეს დიპლომატიური ხერხებით მოეგვარებინათ შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ ნასირი ურყევად იდგა თავის პოზიციაზე.

შექმნილ ვითარებაში ლონდონსა და პარიზში გადაწყვიტეს სამხედრო ჩარევის გზით ემოქმედათ. იდენისა და საფრანგეთის პრემიერ–მინისტრის გი მოლეს პირადი შეხვედრის დროს შედგა მოქმედების გეგმა. იგი ითვალისწინებდა ისრაელის თავდასხმას ეგვიპტეზე, შემდეგ ფრანგულ–ინგლისურ ულტიმატუმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და უარის შემთხვევაში ამ ორი ქვეყნის მიერ სამხედრო მოქმედების დაწყებას სუეცის არხის ზონაში. ვარაუდი გამართლდა და ეგვიპტე ინგლის–საფრანგეთ–ისრაელის აგრესიის ობიექტი გახდა.

მაგრამ სულ მალე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში აგრესიის წინააღმდეგ გამოვიდნენ სსრკ და აშშ. თუკი სსრკ კლასობრივი–იდეოლოგიური მოტივებით მოქმედებდა და ისწრაფოდა ახლო აღმოსავლეთში, არაბულ სამყაროში პროკომუნისტური რეჟიმები გაეძლიერებინა, აშშ უკმაყოფილო იყო თავისი ურჩი პარტნიორის მოქმედებით. ვაშინგტონში უკმაყოფილოები იყვნენ, რომ ლონდონმა მათთან კონსულტაციის გარეშე დაიწყო სამხედრო მოქმედება. ამერიკელები განაწყენებული იყვნენ კორეის ომის დროს დიდი ბრიტანეთის მეტისმეტად აქტიური მშვიდობიანი ინიციატივით.

აშშ-ს და სსრკ-ს ზეწოლით დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა გაიყვანეს თავისი ჯარები ეგვიპტიდან. ეს იყო დიდი ბრიტანეთის სერიოზული პოლიტიკური მარცხი. აშშ-მ ამით

ხაზი გაუსვა იმას, რომ მისთვის სავსებით შესაძლებელი იყო სამყაროს სსრკ-სთან გაყოფა და შესაბამისად დიდი ბრიტანეთი ამერიკის „უმცროსი“ პარტნიორის როლით უნდა დაკმაყოფილებულიყო. სუეცის ავანტიურას მოყვა სავალუტო რეზერვების კატასტროფული შემცირება.

პოლიტიკურმა მარცხმა, ფინანსურმა სიძნელეებმა, პარლამენტის და საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკამ შეარყია პრემიერ–მინისტრის ჯანმრთელობა და პოზიცია. იდენი გადადგა. პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა ჰაროლდ მაკმილანმა, რომელსაც იდენის კაბინეტში ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. საგარეო პოლიტიკის სფეროში მის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. პირველ რიგში საჭირო იყო დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა.

სუეცის არხის მოვლენებმა თავად ბრიტანელთა თვალში დაამცირეს მათივე ქვეყანა და შეარყიეს სიამაყე, რომელსაც ისინი განიცდიდნენ II მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვების გამო. ამიტომაც გარკვეული ხნით ქვეყანა მოიცვა ანტიამერიკულმა სულისკვეთებამ, რადგანაც ბრიტანელები თვლიდნენ, რომ მათი მარცხი სწორედ ამერიკელების „ღალატით“ იყო გამოწვეული. ბევრ მაღაზიაში წარწერაც კი გამოჩნდა: „აქ ამერიკელებს არ ემსახურებიან“.

თავისი საჯარო მიმართვებით თანამემამულეებისადმი და პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან პირადი შეხვედრების მეშვეობით მაკმილანმა შესძლო ბრიტანელებში ამერიკისადმი კეთილგანწყობისა და ორ ქვეყანას შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენა. საკუთარ თავში რწმენის განმტკიცებას და შერყეული პრესტიჟის ნაწილობრივ აღდგენას ხელს უწყობდა 1957წ. დიდი ბრიტანეთის მიერ წყალბადის ბომბის წარმატებული გამოცდა. ამით დიდ ბრიტანეთს საშუალება ეძლეოდა გარკვეულწილად ჰქონოდა პრეტენზია იმაზე, რომ იგი კვლავ დიდი სახელმწიფოა, უფრო დამოუკიდებელი ყოფილიყო აშშ-სგან და შეემცირებინა ჯარის რაოდენობა.

დიდ ბრიტანეთს მიეცა შესაძლებლობა გაეუქმებინა სავალდებულო სამხედრო სამსახური და წვევამდელთა არმიის ნაცვლად შეექმნა 165 ათასიანი კარგად გაწვრთნილი პროფესიული ჯარი. ამან არა მარტო შეამცირა სამხედრო ხარჯები, არამედ დადებითი რეაქცია გამოიწვია მთლიანად მოსახლეობაში, რადგანაც როგორც ფელდმარშალი მონტგომერი ამბობდა, საყოველთაო სამხედრო ვალდებულება ერთობ უცხო და არასასურველი იყო ინგლისური ცნობიერებისათვის.

წყალბადის ბომბმა რამდენადმე გამოაცოცხლა დიდი ბრიტანეთის ამბიციები. „ჩვენ შეგვიძლია მოსკოვის და სტალინგრადის რეგიონში ანდა ყირიმში განლაგებულ ქალაქებს მივაყენოთ დარტყმა ბრიტანეთსა და კვიპროსში განლაგებული ბაზებიდან. ჩვენ კვლავინდებურად დიდი სახელმწიფო ვართ“–ამბობდა უინსტონ ჩერჩილის ვაჟი, რანდოლფი. მაგრამ ამგვარი ამბიციების რეალურობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილი იყო ბრიტანეთის იმპერიაში. შექმნილი მდგომარეობა კი მეტყველებდა იმაზე, რომ იმპერია შემდგომი დეკოლონიზაციის გზაზე იდგა.

დეკოლონიზაციას, რომელიც დიდი ბრიტანეთის XXს. 50-60-იანი წლების საგარეო პოლიტიკის მთავარი მოვლენა იყო თავისი სირთულეები ახლდა. მაგ. კვიპროსსა და კენიაში ძლიერი ანტიბრიტანული მოძრაობა იყო გაჩაღებული, მაგრამ ამავე ქვეყნებში შიდა სირთულეებიც იყო. კვიპროსში მძაფრი დაპირისპირება იყო ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. პირველს საბერძნეთთან შეერთება სურდა, რასაც თურქები ეწინააღმდეგებოდნენ. კენიაში კი ძალზე ძლიერი იყო გვარ–ტომობრივი და რელიგიური ტრადიციები, რაც ხელს უშლიდა ადგილობრივი მოსახლეობის კონსოლიდაციას.

ლონდონში გაცნობიერებული ჰქონდათ კოლონიების დათმობის გარდაუვალობა, პრემიერ–მინისტრი მაკმილანი სულაც არ იყო ჩაბღაუჭებული აფრიკულ თუ აზიურ სამფლობელოებს. ეს აზრი თანდათანობით მტკიცედ იკიდებდა ფეხს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ბრიტანეთის კოლონიალიზმს სულ უფრო მძაფრად აკრიტიკებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ვეღარ წავიდოდა თავისი ქვეყნის და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ.

საქმე დროის ხანგრძლივობაში იყო. ლონდონში ელოდებოდნენ, თუ როდის ჩამოყალიბდებოდა ამ ქვეყნებში მართვის უნარის მქონე საზოგადოებრივი ფენა. იმის გამო, რომ ამგვარი ფენის მომზადებისათვის ზრუნვა შედარებით გვიან, ომისშემდგომ წლებში დაიწყო, პროცესი შეიძლებოდა გახანგრძლივებულიყო. ეს კი ადგილობრივი განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა

უკმაყოფილებას იწვევდა. ბრიტანელთა მცდელობა, დაეჩქარებინათ პროცესი, გაეფართოებინათ აბორიგენული მოსახლეობის რაოდენობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში იწვევდა თეთრი კოლონისტების უკმაყოფილებას, რასაც ხშირად კონფლიქტები მოყვებოდა.

XXს. 50-იანი წლების შუა ხანებში კენიაში დაიწყო კიკუიუს ტომის აჯანყება, რომელიც მაუ–მაუს ომის სახელით შევიდა ისტორიაში. მღელვარებას რასობრივ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა ცენტრალურ აფრიკის ფედერაციაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩრდილოეთ როდეზია, სამხრეთ როდეზია და ნიასალენდი.

იმისათვის, რომ დეკოლონიზაციის პროცესი გაეადვილებინათ ახლადშექმნილი სახელმწიფოებისათვის, ლონდონში სხვადასხვა კოლონიებისაგან ფედერაციების შექმნის გზას დაადგნენ. იმავდროულად ფედერაციებთან ურთიერთობა ყოფილ მეტროპოლიასთან უფრო ადვილი იყო, ვიდრე უამრავ ახალ სუბიექტთან. მაგრამ ფედერაციულმა მოწყობამ ვერ გაანელა კოლონიების სწრაფვა სრული დამოუკიდებლობისაკენ.

XXს. 60-იან წლებში დაიშალა ყველა ასეთი ფედერაცია: ვესტ ინდოეთის, ცენტრალური აფრიკის, მალაიზიის და სამხ. არაბეთის. საერთო ჯამში 50-60-იან წლებში დამოუკიდებლობა მიიღეს ოქროს ნაპირმა (მას განა ეწოდა), ნიგერიამ, კვიპროსმა, სიერა ლეონემ, ტანგანიკამ, იამაიკამ, ტრინიდადმა, უგანდამ, კენიამ, ზანზიბარმა, მალავიმ, მალტამ, ტობაგომ, ფიჯიმ, მაურიციუსმა, გამბიამ, სინგაპურმა, ბოტსვანამ, გვიანამ, ლესოტომ, ჩრდ. როდეზიამ (შემდგომში ზამბიამ), მალაიზიამ.

ამრიგად, ბრიტანეთის იმპერია, მსოფლიო ისტორიის ეს ერთ–ერთი უთვალსაჩინოესი მოვლენა, თანდათანობით გაქრა მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზიდან. როგორ შეიძლება შევაფასოთ ეს მოვლენა? როგორც ერთ დროს ძლევამოსილი სახელმწიფოს დაჩაჩანაკება? ძნელია, დავეთანხმოთ ამგვარ მოსაზრებას. ეჭვგარეშეა, რომ ჩერჩილის და მაკმილანის დროის ინგლისი, რომლის განკარგულებაში ატომური ელექტროსადგური, ატომური და წყალბადის ყუმბარები იყო, უფრო სუსტ სახელმწიფოდ მივიჩნიოთ, ვიდრე ის, რომელსაც უილიამ პიტი უფროსი ან ბენჯამინ დიზრაელი ედგნენ სათავეში და რომელთა განკარგულებაში აფრიანი ხომალდები ან თუნდაც ორთქლის ძრავით აღჭურვილი გემები იყო. სამეცნიერო და მატერიალურ–ტექნიკური უპირატესობა უცილობლად XXს. 50-60-იანი წლების ინგლისის მხარეზე იყო.

მაგრამ დეკოლონიზაციის პროცესი სხვა კუთხით დანახვას თხოულობს. სწორედ ინგლისის და მისი კოლონიების თანაცხოვრებამ განაპირობა ამ უკანასკნელთა სულიერი და სოციალური ზრდა, მათი, როგორც გარკვეული ხალხების განვითარება და მათში (მეტ–ნაკლები) ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება. ამგვარად, კოლონიალიზმმა, რომელიც გარეგნულად კაცობრიობას მოევლინა როგორც ჩაგვრის გარკვეული ფორმა, რომელიც რასიზმამდეც კი მივიდა. საბოლოო ჯამში მოიტანა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და ეროვნული თავისუფლებისაკენ ლტოლვა რაც ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოთხოვნაში გამოიხატა. შესაბამისად ლაპარაკი უნდა იყოს არა ინგლისის დასუსტებაზე, არამედ მისი კოლონიების სულიერ ზრდაზე, რაშიც თავად ინგლისმა, იყო რა მსოფლიო–ისტორიული ნების აღმსრულებელი, გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ვლაპარაკობთ რა კოლონიების სულიერ, თუ სოციალურ ზრდაზე, არ უნდა დავივიწყოთ ამ ზრდის მეორე მხარე, რომელიც თავად დიდმა ბრიტანეთმაც განიცადა. ადრე ბრიტანელები თვლიდნენ, რომ მათ ფერადკანიანებზე უნდა ებატონათ. მაგრამ დადგა დღე, და მათ აზიის და აფრიკის მკვიდრებში თავისი სწორი ადამიანები დაინახეს. ბრიტანელთა შეგნება იმდენად გაიზარდა, რომ მათ სხვებზე ბატონობა უღირს და დრომოჭმულ მოვლენად ჩათვალეს. ამ აზრს როგორც ხელისუფლება, ასევე რიგითი მოქალაქეები იზიარებდნენ.

არა მეტროპოლიის დასუსტება, არამედ როგორც მისი, ასევე კოლონიების, როგორც კულტურული მოვლენების ზრდა უნდა დავინახოთ დეკოლონიზაციის პროცესში. სწორედ ამიტომ იყო, რომ დეკოლონიზაციამ მიიღო არა დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების ფორმა, არამედ გაფორმდა ცივილიზებული სახით, ორმხრივი შეთანხმებით, რამაც გამორიცხა მეტროპოლიის ყოფილ კოლონიაზე შემდგომი ზეწოლა. ნაბოძები დამოუკიდებლობა აღარ გამხდარა განმეორებითი შეტევის ობიექტი. არავის უცდია მისი ხელმეორედ წართმევა.

იმპერია დაიშალა, მაგრამ ურთიერთობა ყოფილ კოლონიებთან არ გაწყვეტილა. შეიქმნა გაერთიანების ახალი ფორმა, თანამეგობრობა(ინგ. Commonwealth). ბრიტანეთის სახელმწიფოთა

თანამეგობრობის მასშტაბით ერთობ ფართო სპექტრის მოვლენებს ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მისი წევრი ქვეყნების სრული დამოუკიდებლობისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ზოგჯერ ცდილობდა შიგაპოლიტიკური თუ საერთაშორისო ურთიერთობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ზეწოლა მოეხდინა მათზე. ასე მოხდა 1961წ., როდესაც სამხრეთ აფრიკაში გაბატონებულმა აპარტეიდის (რასობრივი დიკრიმინაციის) რეჟიმმა დიდი ბრიტანეთის და მსოფლიო საზოგადოების პროტესტი გამოიწვია. ამ ქვეყნის 14 მლნ. მოსახლეობიდან 11 მლნ. ფერადკანიანი აბსოლუტურად მოკლებული იყო ყველა მოქალაქეობრივ უფლებას, რომლებითაც მხოლოდ 3 მლნ. თეთრკანიანი სარგებლობდა.

პრემიერ–მინისტრმა მაკმილანმა მოუწოდა სამხრეთ–აფრიკის ხელისუფლებას ყურად ეღოთ მსოფლიო საზოგადოების პროტესტი, მაგრამ უშედეგოდ. შექმნილი სიტუაციაში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის და ოპოზიციის ზეწოლით მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თანამეგობრობის რიგებიდან გარიცხვის შესახებ.

მთავრობის მხრიდან ეს იყო არა იძულებითი დათმობა, არამედ შეგნებული, გააზრებული ნაბიჯი, რაზეც პრემიერ–მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის სიტყვები მიუთითებენ: „ყველაზე მეტად მე აფრიკელებში ეროვნული თვითშეგნების მაღალმა დონემ გამაკვირვა. მოგვწონს თუ არა ეს ჩვენ, ეროვნული თვითშეგნების ზრდა არსებობს პოლიტიკური ფაქტორის სახით და ჩვენ ვალდებულები ვართ გავითვალისწინოთ ეს ჩვენს სახელმწიფო პოლიტიკაში“– თქვა მაკმილანმა თავის გამოსვლაში სამხრეთ აფრიკის პარლამენტში. ამრიგად, ბრიტანელი პოლიტიკოსები სავსებით საღად უყურებდნენ მოვლენათა განვითარებას ყოფილ კოლონიებში.

თანამეგობრობის წევრებს მნიშვნელოვანი დახმარება ეწეოდა. მით უფრო, რომ მის შემადგენლობაში გამოჩნდა პატარა სახელმწიფოები (მაგ. გამბია), რომელთაც თავდაპირველად უბრალოდ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად არსებობა. ამ ფარგლებში გაწეულმა დახმარებამ 1961–1966წწ. 1,367 მლრდ. გირვანქა სტერლინგი შეადგინა. თანამეგობრობის ქვეყნებს დახმარებას უწევდნენ როგორც კონსერვატიული, ასევე ლეიბორისტული მთავრობები. მაგ. როცა 1964წ. ხელისუფლების სათავეში ლეიბორისტები მოვიდნენ ჰაროლდ უილსონის მეთაურობით, მათ სპეციალური სამინისტრო შექმნეს, რომელიც თანამეგობრობის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი წევრი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის გეგმებზე მუშაობდა.

თავად თანამეგობრობის წევრობის საფუძველი შეიძლება ითქვას უნიკალურია. იგი გამორიცხავს რაიმე ვალდებულებას და ემყარება გაერთიანებული სამეფოსადმი, სამეფო ხელისუფლებისადმი ერთგულების პრინციპს. ურთიერთობა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ხორციელდება შეხვედრების მეშვეობით, რომლებიც ტარდება პრემიერ–მინისტრების, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრების დონეზე. ამჟამად თანამეგობრობა აერთიანებს 55 წევრ ქვეყანას. თანამეგობრობის მეთაურის ფორმალური უფლებამოსილობა მინიჭებული აქვს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მონარქს.

თანამეგობრობის შიგნით დიდი ბრიტანეთი სხვანაირი პრობლემების წინაშეც იდგა. ეს იყო თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მისამართით წარმოებული აგრესია, ან მის წევრებს შორის დაწყებული ომი. 1963წ. დიდ ბრიტანეთს სამხედრო ჩარევა დასჭირდა, რათა დაეცვა მალაიზია ინდონეზიის პროკომუნისტური რეჟიმის აგრესიისაგან. 1966წ. იფეთქა ინდოეთ–პაკისტანის ომმა. ლონდონის წარუმატებლობაზე, დიპლომატიური ხერხებით შეეჩერებინა საომარი მოქმედებები მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო სსრკ-ს შუამავლობით ტაშკენტში.

იყო შემთხვევა, როცა სამოქალაქო ომი თავად თანამეგობრობის ქვეყნებში იფეთქებდა, როგორც ეს 1969წ. ნიგერიაში მოხდა. ასეთ შემთხვევაში ლონდონი ოფიციალურ ხელისუფლებას უჭერდა მხარს და ეხმარებოდა მას სეპარატისტებთან ბრძოლაში, რათა ამით დიდი ბრიტანეთის მიმართ თანამეგობრობის ქვეყნების კეთილგანწყობა გაეძლიერებინა.

საერთო ჯამში XXს. 50-60-იან წწ. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკური კურსი მის გაორებულ მდგომარეობას გამოხატავდა. იგი კვლავ ცდილობდა მსოფლიოს ბედ–იღბლის განმგებლის როლში გამოსულიყო, მაგრამ აღარ ფლობდა ამისათვის საჭირო მსოფლიო რესურსებს. სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ აქციებში ჩარევა, მაგ. მალაიზია–ინდონეზიის ომი 1963წ., მოითხოვდა დამატებით სამხედრო ხარჯებს, საყოველთაო სამხედრო გაწვევის ძალაში დატოვებას და თადარიგის ჯარისკაცების და ოფიცრების ჯარში გაწვევასაც კი. 1952–1964წწ.

მანძილზე საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარჯები 50 მლნ. გირვანქა სტერლინგიდან 400 მლნ.-მდე გაიზარდა.

ჩამორჩებოდა რა XXს. 60-იან წლებში საერთო ეროვნული შემოსავლით იაპონიას, დას. გერმანიას და საფრანგეთს, დიდი ბრიტანეთი მათზე მეტს ხარჯავდა თავდაცვაზე. მისთვის ეს მაჩვენებლები ციფრობრივად შემდეგნაირად გამოიხატებოდა (საერთო ეროვნული შემოსავალი — 109 მლრდ. აშშ დოლარი, თავდაცვაზე მისი 5,7%). და ეს მაშინ, როცა მისი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა 1957–1967წწ. 700 ათასიდან 400 ათასამდე შემცირდა. მაგრამ ბრიტანული გარნიზონები კვლავ იმყოფებოდნენ მალტაში, სპარსეთის ყურეში, ისეთ კოლონიურ ტერიტორიებზე, როგორიც იყო ბელიზი. სწორედ ეს იწვევდა დიდ ხარჯებს. ცივი ომის პირობებში ბირთვული პოტენციალის გაზრდის აუცილებლობა კი ზრდიდა ამგვარ ხარჯებს და აძლიერებდა დიდი ბრიტანეთის აშშ-ზე დამოკიდებულებას.

სწორედ დიდი ბრიტანეთის ამგვარ მდგომარეობას გულისხმობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი დინ აჩესონი, რომელმაც 1959წ. განაცხადა, რომ ამ ქვეყანამ დაკარგა იმპერია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იპოვა თავისი ახალი ადგილი მსოფლიოში. ლონდონის მცდელობა, შეეძინა ბირთვული რაკეტები აშშ-ში ზოგჯერ ვაშინგტონის წინააღმდეგობას აწყდებოდა. აშშ-ში თვლიდნენ, რომ მათი დიდი და მძლავრი ბირთვული იარაღის მარაგი უზრუნველყოფდა დასავლური სამყაროს უსაფრთხოებას სავარაუდო კომუნისტური აგრესიისაგან. შესაბამისად, ევროპა არ საჭიროებდა მძლავრ ატომურ არსენალს.

სწორედ ეს აზრი იყო გატარებული აშშ-ს პრეზიდენტის ჯონ კენედის სატელევიზიო მიმართვაში, რომელიც ევროპაში გადაიცა. მაგრამ მისი პრემიერ–მინისტრ მაკმილანთან პირადი შეხვედრის შედეგად შედგა შეთანხმება „პოლარის"-ის სისტემის ბირთვული რაკეტების დიდი ბრიტანეთისათვის მიყიდვის შესახებ. ეს მოვლენა ბრიტანული დიპლომატიის წარმატება იყო. ქვეყანას უკვე თავისი ბირთვული არსენალი გააჩნდა.

თუმცა ოპოზიცია აკრიტიკებდა მთავრობის ამ ნაბიჯს, რომელმაც მისი აზრით უფრო დამოკიდებული გახადა დიდი ბრიტანეთი აშშ-ზე, მაგრამ 1964წ. ხელისუფლებაში მოსულმა ლეიბორისტებმა ისევ პროამერიკული პოლიტიკა გაატარეს. ლეიბორისტებმა მხარი დაუჭირეს აშშ-ს, რომელიც 1964–1973წწ. ომს აწარმოებდა ვიეტნამში. აღნიშნულ პერიოდში ეს ქვეყანა ერთ მხრივ აშშ-ს და მეორე მხრივ სსრკ-ს და ჩინეთის მძაფრი დაპირისპირების ასპარეზად იქცა.

მჭიდრო ურთიერთობას აშშ-სთან ევროპელი პარტნიორების უარყოფითი რეაქცია მოყვა. კონტინენტზე მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი სიახლოვე ევროპის როლის დაკნინებას ისახავდა მიზნად. ამ მხრივ განსაკუთრებით საფრანგეთი აქტიურობდა. პრეზიდენტი შარლ დე გოლი ამერიკული ექსპანსიის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ამიტომ დე გოლის მტრული დამოკიდებულების მთავარი ობიექტი დიდი ბრიტანეთი გახდა, როგორც ევროპაში ამერიკული ინტერესების მთავარი გამტარებელი. მისი ანტიინგლისური განწყობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგიერთ თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი (მაგ. კეიტ რობინსი) მას ამ მხრივ ნაპოლეონს ადრის.

სწორედ დე გოლის წინააღმდეგობის გამო დიდ ბრიტანეთს ორჯერ უარი ეთქვა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (საერთო ბაზრის) წევრობაზე. მართალია, თავიდან ლონდონი თავად დაუპირისპირდა თანამეგობრობას და მის საწინააღმდეგოდ შექმნა კიდეც 1959წ. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ნორვეგია, დანია, პორტუგალია, შვეიცარია, ავსტრია). მაგრამ ეს გაერთიანება ვერ გამოდგა სიცოცხლისუნარიანი.

თანამეგობრობის წევრობა სულ უფრო მომგებიანად გამოიყურებოდა. ამიტომ 60-იან წლებში ლეიბორისტებმა, რომლებიც ადრე საერთო ბაზრის სასტიკი მოწინააღმდეგეები იყვნენ, წამოაყენეს წინადადება დიდი ბრიტანეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. თუმცა კი, მათი ლიდერი, ჰაროლდ უილსონი იქვე დასძენდა, რომ ინგლისი არ დასთმობს თავის უფლებას, საკუთარი არჩევანისდა მიხედვით შეიძინოს სოფლის მეურნეობის ნაწარმი. გაწევრიანებას ითხოვდა ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციაც. პრეზიდენტ დე გოლის გადადგომამ 1969წ. გარკვეულწილად გაუხსნა გზა დიდ ბრიტანეთს საერთო ბაზრისაკენ. 1973წ. დიდი ბრიტანეთი საერთო ბაზრის წევრი გახდა.

ბირთვული პოტენციალის ზრდა, დიდი ბრიტანეთის აქტიური მონაწილეობა ისეთ ბლოკებში, როგორებიც იყვნენ ნატო, სეატო და სენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ლონდონში საგარეო პოლიტიკა იგეგმებოდა „ცივი ომის" პირობებიდან გამომდინარე. ყველა ბლოკი ხომ

კომუნისტური ექსპანსიის შეზღუდვის მიზნით იყო შექმნილი. ორი ბანაკის ჭიდილი კვლავ გრძელდებოდა და ინგლისიც იღებდა მასში მონაწილეობას. მაგრამ როგორც კონსერვატიული, ასევე ლეიბორისტული კაბინეტებისათვის არ იყო უცხო მოქნილობა და საჭიროების შემთხვევაში დაახლოებაზეც წასვლა, რაც მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების საფრთხის გაცნობიერებით იყო გამოწვეული.

ამის მაგალითად 1963წ. და 1975წ. ლონდონსა და მოსკოვს შორის ხელმოწერილი შეთანხმებები უნდა მოვიყვანოთ, რომლებიც ეხებოდა ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვას, სამეცნიერო და ეკონომიკურ თანამშრომლობას. სამწუხაროდ, იდეოლოგიური ზღვარი ამ ორ სამყაროს შორის, ჯერ კიდევ ძალზე დიდი იყო. საბჭოთა პოლიტიკის დოგმატური პრინციპები ვერ იძლეოდნენ დაახლოების საშუალებას. საბჭოეთის მთავარ იდეად კვლავ რჩებოდა კომუნიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების უდავოდ დრომოჭმული ლოზუნგი. მისი წინა პლანზე წამოყენება კი შიშს იწვევდა დასავლეთის სამყაროში, მათ შორის ლონდონშიც.

1979წ. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები მოვიდნენ. კონსერვატორების ქვეყნის სათავეში ხანგრძლივად ყოფნამ (1979–1997წწ) და განსაკუთრებით პრემიერ–მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის პიროვნებამ გარკვეული კვალი დააჩნია ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ამ ენერგიულმა, მტკიცე ხასიათის მანდილოსანმა ყველა საკითხში ცალსახა და მკაფიო პოზიცია დაიკავა და მაქსიმალურად უზრუნველყო დიდი ბრიტანეთის ინტერესების დაცვა.

ასეთი იყო მისი დამოკიდებულება ევროპის თანამეგობრობის მიმართ. იგი მტკიცედ იცავდა თავის მოსაზრებას, რომ მჭიდრო თანამშრომლობა კონტინენტთან არ ნიშნავდა დიდი ბრიტანეთის თავისუფალი მოქმედების შეზღუდვას. მისმა აქტიურმა პოზიციამ აშშ-სთან მოლაპარაკებაში აიძულა ვაშინგტონი გაევრცელებინა დასავლეთ ევროპაზე სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა. ამის წყალობით დასავლეთ ევროპის ბირთვული პოტენციალის შემდგომი გაძლიერება მოხდა. ეს სსრკ-ს და მისი მოკავშირეების შეკავებას უწყობდა ხელს, რომლებიც მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ დასავლეთ ევროპას ჩვეულებრივი სახის შეიარაღებაში.

იმავე დროს მარგარეტ ტეტჩერს შეეძლო დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლებში დადებითი თვისებები დაენახა და ხმამაღლა ეთქვა ამის შესახებ. ასეთი იყო მისი პოზიცია მიხეილ გორბაჩოვის მიმართ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი არ იყო სსრკ-ს ლიდერი. მისი ლონდონში სტუმრობის დროს 1984წ. ტეტჩერმა განაცხადა, რომ ეს ის ადამიანია, რომელთანაც შეიძლება თანამშრომლობა.

მაგრამ ყველაზე მკაფიოდ მარგარეტ ტეტჩერის პიროვნება წარმოჩნდა 1982წ. აპრილ–ივნისში გამართული ფოლკლენდის კუნძულების ომის დროს. ომი დაიწყო დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო. სამხრეთ ატლანტიკაში განლაგებული ეს კუნძულები 1833 წლიდან ინგლისის გამგეობაში იმყოფება. კუნძულებზე პრეტენზიას არგენტინაც აცხადებდა. სადავო საკითხის გარშემო მხარეებს შორის მოლაპარაკება წარმოებდა.

1982წ. აპრილში არგენტინის ჯარი გაუფრთხილებლად შეიჭრა ფოლკლენდის კუნძულებზე და მოახდინა მათი ოკუპაცია. არგენტინის მოულოდნელმა აგრესიამ ლონდონში, სამთავრობო წრეებში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. ზოგიერთს მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნდა.

შექმნილ სიტუაციაში მარგარეტ ტეტჩერმა გამოავლინა რკინის ნებისყოფა, უშრეტი ენერგია და თავდაჭერა. იგი წინ აღუდგა ყველა ორჭოფულ თუ კაპიტულანტულ მოსაზრებას, რომელიც წამოიჭრა კაბინეტსა და პარლამენტში. მან ცალსახად დასახა ერთადერთი მიზანი – კუნძულების დაბრუნება. ამოწურა რა ყველა დიპლომატიური ხერხი, რათა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო, დიდმა ბრიტანეთმა გააგზავნა ფოლკლენდის კუნძულებზე პრემიერ–მინისტრის ინიციატივით შექმნილი საექსპედიციო კორპუსი. საომარი მოქმედებები 14 ივნისამდე გაგრძელდა. არგენტინა დამარცხდა, გამოაცხადა კაპიტულაცია და ფოლკლენდის კუნძულები კვლავ დიდ ბრიტანეთს დაუბრუნდა.

მარგარეტ ტეტჩერის მიერ გატარებულმა საგარეო პოლიტიკამ განაპირობა ბრიტანულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მან ბოლო მოუღო საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დიდი ბრიტანეთი იქცა რიგით ევროპულ სახელმწიფოდ. „ჩვენ ვხარობთ იმით, რომ დიდმა ბრიტანეთმა გამოაცოცხლა ის სულისკვეთება, რომელიც მას აღანთებდა თაობიდან თაობამდე და რომელიც დღესაც კვლავინდებურად ძლიერია“ – ამბობდა ამის თაობაზე თავად მარგარეტ ტეტჩერი.

XXს. ბოლო ათწლეული საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, რომელიც ომისშემდგომი დაძაბულობის მთავარი მუხტი იყო. მისი და მასთან ერთად სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ შეწყდა „ცივი ომიც". იდეოლოგიური დაპირისპირების დასასრულმა ბოლო მოუღო სამხედრო დაპირისპირებასაც. დასავლეთის სამყაროს, მათ შორის დიდ ბრიტანეთსაც აღარ ემუქრებოდა კომუნისტური ბანაკიდან გამომდინარე საფრთხე. სამყარო თანდათანობით ერთპოლუსიანი გახდა.

აღნიშნულ პირობებში თითქოს აღარც იყო საგარეო პოლიტიკაში მტკიცე, შეუვალი პრინციპების გატარება. ამის თავისებურ გამოხატულებად ჯერ პრემიერ–მინისტრების, შემდეგ კი მმართველი პარტიის შეცვლა იყო. 1991წ. მარგარეტ ტეტჩერი გადადგა და მისი ადგილი კონსერვატორების ახალმა ლიდერმა ჯონ მეიჯორმა დაიკავა. მას უდავოდ არაფერი ეცხო „რკინის მანდილოსნის" სიმტკიცისა.

1997წ. კი ხელისუფლების სათავეში ლეიბორისტები მოვიდნენ. პრემიერ–მინისტრი გახდა ტონი ბლერი, უკიდურესად ზომიერი შეხედულებების პოლიტიკოსი.

საგარეო პოლიტიკაში XXს. 90-იან წლებში მიმდინარეობდა აშშ-სთან შემდგომი დაახლოება. ამის გამოხატულება იყო ომი სპარსეთის ყურეში, რომელსაც აშშ და დიდი ბრიტანეთი აწარმოებდნენ 1991წ. ერაყის წინააღმდეგ. ბრიტანელი ისტორიკოსების აზრით (კ. კოკი) ამ ომში ბრიტანული სამხედრო შენაერთები გაცილებით უფრო ძლიერი, მობილური, ხოლო ბრიტანული სარდლობა უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე ეს კორეის ომში ხდებოდა.

იგივე ომი მიუთითებდა ცვლილებებზე ბირთვული პოლიტიკის სფეროში. ადრე დიდი ბრიტანეთის, როგორც მთელი დასავლეთის სამყაროს ამოცანა იყო მთავარი მტრის, სსრკ-ს ატომური პოლიტიკის შებორკვა. XXს. 90-იან წლებში კი ლონდონმა, ისევე როგორც მისმა წამყვანმა პარტნიორმა აშშ-მ ზრუნვა დაიწყეს იმაზე, რომ მაქსიმალურად აღეკვეთად ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების არეალი.

სიახლეები იყო კოლონიური პოლიტიკის ასპარეზზე. 1999წ. დიდმა ბრიტანეთმა დაუბრუნა ჩინეთს კოლონია ჰონ კონგი, რომელსაც იგი ოპიუმის პირველი ომის დროიდან ფლობდა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან XXს. დასასრულამდე დიდმა ბრიტანეთმა გაიარა რთული გზა, რომელსაც უამრავი ცვლილება ახლდა. ბრიტანეთის იმპერია, რომელმაც დიდ ბრიტანეთს მსოფლიოში მოწინავე ადგილი დაუმკვიდრა და განსაზღვრა მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, და რომელთანაც თავად ბრიტანელები აიგივებდნენ საკუთარ თავს, წარსულს ჩაბარდა. მისი ადგილი თანამეგობრობამ დაიკავა მასში შემავალი უამრავი დამოუკიდებელი ქვეყნით. დიდი ბრიტანეთის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ვეებერთელა იმპერიის დეკოლონიზაციას შედარებით მცირე მასშტაბების ნგრევა მოყვა.

ტრადიციულად ფრთხილი ევროპული პოლიტიკის ასპარეზზე, დიდი ბრიტანეთი შედარებით გვიან შეუერთდა ევროპულ თანამეგობრობას, მაგრამ მიუხედავად ამისა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონტინენტის საერთაშორისო ორგანიზაციებში. თავისებური მეკავშირის ფუნქციამ, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ასრულებდა ამერიკასა და ევროპას შორის მნიშვნელოვნად განამტკიცა მისი საერთაშორისო პოზიციები. გაბატონებული ტრადიციებისადმი ერთგულებამ ბრიტანელი ისტორიკოსის პოლ კენედის აზრით შეუნარჩუნა დიდ ბრიტანეთს ტრადიციული პოლიტიკური პრესტიჟი.

ომისშემდგომი ბრიტანეთი. საზოგადოება და კულტურა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანა უამრავი სიახლით ხასიათდებოდა. ატომური ენერგიის, რეაქტიული ძრავის თუ გენეტიკის ადამიანის სამსახურში ჩადგომამ კაცობრიობის შესაძლებლობებს არნახული ძალა და დინამიზმი შესძინა. ცვლილებები მატერიალურ-ტექნიკური სფეროთი არ შემოიფარგლა. მატერიალური დოვლათის განუხრელმა ზრდამ, ბრძოლამ მისი განაწილებისათვის ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოთაშორისო მასშტაბით განაპირობა მაქსიმალური პრაგმატიზმი.

ეს პრაგმატული ხედვა როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ სფეროზეც გავრცელდა. ბრიტანელი მკვლევარის რ. ჰევისონის აზრით შეიცვალა კულტურული აღქმის არსი, რამაც

თავისებურად შეხუთა სული და შეზღუდა წარმოსახვის უნარი. ხელოვნება, რომელიც ადრე ახალი იდეების თუ ფასეულობების წარმოშობას აძლევდა ბიძგს, ახლა გართობის ინდუსტრიის ნაწილად იქცა. „თუკი ადრე ჩვენ ხელოვნების თაყვანისმცემლები ვიყავით, ახლა ჩვენ მისი ნაწარმის მომხმარებლები ვართ"— წერს ნ. ჰევისონი.

მაგრამ ამგვარი საყოველთაო ცვლილებების პირობებში ინგლისური სამყარო თავის სულიერ ცხოვრებას ანვითარებდა იმ პრინციპების თანახმად, რომლებიც ტრადიციულად დამახასიათებელი იყო ინგლისური ცნობიერებისათვის. ინგლისური ცნობიერებისათვის უცხოა ძალისმიერი, რევოლუციური ცვლილებები, იგი ევოლუციისაკენ იხრება. ინგლისური კულტურის აღიარებული სპეციალისტის ნ. პევზნერის თვალსაზრისით კულტურულ შემოქმედებაში ინგლისის ადგილი და წვლილი სწორედ მისი ეროვნული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ნიშან—თვისებებით არის განპირობებული.

XX ს. მეორე ნახევარში დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა განვითარების ევოლუციური ტრადიცია. როგორც ბრიტანელი ისტორიკოსი ჯ. მაკგიუგანი მიუთითებს მისთვის უცხო იყო სხვადასხვა სახის სოციალური დაპირისპირება (მაგ. სტუდენტების თუ ფემინისტების გამოსვლები). ამგვარი მოვლენები კი იმ დროს მნიშვნელოვან მოვლენებს წარმოადგენდნენ საფრანგეთში, აშშ-ში და იაპონიაში. დიდ ბრიტანეთში ადგილი არ ჰქონდა შეტაკებებს გაბოროტებულ სტუდენტებსა და სადისტურად განწყობილ პოლიციას შორის. „პოლიციელთა სისასტიკით და სტუდენტური ნიჰილიზმით შეწუხებულმა მსოფლიომ უნდა მხედველობაში მიიღოს დიდი ბრიტანეთის უნარი ააშენოს საზოგადოება, რომელშიც არ არის ძალადობა" — წერდა 1968წ. ლონდონში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტი ბერნარდ ნოსიტერი.

ეს საზოგადოება XX ს. 70-იან წლებამდე ისწრაფოდა მუშებისათვის მაქსიმალურად გაეუმჯობესებინა შრომისა და ცხოვრების პირობები, ხოლო არამწარმოებელ სფეროში დასაქმებული კლასები კი ყოველნაირად ცდილობდნენ სოციალურად უფრო მობილურები გამხდარიყვნენ. მუშის შრომა საერთო ჯამში არც თუ ისე სასიამოვნო საქმიანობად განიხილებოდა. მასში დასაქმებული ადამიანის ერთადერთ შესაძლებელ შეღავათად კი მაღალი ხელფასი ითვლებოდა.

კონსერვატორების ხანგრძლივი მმართველობის ხანაში, განსაკუთრებით კი მარგარეტ ტეტჩერის კაბინეტის დროს, კლასობრივი გამიჯვნის ფარგლები გარკვეულწილად დაირღვა. წარმატებას იმ სოციალურმა ჯგუფებმა მიაღწიეს, ვინც ადვილად მოერგო ზედა ფენების ცხოვრებას, მათ სტილს. საერთო ჯამში, ტეტჩერის ხანაში მშრომელთა რაოდენობა შემცირდა. გაიზარდა დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული პროცენტების ხარჯზე მცხოვრებთა, ე. წ. რანტიეს ფენა. მოგება ძირითადად შემოდიოდა არასაწარმოო სფეროდან.

სწორედ ზემოაღნიშნული სწრაფვა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ, უფრო სწორად, არსებული პირობებით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობა წარმოადგენდა ე.წ. „გაბრაზებული ახალგაზრდების" შემოქმედების ინტერესს.

XX ს. ინგლისურ ლიტერატურაში შექმნილი ეს მიმდინარეობა აერთიანებდა მწერლებს, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს მუშათა მხრიდან გამოსულ ადამიანებზე, მათ იმედებსა თუ იმედგაცრუებაზე, რაც ომისშემდგომმა პირობებმა მოიტანა, ცხოვრებისა თუ შრომის მძიმე პირობებზე. ამგვარი ნაწარმოებების სიახლეს ჩრდილოეთ ბრიტანეთის (ძირითადად სამრეწველო საგრაფოების) დიალექტი და გაშიშვლებული, მძაფრი ვნებები წარმოადგენდა.

ჯ. ბრეინის ნაწარმოებში „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ" აღწერილია ახალგაზრდა მუშის ცხოვრება, რომელიც ყოველნაირად ცდილობს, რომ სარფიანად იქორწინოს, რათა თავი დააღწიოს თავის სოციალურ მდგომარეობას და ცხოვრებაში უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს. ა. სილიტოს რომანის "Saturday Night and Sunday Morning"[85] გმირი კი ყველაფერს უპირისპირდება და ფაქტიურად საყოველთაო ამბოხის მდგომარეობაშია. მაგრამ მისი შანსები, თავი დააღწიოს მუშის ცხოვრებას ერთობ მცირეა. მის პირობებში მყოფ ადამიანებს ცოტა რამ თუ უნდათ, რაც მისი საცოლის პირით ეღერს: „მე მინდა, რომ ახალი სახლი მქონდეს, სადაც აბაზანა და ყველაფერი დანარჩენი იქნება".

---

[85] აღნიშნული და ქვემოთმოყვანილი სხვა ნაწარმოებები არ არის თარგმნილი ქართულად, რის გამოც თავს ვიკავებთ მათი სათაურის ჩვენეული თარგმანისაგან და ვთავაზობთ მის ორიგინალურ ვარიანტს.

დაახლოებით ასეთივე სამყაროს წარმომადგენლებია ს. ტორის „The Sporting Life" და კ. ემისის „Lucky Jim" გმირები. პირველი თავისი არაჩვეულებრივი სპორტული ნიჭის წყალობით ცდილობს დააღწიოს თავი სამრეწველო ქალაქის ულიმლამო ცხოვრებას. მეორე არის რა სწორედ ამგვარი გარემოს პირმშო, თავისი ცხოვრების წესით (ლოთობა, დახვეწილი კულტურული ფასეულობების უარყოფა) თავისებურად ებრძვის როგორც თავის წარმომშობ სამყაროს, ასევე იმას, რომლისგანაც იგი გარიყულია.

სოციალური პრობლემები, კერძოდ დამნაშავეობა ახალგაზრდობის წრეში ასახულია ტ. განის ნაწარმოებში „Fighting Terms". იგი მოუთხრობს ე.წ. როკერებზე, ახალგაზრდა მოტოციკლისტთა ბანდებზე.

პოეზიაში აღსანიშნავია ფ. ლარკინი, რომელიც ახალ სტროფებად წოდებულ პოეტურ მიმართულების უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად ითვლება. თავის ნაწარმოებებში იგი ნიღაბს ხდის მოჩვენებით უდარდელობას, იაფფასიან მოდას და ბედნიერება მოკლებულ ქორწინებებს.

ამგვარი ყაიდის ნაწარმოებებს გარდა ომისშემდგომ პერიოდში იქმნებოდა სხვა ტიპის ნაწარმოებებიც. ა. კრონინის „The Green Years" და „Shannon's Way", კორდელის „Rape of the Fair Country", ჯ. ლინდსის „Hannibal"-ი. კრონინის რომანებში აღწერილია უფერული, პროვინციული გარემო, რომლის მარწუხებისგან თავის დაღწევას ცდილობს თავის იდეალების ერთგული ინდივიდი. კორდელის ნაწარმოებში XIXს. ისტორიული გარემოს ფონზე, რომელიც აღსავსეა სამრეწველო გადატრიალების ეპოქისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლის მოვლენებით იშლება წრფელი და ამაღლებული სიყვარულის სურათები. ჯ. ლინდსის რომანს კი მკითხველი ანტიკურ ხანაში, რომსა და კართაგენს შორის წარმოებულ ომების და მათი მონაწილეების გარემოცვაში გადაყავს.

XXს. 70-იანი წლების ბრიტანული ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მწერალი ქალების მიურიელ სპარკის და აირის მერდოკის შემოქმედება. მათ ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პიროვნების სულიერ სამყაროს, ფსიქოლოგიურ პრობლემებს, საშუალო ფენების ყოფას და ინტელექტუალთა სამყაროში არსებულ ქიშპსა და მეტოქეობას.

80-იან წლებში შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენდნენ ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მომხდარი მოვლენების თავისებურ გამოძახილს. ტეტჩერის ხანაში კერძო ინიციატივის წახალისება, სოციალური და მატერიალური წარმატების პრესტიჟულობა, ვიქტორიანული ფასეულობების აღორძინების მცდელობა თავად პრემიერ–მინისტრის მიერ, იყო ინგლისური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სწორედ ეს მომენტებია ასახული დეივიდ ლოჯის ნაწარმოებში „Nice Work",1988. სადაც ერთმანეთს უპირისპირდება გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მეწარმე, რომელიც ფუჭად მიიჩნევს ნებისმიერ მეცნიერულ კვლევას, რომელსაც უშუალო მოგება არ მოაქვს და ფემინისტური პრობლემების მკვლევარი ახალგაზრდა მეცნიერი ქალი.

ირანელი წამოშობის ბრიტანელი მწერლის სალმან რუშდის „სატანური ლექსები" კი (1989წ.) წარმოადგენდნენ სიმბოლურის, ფანტასტიკურის და პირქუში რეალიზმის ნაზავს. ავტორმა ამ ნაწარმოებისათვის ორთოდოქსულად განწყობილი მაჰმადიანების რისხვა დაიმსახურა, რომლებმაც მისი წიგნი ქალაქ ბედფორდში დაწვეს, ხოლო ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა დიქტატორმა აიათოლა ხომეინიმ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ამ შემთხვევაში რუშდის ნაწარმოები, ისევე, როგორც ინდური წარმოშობის ბრიტანელი მწერლის არუნდჰატ როის შემოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ იმიგრანტები არა მარტო საყოფაცხოვრებო თუ სანახაობით (სპორტი) სფეროს ავსებენ, არამედ ე.წ. „ელიტარულ" კულტურასაც ქმნიან. როის ნაწარმოებმა 1997წ. სპეციალურ კონკურსში გაიმარჯვა.

თუკი ლიტერატურა ეროვნულ ნიადაგზე ვითარდებოდა, თეატრში გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იყო უცხოური დრამატურგიის გაკლენა (ბეკეტი, იონესკო, ბრეჰტი). მაგრამ თუკი უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებებში სამყაროსეული პრობლემები იყო წამოწეული წინ (მაგ. ბეკეტის „გოდო", სადაც ცხოვრების არსის წვდომა მიმდინარეობს), ბრიტანელი დრამატურგები მათ თანადროულ პრობლემებს მიმართავდნენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჰაროლდ პინტერის და ჰოვარდ ბრენტონის პიესები. პირველი ტრადიციული ინგლისური ოჯახის და ფემინისტი ამერიკელი რძლის ურთიერთობას ხატავს, ხოლო მეორე ქალაქებში ფეხმოკიდებული ტერორიზმის სურათს იძლევა. დეიკიდ ჰეგმა პიესაში

„Liking Hitler“ (1979) აჩვენა სოციალური გარემოს გავლენა პიროვნების ჩამოყალიბებაზე. 80-იანი წლების ფინანსების, ბირჟის და კონკურენციის სამყარო ნაჩვენებია კერილ ჩერჩილის პიესაში „Serious Money“.

ინტელიგენციის და შემოქმედებითი წრეების გარკვეული უკმაყოფილება ტეტჩერის კაბინეტის პოლიტიკით აისახა ჰოვარდ ბრენტონის, დეივიდ ჰეირის და დეივიდ ედგარის პიესაში „პრავდა“. მასში გაკრიტიკებულია პრესის მაგნატი, მულტიმილიონერი რუპრეჰტ მერდოკი და მისი დაუფარავი სიმპატიები ტეტჩერის პოლიტიკისადმი.

იმ პერიოდის ინგლისური თეატრისთვის არც სენსაციები იყო უცხო. ეს პირველ რიგში შექსპირის ამოუწურავ, უკიდეგანო თამატიკას შეეხო. 1984წ. სტრადფორდში, შექსპირის თეატრში დაიდგა „რიჩარდ III“, რომელიც გადაწყვეტილი იქნა ე.წ. „შავი კომედიის“ სახით. მასში ენტონი შერმა განასახიერა რიჩარდ III, როგორც ყავარჯნებზე შემდგარი გაბოროტებული ხეიბარი.

ომისშემდგომი პერიოდის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას კინემატოგრაფიის განვითარება წარმოადგენდა. ომამდე, XXს. 30-იან წლებში ინგლისურ კინოში უცხოელი რეჟისორები ბატონობდნენ. მაგ. უნგრელი ალექსანდრ კორდა, რომელმაც ფილმისათვის „ლედი ჰამილტონი“ (1941წ.) რაინდის წოდება მიიღო. ომის დროს შეიმჩნეოდა ამერიკული კინოს მოძალება.

ბრიტანელმა რეჟისორებმა მხოლოდ ომის შემდეგ განიმტკიცეს პოზიციები. ენტონი ასკვიტი ვიქტორიანულ მელოდრამას და სამხედრო თემატიკას მიუბრუნდა. პოპულარობა მოიხვეჭა მაიკლ ბელკონის კომედიებმა, რომლებიც ტრადიციული ინგლისური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

კინემატოგრაფი კულტურის ის სფეროა, რომელიც ძალზე დამოკიდებულია ფინანსებზე. ინგლისური კინო ხშირად განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს. 50-იანი წლების შუა ხანებიდან მას გამოუჩნდა სერიოზული მეტოქე ტელევიზიის სახით, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელმა მოსახლეობის ფართო ფენებში დაიმკვიდრა ადგილი. გარკვეულ წარმატებებს განიცდიდა კინემატოგრაფიის ის მიმართულება, რომელიც სამხედრო–პატრიოტულ თემატიკას მიმართავდა. სამხედრო დიდებისა და საგმირო საქმეების ამსახველი ფილმების შექმნას ხელს უწყობდა ინფორმაციის სამინისტრო.

სამხედრო თემაზე შექმნილ ფილმებს შორის იყო ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც შორს იყო წმინდა პროპაგანდისტული მიზნებისაგან. ერთ-ერთი მათგანია „ხიდი მდინარე კვაიზე“, სადაც საომარ მოქმედებათა ფონზე ოსტატურად არის ნაჩვენები იდეებისა და ფასეულობების ჭიდილი.

60-იან წლებში დაიმკვიდრეს ადგილი ტონი რიჩარდსონის და ლინდსეი ანდერსონის ფილმებმა, რომლებშიც იყო უხეში სული და დაძაბული, სოციალური უკმაყოფილებით აღსავსე ყოფის წარმოჩენა, რაც დამახასიათებელი იყო ჩრდილოეთ ინგლისის სამრეწველო ოლქებისათვის. ასეთი იყო ლინდსეი ანდერსონის ფილმი „ასეთია სპორტული ცხოვრება“, რომლის გმირი, უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ახალგაზრდა კაცი სპორტული დიდების მწვერვალებს აღწევს, მაგრამ ამავე დროს მძფრ კონფლიქტში შედის საკუთარ თავთან, რადგანაც ცდილობს გაარკვიოს, თუ რა ადგილი უკავია მის პიროვნებას ახალ სოციალურ და სულიერ ყოფაში.

70-იან წლებში ანდერსონმა გადაიღო ფილმი „იღბლიანი“, რომელშიც ოსტატურად დახატა პიროვნების გაუცხოვება საზოგადოებისაგან, ყალბი ფასეულობების სიმყიფე და ის უხილავი და ულმობელი მარწუხები, რომელთა ტყვეობა არ ასცდება მას, ვინც გულუბრყვილობითა თუ ამბოხის სურვილით გაბედავს არსებული სოციალური იერარქიის მარწუხებისგან თავის დაღწევას.

80-იანი წლები აღინიშნება ისეთი საინტერესო ფილმებით, როგორებიც იყო სერ რიჩარდ ატენბოროს „განდი“ და ალან პარკერის „მისისიპი ცეცხლში“. პირველში ნაჩვენები იყო ინდოეთის დიდი შვილის, განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელის, მოჰანდას ყარამჩანდ განდის რთული სულიერი და პოლიტიკური გზა. ეს გზა განდიმ დაიწყო ბოროტებისა და ძალადობის უარყოფით და დაასრულა ინდოეთის დამოუკიდებლობით. პარკერის ფილმში კი ნაჩვენებია აშშ-ს რასისტული სამხრეთი, რასობრივი დევნის სისასტიკე და ანტირასისტული შეხედულებების ჩამოყალიბება.

თეატრი და კინო წარმოუდგენელია როგორც რეჟისორის ასევე მსახიობის გარეშე. რასაკვირველია, ესოდენ მდიდარი თეატრალური ტრადიციების ქვეყანას, როგორც ინგლისია, არ აკლდა როგორც სცენის, ასევე ეკრანის ოსტატები. მაგრამ მათგან, ალბათ ინგლისურობის

თავისებურ სიმბოლოს ყველაზე მეტად სერ ლოურენს ოლივიე წარმოადგენს. ამ მსახიობმა ორივე ამპლუაში უკვდავყო თავისი სახელი და რაინდის წოდებაც კი დაიმსახურა.

სახვითი ხელოვნების დარგები სხვადასხვანაირი ინტენსიურობით წარმოაჩენდნენ მათში შექმნილ ნამუშევრებს და ამ ნამუშევართა ავტორებს. გასულ საუკუნეებში ინგლისელებს ფერწერაში ორი ჟანრი, პორტრეტი და პეიზაჟი იტაცებდა, რაც მათი ინდივიდუალიზმით და ბუნებისაკენ ლტოლვით იყო გამოწვეული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ინგლისელი მხატვრები სხვადასხვა სახის ნამუშევრებს ქმნიდნენ, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა მიმართულების განსახიერებას წარმოადგენდნენ.

ბრიტანელი მხატვრების უმრავლესობა და საერთოდ ფერწერის მოყვარულები ომისშემდგომ პერიოდში ევროპელი მხატვრებით (პიკასო, მატისი, ვან გოგი) იყვნენ გატაცებული. მაგ. 1948წ. ლონდონში მოწყობილ ვან გოგის ნამუშევართა გამოფენას ყოველდღიურად 20 ათასი ადამიანი ათვალიერებდა. ზოგიერთი ბრიტანელი მხატვარი აღიარებდა, რომ პიკასოს ნამუშევრებმა მათ არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ბიძგი მისცა, თუმცა კი დასძენდნენ, რომ არ მოსწონდათ მისი ნახატები.

ზოგ შემთხვევაში შემოქმედება განისაზღვრებოდა არა თეორიული შეხედულებებით, არამედ დამკვეთის ინტერესებით. გრეჰემ საზერლენდმა ნორსჰემპტონში მოხატა წმ. მათეს ეკლესია (ჯვარცმა), ხოლო 50-იან წლებში კი კოვენტრის საკათედრო ტაძარი (მაცხოვრის გამოსახულება). მანვე დახატა ცნობილი მწერლის, სომერსეტ მოომის და პოლიტიკური მოღვაწეების ლორდ ბივერბრუკის და საკვილ–უესტის პორტრეტები.

სამთავრობო შეკვეთებს ასრულებდა ნიჭიერი მხატვარი ჯონ პიბერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის თემაზე ქმნიდა ნახატებს.

მაგრამ ტრადიციული მიმართულების (მაგ. პორტრეტი) ნამუშევრებთან ერთად იქმნებოდა სხვა სახის ნახატებიც. ომისშემდგომი პირველი წლების ყველაზე გახმაურებული ნაწარმოებს ფრენსის ბეკონის (ცნობილი ფილოსოფოსის სეხნია და მოგვარე) ნახატი „ჯვარცმის ძირში განლაგებული სამი ფიგურა“ წარმოადგენდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ქრისტიანული ჯვარცმა. ფანტასტიკური, სანახევროდ ადამიანის და სანახევროდ ცხოველის ავისმომასწავებელი ფიგურები, რომლებიც მანიაკალური ჟინით იყვნენ აღსავსე. ეს იყო ავტორისეული ხერხი, რომლითაც იგი გამოხატავდა შიშს ბირთვული ომის საზარელი, დამანგრეველი ძალის წინაშე. ბეკონი თავდაპირველად კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს, მაგრამ მოგვიანებით მან სწორედ ამგვარი ელემენტების წარმოჩენის გამო მოიპოვა აღიარება.

ისევე, როგორც ლიტერატურაში, ფერწერაშიც XXს. 50-იან წლებში შემოვიდა სოციალური რეალიზმი, თავისებური პროტესტი ზედა ფენების კეთილდღეობით აღსავსე ცხოვრების წინააღმდეგ. ამ მიმართულების წარმომადგენლის, ჯონ ბრეტბის ნამუშევრებში გამოსახული იყო უბრალო, ღარიბი ინტერიერები ჭუჭყიანი მაგიდებით, ბურღულის ფუთებით, სიგარეტის ნამწვებით და ლუდის ბოთლებით.

60-იან წლებში ყურადღების ცენტრში სამი მხატვარი (მათგან პირველი ორი ქალი) აღმოჩნდა: ბრიჯიტ რაილი, ე.წ. ოპტიკური ფერწერის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ლიდერი, ელიზაბეთ ფრინკი, რომელიც მამაკაცების და ცხენების გამოსახვის ოსტატად იქნა მიჩნეული და დეივიდ ჰოკნი. ეს უკანასკნელი მისი გრავიურების და ნახატების წყალობით თავისი დროის „ვარსკვლავად“ იქნა აღიარებული.

70-80-იან წლებში სახელი გაითქვეს გილბერტმა და ჯორჯმა, რომლებსაც კრიტიკოსები ხშირად ერთ მხატვრად განიხილავდნენ ერთნაირი სტილის გამო. თავის ნამუშევრებში ისინი ხშირად ალეგორიას მიმართავდნენ.

ქანდაკების სფეროში აღსანიშნავია ჰენრი მური და ენტონი კროკო. კრიტიკოსების აზრით, მურის სახით ინგლისმა შეიძინა ევროპული მასშტაბის მოქანდაკე, რომლის ბადალი მას ადრე არ ყოლია. მური მოდერნიზმის მიმდევარია, განსაკუთრებით გაითქვა სახელი მისმა ქანდაკებათა კომპლკექსმა „მეფე და დედოფალი“. კროკო კი ქმნიდა ლითონის კონსტრუქციებს, რომლებიც მსუყე, ხალას ფერებში იყო შეღებილი.

XXს. მეორე ნახევრის ბრიტანული ხუროთმოძღვრება მრავალი არქიტექტორით არის წარმოდგენილი, რომლებიც როგორც სამშობლოში, ასევე უცხოეთში ქმნიდნენ თავის ნამუშევრებს. 50-60-იან წლებში ჯეიმს სტირლინგმა ააგო ლეისტერის უნივერსიტეტის საინჟინრო

განყოფილების ნაგებობა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის შენობა. მასვე აქვს აგებული შენობები გერმანიაში, ქ. შტუტგარტში.

უცხოეთში მოღვაწეობა უცხო არ იყო ბრიტანელი არქიტექტორებისათვის. რიჩარდ როჯერსმა ბობურის ცენტრი ააგო პარიზში, ნორმან ფოსტერმა კი საქმიანი ცენტრები ჰონგ კონგსა და შანჰაიში. იგივე არქიტექტორებმა თავი გამოიჩინეს სამშობლოშიც. 70-იან წლებში ფოსტერმა ააგო ისტ ენგლიის უნივერსიტეტის ხელოვნების ცენტრი და ოფისი იპსვიჩში. ორივე შენობა გარეგნულად მიმზიდველია, პასუხობს თავისი დროის ტექნიკურ დონეს და მშვენივრად ერწყმის ბუნებრივ გარემოს.

80-იან წლებში რიჩარდ სიფერმა და რიჩარდ როჯერსმა შესაბამისად ააგეს „ნეშენელ ვესტმისტერ ბენკის" კოშკი და ლოიდის კომპანიის შენობა. პირველი გამოირჩევა მოხდენილობით და ლონდონის ყველაზე მაღალ (183მ) კოშკურას წარმოადგენს. ლოიდის შენობა არის მაღალი, შთამბეჭდავი მანქანისებრი ნაგებობა, რომელიც ე.წ. მაღალი ტექნოლოგიის ნიმუშად იქცა.

და მაინც, კულტურის არც ერთ სფეროში არ დაუტოვებია ინგლისურ ფენომენს XXს. მეორე ნახევარში ესოდენ წარუშლელი კვალი, როგორც მუსიკაში. ინგლისი არასოდეს გამოირჩეოდა დიდი კომპოზიტორებით, ხოლო თავად ინგლისური მუსიკა ყოველთვის შორს იყო კონტინენტზე მიმდინარე ნოვატორული მოვლენებისაგან. თითქოსდა ამ მხრივ გამონაკლისი არც ომისშემდგომი პერიოდი უნდა ყოფილიყო. ბრიტანელი ისტორიკოსის ა. მარვიკის თქმით, ერთადერთი კომპოზიტორი, რომელმაც როგორც შინ, ასევე უცხოეთში მოიხვეჭა სახელი იყო ბენჟამინ ბრიტენი, რომელმაც ომის დასასრულს შექმნა ოპერა „პიტერ გრაიმსი", სიმფონიური ნაწარმოებები „ომის რექვიემი" (1962წ.) და „სიკვდილი ვენეციაში" (1973წ.).

უფრო უკეთ მიდიოდა საქმე საშემსრულებლო მუსიკის სფეროში. ლონდონის სიმფონიურმა ორკესტრებმა მაღალ საშემსრულებლო დონეს მიაღწიეს და გამოირჩეოდნენ მრავალფეროვანი და დახვეწილი რეპერტუარით. ბრიტანელი ისტორიკოსის კ. რობინსის თქმით, ლონდონი დასავლური სამყაროს მუსიკალურ ცენტრად იქცა. საგუნდო მუსიკის ფესტივალები იმართებოდა უელსსა და შოტლანდიაში. სკოლებშიც კი შესამჩნევად გაუმჯობესდა მუსიკის სწავლება. მაგრამ წარმატება სულ სხვა მხრიდან მოვიდა.

საესტრადო მუსიკაში XXს. 50-იანი წლების დასაწყისში იტალიური მუსიკა ბატონობდა. სენტიმენტალურმა სიმღერამ „ვოლარე"–მ ჰიტ–აღლუმებში პირველი ადგილი დაიკავა. მაგრამ 50-იანი წლების შუახანებიდან დიდ ბრიტანეთში ამერიკული "Rock n roll"-ი შემოიჭრა და პირველი გამოხმაურება მუშა–ახალგაზრდობის წრეში ჰპოვა. არ დააყოვნეს პირველმა „ვარსკვლავებმაც". ესენი იყვნენ ტომ სტილი და ლონ დონეგანი.

მაგრამ მალე მათ მეტოქეებიც გამოუჩნდნენ. ამ უკანასკნელთა მუსიკა თავისი მხატვრული ფორმით ყველა დანარჩენზე მაღლა იდგა. ეს იყო ორი ლივერპულელი ჭაბუკი, ჯონ ლენონი და პოლ მაკკარტნი, რომლებმაც 1956წ. ჩამოაყალიბეს ჯგუფი „ქვორიმენ"-ი. მალე მათ თანამოქალაქეები, ჯორჯ ჰარისონი და რინგო სტარი შეუერთდნენ. „ქვორიმენ"-ს ჯერ „სილვერ ბითლზ"-ი, ხოლო შემდეგ „ბითლზ"-ი დაერქვა. „ბითლზ"-ის აღმასვლა 1962წ. დაიწყო, როდესაც მათი ანტრეპრენიორი ჯორჯ მარტინი გახდა. მათი პირველი ფირფიტა „ლავ მი დუ" უმალ პოპულარობის მწვერვალზე აღმოჩნდა. 1964წ. მათი 100მლნ. ფირფიტა გაიყიდა.

„ბითლზ"-ი თავისი ორიგინალური ვარცხნილობით, თეთრი პერანგებით, ვიწრო ჰალსტუხებითა და შავი კოსტუმებით, ერთდროულად გამომწვეობასა და მომხიბვლელობას განასახიერებდნენ. მათ გამოჩენამდე პოპულარული ჯგუფები ცნობილი ამერიკელი მომღერლების სიმღერებს ასრულებდნენ, ან პროფესიონალი კომპოზიტორების სიმღერებს მღეროდნენ. „ბითლზ"-მა ბოლო მოუღეს ამერიკელთა მოძალებას პოპულარულ მუსიკაში. ისინი მსმენელის წინაშე თავისი სიმღერებით წარსდგნენ. მათ ინგლისური პოპულარული მუსიკა მანამდე არნახული მხატვრული და კომერციული სიმაღლის დონეზე აიყვანეს.

იყვნენ რა უბრალო ხალხის წრიდან გამოსულები, ისინი საყოველთაოდ მიღებულ ენაზე მღეროდნენ, ხოლო მათი სიმღერები ყოველდღიურ ყოფას ეხებოდა. 1963წ. გაზეთ „სანდი ტაიმსი" წერდა მათზე, როგორც უდიდეს კომპოზიტირებზე, რომლებიც მსოფლიოს ოდესმე უნახავს ბეთჰოვენის შემდეგ. 1965წ. „ბითლზ"-ის წევრებს პრემიერ–მინისტრმა ჰ. უილსონმა მიანიჭა ბრიტანეთის იმპერიის წევრების წოდება.

ჯგუფის საკონცერტო მოგზაურობა ამერიკაში ტრიუმფით დამთავრდა და კიდევ უფრო გაზარდა მისი პოპულარობა. ამრიგად, XXს. 60-იანი წლები „ბითლზ"-ს ეკუთვნის.

ერთადერთი, ვისაც შეეძლო „ბითლზ"-ისათვის მეტ-ნაკლები მეტოქეობა გაეწია შინ თუ გარეთ იყო ლონდონში ჩამოყალიბებული ჯგუფი „როლინგ სტოუნზ"-ი. ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა ახალგაზრდობაზე მეტი ორიენტაციით, არსებული ფასეულობებისადმი შეურიგებლობით და თავისებური „ველური" მანერით. თუმცა კი თავისი სოციალური წარმომავლობით „როლინგ სტოუნზ" უფრო მაღლა იდგნენ ვიდრე „ბითლზ"-ი, რომლებიც მუშა–ახალგაზრდობის წარმომადგენლები იყვნენ. მაგ., „როლინგ სტოუნზ"-ის წამყვანი შემსრულებელი, მიკ ჯაგერი ლონდონის ცნობილი სასწავლებლის, ეკონომიკური სკოლის კურსდამთავრებული იყო.

ისევე, როგორც „ბითლზ"-მა, „როლინგ სტოუნზ"-მაც წარმატებით „დალაშქრა" ამერიკა. მათმა „ბარბაროსულმა" სტილმა დაიპყრო ახალი სამყარო. მილიონობით მაყურებელს სურდა ენახა, თუ როგორ გამოყოფდა ენას შუა სიმღერაში მიკ ჯაგერი.

მესამე ბრიტანული ჯგუფი, რომელმაც ოკეანეს გადაღმა დიდება მოუტანა ინგლისურ მუსიკას, იყო „ლედ ზეპელინ"-ი. თავის მუსიკას თავად მომღერლები ხსნიდნენ როგორც ტექნოლოგიური კულტურის ფოლკლორს, რომელიც ეფუძნებოდა მძლავრ აღჭურვილობას და ტექნიკურ ეფექტებს.

როკ მუსიკის თავისებურ ეტალონს XXს. 70-80-იან წლებში წარმოადგენდა ჯგუფი „ქუინ"-ი. მან ამ ჟანრში მანამდე არსებულ ყველა მხატვრული, სანახაობითი, თუ კომერციული რეკორდი მოხსნა. ჯგუფის წამყვანი შემსრულებელი, ფრედი მერკური კი, თავისი შთაგონებული და ცეცხლოვანი სტილის გამო მილიონობით თაყვანისმცემლის კერპად იქცა. აღსანიშნავია, რომ „ქუინ"-ი ერთობ აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო, ჰუმანიტარულ საქმიანობაში.

მეცნიერების და განათლების სფეროში XXს. მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. ომის პერიოდში წინ წაიწია მედიცინამ. მაგრამ მედიკოსებს საკმაოდ ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. იმ დროის სამედიცინო საბჭოს გამოკვლევათა ანგარიშები მუდმივად მიუთითებენ სახსრების, აღჭურვილობის და კვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობაზე. ომთან არის დაკავშირებული ასევე ატომური იარაღის შექმნა, რომლის იდეას ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1940წ. მიაქცია ყურადღება. ეს აზრი ჩერჩილს მისმა მრჩეველმა მეცნიერების დარგში ლორდმა ჩერველმა მიაწოდა. 1952წ. დიდმა ბრიტანეთმა გამოსცადა თავისი პირველი ატომური ბომბი, ხოლო 1956წ. მწყობრში ჩადგა პირველი ატომური ელექტროსადგური.

ომისშემდგომი პერიოდი აღინიშნა ბრიტანული მეცნიერების მნიშვნელოვანი წარმატებებით ზუსტი მეცნიერების დარგში. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანელებმა „დაისაკუთრეს" ნობელის პრემია მთელ რიგ დარგებში. 1945წ. იგი მიეკუთვნა ფიზიოლოგებს ფლემინგს, ფლორს, ჩეინს. 1953წ. კი ბიოქიმიაში კრებსს. 40-50-იან წლებში ნობელის პრემიით აღინიშნა ფიზიკოსების ეპელტონის, ბლეკეტის, პოუელის და კოკროფტის აღმოჩენები.

ასეთივე წარმატებით მოქმედებდნენ ქიმიკოსები. 1947–1975წწ. ლაურეატთა რიგებს შეემატნენ რობინსონი, სერ სირილ ჰინშელვუდი, ლორდი ტოდი, დოროთი ჰოდკინი, სერ ალან ჰოდკინი და სერ პიტერ მედავარი. 1962წ. მედიკოსმა კირკმა და ფიზიოლოგმა უოტსონმა აღმოაჩინეს დეზოკსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), რამაც ახალი პერსპექტივები გაშალა გენეტიკის წინაშე. 1979წ. კემბრიჯის უნივერსიტეტის ფიზიოლოგის რობერტ ედვარდსის და ოლდჰემის ცენტრალური საავადმყოფოს გინეკოლიგის პატრიკ სტიპტოს მიერ ჩატარებული ცდების შედეგად მსოფლიოში პირველად ჩატარდა კვერცხუჯრედის ხელოვნური განაყოფიერება და დაიბადა ე.წ. „სინჯარის ბავშვი".

ომისშემდგომი დიდი ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემის მთავარი ამოცანა იყო აემაღლებინა კადრების კონკურენტუნარიანობა ევროპული სტანდარტების შესაბამისად. როგორც კ. რობინსი მიუთითებს, სავალდებულო განათლების მქონე ათასობით ადამიანმა არც კი იცოდა ხეირიანად წერა–კითხვა. ამიტომ 60-იანი წლებიდან აქცენტი გადატანილ იქნა შემეცნებით პროცესზე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობაზე. იმავე დროიდან ზუსტი და ტექნიკური საგნების სწავლება სავალდებულო გახდა ყველა ტიპის საშუალო სკოლაში.

მოწინავე მეთოდები დაინერგა ასევე კოლეჯებში, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებდნენ. ტექნიკური განათლების კოლეჯებს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. ახალი უნივერსიტეტები დაარსდა სასექსში, კენტში, იორკში, უორიკსა და ლანკასტერში.

აღინიშნულ კულტურულ თუ სამეცნიერო მოღწევებს ადგილი ჰქონდა საზოგადოების ზოგადი ლიბერალიზაციის ფონზე. ეს გამოიხატა მკაცრი, ვიქტორიანული ზნე–ჩვეულებების გარკვეულ შესუსტებაში. 50-იანი წლების შუახანებიდან გაყიდვაში გამოჩნდა მხატვრული ლიტერატურა, რომელიც 20-იან წლებში აკრძალული იყო და რომლის გაყიდვისთვის ადრე მაღაზიის მეპატრონეებს აპატიმრებდნენ. საუბარი უფრო თავისუფალი გახდა. დედების 60% აღიარებდა, რომ უფრო ლიბერალურად ზრდიდნენ თავის შვილებს, ვიდრე თვითონ იზრდებოდნენ.

60-იანი წლების შუახანებიდან მოკლე ქვედატანები („მინი"), მთელ ქვეყანას მოედო. ხოლო იმავე ათწლეულის მიწურულს საუბარში ფართოდ შემოვიდა სიტყვა ნებადართულობა (permisivness). თეატრებში გამოჩნდა ადრე აკრძალული სპექტაკლები, ხოლო ჟურნალებში – გამოსახულებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფემინისტების ზოგიერთ მეტისმეტად რადიკალურ გატაცებას თავად ქალების წრეში მოყვა კრიტიკა. „მე არ მესმის, რატომ უნდა დაუთმოს ჩემში გონებამ პირველობა სექსს?" – განაცხადა ლეიბორისტული მთავრობის წევრმა, ტრანსპორტის მინისტრმა ბარბარა კასლმა.

ცნობიერების ლიბერალიზაციასთან ერთად ომისშემდგომი დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრში თავი იჩინა ერთგვარმა ნიჰილიზმმა. 1951წ. ლონდონში მოეწყო ბრიტანეთის ფესტივალი, რომელიც 1851წ. მსოფლიო გამოფენის 100 წლისთავს მიეძღვნა. მიმომხილველი ჩარლზ პულვიცის აზრით ეს იყო ინგლისური ავადმყოფობის დასაწყისი, როდესაც, როგორც იგი წერდა „სამრეწველო ქვეყნიდან ჩვენ სანახაობის ქვეყნად გადავიქეცით, რომელიც ცდილობს ტურისტები მიიზიდოს და იმავდროულად საკუთარი ტრადიციების ტყვეობაში იმყოფება".

თავის ნიჰილიზმში უფრო შორს წავიდა რეჟისორი ჯონ ოსბორნი. „მე მძულს ის ჩემი თანამემამულენი, რომლებმაც ჩემი ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანეს. ძირს ინგლისი! შენ ლპები და მალე აღიგვები პირისაგან მიწისა!" –წერდა იგი 1961წ. ამგვარი შეფასებები წარმოადგენდა ადრინდელი დიდების და მისი დაკარგვის გაცნობიერების გამოხატვას იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც აზროვნების ლიბერალურ ყაიდაზე გადავიდნენ. ისინი უარყოფითად უყურებდნენ იმპერიულ წარსულს და ამიტომაც ესოდენ მკაცრ შეფასებას აძლევდნენ თავის თანადროულ ქვეყანას, რომელიც ცდილობდა ძველი დიდების შენარჩუნებას.

ამ უამრავ მოვლენას ადგილი ჰქონდა იმ ინსტიტუტის ფონზე, რომელიც დიდი ბრიტანეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციულობის ერთ–ერთ უმთავრეს ნიშან–თვისებად უნდა ჩაითვალოს. ეს არის მონარქია. დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს ერთ–ერთი უდიდესი იმპერია იყო. შემდგომში მრავალრიცხოვანი კოლონიები განთავისუფლდნენ მისი ბატონობისაგან, მაგრამ სამეფო ხელისუფლება უცვლელი და შეუვალი იყო. რა დატვირთვას ატარებს დღეს მონარქია? ინგლისელი სოციოლოგები მ. იანგი და ე. შილისი თვლიან, რომ დედოფალი ელისაბედ II გვირგვინის დადგმის ცერემონია, რომელიც 1953წ. ჩატარდა, იყო ბრიტანულობის გამოხატვის საშუალება. მონარქია, მათი აზრით, დიდი ბრიტანეთის იდეას უმტკიცებს საფუძველს. რაც შეეხება მის სახელმწიფოებრივ როლს, აქ ბრიტანელი მკვლევარის საიმონ ჯეიმსის აზრით უმთავრესს წარმოადგენს ის, რომ მონარქი სახელმწიფოს განასახიერებს. ამის დემონსტრაციას წარმოადგენს დედოფლის მეთაურობით ჩატარებული ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების ცერემონიები, ანდა მისი მიმართვები ქვეყნისადმი საომარი მოქმედებების დაწყების წინ (მაგ. ომები ფოლკლენდის კუნძულებზე ან კუვეიტში). ეს მომენტი, წერს ჯეიმსი, მნიშვნელოვანია არა იმით, რომ იგი გარკვეულ როლს ანიჭებს დედოფალს, არამედ იმით, რომ პოლიტიკოსებს აცილებს თავიდან ცდუნებას, თავად წარსდგნენ სახელმწიფოს სიმბოლოს სახით. ამის გამო პოლიტიკოსები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თავისი პარტიული ინტერესები შემოსონ და წარმოაჩინონ ზოგადსახელმწიფო ფასეულობათა სამოსელში. ამის წყალობით, კი, პოლიტიკოსების (პრემიერ–მინისტრები) მიერ დაშვებული შეცდომების შემთხვევაში, რომლებიც გამოწვეულია პროფესიული უწიფრობითა თუ პირადი ნაკლით, ხდება არა ხელისუფლების, და შესაბამისად სახელმწიფოს ცნების, არამედ თავად პოლიტიკოსის დისკრედიტაცია.

ამგვარად, XXს. მეორე ნახევრის დიდი ბრიტანეთის კულტურა საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ევოლუციური პრინციპების შესაბამისად ვითარდებოდა. იმპერიის დაშლას, სამრეწველო–პოლიტიკური პირველობის დათმობას არ გამოუწვევია მძაფრი შიგაპოლიტიკური თუ სოციალური დაჯახებები. მოძრაობა სამოქალაქო უფლებების მოპოვებისათვის, სტუდენტთა პროტესტი და არსებული ფასეულობების წინააღმდეგ მიმართული

ე.წ. კონტრკულტურები, რომლებმაც შეძრეს აშშ და კონტინენტური ევროპის ქვეყნები ნაკლები სიმძაფრით წარმოჩნდნენ დიდ ბრიტანეთში.

იმპერიის თანამეგობრობად გადაქცევამ დიდი ბრიტანეთი ცნობიერებითი და კულტურული მრავალფეროვნების ასპარეზად აქცია. ამგვარი შერწყმული კულტურები უკვე თავად წარმოსდგებიან გარკვეული ბრიტანულობის სახით. მიყვება რა დროის მოთხოვნებს, გართობა—სანახაობის სფერო დიდ ბრიტანეთში სულ უფრო იძენს ფულად—სასაქონლო ურთიერთობების ელემენტების ხასიათს.

ამავე დროს წარმატებები მუსიკაში, ხელოვნების ცალკეულ დარგებში, ტრიუმფი „როკ" მუსიკის სფეროში მიუთითებდა იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთის დამახასიათებელი ნიშან—თვისებაა თავისი კვალი დატოვოს ისტორიული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.

ბოლოსიტყვაობა

მწერალ იენ მაკევანის მიერ 1990წ. დაწერილ რომანში, რომელშიც მოვლენათა მსვლელობა იშლება XXს. 50-იან წლებში, ერთმანეთს მუდმივად ეპაექრება ორი გმირი, ბრიტანელი ლეონარდ მარნჰემი და ამერიკელი ბობ გლასი. ბრიტანელს ამერიკელის თავდაჯერება აღიზიანებს, ეს უკანასკნელი კი ვერაფრით ვერ ეგუება იმას, რომ მისი პარტნიორი—მეტოქე ესოდენ შეპყრობილია საკუთარი ჯენტლმენობის იდეით. „ჩვენ ყველაზე უფრო დიდ ხანს ვებრძოდით ჰიტლერს", — აცხადებს მარნჰემი. „ჰო, მაგარი ბიჭები იყავით და ომში მართლაც ივარგეთ, მაგრამ არ გეწყინოს და თქვენი დრო წავიდა. ახლა ჩვენი დროა", — პასუხობს გლასი. საკითხავია მართლაც და საბოლოოდ ჩაესვენა ბრიტანეთის მზე? რიღასთვის არსებობს ცალკეული ერი თუ სახელმწიფო?

ოც საუკუნეზე მეტი გავიდა იმ დროიდან, რაც რომაულმა ლეგიონებმა პირველად დააბიჯეს ფეხი ბრიტანეთის მიწაზე, რამაც დასაბამი მისცა კუნძულის მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან ზიარებას. გადიოდა დრო. პირისაგან მიწისა აღიგავნენ დასავლეთ რომის იმპერია და ბიზანტია, გრიგალივით გადაუქროლეს ევროპას ვიკინგებმა, ევროპელებმა ჯერ უფლის საფლავის გასანთავისუფლებად გაილაშქრეს, ხოლო შემდეგ კი ახალი საზღვაო გზების აღმოსაჩენად დაიძრნენ.

მთელი ამ ხნის მანძილზე პატარა კუნძულის მოსახლეობა მონდომებით იღვწოდა საკუთარი კუნძულის საქმეების მოსაგვარებლად. მოსახლეობის ყველაზე უფრო მონდომებული და ქმედითუნარიანი ნაწილი, ინგლისელები ნაბიჯ—ნაბიჯ მისდევდნენ კაცობრიობის განვითარების ევოლუციურ გზას. მაშინ როცა ევროპის კონტინენტის სხვა ხალხები რაინდული ინდივიდუალიზმის და ფეოდალური დაქუცმაცებულობის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, ინგლისელებმა მკაფიოდ გაიცნობიერეს თავისუფლების იდეა და ჯერ თავისუფლებათა დიდი ქარტიით, ხოლო შემდეგ პარლამენტით შეზღუდეს მონარქთა შესაძლო თვითმპყრობელობა.

საზოგადოების შიგნით პოლიტიკური თავისუფლების, როგორც მკაფიო სამართლებრივ თუ ზნეობრივ ჩარჩოებში მოქცეული უფლება—მოვალეობის გაცნობიერებამ განაპირობა ის, რომ ჭეშმარიტი თავისუფლების აკვანი სწორედ ინგლისში დაირწა. და ამიტომ იმ თავისუფლებას, რომელიც დღევანდელი სამყაროს განვითარების საყრდენი იდეაა, კაცობრიობა სწორედ ინგლისს უნდა უმადლოდეს.

თანამედროვე სამყაროს ეკონომიკის ერთ—ერთი დამახასიათებელი ნიშან—თვისება მატერიალური დოვლათის მანამდე არნახული სიუხვეა. ეს სიუხვე ჩვენი დროის მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების შედეგს წარმოადგენს. ეს უკანასკნელნი კი სათავეს სამრეწველო გადატრიალებიდან იღებენ, რომლის სამშობლოც კვლავ ინგლისი იყო.

და ბოლოს, თვალი მივაპყროთ სამყაროს იმ თავისებურ მთლიანობას, რომელიც მას ინგლისურმა ენამ შესძინა. ბრიტანეთის იმპერიის არსებობის წყალობით დედამიწის ხუთ კონტინენტზე ინგლისური ენა მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ენას წარმოადგენს. იგივე ენა ხალხთა შორის ურთიერთობის უმთავრესი საშუალებაა. ინგლისელების, და საერთოდ ბრიტანელების დაუოკებელი სწრაფვის გამო, შეეცნოთ და გაეთავისებინათ სამყარო, ინგლისური ენა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრდა. ამგვარად, თუკი ჩვენ გვინდა ჩავწვდეთ თანამედროვე სამყაროს განვითარების არსს, ამის გაკეთება ინგლისის გვერდის ავლით ალბათ ძნელად მოხერხდება. ეს კი უფლებას არ გვაძლევს ხალხი თუ ქვეყანა ანგარიშგასაწევად არ ჩავთვალოთ. „ინგლისი, — წერდა უინსტონ ჩერჩილი, თავისებური ქვეყანაა და უცხოელებს არ ძალუძთ მისი შეცნობა". მაგრამ მისი ისტორიის გაცნობა, იგივე ჩერჩილის თქმით შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ის როლი, რომელიც ამ ქვეყანამ შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ერთ სამყაროდ ჩამოყალიბებაში.

ნათქვამია, ძველი დიდება ჟანგიან ლურსმნად არ ღირსო, მაგრამ ინგლისი ყოველთვის ახერხებდა ძველისა და ახლის მეტ—ნაკლებად მშვიდობიანად შეხამებას და რთული მდგომარეობიდან წარმატებით გამოსვლას. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, რომ ინტერესით ვადევნოთ თვალყური, თუ როგორ გაიკვლევს დიდი ბრიტანეთი გზას XXIს., იმ სამყაროში, რომლის არსებობის ქვაკუთხედს სწორედ დიდ ბრიტანეთში შობილი პრინციპები და ფასეულობები წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Adventures in English Literature. N.Y-L 1979.
Blacke R. The Decline of Power. 1915-1964. 1986.
Britain Since 1945. Ed. by Jonathan Hollowell. 2003.
Bryant A. English Saga.
Christopher D. British Culture. An Introduction. 1999.
W. Churchill. The Birth of Britain. A History of the English Speaking Peoples. N. Y. 1963.
Davies C. Peace, Print and Protestantism. 1450-1558. 1977.
Davies G. The Early Stuarts. 1603-1660. Oxford. 1959.
The English World. History, Character and People. ed. by R. Blacke. Oxford. 1988.
Great Britain. Its History from Earlest Times to the Present Day. Oxford. 1962.
Halliday F. An Illustrated Cultural History of England.
A History of England by Andre Mourois. L. 1937.
The History of England from the Ascession of the King George the Third to the Conclusion of Peace in the Year One Thousand Seven Hundred and Eighty Three. By John Adolphus. vol.I. 1817.
Kipling R. Poems, Short Stories. M. 1983.
Mackie R. A Short Political and Social History of Britain. L. 1961.
The Macking of Britain. The Middle Ages. Ed. by Lesley M. Smith. L. 1985.
Marwick A. Britain in our Century. Images and Controversies. 1984.
Marwick A. British Society Since 1945. 1996.
McAleavy T. Modern World History. 1996.
McDowall D. An Illustrated History of Britain. 2000.
The Oxford Illustrated History of Britain. Ed. by Kenneth O. Morgan.
Pelling H. Modern Britain. 1885-1955.
Pevsner N. The Englishess of English Art. 1976.
Plumb J. England in the Eighteenth Century (1714-1815).
Robbins K. The Eclipse of a Great Power. Modern Britain. 1870-1992. 1994.
Royle E. . Modern Britain. A Social History. 1750-1997.
Salway P. The Illustrated History of Roman Britain. Oxford. 1993.
Schoenbaum S. William Shakespeare. Oxford. 1987.
Schultz H. History of England.
A. Sked and C. Cook. Post-War Britain. A Political History. 1980.
Thomas C. Celtic Britain. L. 1986.
Thatcher M. The Downing Street Years. L. 1993.
Thomson D. England in the Nineteenth Century.
Twentieth Century Britain. Economic, Social and Cultural Change. Ed. by Paul Johnson. N.Y. 1994.
Vansittart P. In Memory of England. L. 1998.
Williams P. England. A Narrative History
Wiener M. English Culture and Decline of Industrial Spirit. 1850-1980.
Wheit R. Patriots. National Identity in England. 2002.
Блан Л. Письма об Англии. т.I. СПБ. 1866.
Виппер Р. Ю. Учебник по новой истории. М. 1908.
Виппер Б. Ю. Английское искусство. М. 1945.
Грин. Д. Краткая история английского народа. тт. I-III.
История XIXв. под. ред. Э. Лависса и А. Рамбо. т. 1-8. М. 1938.
История средних веков. Под. ред. Н. Ф. Колесницкого. М. 1980.
История английской буржуазной революции XVII. в. Под. ред. акад. Е. А. Косминского и канд. ист. наук Я. А. Левицкого. тт. I-II. М. 1954.
Книга для чтения по новейшей истории (1917-1945). М. 1976.
Ментешашвили И. Ш. Соприкосновение цивилизаций Запада и Востока в период деятельности в Индии английской Ост-Индской компании. Тб. 1998.
Ментешашвили И. Ш. Закавказье в англо-русских противоречиях в 1880-1914гг. Тб. 2001.
Мортон А. История Англии.
Морли Д. Новое жизнеописание Оливера Кромвеля. СПБ. 1900.

Новая история. ч.I. (1640-1870) под. ред. А. Л. Нарочницкого. М. 1972.
Новая история. (второй период). под. ред. Е.Е. Юровской и И. М. Кривогуза. М. 1976.
Новейшая история. (1918-1939). М. 1974.
Новейшая история зарубежных стран. Европа и Америка 1939-1975. М. 1978.
Оссовская М. Рыцарь и буржуа. М. 1987.
Петрущевский И. Великая хартия вольностей.
Роджерс Т. История труда и заработной платы в Англии с XIIIв. по XIXв. СПБ. 1899.
Савин А. Н. Лекции по истории английской революции. Л. 1924.
Семёнов В. Ф. История средних веков. М. 1970.
Сеньобос Ш. Политическая история современной Европы. т.I. М-Л. 1934.
Тойнби А. Промышленный переворот в Англии. М. 1924.
Тревельян Дж. Социальная история Англии. М. 1959.
Шлоссер. История XVIIIв.
Штокмар В. А. История Англии в средние века. Л. 1973.
გაჩეჩილაძე რ. ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა. თბ. 1994.
გომართელი ნ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები აბსოლუტიზმის ხანის ინგლისში თბ. 1999.
გომართელი ნ. ინგლისის მონარქთა გალერეა. თბ. 2000.
კილურაძე გ. XVIIს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. I–II. თბ. 1979. 1983.
ტივაძე ვ. შუა საუკუნეების ისტორია. ტტ. I–II.თბ. 1967, 1970.
ჩხეიძე ა. ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში. თბ. 1973.
ჩხეიძე ა. ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. ბათუმი 1974.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
თავი I. კელტური ბრიტანეთი	4
თავი II. რომაული ბრიტანეთი	8
თავი III. ანგლო-საქსების შემოჭრა	13
თავი IV ვიკინგთა შემოსევები	21
თავი V. ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელთა მიერ	26
თავი VI. პლანტაგენეტთა დინასტიის გამეფება	32
თავი VII. თავისუფლებათა დიდი ქარტია. პარლამენტის წარმოშობა	38
თავი VIII. ასწლიანი ომი. უოტ ტაილერის აჯანყება	48
თავი IX. ვარდების ომი	56
თავი X. ტიუდორების აბსოლუტიზმის დამყარება. რეფორმაცია	62
თავი XI. ჰუმანიზმი ინგლისში	73
თავი XII. ელიზაბეთ I-ის მეფობა. „ოქროს ხანა"	78
თავი XIII. სტიუარტების აბსოლუტიზმის კრიზისი. პურიტანები	91
თავი XIV. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია (სამოქალაქო ომი)	97
თავი XV. რესპუბლიკა და კრომველის პროტექტორატი	107
თავი XVI. სტიუარტების რესტავრაცია და დიადი რევოლუცია. კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბება ინგლისში	116
თავი XVII. საძრეწველო გადატრიალება ინგლისში	133
თავი XVIII. ინგლისის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება XVIII ს.	141
თავი XIX. ინგლისის საგარეო პოლიტიკა XVIII ს.	154
თავი XX. ინგლისის კულტურა XVIII ს.	162
თავი XXI. დიდი ბრიტანეთი ნაპოლეონის ომების ხანაში	174
თავი XXII. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება XIX ს. პირველ ნახევარში	181
თავი XXIII. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა XIX ს. პირველ ნახევარში	198
თავი XXIV. ინგლისის კულტურა XIX ს. პირველ ნახევრში	208
თავი XXV ინგლისი — „მსოფლიო სახელოსნო"	213
თავი XXVI. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა XIX ს. მეორე ნახევარში	220
თავი XXVII. „თეთრი ადამიანის ტვირთი"	226
თავი XXVIII. ვიქტორიანობის ხეობიდან ომისწინა ლიბერალიზმამდე	235
თავი XXIX. XIX ს. მეორე ნახევრის ინგლისის კულტურა	242
თავი XXX. დიდი ბრიტანეთი პირველ მსოფლიო ომში	250
თავი XXXI. დიდი ბრიტანეთი ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში (1918—1939 წწ.)	259
თავი XXXII. ბრიტანეთის იმპერია მეორე მსოფლიო ომში	271
თავი XXXIII. კეთილდღეობის სახელმწიფო	280
თავი XXXIV. იმპერიიდან ერთა თანამეგობრობამდე	289
თავი XXXV. ომისშემდგომი ბრიტანეთი. საზოგადოება და კულტურა	301
ბიბლიოგრაფია	310
გამოყენებული ლიტერატურა	311